ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუა საუკუნეების ისტორია



K245088
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუა საუკუნეების ისტორია

I

გ. კუტალიას რედაქციით

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2004

94(100)"04/14"(075.8)
ეროვნული ბიბლიოთეკა

შაკ (UDC) 940
შ 931

სახელმძღვანელოს პირველი ტომი მოიცავს ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებს (V-XV სს.). დაწერილია ახლებურად თბილისის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ და ეფუძნება მედიევისტიკის უახლეს მიღწევებს.

განკუთვნილია როგორც წმინდა ისტორიული, ისე დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

სარედაქციო კოლეგია: კ. მეშველიანი, გ. კუტალია, ლ. ხუბაშვილი,
მ. სტეფნაძე, ა. გეთიაშვილი, ბ. ჯავახია,
თ. წითლანაძე, თ. ქარჩავა (მდივანი),
მ. სონღულაშვილი, ზ. კვეტენაძე

რეცენზენტები: გ. ქავთარია
მ. პაპაშვილი

I-85064

იბეჭდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეთოდური საბჭოს დადგენილებით

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

ISBN 99940-12-49-5

ISBN 99940-12-08-8

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

უნივერსიტეტებისა და ჰუმანიტარული პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო „შუა საუკუნეების ისტორიის“ ორტომეული მოიცავს დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ისტორიას V საუკუნიდან XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ესაა კაცობრიობის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი, ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვის, ჩამოყალიბების, გაფურჩქვნისა და რღვევის, ხალხებისა და ერების წარმოშობის, თანამედროვე ევროპის სახელმწიფოების აღმოცენებისა და ფორმირების დრო, რომელმაც ჩვენ მემკვიდრეობით დაგვიტოვა არა მხოლოდ მწვავე სოციალური კონფლიქტები, სასტიკი ომები და ძალმომრეობა, გამაჩანაგებელი ეპიდემიები, ინკვიზიცია და თავისუფალი აზროვნების ჩახშობა; მას თან ახლავს მნიშვნელოვანი წინსვლა პროგრესის გზაზე, საფუძველი ეყრება ახალი დროის ევროპულ პარლამენტარიზმს, დემოკრატიულ და სამართლებრივ საზოგადოებას, მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებას, ივსება ქრისტიანული მოძღვრება და რომაულ-კათოლიკური, მართლმადიდებლური და პროტესტანტული ეკლესიების ორგანიზაციული საფუძვლები, შენდება რომაული და გოთური სტილის შესანიშნავი ტაძრები მაღალი სამრეკლოებით, დიდი და თავისუფალი ქალაქები, ნავსადგურები, ხიდები, არსდება პირველი უნივერსიტეტები, ისახება კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები და შესაბამისად ცალკეულ ქალაქებსა თუ ქვეყნებში ყალიბდება ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, ამობრწყინდება გამოჩენილი პოეტებისა და მწერლების – დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩოს, ჩოსერის, შექსპირის, მოქანდაკის – დონატელოს, არქიტექტორის – ბრუნელესკის, მხატვრების – ჯოტოს, რაფაელის, ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, ტიციანის, მეცნიერების – გალილეო გალილეის, კოპერნიკისა და სხვათა სახელები. შუა საუკუნეები ინახავს შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწეების, მხედართმთავრების, დიპლომატების, მოგზაურებისა და სახალხო გმირების სახელებს. შუა საუკუნეებმა მიუწვდომლად მაღალი ძეგლი დაუდგა და დიდების შარავანდედით შემოსა ჟანა დ’არკი, ფრანგი ქალიშვილი, რომელმაც თავი გასწირა სამშობლოსათვის. შუა საუკუნეებში იწყება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიც, რომლებმაც არაჩვეულებრივად გააფართოვა ევროპელთა თვალსაწიერი, ხელი შეუწყო სავაჭრო-ეკონომიკურ და სულიერ ფასეულობათა ზრდას, საოკეანო ცივილიზაციის განვითარებას; ტალღასავით გადაურა ევროპას რეფორმაციულმა მოძრაობამ, რომელმაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ეროვნული ეკლესიებისა და ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობა.

ამგვარად, შუა საუკუნეებმა განუმეორებელი და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მსოფლიო – ისტორიულ პროცესში, მატერიალურ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერ ფასეულობათა საერთო საგანძურში, – საფუძველი დაუდო ბევრ სიახლესა და პროგრესს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. ამიტომაცაა, რომ დროთა ცხოველი კავშირი შუა საუკუნეების ისტორიაზე არა მარტო აკადემიურ ინტერესს აღძრავს, არამედ იმისკენაც გვიბიძგებს, რომ იმ დროის თავისებურებებში ვეძებოთ პასუხები თანამედროვე ცხოვრების პრობლემებზე. წინამდებარე სახელმძღვანელოსაც მედიევისტიკის – ისტორიული ცოდნის ამ აქტუალური დარგის – წარმოჩენა აქვს მიზნად. სახელმძღვანელოს პირველი ტომის პირველი ნაწილი მოგვითხრობს ადრეული შუა საუკუნეების (V-XI სს.) ისტორიას, მეორე ნაწილი კი – განვითარებულ შუა საუკუნეების (XI-XV სს.) ისტორიას. გათვალისწინებულია უახლოეს ხანში გვიანდელი შუა საუკუნეების ანუ ადრეული ახალი დროის (XVI-XVII სს. პირველი ნახევრის) ამსახველი ისტორიის მეორე ტომის გამოცემაც.

სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში და, საერთოდ, ისტორიულ აზროვნებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები – აქ ცივილიზებული და ფორმაციული მიდგომა სინთეზირებულია და არა უგულებელყოფილი, XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარს ახლა განსაზღვრავენ როგორც გვიანდელ ან გარდამავალ შუა საუკუნეებს, ან კიდევ, როგორც ადრეული ახალი ისტორიის საწყისს ეტაპს.

სასწავლო გეგმის თანახმად, რუსეთის, სამხრეთ და დასავლეთ სლავების, ბიზანტიის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის კურსები უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე იკითხება ცალკე, თანაც არსებობს ამ რეგიონების ისტორიის ამსახველი სპეციალური სახელმძღვანელოებიც და ამიტომ წინამდებარე სახელმძღვანელოში აღნიშნული ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორია შეტანილი არაა.

სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ტრადიცია, რომელიც მომდინარეობს პროფესორ გ. ტივაძისა და დღემდე ქართულ, რუსულ და დასავლურ ევროპულ ენებზე არსებული სხვა ცალკეული სახელმძღვანელოებისაგან, მასში ასევე გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე წაკითხული სალექციო კურსების გამოცდილებაც.

წინამდებარე სახელმძღვანელოს დაწერასა და მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებლებმა. ავტორთა ვინაობა მითითებულია სახელმძღვანელოს სარჩევის შესაბამის თავებში.

ნაშრომი, ბუნებრივია, დაზღვეული არ იქნება ცალკეული სარვეზებისაგან. ამიტომაც, ვინც გაირჯება და თავის სურვილსა და შენიშვნას მოგვაწოდებს, მადლობელი დავრჩებით, გავითვალისწინებთ შემდგომი გამოცემის დროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I

ისტორიის პერიოდიზაცია. ტერმინი „შუა საუკუნეების“ გაჩენა და „ფეოდალიზმის“ არსი

საეკლესიო პერიოდიზაცია. კაცობრიობამ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე უაღრესად რთული და ძნელი გზა განვლო, იყო ბრძოლები და უამრავი მსხვერპლი, იყო მშვიდობიანი ურთიერთობაც, როცა ადამიანები მნიშვნელოვან შრომით და კულტურულ წარმატებებს აღწევენ. ყველაფერ ამას სწავლობს მსოფლიო ისტორია, რომელსაც დღეს ძველ, შუა და ახალ ისტორიებად ყოფენ. ამას წინ უსწრებდა ისტორიის დაყოფა ოთხი ერთიმეორის მომდევნო მსოფლიო მონარქიად: ასურელ-ბაბილონელთა, მიდიელ-სპარსთა, ბერძენ-მაკედონელთა და რომის მონარქიად. ეს დაყოფა იოსებ ფლავიუსისა (დაახ. 37-100) და II საუკუნის ბერძენი მეცნიერის კლავდიოს პტოლემაიოსის სახელებს უკავშირდება. მოგვიანებით ეს პერიოდიზაცია ნეტარმა ავგუსტინემაც აღიარა, ე.ი. ქრისტიანულმა ეკლესიამ მიიღო და ამიტომ მას საეკლესიო პერიოდიზაციის სახელითაც მოიხსენიებენ. საეკლესიო პერიოდიზაცია ერთი მთლიანი ისტორიის მომხრედ გამოდიოდა და განვითარების იდეას უგულებელყოფდა; ღმერთი თანამიმდევრობით ანიჭებდა მსოფლიო ბატონობას ამა თუ იმ ხალხს. რომის იმპერია წარმოდგენილი ჰქონდათ უკანასკნელ მონარქიად: მას უცვლელად უნდა ეარსება „ქვეყნის დასასრულამდე“.

ისტორიის სამწევროვანი პერიოდიზაცია. მსოფლიო ისტორიის თეოლოგიური კონცეფცია მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არსებობდა. იგი XV-XVI საუკუნეებში იტალიელმა ჰუმანისტებმა უარყვეს და მოგვცეს ისტორიის სრულიად ახალი პერიოდიზაცია, მისი დაყოფა ძველ, შუა და ახალ ისტორიად. ჰუმანისტები აღორძინების ეპოქის კულტურის მიღწევის პოზიციიდან, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების შეფასებიდან ამოდიოდნენ, როცა კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ ბნელეთით მოცული ფეოდალიზმის ეპოქა სრულიადაც არაა ადამიანთა საკადრისი და შესწავლის ღირსი, რადგან მაშინ წესრიგის ნაცვლად გაბატონებული იყო ველურობა, ანარქია და ძალმომრეობა. ადამიანთა ღირსი ყოფა-ცხოვრება წინათ, ანტიკურ ხანაში მიმდინარეობდა, იგი გაგრძელდა ჰუმანისტების ხანაშიც, როცა დაიწყო ძველი კულტურის „აღორძინება“. ამგვარად, ჰუმანისტები თავიანთ ეპოქას გამოყოფდნენ, როგორც „ახალს“, უახლოებდნენ მას ანტიკურობას და, ამავე დროს, მასვე უპირისპირებდნენ მის უშუალო წინამორბედ ეპოქას ანუ „შუა საუკუნეებს“. ჰუმანისტები ასე გახდნენ ისტორიის „სამწევროვანი“ პერიოდიზაციის ფუძემდებელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერმინი „შუა საუკუნეები“ წარმოდგება ლათინური სიტყვა medium aevum-დან, მისგან მომდინარეობს მეცნიერების – მედიევისტიკის სახელწოდებაც, რომელიც შეისწავლის შუა საუკუნეების ისტორიას. ეს ტერმინი ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის აღმოცენებისთანავე არ გაჩენილა. მაგალითად, შუა საუკუნეების ისტორიის ამსახველ პირველ წიგნში – „ისტორია რომის დაცემიდან 1410 წლამდე“, რომლის ავტორია XV საუკუნის რომაელი ისტორიკოსი ფლავიო ბიონდო, აღნიშნული ტერმინი ჯერ კიდევ არ გვხვდება. იგი სრულიად შემთხვევით, ზეპირი გამოსვლისას გაჩნდა: 1469 წელს ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და ფილოსოფოსის ნიკოლოზ კუზანელის პარაკლისზე სიტყვას წარმოთქვამს ჯოვანი ანდრეა, ასევე საეკლესიო პირი, რომელმაც განაცხადა: „განსვენებულმა კარგად იცოდა ისტორია როგორც ძველი, ისე შუა საუკუნეებისა“.

აქედან იღებს სათავეს ქრონოლოგიური ჩარჩოც, რომელშიც ჰუმანისტებმა შუა საუკუნეები მოაქციეს, თუმცა ვერ მიაღწიეს აზრთა ერთიანობას, იმის განსაზღვრას, თუ სად იწყებოდა ან სად სრულდებოდა შუა საუკუნეები. ჰუმანისტების ერთ ნაწილს შუა საუკუნეების დასაწყისად მიაჩნდა ქრისტიანობის გამარჯვება IV საუკუნეში, მეორე ნაწილს – 395 წელი, როცა რომის იმპერია დასავლეთისა და აღმოსავლეთის (ბიზანტიის) იმპერიებად დაიყო, მესამე ნაწილს – 410 წელი, როცა „მარადიული ქალაქი“ – რომი პირველად დაეცა გერმანელი ტომების – ვესტგოთების ფეხქვეშ, მეოთხე ნაწილს – 476 წელი, როცა დასავლეთ რომის იმპერიას ბოლო მოელო. შუა საუკუნეების დასასრულად გამოცხადებული იყო ან 1453 წელი, როცა თურქ-ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ბოლო მოუღეს ბიზანტიის იმპერიას, ან ამერიკის აღმოჩენა 1492 წელს, ან რეფორმაციის დაწყება გერმანიაში 1517 წელს.

ეს პერიოდიზაცია მომდევნო ხანის ისტორიკოსებმაც განავითარეს. უპირველესად ეს ითქმის XVII საუკუნის გერმანელ მეცნიერზე, ჰალეს უნივერსიტეტის პროფესორ ქრისტეფორე ცელარიუსზე (კელერზე), რომელმაც 1688 წელს გამოსცა წიგნი სახელწოდებით – „შუა საუკუნეების ისტორია“. ამ სათაურით წიგნის გამოცემა სიახლე იყო, რომელიც შემდგომ სხვა ქვეყნებშიაც დამკვიდრდა, თუმცა შუა საუკუნეების დასაწყისისა და დასასრულის საკითხში იგი იმ ტრადიციას მიჰყვებოდა, რომელთანაც დასაწყისად გამოცხადებულია რომის იმპერიის დაყოფა ორ ნაწილად (395 წ.), დასასრულად – კონსტანტინოპოლის აღება 1453 წელს. რამდენადმე განსხვავებული იყო განმანათლებლობის ხანის (XVIII ს.) ისტორიკოსების პოზიცია. მათ ისტორიის პერიოდიზაციის კრიტერიუმად აქციეს არა იმდენად კულტურული მდგომარეობა, რამდენადაც დამოკიდებულება რელიგიასა და ეკლესიისადმი. შუა საუკუნეები მათ რელიგიური ცნობიერებისა და ცრუ რწმენის დროდ გამოაცხადეს, ხოლო ახალი დრო დაუკავშირეს ხან წიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ბეჭდვის გამოგონებას, ხან ამერიკის აღმოჩენას, ხან კიდევ რეფორმაციულ მოძრაობას, რომლებმაც, მათი აზრით, შუა საუკუნების აზროვნებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინეს.

განმანათლებლობის ხანის ისტორიკოსებისაგან ბევრად არ განსხვავდებიან XIX-XX საუკუნეების დასავლეთის ქვეყნების ცალკეული ისტორიკოსები შუა საუკუნეებსა და ახალ დროს შორის საზღვრის გავლებაში. მათაც ასეთ საზღვრად XV საუკუნის შუა ხანების ან დასასრულის ისეთი მოვლენები წარმოუდგენიათ, როგორიცაა: წიგნის ბეჭდვის გამოგონება, თურქ-ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღება, კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა, თუმცა ყველა ისტორიკოსი როდი მიჰყვება ცალკეული ქრონოლოგიური თარიღების მითითების ამ გზას. მაგალითად, დიდი ინგლისელი ისტორიკოსი ჯორჯ ტრეველიანე (1876-1962), ავტორი წიგნისა – „ინგლისის ისტორია ჩოსერიდან დედოფალ ვიქტორიამდე" – კატეგორიულად გამოდის შუა საუკუნეების დასასრულად ცალკეული თარიღების მითითების ტრადიციის წინააღმდეგ. მას მიაჩნია, რომ იგი გადმოღებული და დანერგილია თანამედროვე ცალკეული მასწავლებლებისა და ეგზამენატორების მიერ, რომელთაც შუა საუკუნეების დასასრული ვერ წარმოუდგენიათ სასურველი თარიღების გარეშე. ინგლისში, მათი აზრით, ასეთი სასურველი თარიღია 1485 წელი, როცა დამთავრდა ვარდების ომი. მაგრამ მათ ავიწყდებათ (ან შეგნებულად გვერდს უვლიან), რომ ამ თარიღით არ დაწყებულა ახალი ერა, რომ ამ ომის შემდეგაც გრძელდებოდა ინგლისში შუასაუკუნეობრივი ცხოვრება. თვით XVI საუკუნის დასაწყისშიც, როცა ინგლისური ვაჭრობა აღმავლობას განიცდის, ეს ვაჭრობა ისევ ძველი გზით – ჩრდილოეთი ევროპის სანაპიროებით მიდიოდა. კაბოტის მოგზაურობის (ბრისტოლიდან ნიუფაუნდლენდამდე) მიუხედავად, თვით ელისაბედის გამეფებამდე, ინგლისელები ჯერ კიდევ ნაკლებად ინტერესდებოდნენ ატლანტის ოკეანით. მაშასადამე, – ასკვნის ტრეველიანე, – „ახალი დროის დასაწყისად" უნდა მივიჩნიოთ უფრო სამრეწველო გადატრიალების განვითარების პერიოდი, ვიდრე აღორძინებისა და რეფორმაციის ეპოქა (გვ. 102-106). ანალოგიური აზრის შემცველია თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსის კარლ ბოსლის წიგნიც – „ევროპა შუა საუკუნეებში" (1992). მასში აღნიშნულია, რომ მხოლოდ ტექნიკური და უსაფუძვლოა შუასაუკუნეების დასარულად და ახალი დროის დასაწყისად XV საუკუნის დასასრულის დასახელება. ბოსლის აზრით, რაც არ უნდა ავიღოთ განმსაზღვრელად სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, საზოგადოებრივი აზრი, კულტურა, იგი მაღალი შუა საუკუნებიდან უცვლელია, ვიდრე XVIII საუკუნემდე და თუ ვისაუბრებთ ახალ ელემენტებზე, რომელიც ჩნდება XVI საუკუნეში, ეს არ არის დომინანტი და განმსაზღვრელი მთელი ევროპული საზოგა-

დოებისათვის. ასეთივე აზრის შემცველია „ისტორია 2“, სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია 1991 წელს.

მართლაც, ამერიკის აღმოჩენას (1492), რომელიც უდიდესი მოვლენა იყო, იმთავითვე (აღმოჩენის დღიდანვე) არ მოუხდენია რეალური გავლენა ევროპული საზოგადოების ცნობიერებაზე, ეკონომიკურ და სოციალურ ყოფაზე. ამ აზრის შემცველია ჩიკაგოს უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორის უილიამ მაკნილის (იხ. ჟურნ. „ამერიკა“, 1991, №415, რუსულ ენაზე) ეს სიტყვებიც: „ახალი მიწების (ამერიკის) გავლენა ევროპულ საზოგადოებაზე შეიმჩნეოდა მხოლოდ XVI საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ“.

ასე უნდა მივუდგეთ გერმანიის რეფორმაციულ მოძრაობასაც (1517). მართალია, მან ბიძგი მისცა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრების აღმოცენებას, მაგრამ აუგსბურგის რელიგიური ზავით ლუთერანობის საბოლოო აღიარება ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ეს საკითხი საბოლოოდ ვესტფალიის ზავმა (1648) გადაწყვიტა. თანაც ამ დრომდე გერმანიაში (ასევე ევროპის მეტწილ ქვეყნებში) შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები არათუ გაქრა, არამედ კვლავ დომინანტი და განმსაზღვრელი იყო. ევროპული საზოგადოება ჯერ კიდევ ისეთივე წოდებრივი იყო, როგორიც წინა საუკუნეებში. წოდებრივი მონარქია აბსოლუტიზმის სახეს ღებულობს და ისევ წოდებრიობის პრინციპს იცავს; ბურჟუაზიული, თავისუფალი შრომა ჯერ მხოლოდ დამკვიდრებას იწყებს, ბუნებითი სამართალი და პოლიტიკური რესპუბლიკანიზმი მხოლოდ თეორიულად იბადება. ამიტომ უპრიანია ვთქვათ, რომ XVI საუკუნე და XVII საუკუნის დასაწყისი „გარდამავალი პერიოდია“ ან, უკეთეს შემთხვევაში „ადრეული ახალი დროა“, როგორც ამას თანამედროვე რუსი და ქართველი მედივისტებიც (პროფ. ს. კარპოვი, პროფ. გ. ჟორდანია, დოც. ა. გეთიაშვილი) ამტკიცებენ[1]. ეს გარკვეული სიახლეა პერიოდიზაციაში, რომელსაც ეფუძნება წინამდებარე სახელმძღვანელოც.

ტერმინ „შუა საუკუნეებისა“ და ფეოდალიზმის არსის გაგება. განმანათლებლობის ეპოქის ისტორიკოსები პირველები იყვნენ, ვინც ტერმინი „ფეოდალიზმი“ საზოგადოებრივი ურთიერთობის მნიშვნელობით იხმარა. პოლიტიკურთან ერთად მათ სოციალური ისტორიის წინ წამოწევა და ანალიზი იწყეს, XI-XIII საუკუნეების დოკუმენტებიდან ის დასკვნა გამოიტანეს, რომ იურიდიული ტერმინი feudum – ფეოდი მემკვიდრეობით მიღებული დიდი მიწის ნაკვეთია, რომელზეც შეიძლება ქალაქები და სოფლები ყოფილიყო გაშენებული. ასეთ ნაკვეთს სენიორი გასცემდა ვასალზე (ფეოდალზე) იმ სამსახურის გამო, რასაც იგი ასრულებდა სენიორის სასარგებლოდ. სოციალური ისტორიის ასეთმა ანალიზმა ამ დროის ისტორიკოსები

---

[1] იხ. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ (1994, №95), პროფ. ს. კარპოვის რედაქციით გამოცემული „შუა საუკუნეების ისტორიის“ (ორ ტომად) სახელმძღვანელო, კრებული „შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები“, ტ. II (2000).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერმინ „შუა საუკუნეებისა“ და „ფეოდალიზმის“ გაიგივებამდე მიიყვანა, ის ათქმევინა, რომ შუა საუკუნეები – ეს იყო დრო, როცა გაბატონებული იყო ფეოდალური, ანუ ლენური სისტემის საზოგადოებრივი კავშირები ფეოდალებს – მიწის მესაკუთრეებს შორის.

ტერმინ „შუა საუკუნეებისა“ და „ფეოდალიზმის“ არსის გაგებაში ბევრად უფრო შორს წავიდა ისტორიის ახალი ფილოსოფია – პოზიტივიზმი, რომელმაც განვითარება იწყო XIX საუკუნის 30-იან წლებში. პოზიტივისტებმა (ო. კონტმა, ჰ. სპენსერმა და სხვ.) უპირველესად უკუაგდეს ადრე მიღებული შესაქცევი თხრობები ისტორიული გმირების ცხოვრებაზე, წინ წამოსწიეს კომპლექსური ხედვა ისტორიული პროცესისა თვით საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ჩათვლით, თუმცა ფეოდალიზმს კვლავ პოლიტიკური და იურიდიული ნიშნების მიხედვით განსაზღვრავენ, თვლიან, რომ ფეოდალიზმი იყო საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი ორგანიზაცია, უპირველესად კი სენიორალურ-ვასალური კავშირი, რომელიც, ნაწილობრივ, სამხედრო დაცვისა და ურთიერთვალდებულების მოთხოვნილებით იყო განპირობებული.

ისტორიული პროცესის კომპლექსურ ხედვაში გამორჩეული ადგილი უკავიათ XIX საუკუნის პირველი მესამედის ფრანგ ისტორიკოსებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ფ. გიზოს შემოქმედებაზე, რომელმაც პირველმა მოგვცა ფეოდალური საკუთრების დახასიათება, იგი გამოაცხადა საფუძვლად სენიორალურ-ვასალური კავშირებისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია პირობითობა, იერარქიული სტრუქტურა (ე.ი. დაქვემდებარების რამდენიმე საფეხური) მიწის მესაკუთრეებს შორის და საკუთრების ერთიანობა. თუ მანამდე სოციალურ გაგებაში აღარ ფიგურირდება ფეოდალური საკუთრების – მიწის უშუალო რეალიზატორი – გლეხი, ახლა გიზო თუ სხვა პოზიტივისტი ისტორიკოსები საუბრობენ ისეთ სოციალურ სტრუქტურაზე, როგორიცაა თემი და ვოტჩინა (სამემკვიდრეო ფეოდალური მამული), მათ მოგვცეს გლეხთა სამეურნეო პრობლემისა და სოციალური ცხოვრების ანალიზიც.

როგორც ვთქვით, ფეოდალიზმს საზოგადოებრივ ურთიერთობად ჯერ კიდევ განმანათლებლობის ეპოქის ისტორიკოსები წარმოაჩენდნენ, თუმცა მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ სტრუქტურულ ტერმინ „ფორმაციაზე“, რომელიც XIX საუკუნის ისტორიულ მეცნიერებაში გამოჩნდა. ეს ტერმინი მარქსისტულ მეთოდოლოგიას უკავშირდება, თუმცა მან მნიშვნელოვნად გააფართოვა „ფეოდალიზმისა“ და „შუა საუკუნეების“ გაგების შესაძლებლობა, ისტორიულ პროცესში ათვლის წერტილად წარმოების წესი და საკუთრების ფორმა გამოაცხადა, ის აზრი განავითარა, რომ ფეოდალიზმი იყო წარმოების ერთ-ერთი წესი, რომელსაც საფუძვლად უდევს ფეოდალების საკუთრება მიწაზე, მის რეალიზაციას კი წვრილი მწარმოებლების – გლეხების მეშვეობით ახდენდა. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიწის მესაკუთრის მიერ გლეხის ექსპლუატაციის ფაქტს. ერთხანს პოსტსაბჭოთა სინამდვილეში მარქსისტული მეთოდოლოგია ძლიერ პოლიტიზირებული და საკრალიზირებული იყო, შეუძლებელს ხდიდა რეალური ცხოვრების საფუძვლიან ანალიზსა და ისტორიული პროცესის კომპლექსურ შესწავლას, ხელს უწყობდა სოციოლოგიური სქემებით მეტისმეტ გატაცებას.

მაგრამ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი ძვრები ხდება ისტორიულ მეცნიერებაში. ჯერ ფრანგმა ისტორიკოსებმა, შემდეგ კი სხვა ქვეყნების ისტორიული მეცნიერების წარმომადგენლებმა, მიიღეს რა XIX საუკუნის სოციოლოგიის მიღწევები და სისტემური მსოფლიოს აღიარება, უარი თქვეს ისტორიის მიზეზობრიობის მექანიკურ გაგებასა და განვითარების ცალმხრივ წარმოდგენაზე, დანერგეს იდეა საზოგადოებრივი პროცესის სხვადასხვა მხარეების განვითარების არაერთნაირი რიტმის შესახებ. ამასთან, წინ წამოსწიეს „საწარმოო ურთიერთობის“ გაგება, მასში შეგნების კომპონენტებთან განუწყვეტელი კავშირისა და ადამიანის როლის ამაღლების საჭიროება. ახალმა მიდგომამ ისტორიას დაუბრუნა ადამიანი, აჩვენა, რომ აუცილებელია არა „თეორია“ ან იდეის შემოქმედი, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი მისი ყოველდღიური შეგნებით.

ამდაგვარი დამოკიდებულება ისტორიულ მეცნიერებაში იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ უკეთ ჩავწვდეთ „ფეოდალიზმისა“ და „შუა საუკუნეების“ გაგებას.

ფეოდალიზმისა და ფეოდალური საკუთრების მნიშვნელოვანი თავისებურებანი. ფეოდალური წარმოების ძირითად საშუალებასა და სიმდიდრის ძირითად სახეს, როგორც ვთქვით, მიწა წარმოადგენდა. მიწა ფეოდალის საკუთრება იყო, მის მონოპოლიურ განკარგულებაში იმყოფებოდა, თუმცა უშუალო მწარმოებლის – გლეხის გარეშე ეს მიწა მკვდარ კაპიტალს წარმოადგენდა, საჭირო იყო მისი რეალიზაცია, რაც გლეხის მეშვეობით ხდებოდა. ფეოდალური მიწის საკუთრების ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება სწორედ რეალიზაციაშია. მაშასადამე, მიწის საკუთრებასთან ურთიერთობაში ორივე მხარე – მესაკუთრე და უშუალო მწარმოებელი, ურთიერთდაინტერესებული პარტნიორები იყვნენ, თუმცა არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მფლობელობის (და არა საკუთრების) უფლებით მიღებული მიწის სანაცვლოდ გლეხი ფეოდალს უხდიდა რენტას (ნატურით ან ფულადი სახით) და ასრულებდა ბეგარას. გლეხს მაინც ჰქონდა ის დაინტერესება, რომ იგი მიწაზე მისდევდა წვრილ მეურნეობას, საკუთრებაში გააჩნდა სახლი, პირუტყვი და, რაც მთავარია, შრომის იარაღები, რომლის დახმარებითაც ის ამუშავებდა როგორც მის განკარგულებაში არსებულ ნაკვეთს, ისე ფეოდალის მიწასაც. ამრიგად, გლეხის მდგომარეობა პრინციპულად განსხვავდებოდა როგორ მონის, ისე, დაქირავებული მუშის მდგომარეობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალური მიწის საკუთრების პირველი თავისებურებიდან გამომდინარეობს მისი მეორე თავისებურება: საკუთრების დაკავშირება პოლიტიკურ ხელისუფლებასთან. მიწის მესაკუთრე პოლიტიკურ ხელისუფლებასთან — სასამართლოსთან, ადმინისტრაციასთან, სამხედროსთან კავშირს დიდი ან მცირე ზომის ნაკვეთის გადაცემით ამყარებდა და ამით არაეკონომიკური იძულების, ანუ მწარმოებლის პიროვნებაზე ძალდატანების უფლებას მოიპოვებდა.

ფეოდალური მიწის საკუთრების მესამე თავისებურებას მისი პირობითი ხასიათი და იერარქიული სტრუქტურა წარმოადგენდა. თუ **ალოდი** იყო უპირობო და მემკვიდრეობითი საკუთრების პირველი ფორმა, მას მოსდევს **ბენეფიციუმი**, პირობითი საკუთრება, რომელიც ეძლეოდა ამა თუ იმ პიროვნებას სამხედრო სამსახურისათვის. ბენეფიციუმი მოგვიანებით შეიცვალა მაღალგანვითარებული საკუთრების ფორმით — **ფეოდით** (გერმანიაში ლენით). ეს იყო მემკვიდრეობითი პირობითი მფლობელობა, ვასალები რომ იღებდნენ სენიორისაგან სამხედრო სამსახურის ან ზოგიერთი სხვა ვალდებულების აღსრულების ალთქმით. საკუთრების ასეთი რეალური და იურიდიული დაყოფის საფუძველზე ჩამოყალიბდა იერარქიული სტრუქტურა (დაქვემდებარების რამდენიმე საფეხური) მიწის მესაკუთრეებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ვასალურ-ლენური ურთიერთობით. საკუთრების პირობითი ხასიათი გახდა შედეგი ფეოდალთა ფენის შინაგანი კონსოლიდაციისა, რომელიც დაეხმარა მას მოეხდინა მიწის მონოპოლიის რეალიზაცია. ეს თავისებურება უფრო მკაფიოდ აისახა საზოგადოებაში, სადაც მიწის ფონდში სახელმწიფოებრივს კერძო სექტორი პრევალირებდა.

ფეოდალიზმის აღმოსავლურ მოდელში რეალურ უმაღლეს მესაკუთრეს მიწაზე სახელმწიფო წარმოადგენდა, განსხვავებით დასავლური მოდელისაგან, სადაც სახელმწიფო ფლობდა უმაღლესი საკუთრების მხოლოდ ნომინალურ უფლებას. ეს არ გამორიცხავდა კერძო მფლობელობას აღმოსავლეთში, თუმცა მათი პოზიცია სუსტი იყო: მიწის საკუთრების კერძო მფლობელობას ჩვეულებრივ სახელმწიფო აკონტროლებდა, ვასალურ-ლენური კავშირების სისტემაში სოციალური იერარქია არასაკმარისად იყო განვითარებული. რჩებოდა რა დამოკიდებული მიწაზე, გლეხს შეეძლო შეენარჩუნებინა პირადი თავისუფლება. რენტა, რომელსაც იხდიდა გლეხი, ემთხვეოდა სახელმწიფოებრივ გადასახადს.

ფეოდალური საკუთრების პრობლემა მხოლოდ ფეოდალის მიწის საკუთრებითა და შრომის იარაღებზე გლეხთა საკუთრებით არ ამოიწურება. ფეოდალიზმის პირობებში ხდებოდა პროგრესი ხელოსნობის სფეროში, სისტემატურად ვითარდებოდა ტექნიკა, შრომის იარაღები, რომელიც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობდა ფეოდალური საზოგადოებიდან ახალ საზოგადოებრივ სისტემაში — კაპიტალიზმში გადასვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური ინსტიტუტები. მიწაზე ფეოდალური საკუთრების ჩამოყალიბებამ სამეურნეო და სოციალური ცხოვრება არსებით ცვლილებამდე მიიყვანა. თუ გვაროვნული წყობილებისა და ფეოდალიზმის გენეზისის პირობებში მთავარ სამეურნეო და სოციალურ ორგანიზმს თემი წარმოადგენდა, VIII საუკუნის დასასრულიდან კი დასავლეთ ევროპაში ყალიბდება სამემკვიდრეო ფეოდალური მამული – „ვოტჩინა" (სენიორია საფრანგეთში, მანორი ინგლისში), რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა: ერთი იყო საბატონო მიწა, ანუ დომენი (წარმოდგება ლათ. dominus-დან და ნიშნავს ბატონს) და მეორე – საგლეხო მიწად, რომელიც გლეხებს ეძლეოდათ მფლობელობის უფლებით.

დომენში შედიოდა მემამულის კარ-მიდამო და სამეურნეო ნაგებობანი: მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების შესანახი ბეღელი, საჯინიბო, ბოსელი, საფრინველე, საძაღლე, აქვე იყო სახელოსნოები. აქ მუშაობდნენ მამაკაცები და ქალები მემამულისა და მისი ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მამულის ამ ნაწილში გაშენებული იყო წისქვილი და კარის ეკლესია, რომელიც ბატონის საკუთრებად ითვლებოდა. მათ ზედ ეკვროდა ბაღ-ბოსტანი, ვენახი, სახნავი მიწები, ტყე და მდელო.

რაც შეეხება საგლეხო მიწას, იგი ნაკვეთებად იყოფოდა; თითოეულ ნაკვეთს ცალკე ოჯახი განაგებდა, მას ჰქონდა საკუთარი სახლი და სამეურნეო ნაგებობანი, რომელსაც ეკვროდა ბოსტანი, ვენახი და სახნავი მიწა.

ფეოდალური მამული, როგორც სამეურნეო ორგანიზმი, ხელს უწყობდა შრომის ინტენსიფიკაციასა და საწარმოო ძალების განვითარებას, მიწის გაწმენდასა და შინაგან კოლონიზაციას, ახალი სამეურნეო მეთოდებისა და კულტურის დანერგვას; ამასთან ერთად, გარკვეულწილად უზრუნველყოფდა გლეხური მეურნეობის მდგრადობას, იცავდა მას სახელმწიფოს მძიმე გადასახადებისა და სენიორის ხელყოფისაგან. ექსპლუატაციის პირობებში ფეოდალისა და გლეხის ურთიერთობის ბალანსი ხშირად ირღვეოდა, მას გლეხის მეურნეობის დანგრევა მოჰქონდა. ამას, ბუნებრივია, თან ახლდა პროტესტი თვით აჯანყებამდე. ამრიგად, ვოტჩინის სამეურნეო როლი მჭიდროდ დაკავშირებულია მის სოციალურ ფუნქციასთან, რომელიც არეგულირებდა გლეხების ადმინისტრაციულ და სამართლებრივ ცხოვრებას.

ფეოდალური მამულის დამკვიდრებას გლეხური თემის გაქრობა არ მოჰყოლია. რიგ ქვეყნებში (საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში) თემმა მოიპოვა კოლექტიური იურიდიული პირის სტატუსი, საფუძველი ჩაუყარა სასოფლო კომუნას არჩევითი მართვის უფლებით. სოფლის კომუნა აკონტროლებდა სათემო სავარგულების ვარგისიანობასა და განაწილების სისწორეს, რენტის აკრეფას, ვოტჩინის მფლობელის მიერ სასამართლოს წარმოების მიმდინარეობას, ამასთან, შეჰქონდა მასთან ურთიერთობაში სახელშეკრულებო-სამართლებრივი საწყისები. ამგვარი უფლებები თემს აძლევდა ვო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტჩინის ჩარჩოებიდან გამოსვლის უფლებას, მას შეეძლო კოლექტიური საჩივრით მიემართა სახელმწიფო სასამართლოსადმი.

ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია. ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკურმა ორგანიზაციამ განვითარების მხრივ რამდენიმე ეტაპი გაიარა. ფეოდალიზმის გენეზისის პირობებში არსებობდნენ ბარბაროსული სამეფოები და ადრეფეოდალური სახელმწიფოები. მათში ძლიერი იყო ე.წ. „პირველყოფილი დემოკრატიის“ გადმონაშთები. სამეფო ხელისუფლების შესაძლებლობები ძალზე შეზღუდული იყო. ამ ეტაპზე დასავლეთ ევროპაში იქმნება (ყოველ შემთხვევაში, შექმნის ცდებია) ნახევრადეთნიკური მსხვილი გაერთიანება, მაგალითად, კარლოს დიდის ფრანკთა იმპერია, რომელიც დაღუპული დასავლეთ რომის იმპერიის მემკვიდრეობაზე აცხადებდა პრეტენზიას.

ფეოდალური ურთიერთობის დამყარებამ და ფეოდალური დაქუცმაცებულობის განვითარებამ ის შედეგი მოიტანა, რომ X-XII საუკუნეების პოლიტიკური ხელისუფლება თავს იყრის მიწის მსხვილი მესაკუთრეების – მთავრების, ჰერცოგების, გრაფების ხელში. ამ დროს მხოლოდ ნომინალურია მონარქების ხელისუფლება. მაგრამ მოგვიანებით სამეფო ხელისუფლება იწყებს ბრძოლას ქვეყნის გაერთიანებისათვის და წარმატებასაც აღწევს – ქმნის ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. ცენტრალიზაციის პირობებში ყალიბდება წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია, ინგლისში იქმნება პარლამენტი, ესპანეთში კორტესები, საფრანგეთში გენერალური შტატები და ა.შ., სადაც წოდებათა უფლებები სახელმწიფოებრივ დონეზე წყდება.

გვიანდელი ფეოდალიზმის ეტაპზე ყალიბდება სახელმწიფოს ახალი ფორმა – აბსოლუტური მონარქია, რომლის დროსაც ქვეყნის ცენტრალიზაცია უფრო მაღალ დონეს აღწევს, იზრდება მონარქის სახელისუფალო უფლებამოსილება, იგი აკონტროლებს ადმინისტრაციულ აპარატს, არმიასა და გადასახადების აკრეფას. ერთი სიტყვით, მეფე უზენაესი არბიტრია, რომელიც ახდენს „აბსოლუტური“ ხელისუფლების რეალიზაციას.

ამგვარად, ფეოდალიზმის ამგვარი ზოგადი დახასიათებაც კი გვარწმუნებს, რომ იგი თავის განვითარებაში რამდენიმე საფეხურს გაივლის, შესაბამისად ფეოდალიზმის შიდაპერიოდიზაციასაც ახდენენ.

შუა საუკუნეების შიდაპერიოდიზაცია. მიღებულია შუა საუკუნეების დაყოფა სამ ძირითად პერიოდად, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონით.

პირველი, ადრეული შუა საუკუნეების პერიოდი V საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის შუახანებს მოიცავს. ეს არის ფეოდალიზმის საზოგადოებრივ სისტემად ჩამოყალიბების დრო, როცა გაბატონებული იყო ნა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტურალური სამეურნეო ურთიერთობა. ეს იყო ბარბაროსული და ადრეფეოდალური სამეფოებისა და თანამედროვე სახელმწიფოების წარმოქმნის დრო.

კულტურის დროებითი დაცემა, რომელიც დასავლეთ რომის იმპერიის დაღუპვას უკავშირდება, თანდათანობით აღმავლობით იცვლება. მასში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქრისტიანობის დამკვიდრებამ. ქრისტიანული ეკლესია გადამწყვეტ გავლენას ახდენდა მაშინდელი საზოგადოების შეგნებისა და კულტურაზე, ნაწილობრივ, არეგულირებდა ანტიკური მემკვიდრეობის ათვისების პროცესს.

მეორე, განვითრებული ფეოდალიზმის ხანა XI საუკუნის ნახევარსა და XV საუკუნის დასასრულს მოიცავს, ესაა ფეოდალური ურთიერთობის გაფურჩქვნის პერიოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქალაქების მასიური ზრდა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება და ბიურგერობის ჩამოყალიბება. პოლიტიკურ ცხოვრებაში დასავლეთ ევროპის უმრავლეს რეგიონში ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდის შემდეგ ყალიბდება ცენტრალიზებული სახელმწიფოები, სახელმწიფოს ახალი ფორმა – წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია, რომელიც ასახავდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და წოდებათა აქტივიზაციის ტენდენციას.

ამ პერიოდის კულტურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელია საქალაქო კულტურის განვითარების ტენდენცია, რომელიც გავლენას ახდენს რაციონალიზმისა და ცდისეული ცოდნის ჩამოყალიბებაზე. ცალკეულ ქალაქებსა და ქვეყნებში კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტების ჩასახვა-განვითარებას ადრეული ჰუმანიზმის – აღორძინების იდეოლოგიის ჩამოყალიბებაც ახლავს, იწყება გეოგრაფიული აღმოჩენები.

მესამე, გვიანდელი ფეოდალიზმის, ანუ ადრეული ახალი დროის პერიოდისათვის, XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველი ნახევრისათვის, დამახასიათებელია ფეოდალიზმის გახრწნისა და ადრეული კაპიტალისტური ურთიერთობის გენეზისის პროცესი. ამ დროს ყალიბდება ფეოდალური სახელმწიფოს მესამე ტიპი – აბსოლუტური მონარქია. საზოგადოების სულიერ ცხოვრებას წარმართავენ ადრებურჟუაზიული რევოლუციები, გვიანდელი ჰუმანიზმი, რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია. მნიშვნელოვანი წინსვლა ხდება ბუნებრივ მეცნიერებასა და რაციონალიზმში.

თითოეული ეტაპისათვის დამახასიათებელია ხალხთა გადაადგილება ევროპის ტერიტორიაზე და მის გარეთ: ჯერ იყო ჰუნების, გერმანელი ტომების მოძრაობა. მას მოსდევს სკანდინავიელი ხალხების, არაბებისა და უნგრელების ექსპანსია, დასავლეთევროპელთა ჯვაროსნული ლაშქრობანი აღმოსავლეთში. და, დასასრულ, კოლონიალური დაპყრობანი აფრიკასა და ამერიკაში XV-XVI საუკუნეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპული ფეოდალიზმის ისტორიული ადგილი. „ფეოდალიზმი“ კანონზომიერი ეტაპია მსოფლიო-ისტორიული პროცესის მსვლელობაში, მან უზრუნველყო ადამიანთა საზოგადოების წინსვლა პროგრესის გზაზე.

პროგრესის შესაძლებლობას უზრუნველყოფდა თვით სისტემა, სახელდობრ ის, რომ ძირითადი მწარმოებელი ძალები — გლეხები ფლობდნენ შრომის იარაღებს, გააჩნდათ უფრო მაღალი სოციალური სტატუსი, ვიდრე, მონასა და კოლონს.

პროგრესის საქმეში უაღრესად დიდი როლი შეასრულა დასავლეთ ევროპაში მიმდინარე სინთეზმაც, რომაული და ბარბაროსული ელემენტების შერწყმამ. სინთეზმა დააჩქარა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება შუასაუკუნეობრივ დასავლეთ ევროპაში და მას საწყისი დინამიკა შემატა. ევროპის ერთმა ნაწილმა უსინთეზო განვითარების გზაც გამოიარა, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

წარმატების პირობად იქცა ქალაქების განვითარება დასავლეთ ევროპისათვის დამახასიათებელი დინამიკით, რომელმაც ხელი შეუწყო შუასაუკუნეობრივი ჩაკეტილობის სწრაფ დაძლევას. მან უზრუნველყო დასავლეთ ევროპის პირველობა მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმში გადასვლისას, ხელი შეუწყო მას განეხორციელებინა კოლონიური ექსპანსია აღმოსავლეთსა და ახალ აღმოჩენილ ქვეყნებში.

შუა საუკუნეების ეტაპზე დასავლეთ ევროპამ მსოფლიოს შესძინა საზოგადოებრივი განვითარების განსაკუთრებული გამოცდილებაც — წოდებათა კონსოლიდაცია და სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობა, რომლემაც საფუძველი დაუდო წოდებრივ-წარმომადგენლობით სისტემასა და ახალი დროის ევროპულ პარლამენტარიზმს. ამის უნარი უმთავრესად საქალაქო წოდების წარმომადგენლებმა გამოავლინეს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ დასავლეთ ევროპის რელიგიურ და სულიერ ცხოვრებას მრავალი საუკუნის მანძილზე განუყოფლად წარმართავდა კათოლიკური ეკლესია. იგი აქტიური იყო საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში და სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, რასაც ვერ ვიტყვით მართლმადიდებლობის შესახებ.

დასასრულ, იმის შესახებ ვიტყვით, რომ შუასაუკუნეობრივ ეპოქაში აღმოცენდა ევროპელი ხალხების, ქალაქებისა და სახელმწიფოების უმრავლესობა, ჩაისახა და ჩამოყალიბდა ეროვნული ენები, კულტურა და ნაციონალური ხასიათი. შუასაუკუნეობრივმა გამოცდილებამ დაუდო საფუძველი თანამედროვე პარლამენტარიზმს, დასავლეთევროპულ დემოკრატიულ და სამართლებრივ საზოგადოებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი II

V-XV საუკუნეების ისტორიის ამსახველი წყაროები

ყველაფერი, რაც ისტორიის მსვლელობაში დაბადებულა ან სახეს უცვლიდა საზოგადოებას, ობიექტურად ასახავს მის განვითარებას, ატარებს თავის თავში ინფორმაციას, რომელსაც ისტორიულ წყაროებად მოიხსენიებენ. ისტორიული წყარო ამოუწურავია. პრობლემა ისაა, როგორ ამოვკრიფოთ და სწორად განვმარტოთ მასში მოცემული ინფორმაცია.

წყაროების კლასიფიკაცია. შუა საუკუნეების ინფორმაციაში წყაროების ხუთ ტიპს გამოყოფენ: 1) **ბუნებრივ-გეოგრაფიული**, რომელიც შეისწავლის მოცემული ქვეყნის ლანდშაპტს, კლიმატს, ნიადაგს, მცენარეებსა და ყველაფერ იმას, რაც გავლენას ახდენს ადამიანის მოღვაწეობაზე; 2) **ეთნოგრაფიული**, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის მოცემული ხალხის ჩვეულებებზე, საცხოვრებლის, ჩაცმულობის, სამზარეულოს გარეგნობაზე, ასევე ფოლკლორსა და თანამედროვე ცოცხალი ენების ძველ შრეებზე; 3) **ნივთიერი**, რომელსაც განეკუთვნება არქეოლოგიური მასალები, ნაგებობანი, შრომის იარაღები, ტრანსპორტის საშუალებანი, საოჯახო ავეჯეულობა, იარაღები და სხვ. 4) **მხატვრულ-სახვითი**, რომელიც შემონახულია არქიტექტურულ ძეგლებში, ფერწერაში, ქანდაკებასა და გამოყენებით ხელოვნებაში; 5) **წერილობითი**, რომლის ქვეშ იგულისხმება ასოებით, ციფრებით, ნოტებითა და წერის სხვა ნიშნებით ჩაწერილი ყოველგვარი ტექსტები.

F 35064

მოცემული ყველა ტიპის წყაროების შეჯერება გვიქმნის წარმოდგენას შუასაუკუნეობრივ საზოგადოებაზე. ამ პერიოდის ისტორიის შესასწავლად მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წერილობით წყაროებს, რომელსაც სამ კლასად ყოფენ: 1) **ნარატიული (თხრობითი)**, რომელშიც აღწერილია რეალური ან ილუზორული სინამდვილე შედარებით თავისუფალი ფორმით; 2) **დოკუმენტალური**, რომელშიც მეტწილად ფიქსირებულია სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-იურიდიული და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ცალკეული ფაქტები; 3) **საკანონმდებლო**, რომელშიც ასახულია არა მარტო არსებული სამართლებრივი პრაქტიკა, არამედ კანონმდებლის განსხვავებული ნებაც, იმის სურვილი, რომ მოაწესრიგოს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, სისტემაში მოიყვანოს სოციალური გრადაცია და სიტუაცია.

წერილობით წყაროებს სახეებადაც ყოფენ. მაგალითად, ნარატიულ წყაროებს შორის გამოყოფენ **ისტორიულ** თხრობას, რომელშიც უპირატესად ასახულია ვითარების პოლიტიკური მსვლელობა; **ჰაგიოგრაფიული** თხზულებები მოგვითხრობენ წმინდანების მოღვაწეობასა და სასწაულებზე; მრა-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალგვარია **ეპისტოლარული** შემოქმედება, **ქადაგებანი** და **დარიგებანი**, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს **მეცნიერულ** და **მხატვრულ ლიტერატურას**.

შუა საუკუნეების ისტორიულ თხზულებებს შორის გამოყოფენ **ანალებს, ქრონიკებს, ბიოგრაფიებს, გენეალოგიასა** და ე.წ. **„ისტორიებს"**, რომლებშიც აღწერილია რომელიმე კონკრეტული ვითარება.

ეს კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, პირობითია, აკი მონეტას ან პერგამენტის გრაგნილს (წერისაგან გალეულს) შეიძლება მივუდგეთ ერთდროულად როგორც ნივთიერ, მხატვრულ, სახვით და წერილობით წყაროს. შუასაუკუნეობრივ ნარატიულ წყაროებად ხშირად წარმოჩენილია დოკუმენტების ტექსტები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს თხრობითი ხასიათის ვრცელ ექსკურსებს. წყაროების მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისადმი ხდება ინფორმაციის სპეციფიკით, წყაროს ანალიზისას ამა თუ იმ თვალთახედვით.

შუა საუკუნების ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს არაწერილობით წყაროებსა და მათ შემსწავლელ დამხმარე ისტორიულ დისციპლინებს: **ისტორიულ ლანდშაფტმცოდნეობას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, ონომასტიკას** (მეცნიერებას საკუთარ სახელებზე, აგრეთვე გეოგრაფიულ სახელწოდებებზე), **ხელოვნებათმცოდნეობას, ნუმიზმატიკას** და სხვ. არანაკლებ საჭიროა ორიენტაცია შუასაუკუნეობრივ **გენეალოგიაში** (შეისწავლის პიროვნებათა და ცალკეული საგვარეულოს ისტორიას), **ჰერალდიკაში, ქრონოლოგიაში, მეტროლოგიაში, ტიტულატურასა და დოგმატიკაში**. წყაროების – ხელნაწერი ტრადიციის შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ დისციპლინას, როგორიცაა **კოდიკოლოგია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის შუასაუკუნეობრივ ხელნაწერ წიგნებს; **პალეოგრაფია**, რომელიც იკვლევს დამწერლობის წარმოშობა-განვითარებას, საწერ მასალასა და იარაღს, ხელნაწერი წიგნის მომზადებას; **არქეოგრაფია**, რომელიც გამოავლენს, გადაამუშავებს და გამოსცემს წერილობით ტექსტებს (მათი მეცნიერული აღწერისა და გამოცემის პრინციპებს); **დიპლომატიკა**, რომელიც შეისწავლის საბუთების უტყუარობას, ტიპურობას, ფორმასა და შინაარსს; **სფრაგისტიკა (სიგოლოგრაფია)**, რომელიც იკვლევს ბეჭდებსა და საბეჭდავებს (საბეჭდავი ეწოდება სხვადასხვა მასალისაგან გაკეთებულ შტამპს, ყალიბს, ხოლო ბეჭედი მის ანაბეჭდს).

ადრეული შუა საუკუნეების (V-XI სს.) ისტორიული წყაროები. ადრეული შუა საუკუნეები ერთგვარი გარდამავალი პერიოდია ანტიკურობიდან და ბარბაროსობიდან ფეოდალიზმში. ამ ეპოქაში ბატონობდა ნატურალური მეურნეობა, სუსტი სავაჭრო კავშირები, ძალზე პრიმიტიული სახელმწიფოებრიობა, წერა-კითხვის დაბალი დონე, რაც აისახა კიდეც ამ დროის წყაროებში.

ადრეულ შუა საუკუნეებში ევროპის მოსახლეობის უმრავლესობა ძველი რომაული კანონებით სარგებლობდა, ფართოდ გამოიყენებოდა ბიზან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიის იმპერატორის იუსტინიანე I განკარგულებით კოდიფიცირებული რომაული კანონები. ამ კანონებმა (ე.წ. იუსტინიანეს კოდექსმა), **„ახალმა კანონებმა“ (ნოველებმა)** და ა.შ. შეადგინეს ვრცელი კრებული, რომელმაც XII საუკუნიდან მიიღო სახელწოდება – **„კორპუს იურის ცივილის“** – **„სამოქალაქო სამართლის კრებული“**. იმავე საუკუნეშივე გაფორმდა ე.წ. **„კორპუს იურის კანონიცის“** – **„კანონიკური სამართლის კრებულიც“**, რომელშიც გაერთიანებული იყო საეკლესიო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი აქტები. ეს უკანასკნელი არა მარტო საეკლესიო საქმეებს არეგულირებდა, არამედ ხელს უწყობდა მორწმუნეთა ყოველდღიური ცხოვრების მოწესრიგებასაც. ერთი სიტყვით, არა მარტო „ნოველები“, არამედ მთელი „სამოქალაქო სამართლის კრებულიც“ ფასეული წყაროა XI საუკუნის ისტორიისა.

საგულისხმოა ერთი გარემოებაც: XI-XII საუკუნემდე, როცა ევროპის ქვეყნებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის აღმოცენებისა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერების პირობებში იწყება რომაული სამართლის **რეცეპცია** (გადმოღება და შეთვისება), დასავლეთევროპელი იურისტები სარგებლობდნენ რომაული კანონების უფრო ადრეული კრებულით – იმპერატორ თეოდოს II კოდექსით (438 წ.). რომაული სამართალი გარკვეულ გავლენას ახდენდა ბარბაროსული სამეფოების სამართლის ნორმებზე, ხდებოდა იურიდიული კომპილაციები, რომელიც განკუთვნილი იყო რომანიზებული მოსახლეობისათვის („ვესტგოთების რომაული კანონი“ და სხვ.). ამგვარად, რომაული სამართლის ნორმები თანდათანობით ჩვეულებით სამართლად იქცეოდა, ხდებოდა მათი წერილობითი ფიქსაცია. ასე მოხდა გერმანელ ტომებში, ყოფილი რომის იმპერიის ტერიტორიაზე რომ დამკვიდრდნენ, აქ სამართლის წიგნები – „სამართლები “ (ბურგუნდიული, ვესტგოთური, სალიკური, საქსონური და ა.შ.) V-IX საუკუნეებში ჩაიწერა. ბრიტანეთის კუნძულებზე ფეოდალიზაციის პროცესის დაგვიანებასთან დაკავშირებით ასეთი სამართლის წიგნები შედგენილ იქნა მოგვიანებით, VII-XI საუკუნეებში, სკანდინავიაში იმავე მიზეზით – XII-XIII საუკუნეებში. თანაც ამ ორ უკანასკნელთან სამართალი შედგენილ იქნა ხალხურ ენებზე, განსხვავებით კონტინენტალური სამართლის წიგნებისაგან, რომლებიც ჩაწერილი იყო ლათინურზე.

სამართლის ადრინდელმა რედაქციებმა შემოგვინახეს მნიშვნელოვანი ნორმები ძველი ჩვეულებითი სამართლისა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სალიკური სამართალი, შექმნილი VI საუკუნის დასაწყისში (იხ. თავი IV). სამართლის ადრინდელ გამოცემებში, ბუნებრივია, დროდადრო შეჰქონდათ დამატებები და ცვლილებები, აქედან აღმოცენდა სამეფო კანონმდებლობაც. ასეთი ძეგლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ფრანკთა მეფეების **კაპიტულარები** (ლათ. capitula - თავი), რომლებმაც კლასიკური ფორმა მიიღეს VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე. კაპიტულარები შეიცავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალგვარ ინფორმაციას სამეურნეო საქმიანობაზე, სოციალურ წყობაზე, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, სამხედრო საქმესა და სხვა საკითხებზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ადრეული შუა საუკუნეების დოკუმენტური წყაროები არათანაბრადაა განაწილებული რეგიონების მიხედვით, რაც აიხსნება სხვადასხვა ქვეყანაში დოკუმენტაციის არაერთნაირი გავრცელებით ან არაერთნაირი შენახვის შესაძლებლობით. მაგალითად, არაბების გამოჩენამ ესპანეთში ან თურქების მიერ ბიზანტიის დაპყრობამ არქივების განადგურება გამოიწვია, დაიკარგა ამ ქვეყნების დოკუმენტაციის დიდი ნაწილი. პაპირუსები კი, საწერ მასალად რომ გამოიყენებოდა, შეუძლებელს ხდიდა დოკუმენტაციის დიდი ხნით შენახვას (გამონაკლისი ეგვიპტეა, რომელმაც შემოგვინახა პაპირუსები კლიმატური პირობების წყალობით. რამდენიმე ერთეული პაპირუსებისა ასევე იტალიასა და გალიას შემოუნახავს). მნიშვნელოვნად შეიცვალა მდგომარეობა VIII საუკუნიდან, როცა ხმარებაში შემოვიდა პერგამენტი. პერგამენტზე შესრულებული დოკუმენტები ასეულობითა და ათასეულებით შემოუნახავს იტალიას, რაინისპირა და დუნაისპირა გერმანიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთს, ესპანეთსა და ინგლისს. ასეთი დოკუმენტები ხშირად **სიგელებად, ქარტიებად ან აქტებად** მოიხსენიება. უმრავლესობა ამ დოკუმენტებისა – არა ორიგინალებისა, არამედ ასლებისა, საეკლესიო არქივებს შემოუნახავს. ისინი თავმოყრილია სპეციალურ კრებულებში, ე.წ. **კარტულიარებში** (ლათ. carta – სიგელი). სიგელებს **ფორმულების** სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. მათში, აბსტრაქტული ფორმით, ცალკეული სახელების, თარიღების, გეოგრაფიული სახელებისა და რიცხვის გარეშე გადმოცემულია საქმის არსი: მიწის ნაკვეთის ჩუქება, მონის გათავისუფლება და ა.შ. გამოხატავენ რა უეჭველ ტიპურ სამართალურთიერთობას, ფორმულები, როგორც წყაროები, სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ისტორიაზე ძვირფასია, განუზომლად მდიდარია ინფორმაციებით; იგი წარმოდგენას გვიქმნის ეკონომიკის, საზოგადოებრივი წყობის, პოლიტიკური ინსტიტუტების, რწმენის ისტორიაზე, ქრონოლოგიაზე, ონომასტიკაზე, გეოგრაფიაზე, გენეალოგიაზე.

ადრეული შუა საუკუნეების ისტორიაზე მომუშავე ისტორიკოსების განკარგულებაშია **საინვენტარო დოკუმენტებიც**, რომლებშიც აღწერილია საეკლესიო მამულები. არსებობს ამდაგვარი რამდენიმე ათეული აღწერა (ძირითადად ფრანგული, გერმანული და იტალიური), რომლებიც შესრულებულია VI საუკუნიდან XI საუკუნემდე. მათ ჩვეულებრივ უწოდებენ **პოლიპტიკებს**, რაც ბერძნულად ნიშნავს ფურცლების სიმრავლეს, ანუ წიგნებს. პოლიპტიკებში აღნიშნულია გლეხთა სამფლობელოს ადგილმდებარეობა, მათზე დაკისრებული მოვალეობა, ზოგჯერ მითითებულია მფლობელთა და მათი ოჯახის წევრების სახელი და სოციალური სტატუსი. ამდაგვარი მონაცემების გამო პოლიპტიკები დიდი ხანია წარმოადგენენ კლასიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროებს ადრეფეოდალური ვოტჩინის ისტორიაში. უკანასკნელ წლებში ისინი აქტიურად გამოიყენებიან დემოგრაფიის, დასახლების ისტორიისა და სოციალური ფსიქოლოგიის შესასწავლად.

ადრეული შუა საუკუნეების ისტორიაზე მომუშავე ისტორიკოსების განკარგულებაშია აგრეთვე **ნარატიული წყაროები**, რომლებიც მრავალგვარი და მრავალრიცხოვანია. რა თქმა უნდა, ამ ეპოქაში შექმნილმა ყველა თხზულებამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, თანაც ძალზე მცირე ნაწილი სარგებლობს რეგიონული სახელით, უფრო მეტია ისეთები, რომლებსაც გააჩნიათ საერთო-სახელმწიფოებრივი სახელი. ხშირად ავტორები ერთი ეგზემპლარის შედგენით კმაყოფილდებოდნენ; იგი მისაწვდომი იყო ადამიანების ძალზე შეზღუდული წრისათვის, თანაც მისი ბედი დამოკიდებული იყო მრავალი შემთხვევითი მოვლენისაგან (ომებისაგან, ხანძრისაგან და ა.შ.), ამას ემატებოდა პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლების პერიპეტიებიც, რომლის მსვლელობისას უსწორდებოდნენ არა მარტო ადამიანებს, არამედ წიგნებსაც. პერგამენტის სიძვირე ასევე ხელს უშლიდა ადრე შუასაუკუნეობრივი თხზულებების შენახვას, ხშირად ძველი ტექსტები იშლებოდა, რათა განთავისუფლებულ ადგილზე დაეწერათ ახალი (ე.წ. **პალიმფსესტები**).

ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის შესასწავლად ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიოგრაფიულ თხუზულებებს – **ისტორიებს**. ესაა დიდი ნაწარმოებები, რომლებიც ავტორის თანამედროვე მნიშვნელოვან და ძირითად პოლიტიკურ ვითარებებს ეძღვნება. მაგალითად, ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის (VI ს.) „იუსტინიანეს ომების ისტორია“ დაწერილია კლასიკური ანტიკური ისტორიოგრაფიის ტრადიციებზე. რაც შეეხება გრიგოლი ტურელის (VI ს.) „ფრანკების ისტორიას“, ბედა პატივდებულის (VII ს.) „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორიას“, ისინი დაწერილია გვიანანტიკური ქრისტიანული ტრადიციის ჩარჩოებში. აქ აქცენტი გაკეთებულია ისტორიის თხრობაზე სამყაროს შექმნის მომენტიდან, თუმცა მიმდინარე მომენტებს მაინც ცენტრალური ადგილი უკავია. აქ ავტორი ეყრდნობა ბიბლიას, წინაპართა თხზულებებსა და ზეპირ გადმოცემებს. ასეთი თხრობა დაედო საფუძვლად ქრონიკების ჟანრის თხზულელებსაც, სადაც ავტორი მოგვითხრობს მისთვის კარგად ცნობილი ამა თუ იმ ქვეყნის (სამთავროს, ქალაქის) შესახებ.

ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის შესასწავლად ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს **ბიოგრაფიებს** (მაგალითად, ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრებას“, IX ს. დასაწყისი) და **ანალებს** (ყოველწლიურ ჩანაწერებს ყველაზე მნიშვნლოვან ამბებზე). ანალებში მოკლედ და მშრალად გადმოცემულია ამა თუ იმ წლის ერთმანეთთან დაკავშირებული პოლიტიკური და საეკლესიო ცხოვრების ძირითადი მომენტები. ანალების უმრავლესობა იმ მონასტრებისა და ტაძრების სახელით მოიხსენიება, რომლებშიც ისინი შე-

იქმნა. ანალების წერის გაფურჩქვნის პერიოდად დასავლეთ ევროპაში მიჩნეულია VIII-X საუკუნეები.

ადრეული შუა საუკუნეების ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ **ჰაგიოგრაფიული თხზულებანი:** რეალური და გამოგონილი ადამიანების ცხოვრება, რომლებიც ეკლესიის მიერ შერაცხულ იქნენ წმინდანებად, აღწერილია ამ ადამიანების მოღვაწეობა, წამება, ზმანება და სასწაული. ამგვარი თხზულების უმრავლესობა შექმნილია ქრისტიანიზაციის პერიოდში (გალიაში ეს ხდება IV-VI სს; ბრიტანეთსა და გერმანიაში — VII-VIII სს. და ა.შ.), აგრეთვე თვით ეკლესიის შიგნით მომხდარი დიდი რყევის პერიოდში, მაგალითად, ხატმებრძოლეობის ეპოქაში (ბიზანტიაში — VIII-IX სს.). ასეთი თხზულებანი შეიცავენ უზარმაზარ ინფორმაციას მატერიალური კულტურისა და ეკონომიკის, გემთმშენებლობის, სოციალური კონფლიქტების, ყოფისა და ზნე-ჩვეულებების, სარწმუნოების შესახებ. ეკლესია ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს სააგიტაციოდაც იყენებდა. ამ თხზულებებზე მუშაობისას მთავარი ის არის, რომ რეალური გამოვყოთ გამოგონილი ამბებისაგან.

მნიშვნელოვანი წყაროა **ეპისტოლეები** და **ტრაქტატებიც**. ტრაქტატებს ხშირად დიდაქტიკური ხასიათი ჰქონდა, თუმცა შეიცავდნენ მნიშვნელოვან ცნობებს სახელმწიფოებრივ წყობაზე, საგარეო პოლიტიკაზე, მეზობელ ხალხებზე, სახელმწიფოში შიდაკლასობრივ ურთიერთობაზე და ა.შ. აკადემიურია იმ დროის ენციკლოპედიური შრომები: მაგალითად, ისიდორე სევილიელის (VII ს. დასაწყისი) „ეტიმოლოგია“. ეს თხზულება შეიცავს საინტერესო, ზოგჯერ უნიკალურ მასალებს სხვადასხვა საკითხზე, თუმცა ხშირად ემყარება ძველი ავტორების ცნობებს.

ყურადღებას იმსახურებს ზოგიერთი ის განმარტებაც, რომელიც დართული აქვს ადრეფეოდალურ ხანაში შემონახულ კლასიკურ მემკვიდრეობას — აკი ანტიკური მწერლების თხზულების უმრავლესობამ ჩვენამდე მოაღწია ადრე შუასაუკუნეობრივ ხელნაწერ პირებში. ამ განმარტებებში ხშირად ვპოულობთ ცნობებს ავტორის თანამედროვე სამეფო კარის, სამხედრო, სოციალურ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების მრავალ მხარეზე.

ისტორიკოსები ვერც ადრეული შუა საუკუნეების **ხალხურ ლიტერატურას** აუვლიან გვერდს. ასეთი ლიტერატურა დაკავშირებული იყო ფოლკლორთან, გმირულ სიმღერებსა და გადმოცემებთან, რომლებიც იქმნებოდა ხალხურ ენებზე. ასეთია, მაგალითად, გერმანული ეპიკური ძეგლი „სიმღერა ნიბელუნგებზე“, ფრანგული „სიმღერა როლანდზე“, ისლანდიური საგები, გადარჩენილი XI-XIII საუკუნეების ჩანაწერებში. ასეთი თხზულებანი შეიცავენ ძალზე მნიშვნელოვან ცნობებს იმ დროის სხვადასხვა საკითხებზე, იძლევიან საზოგადოების ცოცხალ, ხატოვან სურათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებული შუა საუკუნეების (XI-XV სს.) წყაროები. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება, ქალაქების ზრდა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება, ცენტრალური სახელმწიფოების ფორმირება და კულტურის ახალი ეტაპის დადგომა, რაც ასე დამახასიათებელია განვითარებული ფეოდალიზმისათვის, გავლენას ახდენს წყაროების ხასიათზეც, ყველაფერი ეს ხელშეკრულებათა და გარიგებათა უფრო დეტალურ იურიდიულ გაფორმებას მოითხოვს; დიპლომატიკაში შემოდის საჯარო და კერძო აქტები, **სიგელები და დიპლომები** იმპერატორებისა, მეფეებისა, ფეოდალებისა, რომლებიც ფლობდნენ სუვერენულ უფლებებს. სიგელები რომაელი პაპების, პატრიარქებისა და ეპისკოპოსების კანცელარიიდანაც გამოდიოდა, ხშირად მასზე ჰკიდებდნენ ბეჭდებს, რომელთა სახელწოდება ხშირად დოკუმენტზეც გადადიოდა. ასე, მაგალითად, პაპის კანცელარიაში გამოიყენებოდა ტყვიის ბეჭდები – ბულები. ბულებს თვით „მოციქულის გზავნილებსაც“ უწოდებდნენ. კერძო აქტებს ადგენდნენ **ნოტარიუსები** – პიროვნებები, სპეციალური განათლების მქონენი, რომლებიც იმპერატორებისაგან, მეფეებისაგან ან პაპებისაგან იღებდნენ განსაკუთრებულ სტატუსს. ნოტარიუსები ადგენდნენ დოკუმენტებს – **აქტებს**, რომელსაც იყენებდნენ სასამართლოში საქმის გარჩევის დროს. ასეთი აქტები დგებოდა ქონების ყიდვა-გაყიდვაზე, არენდაში გადაცემაზე, ანდერძზე, ჩუქებაზე და ა.შ. ასეთი აქტები შემოუნახავს იტალიის არქივებს. ნოტარიუსის ინსტიტუტმა განსაკუთრებული გავრცელება პოვა XII-XV საუკუნეების ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის მნიშვნელოვანი წყაროებია მიწების აღწერანი და **კადასტრები** (აღწერა მოსახლეობისა, იმ პირებისა, რომელიც იხდიდა გადასახადებს). ასეთია, მაგალითად, „საშინელი სამსჯავროს წიგნი“ (1086) – ადგილ-მამულების აღწერის მასალები, რომელიც მოხდა ინგლისის ტერიტორიაზე გადასახადების გადამხდელთა განსაზღვრის მიზნით.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გამოიყენებოდა იურიდიული წყაროებიც, რომლებიც ასახული იყო საქალაქო **ქარტიებსა და სტატუტებში**. ერთ-ერთ უძველეს ქარტიას წარმოადგენს საფრანგეთის მეფე ლუი VI-ის ნაწყალობევი ქალაქ ორლეანისადმი (XII ს. I ნახევარი), რომელშიც გაფორმებული იყო შეზღუდული საქალაქო პრივილეგიები. ასეთი ქარტიები ენიჭებოდათ ქალაქი-კომუნების დამოუკიდებლობის შემთხვევაშიც. არსებობდა იმპერატორის მიერ რეგლამენტირებული ამქრების, სავაჭრო კორპორაციების, უნივერსიტეტების და ა.შ. სტატუტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია XIII-XV საუკუნეების დასავლეთევროპული ქალაქების ამქართა სტატუტები, რომელიც აფორმებდა ამქართა თემის თვითმმართველობის შექმნასა და ფუნქციებს. მას განეკუთვნება „ქალაქ პარიზის ხელოსნების“ წიგნი (XIII ს.).

ევროპის სინამდვილეში, XIII-XV საუკუნეებში ფართოდ გამოიყენებოდა ფეოდალური ჩვეულებითი სამართალი (არსებობს ჩანაწერები), რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც მოქმედებდა ცალკეულ ოლქებსა და პროვინციებში. მათ განეკუთვნება ფრანგული **კუტიუმი** და გერმანული **„სარკე“**. ეს ძეგლები კარგად ასახავენ ფეოდალური მიწის საკუთრების სპეციფიკურ ფორმებს, გაბატონებული კლასის სტრუქტურას, გლეხთა ექსპლუატაციის ხასიათს, ადმინისტრაციული მმართველობისა და სამართალწარმოების ადგილობრივ თავისებურებებს. წყაროების ამ კატეგორიას განეკუთვნება აღმოსავლეთში ჯვაროსნული სახელმწიფოების სამართალი – „იერუსალიმის ასიზები“.

კუტიუმის ჩანაწერებთან ერთად ვითარდებოდა სამეფო (საიმპერატორო) კანონმდებლობანიც: **ორდონანსები** საფრანგეთსა და ინგლისში, **პრივილეგიები** რომის სალმრთო იმპერიაში.

ცოდნის სისტემატიზაციისაკენ სწრაფვას უკავშირდება ისეთი წყაროების გამრავლებაც, როგორიცაა **ტრაქტატი**. ისინი მოიცავენ მეცნიერების თითქმის ყველა სფეროს: მათემატიკიდან და ასტრონომიიდან პოლიტიკამდე, სამხედრო საქმემდე და მიწათმოქმედებამდე. იყო თეოლოგიური ტრაქტატებიც. მაგალითად., თომა აკვინლის „თეოლოგიის ჯამი“ (XIII ს.), რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გადმოცემულია შუასაუკუნეობრივი ეკონომიკური თეორია.

XI-XV საუკუნეების ევროპაში ნარატიულ წყაროებს შორის ფართოდ გავრცელებული იყო ისტორიული თხზულებანი – **ანალები, ქრონიკები** და **ისტორიები**. XII-XIII საუკუნეების ანალებისათვის დამახასიათებელია სქემატიზმი და ლოკალურობა, ხშირად მათ ადგილას ქრონიკები იკავებენ, რომელთა ავტორები არიან საერო ადამიანები, ისინი ფლობენ შეუდარებლად დიდ თვალსაწიერს, ვიდრე მათი წინამორბედები – ანალისტები. ქრონისტები თავიანთ თხზულებებს წერენ არა ლათინურად, არამედ მშობლიურ ენაზე. ქრონიკების ავტორების მეტი ნაწილისათვის დამახასიათებელია პროვიდენციალიზმი, რწმენა სასწაულებზე, ღვთაებრივი განჭვრეტა.

ქრონიკების უმრავლესობა ჯვაროსნულ ლაშქრობებს ეხება. განსაკუთრებით აღსანიშნავია აბატ გვიბერტ ნოჟანელის „საქმენი ღვთისა ფრანკების მეშვეობით“ (XII ს. დასაწყისი). ნოჟანელი მკითხველს იმაში არწმუნებს, რომ ჯვაროსნული ლაშქრობანი ეს იყო ღვთის ნება, ხოლო ფრანკები – ღვთის ნების აღმსრულებლები. ღვთის ნება კი მათ რომის პაპმა გააცნო. სწორედ ამაშია პროვიდენციალური გაგება.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპაში ვრცელდება ისტორიულ-მემუარული თხზულებანი. ასეთია, მაგალითად, ფილიპ დე კომინის, მეფე ლუი XI მრჩევლის (XV ს. დასასრული) თხზულება.

XIV საუკუნის დასასრულიდან იტალიაში აღმოცენდება **ჰუმანისტური ისტორიოგრაფია**, რომელიც გადაჭრით შორდება პროვიდენციალიზმს, საკითხებს უდგება რაციონალურად და კრიტიკულად. ამასთან ერთად, ის განიცდის ანტიკური ისტორიოგრაფიის ნიმუშების მნიშვნელოვან გავლენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუასაუკუნეობრივი ცოდნა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია „მოგზაურთა წიგნებზე“, სამარშრუტო გზების აღწერაზე, სანავიგაციო პორტულანებზე. ყველაზე მეტად ცნობილია XIII საუკუნის ვენეციელი მოგზაურის მარკო პოლოს თხზულება, რომლის მარტო სათაური ორმოცდაათი სიტყვისაგან შედგებოდა. იგი იმყოფებოდა ლევანტში, შუა აზიის ქვეყნებსა და ჩინეთში.

ასევე ფასეულია კათოლიკე მისიონერების სამოგზაურო აღწერანი და წერილები, ელჩების მოხსნებანი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ასევე მნიშვნელოვანი შუასაუკუნეობრივი ეპისტოლარული მემკვიდრეობაც. იგი ითვლის ასეულათასობით წერილს როგორც კერძო, ისე საქმიანი, დიპლომატიური ხასიათისას. ისინი შეიცავენ საინტერესო ცნობებს ყოვლდღიურ ცხოვრებაზე, მისიონერებისა და დიპლომატების საქმიანობაზე.

ძალზე მნიშვნელოვანია ლიტერატურული ძეგლებიც, რომლებიც მრავლად იქმნება განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. ესენია რაინდული რომანები, ტრუბადურებისა და ვაგანტების პოეზია, სახალხო სიმღერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრეული შუა საუკუნეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

დასავლეთ ევროპა ანტიკურობისა და შუა საუკუნეების მიჯნაზე

§ 1. კრიზისი რომის იმპერიაში (III-V სს.)

გვიანდელი რომის იმპერიის საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ღრმა კრიზისი ცხოვრების ყველა სფეროში. ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური თუ სამხედრო საქმე, აუცილებელ გარდაქმნას მოითხოვდა. საიმპერიო ხელისუფლებას, მიუხედავად მისი მრავალგზის მცდელობისა, არ შეეძლო კრიზისის თავიდან აცილება.

საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლად კიდევ რჩებოდა მსხვილი ლატიფუნდიური მეურნეობა, რომელშიც, ისევე როგორც რესპუბლიკის ხანაში, მონათა შრომა გამოიყენებოდა. მონის შრომა, მისი მინიმალური დანახარჯების გამო, თითქმის აბსოლუტურ მოგებას იძლეოდა. ეს ქმნიდა იმ სიმიდრეს, რომლითაც ხასიათდებოდა რესპუბლიკის ხანისა და პრინციპატის პერიოდის რომი.

მომდევნო საუკუნეებში ვითარება არსებითად იცვლება. რომი აქტიური საგარეო პოლიტიკიდან თავდაცვაზე გადადის. იკლო სამხედრო ტყვეთა სახით შემოყვანილმა მონათა რიცხვმა. თვით მონის შრომა, ვინაიდან ამ უკანასკნელს არ ჰქონდა არავითარი სტიმული, დაინტერესება – არახელსაყრელი, არამომგებიანი ხდება. რომაელი აგრონომების რეკომენდაციები მეურნეობის გაუმჯობესების თაობაზე შედეგებს ვერ იძლეოდა. საჭირო იყო არსებითი ცვლილებანი სოციალურ ყოფაში, ამის აუცილებლობამდე რომაელი მიწათმფლობელური არისტოკრატია თვით ცხოვრებამ მიიყვანა. არსებითი სოციალური ცვლილებების გამოხატულება იყო კოლონატის წარმოშობა.

როგორც აღვნიშნეთ, მონის შრომის ტრადიციული ფორმები არამომგებიანი იყო. ამდენად, აუცილებელი იყო მონის დაინტერესება, მისთვის საკუთრების რაიმე სახით გადაცემა, თუნდაც მოსავლიდან მცირე წილის სახით. ამასთან ერთად, სულ უფრო და უფრო არსებით როლს თამაშობენ თავისუფალი მოიჯარეები (რესპუბლიკის ხანაში სწორედ მათ ეწოდებოდათ კოლონები). ესენი იყვნენ ის თავისუფალი გლეხები, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს მიწები და ახლა მსხვილი მიწათმფლობელისაგან იჯარით იღებენ მიწას გარკვეული პირობით, იხდიან მოსავლის ნაწილს ან ნახევარს. ასეთი მოიჯარეების გვერდით ჩნდებიან ახალი ტიპის მონები. მიწათმფლობელი მონას აძლევდა მიწის მცირე ნაკვეთს, საიდანაც იღებდა რენტას (გადასახადს) როგორც ნატურით, ისე ფულით (უფრო იშვიათად). ამასთან, ასეთი მონები მიწერილი არიან ამ მიწაზე და მათი სოციალური სტატუსი არსებითად არ იცვლება. ამრიგად, თავისუფალი მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარეებისა და მიწაზე მიწერილი მონების ეკონომიკური მდგომარეობა ერთმანეთს ემსგავსებოდა.

ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებასთან ერთად, მოიჯარეთა მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა. საიმპერიო ხელისუფლება, მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესთა დასაცავად, ამ უკანასკნელებს აძლევდა მნიშვნელოვან იურიდიულ-საკანონმდებლო უფლებებს.

IV-V საუუნეებში გამოიცა არაერთი საიმპერიო ედიქტი, რომლებშიც განსაზღვრული იყო როგორც მოიჯარეთა ვალდებულებანი, ისე მათზე გავრცელებული მიწათმფლობელთა უფლებები. მაგალითად, კონსტანტინე დიდის 332 წლის დადგენილებით მიწათმფლობელს უფლება ეძლეოდა გაქცეული კოლონი შეეპყრო და უკან დაებრუნებინა (ეძლეოდა დასჯის უფლებაც). შემდეგში, ასეთი უფლებები ვრცელდებოდა ყველა სახის მოიჯარეზე.

საიჯარო ფირმების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მსხვილი მიწათმფლობელთა კერძოობითი ხელისუფლებაც (საკუთრივ მის ლატიფუნდია-მამულშიც). ის თავისუფალი გლეხები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ მოქცეულნი საიჯარო კაბალაში (კოლონი), იძულებულნი ხდებოდნენ თავიანთი მიწა გარკვეული პირობით გადაეცათ მსხვილი მიწათმფლობელისათვის და შემდეგ იგივე მიწა (შეიძლებოდა უფრო მეტი ან ნაკლები ფართობის) უკანვე მიეღოთ აგრეთვე პირობით სარგებლობაში. ასეთ პირობით სარგებლობას პრეკარიუმები ეწოდებოდა (სხვისი ქონებით სარგებლობის უფლება). პრეკარიუმების პირობები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან როგორც მიწით სარგებლობის ვადით, ისე საგადასახადო პირობებით. გარდა ამისა, გლეხი იღებდა მსხვილი მიწათმფლობელის მფარველობას ანუ პატრონატს. ასეთ აქტს ეწოდებოდა კომენდაცია. ამით გლეხი დაცული იქნებოდა გარეშე ძალმომრეობისაგან. ხშირად ასეთი პატრონატის ქვეშ შედიოდნენ არა მარტო ინდივიდუალურად (კომლი გლეხი), არამედ მთელი თემიც (სოფელი). არსებითი ცვლილებები განიცადეს გვიანდელი რომის იმპერიის ქალაქებმაც. ანტიკურ ქალაქებში არსებული ხელოსნები და ვაჭრები სახეს იცვლის. ადრე იმპერიის ხანაში ხელოსნები და ვაჭრები ხშირად ერთიანდებოდნენ ე.წ. კოლეგიებად (განსაკუთრებით იტალიაში, ესპანეთში, გალიაში). თითოეულ კოლეგიაში ერთიანდებოდნენ ამა თუ იმ დარგის ხელოსნები და ვაჭრები. თავისუფალ ხელოსანთა ასეთი გაერთიანებები არსებით როლს თამაშობდნენ ქალაქის სურსათითა და სხვადასხვა ნაწარმით მომარაგების საქმეში. IV-V საუკუნეებში იცვლება საიმპერიო ხელისუფლების დამოკიდებულება კოლეგიებისადმი. ხელისუფლება ყოველ ხელოსანს ავალდებულებდა აუცილებლად გაერთიანებულიყო კოლეგიაში. ამასთან, სახელმწიფო თვითონ ქმნიდა სახელოსნოებს, სადაც მონებს ამუშავებდნენ. მათ საქმიანობას თვალყურს ადევნებდა იმპერატორის სპეციალური მოხელე-პროკურატორი. ასეთ სახელმწიფო სახელოსნოებს სავალდებულო წესით მიამაგრეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლეგიებიც და დააკისრეს მათ სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ წარმოებული პროდუქტი (ხშირად უფასოდ, სახელმწიფოსაგან მიღებული ნედლეულის სანაცვლოდ). თავისუფალ ხელოსანთა ამგვარი შეზღუდვა, ბუნებრივია, გამოიწვევდა ვაჭრობის დაცემასაც.

შეიცვალა ქალაქის მოსახლეობის ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობაც. რესპუბლიკისა და ადრეული იმპერიის ხანაში ქალაქების მმართველობაში არსებით როლს ქალაქის საბჭო ანუ კურია თამაშობდა. ქალაქის კურიაში (იმავე სენატში) აირჩეოდნენ ის ადამიანები, ვისაც ადრე მმართველობაში (მაგისტრატურაში) რაიმე თანამდებობა ეკავათ. ისინი განაგებდნენ ქალაქის ადგილობრივ ეკონომიკურ, საფინანსო, სასურსათო და სხვა საკითხებს. III საუკუნიდან იწყება ქალაქების ადგილობრივი თვითმმართველობის თანდათანობით შეზღუდვა. კურიალები (მუნიციპალური მაგისტრატურის მოხელენი) თანდათანობით სახელმწიფო მოხელეებს დაემსგავსნენ. დიოკლეტიანეს დროდან მათ დაეკისრათ სახელმწიფო გადასახადების არა მარტო აკრეფა, არამედ მათზე პასუხისმგებლობაც. კურიალები ცდილობდნენ გაშორებულიყვნენ ქალაქებს და ქალაქგარეთ, როგორც წვრილი მიწათმფლობელები თავიანთ კუთვნილ მამულებში გადასახლებულიყვნენ, მაგრამ საიმპერატორო ხელისუფლებამ მალე მათ ამის უფლებაც წაართვა (არკადიუსის 396 წლის ედიქტი). მათვე აეკრძალათ სხვა წოდებაში გადასვლაც. ხელისუფლების ცდები, შეეზღუდა ქალაქის თავისუფლებანი და შეებოჭა კურიალები, მიზნად ისახავდა ქალაქების საიმპერიო ხელისუფლებისადმი სრულ დამორჩილებას.

იმპერიის კრიზისის ერთადერთი მაჩვენებელი იყო აგრეთვე ქრისტიანული რელიგიის აღიარებაც. 313 წლის მილანის ედიქტით, კონსტანტინე დიდმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ქრისიტიანობამ წარმართული ღმერთების თანაბარი უფლებები მოიპოვა. აიკრძალა ქრისტიანთა დევნა. იმავდროულად ეს იყო საიმპერატორო ხელისუფლების მხრიდან არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების (მონათმფლობელობის) გადარჩენა-განმტკიცების ცდაც. ამ რეფორმას ჰქონდა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა არა მარტო გვიანდელი რომის იმპერიისათვის, არამედ მთელი შუა საუკუნეებისათვისაც.

განსახილველი პერიოდის (IV-V საუკუნეები) ქრისტიანობა აღარ წარმოადგენდა სოციალურად ერთგვაროვან საზოგადოებას. გაიზარდა ეპისკოპატის როლი. ქრისტიანობის ერთადერთ რელიგიად აღიარების შემდეგ (თეოდოსიუსის დროს, IV ს-ის ბოლოს) კი, მაღალი საეკლესიო პირები სახელმწიფო თანამდებობებსაც იღებდნენ. იზრდებოდა საეკლესიო მიწათმფლობელობა, სადაც აგრეთვე იკიდებდა ფეხს კოლონატის სისტემა. გარდა ამისა, საეკლესიო პირთა სამისიონერო საქმიანობა ბარბაროსებში, იმპერიას საიმედო მოკავშირეს უჩენდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაჩნდა მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრები, რომლებიც იმპერიის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. ეს ცენტრები, საბოლოოდ IV საუკუნიდან გადაიქცნენ საპატრიარქოებად (ასეთები იყო რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის საპატრიარქოები). პატრიარქებს ექვემდებარებოდნენ არქიეპისკოპოსები და მიტროპოლიტები, ამ უკანასკნელთ კი ეპისკოპოსები. მთელი იმპერია დაიყო საეკლესიო ოლქებად – ეპარქიებად, რომელთა სათავეში ეპისკოპოსები იდგნენ. თავისი მზარდი იდეოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობებით, ქრისტიანული ეკლესია თანდათან ხდებოდა სახელმწიფო მანქანის აქტიური შემადგენელი ნაწილი.

იმპერიის გადარჩენას ისახავდნენ მიზნად აგრეთვე ის ადმინისტრაციული რეფორმებიც, რომლებიც გატარდა III-IV საუკუნეებში. საიმპერატორო ხელისუფლებამ, მმართველობის აპარატის ავტორიტეტისა და ქმედუნარიანობის განმტკიცების მიზნით, მოსპო რესპუბლიკის დროინდელი ის ფორმალურად არსებული დაწესებულებანიც, პრინციპატის ეპოქაში რომ ჩანდნენ.

საიმპერატორო ხელისუფლება გახდა სრულიად შეუზღუდავი, დესპოტური ხასიათისა. ამ ეპოქას (დიოკლეტიანედან დაწყებული), დომინატის ხანა ეწოდება. იმპერატორი ნამდვილ ღმერთად მოიაზრებოდა. გაფართოვდა სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი. სენატმა დაკარგა ყოველგვარი ფუნქცია. იმპერატორის სათათბირო ორგანო გახდა დაახლოებულ პირთაგან შემდგარი საბჭო (კონსისტორია). იმპერიის გადარჩენას ისახავდა მიზნად დიოკლეტიანეს მიერ (284-306) გატარებული ადმინიტრაციული რეფორმაც. ე.წ. ტეტრარქია იმპერიას ყოფდა ოთხ ნაწილად (იტალია, გალია, ილირია და აღმოსავლეთი), რომელთაც სათავეში ორი ავგუსტუსი და ორი ცეზარი ედგნენ. ასეთ ადმინისტრაციულ ერთეულებს პრეფექტურები ეწოდათ. პრეფექტურები იყოფოდა დიოცეზებად (სულ 12 დიცეზი იყო), დიოცეზები კი პროვინციებად. დიოცეზებისა და პროვინციების მმართველები უშუალოდ საიმპერატორო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. ასეთი სახის რეფორმები მიზნად ისახავდნენ, ერთი მხრივ, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებასა და მისი უშიშროების უზუნველყოფას, მეორე მხრივ კი, საფინანსო-ეკონომიკური საკითხების მოგვარებას.

შემთხვევითი როდი იყო გახშირებული საადგილმამულო და მოსახლეობის აღწერები (როგორც დიოკლეტიანეს, ისე კონსტანტინეს დროს). გაწერილი იქნა ახალი გადასახადები (ე.წ. „სახელისუფლებო ცენზი“), კვლავ იქნა შემოღებული მიმოქცევასა და საგადასახადო საქმეში ოქროს ფული (სოლიდი). ყოველივე ეს მიმართული იყო მონათმფლობელობისა და იმპერიის გადარჩენისაკენ.

ამ გარდაქმნათა მთელი სიმძიმე, რასაკვირველია, აწვებოდა უშუალო მწარმოებლებს: მონებს, ხელოსნებს, ხელოსან-კოლეგიალებს, თავისუფალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიჯარეებსა და სხვებს. მათ რიცხვში შედიოდნენ აგრეთვე დაპყრობილი ხალხებიც.

სხვადასხვანაირი იყო იმპერიისადმი ხალხთა პროტესტის ფორმებიც. ისინი ხან აშკარა აჯანყებით გამოდიოდნენ, ხან რელიგიურ საბურველში გახვეულ მოძრაობას აწყობდნენ. ცნობილია III-IV საუკუნეებში დიდი აჯანყებები გალიასა და ჩრდილო იტალიაში, რომელიც ბაგაუდების აჯანყების სახელითაა ცნობილი. კიდევ უფრო მასშტაბური იყო აგონისტიკოსების, ანუ ცირკუმცელიონთა გამოსვლები ჩრდილო აფრიკაში IV-V საუკუნეებში. ეს ფართო სოციალური მოძრაობა დონატიზმის (ეპისკოპოს დონატის სახელის მიხედვით) რელიგიური საბურველით იყო გარემოცული, თუმცა წინა პლანზე წმინდა სოციალური და ეკონომიკური საკითხები იყო წამოწეული. დაპყრობილ ხალხთა განწყობას რომისადმი გამოხატავს გვიან იმპერიის ეპოქაში გავრცელებული ლექსების კრებული „სიმართლის ორაკულები". სხვადასხვა ავტორების მიერ შექმნილი ეს კრებული, რომისადმი ამჟღავნებს ისეთ შეურიგებლობასა და ზიზღს, რომ იმპერიის დაღუპვა გარდუვალ აუცილებლობადაა გაცხადებული (ერთგვარი აპოკალიპსური წინასწარმეტყველება) და ამ დაღუპვით დაიწყებოდა ხალხთა თავისუფლებაც.

ამ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა ფონზე, ცხადი ხდება, თანდათანობით როგორ სუსტდებოდა რომის იმპერია. როგორ ხდებოდა ისეთი ეკონომიკური და სოციალური ელემენტების აღმოცენება, რომლებმაც ევოლუციური განვითარების შედეგად შექმნეს ფეოდალური საზოგადოების საფუძვლები. შინაგანად დასუსტებულ რომს აღარ შეეძლო წინ აღდგომოდა გარეშე ძალების, ბარბაროსთა მრავალრიცხოვანი ტომების მოძალებას, რამაც დაამხო კიდეც მარადიული იმპერია.

§ 2. გვაროვნული წყობილების რღვევა ძველ გერმანელებში

რომის იმპერია მოიცავდა მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზს. მისი გავლენა აქედან უფრო შორსაც ვრცელდებოდა აღმოსავლეთში — აზიისა და აფრიკის ტერიტორიაზე, სადაც საბერძნეთისა და რომის გავლენით — მრავალი ხალხი ეზიარა ანტიკურ კულტურას. რაც შეეხება ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და იქ მცხოვრებ ბარბაროსებს, როგორც ანტიკურ ხანაში უწოდებდნენ უცხო ტომელებს — კელტებს, გერმანელებს, სლავებს, ისინი ნაკლებად ჩანან კონტაქტში ბერძნებთან და რომაელებთან, ან ყოველშემთხვევაში მათ შესახებ ჩვენ ჯერჯერობით მწირი ცნობები გვაქვს წერილობით წყაროებში, ახალი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის.

ძვ. წ. აღ-ით I საუკუნეში გერმანელებს ეკავათ ტერიტორია რაინსა და ვისლას, დუნაის, ბალტიისა და ჩრდილოეთ ზღვებს შორის, ასევე სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი.

პირველი წერილობითი ცნობა გერმანელების შესახებ ეკუთვნის პითეას მასილიელს. ბერძენი პითეასი სავაჭრო მიზნით, ძვ. წ. აღ-ით IV საუკუნის შუა ხანებში მივიდა ბრიტანეთის კუნძულამდე, იუტლანდიასა და სკანდინავიამდე.

რომაელების პირველი შეტაკებები გერმანელებთან მოხდა ძვ. წ. აღ-ით II საუკუნის დამლევს. ძველი გერმანელი ტომები კიმბრები და ტევტონები შეიჭრნენ რომის სამფლობელოებში — სამხრეთ გალიასა და ჩრდილოეთ იტალიაში. ჩრდილოელი მეზობლების გამოჩენამ რომის ტერიტორიაზე, დიდი ინტერესი გამოიწვია ანტიკურ ავტორებში.

ანტიკური ავტორებიდან, პირველმა გაიუს იულიუს ცეზარმა განასხვავა გერმანელები კელტებისაგან. ის ნაშრომში „კომენტარები გალებთან ომის შესახებ" წერს ძველ გერმანელ ტომთა — სვევების გაერთიანების შესახებ. ძვ. წ. აღ-ით 58 წელს იულიუს ცეზარმა დაამარცხა სვევები, რომელთაც არიოვისტის მეთაურობით გადმოლახეს მდინარე რაინი. ცეზარმა აიძულა ისინი დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორიები და თვითონაც სამჯერ გადავიდა რაინის გადალმა მარჯვენა სანაპიროზე. შემდგომში ცეზარი, როგორც მოხერხებული დიპლომატი, თვითონაც იყენებდა მათ ბარბაროსების წინააღმდეგ. გერმანელი ტომებისაგან მან ჩამოაყალიბა დაქირავებული ცხენოსანი რაზმები.

ძვ. წ. აღ-ით I საუკუნეში, მართალია, რომაელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს გერმანელებთან ბრძოლაში და მდ. ვეზერამდეც მიაღწიეს, მაგრამ უკვე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის იძულებულნი ხდებიან თავდაცვაზე გადავიდნენ.

ახ. წ. აღ-ით I საუკუნეში რომმა გერმანელთა შემოსევებისაგან თავდასაცავად, ზემო დუნაის გასწვრივ თავდაცვითი სიმაგრეების აგება დაიწყო. აქ აგებულ იქნა ე.წ. რომის ზღუდე (Limes romanus), რომლის საერთო სიგრძე 500 კმ-ზე მეტი იყო. ფართო თხრილი მაღალი მესერით იყო დაცული, შიგადაშიგ კოშკები და საგუშაგოები იყო ჩატანებული.

სხვა ანტიკური ავტორებიც მოიხსენიებენ ძველ გერმანელებს და მათ განსახლებას და ურთიერთობას ძველ რომთან. ასეთებია პლინიუს უფროსი, პლუტარქე, აპიანე, დიონ კასიუსი. პლუტარქე ნაშრომში „პარალელური ბიოგრაფიები" მოგვითხრობს გამოჩენილ რომაელთა ურთიერთობებსა და ბრძოლებს ჩრდილოეთში მცხოვრებ ბარბაროსებთან.

ძველი გერმანელების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად, ცეზარის ნაშრომთან ერთად, I საუკუნის დამლევს შეიქმნა პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსის „ისტორიები" „ანალები". ტაციტუსმა გერმანელების ყოფა-ცხოვრების აღწერას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა „გერმანელების წარმოშობისა და განსახლების შესახებ".

ანტიკურ ავტორთა შრომები ძველი გერმანელების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენენ ერთადერთ წერილობით წყაროებს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდის შესასწავლად, მაინც მოითხოვს ფრთხილ დამოკიდებულებას. ხშირად ეს ავტორები არიან მიკერძოებულნი. რაიმე მოვლენის აღწერისას ისინი თავიანთი ქვეყნის ინტერესებს ითვალისწინებენ. ამდენად, ეს ცნობები მოითხოვენ ყოველმხრივ შესწავლასა და კრიტიკულ ანალიზს.

გერმანელთა ისტორიის ადრეული ეტაპის შესასწავლად წერილობითი წყაროების გარდა, ფრიად მნიშვნელოვანია არქეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ისტორიული გეოგრაფიის მონაცემები.

გერმანელთა განსახლება და სოციალური წყობა. გერმანელები თავიანთი განლაგების მიხედვით იყოფოდნენ სამ ჯგუფად: რაინს, მაინს, ვეზერს შორის ბინადრობდნენ ჩრდილოეთ გერმანელები – ხამავები, ხატები, მარკომანები, კვადები, სვევები, ლანგობარდები, ბრუქტერები, ტენტერები, უზიპეტები; ჩრდილოეთ ზღვის სანაპიროსა და იუტლანდიის ნახევარკუნძულზე ჩრდილოეთ გერმანელები – ანგლები, საქსები, იუტები, ტევტონები, კიმბრები, ხავკები, ფრიზები და სხვ. სამხრეთ სკანდინავიაზე – სვიონები, ფრიზები და გოთები; ოდერსა და ვისლას შორის აღმოსავლეთ გერმანელები – გოთები, ვანდალები, ბურგუნდები.

ძველი გერმანელები არ წარმოაგენდნენ ეთნიკურ ერთობას და, როგორც ჩანს, არც თვითონ მოიაზრებდნენ თავიანთ თავს, როგორც ერთ ხალხს. ეთნონიმი გერმანელი წარმოიშვა როგორც ერთ-ერთი გერმანელი ტომის სახელი. კელტები ასე უწოდებდნენ მათ ჩრდილო-აღმოსავლეთ მცხოვრებ ყველა სხვა ხალხს, ასეთივე მნიშვნელობით ხმარობდნენ ამ ეთნონიმს რომაელები. თვითონ გერმანელებს, მართალია გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ იყვნენ საერთო წარმოშობის, ჰქონდა საერთო ენა და კულტი – მაინც არ ჩანს მათში ერთიანი სახელწოდების მოთხოვნილება. ეთნონიმი diutisk (სიტყვა thiuda-დან – ხალხი), საიდანაც მოდის გერმანელების თანამედროვე სახელწოდება – (Deutsch), როგორც ისინი უწოდებენ თავიანთ თავს, პირველად ჩნდება წყაროებში VIII საუკუნის ბოლოსათვის. ეს ეთნონიმი კონტინენტზე, ასევე ინგლისში, თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ გერმანელთა სამეტყველო ენის აღსანიშნავად. ეთნიკური ხასიათი ამ სიტყვამ, როგორც გერმანელი ხალხის ერთიანობის აღმნიშვნელმა, მხოლოდ XI საუკუნეში მიიღო. ეთნონიმი „ტევტონები", რომელიც შუა საუკუნეებსა და შემდგომ პერიოდში მოიაზრებოდა, როგორც ერთიანი გერმანელი ხალხის აღმნიშვნელი, თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ ერთი ტომის სახელწოდებას.

ძველი გერმანელების ყოფა სრულიად განსხვავდებოდა რომის საზოგადოებრივი წყობისაგან. გერმანელები ცხოვრობდნენ გვარებად, რომელშიც შედიოდნენ დიდი ოჯახები. გვარები იქმნებოდა სისხლით ნათესაური კავშირით. ისინი ცხოვრობდნენ სოფლებში მეზობლად და ერთიანდებობდნენ თემში (Марка) საერთო მიწით. თემი ყოველი მხრიდან ტყით ან ჭაობით, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ბუნებრივი საზღვრით იყო გამოყოფილი. უფრო ხშირად ტყით, რადგან იმდროინდელი გერმანიის ტერიტორია ტყით იყო დაფარული, რაც აისახა ძველ გერმანულ გამოთქმაში: „ციყვი ხიდან ხეზე გადახტომით გარბოდა შვიდ მილს“. უცხო პირს, ვინც დაარღვევდა მარკის საზღვრებს, სიკვდილი ელოდა: „მარკა შემოსაზღვრული იყო სიკვდილით“, – არის ასეთი სტროფი ერთ საქსონურ ბალადაში.

მარკის ტერიტორიაზე მდებარე მიწები თემის საკუთრება იყო. მიწა იყოფოდა ორ ნაწილად: ერთი ნაწილი იყო სამოსახლო და სახნავი, ხოლო დანარჩენი იყო საერთო ტყე, მინდორი და საძოვარი. თემის სრულუფლებიანი წევრები იყვნენ სრული ასაკის მქონე ადამიანები. ჭაბუკებს სრული ასაკის მიღწევისას საზეიმოდ გადაეცემოდათ მახვილი და თემის სრულუფლებიანი წევრები ხდებოდნენ. თემის წევრები ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ ერთმანეთი და მთელი თემი. როდესაც თემის რომელიმე წევრი დაარღვევდა მშვიდობას (ფრიდე), მას აძევებდნენ თემიდან, როგორც „მგელს სიწმინდეებიდან“. თუ მშვიდობის დამრღვევი სხვა თემის წევრი იყო, მაშინ მათ უფლება ჰქონდათ აეღოთ სისხლი, ან სანაცვლოდ მიეღოთ მათგან ფულადი გადასახახი – ვერგელდი (Wergeld).

თემის წევრებად ითვლებოდნენ მხოლოდ თავისუფალნი – Frei. თემში თავისუფალ წევრთა გარდა, ასევე სახლობდნენ სხვებიც – ლიტები, მიწაზე მიმაგრებულნი, რომლებიც ამუშავებდნენ მიწებს თავისუფალი წევრებისათვის და ასევე იყვნენ მონებიც. თემის წევრი შეიძლებოდა გამხდარიყო უცხო ადამიანი ქორწინების ან შვილად აყვანის საფუძველზე.

თავისუფალთა შორის გამოიყოფოდნენ ზოგიერთი გვარები, რომლებიც გამოირჩეოდნენ წინაპრების ან პირადი ღირსებით.

თემის საერთო საქმის განსახილველად იმართებოდა თემის კრება (Markething), სადაც ყველას ჰქონდა ხმის უფლება.

საერთო კრების წევრები იყვნენ გრაფები, რომელთაც ირჩევდნენ გვარის უხუცესებისაგან. ისინი იყვნენ გვარის უფროსები, ომში წინამძღვრები, ასევე ქურუმები თავიანთ გვარში.

გერმანელთა ყოფის აღწერისას ცეზარი და ტაციტუსი მიუთითებდნენ, რომ მათ სირცხვილად მიაჩნიათ იმის მოპოვება ოფლით, რისი მოპოვებაც შეიძლებოდა სისხლით. სასოფლო-სამეურნეო საშუალოზე ძირითადად ქალები და მონები იყვნენ დაკავებულნი. ომთან ერთად გერმანელთა მთავარი საქმიანობა იყო მესაქონლეობა და ნადირობა, ამდენად, თემის წევრები ნაკლებად იყვნენ მიმაგრებულნი მიწაზე, არ ფლობდნენ დამოუკიდებლად მიწის ნაკვეთს, ადვილად ტოვებდნენ თემს და თავიანთ ბელადთან ერთად მიდიოდნენ იქ, სადაც იყო ომი. „თუკი თავიანთ მშობლიურ მხარეში დიდი ხანი არ იყო ომი, – ამბობს ტაციტუსი, – მაშინ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, მიემართება იქითკენ სადაც იყო ომი. ხშირადაც მთელი გვარი ან თემი თავის ბელადთან ერთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიდიოდა სხვაგან, რათა მიეღწია დიდებისათვის, დაეპყრო ახალი მიწები, სადაც შემდეგში მკვიდრდებოდნენ და აძლევდნენ ახალ სახელწოდებას".

კერძო საკუთრება გამოკვეთილი სახით ჯერ კიდევ არ არსებობდა. ჯერ კიდევ არ იყო მიწა კერძო საკუთრებაში. საკვებს მათ აძლევდნენ შინაური ცხოველები და მოიპოვებდნენ ნადირობით. ომი იყო მათი საყვარელი საქმიანობა. მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ისინი ძირითადად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, ეს იყო რაღაც საშუალო მიწათმოქმედსა და მომთაბარეს შორის. ამ ხალხს ჰქონდა თავიანთი სამშობლო და საცხოვრისი.

ძველი გერმანელები თემებად ერთიანდებოდნენ და ქმნიდნენ რაღაც მხარის ან სახელმწიფოს მსგავს გაერთიანებებს. ამ გაერთიანების შინაგანი მოწყობა დიდად არ განსხვავდებოდა გვარისა და თემის მოწყობისაგან. გაერთიანების საბჭო განიხილავდა ყველა საზოგადოებრივ საკითხს და ირჩევდა თავის მეთაურს. ომის შემთხვევაში თემის მაცხოვრებლები იკრიბებოდნენ და ირჩევდნენ თავიანთ მეთაურს. ხოლო ამ მეთაურებიდან ირჩევდნენ ყველაზე მამაცს, როგორც საერთო ბელადს – Dux, Herzog, Princeps,. რომელიც იყო მეთაური ომის დროს. ხოლო ომის დამთავრების შემდეგ, ისინი თმობდნენ თავიანთ წოდებებს. მაგრამ ხშირად მშვიდობიანობის დროსაც ამ პირებს რჩებოდათ თავიანთი თანამდებობა და იწოდებოდნენ მთავრებად – კონუნგებად.

ძველი გერმანელების სასამართლო რელიგიური ხასიათის იყო. ეს იყო ორდალი, ანუ ღვთის სასამართლო, სადაც ბრალდებულებს გამოცდიდნენ გაცხელებული რკინით, ცეცხლითა და წყლით. ღალატი და შიში სიკვდილით ისჯებოდა.

ძველი გერმანელები განსაკუთრებით პატივით ეპყრობოდნენ ქალებს. ქორწინებისას სიძე ქალის მშობლებთან ძღვენით მიდიოდა, მიჰყავდა ხარი, ცხენი, მიჰქონდა ფარი, მახვილი და მშვილდი. ქალი თავის მხრიდან ასაჩუქრებდა სიძეს იარაღით. როგორც ტაციტუსი წერდა: ამით ისინი გამოხატავდნენ, რომ ქალმა უნდა გაიზიაროს ქმართან მთელი ცხოვრების სიმძიმე, როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომის პირობებში, ქალი უნდა იყოს ერთგული, მტკიცე და მამაცი.

ტაციტუსის გადმოცემით, გერმანელი ქალები თან მიჰყვებოდნენ ქმრებს ბრძოლის ველზე. მეომრებს ბრძოლის დროს ესმოდათ თავიანთი ცოლების მოთქმა-შეძახილი და ბავშვების ტირილი. დაჭრილები თავიანთ ცოლებსა და დედებს უბრუნდებოდნენ, ისინი ითვლიდნენ მათ ჭრილობებს. ქალებს ბრძოლის ველზე მიჰქონდათ მეომრებთან საჭმელი და ამხნევებდნენ მათ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც დამარცხებულები გარბოდნენ ბრძოლის ველიდან, ქალები მათ წინ ხვდებოდნენ, მკერდით უღობავდნენ გზას და აბრუნებდნენ უკან. ქალები ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს არჩევდნენ. ძვ.წ.აღ-ით 101 წელს, როდესაც კიმბრები და ტევტონები დაამარცხა მარიუსმა, მათმა ცოლებმა ბავშვები დახოცეს და თვითონ თავი ჩამოიხრჩვეს. ძველი გერმანელი ქალის საუკეთესო თვისება აჩვენა ხერუსკების ტომის ბელა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის არმინიუსის ცოლმა, თუსნელდამ, როდესაც ის ტყვედ ჩაუვარდა რომაელებს. ტაციტუსი წერს: მიდიოდა ის სხვა ტყვეებს შორის მტკიცე და ამაყი, ხელები ჰქონდა მკერდზე დაწყობილი და არ უჩვენებია მტრისთვის დამარცხებულის სახე.

გერმანელი ტომების ურთიერთობა რომის იმპერიასთან. გერმანელები თანდათანობით მიიწევდნენ სამხრეთისაკენ და რომის პროვინციებს იკავებდნენ. რომაელები თავდაპირველად ცდილობდნენ გერმანელთა შეიარაღებული რაზმები თავიანთ სამსახურში ჩაეყენებინათ და აერთიანებდნენ მათ რომაულ ლეგიონებში. ისინი ხშირად რომაელთა ხელში საბრძოლო იარაღის ფუნქციას ასრულებდნენ როგორც თავიანთი ტომების, ასევე მტრების წინააღმდეგ ბრძოლისას. მოგვიანებით, გერმანელებმა ფეხი მოიკიდეს რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გერმანელი ტომები IV საუკუნიდან თანდათან მკვიდრდებიან რომის იმპერიის ტერიტორიაზე. ალემანებმა დაიკავეს ტერიტორია მდინარე რაინსა და დუნაის შორის, ტიურინგებმა – მათ ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფრანკებმა – მდინარე რაინზე, საქსებმა – ჩრდილოეთ გერმანია. აღმოსავლეთ ევროპაში დასახლდნენ გოთები, რომლებიც იყოფოდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ გოთებად.

რელიგიური წარმოდგენები. ძველი გერმანელების რელიგიას საფუძვლად დაედო თაყვანისცემა ბუნების მოვლენებისადმი და გარდაცვლილთა სულების პატივისცემა. ისინი თაყვანს სცემდნენ მზეს, ვულკანსა და მთვარეს. გერმანელთა რელიგია გამოიხატა სიმღერებში; მათი ღმერთების სახელები შემოინახა გერმანულმა მითებმა და ლეგენდებმა. ოდინი ანუ ვოდანი არის მთავარი ღმერთი – ომის ღმერთი. გერმანელებს ის წარმოდგენილი ჰყავდათ ცალთვალა მოხუცად, რომელიც იჯდა მაღალ ტახტზე ვალჰალას სასახლეში, საიდანაც ის თვალყურს ადევნებდა დედამიწას, მასზე მცხოვრებ ხალხს. მისი ცოლი იყო ფრაია (ფრიგია – ოჯახისა და ქორწინების სიწმინდის მფარველი ღმერთი). გაზაფხულის გამაცოცხლებელი ძალა გერმანელებს წარმოდგენილი ჰქონდათ მშვენიერი ყმაწვილის სახით, რომელსაც ბალდური ერქვა. დიდი პატივით სარგებლობდა მიწათმოქმედებისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი დონარი, სკანდინავიურად – ტორი.

გერმანული წარმართული რელიგიის გვერდით გერმანელებში თანდათან აღწევს ქრისტიანობა. პირველები იყვნენ დასავლეთის გოთები. ქრისტიანობის მასობრივი გავრცელება ხდება IV საუკუნიდან და ის დაკავშირებულია ვესტგოთი მისიონერის ვულფილას სახელთან. 341 წელს ის აკურთხეს ეპისკოპოსად არიანულ ეკლესიაში. მან თარგმნა ბიბლია გოთურ ენაზე, რამაც ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებას სხვა გერმანელ ტომებში. არიანელობა უარყოფდა სამების (მამა, ძე და სულიწმინდა) ერთიანობას. მისი აზრით, „იყო დრო როცა არ იყო ქრისტე“. არიანელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომში მწვალებლობად იყო გამოცხადებული, ამდენად, გერმანელებისათვის ასეთი სახით ქრისტიანობის მიღება, როგორც ჩანს, რომის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენდა.

§ 3. ხალხთა დიდი გადასახლებანი. ბარბაროსული სამეფოები რომის იმპერიის ტერიტორიაზე

IV-V საუკუნეები რომის იმპერიისათვის რთული იყო არა მარტო საშინაო ურთიერთობების თვალსაზრისით. მის საზღვრებს სხვადასხვა მხრიდან თავს ესხმოდნენ მრავალრიცხოვანი ბარბაროსული ტომები, რომლებიც არა მარტო არბევდნენ, არამედ იკავებდნენ კიდეც იმპერიის ტერიტორიას. ეს პროცესი დაიწყო IV საუკუნის მეორე ნახევრიდან და გაგრძელდა VI საუკუნის მიწურულამდე. ყოველივე ამას მოჰყვა არა მარტო დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა, არამედ ამ ბარბაროსული ტომების მასიური ჩასახლებაც იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე. ამიტომ, ამ ქაოსისა და იმპერიის ნგრევის ხანას, ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქასაც უწოდებენ.

ბრიტანეთიდან დაწყებული კონტინენტური ევროპის ჩრდილოეთით, რაინისა და დუნაის სანაპიროებზე, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, განსხვავებული ადათ-წესების მქონე, განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგარი ტომები, რომლებიც ძველი გერმანელების ზოგადი სახელით მოიხსენებიან.

ამ ბარბაროსთაგან ზოგიერთს (განსაკუთრებით რაინისა და დუნაის გასწვრივ მცხოვრებთ), რომთან ურთიერთობები II-III საუკუნეებშიც ჰქონდათ. იმპერიის სამხედრო ძალებში ხშირად ჩანან დაქირავებული ბარბაროსები. რომაელი ვაჭრებიც ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე რაინისპირეთსა და დუნაიზე მცხოვრებ ძველ გერმანელებს. ამდენად, უშუალოდ იმპერიის საზღვრებთან მცხოვრები ბარბაროსები, რამდენადმე რომანიზებულნი იყვნენ. რაც შეეხება ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მცხოვრებთ, რომის გავლენა მათზე თითქმის არ შეიმჩნეოდა. ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქისათვის მათ თითქმის შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი თემობრივ-ტომობრივი ორგანიზაცია და ადათ-წესები.

ხალხთა დიდი გადასახლების მიზეზებს შორის, ისტორიოგრაფიაში რამდენიმე უმთავრეს მიზეზს მიაქცევენ ყურადღებას.

იმპერიის საზღვრებთან ახლოს მცხოვრებთ იზიდავდა რომაული სოფლებისა და ქალაქების სიმდიდრე. მათ ხელში ჩასაგდებად ბარბაროსები უკვე III-IV საუკუნეებში ესხმოდნენ თავს იმპერიის საზღვრებს. გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია ცვლილებანი, რომლებიც ხდებოდა ბარბაროსთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მოსახლეობის რიცხვის ზრდა (ე.წ. „დემოგრაფიული აფეთქება“) აძნელებდა საკმარისი საარსებო საშუალებე-

ბის მოპოვებასაც. სამეურნეო კულტურის განვითარების დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფდა ჭარბი მოსახლეობის გამოკვებას, გარდა ამისა, არსებული გეოგრაფიული გარემო (განსაკუთრებით ჩრდილო და აღმოსავლეთ ევროპაში) საამისო პირობებს ვერ ქმნიდა.



ხალხთა დიდი გადასახლების რუკა

ყველაზე ადრე ბარბაროსული ტომების მოძრაობა რომის იმპერიის საზღვრებისაკენ გოთთა (გუთთა) ტომებში შეინიშნება. გოთთა მრავალრიცხოვანი ტომები განსახლებულნი იყვნენ ვისლას ქვემო წელიდან აღმოსავლეთით ბალტიის ზღვის სანაპიროებამდე, აგრეთვე ამ ზღვის კუნძულებზე (მაგ., გოტლანდი) და, შესაძლოა, სამხრეთ სკანდინავიაშიც.

II-III საუკუნეებში, ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო, გოთთა ტომებმა თანდათანობით იწყეს მოძრაობა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ვისლიდან დნეპრის აუზისაკენ. გოთთა ამ ჯგუფს, რომლებიც უახლოვდებოდნენ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთსა და სახლდებოდნენ დნესტრსა და დნეპრს შორის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთის გოთები, ანუ ოსტგოთები ეწოდათ (იგივე ველის გოთები). გოთთა მეორე ნაკადი დაიძრა დნესტრის დაყოლებით ბალკანეთისაკენ. ამ ჯგუფს ვესტგოთების (ანუ ტყის გოთები) სახელით იცნობენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV საუკუნის დასაწყისისათვის გოთები რომის იმპერიის საზღვრებს მჭიდროდ მიუახლოვდნენ. ამავე პერიოდში იწყება მათში ქრისტიანობის გავრცელებაც. გოთთა განმანათლებელი და ქრისტიანობაზე მომქცევი იყო ვინმე ვულფილა (გოთთა მოსედ წოდებული), რომელმაც გოთებში ქრისტიანობის არიანული მიმდინარეობა გაავრცელა. მანვე თარგმნა ბიბლიის ნაწილი გოთთა ენაზე. შეუდგინა გოთებს ანბანი (დაახლოებით 341 წლის შემდეგ).

IV საუკუნის შუა ხანებისათვის შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებსა და დუნაის შესართავთან იქმნება აღმოსავლეთ გოთთა ძლიერი ტომობრივი გაერთიანება, რომლის სათავეში ჩანს ბელადი ჰერმანრიხი. გოთთა ამ გაერთიანების გაძლიერება შეაფერხეს აღმოსავლეთიდან დაძრულმა ჰუნთა ველურმა ტომებმა. ჰუნები თურქულენოვანი მოდგმის ტომები იყვნენ, რომელთა თავდაპირველი საცხოვრისი სამხრეთ ურალისპირეთსა და კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ტერიტორიებში მოიაზრება. მათი მოძრაობა დასავლეთის მიმართულებით IV საუკუნის დასაწყისიდან შეინიშნება. ჰუნები, მომთაბარე-მესაქონლე ტომები იყვნენ, რომლებმაც გრიგალივით გადაუარეს ვოლგისპირეთს, ვოლგასა და დონს შორის მოსახლე ალანური და, შესაძლოა, სარმატული მოდგმის ტომებიც დაიმორჩილეს.

ჰუნთა ტომები ოსტგოთებს დაუმეზობლდნენ, მათ შორის შეჯახება 375 წელს მოხდა. ოსტგოთები დამარცხდნენ, ჰუნებს დაემორჩილნენ და დროებით მათთან ერთად დაიწყეს დასავლეთისაკენ სვლა. ასე დაიწყო ხალხთა დიდი გადასახლება.

ვესტგოთები. ბიძგი ვესტგოთებს გადაეცა; ჰუნებისაგან შეშინებული ვესტგოთები ბალკანეთისაკენ დაიძრნენ და იმპერიის საზღვრებს მიადგნენ. ვესტგოთებმა თხოვნით მიმართეს იმპერატორ ვალენტს შეეშვა ისინი იმპერიის ტერიტორიაზე და მიეცა საცხოვრისი, გოთები სურსათით მომარაგებასაც ითხოვდნენ. სამაგიეროდ გოთები აღუთქვამდნენ იმპერატორს სრულ მორჩილებასა და საჭირო შემთხვევაში სამხედრო დახმარებას. საიმპერატორო თანხმობა მიღებულ იქნა და გოთებს საცხოვრებლად დაეთმო პროვინცია მეზია (დღევანდელი ბულგარეთი) დუნაის მარჯვენა სანაპიროზე. ისინი მოკავშირეებად ანუ ფედერატებად იწოდებოდნენ. მეზიაში ჩასახლებულ ვესტგოთებს ხელისუფლებისათვის იარაღიც უნდა ჩაებარებინათ. რომაელმა მოხელეებმა ისარგებლეს შექმნილი სიტუაციით და ხელისუფლებისაგან გოთებისათვის გამოყოფილი სურსათის დიდი ნაწილი მიითვისეს. შიმშილისაგან შეწუხებული გოთები მზად იყვნენ ოჯახის წევრებიც კი მიეცათ მონებად. რომაელ მოხელეთა თვითნებობით აღშფოთებულმა გოთებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი. აჯანყებულებმა ბალკანეთის პროვინციების რბევა დაიწყეს. იმპერატორი ვალენტი შეეცადა ჩაექრო აჯანყება, მაგრამ 378 წელს, ქალაქ ადრიანოპოლისთან სასტიკი მარცხი განიცადა. თავად იმპერატორი ბრძოლის ველზე მოკლეს. ბალკანეთში ვესტგოთთა მძვინვარე თარეში დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყო. ახალმა იმპერატორმა, თეოდოსიუსმა, იარაღითა და მოსყიდვით დაპყრობილი გოთები, მათთან ზავიც დადო (382) და სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურშიც ჩააყენა. თეოდოსიუსის კარზე დაწინაურებულ ვესტგოთ წარჩინებულთა შორის გამოირჩეოდა ახალგაზრდა და ენერგიული ალარიხი ბალთას საგვარეულოდან. თეოდოსიუსის გარდაცვალებამდე (395) საიმპერიო ხელისფულებასა და გოთებს შორის მშვიდობა სუფევდა. გარდაცვალების წინ, თეოდოსიუსმა იმპერია თავის შვილებს გაუნაწილა. არკადიუსს აღმოსავლეთი ერგო (ცენტრი კონსტანტინოპოლი), ხოლო ჰონორიუსს დასავლეთი. ახალგაზრდა არკადიუსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებითა და სასახლის კარზე შექმნილი არეულობით გოთებიც დაზარალდნენ. უკმაყოფილო გოთები ალარიხის მეთაურობით აჯანყდნენ, კონსტანტინოპოლს მიადგნენ, დიდი გამოსასყიდიც მიიღეს იმპერატორისაგან და ბალკანეთის პროვინციების რბევას მიჰყვეს ხელი. ალარიხის ურდოები დასავლეთისაკენ დაიძრნენ, მაგრამ ისინი შეაჩერეს დასავლეთ რომის იმპერატორის, ჰონორიუსის მიერ გამოგზავნილმა ჯარებმა ბარბაროს სტილიხონის მეთაურობით. ვესტგოთები ამჯერად პროვინცია ილირიაში დამკვიდრნენ, ეს უკანასკნელი კი უშუალოდ დასავლეთ რომის იმპერიას ესაზღვრებოდა. ამის გარდა, ილირიის ქალაქები ცნობილი იყვნენ თავიანთი სიმდიდრით და ალარიხმა ეს კარგად გამოიყენა. მოამარაგა რა სურსათ-სანოვაგითა და იარაღით, გოთთა რაზმები ალარიხმა იტალიისაკენ დაძრა. 401 წელს მილანამდეც კი მივიდნენ გოთები, მაგრამ მათი წინსვლა სტილიხონის ჯარებმა შეაჩერეს. ალარიხი კვლავ ილირიაში დაბრუნდა.

ამასობაში მნიშვნელოვანი მოვლენები დატრიალდა რომში. ჰონორიუსის სასახლის დიდკაცობამ აითვალწუნა ბარბაროსული წარმოშობის, მაგრამ უაღრესად ნიჭიერი სტილიხონი. მას ბრალი დასდეს წარმართობის აღდგენის ცდაში, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაში და 408 წელს მოკლეს. ამას მოჰყვა რომში ყველა ბარბაროსისა და განსაკუთრებით არიანელების სასტიკი რბევა. იტალიიდან დევნილმა ბარბაროსებმა ალარიხს მიაშურეს.

ვესტგოთები იტალიასა და გალია-ესპანეთში. ილირიაში დაბანაკებული ალარიხი ხელსაყრელ მომენტს უცდიდა. რომში დატრიალებული მოვლენები ასეთად მიიჩნია და 408 წელს რომისაკენ დაიძრა. ბუნებით მხდალი და გამოუცდელი ჰონორიუსი რომიდან გაიქცა და რავენაში გამაგრდა. ვესტგოთები დაუბრკოლებლად მიადგნენ რომს და ალყა შემოარტყეს. რომის სენატორებმა სცადეს ალარიხთან მოლაპარაკება და, ამასთან, აგრძნობინეს, რომ მილიონიან ქალაქში სერიოზული სამხედრო ძალაც იყო. არა უშავს, უთქვამს ამაზე ალარიხს, „რაც უფრო ხშირია ბალახი, მით უფრო ადვილია მისი გათიბვა“. ალარიხმა მოითხოვა რომში არსებული მთელი ოქრო-ვერცხლი და ყველა მონა-ბარბაროსის გათავისუფლება. შეკითხვაზე, რომს რაღას უტოვებთ, ალარიხს უპასუხია: „სიცოცხლეს“. ამჯერად ალარიხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც დათანხმდა მოლაპარაკებაზე, გამოსასყიდიც მიიღო და ტოსკანისაკენ დაიხია. საიმპერატორო ხელისუფლება არ ასრულებდა ალარიხისათვის მიცემულ პირობას და ალარიხი კვლავ რომისაკენ დაიძრა. ჰონორიუსის საპირისპირო იმპერატორად ვინმე ატალი გამოაცხადა (რომის პრეფექტი), მერე ისიც მოიშორა და რომს მესამედ შემოარტყა ალყა. ეს მოხდა 410 წელს. ქალაქში მყოფმა მონებმა და მსახურებმა, რომლებიც გოთებთან თავისუფლებას ეძიებდნენ, შიგნიდან გაუღეს კარები და ალარიხი რომში შეიჭრა. ვესტგოთებმა სასტიკად გაძარცვეს რომი და ეს მოხდა პირველად რომის დაარსების შემდეგ. რომის დაცემამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე. ამ მოვლენას ისინი ისტორიის დასასრულადაც კი მიიჩნევდნენ. „მარადიული ქალაქი“ ბარბაროსთა სათარეშოდ გადაიქცა. რომიდან ალარიხი სამხრეთ იტალიისაკენ დაიძრა, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა და გოთებმა მეფედ გამოაცხადეს ატაულფი. ახლად არჩეული მეფე ორი წლის განმავლობაში არბევდა იტალიას და მერე სამხრეთ გალიაში გადავიდა. მან კარგად ისარგებლა გალიაში შექმნილი ვითარებით და დიდი ტერიტორიებიც დაიკავა. გაძლიერებულმა ატაულფმა იმპერატორის დაზე, პლაციდიაზე იქორწინა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია გალიიდან ესპანეთში გადასულიყო და იქაური ტერიტორიების დაპყრობა დაეწყო. მალე ისიც შეთქმულებმა მოკლეს და მეფედ აირჩიეს ვინმე ვალია. ამ უკანასკნელმა დაამარცხა იმჟამად ესპანეთში დამკვიდრებული ბარბაროსები, ალანები და ვანდალები და ესპანეთის დიდი ნაწილი დაიპყრო. მეფე ვალიას კარზე იმძლავრა იმ პოლიტიკურმა დაჯგუფებამ, რომელიც რომთან მშვიდობიანი ურთიერთობის მომხრე იყო. ვალიამ იმპერიასთან ზავი დადო. საიმპერატორო ხელისუფლება იძულებული გახდა ვესტგოთებისათვის დაეთმო სამხრეთ გალია და ესპანეთის ნაწილი. ასე წარმოიშვა დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე პირველი ბარბაროსული სამეფო ვესტგოთებისა, რომლის პოლიტიკური ცენტრი გახდა ქ. ტულუზა.

ვესტგოთი მეფეების რომის იმპერატორებისადმი დაქვემდებარება იმთავითვე ნომინალური იყო, ხოლო V საუკუნის 60-იანი წლებიდან (მეფე ეირიხის დროიდან), სრულიად დამოუკიდებელი გახდა.

დაპყრობილ ტერიტორიებზე, გოთებმა, გალო-რომანულ არისტოკრატიას მიწების ორი მესამედი ჩამოართვეს და ერთმანეთში გადაინაწილეს. გადასახადებიც მხოლოდ გალო-რომანულ მოსახლეობას დააკისრეს. მეფე ეირიხისა და მისი მემკვიდრის, ალარიხ II-ის დროს (484-507) შედგენილ იქნა ვესტგოთთა სამართალი (რომაული სამართლის მიბაძვით), რომელსაც უპირატესობა ენიჭებოდა რომაულ სამართალთან, ამ უკანასკნელით კი გალო-რომანული წარმოშობის მოსახლეობა სარგებლობდა.

გოთებსა და დაპყრობილ მოსახლეობას შორის წინააღმდეგობა თანდათან მწვავდებოდა. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა გალო-რომანუ-

ლი დიდკაცობა, რომელებმაც მიწების დიდი ნაწილი დაკარგეს. წინააღმდეგობას ამწვავებდა აგრეთვე სარწმუნოებრივი დაპირისპირებაც. რომაულ-კათოლიკური მრწამსის გალიის არისტოკრატია ვერ ურიგდებოდა გოთთა არიანელობას. ამიტომ VI საუკუნის დასაწყისში ფრანკებმა, ადგილობრივი დიდკაცების დახმარებით, ვესტგოთებს მთელი გალია წაართვეს. ამის შემდეგ ვესტგოთებს ესპანთიღა შერჩათ. გოთური ესპანეთის პოლიტიკური ცენტრი ქ. ტოლედო გახდა.

რომაულ საზოგადოებასთან ხანგრძლივმა კონტაქტებმა მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ბარბაროსთა ცხოვრებას. ბალკანეთსა და იტალიაში შეჭრამდე, მათში ჯერ კიდევ მტკიცედ იყო შემორჩენილი თემური წყობილების ელემენტები. გალიაში დამკვიდრების შემდეგ, მიწების დანაწილებამ და გალო-რომანული საზოგადოების გავლენამ დააჩქარა მათში თემური წყობილების რღვევა და კლასობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება. გოთურ ესპანეთში კი VI საუკუნის შუა ხანებისათვის, აშკარად ჩანს გოთური წარმოშობის მსხვილ მიწათმფლობელთა ფენა (მეფე ლეოვიგილდის კოდექსის მიხედვით (572-587), რომელთაც მნიშვნელოვანი პრივილეგიები გააჩნიათ რიგითი, მეთემე გოთებთან შედარებით.

VII საუკუნის დამდეგიდან მსხვილ მიწათმფლობელთა კერძო უფლებების ზრდა, კიდევ უფრო ინტენსიური ხდება. გაღატაკებული გოთი მეთემეები სულ უფრო და უფრო მეტად ვარდებიან წარჩინებულთა კაბალაში და კოლონებს ემსგავსებიან. თანდათანობით ისპობა დაპირისპირება გოთური წარმოშობის დიდკაცობასა და რომაული წარმოშობის არისტოკრატიას შორის. VI საუკუნის ბოლოს გოთებშიც საბოლოოდ გაიმარჯვა რომაულ-კათოლიკურმა ქრისიტანობამ, რამაც მოსპო რელიგიური დაპირისპირების მიზეზები.

ერთი მხრივ, მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფალი გოთი მეთემეების გაღატაკება და ეკონომიკურ კაბალაში ჩავარდნა, ამზადებდა მომავალი ფეოდალური ურთიერთობების საფუძვლებს. ამ პროცესმა შემდგომი განვითარება და დასრულება ვერ პოვა ვესტგოთთა სახელმწიფოში, ვინაიდან VIII საუკუნის დასაწყისში ესპანეთი არაბებმა დაიპყრეს.

ალან-ვანდალები ჩრდილოეთ აფრიკაში. ვანდალთა არცთუ მრავალრიცხოვანი ტომი ძველ გერმანელთა აღმოსავლურ დაჯგუფებას ეკუთვნოდა და ოდერის (ოდრას) მიდამოებში ცხოვრობდნენ. ისინი ორ დაჯგუფებად, სილინგებად და ხარიებად იყოფოდნენ. ამ უკანასკნელებს, მათი ბელადთა საგვარეულოს მიხედვით, აზდინგებსაც უწოდებდნენ.

ხალხთა დიდი გადასახლების პერიოდში, IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში, ვანდალებმა იწყეს მოძრაობა ჯერ დუნაის შუა წელისაკენ, ხოლო შემდეგ გოთთა ტომების ზეწოლის გამო, რაინისპირეთსა და სამხრეთ გალიისაკენ გადაინაცვლეს. ამ მოძრაობის დროს მათ შეუერთდნენ ჰუნთაგან დევნილი სვევები და ალანები. ვესტგოთთაგან შევიწროებუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი ვანდალები, 406-416 წლებში, სამხრეთ გალიიდან ესპანეთში შეიჭრნენ და პირინეის ცენტრალური და სამხრეთი ოლქები დაიკავეს. მაგრამ მათი ესპანეთში ცხოვრება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. გალიის დაპყრობის შემდეგ ვესტგოთები ესპანეთშიც შეიჭრნენ და ვანდალებს, სვევებსა და ალანებს სასტიკი ბრძოლა გაუმართეს.

ერთგვარი ხსნა ალან-ვანდალებს ჩრდილოეთ აფრიკადან მოევლინათ. ამ პროვინციის მმართველი, ბონიფაციუსი, რომის საიმპერატორო ხელისუფლებას განუდგა და თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა. მას მოკავშირე სამხედრო ძალა ესაჭიროებოდა და ამისათვის ალან-ვანდალთა ბელადს, **ჰაიზერიხს** მიმართა დახმარებისათვის. სანაცვლოდ ჩრდილოეთ აფრიკის (კართაგენის) პროვინციის ნაწილის დათმობას ჰპირდებოდა. ეს გარიგება შედგა და 429 წელს, ალან-ვანდალები ჩრდილოეთ აფრიკაში გადავიდნენ. ბონიფაციუსმა და ჰაიზერიხმა, ერთობლივად, უკუაგდეს რომიდან გამოგზავნილი სამხედრო ძალები, მაგრამ მათი მოკავშირეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ჰაიზერიხმა დაამხო ბონიფაციუსი და თავად გახდა ჩრდილოეთ აფრიკის მფლობელი. რომი იძულებული იყო 442 წელს ოფიციალურად ეცნო ალან-ვანდალთა სამეფო.

ალან-ვანდალთა მიერ ჩრდილოეთ აფრიკის დაპყრობა შედარებით ადვილად მოხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ აქ ფართო გაქანება მოიპოვა აგონისტიკურმა მოძრაობამ, რომელიც რელიგიურ საბურველში გახვეულ სოციალურ მოძრაობას წარმოადგენდა. აქაური მონები და კოლონები მიწათმფლობელური არისტოკრატიის წინააღმდეგ ბარბაროსებთან ერთად გამოდიოდნენ. ამავე დროს, ბარბაროსებისა და რომაულ არისტოკრატიას შორის რელიგიური წინააღმდეგობა (ბარბაროსები არიოზობის მიმდევრები იყვნენ) კიდევ უფრო ამწვავებდა მდგომარეობას.

ალან-ვანდალებმა გადაინაწილეს ადგილობრივი მიწათმფლობელური არისტოკრატიის სამფლობელოები. მათი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს, ნაწილი კი გააძევეს. ჩრდილოეთ აფრიკაში მტკიცედ დამკვიდრების შემდეგ, ალან-ვანდალები რომის სხვა პროვინციებზე თავდასხმებსაც აწყობდნენ. მათ ისარგებლეს საიმპერატორო კარზე შექმნილი არეულობით და 455 წელს მოულოდნელად თავს დაესხნენ რომს. ვანდალებმა სასტიკად დაარბიეს და გაძარცვეს რომი, გაანადგურეს კულტურის ძეგლები. ამ საქმეში მათ თვით ალარიხსაც კი გადააჭარბეს. თანამედროვეებზე ამ რბევამ იმდენად დიდი და მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ამის შემდეგ მსგავს ნგრევა-განადგურებას „ვანდალიზმს“ უწოდებენ.

ჩრდილოეთ აფრიკაში დამკვიდრებამდე, ალან-ვანდალებში თემური წყობილების ელემენტები, ჯერ კიდევ მტკიცედ იყო შემორჩენილი. მიწებისა და სხვა სიმდიდრის გადანაწილების შემდეგ, სოციალური დიფერენციაცია ბარბაროსებში საგრძნობლად დაჩქარდა. ჩამოსახლებიდან სულ რაღაც 20-30

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის შემდეგ აშკარად გამოიკვეთა ვანდალური წარმოშობის მონათმფლობელური დიდკაცობა, რომელთა სოციალური და ეკონომიკური ინტერესები მკვეთრად ემიჯნებოდა რიგითი ვანდალებისას. ეს წინააღმდეგობა შემდეგში კიდევ უფრო გაღრმავდა. ვანდალთა დიდკაცობა, თავიანთი ცხოვრების წესითა და ეკონომიკური მდგომარეობით, სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა რომაულ არისტოკრატიას, მაშინ, როცა რიგითი მეთემე ვანდალთა მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა.

წარჩინებული ვანდალები, თავიანთი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ბიზანტიასთან და რომაული წარმოშობის არისტოკრატიასთან ლოიალური პოლიტიკის გზას დაადგნენ. ჰაიზერიხის მემკვიდრეების დროს, V საუკუნის ბოლოს და VI საუკუნის დასასწყისისათვის, ვანდალებში აშკარად გამოიკვეთა ორი პოლიტიკური ტენდენცია. პრობიზანტიური და ანტიბიზანტიური. პრობიზანტიური ორიენტაციისა ვანდალთა მიწათმფლობელური დიდკაცობა იყო, ხოლო ანტიბიზანტიური – რიგითი ვანდალები და ცენტრალური ხელისუფლებისაგან შორს მდგარი, პროვინციული დიდკაცობის ნაწილი. ამ მიმდინარეობათა შორის დაპირისპირებამ კულმინაციას VI საუკუნის 20-იან წლებში მიაღწია. 523 წელს კართაგენში სასახლის კარის გადატრიალება მოხდა და პრობიზანტიური ორიენტაციის ხელისუფლება დამხობილ იქნა. გაბატონებულმა ანტიბიზანტიურმა ხელისუფლებამ მოწინააღმდეგეთა დევნა დაიწყო. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ვანდალებში დატრიალებული მოვლენები საკუთარი პოლიტიკური ინტერესების შელახვად აღიქვა და საბაბად გამოიყენა. დაიწყო საომარი მოქმედებანი. 532 წელს ირანთან საუკუნო ზავის დადების შემდეგ, ბიზანტიის სამხედრო ძალები, ცნობილი სარდლის, ველიზარიუსის მეთაურობით, ალან-ვანდალთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დაიძრა, შინაგანი წინააღმდეგობებით დასუსტებულმა ვანდალებმა საკმარისი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ბიზანტიელებს და მძიმე მარცხი განიცადეს. 534 წლის ბოლოსათვის, ბიზანტიელებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს ალან-ვანდალთა სამეფო. ჩრდილოეთ აფრიკა ხანგრძლივი დროით ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

ჰუნები ევროპაში. ჰუნთა მრავალრიცხოვანი ტომები, რომლებმაც ჯერ კიდევ IV საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავეს, თანდათანობით, დასავლეთისაკენ მიიწევდნენ. IV-V საუკუნეთა მიჯნაზე ისინი ცენტრალური ევროპისაკენ გაიჭრნენ. ჰუნები ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით აწყობდნენ მარბიელ ლაშქრობებს. მათი რაზმები ხშირად ჩნდებოდნენ კავკასიის, მცირე აზიის, ბალკანეთსა და რომის ტერიტორიებზე. ბევრი ჰუნი შედიოდა ბიზანტიისა თუ დასავლეთ რომის იმპერიის სამხედრო სამსახურში დაქირავებულთა სახით. მომთაბარე ჰუნები, რომაელთათვის მიწათმოქმედება უცხო იყო, პურეულს ნადავლის ან დაპყრობილი ხალხისაგან ხარკის სახით შოულობდნენ. მათში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ მტკიცედ იყო შემორჩენილი თავისუფალი მეთემის, პიროვნების ინსტიტუტი და ამ უკანასკნელთან ერთად მათი ცხოვრების წესიც განსაზღვრავდა ჰუნთა სამხედრო ძლიერებას.

V საუკუნის დასაწყისიდან ჰუნთა ტომების ძირითადი მასა კარპატების დასავლეთით დაბანაკდა და აქედან აწყობდნენ გამანადგურებელ თავდასხმებს ბიზანტიისა თუ რომის იმპერიის ტერიტორიებზე. ჰუნები განსაკუთრებით გაძლიერდნენ V საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა მათი ბელადი გახდა ატილა (433). ატილას მამას, მუნძუკს (მუნზუკს) და ბიძას რუას (რომაულად რუგილა) ახლო ურთიერთობა ჰქონდათ რომაულ საზოგადოებასთან. რუა იმპერატორის ჯარში მსახურობდა და რომისაგან მხედართმთავრის წოდება და ყოველწლიური ჯამაგირი ჰქონდა მიღებული. თავად ატილაც ერთხანს ბიზანტიაში მძევლად იყო და ჯარშიც მსახურობდა. ატილამ საკუთარი ძმა ჩამოიშორა (მოაკვლევინა) და ჰუნთა ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა.

ატილას მეთაურობით ჰუნებმა სასტიკად გაძარცვეს ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთისა და ბალკანეთის პროვინციები, ხოლო შემდეგ რაინისპირეთში შეიჭრნენ. ბურგუნდთა დამორჩილების შემდეგ, ჰუნთა ურდოები გალიისაკენ დაიძრნენ და ზედიზედ აიღეს ქალაქები ტრირი, რეიმსი, ორლეანი და სხვები. ჰუნთა მოძალეობამ დროებით გამოაფხიზლა დასავლეთ რომის იმპერატორის ვალენტინიანე III სასახლის კარი. რომაელმა სარდალმა, აეციუსმა, შეძლო ჰუნთა საშიშროებაში დაერწმუნებინა ყოფილი მტრები ვესტგოთები, ბურგუნდები და სხვები. იგი ფრანკთა ტომებსაც დაუკავშირდა და შექმნა საკმაოდ ძლიერი ანტიჰუნური კოალიცია. როცა ატილამ ორლეანი აიღო, ის იძულებული გახდა მალევე დაეტოვებინა იგი და უკან დაეხია. აეციუსი თავის მოკავშირეებთან ერთად დაედევნა ჰუნებს. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა შამპანში, ქ. ტრუას მახლობლად, კატალაუნის ველზე, 451 წლის 15 ივნისს. ამ ბრძოლაში ატილა დამარცხდა, თუმცა მნიშვნელოვანი ძალებით დააღწია თავი ბრძოლის ველს. იგი დაბრუნდა თავის სატახტო ქალაქში, რომელიც მდინარე ტისას ნაპირებზე მდებარეობდა (დღევანდელი უნგრეთში). რომის საიმპერატორო ხელისუფლებამ ვერ ისარგებლა მოპოვებული წარმატებით. კოალიციის მონაწილე ვესტგოთებმა და სხვებმა, რომისაგან დამოუკიდებლობის აღიარება მოითხოვეს. იმპერია იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები. ატილამ ძალები მოიკრიბა და იტალიისაკენ დაიძრა. 452 წელს იგი რომს მიადგა. იმპერატორ ვალენტინიანე III არავითარი ძალა არ გააჩნდა ბარბაროსთა შესაჩერებლად. ატილასთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა ელჩობა, რომელშიც დიდი როლი ითამაშა რომის პაპმა ლეო I-მა (დიდმა). მოლაპარაკება უშუალოდ პაპსა და ატილას შორის მომხდარა. ჩვენ არ ვიცით ამ მოლაპარაკების დეტალები, მაგრამ შედეგი მართლაც შთამბეჭდავი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰუნთა მრისხანე მბრძანებელი, ალბათ პირველად თავის სიცოცხლეში უბრძოლველად გაეცალა მოწინააღმდეგეს. რომმა მაინც იკისრა ხარკი ჰუნთა წინაშე, მაგრამ ის, რომ გადაურჩა აოხრებას, ლეო I-ის დამსახურება იყო.

ამის შემდეგ, 453 წელს ატილა გარდაიცვალა (არსებობს ვერსია, რომ ის მოკლეს). მისი გრდაცვალების შემდგომ, ჰუნთა მორჩილებაში მყოფმა სხვა ბარბაროსულმა ტომებმა თავი გაითავისუფლეს. მალე ჰუნთა ტომობრივი გაერთიანება დაიშალა, თვითონ ჰუნებიც გაითქვიფნენ სხვა ხალხებში და საბოლოოდ დაკარგეს თავიანთი ეთნიკური სახე.

ოსტგოთთა სამეფო იტალიაში. ჰუნებისაგან გათავისუფლების შემდეგ, ოსტგოთები პანონიაში დამკვიდრდნენ და ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შემდეგ, ფედერატობის საფუძველზე, ეს ტერიტორია ხანგრძლივი დროით დაიკავეს. ოსტგოთთა ტომობრივი არისტოკრატია სიამოვნებით შედიოდა ბიზანტიის სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში. ოსტგოთებში გაბატონებული ამალების საგვარეულოს არაერთი წარმომადგენელი იზრდებოდა საიმპერატორო კარზე. მათ შორის იყო ახალგაზრდა თეოდორიხიც, რომელიც საპატიო მძევლად იმყოფებოდა ბიზანტიაში. მან აქ არა მარტო საკმაო განათლება მიიღო, არამედ კარგად გაიწაფა ბიზანტიური დიპლომატიისა და პოლიტიკურ ინტრიგებში.

იმპერატორ ზენონისაგან მან მიიღო შვილობილის, კონსულისა და პატრიცის საპატიო ტიტულები. მიუხედავად გარეგნული ურთიერთკეთილგანწყობისა, გოთებსა და იმპერიას შორის ურთიერთობა მუდამ დაძაბული იყო. საიმპერატორო ხელისფულება მუდმივად იმის ცდაში იყო, როგორ მოეცილებინა გოთები. მალე საამისო საბაბიც გაჩნდა.

ვანდალების მიერ რომის აკლების შემდეგ (455) საიმპერატორო ხელისუფლება დასავლეთში ხშირად სრულიად შემთხვევითი ადამიანების ხელში ვარდებოდა. ერთხანს ბარბაროსი რეციმერი ბატონობდა რომში, თვითნებურად ნიშნავდა და ამხობდა იმპერატორებს. მალე რეალური ძალაუფლება რომაული პატრიციების წარმომადგენელმა, ვინმე ორესტუსმა ჩაიგდო. 475 წელს მან დაამხო იმპერატორი ნეპოტი და თავისი შვილი, ახალგაზრდა რომულუს ავგუსტულუსი გააიმპერატორა. ორესტუსმა და მისმა შვილმა, რომლებიც უფრო სენატორული და მიწათმფლობელური არისტოკრატიის ინტერესებს გამოხატავდნენ, დაქირავებულ ბარბაროსებს (სამხედროებს) მიწებისა და სხვა სახის ჯილდოების გადაცემაზე უარი განუცხადეს. ამით უკმაყოფილო სამხედროებმა, თავიანთი მეთაურის, ოდოაკრის ხელმძღვანელობით, ჩრდილოეთ იტალიაში აჯანყება მოაწყვეს. 476 წელს ოდოაკრი რომში შევიდა, რომულუს ავგუსტულუსი ტახტიდან ჩამოაგდო და თავი იტალიის მმართველად გამოაცხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდოაკრის მიერ რომულუს ავგუსტულუსის დამხობა 476 წელს, ითვლება დასავლეთ რომის იმპერიის დასასრულად და ამ თარიღს შუა საუკუნეების ისტორიის დასაწყისადაც მიიჩნევენ.

ოდოაკრის ხელისუფლების დასაყრდენი დაქირავებული ბარბაროსების სამხედრო რაზმები იყო. მას არ მიუთვისებია იმპერატორის ტიტული ან სხვა რეგალიები. უფრო მეტიც, რომის იმპერატორთა ნიშნები (გვირგვინი და სხვა) ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა და ამ უკანასკნელისაგან პატრიცის ტიტული მიიღო. რომის სენატსა და მიწათმფლობელურ არისტოკრატიას, ოდოაკრის მმართველობის პერიოდში პოლიტიკური უფლებები არ დაუკარგავთ. მიუხედავად არისტოკრატიის ერთგვარი კეთილგანწყობისა, ოდოაკრი იძულებული იყო მოეხდინა მათი მიწების ნაწილის კონფისკაცია. ეს მიწები მან თავის დასაყრდენ დაქირავებულებს დაურიგა. ის აქტიურად ერეოდა საეკლესიო საქმეებშიც და ხშირად საეკლესიო მიწების მითვისებაზეც არ ამბობდა უარს. ოდოაკრის ეს პოლიტიკა სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა არა მარტო რომაული არისტოკრატიისათვის, არამედ ბიზანტიისათვისაც. იმპერატორმა ზენონმა ოდოაკრის წინააღმდეგ მარჯვედ გამოიყენა ოსტგოთები, რომლებიც, თავის მხრივ, ერთობ სახიფათონი იყვნენ ბიზანტიისათვის.

ბიზანტიის საიმპერატორო კარის წაქეზებით, ოსტგოთები, თეოდორიხის მეთაურობით, 488 წელს პანონიიდან იტალიისაკენ დაიძრნენ. მათი საერთო რიცხვი, წყაროების მიხედვით, დაახლოებით 300-400 ათასამდე კაცი უნდა ყოფილიყო. გოთები ჩრდილოეთ იტალიაში შეიჭრნენ. ოდოაკრით უკმაყოფილო სენატორული და მიწათმფლობელური არისტოკრატია გოთთა წინააღმდეგ არაფერს აკეთებდა. გოთებმა ადვილად აიღეს რამდენიმე ქალაქი, გადამწყვეტი ბრძოლა ოდოაკრსა და თეოდორიხის ჯარებს შორის მოხდა მდინარე ოზონცოსთან (პოს შენაკადია). ამ ბრძოლაში უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა. დაიწყო მოლაპარაკება, რომელშიც შუამავლად ეკლესია, კერძოდ კი, რავენის ეპისკოპოსი იოანე გამოდიოდა. მოლაპარაკება საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა. მოწინააღმდეგენი ბოლოს შეთანხმდნენ იტალიის გაყოფაზე. ჩრდილოეთ იტალია გოთებს უნდა რგებოდათ, ცენტრალური და სამხრეთი ტერიტორიები კი — ოდოაკრს. ხელშეკრულების დადებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ნადიმზე მოწვეული ოდოაკრი თეოდორიხმა საკუთარი ხელით მოკლა. ბუნებრივია, სახელშეკრულებო პირობები დაირღვა და გოთებმა იტალია დაიკავეს. ოსტგოთთა სამეფოში, განსხვავებით სხვა ბარბაროსული სამეფოებისაგან, ყველაზე სრულად გამომჟღავნდა ბიზანტიისა და ბარბაროსების, ძველისა და ახლის დაპირისპირების მთელი სიმწვავე და შეურიგებლობა. ამიტომ ოსტგოთთა სამეფოს ისტორიას ოდნავ უფრო ვრცლად შევეხოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეოდორიხმა თავის სატახტოდ ქალაქი რავენა აირჩია. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ჰონორიუსიდან მოკიდებული, რომის უკანასკნელი იმპერატორები უმეტესად რავენაში ბრძანდებოდნენ და ამ ქალაქის სატახტოდ არჩევით, თეოდორიხმა ერთგვარად საიმპერატორო ხელისუფლებისადმი თავის მემკვიდრეობაზე მიანიშნა. არც ის იყო შემთხვევითი, რომ იგი იწოდებოდა ,,გოთებისა და იტალიელების მეფედ".

გოთთა იტალიაში ჩასახლება რამდენადმე უმტკივნეულოდ განხორციელდა. ეს იმიტომ, რომ გოთებს არ მოუხდენიათ რომაელთა მიწების კონფისკაცია, როგორც ეს ვანდალებში ან ვესტგოთებში გააკეთეს. გოთებმა თეოდორიხის განკარგულებით, დაიკავეს ის მიწები, რომლებიც ადრე ოდოაკრის მომხრე ბარბაროსებს ეჭირათ. ხოლო გოთებისათვის დამატებითი მიწების გამოყოფის (საჭიროების შემთხვევაში), აგრეთვე რომაელი მოიჯარეებისაგან გოთთა სასარგებლოდ გადასახადების საკითხს წყვეტდა კომისია, რომლის მეთაურად თეოდორიხმა დანიშნა რომაელი სენატორი ლიბერიუსი. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ ოსტგოთთა მეფე რომაული სენატორულ-მიწათმფლობელური არისტოკრატიასთან კონფრონტაციას ერიდებოდა. მართლაც, თეოდორიხის საშინაო პოლიტიკა მთელი მისი მეფობის მანძილზე, რომაულ არისტოკრატიასთან, ლოიალური ხასიათისა იყო. მისი კარის ოფიციალური მდივანიც რომაელი სწავლული კასიოდორე იყო, რომელმაც თეოდორიხის დავალებით დაწერა ,,გოთთა ისტორია". გარდა ამისა, თეოდორიხმა პრაქტიკულად არაფერი შეცვალა რომაულ იურისპრუდენციაში. რომაელი მოქალაქეებისათვის კვლავ მოქმედებდა რომაული სამართალი.

მიუხედავად ამისა, თეოდორიხი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ახლადწარმოქმნილი გოთი მსხვილი მიწათმფლობელებისა და თვით რიგითი გოთებისთვისაც. გოთები რომაულ მიწებზე გაფანტულად ჩასახლდნენ. ისინი პატარა-პატარა თემებად, მარკებად ცხოვრობდნენ და ცდილობდნენ რომაელებისაგან იზოლირებულად, დამოუკიდებლად ეცხოვრათ. რიგით მეთემე გოთებში ჯერ კიდევ ძლიერი იყო თემური წყობილების ტრადიციები. მაგრამ იტალიაში ჩასახლებიდან სულ მალე, დაიწყო ამ ტრადიციების სწრაფი რღვევა.

თანამემამულეთა მიწით დაკმაყოფილების გარდა, სერიოზულად დადგა გოთი მიწათმფლობელებისათვის მუშახელის საჭიროება: თეოდორიხი შეეცადა ამ საკითხის მოგვარებისას რომაული არისტოკრატია არ გაელიზიანებინა. მის მიერ გამოცემული 506 წლის ედიქტი (ბრძანებულება) რომაელ მიწათმფლობელებს აძლევდა მონებისა და კოლონების უმიწოდ გათავისუფლებისა და გასხვისების უფლებას. ვინაიდან გოთთა მიწებზე ამ უკანასკნელთა ექსპლუატაცია გაცილებით მსუბუქი იყო, ვიდრე რომაულ მიწებზე, მონებისა და კოლონების მნიშვნელოვანი ნაწილი გოთებში გადასახლდა. თეოდორიხის ორმაგი პოლიტიკა უფრო ნათლად გამოჩნდა იურისპრუდენციაში. ერთი მხრივ, მან ხელუხლებელი დატოვა რომაული სამართალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომაელთათვის, მაგრამ მის გვერდით გოთებში მოქმედებდა ადათობრივი სამართალიც. ამ უკანასკნელს უპირატესობაც კი ენიჭებოდა (რომაელსა და გოთს შორის დავის შემთხვევაში). გარდა ამისა, სამხედრო სამსახური მხოლოდ გოთებისათვის იყო სავალდებულო, რომაელები ამ საქმიდან თავისუფლები იყვნენ.

თეოდორიხის ლოიალური დამოკიდებულება რომაული მიწათმფლობელური არისტოკრატიის მიმართ იმთავითვე წინააღმდეგობრივი იყო. გოთური წარმოშობის მსხვილ მიწათმფლობელთა მზარდი მადა, სულ უფრო მეტ მიწებს მოითხოვდა, რაც რომაულ მიწათმფლობელობასთან კონფლიქტის საფუძველს ქმნიდა.

ახლად გამდიდრებული ეს არისტოკრატია რიგითი გოთების მიწების მითვისებასა და მათი თავისუფლებების შეზღუდვასაც აღწევდა. გოთი მეთემე გლეხები სულ უფრო ღატაკდებოდნენ და წარჩინებულთა კაბალაში ექცეოდნენ. თეოდორიხის მეფობის ბოლო წლებში ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება აშკარად ჩანდა. თავიანთი მდგომარეობის გაუარესებას გოთი მეთემეები ძველი თავისუფლებების და ადათ-წესების დაკარგვით ხსნიდნენ. მათში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ხელისუფლება და გოთი მიწათმფლობელური არისტოკრატია სულ უფრო ემსგავსებოდა რომაულს. რიგითი გოთების ინტერესთა დაპირისპირებას რომაულ არისტოკრატიასთან კიდევ უფრო ამწვავებდა სარწმუნოებრივი სხვაობაც. გოთები არიანელები იყვნენ.

წინააღმდეგობრივი იყო თეოდორიხის საგარეო პოლიტიკაც. მართალია, ის ატარებდა ბიზანტიის იმპერატორის შვილობილის, პატრიცისა და კონსულის ტიტულებს, მაგრამ ის იტალიაში თავს სრულიად დამოუკიდებელ ხელმწიფედ თვლიდა („გოთებისა და იტალიელების მეფე“). გარეგნულად იგი დიდ პატივს მიაგებდა იმპერატორს, იცმევდა ბიზანტიის კეისართა მსგავს სამოსს, სასახლის კარზე რომაულ ტრადიციებს ამკვიდრებდა, ავგუსტუსის ტიტულსაც კი ატარებდა. ინტერესდებოდა ბერძნულ-რომაული კულტურით, თუმცა თვითონ ლათინურის არაფერი გაეგებოდა, როგორც აღვნიშნეთ, მან არაერთი რომაული წარჩინებული თუ სწავლული დააწინაურა რავენის სასახლის კარზე. მიუხედავად ამისა, რომაული სენატორული მიწათმფლობელური არისტოკრატიისა და გოთი სამხედრო დიდკაცობის ინტერესები (რომ აღარაფერი ვთქვათ რიგით გოთებზე) შეუთავსებელი აღმოჩნდა. მათ შორის შეჯახების გარდუვალობა კარგად იგრძნეს პოლიტიკურ ინტრიგებში დახელოვნებულმა სენატორულმა არისტოკრატიამ და თეოდორიხისაგან ფარულად, ბიზანტიის საიმპერატორო კართან გააბეს კავშირი. ძნელი სათქმელია, რეალურად მზადდებოდა თუ არა სენატორთა შეთქმულება თეოდორიხის წინააღმდეგ, მაგრამ ერთ-ერთი წერილი, რომელიც გოთთა მეფეს ჩაუვარდა ხელთ, საკმარისი საფუძველი გახდა იმისათ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის, რომ მას სენატორთა ჯგუფი, შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით, სიკვდილით დაესაჯა (524). დასჯილთა შორის იყვნენ რომის სენატორთა შორის ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება სიმახი და ცნობილი ფილოსოფოსი, სენატორი ბოეციუსი. ამ ფაქტებმა საკმაოდ დაძაბა ურთიერთობა ბიზანტიის საიმპერატორო კართანაც და რომის სენატთანაც. მალე, 526 წელს, თეოდორიხი გარდაიცვალა.

ტახტის მემკვიდრედ გარდაცვლილის შვილიშვილი ატანარიხი გამოცხადდა, მაგრამ მისი მცირეწლოვანების გამო, სამეფოს დედამისი, თეოდორიხის ქალიშვილი ამალასუნტა მართავდა. ალბათ მთელს იმდროინდელ ბარბაროსულ საზოგადოებაში, ამალასუნტა განსაკუთრებული პიროვნება იყო. მან მიიღო შესანიშნავი განათლება, სრულყოფილად ფლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, იყო დიდი თაყვანისმცემელი ანტიკური ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერებისა, წერდა ლექსებს და ბერძნულად თარგმნა ვერგილიუსის „ენეიდა“. ასეთი სულიერი სამყაროს ქალი, ბუნებრივია, კულტურულად მდიდარი ბიზანტიური სამყაროს თაყვანისმცემელიც იქნებოდა. მისი მმართველობის დროს (ატანარიხის მცირეწლოვანებისას) რავენის სასახლის კარზე აშკარად გამოიკვეთა ორი პოლიტიკური მიმდინარეობა. ბიზანტიასთან კეთილმეზობლური და ლოიალური ურთიერთობების მომხრენი ამალასუნტის მეთაურობით და ამის მოწინააღმდეგენი, ძირითადად გოთი სამხედრო და მიწათმფლობელურ წარჩინებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა სათავეში ამალთა საგვარეულოს წარმომადგენელი (ამალასუნტას ბიძაშვილი) თეოდატი იდგა. პრობიზანტიური და ანტიბიზანტიური დაჯგუფებების დაპირისპირება იმით გათავდა, რომ 534 წელს ამალასუნტა ატანარისთან ერთად მოკლულ იქნა (აბანოში მოახრჩვეს). მეფობა ხელში თეოდატს ჩაუვარდა.

რავენში მომხდარი გადატრიალება კონსტანტინოპოლის კარზე მიიღეს როგორც ბიზანტიური პოლიტიკის მარცხი. იუსტინიანე I იმპერიის აღდგენის მიზნით უკვე ეწეოდა ომებს ჩრდილოეთ აფრიკაში ვანდალთა წინააღმდეგ. სწორედ რავენაში მომხდარი გადატრიალებისას დაასრულეს ბიზანტიელებმა წარმატებული ომი და ახლა საუცხოო საბაბი მიეცათ ჩარეულიყვნენ ოსტგოთთა საშინაო საქმეებში.

535 წელს დაიწყო თითქმის ოცწლიანი მძიმე ომი. ბიზანტიელებმა, სახელგანთქმული სარდლის, ველიზარიუსის მეთაურობით, ომის დასაწყისში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. გოთებმა ზედიზედ მძიმე მარცხი განიცადეს. უზურპატორის, თეოდატის ხელისუფლება, სამხედრო დიდკაცობასა და განსაკუთრებით რიგით გოთებში ავტორიტეტს კარგავდა. 537 წელს, თეოდატის დამხობის შემდეგ, გოთებმა, ძველგერმანული წესით, სახალხო კრებაზე მეფედ აირჩიეს ვინმე ვიტიგესი, მამაცი მეომარი, ამალასუნტას სიძე. ახლად არჩეული მეფე კარგი მხედარი იყო, მაგრამ სრულიად ბეცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკოსი. მან ვერ გაართვა თავი შექმნილ რთულ ვითარებას და მისი სიკვდილის შემდეგ, 541 წელს, მეფედ აირჩიეს ახალგაზრდა, ჭკვიანი და ენერგიული, ტოტილა.

ტოტილა კარგად მიხვდა როგორც ბიზანტიელთა, ისე გოთთა წარუმატებლობის მიზეზებს. მან გამოსცა სპეციფიკური ედიქტი, რომლის მიხედვითაც, ის მონები და კოლონები, აგრეთვე ის თავისუფალი რომაელნი, რომლებიც გოთებს დაუჭერდნენ მხარს, მიიღებდნენ მიწასა და თავისუფლებას. ამრიგად, ბიზანტიელთა წინააღმდეგ ომს ტოტილამ ფართო სოციალური ხასიათი მისცა. მართლაც, ტოტილას დროშის ქვეშ მალე იტალიის მონებისა და კოლონიების მნიშვნელოვანი ნაწილი დადგა. ტოტილამ სამხედრო საქმის რეორგანიზაციაც მოახდინა და შედეგმაც არ დააყოვნა. 542-549 წლებში, გოთებმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს. ველიზარიუსი უკან გაიწვიეს. ბიზანტიიდან გამოგზავნეს ახალი, კარგად აღჭურვილი არმია ნარზესის მეთაურობით.

ტოტილას მიერ მონებისა და კოლონებისათვის ბოძებულმა თავისუფლებებმა, გოთების სამხედრო წარმატებებს კი შეუწყო ხელი, მაგრამ იმავე დროს გამოიწვია გოთი მსხვილი მიწათმფლობელების სერიოზული უკმაყოფილება, ვინაიდან მათ დაკარგეს მუშახელის დიდი ნაწილი. ხოლო რომაული არისტოკრატია სასტიკად აღაშფოთა ტოტილას პოლიტიკამ. ეს უკანასკნელი იძულებული იყო ანგარიში გაეწია გოთი დიდკაცობისათვის და ახალი ედიქტით გოთთა მხარდამხარ მებრძოლი მონები და კოლონები ძველ პატრონებს დაუბრუნა. ამან კი გოთებს დიდი მხარდამჭერი ძალა მოაკლო.

საომარ მოქმედებათა ინიციატივა კვლავ ბიზანტიელთა მხარეს გადავიდა. 552 წლისათვის გოთები საბოლოოდ დამარცხდნენ. ტოტილა მოკლულ იქნა. ოსტგოთთა უკანასკნელი რაზმები 554 წლამდე იცავდნენ თავს. ბოლოს ისინიც განადგურებულ იქნენ. ოსტგოთთა სამეფო დაეცა. იტალია ბიზანტიელებმა დაიპყრეს.

მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა (62 წელი), ოსტგოთთა სამეფომ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია იტალიის განვითარებას. მათი ბატონობის პერიოდში სერიოზულად შეირყა ძველი მონათმფლობელური ურთიერთობა და გზა გაეხსნა ახალ, ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების ჩამოყალიბებას.

ბიზანტიელებმა იტალიაში თავიანთი ბატონობის პოლიტიკური ცენტრად ქალაქი რავენა გახადეს. აქ იჯდა იუსტინიანეს მიერ დანიშნული უმაღლესი მოხელე – ეგზარხოსი. მაგრამ მათი ბატონობაც ხანმოკლე აღმოჩნდა. 568 წელს, ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ სხვა ბარბაროსი ტომები, ლანგობარდები.

ლანგობარდები იტალიაში. ძველი გერმანელი ტომების, ლანგობარდების თავდაპირველი საცხოვრისი მდინარე ელბის (ლაბის) შესართავში იყო.

შემდეგ მათ სამხრეთისაკენ დაიწყეს მოძრაობა პანონიის მიმართულებით. ერთხანს ამ პროვინციის დასავლეთ ნაწილში მოიკიდეს ფეხი და ბიზანტიელების ოსტგოთებში შეჭრისას უშუალოდ იტალიის საზღვრებს მიუახლოვდნენ. ლანგობარდების რაზმებმა ოსტგოთთა წინააღმდეგ ბრძოლებშიც მიიღეს მონაწილეობა. VI საუკუნის შუა ხანებში ლანგობარდების ბელადი ხდება ალბოინი. ამ უკანასკნელმა კარგად ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და 568 წელს შეიჭრა იტალიაში. ლანგობარდებმა სწრაფად დაიკავეს მთელი ჩრდილოეთი და ცენტრალური იტალია (გარდა ვენეციისა, რავენის საეგზარხოსოსი და რომის ოლქისა). სამხრეთ იტალია მათ არ დაუპყრიათ. ყველაზე უფრო კომპაქტურად ისინი ჩრდილო იტალიაში (პოს დაბლობზე) დასახლდნენ და მათი სახელის მიხედვით, შემდეგში ამ ტერიტორიას ლანგობარდია ან ლომბარდია ეწოდა.

ლანგობარდების ჩასახლება იტალიაში განსხვავდებოდა გოთთა ჩასახლებისაგან. ჯერ ერთი, ლანგობარდები ნაკლებ რომანიზებულნი იყვნენ, ვიდრე გოთები. გარდა ამისა, ისინი აქ მოვიდნენ არა როგორც ბიზანტიელთა ან რომაელთა ფედერატები (მოკავშირეები), არამედ ვითარცა დამპყრობლები. ლანგობარდების დაპყრობები სხვა თავისებურებითაც ხასიათდებოდა. მათ თითქმის მთლიანად ჩამოართვეს უძრავ-მოძრავი ქონება რომაელ მიწათმფლობელებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ან ამოხოცეს, ან მონებად გაყიდეს. გარდა ამისა, ლანგობარდები ჩასახლდნენ არა გაფანტულად, როგორც ეს გოთებმა გააკეთეს, არამედ უფრო კომპაქტურად, თემების სახით. ლანგობარდები ასეთ თემს — გვარს „ფარას“ უწოდებდნენ და როგორც ჩანს, აქედან უნდა წარმოდგებოდეს მრავალი დასახლებული პუნქტის თანამედროვე იტალიური სახელიც.

ლანგობარდთა დაპყრობის შედეგად იტალიაში წარმოიშვა საკმაოდ მრავალრიცხოვანი თავისუფალი მეთემე გლეხების ფენა, რომლებშიც ჯერ კიდევ მტკიცედ იყო შემორჩენილი გვაროვნული ადათ-წესები. მაგრამ ლანგობარდული იტალიის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ძალიან სწრაფი სოციალური დიფერენციაცია. ალბოინის გარდაცვალების შემდეგ მათ ერთხანს მეფეც კი არ აურჩევიათ. ყველა ადგილობრივ საკითხებს, სოციალურ-ეკონომიკურს თუ სამხედრო ხასიათისას, ადგილობრივი თემობრივ-ტომობრივი დიდკაცობა, ჰერცოგები აგვარებდნენ. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ადათობრივი სამართალიც.

VII საუკუნის შუა ხანებიდან ვითარება შესამჩნევად შეიცვალა. სოციალურმა დიფერენციაციამ, ჰერცოგებისა და გვაროვნული არისტოკრატიის გადაქცევამ მსხვილ მიწათმფლობელებად, აგრეთვე თავისუფალი მეთემეების გაღარიბებამ და მათმა სოციალურმა პროტესტმა, აუცილებელი გახადა სამეფო ხელისუფლების არსებობა. მიწაზე კერძო საკუთრების განმტკიცება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილ მიწათმფლობელთა სუვერენულ უფლებათა ზრდა აშკარა ხდებოდა. მეფე როტარის ედიქტით (VII ს-ის 40-იანი წლები), მიწათმფლობელს მიწის თავისუფალი განსხვისების უფლება ეძლეოდა. ეს პროცესი კიდევ უფრო აქტიური ჩანს მეფე ლიუტპრანდის კანონმდებლობაში (VIII ს-ის დამდეგი). ამრიგად, VIII საუკუნისათვის ლანგობარდთა საზოგადოებაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ისეთმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, რომლებიც ფეოდალიზმის საფუძვლებს ამზადებდა. მსხვილი მიწათმფლობელობის ჩამოყალიბება და თავისუფალი მეთემეების დამოკიდებულ გლეხობად გადაქცევა, ამის უტყუარი დადასტურება იყო. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ თანდათანობით ისპობოდა უფლებრივი განსხვავებანი რომაული წარმოშობის მიწათმფლობელებსა და ლანგობარდ დიდკაცობას შორის. მათ დაახლოებას დიდად შეუწყო ხელი სარწმუნოებრივმა ერთიანობამ. იტალიაში შემოჭრისას ლანგობარდები არიოზული სარწმუნოებისანი იყვნენ. VII საუკუნეში ისინი ექცევიან რომაულ-კათოლიკურ მრწამსზე, რამაც ხელი შეუწყო ზემოხსენებულ კლასობრივ კონსოლიდაციას.

ფეოდალიზაციის პროცესი ლანგობრედებში შეუქცევად ხასიათს ატარებდა და მშვიდობიანად ვითარდებოდა. დიდი პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო იტალიაში, ლანგობარდებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ეს კონფლიქტი კი ასე დაიწყო.

ბიზანტიაში ისავრიელთა დინასტიის გაბატონებასთან ერთად (717 წლიდან), მალე დაიწყო ცნობილი ხატმებრძოლეობა. ეს პროცესი შეეხო რავენის საეგზარხოსოსაც (ბიზანტიის ტერიტორია იტალიაში). რომის პაპებმა შეაჩვენეს ბიზანტიელები და მათი იმპერატორი ლეონ ისავრიელი. პაპების მითითებით იტალიაში ბიზანტიელი მოხელეების შევიწროება და დევნა დაიწყეს. ამით ისარგებლეს ლანგობარდებმა და დაიკავეს საეგზარხოსოს კუთვნილი მიწები. ლანგობარდთა ამ ქმედებით აღშფოთდნენ პაპის წარმომადგენლები, ვინაიდან მიწების მითვისებისაკენ თვითონ მიისწრაფოდნენ. ამ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი ლანგობარდებსა და პაპობას შორის აშკარა სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა. პაპებმა დახმარებისათვის ფრანკთა მმართველებს მიმართეს. ფრანკთა მეფე პიპინ მოკლემ რამდენჯერმე ილაშქრა იტალიაში ლანგობარდთა წინააღმდეგ. წაართვა მათ რავენის ტერიტორია და პაპებს გადასცა. ხოლო პიპინის მემკვიდრემ კარლოს დიდმა, რომელმაც დაიპყრო იტალია და „ლანგობარდთა მეფის“ ტიტულიც დაიმკვიდრა, აღიარა პაპების საერთო უფლებები რომსა და რავენის ოლქზე. ფრანკების მიერ იტალიის დაპყრობის შედეგად ლანგობარდთა სამეფომ არსებობა შეწყვიტა. იტალია ფრანკთა მონარქიის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ამრიგად, ხალხთა დიდმა გადასახლებებმა და რომის იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე ბარბაროსული სახელმწიფოების არსებობამ არსებითი როლი ითამაშა ევროპის შემდგომი ისტორიისათვის. შეიცვალა დასავლეთ ევ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როპის ეთნიკური სახე და, რაც მთავარია, შეიცვალა სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ყოფა. ბარბაროსთა ჩამოსახლებამ დააჩქარა ძველი ურთიერთობების ნგრევა და გზა გაუხსნა ახალი ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ძველი, ლატიფუნდიური მეურნეობის ნაცვლად, ჩნდება ახალი ტიპის მსხვილი მიწათმფლობელობა, მონებისა და კოლონების გვერდით არსებითი და განმსაზღვრელი ხდება თავისუფალი მეთემე გლეხის შრომა. ამ უკანასკნელთა სოციალური დიფერენციაცია და დამოკიდებულ მდგომარეობაში მოქცევა, ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების დასაწყისის მაჩვენებელი იყო. ამ ურთირთობებმა ბევრ შემთხვევაში (ალან-ვანდალებში, ოსტგოთებში) ვერ მიიღო დასრულებული სახე, მაგრამ მათ გაუკაფეს გზა ახალ, ფეოდალურ საზოგადოებას. ამ უკანასკნელმა კი დასრულებული სახე ფრანკთა მონარქიაში მიიღო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IV

ფეოდალიზმის განვითარება ფრანკთა სახელმწიფოში

§ 1. მეროვინგების ფრანკთა სამეფო

ფრანკების პირველი ცნობები წყაროში გვხვდება III საუკუნეში. მათ წინაპრებად მოიხსენიებიან გერმანელი ტომები – ბატავები, ხავკები, სიკამრები.

სახელწოდება ფრანკი III საუკუნისათვის, მდინარე რაინის მარჯვენა სანაპიროზე, მაინიდან ჩრდილოეთ ზღვამდე მცხოვრებ, ყველა გერმანელ ტომთა გაერთიანების საერთო სახელს წარმოადგენდა. ფრანკი – ეს სახელი წარმოდგება სიტყვისაგან Frei და ნიშნავს თავისუფალს, ან მამაცს, ნაწილი ამ სიტყვის წარმომავლობას იღებს სიტყვიდან ფრაკ, რაც ნიშნავს ბარბაროსს.

პირველი წყარო, რომლიც იძლევა ცნობას ფრანკთა შესახებ, არის III საუკუნის რომაული გზამკვლევი – „პოიტინგერის ტაბულა" – (Tabula Itsheraria Peutingeriana).

ფრანკთა ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს VI საუკუნის II ნახევარში შექმნილი გრიგოლ ტურელის (540-594) ნაშრომი „ფრანკთა საეკლესიო ისტორია" ათ წიგნად.

გრიგოლი ეკუთვნოდა წარჩინებულ გალო-რომაელთა გვარს და იყო ტურის ეპისკოპოსი. მისი ნაშრომი პროვიდენციალური ხასიათისაა, საერო ისტორია, რომელიც ვითარდება ამ ნაშრომში, არის ღვთის განგებით განსაზღვრული.

გრიგოლ ტურელის ნაშრომის გვერდით ფრანკთა ისტორიის საუკეთესო წყაროებია „ფრედეგარიუს სქოლასტიკოსის ქრონიკა" (VII ს.) და მისი გამგრძელებლები – „ფრედეგარიუს სქოლასტიკოსის ქრონიკის გაგრძელებანი" (VIII ს.).

III საუკუნის მიწურულს გერმანელი ტომები გადავიდნენ რაინის მარცხენა სანაპიროზე. რომაელი ისტორიკოსები გერმანელთა მსხვილ გაერთიანებას, რომლებიც გამოვიდნენ მდ. რაინის მარცხენა სანაპიროზე, ფრანკებს უწოდებენ. ფრანკები იყოფოდნენ ორ შტოდ: ზღვისპირა ტომები – სალიელი ფრანკები (Sal – ლათინურად მარილიან წყალს, ზღვას ნიშნავს) და რაინის ნაპირზე მცხოვრები ფრანკები – რიპუარები (Ripa – ლათინურად ნიშნავს ნაპირს).

სალიელი ფრანკები მდინარე რაინის დელტაში ცხოვრობდნენ, რიპუარები უფრო სამხრეთით, რაინსა და მაასის სანაპიროზე. ფრანკები ხშირად გადადიოდნენ რაინის მეორე სანაპიროზე და თავს ესხმოდნენ რომაელთა სამფლობელოებს გალიაში. თანდათანობით ფრანკთა მტრული დამოკიდებუ-

ლება რომაელებთან იცვლება. 451 წელს კატალაუნის ველზე ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი რომაელთა მხარეს იბრძოდნენ.

V საუკუნეში ფრანკებმა დაიკავეს ჩრდილო-აღმოსავლეთ გალია. ეს ტერიტორია რომის იმპერიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა, რომელსაც ფრანკთა ბელადები განაგებდნენ. ფრანკთა ბელადებიდან ცნობილია მეროვეი, რომელიც იბრძოდა კატალაუნის ველზე ატილას წინააღმდეგ. მის სახელს უკავშირდება მეროვინგეთა სამეფო დინასტიის წარმოშობა.

მეროვეის ვაჟი ხილდერიკი სალიელთა ერთ-ერთი ტომის მეფე იყო. მისი საფლავი ნაპოვნია ტურნეს მახლობლად.

ხილდერიკის გარდაცვალების შემდეგ ფრანკების მეფედ გამოაცხადეს მისი ძე ხლოდვიგი, რომელიც მას ტიურინგების მეფის ცოლის ბაზინასაგან შეეძინა. ხილპერიკმა 8 წელი გაატარა ტიურინგიაში, თავისი ქვეყნიდან გაძევებულმა და უკან მობრუნებულს თან გამოჰყვა დედოფალი ბაზინა, რომელიც მისი ცოლი შეიქნა.

ხლოდვიგის სახელთანაა დაკავშირებული ფრანკთა ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები. ის, როგორც მისი წინაპრები, სალიელი ფრანკების მეფე იყო. მისი მეთაურობით ფრანკებმა თითქმის მთელი გალია დაიკავეს. 486 წელს სალიელმა ფრანკებმა ფრანკთა სხვა მეფესთან რაგნახართან ერთად დაიპყრეს სუასონის ოლქი პარიზის ცენტრით, რომელსაც მართავდა რომაელი სარდალი — სიაგრიუსი. სიაგრიუსმა ვერ შეძლო მათთვის წინააღმდეგობის გაწევა და ვესტგოთების სამეფოს შეაფარა თავი. ვესტგოთებმა გასცეს იგი. ხლოდვიგმა მოაკვლევინა რომაელი სარდალი.

მალე ფრანკთა მეფემ მიითვისა უზარმაზარი ტერიტორია მდინარეებს სენასა და ლუარას შორის.

V საუკუნის მიწურულს ხლოდვიგმა გაილაშქრა გერმანელი ტომების ალემანების წინააღმდეგ, რომლებიც განდევნა გალიიდან. ალემანები ოსტგოთების მეფის მფარველობის ქვეშ შეეხიდნენ.

ამ ომების შემდეგ ხლოდვიგმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რამაც დიდად განსაზღვრა ფრანკთა მომავალი. ეს იყო ხლოდვიგის ნათლობა. 496 წელს ხლოდვიგი მოინათლა 3000 ფრანკთან ერთად. მისი ნათლობა სრულიად განსხვავდებოდა სხვა ბარბაროსი ტომების ნათლობისაგან. ვესტგოთები, ოსტგოთები, ვანდალები და ბურგუნდელები არიანელები იყვნენ. ისინი უარყოფდნენ რომის ეკლესიის დოგმატებს. ფრანკებმა კი ქრისტიანობა გალო-რომაელი ეპისკოპოსებისაგან მიიღეს. ხლოდვიგმა ქრისტიანობის მიღებით ძლიერი მხარდამჭერი მოიპოვა რომის ეკლესიის სახით.

ხლოდვიგი განსხვავებით სხვა ბარბაროსებისაგან, კარგ ურთიერთობას ამყარებს რომის აღმოსავლეთ იმპერიასთან. გრიგორი ტურელის გადმოცემით, — აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა ანასტასიუსმა ხლოდვიგს კონსულის წოდება უბოძა. ტურში წმ. მარტინის ბაზილიკაში ხლოდვიგი შეი-

მოსა პორფირით და დაიდგა თავზე გვირგვინი, შემდეგში გარეთ გამოსული ცხენზე ამხედრდა, იქ შეკრებილ ხალხს – ოქრო და ვერცხლი დაურიგა და გაემართა პარიზისაკენ. პარიზში გადაიტანა მან სამეფო ტახტი Catedra regni, თავისი სამეფო რეზიდენცია (პფალცი).

VI საუკუნის დამდეგს ხლოდვიგმა მოაწყო ლაშქრობა სამხრეთ გალიაში – ვესტგოთების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ფრანკებს მხარი დაუჭირა რომის ეკლესიამ. 507 წელს პუატიესთან ბრძოლაში მათ სასტიკად დაამარცხეს ვესტგოთები ალარიხ II-ის მეთაურობით და დაიკავეს მთელი აკვიტანია.

ასე ჩამოყალიბდა ფრანკთა სახელმწიფო, რომელმაც ყოფილი რომაული გალიის (დღევანდელი საფრანგეთის) ტერიტორია დაიკავა. შემდგომში, ხლოდვიგის ვაჟების მმართველობის დროს, ფრანკთა სამეფომ ბურგუნდიაც შეიერთა.

საზოგადოებრივი წყობა ფრანკებში. ფრანკთა საზოგადოებრივი წყობის შესასწავლად საისტორიო ქრონიკებთან ერთად მნიშვნელოვანი წყაროებია კანონთა კრებულები და მეფეთა მიერ გამოცემული კანონები, რომელთაც კაპიტულარები ეწოდებოდათ, ასევე სიგელები და ფორმულარიები. ამ კანონთა კრებულებს შორის უმთავრესად ითვლება „სალიკური სამართალი“ (Lex Salica). ეს კანონი წარმოადგენს სალიელ ფრანკთა ადათ-ჩვეულებების კრებულს. სალიკური სამართალი ჩაწერილია V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისში, ხლოდვიგის მეფობის დროს. მიუხედავად ამისა, მასში აისახა ფრანკთა წყობა უძველესი დროიდან გალიის დაპყრობებამდე. მკვლევართა აზრით, სალიკური სამართლის რამდენიმე რედაქცია არსებობს. VI-VIII საუკუნეებში მეფეები ამატებდნენ კრებულს სხვადასხვა მუხლებს. მართალია, სალიკური სამართალი დაწერილია სალიელი ფრანკებისათვის, რომლებიც ფრანკების მხოლოდ ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდნენ, მაგრამ იგი შეეხება, აგრეთვე სხვა ბარბაროს ხალხებსაც და რომაელებსაც, რომლებიც ფრანკებთან ცხოვრობდნენ.

სალიკური სამართალი დაყოფილი იყო თავებად (ტიტულებად), ყოველი თავი პარაგრაფებად. თავების უმეტესობა შეეხება ჯარიმებსა და გადასახადებს ქურდობებზე. არსებობდა ასევე თავები: „მკვლელობაზე და და სხვისი ცოლის მოტაცებაზე“, „თუ ვინმე შეეხო თავისუფალ ქალს...“ „ოთხფეხა პირუტყვის და ადამიანის მოკვლა“, „სიტყვიერი შეურაცხყოფა“ და სხვ.

სალიკური სამართალი იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ფრანკთა მეურნეობა უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ძველი გერმანელების. ფრანკთა მეურნეობაში მნიშვლოვანი ადგილი ეკავა მეცხოველეობას. სამართალის კრებულში დაწვრილებით არის აღნუსხული თუ რა გადასახადი (ჯარიმის სახით) ეკისრებოდა პიროვნებებს პირუტყვის მოპარვის შემთხვევაში.

სალიკური სამართალი მოწმობს ფრანკებში განვითარებული მეურნეობის სხვადასხვა დარგების არსებობას – ფრანკები მისდევდნენ მეურნეობის შემდეგ დარგებს: მებაღეობას, მესაქონლეობას, მელვინეობას, მეფუტკრეო-

ბას, მონადირეობას, ხელოსნობას, მაგრამ მთავარი როლი ფრანკთა შეერნეობაში მიწათმოქმედებას ეკავა.

ფრანკთა საზოგაოებაში ყველა თავისუფალ ფრანკს ჰქონდა საკუთარი კარ-მიდამო, რომელიც წარმოადგენდა კერძო საკუთრებას. ეს აძლევდა საფუძველს ისტორიკოსებს ფიუსტელ დე-კულანჟსა და ალფონს დოპშს, რომ განეცხადებინათ – ფრანკებში რომაული ფორმის კერძო საკუთრების არსებობის შესახებ. მათი აზრით, ყოველი მიწა იყო ალოდი, ე.ი. კერძო საკუთრება.

ჩვენთვის ცნობილია ტაციტუსის დროინდელი ცნობები, რომლის მიხედვითაც ძველ გერმანლებში მიწა არ შეადგენდა კერძო საკუთრებას, მას ფლობდნენ ცალ-ცალკე დიდი ოჯახები და ინაწილებდნენ პერიოდულად. სალიკური სამართლის მიხედვით მიწის ნაკვეთებს ფლობენ არა დიდი ოჯახები, არამედ ცალკე თავისუფალი ფრანკები, მაგრამ ტყე და მინდორი იყო საერთო საკუთრებაში. მემკვიდრეობით მიღებული ნაკვეთების თავისუფალი განკარგვის უფლება ჰქონდა მთელ თემს. პირადი საოჯახო საკუთრება მიწაზე ჩაისახა მხოლოდ V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნეში. ამაზე მეტყველებს „სალიკური სამართლის“ 59-ე თავი – „ალოდის“ შესახებ, რომლის თანახმადაც მიწა გადიოდა მემკვიდრეობით საკუთრებაში. ის მხოლოდ ვაჟიშვილს გადაეცემოდა. ქალიშვილს მიწა არ გადაეცემოდა. თუ მესაკუთრეს ვაჟიშვილი არ რჩებოდა მემკვიდრედ, მიწის ნაკვეთი უბრუნდებოდა თემს და გადიოდა მეზობელთა საკუთრებაში.

ფრანკებში სამეზობლო თემის არსებობას ადასტურებს სალიკური სამართლის XLV თავი – „გადასახლებულთა შესახებ“. ამ თავის თანახმად თუ ვინმე მოისურვებდა დასახლებულიყო სხვა ვილაში (სოფელი), ამისათვის მას უნდა მიეღო მეზობლების თანხმობა. საკმარისი იყო წინააღმდეგი ყოფილიყო ერთი მოსახლეც, მას ეკრძალებოდა იქ დასახლება. მას აძლევდნენ ვადას – 30 ღამის განმავლობაში უნდა დაეტოვებინა სოფელი. თუ ამის შემდეგ ხიზანი თავისი ნებით არ წავიდოდა, მას სასამართლოთი აიძულებდნენ და მეფის მოხელე ვალდებული იყო გაეგდო ხიზანი.

თუ ხიზნის დასახლების წინააღმდეგ 12 თვის მანძილზე არავინ გამოთქვამდა უკმაყოფილებას, ხიზანი ხელშეუხებელი რჩებოდა. როგორც ჩანს, ეს ხიზანი რჩებოდა სოფელში, რომელიც სხვა საგვარეულო კავშირს ეკუთვნოდა, სახლდებოდა ცარიელ მიწაზე. ეს ფაქტი ამტკიცებს საგვარეულო თემის რღვევის პროცესსა და სამეზობლო თემის ჩამოყალიბებას, სადაც მიწის ნაკვეთები ოჯახების პირად საკუთრებაშია, მაგრამ, ამავე დროს, არსებობს თემის საკუთრება ტყეზე, მინდვრებზე, საძოვარზე და ა.შ.

ფრანკების სამართალში ჯერ კიდევ თვალნათლივ არის შემორჩენილი სისხლით ნათესაური კავშირები. სალიკური სამართლის XII თავის მიხედვით, ფრანკის მოკვლის შემთხვევაში ვერგელდის ნახევარი მოკლულის ვაჟებს, ხოლო მეორე ნახევარი მის ახლო ნათესავებს გადაეცემოდა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც დედის, ისე მამის მხრიდან. ფრანკებში ნათესაური კავშირი მეექვსე თაობით მთავრდებოდა.

სალიკური სამართლის LVIII თავი „მუჭა მიწის შესახებ" შეეხება ნათესაური გვარის არსებობას, მაგრამ ასევე ასახავს მისი რღვევის პროცესს. მაშინ, როდესაც გვარი და ნათესავები ვერ იხდიან ვერგელდს – „მან მუჭა მიწა უნდა შეაყაროს რომელსამე უფრო შეძლებულს, რათა მან მთელი გადასახადი გადაიხადოს შეძლებისდაგვარად".

ფრანკთა საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია დაწყებული იყო. საზოგადოებაში არსებობდა სხვადასხვა ფენა, რომელთაც განსხვავებული ეკონომიკური პირობები ჰქონდა და უფლებრივადაც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. სოციალური უთანასწორობის დამადასტურებელია „სალიკურ სამართალში ვერგელდის სხვადასხვა რაოდენობის დაწესება, თავისუფალი მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისათვის.

მეფის მოხელის მოკვლისათვის მკვლელს უნდა გადაეხადა 600 სოლიდი, თავისუფალი ფრანკისათვის 200 სოლიდი, ნახევრად თავისუფალი ლიტისათვის 100 სოლიდი. ასევე იყო ფრანკებში მონები, რომლეთა მოკვლისათვის არ იყო გამოსასყიდი – ვერგელდი, არამედ ჯარიმა 30 და 35 სოლიდამდე, რომელსაც მკვლელი უხდიდა მონის პატრონს.

ფრანკების საზოგადოებაში კერძო საკუთრების ჩამოყალიბების პროცესი ალოდის სახით ქმნიდა პირობებს მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოშობისათვის. ხლოდვიგის დროს მსხვილი მიწათმფლობელობის წყაროს ომებიც წარმოადგენდა. ის უხვად ასაჩუქრებდა თავის ამალას და მოლაშქრეებს მიწის ნაკვეთებით.

სამეფო ხელისუფლება ფრანკებში. V-VI საუკუნეებში ფრანკებში სამხედრო ბელადების ხელისუფლება თანდათან გარდაიქმნა სამეფო ხელისუფლებად. პირველი მეროვინგები მემკვიდრეობით გადასცემენ სამეფო ხელისუფლებას.

VI საუკუნის გრიგოლი ტურელის ქრონიკაში ხლოდვიგის შესახებ გადმოცემული ერთი ცნობა სწორედაც მაგალითია იმის, თუ როგორ გახდნენ მეროვინგები სამხედრო ბელადებიდან მეფეები.

ამ ცნობის თანახმად სუასონის აღების დროს ფრანკებს ხელში ჩაუვარდათ ერთ-ერთ ეკლესიიდან ძვირფასი ბარძიმი. რეიმსის ეპისკოპოსმა თხოვნით მიმართა ხლოდვიგს – დაებრუნებინა ეკლესიისათვის ეს ნივთი. ხლოდვიგი დათანხმდა, უთხრა, რომ ბარძიმს დაუბრუნებდა ნადავლის განაწილების შემდეგ, თუ მას შეხვდებოდა წილის ყრის დროს. ხლოდვიგმა მიმართა თავის მოლაშქრეებს გადაეცათ მისთვის ეს ბარძიმი, რათა დაებრუნებინათ ეპისკოპოსისათვის. მეომრები დაეთანხმნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ჯერ კიდევ ახსოვდათ ის დრო, როდესაც მეფე მოვალე იყო ნადავლი გაეყო მათთან ერთად წილის ყრით. ამის გამო ერთი მეომარი არ დაეთანხმა დანარჩენებს და თავისი ნაჯახით გააპო ბარძიმი, შემდეგი სიტყვებით: „აქედან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერაფერს მიიღებ, გარდა იმისა, რაც შეგვხვდება წილის ყრით“. მეფემ აიღო გაპობილი ბარძიმი და გადასცა ეპისკოპოსის წარმომადგენელს. ამ ამბის თხრობის დასასრულს გრ. ტურელი დასძენს: ერთი წლის შემდეგ, როდესაც ხლოდვიგმა შეკრიბა თავისი ლაშქარი მარტის ველზე, მისი მომზადების შესამოწმებლად, ივი მივიდა ამ დაუმორჩილებელ ჯარისკაცთან და დაუწუნა იარაღი. მეფემ გამოგლიჯა მას საბრძოლო ნაჯახი და თავი გაუპო, თანაც ხმამაღლა მიმართა: „ასე მოეპყარი შენ სუასონის ბარძიმს“. შემდეგ დანარჩენებს უბრძანა დაშლილიყვნენ. ამით მეფემ დემონსტრაცია გაუკეთა თავის განსაკუთრებულ ძალაუფლებას.

ხლოდვიგი ყველა ღონეს ხმარობდა თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად. ივი ცბიერ პოლიტიკას ატარებდა როგორც თავისი მოკავშირეების, ასევე მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ. გრიგოლ ტურელის გადმოცემით, მან თავის მოკავშირეს რიპუარების მეფეს სიგებერტის შვილს ხლოდერიხს შეუთვალა „მამაშენი მოხუცია და ამასთან, კოჭლობს. თუ ის მოკვდება, მისი სამეფო და ჩვენი მეგობრობა შენზე გადმოვა“.

ხლოდერიხი დახარბდა ხლოდვიგის წინადადებას, მამა მოკლა და ხლოდვიგს აცნობა – „მამაჩემი გარდაიცვალა და მისი მიწები არის ჩემს ხელში. გამოაგზავნე ვინმე შენი წარჩინებულიდან. მე სიხარულით დაგითმობ იმას, რაც მოგესურვება ჩემი სიმდიდრიდან“. ხლოდვიგმა გაგზავნა თავისი წარმომადგენლები, რათა დაეთვალიერებინათ მისი საგანძური. დათვალიერებისას ერთ-ერთმა მისმა წარმომადგენელმა მოკლა ახალგაზრდა მეფე. ამის შემდეგ ხლოდვიგი გამოცხადდა კიოლნში, შეკრიბა ხალხი და მიმართა: მომისმინეთ, რა მოხდა, როდესაც მე მდინარე შელდაზე მოვცურავდი, ხლოდერიხმა, ჩემი ნათესავის შვილმა მოაკვლევინა მამა ბუკონიის ტყეში. ის თვითონაც მოკლულ იქნა, როდესაც მამის ქონებას აგროვებდა, არ ვიცი ვის მიერ. მე საერთოდ არ ვმონაწილეობდი ამ ამბებში. არ შეიძლება ჩემი ნათესავების სისხლის დაღვრა. მაგრამ, რადგანაც უკვე ეს ყველაფერი მოხდა, მე გთავაზობთ რჩევას, რომელსაც თუ მიიჩნევთ, სასარგებლოდ მიიღეთ. შემოდით ჩემი მფარველობის ქვეშ.

ხალხმა თანხმობა უთხრა და ის აიყვანეს ფარზე, როგორც იყო ეს წესად მეფედ გამოცხადების დროს.

ასევე მოექცა ხლოდვიგი სალიელი ფრანკების ერთ-ერთ მეფეს ხარარიკს. მან ის თავის შვილთან ერთად მოტყუებით ჩაიგდო ხელში და ორივე ბერად აღკვეცა. მოგვიანებით ორივე მოაკვლევინა.

გრიგოლ ტურელი ასეთივე მეთოდებით ხლოდვიგის მიერ კამბრეს ფრანკების ბელადების რაგნარახისა და მისი ძმის რიხარის თავიდან მოცილების თხრობისას, დასძენს: „ღვთის განგებით ხლოდვიგის მტრები ყოველდღიურად მისი ხელით ეცემოდნენ და მისი სამეფო ფართოვდებოდა, რადგანაც გული მისი იყო გახსნილი და საქმენი მისი ღმერთს ემსახურებოდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეროვინგების ფრანკთა სამეფო ხელისუფლება გაძლიერდა ხლოდვიგის ძლიერი დამპყრობლური პოლიტიკით, ასევე რომის ეკლესიის თანადგომითა და ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლების განვითარებით. ყველა მიწა, რომელიც მეროვინგებმა დაიმორჩილეს გალიის დაპყრობისას, მეფემ თავის საკუთრებად გამოაცხადა. გარდა მამულებისა, მისი ხელისუფლების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო სასამართლო ჯარიმები, რომელთა 1/3 ნაწილი სახელმწიფოსთვის იყო განკუთვნილი.

მეფესთან ერთად გარკვეული ქონება ხელში ჩაუვარდათ მის თანამდგომებს, მასთან დაახლოებულ პირებს. ისინი წარმოშობით იყვნენ, როგორც ფრანკები, ასევე გალო-რომაელები.

ფრანკების მეფეებს არ ჰქონდათ მუდმივი რეზიდენცია – სატახტო ქალაქი. მეფის რეზიდენცია გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეში. მაგრამ მეფეს ჰყავდა თავისი ამალა, არსებობდა სამეფო კარის მოხელეები. თავდაპირველად სამეფო კარის მოხელეს სენეშალი (უფროსი მონა ეწოდებოდა), შემდეგში მის ნაცვლად ჩნდება მაიორდომის – სახლთუხუცესის სახელწოდება. სამეფო კარზე იყვნენ სხვა მოხელეებიც. მარშალი – მეჯინიბეთუხუცესი, რეფერენდარუში – კანცელარიის მოხელეები, პფალცგრაფები, რომელნიც აღჭურვილნი იყვნენ მსაჯულის ფუნქციებით სასახლესთან არსებულ ტრიბუნალში.

ფრანკთა მონარქია დაყოფილი იყო ოლქებად და ასეულებად. თითოეულ ოლქს მეფის მიერ დანიშნული მოხელე – გრაფი მართავდა, ასეულს – კი ცენტენარიუსი და ასეულების სასამართლოს კრების – მალუსის მიერ არჩეული თავმჯდომარე ტუნგინი. მეფის კარზე იყვნენ ასევე განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი მოხელეები – საცებარონები, რომელთაც ევალებოდათ საგრაფოებსა და ასეულებში მოხელეთა საქმიანობის ზედამხედველობა და ადგილებზე შემოწმება. მეროვინგების ფრანკთა სამეფოს დაყოფა განსხვავებით, მისი ადრეული პერიოდისაგან, როდესაც ის ემყარებოდა გვაროვნულ-ტომობრივ საფუძველს, ამჯერად იყო ტერიტორიული ხასიათის.

ფრანკებში ძველი ტრადიციების თანახმად, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი საერთო კრებები, რომელსაც მეფე იწვევდა გაზაფხულზე, შეიარაღებული ხალხის მზადყოფნის შემოწმების მიზნით. ეს შეკრება „მარტის მინდორის“ სახელით იწოდებოდა. უფრო მნიშვნელოვანი იყო შემოდგომის კრება, რომელსაც ყოველწლიურად იწვევდა მეფე. მას ესწრებოდნენ მსხვილი მიწათმფლობელები. ამ კრებაზე მეფე მათ თავის გადაწყვეტილებებს უზიარებდა და იღებდა კიდევაც მათგან რჩევებს.

ფრანკთა სამეფო ხლოდვიგის გარდაცვალების შემდეგ. 511 წელს 45 წლის ასაკში გარდაიცვალა ხლოდვიგი. ხლოდვიგის სამეფო გაიყო მისმა ოთხმა ვაჟმა. თეოდორიხ I-მა მიიღო იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი – რეიმსის ცენტრით, ხლოდომერმა ჩრდილოეთ აკვიტანია ორლეანის ცენტ-

რით, ხილდებერტმა მიიღო სენასა და ლუარას შორის მიწები – პარიზის ცენტრით, ხოლო ხლოტარ I-ს ერგო მიწები სუასონის ცენტრით.

ხლოდვიგის შვილებმა გააგრძელეს მამის დაპყრობითი პოლიტიკა. პირველი შეტევა მათ ტიურინგიაზე განახორციელეს, ხოლო მოგვიანებით ბურგუნდიაც შემოიერთეს.

VI საუკუნიდან – ფრანკები დასავლეთ ევროპის კონტინენტზე მიმდინარე მოვლენების შუაგულში ხვდებიან. ისინი ცდილობენ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენონ ბარბაროსულ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე კონფლიქტები.

როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა რომის ძველი იმპერიის აღდგენა დაისახა მიზნად და ბარბაროსულ სახელმწიფოებს შეუტია, ხლოდვიგის შვილიშვილმა თეოდობერტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბიზანტიასა და ოსტგოთებს შორის გამართულ ბრძოლაში. თეოდობერტმა დახმარება აღუთქვა ოსტგოთების მეფეს თეოდატს, აიღო მისგან დიდი თანხა, მაგრამ იგი იბრძოდა როგორც ბიზანტიელების, ასევე ოსტგოთების წინააღმდეგაც. მან დაარბია იტალიის ჩრდილეთი და წაართვა ოსტგოთებს ბავარიისა და ალემანების საჰერცოგო.

ფრანკთა ერთიანი მონარქია თანდათან სუსტდება, რის მიზეზსაც წარმოადგენდა ცალკეული მხარეების მმართველთა ძალაუფლების ზრდა და თვით სამეფო საგვარეულოს შიგნით მიმდინარე ბრძოლები. VI საუკუნის II ნახევარში, სამეფოს ხელახალი გადანაწილებისას, უკვე ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი ერთეული, თუმცა პარიზი გაუყოფელი რჩებოდა. ასე რომ, ფრანკთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოიშვა სამი სამეფო: ავსტრაზია, ნეისტრია და ბურგუნდია. ავსტრაზიის დედაქალაქი იყო ქალაქი მეცი და მასში შედიოდა ფრანკთა სახელმწიფოს აღმოსავლეთი ნაწილი; დასავლეთის მიწებზე მდ. ლუარამდე და სენის სანაპიროებზე – ნეისტრია, დედაქალაქი სუასონი. ბურგუნდიაში შედიოდა მდ. საონასა და რონას ველებზე მდებარე მიწები და დედაქალაქი იყო ორლეანი. ერთგვარი დამოუკიდებლობა ჰქონდა აკვიტანიასაც, მას ხშირად ინაწილებდნენ ფრანკთა მეფეები.

ეს ახლად შექმნილი სამეფოები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ეთნიკური შემადგენლობითაც და სოციალური წყობითაც. ავსტრაზიაში ძირითადად ცხოვრობდნენ ფრანკები და სხვა გერმანელი ტომები, აქ ნაკლები იყო გალო-რომაული გავლენა და VIII საუკუნემდე ინარჩუნებდა ძველ თემურ წყობას, სადაც დიდ როლს ასრულებდნენ ალოდის მფლობელი წვრილი მიწათმფლობელები.

ნეისტრიის ტერიტორია ჯერ კიდევ ფრანკთა დაპყრობამდე განიცდიდა რომაული კულტურის გავლენას, აქ მცხოვრები გალო-რომაელები მალევე შეერწყნენ ფრანკებს. აქ VI-VII საუკუნეებში უკვე არსებობდა მსხვილი საერო და საეკლესიო მიწათმფლობელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურგუნდიასა და აკვიტანიაში, სადაც ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო გალო-რომაული მოსახლეობა და მალევე შეერწყნენ ბურგუნდებსა და ვესტგოთებს, ხოლო მოგვიანებით ფრანკებს შემორჩათ წვრილი თავისუფალ მეთემეთა და საშუალო მიწათმფლობელობა. აქ განსხვავებით ნეისტერიისაგან, საეკლესიო მიწათმფლობელობა სუსტი იყო.

ხლოდვიგების მემკვიდრეთა შორის მიმდინარე ბრძოლებში მეროვინგეთა დინასტია კარგავს თავის ძალაუფლებას ერთიან ფრანკთა სამეფოზე. ფრანკების ქრონიკებში მრავალი ასეთი დაპირისპირებაა ასახული. გრ. ტურელი მოგვითხრობს ხლოდვიგის შვილების დიტრიხისა და ხლოტარის არსებულ ქიშპზე ქონებისა და მიწების დასაკუთრების მიზნით. ფიუსტელ დე კულანჟის აზრით, ხლოდვიგის მემკვიდრეების ხელში არსებული ძალაუფლება დასუსტებულია, ამის მაგალითებად ის ასახელებს 581 წლით გრ. ტურელის მიერ დათარიღებულ მოვლენას, როდესაც მეფისგან ითხოვენ ფრანკები (როგორც ჩანს არმია) ომს სიმდიდრის მოპოვების მიზნით, მეფეც იძულებულია მიიღოს მათი წინადადება, თუმცა ომის ობიექტს თვითონ არჩევს, ასევე 556 წელს, როდესაც ხლოტარმა საქსებთან ბრძოლის დროს გადაწყვიტა დათანხმებოდა საქსების მიერ შემოთავაზებულ ზავს არ გაეგრძელებინა ომი, „მაშინ ფრანკები, ხლოტარზე განაწყენებულნი, თავს დაესხნენ მას, დაარბიეს მისი კარავი“ და მოითხოვეს მისგან ომის გაგრძელება, ასევე იყო ლიმოჟის აჯანყების (579 წ.) სახელით ცნობილი მოვლენისას, თუმცა ამის საპირისპიროდ, იყო შემთხვევები, როდესაც მეფეებს მიჰყავთ ჯარი, სადაც და როგორც მათ სურთ, ფიუსტელ დე კულანჟი მეფეების ამდაგვარი საქციელის ორმოცზე მეტ შემთხვევაზე მიუთითებს. მისი აზრით, დაპირისპირება იყო ხლოდვიგის მემკვიდრეებს შორის ძალაუფლების გაძლიერებისა და თავიანთი სამფლობელოების გაფართოების მიზნით და სწორედაც ამ ომებში სუსტდებოდნენ ისინი და არ ყოფილა რაიმე, ე.წ. ნაციონალური ან პოლიტიკური თავისუფლებისა თუ სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლები.

თუკი სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი დაეცა ხალხის თვალში, ამის მიზეზი თვით სამეფო დინასტიაა. ფიუსტელ დე კულანჟის აზრით, „მეფის ხელისუფლების განსახორციელებლად მეროვინგებს არ ჰქონდათ არც საკმარისი ღირსება და არც საკმარისი ჭკუა-გონება“. ცნობილია მათი დანაშაულებრივი ქმედებანი. ხლოდვიგმა დახოცა ერთმანეთის მიყოლებით თავისი ნათესაობა, ხლოტარმა და ხილდებერმა საკუთარი ხელით მოკლეს თავიანთი ძმისწულები...

ფრანკთა სამეფოების დაპირისპირების მაგალითებიდან ყველაზე ფართოდ ცნობილია ავსტრაზიის მეფის სიგიბერტის მეუღლის ბრუნიხილდესა და ნეისტრიის მეფის ხილპერიკის მეუღლეს ფრედეგუნდას შორის გამართული დაუნდობელი ბრძოლა, რომელსაც „ორის დედოფლის ომს“ უწოდე-

ბენ. ომის მიზეზი გახდა ნეისტრიის მეფის ხილპერიკის მიერ, თავისი საყვარლის ფრედეგუნდას ჩაგონებით, რომელიც მოგვიანებით თვითონ გახდა დედოფალი, დედოფალ ჰალესვინტას მოკვლა, ჰალესვინტა იყო ბრუნიხილდეს და. ამ ბრძოლას სამეფო დინასტიის 10 წევრი შეეწირა. ბრუნიხილდე, რომელიც ფრედეგუნდას სიკვდილსაც მოესწრო და თავის ქვეყანას მართავდა თავისი ვაჟის სახელით, 80 წლის ასაკში შეიპყრეს და წამებით მოკლეს, (ცხენის კუდზე გამოაბეს). ამ ომის დამთავრების შემდეგ, 613 წელს, მთელს ფრანკთა სამეფოში გაერთიანდა და ხელისუფლება გადაეცა ფრედეგუნდესა და ხილპერიხის ვაჟს ხლოტარ II-ს.

614 წელს ხლოტარ II-ემ გამოაქვეყნა ედიქტი, რომლიც სამეფოს გაერთიანების მიუხედავად, ცენტრალური ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა საერო და საეკლესიო მიწათმფლობელებთან და ადგილობრივ არისტოკრატიასთან. მეფე იღებდა ვალდებულებას ამიერიდან მხარეების მმართველად, გრაფებად დაენიშნა ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელი, ასევე მეფის მიერ ადრე ნაბოძები მამულები მსხვილმიწათმფლობელთა სარგებლობაში რჩებოდა. ეპისკოპოსთა არჩევა უნდა მომხდარიყო თავისუფლად. მეფე კისრულობდა დაეცვა საეკლესიო ქონება და მისი სეკულარიზაცია არ უნდა მომხდარიყო.

ხლოტარ II-ის ვაჟმა დაგობერტმა მხოლოდ დროებით შეძლო ფრანკთა სამეფოს ხელისუფლების განმტკიცება. მან დაარღვია 614 წლის ედიქტი, შეეცადა აღედგინა სამეფო მიწების საკუთრება და ჩამოართვა მიწები ეკლესიას. 613 წელს წარმატებით ილაშქრა ბრეტონისა და ბასკების წინააღმდეგ. იგი დაუკავშირდა ბიზანტიის იმპერატორს ჰერაკლეს, რათა ერთობლივად ემოქმედათ დუნაისპირა სხვა გერმანელი ტომების, ასევე ავარებისა და ბულგარების წინააღმდეგ. 623 წელს დაგობერტი დამარცხდა ვოგატისბურგთან სლავების წინააღმდეგ ბრძოლაში. სლავთა ტომებს მეთაურობდა რამოსი.

დაგობერტმა თავისი მმართველობის დროს თვითონ შეუწყო ხელი სამეფოს ხელახალ დაშლას. მან თავისი შვილები დანიშნა მეფეებად — სიგიბერტ III – ავსტაზიაში, ხლოდვიგ II — ნეისტრიაში. 639 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ 8 წლის სიგიბერტ III დარჩა ავსტრაზიის მეფედ, ხოლო 5 წლის ხლოდვიგ II ნეისტრიისა და ბურგუნდიის მეფედ, თავისი დედის ნანტჰილდეს მეურვეობით.

დაგობერტ I, რომელიც დაკრძალეს სენ-დენში (სენ-დენი წარმოადგენდა, როგორც ფრანკთა, ასევე მომავალში საფრანგეთის სამეფო ოჯახის საძვალეს) იყო უკანასკნელი ძლიერი მეფე მეროვინგთა დინასტიიდან. მისი სახელი შემონახულია ლეგენდებსა და სხვა გადმოცემებში, სადაც ის ,,კეთილ მეფედ მოიხსენიება".

VII საუკუნის შუა ხანებში თანდათან ერთმანეთს დასცილდა ფრანკთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეფოები. თვით მეფეების ხელისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებამ დაკარგა ძალა და ქვეყნის მართვა ხელში ჩაუვარდა სამეფო კარის მოხელეებს – სახლთუხუცესებს (მაიორდომებს). ფრანკების მემატიანე აღნიშნავს: მეფეს ისღა დარჩენოდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ტიტულით, გრძელი თმებითა და მოშვებული წვერით. ივი მხოლოდ განასახიერებდა მეფეს, მოესმინა სხვადასხვა მხრიდან მოსული ელჩებისათვის და გამოთხოვნებისას მიეცა მათთვის წინასწარ გაზეპირებული და ნაკარნახევი პასუხები თავისი სახელით.

ქვეყნის მართვა და ყველაფერი, რაც ეხებოდა ქვეყნის საშინაო და საგარეო მოწყობის საკითხებს, იყო მაიორდომების ხელში".

როგორც ზემოთ მოტანილი ტექსტიდან ჩანს, ყველა მნიშვნელოვან საკითხს სამეფოში მაიორდომები განაგებდნენ (ჩვეულებრივ სამი მაიორდომი იყო, ნეისტრიას, ავსტრაზიასა და ბურგუნდიას ჰყავდა თავისი მაიორდომი). ისინი თავდაპირველად იყვნენ სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც განაგებდნენ სამეფო კარს. მოგვიანებით ისინი მსხვილი მიწათმფლობელები გახდნენ. ისინი წარმოადგენდნენ სამხედრო მეთაურებსა და ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელების წინამძღოლებს. ფრანკთა მაიორდომები განუწყვეტლივ ბრძოლებს აწარმოებდნენ ერთმანეთთან პირველობისათვის.

მეროვინგების გვარის მეფეები, რომელთაც დაკარგული ჰქონდათ ყოველგვარი რეალური ხელისუფლება, მაიორდომების მიერ ინიშნებოდნენ, ამასთანავე, გადასახადის აკრეფასაც მაიორდომები ხელმძღვანელობდნენ, ამიტომ თანამედროვენი ამ მეფეებს „ზარმაცი მეფეების" სახელით მოიხსენიებდნენ.

მაიორდომების ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, 687 წელს ბრძოლაში ავსტრაზიის მაიორდომმა პიპინ ჰერისტალიელმა დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე ნეისტრიის მაიორდომი (რომელმაც ადრე მოახერხა ბურგუნდიის შემოერთება) და მთელი სამეფოს ერთადერთი მმართველი გახდა, თუმცა ნომინალურად ტახტზე ისევ დარჩნენ მეროვინგების გვარის „ზარმაცი მეფეები". პიპინი, ქვეყნის მართვის საჭის ხელში ჩაგდებისთანავე იწყებს ზრუნვას მისი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის გაძლიერებაზე. მან წარმატებას მიაღწია ფრიზებთან, ალემანებსა და ბავარებთან ბრძოლაში და მათი ტერიტორიები ფრანკთა სამეფოს შემოუმტკიცა. ის სამხედრო წარმატებებთან ერთად იღვწოდა რომის ეკლესიასთან ურთიერთობის გასამყარებლად. ყოველმხრივ მფარველობდა მისიონერებს, რათა წარმატებით განეხორციელებინათ გერმანელთა სხვადასხვა ტომებში მიმდინარე გაქრისტიანების პროცესი.

§ 2. კაროლინგების ფრანკთა მონარქია

კარლოს მარტელი, მისი ომები და რეფორმები. ფრანკთა სამეფოში პიპინ ჰერისტალიელის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში მდგომარეობა მეტად გართულდა, თავი აიშვეს სეპარატისტულმა ძალებმა – საერო და სასულიერო მაგნატებმა, აკვიტანიაში იქმნება ოდოს დამოუკიდებელი საჰერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოგო; განდგომილი გერმანელი ტომები ფრანკული სამფლობელოების აოხრებას იწყებენ, საქსები თავს ესხმიან ფრანკების რაინისპირა ოლქებს, მძლავრობენ ავარები და არაბები. ამას ემატება სასახლის გადატრიალებაც. ჰერისტალიელის ქვრივმა პლექტრუდამ დაატუსაღა პიპინის „უკანონო" შვილი კარლოსი და პიპინის შვილიშვილის სახელით ქვეყნის მართვას შეუდგა.

პლექტრუდას მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 715 წელს კარლოსმა თავი დააღწია სატუსაღოს, ბრძოლაში დაამარცხა მოწინააღმდეგეები, აჯანყებული ფრიზები და ნეისტრიელები და მთელი ძალაუფლება ჩაიგდო ხელთ, ჯერ განამტკიცა პიპინიდების მაიორდომობა, ხოლო შემდეგ საფუძველი ჩაუყარა პიპინიდების, ანუ კაროლინგების გვარის სამეფო დინასტიად გადაქცევას.

კარლოსი საოცარი სიმტკიცითა და მოწინააღმდეგის მიმართ შეუბრალებლობით გამოირჩეოდა, ამიტომაც ეწოდა მარტელი (Martelus), რაც უროს ნიშნავს. იგი ქვეყანას 741 წლამდე მართავდა, თავის სურვილისამებრ ნიშნავდა და ხსნიდა დაკნინების გზაზე შემდგარ მეროვინგთა დინასტიის წარმომადგენლებს, 737 წლიდან კი მან თვითონ დანიშვნაზეც ხელი აიღო და მარტო მართავდა ქვეყანას.

კარლოს მარტელმა თავისი მმართველობის მანძილზე არაერთ სამხედრო წარმატებას მიაღწია, მან რამდენჯერმე ილაშქრა ბავარების წინააღმდეგ, მათთან ერთად კვლავ დაიმორჩილა ფრიზები, ალემანები, ტიურინგები, მათში მოსპო წარმართობა და ისევ ქრისტიანობა გააბატონა. იმავდროულად კარლოსი სასტიკად უსწორდება განდგომილ ფრანკ დიდებულებს, ანუ „გალიის ტირანებს" (ეინჰარდის სიტყვებია), ბევრ მათგანს სიკვდილით სჯის, ქონებას ჩამოართმევს და იმორჩილებს. მან ბრძოლები აკვიტანიაშიც გააგრძელა და საბოლოოდ ისიც დაიმორჩილა, ქვეყანაში ერთგვარი სტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც გახდა არაბების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის საწინდარი.

არაბები ევროპის კონტინენტზე ჯერ კიდევ 711 წელს გამოჩნდნენ და ესპანეთი დაიპყრეს. 720 წელს კი ისინი ფრანკთა სამეფოსაც მიადგნენ და იწყეს გადაადგილება მის სიღრმეებში. მათ განდგომილი ფრანკი დიდებულები ეპატიჟებოდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, აკვიტანიის ჰერცოგი ოდო. კარლოსმა ჯერ ოდო დაამარცხა, შემდეგ კი არაბებსაც შეუტია.

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა პუატიესთან 732 წლის ოქტომბერში. რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, არაბთა ცხენოსანმა ჯარმა (დაახლ. 400 ათასმა კაცმა) ვერ შეარყია ფრანკთა ქვეითი ჯარისა და რაინდების მძიმე ცხენოსანი ჯარის განლაგება, რომელსაც თვითონ კარლოს მარტელი ხელმძღვანელობდა. პირიქით კი მოხდა, ფრანკმა მებრძოლებმა ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს არაბთა ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი. არაბების მხოლოდ მცირე ნაწილმა თავს გაქცევით უშველა, ესპანეთს შეაფარა თავი. ამგვარად, კარლოს მარტელმა მოახერხა როგორც საშინაო მდგო-

მარეობის განმტკიცება, ისე გარეშე მტრების უკუგდება, თავიდან აცილება ევროპას (ესპანთის გამოკლებით) არაბთა მოსალოდნელი ბატონობა.

კარლოს მარტელის ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი როლი მიწათმფლობელობაში მომხდარმა გადატრიალებამ შეასრულა, რომელიც ასევე მის სახელს უკავშირდებოდა. საქმე ის არის, რომ კარლოს მარტელამდე, ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის პირობებში, მეფის სამხედრო მსახურებისა და მოხელეებისათვის გასამრჯელოს მიცემა ნატურის სახით, ძირითადად მიწის ნაკვეთის გადაცემით ხდებოდა. ფაქტობრივად ეს იყო მიწების კერძო საკუთრებად გასაჩუქრება, რომელიც მიწის მიმღებს, განდგომის შემთხვევაში, არაფრით არ ავალდებულებდა, მისგან მიწა სახელმწიფოს არ უბრუნდებოდა. მიწის გასაჩუქრების ეს წესი სწრაფად ამცირებდა სამეფო მიწების ფონდს. როცა კარლოს მარტელისათვის ცხადი შეიქნა, რომ შექმნილი სიტუაცია შეუძლებელს ხდიდა ბრძოლისუნარიანი ახალი შენაერთების ჩამოყალიბებას, მან საერო და სასულიერო მაგნატებს ჩამოართვა ადრე მიღებული მიწები იმ მიზნით, რომ ეს დიდებულები უფრო მეტად დაექვემდებარებინა ცენტრალური ხელისუფლებისათვის, მართალია, დაუბრუნა მათ ჩამორთმეული მიწები, მაგრამ არა კერძო საკუთრებაში, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ დროებით და პირობით მფლობელობაში. ასეთ დასაჩუქრებას **ბენეფიციუმი** (beneficium, სიტყვასიტყვით „წყალობას“ ნიშნავს) ეწოდებოდა. ეს იყო სამფლობელო, რომელიც ამა თუ იმ პირს ეძლეოდა სამხედრო სამსახურისათვის. ბენეფიციუმის მიმღები ვალდებული იყო თავისი შეიარაღებული რაზმითა და საკუთარი ხარჯით გამოცხადებულიყო ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. თუ ის პირობას დაარღვევდა, ჩამოერთმეოდა ბენეფიციუმი. ამაში მდგომარეობდა ბენეფიციუმის პირობითობა. რაც შეეხება ბენეფიციუმის დროებითობას, ეს იმაში მდგომარეობდა, რომ ბენეფიციუმის გამცემის ან მისი მიმღების სიკვდილის შემთხვევაში ხელახლა გაიცემოდა სიგელი, დამადასტურებელი იმისა, რომ ბენეფიციუმი ძალაშია. დროთა ვითარებაში ბენეფიციუმი გადაიქცევა მემკვიდრეობით მფლობელობად, ხოლო IX-X საუკუნეებში **ფეოდის (ლენის)** თვისებას იძენს, ე.ი. იქცევა მემკვიდრეობით პირობით მფლობელობად, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო სამსახურის ვალდებულებასთან. ბენეფიციუმის გამცემს **სენიორი** ეწოდებოდა, ხოლო მიმღებს – **ვასალი**. ამ ღონისძიების წყალობით კარლოს მარტელმა გააძლიერა ცხენოსანი ლაშქარი და არაბებთან ბრძოლაში პუატიესთან წარმატებასაც მიაღწია.

ბენეფიციუმების გასანაწილებლად კარლოს მარტელი იყენებდა მიწების ფონდს, რომელიც ჩამოართვა ავკანყებულ მაგნატებს, ხოლო როცა ეს მიწები ამოიწურა. მას მოუხდა საეკლესიო მიწების ნაწილობრივი სეკულარიზაცია და მათი დარიგება სამხედრო ბენეფიციუმებად. ამასთან, კარლოს მარ-

ტელი დიდად ზრუნავდა ქრისტიანობის გავრცელებისათვის, ეკლესიებს ახალ ჩუქრებდა ახალი მიწებით დაპყრობილი ტერიტორიების ხარჯზე.

ბენეფიციალურ რეფორმას არაერთი მნიშვნელოვანი სოციალური შედეგი ჰქონდა. ჯერ ერთი, მან განამტკიცა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი წვრილი და საშუალო ფეოდალების ფენა, ისინი აქცია პროფესიონალი ცხენოსანი ლაშქრის (რაინდების) დასაყრდენ ძალად, გლეხებისაგან შედგენილ ფეხოსან ლაშქარს კი დაუკარგა ადრინდელი მნიშვნელობა. მეორე მხრივ, ბენეფიციუმების დამკვიდრება ხელს უწყობდა ფეოდალური მიწის საკუთრების განმტკიცებას, ბენეფიციუმის მიმღები არა მარტო მიწას იღებდა, არამედ აქ დასახლებულ ადამიანებსაც, რომლებიც იხდიდნენ ღალას და ასრულებდნენ ბეგარას. მესამეც, ბენეფიციუმების დამკვიდრება ხელს უწყობდა სამიწათმოქმედო კავშირების განმტკიცებას მიწის გამცემსა და მიმღებს შორის, განამტკიცებდა მფარველურ ურთიერთობასაც (**ვასალიტეტი**). ამრიგად, ბენეფიციალური რეფორმა ხელს უწყობდა ფეოდალური ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას ფრანკთა საზოგადოებაში. მაგრამ ბენეფიციალური რეფორმიდან გამომდინარე, მაგნატების სამხედრო მნიშვნელობის გაძლიერება და ფეოდალებს შიგნით იერარქიული ურთიერთობის შექმნა არანაკლებ ხელს უწყობდა ფრანკთა სამეფოს შემდგომ პოლიტიკურ დაშლას.

პიპინ მოკლე და პაპების საერო ხელისუფლების წარმოშობა. სიკვდილის წინ კარლოს მარტელმა სამეფო თავის ორ შვილს გაუნაწილა: აღმოსავლეთის მიწები ერგო კარლომანს, დასავლეთი კი – პიპინს, რომელიც დაბალი ტანის გამო ისტორიაში პიპინ მოკლეს სახელითაა ცნობილი (741-768). იგი ჯერ მაიორდომის მოვალეობას ასრულებდა, ძმებმა 743 წელს სამეფო ტახტზე აიყვანეს ხილდერიკ III მეროვინგთა საგვარეულოდან. ძმები შეეცადნენ ურთიერთობის მოწესრიგებას ეკლესიასთანაც, რომელიც გამწვავებული იყო კარლოს მარტელის დროინდელი საეკლესიო მიწების სეკულარიზაციით. ძმებმა ის გააკეთეს, რომ ბენეფიციალურ მფლობელობაში გაცემული ყველა საეკლესიო მიწა კვლავ ეკლესიის საკუთრებად გამოაცხადეს. მართალია, ეს მიწები ბენეფიციუმის მფლობელებს არ ერთმეოდათ, რჩებოდათ როგორც „პრეკარიები სამეფო ბრძანების თანახმად“, ოღონდ იმ პირობით, რომ ეკლესიის სასარგებლოდ უნდა გადაეხადათ განსაზღვრული გადასახადი. იმავდროულად ბენეფიციუმის მიმღებნი მოვალენი იყვნენ შეესრულებინათ სამხედრო სამსახური მხოლოდ სამეფოს სასარგებლოდ, მეფის ნებართვის გარეშე ეკლესია ვერ ართმევდა მათ მიწებს. ამ კომპრომისულმა შეთანხმებამ ეკელსიისა და სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობა გამოიწვია, იმას შეუწყო ხელი, რომ პიპინ მოკლე დაახლოებოდა პაპებს და მათი მხარდაჭერით დაუფლებოდა სამეფო ხელისუფლებას. ეს კიდევ უფრო რეალური გამოჩნდა მას შემდეგ, რაც ოპოზიციურმა ძალებმა აიძულეს კარლომანი 747 წელს ტახტიდან გადამგარიყო და დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენილი სიცოცხლე ბერობაში გაეტარებინა. პიპინმა ნახევარძმა გრიპონის წინააღმდეგობაც დაძლია და მთელი ფრანკთა სამეფო გააერთიანა. ახლა მისთვის ზედმეტი შეიქმნა მეროვინგთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, მეფე ხილდერიკ III, მაგრამ მისი თავიდან მოსაცილებლად საჭირო იყო რომელიმე ავტორიტეტის მხარდაჭერა. ასეთ ავტორიტეტს მაშინ რომის პაპები წარმოადგენდნენ და პიპინმაც პაპ ზაქარიას გაუგზავნა ელჩობა, რათა ეკითხათ მისთვის მეროვინგი მეფეების შესახებ, რომელთაც მაშინ არ ჰქონდათ მეფური ძალაუფლება, კარგია თუ არა ეს, პაპს არ გასჭირვებია პიპინის გულის წადილის ამოცნობა და მაშინვე შეუთვალა: „უმჯობესია მეფედ იწოდებოდეს ის, ვისაც ნამდვილი ხელისუფლება გააჩნია“.

პაპის ამდაგვარი მხარდაჭერის შემდეგ, 751 წლის ნოემბერში, სუასონში პიპინმა მოიწვია ფრანკი დიდკაცებისა და ვასალების კრება, სადაც „ყველა ფრანკის არჩევით, ეპისკოპოსთა კურთხევითა და ვასალთა მიერ ფიცის დადებით“ იგი სამეფო ტახტზე დასვეს, უკანასკნელი მეროვინგი ხილდერიკ III ბერად აღკვეცეს და დასაბამი დაუდეს კაროლინგების დინასტიის ბატონობას.

მადლიერმა პიპინმა უხვად დაასაჩუქრა ეკლესია-მონასტრები, მაგრამ პაპს უფრო მეტი სურდა, პიპინისაგან მოითხოვა ლანგობარდების წინააღმდეგ გალაშქრება, ვინაიდან მოსვენებას არ აძლევდნენ მას.

ფრანკებმა პიპინ მოკლეს მეთაურობით ორგზის (754 და 756 წწ.) ილაშქრეს და სასტიკად დაამარცხეს ლანგობარდების მეფე აისტულფი. ეს უკანაკნელი 756 წელს იძულებული გახდა, პაპ სტეფან II-სათვის გადაეცა რავენას ეგზარქატის მიწები (ბიზანტიის ყოფილი ტერიტორია) და რომის ოლქის ტერიტორიები. ასე ჩაეყარა საფუძველი პაპების საერო ხელისუფლებას იტალიაში. ამგვარად, VIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა პაპების საეკლესიო სამეფო, რომელიც შემდეგ, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, საერთაშორისო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მართალია, ბოლო ხანებში პაპების სამეფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ვატიკანის სახით ის დღესაც განაგრძობს არსებობას.

რავენას ეგზარქატის მიწებისა და რომის ოლქის ტერიტორიების პაპისათვის გადაცემა სათანადო აქტითაც გაფორმდა, მაგრამ ეს არცთუ ისე მისაღები აღმოჩნდა პაპებისათვის, რადგან იგი პაპებს კაროლინგებისადმი დაქვემდებარებულს ხდიდა. მოპოვებული საერო ხელისუფლება „კანონიერი“ რომ გაეხადათ, პაპებმა იმთავითვე იწყეს თავიანთი უფლებების თეორიული დასაბუთება, იმის დამტკიცება, რომ ეს საჩუქარი მომდინარეობდა არა პიპინ მოკლესაგან, არამედ იმპერატორ კონსტანტინე დიდისაგან (306-337). ასე ჩაეყარა საფუძველი ყალბ დოკუმენტს, ე.წ. „კონსტანტინეს ნაბოძვარს“ (Donatio Constantini).

პაპები კონსტანტინეს პიროვნებაზე შემთხვევით არ შეჩერებულან. იგი იყო პირველი ოფიციალური პიროვნება, იმპერატორი, რომელიც ქრისტიანული წესით მოინათლა და რომელმაც ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა, თუმცა ეს ფაქტი პაპებმა რამდენადმე სხვაგვარად წარმოსახეს წინასიტყვაობაში, რომელიც „კონსტანტინეს ნაბოძვარს“ წაუმძღვარეს. მათი აზრით, იმპერატორის განკურნება საშინელი სენისაგან (კეთრისაგან) შეუძლებელი გახდა, სანამ საქმეში არ ჩაერია პაპი სილვესტრი. ამ უკანასკნელმა 323 თუ 324 წელს იმპერატორი მონათლა და იგი კეთრისაგან განკურნა. სამაგიეროდ იმპერატორმა პაპს უბოძა საიმპერატორო ნიშნები: „ქალაქი რომი, იტალიისა და მთელი დასავლეთის ქვეყნები და ქალაქები“, ხოლო თავისთვის დაიტოვა იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი. კონსტანტინეს პიროვნება პაპებისათვის იმიტომაც იყო მისაღები, რომ მას უფრო ადვილად წარმოაჩენდნენ ეკლესიის ქველმოქმედად, რადგან იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა ეკლესიათა და სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფისათვის; ასევე მის სახელს უკავშირდება ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა პალესტინასა და სხვა „წმინდა ადგილებში“. ამას ემატება დედაქალაქის გადატანა აღმოსავლეთში 330 წელს და, რამდენადაც პაპი კვლავ რჩებოდა რომში, ამ გარემოებას შეეძლო წარმოეშვა აზრი ხელისუფლებათა გამოყოფის შესახებ.

„კონსტანტინეს ნაბოძვარს“ საუკუნეების განმავლობაში ეფუძვნებოდა პაპობის თეოკრატიული პრეტენზიები. დიდი ხნის მანძილზე ამ დოკუმენტის სიმართლეში ეჭვი არავის შეუტანია. თვით დანტე ალიგიერსაც სჯეროდა მისი. დიდი პოეტის „ღვთაებრივი კომედიის“ ერთ-ერთ სტროფში ვკითხულობთ: „ო, კონსტანტინე! რამდენი დაჰბადა ცოდვა არა თუ შენმა მონათვლამან, არამედ ძღვენმა, რომელიც პირველ მდიდარ პაპასა შენ უთავაზე“ (ჯოჯოხეთი, ქება 19, 115). ცხადია, დანტეს ოდნავი ეჭვიც არ ეპარებოდა „კონსტანტინეს ნაბოძვრის“ წარმომავლობაში, კონსტანტინეს მხოლოდ იმას საყვედურობდა, რომ მას არ უნდა გაეღო „ძღვენი“, რადგან მან ამით უამრავ ცოდვას დაუდო საფუძველი.

პირველი, ვინაც მეცნიერულად დაასაბუთა „კონსტანტინეს ნაბოძვრის“ სიყალბე, იტალიელი ჰუმანისტი ლორენცო ვალა (1407-1457) იყო. ამ მიზნით მან სამგვარი არგუმენტი მოიშველია: რელიგიური, ისტორიული და ფილოლოგიური.

რელიგიური არგუმენტაციის თანახმად, პაპ სილვესტრისათვის ამგვარი საჩუქარი კიდეც რომ შეეთავაზებინა კონსტანტინეს, წმ. პეტრეს მემკვიდრეს იგი არ უნდა მიეღო, რადგან სახარება კატეგორიულად კრძალავს საერო ხელისუფლების გადაცემას სასულიერო პირზე.

ისტორიული არგუმენტაციის მიხედვით, კონსტანტინე სიცოცხლის ბოლომდე ფლობდა რომის იმპერიას. იმპერია მან, ევროპეუსის „მოკლე ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიის" თანახმად, თავის სამ ვაჟს დაუტოვა. ვალა ნუმიზმატიკურ მონაცემებსაც იშველიებს და ამტკიცებს, რომ კონსტანტინესდროინდელ არც ერთ მონეტაზე არც პაპია გამოსახული და არც პეტრე მოციქული. ის აზრიც არ უნდა იყოს სწორი, რომ კონსტანტინე მოინათლა 323-324 წლებში, როგორც ეს სიგელის წინასიტყვაობაშია ნათქვამი: ვალას აზრით, როგორც ამას კონსტანტინეს თანამედროვე ისტორიკოსებიც ადასტურებენ, იმპერატორმა ქრისტიანობა მიიღო სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, 337 წელს. ვალა ეჭვის ქვეშ აყენებს დედაქალაქის კონსტანტინოპოლში გადატანის ფაქტსაც 323-324 წლებში, რადგან კონსტანტინოპოლი იმ დროს არ არსებობდა. იმპერატორმა ქალაქების მშენებლობას მხოლოდ 329-330 წლებში ჩაუყარა საფუძველი.

ფილოლოგიური არგუმენტაციის თანახმად, თუ დავუშვებთ იმას, რომ „კონსტანტინეს ნაბოძვარი" დაწერილია IV საუკუნეში, იგი აუცილებლად კლასიკურ ლათინურზე უნდა იყოს შექმნილი, მაშინ, როცა სიგელის ავტორი ბარბაროსულ ლათინურზე მეტყველებდა.

ამრიგად, ლორენცო ვალამ რელიგიური, ისტორიული და ფილოლოგიური არგუმენტაციებით შეძლო არა მარტო ე.წ. „კონსტანტინეს ნაბოძვარის" სიყალბის ახსნა, არამედ იმის თქმაც, რომ პაპების საერო ხელისუფლება არამართლზომიერია. ყოველივე ამას საერთო-ევროპული მნიშვნელობა ჰქონდა და მთელი ევროპის მოწინავე საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა.

ლორენცო ვალას, მარტინ ლუთერისა თუ სხვათა კრიტიკის მიუხედავად, რომის პაპის სახელმწიფომ, ანუ რომის პაპის საერო ხელისუფლებამ 1870 წლამდე მაინც იარსება, იგი კვლავ აღდგა 1929 წლის ლატერანის გადაწყვეტილებით, რომელიც დაიდო პაპ პიუს XI-სა და მუსოლინის შორის, მაგრამ არა იმ ოდენობით, რაც გაუქმებამდე იყო, არამედ დღევანდელი ვატიკანის სახით.

კარლოს დიდი

კარლოს დიდის ომები და დიპლომატია. კარლოს დიდი (Carolus magnus) პიპინიდთა, ანუ კაროლინგთა დინასტიის გამორჩეული მოღვაწეა. მასზე მოგვითხრობენ მისი თანამედროვენი, ეინჰარდი თუ სხვები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეინჰარდის თხზულება „კარლოს დიდის ცხოვრება" (Vita Caroli Magni, დაწერილია IX ს. 30-იან წლებში). აქედან ვიგებთ, რომ კარლოსი მეფობდა 768-814 წლებში, მამამისმა, პიპინ მოკლემ

გარდაცვალების წინ არგუნა მას და მის ძმას წილი. უფროსს, კარლმანს შეხვდა სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი – ავსტრაზია, ჩრდილოეთი ნეისტრია და აკვიტანიის დიდი ნაწილი. კარლომანს ერგო სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც მოიცავდა სამხრეთ ნეისტრიას, ბურგუნდიას, პროვანსს, ელზასს, ალემანიას, ტიურინგიას, ჰესენსა და ზოგიერთ სხვა მხარეს.

ირკვევა, რომ ძმებს შორის ერთსულოვნება არ ყოფილა, გამეფებისთანავე ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საქმე ის იყო, რომ 769 წელს აჯანყებამ იფეთქა აკვიტანიაში ჰერცოგი ჰუნალდის მეთაურობით. კარლოსმა დახმარებისათვის მიმართა კარლომანს, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმის მომიზეზებით, რომ აჯანყება მის ტერიტორიაზე არ მომხდარა, ძმას დახმარებაზე უარი უთხრა. კარლოსმა მარტოდმარტომ შეძლო ამ აჯანყების ჩაქრობა.

ძმებს შორის წინააღმდეგობამ თავი იჩინა ლანგობარდებისა და პაპებისადმი დამოკიდებულების საკითხშიაც. კარლომანი და მისი მომხრეები ლანგობარდებთან კავშირის მომხრენი იყვნენ, კარლოსი და მისი მომხრეები კი პაპებთან მეგობრობას ამჯობინებდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ძმებს შორის დედის, ბერტრადის, ჩარევა გახდა საჭირო. ვინაიდან დედაც ლანგობარდებთან კავშირის მომხრე იყო, ამიტომ კარლოსი დათმობაზე წავიდა, მეტიც, მან იქორწინა ლანგობარდების მეფის, დეზიდერიუსის ასულზე დეზიდერტაზე.

ეს განზეთქილება დიდხანს არ გაგრძელებულა. 771 წელს კარლომანი გარდაიცვალა, მას დარჩა მცირეწლოვანი შვილები. ამით ისარგებლა კარლოსმა და შეიჭრა ძმის სამფლობელოში და აიძულა მისი ვასალები, რომ იგი აერჩიათ მეფედ. ამ გზით კარლოსმა ფრანკთა სამეფო ისევ გააერთიანა. გარდაცვლილის ქვრივმა და შვილებმა, რომლებმაც დაკარგეს ტახტის მემკვიდრეობის უფლება, თავი ლანგობარდების მეფეს შეაფარეს. ასეთი საქციელი იმით უნდა აიხსნას, რომ კარლოსი ამ დროს უკვე გაცილებული იყო დეზიდერტას. დეზიდერიუსმა პაპ ადრიანეს მოსთხოვა მეფეებად ეღიარებინა კარლომანის შვილები, რაზეც უარი მიიღო. განრისხებული დეზიდერიუსი თავისი ლაშქრით პაპის სამფლობელოებს შეესია. პაპმა დახმარებისათვის კარლოს მიმართა. კარლოსმა 773 წელს პიემონტის ველზე დეზიდერიუსი დაამარცხა და გამარჯვებული საზეიმოდ შევიდა რომში. აქ მას მიესალმნენ როგორც „ფრანკებისა და ლანგობარდების მეფეს“ და მის წინაშე ერთგულების ფიცი დადეს. პაპისაგან კარლოსს პატრიციუსის წოდება ებოძა, სამაგიეროდ კარლოსმა პაპს კვლავ დაუმტკიცა პიპინ მოკლეს მიერ გაცემული „ნაბოძვარი“.

კარლოს დიდს კვლავ მოუხდა ბრძოლები დეზიდერიუსის წინააღმდეგ, რომელიც პავიაში იყო ჩაკეტილი. კარლოსმა პავია აიღო, დეზიდერიუსი ბერად აღკვეცა, შემდეგ დეზიდერიუსის შვილი ადალგიზი და ბავარიის ჰერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოგი ტასილონიც, რომლებიც აუჯანყდნენ, დაიმორჩილა, ისინი ბერად აღკვეცა და ლანგობარდების მეფედ თავისი ოთხი წლის შვილი პიპინი გამოაცხადა, რომელიც ერთხანს მამის ხელმძღვანელობით უძღვებოდა ტახტს.

კარლოსის ომები ამით არ ამოიწურება. ამ დიდმა მხედართმთავარმა და დამპყრობელმა თავისი 46 წლის მეფობის განმავლობაში 50-ჯერ დალაშქრა მეზობელი ქვეყნები და ბევრად გაზარდა თავისი სამფლობელო. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქსებთან წარმოებული ხანგრძლივი და სისხლისმღვრელო ომები (772-804), რომელიც ლანგობარდების დამარცხების შემდეგ ხელახლა განახლდა. „ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი, ყველაზე მძიმე და ყველაზე სასტიკი ომი", – ამბობს ეინჰარდი. საქსების დაპყრობა კარლოსს უდიდესი დაძაბვის ფასად დაუჯდა.

დღევანდელი საქსონია, რომელიც გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, წარმოიშვა XII საუკუნეში, ადრინდელი, კარლოს დიდისდროინდელი საქსონია კი მდებარეობდა ჩრდილოეთ გერმანიაში ქვემო რაინისა და ქვემო ელბას მიდამოებში, ჩრდილოეთი ზღვის სანაპიროებზე. V-VI საუკუნეებში საქსების ერთი ნაწილი ანგლებთან და იუტებთან ერთად ბრიტანეთში გადასახლდა. კონტინენტზე დარჩენილ საქსებში დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო გვაროვნულ-თემური წყობილება. ეს ჩანს, თუნდაც იქიდან, რომ საქსების სამართლის 41-ე მუხლის ძალით მემკვიდრეობა გადადიოდა ვაჟზე და არა ასულზე. საქსებში სოციალური დიფერენციაცია მხოლოდ VIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. თანდათან იქმნება საგვარეულო არისტოკრატია ედელინგების სახით, ჩნდებოდა აგრეთვე ნახევრად თავისუფალი ლაცები. საქსთა უმრავლესობას ფრილინგები შეადგენდნენ. ისინი ვერ ურიგდებოდნენ თავისუფლების დაკარგვასა და მორჩილებას. ასეთ ხალხთან ომი, რაც კარლოსს გადახდა, ადვილი არ იქნებოდა.

რა იყო ომის მიზეზი? უპირველესად ის, რომ საქსები განუწყვეტლივ ომობდნენ ფრანკების საზღვართან, მოსვენებას არ აძლევდნენ მათ. ამასთან, კარლოსს თვითონ სურდა საქსების დაპყრობა და გაქრისტიანება, ყმებად ქცევა და ამ გზით ჯარისკაცების გამრავლება, აგრეთვე საბენეფიციუმო მიწის ნაკვეთების შექმნა დაპყრობილი ტერიტორიების ხარჯზე. ამას ემატებოდა ერთი ასეთი გარემოებაც: საქსონიაზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომლითაც შვედეთიდან შემოჰქონდათ რკინის მადანი, იარაღის დასამზადებლად რომ იყენებდნენ. აი, ყველა ის მიზეზი, რომელმაც განაპირობა საქსებთან ომის ხანგრძლივობა და აუცილებლობა.

ფრანკებმა კარლოსის მეთაურობით სულ რვაჯერ დალაშქრეს საქსები, რომლებიც ოთხ შტოდ იყოფოდნენ: ვესტფალიებად, ოსტფალიებად, ანგარიებად და ნორდალბინგებად. თავდაპირველად ფრანკები პირველ სამ შტოს ებრძოდნენ. ყველგან, სადაც კი შედიოდნენ ისინი, წარმართულ სალოცავებს ანადგურებდნენ და ძალდატანებით ცდილობდნენ საქსების გაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისტიანებას. მათ სულ მცირე წინააღმდეგობასაც არ პატიობდნენ. კარლოსს ეკუთვნის „კაპიტულარი საქსების საქმესთან დაკავშირებით“, რომლის ძალით სიკვდილით სჯიდნენ ყველა იმათ, ვინც გამოვიდოდა ეკლესიისა და მეფის წინააღმდეგ, ვინც უარს იტყოდა მონათვლაზე. ასე დახოცეს მათ დაახლოებით 4500 მძევალი. ასეთმა მკაცრმა ღონისძიებამ ის შედეგი გამოიღო, რომ 777 წელს საქსების ზედაფენის წარმომადგენლებმა პადერბორნში კარლოსისადმი ერთგულების ფიცი დადეს და ქრისტიანობა მიიღეს. თავის მხრივ, მათ ხელი შეუწყეს ქვედაფენების გაქრისტიანებას.

კარლოსი საქსების დამორჩილების მიზნით იყენებდა ასეთ ნაცად ხერხსაც: მას საჩუქრებითა და ჯილდოებით თავის მხარეს გადმოჰყავდა საქსი დიდკაცები, რომლებიც ეხმარებოდნენ დამპყრობლებს თავიანთი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლასა და დამორჩილებაში. მან მოისყიდა თვით ვიდუკინდიც, ერთ-ერთი ედელინგთაგანი, რომელიც სათავეში ედგა საქსების ბრძოლას კარლოსის წინააღმდეგ. 785 წელს ვიდუკინდი კარლოსის მხარეზე გადავიდა და ქრისტიანობა მიიღო. კარლოსი მისი ნათლია გახდა. კარლოსმა ვიდუკინდი უხვად დაასაჩუქრა, უბოძა საქსონიის ჰერცოგობა და საკუთრად ანგარიის მიწები. კარლოსი ასე გულმოწყალე იყო ყველა მოღალატის მიმართ.

კარლოსი ასიმილაციის ნაცად ხერხსაც კარგად იყენებდა, მიმართავდა საქსების მასობრივ გადასახლებას ფრანკთა სამეფოს შიდა ოლქებში, ხოლო ფრანკებისა და მათი მოკავშირეების სლავი ობოდრიტებისას – საქსონიაში. ამ გადასახლებას ვერც საქსი ნორდალბინგები გადაურჩნენ. კარლოსმა მათ წინააღმდეგ 12 წლის განმავლობაში აწარმოა ბრძოლა (793-804) და სასტიკად გაუსწორდა ყველა იმას, ვინც მისთვის წინააღმდეგობის გაწევას იყო ჩვეული, ხოლო 10 ათასი კაცი თავიანთი ცოლებითა და შვილებით ელბიდან აყარა, და ნაწილ-ნაწილ დაასახლა გალიისა და გერმანიის სხვადასხვა ოლქში. ბუნებრივია, ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარ ფრანკთა სამეფოში მოქცევა და ასიმილაცია საქსებშიც დააჩქარებდა ფეოდალიზაციის პროცესს.

საქსებთან ომის მსვლელობის დროს კარლოს დიდმა მოულოდნელი ლაშქრობა მოაწყო არაბების წინააღმდეგ ესპანეთში. 778 წელს მან გადალახა პირინეები და აიღო მთელი რიგი ქალაქები, მაგრამ სარაგოსასთან დამარცხდა. უკან დაბრუნებისას რონსევალის ხეობაში კარლოსის ჯარის არიერგარდს თავს დაესხნენ ბასკები და ერთიანად გაანადგურეს იგი. ბრძოლის ველზე დაეცა ამ რაზმის მეთაური ბრეტანის მარკგრაფი როლანი, რომელიც კარლოს დიდის ნათესავი იყო. მოგვიანებით შეიქმნა ფრანგული ეპოსი – „სიმღერა როლანზე“, სადაც აღწერილია როლანის რაზმის ბრძოლისა და დაღუპვის ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბებთან ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. მართალია, 788 წელს არაბებმა „საღმრთო ომიც“ კი გამოუცხადეს ფრანკებს, შეიჭრნენ აკვიტანიაში, მაგრამ კარლოსის შვილმა ლუდოვიკომ შეძლო მათი შეჩერება. 796 წელს კარლოსმა თვითონ წამოიწყო ომი არაბების წინააღმდეგ და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, ხელთ იგდო პირინეების მთებსა და მდინარე ებროს შორის მდებარე პატარა ტერიტორია და იქ „ესპანეთის მარკა“ ჩამოაყალიბა.

კარლოს დიდს ბრძოლები ჰქონდა ბავარიაშიც, რომლის ჰერცოგი ამ დროს ისევ ტასილონი იყო. იგი ცოლმა, დეზიდერიუსის ქალიშვილმა, ლუტიბერგამ შეაგულიანა. ამ უკანასკნელს მამის გამო შურისძიება ეწადა, მაგრამ ტასილონმა ვერ გაუძლო შემოტევას და მალე მორჩილება გამოაცხადა. 778 წელს კარლოსმა ბავარია საბოლოოდ შეიერთა. მან იერიში სლავურ მიწებზეც მიიტანა, ლუჟიცები დაიმორჩილა და საფუძველი ჩაუყარა სორბული და ალმოსავლეთის მარკებს. ეს უკანასკნელი შემდგომ ავსტრიის სახელმწიფოს საფუძვლად იქცა. კარლოსმა გაილაშქრა დანიელების წინააღმდეგაც, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ მის იმპერიას, საფუძველი ჩაუყარა დანიურ მარკას.

კარლოსი საკმაოდ დიდხანს იბრძოდა პანონიაში, ახლანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობდნენ ავარები. ეინჰარდის გადმოცემით, ეს ომი რვა წელი გაგრძელდა (791-799) და ამ ხნის მანძილზე კარლოსმა ერთიანად ამოხოცა ავარების ყველა წარჩინებული, ხელთ იგდო მათი ქონება და საფუძველი ჩაუყარა პანონიის მარკას.

წარმატებული იყო კარლოსის პოლიტიკა არა მარტო ომებში, არამედ დიპლომატიაშიც. მასთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად აახენში მიემართებოდა სხვადასხვა სახელმწიფოს ელჩი, დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ასტურიის მეფე ალფონსო II, შოტლანდიის მეფეები და სხვ. ალფონსო II კარლოსის უზენაესობას ცნობდა, შოტლანდიის მეფეებიც კარლოსს თავის ბატონს უწოდებდნენ. კარლოსს, ეინჰარდის თქმით, დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონია ბაღდადის ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდთან. ეს უკანასკნელი ბიზანტიისა და კორდოვის წინააღმდეგ მოკავშირეს ეძებდა. მისგან კარლოსს საჩუქრებიც კი მიუღია, რომელთა შორის ფრანკებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება სპილოს მოუხდენია.

კარლოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც ბიზანტიასთან ურთიერთობას ანიჭებდა. ფრანკთა სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას იგი ევროპის ორ თანაბარ ძალად მიიჩნევდა, შემთხვევას არ უშვებდა, რათა მის ელჩებს წერილობით არ მოეკითხათ ბიზანტიის იმპერატორი, ძღვენი არ მიერთმიათ მისთვის. არც ბიზანტიის იმპერატორი რჩებოდა ვალში, ელჩების პირით ხშირად მოიკითხავდა კარლოსის საქმიანობას. გადმოგვცემენ იმასაც, რომ არსებობდა საქორწინო ნიშნობის პროექტი, რომლის თანახ-

მად გათვალისწინებული იყო ბიზანტიის დედოფალ ირინეს ვაჟზე, კონსტანტინეზე კარლოსის ქალიშვილის როტრუდას დაქორწინება. მაგრამ ამ პროექტს განხორციელება არ ეწერა. ირინესათვის მისი პარტიის წარმომადგენლებს ის აზრი ჩაუგონებიათ, რომ ფრანკ პრინცესასთან კონსტანტინეს დაქორწინებას შეიძლება მხოლოდ მისი ხელისუფლების დასუსტება მოეტანა. კარლოსს არც ამ შემთხვევაში და არც ირინეს ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ბიზანტიასთან კავშირი არ გაუწყვეტია, თუმცა, როგორც ეინჰარდი წერს, „ბერძნები და რომაელები უნდობლად უყურებდნენ ფრანკების გაძლიერება-გაშეზობლებას“. აქედან წარმოდგება ბერძნული ანდაზაც: „იყოლიე ფრანკი მეგობრად, მეზობლად კი არა“. შემთხვევითი არც ის იყო, რომ თავდაპირველად ბიზანტია არ ცნობდა კარლოსის იმპერატორობას, კარლოსში იგი ხედავდა უზურპატორს, რომელიც თავის თავს ასევე ძველი რომის იმპერიის ერთადერთ მემკვიდრედ თვლიდა. ბიზანტიის იმპერატორებმა კარლოსი მხოლოდ 12 წლის შემდეგ, 812 წელს, აღიარეს იმპერატორად, მას მიენიჭა ბაზილევსის საპატიო ტიტული; თანაც ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კარლოსმა ბიზანტიის კუთვნილებად გამოაცხადა ვენეციისა და დალმაციის ოლქები.

გამორჩეული იყო კარლოს დიდის ურთიერთობა რომის პაპებთან, ჯერ ადრიანესთან, შემდეგ ლეო III-თან. ადრიანეს გარდაცვალება რომ გაუგია, კარლოსს ისე უტირია, თითქოს საკუთარი შვილი ყოფილიყოს. ურთიერთმხარდაჭერა და გვერდში ამოდგომა რომ საჭირო იყო, ეს მშვენივრად ესმოდა მომდევნო პაპსაც, ლეო III-საც, რომელმაც ტახტზე ასვლისთანავე (793) კარლოს დიდს ერთგულება შეჰფიცა; მას გაუგზავნა წმ. პეტრეს საფლავის გასაღები და ქალაქ რომის დროშა. ლეო III საკმაოდ ჭკვიანი პაპი იყო და მას ისიც უნდა განეჭვრიტა, რომ ფრანკთა სახელმწიფო, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა, კარლოსსა და მასთან დაახლოებულ პირებს დასავლეთ რომის იმპერიას აგონებდა და იმპერატორის ტიტულის მოპოვების სურვილს აღუძრავდა. პაპს ამ სურვილის აღსრულების მომენტიც დაუდგა: ერთხელაც, როცა რომაელმა დიდკაცებმა ლეო III შეურაცხყვეს (იგი ქუჩაში სცემეს), პაპმა დახმარებისათვის კარლოს დიდს მოუხმო. რომში ჩასულმა კარლოსმა პაპის მოწინააღმდეგეები დასაჯა. პაპმა კი არა მარტო მადლიერების ნიშნად, არამედ, ალბათ, იმიტომაც, რომ შემდეგში თავისი თავი დაეყენებინა იმპერატორზე მაღლა, 800 წლის 25 დეკემბერს, ქრისტეშობის დღეს, წმ. პეტრეს ტაძარში საზეიმო მღვდელმსახურების დროს მოულოდნელად კარლოსს თავზე იმპერატორის ოქროს გვირგვინი დაადგა. ამგვარად, დასავლეთში კვლავ აღმოცენდა იმპერია, რომელმაც მოიცვა იმ დროს უკვე არარსებული დასავლეთ რომის იმპერიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ეინჰარდს დავუჯერებთ, კარლოსს უსიამოვნოდ მიუღია პაპის ეს საქციელი, ის, რომ მან თავზე დაადგა იმპერატორის გვირგვინი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მას არ სურდა იმპერატორობა, არამედ იმიტომ, რომ ამ ტიტულის მიღება უნდოდა არა პაპისაგან (რომელსაც თავის ვასალად თვლიდა), არამედ თავისივე თანასწორისაგან, როგორადაც მას ბიზანტიის იმპერატორი მიაჩნდა.

კარლოსის უკმაყოფილება მთლად უსაფუძვლო როდი იყო, რადგან ეს არგუმენტი (ის, რომ იმპერატორის ტიტულის მინიჭება პაპის ინიციატივით მოხდა), პაპებმა შემდეგში არაერთხელ გამოიყენეს საერო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, იმის დასამტკიცებლად, რომ მბოძებელი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ის, ვისაც ეს ტიტული უბოძეს.

მმართველობა. სასამართლო. ჯარი. იმპერიის მართვა-გამგებლობა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. კარლოს დიდი იმთავითვე მიხვდა, რომ ვერ გამოადგებოდა მეროვინგებისდროინდელი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომ საჭირო იყო მმართველობის უფრო მეტად ცენტრალიზაცია. კარლოსმა უპირველესად ცენტრალური მმართველობის გაძლიერებისათვის იზრუნა, გვერდით ამოიყენა მოხელეები – ნოტარიუსები. პირველი მოხელე კანცლერი იყო, იგი ინახავდა სახელმწიფო ბეჭედს. კამერარიუსი განაგებდა სამეფო ხაზინას, ხოლო „სავჭინიბოს გრაფი“ – სამეფო ცხენოსანთა რაზმებს. მოხელეებს შორის გამორჩეული ადგილი უმაღლეს მოსამართლეს ეკავა, იგი იმპერატორის მოადგილეც იყო იმპერატორის არყოფნის დროს. სამეფო სასახლეში წელიწადში ერთხელ, ზაფხულობით, მეფე სასულიერო და საერო დიდკაცებსაც იწვევდა და მათთან ერთად ბჭობდა საჭირბოროტო საკითხებზე. ასეთ ბჭობას **კონვენცია** ეწოდებოდა, კონვენციით იყო შეზღუდული მეფის ხელისუფლება. მხოლოდ კონვენციაზე დასტურის შემდეგ მეფეს შეეძლო ბრძანებებისა და კაპიტულარების გამოცემა. კაპიტულარები სამი ტიპისა იყო: კანონები თავისთავად, სამართლის დამატებანი და მიწებისათვის დაწერილი ინსტრუქციები. ასეთია, მაგალითად, 800 წელს გამოცემული Capitulare de Villis – ერთ-ერთი მთავარი წყარო იმდროინდელი მსხვილი მამულების შესახებ. სხვათა შორის, ეს წყარო შესწავლილი აქვს ქართველ მეცნიერს გრ. ნათაძეს.

ადგილობრივი მმართველობის გაადვილების მიზნით, კარლოს დიდმა ქვეყანა 300 საგრაფოდ დაყო. მათ გრაფები განაგებდნენ, ისინი კრეფდნენ გადასახადებსა და ჯარიმებს, გაჰყავდათ ჯარი ბრძოლებში, ხელმძღვანელობდნენ სასამართლოს. მათ მეფის ნება-სურვილის აღსრულება ევალებოდათ, ხშირადაც თვითნებობდნენ, ძარცვავდნენ გლეხებს, ეკლესიებს. ამის აღკვეთას ითვალისწინებდა მეფის მიერ შემოღებული „სახელმწიფოს წარგზავნილების“, ანუ საგანგებო ინსპექტორების თანამდებობა. ადგილებზე იგზავნებოდა მეფის ორი კაცი (საერო და სასულიერო დიდკაცი), რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც ევალებოდათ გრაფებისა თუ სხვა მოხელეების საქმიანობის გაკონტ
როლება, მათ სიკვდილით დასჯაც კი შეეძლოთ.

საზღვრების დაცვის მიზნით კარლოსი, როგორც ვთქვით, მარკებსაც აწესებდა. მათ სათავეში მარკგრაფები იდგნენ და მეტი უფლებებითაც სარგებლობდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი გრაფები. მტრის თავდასხმის შემთხვევაში ისინი ვალდებულნი იყვნენ დაუყოვნებლივ წამოეწყოთ ბრძოლები და დაეცვათ მიმდებარე ტერიტორიები. უმნიშვნელოვანესი მარკებია: ესპანეთის, ბრეტანის, ფრიულის, პანონიის, ანუ ალმოსავლეთის, დანიისა და სორბული.

მარკგრაფები, ისე როგორც გრაფები, გასამრჯელოდ საგრაფოდან სახელმწიფო შემოსავლის ერთ მესამედს ღებულობდნენ. მათ მეფისაგან მიწებიც ეძლეოდათ ბენეფიციუმების სახით, რისთვისაც ვასალური ერთგულების ფიცი უნდა დაედოთ იმპერატორის წინაშე.

გრაფები და მარკგრაფები ხშირად ძალმომრეობას მიმართავდნენ, ვერ კმაყოფილდებოდნენ რა მეფისაგან ნაბოძები ბენეფიციუმებით, ისინი აიძულებდნენ ცალკეულ პირებს საკუთარი მიწები დაეთმოთ და მათ ყმებად გადაქცეულიყვნენ. გაძლიერებული გრაფები იმასაც ცდილობდნენ, რომ სამეფო ბენეფიციუმები თავიანთ სამემკვიდრეო სამფლობელოდ, ანუ ფეოდად (ლენად) გადაექციათ. მეტიც, მათ კარლოს დიდის მემკვიდრეების მმართველობის პერიოდში თავიანთი თანამდებობანი სამემკვიდრეოდ აქციეს. ამის დამადასტურებელია კერსის კაპიტულარი (877), რომლის მიხედვით გრაფობა მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა. ამგვარად, ბენეფიციუმის სისტემა „ფეოდის" სისტემით შეიცვალა. ტერმინი „ფეოდალიზმიც" აქედან წარმოდგება.

ფეოდალიზმის გზაზე შემდგარ კარლოს დიდის იმპერიაში ერთობ დიდი იყო სამოსამართლო საქმიანობის როლიც. მის უკეთ მოწყობას ითვალისწინებდა 769 წლის რეფორმა, რომლის ძალით მეროვინგებისდროინდელი რახინბურგები (მონაწილენი ასეულთა კრებისა, რომელიც ექვს კვირაში ერთხელ იწვეოდა) **სკაბინების** – მამასახლისების ინსტიტუტით შეიცვალა. სკაბინებს მეფე ნიშნავდა მიწათმფლობელთა წრიდან, ე.ი. სასამართლო საქმე მდიდართა ხელში გადავიდა. სასამართლოს თავმჯდომარეობდა გრაფი, სკაბინებს კი განაჩენი გამოჰქონდათ. მეფეს საკუთარი სკაბინები ჰყავდა. სკაბინობაც, ისე, როგორც გრაფობა, სამემკვიდრეო გახდა და მამიდან შვილზე გადადიოდა.

სასამართლოზე ხელმძღვანელობდნენ სალიკური სამართლით, თუმცა იყო სხვა ტომის ადამიანთა საკუთარი სამართლით გასამართლების შემთხვევაც. მაგალითად, გოთს გოთური სამართლით ასამართლებდნენ, ლანგობარდებს – ლანგობარდულით და ა.შ. კარლოს დიდის დროს შემოწმდა და ახალი რედაქციით გამოვიდა სალიკური სამართალი.

სასამართლოზე მეტწილად ჯარიმები გამოიყენებოდა, თუმცა იყო შემთხვევა, როცა მიმართავდნენ გაშოლტვას, დასახიჩრებას, თვალის ამოგდებას, კოცონზე დაწვას, ჩამოხრჩობას. დიდკაცებისათვის საპატიოდ თავის მოჭრა ითვლებოდა.

ხშირმა ომებმა, რომლებსაც კარლოს დიდი ეწეოდა, სამხედრო საქმის რეფორმაც მოითხოვა, შესაცვლელი გახდა ჯარის შეკრების ადრინდელი წესი, თუმცა ეს ერთბაშად არ მომხდარა. კარლოსის მმართველობის პირველ ხანებში ჯარში გაჰყავდათ ერთი მანსის (მიწის პატარა ნაკვეთს ასე ეწოდებოდა) მქონე ყოველი თავისუფალი ადამიანი. ისინი ვალდებულნი იყვნენ გამოსულიყვნენ საკუთარი იარაღით (შუბი, მახვილი, მშვილდი, 12 ისარი, ფარი) და ტანსაცმლით. მათ თვითონ უნდა გამოეკვებათ თავი. მშიერი ჯარისკაცები ხშირად არა მარტო მოწინააღმდეგეთა ოჯახებს, არამედ საკუთარ ხალხსაც ძარცვავდნენ, ხშირი იყო დეზერტირობაც. დეზერტირობისათვის დაწესებული იყო დიდი ჯარიმა – **ჰეიბალი**, რომლის ოდენობა 811 წლის კაპიტულარით 60 სოლიდით განისაზღვრებოდა. ჯარში გაწვევის სიმძიმე ხალხს იმისკენაც უბიძგებდა, რომ უარი ეთქვათ საერო ცხოვრებაზე, ისინი ბერად აღიკვეცებოდნენ ხოლმე. მართალია, 805 წლის კაპიტულარით მეფის უნებართვოდ ბერად აღკვეცა იკრძალებოდა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, კარლოსი დათმობაზე წავიდა: 808 წელს გამოსცა კაპიტულარი, რომლის ძალით თავისუფალი გლეხები სავსებით ჩამოაშორა სამხედრო სამსახურს, ჯარში მხოლოდ იმათ იწვევდა, ვისაც იმპერატორისაგან მიცემული ჰქონდა 3-4 მანსი. ასეთები იყვნენ რაინდები, რომლებმაც შეავსეს ცხენოსან-მეომრები. ვინც უარს იტყოდა სამხედრო სამსახურზე, მათ მიწა ჩამოერთმეოდათ. ერთი სიტყვით, სამხედრო სამსახური ფეოდალთა კლასის პრივილეგიად იქცა.

§ 3. ფეოდალური ურთიერთობის საფუძვლების ჩამოყალიბება ფრანკთა სახელმწიფოში

ფეოდალური ურთიერთობის დონე და ხასიათი კარლოს დიდის იმპერიაში. VIII-IX საუკუნების ფრანკთა სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილში ფეოდალიზაციის პროცესი სხვადასხვა ტემპით ვითარდებოდა, ნეისტრიაში ეს ტემპი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ავსტრაზიაში. ნეისტრიაში ბევრად უფრო თვალსაჩინო იყო გლეხთა მიწების მიტაცება და ფეოდალური მიწის საკუთრების განმტკიცება. ამას ადასტურებს კარლოს დიდის არაერთი კაპიტულარი. ასე, მაგალითად, 811 წლის კაპიტულარში საუბარია „ღარიბების ჩივილზე“, იმაზე, რომ მათ არ ინდობდნენ ეპისკოპოსები, აბატები, გრაფები და სხვები, ართმევდნენ საკუთრებას და ამ გზით ისინი კარგავდნენ დამოუკიდებლობას. გლეხების გაღატაკება-დაყმევებას მნიშვნელოვნად აჩქარებდა კარლოს დიდის დაპყრობები და ეკლესიის საქმიანობა. ეკლესიის

მესვეურნი გლეხებს არწმუნებდნენ, რომ ეკლესიისათვის გაცემული მიწა გლეხს ცოდვებისაგან ათავისუფლებდა და მოუპოვებდა მარადიულ ნეტარებას. ბუნებრივია, ამდაგვარი შეწირულობანი ამრავლებდა ეკლესიის სამფლობელოებს. მაგალითად, სენ-ჟერმენ-დე-პრეს მონასტერი IX საუკუნის დასაწყისში 8000 მანს ფლობდა, რაც დაახლოებით 429987 ჰექტარ მიწას უდრიდა. ამ მიწების წლიური შემოსავალი ერთ მილიონ ფრანკს აღწევდა.

თავისუფალი გლეხების დაყმევებას დიდად უწყობდა ხელს მიწების გადაცემის **პრეკარიის** (precario) პრაქტიკაც, რომელიც ჯერ კიდევ მეროვინგების დროიდან არსებობდა. პრეკარიუმი „თხოვნით გადაცემული" პირობითი მიწის სამფლობელო იყო, რომელსაც მსხვილი მესაკუთრე დროებით სარგებლობაში გადასცემდა უმიწო ან მცირე მიწის მქონე ადამიანს. სამაგიეროდ მიწის მიმღები იხდიდა ღალას ან ასრულებდა ბეგარას მიწის მესაკუთრის სასარგებლოდ.

ნიშანდობლივია, რომ VIII-IX საუკუნეებში შექმნილი მსხვილი მიწათმფლობელობა აღარ წააგავდა რომაულ ლატიფუნდიას, ამჯერად მსხვილი მიწათმფლობელობის დასაყრდენს მიწაზე ფეოდალური კერძო საკუთრება წარმოადგენდა. მეფე ვასალებზე გასცემდა ბენეფიციუმებს, ვასალები, თავის მხრივ, მიწებს უფრო წვრილ ბენეფიციუმებად ანაწილებდნენ და დაბლა მდგომ თავიანთ ვასალებზე გასცემდნენ. ამგვარად, ერთი და იგივე პიროვნება ერთსა და იმავე დროს ვასალიც იყო და სენიორიც. იქმნებოდა **ფეოდალური იერარქია, კიბე,** რომლის სათავეში მეფე იდგა, ის იყო უმაღლესი სენიორი და მოსამართლე, დავაში, რომელიც ფეოდალებს შორის წარმოიშვებოდა. იგი მეთაურობდა ჯარს, როცა ქვეყანას თავს ესხმოდნენ მტრები. მეფის უშუალო ვასალებად მსხვილი მაგნატები — ჰერცოგები, გრაფები, მარკგრაფები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და სხვანი ითვლებოდნენ. თავდაპირველად ისინი მეფის მიერ დანიშნული თანამდებობის პირები იყვნენ, შემდეგში მოიპოვეს მათ სამემკვიდრეოდ საჰერცოგოები და საგრაფოები, რომლებშიც ჩვეულებრივ ასეულობით სოფელი ირიცხებოდა. მათ ხელში იყო დიდი რაოდენობის მეომართა რაზმები. ერთი საფეხურით დაბლა იდგნენ ბარონები — ვასალები ჰერცოგებისა და გრაფებისა. ბარონების გამგებლობაში 30-მდე სოფელი შედიოდა. მათ ჯარის გამოყვანა შეეძლოთ. ბარონთა ვასალები კი უფრო წვრილი ფეოდალები — რაინდები წარმოადგენდნენ. ესენი იყვნენ ცხენოსანი მეომრები. თითოეულ რაინდს რამდენიმე გლეხური კომლი ან პატარა სოფელი ეკუთვნოდა. რაინდებით მთავრდებოდა ფეოდალური იერარქია.

სენიორსა და ვასალს შორის ურთიერთობა ორმხრივ ნებაყოფლობით შეთანხმებას გულისხმობდა. ერთიმეორის მიმართ ორივე მხარე გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობდა. ვასალი სენიორის მფარველობაში შედიოდა, მიენდობოდა თავის სენიორს, ეფიცებოდა მას ერთგულებას და პირობას აძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევდა, რომ სენიორის ბრძანებისთანავე გამოიყვანდა მეომართა რაზმს და გამოჰყვებოდა ყოველგვარ ბრძოლაში. მას ასევე მონაწილეობა უნდა მიეღო სენიორის სასამართლოში, სენიორისა და მისი ამალის გამასპინძლებაში, სენიორის ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში გამოსასყიდი თანხის შეწევნაში და ა.შ. ერთი სიტყვით, იგი თავისი ბატონის „კაცი“ (homo) ხდებოდა. სენიორი, თავის მხრივ, იმის პირობას დებდა, რომ მზრუნველობას არ მოაკლებდა თავის ვასალს. დაიცავდა მას სხვა ფეოდალების თავდასხმებისა და აჯანყებული გლეხებისაგან. თუ სენიორი პირობას დაარღვევდა, შეეცდებოდა თავისი ვასალის მოკვლას ან მისი ოჯახის შეურაცხყოფას, ანდა სამემკვიდრეო ქონების ჩამორთმევას, ვასალს უფლება ჰქონდა თავი მიენებებინა თავისი სენიორისათვის და სხვის მფარველობაში შესულიყო. ამის კონკრეტული მაგალითია აკვიტანიის ჰერცოგის საქციელი 1200 წელს. როცა ჰერცოგს ინგლისის მეფემ ჯონ უმიწაწყლომ საცოლე წაართვა, მან უარი თქვა ჯონისადმი ერთგულების ფიცზე და თავისი ვასალური დამოკიდებულება საფრანგეთის მეფე ფილიპ-ოგიუსტზე გადაიტანა, რადგან ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ჯონის სიუზერენად ითვლებოდა იმ მიწების გამო, რომლებიც მიღებული ჰქონდა მას საფრანგეთის მეფისაგან.

სენიორისა და ვასალის ასეთი ურთიერთობა, ანუ ვასალიტეტი პირველ ხანებში მნიშვნელოვნად უადვილებდა სამეფო ხელისუფლებას ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს, რადგან სენიორი პასუხს აგებდა თავისი ვასალების მოქმედებაზე და, რაც მთავარია, შეიარაღებული ძალების ორგანიზაციას ახდენდა. ვასალები თავიანთ სენიორებს ემორჩილებოდნენ და სხვა სენიორს, თუგინდ ეს მისი ვასალის ვასალები ყოფილიყვნენ, არ ჰქონდა ამ ვასალების მომსახურების უფლება. აქედან შეიქმნა ფეოდალური დევიზი — „ჩემი ვასალის ვასალი არაა ჩემი ვასალი“.

ომი რომ იწყებოდა, მეფე ჰერცოგებსა და გრაფებს ლაშქრობისაკენ მოუხმობდა, ისინი, თავის მხრივ, ბარონებს მოუხმობდნენ და მათ გამოჰყავდათ რაინდთა რაზმები. ასე ყალიბდებოდა ფეოდალური ლაშქარი.

ფეოდალები ომებში, სამხედრო წვრთნასა და ნადიმებში ატარებდნენ დროს. მათ ცხოვრებაში ასევე დიდი ადგილი ეკავა ნადირობასა და ასპარეზობას, თუმცა გართობის ორივე ეს სახეობა თავისებური სამხედრო წვრთნაც იყო, ისინი რაინდებს გამბედაობისა და მოხერხებულობის გამომუშავებაში ეხმარებოდნენ. ასპარეზობას მეფეები და მსხვილი ფეოდალები მართავდნენ. იყო შემთხვევა, როცა ასპარეზობაში მეფეებიც მონაწილეობდნენ. არაერთხელ მიუღია მონაწილეობა კარლოს დიდს ცურვაში გამართულ შეჯიბრებაში და გამარჯვებულიც გამოსულა.

ასპარეზობას მაყურებელიც არ აკლდა, თუმცა საპატიო ადგილას წარჩინებულთა წარმომადგენლები სხდებოდნენ. ვასალიტეტის შემდგომმა განვითარებამ თვალსაჩინო გახადა, რომ მან სიკეთე ვერ მოუტანა სამეფო ხელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლებას, პირიქით, შეასუსტა იგი და გააძლიერა ფეოდების მჭონე მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური გავლენა და სამხედრო ძალა, მათი იერარქიული სტრუქტურის ფორმირება. მეფეს, რომელსაც არ ძალუძდა ამ პროცესის შეზღუდვა, ზოგჯერ მეტი დათმობის გაღება უხდებოდა, ცალკეულ გავლენიან ფეოდალებს ანიჭებდა ე.წ. **იმუნიტეტს**, ანუ **შეუვალობას**. იმუნიტეტის მქონე მამულში მეფის მოხელეებს – გრაფებს, ასისთავებსა და მათ თანაშემწეებს ეკრძალებოდათ რაიმე სასამართლო, ადმინისტრაციული, საპოლიციო ან ფისკალური (სახაზინო) ფუნქციების შესრულება. ყველა ეს ფუნქცია გადაეცემოდა ფეოდალებსა და მათ თანამდებობის პირებს. იგი იყო სამხედრო ლაშქრის წინამძღოლიც იმ მამულში, სადაც ეს ლაშქარი იკრიბებოდა. ამგვარად, იმუნიტეტი, ისე როგორც ვასალიტეტი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ხელს უწყობდა ფეოდალების პოლიტიკური დამოუკიდებლობის ზრდას, ამზადებდა ნიადაგს კაროლინგური იმპერიის შემდგომი პოლიტიკური რღვევისათვის.

მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ორგანიზაცია. მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა, რომელიც ჩამოყალიბდა კაროლინგების პერიოდში, არ იყო ერთგვარი. განასხვავებენ ჩვეულებრივ ფეოდსა და **სენიორიას**. სენიორია ისეთ ფეოდს ეწოდებოდა, რომლის მიღებაც, გარდა სამხედრო მოვალეობისა, დაკავშირებული იყო, აგრეთვე, ადმინისტრაციულ, სახელმწიფოებრივ ან პოლიტიკურ საქმიანობასთან. ასეთი ფეოდის პატრონი მეფეს რომელიმე დიდი მოხელის ვალდებულებასაც ასრულებდა. რაც შეეხება ჩვეულებრივ ფეოდს, იგი სამხედრო მოვალეობის შემსრულებელს ეძლეოდა.

ასევე ერთგვაროვანი არ იყო ფეოდალური მამული, რომლის შესახებ წარმოდგენას გვიქმნიან ე.წ. **პოლიპტიკები** (განსაკუთრებით სენ-ჟერმენის მონასტრის პოლიპტიკი). ზემოთ ითქვა და ახლაც გავიმეორებთ, რომ კაროლინგების ხანაში ფეოდალური მამული ორ ნაწილად იყოფოდა: საბატონო მიწად ანუ დომენად (ლათ. dominus – ბატონი), რომელზეც იწარმოებოდა ფეოდალის მეურნეობა და მიწად, რომელიც იმყოფებოდა დამოუკიდებელი გლეხების სარგებლობაში.

საბატონო მიწების შემადგენლობაში შედიოდა ბატონის კარ-მიდამო-სახლი და ეზო, სამეურნეო ნაგებობანი, ბაღი, ბოსტანი, ვენახი. აქ გაშენებული იყო წისქვილი და კარის ეკლესია, რომელიც ითვლებოდა ფეოდალის საკუთრებად. აქვე იყო სახნავი მიწები და საძოვრები, შენობები შინაური პირუტყვისა და ფრინველებისათვის.

მამულის მეორე ნაწილი, რომლებიც გლეხების სარგებლობაში იმყოფებოდა, ნადელებად იყოფოდა. ნადელს ფრანკთა სახელმწიფოს დასავლეთ ნაწილში **მანსი** ეწოდებოდა, ხოლო გერმანიაში **ჰუფი**. თითოეულ ნადელში შედიოდა გლეხთა ეზო, სახლი და სამეურნეო ნაგებობანი, რომელსაც ზედ ეკვროდა ბოსტანი და ვენახი, სახნავი მიწა. ეს მიწა გაფანტული იყო სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხებისა და თვითონ მემამულის ნაკვეთებს შორის. გარდა ამისა, თითოეულ გლეხს უფლება ჰქონდა ესარგებლა სათემო საძოვრებითა და ტყით.

კლასობრივ წინააღმდეგობათა ზრდა და გლეხთა აჯანყებანი. მეტად მძიმე იყო გლეხთა ვალდებულებანი. უპირველესად ისინი მემამულის სასარგებლოდ იხდიდნენ ღალას, მეტწილად ნატურის სახით. ხორბალი ან ფქვილი, ლუდი, ღვინო, ქათმები და კვერცხი, გოჭები, ცხვრები, ტანსაცმელი და ა.შ., — აი ყველაფერი ის, რასაც გასცემდნენ გლეხები თავიანთი ბატონის ოჯახისათვის. გლეხები ვალდებულნი იყვნენ შეესრულებინათ გარკვეული ბეგარაც, რომელიც ხშირად კვირაში სამი დღით განისაზღვრებოდა, ზოგჯერ კი განუსაზღვრელი იყო. გლეხები ბატონების სასარგებლოდ ეზიდებოდნენ შეშას, ფქვავდნენ ხორბალს, იჭერდნენ თევზს და, რაც მთავარია, ამუშავებდნენ მის მიწას — ხნავდნენ და თესდნენ, ყანებს მკიდნენ და თიბავდნენ ბალახს.

როგორც ვხედავთ, ფრანკთა მონარქიაში საკმაოდ იყო უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია, მაგრამ მის სიმძიმეს მაინც განსაზღვრავდა „ფეოდალის კუჭი". ნატურალური მეურნეობის პირობებში, როცა აღებ-მიცემობა და ბაზარი ან სულ არ იყო, ან თუ იყო, მხოლოდ სპორადულად, ბატონი ყმა-გლეხისაგან იმაზე მეტს ვერ მოითხოვდა, რაც საკმარისი იქნებოდა მისი ოჯახის გამოსარჩენად. თუ აიღებდა, გაუფუჭდებოდა. და მაინც ვხვდებით ფრანკთა სახელმწიფოში კლასობრივი ბრძოლის ცალკეულ გამოვლინებებს. თავდაპირველად იგი გაქცევაში გამოვლინდებოდა. 787 წლის კაპიტულარიდან ვიგებთ, რომ გლეხებმა „ვერ გაუძლეს ჩაგვრას და ბევრი გაექცა თავიანთ ბატონს". იყო აჯანყების შემთხვევაც. ასე, მაგალითად, კარლოს დიდმა სასტიკად ჩაახშო აჯანყება რეიმსის ეკლესიის ერთ-ერთ სოფელში. ასეთივე აჯანყება მაინცის საარქიეპისკოპოსოში ორჯერ იქნა ჩახშობილი: პირველად — 848 წელს, ხოლო მეორედ — 866 წელს. ფართო ხასიათი მიიღო გლეხთა აჯანყებამ საქსონიაში, რომელიც მოხდა 841-842 წლებში. აჯანყებულმა გლეხებმა მიიღეს „სტელინგას" (გერმ. Stel — ძველს ნიშნავს, Ling — შვილს, ე.ი. „ძველი ადათის შვილები") სახელწოდება, განდევნეს ყველა ბატონი და „იწყეს ძველებურად ცხოვრება". ეს აჯანყება შემდეგში კარლოს დიდის შვილიშვილმა ლუდვიგ გერმანელმა ჩაახშო.

ეინჰარდი — კარლოს დიდის მეისტორიე. კარლოს დიდის თანამედროვეთა შორის, როგორც ითქვა, გამორჩეული ადგილი უკავია ეინჰარდს, რომელიც სულ პატარა იყო, როცა კარლოს დიდმა იგი სასახლეში მიიყვანა და ალკუინის ხელმძღვანელობით ასწავლიდა „სასახლის აკადემიაში", სადაც მისი შვილებიც სწავლობდნენ. თავისი ნიჭის წყალობით სულ მოკლე ხანში მან მეფის ნდობა დაიმსახურა, გახდა მისი მდივანი და მრჩეველი, შემდეგ კი მეისტორიე, ავტორი წიგნისა — „კარლოს დიდის ცხოვრება", სადაც აღწერილია კარლოს დიდის მიერ გატარებული ყველა ის ღონისძი-

ება – ომები, დიპლომატია, რეფორმები, მიწათმფლობელობის ორგანიზაცია, კულტურული წინსვლა და ა.შ., რომლებზედაც უკვე გვქონდა საუბარი. ეინჰარდი საინტერესოდ წარმოაჩენს კარლოს დიდის პიროვნულ თვისებებსაც, წერს, რომ კარლოსი ბრგე ვაჟკაცი იყო, ორი მეტრი სიმაღლისა, ფიზიკურად ძლიერი და ამტანი, დიდი თვალებით და მტკიცე თავის მოქმედებაში. იგი საუკეთესო მხედარიც იყო, უყვარდა ნადირობა, ცურვა, იკვებებოდა ზომიერად და ვერ იტანდა ლოთობას.

კარლოს დიდი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანიც იყო. ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით უყვარდა ნეტარი ავგუსტინეს წიგნი – „ღვთის ქალაქის შესახებ". მშობლიური, ფრანკული ენის გარდა, კარლოსმა ლათინური ენაც შესანიშნავად იცოდა, ბერძნული უფრო გაეგებოდა, ვიდრე ლაპარაკობდა. ერთადერთი, რაც ვერ ისწავლა (თუმცა ცდა არ დაუკლია) ასოების გამოყვანა (წერა) იყო. მისი ხელმოწერა ასე გამოიყურებოდა: (Θ).

კარლოს დიდს 15 შვილი ჰყოლია როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური მეულლეებისაგან. ვაჟიშვილებისაგან დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ დაუფლებოდნენ ცხენზე ჯდომის ხელოვნებას, იარაღის ტარებასა და ნადირობას. ქალიშვილებს კი იმას უჩიჩინებდა, რომ შეესწავლათ სელის რთვა.

ქალიშვილები მას მეტად ლამაზები ჰყოლია და ისე ჰყვარებია, რომ სიცოცხლეში არც ერთის გათხოვება არ მოუსურვებია, რის გამოც მეფეს, მიგვანიშნებს ეინჰარდი, ბედმა მწარედ დასცინა, მის ქალიშვილებს სიყვარული არ დაჰკლებიათ, მაგრამ მამა ისე იქცეოდა, თითქოს ვერაფერს ხედავდა. ეს მინიშნება შემდეგში იმის საბაბიც შეიქმნა, რომ კარლოსის ერთ-ერთ ქალიშვილთან – ემასთან რომანის გმირი თვითონ ეინჰარდი ხდება. ამ რომანზე მოგვითხრობს „ლაურესჰეიმის მონასტრის ქრონიკა", რომელიც დღესაც პოპულარულია საფრანგეთში. ქრონიკაში მოთხრობილია: შეყვარებულები იმის შიშით, რომ არ გაეგო მამასა და მეფეს, ერთხანს თავს იკავებდნენ შეხვედრისაგან. მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა და ერთად გატარებული პირველი ღამის შემდეგ, გამთენიისას, როდესაც ეინჰარდმა სცადა უჩუმრად დაეტოვებინა ემას საძინებელი, დაინახა, რომ გზა, რომლითაც მოვიდა, დიდ თოვლს დაეფარა და თუ წავიდოდა, ნაკვალევი გასცემდა საიდუმლოს. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ქალებს მეტი გამჭრიახობა აქვთ. გამონაკლისი არც ემა აღმოჩნდა: მან ზურგზე შეისვა და სამშვიდობოზე გაიყვანა ვაჟი, თვითონ კი თავისივე ნაკვალევით უკან დაბრუნდა.

ქრონიკიდან იმასაც ვიგებთ, რომ იმ ღამეს ღმერთის ნებით არ ეძინა იმპერატორს, დასეირნობდა თავისი სასახლის აივანზე. მან თავისი თვალით იხილა ყველაფერი, მაგრამ ხმაც არ ამოუღია, რადგან ფიქრობდა, რომ ყველაფერი ეს ხდებოდა ღმერთის ნებით.

საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ეინჰარდი იმავე დღესვე ეახლა მეფეს და სთხოვა: რომელიმე ქვეყანაში ელჩად განეწესებინა. კარლოსმა სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრაფოდ მოიწვია თავისი მეგობრები და ამცნო მათ, რომ ეინჰარდმა თავისი სიყვარულით შებღალა მეფის სახელი და მათგან რჩევა ითხოვა. დამსწრე საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეინჰარდის სიკვდილით დასჯა მოითხოვა, მეორე ნაწილმა – მისი ქვეყნიდან განდევნა, მესამე ნაწილმა კი, ვისაც მეტი ჭკუა აღმოაჩნდა, ამ საკითხის გადაწყვეტა თვით მეფეს მიანდო. მეფემაც თქვა: მე რომ ეინჰარდი სიკვდილით დავსაჯო ან ქვეყნიდან გავდევნო, ამით ჩემი შელახული ავტორიტეტი ვერ აღდგება. მაგრამ ასე დაწყებულ სიყვარულს თუ მიეცემა კანონიერი გზა, მაშინ ასე თუ ისე აღდგება ჩემი სახელი. მეფეს მოუწონეს გადაწყვეტილება და უხმეს ემასა და ეინჰარდს. ამ ცოტა ხნის წინათ, მიმართავს კარლოს დიდი ეინჰარდს, იმაზე წუხდით, რომ სათანადოდ არ ხართ დაფასებული სასახლის კარზე. მე და ჩემმა მეგობრებმა გადაწყვეტილება მივიღეთ, დავაქორწინოთ ემაზე, რომელმაც დღეს, გამთენიისას, ასეთი დიდი სამსახური გაგიწია, აფორიაქებული ეინჰარდი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა მეფემ ორივე ახალგაზრდას ხელი, ქორწინების ნიშნად, შეაერთა. ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ კარლოს დიდი მართლაც დიდი ხელმწიფე იყო.

კარლოს დიდის იმპერიის დაშლა. კარლოს დიდის იმპერიის დაშლის ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკურ ფაქტორში უნდა ვეძებოთ. როგორც ითქვა, იმპერია ნატურალურ მეურნეობაზე დამყარებული სახელმწიფო იყო, სადაც ვაჭრობა ან სულ არ იყო, ან თუ იყო, სპორადულად. ეკონომიკური კავშირის უქონლობას ცალკეულ ოლქებს შორის პოლიტიკური დეცენტრალიზაციაც ემატებოდა; იმუნიტეტის მქონე ფეოდალები, რომლებიც ცდილობდნენ თვითონ გადაქცეულიყვნენ მეფეებად, ყოველგვარ კავშირს წყვეტდნენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმპერიაში არ იყო ერთიანი სასამართლო სისტემაც, არ იყო ერთობლივი ენა. მართალია, ქვეყნის მართვა-გამგეობაში კარლოს დიდმა ფართოდ დანერგა ლათინური ენა, მიმოწერაც ლათინურ ენაზე წარმოებდა, მაგრამ უმრავლესობისათვის ეს ენა მაინც გაუგებარი რჩებოდა. ეს გამჟღავნდა კიდეც „სტრასბურგის ფიცის“ დადების დროს (842), რომელიც კარლოს დიდის შვილიშვილმა ნითარდიმ ორ ენაზე ჩაიწერა – რომანულსა (აქედან განვითარდა ფრანგული ენა) და გერმანულზე. იმპერიაში სხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხებიც იყვნენ.

ასეთ ვითარებაში უდავოა კარლოს დიდის როლი. ეს იყო ძლიერი პიროვნება, რომელმაც შეანელა იმპერიაში ფეოდალური დაქუცმაცებულობის პროცესი. მართალია, მან ჯერ კიდევ 806 წელს თავის 6 ვაჟს შორის გაანაწილა სამეფო, მაგრამ ერთიანობა კარლოსის გავლენით მას არ დაუკარგავს, ერთიანობა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დაირღვა. ამჯერად ეს სუსტი პიროვნების მოსვლას უკავშირდება. საქმე ის არის, რომ კარლოს დიდმა იმპერატორის გვირგვინი (იმპერიის ერთიანობის სიმბოლო) გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 813 წელს, თავისი ხელით დაადგა უფროსი

ვაჟის ლუდოვიკუს თავს, მაგრამ ეს თავი ამ გვირგვინის ღირსი არ აღმოჩნდა, ვინაიდან ეს საოცრად განათლებული, მაგრამ იმავდროულად სუსტი ნებისყოფის ადამიანი ნაკლებად ერეოდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. და თუ მაინც მას უხდებოდა რაიმე გადაწყვეტილების მიღება, იგი მოქმედებდა სამღვდელოების მითითებით, მფარველობდა ეკლესიას. თანაც, თუ კარლოსის დროს პაპები მასზე დამოკიდებული იყვნენ, ლუდოვიკუსი პაპებზე დამოკიდებული აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ერთხელ ნაკურთხ იმპერატორს პაპმა ხელახლა დაადგა გვირგვინი. მას პიუსი დაარქვეს საოცარი ღვთისმოსაობის გამო. შემთხვევითი არ იყო, რომ ლუდოვიკუს ღვთისმოსავს (814-840) ხუთჯერ მოუხდა სამეფოს განაწილება შვილებს შორის. ლუდოვიკუსი სიბერეში დაქვრივდა და ცოლად ითხოვა ბავარიის ჰერცოგის ახალგაზრდა ასული ივდითი. მასთან შეეძინა ვაჟი, რომელიც ისტორიაში ცნობილია შარლ მელოტის სახელწოდებით. მამა შეეცადა უმცროსი შვილისთვისაც გამოეყო მიწა-წყალი, მაგრამ ამან ძმების დაპირისპირება და სამოქალაქო ომი გამოიწვია. ეს ომი განსაკუთრებით გამწვავდა მამის გარდაცვალების შემდეგ, 840-843 წლებში. ჯერ იყო და ძმებმა ლუდვიგ გერმანელმა და შარლ მელოტმა უფროსი ძმა ლოთარი (იმპერატორის გვირგვინი რომ ეპყრა ხელთ)841 წელს ფონტენუასთან ბრძოლაში დაამარცხეს. შემდეგ, არ იკმარეს რა ეს, 842 წლის 14 თებერვალს სტრასბურგის მახლობლად დადეს შეთანხმება, რომელიც „სტრასბურგის ფიცით" განამტკიცეს და აიძულეს ლოთარი დათმობაზე წასულიყო. იგი დაეთანხმა ძმებს, სამეფო ხელახლა დაენაწილებინათ.

ეს გადანაწილება მოხდა 843 წლის ვერდენის ხელშეკრულების ძალით. ამჯერად კარლოს დიდის იმპერია სამ ნაწილად გაიყო: უფროს ძმას, ლოთარს იმპერატორის ტიტულთან ერთად (თუმცა მას ძმებზე რაიმე გავლენა აღარ ჰქონდა) ერგო იტალია და რაინს, მაასსა და შელდას შორის მდებარე მიწები ბურგუნდიის ჩათვლით. რაინის აღმოსავლეთით მდებარე მიწები (ბავარია, ტიურინგია, შვაბია, ფრანკონია, საქსონია, მაინცი, ვორმსი, შპაიერი) შეხვდა ლუდვიგ გერმანელს, ხოლო აკვიტანია, გალია, ესპანური მარკა – შარლ მელოტს. ამგვარად, ვერდენის ხელშეკრულებამ დასაბამი დაუდო სამი ფეოდალური სახელმწიფოს – საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის წარმოქმნას, თუმცა ყოფილი ფრანკთა სამეფოს ტერიტორია კვლავ ითვლებოდა კარლოს დიდის მემკვიდრეების საერთო საკუთრებად. ამიტომაც პირველ ხანებში რომელიმე მათგანის სიკვდილის შემთხვევაში იწყებოდა ომები, მიწების ხელახალი გადანაწილება და დროებითი შეკავშირება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი V

დასავლეთი ევროპა ადრეული შუა საუკუნეების ბოლოს (IX-XI სს.)

§ 1. ევროპის პოლიტიკური და საზოგადოებრივი სახე IX-XI საუკუნეებში

ვერდენის ხელშეკრულების შემდეგ დასავლეთ ევროპაში არსებითი ცვლილებები მოხდა. მართალია, იმპერიის ერთიანობის იდეა ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ, რეალურად, საფრანგეთი, გერმანია და იტალია სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ. საფრანგეთისა და გერმანიის პირველი კაროლინგი მეფეები ლოტარის სამემკვიდრეო მიწების მიტაცება-მითვისებით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე იმპერიის რეალურად აღდგენით. თვით იმპერატორის ტიტულიც ხან ფრანგ კაროლინგებს ჰქონდათ, ხან გერმანელებს. მაგალითად, ამ ტიტულს ატარებდა შარლ მელოტი 875-877 წლებში, ხოლო 880-887 წლებში კი ლუდვიგ გერმანელის შვილი კარლ სქელი. IX საუკუნის ბოლოსათვის იმპერატორის ტიტულიც ფიქციად იქცა.

როცა ვსაუბრობთ ფრანკთა იმპერიის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფოების აღმოცენებაზე, უნდა გავახოვდეს, რომ ისინი ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ ერთიან, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მქონე ფეოდალურ მონარქებს. ლუდვიგ გერმანელის მემკვიდრეებმა ვერ შეინარჩუნეს ხელისუფლება და X-XI საუკუნეებში გერმანიის სამეფო ტახტზე ერთმანეთს ცვლიდნენ საქსონური და ფრანკონული დინასტიის წარმომადგენლები. ამასთან, როგორც ერთი, ისე მეორე დინასტიათა მეფეებს უმძიმესი ბრძოლა უხდებოდათ განდგომილი ჰერცოგებისა და გრაფების დასამორჩილებლად და ქვეყნის თუნდაც ფორმალური ერთიანობის შესანარჩუნებლად. უარესი იყო მდგომარეობა საფრანგეთში. აქაურ კაროლინგებს X საკუნისათვის რეალური ძალაუფლება აღარ ჰქონდათ. პირველი კაპეტინგები კი X-XI საუკუნეებში, უფრო სამეფო გვირგვინის შენარჩუნებას ცდილობდნენ, ვინაიდან ქვეყნის გაერთიანებისათვის არავითარი რეალური ძალა არ გააჩნდათ. ლოტარის სამემკვიდრეო მიწებზეც უამრავი დიდი თუ მცირე პოლიტიკური ერთეულები აღმოცენდა. IX საუკუნიდან ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა ბურგუნდია (იგივე არელატის სამეფო). იტალია პოლიტიკურად ყველაზე უფრო დაქსაქსული იყო: ათობით საჰერცოგო, საგრაფო და მარკიზატები ჩრდილოეთში, პაპის ოლქი ცენტრალურ იტალიაში, ბიზანტიელთა და არაბთა მიერ მიტაცებული ტერიტორიები სამხრეთში. X-XI საუკუნეებში ეყრება საფუძველი იტალიის ფეოდალური ქალქების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას (ვენეცია, გენუა. ფლორენცია და სხვ.).

განსახილველი პერიოდის ევროპაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სხვა ფაქტორებმაც. კერძოდ, არაბთა, უნგრელთა და ნორმანების თარეშმა.

არაბებმა (ევროპელები მათ სარაცინებს, ანუ სარკინოზებს ეძახდნენ) თავდასხმები ჯერ კიდევ VIII საუკუნის დამდეგიდან დაიწყეს. მათ გაანადგურეს ვესტგოთთა ესპანური სამეფო, ხოლო აქედან გალიაზე იწყეს თავდასხმები. მხოლოდ კარლოს მარტელის ენერგიულმა მოქმედებამ (732 წლის პუატიეს ბრძოლა) იხსნა ფრანკთა ქვეყანა არაბული აგრესიისაგან. აფრიკის ჩრდილოეთში დამკვიდრებულმა არაბებმა მთელ ხმელთაშუა ზღვაზე მოიპოვეს გაბატონებული მდგომარეობა და სამხრეთ იტალიაზე დაიწყეს თავდასხმები. IX საუკუნეში მათ დაიკავეს კუნძული სიცილია და ის იტალიის ოლქებზე თავდასხმებისათვის პლაცდარმად აქციეს. მათი ბატონობა სიცილიაში ნორმანთა გამოჩენამდე გაგრძელდა.

ნორმანებს, როგორც შემდეგშიც ვიტყვით, სკანდინავიის მოსახლეობას უწოდებდნენ (თანამედროვე ნორვეგიელთა, დანიელთა და შვედთა წინაპრები). ისინი შესანიშნავი მეზღვაურები იყვნენ, თავდასხმებს რამდენიმე მიმართულებით წარმართავდნენ. დასავლეთით ისინი თავს ესხმოდნენ ბრიტანეთის კუნძულებს, აითვისეს ისლანდია, შექმნეს პირველი დასახლებები გრენლანდიაზე და XI საუკუნის დასაწისში ჩრდილოეთ ამერიკის, ლაბრადორის ნახევარკუნძულსაც კი მიაღწიეს. სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბალტიის ზღვის სანაპირობიდან ისინი რუსთა ქვეყანაში ჩადიოდნენ, მდინარე დნეპრით შავ ზღვაზე აღწევდნენ და ბიზანტიის სანახებსაც არბევდნენ. ყველაზე აქტიური თავდასხმები მაინც კონტინენტურ ევროპაზე ეწყობოდა. IX საუკუნის დამდეგიდან ნორმანები საფრანგეთის ჩრდილოეთ ტერიტორიებს გამუდმებით თავს ესხმოდნენ და საშინლად აოხრებდნენ. „ღმერთო გვიხსენი ნორმანთა თავდასხმებისაგან", – ასე ლოცულობდა შეშინებული ჩრდილოეთ საფრანგეთის მოსახლეობა. ნორმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში საფრანგეთის მეფეები თუ საიმპერატორო ხელისუფლება ზოგჯერ სრულ უუნარობას იჩენდნენ. მაგალითად, 852 წელს, შარლ მელოტმა და იმპერატორმა ლოტარმა, ნორმანთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის ნაცვლად, მათთან მოლაპარაკება და გადასახადების გადახდა არჩიეს. ხოლო ფრანგთა მეფემ, შარლ უბრალომ ნორმანთა ბელადს, როლანს, საცხოვრებლად დაუთმო მდ. სენას შესართავი, ნორმანებმა მალე გააფართოეს დაკავებული ტერიტორიები, ქრისტიანობა მიიღეს და აღიარეს საფრანგეთის მეფისადმი ვასალური მდგომარეობა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ნორმანდიის საჰერცოგოს ჩრდილოეთ საფრანგეთში. გარდა ამისა, ნორმანები ინტენსიურ ლაშქრობებს აწყობდნენ ევროპის დასავლეთი სანაპიროების გასწვრივ, კერძოდ, ესპანეთზე. ცნობილია IX საუკუნის 40-იანი წლების ამაოხრებელი თავდასხმები ასტურიის სანაპიროებზე. გიბრალტარის სრუტის გავლით ისინი თავს ესხმოდნენ ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებს. აქედან მათ სამხრეთ იტალიას მიაღწიეს. სამხრეთ იტალიელი ფეოდალები ნორმანთა რაზმებს ქირაობდნენ და სანაცვლოდ ზოგჯერ მიწებსაც აძლევდნენ. XI საუკუნის 30-40-იან წლებში სამხრეთ იტალიაში ნორმანები იმდენად მომრავლდნენ და მომძლავრდნენ, რომ შექმნეს ავერზას საგრაფო. მალე მათ კამპანიის ოლქის მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავეს, აპულიის ოლქის დასავლეთსაც დაეპატრონენ. ნორმანთა ბელადმა გიიომ „რკინის ხელმა" ბენევენტიც დაიპყრო და შემდეგ სიცილიაში გაბატონებულ არაბებს შეუტია. რომის პაპებმა სცადეს ნორმანთა ძალის თავის ინტერესებისათვის გამოყენება. ამის შედეგი იყო ის, რომ 1059 წელს ნორმანთა წინამძღოლ რობერტ გუისკარს, პაპმა, აპულიისა და კალაბრიის ჰერცოგის ტიტული უბოძა. რობერტმა და მისმა ძმამ როჟერმა ერთობლივად შეუტიეს სიცილიელ არაბებს და კუნძული მთლიანად დაიკავეს. დაკავებული ტერიტორიების გაერთიანების შედეგად წარმოიშვა სამხრეთ იტალიის ნორმანთა სამეფო.

გარდა სარკინოზებისა და ნორმანებისა, დასავლეთ ევროპას განსახილველ ეპოქაში, აღმოსავლეთიდან თავს ესხმოდნენ მადიართა, ანუ უნგრელთა ტომები. დიდმორავიის სლავური სამეფოს დაპყრობის შემდეგ, უნგრელებმა მთელი შუა დუნაისპირეთი დაიკავეს და აქედან გერმანიაში იწყეს შეჭრა. ისინი ჩრდილო-აღმოსავლეთით საქსონიას ძარცვავდნენ, ხოლო აღმოსავლეთიდან ბავარიაში, შვაბიასა და ლოთარინგიამდე აღწევდნენ. უნგრელთა თავდასხმები განსაკუთრებული სისასტიკით ხასიათდებოდა. ისინი წვავდნენ სოფლებსა და ქალაქებს, მამაკაცებს ხოცავდნენ, ხოლო ქალები ტყვედ მიჰყავდათ. გერმანიის მეფეთა ქვეითი ჯარი, დასაწყისში, ვერ უმკლავდებოდა უნგრელთა კავალერიას. მხოლოდ ჰაინრიხ ფრინველთმჭერის მიერ გატარებულმა სამხედრო რეფორმამ (ცხენოსანი ჯარის შექმნა) აამაღლა გერმანელთა ბრძოლისუნარიანობა. 933 წელს ჰაინრიხ I-მა შეძლო უნგრელთა დამარცხება და დროებით უკუგდებაც. გამანადგურებელი მარცხი უნგრელებს მიაყენა ოტო I დიდმა. 955 წელს, მდინარე ლეხის ნაპირებზე (აუგსბერგის ახლოს), გერმანელებმა იმდენად დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს, რომ ამის შემდეგ მთლიანად შეწყდა უნგრელთა თარეში ევროპაში.

X-XI საუკუნეებში, დასავლეთ ევროპაში ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბება ძირითადად დასრულდა. ამ ურთიერთობების უმთავრესი ნიშნები იყო: მსხვილი მიწათმფლობელური საკუთრება ფეოდალური მამულის სახით, ამ მამულში მცხოვრები გლეხობა, რომლებსაც სარგებლობაში ჰქონდათ მცირე მიწის ნაკვეთები, მაგრამ არ არიან მისი კერძო მესაკუთრენი. გლეხს გააჩნდა საკუთარი შრომის იარაღები და თავად წარმოადგენდა უშუალო მწარმოებელს. სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონე და მისი განვითარება-სრულყოფის დაბალი ტემპი, მეურნეობის ნატურალური ხასიათი (ანუ ყოველგვარი ეკონომიკური ანგარიშსწორებანი ძირითადად ნატუ-

რით, პროდუქტის სახით) და, აქედან გამომდინარე, მამულის კარჩაკეტილობა (ანუ მამულის გარე სამყაროსაგან სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა), ეს ზოგადი ნიშნები დამახასიათებელია განსახილველი პერიოდის დასავლეთ ევროპის მთელი ფეოდალური საზოგადოებისათვის.

ფეოდალური მამული იყო იმდროინდელი საზოგადოების ძირითადი სამეურნეო და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული. იგი მოიცავდა რამდენიმე სოფელს და ვრცელ ტერიტორიაზე იყო განფენილი. როგორც კაროლინგური ეპოქის სამეურნეო დახასიათებიდან ვიცით, მამული ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა: საბატონო (ანუ დომენი) და საგლეხო მიწები. საგლეხო მიწაზე ცხოვრობდა დამოკიდებული გლეხი (ან ყმა), რომელსაც ბატონისაგან ჰქონდა ბოძებული დასამუშავებელი მიწა. ამ მიწაზე მოყვანილი მოსავლით გლეხი თავის ოჯახსაც ჰკვებავდა და ბატონსაც უხდიდა პროდუქტიულ გადასახადს – ღალას. XI-XII საუკუნეებში ზოგიერთ ადგილებში ნატურალური ღალა (იგივე რენტა) ფულადი გადასახადით იცვლებოდა. გლეხი, ბატონის მიერ ნაბოძები მიწით სარგებლობის სანაცვლოდ, გარდა ღალისა, ასრულებდა საბატონო მიწაზე (დომენი) ყველა სახის სამეურნეო სამუშაოებს. გლეხის ამ შრომით ვალდებულებას ბეგარა ჰქვია.

არსებითად შეიცვალა გლეხთა მდგომარეობაც. კაროლინგების ეპოქიდან დაწყებული, ბატონზე დამოკიდებული გლეხობა ზოგადად ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა: მთლიანად (პირადადაც და ეკონომიკურადაც) ფეოდალზე დამოკიდებულნი ანუ ყმები, რომლებსაც სერვებს უწოდებდნენ (საფრანგეთში, ინგლისში და სხვ.) და პირადად თავისუფალნი, მაგრამ ეკონომიკურად ბატონზე დამოკიდებულნი, რომლებსაც ვილანებს უწოდებდნენ. მათი მდგომარეობა სხვადასხვანაირი იყო. სერვის (ყმის) მემკვიდრეობის მისაღებად, მემკვიდრე ვალდებული იყო ბატონისათვის გადაეხადა ერთგვარი გამოსასყიდი (საუკეთესო ხარი ან ძროხა). ყმას არ ჰქონდა უფლება დაქორწინებულიყო ბატონის დასტურის გარეშე, სერვის ღალის სახეობასა და ოდენობას ბატონი ადგენდა და ა.შ. ვილნების მდგომარეობა რამდენადმე უკეთესი იყო. ის პირადად თავისუფალი იყო, მაგრამ მიწით სარგებლობისათვის ფეოდალის წინაშე გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა. მაგრამ ეს ვალდებულებები იყო რეგლამენტირებული ანუ განსაზღვრული (ძირითადად ბეგარის სახით). სერვისაგან განსხვავებით, ვილანი თავისი ქონების სრული მესაკუთრე იყო. მას შეეძლო თავისუფლად გაეყიდა, გაესხვისებინა, გაეჩუქებინა ან ანდერძით დაეტოვებინა იგი. შეეძლო სასულიერო წოდებაში გადასვლა და სხვ. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ვილანი მიწის მესაკუთრე კი არა, მისი მხოლოდ მფლობელი იყო, მაინც ფეოდალზე იყო დამოკიდებული.

თავისუფალი გლეხობა, ისიც მცირე რაოდენობით, რომელთაც საკუთარი მიწა (ალოდის სახით) გააჩნდათ, ჩრდილო გერმანულ მიწებში იყო

შემორჩენილი. XI-XII საუკუნეებისათვის ფეოდალური ევროპის გლეხობა ძირითადი მასა ყმა და დამოკიდებული გლეხობა იყო.

ფეოდალური მამული ანუ სენიორია, ადმინიტრაციულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, პატარა სახელმწიფოს ჰგავდა. მისი მფლობელი ფეოდალ-სენიორი, ამ მამულში მცხოვრებისათვის იყო უმაღლესი მსაჯულიც, მოსამართლეც და კანონმდებელიც, დასჯის უფლებაც ჰქონდა და შეწყალებისაც, ხშირად სჭრიდა საკუთარ ფულს, მეზობელ ფეოდალებთან იწყებდა ომს და დებდა ზავს და ა.შ. ასეთი ფეოდალ-სენიორი, თავის მხრივ, უფრო დიდი ფეოდალ-სენიორის ქვეშევრდომი ანუ ვასალი იყო. ეს უკანასკნელი, უფრო დიდი სენიორის ვასალი და ა.შ. ასეთი ურთიერთდამოკიდებულების, ანუ ერთგვარი ფეოდალური კიბის უმაღლეს საფეხურზე, სათავეში იდგა მეფე. ფეოდალი-სენიორების ასეთნაირ სოციალურ განლაგებას ფეოდალური იერარქია ეწოდება. იერარქიული ხასიათი ჰქონდა არა მარტო საერო, არამედ სასულიერო წოდებასაც: პაპი, კარდინალი, არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, აბატი და ა.შ. ევროპულ ფეოდალურ საზოგადოებაში გამოირჩეოდა სენიორთა ორი ჯგუფი: ე.წ. „გვირგვინოსანი ფეოდალები“, მეფე და მისი უშუალო ვასალები, მსხვილი ტერიტორიული მთავრები, ჰერცოგები და გრაფები. სწორედ ამ უმაღლეს ფენას გააჩნდა ზემოთ აღნიშნული უფლებები. ფეოდალური საზოგადოების ქვედა ფენას ეკუთვნოდნენ ბარონები, რაინდები და სხვ. მათ „გვირგვინოსნებთან“ შედარებით ქონებაც ნაკლები ჰქონდათ და უფლებებიც. რაინდებს ჰყავდათ საჭურველმტვირთველები, რომლებიც შეეძლოთ უმცროს (მცირე) რაინდთა კატეგორიამდე ამაღლებულიყვნენ. ფეოდალ-სენიორთა ეს ორი ფენა ქმნიდა ფეოდალური საზოგადოების უმაღლეს გაბატონებულ კლასს.

მიწის ფეოდალურ საკუთრებას ფეოდი, ანუ ლენი ეწოდებოდა. მიწის ლენური საკუთრება შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ჩვეულებრივი მამული, ისე სამთავრო და სამეფოც კი. მიუხედავად ამისა, ფეოდს (ლენს) ჰქონდა დამახასიათებელი თვისებებიც; პირველი, რომ ფეოდი, განსხვავებით ბენეფიციუმისაგან, კერძო-მემკვიდრეობითი მიწაა; მეორე, მისი მფლობელი მხოლოდ მასზე ზემდგომი სენიორის ვასალია; მესამე, უშუალო სენიორის მიმართ ფეოდის მფლობელ ვასალს აკავშირებს გარკვეული ვალდებულება, კერძოდ, მისდამი სამხედრო, დაბოლოს, ფეოდი თავადაზნაურთა, „კეთილშობილთა“ სამფლობელოა, რითაც იგი განსხვავდება საგლეხო მიწათმფლობელობისაგან. ჩვეულებრივ, ვასალის სენიორებისადმი ვალდებულება სამხედრო სამსახურში გამოიხატებოდა. X-XI საუკუნეებისათვის საბოლოოდ დადგინდა ამ სამსახურის ვადაც: ორმოცი დღე წელიწადში. ამ ძირითადი ვალდებულების გარდა, ვასალი სენიორის სასარგებლოდ სხვა რამესაც აკეთებდა. ის მონაწილეობდა სასახლის კარის, სასამართლოს, ადმინისტრაციულ და სხვა საქმეებში. იხდიდა ფულად გამოსაღებსაც. ფულადი გა-

მოსალები ძირითადად მემკვიდრეობის მიღებისას გადაიხდებოდა. ამას რელიეფი ეწოდებოდა. რელიეფის ოდენობა, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი იყო. ფეოდალთა სენიორულ-ვასალური ურთიერთვალდებულებები კარგად გამოიხატებოდა ცერემონიაში. როცა ვასალი სენიორისაგან იღებდა ფეოდს, ამით ის ხდებოდა „სენიორის კაცი“ (აქედან ომაჟი, ფრანგულად home). ვასალი მუხლებზე ეცემოდა სენიორის წინაშე, ხელებს ხელში ჩაუდებდა და თავს „მის კაცად“ აცხადებდა. ამას მოსდევდა ერთგულების ფიცის დადებაც. ერთგულების ამ ფიცს ფუაჟი ეწოდებოდა (ფრანგული ფუა). თავის მხრივ სენიორი ვასალს გადასცემდა ფეოდის სიმბოლოებს: მიწის გორახს, ხის ტოტს, ბეჭედსა და კვერთხს (სასულიერო ვასალთათვის). ამას ინვესტიტურა ეწოდებოდა. გარდა ზემოთ აღნიშნული უმთავრესი ვალდებულებებისა, ვასალი სენიორის წინაშე სხვა ვალდებულებებსაც ასრულებდა. კერძოდ: მას ყველგან უნდა დაეცვა სენიორის ინტერესები, არ უნდა გაეკეთებინათ ისეთი რამ, რაც სენიორს ავნებდა, საჭირო შემთხვევაში უზრუნველეყო მატერიალურად, მძევლად თვითონ წასულიყო სენიორის ნაცვლად, მოეწყო თავდაცვითი ნაგებობები და სხვა. თუ ვასალი ამ ვალდებულებებს არ შეასრულებდა, მას ფეოდალურ სასამართლოში გაასამართლებდნენ. თუ სასამართლო ვასალური ვალდებულებების დარღვევას დაადასტურებდა, ვასალს ფეოდს ჩამოართმევდნენ, მაგრამ ასეთი განაჩენი სისრულეში ძნელად მოსაყვანი იყო. ვასალი ადვილად არ დათმობდა თავის მიწას – ფეოდს, ამიტომ იწყებოდა ფეოდალური შინაომი. აქედან გამომდინარე, ფეოდალები მსგავსი ომებისათვის მუდამ მზად უნდა ყოფილიყვნენ. ამას ემატებოდა გარეშე თავდასხმებიც (ნორმანთა, უნგრელთა, არაბთა და სხვ.). ამიტომ იყო, რომ ფეოდალის საცხოვრებელი და მისი ყოველდღიური ცხოვრებაც, სამხედრო ყაიდაზე იყო მოწყობილი.

ფეოდალურ ეპოქაში სენიორთა უმთავრესი საცხოვრებელი მათი ციხე-დარბაზები იყო. ასეთი ნაგებობები საიმედო თავშესაფარი იყო არა მარტო გარეშე მტრის თავდასხმებისას, არამედ შინაფეოდალური ომების დროსაც. ასეთი ციხე-დარბაზები IX საუკუნიდან შენდება. თავდაპირველად მას ხისაგან აგებდნენ. ჩვეულებრივ ის ორსართულიანი იყო. თავად სენიორი მეორე სართულზე ცხოვრობდა, ხოლო პირველზე განთავსებული იყო სურსათის საწყობები, საჯინიბო, საქონლის სადგომი და სხვ. ასეთ ციხე-სიმაგრეს გარს ერტყა განიერი თხრილი, რომელიც ხშირად წყლით იყო სავსე. ციხის ალაყაფის კარი მასიური ხისაგან მზადდებოდა. თხრილზე გადადებული იყო ასაწევი ხიდი. ციხეებს ჰქონდათ მიწისქვეშა სარდაფებიც. აქ ხშირად ჭებიც ჰქონდათ, აქედანვე გაედინებოდა საიდუმლო გვირაბ-გასასვლელებიც. ხშირად ასეთ სარდაფებში მოწყობილი იყო საპყრობილე ყმების ან ტყვეებისათვის. ასეთი ხის ციხესიმაგრეები XII-XIII საუკუნეებიდან ქვის სიმაგრეებით იცვლება. ქვით ნაგები ციხეები ზოგჯერ ოთხი და

ხუთსართულიანიც იყო. მისი გალავნის კედლის სისქე რამდენიმე მეტრს წევდა. ქვის ციხესიმაგრეები თავიანთი საიმედოობითა და მასშტაბებით ბევრად აღემატებოდა ხისას. მაშინდელი ციხესიმაგრეების მასშტაბებსა და არქიტექტურაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის დღემდე შემორჩენილი მათი ნაშთები (მაგ., კუსის ციხესიმაგრე საფრანგეთში, ჯვაროსნების მიერ აგებული კრაკის ციხე პალესტინაში, როჩესტერის ციხე ინგლისში და სხვა).

ჩვეულებრივ, ფეოდალური ომების დროს მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურება ნაკლებად ხდებოდა. უფრო სარფიანი იყო ტყვედ ჩაგდება და გამოსასყიდის მიღება, ასევე მისი ქონების, მოსავლის ან საქონლის დაპატრონება.

საცხოვრებელი გარემოსა და საქმიანობის შესაბამისი იყო ფეოდალ-რაინდის აღჭურვილობაც. ომის დროს რაინდს ტანზე ეცვა ჯავშანი (ადრე იყო უხეში ტყავის, ხოლო XI საუკუნიდან – ლითონის), ხოლო თავზე ეხურა მუზარადი. ასევე შეჯავშნული იყო ცხენიც, რომელზედაც რაინდი იჯდა ცხენზე ამხედრებული. ჯავშანში მჯდარი რაინდი მოძრავ ცოცხალ სიმაგრეს ჰგავდა. თუ მოწინააღმდეგე მას ცხენიდან ჩამოაგდებდა, მისი დაჭრა ან მოკვლაც საკმაოდ ძნელი იყო. რაინდის იარაღი იყო სწორი, ორლესული მახვილი, რომლის ვადა ისეთი იყო, რომ მიწაში ჩასობილ ჯვარს ჰგავდა. ვადის ბოლო თავდებოდა სფეროსებრი გამსხვილებით, რომელიც ღრუ იყო და მასში რომელიმე წმინდანის ნაწილი ან ნაშთი ინახებოდა. ჯვრისფორმა და წმინდა ნაწილებით შემკულ მახვილზე, რაინდს შეეძლო ელოცა. მახვილთან ერთად ფეოდალ-რაინდის შეიარაღებაში იყო ხისა გრძელი, წვერზე ლითონისბუნიკიანი შუბი. შუბზე მიმაგრებული იყო ბაირაღიც. შეიარაღებაში ჰქონდათ აგრეთვე ხელკეტი (ძველად ის ხის იყო, ხოლო X-XI საუკუნეებში – ლითონის ამ ხელკეტის სახეცვლილებაა ეპისკოპოსის კვერთხი, როგორც საბრძოლო იარაღი) და საომარი ნაჯახი (სეკირა).

რაინდს ჰქონდა ფარიც. მისი ფორმა ადრე მრგვალი იყო, მოგვიანებით ის ოთხკუთხა და ზომით თითქმის რაინდის სიმაღლის გახდა.

რაინდობისათვის მუზარადს სპეციალურად ამზადებდნენ. ასწავლიდნენ ჯირითს, იარაღის ხმარებას. თოთხმეტი წლისა ხდებოდა საჭურველმტვირთველი და თავის რაინდთან ერთად ეზიარებოდა პრაქტიკულ სამხედრო საქმეს. ოცდაერთი წლისას უკვე აკურთხებდნენ რაინდად, რომელიც განსაკუთრებული ცერემონიალით თავდებოდა.

ცხოვრების წესმა და მუდმივმა ომიანობამ განსაზღვრა ფეოდალთა ყოფა-ცხოვრება და ხასიათი. ფრანკთა სახელმწიფოში ფეოდალი უფრო თავისუფლად ცხოვრობდა და მეურნეობასაც უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა, განსახილველ პერიოდში კი ის თავისი ციხე-დარბაზის ტყვე გახდა. ნაკლები კონტაქტები ჰქონდა თავის მეზობლებთან. მუდმივად ერთფეროვანი ცხოვრება მას უფრო ჩაკეტილს ხდიდა. ფეოდალის უმთავრესი საზრუნავი

და გასართობი ომი, თავგადასავლების ძიება, ძარცვა და სხვა მსგავსი მიანობა იყო. დიდად ფასობდა უხეში ფიზიკური ძალა და არა მაღალი სულიერი ღირებულებები. რაინდული თავაზიანობა ევროპაში გვიან მკვიდრდება, აქედან გამომდინარე, ქალისადმი ტრადიციული პატივისცემა და თავაზიანობაც, აგრეთვე გვიან შეიძინეს (ძირითადად ჯვაროსნული ლაბირინთების შედეგად, აღმოსავლური გავლენით).

ფეოდალთა ასეთი უხეში და არსებული ცხოვრების ფონზე ასევე პრიმიტიული და მძიმე იყო გლეხთა ყოფა-ცხოვრებაც. თვითონ სოფელიც არ იყო მრავალრიცხოვანი დასახლება. მოზრდილ სოფელში ასიოდე მაცხოვრებელი თუ იქნებოდა. როგორც წესი, სოფლის ცენტრში იდგა ეკლესია, ხოლო მის გარშემო, ცოტა მოშორებით, გლეხთა სახლები. გლეხის საცხოვრებელი სახლი ძირითადად ხისა იყო (იშვიათად ქვისაც). ის იყო მისთვის საცხოვრებელიც, პროდუქტის საწყობიც და ზოგჯერ (განსაკუთრებით ზამთარში) საქონლის ბოსელიც. საწოლი, მაგიდა და საზოგადოდ ავეჯი, ხელით ნაკეთი და უხეშად დამუშავებული იყო, ღარიბი იყო გლეხის მენიუც. გლეხობის უმთავრესი თავშესაკრები იყო ეკლესია.

პრიმიტიული იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც. გლეხი მიწას ხნავდა მძიმე გუთნით, რომელშიც რამდენიმე უღელი ხარი იყო შებმული. მიუხედავად იმისა, რომ მიწას ნაკელით ანაყოფიერებდნენ, მოსავლიანობა მაინც არ იყო მაღალი. ფეოდალური შინაომებისა და მოუსავლიანობის დროს შიმშილი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ევროპის ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული დაწინაურება მხოლოდ XII-XIII საუკუნეებიდან იწყება.

§ 2. საფრანგეთი IX-XI საუკუნეებში. საფრანგეთის სამეფოს ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი

საფრანგეთის სამეფოს ჩამოყალიბებას დასაბამი მისცა ვერდენის (843) ხელშეკრულებამ, რომლის მიხედვითაც ფრანკთა სამეფო სამ ნაწილად გაიყო. ზემოთ უკვე იყო ამაზე საუბარი. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ შარლ მელოტს წილად ხვდა აკვიტანია, გალია, ესპანეთის მარკა და პროვანსის სამეფო. თუმცა ყოფილი ფრანკთა სამეფოს ტერიტორია კვლავ ითვლებოდა კარლოს დიდის მემკვიდრეების საერთო საკუთრებად. ამის გამო რომელიმე მათგანის სიკვდილი იწვევდა ომებს, მიწების ხელახალ გადანაწილებას, დროებით შეკავშირებასა და განხეთქილებებს. ყველაზე ხშირად უთანხმოების მიზეზს ლორენი წარმოადგენდა, რადგანაც აქ მდებარეობდა კაროლინგების საგვარეულო მამულები. 870 წელს მერსენის ხელშეკრულების თანახმად, ლორენი გაიყო შარლ მელოტსა და ლუდვიგ გერმანელს შორის, თუმცა მისი საზღვრები კვლავ აღდგა და რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა. საბოლოოდ, ლორენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჰერცოგოს სახით აღმოსავლეთ ფრანკთა სამეფოს შეუერთდა. რაც შეეხება დასავლეთ ფრანკთა სამეფოს (მას შემდგომში საფრანგეთი ეწოდა), იგი 843 წლის საზღვრებს დაუბრუნდა და ამ საზღვრების ფარგლებში XII საუკუნის ბოლომდე დარჩა.

IX-X საუკუნეებში თანდათანობით დაიწყო საფრანგეთის, როგორც სახელმწიფოს არსებობაც. X საუკუნის დასაწყისიდან მისი ძველი სახელწოდებები „გალია" და „დასავლეთ საფრანგეთი" თანდათანობით ქრება და „საფრანგეთი" მკვიდრდება. დიდი ხნის განმავლობაში ამ სახელით მოიხსენებოდა არა მარტო ქვეყანა, არამედ კაპეტინგების სამფლობელოების გული — პარიზის გარემომცველი ტერიტორია — ილ-დე-ფრანსი, საიდანაც წარმოდგება ქვეყნის სახელწოდებაც.

საფრანგეთის სამეფოს ჩამოყალიბება დაემთხვა ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდს. სამეფო უკვე არსებული ფეოდალური ურთიერთობების ნორმებით იშლებოდა უამრავ ფეოდალურ სამფლობელოდ.

ეს გახლდათ დასავლეთ ევროპაში ყველაზე ადრეული შემთხვევა, როდესაც ნომინალურად ერთიანი სამეფო დაიშალა ფეოდალურ სამთავროებად.

საფრანგეთის სამეფოსა და მისი პოლიტიკური ძალაუფლების დაყოფამ ორი ძირითადი ეტაპი გაიარა — პირველად X საუკუნეში, როცა მსხვილი სამფლობელოები გაჩნდა და XI საუკუნეში, როდესაც ეს სამფლობელოები, თავის მხრივ, პატარა-პატარა სამთავროებად დაიშალა.

ეთნიკური თვალსაზრისით საფრანგეთის სამეფო რთულ წარმონაქმნს წარმოადგენდა. სამეფოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში, გასკონიაში ბასკები ცხოვრობდნენ; უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში, ბრეტანში, კელტები სახლობდნენ. X საუკუნის დასაწყისში მდ. სენას დაბლობები ნორმანებმა დაიპყრეს. დანარჩენი მოსახლეობა რომანულენოვანი იყო, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ჩრდილოეთი და სამხრეთი ფრანგებისაგან (პროვანსალებისაგან). პირობითი საზღვარი მათ შორის პუატიე-ლიონზე გადიოდა. ესპანური მარკის მოსახლეობა კი ძირითადად შედგებოდა პროვანსალებთან ენითა და კულტურით მონათესავე დღევანდელი კატალონელების წინაპრებისაგან.

ძირითადი რეგიონების მოსახლეობა, რომელიც ჩრდილოეთ ფრანგული ენის დიალექტზე საუბრობდა, განლაგდა ჩრდილოეთ საფრანგეთის ცენტრსა და მის აღმოსავლეთ ნაწილში: ნორმანდიის საჰერცოგო, ვერმანდუას, ვალუასა და შამპანის საგრაფოები. ასევე ის საგრაფოები, რომლებიც მდ. ლუარასთან მდებარეობდა: ნევერის, ბლუას, ტურენის, ანჟუს, მენისა და პუატუსი. საფრანგეთში შემავალი ბურგუნდიის საჰერცოგო ყოფილი ბურგუნდიის სამეფოს მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა: მისი ერთი ნაწილი და პროვანსი კი გერმანიის იმპერატორს ეკუთვნოდა.

ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში მდებარეობდა აბსოლუტურად დამოუკიდებელი ბრეტანის საჰერცოგო, რომლის მოსახლეობაც კელ-

ტურ ენაზე საუბრობდა; უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით კი — ფრანკური რიის საგრაფო, რომლის ჩრდილოეთ ნაწილში გამეფებული იყო გერმანული ენის დიალექტი.

ქვეყნის სამხრეთი ნაწილი, სადაც მოსახლეობა პროვანსალური ენის დიალექტზე საუბრობდა, დაიყო მსხვილ საჰერცოგოებად: ტულუზის, გასკონიის, აკვიტანიისა და მარშის, ოვერნისა და ბურბონეს საგრაფოებად. მათმა გეოგრაფიულმა და ენობრივმა თავისებურებებმა გამოიწვია აღნიშნულ პერიოდში მეფისაგან თითქმის სრული დამოუკიდებლობა.

სამეფოს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი ტრადიციულად ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა. „მუდმივი" დედაქალაქი ჯერ კიდევ არ არსებობდა. მეფის კარი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. ყველაზე ხშირად იგი ქ. ლანში ჩერდებოდა, ხოლო X საუკუნის ბოლოდან კი — პარიზში. შორს მდებარე რეგიონების მართვა ეკისრებოდათ გრაფებსა (comites) და მათ მოადგილეებს — ვიკონტებს (vicecomites). IX საუკუნის დასაწყისამდე ისინი სახელმწიფო მოხელეებად რჩებოდნენ. ებრძოდნენ რა სეპარატიზმსა და დაქსაქსულობას, კაროლინგები გრაფებსა და ვიკონტებს ნიშნავდნენ იმ რეგიონებში, სადაც ამ უკანასკნელებს მამულები არ ჰქონდათ. ამასთანავე, მათ ხშირად უცვლიდნენ სამსახურის გეოგრაფიულ ადგილს. თუმცა ხანდახან, განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთში, კაროლინგები იძულებულნი იყვნენ რომელიმე რეგიონის მართვაში ადგილობრივი არისტოკრატიაც ჩაერთოთ. გრაფებსა და ვიკონტებზე გავლენის შესანარჩუნებლად სამეფო ჩინოვნიკების მიერ ცენტრიდან შემოწმებები ეწყობოდა. თუმცა დროთა განმავლობაში გრაფები და ვიკონტები იძენდნენ აღნიშნულ ტერიტორიებზე მიწებსა და ვასალებს (ძირითადად, ადგილობრივ არისტოკრატებთან დანათესავების საშუალებით). მონარქის ნება-სურვილის უბრალო აღმსრულებლებისაგან ისინი თანდათანობით იქცნენ საერო ხელისუფლებით აღჭურვილ ფეოდალებად. დროთა განმავლობაში კი შეერწყნენ ადგილობრივ ფეოდალურ სტრუქტურებს. ამას თან დაერთო იმუნიტეტის მქონე პრივილეგიების მინიჭებაც, რაც ძლიერ ართულებდა მეფის ჩინოვნიკების საქმიანობას. თანდათანობით ბოლო ეღებოდა იმ შედარებით ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივ საფუძვლებს, რომლებიც არსებობდა კარლოს დიდისა და ლუდოვიკოს ღვთისმოსავის დროს.

877 წელს ალპებში სალაშქროდ მიმავალმა შარლ მელოტმა თანხმობა განაცხადა, რომ ბრძოლაში დაღუპული მეომრების თანამდებობები და ბენეფიციუმები მემკვიდრეობით მათ ვაჟებს რგებოდათ. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა კერსის კაპიტულარმა, რომელმაც საერთოდ დიდი როლი ითამაშა სახელმწიფო თანამდებობებისა და მეფის წყალობების მემკვიდრეობით აღიარების საქმეში. ბენეფიციუმების მემკვიდრეობით გაცემის წესი (რომელიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბენეფიციუმის ფეოდად გადაქცევას მოასწავებდა) ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა და საბოლოოდ X საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა.

IX საუკუნის დასასრულიდან კაროლინგების დინასტია ქვეყანას მხოლოდ ნომინალურად მართავდა. რეალური ძალაუფლება ამ პერიოდში ეკუთვნოდათ ჩრდილოეთ საფრანგეთში მცხოვრებ რობერტინების გვარის ფეოდალებს. მათ თავი ნორმანების წინააღმდეგ ბრძოლის დროს გამოიჩინეს.

987 წელს, კაროლინგების უკანასკნელი მეფის სიკვდილის შემდეგ, დიდმა ფეოდალებმა სწორედ რობერტინების გვარის წარმომადგენლის ტახტზე ასვლას დაუჭირეს მხარი. ეს იყო ჰიუგ კაპეტი (ეს მეტსახელი მას საყვარელი ქუდის გამო შეარქვეს), მისი შთამომავლები კი კაპეტინგებად იწოდებოდნენ, რომლის პირდაპირი შტოც 1328 წლამდე მეფობდა.

არსებულმა პოლიტიკურმა არეულობებმა გამოიწვია ლენურ-ვასალური ურთიერთობების რღვევა. ამას ხელს უწყობდა შარლ მელოტის (877 წ. გარდ.) მემკვიდრეების უნიათობა, რამაც სამეფო ავტორიტეტის დაცემა გამოიწვია. მას ასევე დიდი დარტყმა დინასტიის შეცვლამაც მიაყენა. ბევრ ადგილას, განსაკუთრებით სამხრეთში, კაპეტინგები თავდაპირველად ფორმალურადაც კი არ აღიარეს.

ცენტრისაგან დაშორების განსაკუთრებით ძლიერი ტენდენციები იმ განაპირა რეგიონებში შეინიშნებოდა, სადაც არარომანული მოსახლეობა ჭარბობდა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ X საუკუნის დასაწყისში გასკონია (რომელიც შემდეგ გიენთან ერთად ერთიან სამეფოს შეადგენდა), ბრეტანი, ნორმანდია და გარკვეულწილად ბურგუნდიაც ფაქტობრივად დამოუკიდებლები გახდნენ. ამ მიწების სტატუსი გამოვლინდა მათი მმართველობისათვის განსაკუთრებული წოდების – ჰერცოგის ტიტულის მინიჭებაში. მეფის ხელისუფლებას შედარებით ანგარიშს მხოლოდ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში უწევდნენ. თუმცა აქაც რამდენიმე მსხვილი ფეოდალი, განსაკუთრებით კი ორი – ფლანდრიისა და შამპანის გრაფები მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რომლებიც სენიორზე უფრო ძლიერები და გავლენიანები იყვნენ.

ჰიუგ კაპეტისა და მისი მემკვიდრეების – რობერ ღვთისმოსავის (996-1031), ანრი I-ის (1031-1060) და ფილიპ I-ის (1060-1108) სუვერენული უფლებები რეალურად მხოლოდ საკუთარი დომენით შემოიფარგლებოდა, რომელიც საკმაოდ პატარა იყო და XII საუკუნის დასაწყისამდე არც გაზრდილა. იგი მდებარეობდა პარიზსა და ორლეანს შორის, რის გამოც შემდგომში სახელად ილ-დე-ფრანსი – „საფრანგეთის კუნძული“ შეერქვა. დომენის ფარგლებს გარეთ სამეფო ხელისუფლებას ნაკლებად ცნობდნენ. მეფე იყო სიუზერენი ანუ უმაღლესი სენიორი, რომელიც ფეოდალურ იერარქიას ედგა სათავეში. მეფე არეგულირებდა კონფლიქტებს საკუთარ ვასალებს შორის. მათი დალუპვის შემთხვევაში კი მათ მცირეწლოვან მემკვიდრეებს მეურვეობას უწევდა, ხოლო ომის დროს ხელმძღვანელობდა ვასალებისაგან შემდგარ

ლაშქარს. დანარჩენ საკითხებში მსხვილი სენიორები აბსოლუტურად დამოუკიდებლები იყვნენ: ჭრიდნენ საკუთარ ფულს, ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას, კრეფდნენ გადასახადებს, აწარმოებდნენ პატარა ომებს. ისინი დამოუკიდებლად ამყარებდნენ ურთიერთობებს მეზობელ მონარქებთან, მათ ვასალებთან და ამას არც ფარავდნენ. იმ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობები ემყარებოდა პირად კონტაქტებს. დიდი ფეოდალები წინააღმდეგობას უწევდნენ მეფის ყველა მცდელობას, მათ საქმეებში ჩარეულიყო. ახსენებდნენ, რომ სწორედ მათ დაუმკვიდრეს კაპეტინგების სამეფო ტახტი.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ქვეყნის ფეოდალიზაციის ბოლო ეტაპი საფრანგეთის ისტორიაში სწორედ IX-XI საუკუნეებს ემთხვევა. ამ პერიოდის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ ბევრი ისეთი გლეხი არსებობდა, რომლებიც არ იყვნენ დაყმევებულნი და არც სამეფო ტახტს ეკუთვნოდნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ის გლეხები, რომლებიც უკვე რომელიმე სენიორის საკუთრებას წარმოადგენდნენ, პოლიტიკურ, სასამართლო და ადმინისტრაციულ საკითხებში კვლავ თავისუფალნი რჩებოდნენ, ე.ი. აბსოლუტურად დაყმევებულნი არ იყვნენ. ამასთან ერთად, იზრდებოდა იმ გლეხების რიცხვი, რომლებიც პირად-მემკვიდრეობით დამოკიდებულებაში იყვნენ — სერვები, კოლონები — ისინი იმუნიტეტის მქონე ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ.

XI საუკუნის ბოლოს, სამეფო ხელისუფლების დასუსტების ფონზე, დიდმა სენიორებმაც ვეღარ შეძლეს ცენტრალიზებულად ემართათ თავიანთი დიდი სამფლობელოები. საერო ძალაუფლების დიდი ნაწილი გადავიდა საშუალო რანგის სენიორების ხელში, რომლებიც ერთი ან რამდენიმე ციხესიმაგრის მფლობელები იყვნენ. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ პერიოდში (დაწყებული IX საუკუნის II ნახევრიდან და განსაკუთრებით X-XI სს.) განუწყვეტელი ომებისა და შემოსევების (ნორმანების, არაბების, უნგრელების) დროს, იზრდება კარგად გამაგრებული ციხესიმაგრეების რიცხვი. ამ პროცესს, რომელიც მეტ-ნაკლებად მთელ სამხრეთ-დასავლეთ ევროპას ახასიათებს, „ინკასტელამენტო“-ს (ე.ი. გაციხესიმაგრება) უწოდებენ. ციხესიმაგრის მფლობელები — შატელენები, თანდათანობით ხელში იღებდნენ მართვის სადავეებს ახლომდებარე სოფლის მცხოვრებლებზე, ახორციელებდნენ რა სასამართლო-ადმინისტრაციულ ძალაუფლებას. დროთა განმავლობაში ეს ხალხი სენიორის საკუთრება ხდებოდა. ეს დაქვემდებარება, რა თქმა უნდა, უპირველესად გარკვეული გადასახადებისა და სამსახურის გაწევით გამოიხატებოდა, რომლებიც მცირედით ან საერთოდ არ განსხვავდებოდა ფეოდალური ვალდებულებებისაგან. მიწით ან პირად დამოკიდებულებაში მყოფი გლეხებისათვის ფეოდალის სასამართლო-ადმინისტრაციული დაქვემდებარების დამყარებამ გამოიწვია მათი სამოქალაქო უფლებების დაკარგვა და ფეოდალური ექსპლუატაციის საგრძნობი გაზრდა.

ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში პრაქტიკულად ყველა ფრანგი გლეხი ყმა გახდა. ამის მიუხედავად, არც სოციალურ-ეკონომიკური და არც სოციალურ-სამართლებრივი კუთხით, ეს პროცესი ყველასათვის ერთგვარი და ერთიანი არ იყო. კონკრეტული გლეხის საზოგადოებრივი მდგომარეობა და ექსპლუატაციის დონე განისაზღვრებოდა რიგი ფაქტორებით: მიწის ფართით, მისი მდგომარეობითა და იურიდიული სტატუსით. ასევე მისი წარმომავლობით, დამოკიდებულების ფორმით (ანუ ფორმებით, რომლებიც მას სენიორთან აკავშირებდა), ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებით (თუ ასეთს ადგილი ჰქონდა), ადგილობრივი წეს-ჩვეულებებითა და სხვ. აღნიშნული პერიოდის ისტორიულ წყაროებში გამოყენებული ტერმინები: „სერვი", „ვილანი", „კოლონი", „თავისუფალი" და სხვა, ასახავენ მხოლოდ საერთო, თანაც ნაკლებად გამოხატული სოციალური მდგომარეობების განსხვავებებს. დამოკიდებული გლეხების პირადი ვალდებულებები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და არა მარტო რეგიონების მიხედვით იცვლებოდა, არამედ ერთ სენიორიაშიც სტატუსის მიხედვით სხვადასხვა იყო. ითვლება, რომ ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ოთხი სერვული მოვალეობის ერთობლიობა: 1) შევაჟი (ე.წ. სულადობრივი გადასახადი), რომელიც უმნიშვნელო იყო; 2) ფორმარიაჟი (საქორწილო გადასახადი), რომელსაც იმ პირთან დაქორწინებისას უნდა გაეღო, რომელიც მის სენიორს არ ექვემდებარებოდა; 3) „მკვდარი ხელი" (მენმორტი) – გადასახადი გარდაცვლილის მემკვიდრეობიდან; ჩვეულებრივ ეს იყო საუკეთესო მსხვილფეხა საქონელი; 4) ტალიე – ნატურალური და ფულადი გადასახადი სენიორის სასარგებლოდ. ეს ბოლო მოვალეობა ყველაზე უფრო მძიმე გახლდათ. გლეხის სერვულ მდგომარეობას კი იურიდიულად შევაჟის გადახდა განსაზღვრავდა.

ამასთანავე, ისეთი მაჩვენებლების ერთობლიობა, როგორიცაა: ფრანგი წარჩინებულების სიმრავლე, იერარქიულობა, ჩაკეტილობა და განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი იმაზე მიუთითებს, რომ მმართველი ფენა მთლიანად ჩამოსცილდა მოსახლეობის სხვა ფენებს და მან თავისი პოლიტიკური ბატონობის ფორმები შეიმუშავა. მთელი დასავლეთ ევროპის მასშტაბით საფრანგეთში ეს უმნიშვნელოვანესი სოციალური პროცესი ყველაზე ადრე დასრულდა. სენიორებმა ხელში ჩაიგდეს მიწების მთელი ფონდი. ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხების ალოდები მთლიანად გაქრა. არსებული ცვლილება იმაში გამოიხატებოდა, რომ სათემო ქონება (მიწები, ტყე, საძოვრები, გზები და სხვა), რომლებიც ძირითადად X საუკუნემდე სენიორისა და თემის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, მთლიანად სენიორის კუთვნილებად იქცა. გლეხებს აღარ შეეძლოთ ამ მიწებით უფასოდ სარგებლობა. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა ბანალიტეტის მქონე სენიორების რიცხვმაც (ბანალიტეტი ნიშნავს სენიორის მონოპოლიას წისქვილზე, საცხობზე, ყურძნის დასაწურ მოწყობილობაზე და სხვ.). სენიორის მიერ გადა-

სახადების დაწესება ნიშნავდა იმას, რომ მან უკვე მიითვისა გლეხებისათვის ესოდენ საჭირო ქონება, რის შედეგადაც გლეხების მეურნეობა მნიშვნელოვნად დაიბეგრა ფეოდალის სასარგებლოდ.

სენიორებმა პოლიტიკური ძალაუფლებაც მიითვისეს. ფეოდალური იერარქიის სისტემის სისრულე ძირითადად მიღწეულ იქნა სუბინფეოდაციის გზით, ე.ი. მიწების ფონდის ნაწილის გადაცემით ვასალებზე. ეს პროცესი ძლიერ გავრცელდა X-XI საუკუნის საფრანგეთში, განსაკუთრებით ჩრდილოეთში, რასაც პოლიტიკური პრეროგატივების მნიშვნელოვანი გადანაწილება მოჰყვა.

პირველ რიგში, გაუქმდა ერთიანი კანონმდებლობა, რასაც ადრე სამეფო ხელისუფლება ახორციელებდა, გაჩნდნენ სენიორალური კურიერები, რომლებიც დიდი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა (სასამართლო ჯარიმების, ასევე საგზაო, სანაოსნო და სხვ. გადასახადების სახით). X საუკუნის საფრანგეთში, ფეოდალური იერარქიისა და ვასალიტეტის ფორმების პერიოდში, უთანხმოებები სენიორებს შორის ძირითადად სისხლისმღვრელი ომებით ხდებოდა. ვასალიტეტის განვითარებულმა სისტემამ ოდნავ შეამცირა ფეოდალური ანარქია. მისი ბოლომდე მოსპობა კი ვერ შეეძლო, რადგანაც თვით ემყარებოდა იმ საფუძველს, რომ ყველა ფეოდალი თავის სენიორიაში დამოუკიდებელი პოლიტიკური მმართველი იყო.

ამრიგად, აშკარაა, რომ IX-XI საუკუნეებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფრანგი გლეხის ექსპლუატაცია ფეოდალების მიერ. ყველაზე რთულად ეს პროცესი ქვეყნის ჩრდილოეთში მიმდინარეობდა, რამაც განაპირობა გლეხთა წინააღმდეგობები. X-XI საუკუნეების მიჯნაზე ორი დიდი გლეხთა აჯანყება მოხდა: 997 წელს – ნორმანდიაში და 1024 წელს – ბრეტანში. ეს აჯანყებები მიმართული იყო სენიორული წესრიგის დამყარების წინააღმდეგ, რომელიც აქ კლასიკური ფორმით (დამოკიდებულების რამდენიმე ფორმის სინთეზი) იყო წარმოდგენილი. ნორმანდიაში მომხდარი აჯანყების დროს გლეხები ითხოვდნენ სათემო მიწებით უფასო სარგებლობის ძველი უფლებების აღდგენას. ნორმანიელმა ფეოდალებმა ჰერცოგის მეთაურობით სასტიკად ჩაახშეს აჯანყება. თუმცა სავარაუდოა, რომ გლეხების წინააღმდეგობის შედეგად გადასახადების რაოდენობა სათემო მიწებით სარგებლობისათვის შემცირდა.

§ 3. გერმანია-იტალია IX-XI საუკუნეებში

აღმოსავლურ-ფრანკონული სამეფოს განვითარების თავისებურებანი. გერმანია, როგორც დამოუკიდებელი სამეფო, 843 წლის ვერდენის ხელშეკრულებით გამოეყო ფრანკთა სახელმწიფოს. ხელშეკრულების თანახმად, კარლოს დიდის შვილიშვილს, ლუდვიგ გერმანელს, წილად ხვდა აღმოსავლეთით განლაგებული მიწები: საქსონია, ფრანკონია, შვაბია (ყოფილი ალემანია) და ბავარია. X საუკუნის პირველ ნახევარში ამ ოთხ საჰერცოგოს დაემატა ლოთარინგია შერეული გალო-რომანული და გერმანული მოსახ-

ლეობით. ამიტომ ამ ტომობრივი საჰერცოგოების მოსახლეობისათვის უცხო იყო ეროვნული ერთობის შეგნება და ერთმანეთს ისე უყურებდნენ, როგორც უცხოელებს.

ერთიანობას მოკლებული „აღმოსავლეთ ფრანკთა სამეფო“ ფრანკთა იმპერიის სხვა ნაწილებისაგან ორი თავისებურებითაც გამოირჩეოდა. პირველ რიგში, მის ტერიტორიაზე მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გერმანული იყო და ამიტომ გერმანული დიალექტები ჭარბობდა რომანულთან შედარებით. მეორე მხრივ, მეურნეობაც და საზოგადოებრივი ურთიერთობებიც ბევრად უფრო არქაული იყო, ვიდრე იტალიასა და საფრანგეთში. ამ ჩამორჩენილობით აიხსნება ის, რომ ფეოდალიზაციის პროცესი გერმანიაში საწყის სტადიაზე იყო, უმრავლესობას ქვეყანაში თავისუფალ მიწათმოქმედთა ფენა შეადგენდა. ფეოდალური კლასი ჩამოყალიბებული არ იყო, ხოლო X საუკუნის გერმანიაში ფეოდალური იმუნიტეტი და ლენური სისტემა ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული.

მაგრამ X-XI საუკუნეების მიჯნაზე უკვე გერმანიის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებში, პირველ რიგში, ლოთარინგიაში შესამჩნევი გახდა ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქარება და სოციალური ფენების ჩამოყალიბება. ეს ის ტერიტორიები იყო, სადაც ჯერ რომაული, შემდეგ კი კაროლინგური ხელისუფლება ბატონობდა და მათი გავლენა უფრო მძლავრად იგრძნობოდა.

სხვა მიწებზე, განსაკუთრებით საქსონიასა და ფრისლანდიაში, ხანგრძლივად შემორჩა თავისუფალი მესაკუთრის მრავალრიცხოვანი და ძლიერი ფენა, რომელსაც სამეფო ხელისუფლება არმიის ბირთვად იყენებდა და მას ეყრდნობოდა.

გერმანიას 911 წლამდე კაროლინგთა დინასტიის მეფეები განაგებდნენ, რომელთაც განუწყვეტელი ბრძოლები უხდებოდათ სკანდინავიელთა თავდასხმების მოსაგერიებლად და ტომის ჰერცოგების დასამორჩილებლად. ჰერცოგები დამოუკიდებლობას იცავდნენ და ამავდროულად საკუთარ სამფლობელოებში წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ. მათ განსაკუთრებული ძალისხმევა უხდებოდათ ეკლესიის — ეპისკოპოსებისა და აბატების ჰერცოგის ხელისუფლებისათვის დაქვემდებარების გამო.

კაროლინგთა დინასტიის უკანასკნელი მეფის ლუდვიგ ყრმას გარდაცვალების შემდეგ გერმანიის სამეფო ტახტზე პირველად ეკურთხა ადგილობრივ დიდგვაროვანთა ფენის წარმომადგენელი — ფრანკონიის ჰერცოგი კონრად I (911-919). იგი შეეცადა დანარჩენი ჰერცოგების დამორჩილებას, თუმცა ისე გარდაიცვალა, რომ თავის მიზანს ვერ მიაღწია. ის მაინც ღირსეული ადამიანი აღმოჩნდა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მან თავის ძმას ებერჰარდს ანდერძი დაუტოვა: სამეფო ნიშნები, ფარი, შუბი, მახვილი გადაეცა მისი მთავარი მოწინააღმდეგის, საქსონიის ჰერცოგის — ჰაინრიხისათვის. ჩათვალა, რომ იგი სხვებზე უკეთ გაუძღვებოდა სახელმწი-

ფოს. ებერჰარდიც ისე მოიქცა, როგორც ძმას სურდა. იგი სამეფო ნიშნებით იმ დროს ჩავიდა ჰაინრიხთან, როცა იგი ფრინველების საჭერ ბადეს ქსოვდა. ამიტომაც არის, რომ ისტორიაში მას ჰაინრიხ ფრინველმჭერის, ანუ Vogler სახელწოდებით მოიხსენებენ.

919 წლის მაისში ჰაინრიხ I-ის მეფობა ცნეს ალემანიის, ბავარიის, ფრანკონიისა და ტიურინგიის ჰერცოგებმაც. სანაცვლოდ, იმ მიზნით, რომ დიდებულებისათვის თავისი კეთილგანწყობა და სიახლოვე დაემტკიცებინა, მეფემ უარი თქვა გვირგვინკურთხევაზე, ეპისკოპოსის ხელიდან გვირგვინი არ მიიღო, რითაც მან „ღვთისაგან რჩეულის“ სტატუსზე უარი განაცხადა და ეკლესიის გავლენისაგან გათავისუფლდა.

მიუხედავად ამ დათმობისა, ჰაინრიხმა დიდებულებთან დაპირისპირება თავიდან ვერ აიცილა. 919 წელსვე იფეთქა ბურკჰარდ შვაბელის აჯანყებამ. მეფე იძულებული გახდა შეიარაღებული ძალით წასულიყო მის წინააღმდეგ. მეფეს ბურკჰარდი მალე დანებდა და ჰაინრიხის ხელისუფლება ცნო. სანაცვლოდ ჰაინრიხმა შვაბიის ჰერცოგს თავის საგამგებლო ტერიტორიებზე ეკლესიის მშენებლობისა და მათი დამოუკიდებელი მმართველობის უფლება მიანიჭა. პრივილეგიას მისი მფლობელისათვის საეკლესიო შემოსავალთან ერთად დიდი პოლიტიკური სიძლიერეც უნდა მოეტანა. ასეთივე პატივი მიაგო მეფემ თავის მეორე დიდ მოწინააღმდეგეს – ბავარიის ჰერცოგ არნულფს. ამრიგად, ჰაინრიხ I, ჰერცოგებს რომ იმორჩილებდა, იმავდროულად მათ პრივილეგიებით აჯილდოებდა, თუმცა ასეთმა პოლიტიკამ მას ვერ მოუტანა საბოლოო გამარჯვება. ეკლესიის მიწების ბენეფიციუმებად გაცემამ, რისი უფლებაც ჰერცოგებმა მოიპოვეს, მათაც გაუმრავლა მომხრეები.

საინტერესოა ის, რომ თვით მეფეც, ჰერცოგების მსგავსად, უპირველესად თავისი საჰერცოგოს გაძლიერებაზე ზრუნავდა. ბუნებრივია, ამან უარყოფითად იმოქმედა უნგრელებთან ბრძოლის დროს.

უნგრელები, ანუ მადიარები მომთაბარე ტომები იყვნენ. ისინი ჯერ კიდევ გვაროვნულ თემებად სახლდებოდნენ და ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. ცხენის მოშენებამ და გამუდმებული მოხეტიალე ცხოვრების წესმა, რომელსაც უნგრელები მისდევდნენ, მათ იმის საშუალება მისცა, რომ ჰყოლოდათ ძლიერი ცხენოსანი არმია და ძარცვა-რბევით ერჩინათ თავი. მათ ჯერ ხელთ იგდეს დიდმორავიის სლავური სახელმწიფო, შემდეგ დაიკავეს პანონია და გერმანიის უშუალო მეზობლები გახდნენ. X საუკუნის დასაწყისში უნგრელები ორი მიმართულებით იჭრებოდნენ გერმანიაში: ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ელბაზე გავლით საქსონიას ესხმოდნენ თავს, ხოლო აღმოსავლეთიდან ბავარიაში იჭრებოდნენ და აქედან შვაბიას, ლოთარინგიასა და დასავლეთ ფრანკონიას არბევდნენ. გერმანიის ტერიტორიაზე უნგრელები საშინელ სისასტიკეს იჩენდნენ. ისინი ასაკის განურჩევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ყველა მამაკაცს ხოცავდნენ, ქალები ტყვედ მიჰყავდათ, სოფლებსა და ქალაქებს ცეცხლს უკიდებდნენ.

924 წელს, როდესაც უნგრელებმა მორიგი თავდასხმა განახორციელეს და შვაბია ფრანკონიითურთ მოაოხრეს, ჰაინრიხ I-მა სამეფო ტერიტორიების დაცვას საზავო პირობების აღსრულება და დროის მოგება ამჯობინა. მოწინააღმდეგისათვის 9 წლის მანძილზე ხარკის გადახდის სანაცვლოდ, ჰაინრიხმა სამხედრო რეფორმა გაატარა, ჩამოაყალიბა მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი ჯარი. სხვაგვარად შეუძლებელი იყო უნგრელთა მრავალრიცხოვანი და მოქნილი მხედრობის შეკავება. გერმანელთა ქვეით ჯარს მათთან გამკლავება არ შეეძლო.

ახლად ჩამოყალიბებული ცხენოსანი ჯარის ძირითად ბირთვს მეფესა და ჰერცოგებზე დამოკიდებული მეომრები ქმნიდნენ. რეფორმის მიხედვით, ვისაც ცხენდაცხენ ბრძოლა შეეძლო, სამხედრო წოდებაში ირიცხებოდა, თანაც გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა. ვისაც ცხენის შეძენის საშუალება არ გააჩნდა, საბეგარო წოდებაში, ანუ გადასახადების გამღებთა კატეგორიაში ირიცხებოდა. ამრიგად, გერმანიაში ძირითადად ორი წოდება წარმოიშვა: სამხედრო და საბეგარო. პირველ წოდებაში, გარდა მსხვილი და წვრილი ფეოდალებისა, მოხვდნენ შეძლებული გლეხებიც, რომელთაც ცხენები ჰყავდათ. სამხედრო სამსახურისათვის მათ მეფისგან ან მსხვილი ფეოდალისაგან ფეოდი ეძლეოდათ და არაფრით არ განსხვავდებოდნენ წვრილი რაინდისაგან. სამხედრო წოდებაში გადავიდნენ შინაყმებიც, ეგრეთ წოდებული მინისტერიალები, რომლებმაც, რეფორმის შემდეგ, ცხენოსან ჯარში დაიწყეს სამსახური და რაინდთა თანრიგში გადავიდნენ; ფაქტობრივად, მინისტერიალი არაფრით განსხვავდებოდა რაინდისაგან. სამხედრო სამსახურისათვის ისიც მიწას ღებულობდა და დამოკიდებული გლეხებიც ჰყავდა. თუმცა, წარმოშობის თვალსაზრისით, XI საუკუნის გერმანიაში ასეთი კატეგორიის რაინდებს „არაკეთილშობილებს“ უწოდებდნენ და განარჩევდნენ „კეთილშობილი“ რაინდისაგან. მათი სრული გათანაბრება მხოლოდ XIII საუკუნეში მოხდა.

ჰაინრიხის სამხედრო რეფორმა ციხესიმაგრეების მშენებლობასაც ითვალისწინებდა. მეფე ისეთი ციხესიმაგრეების აშენებას მოითხოვდა, რომელთა გარემოცვასა და აღებას უნგრელები ვერ შეძლებდნენ. სიმაგრეებში მეტწილად მეფის მინისტერიალები იდგნენ, ყოველი მეცხრე მინისტერიალი ვალდებული იყო ციხესიმაგრეში ეცხოვრა, დანარჩენი მინისტერიალების საცხოვრებელი აეშენებინა. დარჩენილი რვა მინისტერიალი კი ვალდებული იყო გაძღოლოდა სოფლის მეურნეობას. მათვე ევალებოდათ მეცხრე მინისტერიალის მიწის დამუშავება და მოწეული მოსავლის მესამედის გადაცემა სიმაგრეში მცხოვრები მინისტერიალისათვის, რათა თავი შეენახა.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ამ დროისათვის გამაგრებული ადგილების და ბურგების გარშემო, სამხედროების გვერდით, მოქალაქეებიც ჩნდებიან. ესენი იყვნენ ვაჭარ-ხელოსნები, რომელთაც სახელმწიფოს წინაშე მხოლოდ გადასახადის გადახდა და ნატურალური ბეგარის შესრულება ევალებოდათ. თუმცა ბეგარას მთლიანად ქალაქი იხდიდა და არა ცალკეული მოქალაქე.

ამგვარად, გერმანიაში შენდებოდა გამაგრებული ადგილები, რომლებიც არა მარტო საიმედო თავშესაფარი იყო მეზობელი გლეხებისათვის, არამედ, იმავდროულად, წინააღმდეგობის გაწევისათვის ეფექტურ ბაზასაც წარმოადგენდა. თავშესაფრად ჰაინრიხ I მონასტრებსაც იყენებდა, ციხესიმაგრეებივით ამაგრებდა მათ. ჰაინრიხმა კიდევ ერთი შორსმჭვრეტელური ნაბიჯი გადადგა: მან ყაჩაღებს ხელშეუხებლობა აღუთქვა, მიწები დაურიგა და მტრის შემოსევის შემთხვევაში ქალაქის შეიარაღებული დაცვა დაავალა.

ჰაინრიხ I-ის სამხედრო რეფორმამ საგრძნობი ნაყოფი გამოიღო. 9-წლიანი ზავის ამოწურვის შემდეგ, 933 წელს, როცა უნგრელები თავს დაესხნენ საქსონია-ტიურინგიას, ჰაინრიხმა მათ ხარკის გადახდის გაგრძელებაზე უარი განუცხადა. იმავე წლის 15 მარტს რიადთან ბრძოლაში ჰაინრიხის მძიმედ შეიარაღებულმა ცხენოსანმა ჯარმა სასტიკად დაამარცხა უნგრელთა მრავალრიცხოვანი არმია და გერმანიიდან განდევნა.

სამხედრო რეფორმამ ჰაინრიხ I-ს იმის საშუალებაც მისცა, რომ ბრძოლები ეწარმოებინა გერმანიის გასაფართოებლად. მან შესანიშნავად გამოიყენა საფრანგეთში ატეხილი შიდაომები, რომელიც შარლ მიამიტსა და ედი პარიზელის ძმას რობერტ რობერტინს შორის მიმდინარეობდა და 923-925 წლებში ორივე ლოთარინგია შეიერთა. ეს პროცესი მოგვიანებით მისმა ვაჟმა ოტო I-მა დაასრულა.

928 წლიდან ჰაინრიხმა იერიშები გერმანიის მეზობლად მცხოვრებ დასავლეთ სლავ ტომებზეც – სერბებზე, ლუჟიჩანებზე, ლუტიჩებზე, ობოდრიტებზე და სხვ. მიიტანა, რადგან ისინი უნგრელებთან და დანელებთან ერთად გამუდმებულ სასაზღვრო ომს აწარმოებდნენ გერმანელებთან და ხშირად მათ ტერიტორიებს არბევდნენ. სულ მალე ჰაინრიხ I-მა გლომაჩების დედაქალაქი განა აიღო და სერბოლუჟიჩების სხვა ტომებიც დაიმორჩილა, ხელთ იგდო ლუტიჩთა ქალაქი ბრანიბორი (ბრანდერბურგი). მან უკრაინელთა ტომიც დაიპყრო. ჰაინრიხმა მიზნად დაისახა სლავებისა და დანელების ერთმანეთისაგან გათიშვა და მოახერხა კიდეც, როდესაც შლეზვიგი დაიპყრო და იუტლანდიაზე გაავრცელა გერმანელთა გავლენა. დაპყრობილ მიწა-წყალზე გერმანელები თავის გარნიზონებს აყენებდნენ და მოსახლეობას მძიმე ხარკს ახდევინებდნენ. ამასთან, გერმანელები სლავებში იძულებით ნერგავდნენ ქრისტიანობას და მასიურად სახლდებოდნენ ახლად ათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისებულ მიწებზე, რაც მოსახლეობის მხრიდან გამუდმებულ ამბოხებებსა და წინააღმდეგობებს იწვევდა.

თავისი მეფობის ბოლო წლებში ჰაინრიხმა ეკლესიასთან ურთიერთობის მოწესრიგებაზეც იწყო ზრუნვა. მაგალითად, მაინცის არქიეპისკოპოსზე მან გაავრცელა ერფურტის საეკლესიო სინოდის 932 წლის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ეკლესიის მფარველობაში შესული პირების მიმართ მეფის უფლება იზღუდებოდა. სამაგიეროდ, მან ეკლესიის მხარდაჭერა მოიპოვა, რაც უპირველესად იმაში გამოიხატა, რომ 936 წელს ერფურტში მოწვეულ გერმანელ მთავართა ყრილობაზე, მსხვილმა საეკლესიო ფეოდალებმა ჰერცოგებსა და გრაფებთან ერთად ჰაინრიხის მემკვიდრედ ოტო აღიარეს.

ოტო I-მა (936-973), რომელიც აახენის ყრილობაზე მეფედ აირჩიეს, საგარეო პოლიტიკაში მამის კურსი განაგრძო, თუმცა საშინაო საქმეებში ჰაინრიხის მრავალი ტრადიცია დაარღვია. მამისაგან განსხვავებით, ახლად არჩეულმა მეფემ აახენში პომპეზური კურთხევის ცერემონიალი მოაწყო და სამეფო გვირგვინი არქიეპისკოპოსისაგან მიიღო. ამ ნაბიჯით ოტო შეეცადა ჰერცოგებისა და სხვა დიდებულებისათვის მეფის უზენაესობა დაემტკიცებინა. მაგრამ ასეთ ნაბიჯს მის წინააღმდეგ განუწყვეტელი აჯანყებები და შეთქმულებები მოჰყვა, რაც ოტოს გამეფების პირველივე წელს დაიწყო და მრავალი წელი გაგრძელდა. ოტო ჰერცოგებსა და მოჯანყე ფეოდალებთან ბრძოლაში სამღვდელოებას ეყრდნობოდა. სწორედ მათი მეშვეობით ოტომ დამარცხებული ჰერცოგების სამფლობელოები ნათესავებს გაუნაწილა, თუმცა ერთგულებით არც ისინი გამოირჩეოდნენ.

ოტო თავისუფლად განაგებდა საეკლესიო მიწებს, ახდევინებდა გადასახადებს, რომლებიც მეფის ხაზინაში შედიოდა. გარდა ამისა, ეპისკოპოსის ან აბატის გარდაცვალების შემთხვევაში, ვიდრე ახალ პირს დანიშნავდნენ, საეპისკოპოსოს ან სააბატოს შემოსავალს მთლიანად მეფე ეუფლებოდა. ამას ემატებოდა გარდაცვლილი სასულიერო პირის მოძრავი ქონების მემკვიდრედ მეფის გამოცხადება. ყოველივე ამან მეფის ხელისუფლება მნიშვნელოვნად განამტკიცა.

მეფე ხშირად ასაჩუქრებდა ეპისკოპოსებს ურჩი ფეოდალებისათვის ჩამორთმეული მიწა-მამულებით და ბენეფიციუმებად ურიგებდა. სანაცვლოდ, ბენეფიციარები მეფის წინაშე ერთგულების ფიცს დებდნენ. ისინი ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო თანამდებობებს და გრაფობასაც კი ღებულობდნენ. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი ჯარის სამი მეოთხედი ოტოს არმიაში ეპისკოპოსებისა და აბატების გამოყვანილი იყო. ამასთან, საეპისკოპოსო თანამდებობაზე დანიშვნა, ანუ ინვესტიტურა, ან კიდევ ეპისკოპოსის თანამდებობასთან დაკავშირებული ბენეფიციუმის ვინმესათვის გადაცემა, მეფის უფლება იყო. თუმცა, სამეფო ხე-

ლისუფლებისადმი სასულიერო პირთა მხარდაჭერა პირობითი იყო. ბოლომდე ერთგულები არ იყვნენ, რადგან რომის პაპის ნებას ემორჩილებოდნენ. ამ უკანასკნელს კი მათი გამოყენება მეფის წინააღმდეგ სურვილისამებრ შეეძლო. ამან განაპირობა რომის პაპის დამორჩილებისა და იტალიის დაპყრობის სურვილი, რომელიც ოტოს გაუჩნდა. რაც შეეხება გერმანელ ფეოდალებს, მათთვისაც იტალიური ქალაქების სიმდიდრე და ხმელთაშუა ზღვის აუზში აღმოსავლეთთან ვაჭრობაში ადგილის დაკავება დიდი სატყუარა იყო.

იტალიაში ლაშქრობით ოტოს დაინტერესებას ერთი ახსნაც აქვს: მას თავისი თავი ფრანკი მეფეების ღირსეულ მემკვიდრედ მიაჩნდა და რომში მეფედ კურთხევის ძველი ტრადიციის აღდგენა სურდა. იგი კარლოს დიდის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობდა და იმედოვნებდა, რომ იმპერატორის გვირგვინს მხოლოდ რომში მოიპოვებდა.

ოტო I-ს იტალიაში გალაშქრების საბაბი მალე მიეცა. საქმე ისაა, რომ იტალიის მეფის ქვრივი ლომბარდიის მმართველმა ბერენგარიუსმა საპყრობილეში გამოკეტა მას შემდეგ, რაც ადელაიდამ უარი განუცხადა მის ვაჟს ცოლობაზე და სამეფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების გეგმა ჩაუშალა. ადელაიდამ თავისი მომხრეების დახმარებით მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა და გერმანიის მეფეს დახმარება სთხოვა.

951 წელს ოტო ლომბარდიაში შეიჭრა, სატახტო ქალაქი პავია დაიკავა და თავი ლანგობარდების მეფედ გამოაცხადა. მან ცოლად შეირთო დედოფალი ადელაიდა და იტალიის შემდგომი დაპყრობისათვის მზადება დაიწყო. მაგრამ ოტოს ამ განზრახვას ხელი შეუშალა გერმანელ ფეოდალთა აჯანყებამ. იგი იძულებული გახდა სასწრაფოდ გერმანიაში დაბრუნებულიყო. აჯანყებულებს ოტო სასტიკად გაუსწორდა, 955 წლის 10 აგვისტოს აუბსბურგის მახლობლად ლეხის ველზე უნგრელებიც დაამარცხა და კვლავ იტალიაში სალაშქროდ მზადება დაიწყო.

იტალიაში მეორე ლაშქრობის საბაბიც გამოინახა. გერმანიის მეფეს დახმარებისათვის ამჯერად რომის პაპმა იოანე XII-მ მიმართა, რომელსაც რომაელი ბარონები აუჯანყდნენ და მოკვლით დაემუქრნენ. ვიდრე სალაშქროდ გაემგზავრებოდა, ოტომ 961 წლის მაისში ვორმსში მოიწვია საერო და სასულიერო დიდებულების კრება და უფლისწული ოტო, რომელიც 7 წლის იყო, ტახტის თანამმართველად და მეფედ გამოაცხადა. შემოდგომაზე დიდძალი ჯარით ოტო I იტალიაში შეიჭრა. იქ მას წინააღმდეგობა არ შეხვედრია და 962 წლის 31 იანვარს ოტო რომში შევიდა. „მარადიულ ქალაქში“ მეფე-დედოფალს იმპერატორთა გვირგვინი თვითონ რომის პაპმა დაადგა. თანამედროვეებმა ეს ცერემონიალი ფრანკთა ტრადიციის აღდგენად აღიქვეს. ამგვარად, 962 წელს გერმანიის ისტორიაში ახალი პერიოდი – იმპერიის ხანა დაიწყო, რომელსაც „რომის საღმრთო იმპერია“ ეწოდა. XII

საუკუნეში ამ სახელწოდებას კიდევ ორი სიტყვა დაემატა და ამიერიდან იწოდა „გერმანელი ერის რომის საღმრთო იმპერიად".

აღდგენილი იმპერია ბევრად უფრო მცირე იყო, ვიდრე კარლოს დიდის დროინდელი ფრანკთა იმპერია. მასში მხოლოდ გერმანია და ჩრდილოეთ იტალია შედიოდა (სამხრეთ იტალია ამ დროისათვის ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში იყო). სწორედ კურთხევის დროიდან იწყება „იტალიური ლაშქრობანი". იძარცვებოდა მთელი იტალია, იმპერატორებს მორჩილებაში ჰყავდათ კათოლიკური სამღვდელოების მეთაური – პაპი, თუმცა თეორიულად „საღმრთო იმპერიაში" იმპერატორსა და პაპს თანაბარი უფლებები გააჩნდათ. ამრიგად, იმპერატორი განაგებდა როგორც იმპერიას, ისე ეკლესიას და მის მიერ დანიშნულ საეკლესიო კრებაზე პაპს არც კი იწვევდნენ.

წარმატებული იყო ოტო I-ის ანტისლავური პოლიტიკაც. მან 9 წელი მოანდომა ჩეხებთან ბრძოლას და კვლავ მოხარკედ გაიხადა. იმავდროულად იგი იმორჩილებდა სხვა ტომებს, აწმობდა ავჯანყებებს.

ერთადერთი, რაც ოტო I-მა ვერ შეძლო, ეს იყო ბიზანტიისათვის სამხრეთ იტალიის წართმევა, თუმცა დიპლომატიური გზით მაინც მოახერხა გარკვეული წარმატების მიღწევა: მან მომავალ იმპერატორს, თავის ვაჟს ოტო II-ს ცოლად შერთო ბიზანტიის იმპერატორის ასული თეოფანა. ოტო იმედოვნებდა, რომ ამ ქორწინებით გერმანიის პრეტენზიები სამხრეთ იტალიაზე საფუძვლიანი გახდებოდა. თუმცა, თავისი ჩანაფიქრის შესრულება ოტო I-მა ვერ მოასწრო. იგი 973 წელს გარდაიცვალა.

ოტო II-მ (973-983) გამეფებისთანავე გააგრძელა მამის პოლიტიკა და სამხრეთ იტალიის დაპყრობას შეუდგა. მან თავდაპირველად გარკვეულ წარმატებას მიაღწია და ნეაპოლი დაიკავა, მაგრამ ბიზანტიის სამსახურში მყოფი არაბებისაგან სასტიკი მარცხი იწვნია 982 წელს და ტყვეობას ძლივს გადაურჩა. 983 წელს, როდესაც კვლავ სამხრეთ იტალიაში გასალაშქრებლად ემზადებოდა, ოტო II მოულოდნელად, 29 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ოტო II-ს მეუღლე თეოფანა შვიდი წლის განმავლობაში მართავდა „რომის საღმრთო იმპერიას", რადგან ახალი იმპერატორი, მისი ვაჟი ოტო III (983-1002) მხოლოდ სამი წლის იყო. სრულწლოვანი რომ შეიქნა, ოტომ ოცნება დაიწყო იმაზე, რომ შეექმნა მთელი ქრისტიანული დასავლეთის მომცველი ვრცელი სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი რომი იქნებოდა. მან ისტორიაში პირველად რომის პაპად გერმანელი გრიგოლ V დანიშნა. ოტომ საკუთარი სასახლე იმ ადგილას მოაწყობინა, სადაც ოდესღაც რომის იმპერატორები ცხოვრობდნენ და სამეფო კარი ბიზანტიური ცხოვრების წესს აზიარა. მან რომის პაპები თავის უშუალო კონტროლს დაუქვემდებარა და უარი განაცხადა მათი პრივილეგიების დამტკიცებაზე, რომელიც ჯერ კიდევ პიპინ მოკლეს დროიდან მოყოლებული პაპების კუთვ-

ნილება იყო. უფრო მეტიც, ოტო III-მ „კონსტანტინეს ნაბოძვარი“ ყალბ
დოკუმენტად გამოაცხადა. პაპ გრიგოლ V-ის გარდაცვალების შემდეგ
ოტომ პაპად დანიშნა საკუთარი მასწავლებელი, იმ დროის ერთ-ერთი უგა-
ნათლებულესი პირი ჰერბერტ ორილიაკელი სილვესტრ II-ის სახელით.

ოტო III-ის ენთუზიაზმს მსოფლიო „რომის იმპერიის“ აღდგენის თაო-
ბაზე არ იზიარებდნენ გერმანელი დიდებულები, რადგან გერმანია იმპერიის
ერთ-ერთი ნაწილი იყო. მით უმეტეს, ახალ იმპერატორს ნაკლებად აინტე-
რესებდა ქვეყნის მდგომარეობა, რითაც კარგად ისარგებლეს პოლაბეთის
სლავებმა და გერმანელი მოახალშენეები თავიანთი მიწა-წყლიდან გააძევეს.
ჰაინრიხ I-ისა და ოტოს ბრძოლებით მონაპოვარი ტერიტორია ელბის შუა
წელს იქით დაიკარგა. ამავე ხანებში დანელებმაც დაამხეს გერმანელთა ბა-
ტონობა და უარი თქვეს ქრისტიანობაზე.

ოტო III-ის პოლიტიკამ იტალიაშიც მარცხი განიცადა და რომში და-
წყებული აჯანყების შემდეგ იმპერატორი იძულებული გახდა ქალაქიდან
გაქცეულიყო. მალე ოტო ოცდაორი წლის ასაკში გარდაიცვალა და რადგან
მემკვიდრე არ დარჩა, სამეფო გვირგვინი საქსონელთა დინასტიის გვერდი-
თი შტოს წარმომადგენელს ჰაინრიხ II-ს (1002-1024) გადაეცა. ეს უკა-
ნასკნელი გაცილებით უფრო ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებდა, ვიდრე
მისი წინამორბედნი. იგი დაკმაყოფილდა იტალიის ქალაქებისა და ფეოდა-
ლების ვასალური დამოკიდებულებით და უფრო მეტად გერმანიაში იმყოფე-
ბოდა. ჰაინრიხი მორჩილ საეპისკოპოსოებზე დაყრდნობით ცდილობდა თა-
ვისი მდგომარეობის განმტკიცებას და მსხვილი ფეოდალების ალაგმვას.
აღმოსავლეთით ჰაინრიხ II-მ ბრძოლები აწარმოა პოლონეთის წინააღმდეგ,
თუმცა 15-წლიანი ლაშქრობები გერმანიისათვის უშედეგოდ დასრულდა.
ბოლესლავ I მამაცმა (992-1025) ამ დროისათვის უკვე მოასწრო გერ-
მანიის ეკლესიის ბატონობისაგან პოლონეთის გათავისუფლება. მან ქვეყა-
ნაში დამოუკიდებელი საარქიეპისკოპოსოს დაარსებას მიაღწია და სამეფო
პოლიტიკურადაც გააძლიერა. ჰაინრიხ II იძულებული გახდა პოლონეთთან
ბრძოლის კვალდაკვალ ვილცებისა და ობოდრიტების დამოუკიდებლობა ეც-
ნო და უმნიშვნელო ხარკი დაეკისრებინა.

1024 წელს ჰაინრიხ II-ის გარდაცვალებით საქსონური დინასტიის
ასწლოვანი (919-1024) ბატონობა დასრულდა და იმპერიის მმართველობის
სათავეში ფრანკონული დინასტიის წარმომადგენლები მოვიდნენ.

საქსონური დინასტიის გერმანია განათლებისა და კულტურის აღმავ-
ლობით გამოირჩეოდა. „კაროლინგური აღორძინების“ ტრადიციები და ბი-
ზანტიურ-იტალიურ კულტურებთან მჭიდრო ურთიერთობა ოტოების პერი-
ოდის გერმანიის, როგორც იმპერიის შემადგენელი ნაწილის, განვითარების
საფუძველი გახდა. ბიზანტიური კულტურული ზეგავლენა განსაკუთრებით
გაიზარდა ოტო II-ისა და ბიზანტიელი პრინცესას თეოფანას დინასტიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორწინების შედეგად, როცა სამეფო კარზე თავი მოიყარეს იმ დროის გამოჩენილმა მეცნიერებმა და მოაზროვნეებმა.

ტრადიციულად, გერმანიაში განათლებისა და კულტურის კერებად მსხვილი სააბატოები გვევლინებოდა, თუმცა სახელგანთქმული ცენტრების გვერდით თანდათან იზრდებოდა საეპისკოპოსოების მნიშვნელობაც.

„ოტოთა აღორძინება" ტოლს ვერ უდებდა კაროლინგურ აღორძინებას, თუმცა გამორჩეულად განვითარდა ისტორიული მწერლობა. აღსანიშნავია ცნობილი საქსური გვარის წარმომადგენლის ბერ ვიდუკინდის „საქსთა ისტორია", რომელშიც აღწერილია და ქება აქვს შესხმული ამ ტომის წარსულსა და აწმყოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოტო I-ის იტალიურ ლაშქრობებს მემატიანე საკმაოდ მშრალად გადმოგვცემს.

მერზებურგის ეპისკოპოსის ტიტმარის „ქრონიკა" ასევე უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც საეპისკოპოსოს ისტორიის აღწერით იწყება და უნიკალურ ცნობებს იძლევა არა მარტო იმპერიის, არამედ მისი აღმოსავლეთ მეზობლების ისტორიული მოვლენების შესახებ.

„ოტოთა აღორძინების" ხანის გამოჩენილი და თავისებური ფიგურა იყო მონაზონი როსვიტა (გროსვიტა), რომელსაც ხშირად პირველ გერმანელ მწერალ ქალს უწოდებენ. მის კალამს ეკუთვნის ლათინურ ენაზე შესრულებული პოემები და დრამები და ოტო I-ის ისტორიის აპოლოგეტური ლექსები.

იტალია და მისი განვითარების თავისებურებანი. ფრანკების მიერ ლანგობარდების სამეფოს დაპყრობას შედეგად მოჰყვა, რომ ჩრდილოეთი და ნაწილობრივ შუა იტალია (პაპების ოლქის გამოკლებით) შევიდა კაროლინგების იმპერიის შემადგენლობაში. პაპების სახელმწიფო მოიცავდა რომსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს, პენტაპოლისსა და რავენას ეგზარქატს. სპოლეტოს საჰერცოგო და ბენევენტო ამ პერიოდში ხან პაპის ვასალები იყვნენ და ხანაც კაროლინგების. აპულია, კალაბრია და სიცილია უწინდებურად ბიზანტიას ეკუთვნოდა.

კაროლინგებმა იტალიის დაპყრობილი ტერიტორია საჰერცოგოების ნაცვლად 20 საგრაფოდ დაყვეს, რომელთაც სათავეში ფრანკი წარჩინებულები ედგნენ. სასაზღვრო ოლქებში შეიქმნა სამარკგრაფოები (მარკიზატები). გრაფები, რომლებმაც შეცვალეს ლანგობარდი ჰერცოგები და ჰასტალდები, სათავეში ედგნენ და მართავდნენ ქალაქებს. მათ ემორჩილებოდათ ვიკარები, ცენტენარები და უფრო დაბალი თანამდებობის პირები — დეკანები, სალტარიები და სხვ. ჰასტალდებს კვლავ მამულების მმართველობის ფუნქცია რჩებოდათ გრაფების ძალაუფლების ქვეშ. თვითონ გრაფებს კი ეკუთვნოდათ სასამართლო, სამხედრო, ადმინისტრაციული და ფისკალური ფუნქციები. ფართოდ გამოიყენებოდა სკაბინების ინსტიტუტები, რომლებსაც გრაფები მდიდარი და გავლენიანი მოქალაქეებისაგან ირჩევდნენ ქალაქის მთელი მოსახლეობის თანხმობით. სკაბინები მონაწილეობდნენ სასამართლო

სხდომებზე და ეხმარებოდნენ გრაფებს დამნაშავეთა მოძებნაში. საგრაფოებისა და საეპისკოპოსოებს ყოველ სამ თვეში ერთხელ „იმპერატორის წარგზავნილები“ (missi dominici) მოინახულებდნენ ხოლმე, რომლებიც კონტროლის უფლებებით სარგებლობდნენ.

IX საუკუნიდან ეპისკოპოსოების გავლენის ზრდამ, missi dominici უფლებები შეასუსტა (ზოგიერთი ეპისკოპოსი თვითონ წარმოადგენდა „იმპერატორის წარგზავნილს“). IX-X საუკუნეების ეპისკოპოს-სინიორებზე იმპერატორები ხშირად გასცემდნენ სიგელებს, იმუნიტეტის შესახებ, რამაც მათი გავლენა კიდევ უფრო გაზარდა. ჩრდილოეთ და შუა იტალიის ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიც იყო პავია, პიაჩენცა, ვერონა, პადუა, კრემონა, არეცო, ბარგამო, ვენეცია და სხვა, ეპისკოპოსი-სინიორების პოლიტიკურ დაქვემდებარებში იმყოფებოდნენ. საიმპერატორო იმუნიტეტი ამ ქალაქებზეც ვრცელდებოდა, იგი ათავისუფლებდა ქალაქებს სხვადასხვა სავაჭრო გადასახადებისაგან. მათ უფლება ჰქონდათ საკუთარი ფულის მოჭრის, ბაზრობების მოწყობის, გზებისა და ხიდების მშენებლობის, ციხესიმაგრეთა მშენებლობის, სანაცვლოდ კი აქტიური მხარდაჭერა უნდა აღმოეჩინათ იმპერატორისათვის მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლაში. თუმცა იმუნიტეტის ძალით გაძლიერებული ეპისკოპოსები ყოველთვის როდი იჩენდნენ ერთგულებას იმპერატორისადმი.

X საუკუნის შუა ხანებიდან ჩრდილოეთი და შუა იტალია ახალი დაპყრობების ობიექტი გახდა. დაიწყო გერმანელ მეფეთა და ფეოდალთა „იტალიური ლაშქრობები“, რასაც ხელი შეუწყო იტალიაში არსებულმა საშინაო ვითარებამ. იტალიის სამეფო ტიტულისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ ივრეისა და ფრიულის სპოლეტოს ჰერცოგები და ამ ბრძოლაში ბურგუნდიისა და პროვანსის ფეოდალებსაც ითრევდნენ. X საუკუნის პირველ ნახევარში იტალიის სამეფო ტახტი ლოტარ პროვანსელის ხელში გადავიდა, რომელმაც ცოლად შეირთო ადელჰაიდა ბურგუნდელი და ამგვარად შეარიგა ფეოდალთა მტრულად განწყობილი ორი დაჯგუფება. 950 წელს ლოტარი მოულოდნელად გარდაიცვალა, შესაძლოა მოწამლულ იქნა თავისი მეტოქის ლომბარდიის მმართველის ბერენგარიუსის მიერ, რომელსაც ადელჰაიდა თავის შვილისთვის უნდოდა, რათა ამ გზით უფრო საიმდოდ განემტკიცებინა თავისი უფლება იტალიის ტახტზე. თუ რა პოზიცია დაიკავა ადელჰაიდამ და როგორ ილაშქრა ოტო I-მა იტალიაში ორგზის, ამაზე უკვე იყო საუბარი და აღარ გავიმეორებთ. მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ „იტალიური პოლიტიკის“ გამტარებლებს მრავალრიცხოვანი იტალიური ქალაქების ხელში ჩაგდება და დამორჩილება სურდათ. ამასთანავე, მათი უზენაესობა კათოლიკური ეკლესიის მეთაურზე, როგორც გერმანელი იმპერატორები ფიქრობდნენ, უზუნველყოფდა მათ პრიორიტეტს დასავლეთ ევრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პის სხვა მონარქების წინაშე და განამტკიცებდა იმპერატორის ძალაუფლებასა და ავტორიტეტს გერმანელ და იტალიელ ეპისკოპოსებს შორის.

„რომის საღმრთო იმპერია“ წარმოადგენდა ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკურ ორგანიზმს, რომელსაც არ გააჩნდა არც ეთნიკური და არც ეკონომიკური საფუძველი. მისი არსებობა მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წარმოადგენდა როგორც გერმანიის, ისე იტალიის გაერთიანებისათვის. პაპებზე გერმანელი იმპერატორების კონტროლი XI საუკუნის შუა ხანებამდე გაგრძელდა. იმ პერიოდში პაპების უმრავლესობა იმპერატორის მიერ იყო დანიშნული.

პაპებზე იმპერატორის გავლენის გაძლიერებას მათივე ავტორიტეტის შელახვამაც შეუწყო ხელი. მაგალითისათვის საკმარისია პაპი იოანე XII (955-964), რომელმაც ოტო I იმპერატორად აკურთხა. მიუხედავად ამისა, 963 წლის საეკლესიო კრებამ პაპი ტახტიდან ჩამოაგდო. მას ბრალად ედებოდა მკვლელობა, ფიცის გატეხა, მკრეხელობა და უზნეო ყოფაქცევა.

ოტო I-ის იტალიური ლაშქრობები მისი კორონაციის შემდეგაც არ შეწყვეტილა. მან სცადა ხელში ჩაეგდო ბიზანტიელთა სამფლობელოები სამხრეთ იტალიასა და ნეაპოლის ჩრდილოეთით, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ მან ფრთხილი დიპლომატიური მოქმედების შედეგად მოახერხა თავისი შვილი მომავალი ოტო II დაექორწინებინა ბიზანტიის იმპერატორის ციმისხის ასულზე – თეოფანაზე.

ოტო I იმედოვნებდა, რომ ამ გზით საქსონელთა დინასტია ახალ ტერიტორიებს შემოუერთებდა იმპერიას, მაგრამ ვერც ოტო II-მ მოახერხა სამხრეთ იტალიის დაპყრობა. მან მარცხი იწვნია 982 წელს კალაბრიაში, კროტონესთან არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში. 983 წლის დეკემბერში რომში ოტო I გარდაიცვალა. აპულია და კალაბრია კვლავ ბიზანტიელებს დარჩათ ხელში.

რაც შეეხება სიცილიის კუნძულს, აქ 878 წლიდან ჩრდილოეთ აფრიკიდან გადმოსული არაბები გაბატონდნენ. მათ შექმნეს განსაკუთრებული საამირო, საიდანაც ისინი სამხრეთ იტალიის სხვა ნაწილებშიც იჭრებოდნენ.

მაგრამ უკვე XI საუკუნის 60-იანი წლებიდან არაბების წინააღმდეგ ბრძოლები დაიწყეს ნორმანებმა და სიცილიის მნიშვნელოვანი ნაწილი ხელთ იგდეს, თუმცა არაბებმა მონტეგარგანოსთან მაინც შეინარჩუნეს დასაყრდენი პუნქტი, საიდანაც თავს ესხმოდნენ არა მარტო ბიზანტიელთა სამფლობელოებს იტალიაში, არამედ პაპის ოლქსაც.

ეს გარემოება განუწყვეტელ ბრძოლებს იწვევდა მუსლიმებსა და ქრისტიანთა შორის და კიდევ უფრო ამწვავებდა იტალიაში შექმნილ მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებას.

ამგვარად, იტალიის შესვლამ „რომის საღმრთო იმპერიაში“ და იქ გერმანელი იმპერატორების ბატონობამ არათუ დადებითი გავლენა იქონია იტალიაზე, არამედ ის პოლიტიკურად კიდევ უფრო მეტად დააჭუცმაცა.

იტალიის ქალაქების განვითრების თავისებურებანი. იტალიური ქალაქის განვითარება სპეციფიკურია. შუა საუკუნეების იტალიაში ქალაქის სტატუსს (citta) უმეტესად საეპისკოპოსო ცენტრები ღებულობდნენ. დანარჩენები იწოდებოდნენ დასახლებებად (borgo), ციხე-კოშკებად (castello) და მიწებად (terra). იტალიაში რამდენიმე ასეული ქალაქი არსებობდა, ამიტომაც თამამად შეიძლება იტალიას ქალაქთა ქვეყანა ვუწოდოთ.

ქალაქების აღმოცენების მთავარ პირობას წარმოადგენდა არა იმდენად ვაჭრობა, რამდენადაც ხელოსნობა. იტალიაში უმეტესწილად არსებობდნენ მოგზაური ვაჭრები, რომლებიც მოგვიანებით დასახლდნენ ყველაზე უფრო გაცხოველებული აღებმიცემობის პუნქტებში, სადაც ქალაქების აღმოცენების ხელისშემწყობ პირობებს შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო კავშირსა და სავაჭრო გზების მიმართულებას. სავაჭრო (ასევე პოლიტიკური) კავშირი ბიზანტიასა და აღმოსავლეთთან წარმოადგენდა ვენეციის, ნეაპოლის, ამალფის ადრეული ამაღლების მიზეზს.

დაქუცმაცებულ იტალიაში თავისი განვითარებითა და მმართველობის ფორმებით სამი ქალაქი (ვენეცია, გენუა და პიზა) გამოირჩეოდა, მათგან ვენეცია არასოდეს არ ყოფილა დაქვემდებარებული რომელსამე სიუზერენისადმი, ხოლო გენუა და პიზა, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარად დამოკიდებული იყვნენ იტალიის მეფეებსა და ტოსკანის მარკიზებზე, მაინც ახერხებდნენ მათთან შეუთანხმებლად ომის გამოცხადებასა და ზავის დადებას. შემდგომში გენუა იმდენად გაძლიერდა, რომ ვენეციას მეტოქეობას უწევდა მსოფლიო ვაჭრობაში.

ვენეცია V საუკუნეში აღმოცენდა. ეს არის ყველაზე საოცარი ქალაქი მსოფლიოში – ქალაქი წყალზე. მას „ადრიატიკის მარგალიტს" უწოდებენ. მისი სახელი დაკავშირებულია ვენეტების ძველ სახელწოდებასთან. ვენეცია ქალაქის სახელი გახდა მხოლოდ XIII საუკუნეში. ვაჭრობას ის ადრიდანვე აწარმოებდა. უკვე X საუკუნეში გაჰქონდა მარილი და თევზი, ხოლო შემოჰქონდა ღვინო, ზეთი, ხე-ტყე, პური. მალე ვენეციამ ხელთ იგდო საშუამავლო ვაჭრობა ბალკანეთის ნახევარკუნძულთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, ვენეციის გავლით ევროპაში შემოდიოდა ძვირფასი აღმოსავლური საქონელი: სანელებლები (განსაკუთრებით პილპილი), ხილი, აბრეშუმი, მეწამული, საღებავი, შალის ქსოვილები, საიუველირო ნაწარმი, ძვირფასი იარაღი. დაახლოებით 1000 წელს ვენეციამ ადრიატიკის ზღვა გაწმინდა დალმაციელი მეკობრეებისაგან და მასზე გაბატონდა. დიდი და ძლიერი ფლოტის წყალობით ვენეცია თანდათან საზღვაო იმპერიად გადაიქცა. ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა (1081-1118) ვენეციას სავაჭრო პრივილეგიები უბოძა იმპერიაში იმ დახმარებისათვის, რომელიც მან გაუწია ბიზანტიას არაბებსა და ნორმანებთან ბრძოლაში. XI საუკუნიდან ვენეცია სავსებით დამოუკიდებელი იყო და რესპუბლიკური მმართველობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა, ის ადრევე გადაიქცა მსოფლიო სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრად და შემდეგ ხანებში იმდენად გაძლიერდა, რომ ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში იმყოფებოდა.

იტალიის სხვა ქალაქებში ვაჭრობაც ვითარდებოდა. პავია წარმოადგენდა მნიშვნელოვან პუნქტს, სადაც იყრებიან ალპური გზები, მის გვერდით დაწინაურდნენ კრემონა, ბრეშია, პიაჩენცა, პარმა. ჩრდილოეთიდან რომისაკენ მიემართებოდა სავაჭრო მნიშვნელობის მქონე გზა „პილიგრიმების გზად“, ანუ „ფრანკთა გზად“ წოდებული. რომი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ცენტრს, სადაც თავს იყრიდნენ მლოცველები, რომლებიც ვაჭრობასაც მისდევდნენ. იტალიის სანაპიროებზე უმთავრეს სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდა ბარი, ბრინდიზიუმი, ნეაპოლი, გაეტა, ამალფი. ალპების გზებიდან უმნიშვნელოვანესი გზა გადიოდა სენ-ბერნარისა და ბრენერის გავლით, რაც საშუალებას აძლევდა იტალიელ ვაჭრებს საფრანგეთსა და გერმანიასთან ურთიერთობისათვის.

ტრანზიტული ვაჭრობით იტალიის ქალაქებმა დიდი სიმდიდრე დააგროვეს, რაც მიზეზი გახდა გერმანელი იმპერატორების დამპყრობლური და მტაცებლური პოლიტიკისა. ეს კი იწვევდა იტალიის ქალაქების აჯანყებას. განსაკუთრებით რომი გამოირჩეოდა, სადაც ოტო II-სა და ოტო III-ს წინააღმდეგ რამდენჯერმე მოეწყო აჯანყება (980 წ. 998 წ. და 1001 წ.)

ჩრდილოეთ იტალიის ქალაქების უმრავლესობას სენიორებად ეპისკოპოსები ჰყავდა, რომელთა ბატონობა ოტო I-მა თავისი საეპისკოპოსო პოლიტიკით გააძლიერა. იმპერატორებისა და პაპობის ბრძოლამ ინვესტიტურისთვის და ვორმსის კონკორდატმა გერმანელი იმპერატორების გავლენა იტალიაზე მნიშვნელოვნად შეასუსტა, რამაც ხელი შეუწყო ქალაქების ბრძოლას სენიორ-ეპისკოპოსების წინააღმდეგ. ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებმა დამოუკიდებელი თვითმმართველობა – კომუნა შექმნეს და მალე ზოგიერთი მათგანი ქალაქ-რესპუბლიკად გადაიქცა.

იტალიის ქალაქები დაკავშირებული იყვნენ სავაჭრო ურთიერთობებით. ისინი იცნობდნენ არა მარტო ადგილობრივ ბაზრებს, არამედ რეგიონთაშორის ბაზრობებსაც (fiere), რომ ალარაფერი ვთქვათ ფართო საერთაშორისო ეკონომიკურ კონტრაქტებზე (შამპანი, ლიონი, ესპანეთი, ახლო აღმოსავლეთი, ყირიმი).

ამიტომაც მათთვის უცხო იყო ერთიანი დედაქალაქის იდეა, რომელიც დათრგუნავდა მათ ავტონომიას და შეუცვლიდა მას ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურას. ამის მაგალითი იყო XIV საუკუნის კოლა დი რიენცოს წარუმატებელი მცდელობა – რომი გადაექცია იტალიის დედაქალაქად, რომელსაც დაემორჩილებოდნენ სხვა ქალაქ-სახელმწიფოები ფლორენციის რესპუბლიკის მსგავსად.

პაპობა და მისი როლი იტალიაში. კაროლინგების მიერ გატარებულმა რეფორმებმა პაპების ავტორიტეტი დასავლეთ ევროპაში განამტკიცა. თუმ-

ცა პაპებმა მაშინ ვერ შეძლეს შეემუშავებინათ მოქმედების ისეთი მექანიზმი, რომელიც მათ საერო ხელისულებაზე მაღლა დააყენებდათ. როგორც ვთქვით, ჯერ კიდევ VIII საუკუნის შუა ხანებში რომში გაჩნდა სიგელი — კონსტანტინეს ნაბოძვარი, რომლის მიხედვით კონსტანტინე დიდმა პაპებს, როგორც ცეზართა კანონიერ მემკვიდრეებს, თითქოსდა გადასცა დასავლეთ რომის იმპერია, იმპერატორის ძალაუფლების ნიშნები და მეფეთა კორონაციის უფლება. ეს სიგელი IX საუკუნის ევროპაში გავრცელდა და ნათელყო პაპების მისწრაფება უმაღლესი საერო ხელისუფლებისაკენ. 843 წელს, ვერდენის ხელშეკრულების შემდეგ, იმპერატორის სტატუსის გარანტიას წმ. პეტრეს ტაძარში კორონაციის აქტი და რომზე ბატონობა წარმოადგენდა.

სწორედ მაშინ პაპებმა საბოლოოდ განამტკიცეს იმპერატორთა კორონაციის უფლება (ადრე ეს ტიტული ძირითადად, მემკვიდრეობით გადადიოდა). პაპების გავლენის ზრდამ მათ იმის საშუალება მისცა, რომ კაროლინგებს შორის არსებულ კონფლიქტებში არბიტრის როლში გამოსულიყვნენ.

IX საუკუნის ბოლო და XI საუკუნის შუა ხანები პაპობის ისტორიაში „ბნელი საუკუნეებითაა“ ცნობილი. ამ პაპების დიდი ნაწილი სიცოცხლეს ან დევნილობასა და ციხეებში ამთავრებდა, ანდა სულაც კლავდნენ. 962 წელს ოტო დიდის მიერ იმპერიის აღდგენამ რამდენადმე შეასუსტა პაპების დამოკიდებულება რომაელ და იტალიელ არისტოკრატიაზე. ოტო III-ს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო რომის, როგორც ქრისტიანული უნივერსუმის პოლიტიკურ და სასულიერო ცენტრად ქცევისაკენ, წარუმატებლად დამთავრდა.

პაპების „ბნელი საუკუნეების“ მსოფლმხედველობა ცხადყოფს, რომ მათ არ გააჩნდათ ერთიანი პოლიტიკა ალპებს იქითა ეკლესიასთან, საერო ძალაუფლებასთან და ბიზანტიასთან დამოკიდებულებაში. პაპები აქტიურად ერეოდნენ რომაელი წარჩინებულების სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის არსებულ ბრძოლაში და მათ ძირითად საფიქრალს წარმოადგენდა საკუთარ მამულებზე ზრუნვა; არცთუ იშვიათად პაპებს პირადად უწევდათ იარაღით ხელში ებრძოლათ არაბების წინააღმდეგ, ხოლო XI საუკუნეში ბიზანტიის წინააღმდეგაც.

ძველ გერმანულ საზოგადოებაში უძრავი ქონების გადასვლა ერთი მფლობელიდან მეორესთან განმტკიცებული იყო რაიმე საგნის, მაგალითად, ბალახის ღეროების სიმბოლური გადაცემით. X-XI საუკუნეებში ამ ჩვეულებიდან ახალი წესი განვითარდა — განსაზღვრული სიმბოლიზებული საგნის საჯაროდ გადაცემა ერთი პირიდან მეორე, მასზე იერარქიულად დაბლა მდგომ პირზე. ეს მოქმედება ნიშნავდა ძალაუფლების, უფლებამოსილების ნაწილისა და აგრეთვე მასთან დაკავშირებული მიწის, შემოსავლისა და უფლებების გადაცემას. ამ აქტმა მიიღო ინვესტიტურის სახელწოდება. გერმანიის იმპერატორი საერო მთავრებს ინვესტირებდა (გადასცემდა) ჩვეულებრივ, დროშებს, საეკლესიო მთავრებს კი ბეჭედსა და კვერთხს. ყოველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლად დანიშნულ ეპისკოპოსს ეს საგნები აუცილებლად ან მეფის ხელიდან უნდა მიეღო ან მისი წარმომადგენლისგან. შემდეგ მათ საეკლესიო კურთხევის მსვლელობის დროს ხელახლა გადასცემდნენ.

XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში ურთიერთობა პაპებსა და იმპერატორებს შორის გამწვავდა და ინვესტიტურის საკითხთან დაკავშირებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

პაპებმა, რომლებსაც ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვება სურდათ, დაიწყეს საერო ინვესტიტურის წინააღმდეგ ბრძოლა. მათ გამოაცხადეს, რომ სასულიერო პირის დანიშვნა ეკლესიის საშინაო საქმეა და ამ საქმეში საერო პირის ჩარევა დაუშვებელია, მაგრამ გერმანელი მონარქები სულაც არ აპირებდნენ იმ ძველ წესზე უარის თქმას, რომელიც მათ უფლებას აძლევდათ საეკლესიო თანამდებობები სურვილისამებრ განეკარგათ („rex et sacerods“). იმპერატორის მრჩევლები განსაკუთრებით მწვავედ სვამდნენ საკითხს იმ სამფლობელოებზე, რომლებიც ეკლესიას ხელისუფლებისაგან ჰქონდა მიღებული; თუ პაპი, ახალ აღთქმაზე დაყრდნობით, მოითხოვს ეკლესიის დამოუკიდებლობას იმპერატორისაგან, მაშინ, დაე, მან დაუბრუნოს ეკლესიას ის სიღარიბე, როგორიც მას მოციქულთა დროიდან ჰქონდა, ხოლო მთელი ქონება, რომელიც ეკლესიამ ამ საერო ხელისუფალთაგან მიიღო, უკან დაებრუნებინა, მოითხოვდნენ ისინი

ბრძოლა ინვესტიტურისთვის არსებითად ატარებდა არა რიტუალურ, ფორმალურ ხასიათს, არამედ იყო სერიოზული დავა იმის შესახებ, თუ ვისი კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს საეკლესიო ორგანიზაცია – ძირითადი საყრდენი ძალაულებისა იმპერიაში, რომელიც წარმოადგენდა მსხვილ პოლი-ტიკურ წარმონაქმნს დასავლეთ ევროპაში (ის მოიცავდა ბერძნულ მიწებს, ბურგუნდიის სამეფოსა და იტალიის მნიშვნელოვან ნაწილს). უფრო კონკრეტულად ბრძოლას ინვესტიტურისათვის უნდა გადაეწყვიტა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ქრისტიანული სამყაროს სათავეში – იმპერატორი თუ პაპი. ამ საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეფორმაციულმა მოძრაობამ, რომელიც კლუნის მონასტერთან იყო დაკავშირებული.

კლუნის მონასტერი 910 წელს ბურგუნდიაში დააარსა აკვიტანიის ჰერცოგმა გიიომმა. მან მიიღო წმ. ბენედიქტეს წესდება, რომელიც ბერ-მონაზვნების ცხოვრების საფუძველს წარმოადგენდა და მონასტერი სამ-უდამო მფლობლობაში გადასცა რომის პაპს, რამაც მისი დამოუკიდებლობა განაპირობა ეპისკოპოსის დიოცეზისაგან. კლუნის მონასტერი იქცა მონასტერთა ცენტრალიზებული კონგრეგაციის ცენტრად. კლუნს მთელს ევროპაში ასობით მონასტერი ემორჩილებოდა. განსაკუთრებული როლი კლუნიელებმა ესპანეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებში შეასრულეს, სადაც მათ თავიანთი საქმიანობით მოსარაბთა ღვთისმსახურების ტრადიციები შეზღუდეს და პაპის ავტორიტეტი განამტკიცეს.

კლუნის აბატმა რომიდან ეპიკოპოსის ნიშნები და დამოუკიდებლობა მიიღო სენიორებისა და ეპისკოპოსების ძალაუფლებისაგან. კლუნის მონასტერი ჩამოყალიბდა თავისებურ სუვერენულ ბერ-მონაზვნურ სახელმწიფოდ, რომლის მეთაურსაც თანამედროვეები არცთუ იშვიათად „მეფეს“ უწოდებდნენ. კონგრეგაციის სათავეში მდგომი აბატებიდან 994-1040 წლებში ყველაზე გავლენიანი ადამიანი იყო ოდილო, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ ოტო III, ჰაინრიხ II, კონრად II და ჰაინრიხ III.

კლუნიელებმა მთელი ძალისხმევა, პირველ რიგში, მიმართეს ბენედექტიანელთა წესდებაში არსებული დარღვევების აღმოფხვრისათვის. შემთხვევითი არ იყო, რომ კლუნიელებმა თავისი ჩაცმულობისათვის შავი ფერი აირჩიეს, რომელიც სიმბოლიზებული იყო ყოველივე ამქვეყნიურზე უარის თქმაზე. ძირითად ამოცანას ბერმონაზვნებისათვის განჭვრეტითი ლოცვა წარმოადგენდა. მესა კლუნში დღის განმავლობაში წუთითაც კი არ წყდებოდა და განსაკუთრებული საზეიმო ელფერით განსხვავდებოდა.

კლუნიელები ზრუნავდნენ ცოდნის ამაღლებისათვის, აარსებდნენ სკოლებს, ეწეოდნენ მეცნიერულ შრომას, მისდევდნენ ასკეტურ აღზრდას. რაც ბერების უსიტყვო მორჩილებას ნიშნავდა. ისინი გულში იკლავდნენ შეურაცხყოფას და მდუმარებით პასუხობდნენ მას. მცირე დანაშაულისთვისაც კი გაწკეპლვა ელოდათ. დადიოდნენ ყოველთვის მოღუშული და მდუმარე.

კლუნიელების ძირითად მიზანს ეკლესიის გაძლიერება და მეფის ხელისუფლების დაქვემდებარება წარმოადგენდა. ეს გამოწვეული იყო საერო ინვესტიტურის დამკვიდრებით XI საუკუნიდან, როცა ეპისკოპოსების არჩევა სასულიერო წოდებისა და მრევლის მიერ, შეიცვალა ახალი წესით: ახლა ვინმე ეპისკოპოსი რომ გამხდარიყო, საკმარისი იყო გარკვეული თანხისა და ფიცის მიცემა მეფისათვის. ეპისკოპოსობა იმდენად საპატიო და მომგებიანი იყო, რომ გამოთქმაც კი არსებობდა: „ეპისკოპოსობას მთხოვნელი საგანძურით ინაზღაურებს“, ამიტომაც ასეთ თანამდებობას ყველა საშუალებით ყიდულობდნენ. ამგვარად, საეკლესიო თანამდებობანი მეფის ხელში ვაჭრობის ობიექტად იქცა. ამიტომაც ბრძოლა ინვესტიტურისათვის (ანუ სასულიერო წოდების დამტკიცება, რის ნიშნადაც ეპისკოპოსი ბეჭედსა და კვერთხს ღებულობდა), ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა საეკლესიო რეფორმაციაში.

ინვესტიტურასთან იყო დაკავშირებული სიმონია – საეკლესიო თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა („საქმე მოციქულთა“ -ში შემონახული თქმულების მიხედვით, სიმონ მოგვმა სთხოვა ქრისტეს მოციქულებს პეტრესა და იოანეს მიეყიდათ მისთვის ხელდასმით სულიწმინდის გადაცემის უნარი).

კლუნიელები მოითხოვდნენ აგრეთვე ცელიბატის (უცოლობის) დაცვას არა მარტო შავ სამღვდელოებაში, არამედ მთელ სასულიერო წოდებაში. სამღვდელოებაში უცოლობის წესი ჯერ კიდევ IV საუკუნეში ელვირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკლესიო კრებაზე (ესპანეთში) დაკანონდა, თუმცა პრაქტიკაში მისი განხორციელება დიდ წინააღმდეგობებს ხვდებოდა. ცელიბატის დაცვა საჭირო იყო იმიტომ, რომ ცოლშვილიანი სასულიერო წოდების წარმოამდგენლები აღარ შეეცდებოდნენ საეკლესიო ქონების მითვისებასა და მის მემკვიდრეობით გადაცემას. გარდა ამისა, ოჯახის მქონე ღვთისმსახურები ასკეტიზმის ნაცვლად ფუფუნებით ცხოვრებას ეძლეოდნენ, რაც ფართო მოსახლეობაში ეკლესიის ავტორიტეტის დაცემას იწვევდა.

სიმონიის აღკვეთისა და ცელიბატის დაკანონების მოთხოვნებით მილანოსა და ჩრდილოეთ იტალიის ზოგიერთ ქალაქში XI საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო მოძრაობა, რომელიც „პატარიას“ სახელითაა ცნობილი (ღარიბი მეძველმანეების კვარტლის სახელწოდება მილანოში), რომელსაც არიალდი და ლანდულფი ხელმძღვანელობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პატარიის წინააღმდეგ გერმანიის იმპერატორი მოქმედებდა, გრიგოლ VII მხარდაჭერით მოძრაობამ გაიმარჯვა.

X-XI საუკუნეებში ეკლესიის რეფორმის საკითხი გერმანიის იმპერიაშიც მწვავედ დადგა. მაგრამ თუ კლუნიური მოძრაობა დაბლიდან განვითარდა, თვითონ ბერმონაზვნებიდან, გერმანიაში რეფორმების მთავარ დამცველად თვით იმპერატორი გამოვიდა. ასე, მაგალითად, ჰაინრიხ III (1039-1056) და არა რომელიმე აბატი. თანამედროვეები მას „ბერმონაზვნების მმართველს“ უწოდებდნენ. გერმანელი იმპერატორების რეფორმატორული სწრაფვა მიმართული იყო საიმპერიო ეკლესიის სისტემის განმტკიცებისაკენ. 1046-1058 წლებს უწოდებენ „გერმანელ პაპთა ეპოქას“. ამ წლებში რომის ეკლესიას მეთაურობდნენ გერმანული წარმოშობის პაპები, რომლებიც ეკლესიის რეფორმირებაში იმპერატორს ეყრდნობოდნენ. რეფორმების მიზანს, პირველ რიგში, წარმოადგენდა სიმონიისა და ქორწინების (ცელიბატი) აკრძალვა კლირიკებს შორის, რაც ერესად ცხადდებოდა. პაპების კონტაქტები საეპისკოპოსოებსა და მონასტრებთან დასავლეთ ევროპაში განმტკიცდა და უფრო ინტენსიური გახდა. დაიწყო განსაკუთრებული მექანიზმის შექმნა, რომელიც განახორციელებდა პაპის ძალაუფლებას ეკლესიაზე. ეს ძალისხმევა პირველ რიგში, დაკავშირებულია ლეო IX (1049-1054) პონტიფიკატთან. ლეო IX პაპის კანცელარიის რეორგანიზაცია მოახდინა, რომელმაც მალე მიიღო რომის კურიის სახელწოდება. მასში შედიოდნენ მნიშვნელოვანი რაოდენობით ნოტარიუსები და გადამწერები, რაც პაპს საშუალებას აძლევდა ეწარმოებინა ფართო მიმოწერა. მასში აგრეთვე შევიდნენ ლეო IX-ის უახლოესი მრჩევლები ეკლესიის რეფორმატორებიდან. ამ მრჩევლებმა შექმნეს კარდინალთა კოლეგია. კარდინალებს ადრე უწოდებდნენ რომის ახლოს მდებარე საეპისკოპოსო კათედრების წინამძღვრებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პაპის მესაში; ამჯერად კი ლეო IX კარდინალებს განიხილავდა, როგორც პაპის ძირითად

საყრდენს ეკლესიის მართვაში და რეფორმების გატარებაში. კარდინალთა კოლეგიაში შევიდნენ სხვადასხვა ქვეყნის კლირიკები, რითაც პაპების ძალაუფლების უნივერსალური (მსოფლიო) ხასიათი განასახიერეს.

საერო ინვესტიტურის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა აწარმოა გრიგოლ VII ჰილდებრანდმა (1073-1085), რომელმაც ამ ბრძოლაში ისეთი სიჯიუტე და გააფთრება გამოავლინა, რომ მისმა თანამედროვემ კარდინალმა პიეტრო დამიანემ მას „წმინდა სატანა" უწოდა. გრიგოლ VII-მ კომპლექსური ზომები მიიღო, რათა კანონიკური უფლება მოქმედებაში მოეყვანა, ეკლესია საერო ძალებისაგან გაეთავისუფლებინა და, დაექვემდებარებინა ის პაპისათვის; ყოველივე ამან ისტორიოგრაფიაში მიიღო სახელწოდება — „გრიგორიანული რეფორმები". მისი პრინციპები მისმა მიმდევრებმაც გააგრძელეს და XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში აიკრძალა „კერძო ეკლესიის უფლება". თუმცა პაპობამ ვერ მოახერხა მთლიანობაში ეკლესია გამოეთიშა ვასალური დამოკიდებულებების სისტემიდან.

კლუნის მონაზვნური ასკეტიზმის სკოლაგამოვლილი, უბრალო ბერიდან უმაღლეს სასულიერო იერარქიაზე ასული ჰილდებრანდი ჭკვიანი და ანგარიშიანი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ, ამავე დროს, საოცრად შეუვალი და ფანატიკოსი. ამ დაბალი, მოკლეფეხებიანი, მსუქანი გარეგნობის პიროვნების მიღმა იმალებოდა დაუმორჩილებელი და შეუბრალებელი ძალა, მძვინვარე ფანატიზმი და მოქნილი დიპლომატიური ნიჭი. თავის გამოსვლებში ის თავშეუკავებელი იყო, მაგრამ მას შეეძლო ოსტატურად გარკვეულიყო ყველაზე რთულ პოლიტიკურ სიტუაციებში. მოხერხებულად ემოქმედა საშიშ და მტრულ გარემოცვაში.

ჰილდებრანდმა სამსახური ჯერ კიდევ გრიგოლ VI დროს დაიწყო. გაძევებულ პაპს კიოლნში თან ახლდა პირადი მდივნად. მისი სიკვდილის შემდეგ კი, 1054 წელს, ჰილდებრანდი კლუნის მონასტერში განმარტოვდა, საიდანაც პაპმა ლეო IX გამოიძახა. მიუხედავად იმისა, რომ ჰილდებრანდი არ ეკუთვნოდა პრესვიტერიანულ კარდინალთა კორპუსს, ის, როგორც კარდინალ-დიაკონთა ხელმძღვანელი, გადამწყვეტი სიტყვის უფლებით სარგებლობდა ჯერ კიდევ პაპის ალექსანდრე II-ს დროს.

1073 წელს, როცა ლატერანის ტაძარში მოასვენეს ალექსანდრე II ცხედარი, ქუჩაში ბრბომ მორთო ყვირილი: „ჰილდებრანდი უნდა იყოს ჩვენი ეპისკოპოსი, იგი წმინდა პეტრემ აირჩია". ბრბომ ხელში აიყვანა ჰილდებრანდი, შეიყვანა ლატერანის ტაძარში და პაპად დასვა, თუმცა ეს კანონის დარღვევით მოხდა. საქმე ის არის, რომ 1059 წლის ბულით პაპის არჩევა მხოლოდ კარდინალებს შეეძლოთ. ახლა კი კარდინალები ფაქტის წინაშე დადგნენ და იძულებული გახდნენ, დაემტკიცებინათ მისი კანდიდატურა. ასე და ამგვარად, 53 წლის ჰილდებრანდმა მიაღწია საწადელს, ავიდა პაპის ტახტზე გრიგოლ VII-ს სახელით. მან მოტყუებით იმპერა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტორ ჰაინრიხ IV დამტკიცებაც მიიღო და შეუდგა ახალი წესრიგის დამყარებას, ცხოვრებაში იმის გატარებას, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მის მიერ შედგენილ პაპების დიქტატში – „Dictatus Papae“. 27 პუნქტისაგან შემდგარ ამ დიქტატში გარკვევით ეწერა:

1. ღმერთის მიერ მხოლოდ რომის ეკლესია იქნა დაარსებული; 2. ამიტომ მხოლოდ რომის პაპებს აქვთ უფლება მსოფლიოდ იწოდებოდნენ; 3. მხოლოდ პაპებს აქვთ უფლება ეპისკოპოსების მოხსნა-დანიშვნის; 4. რომის ეკლესიას არასოდეს მოსვლია შეცდომა, ამიტომაც თანახმად წმინდა წერილისა, ის ყოველთვის უცოდველი იქნება. 5. არავის არა აქვს უფლება პაპი გაასამართლოს; 6. ყველა მეფე და მთავარი პაპს ფეხზე უნდა ჰკოცნიდეს; 7. პაპს შეუძლია ქვეშევრდომები უსამართლო მეფის ერთგულების ფიცისაგან გაათავისუფლოს და ა.შ. რა თქმა უნდა, გრიგოლ VII პირველი პაპი არ ყოფილა, ვინც ეს პრინციპები წინ წამოსწია, მაგრამ მან პირველმა სცადა მათი ცხოვრებაში გატარება.

გრიგოლ VII-მ ისარგებლა რა ჰაინრიხ IV-ს მცირეწლოვანებითა და საქსონიის აჯანყებით (1073-1075), აღასრულა ცელიბატის დაკანონება მთელი სასულიერო წოდებისათვის – ეპისკოპოსების ჩათვლით, 1075 წელს კი პაპმა საერო ინვესტიტურის გაუქმების შესახებ დადგენილებაც გამოიტანა და საბოლოოდ გადაიმტერა ჰაინრიხ IV, იმპერატორი გერმანიისა.

ჰაინრიხ IV-მაც დემონსტრატიულად, რა თქმა უნდა, პაპის საწინააღმდეგოდ, რამდენიმე პირი ეპისკოპოსად დანიშნა, რასაც გრიგოლ VII მუქარით სავსე ეპისტოლე მოჰყვა 1075 წლის დეკემბერში. მაგრამ ჰაინრიხ IV შეჩერებას არ აპირებდა. მან 1076 წლის იანვარში ვორმსის საეკლესიო კრებაზე გრიგოლ VII გადაყენებულად გამოაცხადა, პაპს კი რომში შეურაცხმყოფელი წერილი გაუგზავნა, რომელიც ასე იწყებოდა: „ჰილდებრანდს, ახლა უკვე არა პაპს, არამედ ცრუ ბერს“, და მთავრდებოდა ასე: „ჩვენ, ჰაინრიხი, მეფე ღვთის წყალობითა (და არა პაპისა), ყველა ჩვენ ეპისკოპოსებთან ერთად გეუბნებით შენ – გაეცალე, გაეცალე“.

გრიგოლ VII დიდად არ აუღელვებია იმპერატორის ამ საქციელს. მან, თავის მხრივ, მოიწვია ლატერანის კრება და ჰანრიხ IV ეკლესიიდან განკვეთილად გამოაცხადა, თუმცა მთავარი დარტყმა გერმანელი მბრძანებლისათვის მაინც ის აღმოჩნდა, რომ პაპმა ის მისი ქვეშევრდომების ერთგულების ფიცისაგან გაათავისუფლა, რაც საქსონიის აჯანყების შემდეგ დაშოშმინებული ძლიერი ოპოზიციის ახალ გამოსვლას ნიშნავდა. უფრო მეტიც, თუ იმპერატორი განკვეთას ერთი წლის და ერთი დღის განმავლობაში არ მოიხსნიდა, ოპოზიციას ახალი მეფის არჩევა შეეძლო, ამ შინაარის შემცველი იყო 1076 წლის ტრიბურის კრების დადგენილება, რომელიც გერმანელმა მთავრებმა მიიღეს.

ჰაინრიხ IV განათლებული, კარგი სარდალი და ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. ბუნებით ამაყსა და უზომოდ ფიცხს, საჭიროების შემთხვევაში თავის მოკატუნებაც შეეძლო და დათმობაც, მაგრამ, ამავე დროს, რევანშისათვის საიდუმლო მზადებაც. იმის გამო, რომ მოწინააღმდეგის ძალები სწორად ვერ შეაფასა, იძულებული გახდა შუა ზამთარში გადაელახა ალპები და პაპისთვის პატიება ეთხოვა, თუმცა მას მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. ლამბერტ ჰერსკელდელის თქმით, 1077 წლის იანვარში მცირე ამალასთან ერთად იტალიაში მიმავალ იმპერატორს გზა მისმა მოწინააღმდეგე ჰერცოგებმა – რუდოლფმა, ველფმა და ბერტოლმა გადაუკეტეს. არ გაატარეს თავიანთ ტერიტორიაზე. იგი იძულებული გახადეს ბურგუნდიის გავლით განეგრძო გზა, მაგრამ ცინისში (ახლანდელი მონ-სენი) მას სიდედრი და ცოლის ძმა ამედეო დახვდნენ, რომლებმაც გამასპინძლებისა და ბურგუნდიაზე გატარებისთვის იტალიაში ხუთი საეპისკოპოსო მოსთხოვეს და ჰაინრიხი აიძულეს, რომ მათთვის ბურგუნდიის ერთ-ერთი მდიდარი პროვინცია დაეთმო.

დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ, როგორც იქნა მეფის ამალა იტალიაში ჩავიდა. პაპი ჩაიკეტა ციხესიმაგრე კანოსაში, რომელიც ეკუთვნოდა მარკგრაფის ქვრივ მატილდეს, ჰაინრიხ IV დეიდაშვილს. იანვრის სუსხიან დღეებში, 1077 წლის 25, 26 და 27 იანვარს თავშიშველი, ფეხშიშველი მშიერ-მწყურვალი და მონანიე ბერის სამოსში გამოწყობილი გერმანიის ამაყი იმპერატორი პაპის აუდიენციას ელოდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გრიგოლ VII-მ ინება და იმპერატორი მიიღო, იმპერატორმა მოინანია, თუმცა, მონანიება მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი იყო, რამაც ამოსუნთქვის საშუალება მისცა მას გერმანელი მთავრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პაპს კვლავ მოუხდა გერმანელი ფეოდალების გათავისუფლება მეფისათვის მიცემული ფიცისაგან. ოპოზიციამაც პაპის თანხმობით ჰაინრიხის ნაცვლად ახალი მეფე შვაბიის ჰერცოგი რუდოლფი აირჩია. მაგრამ 1080 წელს ჰაინრიხთან ბრძოლაში ის სასიკვდილოდ დაიჭრა.

თავის მხრივ, ჰაინრიხ IV-მ გერმანელ ეპისკოპოსებზე დაყრდნობით ხელახლა დაამდაბლა გრიგოლ VII და მის მიერ დანიშნული ახალი პაპი, უფრო სწორედ ანტიპაპი, კლიმენტ III-მ წამოწია წინ და რომის დასალაშქრად გაემართა. მან კანოსაში მოაოხრა მატილდეს მიწები, აიღო ფლორენცია და ალყა შემოარტყა რომს, სადაც მხოლოდ 1084 წლის მარტში შეძლო შეჭრა. 31 მარტს მის მიერ დანიშნულმა ანტიპაპმა ჰაინრიხ IV იმპერატორად აკურთხა.

გრიგოლ VII უიმედო მდგომარეობიდან მისმა ვასალმა და მოკავშირემ რობერ გვისკარმა იხსნა, რომელსაც თავისი სამფლობელოების ბედი აშინებდა იმპერატორის რომში დამკვიდრების შემდეგ. მან შეძლო გერმანლების რომიდან განდევნა, მაგრამ თვითონ ნორმანებმა მთლიანად გაძარცვეს რომი, ტყვედ ჩავარდნილები კი მონებად გაყიდეს. ნორმანთა ჯარების შემადგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში, რომლებმაც ქრისტიანული ეკლესიის მეთაური იხსნეს, ბევრი იყო სიცილიელი და სამხრეთ იტალიელი მაჰმადიანი. გრიგოლ VII, რომელსაც ახლა რომაელები თავიანთი უბედურების მიზეზად თვლიდნენ, ველარ გაბედა რომში დარჩენა და გვისკარს გაჰყვა ამალფში. 1085 წელს სალერნოში დადარდიანებული პაპი მალე გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილის წინ მოასწრო ანდერძის შედგენა, რომელშიც თავის მომდევნო პაპებს იმპერატორის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

ინვესტიტურისათვის ბრძოლა არც გრიგოლ VII-ს სიკვდილის შემდეგ შეწყვეტილა. პაპი ურბან IV წარმატებით აგრძელებდა მის პოლიტიკას და ჰაინრიხ IV წინააღმდეგ ამხედრებდა არა მარტო მისდამი მტრულად განწყობილ მთავრებს, არამედ მის შვილებსაც კი. ამ მხრივ, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მისმა ვაჟმა ჰაინრიხ V-მ (1106-1125). მამის გარდაცვალებისთანავე (1106) მეფედ რომ გამოაცხადა თავი, პოლიტიკა შეცვალა და პაპის წინააღმდეგ მამამისის მიერ დაწყებული კურსი გააგრძელა. ეს ბრძოლა დამთავრდა 1122 წელს, ე.წ. ვორმსის კონკორდატით, რომელიც დაიდო ჰაინრიხ V-სა და პაპ კალიქსტს შორის. ეს იყო ერთგვარი კომპრომისი პაპებსა და იმპერატორებს შორის მიმდინარე ხანგრძლივი და უშედეგო ბრძოლისა.

შეთანხმების მიხედვით, ეპისკოპოსთა არჩევა სასულიერო წოდების მიერ უნდა მომხდარიყო. თუ ეს არჩევნები გერმანიაში ჩატარდებოდა, მას იმპერატორი ან მისი წარმოამდგენელი უნდა დასწრებოდა, ხოლო თუ ბურგუნდიაში ან იტალიაში, მაშინ მას პაპი ან მისი წარმომადგენლები უნდა დასწრებოდნენ.

ამგვარად, ინვესტიტურა ორგვარი ხასიათის გახდა: საერო და სასულიერო. საერო ინვესტიტურა გულისხმობდა ახლად არჩეული ეპისკოპოსის დამტკიცებას იმპერატორის ან მისი წარმომადგენელის მიერ სკიპტრის (სამეფო კვერთხის) გადაცემით. ამასთანავე, გერმანიაში საერო ინვესტიტურა წინ უსწრებდა სასულიეროს. იტალიასა და ბურგუნდიაში კი, პირიქით, საეროს სასულიერო ინვესტიტურა უსწრებდა, რომელიც გულისხმობდა ახლად არჩეული ეპისკოპოსის დამტკიცებას პაპის მიერ ბეჭდისა და კვერთხის გადაცემით.

ვორმსის კონკორდატი მაინც წარუმატებელი კომპრომისი აღმოჩნდა და სათავე დაუდო ახალ კონფლიქტებს.

§ 4. ჩრდილოეთ ევროპა IX-XI საუკუნეებში

ევროპის ჩრდილოეთით და იუტლანდიის ნახევარკუნძულზე მდებარეობს სკანდინავიის ქვეყნები: დანია, შვედეთი და ნორვეგია, რომლებიც IX-XI საუკუნეებში თავიანთი განვითარებით ევროპის სხვა ქვეყნებს ჩამორჩებოდნენ. მათ რომის იმპერიის გავლენა არ განუცდიათ. მათთან დიდხანს გვაროვნული წყობილება ბატონობდა. ზღვა, რომელიც სკანდინავიას გარს ერტყმის, კვებავდა აქ მცხოვრებ ხალხს. თევზი – აი, რა იყო მათი ძირითადი საკვები. თევზისა და სხვა ნადავლის ვაჭრობით უკავშირდებოდნენ სხვა ქვეყნებს. მათი დიდკაცები მეზობელ ხალხებს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიკინგების გადაადგილების რუკა

IX-XI საუკუნეებში, როდესაც ფეოდალიზაციის პროცესი თითქმის მთელ ევროპაში დასრულდა, სკანდინავიის ქვეყნებში მხოლოდ მაშინ დაიწყო. გვაროვნული წყობილების დაშლა, სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, ზღვაოსნობის და მეკობრეობის განვითარება სახელმწიფოებრიობის შექმნის წინაპირობა გახლდათ. სკანდინავიის IX-XI საუკუნეების ხანა შუა საუკუნეების ისტორიაში შევიდა, როგორც „ვიკინგების ეპოქა". ეს იყო ფართო ექსპანსიის პერიოდი. ცალკეული ბელადების, ეგრეთ წოდებული ზღვის მეფეების – ვიკინგების ხანა. სიტყვა ვიკინგი წარმოიშვა „ვიკისგან", რაც ყურეს ნიშნავს. ე.ი. ყურის მეფეები). ევროპელებში მათ ნორმანების (ჩრდილოეთის ხალხების) სახელით მოიხსენიებდნენ, ძველი რუსები – ვარიაგების სახელით, ქართველები – ვარანგების სახელით.

ზღვის მეფეები – ვიკინგები სხდებოდნენ ნავებში – „ზღვის ცხენებში" და 60-70-კაციანი რაზმებით შორეულ ლაშქრობებს აწყობდნენ. თავისი სწრაფი და ადვილად მანევრირებადი ნავებით ისინი ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებს სერავდნენ და ევროპის მდინარეებით კონტინენტის სიღრმეშიც აღწევდნენ – სენათი პარიზამდე, დნეპრის გავლით კონსტანტინოპოლამდე და შემდეგ ხმელთაშუა ზღვაშიც აღწევდნენ. ატლანტის ოკეანით ისინი ისლანდიასა და ჩრდილოეთ ამერიკის კუნძულებს აღწევდნენ. სკანდინავიელების პირველი ცნობილი თავდასხმა 793 წელს მოხდა, როდესაც მათ ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროზე მდებარე ჯეროუს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიკინგების ნავები

ნასტერი გაძარცვეს და „დაწვეს. სკანდინავიელთა ყაჩაღური თავდასხმები ინგლისის, ირლანდიის, ფრანკთა სამეფოს, გერმანიისა და ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს მოსახლეობის ნამდვილ რისხვად გადაიქცა. თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისული ადამიანები ევედრებოდნენ ღმერთს: „დაგვიფარე ჩვენ ნორმანების მძვინვარებისაგან“. გადმოცემით კარლოს დიდს შორს, ზღვაში ვიკინგთა ნავები შეუნიშნავს და უთქვამს: „ესენი, ჩემს თვალწინ ასე გამოჩენას რომ ბედავენ, მე რომ არ ვიქნები, მერე რაღას იზამენ“.

ვიკინგების მოძრაობა VIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო და თითქმის ორი საუკუნის მანძილზე არ შეწყვეტილა. მიწათმოქმედებისათვის ნაკლებადგამოსადეგი მწირი ნიადაგი, აგრეთვე მოუსავლიანობა, შიმშილი, პირუტყვის სიკვდილიანობა და სხვა უბედურებანი, – აი, რა ერეკებოდა მათ სამშობლოდან. ერთ მატიანეში აღნიშნულია: „ახალგაზრდობა ხშირად შეთქმულებას ახდენს მამებისა და ბაბუების წინააღმდეგ, რათა ხელთ იგდონ მათი ქონება და მიწა“. ამიტომაც შემოიღეს წესი: კენჭისყრით შერჩეულ ახალგაზრდებს დევნიდნენ სახელმწიფოდან, რათა მათ სხვაგან შეექმნათ ახალი სახელმწიფო, ხოლო სამშობლოში დარჩენილთ შეძლებოდათ მშვიდობიანი ცხოვრება.

სამშობლოდან გამოდევნილი ვიკინგების ლაშქრობა, უპირველესად, ნადავლისა და ნაყოფიერი მიწის ხელში ჩაგდების მიზნით წარმოებდა.

ნორვეგიელების ჩასახლება ისლანდიაში. ჩრდილოეთ ამერიკის კუნძულების აღმოჩენა. ნორმანები სწრაფმავალი ხომალდების მეშვეობით თავს ესხმოდნენ არა მარტო ევროპის ქვეყნებს, არამედ შორეულ მოგზაურობებსაც აწყობენ. ისინი ჯერ კიდევ 878 წელს მიადგნენ ისლანდიას (რაც ნიშნავს „ყინულების ქვეყანას“) და იქ იწყეს ჩასახალებაც. 930 წლისათვის უკვე ისლანდიის სანაპირო ზოლი ნორვეგიელებით იყო დასახლებული (ისლანდიის შიდა მიწები ეხლაც დაუსახლებელია). კოლონისტების ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და საზღვაო რეწვა იყო და მიწათმოქმედებას ნაკლებად მისდევდნენ. 930 წელსვე მთელი ისლანდიის მოსახლეობისათვის დაარსდა ალტინგი – სახალხო კრება და ნორვეგიელების პირველი კანონები (არა ჩაწერილი) იქნა მიღებული. არსებობდა კანონების დამცველის – კანონმეტყველის ერთადერთი თანამდებობა. ალტინგი – ისლანდიელების სასამართლო საკანონმდებლო კრება, კულტურული ცხოვრებისა და შეხვედრების ადგილი იყო. ძველებური ცხოვრების წესი, ადათ-ჩვევები, საზო-

გადოებრივი ურთიერთობანი და ძველსკანდინავიური კულტურა ისლანდიაში უფრო დიდხანს შემოინახა, ვიდრე თვით სკანდინავიაში. ძველსკანდინავიური თქმულებები და საგები ისლანდიელი მთქმელებისა და სახალხო მომღერლების წყალობით შემოინახა და შემდგომში ჩაიწერა.

ისლანდიის აღმოჩენითა და დასახლებით სკანდინავიის გეოგრაფიული აღმოჩენები არ დამთავრებულა. X საუკუნის 80-იან წლებში გრელანდია (რაც „მწვანე მიწას“ ნიშნავს) ეირიხ წითურმა აღმოაჩინა. ისლანდიურ საგებში ნათქვამია, რომ ეს კუნძული ჯუჯებით – ესკიმოსებით იყო დასახლებული. ისლანდიური კოლონიები გრელანდიაში XVII საუკუნემდე არსებობდნენ. სკანდინავიელებმა კუნძულები ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროებთანაც აღმოაჩინეს. მათ ამ კუნძულებს ჰელიულენდი (ბრტყელი ქვების ქვეყანა), მარკლანი (ტყის ქვეყანა), ვინლანდი (ველური ვაზის ქვეყანა) შეარქვეს. საგებში „ერიხ წითურის შესახებ“ და „საგა გრენლანდიელების შესახებ“, რომლებშიც ჭეშმარიტების მოგონილისაგან გარჩევა ძნელია, მითითებულია, რომ ამ ექსპედიციებს ლეიფ იღბლიანი, ერიხ წითურის ვაჟი ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, დაახლოებით 1000 წელს მათ მართლაც მიაღწიეს ამერიკის კონტინენტს და ნიუფანდლენდი აღმოაჩინეს. მათ აქ მოსვლას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი მასალები – სამჭედლოსა და „ვიკინგების ეპოქის“, ე.წ. „გრძელი სახლების“ ნაშთები. მაგრამ ყველა ამ აღმოჩენას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და არავითარი კვალი არ დაუტყვია ევროპის ეკონომიკურ და კულტურულ ისტორიაში.

პირველობა ამერიკის აღმოჩენაში მაინც კოლუმბს ეკუთვნის, ვინაიდან ამერიკის ჭეშმარიტი სახე ევროპელებისათვის მხოლოდ მისი აღმოჩენის შემდეგ გახდა ცნობილი.

ნორმანები, როგორც ითქვა, IX საუკუნის შუა ხანებიდან საფრანგეთშიც იჭრებიან. 848 წელს მათ ბორდო გადაწვეს. 845, 856, 861 და 885 წლებში პარიზს ალყა შემოარტყეს. 911 წელს ფრანკთა მეფემ შარლ უბრალომ ნორმანიელ ბელადს როლონს ჩრდილოეთ საფრანგეთში ლა-მანშის სრუტის სანაპიროზე მიწები დაუთმო, რომლიდანაც ნორმანდიის ვასალური საჰერცოგო აღმოცენდა, მისი დედაქალაქი რუანი იყო. ლა-მანშის სრუტის ნორმანები, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვაზე არაბეთის ესპანეთშიც შეიჭრნენ. ნორმანთა ერთ-ერთმა ბელადმა რობერ გუისკარმა პაპისაგან აპულიისა და კალაბრიის ჰერცოგის ტიტული მიიღო. მოგვიანებით, XII საუკუნეში ისინი სიცილიის ძლიერ სამეფოსაც ქმნიან.

დანიელებისა და ნორვეგიელების უდიდესი მიღწევა მაინც ინგლისის დაპყრობა იყო. ისინი, როგორც ვთქვით, ჯერ კიდევ VIII საუკუნის ბოლოდან გაჩნდნენ ინგლისში. შინაომებით დასუსტებული ეს ქვეყანა მათი ადვილი ნადავლი გახდა.

X საუკუნის ბოლოდან დანიელთა შემოსევები ახალი ძალით განახლდა. ამ დროისათვის, დანია, განსაკუთრებით, ჰაროლდ ლურჯკბილიანის (950-986) დროს უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. მას ეპყრო პრუსია, პომერანია, სამხრეთ სკანდინავია. 1016 წელს დანიელი ბელადი კნუდი (კანუტი) ინგლისის მეფე გახდა, ხოლო 1017 წელს, თავის ძმის დანიის მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1028 წ. დანიისა და ნორვეგიის მეფედაც იკურთხა.

ნიშანდობლივია, რომ ინგლისში კნუდი (1016-1035) ეყრდნობოდა არა მოსულ დანიელებს, არამედ ადგილობრივ მიწათმფლობელ არისტოკრატიას. მის მიერ გამოცემული კანონთა კრებული, რომელიც როგორც ანგლოსაქსურ, ისევე დანიურ კანონებს შეიცავდა, ადასტურებდა იმ უფლებებსა და პრივილეგიებს, რომლებიც მიწათმფლობელმა არისტოკრატიამ მიითვისა. საინტერესოა, რომ ანგლოსაქსების მეფეების მიერ დანიელთა შემოსევების წინააღმდეგ შემოღებული გადასახადი – „დანიური ფული“ არ გააუქმეს და მოსახლეობიდან ისევ კრეფდნენ.

კნუდის მემკვიდრეების დროს დანიელთა ძალაუფლება ძალზე შესუსტდა. 1042 წელს ანგლოსაქსებმა, კნუდის შვილის – გარდიკანუდის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ედუარდ აღმსარებელი (1042-1066) აიყვანეს. მის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ჰაროლდი ავიდა, რომელმაც ერთი წელიც ვერ იმეფა. 1066 წელს ნორმანდიის ჰერცოგმა უილიამ დამპყრობელმა (უკანონოდ შობილმა) ინგლისი დაიპყრო.

სკანდინავიის ქვეყნებში ფეოდალიზმის გენეზისის თავისებურებანი. დანია, შვედეთი და ნორვეგია ანტიკური სამყაროს გავლენის სფეროს მიღმა ვითარდებიან. მათ განვითარებული ფეოდალური საზოგადოებების გავლენა გვიან განიცადეს. ამიტომაც აქ გვაროვნული ურთიერთობებისა და პატრიარქალური მონობის გადმონაშთები დიდხანს შემორჩა. ადრეფეოდალური ურთიერთობანი სკანდინავიაში XII-XIII საუკუნეებშიც გრძელდებოდა. სკანდინავიაში ასეთ პირობებში ჩამოყალიბებული ფეოდალიზმი მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება.

სკანდინავიის ქვეყნებში მიწათმოქმედება ნელა ვითარდება. ეს, მნიშვნელოვნად, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებითა და მკაცრი კლიმატით, მთიანი ლანშაფტითა და მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწების ნაკლებობით აიხსნება. აქ დიდ როლს ასრულებდა მესაქონლეობა, ნადირობა, თევზჭერა და მეირმეობა. სამხრეთ სკანდინავიასა და იუტლანდიის ნახევარკუნძულზე, სადაც მიწათმოქმედებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა, სკანდინავიის სხვა ოლქებთან შედარებით, აქ უფრო ადრე განვითარდა ორ და სამმინდვრიანობა და მიწის რკინის სახნისით დამუშავება.

§ 5. ინგლისი IX-XI საუკუნეებში

ბრიტანეთისა და ევროპის კონტინენტის გამყოფი ლა-მანშის სრუტე, გეოლოგიური გამოკვლევების თანახმად, მხოლოდ რამდენიმე ათასი წლის

წინ, მიწის ჩაწოლის შედეგად წარმოიქმნა. მანამდე კუნძული კონტინენტის ნაწილი იყო. მსოფლიოს რუკების პირველ ნიმუშებში აშკარად მოჩანს, რომ ბრიტანეთი ჩრდილოეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს შორის სავაჭრო გზაზე მდებარეობდა.

ბრიტანეთის ტერიტორიის პირველმოსახლენი სწორედ ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის წარმომადგენელი იბერიელი ტომები იყვნენ, რომლებიც პირინეის ნახევარკუნძულიდან ძვ.წ.აღ.-ით III ათასწლეულში გადმოსახლდნენ. მათი დანატოვარი ისტორიული ძეგლები მრავლადაა შემორჩენილი ირლანდიაში, კორნეულში, შოტლანდიისა და უელსის სანაპიროს გასწვრივ, სადაც მათ პირველი დასახლებები დააარსეს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები მეტყველებს, რომ იბერიელებს მჭიდრო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები არ გაუწყვეტიათ ესპანეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან.

ძვ. წ. აღ.-ით 700 წლიდან ბრიტანეთში უკვე კელტური ტომები იჭრებიან. მათგან პირველები ჰოიდელები ანუ გალები იყვნენ, რომლებმაც ადვილად შეავიწროვეს მშვიდობიანი იბერიელები და ჩრდილო-დასავლეთისაკენ გააძევეს. ორასი წლის შემდეგ გამოჩნდნენ ბრიტები, კელტური ტომი, რომელთაც რკინის გამოყენება ჰქონდათ შეთვისებული და არ გასჭირვებიათ თავიანთი ნათესავების განდევნა კუნძულის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებიდან უელსში, ირლანდიასა და შოტლანდიაში. ბრიტებმა მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიკავეს და კუნძულიც თავიანთი სახელით დააჯილდოვეს.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დამპყრობელთა მესამე ტალღა — ბელგები გამოჩნდნენ, რომლებიც ჩრდილოეთ გალიიდან გადმოსახლდნენ. მათ ბრიტანეთის განვითარების ახალ ეტაპს დაუდეს სათავე. ბელგებმა აითვისეს კუნძულის ტყიანი მასივები, გააუმჯობესეს მიწათმოქმედება და ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი, ცეზარის შეფასებით, ქვეყნის ბეღლად აქციეს. ამავდროულად საფუძველი ჩაეყარა ქალაქებს: ვერულიამს (სენტ-ოლბანსი), კამულოდუნს (კოლჩესტერი) და სხვ. ბელგებმა მჭიდრო ურთიერთობა შეინარჩუნეს სამშობლოსთან და თანდათან რეგულარული სავაჭრო კავშირები განავითარეს.

შემდეგ გამოჩნდნენ რომაელები გაიუს იულიუს ცეზარის მეთაურობით. ბრიტანეთში გადმოსვლამდე ცეზარმა ჯერ გალია დაიმორჩილა. ჩქარა მან აღმოაჩინა, რომ გალი ამბოხებულები უკან დახევისას ბრიტანელ ნათესავებს აფარებდნენ თავს და მათგან სამხედრო მხარდაჭერასაც ღებულობდნენ. ცეზარი იძულებული გახდა დამსჯელი ოპერაცია მოემზადებინა ბრიტანეთის წინააღმდეგ, რათა გალიის დაპყრობა დაესრულებინა. ამას გარდა, რომში ლეგენდები დადიოდა ბრიტანულ მარგალიტსა და მარცვლეულის მარაგზე, რაც კიდევ უფრო სასურველს ხდიდა ქვეყნის დამორჩილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეზარმა ორჯერ ილაშქრა ბრიტანეთში და მისი ექსპედიციები მხოლოდ მასშტაბური დაზვერვის ხასიათს ატარებდა. პირველი თავდასხმა ძვ.წ.აღ.-ით 55 წელს, დაახლოებით 10 ათასი კაცით, ანუ 2 ლეგიონითა და კავალერიით მოეწყო. რომაელებს ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და ცეზარი იძულებული გახდა ხელმოცარული გაბრუნებულიყო რომში.

შემდეგ წელს ცეზარი ბრიტანეთს უკვე 25 ათასი მეომრით დაესხა თავს. მან გატეხა ბრიტანელთა წინააღმდეგობა, მიუხედავად იმისა, რომ რომში 3 კვირა ზეიმობდნენ ბრიტანეთის დამორჩილებას, კუნძულის რეალური დაპყრობა მხოლოდ 90 წლის შემდეგ, კლავდიუსის იმპერატორობისას, ახ.წ.აღ.-ით 43 წლიდან დაიწყო.

დაპყრობების კვალდაკვალ რომაელები ტყეებისაგან წმენდნენ და ითვისებდნენ უზარმაზარ ტერიტორიებს, აგებდნენ გზატკეცილებს, რომელთა გასწვრივ ათეულობით ქალაქი აღმოცენდა. ერთ-ერთი მათგანი — ლონდონი მათ შორის ყველაზე დიდი იყო და ჩრდილოეთ ევროპის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის სტატუსით სარგებლობდა. ბრიტანეთის ზედაფენამ რომანიზაცია განიცადა და კელტი ტომების ბელადებიდან რომაელ ჩინოვნიკებად და მიწათმლობელებად გარდაიქმნენ. თუმცა, ამავე დროს, რომაელი კოლონისტები მცირერიცხოვანნი იყვნენ და ძირითადად ქალაქებსა და ვილებში სახლობდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად ეზიარა რომაულ ცივილიზაციას და საკუთარი თვითმყოფადობა შეინარჩუნა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თითქმის 400-წლოვანი რომაული ბატონობის კვალი ბრიტანეთში ძალზე ზედაპირული აღმოჩნდა. 407 წელს რომაული მმართველობის ხანგრძლივი პერიოდი მოულოდნელად დასრულდა. ბრიტანეთში დაბანაკებული ლეგიონები რომის ვესტ-გოთების შემოსევისაგან დასაცავად გაიწვიეს. ამავე დროს, გერმანელმა ტომებმა გალია დაიკავეს, რითაც ბრიტანეთი რომაულ სამყაროს მოწყვეტილი აღმოჩნდა. ქვეყანა იმპერიიდან ჩამოსული მმართველებისა და ჩინოვნიკების გარეშე დარჩა. ცენტრალიზებული ხელისუფლება მოისპო. ბრიტანეთი სუსტ და მრავალრიცხოვან სამთავროებად დაიშალა, რომლებსაც ადგილობრივი მაგნატები ედგნენ სათავეში. რომაული ქალაქები თანდათან დაიცალა. ქვეყნის უმდიდრესი კულტურული ცენტრი — სამხრეთ-აღმოსავლეთი ბრიტანეთი გაღატაკდა.

სწორედ ასეთი სურათი იყო ბრიტანეთში, როდესაც (დაახლ. 450 წელს) მას ახალი სასტიკი მტერი მოევლინა. ესენი იყვნენ გერმანელი ტომების ყველაზე ჩამორჩენილი და განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ანგლები, საქსები და იუტები მდინარე ელბის რაიონებიდან, დანიის სამხრეთიდან და მდინარე რაინის ქვემოწელიდან. ეს არ იყო ჩვეულებრივი დაპყრობა ან ყაჩაღობა. ქალებითა და ბავშვებით ჩამოსულ გერმანელებს ახალი საცხოვრებელი სჭირდებოდათ. ბრიტანეთში ერთმანეთს დაუპირის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდა განვითარების თითქმის ერთი და იმავე საფეხურზე მდგომი სხვადასხვა სხვა ხალხი, რამაც ბრძოლა უფრო ხანგრძლივი და მწვავე გახადა. ბრიტანეთის თავისუფალი გლეხობა თავგამოდებით იცავდა საკუთარ მიწა-წყალს და არ გადადიოდა მტრის მხარეზე, როგორც ამას სჩადიოდნენ იტალიის, ესპანეთის, გალიისა და სხვა რომანიზებული მხარეების მოსახლეობა. ლეგენდამ შემოინახა კელტების ერთ-ერთი სამხედრო ბელადის არტურის სახელი, რომელიც დამპყრობლებთან ბრძოლას შეეწირა და გმირობის, რაინდობისა და სიბრძნის სიმბოლოდ იქცა.

რამდენიმე წელიწადში ქვეყანა საშინლად გაჩანაგდა. რომაული კულტურის ნაშთიც კი აღიგავა პირისაგან მიწისა. ანგლოსაქსებმა ბრიტების დიდი ნაწილი ბრძოლებში გაანადგურეს, ნაწილი მონებად აქციეს ან დასავლეთისაკენ განდევნეს. თითქმის ყველა ქალაქი, ლონდონის გარდა, დაინგრა და ხანგრძლივი დროის მანძილზე გაუკაცრიელდა. რომაელთა მიერ ტყეებისაგან გაწმენდილი და დამუშავებული მიწები გაუდაბურდა. გადარჩენილი მოსახლეობის ერთი ნაწილი, გადალახა რა ლამანშის სრუტე, მასიურად გადასახლდა გალიის ტერიტორიაზე, არმორიკუმში, სადაც იმდენად შეიცვალა ეთნიკური შემადგენლობა, რომ მას სხვა სახელი — ბრეტანი შეერქვა, როგორც დღემდე მოიხსენიება საფრანგეთის ეს მხარე.

ანგლოსაქსებში ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილება იყო და ახლად დაპყრობილ ადგილებში კვლავ გვარებისა და თემების მიხედვით სახლდებოდნენ, თუმცა ტერიტორიული პრინციპით დასახლებასაც მიმართავდნენ. გვარის წევრები — „კერლები“ IX საუკუნემდე მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ. ისინი თავისუფალი მეთემეები იყვნენ და ვრცელ მიწის ნაკვეთებს — ჰაიდებს ფლობდნენ. აღმოსავლეთ ინგლისში ჰაიდი 48 ჰექტარ მიწას უდრიდა, სხვა რაიონებში 16 ჰექტარამდე იყო და დიდი ოჯახის საკუთრებად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰაიდი მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა, იგი ჯერ კიდევ არ იყო კერძო საკუთრება. მფლობელს მისი გაყიდვა, ანდერძით სხვა ოჯახისათვის გადაცემა ან ქალისათვის მემკვიდრეობით გადაცემა არ შეეძლო.

ამრიგად, ჰაიდი სახალხო მიწას, ანუ ფოლკლენდს წარმოადგენდა. მისი მფლობელი ყველა კერლი ვალდებული იყო ბრძოლებში მიეღო მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწასაც კარგავდა და თემიდანაც განიდევნებოდა.

ანგლოსაქსების არისტოკრატია უმთავრესად ერლებისაგან შედგებოდა, რომელთაც ადრეული ანგლოსაქსური სამართლის ძეგლებში კერლებთან შედარებით ორჯერ მეტი ვერგელდი ჰქონდათ დაწესებული და 400 შილინგს შეადგენდა. ერლს სამი ჰაიდი მიწა ეკუთვნოდა.

სოციალური კიბის ქვედა საფეხურზე იდგნენ ნახევრადთავისუფალი ლიტები და უილები, ანუ დაპყრობილი კელტები — უელსის მცხოვრებნი, რომელთა ვერგელდი 80 შილინგს არ აღემატებოდა. რაც შეეხება მონებს,

მათ ვერგელდი არ გააჩნდათ და მათი მოკვლის შემთხვევაში მხოლოდ ჯა-
რიმა იყო დაწესებული.

VI-VII საუკუნეების სამართლებრივი აქტებიდან ნათლად ჩანს, რომ ანგლოსაქსები ბინადარ ცხოვრებას მისდევდნენ და მიწათმოქმედებით უფრო იყვნენ დაკავებულნი, განსაკუთრებით ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში, ვიდრე მესაქონლეობით. თუმცა ეს უკანასკნელი საქმიანობა, თევზაობასა და ნადირობასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო. დამპყრობლებმა ქვეყნის ზოგიერთ რაიონებში მარილის, რკინისა და ტყვიის მოპოვებას მიჰყვეს ხელი.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ხანგრძლივმა და მედგარმა ბრძოლებმა ანგლოსაქსებში თემური წყობილების რღვევას, სამხედრო ხელმძღვანელთა უფლებების ზრდასა და ხელისუფლების ცენტრალიზაციას შეუწყო ხელი. ვიდრე სამეფო ხელისუფლება განმტკიცდებოდა, მეფესაც ვერგელდი ჰქონდა. მისი მოკვლის შემთხვევაში მკვლელის გვარს მოკლულის გვარისთვის ვერგელდი – 7200 შილინგი, ანუ კერლის ვერგლდზე 36-ჯერ მეტი უნდა გადაეხადა. თუმცა, უკვე IX საუკუნეში მეფის ვერგელდი გაუქმდა და მისი მკვლელი სიკვდილით ისჯებოდა.

სამეფო ხელისუფლება გარს იკრებდა რაზმელებსა და მოლაშქრეებს – გეზიტებსა და ტენებს, რომელთა სიცოცხლესაც ასევე მაღალი ვერგელდი იცავდა. ანგლოსაქსები სახელმწიფო გადასახადებს არ იხდიდნენ, ამიტომ მეფის შემოსავლის ძირითად წყაროს მისი მამულები და სხვადასხვა დანაშაულისათვის აკრეფილი ჯარიმების გარკვეული ნაწილი შეადგენდა. აქედან გამომდინარე, მეფე თავის ამალას მხოლოდ მამულებით ასაჩუქრებდა. ხშირად, უშუალოდ მიწას, გარკვეულ ტერიტორიაზე ღალის აკრეფის უფლება ცვლიდა, რომელსაც მეფე თავის რაზმელს ე.წ. „გამოსაკვებად“ გადასცემდა და ამ წყალობას სიგელით აფორმებდა. ასეთ მიწას „ბოკლენდი“ (ანგლოსაქს. ბოკ – სიგელი, ლანდ – მიწა) ეწოდებოდა. გასაჩუქრებული მიწების, ანუ ბოკლენდის მეპატრონეები გადასახადისაგან თავისუფალნი იყვნენ. მათ, ისევე როგორც ფოლკლენდის მფლობელებს, მეფის წინაშე მხოლოდ სამი ვალდებულება ეკისრებოდათ: სამხედრო სამსახური, ხიდების შეკეთება და ციხესიმაგრეების აგება.

ბოკლენდის სისტემის დანერგვამ ძალზე შეუწყო ხელი ფეოდალური საკუთრების ჩასახვასა და ბატონყმური ურთიერთობების განვითარებას, რადგან დაჯილდოებული პირი სამფლობელოში შეუზღუდველი უფლებებით სარგებლობდა. მიწაზე მცხოვრები გლეხები თანდათან ბოკლენდის მეპატრონეზე დამოკიდებულნი ხდებოდნენ, თუმცა პირად თავისუფლებას ჯერჯერობით ინარჩუნებდნენ.

სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობა ორი გზით ხორციელდებოდა. ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ძალაში რჩებოდა თემური წყობილებისათვის და-

მახასიათებელი სახალხო კრებები უხუცესებითა და მამასახლისებით. ჩრდილოეთ მხრივ, სამეფო ხელისუფლება თავისი მდგომარეობის განმტკიცებას სწორედ სახალხო კრებების გავლენის შესუსტებისა და მსხვილი მიწათმფლობელობის გაძლიერების გზით ცდილობდა.

VI-VII საუკუნეებში მართვა-გამგებლობის ძირითად რგოლს სასოფლო თემი შეადგენდა. რამდენიმე სოფელი ქმნიდა ასეულს, რომლის თავისუფალი მოსახლეობა ასეულის კრებას იწვევდა. IX საუკუნიდან ასეულები უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ გაერთიანებას – საგრაფოს ანუ შაირს ექვემდებარებოდა, რომელსაც სათავეში ელდორმენები ედგნენ. სამეფო ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად ასეულის მამასახლისი ფაქტობრივად მეფის მოხელედ იქცა. ასევე დაეცა ელდორმენის გავლენაც და ისინი მეფის მიერ დანიშნულმა მოხელეებმა – შერიფებმა შეცვალეს. მიუხედავად იმისა, რომ შერიფები ტრადიციას მისდევდნენ და წელიწადში ორჯერ შაირის სახალხო კრებას ანუ მოტს (იგივე ჰემოტი) იწვევდნენ, საბოლოოდ მოტებს, თავისუფალი კერლების ნაცვლად, მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელები – გლაფორდები ესწრებოდნენ. ეს უკანასკნელნი მოგვიანებით უკვე ლორდებად იწოდებოდნენ.

დაპყრობილ ხალხთან ხანგრძლივი ბრძოლის პარალელურად, ანგლოსაქსები სხვადასხვა სამხედრო ხელმძღვანელთა ურთიერთდაპირისპირებასაც ვერ გადაურჩნენ, რის შედეგად VII საუკუნის დასაწყისიდან ბრიტანეთში „ჰეპტარქია“, ანუ შვიდი სამეფოს მმართველობა დამყარდა. იუტებმა უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში ყველაზე პატარა კენტის სამეფოს ჩაუყარეს საფუძველი. საქსებმა სამი სამეფო: უესექსი, ესექსი და სუსექსი დააარსეს კუნძულის აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში. მოგვიანებით, ანგლები ჩრდილოეთში სათავეში ჩაუდგნენ ნორთუმბრიას, ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მერსიას და ჩრდილო-აღმოსავლეთით – ოსტანგლიას.

ჰეპტარქიის პერიოდი სამეფოებს შორის პირველობისათვის განუწყვეტელი ბრძოლებით გამოირჩეოდა. თავდაპირველად, VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის I ნახევარში წამყვანი როლი სამეფოებს შორის კენტს ეკავა. VII საუკუნის მეორე ნახევარში გაძლიერდა ნორთუმბრია, რომელსაც VII საუკუნეში პირველობას მერსიის სამეფო შეეცილა. კენტის მეფე ეთელბერტმა, ნორთუმბრიის მეფეებმა ედვინმა და ოსვიმ, მერსიის მეფეებმა პენდამ და ოფამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თავიანთი სახელმწიფოების დროებით ამაღლების საქმეში, თუმცა დანარჩენი სამეფოების დამორჩილება და შემოერთება ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო. ამ მიზანს ძველთაგანვე სიმდიდრითა და ნაყოფიერებით განთქმულ აღმოსავლეთის მხარეში დაარსებულმა უესექსის სამეფოს ხელისუფალმა ეკბერტმა მიაღწია, რომელმაც 829 წელს თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა ანგლოსაქსთა ადრეფეოდალური სამეფოები. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მერსიისა და ნორთუმბრიის დამორჩილება უესექსმა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა, რაც ამ სამეფოებმა თავის თავზე გამოსცადეს სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან მოვლენილი ყაჩაღური რაზმების თავდასხმები და გაპარტახება. უესექსის სამეფომ, რომელიც გარეთავდასხმებისაგან დაცული იყო თავისი მდებარეობის გამო, უმტკივნეულოდ მოახერხა ახალი და სასტიკი მტრის წინააღმდეგ ცენტრალურ ძალად ჩამოყალიბება.

„793 წლის 18 ივნისს წარმართებმა ლინდისფარნში ღვთის ეკლესიას (ე.ი. ჯეროუს მონასტერს) ძარცვისა და მკვლელობების გზით საშინელი ნგრევა დაატეხეს", – ამ მოკლე ჩანაწერით ეხმაურება ქრონიკა 300-წლიანი უბედურებისა და ბრძოლების ეპოქის დასაწყისს, რომელიც ინგლისს სკანდინავიელებმა დაატეხეს თავს. ამ ხნის განმავლობაში ჩრდილოელმა მეზობლებმა ინგლისის ნახევარი დაიპყრეს და მათმა ზნეჩვეულებებმა ქვეყანას წარუშლელი დაღი დაასვა. დამპყრობლებს ზოგადად დანელებს უწოდებდნენ, თუმცა დანელები ძირითადად ინგლისს ესხმოდნენ თავს, ხოლო შოტლანდიასა და ირლანდიას მერე სკანდინავიელი ხალხი – ნორვეგიელები აპარტახებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ, ვიდრე ანგლოსაქსები, მათ გააჩნდათ იარაღი, რომლითაც წინ უსწრებდნენ ინგლისელებს და რომელიც მათი ცივილიზაციის ძირითად მამოძრავებელ ძალად იქცა. ეს იყო დიდი რკინის ნაჯახი, რომელიც სკანდინავიელთა სამარხებში დაახლოებით 600 წლიდან შეინიშნება. ამ ნაჯახით დანელებმა და ნორვეგიელებმა გაასუფთავეს ტყით დაფარული ტერიტორიები ზღვასა და მთებს შორის და ეს ვიწრო ზოლი სწრაფად აითვისეს. ნაჯახმა საშუალება მისცა მათ აეგოთ უზარმაზარი და ზღვაოსნობისათვის ხელსაყრელი ხომალდები, როგორიც ჩრდილოეთში არავის ენახა. ამ ხომალდებით სკანდინავიელებმა შორეული ლაშქრობების მოწყობა დაიწყეს. მათ უმთავრეს მიზანს თავდაპირველად ძარცვა-რბევა და სარჩოს მოპოვება წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ისინი თავდასასხმელად მდიდარ და შედარებით დაუცველ ტერიტორიებს ირჩევდნენ. IX საუკუნის დასაწყისისათვის ასეთ ხელსაყრელ მხარეს ირლანდია წარმოადგენდა, რომელიც გადაურჩა როგორც რომაელთა, ისე ანგლოსაქსთა შემოსევებს და თვითმყოფადი კულტურისა და საუკუნეობით დაგროვებული სიმდიდრის მფლობელი, სამხედრო თვალსაზრისით სავსებით უუნარო იყო.

მას შემდეგ, რაც ირლანდია მოაოხრეს, სკანდინავიელებმა თავდასხმების ობიექტად საფრანგეთის ჩრდილოეთი ნაწილი ამოარჩიეს. პარიზის გაძარცვის შემდეგ მათ უფრო თამამი ლაშქრობებიც მოაწყვეს და 846 წელს თვით რომსაც შემოარტყეს ალყა. პარალელურად, დანელი მეომრები ინგლისსაც ესხმოდნენ თავს და 842 წელს ლონდონი გადაწვეს. უკვე 866

წელს დანელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ინგლისში არა გაძარცვის, არამედ დაპყრობის მიზნით გადასხდა.

სამხედრო თვალსაზრისით, სკანდინავიელები ბევრად უკეთ იყვნენ მომზადებულნი. თაობების მანძილზე მათთან დაგროვებული საომარი აღჭურვილობა, რომელიც მთელ ევროპაში ძარცვა-გლეჯით მოიპოვეს, საშუალებას აძლევდათ საუკეთესო იარაღი და აბჯრები ჰქონოდათ. ამასთან, სკანდინავიელები ომის წარმოების ახალი მეთოდით სარგებლობდნენ, რაც მათთვის კიდევ ერთი უპირატესობა იყო მოწინააღმდეგესთან შედარებით. თავიანთი გრძელი, მრავალნიჩბიანი ხომალდებით, რომელზედაც 100-მდე მეომარი ეტეოდა, ისინი სწრაფად უახლოვდებოდნენ სასურველ ნაპირს. მიწაზე გადასხდომისთანავე, პირველ რიგში, იტაცებდნენ ცხენებს და ცხენოსან ქვეითთა ჯარს აყალიბებდნენ, რომელიც უსწრაფესად აღწევდა ხმელეთის სიღრმეში. დამარცხების შემთხვევაში ისინი ორგანიზებულად აგებდნენ გამაგრებულ ფორტებს, რომლის მეშვეობით უდანაკარგოდ ახერხებდნენ უკანდახევას.

სკანდინავიელებთან შედარებით, ინგლისელები სუსტად იყვნენ შეიარაღებულნი. მათ არ ჰყავდათ ფლოტი და მოულოდნელი თავდასხმის ეფექტი ყოველთვის დანელებს აძლევდა ხელს. 866 წლიდან 871 წლამდე დანელებმა დაამარცხეს ნორთუმბრიელები, გაძარცვეს მერსია და ოსტანგლია. მხოლოდ ალფრედ დიდის (871-899 ან 900 წწ.) სამხედრო გენიამ მოახერხა დანელების მიერ მთელი ინგლისის დაპყრობის აღკვეთა. მისი გამეფების პირველივე წელს, რომელსაც „ბრძოლების წელი“ ეწოდა, დანელები და ინგლისელები 9-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ბრძოლის ველზე და ვერც ერთმა მხარემ სრულ გამარჯვებას ვერ მიაღწია.

დანელების წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალფრედ დიდის ღირსებაში მდგომარეობდა – ესწავლა მტრისაგან და სრულყოფამდე მიეყვანა მათივე ხერხი. მან ინგლისი რამდენიმე სამხედრო ოლქად დაყო და გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც 5 ჰაიდი მიწის მფლობელი მძიმედ შეიარაღებული მხედრობის რიგებში უნდა ჩამდგარიყო, ხოლო დანარჩენ მოსახლეობას ქვეითი ჯარი უნდა შეევსო. ამით ალფრედმა მუდმივი შეიარაღებული არმია მიიღო, ნაცვლად მანამდე ინგლისში არსებული სახალხო რაზმებისა. ალფრედ დიდმა ციხესიმაგრეების სისტემაც ააგო, რომელშიც მძიმედ შეიარაღებულ მეომრებს აყენებდა. ამას გარდა, ალფრედმა სწორად გაითვალისწინა ზღვით მოსული მტრის წინააღმდეგ საზღვაო ფლოტის საჭიროება და 100 ხომალდი ააგებინა, რომელიც მტრის ხომალდებზე ორჯერ გრძელი და არანაკლებ სწრაფმავალი, გამძლე და მალალი იყო.

ამ ღონისძიებათა გატარებამ ალფრედ დიდს საშუალება მისცა აღეკვეთა დანელების შემდგომი წინსვლა. მან 878 წელს ედინგტონის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა გუტრუმი, დანელების მეფე, აიძულა იგი დათანხმებულიყო ინგლისის ორ ნაწილად გაყოფაზე: ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი უესექსის სამეფოს დაექვემდებარა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი – „დანური სამართლის მხარედ“, ანუ დანელოულ გამოცხადდა. ქალაქი ლონდონი დანელებს გადაეცათ, თუმცა ალფრედმა მისი დაბრუნება მოახერხა. მოგვიანებით, დანელთა ყოველი მცდელობა ინგლისის დაპყრობისა, მარცხით მთავრდებოდა.

ალფრედ დიდმა დანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, პირველად ინგლისის ისტორიაში, მოსახლეობას მუდმივი გადასახადი – „დანეგელდი“ (დანელთა ფული) დაუწესა. მანვე შეკრიბა ჰეპტარქიის ყველა სამეფოს კანონთა კრებული და მათი შეჯერებით ერთიანი ინგლისისათვის გამიზნული კანონთა კრებული შექმნა, რომელსაც „მეფე ალფრედის სამართალი“ ეწოდა.

მას შემდეგ, რაც თავის ქვეშევრდომებს მშვიდობა მოუტანა, ალფრედმა ქვეყნის კულტურულ განვითარებაზეც იზრუნა. იგი მეცნიერებს მთელი ევროპიდან იწვევდა და უკვე ხანშიშესულმა (40 წლის ასაკში) წერა-კითხვა ისწავლა ინგლისურად და ლათინურად. ეს იყო გმირობა, რომელსაც კარლოს დიდმა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ვერ მიაღწია. ალფრედი თანხებს არ იშურებდა და აყალიბებდა სკოლებს. მისი ხელშეწყობით გადაიწერა ოროზიუსის „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“, ბედა პატივდებულის „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია“, რომის პაპის გრიგოლ დიდის ნაწარმოებები და სხვ.

ალფრედის მეფობის აღწერა დაიწყეს ქრონიკებში და საფუძველი ჩაეყარა მატიანეების წერის ტრადიციას.

ამგვარად, მეფე ალფრედ დიდმა მძლავრი საფუძველი ჩაუყარა ინგლისის სახელმწიფოს განვითარებას, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდითაც დადასტურდა. მეფე ედგარმა (959-975) გააუქმა „დანური სამართლის მხარე“ და ინგლისის მთელი ტერიტორია ერთიან სახელმწიფოდ გააერთიანა.

დანელთა შემოსევებმა, ერთი მხრივ, ხელი შეუშალა ანგლოსაქსთა საზოგადოების ფეოდალიზაციის პროცესს, განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში. მათში თემური წყობისა და თავისუფალი გლეხობის სიძლიერემ ინგლისელებზეც იქონია ზეგავლენა. მეორე მხრივ, დანელებთან ხანგრძლივმა ბრძოლებმა უამრავი ფულადი და ადამიანური რესურსები მოითხოვა, რამაც თავისუფალი გლეხობის გაღატაკება და დასუსტება გამოიწვია. ისინი მასიურად კარგავდნენ თავიანთ მიწებს მსხვილ მიწათმფლობელთა სასარგებლოდ და IX-XI საუკუნეებში კერლების დიდი ნაწილი ყმა-გლეხებად იქცა. ამ პროცესს დიდად შეუწყო ხელი მეფეთა მიერ ფეოდალებისათვის იმუნიტეტის – ე.წ. სოკას მინიჭებამ. გლეხები, რომლებიც სოკას ტერიტორიებზე სახლობდნენ, სოკმენებად იწოდებოდნენ და იმუნისტებთან სასამართლო დამოკიდებულებაში ექცეოდნენ. სოკმენები პირად თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისუფლებას ინარჩუნებდნენ, თუმცა თანდათანობით ფეოდალი მათ გარკვეული გადასახადების გადახდასა და ბეგარის შესრულებას აიძულებდა.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ დადებითი ზეგავლენის შესახებ, რომელიც დანელებმა მოახდინეს ინგლისელებზე. ვიდრე ინგლისში მოვიდოდნენ, დანელმა ზღვაოსნებმა უამრავი შორეული ლაშქრობა მოაწყვეს. მათში კარგად იყო განვითარებული ვაჭრობა. ამასთან, იგი ძალზე საპატიო საქმედ ითვლებოდა. ამას გარდა, მათ უშუალო შეხება ჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან და თვით დიდებული კონსტანტინოპოლიც ნანახი ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, დანელთა და ინგლისელთა ხანგრძლივმა თანაარსებობამ ქვეყანაში ქალაქების მშენებლობისა და ვაჭრობის განვითარების პირობები შექმნა.

X საუკუნის ბოლოს დანიისა და ნორვეგიის გაერთიანებული სახელმწიფოს მეფე სვენმა ინგლისზე თავდასხმები განაახლა. თუმცა ამჯერად სკანდინავიელებმა თავისებური კომერციის წარმოება დაიწყეს. ისინი შეიჭრებოდნენ ინგლისში და ჯარის გაყვანისათვის ფულის გადახდას ითხოვდნენ. ერთი-ორი წლის შემდეგ ამ ოპერაციას კვლავ იმეორებდნენ. 991-1014 წლებში დანელებმა შვიდი ასეთი ლაშქრობა მოაწყვეს და მათ მიერ ინგლისში მიღებულმა თანხამ 158 ათასი ვერცხლის ფუნტი – თანამედროვე ათი მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. ეს იმ დროისათვის კოლოსალური ფული იყო. 1016 წელს სვენმა თავისი მმართველობა ინგლისზეც გაავრცელა და დანელების გადასახდელი თანხა ოფიციალურ გადასახადად დააწესა. ხარკმა მძიმედ იმოქმედა თავისუფალ გლეხობაზე და მათი სწრაფი დაფმევების პროცესი დააჩქარა. ამასთან ერთად, ადგილობრივი მაგნატების ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან სწორედ მათ ევალებოდათ ამ გადასახადის აკრეფა, რასაც ისინი, რასაკვირველია, თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. მათ გაძლიერებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი მეფე სვენის ვაჟმა კნუდმა (1016-1035), რომელმაც თავის დასაყრდენად ინგლისში სწორედ ეს ფენა აარჩია და მათ მრავალი პრივილეგია და უფლებები მიანიჭა. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ინგლისში მსხვილი მამულების – მანორის ჩამოყალიბება, რომელიც მთლიანად ყმა-გლეხთა შრომას ემყარებოდა.

დანელთა ბატონობა ინგლისში არამყარი აღმოჩნდა. ანგლოსაქსებმა ისარგებლეს მეფე კნუდის გარდაცვალების შემდეგ მის იმპერიაში არსებული შიდადაპირისპირებით და დამპყრობლებთან ბრძოლა განაახლეს. კნუდის სახელმწიფო დაიშალა და ინგლისელებმა ტახტზე ძველი ანგლოსაქსური დინასტიის წარმომადგენელი ედუარდი, მომავალში „აღმსარებლად“ წოდებული (1042-1066) მიიწვიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 6. ესპანეთი VIII-XI საუკუნეებში

VII საუკუნის დასასრულისათვის არაბებმა დაასრულეს ბიზანტიის კუთვნილი სამფლობელოების დაპყრობა ჩრდილოეთ აფრიკაში და ვესტგოთთა სამეფოს შეუტიეს.

ამ ხანებში არაბთა სახელმწიფოს ტერიტორია უკვე აღემატებოდა ძველი დროის უდიდეს მონარქიებს და თვით ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაზე ვრცელი იყო. იგი ატლანტის ოკეანიდან ინდოეთამდე და ჩინეთამდე იყო გადაჭიმული. ჩრდილოეთ აფრიკაში მრავალრიცხოვანი ბერბერული ტომები არაბთა ბატონობას დამორჩილდნენ. ამგვარად, არაბები უშუალოდ პირინეის ნახევარკუნძულს გაუმეზობლდნენ და მისი დაპყრობისათვის მზადება დაიწყეს.

პირველი დაზვერვითი ლაშქრობა ესპანეთში არაბებმა 709 წელს მოაწყვეს – გადალახეს გიბრალტარის სრუტე და ვესტგოთთა სახელმწიფოს კუთვნილი სანაპირო მოარბიეს. 711 წელს ისინი უფრო ღრმად შეიჭრნენ სამეფოში. მიუხედავად იმისა, რომ ვესტგოთთა ლაშქარი რიცხობრივად მნიშვნელოვნად აღემატებოდა თავდამსხმელს, ისინი პირველივე ბრძოლაში დამარცხდნენ. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ვესტგოთთა მეფის როდრიგოს მოწინააღმდეგე ძალებმა ჯარების ერთი ნაწილი მოისყიდეს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი იმან ითამაშა, რომ ვესტგოთთა სამეფოში მეფობის მემკვიდრეობით გადაცემის წესი არ მოქმედებდა და ფეოდალები გაშმაგებით იბრძოდნენ ტახტიდან მოწინააღმდეგის ჩამოსაგდებად. ტახტის დასაუფლებლად ბრძოლას მათ დაუფიქრებლად ანაცვლეს ქვეყნის ინტერესები. ამას გარდა, მეფის მკაცრი პოლიტიკითა და კათოლიკური ეკლესიის უზარმაზარი უფლებებით შევიწროებული ებრაელები, რომელთა რიცხვი სამეფოში 90 ათასს აღწევდა, აჯანყდნენ და არაბების მხარეზე გადავიდნენ. ასევე წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარდა მტერს ქალაქებისა და სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი. არაბებმა უმტკივნეულოდ შეძლეს კორდოვასა და ტოლედოს დაპყრობა და მალე ვესტგოთთა სატახტო ქალაქი მათ ხელში აღმოჩნდა. მხოლოდ სევილია არ დამორჩილდა დამპყრობლებს და მისი ალყა რამდენიმე თვეს გაგრძელდა.

მომდევნო წელს ვესტგოთთა სამეფოში თვით დამასკოს ხალიფას მოადგილე მუსა-იბნ-ნოსაირი ჩამოვიდა დამხმარე 18-ათასკაციანი ლაშქრით. მან აიღო სევილია, დაიპყრო ყველა დიდი ციხესიმაგრე და გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა ვესტგოთთა არმია. მეფე როდრიგო ბრძოლის ველზე დაიღუპა. ვესტგოთთა სამეფომ არსებობა შეწყვიტა. ესპანეთში არაბთა ბატონობის ხანა დაიწყო. პირინეის ნახევარკუნძულის ერთადერთი ნაწილი, რომელშიც არაბებმა ფეხი ვერ მოიკიდეს, ჩრდილოეთ ესპანეთი იყო. მთაგორიანი ასტურია დამოუკიდებელი დარჩა და მოგვიანებით ესპანეთის ქრისტიანული სახელმწიფოს ცენტრად იქცა.

ახალი დამპყრობლების აგრესია ესპანეთის შემდეგ გალიისაკენ წარიმართა. არაბებმა სამხრეთ გალიის ერთი ნაწილი დაიკავეს, თუმცა 732 წელს პუატიესთან კარლოს მარტელმა ისინი სასტიკად დაამარცხა და ევროპა არაბთა შემოსევისაგან იხსნა.

755 წლამდე მუსლიმური ესპანეთი ანუ ალ-ანდალუსი დამასკოს სახალიფოს შემადგენლობაში შედიოდა. თუმცა, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როდესაც აბასიდების საგვარეულომ მმართველი ომეიადები დაამხო და მათი დიდი ნაწილი ამოჟლიტა, ერთ-ერთმა გადარჩენილმა – აბდ არ-რაჰმანმა თავი ალ-ანდალუსს შეაფარა. მან ხელთ იგო ძალაუფლება და თავი დამოუკიდებელ ამირად გამოაცხადა. ასე ჩაეყარა საფუძველი კორდოვას საამიროს. 929 წელს ამირა აბდ არ-რაჰმან III საბოლოოდ განამტკიცა არაბული ესპანეთის დამოუკიდებლობა და ხალიფას ტიტული მიითვისა.

არაბებმა ესპანეთის დაპყრობის შემდეგ მიწების 1/5 სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადეს. მათ მსხვილ მიწათმფლობელებს მიწები ჩამოართვეს და წვრილ მწარმოებლებს დაურიგეს, რამაც, ერთი მხრივ, ესპანური არისტოკრატია დაასუსტა, ხოლო წვრილგლეხური მეურნეობა გაძლიერდა. ამას გარდა, მოსახლეობა მათ ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან გაათავისუფლეს და მხოლოდ ორი – „ხარაჯა“ ანუ მიწის გადასახადი და „ჯიზია“ – სულადობრივი გადასახადი დაუწესეს. ქალები, ბავშვები, ინვალიდები და მონები გადასახადისაგან გათავისუფლებულნი იყვნენ.

თავდაპირველად არაბები ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ რჯულშემწყნარებლობას იჩენდნენ და ისლამს ძალდატანებით არ ავრცელებდნენ. ამ შემთხვევაში არაბები ნაწილობრივ მერკანტილური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ. „ჯიზიას“ მხოლოდ ქრისტიანი მოსახლეობა იხდიდა. იმ შემთხვევაში, თუ ისლამს ბევრი მიიღებდა, გადასახადის ამოღება შემცირდებოდა. ამგვარად, ქრისტიანების მასობრივი გამაჰმადიანება არაბებისათვის ხელსაყრელი არ იყო. რწმენის იძულებითი შეცვლა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც არაბებმა ქრისტიანებთან ერთად არაბ მუსლიმებსაც დაუწესეს „ჯიზია“.

იმის გამო, რომ მოსახლეობის მდგომარეობა ვესტგოთთა სამეფოს დაცემის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, პირველ ხანებში, კორდოვას სახალიფოდ გადაქცევამდე, არაბთა ბატონობა წინააღმდეგობას არ იწვევდა. მთელი VIII საუკუნის მანძილზე ისტორიული წყაროები მხოლოდ ერთხელ იხსენიებენ ქრისტიანული მოსახლეობის ერთი ნაწილის უკმაყოფილებას.

თუმცა კორდოვას პირველი ამირას, აბდ არ-რაჰმანის მემკვიდრის ჰიშამ I-ის მმართველობაში (788-796) უკვე თვალშისაცემი გახდა არაბი მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმის ზრდა, რამაც სასულიერო წოდებას საშუალება მისცა ზეგავლენა მოეხდინა ამირაზე და ქვეყნის მმართველობის საკითხებში აქტიურად ჩარეულიყო. გაძლიერდნენ ფეოდალებიც, რომლებ-

მაც ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა წამოიწყეს. ამირას კარის განცხრომამ, მათ მიერ რელიგიური ნორმების დარღვევამ – ფუფუნებაში ცხოვრებამ და მემთვრალეობამ, გამუდმებულმა ნადირობამ და ბრწყინვალე მორთულობისაკენ მიდრეკილებამ, ერთი მხრივ, ამირას მტრებს საშუალება მისცა მოსახლეობაში დემაგოგიური მოწოდებებით უკმაყოფილება გაეზარდა. მეორე მხრივ, ცხოვრების ასეთი წესი თვალწარმტაცი აღმოჩნდა სხვა დიდებულებისათვისაც, რამაც გადასახადების ზრდა გამოიწვია. ამას გარდა, ჰიშამის მომდევნო ამირებმა კორდოვას საამიროში დანერგეს 700 წელს სახალიფოში მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვით ყველა არაბს, რომელმაც ისლამი მიიღო ანუ რენეგატს, სულადობრივი გადასახადი უნდა დაკისრებოდა.

ამრიგად, საზოგადოების ყველა ფენაში უკმაყოფილება იზრდებოდა. პირველად აჯანყებამ კორდოვას ხელოსნებში იფეთქა 814 წელს და მთელი ღარიბთა ფენა ჩაითრია. აჯანყება ცეცხლითა და მახვილით ჩაახშეს. კორდოვაში მცხოვრები რენეგატების დიდი ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ აფრიკასა და ეგვიპტეში გაიხიზნა. ამის შემდეგ ქვეყანაში აჯანყებები არ ცხრებოდა. მასში გვერდიგვერდ მონაწილეობდნენ ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა ანუ მოსარაბები და სარწმუნოებაშეცვლილი რენეგატები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მარცხდებოდნენ, აჯანყება ახალი ძალით იფეთქებდა ხოლმე, ვიდრე კორდოვას ამირა აბდ არ-რაჰმან III (912-961) არ გახდა. მან ყურადღება მიაქცია ქალაქ ტოლედოს, რომელიც მეამბოხეების ძირითადი კერა იყო. არაბთა მიერ პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობისას ტოლედო, რომლის მოსახლეობა ვესტგოთებისა და ესპანელებისაგან შედგებოდა, უბრძოლველად ჩაბარდა მტერს და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისლამი აღიარა. ამიტომ დამპყრობლებმა ქალაქს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნეს და მხოლოდ უმნიშვნელო ხარკი დააკისრეს. ტოლედოს დაპყრობას სხვა ამირებიც ცდილობდნენ, თუმცა ქალაქი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა და დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

აბდ არ-რაჰმან III-მ ძირითადი ყურადღება შეიარაღებული ძალების გაძლიერებას მიაქცია. მან დაქირავებული პირებისაგან მუდმივი ჯარი შეადგინა, რომელიც არაბთა არმიის საუკეთესო ნაწილად და ძირითად ბირთვად იქცა. მუდმივი ჯარი სახალხო ლაშქართან ერთად გამოდიოდა ომიანობის შემთხვევაში და ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა. ამ ძალით ამირამ შეძლო ქალაქ ტოლედოს დაპყრობა და ბერბერთა დამოუკიდებელი შეიხების წინააღმდეგაც გაილაშქრა როგორც ესპანეთში, ისე მის განაპირა მხარეებში. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქვეყანაში მტკიცე ცენტრალური ხელისუფლება შეექმნა და აბსოლუტური მმართველი გამხდარიყო. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ კი აბ არ-რაჰმანმა ამირას ტიტული აღარ იკმარა და 929 წელს თავი ხალიფად გამოაცხადა.

კორდოვას ხალიფამ აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. მან გაილაშქრა ჩრდილოეთ აფრიკაში და ეს მხარე უშუალოდ თავის ქვეყანას შემოუერთა. სამეფო ტერიტორიის გაფართოების მიზნით იგი დაუცხრომელ ბრძოლებს აწარმოებდა ქრისტიანულ ქვეყნებთანაც. მან მთელი რიგი ქალაქები დაიპყრო, ხოლო სადაც ძალით ვერ ახერხებდა თავისი გავლენის დამყარებას, სამეფოების საშინაო საქმეებში ერეოდა და თავისთვის სასურველი კანდიდატის გამეფებას უწყობდა ხელს.

ამგვარად, კორდოვას სახალიფო პოლიტიკურად იმდენად გაძლიერდა, რომ მან საერთაშორისო ასპარეზზე მოწინავე ადგილი დაიკავა. არაბების საზღვაო ფლოტი ხმელთაშუა ზღვაზე უძლიერესი იყო.

ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებამ და ახალი ტერიტორიების შემოერთებამ დიდად შეუწყო ხელი კორდოვას სახალიფოს ეკონომიურ წინსვლას. იგი ადრეშუასაუკუნეების ევროპის ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ რეგიონად იქცა. სახელმწიფო შემოსავალი ნადავლითა და ომში დამარცხებული ქვეყნებიდან ამოღებული ხარკით, საბაჟოების შემოსავლის გაორმაგებითა და გადასახადების გაზრდით მნიშვნელოვნად გადიდდა. ამ უზარმაზარი თანხის დიდი ნაწილი სამხედრო სიძლიერის შენარჩუნებასა და ადმინისტრაციულ აპარატზე იხარჯებოდა. მაგრამ არანაკლები ხმარდებოდა სოფლის მეურნეობის განვითარებასა და კულტურის აღმავლობის ხელშეწყობას. ვაჭრობა და ხელოსნობა შესამჩნევად სწრაფად ვითარდებოდა.

ესპანეთში არაბთა ბატონობის ხანას უკავშირდება მეაბრეშუმეობის, მებაღეობის და მიუხედავად ისლამის მიერ ღვინის სმის აკრძალვისა, მევენახეობის განვითარება. გავრცელდა ზეთისხილის კულტურა. გარდა ამისა, არაბებმა დანერგეს ბრინჯის, ბროწეულის, შაქრის ლერწმისა და სხვ. მეურნეობა.

ნახევარკუნძულის სამხრეთში არაბებმა აღმოსავლეთში შეთვისებული საირიგაციო სისტემა შეიტანეს, რამაც დიდად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მოსავლიანობის ამაღლებას. ხელოვნური მორწყვისთვის გამოყენებული „ნორიის" ანუ ხის ბორბლის სიდიდე, რომლითაც წყალი მდინარიდან ამოჰქონდათ, მთელს ევროპას აოცებდა.

კორდოვას სახალიფოდან საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში გაჰქონდათ ხილი, ქაღალდი და ვარდის ზეთი. ქვეყანა ყურძნის, ნუშისა და ვარდის პლანტაციებით სახელგანთქმული იყო. ასევე ფართოდ ვრცელდებოდა ქსოვილები, კერამიკა, ტყავის ნაწარმი და ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი.

X საუკუნეში მნიშვნელოვნად განვითარდა მეტალურგია, რასაც ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეც ხელს უწყობდა. ესპანეთის სხვადასხვა კუთხეში ამუშავდა ოქროს, ვერცხლისა და სხვა ლითონის მაღაროები. ქვეყანა საომარი იარაღის ერთ-ერთ ინტენსიურ მწარმოებლად იქცა.

იმის მიუხედავად, რომ კორდოვას სახალიფოს რთული ურთიერთობა ჰქონდა დანარჩენ ისლამურ სამყაროსთან, იგი აქტიურად იყო ჩაბმული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობაში. მისი მონეტა ინდოეთიდან ირლანდიამდე მიმოქცევაში იყო.

კორდოვას სახალიფოს მაღალგანვითარებული საქალაქო ცივილიზაცია ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში გამორჩეული კულტურის განვითარების საფუძველი გახდა. საერო და რელიგიურ სკოლებში, რომლებითაც განთქმული იყო თვით დედაქალაქი კორდოვა, სევილია და ტოლედო, ისწავლებოდა სამართალი, ფილოსოფია, ისტორია. ქრისტიანული ევროპის მრავალი წარმომადგენელი აქ იღებდა ცოდნას. მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში იყო განთქმული კორდოვას ხალიფების ბიბლიოთეკა, რომელიც 400 ათას ხელნაწერს, მათ შორის ანტიკური და ბიზანტიელი ავტორების თარგმანებს ინახავდა. ანდალუზიელი მეცნიერებისა და მთარგმნელების მოღვაწეობამ დიდი როლი ითამაშა შუა საუკუნეების ევროპის მეცნიერების განვითარებაში. ესპანურ-არაბული მხატვრული ლიტერატურისა და არაბული ლექსიკის ზეგავლენა ბევრ ევროპულ ენაში თვალსაჩინოა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაბებმა პირველი დაპყრობების დროს ვერ შეძლეს ესპანეთის ჩრდილოეთი ნაწილის, ბასკი და ასტურიელი მოსახლეობის დამორჩილება. ეს ხალხი ვერ დააჩოქეს ვერც რომაელებმა და გოთებმა. ამ მთიანი მხარის მცხოვრებლებს ფეოდალიზაციის პროცესი თითქმის არ შეხებიათ. ცენტრალური და სამხრეთ ესპანეთიდან არაბების მიერ გაძევებული ვესტგოთი დიდებულები და არმიის გადარჩენილი ნაწილები ასტურიას აფარებდნენ თავს, რადგან ამ თავისუფლებისმოყვარე ხალხის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. 718 წელს გაერთიანებულმა ლაშქარმა უკანასკნელი გოთი მეფის როდრიგოს ნათესავის პელაიოს მეთაურობით დაამარცხა არაბთა რაზმი, რომელიც წინააღმდეგობის ამ უკანასკნელი ცენტრის განადგურებას გეგმავდა. პელაიო ასტურიის პირველ მეფედ აირჩიეს.

VIII საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსათვის, ასტურიის მეფეებმა ისარგებლეს კორდოვას სააშიროში მიმდინარე შინაომებით და მიიტაცეს მიწები, რომლებიც რამდენჯერმე აღემატებოდა მათ სამეფოს. მათი ნაწილი, მაგალითად, გალისია უშუალოდ მიიერთეს, ნაწილი კი გაძარცვეს. სამეფოს საზღვრებზე დაარსებულ იქნა თავისებური თავდაცვითი ხაზი – ბუფერული ზონა, რომელიც კოლონიზაციის შემდგომი გაგრძელებისათვის გამოდგებოდა. ქრისტიანი ესპანელების ბრძოლას არაბების წინააღმდეგ ესპანური მიწების უკან დასაბრუნებლად რეკონკისტა ეწოდა.

პელაიოს ახალი ცდები არაბებისათვის ესპანური მიწების წასართმევად მარცხით დასრულდა. მთელი VIII საუკუნის განმავლობაში ასტურია თითქმის აღარ აწარმოებდა ბრძოლებს არაბების წინააღმდეგ. ეს დრო პირენეის ნახევარკუნძულის სამხრეთიდან ჩრდილოეთში ხალხთა გადასახლებით აღინიშნა. ისინი ასტურიის სამეფოს შიდარაიონებში სახლდებოდნენ. მათში მრავლად იყვნენ როგორც ომით დარბეული მხარეებიდან გამოქცეუ-

ლი გლეხები, ისე ემიგრანტი მოსარაბები. IX საუკუნის შუა ხანამდე გადმოსახლებულები მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე სახლდებოდნენ სამეფოს საზღვრისპირა უკაცურ ზონაში. მოგვიანებით, როდესაც მათი დასახლება ძალზე გაიზარდა და ასტურიის დასახლებულ მიწებს, ქალაქებსა და სიმაგრეებს მიუახლოვდა, რეკონკოსტას ხელმძღვანელობა სამეფო ხელისუფლებამ იკისრა. ალფონს II (792-842) ორგანიზებული ბრძოლა წამოიწყო არაბების წინააღმდეგ. იგი არბევდა პორტუგალიის მხარეს, იტაცებდა ნადავლს და ხელთ იგდებდა ტყვეებს. თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით ასტურიის მეფემ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა კარლოს დიდთან და მის ვაჟთან ლუი ღვთისმოსავთან.

რეკონკისტა თითქმის რვა საუკუნე გრძელდებოდა. ამ პროცესის სტაბილურობასა და XV საუკუნეში დიდი გამარჯვებით დაგვირგვინებას თავისი ხელშემწყობი მიზეზები ჰქონდა. მთავარი ის არის, რომ ქრისტიანული ტერიტორიის მოსახლეობის ყველა ფენას რეკონკისტასთან დაკავშირებით საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება სურდა. ფეოდალები არაბებისათვის ბრძოლით წართმეულ მიწებზე თავიანთ წილსაც არ ივიწყებდნენ და დამატებით, დამორჩილებულ მხარეებში ადმინისტრაციულ თანამდებობებსაც ღებულობდნენ. ეკლესია არა მარტო ვრცელ შემოწირულობებს ღებულობდა მიწების სახით, არამედ ყოფილ მუსლიმურ სამფლობელოებში ახალ ეკლესია-მონასტრებს, საეპისკოპოსოებს აარსებდა და მრევლს იმრავლებდა. ალ-ანდალუსზე გამარჯვება სამეფო პრესტიჟის განმტკიცებას იწვევდა როგორც ქვეყანაში, ისე საერთაშორისო არენაზე და, ამასთან, მეფის ხაზინას ახალი სახსრებით ავსებდა. გლეხები ახალ ტერიტორიაზე ფეოდალური ურთიერთობებით ნაკლებად შებოჭილ პირობებსა და ახალ მიწებს ეძებდნენ. ქალაქები, რომლებიც რეკონკისტას დროს დაარსდნენ, ან არაბებს წაართვეს და ქრისტიანებმა დაასახლეს, მნიშვნელოვან შეღავათებს ღებულობდნენ. ამრიგად, მავრებთან მებრძოლ ყველა მონაწილეს ერთი საერთო ჰქონდათ – მისწრაფება მდიდარი ნადავლის ხელში ჩასაგდებად.

VIII საუკუნის ბოლოსათვის პირინეის ნახევარკუნძულზე რეკონკისტის კიდევ ერთი ცენტრი ჩამოყალიბდა – ფრანკთა სამფლობელო – „ესპანური მარკა“. კარლოს დიდის ლაშქრობა სარაგოსაზე 778 წელს უიღბლო გამოდგა, რამაც ფრანკები ვერ შეაჩერა. მათ ბრძოლა განაგრძეს კორდოვას საამიროს წინააღმდეგ და 811 წლისათვის კატალონიის ტერიტორია მთლიანად დაიპყრეს. სწორედ აქ, ცენტრით ბარსელონაში ჩამოყალიბდა ესპანური მარკა, რომელიც ოთხი საგრაფოსაგან შედგებოდა. ერთხანს მარკგრაფებს ფრანკები ნიშნავდნენ, თუმცა მოგვიანებით მარკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ასტურიას, კატალონიასა და ალ-ანდალუსიას შორის მთიანი რაიონები ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე ნავარის სამეფო და არაგონის საგრა-

ფო არ ჩამოყალიბდა. ისინი თავდადებით იბრძოდნენ არაბების წინააღმდეგ, რამაც მათი სამხედრო ხელმძღვანელები თანდათან მეფეებად გარდაქმნა. თავდაპირველად ნავარა და არაგონი ერთობლივად მოქმედებდნენ როგორც არაბების, ისე ფრანკების წინააღმდეგაც. ამრიგად, ნახევარკუნძულის მთელი ჩრდილოეთი არაბებს აღარ ეკუთვნოდათ. იგი ბრძოლებით დაიბრუნეს.

X-XI საუკუნის დასაწყისში ესპანეთის პოლიტიკურ რუკაზე სერიოზული ცვლილებები მოხდა. კარლოს დიდის იმპერიის დაშლის შემდეგ ესპანეთის მარკის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი საგრაფო – ბარსელონა ჩამოყალიბდა. ასტურიის მეფეებმა მავრებს ბრძოლებით წაართვეს რამდენიმე მსხვილი ქალაქი და დედაქალაქი ლეონში გადაიტანეს. კორდოვას სახალიფოს აყვავების ხანაში, X საუკუნის მეორე ნახევარში მუსლიმებმა ბრწყინვალე მხედართმთავრის ალ-მანსურის მეთაურობით შეძლეს რეკონკისტას შეჩერება და ასტურ-ლეონის სამეფოსა და ბარსელონას საგრაფოზე თავდასხმები განახორციელეს. ასტურიის მეფეთა ხელისუფლების შესუსტებასთან ერთად, თანდათან გაიზარდა კასტილიის გრაფების გავლენა, რადგან მათ ქვეყნის აღმოსავლეთით მიწების გაერთიანება მოახერხეს. 1035 წელს არაგონი და კასტილია სამეფოებად გამოცხადდა. 1037 წელს კასტილიის მეფემ ფერნანდო I დაამარცხა ასტურ-ლეონის მეფე და მხარეები გააერთიანა. ქრისტიანული სახელმწიფოების გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი კორდოვას სახალიფოს დაშლამ. 1031 წელს ტახტიდან გადმოაგდეს უკანასკნელი ომაიდი ჰიშამ III. კორდოვას საამიროსა და შემდეგ სახალიფოს 275-წლიანი არსებობა უამრავი საამიროთი შეიცვალა და ცალკეულმა მსხვილმა ფეოდალებმა და ქალაქებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. XI საუკუნის II ნახევრისათვის სახალიფოს ტერიტორიაზე 23 დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა, რომელთა შორის განუწყვეტელი ბრძოლები დაიწყო პირველობისათვის. გარდა მუსლიმური სამთავროებისა, პირენეის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა კასტილიის, ნავარისა და არაგონის სამეფოები და ბარსელონას საგრაფო ვასალური ტერიტორიებით.

ამრიგად, პირენეის ნახევარკუნძულზე როგორ ისლამის მიმდევართათვის, ისე ქრისტიანული სამეფოებისათვის დაიწყო ახალი ერა (რომელიც არსებითად განსხვავდებოდა წინა ეპოქისაგან) – ბრძოლა უზენაესი ხელისუფლებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VI

ეკლესია ადრეულ შუა საუკუნეებში

კონსტანტინე დიდი

ქრისტიანული თემები რომის იმპერიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ I საუკუნეში ჩამოყალიბდა. რომის იმპერატორები, რომლებიც თავს ღმერთებად მიიჩნევდნენ, 300 წელზე მეტხანს სასტიკად დევნიდნენ ქრისტიანებს. ქრისტიანების დევნის შეწყვეტა დაკავშირებულია იმპერატორ კონსტანტინე დიდის (306-337) სახელთან. კონსტანტინე დიდი ნგრევის პირას მისული რომის იმპერიის შენარჩუნებასა და განახლებას ქრისტიანობით ცდილობდა. მისი აზრით, სარწმუნოება უნდა გამხდარიყო მრავალეროვანი იმპერიის სიმტკიცის საფუძველი. კონსტანტინე გახდა პირველი ქრისტიანი მმართველი. იგი ქრისტეს სახელით, ჯვრით ხელში იწყებს ბრძოლას საიმპერატორო ხელისუფლების განსამტკიცებლად. გადმოცემის თანახმად, მაქსენციუსის წინააღმდეგ ბრძოლის (312) დაწყების წინ, მზეზე გამოესახა ჯვრის გამოსახულება, შემდეგი წარწერით: „ამით სძლიე“. ამან შეძრა როგორც იმპერატორი, ასევე მისი ჯარისკაცები. შემდეგ კონსტანტინე დიდს გამოეცხადა ქრისტე ჯვრით ხელში და უბრძანა: აელო მსგავსი ჯვარი და შებრძოლებოდა მტერს. დილით იმპერატორმა ამ სასწაულის შესახებ მოუთხრო ყველას. დაიბარა ხელოსნები, აღუწერა მათ გამოცხადებისას ხილული ჯვარი და მოსთხოვა მისი დამზადება. ამ ჯვრით მან მტერზე ბრწყინვალე გამარჯვების მიაღწია. რომაელთა წარმოდგენაში ამ გამარჯვებაში ქრისტე იყო მათი თანამდგომი.

313 წელს კონსტანტინე დიდმა მილანში გამოსცა ედიქტი, რომლითაც ქრისტიანობას სხვა რელიგიური მიმდინარეობების თანაბარი უფლებები მიანიჭა. შეწყდა ქრისტიანთა დევნა, მათ დაუბრუნდა წართმეული ქონება.

IV საუკუნის დამდეგს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში უკვე არსებობდნენ ქრისტიანული თემების ზედამხედველები – ეპისკოპოსები. ისინი განაგებდნენ რომის პროვინციასა და საქალაქო ოლქებში ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს 323 წელს, როდესაც კონსტანტინე დიდი გახდა რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველი, მან მიიღო გადაწყვეტილება მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევისა, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ქრისტიანული თემები და ჩამოეყალიბებინა ერთიანი დოქტრინა ყველა მორწმუნეთათვის. კონსტანტინე დიდი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა არ დარღვეულიყო ქრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიანთა ერთიანობა, არ დაეშვა ეკლესიის შიგნით განხეთქილება. ასეთი განხეთქილების მიზეზი უკვე არსებობდა არიოზული მოძღვრების სახით.

ქრისტოლოგიური დავები, საეკლესიო კრებები, ქრისტიანული დოგმატიკის ჩამოყალიბება. არიოზი იყო ალექსანდრიელი მღვდელი, რომელიც სამების (მამა, ძე, სულიწმინდა) ერთიანობას უარყოფდა, თვლიდა, რომ „იყო დრო, როცა არ იყო ქრისტე". მისი აზრით, ძე-ღმერთი (ქრისტე) არ არის თანაბარი მამაღმერთისა. ალექსანდრიის არქიეპისკოპოსი ალექსანდრე თავდაპირველად შეეცადა არიოზის გადარწმუნებას, მაგრამ მისი მცდელობა უშედეგო გამოდგა და არიოზის მწვალებლობა ალექსანდრიდან გავრცელდა მიმდებარე ქალაქებშიც. მან არიოზი განკვეთა ეკლესიიდან. არიოზი გაიქცა პალესტინაში, სადაც შეიფარა ნიკომედიის ეპისკოპოსმა ევსევიმ. ამ განხეთქილების აღკვეთა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა პირველი მსოფლიოს საეკლესიო კრების, რომელიც 325 წელს ნიკეაში მოიწვია იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა. კრებამ დაგმო არიოზული მწვალებლობა და დაადგინა ქრისტიანული მრწამსი, რომელიც დღესაც უცვლელია მართლმადიდებელ ეკლესიაში.

მრწამსის განსაზღვრასთან ერთად დაადგინა აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის დრო – გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ პირველი კვირა დღე. ამას გარდა, გამოსცა 20 კანონი, რომელიც ეხებოდა ეკლესიის მოწყობასა და წესრიგს მის შიგნით. ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე.

ნიკეის საეკლესიო კრების დადგენილებანი გამოცხადდა არა მხოლოდ წმიდა მამების სახელით (საეკლესიო კრებას ესწრებოდა 318 ეპისკოპოსი), არამედ იმპერატორ კონსტანტინეს სახელითაც, რამაც განამტკიცა იმპერატორის ხელისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკლესიასთან ურთიერთობაში.

თეოდოსი I-მა მოიწვია II საეკლესიო კრება 381 წელს კონსტანტინოპოლში. მის მიზანს წარმოადგენდა როგორც ნიკეის საეკლესიო კრებაზე მიღებული დოგმის განმტკიცება, ასევე ეპისკოპოს მაკედონის მწვალებლობის დაგმობა, ეს უკანასკნელი უარყოფდა სულიწმინდას და მას მიიჩნევდა ძე-ღმერთის ძალად.

სამების შესახებ დოგმატის თანახმად ღმერთი ერთია თავისი არსებით, მაგრამ სამპიროვანი – მამაღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმინდა. სამების წევრები თანასწორნი და თანაარსებულნი არიან. მამაღმერთი არის საწყისი, მისგან იშვა ძე და სულიწმინდა. ამავე კრებაზე იქნა დადგენილი, რომ კონსტანტინოპოლი არის ახალი რომი.

ნიკეისა და კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე საფუძველი ჩაეყარა რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებას, რაც დამთავრდა თეოდოსიუს დიდის ხანაში. IV საუკუნის დამლევს, თეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოსიუსმა აკრძალა წარმართული ღმერთების თაყვანისცემა. მათი ტაძრები დახურეს ან დაანგრიეს.

როდესაც I და II საეკლესიო კრებაზე სამების შესახებ დოგმატი განსაზღვრეს, საეკლესიო მოღვაწეებმა და სწავლულებმა თავიანთი ყურადღება მიაპყრეს ქრისტეში ორი ბუნების განსაზღვრებას და მათ ურთიერთმიმართებას. დაიწყო ე.წ. ქრისტოლოგიური დავები. ამის საბაბი გახდა კონსტანტინოპოლის პატრიარქიას ნესტორის ნაშრომში განვითარებული აზრი. მისი აზრით, ქრისტეში არსებობდა ორი ბუნება – ღვთაებრივი და ადამიანური, მაგრამ მისი მტკიცებით, ქრისტე დაიბადა, როგორც უბრალო ადამიანი, ხოლო ღვთაებრივი ბუნება შემდეგში შეერწყა მის ადამიანურ ბუნებას, თავისი წმინდა ცხოვრების გამო; ქრისტე იყო არა ღმერთი, არამედ ღვთაების მატარებელი, ამდენად, წმ. ქალწული იყო არა ღვთის მშობელი, არამედ ქრისტეს მშობელი და ღვთისმშობლისათვის უნდა გვეწოდებინა ქრისტეს მშობელი. მის მოძღვრებას წინ აღუდგნენ კირილე, ალექსანდრიის პატრიარქი და ცელესტინი, რომის პაპი. ამ დავის აღსაკვეთად თეოდოსი II-ემ 431 წელს, ეფესში მოიწვია III მსოფლიო საეკლესიო კრება. კრებამ ურთხმად დაგმო ნესტორის მოძღვრება. ეკლესიიდან განკვეთილმა ნესტორმა და მისმა მიმდევრებმა, მიუხედავად საეკლესიო კრების დადგენილებისა, განაგრძეს თავიანთი მოღვაწეობა და დაიწყეს ე.წ. ნესტორიანული სახით ქრისტიანობის გავრცელება. მათ განსაზღვრულ წარმატებებს მიაღწიეს აზიის კონტინენტზე ირანში, ინდოეთში, მონღოლეთსა და ჩინეთში.

ეფესის საეკლესიო კრებაზე იქნა დადგენილი დოგმა ღვთისმშობლის შესახებ.

მწვალებლობების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე საეკლესიო პირები, ხშირად თვითონ ვარდებოდნენ უკიდურესობაში, რაც ახალი მწვალებლობის საფუძველი ხდებოდა. ნესტორის მოძღვრების მოწინააღმდეგე ევტიხი აცხადებდა, რომ ქრისტეში ადამიანური ბუნება სრულიად იყო გაშოდევნილი და მასში მხოლოდ ღვთაებრივი ბუნება არსებობდა. ევტიხის მიმდევრებს მონოფიზიტებს უწოდებენ (ბერძნ. სიტყვა ერთი ბუნება). კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ფლავიანმა ადგილობრივ კრებაზე დაგმო ევტიხის ცრუსწავლება, მაგრამ ევტიხმა თავშესაფარი იპოვა ალექსანდრიის პატრიარქთან დიოსკორთან. დიოსკორმა მხურვალე მხარდაჭერა გამოხატა მის მიმართ და მოითხოვა მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა. იმპერატორმა, მარკიანემ 451 წელს, ქალკედონში მოიწვია IV საეკლესიო კრება, რომელიც გამოირჩეოდა დიდი წარმომადგენლობით (650 ეპისკოპოსი), ადრე მოწვეული კრებებისაგან. ქლაკედონის კრებამ მიიღო განსაკუთრებული დოგმატი – „ქრისტეს ორბუნებობისა და ერთი სახეობის შესახებ“. რითაც დაადგინა ქრისტოლოგიური განსაზღვრება: ქრისტეში მოცემულია ერთმანეთისაგან განსხვავებული და განუყოფელი ორი ბუნება – ღვთაებრივი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანური, ამ უკანასკნელი ბუნებით ქრისტე ადამიანთა თანაარსია, ცოდვათა გარეშე.

ქალკედონის საეკლესიო კრების მონაწილეთა ნაწილმა (150 ეპისკოპოსი) არ მოაწერა ხელი მის დადგენილებას. აღმოსავლეთი ქრისტიანულ სამყაროში — სომხეთში, სირიასა და ეგვიპტეში ამ დროიდან დამკვიდრდნენ მონოფიზიტები.

ქალკედონის კრებამ შეიმუშავა 30 საორგანიზაციო კანონი, რომელთა შორის მნიშვნელოვანი იყო 28-ე კანონი. ეს კანონი განსაზღვრავდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის ადმინისტრაციულ და სასამართლო მოღვაწეობის არეალს და მისი უფლებები აღმოსავლეთის დიოცეზებისათვის იგი გაუტოლდა დასავლეთში რომის პაპის უფლებებს.

VI საუკუნეში იმპერატორ იუსტიანეს მმართველობის ხანაში, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა რომის იმპერიის აღდგენა ძველი იმპერიის ფარგლებში, იმპერატორის წინაშე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად აყენებდა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შერიგებას. მონოფიზიტები მოითხოვდნენ V საუკუნის ცნობილი მოღვაწეების თეოდორე მოფსუეტელის, თეოდორე კვირელისა და ივა ედესელის განკვეთას. რადგანაც მათ მიერ დაწერილ მონოფიზიტების საწინააღმდეგო წერილებით ხშირად სარგებლობდნენ ნესტორიანელები.

553 წელს იუსტინიანე დიდმა დაუთმო მონოფიზიტებს და მოიწვია მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც გაარჩია ზემოთ დასახელებული ავტორების ნაშრომები. ისინი შეჩვენებულ იქნენ და მათი თხზულებები აიკრძალა.

მოგვიანებით აღმოსავლეთ რომის იმპერატორები, აღმოსავლური პროვინციების შენარჩუნებისა და იქ მცხოვრებელ მონოფიზიტებში თავიანთი გავლენის განმტკიცების მიზნით, უფრო და უფრო მეტ დათმობაზე მიდიან მონოფიზიტ ეპისკოპოსებთან. ჰერაკლე კეისარმა 638 წელს გამოსცა ედიქტი „ეკთესისის“ სახელწოდებით. აქედან იღებს საფუძველს მონოთელეტური მოძღვრება, რომლის თანახმადაც ქრისტეს აქვს ორი ბუნება, მაგრამ ერთი, ღვთაებრივი ნება. დათმობა მონოფიზიტების წინაშე გახდა ახალი დავების საფუძველი. 681 წელს კონსტანტინოპოლში იმპერატორმა კონსტანტინე V პოგონატმა მოიწვია VI საეკლესიო კრება, რომელმაც აღადგინა ნიკეა-კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებათა მიერ დადგენილი მრწამსი — ქრისტეში განუყოფლად ორი ბუნებისა და ორი ნების არსებობა.

VII საეკლესიო კრება, რომელიც შედგა ნიკეაში 787 წელს, დაგმო ხატმებრძოლეობა, თუმცა ამით მწვალებლობის მხოლოდ პირველი ეტაპი დასრულდა. კრების მთავარი დადგენილება იყო ხატთაყვანისცემის დოგმატის დადგენა. კრებაზე მიღებულ იქნა 22 კანონიკური წესდება, რომლეთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დადგენილებები სიმონიის (საეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესიო თანამდებობით ვაჭრობა) აკრძალვის, საეკლესიო ქონების გასხვისებისა და საეკლესიო თანამდებობებზე საერო პირის დანიშვნის შესახებ.

ქრისტიანული დოგმატის დადგენაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს IV-V საუკუნეების საეკლესიო მოღვაწეებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ უდიდეს ავტორიტეტს ქრისტიანული ეკლესიისათვის. ქრისტიანულ დოგმატიკას მიუძღვნეს თავიანთი შრომები ცნობილმა ღვთისმეტყველებმა, წმინდა მამებმა: ათანასე ალექსანდრიელმა, იოანე ოქროპირმა, ბასილი დიდმა, გრიგოლ ნაზიანზელმა, გრიგოლ ნოსელმა, ამბროსი მედიო-ლანელმა (მილანელმა), ნეტარ ავგუსტინემ და სხვებმა.

ქრისტიანული მოძღვრება ხსნისა და სამყაროს მოწყობის შესახებ. რელიგია არის სულიერი კავშირი, სულიერი ურთიერთობა ღმერთსა და ადამიანს შორის. ამ ურთიერთობას ღრმა საფუძველი აქვს ადამიანის არსებაში, მის სულსა და გონებაში. წმინდა მამები თავიანთ თხზულებებში სამებისა და ქრისტეს ბუნების შესახებ მსჯელობასთან ერთად გამორჩეულ მნიშვნელობას აქცევდნენ ადამიანის ურთიერთობას ღმერთთან, რომლის საფუძველია სწავლება ადამიანის ხსნის შესახებ (სოტერიოლოგია). ეს მოძღვრება არის განუყოფელი ქრისტიანული სწავლებისაგან სამყაროს შესახებ, რომლის თანახმადაც სამყარო შექმნა ღმრთმა ექვს დღეში, ასევე ადამიანი შექმნა ღმერთმა ხატად და მსგავსად თვისად: „ვქმნედ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა“ (შესაქმე 1,25). ადამიანის სხეული უფალმა მიწისაგან გამოსახა და შთაბერა მას სული უკვდავი. ხატი ღვთისა არის სწორედ უკვდავი სული და მისი უნარები: გონება, გრძნობა, ნება (თავისუფალი არჩევნისა და ძალისხმევის უნარი); ხოლო მსგავსებაში იგულისხმება თავად სწრაფვა ღმერთისაკენ, ღმერთის მსგავსებისაკენ, თავად უნარი ადამიანისა – წარმართოს თავისი სულიერი ძალები სრულყოფილებისაკენ ჭეშმარიტებასა და სიკეთეში.

ამავე დროს, ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში – იყოს თუ არა ღვთის მსგავსი, თორემ თავისუფლების გარეშე არც პიროვნება არსებობს და არც სიყვარული.

საღვთო გადმოცემით, შემოქმედების ნიჭი არის ღვთაებრივი ნიშანი. უმაღლეს შემოქმედებას კი წარმოადგენს საკუთარი პიროვნებისა და ცხოვრების მოწყობა და წარმართვა. ეს არის სულიერი ცხოვრება და მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა განიწმინდოს საკუთარი სული და ცხოვრება ყოველგვარი ბოროტებისაგან და, რამდენადაც შეუძლია, მიიღოს ღვთიური სიყვარულის ნათელი – მოიხვეჭოს სულიწმინდის მადლი.

ბიბლიის თანახმად, ღმერთმა ადამიანი სამოთხეში დაასახლა და მისცა დანიშნულება – ქვეყნის დამკვიდრება და სამუდამო ნეტარი ცხოვრება ღმერთთან და სხვა ადამიანებთან ერთად ურთიერთსიყვარულში.

მაგრამ ადამიანებმა (ადამი და ევა) დაარღვიეს ღმერთის მიერ მათდამი მიცემული ცნება (ევამ იგემა ნაყოფი ხე კეთილისა და ბოროტების შემეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისაგან"), ამპარტავნობაში თავის ღმერთს გაუტოლეს, მარხვა გატეხეს, არ შეინანეს, ე.ი. ცოდვაში ჩავარდნენ (შესცოდეს). უფლის ნებისადმი დაუმორჩილებლობით ისინი ღმერთს განუდგნენ, რისთვისაც მოაკლდნენ ღვთიურ მადლს და შინაგანად, სულიერად დაცარიელდნენ. ამით დაიბინდა ხატება ღმერთის, დაბნელდა გრძნობა და გონება, სხეულიც ავადმყოფობებს, ხრწნასა და სიკვდილს დაექვემდებარა. ადამიანი სამოთხიდან გამოძევებული აღმოჩნდა.

ცოდვით დაცემულ ადამიანს აღარ შეეძლო დამოუკიდებლად თავიანთი ძალებით წამოდგომა. ეს შეეძლო მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერთს. მამაღმერთის ნებით, ძემ ღმერთისამ აიღო თავის თავზე ადამიანთა გამოხსნა: სულიწმინდის ძალითა და მარიამ ღვთისმშობლისაგან ხორცნი შეისხა და განკაცდა, იქადაგა, ასწავლიდა სიტყვითა და საქმით, მოახდინა მრავალი სასწაული, ევნო ჯვარზე, დაეფლა, აღდგა მესამე დღეს; ამაღლდა ზეცად და „მჯდომარე არს მარჯვენით მამისა". ქრისტიანული მოძღვრების შესაბამისად, ჭეშმარიტია მის მიერ კაცობრიობისათვის გაღებული მსხვერპლი და მისი მეოხება ჭეშმარიტად მაცხოვნებელია მორწმუნეთათვის.

ქრისტიანული მოძღვრება უპირისპირდებოდა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში წარმოშობილ დუალისტურ სწავლებას, რომელმაც აქტიურად იჩინა თავი შუა საუკუნეებშიც (მანიქეველობა, პავლიკიანობა, ბოგომილობა, კათარებისა და ვალდენსების მწვალებლობა). დუალისტური მოძღვრების თანახმად არსებობდა ორი საწყისი, რომელთაგან ერთი ქმნიდა სიკეთეს, ხოლო მეორე ბოროტებას.

ცოდვით დაცემა, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ადამიანებს არ აშორებს სამუდამოდ ღმერთთან, არამედ არსებობს ახალი ერა შემოქმედთან ერთიანობისა. ამ გზას უწოდებენ „ადამიანის ხსნის სახლთმშენებლობას" და ისტორიულად ის იყოფა ორ ეტაპად. პირველი – ძველი აღთქმისა, როდესაც რჩეული ადამიანების წინამძღოლობით ცდილობდნენ ეპოვნათ გზა ჭეშმარიტებისაკენ. მეორე ეტაპი – ახალი აღთქმისა, როდესაც ღმერთმა თავის ძე გამოაგზავნა ხალხთან. ქრისტე ღმერთმა თავისი წამებით „გამოისყიდა პირველყოფილი ცოდვა" და უჩვენა ადამიანებს ჭეშმარიტი გზა ხსნისა და მარადიული ცხონებისაკენ.

ამაღლების შემდეგ იესო ქრისტემ მამისაგან გამოგზავნა სულიწმინდა (ნუგეშისმცემელი, სული ჭეშმარიტებისა), რომელიც მოციქულებზე გარდმოვიდა და აღავსო ისინი სიბრძნითა და ძალით. მათ კი, სულიწმინდით აღვსილებმა, გაავრცელეს ქვეყნად ქრისტიანული სარწმუნოება და მორწმუნეთაგან შეადგინეს სხეული წმინდა ეკლესიისა, რომლის თავიც თვით იესო ქრისტეა. ეკლესიას ჩააბარეს სარწმუნოების ყველა საიდუმლო და ყველა წმინდა საიდუმლოება, რომელთა მეოხებითაც იღებს მორწმუნე სულიწმინდის მადლს. ხოლო თავიანთ მემკვიდრეებად მოციქულებმა უფლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებით დატოვეს ეპისკოპოსები და მღვდლები, რომლებიც ხელდასმით იღებენ განსაკუთრებული მადლს.

ქრისტიანული მოძღვრება ასწავლის ადამიანებს გაჭირვება მოთმინებით აიტანოს მომავალი ცხონებისათვის. ისინი, ვინც სიკვდილს მიჰყავს სხვა ცხოვრებაში, მაინც ეკლესიის ერთიანი სხეულის წევრებად რჩებიან. გარდაცვლილთაგან მართალთა სულები განცხრებიან ნეტარებით, თუმცა, არა სრულით, ხოლო ცოდვილთა სულნი ითმენენ წვალებას, მაგრამ, აგრეთვე არა სრულს, სრული მისაგებელი ადამიანებს მიეზღვებათ ხილული, ნივთიერი სამყაროს ბოლო ჟამს, მკვდრეთით აღდგომისა და საშინელი სამსჯავროს შემდეგ. მანამდე მათი დახმარება შეუძლია მათთვის აღვლენილ ლოცვას, ქრისტეს სისხლისა და ხორცის შეწირვას წმ. ლიტურგიის დროს, აგრეთვე, სარწმუნოებით მათ მოსახსენიებლად გაღებულ მოწყალებას.

ეკლესია და საიდუმლოებანი. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხედვით იმისათვის, რომ სარწმუნოებაც მართალი იყოს და შესაბამისი საქმეებიც (წმინდა, მცნებების მიხედვით – ცხოვრება) თან ახლდეს, საჭიროა ძალა და სიბრძნე, აუცილებელია სულიწმინდის მადლი. სულიწმინდის მადლი მიიღება საიდუმლოებების მეშვეობით, რომლებიც თვით უფალმა დააწესა ეკლესიაში წმ. მოციქულთა ხელით და არის ხილული მოქმედება, როდესაც მორწმუნე ადამიანის სულს უხილავი გზით გადაეცემა მადლი უფლისა.

პირველი ქრისტიანული საიდუმლო არის ნათლისღება: „ჯერ არს თქუენდა მეორედ შობა“ (იოანე 3, 7), უკეთუ ვინმე არა იშუეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესულად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე 3, 5).

ნათლისღებით განახლება მხოლოდ სულიწმინდის ნიჭის მიღების, დატევნისა და დამარხვის უნარს აძლევს ადამიანს, თვით მოცემა კი ამ ნიჭისა ხდებოდა განსაკუთრებული საიდუმლოთი, კერძოდ, მოციქულთა ხელდასხმით. ხელდასხმა მოციქულებმა შემდეგ მირონცხებით შეცვალეს და იგი თავიანთ მემკვიდრეებს გადასცეს, როგორც საიდუმლო – ნიჭი სულიწმინდისა მორწმუნეთათვის მიმადლებული. იგი ახლაც მოქმედებს ეკლესიაში და სრულდება უშუალოდ ნათლისღების შემდეგ.

ნათლისღებისა და მირონცხების საიდუმლოთი მონათლული ხდება ქრისტიანული ეკლესიის წევრი, მიეტევება პირველყოფილი და ყველა მანამდე ჩადენილი ცოდვა და მიეჩინება მფარველი ანგელოზი.

ნათლისღების შემდეგ ჩადენილ ცოდვათა მიტევება ხდება, როცა ადამიანი გულწრფელად მოინანიებს – გადაწყვეტს მეტად აღარ სცოდოს, აღსარებას ეტყვის თავის სულიერ მამას (მოძღვარს) და მისი საშუალებით მიიღებს შენდობას უფალი იესო ქრისტესაგან. ამაში მდგომარეობს სინანულის საიდუმლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინანული, ე.ი. გულშემუსვრა, მარხვა, ლოცვა და აღსარება ეძღვის წინ ზიარებას, როდესაც ადამიანი ეზიარება ქრისტეს ხორცსა და სისხლს. ზარების საიდუმლო არის ლიტურგიის (ლათ. მესა), ღვთისმსახურების ყველაზე ამაღლებული ნაწილი, როდესაც მორწმუნენი მადლობენ ღმერთს ცოდვის მიტევებისათვის.

ზიარებას უწოდებენ ყოვლად უწმინდესსა და განსაკუთრებულს (ბერძნულად ევხარისტია ნიშნავს მადლობას). პირველად წმინდა ზიარება აღესრულა დიდ ხუთშაბათს, როდესაც იესო ქრისტემ შემოიკრიბა თავისი 12 მოწაფე და აკურთხა საპასექო სუფრა: დატეხა პური, ჩამოურიგა მოწაფეებს და უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი მისატევებლად ცოდვათა!..“ შემდეგ ღვინო მიაწოდა ჯამით: „სვით ამისგან ყოველთა ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა თქვენთვის და მრავლთათვის და კურთხეული მისატევებლად ცოდვათა“ (მათე 26, 17-30; მარკოზი 14, 12-26; ლუკა 22, 17-71; იოანე 13, 1-35). იმ ვახშამს, პირველად რომ აღესრულა წმინდა ზიარება, საიდუმლო სერობა ეწოდება.

გარდა ამისა, ქრისტიანული ეკლესია ცნობს მღვდლობის, ქორწინებისა და ზეთისკურთხევის საიდუმლოს.

სულიწმინდის მადლი მოციქულთაგან ხელდასხმით გადაეცათ მღვდელთმთავრებსა და მღვდლებს მღვდლობის საიდუმლოთი. ქორწინების საიდუმლოთი უკავშირდებიან ერთმანეთს საცოლე და საქმრო და იკურთხება მათი ოჯახი.

ზეთისკურთხევის საიდუმლოთი განიკურნება სხვადასხვა სნეულება. ზეთისცხების მაკურნებელი ძალის თაობაზე მიანიშნებს თვითონ მაცხოვარი თავის მოწაფეებს, როდესაც მოციქულებს მისცა ხელმწიფება უწმინდური ძალების დათრგუნვისა და წარგზავნა სინანულის საქადაგებლად. ისინიც, გვამცნობს მახარობელი, „აძევებდნენ მრავალ ეშმაკს, ზეთს სცხებდნენ და ჰკურნავდნენ უამრავ სნეულს“ (მარკ. 6, 13).

პაპობის დოქტრინის ჩამოყალიბება. როგორც პირვანდელი საეკლესიო გადმოცემითაა ცნობილი, ყველა ეპისკოპოსი მოციქულთა მემკვიდრეა. განსაკუთრებული გამორჩეულობა თავდაპირველად ჰქონდა იმ საეპისკოპოსო კათედრებს, რომელიც იყო ქრისტეს მოციქულთა მიერ დაარსებული. კათოლიკე ღვთისმეტყველები სწავლებას პაპის ხელისუფლების შესახებ ორ წანამძღვარზე აგებდნენ და მის დასაბუთებას წმინდა წერილის განმარტებით ცდილობდნენ. ეს წანამძღვრებია: ა) რომის პაპები მოციქული პეტრეს მემკვიდრეები წარმოადგენდნენ; ბ) პაპების მემკვიდრეობითი ხელისუფლება მოციქულმა პეტრემ ქრისტესაგან მიიღო. ამის დასაბუთებას ლათინები ცდილობენ სახარების რამდენიმე ადგილით: „მორაჲვიდა იესუ ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვი და მოწაფეთა თვისთა და ჰრქუა: რაჲ თქუან კაცთა ძისა კაცისა ყოფად? ხოლო მათ ჰრქუეს მათ: თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად? მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძე

ღმრთისა ცხოველისაჲ. მიუგო იესე და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ, არამედ მამან ჩემმან ზეცათამან. და მე გეტყჳ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას ეკლესია ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. და მიცნე შენ კლიტენი სასუფევლისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა", და რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა (მათე 16, 13-19). ამ ტექსტის კათოლიკური განმარტებით ეკლესია პეტრეზეა დაფუძნებული. მოციქულთა დროის შემდეგ პირველი ადგილი რომის კათედრამ დაიკავა. რომი, რამდენადაც იგი იმპერიის დედაქალაქს წარმოადგენდა, ძველი მსოფლიოსა და ძველი ეკლესიის ცენტრი იყო. ქალაქი რომი ასევე, როგორც მოციქულთა თავის პეტრესა და პავლეს ქადაგებისა და მოწამებრივი აღსასრულის ადგილი, ქრისტიანთა შორის განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა.

მოციქულთა მოღვაწეობა გახდა საფუძველი რომის პაპებისათვის IV-V საუკუნეებში, რათა რომის ეკლესიისათვის გაეზარდათ საკუთარი უფლებების იურიდიული შეგნება. პაპმა ბონიფაციუს I-მა (418-422) რომის კათედრას ყველა ეკლესიის თავი უწოდა: „თუ ვინმე რომის კათედრას ჩამოშორდება, იგი ქრისტიანული რელიგიიდან ამოირიცხოს". განსაკუთრებული როლი ამ საკითხში ეკუთვნის პაპ ლეო დიდს (440-461), რომლის ავტორიტეტი ხალხში ძალიან გაიზარდა ატილას ლაშქრობის რომისათვის აცილების გამო. ის რომის ეკლესიის მეთაურს განიხილავდა, როგორც პეტრე მოციქულის მემკვიდრეს და როგორც მის ვიკარს (მოადგილეს) დედამიწაზე. რომში პაპების ხელისუფლების გაძლიერებას ხელი შეუწყო იმპერატორის ტახტის აღმოსავლეთში გადატანამ, რადგან პაპების სასულიერო ხელისუფლებას საეროც დაემატა. მიუხედავად ამისა, სხვა ქრისტიანელ სამყაროში რამდენიმე საეპისკოპოსო მხოლოდ ნომინალურად აღიარებდა მის უპირატესობას. თავდაპირველად რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრა იყო გათანასწორებული რომთან. ეს ის კათედრებია, რომლებიც გადმოცემის თანახმად, მოციქულებრივი წარმომავლობისა იყო: ალექსანდრიის კათედრა – დააარსა მარკოზ მახარობელმა, ანტიოქიის – ლუკა მახარობელმა, კონსტანტინოპოლის – ეფესიდან გადმოტანილი – იოანე ღვთისმეტყველმა, იერუსალიმის – წმ. იაკობმა, უფლის ძმამ.

თანმიმდევრული მართლმადიდებლური ეკლესიოლოგია, მათ შორის ამა თუ იმ კათედრის როლისა და უპირატესობის საკითხებიც, მსოფლიო კრებების ეპოქაში ჩამოყალიბდა. ეს ყველაზე ნათლად აისახა ქალკედონის IV მსოფლიო კრების 28-ე კანონში: კრების მამები მიუთითებენ, რომ რომის ეკლესიას, რადგან რომი სამეფო ქალაქია, პირველადი როლი უნდა ეკუთვნოდეს. რამდენადაც ამ ეპოქაში ახალი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი გახდა (ანუ ახალი რომი), ამდენად, კანონში მითითებულია, რომ მის ეპისკოპოსს, კონსტანტინოპოლის პატრიარქს, იგივე უფლებები უნდა ენიჭებოდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორიც რომის ეპისკოპოსს და ფორმულირება კიდევ ერთხელ მეორდება: რამდენედაც კონსტანტინოპოლი სამეფო-სამთავრობო ქალაქია.

ამავე კრებაზე საბოლოოდ დადგინდა ე.წ. პენტარხია, ანუ ხუთი მსოფლიო საპატრიარქო; ყოველი მათგანი განაგებდა საქრისტიანოს განსაზღვრულ ნაწილს.

„კონსტანტინეს ნაბოძვარი“. რომის პაპებმა, როგორც ითქვა, VIII საუკუნის შუა ხანებში საერო ხელისუფლებაც მოიპოვეს, ფრანკთა მეფემ პიპინ მოკლემ პაპ სტეფანე II-ს მეფის გვირგვინის მიღების სანაცვლოდ, მას ლანგობარდებისაგან ომით დაბრუნებული ტერიტორია და ქალაქი რომი გადასცა. აქედან მოყოლებული პაპები დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურები შეიქნენ, რომელმაც შემდეგში პაპის ან საეკლესიო ოლქის სახელწოდება მიიღო. ამ მდგომარეობის განმტკიცება, შემოზღუდვა საჭირო იყო, რათა ბიზანტიას მასზე ყოველგვარი უფლება დაკარგვოდა.

როგორც ზემოთაც ითქვა, პაპებმა, თავიანთი საერო ხელისუფლების დამადასტურებელად, სწორედაც ამ პერიოდში შექმნეს დოკუმენტი, რომელიც ცნობილია „კონსტანტინეს ნაბოძვარის“ სახელწოდებით. ეს სიგელი რომის ეპისკოპოსის სილვესტრ I-ის (314-350) სახელზე სწორედ იმ მიზნით შეითხზა, რომ თითქოს პაპს რომის საერო ხელისუფლება პირველი ქრისტიანი იმპერატორის კონსტანტინე დიდის მიერ ჯერ კიდევ IV-ის დასაწყისში ჰქონდა ნაბოძები.

იმპერატორ კონსტანტინეს ამ სიგელში, რომელმაც პაპების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მოთხრობილია იმპერატორის სამადლობელი საჩუქრის შესახებ, რომელიც მან თითქოს ეპისკოპოსს მიართვა სარწმუნოებრივ საკითხებში დამოძღვრის, კეთრისაგან სასწაულებრივად განკურნვისა და მონათვლის გამო. სიგელი რომის ეპისკოპოსს (პაპს), პეტრეს ნაცვალთა კათედრას, იმპერატორის უფლებასა და პატივს (potestatem et honorificentiam imperialem) ყველა მისი გარეგანი ატრიბუტის ჩათვლით (მეწამული შესამოსელი, დიადემა, სკიპტრა) ანიჭებდა. ასევე ადასტურებდა მის პირველობას (Principatum) ოთხ პატრიარქსა და, საერთოდ, ყველა ეკლესიასთან მიმართებაში. გარდა ამისა, რომის სამღვდელოებას პრივილეგიები, ხოლო პაპს – ქალაქ რომისა და იტალიის პროვინციები ებოძა. იმპერატორი დასავლეთს უთმობდა პაპს და აცხადებდა „მიწიერ მეფეს არ შეჰფერის მბრძანებლობა იქ, სადაც ზეციურმა მეუფემ სამღვდელოების პირველობა და ქრისტიანული სარწმუნოების მეთაურობა დააფუძნა“.

ე.წ. „კონსტანტინეს ნაბოძვარი“ ევროპაში გავრცელდა IX საუკუნეში. ის სხვა მსგავს ნაყალბებ დოკუმენტებთან ერთად საეკლესიო – კანონიკური დოკუმენტების კრებულში – დეკრეტალიებშიც შევიდა და სევილიელი ეპისკოპოსის ისიდორეს სახელის მიხედვით „ცრუ ისიდორეს დეკრეტალიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი“ ეწოდა, რადგან ისიდორე VII საუკუნეში ცხოვრობდა და, ამდენად, კრებულის შედგენასთან არ შეიძლებოდა ჰქონოდა კავშირი.

„კონსტანტინეს ნაბოძვარს“ დიდი ხნის მანძილზე ლათინები სრულიად უტყუარად მიიჩნევდნენ. მის სინამდვილეში ეჭვი მხოლოდ XV საუკუნეში გაჩნდა. ამ დოკუმენტის სტილის ანალიზმა მკვლევრები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შესაძლოა, იგი თვით პაპი სტეფანე II-ის, ანდა მისი მემკვიდრის პავლე პირველის კანცელარიაში იყო შედგენილი.

დასავლეთისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთში – ბიზანტიაში ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო – ქრისტიანული კონცეფცია იმპერატორის ხელისუფლებისა და სახელმწიფოს, რომელიც საფუძვლად ედო ბიზანტიის პოლიტიკურ დოქტრინას.

ბიზანტიური კონცეფციის თანახმად, იმპერატორის ხელისუფლებას საფუძვლად ედო ღვთისრჩეულობა და ელინისტური თეორია – საერო ხელისუფლება, როგორც ღვთის განგებულობა. ღმერთი – პანტოკრატორი – „ყოვლისმპყრობელი“ – იყო ყოველი არსებული წესრიგის თავი როგორც ზეციურის, ასევე მიწიერის. იმპერატორი კი – კოსმოკრატორი – მიწიერი წესრიგის დამყარებელი, მსგავსად ზეციერისა. ბიზანტიის ქრისიტანულ კონცეფციაში განმტკიცებული იყო არა ცეზაროპაპიზმის იდეა, არა თეოკრატიული მონარქიის, არამედ დიარხიის იდეა, ანუ ერთიანობა საერო და სასულიერო ხელისუფლების, რომლებიც იყოფდნენ უფლებებს: ერთნი – ხელმძღვანელობდნენ დაქვემდებარებულთა მიწიერ მოღვაწეობას, მეორენი ზრუნავდნენ დაქვმდებარებულთა სულზე; ფუნქციათა გადანაწილება და მოვალეობათა ერთიანობა – ეს იყო მთავარი პრინციპი.

ქრისტიანობის გავრცელება ევროპის კონტინენტზე. IV საუკუნის ბოლოსათვის ქრისტიანობა დამკვიდრდდა თითქმის მთელს რომის პროვინციებში. IV საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთში – საქართველოსა და სომხეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარეს.

აფრიკაში „აბისინელების მიერ დატყვევებულმა ორმა ქრისტიანმა ჭაბუკმა ფრუმენტიუსმა და ედეზიუსმა საფუძველი ჩაუყარეს ეკლესიას, ხოლო აქედან ქრისტიანობა გავრცელდა ნუბიასა და ეთიოპიაში.

IV საუკუნიდან ევროპაში ქრისტიანობა მიიღეს გერმანელმა ტომებმა – გოთებმა. გოთები ქრისტიანობას ჯერ კიდევ III საუკუნეში გაეცნენ ქრისტიანი ტყვეებისაგან. IV საუკუნეში (306) გოთების ეპისკოპოსმა ვულფილამ, რომელიც წარმოშობით კაბადოკიიდან იყო, შეადგინა გოთური ანბანი და თარგმნა ბიბლია გოთების ენაზე. გოთებში ქრისტიანობა არიოზული სახით გავრცელდა, რადგანაც ამ ეტაპზე თვით აღმოსავლეთ რომის იმპერიაში არიოზელი იმპერატორები მბრძანებლობდნენ. ვესტგოთებისაგან არიანელობა გავრცელდა ოსტგოთებში, სვევებში, ვანდალებში, ბურგუნდებსა და ლანგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარდებში. ვანდალები 533 წლამდე იუსტინიანე დიდის მიერ ველისარიოსის მეთაურობით ლაშქრობის გაგზავნამდე, არიოზელებად რჩებოდნენ.

VII საუკუნეში მთელი ჩრდილოეთ აფრიკა მოექცა მუსლიმთა ხელში და კართაგენის ეკლესია, რომელიც ბრწყინავდა ისეთი დიდი ღვთისმეტყველების სახელებით, როგორებიც იყვნენ ტერტულიანე, კიპრიანე და ნეტარი ავგუსტინე, წყვეტს არსებობას. ოსტგოთებში არიოზული სახით ქრისტიანობა დარჩა 553 წლამდე, მხოლოდ იუსტინიანეს მიერ ამ ტერიტორიის შემოერთების შემდეგ აღდგა მართლმადიდებელი სარწმუნოება ამ ხალხში. ვესტგოთებმაც უარყვეს არიოზელობა და შეუერთდნენ ერთიან ეკლესიას მეფე როდრიგოს მმართველობისას, ტოლედოს საეკლესიო კრებაზე (589), უფრო ადრე დაუბრუნდნენ ერთიან ეკლესიას სვევები და ბურგუნდები, ხოლო ლანგობარდებმა არიოზელობა დატოვეს მეფე გრიმოალდის დროს (671).

გალიაში ქრისტიანობა ძალიან ადრე გავრცელდა, V საუკუნეში მას შეუერთდნენ ახალი ხალხი ბურგუნდები და ფრანკები, რომლებიც აქ ჩრდილოეთიდან გადმოსახლდნენ. ბურგუნდები იყვნენ არიოზელები, ხოლო ფრანკები წარმართები. ბურგუნდთა მეფის ქრისტიანი ასულის კლოტილდამ ფრანკთა ძალისხმევით სამეფო კარზე დაიწყო ქრისტიანული ღვთისმსახურება. კლოტილდა გახდა ფრანკთა დედოფალი, მეფე ხლოდვიგის ცოლი, მან მონათლა თავისი შვილები და არ იშურებდა ენერგიას თავისი მეუღლის ქრისტიანად მოსაქცევად. კლოდილდას შეგონებებმა და მარტინ ტურელის საფლავზე მომხდარმა სასწაულებმა შედეგი გამოიღო. დააფიქრა მეფე ხლოდვიგი. ალემენებთან ბრძოლის დროს, ტოლბიაკთან, როდესაც გამარჯვება მტრების მხარეს იხრებოდა, ხლოდვიგმა დახმარება სთხოვა ქრისტიანთა ღმერთს და გაიმარჯვა. 496 წელს ხლოდვიგი მონათლა რეიმსის არქიეპისკოპოსმა წმ. რემიგიუსმა და ფრანკები რომის ეკლესიას შეუერთდნენ.

ვენის ეპისკოპოსის ავიტუს მცდელობით 517 წელს ბურგუნდებმაც დატოვეს არიოზელობა და კათოლიკურ ეკლესიას შეუერთდნენ.

ბრიტანეთში, სადაც თავიდანვე გაჩნდნენ ქრისტიანული თემები, წარმართმა ანგლოსაქსებმა იარაღით თითქმის ამოძირკვეს. მათი ნაწილი კუნძულის დასავლეთ ნაწილს, უელსსა და კორნუელს შეეხიზნა.

V საუკუნეში აღმოცენდა ირლანდიის ეკლესია, რომლის ფუძემდებლადაც ითვლება ირლანდიის ლეგენდარული მოციქული პატრიკიუსი (389-461).

პატრიკიუსმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო ლერინის მონასტერში (სამხ. საფრანგეთი), სადაც გაეცნო ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას. ირლანდიაში დაბრუნების შემდეგ მან ირლანდიურ ენაზე თარგმნა საღვთო წიგნები, საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანული გალობას, დაარსა მონასტრები და სემინარიები. მისი წინამძღოლობით დაარსდა საეპისკოპოსო ქ. არმაში. მიუხედავად მძიმე დაპირისპირებისა დრუიდებთან, რომლებიც ირლანდიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის კარზე იყვნენ გაბატონებული, პატრიკიუსის მოღვაწეობით ისე გაბრწყინდა ირლანდიის ეკლესია, რომ ევროპელები ხშირად ირლანდიას წმინდათა კუნძულად მოიხსენიებდნენ.

VI საუკუნეში ირლანდიიდან ქრისტიანობა გავრცელდა შოტლანდიაში. ირლანდიელი ბერი, აბატი კოლუმბანი დასახლდა აქ ერთ-ერთ კუნძულ ჰაიზე, სადაც 565 წელს დააარსა მონასტერი და მთელი ჩრდილოეთ შოტლანდია მოაქცია.

ინგლისში ქრისტიანობის გავრცელება დაკავშირებულია რომის პაპის გრიგოლ დიდის სახელთან. 597 წელს გრიგოლ დიდმა მას შემდეგ, რაც კენტის მეფე ეტელბერტი დაქორწინდა ქრისტიან ქალზე, ფრანკთა მეფის ასულზე ბერტაზე, ინგლისში ავგუსტინის მეთაურობით გააგზავნა 40 ბერი. ავგუსტინმა მოაქცია ქრისტეს რჯულზე მეფე ეტელბერტი და მისი ქვეშევრდომები და კენტერბერში დააარსა საეპისკოპოსო, რომლის პირველი ეპისკოპოსი თვითონ გახდა. მოგვიანებით ქრისტიანობა გავრცელდა ჰეპტარქიის სხვა სამეფოებშიც.

გერმანიაში რომაელი ჯარისკაცების დასახლების ადგილზე წარმოიშვა რამდენიმე რომაული ტიპის ქალაქი, სადაც ჯერ კიდევ III-IV საუკუნეებში წერილობით წყაროების მიხედვით უკვე არსებობდა საეპისკოპოსოები (კიოლნი, ტრირი, მაინცი, ვორმსი, ბაზელი, სტრასბურგი, ლიუტიხი). ირლანდიელი და ფრანკი მისიონრები იწყებენ გერმანელ ტომებში სახარების სიტყვის გავრცელებას. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულები არიან ვილიროდი ფრიზების განმანათლებელი და უტრეხტის საეპისკოპოსოს დამფუძნებელი და წმინდა ბონიფაციუსი.

წმინდა ბონიფაციუსი ითვლება გერმანიის მოციქულად. მისი ჭაბუკობის სახელი იყო ვინფრიდი. ბონიფაციუსი დაიბადა ინგლისში და მისი მშობლები მას საერო სამსახურისათვის ამზადებდნენ. ინგლისის ეკლესიაში მაშინ ძალიან ძლიერი იყო მისიონერთა მოძრაობა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალგაზრდა ჭაბუკის ცხოვრებაში და თვითონაც შეუერთდა მისიონერებს. პირველი მისი მისიონერული მოგზაურობა ფრისლანდიაში (715) წარუმატებელი აღმოჩნდა. 718 წელს მან რომის პაპისაგან, გრიგოლ II-ისაგან მიიღო კურთხევა და გადავიდა გერმანიაში ქრისტიანობის საქადაგებლად. ის სამი წელიწადი ვილიბროდთან ერთად ქადაგებდა ფრიზებში, ხოლო 722 წელს გადავიდა ჰესენსა და ტიურინგიაში, სადაც წარმართი მთავრები მოაქცია და მონასტერი დააარსა. შემდეგ ის რომის პაპმა გამოიძახა, დააფიცა რომის ეკლესიის ერთგულებაზე, აკურთხა მის მიერ გერმანიაში დაარსებული ეკლესიების ეპისკოპოსად და მისცა სარეკომენდაციო წერილი ფრანკთა წინამძღოლთან კარლოს მარტელთან. პაპისა და ფრანკთა ბელადის მხარდაჭერით, იგი უფრო აქტიურ ქმედებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავიდა და მოჭრა ჰაისმარში მუხა, რომელსაც წარმართები განსაკუთრებულად ეთაყვანებოდნენ.

ბონიფაციუსმა აღადგინა ავართა მიერ დანგრეული ეკლესიები. ასეთი ღვაწლისათვის პაპმა ბონიფაციუსი სრულიად გერმანიის არქიეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა. ბონიფაციუსმა კათედრა მაინცში დააარსა. მის დაქვემდებარებაში იყო 13 საეპისკოპოსო. ამ საეპისკოპოსოებს შორის შეთანხმებისა და მუდმივი კავშირის არსებობის მიზნით, დაადგინა მუდმივი საერთო კრება განსაზღვრულ დროში. პირველი კრებაზე მან ეპისკოპოსები რომის პაპის ერთგულებაზე დააფიცა. ქრისტიანული ქადაგების განმტკიცების მიზნით, ახლად მოქცეულ ქვეყანაში მან ინგლისიდან მოიწვია ბერები და მათთვის მრავალი მონასტერი დააარსა. ბოლოს, ბონიფაციუსმა თავისი მოწაფე ლულს გადასცა არქიეპისკოპოსობა და თვითონ გაემგზავრა საქადაგებლად ფრიზებში, სადაც ის 75 წლის ასაკში წარმართებისაგან წამებით აღესრულა. რომის ეკლესიამ ბონიფაციუსი წმინდანად შერაცხა.

საქსონელები კარლოს დიდმა მოაქცია, ის 30 წელი მახვილით ხელში ებრძოდა წარმართებს. 805 წელს საქსონიის ბელადები მოინათლნენ. მათ მიბაძეს საქსონიის მოსახლეობამაც.

სკანდინავიის ხალხების განმანათლებლად ითვლება წმინდა ანსგარი, კორვეის (მდ. ვებერზე) მონასტრის ბერი, მან ჩაუყარა საფუძველი დანელებისა და შვედების მოქცევას ქრისტეს რჯულზე. მის მიერ დაფუძნებული დანიის ეკლესია დევნას განიცდიდა სკანდინავიელი მეფეებისაგან, მხოლოდ კნუდ დიდმა (1014-1035) აღიარა ის და დაუმორჩილა რომის ეკლესიას.

იმავე პერიოდში, 1019 წელს მოინათლა დანიისა და ნორვეგიის მეფე ოლაფ II წმინდა. მისმა მემკვიდრემ ერიკ IX-მ (1150-1160) დააარსა უფსალის საარქიეპისკოპო. პირველ არქიეპისკოპოსად აკურთხეს ჰენრი, ფინელთა განმანათლებელი, რომელმაც საარქიეპისკოპოსო კათედრა რანდამესკიდან გადაიტანა აბოში (1200).

ისლანდიაში, რომლიც ნორმანებმა აღმოაჩინეს IX საუკუნეში, 1000 წელს სახალხო კრებაზე, საქსონელი და ნორვეგიელი მქადაგებლების მოწოდებით, აღიარეს ქრისტიანობა. იმავე წელს ქრისტიანობა გაავრცელეს ახლად აღმოჩენილ გრენლანდიაში.

ქრისტიანული ასკეტიზმი და ბერმონაზვნობის აღმოცენება. ქრისტიანული ასკეტიზმის გამოვლინება იყო მონაზვნობა (Monachos – ბერძნ. სიტყვა – მეუდაბნოე). ბერძნული სიტყვა ასკეზა (ნიშნავს – ვარჯიშს) ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში იხმარებოდა როგორც სულიერი გავარჯიშება. ძველი აღთქმის ტესტებში არსად არ გვხვდება რაიმე სახით მინიშნება ასკეზისა და მონაზვნობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მონასტრის ხედი

ახალი აღთქმის შესაბამისად იესო ქრისტე არ მოითხოვდა მისი მოწაფეებისაგან ასკეტურ ცხოვრებას – დაუქორწინებლობას, რაიმე შეზღუდვას ჭამაში და ა.შ. მისი მოწაფეები, პირველი მოციქულები დაქორწინებულნიც იყვნენ, თავადაც ესწრებოდა ქორწილს კანაში. მაგრამ ის ასწავლიდა თავის მოწაფეებს მიწიერი ცხოვრების ამაოების შესახებ და მოუწოდებდა მათ სულის ხსნისათვის დაეტოვებინათ თავიანთი ქონება, ოჯახი – „უკეთუ გნებავს, რაჲთა სრული ხოლო იყო, წარვედ და განყიდე ნაყოფი შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მათე 19, 21); „რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თჳისი და დედაჲ თჳსი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და კულად თავიცა თჳსი, ვერ კელეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლუკა 14, 26).

ქრისტიანული ასკეტიზმი, ადრე სხვა რელიგიებში არსებული ასკეტიზმისაგან განსხვავებით, ზნეობრივი ქრისტეს მიბაძვა სულის ხსნისათვის, მთავარი და მნიშვნელოვანი იყო.

წმინდა სწრაფვამ ქრისტიანული ცხოვრების უმაღლესი სრულყოფისათვის საფუძველი ჩაუყარა მონაზვნობას. მონაზვნობა დაიწყო ეგვიპტეში. აქ უდაბნოში დაიწყეს განმარტოებული ცხოვრება ქრისტესათვის თავდადებულმა ადამიანებმა. მონაზვნობის პირველი მაგალითი ქრისტიანებისათვის იყო ანტონი დიდის (251-356) ცხოვრება, რომელიც აღწერა ალექსანდრიის არქიეპისკოპოსმა წმინდა ათანასემ.

ბერმონაზვნები, რომლებიც საეკლესიო ცხოვრების თანამგზავრები არიან, ცხოვრობდნენ განმარტოებით ტყეებში, უდაბნოებში, მონასტრებში, ისინი აღთქმას დებდნენ, რომ არ იყოლიებდნენ ოჯახს, იცხოვრებდნენ სიღარიბეში და სიტყვაშეუბრუნებლად დაემორჩილებოდნენ მონასტრის ხელმძღვანელს – აბატს (ბერძნ. სიტყვა და მამას ნიშნავს).

წმინდა ათანასემ, რომელიც კონსტანტინე დიდმა გადაასახლა გალიაში, ანტონი დიდის ცხოვრების აღწერით გააცნო დასავლეთის ქრისტიანებს მონაზვნობა. სამონაზვნო ცხოვრების აღმოსავლური წესი დასავლეთში გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის. დასავლური ყოფის შესაბამისად მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზვნობა დასავლეთში გახდა უდიდეს კულტურულ ძალად როგორც კლესიო, ასევე მისიონერულ და სოციალურ ყოფაში.

პირველი მონასტერი დასავლეთში IV საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა. წმ. მარტინმა გალიაში რამდენიმე მონასტერი დააარსა. დაახლოებით 400 წლის კანის მახლობლად წარმოიშვა ლერინის მონასტერი. ლერინის ბერები იყვნენ მოსწავლეები და მომხრეები იოან კასიანის, რომელმაც 415 წელს მარსელში დაარსა მამათა და დედათა მონასტერი. იოან კასიანმა თავის მეგობართან გერმანთან ერთად 15-20 წელი გაატარა აღმოსავლეთში – ბეთლემსა და სამხრეთ ეგვიპტის მეუდაბნოებთან. 400 წელს ის მოხვდა კონსტანტინოპოლში და დაუახლოვდა იოანე ოქროპირს, გახდა მისი დიაკვანი და მოწაფე. იოანე ოქროპირის დედაქალაქიდან გადასახლების შემდეგ, ის ისევ დასავლეთში დაბრუნდა და მოღვაწეობდა პაპთან, ინოკენტი I-თან. მისი თხზულება მონასტერთა წარმოშობის შესახებ წარმოადგენდა ბერმონაზონთათვის წესდებას, რომელიც მან შეადგინა აღმოსავლეთის მამების მიხედვით და იქ ყოფნის დროს მიღებული გამოცდილების საფუძველზე. ის ცნობილია დასავლეთში „კასიანის წესდების“ (Regula Cassiani) სახელით. დასავლეთში ამ წესდებას არ დაუკარგავს მნიშვნელობა XI საუკუნემდე. მასთან ერთად სარგებლობდნენ ბასილი დიდის წესდებით (რუფინუსის თარგმანი), წმ. პახომის დადგენილებით (ნესტარი იერონიმეს თარგმანი).

დასავლური სამონაზვნო ცხოვრების ორგანიზებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ბენედიქტე ნურსელმა (490-548). მის მიერ შედგენილი სამონასტრო წესდება (530) განსხვავდებოდა აღმოსავლური ბერმონაზვნური ცხოვრების წესის მოთხოვნებისაგან. ეს წესდება მოქმედებდა არა მხოლოდ მის მიერ დაარსებულ, არამედ სხვა მონასტრებშიც. ამ წესდებით მოთხოვნა ბერებისადმი უფრო შემსუბუქებული იყო. აღმოსავლური მონასტრების წესდებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სულიერ მოღვაწეობას. ყველა თავისი შესაძლებლობის მიხედვით მუშაობდა მინდორში, დაკავებულნი იყვნენ რაიმეს დამზადებით (ხელოსნობით) ან წიგნების გადაწერით. დასავლეთში სამონასტრო ცხოვრების განმტკიცებასა და მის გარდაქმნაში ახალი წესდების შესაბამისად უდიდესი ღვაწლი დასდეს პაპებმა გრიგოლ I დიდმა (530-604) და ბონიფაციუსმა (608-615). დასავლური მონაზვნობა ხდება კულტურტრეგერი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. წმ. ბენედიქტეს მონაზვნები კაფავდნენ და უკლიდნენ ტყეებს, ჯამირ მიწებს ამუშავებდნენ, ეწეოდნენ მისიონერულ მოღვაწეობას, ავრცელებდნენ ქრისტიანობას ჩრდილოეთ ევროპაში, სწავლობდნენ და ასწავლიდნენ ძველ ბერძნულ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას.

VII-VIII საუკუნეებში დასავლეთის მონასტრები კარგავენ დამოუკიდებლობას, ისინი დაუმორჩილეს ეპიკოპოსებს და ხშირ შემთხვევაში მოექცნენ მეფეთა და მთავართა ძალაუფლების გავლენის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამონასტრო ცხოვრების აღსადგენად და მისი დამოუკიდებლობისათვის დაიწყო ბრძოლა ბენედიქტე ანანიელმა (750-821). ფრანკთა მეფის ლუი ღვთისმოსავის მრჩეველმა, ბენედიქტე ანანიელმა შეცვლილი პირობების შესაბამისად და მონასტრებში ჩამოყალიბებული ტრადიციების გათვალისწინებით განაახლა ბენედიქტე ნურსიელის წესდება, შემოიღო ყველა მონასტრისათვის სავალდებულო ჩვეულებანი. ბენედიქტე ანანიელის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო არა მხოლოდ სამონასტრო ცხოვრების განმტკიცებას, არამედ კათოლიკური ეკლესიის გაძლიერებას. ეს იყო პირველი კონგრეგაცია, როდესაც რამდენიმე ეკლესია გაერთიანდა ერთ საერთო წინამძღვრის მეთაურობით. წარმატებული აღმოჩნდა ბურგუნდიის ყოფილი გრაფის, აბატი ბერნონის წამოწყება. მან 910 წელს დააარსა ქ. კლუნში (ბურგუნდია) მონასტერი, სადაც შეიტანა ბენედიქტიანური წესდება. მისმა მემკვიდრემ აბატმა ოდონმა (942) გაავრცელა კლუნიური წესრიგი სხვა მონასტრებში და შექმნა მონასტრების ახალი კონგრეგაცია კლუნის აბატის წინამძღოლობით.

პაპობა IX საუკუნის მეორე ნახევარსა და XI საუკუნის შუა ხანებში. საეკლესიო ცხოვრების კრიზისი. IX საუკუნის II ნახევრიდან XI საუკუნის დამდეგამდე ხანა რომის ეკლესიის ისტორიაში იწოდება „ბნელ საუკუნედ“. ამ დროს ისე დაეცა პაპების ავტორიტეტი, რომ საერთოდ საფრთხეში დააყენა ამ ინსტიტუტის არსებობა. რამდენადაც სუსტნი იყვნენ ამ ეპოქის მეფეები, იმდენად მძიმე იყო რომის თეოკრატიის მდგომარეობა. რომის წმ. პეტრეს ტახტი არ გადაეცემოდა მემკვიდრეობით, არამედ ის იცვლებოდა არჩევით, ასეთი სისტემა რომის პაპს დამოკიდებულს ხდიდა ამომრჩევლისაგან, რომელთა ინტერესები უმეტესწილად არ ემთხვეოდა პაპების ინტერესებს, ისინი ყოველმხრივ ცდილობნენ პაპის ტახტზე მათთვის სასურველი პირები დაესვათ. ამ პერიოდში წმინდა ტახტი დაიკავეს ისეთმა ადამიანებმა, რომლებიც წარჩინებულთა და გავლენიან პირთა ხელში მხოლოდ უბრალო იარაღს წარმოადგენდნენ თავიანთი კერძო მიზნების განსახორციელებლად. პაპის ტახტზე აჰყავდათ სრულიად უბადრუკი ადამიანები, საეჭვო ზნეობის მქონე პირები, რომლებსაც არ გააჩნდათ ანგარიშგასაწევი ავტორიტეტი საზოგადოებაში. რომის თეოკრატიას ემუქრებოდა არისტოკრატიულ ოლიგარქიად გადაქცევის საფრთხე, თუმცა ამის განხორციელება შეუძლებელი გახდა თვით დიდებულთა გვარებს შორის არსებული უთანხმოებისა და დაპირისპირების გამო.

დასავლეთ ევროპის ხალხებში, რომლებიც ახლად მოქცეულნი იყვნენ, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო წარმართული ცრუ რწმენები, რომლებიც გარეგნულად იღებდნენ ქრისტიანულ ფორმებს. ხშირად ბიბლიას იყენებდნენ წინასწარმეტყველებისათვის. ადამიანი, როდესაც რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა, იღებდა ბიბლიას და პირველივე გვ-

ერდს, რომელსაც ის გადაშლიდა მიიჩნევდა წინასწარმეტყველებად. გერმანელ ხალხში დიდხანს შემორჩა მოდავე მხარეების გამოცდა – გასამართლება ცეცხლით, ან ცივი და ცხელი წყლით. უბრალოდ ამ სახალხო სასამართლომ მიიღო ორდალიის (Ordalia), ღვთის სასამართლოს სახელწოდება. ეს სამართალი IX-XI საუკუნეებში გამოიყენებოდა არა მხოლოდ საერო, არამედ სასულიერო პირებს შორისაც.

დასავლეთის სამღვდელოება, დაწყებული პაპიდან და დამთავრებული დაბალი ხარისხის კლერიკალებით, თანდათან კარგავს ზნეობრივ გავლენას ხალხზე. VIII საუკუნიდან დასავლეთში საეკლესიო პრაქტიკაში შემოიტანეს მკაცრი მოსანანიებელი სასჯელი, რომელიც I საუკუნეებში მოქმედებდა, მაგრამ მას ამჯერად გარკვეული თავისებურებები გააჩნდა. განკვეთა ეკლესიიდან (ექსკომუნიკაცია), რომელიც ეხებოდა ამჯერად არა მხოლოდ ერეტიკოსებს, არამედ სხვებსაც, რომელთაც, კლერიკალების თვალსაზრისით, დიდი ცოდვა ჰქონდათ ჩადენილი. ეს ითვალისწინებდა არა მხოლოდ განკვეთას ეკლესიიდან, არამედ სხვა სასჯელსაც. განკვეთა იყო ორი სახის: პატარა და დიდი. პირველი ეხებოდა იმ ცოდვილებს, რომლებიც თავიანთი ნებით დაემორჩილებოდნენ საეკლესიო სასამართლოს. მათ განსაზღვრული დროით ეკრძალებოდათ ზიარება, უნდა ემარხულათ. და ა.შ., ხოლო სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ, საჯარო აღიარებით შეეძლოთ დაბრუნებოდნენ საზოგადოებას. დიდ განკვეთას იყენებდნენ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც უარს ამბობდნენ საეკლესიო სასამართლოს მორჩილებაზე.

ეპისკოპოსი ან თვითონ პაპი საჯაროდ წაიკითხავდა ასეთ ანათემას და ის განკვეთილი ხდებოდა არა მხოლოდ ეკლესიისაგან, არამედ, საერთოდ, საზოგადოებისაგან, მათთან ყოველგვარი ურთიერთობა ეკრძალებოდა ყველას, მათ შორის ნათესავებსაც. თუ ასეთი იქნებოდა მმართველი პირი და მასზე არ იმოქმედებდა არავითარი ასეთი ანათემა, მაშინ ეკლესია განკვეთდა ან დაადებდა აკრძალვას (ინტერდიქტი) მთელ ქვეყანას ან მხარეს. ქვეყანაში ან მხარეში, რომელსაც დაედებოდა ინტერდიქტი, წყდებოდა ღვთისმსახურება, ეკლესიის კარები იღებოდა დღეში მხოლოდ ერთხელ სინანული ლოცვების მოსასმენად, მიცვალებულებს (გარდა მღვდლებისა და ბერებისა) კრძალავდნენ წესის აუგებლად, ჯვრისწერა არ ხდებოდა. ასეთი სახის სასჯელი თითქმის ყოველთვის აღწევდა შედეგს: ცოდვილი საზოგადოების გავლენით იძულებული ხდებოდა დამორჩილებოდა საეკლესიო სასამართლოს.

დასავლეთში, ახლად ჩამოყალიბებულ ეროვნულ სახელმწიფოებში, ეკლესია, ისევე როგორც ბიზანტიაში, საერო ხელისუფლებაზე ხდება დამოკიდებული. აქაც სახელმწიფო ანიჭებდა ეკლესიას სხვადასხვა უფლებებსა და უპირატესობებს. მეფეები და მთავრები ეკლესიას გადასცემდნენ დასახლებულ მიწებს, ხშირად ოლქებს. ამ მიწების მფლობელი ეპისკოპოსები ისეთივე ლენურ დამოკიდებულებაში იყვნენ საერო ხელისუფლებთან, რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გორც ვასალები ფეოდალებთან. ეპისკოპოსების ეს ვასალური დამოკიდებულება თანდათანობით საერო სფეროდან აღწევდა საეკლესიოში; საერო ხელისუფლება ერეოდა ეკლესიის საშინაო საქმეებში. ეპისკოპოსთა არჩევის საკითხს წყვეტდნენ საერო ხელისუფალნი – თითოეული თავის მიწაზე. X საუკუნეში დაადგინეს ეპისკოპოსის არჩევის წესი, მეფის ან მთავრის მიერ ახლად არჩეულისათვის ბეჭდისა და სამღვდელმთავრო კვერთხის გადაცემით, ამას ეწოდებოდა ინვესტიტურა და მის გარეშე შეუძლებელი იყო ეპისკოპოსის საეკლესიო კურთხევა. ეპისკოპოსის არჩევის უფლების მოპოვებასთან ერთად მეფეებისა და მთავრების ხელში აღმოჩნდა მათი გასამართლების უფლებაც. მათ შეეძლოთ ეპისკოპოსთა გადაყენებაც კი. ამდენად, საეკლესიო ხელისუფლება აღმოჩნდა საერო პირთა ხელში. ყოველივე ამის შედეგად მეფეებსა და მთავრებს საეკლესიო იერარქიის მაღალ თანამდებობებზე აჰყავდათ მათთვის სასურველი პირები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევროპა განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში (XI-XV სს.)



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VII

შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობა და ზრდა

შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობის საკითხი. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ისტორიოგრაფიაში ქალაქების წარმოშობა დიდი მსჯელობის საგანი გახდა. მეცნიერებმა მრავალი თეორია წამოაყენეს. მაგრამ, პრობლემა, მთლიანობაში, ვერ იქნა გადაწყვეტილი. თუმცა, პრობლემების ზოგიერთი საკითხის გარკვევისას უამრავი ძვირფასი მასალა წარმოაჩინეს. ყველა ამ თეორიებისათვის ფორმალურ-იურიდიული მიდგომაა დამახასიათებელი. ეს თეორიები ცალმხრივობით გამოირჩევა. მათი ავტორები თვლიან რომ მათ მიერ წამოყენებული თეორია ჭეშმარიტია და ერთადერთი; ისინი უმთავრესად, შუასაუკუნეობრივი ქალაქების სპეციფიკური იურიდიული წყობისა და დაწესებულებების წარმოშობას აქცევენ ყურადღებას, იკვლევენ თუ რა დასახლებებიდან და რა დაწესებულებებიდან წარმოიშვნენ და განვითარდნენ ქალაქები და მათი ინსტიტუციები. „რომანისტული" სკოლის წარმომადგენლები: სავინი, გიზო და სხვები ამტკიცებდნენ, რომ შუა საუკუნეების ქალქების განვითარება, უშუალოდ, რომაული ქალქებისა და დაწესებულებების უწყვეტი განვითარების შედეგია, რომ შუასაუკუნეობრივი ქალაქები საწყისს რომაული მუნიციპალური ორგანოებიდან იღებდნენ. ხოლო ის ისტორიკოსები (ძირითადად, გერმანელები და ინგლისელები), რომლებიც ჩრდილოეთ ევროპისა და ცენტრალური ევროპის მასალებს ეყრდობოდნენ, შუასაუკუნეობრივი ქალაქების საწყისებს ხედავდნენ ახალ ფეოდალურ საზოგადოებაში მომხდარ ძვრებში, უპირველესად, სამართლებრივ და ინსტიტუციურ მოვლენებში.

XIX საუკუნის შუა ხანებშივე იქმნება „სამამულო თეორია", რომლის მომხრეები (ნიჩი, აიხჰორნი) თვლიდნენ, რომ შუასაუკუნეობრივი წყობილება ბატონყმური მამულიდან განვითარდა, ხოლო ქალაქის დაწესებულებები – მამულის მმართველებიდან, ქალაქის თანამდებობები – მინისტერიალებისაგან, ქალაქის საბჭოები – სამამულო ადმინისტრაციისაგან.

„მარკის" თეორიით (გეორგ მაურერი, ბელოვი) შუასაუკუნეობრივ ქალაქის საწყისს თავისუფალი, სასოფლო თემი – მარკა წარმოადგენდა. „ბურგის" თეორიით (კოიტგენი, რიტჩელი, მეტლანდი) ბურგი – ციხესიმაგრე ითვლებოდა ბირთვად, რომლისგანაც ქალაქი შეიქმნა. ამ თეორიით ბურგი არის ის გამაგრებული ადგილი, რაც ქალაქს სოფლიდან განასხვავებს. „საბაზროს" თეორიით (ზომი, შრედერი, შულტე) თვლიან, რომ ქალაქები სპეციფიკურ სამართლით დაცულ ბაზრებიდან წარმოიშვნენ.

ზოგი ისტორიკოსი „ბურგისა" და „საბაზროს" თეორიების გაერთიანებას ცდილობდა. გერმანელი ისტორიკოსი რიტაშელი ქალაქებად ვაჭრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახლებულ გამაგრებულ პუნქტებს მიიჩნევდა. ამ აზრს ცნობილი ბელგიელი მეცნიერი პირენიც იზიარებდა.

თანამედროვე ისტორიოგრაფია არქეოლოგიურ მონაცემებს, შუასაუკუნეობრივი ქალაქების ტოპოგრაფიასა და დაგეგმარებას დიდ ყურადღებას უთმობს, რასაც თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, რომლებმაც ქალაქები წარმოშვა, არ ითვალისწინებს. შუასაუკუნეობრივი ქალაქების წარმოშობის საკითხზე ამომწურავი მეცნიერული პასუხის გაცემა მხოლოდ არქეოლოგიური, ტოპოგრაფიული და დაგეგმარების მასალაზე დაყრდნობით არ შეიძლება.

ქალაქების წარმოშობის კონკრეტულ-ისტორიული გზები ძალზე მრავალფეროვანია. მთავარი ის არის, რომ X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნეში ადგილი აქვს საწარმოო ძალების საერთო განვითარებას, მოსახლეობის ზრდასა და ტექნიკის გაუმჯობესებას, რამაც განაპირობა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება – ხელოსნობის სოფლის მეურნეობისაგან გამოყოფა. ამ პროცესის შედეგად ადრე შუასაუკუნეობრივი ქალაქები (გამაგრებული ადგილების თვალსაზრისით), ადმინისტრაციული ცენტრები, ეპისკოპოსთა რეზიდენციები, ზოგიერთი დიდი მამულები, თემები (სადაც ყიდვა-გაყიდვის ხელსაყრელი პირობები იყო) და ბურგები გადაიქცა ქალაქებად, რომლებიც ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები ხდებიან. სოფლის მურნეობიდან ხელოსნების გამოყოფის შემდეგ, სოფლიდან წამოსული გლეხები ამ ქალაქებში სახლდებიან. არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებში, არამედ ყველგან, სადაც მათ წარმოებისა და გასაღების პირობები ექნებოდათ. ასეთი ადგილები: გზაჯვარედინები, მდინარეზე გადასასვლელი ხიდები და, საერთოდ, ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილი იყო.

დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ოლქებში ეს მოვლენები ერთნაირი ტემპით არ მიმდინარეობდა. ყველაზე ადრე, IX საუკუნეში ქალაქები, როგორც ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები იტალიაში გაჩნდნენ (ვენეცია, გენუა, პიზა, ფლორენცია და სხვ.).

X საუკუნეში სამხრეთ საფრანგეთში გაჩნდნენ ქალაქები: მარსელი, არლი, მონპელიე, ნარბონა, ტულუზა და სხვა. ამ მხარეებში ქალქების ადრე განვითარებას, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გარდა, ხელი შეუწყო ბიზანტიასა და აღმოსავლეთთან სავაჭრო კავშირებმა. ამ ქალაქების უმრავლესობა რომის იმპერიის ქალქების ადგილზე აღმოცენდება; X-XI საუკუნეებში ფეოდალური ქალაქები ჩრდილოეთ საფრანგეთში, ნიდერლანდებში, ინგლისში, გერმანიაში, ფლანდრიაში (ბრიუგე, იპრი, არასი, გენტი და სხვ.) წარმოიქმნენ. ამ ქვეყნებში ქალაქების უმრავლესობა აღმოცენდა არა მარტო რომაული ქალაქების საფუძველზე, არამედ ახალ ადგილებზეც.

უფრო გვიან, XII-XIII საუკუნეებში ფეოდალური ქალაქები რაინის აღმოსავლეთით, სკანდინავიაში, უნგრეთსა და დუნაის სამთავროებში გაჩნდნენ. ე.ი. იქ აღმოცენდნენ, სადაც ფეოდალური ურთიერთობანი გვიან განვითარდა, სადაც სავაჭრო ადგილები ან ტომების ყოფილი ცენტრები იყო. ევროპის ტერიტორიაზე ქალაქები თანაბრად არ იყო განაწილებული. უმეტესობა ჩრდილოეთ იტალიაში, ფლანდრიაში, ბრაბანტსა და რაინზე აღმოცენდნენ ადგილის, დროისა და კონკრეტული პირობების განსხვავების მიუხედავად, ისინი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად შეიქმნენ. სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ეს გამოიხატებოდა ხელოსნობის მიწათმოქმედებიდან გამოყოფაში, სასაქონლო წარმოებისა და მეურნეობის სხვადასხვა სფეროებსა და სხვადასხვა ტერიტორიებს შორის აღებმიცემობის ზრდაში, ხოლო, საკუთრივ, სოციალური და პოლიტიკური სფეროები — კლასებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაში.

ქალაქები, როგორც ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრები. ხელოსნები იქ სახლდებოდნენ, სადაც ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა და სადაც თავისი ნაწარმის გასაღებას შეძლებდნენ. დასასახლებლად ისინი ხშირად ირჩევდნენ ძველ რომაულ ქალაქებს, რომლებიც ადრე შუა საუკუნეებში თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას კარგავენ და ადმინისტრაციულ, სამხედრო და საეკლესიო ცენტრებად გადაიქცევიან. ეს ქალაქები, ძირითადად, ძველ სავაჭრო გზებზე იყვნენ განლაგებული. ბევრ მათგანში სიმაგრეები იყო აღმართული და სამხედრო ძალაც არსებობდა, რაც მოსახლეობას ფეოდალური აშლილობის დროს იცავდა. გარდა ამისა, ამ ქალაქებში მოსახლეობა (მოხელეები, ფეოდალები თავისი მინისტერიალებით და ამალით და სასულიერო პირები) საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხოვრობდა. ეს ხელოსნების ნაწარმის გასაღებას უწყობდა ხელს.

ხელოსნები აგრეთვე სახლდებოდნენ იქ, სადაც მათი სამეურნეო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა; მაგალითად, მნიშვნელოვან გზაჯვარედინებზე, ხიდებთან, გემების სადგომ ყურეებთან და გამაგრებული ციხესიმაგრეების ახლოს, სადაც თავდასხმის შემთხვევაში თავს აფარებდნენ მონასტრებს და სადაც დიდძალი მლოცველი იკრიბებოდა.

ამა თუ იმ ადგილებში ხელოსანთა დასახლებები, მიუხედავად ამ ადგილებს შორის არსებული დიდი განსხვავებისა, გახდნენ ცენტრები, სადაც თავს იყრიდა მოსახლეობა, რომელიც ხელოსნურ ნაწარმს გაყიდვის მიზნით ამზადებდა; ე.ი. გადაიქცნენ ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებად, რომლებიც სოფლებს წარმოებით და ვაჭრობით გამოეყვნენ. სადაც არ უნდა წარმოშობილიყო შუასაუკუნეობრივი ქალაქი, იგი მუდამ ფეოდალის მიწაზე იყო განლაგებული და ფეოდალს უნდა დამორჩილებოდა. თავდაპირველად ქალაქში ძალაუფლება ფეოდალის ხელში იყო. იგი დამატებითი შემოსავლის გაზრდის მიზნით, მის მიწაზე ქალაქების აღმოცენებით იყო დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნტერესებული. ფეოდალი ცდილობდა ქალაქებიდან მეტი შემოსავალი ჰქონოდა. ეს ქალაქებსა და სენიორებს შორის ბრძოლას იწვევდა. ამ ბრძოლაში საქალაქო დაწესებულებები ყალიბდებოდა და ამ ბრძოლის შედეგზე იყო დამოკიდებული თუ ქალაქი რა პოლიტიკურ წყობას მიიღებდა. ქალაქების სენიორებთან ბრძოლაში იქმნებოდა საქალაქო თვითმმართველობა და მისი დონე ყალიბდებოდა. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ეს პროცესი სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა. ქალაქების სენიორებთან ბრძოლა პირველად XI საუკუნეში იწყება. ეს მოვლენა შეიმჩნევა იმ ქალაქებში, რომლებიც ყველაზე ადრე გაჩნდნენ.

იტალიაში, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქალაქებმა თავის სენიორებზე ადვილად გაიმარჯვეს. სხვაგან ეს ბრძოლა სისხლისღვრამდე მიდიოდა და შედეგები სხვადასხვა იყო. ზოგჯერ ქალაქები სრულ დამოუკიდებლობას, ე.ი. კომუნის უფლებებს აღწევდნენ. მათ შეეძლოთ ომის გამოცხადება, ზავის დადება, საკუთარი მონეტის მოჭრა, თანამდებობის პირების არჩევა.

ზოგ შემთხვევაში ქალაქები თავისუფლებასა და პრივილეგიებს ფულითაც აღწევდნენ.

კომუნებისათვის ბრძოლას არა მარტო შიდა, არამედ ზოგჯერ საერთაშორისო კონფლიქტები ერთვოდა და ყველაფერი ეს ევროპის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა ხდებოდა.

ისტორიული განვითარების პირობების შესაბამისად, კომუნებისათვის ბრძოლა (კომუნალური მოძრაობა) სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა.

IX-XII საუკუნეებში, ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც ფეოდალიზმი უფრო სუსტად იყო განვითარებული, ქალაქები ადრე წარმოიშვნენ და განვითარდნენ, სუსტი რაინდობა ქალაქებთან ბრძოლაში მათი მოკავშირე გახდა და ქალაქებმა პაპებსა და იმპერატორებს შორის ბრძოლა მოხერხებულად გამოიყენეს. ზოგიერთ ქალაქში (მილანი, კრემონა, ვენეცია, გენუა, სიენა, ფლორენცია, რავენა და სხვა) არა მარტო სრულ დამოუკიდებლობას მიაღწიეს, არამედ ახლო მდებარე ოლქებიც (ტერიტორიები) დაიმორჩილეს და ქალაქ-სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ.

საფრანგეთში, განსაკუთრებით სამხრეთში, ზოგმა ქალაქმა სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია. მაგრამ იქ, სადაც სენიორი ძლიერი იყო, მაგალითად, პარიზში, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა, ქალაქები ასეთ წარმატებას ვერ აღწევდნენ. ხშირად ქალაქები სენიორებისაგან, თვით მეფისგანაც კი, პრივილეგიების უფლებებს ოქროთი ყიდულობდნენ. მაგრამ ზოგჯერ სენიორები, თვით მეფეებიც, რამდენიმე ხნის შემდეგ ქალაქისგან, უკვე ნაყიდი პრივილეგიის დამოწმებისათვის ახალ გადასახადს მოითხოვდნენ.

საინტერესოა ჩრდილო-საფრანგეთის ქალაქ ლანის კომუნისათვის ბრძოლის ისტორია. 1106 წლიდან ქ. ლანი ეპისკოპოს გოდრის ეკუთვნოდა. ნა-

დირობისა და ომების მოყვარულ გოდრის ფული არასოდეს ჰყოფნიდა და მან ქალაქში მკაცრი, სენიორული რეჟიმი დაამყარა, მოქალაქეებმა გოდრისაგან იყიდა ქარტია, რომლითაც ფიქსირებული გადასახადი იყო შემოღებული და „მკვდარი ხელის“ უფლება გაუქმდა. ქარტიის დამტკიცებისათვის მოქალაქეებმა ფული მეფესაც გადაუხადეს. მალე ეპისკოპოსმა გადაწყვიტა, რომ მისთვის ქარტია არახელსაყრელია. მან მეფეს ფული მისცა და ქარტიის გაუქმებასაც მიაღწია. მოქალაქეები აჯანყდნენ, არისტოკრატებისა და ეპისკოპოსის სასახლეები გაძარცვეს. კასრში დამალული ეპისკოპოსი კი, მოკლეს. მეფემ ლანში ძალით აღადგინა ძველი რეჟიმი, მაგრამ 1129 წელს ქალაქი ისევ აჯანყდა. მხოლოდ 1331 წელს შეძლო მეფემ ქალაქის მმართველობა თავის მოსამართლეებისა და მოხელეებისათვის გადაეცა.

როგორც ვთქვით, ზოგიერთი ქალაქი სრულ თვითმმართველობას ვერ აღწევდა, მაგალითად, პარიზში მმართველობა ქალაქსა და სამეფო ხელისუფლებას შორის იყო გაყოფილი. ასეთ ქალაქებს, რომელთაც სრული მმართველობა არ გააჩნდათ, ბურჟუაზიულ ქალაქებს (ვილლეს დე ბოურგეოისიე) უწოდებდნენ, ასეთი ქალაქები იყო ორლეანი, ტური, ნანტი, რუანი და სხვა.

საფრანგეთში ბევრმა ქალაქმა პრივილეგიები დაარსებიდანვე მიიღო. ასეთ ქალაქებს „ახალი ქალაქები“ ეწოდათ.

ბევრ ქალაქში ქ. ლორისისა და ბომონისათვის გაცემული ქარტიების შესაბამისი წყობა დამყარდა. ამ ქარტიების საფუძველზე მოქალაქეებს უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვისა და თვითმმართველობაში შეზღუდული მონაწილეობის უფლება ჰქონდათ და ზოგიერთი სამართლებრივი უფლებებიც გააჩნდათ.

XII-XIII საუკუნეებიდან გერმანიაში კომუნების მსგავსი ანალოგიური მდგომარეობა ზოგიერთმა ქალაქმაც მოიპოვა. ისინი იმპერიას ფორმალურად ემორჩილებოდნენ, არსებითად კი, საქალაქო რესპუბლიკებს წარმოადგენდნენ. მათ საქალაქო საბჭო მართავდა.

ქალაქების სენიორებთან ბრძოლის უმთავრესი შედეგი მოქალაქეების პირადი დამოუკიდებლობის მიღწევა იყო. ევროპაში დამკვიდრდა წესი, რომლის შესაბამისად გაქცეული, ქალაქს შეფარებული ყმა გლეხიც კი გარკვეული ვადის (ერთი წელი და ერთი დღე) შემდეგ თავისუფალი ხდებოდა. „ქალაქის ჰაერი თავისუფალს ხდის“ (stadluft machtfrei), – ამბობდნენ მაშინ. ქალაქები, რომლებმაც თვითმმართველობა მოიპოვეს, საქალაქო საბჭოს, მმართველობის უმაღლეს ორგანოს ირჩევდნენ. საბჭო სამხედრო ძალებს, ფინანსებს, სასამართლოს განკარგავდა, ხელოსნობას თვალს ადევნებდა და ქალაქებისათვის სავალდებულო განკარგულებებს გამოსცემდა. საბჭოებს სათავეში ედგა: გერმანიაში – ბურგომისტრი, საფრანგეთსა და ინგლისში – მერი, იტალიაში – კონსული.

ბიურგერობა, საქალაქო ხელოსნობა, მისი ხასიათი და ორგანიზაცია. ქალაქის ძირითად მოსახლეობას შეადგენდა ხალხი, რომელიც დაკავებული იყო რეწვითა და აღებმიცემობით; ესენი იყვნენ სხვადასხვა ვაჭრები, ხელოსნები (რომელნიც თავიანთ საქონელს თვითონ ასაღებდნენ), მებოსტნეები და მრეწველები. ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზრებს ემსახურებოდა. ესენი იყვნენ: მეზღვაურები, მტვირთავები, მზიდავები, მედუქნეები, ფუნდუკების მეპატრონეები, მსახურები და დალაქები.

მოსახლეობის უფრო წარჩინებული წარმომადგენლები იყვნენ: პროფესიონალი წვრილი ვაჭრები და მათი ზედაფენა, მსხვილი სოვდაგრები.

სავაჭრო საქმიანობა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგია. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ. ადრე შუასაუკუნეობრივი მცირერიცხოვანი მოხეტიალე ვაჭრებიდან განსხვავებით, პროფესიონალები საგარეო და საშინაო ვაჭრობას ეწეოდნენ და საზოგადოების განსაკუთრებულ ფენას წარმოადგენდნენ და როგორც რიცხობრივად ისე, თავიანთი გავლენით გამოირჩეოდნენ.

ქალაქების მოსახლეობას, განსაკუთრებით დიდ ქალაქებსა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრებს, სამღვდელოება, ადინისატრაციის წარმომადგენლები, დღიური დაქირავებული მუშები, ქურდები და მათხოვრები ავსებდნენ. ყველა ესენი ქმნიდნენ შუასაუკუნეობრივი ქალაქის წოდებებს. საქალაქო წოდება, ეკონომიკური თვალსაზრისით, უმთავრესად, სავაჭრო-სახელოსნო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული.

სამართლებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით საქალაქო წოდების წარმომადგენლები ზოგიერთი სპეციალური პრივილეგიებითა და თავისუფლებით (პირადი თავისუფლება, განსჯადობა საქალაქო სასამართლოში, საქალაქო ლაშქარსა და მუნიციპალიტეტის არჩევნებში მონაწილეობა და სხვ.) სრულუფლებიან მოქალაქეებს წარმოადგენდნენ. თავდაპირველად სიტყვა – ბიურგერობა (ბურგ – გერმან. სიტყვაა, ნიშნავს ქალაქს) ყველა ქალაქში მცხოვრებს ეწოდებოდა. მოგვიანებით, ქალაქის განშრევებასთან დაკავშირებით, „ბიურგერი“ ეწოდებოდა მხოლოდ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელიც საქალაქო მმართველობაში მონაწილეობდა („ბიურგერიდან“ წარმოიშვა, აგრეთვე, ფრანგული სიტყვა „ბურჟუაზია“).

შუასაუკუნეობრივი ქალაქი თანამედროვე ქალაქს ნაკლებად ჰგავდა. მტრებისაგან თავდაცვის მიზნით ქალაქები, როგორც წესი, მაღალი კოშკებიანი კედლებითა და ღრმა თხრილებით იყო გარშემორტყმული. მოქალაქეები სადარაჯო სამსახურს ეწეოდნენ. ისინი ხშირად ამარცხებდნენ ფეოდალთა რაზმებს. ქალაქები მეტწილად პატარები იყო და მზარდ მოსახლეობას ვერ იტევდა. თანდათანობით ქალაქების გარეთ ჩნდებოდა დასახლებები, რომლებიც, თავისთავად, დაცვას საჭიროებდნენ და მათ ირგვლივაც ახალი

კედლები შენდებოდა. ამიტომ ქალაქები კონცენტრირებული წრეების სახით იზრდებოდნენ.

შუასაუკუნეობრივი ქალაქი ერთიდან ხუთ ათასამდე მოსახლეს იტევდა. დიდებად ის ქალაქები მიიჩნეოდა, სადაც 20-30 ათასი მცხოვრები იყო (ლონდონში XIV საუკუნის 40 ათასი მაცხოვრებელი იყო). მხოლოდ რამდენიმე ქალაქი: კონსტანტინოპოლი, პარიზი, მილანი, ვენეცია, კორდოვა და სევილია 80-100 ათასამდე მოსახლეობას ითვლიდა. კედლები ქალაქის გაფართოებას ხელს უშლიდა. ამიტომ, რაც მეტ შენობას აგებდნენ, ქუჩები მით უფრო ვიწროვდებოდა. და სახლების სახურავები, თითქმის, ერთმანეთს ეხებოდა (ზედა სართულები წინ იყო გამოწეული). ქალაქში, ჩვეულებრივ, ერთადერთი დიდი საბაზრო მოედანი იყო. ბაზრობის დღეებში იგი გლეხთა ურმებით, გასაყიდად ჩამოტანილი უამრავი საქონლითა და ფარდულებით იფარებოდა. ზოგიერთ ქალაქში სპეციალური დანიშნულების პატარ-პატარა მოედნებიც არსებობდა. ზოგან პურით ვაჭრობდნენ (პურის მოედანი), ზოგან კი – თივით (თივის მოედანი) და სხვ.

ყოველ დილას საყვირის ხმაზე იხსნებოდა ქალაქის ყველა ჭიშკარი, საიდანაც საქონელს თემის საძოვრებზე მიერეკებოდნენ და საღამოთი მათ ისევ ქალაქში მოერეკებოდნენ. ქალაქში უმთავრესად წვრილფეხა საქონელი ჰყავდათ. ესენი იყვნენ: თხები, ცხვრები და ღორები. ღორებს ქალაქიდან არ ერეკებოდნენ, ისინი ქალაქში საკმაო საკვებს პოულობდნენ, მთელი ნაგავი, საჭმლის ნარჩენები პირდაპირ ქუჩებში იყრებოდა, ამიტომ ქალაქში საშინელი ჭუჭყი იყო და აუტანელი სუნი იდგა. შუა საუკუნეების ქალაქში ძნელი იყო გავლა ისე, რომ, არ ამოსვრილიყავი. მშრალ ამინდში კი, ქალაქში მყრალი მტვერის გამო ძნელი იყო სუნთქვა. წვიმიან ამინდებში ქალაქის ქუჩები გაუვალ ჭაობებად გადაიქცეოდა. ასეთ პირობებში ავადმყოფობები არ წყდებოდა და დიდი ეპიდემიების დროს, რომლებიც შუა საუკუნეებში ხშირად იფეთქებდა, ყველაზე მეტად დიდი ქალაქები ზარალდებოდა. ქალაქებში სიკვდილიანობა ძალიან მაღალი იყო.

შუასაუკუნეობრივი ქალაქების საწარმოო საფუძველს ხელოსნობა წარმოადგენდა. ხელოსნები ქალაქის მოსახლეობის მთავარ ნაწილს შეადგენდა. პირველ ხანებში ხელოსნები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მოწყვეტილები არ იყვნენ. მათ ჰქონდათ თავიანთი ბოსტანი, პირუტყვი და საზოგადოებრივ საძოვრებს იყენებდნენ, მაგრამ მათი მთავარი საქმიანობა ხელოსნობა იყო. ხელოსანი, გლეხის მსგავსად, წვრილი მწარმოებელი იყო. მას ჰქონდა საკუთარი საწარმოო იარაღები და პირად შრომაზე დაფუძნებულ დამოუკიდებელ მეურნეობას ეწეოდა. ხელოსანი გლეხისაგან განსხვავებით, იგი იმთავითვე საქონლისმწარმოებელი იყო, ეწეოდა სასაქონლო მეურნეობას და მიწა მისთვის, უშუალოდ, წარმოების საშუალებას არ წარმოადგენდა.

საქალაქო ხელოსნობაში პირადი დამოკიდებულება არ არსებობდა, მაგრამ, აქ ადგილი ჰქონდა გარეშე ეკონომიკური იძულების სხვა სახეებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ხელოსნობის საამქრო ორგანიზაციასთან, წოდებრივ კორპორაციასა და ქალაქის წყობასთან და ყველაფერი ეს თავისი არსით ფეოდალური იყო (იძულება და საამქროების რეგლამენტაცია ქალაქის მხრიდან და ა.შ.). ეს იძულება თვით მოქალაქეებიდან გამომდინარეობდა.

დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეობრივი ქალაქების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა ასევე გარკვეულ პროფესიის პირთა ორგანიზაციებად, ამქრებად, გილდიებად და საძმოებად გაერთიანება. ამქრები ქალაქებთან ერთად გაჩნდნენ. ამქრების ჩამოყალიბება, შედგენა-ჩაწერამ (სენიორებისაგან დასტურის სახით ქარტიის მიღება) მოგვიანებით ხდება. ამქრები წარმოიშვნენ, რათა ნაწარმი და შემოსავალი დაეცვათ სხვა ქალაქების ხელოსნებისაგან და არაორგანიზებული ხელოსნების კონკურენციისაგან. ამქრების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მოცემულ სახის ხელოსნობაზე მონოპოლიის განმტკიცება იყო. ბევრ ქალაქებში ამქრებში გაერთიანება სავალდებულო გახდა.

ამქრების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია წარმოებასა და გასაღებაზე კონტროლის დაწესება იყო.

ამქრების წარმოშობა არსებული საწარმოო ძალებისა და საზოგადოების ფეოდალურ-წოდებრივი სტრუქტურით იყო განპირობებული. ცეხის ყოველი წევრი – წვრილი ხელოსანი უშუალოდ მწარმოებელიც იყო და მესაკუთრეც. ხელოსნობა მემკვიდრეობით გადადიოდა. ოსტატი მუშაობდა სახელოსნოში, სადაც მისი მამა-პაპა მუშაობდა და სადაც მისი შვილები და შვილიშვილები იმუშავებდნენ. ოსტატი მუშაობდა თავის ოჯახის წევრებთან ერთად და მას ერთი-ორი შეგირდი, მოწაფე და ქარგალი ეხმარება. როგორც წესი, მოწაფე გარკვეული გამოცდილების მიღების შემდეგ, შეგირდი ხდებოდა, ხოლო ფულის დაგროვების შემდეგ – ოსტატი. ოქრომჭედლობას ბევრი ფული სჭირდებოდა, ამიტომ ამ დარგის ოსტატები ცოტანი იყვნენ. ეს ოსტატები ხელის იარაღებს იყენებდნენ და მათი ნაწარმი მაღალი ხარისხის იყო.

წვრილ ხელოსანთა სახელოსნოებში შრომის დანაწილება არ არსებობდა. დროთა განმავლობაში ტექნიკის ზრდამ და გაუმჯობესებამ პროფესიების (მჩეჩავი, მრთველი და სხვ.) დაწვრილმანება გამოიწვია. შესაბამისად, ამქრების რაოდენობაც იზრდებოდა, ზოლო ხელსნობის წვრილი ხასიათი არ შეცვლილა. XIII საუკუნის ბოლოს პარიზში 300-ზე მეტი ხელოსანთა ამქარი არსებობდა.

ამქარი ერთ-ერთი პროფესიის წვრილ ხელოსანთა კავშირი იყო. მისი ერთ-ერთი ფუნქცია კონკურენციისაგან თავის დაცვა იყო. ამავე დროს, იგი თავის წევრთა წარმოებას არეგულირებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამქრის წევრები თავიანთი ნაწარმის დაუბრკოლებელი გასაღებით იყვნენ დაინტერესებული. ამიტომ სპეციალურად არჩეულ თანამდებობის პირების ზედამხედველობით მკაცრ რეგლამენტაციას აწესებენ. ყოველი ოსტატი ვალდებული იყო განსაზღვრული სახისა და ხარისხის პროდუქცია დაემზადებინა.

რეგლამენტირებული იყო: რა იარაღითა და რა მასალისგან უნდა დამზადებულიყო საქონელი, რა სიგანისა და რამდენი ძაფის საფუძველზე მოექსოვათ ქსოვილი და მუშაობა ყველას დასანახად უნდა ეწარმოებინათ. ამქრები სამუშაო საათების, მოწაფეების, ქარგლებისა და შეგირდების, დაზგებისა და ნედლეულის რაოდენობასაც ზღუდავდნენ.

XIV საუკუნის ბოლომდე ამქრების ასეთი ორგანიზაცია პროგრესულ როლს ასრულებდა. ისინი ხელოსნებს ფეოდალთა მეტისმეტი ექსპლოატაციისა და უცხოელთა კონკურენციისაგან იცავდნენ. ანელებდნენ კონკურენციას თვით ამქრის წევრთა შორის და დისციპლინას ამტკიცებდნენ.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს წვრილი წარმოების შენარჩუნების უარყოფითმა ტენდენციამ მაინც იჩინა თავი.

ამქრების ორგანიზაცია მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციებით არ ამოიწურებოდა. იგი ხელოსნების ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავდა. ამქრები მოქალაქეებს, სენიორებისა და მოგვიანებით პატრიციების წინააღმდეგ ბრძოლაში აერთიანებდნენ და ქალაქის დაცვისას საბრძოლო რაზმებს ქმნიდნენ. ამქრებს თავისებური რელიგიური ორგანიზაციაც ჰქონდა. მათ ჰყავდათ თავისი მფარველი წმინდანი და მდიდარ ამქრებს თავისი ეკლესიებიც კი გააჩნდათ. ამქრები ურთიერთდახმარების ორგანიზაციასაც წარმოადგენდა. ისინი მარჩენალის ავადმყოფობისა და სიკვდილის შემთხვევაში ოჯახს ეხმარებოდნენ, ასევე ეხმარებოდნენ ხელმოკლე ოსტატებსა და დაქირავებულ მუშებს. ამქრებს თავისი დროშა და გერბი გააჩნდათ. მათზე, ჩვეულებრივ, ამქრის სამუშაო იარაღები იყო აღბეჭდილი.

ამქრები და სხვა საქალაქო კორპორაციები (მაგ., ვაჭრების) თავისი პრივილეგიებითა და რეგლამენტაციის რეჟიმით შუა საუკუნეების საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და იმ დროის საწარმოო ძალებს შეეფარდებოდნენ.

ამქრების ბრძოლა პატრიციებთან, შინაგანი ბრძოლა ამქრებში. ქალაქების ფეოდალურ სენიორებთან ბრძოლისას, საქალაქო მმართველობა, უმეტეს შემთხვევაში, მოქალაქეთა ხელში გადადიოდა. ამ დროისათვის ქალაქებში უკვე შესამჩნევი სოციალური განშრევება არსებობდა და, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური სენიორების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა მოქალაქე მონაწილეობდა, ქალქების მმართველობა მოქალაქეთა ზედაფენას წარმოადგენდა: ვაჭრები, მევახშეები, სახლების მესაკუთრეები და მიწისმფლობელები და სხვ. ეს ზედა პრივილიგირებული ფენა, ვიწრო და შეუვალ მემკვიდრეობით საქალაქო არისტოკრატიას, პატრიციატს წარმოადგენდა. ქალაქების საბჭოები, ქალაქის თავები, სასამართლოს წევრები და თა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნამდებობების სხვა პირები პატრიციებისგან ირჩეოდნენ. მთელი საქალაქო ადმინისტრაცია, სასამართლო, ფინანსები და გადასახადები ზედაფენის ხელში იყო და მათ პატრიციების სასარგებლოდ იყენებდნენ. ეს ყველაფერი ხელოსნების უკმაყოფილებას იწვევდა. როდესაც ამქრები მომრავლდა და გაძლიერდა, ეს პატრიციების წინააღმდეგ ბრძოლაში გადაიზარდა. XIII-XIV საუკუნეებში ხელოსნები, წვრილი ვაჭრები და ღარიბობა ქალაქში ძალაუფლებისათვის იწყებენ ბრძოლას. შეიარაღებული ბრძოლა ზოგჯერ შუასაუკუნეობრივ ევროპის თითქმის ყველა ქალაქში მიმდინარეობდა. მაგრამ, ყველგან ერთნაირად არ მთავრდებოდა. ამ დაპირისპირებაში საინტერესო ვითარება წარმოიშვა. იქ, სადაც სენიორებსა და მოქალქეებს შორის მმართველობისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, ამქრები დასახმარებლად, ზოგჯერ, სენიორებს მოიხმობდნენ (ფლანდრიაში) და ისინი, თავის მხრივ, სამეფო ხელისუფლებას მიმართავდნენ.

ზოგჯერ ქალაქებში, სადაც ხელოსნობა განვითარებული იყო და ძლიერი ამქრები არსებობდა, ამ უკანასკნელებმა გაიმარჯვეს (კელნი, აუგსბურგი), მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც ხელოსნურ წარმოებას ვაჭრობა უსწრებდა, ხშირად გამარჯვებული პატრიციატი გამოდიოდა. მაგრამ იქ, სადაც ამქრებმა გაიმარჯვეს, გავლენიანი ამქრის ზედაფენა პატრიციატს შეერწყა და დაფუძნდა ოლიგარქიული მმართველობა, რომელიც მდიდარ მოქალაქეთა ინტერესებს იცავდა (ვენეცია, ჰამბურგი, გენუა, ლიუბკი).

XIV-XV საუკუნეებში ამქრების როლი მნიშვნელოვნად შეიცვალა, იმის გამო, რომ ისინი თავისი ხასიათით ძალზე კონსერვატულები იყვნენ, მტკიცედ იცავდნენ რეგლამენტაციას, წარმობისას მხოლოდ ტრადიციულ ხერხებსა და იარაღებს იყენებდნენ, ხელს უშლიდნენ ტექნიკურ სრულყოფას, გაურბოდნენ კონკურენციას, წვრილი წარმოების ნიადაგზე იდგნენ. ისინი საწარმოო ძალების და ვაჭრობის განვითარების სერიოზულ მუხრუჭად გადაიქცნენ.

საწარმოთა ძალებისა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად კონკურენცია მატულობდა. თვით ხელოსნებს შორის, საამქროების შიგნით, ზოგიერთი ოსტატი, რეგლამნტაციის მიუხედავად, თავისი წარმოების გაფართოებას ახერხებდა და ამის შედეგად უთანხმოება გაჩნდა.

ოსტატები თავიანთ შეგირდებსა და მოწაფეებს ექსპლუატაციას უწევდნენ. მათი სწავლება, მაგალითად, ინგლისში 7 წელს, ზოგან კი 10-12 წელს გრძელდებოდა. სწავლების ბოლო წლებში ისინი უკვე დამოუკიდებელი მუშაობისთვის მომწიფებულები იყვნენ, მაგრამ ოტატები სხვადასხვა ხერხით აბრკოლებდნენ მათი ოსტატებად გადაყვანას და თავის სასარგებლოდ ამუშავებდნენ. ფაქტობრივად ისინი დაქირავებულ მუშებად იქცეოდნენ. მოწაფეებისა და შეგირდების გაყიდვასაც ჰქონდა ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილი ოსტატები აძლევდნენ სამუშაოს ღარიბ ოსტატებს და მათ ნედლეულით ამარაგებდნენ. და, ამრიგად, მათგან მზად ნაწარმს ღებულობდნენ.

ამქრების შიგნით ქონებრივი და სოციალური უთანხმოება გაჩნდა. ოდესღაც ერთგავროვანი წვრილი ხელოსნობისა და ვაჭრობის მასაში შეძლებული ზედა და ექსპლოტირებული ფენები გაჩნდნენ.

ამქრების შიგნით განშრევებამ მათი დიფერენციაცია გამოიწვია. თვით ამქრებს შორის გაჩნდნენ მძლავრი, მდიდარი ე.წ. „უფროსი" ანუ „დიდი" და ღარიბი ე.წ. „უმცროსი" ანუ „მცირე" ამქრები. ეკონომიკურად ძლიერი „უფროსები" ღარიბი „უმცროსების" ექსპლუატაციას ეწეოდნენ.

მდიდარი ოსტატებისა და „უფროსი" ამქრების ექსპლუატაციის ქვეშ მოხვედრილი შეგირდები, მოწაფეები, დაქირავებული მედღიური მუშები, გაღარიბებული ოსტატები, ქალაქად ახლად მოსული გლეხები, თავიანთი ინტერესების დასაცავად, საძმოებს, კომპანიონაჟებს ქმნიან. ისინი ხელფასის გაზრდასა და სამუშაო დღის შემცირებას მოითხოვდნენ. ამისთვის ბოიკოტსა და გაფიცვებს მიმართავდნენ. რაც უფრო მეტად მწვავდებოდა ქალაქის მოსახლეობის სოციალური წინააღმდეგობა, ექსპლოატირებული ფენები მით უფრო ღიად და აქტიურად ებრძოდა ქალაქის ზედაფენას, რომელშიც უკვე ამქრების ზედაფენაც შედიოდა.

თუ დავაკვირდებით ქალაქების ზრდასა და განვითარებას, ბრძოლის სამ საფეხურს შევნიშნავთ: ჯერ ქალაქები ფეოდალურ სენიორიასთან იბრძვიან, შემდეგ ამქრები ებრძვიან პატრიციატს, უფრო მოგვიანებით ბრძოლა მიმდინარეობს ექსპლუატირებულ მასებსა (შეგირდებს, მოწაფეებს, ქარგლებსა და ამქრების გარეთ დარჩენილ მუშებს) და ამქრების ზედაფენას შორის.

ვაჭრობის განვითარება XII-XV საუკუნეებში. ევროპული ვაჭრობის გზები. ქალაქების ზრდამ XI-XV საუკუნეების დასავლეთ ევროპაში საგარეო და საშინაო ვაჭრობას შეუწყო ხელი. ქალაქები, პატარებიც კი, ახლომდებარე სასოფლო ოლქის სავაჭრო ცენტრები ხდებოდნენ.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ვაჭრობა უმთავრესი საქმიანობა იყო. ვაჭრობით დაკავებულ უმრავლესობას წარმოადგენდნენ წვრილი მედუქნეები და მოხეტიალე ვაჭრები, რომლებიც ხელოსნებთან ახლოს იდგნენ. ვაჭართა წრის ელიტას მსხვილი, მდიდარი ვაჭრები წარმოადგენდნენ. ისინი, უმთავრესად, შორეულ სატრანზიტო და ბითუმურ ვაჭრობას ეწეოდნენ. მათ სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალქებში თავისი კანტორები ჰქონდათ და საკუთარი აგენტები ჰყავდათ. მდიდარი ვაჭრები ხშირად მევახშეობასა და საბანკო საქმიანობასაც მისდევდნენ. ესენი დედაქალაქებისა და საპორტო ქალაქების (კონსტანტინოპოლი, ლონდონი, მარსელი, ვენეცია და სხვა) ვაჭრები იყვნენ.

XIII-XIV საუკუნეებში ევროპული ვაჭრობის ორი ძირითადი რაიონი არსებობდა. ერთერთი მათგანი იყო ხმელთაშუა ზღვა, რომლითაც ევრო-

პული ქვეყნები აღმოსავლეთს (ლევანტს) უკავშირდებოდნენ. აღმოსავლეთიდან, უმთავრესად, ფუფუნების საგნები და სანელებლები (მაგ., პილპილი, რომელზედაც ევროპაში დიდი მოთხოვნილება იყო) შემოჰქონდათ. ევროპიდან აღმოსავლეთში ნედლეული, სამრეწველო ნაწარმი, კერძოდ, მაუდის დიდი რაოდენობა გაჰქონდათ. აღმოსავლეთთან ვაჭრობა, უმთავრესად, იტალიის, სამხრეთ და ცენტრალური საფრანგეთისა და ბიზანტიის ვაჭრების შუამავლობით ხორციელდებოდა.

მეორე რაიონს ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვები წარმოადგენდნენ. აქ ვაჭრობაში ამ ზღვების ირგვლივ განლაგებული ქვეყნები მონაწილეობდნენ (ვაჭრობდნენ ფართო მოხმარების საგნებით: თევზით, მარილით, ბეწვეულით, ხე-ტყითა და გემთმშენებლობისათვის საჭირო საგნებით და ა.შ.). ორ საზღვაო სავაჭრო რაიონს შორის დამაკავშირებელი გზები ალპების უღელტეხილებზე (სენ-ბერნარი, სენ-გოტარდის უღელტეხილები) გადადიოდა. ჩრდილოეთის ქვეყნებს იტალიელი და სამხრეთ საფრანგეთის ვაჭრები ჰიბრალტარის გავლითაც უკავშირდებოდნენ.

ვაჭრობა ამ დროს რთული და სახიფათო საქმე იყო. ზღვაზეც და ხმელეთზეც ვაჭრები ბევრ სიძნელეებს აწყდებოდნენ. ზღვაზე მათ მეკობრეები ესხმოდნენ (ყაჩაღობაზე წარჩინებული სენიორები და მეფეებიც კი არ ამბობდნენ უარს), ხმელეთზე კი, ყაჩაღები. გზები, ჯერ კიდევ რომაელების მიერ დაგებული, უვარგისი იყო. ფეოდალთა მიწებზე ეკლესიის სენიორები ბაჟს მოითხოვდნენ. ყველა ხიდზე გავლისას ვაჭრები გადასახადს იხდიდნენ. ზოგან ფეოდალები ხიდებს მშრალ ადგილებზე აგებდნენ, რომ გადასახადი აელოთ. მდინარეებზე კი ბაგირებს ჭიმავდნენ, რომ ვაჭრები გადასახადის გარეშე არ გაეტარებიათ.

ზოგ ქალაქში ჩამოსულ ვაჭრებს მხოლოდ საბითუმო ვაჭრობის უფლება ჰქონდათ. საცალო ვაჭრობის უფლება მხოლოდ ადგილობრივი ვაჭრების პრივილეგია იყო.

ვაჭრები, სავაჭრო მოგზაურობისას, შეიარაღებულ რაზმებს ქირაობდნენ. ვაჭრობას ის გარემოებაც ართულებდა, რომ მრავალი სამონეტო სისტემა არსებობდა. ფულს იმპერატორები, მეფეები, ეპისკოპოსები და რამდენიმე დიდი ქალაქებიც კი ჭრიდნენ. ევროპაში მაშინ, ძირითადად, ვერცხლის ფული იყო ბრუნვაში. ფულის მომჭრელები, მოგების მიზნით, ფულში ვერცხლის რაოდენობას აკლებდნენ და არასრულფასოვან მონეტებს უშვებდნენ.

შუასაუკუნეობრივი ვაჭრობის პირობებში ვაჭრები იძულებულები იყვნენ გილდიებში – ჰანზებში გაერთიანებულიყვნენ. ზოგჯერ, ქალაქების ჰანზები ერთიანდებოდნენ და კავშირებს ქმნიდნენ. XIII საუკუნის ქალაქთა ასეთი კავშირი ქ. ბრიუგეს ვაჭრების მეთაურობით ფლანდრიაში შეიქმნა, XIV საუკუნეში კი გერმანიაში – ჩრდილო-გერმანული ჰანზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევახშეობა. ჩრდილოიტალიელი ბანკირები. ეკლესია და მევახშეობა. სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის ზრდა ცალკეულ პირთა, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრებისა და მევახშეების ხელში ფულადი კაპიტალის დაგროვებას უწყობდა ხელს. არასრულფასოვანი მონეტები და მათი სხვადასხვაობა ფულის გაცვლისა და შემოწმების აუცილებლობას იწვევდა. ამის გარეშე ვერავითარი სავაჭრო გარიგება ვერ შედგებოდა. ფულის გადაცვლისა და მათი ღირებულების შემოწმებამ ახალი პროფესია, ზარაფების ინსტიტუტი შექმნა. ზარაფები თანდათანობით, ბანკირები გახდნენ. ისინი ფულის გადაცვლის გარდა, ფულის სხვა ქალაქებსა და ქვეყნებში გადაგზავნის ოპერაციებს ახორციელებდნენ. იმ დროს დიდი რაოდენობის ფულით მოგზაურობა უსაფრთხო არ იყო. მევახშე ან ზარაფი ჩაიბარებდა ფულს ვაჭრისაგან, რომელიც შორეულ ქვეყანაში მიემგზავრებოდა, აძლევდა მას ხელწერილს ან ქვითარს, რომელსაც ის იმ ქვეყანაში ზარაფის აგენტს წარუდგენდა და შესაბამის თანხას მიიღებდა. ასე წარმოიშვა ბანკები. პირველი ბანკები ჩრდილოეთ იტალიაში – ლომბარდიაში გაჩნდნენ. ამიტომ სიტყვა – „ლომბარდიელი“ ბანკირისა და მევახშის სინონიმი იყო. სიტყვა ლომბარდიც (დაწესებულება, სადაც ძვირფასი ნივთები გირავდება) აქედან წარმოიშვა.

ეკლესია მევახშეობას დევნიდა, მაგრამ თვითონ ყველაზე უმსხვილესი ბანკირი და მევახშე იყო. პაპის კურია უდიდეს სახსრებს (ევროპის შემოსავლის 1/3 პაპის ხაზინაში მიედინებოდა) ფლობდა. პაპის კურია მეფეებსა და სენიორებს დიდ კრედიტებს აძლევდა. ეკლესია პროცენტებს არ იღებდა, მაგრამ გირაოთი იტოვებდა მიწებს, გადაუხდელობის შემთხვევაში კი ითვისებდა მათ. ხშირად კრედიტებს მიაწერდნენ თანხას, რომელსაც პროცენტის მაგივრად იღებდნენ. კურია ბანკებსაც მიმართავდა დახმარებისათვის. ბანკებს პაპის ხაზინაში შეჰქონდათ თანხა, რომლის სანაცვლოდ გარკვეულ ოლქებში გადასახადების აკრეფის უფლებას იღებდნენ.

სასაქონლო წარმოება. კომუტაცია და ცვლილებები გლეხთა მდგომარეობაში. ქალაქების განვითარებას შეესაბამებოდა სოფლად სამეურნეო და სოციალურ წყობაში მომხდარი ცვლილებები. პირველ რიგში, აღსანიშნავია სოფლად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება. გლეხები, სულ უფრო და უფრო მიდიოდნენ ქალაქის ბაზრობებზე ყოველდღიური საგნების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, რკინის ნაწარმისა და სხვათა შეძენისა და საკუთარი მეურნეობის ნაწარმის გასაღების მიზნით. სოფლის სამეწარმოო პროდუქცია და სოფლის ხელონების ხელოსნური და რეწვის ნაწარმი (პური, სართავი ძაფი, უხეში მაუდი და სხვა) ნელა, მაგრამ მყარად მიედინებოდა საქალაქო ბაზრობებზე. ეს სახეობანი ნელ-ნელა სოფლის მეურნეობის სასაქონლო დარგები ხდებოდა, გლეხები კი, საქონლისმწარმოებლები. საბაზრო ურთიერთობაში გლეხთა მერნეობის ჩაბმამ სოფლად ქონებრივი და სოციალური განშრევების პროცესი გამოიწვია. გაჩნდა შეძლებული ზედაფენა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად, უმიწაწყლო ღარიბები, რომლებიც ფეოდალების ან შეძლებული გლეხების დაქირავებული შინამოსამსახურე ხდებოდნენ. ამ ღარიბების ნაწილი გადარჩენის მიზნით, ქალაქს აფარებდა თავს და ქალაქის პლებეების რაოდენობას ზრდიდა. ქალაქში შეძლებული გლეხების ნაწილიც მიედინებოდა.

სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებამ საბატონო მეურნეობაზეც მოახდინა გავლენა. შეიცვალა სენიორული მეურნეობის სტრუქტურა, საბატონო და საგლეხო ურთიერთობა. XII-XIV საუკუნეებში ევროპაში დაიწყო ე.წ. რენტის კომუტაცია – ბეგარისა და ნატურალური გადასახადის ფულადით შეცვლის პროცესი. ფეოდალები გადასახადების ფულის სახით მიღებას არჩევდნენ და გლეხს აიძულებდნენ არა მარტო ზედმეტი, არამედ საარსებოდ საჭირო პროდუქციის ნაწილიც გაეყიდათ. განვითარების ასეთი გზა იწვევდა დომენის ლიკვიდაციას, ფეოდალის მიწების გლეხებისათვის დროებით მფლობელობაში ან არენდით გადაცემას. რენტის კომუტაციასა და დომენის ლიკვიდაციასთან იყო დაკავშირებული გლეხთა ძირითადი მასის პირადი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება. XV საუკუნეში გლეხთა პირადი დამოკიდებულება ევროპის უმეტეს ქვეყნებში აღარ არსებობდა. ევროპის ზოგიერთ ოლქებში (სამხრეთ აღმოსავლეთ ინგლისი, ცენტრალური და აღმოსავლეთი გერმანია და ჩრდილოეთ ევროპის ზოგ რაიონებში, კი, იქ სადაც სოფლის მეურნეობისათვის ფართო ბაზარი შეიქმნა, დომენიალური მეურნეობა გაფართოვდა, გლეხთა საბეგარო ვალდებულებები გაიზარდა, გლეხთა პირადი დამოკიდებულების განმტკიცების ცდებს ჰქონდა ადგილი.

ცვლილებები, რომელიც ევროპაში IV-XV საუკუნეებში მოხდა ფეოდალური წყობილების, ევოლუციის ახალ საფეხურს წარმოადგენდა.

გლეხთა პირადი დამოკიდებულება და რენტის კომოტაცია გლეხებისათვის ერთგვარად სასარგებლო იყო, მაგრამ საბელმწიფო ვალდებულებებისა და ფეოდალთა გადასახადების გადიდების პირობებში მათი მდგომარეობა – კიდევ უფრო მძიმდებოდა.

XV საუკუნეებში კლასიკურმა ფეოდალურმა სისტემამ დაცემა განიცადა და სასოფლო-სამეურნეო მეურნეობის ცენტრმა ფეოდალურ მეურნეობიდან წვრილ გლეხურ მეურნეობაში გადაინაცვლა. მაგრამ ეს ფეოდალიზმის საერთო კრიზისი არ იყო. კრიზისი XVI-XVII საუკუნეები დადგება.

ცვლილებები, რომლებიც ევროპაში XIV-XV საუკუნეებში მოხდა, ფეოდალური ევოლუციის ახალ საფეხურს წარმოადგენდა.

ქალაქებმა და მოქალაქეებმა წამყვანი ადგილი დაიკავეს შუასაუკუნეობრივ ვაჭრობაში, ხელოსნობასა და ზღვაოსნობაში. მათ სხვადასხვა სახის კავშირები და ახალი ტიპის ერთობები შექმნეს. მათ დიდი გავლენა იქონიეს აგრარულ წყობაზე, გლეხების მდგომარეობასა და ფეოდალური სახელმწიფოს განვითარებაზე, აგრეთვე, დიდი იყო მათი როლი შუასაუკუნეობრივი კულტურის განვითარებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VIII

ჯვაროსანთა ლაშქრობანი

ჯვაროსანთა ლაშქრობების ხასიათი, სიმბოლიკა და პროვიდენციალური გაგება. ჯვაროსნული ლაშქრობები – ეს იყო დასავლეთ ევროპელი ფეოდალების, მოქალაქეთა ნაწილისა და გლეხების სამხედრო-საკოლონიზაციო მოძრაობა, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. იგი ორი საუკუნე (1096 წლიდან 1270 წლამდე) გრძელდებოდა და მიმდინარეობდა რელიგიური ფორმით, იმის რწმენით, რომ ჯვაროსნებს მუსლიმებისაგან უნდა გაეთავისუფლებინათ პალესტინა, ადგილი, სადაც დაიბადა და ეწამა იესო ქრისტე.

გასაგები ხდება ის ფაქტიც, რომ ლაშქრობის მონაწილენი ტანსაცმელზე (მკერდისა და მხრების არეში) იმაგრებდნენ წითელი ფერის ქსოვილისაგან დამზადებულ ჯვარს (აქედან წარმოდგება გაგება – „ჯვაროსნული“). ეს იყო რელიგიური სიმბოლო, აღმნიშვნელი იმისა, რომ მათ სურდათ ქრისტინაული სიწმინდეების გათავისუფლება.

თანაც ეს გაგება – „ჯვაროსნული ლაშქრობანი“ თანამედროვეთათვის არ იყო ცნობილი. ეს ომები მაშინ აღინიშნებოდა სხვა ტერმინებით – მოგზაურობები (peregrinatio), ლაშქრობები (expeditio), საქმენი (gesta) ა.შ. ფორმულა „ჯვაროსნული ლაშქრობანი“ დაიბადა დაახლოებით XVII საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც ჩანს, ეს გამოთქმა პირველად იხმარა ლუი XIV-ის კარის ისტორიკოსმა ლუი მემბურმა, რომელმაც თავის წიგნს უწოდა „ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია“ (1675).

საგულისხმოა იმის გაგებაც, თუ როგორ ეკიდებოდნენ შუა საუკუნეების ქრონისტები (მეტწილად ეკლესიის მსახურები) ჯვაროსნულ ლაშქრობებს. ირკვევა, რომ მათი ღრმა რწმენით, ჯვაროსნული ლაშქრობები მიწიერ საქმეებში ზეციური ძალების პირდაპირი ჩარევის შედეგი იყო. ღმერთმა აამოძრავა დასავლეთის ხალხი, რათა გაეთავისუფლებინათ „ღვთის საფლავი“. მაშასადამე, მათი აზრით, ჯვაროსნული ლაშქრობები სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნების გამოვლინება, ხოლო ჯვაროსნები (ფრანკები) ღვთის ნების აღმსრულებელნი არიან. ღვთის ნება კი მათ გააცნო რომის პაპმა, რომელიც ღმერთის მოადგილეა დედამიწაზე. „ღმერთს ასე სწადია“ (Deus le Wolt), – ასეთი რწმენით მიდიოდნენ ჯვაროსნები (ყველა თუ არა, ნაწილი მაინც) აღმოსავლეთისაკენ. ეს იდეა შესანიშნავად აისახა ცნობილი ფრანგი მწერლისა და ისტორიკოსის, აბატ გვიბერტ ნოჟანელის (1053-1124) თხზულებაში – „საქმენი ღვთისა ფრანკების მეშვეობით“ (Gesta Dei per Francos). ამ კონცეფციას მეცნიერებაში უწოდებენ „პროვიდენციალურ“ (ლათ.Providentio – უფლის განგება) გაგებას. ეს გაგება გაბატონებული იყო მთელი შუა საუკუნების მანძილზე, ჰუმანისტების გამოჩენამდე.

ჰუმანისტები, პროტესტანტები და განმანათლებლები ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზების შესახებ. პირველები, ვინც პროვიდენციალური გაგებისაგან ჩამოშორებას შეეცადნენ, აღორძინების ხანის (XV-XVI სს.) მწერლები – ჰუმანისტები იყვნენ. მართალია, ჰუმანისტებიც არ გამორიცხავდნენ, რომ „ქრისტეს საფლავის განთავისუფლებლად“ წარმოებულ ბრძოლას საფუძვლად ედო რელიგიური მოტივები, მაგრამ ეს ბრძოლა, მათი აზრით, არ ყოფილა „ღვთის საქმიანობა“, როგორც ამას XI-XIII საუკუნეების მემატიანეები ამტკიცებდნენ. ჰუმანისტებს უფრო ჯვაროსანთა გმირობანი და პატრიოტული საქმე იტაცებდათ, საკითხს რაციონალურად უდგებოდნენ.

ჯვაროსანთა ლაშქრობების მიზეზების გაგებაში ბევრად უფრო შორს წავიდნენ რეფორმაციის ეპოქის ისტორიკოსები. ჯვაროსნულ ლაშქრობებს ისინი პაპთა ანგარებითი პოლიტიკის ნაყოფად მიიჩნევდნენ, პაპებს მოიხსენიებდნენ „ანტიქრისტედ“, რომელსაც სურდა თავისი ხელისუფლების გადიდება, „თევზის დაჭერა მღვრიე წყალში“.

ერთი სიტყვით, ჯვაროსანთა ლაშქრობები პროტესტანტებს გამოჰყავდათ არა ღმერთისაგან, როგორც ამას კათოლიკენი აკეთებდნენ, არამედ ეშმაკისაგან, ანუ „ანტიქრისტესაგან“, რომელსაც, მათი აზრით, რომის პაპი წარმოადგენდა.

პროტესტანტების ამდაგვარმა შეხედულებებმა შემდგომი განვითარება პოვა განმანათლებელთა ეპოქაში. ვოლტერი, გიბონი, რობერტსონი ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზად აცხადებდნენ იმ ფანატიზმსა და უმეცრებას, რომელსაც აღვივებდნენ რომის პაპები ხალხთა მასებში. „სისხლიანი უგუნურება“, „ეპიდემიური ავადმყოფობა“, „ადამიანური სისულელეების უცნაური ძეგლი“,– ასე და ამგვარი სიტყვებით შეამკეს მათ ჯვაროსნული ლაშქრობანი. XVIII საუკუნის განმანათლებელთა ამდაგვარი საქციელი და მტკიცება აღმავალი ბურჟუაზიის ინტერესებს შეესაბამებოდა და იმ დროისათვის პროგრესული იყო, მაგრამ მტკიცება იმისა, თითქოს ჯვაროსანთა ლაშქრობების ძირითად გამომწვევ მიზეზს კათოლიკური ეკლესია და რომის პაპობა წარმოადგენდა, სწორი არ არის. მართალია, კათოლიკურმა ეკლესიამ და პაპობამ ჯვაროსანთა ლაშქრობების საქმეში თავისი როლი შეასრულა, მაგრამ ამ ლაშქრობათა მთავარი გამომწვევი მიზეზი მაინც იმდროინდელი ევროპის მეტად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში მდგომარეობდა.

ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზები. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხების დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს. სპარსელები ოდითგანვე ემუქრებოდნენ ევროპულ კულტურას, ადრეულ შუა საუკუნეებში ბიზანტიელებსა თუ ევროპის სხვა ხალხებს არაბთა რისხვა დაატყდა თავს, თანაც არაბები დაუპირისპირდნენ ქრისტიანობას და სწორედ რელი-

გიური წინააღმდეგობიდან გამომდინარე, ისინი ესწრაფვოდნენ არა მარტო გამარჯვებას მოწინააღმდეგეზე, არამედ მის მოქცევას ისლამის რჯულზე.

აღმოსავლურ-დასავლური დაპირისპირების ყველაზე ნათელი გამოვლინება მაინც ჯვაროსნული ლაშქრობები იყო. იგი მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ქრისტეს საფლავის გათავისუფლებასა და იერუსალიმში მხურვალე ლოცვის დამკვიდრებას, არამედ ქრისტიანული სამყაროს ძლევამოსილებისა და მისი გავლენის სფეროების განვრცობასაც. ჯვაროსნული ლაშქრობები ერთგვარი რევანშისტული მოძრაობაც იყო, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჯვაროსნებს აღმოსავლური სიმდიდრეები არ იზიდავდა. ერთი სიტყვით, ჯვაროსნული ლაშქრობანი მაშინდელი ევროპის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური განვითარების შედეგი იყო.

ჯვაროსნული ლაშქრობებით დაინტერესებული აღმოჩნდა საზოგადოების ყველა ფენა, თუმცა მისდამი განსაკუთრებულ ინტერესს არისტოკრატია და სასულიერო წოდება იჩენდა.

აგრარულმა რეფორმებმა, რომელიც ჯერ კიდევ კარლოს მარტელისა და შემდეგ კარლოს დიდის დროს გატარდა, რაინდულ მამულებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

ბენეფიციუმი ფეოდებით შეიცვალა, რასაც შედეგად მოჰყვა მამისგან მიღებული მემკვიდრეობის იმდენ ნაწილად დაყოფა რამდენი შვილიც რჩებოდა რაინდს. რაინდის მამული დაქუცმაცდა. ამ გარემოებამ და მაიორატის წესმა (მიწის უფროს შვილზე გადაცემამ) ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპაში წვრილი რაინდების დიდი რაოდენობით გაჩენას. რაინდებთან ერთად ჯვაროსნული ლაშქრობებით დაინტერესებულნი აღმოჩნდნენ მსხვილი ფეოდალებიც – მეფეები, ჰერცოგები, გრაფები. აღმოსავლური დაპყრობები მათი სამფლობელოების გაფართოების სერიოზულ პერსპექტივას ქმნიდა. მსხვილი ფეოდალები ოცნებობდნენ მდიდარ აღმოსავლურ მიწებზე ჩამოეყალიბებინათ მათდამი დაქვემდებარებული სამფლობელოები, რომლებიც თავიანთი ხასიათით ახლოს იქნებოდნენ ამ ფეოდალების ევროპული ტიპის ფეოდალურ სამფლობელოებთან თუ მამულებთან.

ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი დიდი ინტერესი გამოავლინეს ქალაქებმაც, განსაკუთრებით იტალიურმა ქალაქებმა – გენუამ, პიზამ, ვენეციამ, რომლებიც აღმოსავლურ ექსპედიციას თავიანთ სავაჭრო ინტერესებს უკავშირებდნენ. საქმე ის არის, რომ თურქ-სელჩუკთა დაპყრობებმა შეასუსტა სავაჭრო კავშირები აღმოსავლეთთან; პირდაპირ შეჭრასა და პრობლემის შეიარაღებული ძალით გადაჭრას შეეძლო განემტკიცებინა იტალიური ქალაქების, როგორც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში შუამავლის როლი. გარდა ამისა, მათთვის მთავარ კონკურენტს წარმოადგენდა ბიზანტია. ჯვაროსნული ლაშქრობები მათ პერსპექტივას უქმნიდა გამოე-

დევნა კონკურენტი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან, სადაც იტალიური ქალაქები თავიანთი ფაქტორიების დაარსებას ცდილობდნენ.

ჯვაროსნული ლაშქრობების იდეა აიტაცა საზოგადოების დაბალმა ფენებმაც. XI საუკუნე გლეხობისათვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. ფეოდალური დაპირისპირებანი გლეხობის ისედაც მძიმე მდგომარეობას საერთოდ აუტანელს ხდიდა. ჯვაროსნულ ლაშქრობებში ისინი ფეოდალური უღლისაგან თავის დაღწევის საშუალებას ხედავდნენ. ურთულეს სოციალურ ფონს თან დაერთო საშინელი შიმშილი და ეპიდემიები; 970 წლიდან 1040 წლამდე განსაკუთრებით საშინელი მდგომარეობა იყო ამ მხრივ. რაულ გრაბერის ჩანაწერების მიხედვით საქმე იქამდეც კი მისულა, რომ ხალხი მიცვალებულს თხრიდა და ჭამდა; ფრინველსაც კი მოშიებოდა, ხალხი თესვის დროს გადაფარვას ვერ ასწრებდა, ხნულზე ფრინველები დააფრინდებოდნენ და მარცვალს სწრაფად კენკავდნენო. ყოველივე ამან გლეხთა სტიქიურ მოძრაობას შეუწყო ხელი.

დაბოლოს, უნდა ითქვას ჯვაროსნული ლაშქრობების მთავარი იდეოლოგიური მედროშის – კათოლიკური ეკლესიის როლზეც.

ჯერ კიდევ პაპმა გრიგოლ VII-მ ჩაიფიქრა და მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ცდილობდა პაპების მსოფლიო თეოკრატიული მონარქიის შექმნას. ამ იდეის საფუძვლები მანამდეც არსებობდა (გავიხსენოთ თუნდაც სიგელი „კონსტანტინეს ნაბოძვარი“). მაგრამ გრიგოლ VII-მ ის სათანადო დონეზე გაახმოვანა და ახალი სული შთაბერა მსოფლიო თეოკრატიის იდეას. მაშინ მისი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, თუმცა მისი იდეა არსებობას განაგრძობდა. უფრო მეტიც, იგი არასოდეს ისეთი პოპულარული არ ყოფილა, როგორც ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში. ამ დროს პაპობა უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და ჯვაროსნული ლაშქრობებიც ღვთაებრივ საქმედ გამოცხადდა. მათ შეექმნათ ხელსაყრელი ვითარება მთელ ქრისტიანულ სამყაროზე გაბატონებისა. პაპობა ასევე ოცნებობდა მოექცია მუსლიმანი საზოგადოება ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და შეექმნა აღმოსავლეთში ახალი ქრისტიანული სამფლობელოები, რომლებიც, ცხადია, პაპის ტახტს იქნებოდნენ დაქვემდებარებულნი.

ჯვაროსნული ლაშქრობები ხელს უწყობდა ეკლესიის შემოსავლის ზრდას. ეკლესიამ დაიწყო სახსრების მოძიება ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. ეს თანხები ზოგჯერ ნებაყოფილობითიც იყო. ამგვარ თანხებს ეკლესიის წარმომადგენლები, ბერ-მონაზვნები აგროვებდნენ მთელს დასავლეთში, მაგრამ უფრო ხშირი იყო იძულებითი ხასიათის გადასახადები. ამ გზით ეკლესიის ხელში დიდძალი ფული დაგროვდა, რომელიც ხშირად არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ იხარჯებოდა.

ჯვაროსნულ ლაშქრობებში უდიდესია მისიონერული როლიც. ევროპელებისათვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, გზა აღმოსავლეთისაკენ უცხო არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. მლოცველთა მასა მუდამ ესწრაფვოდა აღმოსავლეთის გზას, რათა პალესტინაში, განსაკუთრებით იერუსალიმში თაყვანი ეცა ღვთის საფლავისა და სხვა სიწმინდეებისათვის. მისიონერთა ზრახვები წრფელი იყო. ეს იყო თავისუფალი ნების გამოხატულება, თავდადება ქრისტიანული სიწმინდეებისადმი, მუსლიმთათვის ქრისტიანობის, როგორც თავისუფლების რელიგიის წარმოჩენა. მისიონერობა იყო ყოველგვარ ძალადობას (მათ შორის იდეოლოგიურ ძალადობას) მოკლებული მოძრაობა. ცხადია, მლოცველთა დიდ მასას ესოდენ ხანგრძლივი მგზავრობისათვის მატერიალური სახსრებიც ესაჭიროებოდა, რადგან ზოგჯერ მთელი ქარავანი მიემართებოდა აღმოსავლეთისაკენ. ეს იყო ძალზე რთული მოგზაურობა. არსებობდა რიგი პუნქტებისა, სადაც მლოცველები იკრიბებოდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან, ამ პუნქტებიდან ისინი მიემართებოდნენ და ჩერდებოდნენ გზად შედარებით სათაყვანებელ და იმავდროულად სავაჭრო პუნქტებთან – რომში თუ სხვაგან, რაინისა და დუნაის მსხვილ ქალაქებში, რომლის გავლითაც მიემართებოდა გზა უნგრეთსა და შემდეგ კონსტანტინოპოლისაკენ. მლოცველთა და ვაჭართა ქარავანს ხშირად თავგადასავლების მაძიებელი რაინდობაც უერთდებოდა.

აღმოსავლეთიდან ხშირად მოდიოდა ხმები ქრისტიანული სიწმინდეების წაბილწვისა თუ მლოცველთა აღვირახსნილი საქციელის შესახებ, რაც დასავლურ საზოგადოებას ძალზე აღაშფოთებდა, პირველ ყოვლისა, ეს მათ რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფდა.

ჯვაროსნული ლაშქრობებისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარებაც. 1071 წელს მანასკერტთან თურქებმა გაანადგურეს ბიზანტიის არმია და ტყვედ ჩაიგდეს იმპერატორი დიოგენე. მცირე აზიის დიდი ნაწილი მათ ხელთ მოექცა. მალე აქ ჩამოყალიბდა იკონიის სასულთნო. ეგვიპტელი ფატიმიდები ცდილობდნენ დაებრუნებინათ დაკარგული სირია და პალესტინა. მაგრამ ყველაზე რთულ სიტუაციაში მაინც ბიზანტია იმყოფებოდა. თურქ-სელჩუკები ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან კი – პაჭანიკები. 1091 წელს პაჭანიკები კონსტანტინოპოლის კედლებს მიუახლოვდნენ. ალექსი I კომნენოსი იძულებული გახდა დახმარების თხოვნით მიემართა დასავლეთ ევროპის ზოგიერთი მთავრობისადმი. მან ელჩებიც კი გაუგზავნა რომის პაპ ურბან II-ს (1088-1099), რათა მას თავისი ავტორიტეტით ხელი შეეწყო დაქირავებულთა რაზმებისათვის (ნორმანები, ანგლოსაქსები, დანიელები და ა.შ.), ისინი ბიზანტიას უნდა დახმარებოდნენ მუსლიმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს იყო ერთგვარი თასის ფიალა, რომლის შევსებასაც ერთი წვეთიღა აკლდა და ისიც დაემატა. დასავლურ საზოგადოებას დამაჯერებელი საბუთი მიეცა აღმოსავლეთისაკენ შეტევისათვის.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა. 1095 წლის 26 ნომბერს საფრანგეთის ქალაქ კლერმონში (ოვერნის დედაქალაქში), ღია ცის ქვეშ

შედგა ისტორიული საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა 14 პატრიარქი, ქიეპისკოპოსი, 225 ეპისკოპოსი და 100 აბატი, აქვე იყო სამღვდელოების ქვედა იერარქიის მრავალი წარმომადგენელი, ხოლო საეროთა დათვლა შეუძლებელი იყო. რომის პაპმა ურბან II-მ მგზნებარე სიტყვით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას. მან შეახსენა შეკრებილთ, რომ უკვე კარგა ხანია იერუსალიმის და პალესტინის წმინდა ადგილებს ურჯულო სელჩუკები დაეპატრონენ, ისინი ბილწავენ ქრისტიანულ სიწმინდეებს, შეურაცხყოფენ მისიონერებს, მლოცველებს და კიდევ სხვა მრავალ ბოროტებას ჩადიან. პაპი მიუთითებდა იმ საშიშროებაზეც, რომელიც კონსტანტინოპოლსა და მთელ დასავლეთს ემუქრებოდა; ამიტომ ის, როგორც ღვთის მოადგილე დედამიწაზე, ვალდებულად თვლის თავს, მოუწოდოს საღვთო ომისაკენ ყველას, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, გაილაშქრონ ურჯულოთა წინააღმდეგ და გაათავისუფლონ ქრისტეს საფლავი, რომელიც განსაცდელშია.

მაგრამ პაპის ამ მიმართვის შინაარსი რამდენადმე განსხვავდებოდა იმისგან, რაც ოდესღაც მხედველობაში ჰქონდა გრიგოლ VII-ს. იმპერატორ ალექსისადმი დახმარებამ და სელჩუკების განდევნამ მცირე აზიიდან თითქოს მეორე რიგში გადაინაცვლა, ყველაზე სასურველ უზენაეს მიზნად წმინდა ადგილებში ლოცვა და ქრისტიანობის ბატონობის აღდგენა გამოცხადდა. ამ შემთხვევაში ურბან II გამოჩნდა, როგორც ამაღლებული ასკეტი, რომელმაც მგზნებარე სიტყვებით მასის მისტიკური სწრაფვა გამოხატა. ამიტომ დატოვა მან წარუშლელი შთაბეჭდილება აქ შეკრებილ საზოგადოებაზე. პაპმა მომენტის შესაფერისი სიტუაცია შეარჩია. რომის ეკლესიის უმაღლეს მღვდელთმთავარს ხშირად აწყვეტინებდა სიტყვას შეძახილები: „ღმერთს ასე სურს“, „ღმერთს ასე სურს“, ბევრიც ტიროდა, ყველა დაირაზმა დიადი მიზნით გულანთებული. აქვე აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ პაპმა საეკლესიო კრებაზე აღმოსავლურ მიწებს „რძისა და თაფლის მდინარეების“ მიწა უწოდა.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა ორ ეტაპად წარიმართა: პირველ ეტაპზე მასში მონაწილეობდნენ საზოგადოების დაბალი ფენები (უპირატესად გლეხობა), ხოლო მეორე და გადამწყვეტ ეტაპზე უმთავრეს სოციალურ შემადგენლობას რაინდობა წარმოადგენდა. კლერმონის საეკლესიო კრების შემდეგ რომის პაპმა სპეციალური ლეგატები გაგზავნა სხვადასხვა მხარეში მოსახლეობის დასარაზმად. მქადაგებელთა შორის მალე სახელი გაითქვა პეტრე მწირმა (მეუდაბნოემ) ანუ პიერ ამიენელმა, რომელიც ჯერ კიდევ 1094 წელს იმყოფებოდა იერუსალიმის წმიდა ადგილებში. აქ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია „წარმართულ საშინელებებს“, რომელსაც სელჩუკები ჩადიოდნენ. როგორც ცნობილი საგა გადმოგვცემს, ერთხელ თურმე წმიდა საფლავთან ლოცვისას ჩაძინებულ პეტრე მწირს მაცხოვარი გამოეცხადა და მეუდაბნოეს აუწყა: „ძვირფასო შვილო პეტრე, ადექი, მიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს პატრიარქთან და გამოართვი ჩემ მიერ გაგზავნილი წერილი. სამშობლოში შენ უნდა მოუყვე იმ უბედურებათა შესახებ, რომელიც თავს დაატყდა წმინდა ადგილებს. შენ უნდა გამოაღვიძო მორწმუნენი, რათა გაწმინდონ იერუსალიმი და იხსნან წმინდანები წარმართთა მსახვრალი ხელისაგან, რამეთუ სამოთხის კარი ღიაა მათთვის, ვინც მე ავირჩიე და ვისაც მოვუწოდე".

სერიოზული იდეოლოგიური საფუძვლის შემდეგ პეტრე მწირმა ქადაგება დაიწყო და წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას. ამაში მას ხელს უწყობდა არაჩვეულებრივი ორატორული ხელოვნება. მალე მან ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ, როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ხალხი მის ჯორს (რითაც ის საქადაგებლად მოგზაურობდა) ბეწვს აძრობდა და ინახავდა, როგორც უწმინდეს რელიკვიას. განსაკუთრებულ წარმატებას ამიენელმა ცენტრალურ და ჩრდილოეთ საფრანგეთში მიაღწია, მალე აქაურ გლეხობას გერმანიიდან წამოსული გლეხობაც შეუერთდა და ჯვაროსნები, ათეულათასობით მოხუცი თუ ახალგაზრდა, პეტრე მწირის ხელმძღვანელობით დაიძრა აღმოსავლეთისაკენ. ეს მოხდა 1096 წლის გაზაფხულზე. მიმართულებად აღებული იყო მდინარე რაინის დინება, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ასვლა და შემდეგ კონსტანტინოპოლიდან მცირე აზიაში გადასვლა. მათი შეიარაღება, ცხადია, აბსოლუტურად ვერ პასუხობდა რაიმე სერიოზულ სამხედრო ოპერაციის მოთხოვნილებებს, შეიარაღებულნი იყვნენ ცულებითა და ნაჯახებით. ამას თან ერთვოდა სურსათით მოუგვარებლობის პრობლემაც. ამიტომაც იყო, რომ შიმშილით შეწუხებული ჯვაროსნები იძულებულნი გახდნენ რაინისპირა რაიონები დაერბიათ. ძარცვა-რბევა უნგრეთისა და ბულგარეთის ტერიტორიაზეც გაგრძელდა. ამას ადგილობრივ მოსახლეობასთან შეტაკებები მოჰყვა, რამაც ჯვაროსანთა მნიშვნელოვანი ნაწილის დაღუპვა გამოიწვია.

პეტრე ამიენელმა სიტუაციის გამოსწორება ვერ შეძლო. როდესაც ის კონსტანტინოპოლში ჩავიდა, მან აუდიენცია მიიღო იმპერატორ ალექსისაგან, რომელმაც მუდაბნოეს უთხრა, რომ ასეთი შენაერთები სელჩუკთა წინააღმდეგ საბრძოლველად ნაკლებად გამოდგებოდა, ამიტომ უპრიანი იქნებოდა უფრო სერიოზულ ჯარებს დალოდებოდნენ. პეტრე მწირი საკმაოდ წინდახედული პიროვნება გახლდათ და ის იმპერატორს დაეთანხმა, თუმცა სიტყვის შესრულების საშუალება მას არ მიეცა. საქმე ისაა, რომ იმპერატორმა ჯვაროსნებს ნება დართო ევაჭრათ და მშვიდად ყოფილიყვნენ, მაგრამ ესოდენ მდიდარი ქალაქის ხილვით მოხიბლულმა ბრბომ ცდუნებას ვერ გაუძლო და ქალაქის ძარცვა დაიწყო. მეორე ნაწილი იმასაც ამბობდა, რომ ამ ქალაქში მოცდა სამარცხვინო იყო, მაშინ, როცა წმინდა საფლავი გათავისუფლებას ელოდება. ამიტომ საჭიროება მოითხოვდა დროულად გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეგრძოთ ლაშქრობა. უხერხული სტუმრების თავიდან მოშორებით, პირველ ყოვლისა, იმპერატორი იყო დაინტერესებული.

პეტრე ამიენელი იძულებული გახდა ბოსფორზე გადასულიყო. ჯვაროსნები ძარცვას განაგრძობდნენ, მალე პეტრე მწირმა თავისი გავლენა სრულიად დაკარგა და იძულებული გახდა კონსტანტინოპოლში დაბრუნებულიყო. ციხესიმაგრე ექსეროგორგოსთან თურქ-სელჩუკებმა ალყა შემოარტყეს ჯვაროსნებს. მათი დიდი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, დანარჩენი ტყვეობაში აღმოჩნდა და მონებად გაყიდეს. ასე უსახელოდ დასრულდა ჯვაროსანთა ლაშქრობის პირველი ეტაპი.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის მეორე ეტაპი. კლერმონში, პაპმა ურბან II-მ თავისი ცნობილი გამოსვლიდან უკვე მეორე დღეს მიიღო ცნობა, რომ რაიმონდ სენ ჟილელი, ტულუზის გრაფი და პროვანსის მარკგრაფი მონაწილეობას მიიღებდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში. რაიმონდი გარდა იმისა, რომ ძალზე მდიდარი კაცი იყო, საკმაოდ წინდახედული პიროვნებაც გახლდათ, ამასთანავე, ეკლესიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ის და ეპისკოპოსი ადემარი, რომელიც ჯვაროსანთა ლაშქრობაში პაპის ლეგატს (რწმუნებულს) წარმოადგენდა, დალმაციაზე გავლით წავიდნენ.

ჯვაროსანთა მეორე მთავარ დაჯგუფებას ფლანდრიის ლაშქარი წარმოადგენდა. მას სათავეში ედგა ქვედა ლოთარინგიის ჰერცოგი გოტფრიდ ბულონელი. მისი მშობლები იყვნენ: ევსტახიოსი ბულონის გრაფი იდა, ქვედა ლოთარინგიის ჰერცოგის და. მამაც და დედაც კარლოს დიდის შთამომავლები იყვნენ, ცხადია, სხვადასხვა განშტოებით. ფლანდრიის ლაშქარი საფრანგეთიდან გერმანიის იმპერიამდე იყო გავრცობილი, ამიტომ მას სხვა რაინდებიც ხელმძღვანელობდნენ. აქვე იყო გოტფრიდ ბულონელის ძმა ბოდუენი (ბოლდუინი).

მესამე მნიშვნელოვან დაჯგუფებას ტორენტოს ჰერცოგი ბოჰემუნდი ხელმძღვანლობდა, ცხადია, იტალია ვერ დარჩებოდა გულგრილი ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი. ბოჰემუნდ ტარენტელი, რობერტ გვისკარის შვილი, სამხრეთ იტალიიდან ბალკანეთზე გავლით ბიზანტიაში გადავიდა, სადაც ყველა ლაშქარი უნდა შეკრებილიყო. ჩრდილოეთ საფრანგეთიდან ორი ლაშქარი გაემართა ბიზანტიის მიმართულებით. ჯვაროსნულ ლაშქრობაში აქტიურად ჩაება უილიამ დამყრობლის ძმა რობერი. საფრანგეთის მეფის ძმამ ჰუგო ვერმანდუამ ასევე მხარი დაუჭირა ჯვაროსნულ ლაშქრობას. ფაქტობრივად მთელი დასავლეთ ევროპა ჩაება ლაშქრობაში.

რაც შეეხება ბიზანტიას, მისი იმპერატორი ალექსი კომნენოსი უკვე იმაზე ფიქრობდა, თუ რა უბედურება შეიძლებოდა მოეტანათ ჯვაროსნებს. ამიტომ ის საგულდაგულოდ მოემზადა.

ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლში თავი მოიყარეს მხოლოდ 1097 წლის გაზაფხულზე. აქ თავი იჩინა წინააღმდეგობამ. საქმე ისაა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვაროსნებს სელჩუკთაგან უნდა გაეთავისუფლებინათ ის ადგილები, რომლებიც ადრე ბიზანტიას ეკუთვნოდა. ამ ქვეყნის იმპერატორიც იმას მოითხოვდა, რომ ისინი კვლავ ბიზანტიას დაბრუნებოდნენ, ჯვაროსნები კი ამტკიცებდნენ, რომ მათ მიერ სისხლით მოპოვებული მიწები, მათივე კუთვნილება უნდა გამხდარიყო. ბიზანტიის იმპერატორმა, ანა კომნენის თქმით, ჯვაროსანთა მეთაურებთან ცალ-ცალკე გამართა მოლაპარაკება და კომპრომისულ შეთანხმებას მიაღწია. ამ შეთანხმების მიხედვით, ჯვაროსანთა მიერ გათავისუფლებული მიწები მათივე საკუთრება ხდებოდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ცნობდნენ ბიზანტიის იმპერიაზე ვასალურ დამოკიდებულებას.

ჯვაროსნები სწორედ ამ შეთანხმების შემდეგ გადავიდნენ მცირე აზიაში. აქ მათ მოკავშირეებიც დახვდათ ადგილობრივი სომხების სახით. პირველად აღებულ იქნა იკონია, შემდეგ გაიყო ლაშქარი და ერთი ნაწილი ედესისაკენ გაემართა. ედესა ჯვაროსნებმა აიღეს ბოდუენის მეთაურობით. იგი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი იყო და მესოპოტამიიდან სირიაში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ასე დაარსდა ედესის საგრაფო.

ამის შემდეგ გააფთრებული ბრძოლებით ჯვაროსნები ანტიოქიას მიუახლოვდნენ, რომელიც მცირე აზიაში უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ცენტრი იყო. ანტიოქიას 445 კოშკი ჰქონდა, კედლის სისქე ისეთი იყო, რომ მასზე ოთხთვალას თავისუფლად შეეძლო გავლა. ჯვაროსნებს რაც შეიძლება მალე უნდა აეღოთ ეს ქალაქი, რადგან ზამთარი ახლოვდებოდა, თან ცნობა მოვიდა, რომ ქერ-ბუღა უახლოვდებოდა ანტიოქიას. აქ საკითხი ბოჰემუნდმა გადაწყვიტა. ანტიოქია მისი მისწრაფების საგანს წარმოადგენდა. მისი მიზანი იყო აქ თავისი სამფლობელოს დაარსება. ბიზანტიის წარმომადგენელი თათიკიოსი, რომელიც მეთვალყურედ მიჰყვებოდა ჯვაროსნებს, გაიხმო ბოჰემუნდმა და შეაშინა ცრუ გაფრთხილებით, რომ ჯვაროსანთა დანარჩენ მეთაურებს, გარდა ბოჰემუნდისა და რაიმონდ ტულუზელისა, არაკეთილმოსურნე მიზნები ამოძრავებდათ, ხოლო ეს მეთაურები, თავის მხრივ, იმით დააშინა, რომ შემდეგ ჯვაროსნულ დაშჭრობებში არ მიიღებდნენ მონაწილეობას, თუ მას ჯილდოდ ანტიოქიას არ მისცემდნენ. გარდა ამისა, მან მოკავშირე მოძებნა თავად ალყაშემორტყმული ქალაქის შიგნით. ეს იყო წარმოშობით სომეხი ფირუზა, კუთხის კოშკის მეთვალყურე და ხელმძღვანელი; ეს კოშკი ქალაქის დასავლეთით მდებარეობდა. სწორედ ამ კოშკთან მოუყარა თავი ბოჰემუნდმა 1098 წლის 2 ივნისს თავისი შეიარაღებული ძალის მნიშვნელოვან ნაწილს. განთიადისას გამართეს კიბე, რომლის საშუალებითაც უნდა დაწყებულიყო შეტევა ქალაქზე. ბოჰემუნდის მეომრები მალე ქალაქში შეიჭრნენ. მოულოდნელობით თავზარდაცემულმა სელჩუკებმა მინიმალური წინააღმდეგობა გაუწიეს ჯვაროსნებს. მალე კარებიც გააღეს. „ქრისტეს მეომრებმა“ დიდი სისხლისღვრა დაატრიალეს ან-

ტიოქიაში. არაქრისტიანი ქალაქის მაცხოვრებლები თითქმის მთლიანად გაანადგურეს, ხოლო მათი სახლები პირწმინდად გაძარცვეს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოსულის ემირი ქერბუღა სამი დღის შემდეგ მოვიდა დიდი ძალებით, მაგრამ მანაც წარუმატებლობა განიცადა, არ დაიჯერა რა საკუთარი დედის რჩევა, რომელმაც წერილი მისწერა მას იმის თაობაზე, რომ ეს არის ბრძოლა ქრისტესა და ალაჰს შორის, სადაც სამართლიანობა ქრისტეს მხარეზეა, ამიტომ გირჩევ თავი შეიკავო ბრძოლისგანო. ახლად დაპყრობილ ტერიტორიაზე დაარსდა ანტიოქიის სამთავრო, რომლის მმართველად ბოჰემუნდ ტარენტელი იქნა გამოცხადებული. ანტიოქიის სამხრეთით მდებარე ტრიპოლის ოლქი წილად ხვდა რაიმონდ ტულუზელს.

1099 წლის გაზაფხულზე ჯვაროსნები, დაახლოებით 20000 კაცი, იერუსალიმისაკენ დაიძრნენ. ჯვაროსნები სანაპიროს გაუყვნენ მდიდარი ქალაქების – ბეირუთის, სიდონის, ტირისა და აკონას გვერდის ავლით. როდესაც ისინი იერუსალიმს მიუახლოვდნენ, ჯარში ყოვლგვარი წესრიგი დაირღვა. 7 ივნისს, როცა მათ წმინდა ქალაქის კედლები და კოშკები შენიშნეს, მგზნებარე ღვთისმოსაობით გულანთებულნი მუხლებზე დაეცნენ და ღვთისადმი ლოცვა აღავლინეს. რობერტ ნორმანდიელმა და რობერტ ფლანდრიელმა ბანაკი დასცეს ქალაქის ჩრდილოეთის მხარეს; დასავლეთით გამაგრდნენ ტანკრედი და გოტფრიდ ბულონელი; რაიმონდ ტულუზელმა პოზიცია დაიკავა სამხრეთით, ხოლო აღმოსავლეთის მხარე, სადაც ზეთის ხილის მთა იყო აღმართული, დაუკავებელი რჩებოდა. უკვე რამდენიმე დღის შემდეგ, ყოველგვარი მომზადების გარეშე დაიწყო შტურმი ქალაქზე, ძალზე ამაღლებული საბრძოლო განწყობით, თუმცა ერთი შეტევით იერუსალიმის აღება შეუძლებელი აღმოჩნდა. ჯვაროსნებს არც საალყო მანქანები აღმოაჩნდათ საკმაო რაოდენობით და არც საკვები პროდუქტები. სწორედ ამ დროს სანაპიროსთან გამოჩნდა გენუისა და ვენეციის რამდენიმე ხომალდი, რომელთაც საკმაო რაოდენობით საბრძოლო კიბეებიც ჩამოიტანეს და ყველამხრივ აღმოუჩინეს დახმარება ჯვაროსნებს. ქალაქზე იერიში განახლდა. უკვე 8 ივლისს ჩრდილოეთის მხრიდან ნორმანების, ლოთარინგიელებისა და ფლანდრიელების შეერთებული ძალებით ერთი კოშკი გადაწვეს იქნა, მაგრამ რადგანაც აქ კედლები ძალზე კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მეორე დღეს კოშკი გადასწიეს უკვე აღმოსავლეთის მხარეს. დასავლეთის მხარის კოშკთან პროვანსელებმა ბრძოლა ოთხი დღის დაგვიანებით გააჩაღეს არახელსაყრელი ნიადაგის გამო. ადრიან დილით 14 ივლისს როგორც ზემოთ, ისე ქვემოთ მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლები და მეორე დღეს უკვე ამას ორივე მხარე გრძნობდა, საქმე საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო ასე თუ ისე; და 15 ივლისს, სწორედ იმ დროს, როცა „ქრისტემ ოდესღაც დაასრულა თავისი ტანჯვა“, ჯვაროსნებმა ხიდი გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იერუსალიმის აღება

სტყორცნეს აღმოსავლეთ კოშკიდან, პირველი გოტფრიდ ბულონელი შეიჭრა ქალაქში, მალე მას ტანკრედი და რობერტი მიჰყვნენ შენგრეული კედლიდან თავიანთი შენაერთებით. კარგად გაართვეს თავი ამოცანას პროვანსელებმაც, რომელნიც აღაფრთოვანა ზეთისხილის მთის მწვერვალზე მოელვარე რაინდის გამოჩენამ. იერუსალიმში დიდი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა: ,,მხედართა მუხლებამდე და ცხენების მუცლამდე იზრდებოდა დახოცილთა გვამები, საიდანაც სისხლი ჩქეფდა". სოლომონის ტაძარში თავი შეაფარეს მუსლიმანებმა იმ იმედით, რომ ჯვაროსნები აქ მაინც დაინდობდნენ მათ, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ, აქ 10 ათასამდე კაცი გაანადგურეს ,,ქრისტეს მეომრებმა". როგორც ფულკელ შარტრელი აღნიშნავს: ,,თქვენ შეგეძლოთ გენახათ... ჩვენი საჭურველთმტვირთველნი (რომელთაც სარაცინების ეშმაკობა შეიტყვეს) მოკლულებს როგორ უფატრავდნენ მუცლებს, რათა იქიდან ოქროს მონეტები ამოეღოთ, რომლებიც მათ სიცოცხლეში გადაეყლაპათ... საქმის გასაადვილებლად მათ რამდენიმე დღის შემდეგ ცხედრები ერთ ადგილას დააწყეს, დაწვეს და ფერფლად აქციეს, რათა უფრო სწრაფად მოენახათ ოქროები". ასე ჩამოაცილეს ჯვაროსნებმა დიდი ცოდვა იერუსალიმს. ასეთია რელიგიური ინტერპრეტაციის უმკაცრესი რეალობა.

ჯვაროსნული სახელმწიფოები აღმოსავლეთში. იერუსალიმის აღების შემდეგ დღის წესრიგში ქალაქის ხელმძღვანელობის საკითხი დადგა. სამღვდელოება ქალაქში სასულიერო პირის დასმის მომხრე იყო, რასაც მთავრები და რაინდობა ეწინააღმდეგებოდა. მათ შორის ყველაზე მდიდარი და ყველაზე ძლიერი შენაერთების მეთაური რაიმონდ ტულუზელი იყო. მას შესთავაზეს კიდეც გვირგვინი, მაგრამ იგი წინააღმდეგი წავიდა. როგორც ჩანს, ის მართლაც მოერიდა ,,ამ ადგილას მიწიერი გვირგვინის ტარებას", ან არ იყო დარწმუნებული საკუთარი ჯარის შემდგომ ქმედებაში, მით უმეტეს, რომ ზოგიერთები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მის მიმართ. ბოლოს არჩევანი გოტფრიდ ბულონელზე შეჩერდა, მაგრამ იგი აირჩიეს არა იერუსალიმის მეფედ, არამედ წმინდა საფლავის დამცველად, ამგვარი ,,მოკრძალებული", თუმცა საპატიო ტიტული თავად ჰერცოგმა მოითხოვა. ამრიგად, 1099 წლის 22 ივლისს გოტფრიდ ბულონელი პირველი ქრისტიანი მბრძანებელი გახდა გათავისუფლებული იერუსალიმისა, ხოლო ახლად წარმოშობილი სამეფოს საბოლოო გაფორმება მისი მომდევნო მეფის ბოდუენის (ბოლდუინის) დროს (1100-1118) მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯვაროსანთა სამფლობელო

იერუსალიმის სამეფო მოიცავდა მთელ პალესტინასა და სირიის სამხრეთ მიდამოებს, თუმცა ედესისა და ტრიპოლის საგრაფოები და ანტიოქიის სამთავრო პოლიტიკურად მასზე დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ. სამეფო ფრანგულ ყაიდაზე მოეწყო. მთავარი ენა იყო ფრანგული, მოქმედებდა ფრანგული სამართალი – „იერუსალიმის ასიზები“ – ერთგვარი ფეოდალური კონსტიტუცია, რომელიც XIII საუკუნის რედაქციითაა ცნობილი. აქ მოქმედებდა ფეოდალური დევიზი – primius inter pares, ე.ი. მეფე იყო პირველი თანასწორთა შორის. „იერუსალიმის ასიზებში“ ყველა ეს ურთიერთობა დაფიქსირებულია.

სახელმწიფოს პოლიტიკური წყობის საფუძველში ფეოდალური იერარქია იდო, ფეოდის მქონე რაინდები ერთმანეთთან ვასალიტეტის პრინციპით იყვნენ დაკავშირებულნი და სამხედრო ვალდებულნი იყვნენ სიუზერენის წინაშე, თუმცა ისინი ბარონებთან ერთად ირჩევდნენ მეფეს, თანაც მოვალენი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ სამეფო კურიის ანუ უმაღლესი დარბაზის სხდომებში, რომელიც იმავდროულად ფეოდალურ სასამართლოსა და სამხედრო-პოლიტიკურ საბჭოს წარმოადგენდა. ის გარკვეულწილად ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას. მის გარეშე მეფეს რაიმე სერიოზული გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო.

ჯვაროსნულ სახელმწიფოებში ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საზოგადოების დაბალი ფენები. თურქ-სელჩუკებს მიწა თავდაპირველად მხოლოდ საძოვრებისათვის აინტერესებდათ, ფეოდალური ურთიერთობანი მათში ჩამოყალიბებული არ იყო, მაშინ, როდესაც ეს პროცესი დასავლეთ ევროპაში კარგა ხანია შორს იყო წარსული. ამიტომ პირველ ეტაპზე სელჩუკები გლეხობას მიწის თავისუფლად დამუშავებაში ხელს არ უშლიდნენ, რამაც მათი მუსლიმი მბრძანებლებისადმი ლოიალური დამოკიდებულება განაპირობა; ჯვაროსნებმა კი გლეხობა პირად დამოკიდებულებაში მოაქციეს და მოსთხოვეს შემოსავლის მესამედიდან ნახევრამდე (ეს იქნებოდა ხორბალი, ქერი, ფეტვი თუ თხილი) გაეღო. ისინი ძალზე ძლიერი ზეწოლის ქვეშ მოექცნენ. ამიტომაც ხშირი იყო შეტაკებები საზოგადოების ქვედა ფენებსა და მოსულ ბატონებს შორის.

ჯვაროსნულ სახელმწიფოებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სავაჭრო ურთიერთობები. მასში ძირითადად იტალიური ქალაქები – ვენეცია, გენუა და პიზა მონაწილეობდნენ. ეს ქალაქები დაინტერესებულნი იყვნენ საგარეო ბაზრის განვითარებით და სრულებითაც არ უწყობდნენ ხელს ჯვაროსან-

თა სახელმწიფოებს შორის შიდა ეკონომიკური კავშირის შექმნას. იტალიელმა ვაჭრებმა სირიისა და პალესტინის საპორტო ქალაქებში მნიშვნელოვანი პრივილეგიები მოიპოვეს. ისინი დამოუკიდებულნი იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან და იტალიაში დანიშნული კონსულებისაგან იმართებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჯვაროსანთა სახელმწიფოები მყარი არ იყო. ეს იყო ძირითადად დაქუცმაცებული სამფლობელოები, თანაც მათი საზღვარი გადაჭიმული იყო თითქმის 1200 კმ-ის მანძილზე, რაც აძნელებდა თავდაცვის საქმეს, მართალია, ჯვაროსნები ძირითადად სანაპირო ქალაქებში ცხოვრობდნენ, ჩაკეტილ და კარგად გამაგრებულ სიმაგრეებში, მაგრამ მათ სამხრეთიდან ეგვიპტე ემუქრებოდა, აღმოსავლეთიდან (სირიის უდაბნოდან) — სელჩუკი ემირები; გარდა ამისა, ერთმანეთშიც არ ჰქონდათ მაინცდამაინც ჰარმონიული ურთიერთობა. იმ შენაერთების სამხედრო-ორგანიზაციული ფორმა, რომელიც ჯვაროსნებს გააჩნდათ, მოთხოვნებს აღარ პასუხობდა. საჭირო იყო რეგულარული არმია. ამიტომ გადაწყდა შექმნილიყო განსაკუთრებული სამხედრო-რაინდული ორდენები.

1099 წელს ფრანგმა რაინდებმა საფუძველი ჩაუყარეს იოანიტების ანუ ჰოსპიტალიერების (ერთ-ერთი შენობა გამოყენებული იყო ჰოსპიტლად, აქედან წარმოდგა სახელწოდებაც) ორდენს, 1119 წელს კი, ასევე ფრანგმა რაინდებმა შექმნეს ტამპლიერების ანუ ტაძროსნების (მათ ეკუთვნოდათ შენობა, რომელიც გადიოდა ტაძრისაკენ, აქედან წარმოდგა სახელწოდებაც). XII საუკუნის ბოლოს, 1199 წელს ჩამოყალიბდა კიდევ ერთი — ტევტონთა ორდენი, რომელიც ძირითადად გერმანელი რაინდებისაგან შედგებოდა.

ორდენებში გაერთიანებულნი იყვნენ ნახევრად მონაზვნები და ნახევრად სამხედრო პირები, რომლებიც კარგად ფლობდნენ ლახვარსა და მახვილს. მათ სამხედრო აღჭურვილობას ფარავდა ბერული მოსასხამი (ტამპლიერები ატარებდნენ თეთრ მოსასხამს წითელი ჯვრით, ჰოსპიტალიერები — წითელ მოსასხამს თეთრი ჯვრით, ხოლო ტევტონები — თეთრ მოსასხამს შავი ჯვრით). ორდენებს გააჩნდათ როგორც თავდაცვითი, ისე შემტევი ფუნქცია, გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლების აღსაკვეთადაც საიმედო ძალას წარმოადგენდა. მათში უმკაცრესი დისციპლინა სუფევდა. მათ ხელმძღვანელობდნენ უმაღლესი მაგისტრები, გააჩნდათ საკუთარი წესდება და ემორჩილებოდნენ უშუალოდ პაპს. ისინი სარგებლობდნენ მრავალი პრივილეგიით და დროთა განმავლობაში უმსხვილესი მიწათმფლობელნი ხდებოდნენ არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც.

უილიამ ტირელის ცნობით, თავდაპირველად ტამპლიერების ორდენში სულ 9 წევრი იყო, ხოლო მოგვიანებით იგი 300-მდე გაიზარდა. „ამბობენ, რომ მათი სამფლობელოები, როგორც ზღვის აქეთ, ისე ზღვის იქითა მხარეს დიდია; ქრისტიანულ სამყაროში არაა ოლქი, რომელსაც თავისი სა-

მფლობელობის ნაწილი აღნიშნული ძმებისათვის არ გადაეცეს და ამბობენ, რომ თავიანთი სიმდიდრით ეს ძმები მეფეებთან თანაბარნი არიან.“

ამ ორდენებმა ყველაზე გვიან დატოვეს პალესტინა.

ჯვაროსანთა II ლაშქრობა. სამხედრო-რაინდულმა ორდენებმა, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, თავდაპირველად მნიშვნელოვნად განამტკიცა ჯვაროსანთა სამეფო-სამთავროები, მაგრამ სულ მალე ჯვაროსნების ერთიანობა დაირღვა, ამას დაემატა შიდა აბოხებები და მუსლიმ ემირთა შეკავშირება, რის შედეგადაც ზოგიერთი სამფლობელო ჯვაროსნებმა დაკარგეს. 1144 წელს მოსულის ემირმა ემილმა მოულოდნელი იერიშების მიტანით ედესა დაიპყრო. ედესის საგრაფოს დაცემა ახალი მეხის დაცემა იყო ევროპაში, ვინაიდან ამგვარი ბედი ანტიოქიასაც შეეძლო გაეზიარებინა. გამოსავალი ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობებში იპოვეს. ამჯერად იდეოლოგიურ სამზადისს ახალი პაპი ევგენი III შეუდგა. რომის პაპმა ქადაგება დაავალა აბატ – ბერნარდს კლერმონიდან, ის ტამპლიერების ორდენის მეთაური იყო. გეზი აღებულ იქნა საფრანგეთის მეფე ლუი VII-ზე და გერმანიის იმპერატორ კონრად III-ზე. ორთავემ სიამოვნებით მიიღო შეთავაზება. დიდი რაოდენობით შეიარაღებული ძალების თავმოყრის შემდეგ 1147 წელს დაიწყო ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა.

ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა იწყებოდა მეციდან, აქედან სამხრეთით მიემართებოდა ჩეხეთისაკენ, შემდეგ კი უნგრეთისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე გადასვლითა და კონსტანტინოპოლის გავლით წარიმართებოდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ. მაგრამ ამ მიმართულებით წასული გერმანელთა პირველი შენაერთები სელჩუკებმა მცირე აზიაში გაანადგურეს. ფრანგული ნაწილები კი იტალიის გავლით საზღვაო გზით გაემართნენ პალესტინისაკენ. გერმანელები კი ფრნაგებს არ დაელოდნენ ბოსფორთან, ესწრაფოდნენ რა სწრაფ ლაშქრობას მცირე აზიის სიღრმეში, რამაც განაპირობა კიდეც მათი მარცხი.

ფრანგი ჯვაროსნები დამასკომდე მივიდნენ. მათ ალყა შემოარტყეს ქალაქს. მაგრამ, ქალაქის აღება ვერ შეძლეს. ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა 1149 წლამდე გაგრძელდა და იგი სრული კრახით დასრულდა. მარცხის მიზეზთა შორის ისიც იყო, რომ აღმოსავლეთში უკვე დაბინავებული ევროპელი ბარონები ჯვაროსნებს აღარავითარ დახმარებას აღარ უწევდნენ, მიაჩნდათ რა ისინი თავიანთ კონკურენტებად. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1147 წელს პარალელური ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყო სლავების წინააღმდეგ, ლაშქრობის საბაბად სლავთა კერპთაყვანისმცემლობა გამოცხადდა. მაგრამ ამავე წელს ლაშქრობა სამარცხვინოდ დასრულდა, მთავარმა ნიკლოტმა ჯვაროსნები დაამარცხა.

ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობა. XIII საუკუნის მეორე ნახევარში ფატიმიდების დინასტიის დამხობის შემდეგ (1171 წელს) ეგვიპტე, სირიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალადინი

მნიშვნელოვანი ნაწილი და ჰიჯაზი ნიჭიერმა და ცნობილმა მხედართმთავარმა სალაჰ-ად-დინმა (სალადინი) გააერთიანა, ფაქტობრივად შექმნა უზარმაზარი სამეფო, რომელიც დაწინაურდა არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც. ცხადია, სალადინმა თავისი ძალები ჯვაროსნების წინააღმდეგ მიმართა. მან ჯვაროსნებს „სალვთო ომი" გამოუცხადა. პირველი მარცხი ჯვაროსნებმა 1187 წლის ივლისში სოფელ ხატონთან და ტიბერიადის ტბას შორის იწვნიეს. მაჰმადიანთა ლაშქარს აქ სალადინის შვილი ალმელიკ ალაფდალი ხელმძღვანელობდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში სალადინმა ხელთ იგდო სიდონი, ბეირუთი, ასკალონი, იაფა. ამის შემდეგ დაუპყრობელი რჩებოდა მხოლოდ რამდენიმე მსხვილი რაინდული ციხესიმაგრე, ასევე ტირი და იერუსალიმი. ტირი ის-ის იყო უნდა დაცემულიყო, მაგრამ აქ მოვიდა დასავლელი მთავარი, მარკგრაფი კონრად მონფერატელი, რომელმაც ძალზე მტკიცე და შეუპოვარი პოზიცია დაიკავა და სალადინმაც გარკვეული დროით ამ ქალაქს თავი დაანება. ასკალონის დაცემის შემდეგ სულთანმა მთავარი ყურადღება უმთავრეს მიზანს – იერუსალიმს მიაპყრო. მან „თავდამბლურად" კაპიტულაციის პირობით მიმართა ქალაქის ხელმძღვანელობას, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა და სალადინმა ფორმალური ალყა გამართა. შეტევა 1187 წლის 20 სექტემბერს დაიწყო დაახლოებით იმ პოზიციებიდან, საიდანაც 1099 წელს ჯვაროსნებმა მიიტანეს იერიში. როცა ბრძოლის სასწორი სულთნის მხარეს გადაიხარა, ჯვაროსანთა სამხედრო ხელმძღვანელობამ მოლაპარაკება სცადა, მაგრამ სალადინმა ამჯერად მძიმე პირობები წამოაყენა. იგი მოითხოვდა გამოსასყიდს: თითოეულ მამაკაცზე 10 ოქროს დინარს, ქალზე 5 დინარს, ბავშვებზე 1 ოქროს დინარს. ვინც გამოსასყიდს ვერ გადაიხდიდა მონობა ემუქრებოდა. 2 ოქტომბერს იერუსალიმის კარები გააღეს და სალადინმა ქალაქი დაიკავა. ჯარისკაცებმა სხვადასხვა სახის დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ სულთანი და მისი შენაერთების ხელმძღვანელები ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ დევნილ ქრისტიანთა ისედაც მძიმე ხვედრი. მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა დაიღუპა. მთელი მუსლიმანური სამყარო დიდ გამარჯვებას ზეიმობდა.

1189 წლიდან ჯვაროსანთა განაკრგულებაში დარჩა მხოლოდ ანტიოქია, ტრიპოლი, ტირი და ჰოსპიტალიერების ციხესიმაგრე მარკატი. იერუსალიმის დაცემის შემდეგ, ცხადია, ამ ევროპული კოლონიების ჯერიც დადგებოდა, ამიტომ დაუყოვნებლივ დაიწყო ახალი – მესამე ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მზადება.

მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო 1189 წელს და გაგრძელდა 1192 წლამდე. მასში ჩაება სამი ძლიერი სახელმწიფო: გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი. ამ ლაშქრობას მათი მეფეები პირადად ხელმძღვანელობდნენ. ესენი იყვნენ: გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა, ენერგიული, გამოცდილი და იტალიის ქალაქების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, საფრანგეთის მეფე ფილიპე II ოგიუსტი, ცნობილი თავისი წინდახედულებითა და პოლიტიკური ალღოთი, მეფე, რომელმაც ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლო დაამარცხა და პირველმა ჩაუყარა საფუძველი. ძლიერი სამეფო ხელისუფლების წარმოქმნას საფრანგეთში; ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული, ჭეშმარიტად რაინდული სულის მეფე, ცნობილი თავისი გმირობითა და ვაჟკაცობით, რომელმაც ამ ლაშქრობაში გაითქვა სახელი.

ლაშქრობა ფრიდრიხ ბარბაროსამ დაიწყო. იგი მცირე აზიაში გადავიდა დარდანელის სრუტით. ბიზანტია ამ დროისათვის (ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე) ჯვაროსნებს ნდობის თვალით აღარ უყურებდა, პირიქით, მათ სალაღინთან დაამყარეს მეგობრული ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, ფრიდრიხ ბარბაროსამ ძლიერი შენაერთებით მოახერხა ბიზანტიის მნიშვნელოვანი ტერიტორიის გავლა, იგი სირიაში გადავიდა, თუმცა ეს გზა სიძნელეებით იყო აღსავსე, ვინაიდან მათ მთებზე მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით უხდებოდათ სვლა. 9 ივნისს მშიერ-მწურვალმა ჯვაროსნებმა დაძლიეს უკანასკნელი მთა და თავიანთი ბანაკი გაშალეს მდინარე სალეფის სანაპიროსთან. იმპერატორმა ჯარს სალეფის სანაპიროსთან ჩამოსვლა მოასწრო სხვა ბილიკის საშუალებით. მშვენიერი ბუნების ფონზე მან ისადილა და მდინარეზე გადასვლა დაიწყო, თავისი ხალხი უშლიდა მას ამის გაკეთებას, მაგრამ მოხუცმა იმპერატორმა არ დაიჯერა და ტალღებს შეუყვა, მთის მდინარემ ფრიდირხ ბარბაროსა გაიტაცა. წყლიდან ის უსულოდ ამოიყვანეს. მემატიანე აღნიშნავს: „კალამი არ მემორჩილება და სიტყვა მიმუნჯდება, წარმოვაჩინო ის შიში და მწუხარება, რომელმაც მოიცვა პილიგრიმები (მომლოცველები). თქვენ საშუალება გეძლევათ არათუ წაიკითხოთ, არამედ იგრძნოთ უბედურება და სასოწარკვეთილება, თავს დატეხილი უამრავ ადამიანზე, რომელნიც დარჩნენ უცხო ქვეყანაში დაუცველნი, უიმედოდ და უმეთაუროდ“.

საფრანგეთის მეფე ფილიპე II ოგიუსტი და ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული იმთავითვე ცდილობდნენ ისლამის წინააღმდეგ ახალი დიდი ლაშქრობის წამოწყებას, მაგრამ ამას ხელს შინაგანი წინააღმდეგობანი უშლიდა. ამ ორ მეფეს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, თუმცა მათ დროებით მიივიწყეს ეს მტრობა და ერთად დაიწყეს ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ ხმელთაშუა ზღვით. 1191 წელს ჯვაროსნებმა გაერთიანებული ძალებით აკრა აიღეს. მაგრამ მოულოდნელად ფილიპე II თავისი შეიარაღებული შენაერთებით საფრანგეთში დაბრუნდა. არსებობს მოსაზრება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ფილიპე II-მ ავადმყოფობის გამო გადადგა ეს ნაბიჯი, მაგრამ არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომ საფრანგეთის მეფე შიშობდა მის წინააღმდეგ შეთქმულებაზე რიჩარდ ლომგულისა და სალადინის მხრიდან. გარდა ამისა, სწორედ ამ დროს გარდაიცვალა ფლანდრიის გრაფი ფილიპე და ფილიპე II ოგიუსტი, ალბათ პრეტენზიას განაცხადებდა ფლანდრიაზე; ამას წინ უნდა აღდგომოდა რიჩარდ ლომგული, მაგრამ ინგლისის ამაყმა მეფემ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე უარი არ თქვა და ფიცი დაადებინა საფრანგეთის მეფეს, რომ ის ინგლისური ტახტის სამფლობელოებს ხელს არ ახლებდა.

რიჩარდი ამის შემდეგ კვლავ აგრძელებს ლაშქრობას, მას არაერთი შეტაკება მოუხდა სალადინთან, ყველა ეს ბრძოლა აღსავსეა მართლაც რაინდული და მოწინააღმდეგის დაფასების მაგალითებით. ლაშქრობა 1192 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს სამწლიანი საზავო ხელშეკრულება დაიდო სალადინთან.

მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის მნიშვნელოვანი მონაპოვარი რიჩარდ ლომგულის მიერ ბიზანტიელთა კუნძულის – კვიპროსის დაპყრობა იყო. აქ მან სამეფო დაარსა, რომელმაც XV საუკუნის მეორე ნახევრამდე იარსება.

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა. უდიდესი ტრიუმფის მოლოდინი მეორედ გაუცრუვდათ გერმანელ ჯვაროსნებს. საქმე ის არის, რომ 1197 წლის 28 სექტემბერს 32 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა რომის საღვთო იმპერატორი ჰაინრიხ VI შტაუფენი, რომელზედაც გერმანული სამხედრო შენაერთები ამყარებდნენ დიდ იმედებს იერუსალიმის გასათავისუფლებლად. მთავრებმა და რაინდებმა შინ დაბრუნება დააჩქარეს, რათა მონაწილეობა მიეღოთ იმ სახელმწიფოებრივ ცვლილებებში, რომელიც მოსალოდნელი იყო გერმანიასა და იტალიაში.

გერმანიის მეფის გვირგვინი ჰაინრიხ VI-ის ძმამ ფილიპე შვაბიელმა მიიღო. მაგრამ მისი პოზიციები მყარი არ იყო. შტაუფენებისადმი დაპირისპირებული ძალები გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებდა ორივე მხარის პოზიციებს. ყველაზე მეტად ასეთი სიტუაციით ეკლესიამ ისარგებლა, რომელმაც კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები.

1198 წლის 8 იანვარს რომის პაპ ცელესტინის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრედ გამოცხადდა ლოტარ დე სენი (სენის გრაფი), რომელიც ისტორიაში შევიდა ინოკენტი III-ის სახელით. 37 წლის ახალგაზრდა კაცი, ენერგიული, დახვეწილი დიპლომატი, უაღრესად განათლებული პიროვნება, გრიგოლ VII-ის სულიერი მემკვიდრე, მსოფლიო თეოკრატიული მონარქიის იდეის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ქომაგი და გამტარებელი იყო.

ტახტზე ასვლისთანავე ინოკენტი III-მ მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი გავლენის სფეროები. მისდამი ვასალურ დამოკიდებულებაზე ზედიზედ დადეს ფიცი: შვეციამ, დანიამ, პორტუგალიამ, არაგონიის სამეფომ; ბულგარეთისა და სერბიის მეფეებიც ცდილობდნენ მის მფარველობაში შესვლას, რისთვისაც ეკლესიათა გაერთიანების იდეას სთავაზობდნენ პაპს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ინოკენტი III-მ შექმნილი ვითარება იმისათვის გამოიყენა, რომ მოეწყო ჯვაროსნული ლაშქრობა. მან ხელი მიჰყო მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგებასა და ორგანიზებას. ჯერ იმისათვის იზრუნა, რომ ეკლესიებში მოეგვარებინათ გადასახადების აკრეფის საქმე.

ეკლესიებში კასრები დაიდგა და იქ აურაცხელი ფული ჩადიოდა. პაპმა მოითხოვა ყველა ეკლესიის შემოსავლის 1/40 ნაწილი ჯვაროსნულ ლაშქრობას მოხმარებოდა. ლაშქრობა მან პირადი შემოსავლიდანაც დააფინანსა 1/10-ის ოდენობით.

რომის პაპის მოწოდებას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა, განსაკუთრებით აქტიურობდა სამღვდელოების ქვედა იერარქია. მხარდამჭერთა შორის გამოირჩეოდა ფულკო ნელელი, ეს იყო მგზნებარე ასკეტი, გაუნათლებელი, მაგრამ მჭევრმეტყველური ნიჭით გამორჩეული ფანატიკოსი. მისი სიტყვა ხალხზე წამოუდგენელ შთაბეჭდილებას ახდენდა, მოქმედებდა ისე, როგორც ერთ დროს წმ. ბერნარდისა და პეტრე მწირის სიტყვები. ხალხში ხმა დაირხა, ფულკოს სასწაულმოქმედი ძალით ავადმყოფთა განკურნება და სხვა მრავალი სასწაულის მოხდენა შეუძლიაო. ათასობით ადამიანი იღებდა ჯვარსა და მახვილს, როდესაც ის ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ მოუწოდებდა.

მქადაგებელთა შორის ასევე გამოირჩეოდა ცისტერციანელთა მონასტრის აბატი მარტი; ქალაქებში, განსაკუთრებით ბაზელში ის მორწმუნეებს მოუწოდებდა წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად, ამასთანავე, დასძენდა, რომ გარდუვალ ჯილდოს ზეცაში თან დაერთვოდა ამქვეყნიური სიკეთეებიც. „ეჭვი არ გვეპარება, – ამბობდა ის, – რომ მრავალი თქვენგანი ბედნიერებას პოვებს მიწიერ საქმეებშიც“.

როგორც მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე ჟოფრუა ვილარდუენი წერს: „ყველა ის, ვინც ჯვარს მიიღებდა და ღმერთს მოემსახურებოდა ლაშქრობაში ყოფნით ერთი წლის განმავლობაში, ყოვლგვარი ცოდვისაგან უნდა გათავისუფლებულიყო, რაც მას ცხოვრებაში ჰქონდა ჩადენილი“.

ერთი სიტყვით, იდეოლოგიური საფუძველი ახალი ლაშქრობისათვის გულმოდგინედ შემზადდა.

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დაჩქარებაში დიდი როლი ითამაშა ეკრიში (შამპანის საგრაფო) მოწყობილმა ტურნირმა; საქმე ისაა, რომ 1199 წლის გვიან შემოდგომაზე გრაფი ტიბო შამპანელი და ლუი ბლუასელი გაემართნენ ეკრის ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. ის-ის იყო ტურნირი დაიწყო, რომ ფულკო ნელელმა მგზნებარე სიტყვით მიმართა შეკრებილთ, შეახსენა ის განსაცდელი, რომელშიც წმინდა მიწები და ქრისტეს საფლავი იმყოფებოდა. ჟოფრუა ვილარდუენი გვამცნობს, რომ „შამპანისა და ბრის გრაფმა ტიბომ, აგრეთვე ბლუასა და შარტრის გრაფმა ლუიმ მიიღეს ჯვარი... ისინი საფრანგეთის მეფის ძმისწულები და ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ, ხოლო, მეორე მხრივ, ინგლისის მეფის დისწუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები. ამ ორ გრაფთან ერთად ჯვარი მიიღეს საფრანგეთის ყველაზე წარჩინებულმა ბარონებმა სიმონ დე მონფორმა და რენო დე მინმოსელმა. ამ ცნობილ პირთა მიერ ჯვრის მიღებას ქვეყნად დიდი გამოხმაურება მოჰყვა". როგორც ვხედავთ, ახალი ლაშქრობის მოწყობას, ცნობილ მიზეზთა გამო, განსაკუთრებული გამოხმაურება საფრანგეთში მოჰყვა. ათასობით გამოცდილმა მეომარმა დადო ფიცი, წასულიყო წმიდა ადგილების გასათავისუფლებლად. 1200 წლის 23 თებერვალს ჯვარი მიიღეს ასევე ტიბო შამპანელის სიძემ გრაფმა ბოლდუინ ფლანდრიელმა თავის ძმებთან, ევსტახისა და ჰაინრიხთან ერთად. ამ ფლანდრიელ ბატონებს უსაფუძვლოდ სრულებითაც არ ადარებდნენ გოტფრიდ ბულონელსა და მის ძმებს: გრაფი ბოლდუინი ჰერცოგს თავისი უბრალოებით, სიკეთითა და ზნეობით ჰგავდა, ხოლო ჰაინრიხი იყო პრინციპული, გაბედული და მამაცი პიროვნება, როგორც იერუსალიმის პირველი მეფე. შამპანის, ბლუასა და ფლანდრიის გრაფებმა აზნაურობასთან, ეპისკოპოსებსა და რაინდებთან ერთად შეადგინეს სერიოზული ჯვაროსნული შენაერთები. 1200 წლის განმავლობაში მათ ჰქონდათ არა ერთი შეკრება და დიდი ბჭობისა და გამორჩევის შემდეგ ლაშქრობის ხელმძღვანელად გრაფი ტიბო შამპანელი აირჩიეს. აქვე მიიღეს გადაწყვეტილება ვენეციაში ელჩობის გაგზავნის თაობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ ჯვაროსნული ლაშქრობის იდეოლოგიურმა სულისჩამდგმელმა ინოკენტი III-მ მსვლელობის ახალი მარშრუტი შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ლაშქრობა უნდა წარმართულიყო არა იერუსალიმის, არამედ ეგვიპტის წინააღმდეგ. ეგვიპტე მაჰმადიანთა ცენტრი იყო. ამიტომ მთავარი დარტყმა ეგვიპტეზე უნდა განხორციელებულიყო, შემდეგ კი იერუსალიმზე ლაშქრობა გაადვილდებოდა. ამისათვის საჭირო იყო ფლოტი. ჯვაროსნებს კი საკუთარი საზღვაო ფლოტი არ გააჩნდათ, ფლოტი ჰყავდა ვენეციასა და გენუასაც. ჯვაროსნებმა არჩევანი ვენეციაზე შეაჩერეს, ვინაიდან, ამ დროს გენუა პიზას ებრძოდა და, ცხადია, ის ჯვაროსნებს დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. 1201 წლის თებერვალში ექვსი ელჩი, სამი გრაფით მათ შორის იმყოფებოდა ჟოფრუა ვილარდუენი, მარშალი შამპანიდან, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ცნობილი ისტორიკოსი, ჩავიდნენ ვენეციაში და ვენეციის დოჟს ენრიკო დანდოლოს წარუდგინეს თავიანთი თხოვნა. მოლაპარაკებამ კარგა ხანს გასტანა, თუმცა თავიდან დოჟმა პასუხისათვის სამი დღე ითხოვა.

90 წლის უსინათლო ენრიკო დანდოლო უაღრესად დახვეწილი დიპლომატი და თავისი დროის გამოჩენილი მოღვაწე იყო. ის შესანიშნავად ერკვეოდა შექმნილ სიტუაციაში. ვენეციას უდიდესი შემოსავალი შემოდიოდა ეგვიპტიდან, ამიტომ ასეთი მარშრუტი ვენეციის ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო, თუმცა ეს მათ ოფიციალურად არ დაუფიქსირებიათ. დანდოლო დათანხმდა მიეცა ჯვაროსნებისათვის ხომალდები. ისინი შეთანხმდნენ, რომ ვენეცია მისცემს რამდენიც საჭიროა იმდენ ხომალდს 4500 რაი-

ნდის, 9000 საჭურველთმტვირთველისა და 20000 ქვეითის გადასაყვანად. ჯვაროსნებმა კი უნდა გადაიხადონ 85000 მარკა ვერცხლი 1202 წლის აპრილის ბოლომდე. ეს საკმაოდ სოლიდურ თანხას წარმოადგენდა. ვენეციის დოჟმა შესანიშნავად იცოდა, რომ ჯვაროსნები ამ თანხას ვერ გადაიხდიდნენ. ამ შეთანხმებაში ინოკენტი III-მ დიდი როლი ითამაშა, ვინაიდან ის აფრთხილებდა ჯვაროსნებს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, დათანხმებულიყვნენ. ცხადია, ყველა მათგანს თავიანთი ინტერესები ამოძრავებდა. ვენეციის დოჟი ენრიკო დანდოლო ყველაზე სერიოზულ მოწინააღმდეგედ ბიზანტიას მიიჩნევდა. ამ დროისათვის სავაჭრო პრივილეგიები კონსტანტინოპოლში პიზელებს გააჩნდათ, ამიტომ მოხუცი დოჟი შექმნილ საერთაშორისო ვითარებას ხელსაყრელად თვლიდა პოლიტიკური მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. დოჟის ვარაუდით ჯვაროსნული შენაერთები ბიზანტიის წინააღმდეგ უნდა მიმართულიყო.

პაპი ინოკენტი III გრძნობდა, რომ ვენეციელებისა და ფრანგი ჯვაროსნების ურთიერთკავშირით ჯვაროსნულ ლაშქრობაში „უცხო ელემენტი" შეიჭრა. ამიტომ მან განაცხადა, რომ ის მხარს უჭერდა შეთანხმებას იმ პირობით, თუ ფრანგები და ვენეციელები ქრისტიანებს არავითარ ზიანს არ მიაყენებდნენ. ამასთანავე, ლაშქრობა პაპის ლეგატის ზედამხედველობით წარიმართებოდა. მაგრამ ვენეციელები ასეთ შეზღუდვას არ დაეთანხმნენ.

1201 წლის 24 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა ჯვაროსანთა ხელმძღვანელი ტიბო შამპანელი. მის ადგილზე ლაშქრობის ხელმძღვანელად დაინიშნა იტალიელი მარკიზი ბონიფაციუს მონფერატელი. ყოველივე ამას კი წინ უსწრებდა ბიზანტიაში დრამატულად განვითარებული მოვლენები. საქმე ისაა, რომ 1195 წელს ბიზანტიაში სამეფო კარზე გადატრიალება მოხდა. ალექსი ანგელოსმა თავისი ძმა, იმპერატორი ისააკ II ტახტიდან ჩამოაგდო, თვალები დასთხარა და თვითონ გახდა იმპერატორი. ამასთან, მან ისააკი და მისი შვილი ალექსი დაატუსაღა. 1201 წლის ივნისის ბოლოს მეფისწული ალექსი სატუსაღოდან გაიქცა. ივი გერმანიაში გადავიდა თავის სიძესთან, ფილიპე შვაბიელთან. ფილიპე სასწრაფოდ დაუკავშირდა ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურს ბონიფაციუს მონფერატელს და სთხოვა დახმარების აღმოჩენა მეფისწული ალექსისათვის.

ალექსისა და ფილიპე შვაბიელის წარმომადგენლებმა დახმარების აღმოჩენისათვის ჯვაროსნებს შემდეგი პირობები შესთავაზეს: 1. თუ მოხდებოდა ისააკ II-ისათვის ტახტის დაბრუნება, ის ბიზანტიის ეკლესიას რომს დაუქვემდებარებდა (რაც, პირველ ყოვლისა, ინოკენტი III-ის ინტერესებში შედიოდა). 2. ჯვაროსნების სასარგებლოდ ბიზანტიის იმპერატორი გაიღებდა 200 ათას ვერცხლის მარკას და 3. ჯვაროსნულ ლაშქრობას დაეხმარებოდა იერუსალიმისა და წმინდა მიწების გათავისუფლებაში. ამ დაპირებათა შემდეგ ბონიფაციუსი, ბოლდუინი, გრაფი ლუი და ჯვაროსანთა სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელები ენრიკო დანდოლოს შეხვდნენ და დაადგინეს დახმარებაზე გაწევა ისააკ II-ისათვის. ამ მომენტიდან, შეიძლება ითქვას, რომ ენრიკო დანდოლო სავსებით ფლობდა სიტუაციას და ლაშქრობის მთავარ წარმმართველად გვევლინებოდა. თუმცა მამაც მარკგრაფ ბონიფაციუსს მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ბოჰემუნდს უწოდებენ, მიუხედავად ამისა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ჯვაროსნული ლაშქრობების ცნობილი გერმანელი მკვლევარი ბერნგარდ კუგლერი, მოხუცი ვენეციის დოჟი ამ საპატიო სახელს მეტად იმსახურებდა.

1202 წლის გაზაფხულზე ჯვაროსნებმა დაპირებული თანხის გადახდა ვენეციისათვის (როგორც ეს მოსალოდნელი იყო) ვერ შეძლეს, ვალის დასაფარავად დანდოლომ ჯვაროსნებს ქ. ზარას დაპყრობა მოსთხოვა. ზარა ვენეციის კონკურენტი იყო, გარდა ამისა, ის მოსახერხებელ ადგილას მდებარეობდა, კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ გზაზე. მოლაშქრეები იძულებულნი გახდნენ დათანხმებოდნენ. ერთი სიტყვით, ეგვიპტისაკენ დანიშნულმა ლაშქრობამ გეზი იცვალა.

1202 წლის ოქტომბრის დასაწყისში ბრწყინვალე ფლოტმა, 72-მა გალერამ და 140-მა სატვირთო გემმა დატოვა კუნძული ლიდო (ამ კუნძულზე დასაბანაკებლად იყვნენ გადაყვანილი ჯვაროსნები იმთავითვე ენრიკო დანდოლოს მოთხოვნით, ვინაიდან ვენეციაში მათი გაჩერება სახიფათო იყო) და ზარასკენ აიღო გეზი. ზარა ქრისტიანული ქალაქი იყო, ამიტომ ერთგვარ უხერხულობას უქმნიდა ჯვაროსნებს, მაგრამ ისინი პაპმა დააშვიდა: „როცა პატარა ცოდვას ჩაიდენთ დიდი ცოდვის გამოსასყიდად, არა უშავს“. 10 ნოემბერს ჯვაროსნების ფლოტი ძალით შეიჭრა ზარას ნავსადგურში. ამის შემდეგ სიმონ დე მონფორი შეეცადა შეეკავებინა ჯვაროსნები შემდგომი სისხლისღვრისაგან, მაგრამ მათი დიდი ნაწილი დოჟის დამჯერი აღმოჩნდა და 24 ოქტომბერს მათ ქალაქი აიღეს. ქალაქის მაცხოვრებლებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიათ მტერს. ვილარდუენი ამ ბრძოლის შესახებ წერდა: „თითქმის არ იყო ქუჩა, რომელზეც არ წარმოებდა დიდი ბრძოლა მახვილებით, მშვილდებითა და შუბებით... მრავალი ადამიანი დაჭრილი და მოკლული აღმოჩნდა... და კინაღამ აქ მთელი არმია დაიღუპა“. პარალელურად ინოკენტი III-მ ფორმალურად დაგმო ჯვაროსანთა საქციელი. ზამთრის მოახლოების გამო ჯვაროსნებმა ლაშქრობის გაგრძელება ვერ შეძლეს და ზარაში დაბანაკდნენ. 1203 წლის აპრილში ჯვაროსანთა ლაშქარი კუნძულ კორფუზე გადავიდა. 24 მაისს ფლოტი ზღვაში გავიდა, ჯვაროსნებმა მთელი თვე მოგზაურობას მოანდომეს. მალე ისინი ბოსფორის აზიურ ნაწილში გადასხდნენ. აქ ჯვაროსნებთან გამოცხადდა იმპერატორ ალექსი III-ის ელჩი და მათ დახმარება შესთავაზა, მაგრამ ჯვაროსნებმა ალექსი III-ის დაუყოვნებლივ ტახტიდან გადადგომა და მისი ძმის ისაკ II-ის ხელახლა გამეფება მოითხოვეს, ბიზანტიის იმპერატორი იძულებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა თავდაცვაზე ეზრუნა. მან ნაუცბათევად შეკრიბა კონსტანტინოპოლსა და პროვინციებში მოგროვილი ჯარის ნაწილები, რამდენადაც ამის შესაძლებლობა იყო; ჩაკეტა ოქროს რქის ზღვის უბე თავისი ფლოტის ნარჩენებითა და უზარმაზარი რკინის ჯაჭვით. მაგრამ ბიზანტიელთა ფლოტი სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო ჯარისკაცები არადისციპლინირებულნი და ნაკლებბრძოლისუნარიანნი იყვნენ, თუმცა რაოდენობრივად ისინი ჯვაროსნებს აღემატებოდნენ. იმპერატორმა სცადა ფულით მოესყიდა ჯვაროსნები, რათა უარი ეთქვათ კონსტანტინოპოლის შეტევაზე, მაგრამ ჯვაროსანთა ამაყ მეთაურებს ამის გაგონებაც არ უნდოდათ. 5 ივლისს შტურმი პერის გარეუბანზე თავდასხმით დაიწყო. იმპერატორის ჯარმა უკან დაიხია ქალაქის შიდა რაიონებისაკენ. 6 ივლისს დანდოლომ გაარღვია ჯაჭვი, გაანადგურა ბიზანტიური გემები და თავისი ფლოტით ოქროს რქის უბეში შევიდა. ქვეითი ჯარი ზემოთ, ოქროს რქის სანაპიროს მიუყვებოდა, შემდეგ გადავიდა ხიდზე და განლაგდა ციხესიმაგრის ჩრდილოეთის კუთხის წინ; ეს ციხესიმაგრე გარს ერტყა და იცავდა ვლახერნის სასახლეს. ვენეციის ფლოტიც მიჰყვა კვალდაკვალ ქვეითებს იარაღითა და ასაწევი ხიდებით დატვირთული გალერებით. 12 ივლისიდან დაიწყო გააფთრებული ბრძოლები. ბიზანტიელთა მამაცი მეთაურები, განსაკუთრებით იმპერატორის სიძე ლასკარისი, ცდილობდნენ პარტიზანული გამოხტომებით მოექანცათ მომხვდურები, მაგრამ მათი მოქმედებაც არაეფექტური აღმოჩნდა. 17 ივლისს მთელი ძალებით მიიტანეს იერიში ქალაქზე ჯვაროსნებმა, მაგრამ ქვეითებმა სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწიეს, რადგან დაქირავებულმა ვარიაგებმა და პიზელებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. სამაგიეროდ ვენეციელებმა აიღეს ერთი კოშკი, შემდეგ კი – კედლის მთელი ხაზი და მყარად დაიკავეს პოზიციები ქალაქში ვლახერნიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ალექსი III-ის მდგომარეობა თანდათან უიმედო გახდა, ამას შიდა უკმაყოფილებაც დაერთო და იმპერატორი მიხვდა რა, რომ მოსალოდნელი იყო ქალაქის მთლიანი დაცემა, თავისი ხაზინით კონსტანტინოპოლიდან გაიქცა. სამეფო ტახტზე 2003 წლის 18 ივლისს ჯვაროსნებმა კვლავ ბრმა ისააკ II დასვეს. ისტორიული სამართლიანობა აღდგა, 1 აგვისტოს პრინცი ალექსი ჯვაროსანი მეთაურების თანხლებით „სამეფო ქალაქში“ საზეიმო ვითარებაში აკურთხეს მამის თანამმართველად. ახლა კი დღის წესრიგში ზარას ხელშეკრულების პირობების შესრულების დროც დადგა. ბიზანტიის უმაღლეს ხელისუფლებას 200 ათასი ვერცხლის მარკა უნდა გადაეხადა. რადგან სამეფო ხაზინა კონსტანტინოპოლში საერთოდ აღარ არსებობდა. მამა-შვილმა დაპირებული თანხის გადახდა ვერ შეძლო. შესაძლებელი გახდა მხოლოდ 100 ათასი ვერცხლის მარკის გადახდა, ე.ი. საჭირო თანხის ნახევრის. ვენეციის დოჟმა პრინციპულად მოითხოვა, რომ ბოლოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს გადაეხადათ იმპერატორსა და მის შვილს დაპირებული თანხა, როდესაც იმპერატორისაგან არადამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო, ენრიკო დანდოლომ მრისხანედ შესძახა: „უსირცხვილო არამზადავ, ჩვენ შენ ჭუჭყიდან ამოგათრიეთ და ისევ ჩაგაგდებთ იქ“. მაგრამ ჯვაროსნებსა და ბიზანტიელებს შორის ბრძოლა მაშინვე არ განახლებულა. 1204 წლის 25 იანავარს კონსტანტინოპოლში ამბოხებამ იფეთქა. ხალხი უკმაყოფილო იყო ორივე იმპერატორის უსუსური და უპრინციპო მმართველობით. ყველა ითხოვდა ახალი იმპერატორის არჩევას. სამი დღის განმავლობაში კონსტანტინოპოლში სრული ანარქია მძვინვარებდა. დიდებულთაგან ასეთ ვითარებაში ვერავინ ბედავდა ესოდენ საპატიო და საპასუხისმგებლო ტახტის დაკავებას. ბოლოს არჩევანი შეჩერდა ნიკოლოზ კანაბუსზე, მამაც, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელ კაცზე. როდესაც ალექსი IV-ემ ეს გაიგო, მაშინვე კაცი აფრინა ჯვაროსნებთან და დახმარება ითხოვა, მაგრამ ამით მხოლოდ დააჩქარა საკუთარი აღსასრული. ერთადერთი კაცი, რომელიც გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდა და ჯვაროსნების წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლად მოიაზრებოდა, გახლდათ საიმპერატორო სახლის შორეული ნათესავი ალექსი დუკა მურზუფლი. შექმ-ნილი სიტუაციით მან კარგად ისარგებლა და დაიკავა კიდეც იმპერატორის ტახტი ალექსი V-ის სახელით.

ამ მოვლენამდე ცოტა ხნით ადრე ისაკ II გარდაიცვალა, ხოლო კანაბუსა და ალექსი IV შეიპყრეს და დაახრჩვეს ჯალათის ხელით.

ალექსი V მურზუფლმა სცადა ქალაქში სიტუაციის გამოსწორება, გარკვეული წესრიგი დაამყარა კიდეც, აამაღლა ქალაქის თავდაცვისუნარიანობა. რეგულარულად დაიწყო პარტიზანული რაზმებით თავდასხმები ჯვაროსნებზე, ვენეციის ფლოტის წინააღმდეგ არაერთხელ გაგზავნა ცეცხლმტყორცნელები. თუმცა ეფექტი მცირე იყო. ცხადია, არავითარ გადასახადის გადახდაზე ალექსი V არ ფიქრობდა და რომც ეფიქრა, გადახდა მასაც არ შეეძლო. ჯვაროსნებს კი მოთმინების ფიალა აევსოთ. ამას ისიც დაერთო, რომ ერთ-ერთი მოზრდილი შეტაკებისას ბოსფორთან, ალექსი V მიუხედავად იმისა, რომ რიცხობრივად ჭარბობდა ჯვაროსნებს – დამარცხდა.

ბიზანტიის იმპერიის ბედი კი უკვე წინასწარ გადაეწყვიტათ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მესვეურებს. 1204 წლის მარტის დასაწყისში ვენეციის დოჟმა და ჯვაროსანი რაინდების „ბრწყინვალე აზნაურობამ“ ბონიფაციუს მონფერატელისა და ბოლდუინ ფლანდრიელის მეთაურებით შეიმუშავეს შემდგომი მოქმედების კონკრეტული გეგმა, რაც კონსტანტინოპოლის შტურმით აღებას ითვალისწინებდა.

კონსტანტინოპოლზე შეტევა ჯვაროსნებმა 9 აპრილს დაიწყეს. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ჯვაროსნებმა უკან დაიხიეს. ალექსი V პირადი მაგალითით ამხნევებდა ქალაქის დამცველებს, იბრძოდა რა ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთულ უბნებზე. პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა ბიზანტიელებს, ისინი კოშკებიდან და კედლებიდან გამუდმებით უშენდნენ ჯვაროსნებს ისრებსა და სხვა საბრძოლო იარაღებს, თანაც ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჯვაროსნებმა პირველი წარუმატებლობიდან კარგი გაკვეთილი მიიღეს და უკეთ მოემზადნენ გადამწყვეტი შეტევისათვის. 12 აპრილს მეორე შტურმი დაიწყო ქალაქზე. შუადღემდე გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა ბრძოლები. ბოლოს კი ორმა გემმა, რომლებიც ერთმანეთზე ჯაჭვით იყო გადაბმული, მოახერხა სულ ახლო მიეცურა ციხესიმაგრის ერთ-ერთ კოშკთან, რომელზედაც ალმართეს საბრძოლო კიბეები. ძალზე სწრაფად მოხერხდა ამ კოშკის დაკავება ძლიერი შენაერთის მიერ. იმავდროულად შენგრეულ იქნა ქალაქის კარები და სისხლმოწყურებული რაინდები ქალაქში შეიჭრნენ. კონსტანტინოპოლი პანიკამ მოიცვა. ალექსი V ამაოდ ცდილობდა წინააღმდეგობის ორგანიზებას, ბოლოს გაიქცა. 13 აპრილს „მეორე რომი“ საბოლოოდ დაეცა. სოფიის ტაძრიდან დამარცხებულთა ბრბო გამოემართა ჯვაროსნებისაკენ და მოითხოვა შეწყალება. ჯვაროსანთა ხელმძღვანელობა ცდილობდა მკაცრი ბრძანებებით შეეჩერებინა სისხლისღვრა ქალაქში, მაგრამ ჯვაროსან მეომართა სისასტიკესა და სიხარბეს საზღვარი არ ჰქონდა. მკვლელობა, ხანძარი, ძარცვა მძვინვარებდა ქალაქის ქუჩებში. ქალებსა და გოგონებს პირდაპირ ქმრებსა და მამებს სტაცებდნენ ხელიდან. ის, რაც ხანძარს გადაურჩა ან ჯვაროსანთა ლუკმა ხდებოდა, ან კიდევ ანგრევდნენ და ანადგურებდნენ. გაძარცვა ყველაფერი, რისი გაძარცვაც შეიძლებოდა, არც ერთხელ არ გახსენებიათ ქრისტეს საფლავი, ქრისტიანული ქალაქის გაუგონარი დარბევით თავდავიწყებულ რაინდებს.

ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის გაძარცვის შესახებ ვილარდუნი წერდა: „ნადავლი ისე დიდი იყო, რომ ვერავინ ვერ დაგიდგენდათ დატაცებული ოქროს, ვერცხლის ჭურჭლეულობის, ძვირფასი ქვების, ხავერდის, აბრეშუმის ქსოვილების, ბეწვის ტანსაცმლისა და სხვა საგნების ზუსტ ღირებულებას. ჟოფრუა ვილარდუენი, შამპანის მარშალი, სინდისითა და ჭეშმარიტებით გიდასტურებთ თქვენ, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში არასოდეს ერთ ქალაქში არავის არ მოუპოვებია ამდენი ნადავლი“.

კონსტანტინოპოლის დაცემით ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვეტა და მის ადგილას „ლათინთა იმპერია“ დაარსდა. ეს სახელწოდება ჯვაროსანთა ოფიციალური ენის – ლათინურის სახელიდან მომდინარეობს. თანაც აღმოსავლეთში ყველა ევროპელს ლათინებს უწოდებდნენ. ახალი სახელმწიფოს იმპერატორად ბოლდუინ ფლანდრიელი იქნა არჩეული. ლათინთა იმპერია ოთხი სამეფოსაგან შედგებოდა. 1. საკუთრივ ლათინთა იმპერია – სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლით; 2. თესალონიკის სამეფო; 3. აქაის სამთავრო (პელოპონესში) და 4. ათენ-თებეს საჰერცოგო. თითოეული მათგანი თავის მხრივ იყოფოდა საგრაფოებად და სენიორიებად. ბიზან-

ტიის იმპერიის დაშლის ერთ-ერთი ყურადსაღები მომენტი იყო „ტრაპეზუნტის იმპერიის“ დაარსება უშუალოდ თამარ მეფის ჩარევით. ლათინთა იმპერიამ 1261 წლამდე იარსება, ამ წელს კვლავ აღდგა ბიზანტიის იმპერია, მაგრამ ის წელში ვეღარასოდეს გასწორდა. მხოლოდ ინერციით განაგრძო არსებობა 1453 წლამდე, როდესაც თურქ-ოსმალებმა საბოლოოდ დაუსვეს წერტილი მის არსებობას.

ჯვაროსანთა შემდეგი ლაშქრობანი. XIII საუკუნე არაერთი ჯვაროსნული ლაშქრობით აღინიშნა, მაგრამ არც ერთ მათგანს მასობრივი ხასიათი აღარ მიუღია. მათი სოციალური შემადგენლობაც რამდენადმე განსხვავებული იყო, ვიდრე წინა ჯვაროსნული ლაშქრობებისა. იდეოლოგიური სამოსელიც ისე ვეღარ ხიბლავდა ევროპულ საზოგადოებას. თუმცა, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის (1217-1221) წინ საფრანგეთში გავრცელდა ხმები, რომ ჯვაროსანთა მარცხის მიზეზები სწორედ მათ შემადგენლობაში უნდა ვეძებოთ, რადგან ლაშქრობებში მონაწილეობდა მხოლოდ მოზრდილი და უფროსი თაობა, რომლებიც ცოდვილნი არიან, უცოდველ ნაწილს ბავშვებს კი – მათში მონაწილეობა არ მიუღიათო. და დაიწყო ქადაგება ქრისტეს საფლავის გათავისუფლების საქმეში ბავშვების აუცილებლობის შესახებ.

საფრანგეთში ბავშვ-მქადაგებელთა შორის გამოირჩეოდა მწყემსი სტეფანე, რომელიც თავს ღვთის მიერ წარმოგზავნილად თვლიდა დედამიწაზე. მის ქადაგებას ბევრი ბავშვი და მოზრდილი გამოეხმაურა, მათი რიცხვი დაახლოებით 30 ათასს უდრიდა. მიუხედავად ფილიპე II-ის მიერ ამგვარი ლაშქრობის აკრძალვისა, ათასობით ბავშვი მარსელისაკენ ყოველგვარი შეიარაღების გარეშე დაიძრა, საიდანაც ხომალდების მეპატრონეებმა ისინი პალესტინისაკენ წაიყვანეს, მაგრამ ძლიერმა ქარიშხალმა ამ ხომალდების ნაწილი გზაში გაანადგურა, გადარჩენილი ხომალდებით კი ბავშვები ეგვიპტეში გადაიყვანეს და იქ მუსლიმანებს მონებად მიჰყიდეს.

მქადაგებელი ბავშვები გერმანიაშიც გამოჩნდნენ, განსაკუთრებით რაინის ქვედაწელის მიდამოებში აქტიურობდა ნიკოლოზი, ბავშვი, რომელიც 10 წლისა არც კი იყო, რაც შეეხება მამამისს, იგი მონებით ვაჭრობას მისდევდა. მან 20 ათასამდე ბავშვი შეაგროვა, რომლებიც სამხრეთ იტალიისაკენ დაიძრნენ. მათ ალპების გადალახვა მოუხდათ, რის გამოც ბავშვების ნაწილი დაიღუპა, ნაწილი კი შეშინებულნი უკან დაბრუნდა. ვინაც კი ჩაალწია იტალიაში, მათ შიმშილი და უსახსრობა ელოდა, ისინი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნენ, რის გამოც ვაჭები მონებად იყიდებოდა, გოგონები კი მოტყუებისა და ძალადობის მსხვერპლი ხდებოდა. ასეთი ტრაგიკული ფონის შემდეგ დაიწყო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელშიც მონაწილეობდნენ გერმანელი, ინგლისელი, ჰოლანდიელი და უნგრელი ჯვაროსნები. ლაშქრობის მარშრუტი მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყისის იდენტური იყო: ეგვიპტე, შემდეგ კი – იერუსალიმი. ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნგრძლივი ალყის შემდეგ ჯვაროსნებმა, როგორც იქნა, ქ. დამიეტა აიღეს, რომელიც ეგვიპტისაკენ გასაღებს წარმოადგენდა, მაგრამ შინაგანმა დაპირისპირებებმა და ერთიანი ხელმძღვანელობის უქონლობამ ჯვაროსნებს წარუმატებლობა მოუტანა. მათ დატოვეს ჯერ მდინარე ნილოსის მიდამოები, ხოლო შემდეგ მთლიანად ქვეყანა.

ჯვაროსანთა VI ლაშქრობა (1228-1229) რომის საღვთო იმპერატორმა ფრიდრიხ II შტაუფენმა წამოიწყო. მის საბრძოლო ნაწილებში გერმანელებთან ერთად იმყოფებოდნენ ფრანგი, ინგლისელი და იტალიელი რაინდები. ფრიდრიხ II-მ ისარგებლა ეგვიპტეში შექმნილი შიდა დაძაბულობით და სულთანთან ხელშეკრულება დადო, რომლის თანახმადაც იერუსალიმი ჯვაროსნების კუთვნილება ხდებოდა. თუმცა ევროპელებმა იერუსალიმი შეინარჩუნეს 1244 წლამდე, როცა ის მუსლიმანებმა კვლავ აიღეს. ამას ხელი შეუწყო ფრიდრიხ II-ის დაპირისპირებამ რომის პაპ გრიგოლ IX-თან, ცნობილია, რომ გერმანია შუა საუკუნების მანძილზე რომის კათოლიკური ეკლესიისათვის სათარეშო ასპარეზს ხშირად წარმოადგენდა (ამას რომის საღვთო იმპერიის რელიგიური შინაარსიც განაპირობებდა). ასე აღმოჩნდა ამჯერადაც. გერმანელი იმპერატორის მიერ პაპის დაუკითხავად წამოყებული ლაშქრობა, ცხადია, რომის უმაღლესი მღვდელთმთავრისათვის მიუღებელი იქნებოდა. პაპმა ფრიდრიხ II ეკლესიიდან განკვეთილად გამოაცხადა, უფრო მეტიც, ის შეეცადა იმპერატორი ტახტიდან გადაეყენებინა და ტახტზე მისთვის მისაღები კანდიდატურა დაესვა. ფრიდრიხ II-ის ჯვაროსნულ ლაშქრობაში ყოფნისას პაპმა გერმანიაში ჯარი გაგზავნა იოანე ბრიენელის მეთაურობით. ამის გამო გახდა იძულებული ფრიდრიხი უკან დაბრუნებულიყო, რასაც იერუსალიმის საბოლოოდ დაცემა მოჰყვა.

ამის შემდეგ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება დაიწყო რომის პაპმა ინოკენტი IV-მ. ეს ლაშქრობა წარიმართა 1248-1254 წლებში. რიგით მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობა ეგვიპტის დალაშქვრას ითვალისწინებდა. მასში უმთავრესად ფრანგი რაინდები მონაწილეობდნენ ლუი IX-ის ხელმძღვანელობით. ეს ლაშქრობა ძირითადად დაკავშირებული იყო საფრანგეთის ინტერესებთან, რომელიც მას ჩრდილოეთ აფრიკაში გააჩნდა სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებით. ჩრდილოეთ აფრიკასთან ვაჭრობით უპირატესად სამხრეთ საფრანგეთის ქალაქები იყვნენ დაინტერესებულნი. ლაშქრობა სრული კრახით დასრულდა. ლუი IX კი ტყვედ ჩავარდა და ძლივს დაიხსნა თავი დიდი გამოსასყიდის საფასურად. ამით კი მან ის დასკვნა გამოიტანა, რომ 1270 წელს ახალი, რიგით მერვე ლაშქრობა წამოიწყო, ამჯერად ტუნისის წინააღმდეგ, მაგრამ ტუნისში ყოფნისას ჯვაროსნებში გადამდები სენი გავრცელდა, რომელმაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა, მათ შორის საფრანგეთის მეფეც.

ამის შემდეგ კვლავ იყო მოწოდებები ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ, მაგრამ დასავლეთმა მისდამი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. 1268 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს ანტიოქია, 1289 წელს – ტრიპოლი, 1291 წელს კი – აკრა. ევროპამ ახალი ცხოვრება დაიწყო.

ჯვაროსნულ ლაშქრობათა შედეგები. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, მიუხედავად იმისა, რომ ორი საუკუნის განმავლობაში უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უდიდესი საქმე გააკეთა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების საქმეში. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა სერიოზული გავლენა იქონია დასავლეთ ევროპის შემდგომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე. მან ძირეულად შეცვალა დასავლური საზოგადოების ცხოვრების ძველი წესი, მნიშვნელოვნად დააჩქარა ფეოდალური საზოგადოების ის პროცესები, რომლებიც ჯერ კიდევ მის დაწყებამდე ჩაისახა, ჯვაროსნულ ლაშქრობათა შედეგად მოისპო ბიზანტიისა და არაბების მონოპოლია აღმოსავლეთთან ვაჭრობის საქმეში და ეს მონოპოლია მოიპოვა დასავლეთის სახელმწიფოებმა. ვენეციელებმა, გენუელებმა, პროვანსელებმა, კატალონიელებმა ლევანტის ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულებანი გააფორმეს. ვაჭრობის სფეროს ძირითადად საკვები პროდუქტები წარმოადგენდა, თუმცა ფართო იყო საომარი იარაღითა და სხვადასხვა ნივთებით ვაჭრობაც. აღმოსავლეთიდან ეზიდებოდნენ ევროპაში ხილს, ღვინოს, შაქარს, ბამბას, აბრეშუმს. მაგრამ ევროპელებს განსაკუთრებით აღმოსავლური სანელებლები იზიდავდა: მიხაკი, დარიჩინი, პილპილი და ა.შ. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიედინებოდა საომარი იარაღი, მაუდი, ხორბალი, გაჰყავდათ ცხენები და სხვ.

აღმოსავლეთში ყოფნამ, აღმოსავლური კულტურის გაცნობამ გაზარდა ევროპელ ფეოდალთა მოთხოვნილებანი, ხელი შეუწყო მათ სერიოზულ დაინტერესებას ფულადი შემოსავლის გაზრდის მხრივ. სწორედ ამ პროცესებმა განაპირობა ევროპის ბევრ ქვეყანაში რენტის ფულად ფორმაზე გადასვლა.

აშკარა წინსვლა შეინიშნა ტექნიკის განვითარების მხრივ. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს იქნა გამოყენებული კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი – კომპასი. ამ დროს დაიწყეს ჯარებში არბალეტის გამოყენება, დაფისა და ნაღარის ხმარება.

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა გავლენა იქონია საზოგადოების ქვედა ფენების მდგომარეობაზეც. გლეხობის მონაწილეობამ ჯვარონულ ლაშქრობებში ევროპის ქვეყნებში მუშახელის დანაკლისი გამოიწვია. ამიტომ ფეოდალებმა შეუმსუბუქეს დარჩენილ გლეხობას მდგომარეობა, განსაზღვრეს რა მათთან ფულადი გადასახადით ურთიერთობა.

ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია ალსავსეა არა მარტო სისასტიკისა და სიხარბის მაგალითებით, არამედ სიმამაცის, ჭეშმარიტი რაინდობის, ქველობის, მოწინააღმდეგის დაფასების, ლამაზი სათავგადასავლო სიყვარულის მაგალითებითაც. ასეთი ეპიზოდები მრავლად აისახა კიდეც ჯვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსნულ ეპოქაში დაწერილი და ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი მიძღვნილ სარაინდო-სატრფიალო ეპოსებსა თუ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც. ასეთი მაგალითები, როგორც ვთქვით, ბევრია, მაგრამ მათი მასშტაბებია ძალზე უმნიშვნელო, ვინაიდან ვაჟკაცობა, სიმამაცე, სიყვარული და სხვა მარადიული იდეა, პირველ ყოვლისა, ღრმა ინდივიდუალური ნიშნით ხასიათდება და მისი გამოვლენის ფორმებიც ჯვაროსნულ ლაშქრობებში ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ცალკეულ სულიერ ინივიდებს არ შეეძლოთ რადიკალურად შეეცვალათ ჯვაროსნული ლაშქრობების ხასიათი, ვინაიდან ამ მოძრაობის იდეოლოგიურმა სულისჩამდგმელებმა ძირშივე ჩადეს მთავარი აღრევა, მთავარი გადანაცვლება „ღვთისა და კეისრის სამეფოს“ შორის. რელიგიური ინტერპრეტაციით მოხდა მიწიერი მიზნების რეალიზება (ამის მაგალითებით არსავსეა მთელი კაცობრიობის ისტორია, ჯვაროსნული ლაშქრობები მის ერთ-ერთ მომენტად შეიძლება ჩაითვალოს). ჯვაროსნულ ლაშქრობათა კრახის მთავარი მიზეზებიც ალბათ აქ უნდა ვეძებოთ, ამიტომაც წერდა ყველა დროის უზარმაზარი მოაზროვნე, გენიალური ფილოსოფოსი, ჯვაროსნული ომების უბადლო შემფასებელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, რომ „საქრისტიანომ პოვა ცარიელი საფლავი, მაგრამ არა მიწიერის, ამსოფლიურისა და მარადიულის შემაკავშირებელი და ამის გამო მან წმინდა ქვეყანა დაკარგა. საქრისტიანოს პრაქტიკული იმედგაცრუება ჰხვდა და ის შედეგი, რაც ამან ნაყოფად გამოიღო, ნეგატიური ხასიათისა გახლდათ... ქრისტეს საფლავთან დასავლეთი გამოეთხოვა აღმოსავლეთს და მისწვდა თავის პრინციპს – უსასრულო სუბიექტური თავისუფლების პრინციპს“. და მართლაც, ამის მიხვედრა, ამის გააზრება ალბათ ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო ჯვაროსნული ლაშქრობებისა.

ჯვაროსნები და საქართველო. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა გარკვეული როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასა და საგარეო პოლიტიკაშიც შეასრულა. სხვაგვარად ეს შეუძლებელიც იყო, რადგან თურქ-სელჩუკების სახით ჯვაროსნებსა და ქართველებს საერთო მტერი ჰყავდათ, ერთის წარმატება მეორის წარმატებასაც ნიშნავდა. ჯვაროსნები დავით აღმაშენებელსა და საქართველოს მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლის „წინაბურჯად“ მიიჩნევდნენ, მათში ხედავდნენ ჯვაროსნული სახელმწიფოებისათვის აღმოსავლეთიდან დაცვის საიმედო გარანტიას. მათ შესანიშნავად ესმოდათ დიდგორის ბრძოლის (1121 წლის 12 აგვისტო) მნიშვნელობაც, სახელდობრ ის, რომ აქ გამარჯვების შემთხვევაში მუსლიმები აუცილებლად შეუბრუნდებოდნენ პალესტინას. ამიტომაც მონაწილეობდნენ ჯვაროსნები (200 ფრანგი) დიდგორის ომში. ამაზე მიუთითებს ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავროს კანცლერი გოტიე, რომლის თვალში დავით აღმაშენებელი გმირი მეფეა, დამცველი ქრისტიანული სარწმუნოებისა, რომლის ქართული რაზმები იერუსალიმის აღებაშიც მონაწილეობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვარი ჩასცეს ბიზანტიის იმპერიას, არ შეიძლება საქართველოს სამეფო კარის დაფიქრება არ გამოეწვია, არ წამოჭრილიყო კითხვა: იყო თუ არა გარანტია, ევროპიდან მოსული ჯვაროსნები ასევე ბოლოს არ მოუღებდნენ მართლმადიდებლურ საქართველოს. ამიტომაც გადაიდგა ასეთი ნაბიჯი: ბიზანტიის დაცემის წელსვე, 1204 წელს, საფუძველი ჩაეყარა ტრაპიზონის იმპერიას, რომელსაც თამარმა სათავეში ჩაუყენა თავისივე ნათესავი ალექსი კომნენოსი. ასე შეიქმნა ვასალური სახელმწიფო, რომელიც ერთხანს ერთგვარი ბუფერის როლს ასრულებდა, მას უნდა მიეღო პირველი დარტყმა, თუ ჯვაროსნები ან თურქ-სელჩუკები საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრებდნენ. ტრაპიზონის იმპერიამ ორნახევარი საუკუნე იარსება და იგი სწორედ იმ დროს დაიღუპა, როცა საბოლოოდ მოისპო საქართველოს პოლიტიკური ერთიანობა და მთლიანობა.

ჯვაროსნებთან ურთიერთობა საქართველოს არც ლაშა-გიორგის დროს გაუწყვეტია. ირკვევა, რომ რომის პაპ ჰონორიუს III-ეს მოწოდებით მიუმართავს ლაშა-გიორგისათვის, უთხოვია, რომ მონაწილეობა მიეღო მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში (1217-1221). პაპს თანხმობაც მიუღია, როგორც ამას რუსუდანის ეპისტოლედან ვგებულობთ, მაგრამ მეფის ამ განზრახვას განხორციელება არ ეწერა, იგი ჩაშალა მონღოლთა შემოსვლამ საქართველოში. ლაშქრობის სამზადისი რუსუდან დედოფალმა გააგრძელა, მაგრამ ობიექტური მიზეზებისა და 1225 წელს ჯალალედდინის შემოსევის გამო, დაპირებული ლაშქრობა მან ვერ განახორციელა.

ჯვაროსნებთან ურთიერთობამ საქართველოს გარკვეული დადებითი შედეგი მოუტანა. ჯვაროსნები სავაჭრო ახალშენებს აარსებენ შავი ზღვის სანაპიროზე, მათ შორის საქართველოშიც, რამაც ინტენსიური გახადა საქართველოს კავშირი ვენეციასა და გენუასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IX

გერმანია, იტალია და პაპობა XII-XIII საუკუნეებში

გერმანიის განვითარების თავისებურება XII-XIII საუკუნეებში. გერმანია წარმოადგენდა პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას. გარდა მისი ძირითადი ნაწილებისა (საქსონია, ფრიზეთი, ტიურინგია, ფრანკონია, შვაბია, ბავარია და ლოთარინგია), მოიცავდა ახლად დაპყრობილ სამარკგრაფოებსაც: ისტრიას, შტირიას, კარინთიას, კრაინასა და აგრეთვე ლუჟიცელი სლავების ტერიტორიას, რომლიც მოქცეული იყო ოდერსა და ელბას (ლაბას) შორის. ამასთან, გერმანიის ვასალურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა ჩეხეთის სამეფო, ობოდრიტების მხარე, ჩრდილოეთი და ცენტრალური იტალია (ლომბარდია და ტოსკანა) და ბურგუნდია. XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიას ეკუთვნოდა აგრეთვე სიცილიის სამეფო, რომელიც თავის მხრივ შედგებოდა აპულიის, კალაბრიისა და კუნძულ სიცილიისაგან. თითოეული ქვეყანა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგა. თვითონ გერმანიაში საწარმოო ძალთა განვითარებას ფეოდალური ქალაქების წარმოშობა მოჰყვა, რომლებიც საგარეო ვაჭრობით იყვნენ დაინტერესებულნი და საკუთრივ გერმანიასთან ნაკლებად დაკავშირებული აღმოჩნდნენ.

გერმანიის ქალაქების განვითარების თავისებურება კიდევ იმით გამოიხატებოდა, რომ ქალაქების უმრავლესობა სენიორ-ეპისკოპოსების სამფლობელოებში აღმოჩნდნენ, რომლებსაც ოტოების ხანაში მნიშვნელოვანი იმუნიტეტები მიენიჭათ. მართალია, გერმანიის ქალაქები თავიანთ სენიორების წინააღმდეგ აწარმოებდნენ ბრძოლას და ხანდახან მეფის მხარეზეც გამოდიოდნენ, მაგრამ მათი დახმარება მაინც უმნიშვნელო იყო.

გერმანიაში პოლიტიკურ დაქუცმაცებას ხელს უწყობდა გერმანელი ფეოდალების აგრესიული საგარეო პოლიტიკა; ისინი უფრო მეტად დაინტერესებულნი იყვნენ სხვა ქვეყნების დაპყრობით, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ცენტრალიზაციით. ამიტომაც იყო, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე გერმანიის პოლიტიკური გაერთიანება არ მომხდარა.

გლეხობის დიფერენციაცია. XIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის გერმანიაში გლეხობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ეს ნაწილობრივ გამოიწვია ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა. ახალ, დაპყრობილ ტერიტორიებზე ბევრი ფეოდალი და განსაკუთრებით მონასტრები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი გლეხი დაესახლებინათ იქ და მიეცათ პრივილეგიები, რათა თავისი მეურნეობა მოეწყოთ. გარკვეული დროის შემდეგ მათ შეღავათიან გამოსაღებს ახდევინებდნენ ნატურითა და ფულადი („ცენზის") სახით. რაც ასუსტებდა გლეხობის კავშირს საბატონო მეურნეობასთან. ბევრმა გლეხმა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისუფლება მიიღო. ფეოდალები ხშირად თავის მიწებს იჯარით აძლევდნენ, ხშირად მოიჯარეებად ყოფილი მოურავები – მაიერები იყვნენ, როგორც ყველაზე შეძლებულები გლეხებს შორის. ცალკე ფენად გამოიყო მცირე მიწის მქონე გლეხობა, რომელიც გამოსავალს აღმოსავლეთით მდებარე მიწების კოლონიზაციაში პოულობდა. შეძლებული გლეხობა ქალაქებთან ვაჭრობაში ჩაება. მაგრამ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო მათი ექსპლუატაციის გაძლიერება.

ქალაქების ზრდა და მათი როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გერმანიის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და ფეოდალური ანარქია ხელს უშლიდა ქვეყანაში ვაჭრობის განვითარებას. საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად ხელოსნობა სოფლის მეურნეობას გამოეყო, რამაც საშუალება მისცა ფეოდალური ქალაქების (სხვა ქვეყნებთან შედარებით) დაგვიანებით წარმოშობას გერმანიის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებში.

XII-XIII საუკუნეებში მდინარე რაინსა და დუნაიზე მდებარე ქალაქების ნაწარმი გათვალისწინებული იყო ექსპორტისა და იმპორტისთვს, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება გერმანიის ქალაქებს უფრო მეტად საგარეო ბაზარზე დამოკიდებულს ხდიდა. სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებისათვის აუცილებელი იყო თავდაცვითი ღონისძიებები არა მარტო ცალკეული ვაჭრებისათვის, არამედ ქალაქებისთვისაც, რადგანაც მეფის ხელისუფლების სისუსტის გამო ქალაქებში დაგროვილ სიმდიდრეს საფრთხეს უქმნიდა. ამიტომაც ქალაქთა კავშირების ჩამოყალიბება აუცილებელი ხდებოდა. ეს გარემოება ნაკარნახევი იყო ქალაქებში არსებული მწვავე კლასობრივი ბრძოლებით.

ასეთი კავშირების ჩამოყალიბება სხვადასხვა დროს ხდებოდა. ქალაქთა ყველაზე დიდ გაერთიანებას ჩრდილო გერმანული ჰანზა წარმოადგენდა, რაც ამხანაგობას, კავშირს ნიშნავდა. ჰანზას კავშირი დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა, ამიტომ მისი დაარსების ზუსტი თარიღის დადგენა ძნელია.

XIII საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქთა ცალკეულმა ჯგუფებმა სავაჭრო კანტორები დააარსეს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. პირველად ასეთი კანტორა დააარსეს კუნძულ გოტლანდზე, ქ. ვისბიში, საიდანაც გერმანელი ვაჭრები საქმეებს ნოვგოროდშიც აგვარებდნენ. 1256 წელს პირველად გაერთიანდა ზღვისპირა გერმანული ქალაქები: ჰამბურგი, ლუბეკი, ვისმარი და როსტოკი. ამ გაერთიანებას უნდა დაეცვა ბალტიის ზღვისპირეთში მიმავალი სავაჭრო გზა, ჰანზას კავშირში შედიოდა 60-70 ქალაქი, მათ შორის ჰამბურგი, ლუბეკი, ბრემენი, კიოლნი და სხვა. ქალაქთა გაერთიანება დაახლოებით 1356-1372 წლებში დამთავრდა. ჰანზას კავშირი საბოლოოდ გაფორმდა 1367 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანზა ქალაქთა ძლიერ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს წარმოადგენდა. ჰყავდა საკუთარი ფლოტი, დამოუკიდებელი იყო საერთაშორისო ურთიერთობებში, იწყებდა ომებს, დებდა საზავო და სავაჭრო ხელშეკრულებებს. XV საუკუნიდან კავშირში შემავალი ქალაქების კონკურენციამ, გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად სავაჭრო გზების გადანაცვლებამ ჰანზას კავშირი დაასუსტა, რასაც ინგლისის გაძლიერებულმა სავაჭრო და სამრეწველო კონკურენციამაც შეუწყო ხელი.

XII-XIII საუკუნეებში ბევრ გერმანულ ქალაქში გაჩნდა ქალაქის საბჭო, რომლის წევრებსაც იტალიისა და ბურგუნდიის მსგავსად, კონსულებს უწოდებდნენ. ქალაქის საბჭოები იქმნებოდა სენიორების თანხმობით, რათა გათავისუფლებულიყვნენ წვრილმანი საქმეებისაგან. მაგრამ მალე საბჭო მოქალაქეთა ინტერესების დამცველ ორგანოდ გადაიქცა და სენიორებს დაუპირისპირდა. XII-XIII საუკუნეების განმავლობაში გერმანული ქალაქების უმრავლესობაში ჩამოყალიბდა საქალაქო პატრიციატი, რომელიც მდიდარი ვაჭრებისა და მინისტერიალებისგან იყო დაკომპლექტებული და რომელმაც თანდათანობით ძალაუფლება ხელში აიღო.

საერო და სასულიერო წარჩინებულთა ფენამ სწორად შეაფასა, რომ საკუთარ ქალაქებს დიდი სარგებელის მოტანა შეეძლოთ, ამიტომაც XII საუკუნის გერმანელი სენიორები თავიანთ სამფლობელოებში იწყებენ ახალი ქალაქების დაარსებას. ასეთი წარმოშობა აქვთ, მაგალითად, ქალაქებს: ლიუბეკს, მიუნხენს, ლაიფციგს. იმისათვის, რომ მოქალაქეები მოეზიდათ, სენიორები მათ ბევრ პრივილეგიებსა და უფლებებს ანიჭებდნენ, პირველ რიგში კი, თავისუფლების გარანტიას აძლევდნენ. იმპერატორის პრივილეგიებში მყოფ ბრემენში 1186 წელს ამბობდნენ, რომ ყველა, ვინც იქ ერთ წელსა და ერთი დღე იცხოვრებს, პირად თავისუფლებას მიიღებდა. თანდათანობით ეს ნორმა იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ მოგვიანებით იურისტებმა სამართლებრივი ფორმულაც კი მოიფიქრეს: „ქალაქის ჰაერი თავისუფლებას ანიჭებს“.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში სავაჭრო გზა გერმანიაში ალპებით რაინზე გადადიოდა და ნიდერლანდებსა და ინგლისში მიემართებოდა. საქონელი ჩამოჰქონდათ ბიზანტიიდან და ლევანტიდან, ძირითადად ღვინო, აღმოსავლური სანელებლები და ფუფუნების საგნები, ფლანდრიიდან მაუდი. გერმანული ქალაქებიდან კიოლნი და მისი კონკურენტი მაინცი ყველაზე მსხვილ ქალაქებს წარმოადგენდნენ.

XII-XIII საუკუნეების გერმანელმა ვაჭრებმა თავიანთი ფაქტორიები გახსნეს დასავლეთ დვინის შესართავთან, სადაც მათი აქტიური მონაწილეობით დაიწყო ლივების ტერიტორიების დაპყრობა. გერმანელი ვაჭრების წარმატებებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი ტიპის აფრიანმა გემებმა – კოგმა, რომელიც XII საუკუნის მეორე ნახევარში ფრიზებმა გამოიგონეს. კოგი აღემატებოდა სხვა ხომალდებს ზომებით, ტევადობითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მანევრირებითაც. XII-XIII საუკუნეების გერმანიაში ფართოდ გავრცელდა საფეიქრო წარმოება და წიაღისეული სიმდიდრეების მოპოვება, განსაკუთრებით კი ვერცხლისა და რკინის, რამაც მეტალურგიის განვითარებას შეუწყო ხელი.

გერმანული კოლონიზაცია აღმოსავლეთში. აღმოსავლეთში გერმანული მოსახლეობის თანდათანობითი გავრცელება ჯერ კიდევ VIII საუკუნეში დაიწყო (დუნაის შუაწელსა და აღმოსავლეთ ალპებში). XII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება გერმანელთა ხელახალი შეტევა აღმოსავლეთზე, (Drang nach Osten), რაც ძირითადად დასავლეთ სლავების, ლატვიელების, ესტების, პრუსებისა და ლიტველების დაპყრობით გამოიხატებოდა. გერმანელების კოლონიზაცია სლავების სამხრეთ ნაწილში შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობდა, ჩრდილოეთში კი ის დაუსრულებელ სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა. ფრანკონული (სალიკური) დინასტიის იმპერატორებიცა და ჰოჰენშტაუფენებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ აღმოსავლელ მეზობლებს, მათი ინტერესების სფერო ჩეხეთით, პოლონეთითა და უნგრეთით შემოიფარგლებოდა, რომლებიც მათზე ლენურად იყვნენ დამოკიდებული. სამაგიეროდ, მთავრები, რომლებიც სასაზღვრო მარკებს ედგნენ სათავეში, იგივე მარკგრაფები, დაინტერესებული იყვნენ თავისი სამფლობელოების გაფართოებით. ამიტომაც ახალი დაპყრობების ინიციატორები იყვნენ არა გერმანელი იმპერატორები, რომლებიც იტალიური პოლიტიკით იყვნენ დაკავებული, არამედ ცალკეული მთავრები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფრიდრიხ ბარბაროსას მეტოქე – ჰაინრიხ ლომი და ბრანდენბურგის მარკგრაფი ალბრეხტ დათვი.

საქსონიისა და ბავარიის ჰერცოგმა ჰაინრიხ ლომმა ნაწილობრივ ძალით, ნაწილობრივ ვერაგობით, შეძლო ხელთ ეგდო ბოდრიჩების მიწების დიდი ნაწილი, და მათ სათავეში გრაფები ჩაუყენა, რომლებმაც სლავურ მოსახლეობას მძიმე ხარკი დააკისრეს, რასაც საეკლესიო გადასახადებიც ემატებოდა. ბოდრიჩთა მიწა-წყლის უმეტესი ნაწილისგან შექმნა მეკლენბურგის საჰერცოგო. დანარჩენი ტერიტორია კი დანაწილდა გერმანელ გრაფებს შორის. ყველგან იძულებით აქრისტიანებდნენ. უარის თქმის შემთხვევაში ხდებოდა მათი მასობრივი განადგურება. მათზე ნადირობდნენ როგორც გარეულ ცხოველზე, ახრჩობდნენ ხეებზე, ცოცხლად დარჩენილებს კი მათი მიწებიდან ერეკებოდნენ.

მთავარი როლი ელბისპირა მიწების კოლონიზაციაში შეასრულეს არა მარტო გერმანელმა და პოლონელმა რაინდებმა, არამედ დასავლეთიდან გადმოსახლებულმა გლეხებმა. XI საუკუნეში დასავლეთ ევროპაში მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ ამ პოლიტიკის წარმატება განაპირობა. მცირემიწიანობით გამოწვეულმა პრობლემებმა გლეხები აიძულა მშობლიური ადგილები დაეტოვებინათ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ პირველ კოლონისტებს შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ბევრი იყო ნიდერლანდებიდან გადმოსახლებული გლეხობა. ნიდერლანდები ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონი იყო მაშინდელ ევროპაში.

დაახლოებით იმავე პერიოდში ალბრეხტ დათვმა დაიპყრო ლუტიჩების მიწები, რაშიც მას ხელი შეუწყო თვითონ ლუტიჩ მთავრებს შორის არსებულმა განხეთქილებამ. ჰაინრიხ ლომი და ალბრეხტ დათვი განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდნენ ერთმანეთთან დაპყრობილი ტერიტორიებისათვის. ალბრეხტის შვილმა ჰაინრიხ ლომისგან ჩამორთმეულ სამფლობელოში 1244 წელს დააარსა ქალაქი ბერლინი. ამ მიწებისგან კი შეიქმნა ბრანდენბურგის სამარკგრაფო, ბერლინი მისი საჭახტო ქალაქი გახდა.

გერმანული კოლონიზაციის შედეგად ბევრი სლავური ტომი ან მთლიანად განადგურდა ანდა ასიმილირებულ იქნა. აღმოცენდა ახალი გერმანული მიწები – მეკლენბურგი, ბრანდენბურგი, პომერანია. კოლონიზაციის ზონაში განვითარდნენ ისეთი ქალაქები, როგორიც იყო ლუბეკი, შტრალზუნდი, ბერლინი და სხვ. (1201 წელს გერმანელებმა მდინარე დაუგავას ნაპირზე დაარსეს ქ. რიგა).

დაპყრობილ ტერიტორიებზე გერმანელ გლეხებს უმთავრესად მოიჯარადრეები ასახლებდნენ, რომლებსაც ლათინურად ლოკატორი ეწოდებოდა, გერმანულად კი შულცი. გერმანელი გლეხები ძირითადად ცალკე სოფლებად სახლდებოდნენ, თუმცა არსებობდა შერეული ტიპის სოფლებიც, სადაც გერმანელი კოლონისტებიც სახლობდნენ და სლავებიც. კოლონისტები ირჩევდნენ თავიანთ შეფენებს – თემის წარმომადგენლებს, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ასამართლებდნენ. იმ მიზნით, რომ გლეხობას ახლად გადმოსახლებულ ადგილებში თავისი მეურნეობა მოეწყო, პირველ ხანებში ფეოდალური ბეგარისაგან თავისუფლდებოდნენ, საეკლესიო მეათედისაგან კი არა.

კოლონისტების თავისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა. XIV საუკუნეში. დაიწყო მათი მიწაზე მიმაგრება და საერთო დაყმევება. ფეოდალიზაციის პროცესმა უფრო მწვავე ხასიათი XV-XVI საუკუნეებში მიიღო. ამ პროცესის დაჩქარებაში დიდი წვლილი რაინდობას მიუძღოდა, რომლებიც ახალ-ახალი მიწების დაპყრობას ცდილობდნენ .

ფიზიკურ განადგურებას გადარჩენილი სლავების ნაწილი იძულებული ხდებოდა დასახლებულიყო ჭაობიან ადგილებში, ტბებსა და მდინარეებთან, სადაც მეთევზეობით ირჩენდნენ თავს. სლავთა ყველა ქალაქი გერმანელთა ხელში აღმოჩნდა, სადაც მათ გარეუბნებში ასახლებდნენ და მხოლოდ შავი სამუშაოს შესრულების ნებას აძლევდნენ. სლავების გერმანიზაცია ხდებოდა დიდი სისასტიკითა და დაუნდობლობით. დამარცხებული და განცალკევებულად დასახლებული სლავები დამწერლობის უქონლობის პირობებში კარგავდნენ მშობლიურ ენას, ზნე-ჩვეულებებსა და, საერთოდ, ეროვნულ სახეს და გერმანელებად იქცეოდნენ. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა

გერმანული ეკლესია, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა სლავებში ქრისტიანობას.

შტაუფენების დინასტიის იმპერატორების პოლიტიკა. რომის საღმრთო იმპერიამ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია შტაუფენების (ჰოჰენშტაუფენების) დინასტიის დროს (1138-1254).

ფრანკონული (სალიელი) დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ჰაინრიხ V, რომელსაც მემკვიდრე არ დარჩა. 1125 წელს სამეფო ტახტზე ავიდა ლოტარ საქსონელი (1125-1137), რომელსაც პაპი უჭერდა მხარს. ამიტომაც გერმანიაში სასულიერო ფეოდალების გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა. ჯერ კიდევ ლოტარის გამეფებამდე სამეფო ტახტს ერთმანეთს ეცილებოდა ორი უძლიერესი საგვარეულო: შვაბიის ჰერცოგები – შტაუფენები (ჰოჰენშტაუფენები და საქსონიისა და ბავარიის ჰერცოგები – ველფები). ლოტარის მეფობის დროს ეს ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. მეფემ ველფებს დაუჭირა მხარი და თავისი ასული ჰერტრუდა ჰაინრიხ ამაყს მიათხოვა. ველფები იმდენად გაძლიერდნენ, რომ ლოტარის სიკვდილის შემდეგ გერმანელმა მთავრებმა მეფედ შედარებით სუსტი კონრად III შტაუფენი აირჩიეს (1138-1152). ასე ჩაეყარა საფუძველი შტაუფენების ბატონობას.

კონრად III-მ მონაწილეობა მიიღო მეორე ჯვაროსნულ ლაშქრობაში, ველფებს ბავარია წაართვა და მხოლოდ საქსონია დაუტოვა. წარუმატებლად დამთავრდა მისი მცდელობა პოლონეთის დაქვემდებარებისათვის.

გერმანიაში „ინვესტიტურისათვის ბრძოლამ“ ნაწილობრივ განამტკიცა გერმანელ მთავართა მიერ მეფის არჩევის უფლება, რის შედეგადაც გერმანიაში მემკვიდრეობითი მონარქია არ არსებობდა. ძლიერ იმპერატორს შეეძლო მთავრები აეძულებინა სიცოცხლეშივე აერჩიათ მეფედ მისი შვილი და მემკვიდრე. მაგრამ არჩევითობის პრინციპის შეცვლა მემკვიდრეობით ვერავინ შეძლო.

ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შუა საუკუნეების ისტორიაში შტაუფენების დინასტიიდან სამმა იმპერატორმა შეასრულა. ფრიდრიხ I ბარბაროსამ (1152-1190). მისმა შვილმა ჰაინრიხ VI-მ (1191-1197) და შვილიშვილმა ფრიდრიხ II-მ (1212-1250).

შტაუფენების პოლიტიკისთვის დამახასიათებელი იყო შეუპოვარი სწრაფვა იტალიის დამორჩილებისათვის. თუ ოტოები (ოტო III-ს გამოკლებით) და სალიები (ფრანკონული დინასტია) ალპებს მიღმა ცალკეული ექსპედიციებით შემოიფარგლებოდნენ, შტაუფენები თანმიმდევრული პოლიტიკით ცდილობდნენ იტალია თავიანთი ძალაუფლების მთავარ საყრდენად გადაექციათ, რაც ბუნებრივია, პაპთან დაპირისპირებამდე მიდიოდა. ისინი იტალიას საკუთარი გავლენის სფეროდ თვლიდნენ. ამიტომაც იმპერატორების მრავალწლიანი ბრძოლა რომთან წარმოადგენდა არა მარტო მეტოქეობას ორი უნივერსალური ძალისა, რომლებიც მთელი ქრისტიანული სამყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ლიდერობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას, არამედ კონკრეტული პოლიტიკური ინტერესების შეჯახებას იტალიაში.

პაპების შემდეგ შტაუფენების მოწინააღმდეგეს იტალიაში წარმოადგენდა ნორმანთა სიცილიის სამეფო. დროთა განმავლობაში იტალიაში გაიზარდა კიდევ ერთი უძლიერესი ძალა ქალაქ-კომუნები. მათი დიდი ნაწილი მილანის ხელმძღვანელობით ხშირად უწევდა წინააღმდეგობას იმპერატორს, მცირე ნაწილი კი, რომელსაც, ჩვულებისამებრ, მეთაურობდა მილანს მეტოქე, კრემონა, იმპერატორებს უჭერდა მხარს. გერმანელ მეფეებს იტალიაში არცთუ ისე ცოტა მუდმივი თუ დროებითი მოკავშირე ჰყავდათ, მაგრამ გერმანელები გაჭირვებით ერკვეოდნენ ეშმაკურად დახლართულ და სწრაფად ცვალებად პოლიტიკურ ბრძოლებში, რამაც არაერთხელ მიიყვანა ისინი სერიოზულ მარცხამდე.

იტალიის განვითარების თავისებურებანი XII-XIII საუკუნეებში. XII-XIII საუკუნის იტალია წარმოადგენდა ქალაქთა სახელმწიფოს, სადაც ქალაქის სტატუსი 300 საეპისკოპოსო ცენტრს ჰქონდა. არსებობდა აგრეთვე მრავალრიცხოვანი ქალაქური დასახლებები – ბურგები და ციხესიმაგრეები, რომლებიც წარმოადგენდნენ თავისებურ სამეურნეო სოციალურ ერთობებს. ქალაქების მოსახლეობის რიცხვი 5-6, 30-40 ათას ადამიანს აღწევდა.

XII საუკუნეში პოლიტიკურად დაქუცმაცებული იტალია დაყოფილი იყო ჩრდილოეთ იტალიად (ლომბარდია), შუა იტალიად (ტოსკანა) და რომის ოლქად, რომელიც XIII საუკუნის დასაწყისისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდა; აღმოსავლეთით მას სპოლეტოს საჰერცოგო შეემატა; ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროდან კი რომანია. XII საუკუნის 40-იან წლებში სამხრეთ იტალია სიცილიის სამეფოში გაერთიანდა, რომლის შემადგენელ ნაწილებად ითვლებოდა აგრეთვე კუნძული სიცილია, აპულია და სალერნოსა და ბენვენტოს საჰერცოგოები. ამ სამეფოს ნორმანები განაგებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩრდილო და სამხრეთ იტალიის ისტორიული განვითარება განსხვავებული იყო.

იტალიის ქალაქების განვითარებას ხელი შეუწყო ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, რომლებსაც ისინი ტრანსპორტით, ფულითა და იარაღით ამარაგებდნენ. სანაცვლოდ იტალიურმა ქალაქებმა აღმოსავლეთის ვაჭრობაში დიდი პრივილეგიები მოიპოვეს. პიზამ იაფაში მთელი კვარტალი მიიღო. ვენეციამ ყველა დაპყრობილ ქალაქში ეკლესია და ბაზარი მოიპოვა, იერუსალიმის სამეფოში კი ვენეციელი ვაჭრები გადასახადებისგან გათავისუფლდნენ. XII საუკუნის პირველ ნახევარში ვენეციამ, გენუამ და პიზამ თავისი სავაჭრო ფაქტორიები დაარსეს სირიისა და პალესტინის მთელ სანაპიროზე. იტალიური დასახლებები იქცა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

ხელსაყრელი საშუამავლო ვაჭრობის გარდა, იტალიის ქალაქები ასევე რთაშორისო მასშტაბით აწარმოებდნენ მსხვილ საკრედიტო ოპერაციებს. XII საუკუნეში უმსხვილეს ბანკირად ევროპაში სიენა ითვლებოდა. იტალიის საზღვრებს გარეთ აქტიურ ფინანსურ ოპერაციებს ლომბარდიელები აწარმოებდნენ. „ლომბარდიელს" ეძახდნენ ყველა იტალიელ ვაჭარს, რომელიც საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებდა. გენუელი, ვენეციელი, პიზელი და პიაჩენცელი მსხვილი ვაჭრები, როგორც წესი, ფინანსისტებიც იყვნენ. სავაჭრო და საკრედიტო-ფულადი ოპერაციების ერთობლიობა – ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო შუა საუკუნეების იტალიისათვის. მნიშვნელოვან შემოსავალს ღებულობდნენ ქალაქები სამრეწველო პროდუქციიდან. XII საუკუნეში ქალაქის ხელოსნები გაერთიანდნენ ამქართა ორგანიზაციებში (ვაჭართა გაერთიანებები უფრო ადრე გაჩნდა), რაც კონკურენციას ასუსტებდა და უზრუნველყოფდა სამრეწველო საქონლის უფრო საიმედო გასაღებას როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა ცალეკული ქალაქების სპეციალიზაცია საქონლის წარმოებაში, რომელზეც განსაკუთრებული მოთხოვნებილება იყო სხვა ქვეყნებში. ასე, მაგალითად, ჩრდილოეთისა და შუა იტალიის ქალაქებში (მილანო, ფლორენცია, პიზა, სიენა, პიაჩენცა) ფართოდ დაიწყეს შალეულის წარმოება. ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებასთან ერთად გაიზარდა საომარი იარაღის დამზადება, რომლის მთავარ ცენტრს მილანო წარმოადგენდა. პიზაში, გენუასა და ვენეციაში ხომალდების მშენებლობა განვითარდა, აბრეშუმის წარმოება – ლუკაში. ტყავეულისა და მინის ნაწარმით ვენეცია გამოირჩეოდა, რომელმაც მარილით ვაჭრობაში მონოპოლია დაამყარა (მარილის მოპოვება ქალაქთან ახლოს ხდებოდა). იტალიელმა ხელოსნებმა სახელი გაითქვეს ასევე ხესა და ქვაზე მუშაობით. XII საუკუნეში ბევრი ქალაქი აქტიურად აშენებდა სიმაგრეებს, ტაძრებსა და კომუნის სასახლეებს. რომანული სტილის არქიტექტურა აყვავების განიცდიდა, ბევრი მათგანი დღესაც შემორჩენილია და განცვიფრებას იწვევს. ესენია: გრანდიოზული ტაძარი ლუკაში, პიზასა და პარმაში, სან-მიქელეს ეკლესია პავიაში, სან-კლემენტის ეკლესია რომში, ბაპტისტარიუმი ფლორენციაში და ა.შ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, იტალიის ქალაქები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან როგორც ეკონომიკური განვითარებით, ისე თავიანთი სოციალური სტრუქტურით. ვენეცია, გენუა და პიზა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მსხვილ სავაჭრო ცენტრებად ითვლებოდნენ და ძირითადად საგარეო ვაჭრობას ეწეოდნენ, თუმცა მათში ხელოსნური წარმოებაც ვითარდებოდა. მილანის, ლომბარდიისა და ტოსკანას ქალაქების დიდი ნაწილი კი, პირველ ყოვლისა, ხელოსნური წარმოების ცენტრებად ითვლებოდნენ, თუმცა ისინი ვაჭრობასაც ეწეოდნენ. იტალიის ქალაქების მესამე ჯგუფი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის ტიპური წარმომადგენელი ფლორენცია იყო, გარდა იმისა, რომ სამრეწველო-სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა, სავაჭრო კაპიტალსაც ავითარებდა.

იტალიის ქალაქების პოლიტიკური წყობილებაც სხვადასხვანაირი იყო. ვენეციაში პატრიციატი იყო, რომელიც დოჟს ირჩევდა. ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში განაგებდა რესპუბლიკას. XII საუკუნეში პატრიციატმა დოჟის უფლებები შეკვეცა. მათ შექმნეს საკანონმდებლო ორგანო „დიდი საბჭოს" სახელწოდებით, რომელსაც გამოეყო აღმასრულებელი ორგანო „მცირე საბჭო", ანუ „ორმოცის საბჭო". საბჭოს წევრობა თანდათანობით მემკვიდრეობითი გახდა, ხოლო ვენეციის რესპუბლიკა კი XIII საუკუნიდან ოლიგარქიულ ქალაქ-სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც ვაჭართა მცირერიცხოვანი ოჯახები განაგებდნენ.

განსხვავებული პოლიტიკური წყობილება იყო გენუაში, რომელსაც XIII საუკუნეში თავისი კოლონიები ჰქონდა ყირიმში – კაფის, სოლდაიას (სუდაკი) და ბალაკლავას სახით. ამ კოლონიების მართვისათვის გენუელებმა სპეციალური კომიტეტი შექმნეს. ფლორენციის მსგავსად, გენუაშიც ძალაუფლება პატრიციატის ხელში იყო. შემდეგ მოდიოდნენ ვაჭრები და მსხვილი მეწარმენი, მათზე დაბლა კი – „უფროსი ამქრები" იდგნენ, რომლებიც აერთიანებდნენ მაუდისა და აბრეშუმის მქსოველებსა და ოქრომჭედლებს. სხვა პროფესიის ხელოსნები გაერთიანებული იყვნენ „უმცროს ამქრებში", რომლებიც ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში საერთოდ არ მონაწილეობდნენ.

ქალაქი და სოფელი. ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი ქალაქები სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდნენ ფეოდალებთან და თანდათანობით თავიანთ გავლენას უქვემდებარებდნენ პატარა-პატარა მეზობელ ქალქებს, ბურგებსა და სოფლებს. სოფელი წარმოადგენდა ქალაქის სასურსათო და ნედლეულის წყაროს. ამიტომაც ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებამ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გაზარდა, რამაც სოფელი ქალაქთან კიდევ უფრო მეტად დააკავშირა. მდიდარი ქალაქები და საკუთრივ კომუნაც, ფეოდალებისგან ყიდულობდნენ ქალაქის გარშემო მდებარე მიწებს და არენდით აძლევდნენ ქალაქის მცხოვრებლებს. მემამულეების მიერ მიწებით ვაჭრობა ფეოდალურ მამულებს კიდევ უფრო აქუცმაცებდა. ამასთან, ქალაქებს მორჩილებაში ჰყავდათ ის რაინდობა, რომლებიც ქალაქების ძარცვით ირჩენდნენ თავს. ასე მოიქცა, მაგალითად, ფლორენცია, რომელმაც მრავალი რაინდი აიძულა ქალაქის კედლებს შიგნით დასახლებულიყო, რათა ისინი თავისი კონტროლქვეშ ჰყოლოდა.

ქალაქების ეკონომიკურმა გაძლიერებამ თავისი გავლენა იქონია სოფელზეც, სადაც შესაბამისად განვითარდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. გლეხთა ნატურალური გამოსაღები ფულადი რენტით შეიცვალა, რამაც ფეოდალური ურთიერთობა თანდათან დაასუსტა. გლეხთა შეძლებული ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილი გამოსყიდვის საშუალებით თავისუფლდებოდა, ღარიბი ნაწილი კი ქალაქში გარბოდა და იქ ან მდიდარი ვაჭარი ხდებოდა და ანდა შავი მუშა.

ქალაქების გავლენა სოფლის ეკონომიკურ განვითარებაზე სხვადასხვა გზით მიმდინარეობდა. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ქალაქი, რომელიც სოფლის მეურნეობის ორიენტირებას ბაზარზე აკეთებდა, შემოგარენში თესავდა სელს, კანაფს, ბამბას. ამავე დროს, ქალაქის კომუნა მხარს უჭერდა მელიორაციისა და ირიგაციის სისტემების მშენებლობას. XI-XII საუკუნეებში ვენეტონში, ლიგურიასა და ტოსკანაში აქტიურად მიმდინარეობდა საშინაო კოლონიზაცია, რომელშიც მონაწილეობას ხელოსნები და რაინდები ღებულობდნენ. ისინი გათავისუფლებულ ახალ მიწებს მემკვიდრეობით საკუთრებაში ღებულობდნენ. დაბოლოს, თავისი მაგალითით ქალაქის კომუნამ შესაძლებლობა მისცა XII საუკუნის სოფლის კომუნების წარმოშობას, რომლებმაც სხვადასხვა გზებით მიაღწიეს სასამართლო-ადმინისტრაციულ უფლებას ადგილობრივი სენიორებისაგან. სოფლის კომუნა ფლობდა მიწის სავარგულებს, გააჩნდა არჩევითი ადმინისტრაცია, სასამართლო უფლება და სტატუტების გამოცემის უფლება, რომლებიც სამეურნეო წესრიგს ეხებოდა.

სოფლის კომუნების მფარველობა სამოქალაქო კომუნებისა და სასამართლოს მხრიდან, რომელიც მათ უჭერდა მხარს, წარმოადგენდა ქალაქების ანტიფეოდალური პოლიტიკის ნაწილს იმ პერიოდში, როცა მათ თვითონ დამოუკიდებლობას მიაღწიეს. მოგვიანებით, XIII საუკუნის დასაწყისისათვის ქალაქის დამოკიდებულებამ მისი შემოგარენისადმი განსხვავებული ხასიათი მიიღო – არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც სოფლები ქალაქ-სახელმწიფოებს დაექვემდებარა.

სიცილიის სამეფო XII-XIII საუკუნეებში. თუ ჩრდილო და ცენტრალურ იტალიაში XII საუკუნის დასასრულისათვის ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოები, სამხრეთ იტალიაში პოლიტიკური პროცესები სხვანაირად ვითარდებოდა. მსხვილი ქალაქები – ნეაპოლი, ამალფი, სალერნო, ბარი, პალერმო სავაჭრო აქტიურობით არ ჩამოუვარდებოდა ცენტრალური და შუა იტალიის წამყვან ქალაქებს. XI საუკუნის სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ბევრმა ქალაქმა სენიორებისგან თავისუფლება მიიღო, მოქალაქეებმა კი ნაწილობრივ სასამართლო-ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში მონაწილეობის უფლება. დაიწყო ქალაქ-კომუნების ფორმირების პროცესი. მაგრამ სრულ დამოუკიდებლობას სამხრეთ იტალიის ქალაქებმა მაინც ვერ მიაღწიეს; ფეოდალური დაჭუცმაცებულობისა და ურთიერთშორის ომების პირობებში სენიორალური ძალაუფლება საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, რათა არ დაეკარგა ისეთი მნიშვნელოვანი მატერიალური დასაყრდენი, როგორიც ქალაქი იყო.

XI საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ნორმანებით დაპყრობის შემდეგ ნორმანდიიდან და ჩრდილოეთ საფრანგეთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოსულ ჰერცოგებს ქალაქების თავისუფლების გაფართოებისათვის ახალი წინააღმდეგობები შეხვდათ. 1130 წელს ნორმანმა მმართველმა როჟერ II-მ სიცილიის სამეფო შექმნა და მას სამხრეთ იტალია და სიცილია შეუერთა. ამის გამო ზოგიერთი ქალაქი აჯანყდა, უარს ამბობდნენ ახალი ხელისუფლების მიღებაზე. როჟერ II-მ გატეხა მათი წინააღმდეგობა, მაგრამ თავისი პოზიციების გასამტკიცებლად იძულებული გახდა ქარტიით დაემტკიცებინა ქალაქების ადრინდელი პრივილეგიები. თუმცა საქალაქო ადმინისტრაციას სათავეში ჩაუყენა მეფის ჩინოვნიკი, შეიზღუდა ქალაქების სასამართლო და ფინანსური უფლებები, რომლებიც ქარტიებში იყო დაფიქსირებული. ქალაქების ეკონომიკის განვითარებას სერიოზულად აფერხებდა დიდი სახელმწიფო გადასახადები. ამასთანავე, ნორმანების დაპყრობის შემდეგ სალერნოელმა, ბარელმა, ამალფელმა და სხვა ქალაქის ვაჭრებმა, რომლებიც ტრადიციულად ვაჭრობდნენ ბიზანტიის ბაზრებზე, უპირატესობა დაკარგეს სიცილიელი მეფეების მტრული დამოკიდებულების გამო „რომაელების იმპერიასთან".

ნორმანების დროს სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში დამთავრდა ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი. ადგილობრივ მაგნატებსა და წვრილ მემამულეებს ჩამოერთვა მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი და დაურიგდა ნორმან დიდებულებს ფეოდის წესით, რომლებმაც წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს სამეფოში და შეავიწროვეს ადგილობრივი ფეოდალები. ჩამოყალიბდა ფეოდალთა კლასის სტრუქტურაც; მასში გაწევრიანდნენ მხოლოდ – გრაფები, ბარონები და რაინდები – შესაბამისი ლენური ურთიერთობის იერარქიით, თუმცა როჟერ II-მ და მისმა მემკვიდრემ ვილჰელმ II-მ შეინარჩუნეს ლენების განკარგულების უმაღლესი უფლება, ისევე, როგორც უმაღლესი იურისდიქციის უფლება და ყოველნაირად ცდილობდნენ არ დაეშვათ გრაფებისა და ბარონების ძალაუფლების გაძლიერება, სამეფო ხელისულების დასაყრდენი გახდა რაინდობა და კათოლიკური ეკლესია, რომელსაც ის უხვად ასაჩუქრებდა მიწებით.

XII საუკუნის ბოლოს სიცილიის სამეფომ ცენტრალიზაციას მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ სიცილიის მეფეები პაპის პირდაპირი ვასალები იყვნენ, მათ მიაღწიეს უფლებას ეპისკოპოსები და აბატები თვითონ დაენიშნათ. სიცილიის დედაქალაქი პალერმო განსაკუთრებით აყვავდა XII საუკუნის 80-იან წლებში ვილჰელმ II-ის დროს. ქალაქში აიგო დიდებული ტაძრები და მეფის სასახლეები.

ნორმანების მოსვლასთან ერთად გაძლიერდა სამხრეთ იტალიისა და სიცილიის პოლიეთნიკურობა. აქ ცხოვრობდნენ იტალიელები, რომლებიც მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ, არაბები, ბერძნები, ნორმანები. დამპყრობლები რჯულთ შემწყნარებლობით გამოირჩეოდნენ და სიამოვნებით ღებულობდნენ სამსახურში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს. შენარჩუნებულ იქნა სამართლებრივი სხვადასხვაობაც – მოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებდა ლანგობარდების, ბიზანტიელების, არაბული და ნორმანული სამართალი, თუმცა მიწათმფლობელობაში შეიმჩნეოდა უნიფიკაცია.

სოფლად ფართოდ იყო გავრცელებული მიწაზე გლეხების სრული ან ნაწილობრივი მიმაგრება. ესენი იყვნენ პირად თავისუფლებასა და უფლებებს მოკლებული სერვები, რომლებსაც არ შეეძლოთ ნადელების დატოვება და აგრეთვე ნახევრად თავისუფალი ვილანები. მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენდა თავისუფალი მემკვიდრეობითი არენდატორები, ალოდების მქონე მცირე მესაკუთრეები. გლეხების ეს კატეგორია ჯიუტად იცავდა თავის თავისუფლებას და არცთუ იშვიათად, იარაღით ხელში. მნიშვნელოვანი როლი ამ პრობლემების დარეგულირებაში XI-XII საუკუნეებში ითამაშა თემმა, რომელმაც სენიორებისგან მიიღო ქარტია, სადაც განსაზღვრული იყო მოსახლეობის ზოგიერთი სასამართლო-ადმინისტრაციული უფლებები.

პაპის ოლქის განვითარების თავისებურებანი და მისი როლი იტალიის პოლიტიკურ განვითარებაში. ცენტრალურ იტალიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რომის პაპების თეოკრატიულ სახელმწიფოს – პაპების ოლქს. ფეოდალიზაციის პროცესი რომში თავისებურად მიმდინარეობდა. ხელოსნური ნაწარმი უმთავრესად ადგილობრივ ბაზარზე გადიოდა და რომის ფარგლებს არ სცილდებოდა. მეტი გასაქანი ჰქონდა მევაჭრეობასა და საბანკო საქმეს. პაპის კურიას ევალებოდა ევროპის ქვეყნებიდან დიდი რაოდენობით გადასახადების აკრეფა, რაც მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა. ამიტომაც პაპის კურია მსხვილ ფინანსისტებს სათანადო თანხის გაღების შემდეგ გადასახადების აკრეფის უფლებას აძლევდა. უზარმაზარ შემოსავალს იღებდა რომი პილიგრიმებისაგან, რომლებიც რომში დიდი რაოდენობით ჩამოდიოდნენ. გარდა იმისა, რომ რომის მოსახლეობა მეტად შევიწროებული იყო ფეოდალებისგან, ხელოსნებსა და ვაჭრებს უფლება არ ჰქონდათ ჩამოეყალიბებინათ საკუთარი ამქრები და გილდიები. რომში ორასამდე ციხესიმაგრე იყო, საიდანაც ფეოდალები განუწყვეტლივ აწარმოებდნენ ერთმანეთზე თავდასხმებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორი უძლიერესი გვარი – ორსინი და კოლონა (პეტრარკას აზრით, ისინი უცხოური წარმოშობისა იყვნენ), რომლებიც რომში ციხესიმაგრეებს აგებდნენ და ნამდვილ ბრძოლებს აწარმოებდნენ ქალაქის ქუჩებში. პაპმა ბონიფაციუს VIII-მ (1294-1303) შეძლო ფეოდალთა დროებით დამორჩილება და რომში ტირანიის მსგავსი მმართველობა დააწესა. ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე თავისი ნათესავები დანიშნა. მაგრამ მისმა დამარცხებამ საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზთან და პაპის ტახტის ავინიონში გადატანამ, ფეოდალთა ხელახალი გაძლიერება გამოიწვია. რომში დაიწყო ძლიერი ანტიპაპური მოძრაობა, რომელიც 1143 წელს აჯანყებაში გადაიზარდა, რომლის მიზანს რომში კომუნის დამყარება წარმოადგენდა. აჯანყებულმა ვაჭრებმა და ხელოსნებმა კაპიტოლიუმი ხელში ჩაიგდეს და იქ სენატის სხდომა მოაწყვეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოსულ ჰერცოგებს ქალაქების თავისუფლების გაფართოებისათვის ახალი წინააღმდეგობები შეხვდათ. 1130 წელს ნორმანმა მმართველმა როჟერ II-მ სიცილიის სამეფო შექმნა და მას სამხრეთ იტალია და სიცილია შეუერთა. ამის გამო ზოგიერთი ქალაქი აჯანყდა, უარს ამბობდნენ ახალი ხელისუფლების მიღებაზე. როჟერ II-მ გატეხა მათი წინააღმდეგობა, მაგრამ თავისი პოზიციების განმტკიცებლად იძულებული გახდა ქარტიით დაემტკიცებინა ქალაქების ადრინდელი პრივილეგიები. თუმცა საქალაქო ადმინისტრაციას სათავეში ჩაუყენა მეფის ჩინოვნიკი, შეიზღუდა ქალაქების სასამართლო და ფინანსური უფლებები, რომლებიც ქარტიებში იყო დაფიქსირებული. ქალაქების ეკონომიკის განვითარებას სერიოზულად აფერხებდა დიდი სახელმწიფო გადასახადები. ამასთანავე, ნორმანების დაპყრობის შემდეგ სალერნოელმა, ბარელმა, ამალფელმა და სხვა ქალაქის ვაჭრებმა, რომლებიც ტრადიციულად ვაჭრობდნენ ბიზანტიის ბაზრებზე, უპირატესობა დაკარგეს სიცილიელი მეფეების მტრული დამოკიდებულების გამო „რომაელების იმპერიასთან“.

ნორმანების დროს სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში დამთავრდა ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი. ადგილობრივ მაგნატებსა და წვრილ მემამულეებს ჩამოერთვა მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი და დაურიგდა ნორმან დიდებულებს ფეოდის წესით, რომლებმაც წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს სამეფოში და შეავიწროვეს ადგილობრივი ფეოდალები. ჩამოყალიბდა ფეოდალთა კლასის სტრუქტურაც; მასში გაწევრიანდნენ მხოლოდ – გრაფები, ბარონები და რაინდები – შესაბამისი ლენური ურთიერთობის იერარქიით, თუმცა როჟერ II-მ და მისმა მემკვიდრემ ვილჰელმ II-მ შეინარჩუნეს ლენების განკარგულების უმაღლესი უფლება, ისევე, როგორც უმაღლესი იურისდიქციის უფლება და ყოველნაირად ცდილობდნენ არ დაეშვათ გრაფებისა და ბარონების ძალაუფლების გაძლიერება, სამეფო ხელისულების დასაყრდენი გახდა რაინდობა და კათოლიკური ეკლესია, რომელსაც ის უხვად ასაჩუქრებდა მიწებით.

XII საუკუნის ბოლოს სიცილიის სამეფომ ცენტრალიზაციას მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ სიცილიის მეფეები პაპის პირდაპირი ვასალები იყვნენ, მათ მიაღწიეს უფლებას ეპისკოპოსები და აბატები თვითონ დაენიშნათ. სიცილიის დედაქალაქი პალერმო განსაკუთრებით აყვავდა XII საუკუნის 80-იან წლებში ვილჰელმ II-ის დროს. ქალაქში აიგო დიდებული ტაძრები და მეფის სასახლეები.

ნორმანების მოსვლასთან ერთად გაძლიერდა სამხრეთ იტალიისა და სიცილიის პოლიეთნიკურობა. აქ ცხოვრობდნენ იტალიელები, რომლებიც მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ, არაბები, ბერძნები, ნორმანები. დამპყრობლები რჯულთ შემწყნარებლობით გამოირჩეოდნენ და სიამოვნებით ღებულობდნენ სამსახურში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს. შენარჩუნებულ იქნა სამართლებრივი სხვადასხვაობაც – მოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებდა ლანგობარდების, ბიზანტიელების, არაბული და ნორმანული ჯაბანთალი, თუმცა მიწათმფლობელობაში შეიმჩნეოდა უნიფიკაცია.

სოფლად ფართოდ იყო გავრცელებული მიწაზე გლეხების სრული ან ნაწილობრივი მიმაგრება. ესენი იყვნენ პირად თავისუფლებასა და უფლებებს მოკლებული სერვები, რომლებსაც არ შეეძლოთ ნადელების დატოვება და აგრეთვე ნახევრად თავისუფალი ვილანები. მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენდა თავისუფალი მემკვიდრეობითი არენდატორები, ალოდების მქონე მცირე მესაკუთრეები. გლეხების ეს კატეგორია ჯიუტად იცავდა თავის თავისუფლებას და არცთუ იშვიათად, იარაღით ხელში. მნიშვნელოვანი როლი ამ პრობლემების დარეგულირებაში XI-XII საუკუნეებში ითამაშა თემმა, რომელმაც სენიორებისგან მიიღო ქარტია, სადაც განსაზღვრული იყო მოსახლეობის ზოგიერთი სასამართლო-ადმინისტრაციული უფლებები.

პაპის ოლქის განვითარების თავისებურებანი და მისი როლი იტალიის პოლიტიკურ განვითარებაში. ცენტრალურ იტალიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რომის პაპების თეოკრატიულ სახელმწიფოს – პაპების ოლქს. ფეოდალიზაციის პროცესი რომში თავისებურად მიმდინარეობდა. ხელოსნური ნაწარმი უმთავრესად ადგილობრივ ბაზარზე გადიოდა და რომის ფარგლებს არ სცილდებოდა. მეტი გასაქანი ჰქონდა მევახშეობასა და საბანკო საქმეს. პაპის კურიას ევალებოდა ევროპის ქვეყნებიდან დიდი რაოდენობით გადასახადების აკრეფა, რაც მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა. ამიტომაც პაპის კურია მსხვილ ფინანსისტებს სათანადო თანხის გაღების შემდეგ გადასახადების აკრეფის უფლებას აძლევდა. უზარმაზარ შემოსავალს იღებდა რომი პილიგრიმებისაგან, რომლებიც რომში დიდი რაოდენობით ჩამოდიოდნენ. გარდა იმისა, რომ რომის მოსახლეობა მეტად შევიწროებული იყო ფეოდალებისგან, ხელოსნებსა და ვაჭრებს უფლება არ ჰქონდათ ჩამოეყალიბებინათ საკუთარი ამქრები და გილდიები. რომში ორასამდე ციხესიმაგრე იყო, საიდანაც ფეოდალები განუწყვეტლივ აწარმოებდნენ ერთმანეთზე თავდასხმებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორი უძლიერესი გვარი – ორსინი და კოლონა (პეტრარკას აზრით, ისინი უცხოური წარმოშობისა იყვნენ), რომლებიც რომში ციხესიმაგრეებს აგებდნენ და ნამდვილ ბრძოლებს აწარმოებდნენ ქალაქის ქუჩებში. პაპმა ბონიფაციუს VIII-მ (1294-1303) შეძლო ფეოდალთა დროებით დამორჩილება და რომში ტირანიის მსგავსი მმართველობა დააწესა. ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე თავისი ნათესავები დანიშნა. მაგრამ მისმა დამარცხებამ საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზთან და პაპის ტახტის ავინიონში გადატანამ, ფეოდალთა ხელახალი გაძლიერება გამოიწვია. რომში დაიწყო ძლიერი ანტიპაპური მოძრაობა, რომელიც 1143 წელს აჯანყებაში გადაიზარდა, რომლის მიზანს რომში კომუნის დამყარება წარმოადგენდა. აჯანყებულმა ვაჭრებმა და ხელოსნებმა კაპიტოლიუმი ხელში ჩაიგდეს და იქ სენატის სხდომა მოაწყვეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც მოქალაქეები ესწრებოდნენ. რომის ხელისუფლებამ კაპიტოლიუმზე იერიში მიიტანა, მაგრამ მარცხი განიცადა. ამ დროს ბრბოდან გასროლილმა ქვამ მოკლა პაპი ლუციუს II.

რომის კომუნის იდეოლოგად იქცა **არნოლდო ბრეშიელი**. მან განათლება მიიღო პარიზში, რომელიც შუა საუკუნების მეცნიერების ცენტრად ითვლებოდა. კარგად შეისწავლა ძველი ბერძნული და რომაული ფილოსოფია. ბრეშიაში დაბრუნებულმა ქადაგება დაიწყო და მალე მიაღწია ალიარებას. XII საუკუნის 30-იან წლებში ბრეშია უკვე კომუნას წარმოადგენდა, მაგრამ ქალაქის მოსახლეობას ხშირად უხდებოდა ეპისკოპოსებთან და მონასტრებთან შეჯახება. არნოლდო თავისი ქადაგებით აშკარად დაუპირისპირდა იმ ეკლესიას, რომლის მსახურიც თვითონ იყო. მან ხალხს ამბოხებისკენ მოუწოდა: „ეკლესიის ფუძემდებელი იესო ქრისტე და მისი მოწაფე-მოციქულები სრულ სიღარიბეში ცხოვრობდნენ. ამიტომაც თუ თქვენ ეკლესიას მთელ ძალაუფლებასა და სიმდიდრეს წაართმევთ, თქვენ კეთილი ქრისტიანები გახდებით. ეს სამართლიანი და ღმერთისთვის მისაღები საქმეა!“

არნოლდო ბრეშიელის პოლიტიკური პროგრამა ითვალისწინებდა ეკლესიის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას; საეკლესიო მიწების სეკულარიზაციასა და მათი ხალხისთვის დარიგებას, სახალხო ტრიბუნთა თანამდებობის აღდგენას; სენტთან ერთად სახალხო კრებების მოწვევას; მხოლოდ რომაული წარმოშობის იმპერატორების არჩევას. ამგვარად, არნოლდო ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო პაპების, არამედ გერმანელი იმპერატორების წინააღმდეგაც. 1139 წელს ლატერანის საეკლესიო კრებამ მისი მოძღვრება ერეტიკულად გამოაცხადა. ჩამოართვა მას მღვდლის წოდება, შეაჩვენა მისი ბოროტების მომტანი მოძღვრება და იტალიიდან განდევნა. ბრეშიელი საფრანგეთში გაიქცა და თავის მასწავლებელს პიერ აბელიარს მიეკედლა. პიერ აბელიარი გამოდიოდა ავტორიტეტების ბრმა თაყვანისცემის წინააღმდეგ, გონებას კი რწმენაზე მაღლა აყენებდა, ამიტომაც მისი მოძღვრება საეკლესიო დოგმებს სცილდებოდა. როცა პაპმა ინოკენტი III აბელიარი შეაჩვენა, არნოლდო მის დასაცავად სხვადასხვა შეკრებებზე გამოდიოდა. პაპმა მეორედ გაასამართლა ბრეშიელი, როგორც ერეტიკოსი და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა ერთ-ერთ მონასტერში. მაგრამ არნოლდომ გაქცევა მოახერხა ჯერ ციურიხში, შემდეგ კი ჩეხეთში. 1145 წელს პაპმა ევგენი III-მ მიუტევა ბრეშიელს და პირობა დაადებინა, რომ ეკლესიის წინააღმდეგ აღარ გამოვიდოდა. არნოლდო რომში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა ამბოხებულებს. პაპმა მესამედ შეაჩვენა სიტყვის გამტეხი. 1152 წელს არნოლდომ გადაწყვიტა იტალია გაეერთიანებინა გერმანიის იმპერატორის ძალაუფლების ქვეშ. შემდგომში კი იმპერატორს აირჩევდა რომის სენატი და იტალიაც გერმანელების ბატონობისაგან გათავისუფლდებოდა.

მაგრამ არნოლდო ბრეშიელის ორივე იდეას – იტალიის გაერთიანებისა და რომის ძველი დიდების აღდგენას, განხორციელება არ ეწერა. 1155 წელს აღდგომის მოახლოების წინ პაპმა ადრიანე IV-მ რომს ინტერდიქტი დაადო. პილიგრიმების მოსვლა ქალაქში შეწყდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ვაჭართა ინტერესებს. მათ არნოლდო გასცეს. მაგრამ იგი გაიქცა. ფრიდრიხ ბარბაროსას ბრძანებით ის პაპს გადასცეს. არნოლდო ჯერ ჩამოახრჩვეს, შემდეგ კი დაწვეს. ფერფლი ტიბრში გადაყარეს.

გერმანელი მეფეების იტალიური პოლიტიკა, ფრიდრიხ I ბარბაროსა. პოლიტიკურად დაქუცმაცებულ გერმანიაში ფეოდალიზაციის განვითარების პროცესმა მისი მეფეების წინაშე ძირითად საკითხად დააყენა საკუთარი საგვარეულო სამფლობელოების მძლავრი კომპლექსის შექმნა, რაც ქვეყანაში მათი ძალაუფლების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

ჰოჰენშტაუფენების დინასტიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ფრიდრიხ I (1152-1190), რომელიც ისტორიაში შევიდა იტალიური მეტსახელით „ბარბაროსა“ („წითურწვერა“), 22 წლის მანძილზე ცდილობდა საკუთარი დომენის შექმნას იმპერიის ყველაზე მდიდარ ნაწილში, ჩრდილოეთ იტალიაში. მისი პრეტენზიების სამართლებრივი საფუძვლები ბოლონიელმა იურისტებმა რომაულ სამართალზე დაყრდნობით შეიმუშავეს; ცნობილია, რომ XII საუკუნიდან შუა საუკუნეებში ფართოდ იყო გავრცელებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ რომის საღმრთო იმპერია წარმოადგენდა ავგუსტუსისა და კონსტანტინეს იმპერიის გაგრძელებას, რაც კლასიკურ რომაულ სამართალში ხელს უწყობდა მის ე.წ. რეცეპციას.

ფრიდრიხ I ბარბაროსა შუა საუკუნეების მონარქებიდან ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება იყო. ის იყო კონრად III-ს ძმისწული. მკაცრი, უკიდურესად პატივმოყვარე, აგრესიული და მოქნილი პოლიტიკოსი მსოფლიო ბატონობისაკენ ისწრაფვოდა. მოხდენილი გარეგნობის, საშუალო სიმაღლის, თავაზიანი, გულუხვი, ძალიან ამაყი, განრისხების დროს სასტიკი და დაუნდობელი იყო.

ფრიდრიხ I-მა თავისი მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში, მეფის ხელისუფლება გააძლიერა; თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია ბურგუნდია და ნეაპოლი. შემოიღო დაქირავებული ჯარის სისტემა და თავისი მსახურებით – მინისტერიალებით ადმინისტრაცია გააძლიერა. ბარბაროსას შემდეგი პოლიტიკური სვლა ველფებთან დაახლოება იყო. მან თავის დაუძინებელ მტერს ჰაინრიხ ლომს ბავარია დაუბრუნა და სლავთა მიწები მფლობელობაში მისცა იმ პირობით, თუ შეიარაღებული ძალებით იტალიაში გაჰყვებოდა. მეფე სასტიკად უსწორდებოდა ურჩ ფეოდალებს, ანგრევდა მათ ციხე-კოშკებს, კონფისკაციას უკეთებდა მათ მიწებს, სადაც თავის ერთგულ წვრილ რაინდობას ასახლებდა. ამ დროიდან გერმანიაში ლენური მფლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელობის წესად იქცა, რომ კონფისკირებული მიწები მეფეს შეეძლო საკუთრებაში მხოლოდ ერთი წლისა და ერთი დღის განმავლობაში ჰქონოდა.

გერმანიაში გატარებულმა ღონისძიებებმა ცენტრალური ხელისუფლება გააძლიერა, მაგრამ ბარბაროსამ ვერ შეძლო სახელმწიფო ხაზინის შევსება ფულადი სახსრებით იმის გამო, რომ გერმანული ქალაქების დიდი ნაწილი მსხვილი ფეოდალების ხელში იყო. ამიტომაც ამ საკითხის გადაჭრა ფრიდრიხ I-მა მდიდარი იტალიური ქალაქების ხარჯზე გადაწყვიტა, რომლებმაც აღმოსავლეთთან ინტენსიური ვაჭრობის შედეგად დიდი სიმდიდრე დააგროვეს. ამ მხრივ, განსაკუთრებით ჩრდილოეთ იტალიის ქალაქები გამოირჩეოდა. ფრიდრიხ I-მა ექვსჯერ გადალახა ალპები და თუ ამ ბრძოლების პირველი ეტაპი ერთგვარი წარმატებით დამთავრდა იმპერატორისათვის, სამაგიეროდ, მეორე ეტაპზე მან სასტიკი მარცხი განიცადა.

იტალიის დაქსაქსულობამ ქალაქ-კომუნებად და სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად, რაც განსაკუთრებით XII საუკუნეში გაძლიერდა, ფრიდრიხ I-ს საშულება მისცა გადამწყვეტი შეტევა დაეწყო თავისი უფლებების განსამტკიცებლად იტალიაში. მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულება ჩრდილოეთ იტალიის მდიდარი ქალაქების დამორჩილება იყო. 1154 წელს ის ჯარებით მიადგა პიაჩენცას, სადაც მოიწვია საბჭო, რომელსაც ლომბარდიის კომუნებისა და ფეოდალური-სენიორიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ და მოითხოვა აღდგენილიყო რეგალიების საიმპერატორო პრეროგატივა, რაც ქალაქების სასამართლო-ადმინისტრაციულ და ფინანსური სამართლის მკვეთრად შეზღუდვას ნიშნავდა (ამ დროისათვის ქალაქების ვალდებულება იმპერატორის წინაშე მინიმუმამდე იყო დაყვანილი და წარმოდგენილი იყო მცირე ფულადი სუბსიდიებითა და სამხედრო რაზმით). ფრიდრიხმა სერიოზული პრეტენზიები წაუყენა მილანს, რომელმაც თავისი გავლენა მთელ ლომბარდიაზე გაავრცელა. ჭკუის სასწავლებლად კი დაანგრია და გადაწვა მილანი და მისი მეზობელი რამდენიმე კომუნა. შემდეგ პავიაში გაემგზავრა და იქ იტალიური გვირგვინით მეფედ ეკურთხა (ცნობილია, რომ გერმანელი მეფეები სამჯერ იდგამდნენ გვირგვინს: გერმანიაში, პავიასა და რომში). ამის შემდეგ ფრიდრიხი რომისკენ დაიძრა, რათა ტრადიციისამებრ, პაპის ხელითა და რომაელების თანხმობით მისი იმპერატორად კურთხევა შემდგარიყო.

პაპი ადრიანე IV-ს მწვავე კონფლიქტი ჰქონდა რომის მოსახლეობასთან, რომლებმაც პაპის ხელისუფლებაზე უარი განაცხადეს და 1143 წელს რომი რესპუბლიკად გამოაცხადეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპუბლიკურ მოძრაობას სათავეში არნოლდო ბრეშიელი ედგა. პაპმა ფრიდრიხ I-ს პირობა წაუყენა: კორონაცია იმ შემთხვევაში შედგებოდა თუ ის ბრეშიელს შეიპყრობდა და პაპს გადასცემდა. როცა ბარბაროსა რომს მიუახლოვდა, რომის რესპუბლიკის დელეგაციამ მას გვირგვინი შესთავაზა. ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარაუდობდნენ, რომ პაპის წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერატორს მხარს დაუჭერდნენ. ფრიდრიხი არჩევანის წინაშე დადგა: გვირგვინი ან პაპისგან უნდა მიეღო ან რომის კომუნისაგან. მეფემ პაპი არჩია. 1155 წლის 18 ივნისს პაპმა ადრიანე IV-მ მას იმპერატორის გვირგვინი დაადგა წმ. პეტრეს ტაძარში. ბარბაროსამ კი სანაცვლოდ ბრეშიელი გადასცა, რომელმაც ის ჯერ ჩამოახრჩობინა, შემდეგ კი დაწვა. ხალხი აჯანყდა. ბარბაროსამ რომი დატოვა.

მაგრამ პაპთან ურთიერთობა მყარი არ გამოდგა. ფრიდრიხი უკმაყოფილო იყო იმით, რომ პაპმა სიცილიის სამეფოს ტახტზე მისი მოწინააღმდეგე ვილჰელმის უფლება ცნო. მათი შეხვედრის დროს იმპერატორმა ხელი არ მოჰკიდა პაპის ცხენის სადავეს, საპასუხოდ არც პაპმა უძღვნა მას მშვიდობის ამბორი. უფრო მეტიც, პაპი შეურიგდა რომის კომუნას და ძალაუფლება გაიყვეს.

1158 წელს ფრიდრიხ I-მა ახალი ლაშქრობა წამოიწყო. იტალიაში ახლა მას ორი მტერი ჰყავდა: ქალაქ-კომუნები და პაპი, რომელიც უკმაყოფილო იყო იმით, რომ იმპერატორმა დაარღვია 1122 წლის ვორმსის კონკორდატი და ეპისკოპოსებს საკუთარი შეხედულებისამებრ ნიშნავდა. ფრიდრიხმა დაიწყო კავშირის შექმნა მილანოს წინააღმდეგ, რომელმაც კვლავ უარი განაცხადა დამორჩილებაზე. ბარბაროსამ რონკალის ველზე მოიწვია საბჭო, რომელზეც ლომბარდიელი წარმომადგენლების გარდა ოთხი ბოლონიელი იურისტიც ესწრებოდა. ფრიდრიხ I-მა თავისი პირობები წამოაყენა: რეგალიების აღდგენა, კომუნების კონსულების არჩევა და ხარკის გადახდა 9000 ვერცხლის მარკის ოდენობით. იურისტებმა იუსტინიანეს კოდექსზე დაყრდნობით დაამტკიცეს იმპერატორის უფლება რეგალიებზე და სასამართლო ძალაუფლება. რონკალის საბჭოს გადაწყვეტილებამ ყველა კომუნის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც ისინი მთლიანად იმპერატორზე დამოკიდებული ხდებოდნენ. პირველი ქალაქი, რომელიც წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას კრემა იყო, რომელიც დანგრეულ იქნა იმპერატორის ბრძანებით. 1162 წელს ერთი წლის ალყის შემდეგ მილანოც ჩაბარდა. ბარბაროსას ბრძანებით გაძარცვული ქალაქი დაწვეს, დაანგრიეს და გადახნეს.

იმპერატორის სასტიკმა პოლიტიკამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია მთელ იტალიაში და მას მისი მომხრე ქალაქებიც ჩამოაშორა. პაპის ალექსანდრე III-ს დიპლომატიის შედეგად შეიქმნა კოალიცია იმპერატორის წინააღმდეგ. ვენეციიდან სიცილიის სამეფომდე მთელი იტალია პაპის გარშემო გაერთიანდა. 1165 წელს ვენეციამ, ვერონამ, პადუამ და ვიჩენცამ ჩამოაყალიბეს ვერონას ლიგა. 1167 წელს ბერგამომ, მანტუამ, ბრეშიამ, ფერარამ და კრემონამ კიდევ ერთი ლიგა შეადგინა, რომელიც იმავე წელს ვერონას ლიგას შეუერთდა. ასე შეიქმნა ლომბარდიის ლიგა-ქალაქების ძლიერი კავშირი, რომელსაც მხარს უჭერდა სიცილიის სამეფოც. საერთო საბრძოლო აღდგენილ იქნა მილანო და მის მახლობლად, ვერჩელთან აშენდა სტრატე-

გიული მნიშვნელობის მქონე სიმაგრე, რომელსაც პაპის პატივსაცემად ალესანდრია უწოდეს. ლომბარდიის ლიგა, 37 ქალაქის გაერთიანება, გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა.

1176 წლის 29 მაისს ლენიანოსთან მოხდა შუა საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა. ფრიდრიხ I ბარბაროსა სასტიკად დამარცხდა. ცხენიდან გადმოვარდა და თავს გაქცევით უშველა. მახვილი და დროშა ბრძოლის ველზე დარჩა. დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა ის, რომ ჰაინრიხ ლომმა უარი თქვა იმპერატორის დასახმარებლად შეპირებული ჯარის გამოგზავნაზე. იტალიის ქალაქებმა ამ გამარჯვებით თავიანთი დამოუკიდებლობა აღადგინეს.

ლენიანოსთან ომის შემდეგ ვენეციაში შედგა კონგრესი, რომელსაც ესწრებოდნენ პაპი, იმპერატორი, სიცილიის მეფის წარმომადგენელი და როგორც ლიგის წევრები, ისე იმპერატორის მომხრეები. ფრიდრიხი იძულებული გახდა სრულ კაპიტულაციაზე წასულიყო. მას შემდეგ, რაც პაპმა შერიგების მესა გადაიხადა, კანოსა განმეორდა – გერმანიის ამაყმა იმპერატორმა პაპის წინაშე მუხლებზე დაიჩოქა. მართალია, იმპერატორმა განაცხადა, რომ მუხლს იყრიდა არა პაპის, არამედ პეტრეს წინაშე, რაზეც პაპმა უპასუხა: „ჩემს წინაშეც და პეტრეს წინაშეც“. ამის სამახსოვრო წითელი ქვის ფილა ჩადგეს იატაკში იმ ადგილას, სადაც მუხლმოყრილი იმპერატორი იდგა. ხოლო როდესაც ეკლესიიდან გამოვიდნენ, პაპი ცხენზე ივდა, იმპერატორი კი ფეხით მისდევდა და მისი ცხენის სადავე ეჭირა...

1183 წელს კონსტანცას ხელშეკრულებით იმპერატორმა უარი თქვა მთელ რიგ მნიშვნელოვან პრეტენზიებზე ჩრდილოეთ იტალიაში. ლენიანოსთან დამარცხებამ განაპირობა საიმპერიო სასამართლო პროცესი ჰაინრიხ ლომის წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც ველფებს ძალით ჩამოერთვათ თითქმის მთელი მათი სამფლობელოები, ჰაინრიხ ლომი კი ინგლისში იქნა განდევნილი (ველფები ნათესაური კავშირით იყვნენ დაკავშირებული ინგლისის პლანტაგენეტების დინასტიასთან).

ლენიანოსთან მარცხი ფრიდრიხ I-მა ბარბაროსამ დიდი დიპლომატიური განარჯვებით აინაზღაურა. თავისი ვაჟი, ჰაინრიხ VI დააქორწინა ორივე სიცილიის სამეფოს მემკვიდრეზე – კონსტანცაზე და ამ გზით ჰოჰენშტაუფენების დინასტიას მოუპოვა სამხრეთი იტალია და სიცილია. აღსანიშნავია, რომ, ფრიდრიხ ბარბაროსას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონია საქართველოს სამეფო კართანაც გიორგი მესამისა და თამარის მმართველობის ჟამს. მისი ერთ-ერთი ვაჟი იმ პირთა შორის იყო, ვინც თამარ მეფის ცოლად შერთვას აპირებდა. ეს არის პროფ. გ. ჟორდანიას საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრება, რომელმაც XII-XIII საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობათა და დიპლომატიის ისტორიაში სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა. ფრიდრიხ ბარაბროსას აქტიურობა საერთაშორისო

ასპარეზზე ტრაგიკულად დასრულდა; მოხუცი მეფე მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, სირიაში 1190 წლის 10 ივნისს მთის პატარა მდინარეში სალეფში დაიხრჩო (თავის დროზე ამ მდინარეში დახრჩობას ძლივს გადაურჩა ალექსანდრე მაკედონელი).

ფრიდრიხ I-ის იტალიური პოლიტიკა გააგრძელა მისმა შვილმა იმპერატორმა ჰაინრიხ VI-მ (1191-1197). მან საშინელი სისასტიკით ჩაახშო თავისი ახალი ქვეშევრდომების გამოსვლა, რომელსაც არ სურდათ მისი აღიარება და შეუბრალებლად გაძარცვა ქვეყანა. სამხედრო ლაშქრობა სამხრეთ იტალიის სამეფო ტახტზე დამთავრდა მდიდრული გვირგვინკურთხევით პალერმოში (1194), რაც შესაძლებელი გახდა იმ უზარმაზარი გამოსასყიდის წყალობით, რომელიც ინგლისელებმა გადაუხადეს ჰაინრიხს რიჩარდ ლომგულის ტყვეობიდან გათავისუფლებისათვის.

იმპერიასთან სიცილიის სამეფოს გაერთიანებამ ერთი მონარქის ხელში მეტისმეტად შეაშფოთა როგორც რომი, ისე კონსტანტინოპოლი. იმპერატორის წინაშე ახალი პერსპექტივები გაიხსნა. სიცილიის სამეფო თავისებურ ხიდს წარმოადგენდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღმოსავლეთის ვაჭრობასთან. ჰაინრიხ VI-მ დაიწყო მზადება აღმოსავლეთ იმპერიის დასაპყრობად და წმინდა მიწის გასათავისუფლებლად, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ჰაინრიხ VI გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი ვაჟი, ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი და საინტერესო მონარქი აღმოჩნდა.

ფრიდრიხ II ფრიდრიხ I ბარბაროსასა და სიცილიის ნორმანი მეფის როჟერ II-ს შვილიშვილი იყო. იგი იზრდებოდა პალერმოში. მისი მეურვეობა დედის სიკვდილის შემდეგ პაპმა ინოკენტი III-მ ითავა. მან ფრიდრიხს დაუჭირა მხარი გერმანიაში სამეფო ტახტისთვის ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობდა ოტო IV ველფსა და ფილიპე შვაბელს შორის, თუმცა სიცილიისა და გერმანიის ერთიანი სამეფო გვირგვინი რომს არაფერში აწყობდა. გერმანიის მეფედ ფრიდრიხ II 1212 წელს გახდა, რაშიც მას ინოკენტი III-სთან ერთად საფრანგეთის მეფე ფილიპე II ოგიუსტიც დაეხმარა. რვა წლის შემდეგ კი 1220 წელს გერმანიის იმპერატორად იგი აკურთხა პაპმა ჰონორიუს III-მ (1216-1227).

პაპების ძლევამოსილება ინოკენტი III დროს. XI საუკუნეში დასავლეთ ევროპის ფეოდალიზაციამ თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, რამაც ფეოდალური მონარქიის გაძლიერება გამოიწვია. ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოების არარსებობის პირობებში ეკლესია ისე გაძლიერდა, რომ მისი ავტორიტეტი ყველასათვის ანგარიშგასაწევი გახდა. ეკლესიის გაძლიერებას ხელი შეუწყო კლუნიურმა მოძრაობამ, რომელიც ცდილობდა ევროპის მონარქები ვასალებად ექცია.

XII-XIII საუკუნეებში პაპების გაძლიერებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, რომლის ინიციატორად ეკლესია გამო-

ვიდა. პაპების კურთხევით ჯვაროსნული ლაშქრობები ეწყობოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და ესპანეთში, სადაც რეკონკისტაში ესპანურ ორდენებთან ერთად მონაწილეობდნენ აგრეთვე აღმოსავლეთში დაარსებული ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების ორდენები. სწორედ ამ პერიოდში რომის კურიაში იურისტები მოვიდნენ, რომლებიც არცთუ იშვიათად, პაპის ტახტსაც იკავებდნენ. მათ კანონიკური სამართლით მთლიანად განამტკიცეს პაპების თეოკრატიული პრეტენზიები.

განსაკუთრებულ ძლიერებას პაპობამ XIII საუკუნეში მიაღწია მე-17 პაპის ინოკენტი III-ს დროს (1198-1216). ის იყო უნიჭიერესი დიპლომატი, პოლიტიკური ინტრიგების უბადლო ოსტატი, რომელმაც იშვიათი ხელოვნებითა და შეუპოვრობით გონივრულად გამოიყენა პოლიტიკური მდგომარეობა პაპობის ძალაუფლების გაძლიერებისათვის. ჩვეულებრივ, პაპად ირჩევდნენ ღრმად მოხუცებულ პირებს, რომლებიც დიდხანს ვერ ცოცხლობდნენ. ინოკენტი კი მხოლოდ 37 წლის იყო. ლოტარიო დე სენი გრაფი იყო, მიიღო ბრწყინვალე განათლება: ბოლონიაში — იურიდიული, პარიზში კი თეოლოგიური. მას, ისევე როგორც გრიგოლ VII-ს ფანატიკურად სჯეროდა პაპების მოწოდებისა მსოფლიო ბატონობაზე, თუმცა წინამორბედისგან ინოკენტი განსხვავდებოდა ცივი, თავშეკავებული ხასიათით, ანგარიშიანობითა და სიფრთხილით. თუ მანამდე პაპები თავს აცხადებდნენ პეტრე მოციქულის მოადგილეებად, ინოკენტი III ოფიციალურად დაამტკიცა პაპის ტიტული — ქრისტეს ვიკარიუსი (მოადგილე). მისი პონტიფიკატის დროს პაპობამ თეოკრატიას მიაღწია. ინოკენტი III სიუზერენი გახდა მთელი რიგი მონარქებისა, რომლებმაც თავი მის ვასალად გამოაცხადეს: სიცილიის სამეფო, შვეცია, დანია, პორტუგალია, არაგონია, პოლონეთი, ბულგარეთი, სერბია. ვასალურ დამოკიდებულებას აღიარებდა სომხეთიც.

ინოკენტი III აწარმოებდა დახვეწილ და რთულ დიპლომატიურ თამაშს. მან გამოიყენა ბრძოლა ტახტისათვის ჰოჰენშტაუფენებსა და ველფებს შორის თავისი გავლენის განსამტკიცებლად რომის საღმრთო იმპერიაზე. კაპეტინგებსა და პლანტაგენეტებს შორის ატეხილი ბრძოლა კი ინგლისის დასამორჩილებლად გამოიყენა. ჯონ უმიწაწყლოსა და ინოკენტი III-ს შორის ცნობილი კონფლიქტის შემდეგ ინგლისი დიდი ხნის მანძილზე პაპების ვასალად ითვლებოდა.

ინოკენტი III ცდილობდა გრიგოლ VII-ს თეოკრატიული დოქტრინის ცხოვრებაში გატარებას, რომელიც პაპების პრიორიტეტს აყენებდა წინ. ინოკენტი III-მ გააუქმა რომის საქალაქო კომუნა და თავისი გავლენა გაავრცელა პაპის ოლქის მიმდებარე ტერიტორიაზეც. ის სასტიკად ახშობდა ქალაქების დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას. ორგანიზაცია გაუკეთა მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობას და წინააღმდეგობა არ გაუწევია ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებისათვის (1204), რადგანაც მას სურდა ბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნული მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარება და თავისი გავლენის გავრცელება ლათინთა იმპერიაზე.

პაპი იყო უმდიდრესი ფეოდალი და, ამავე დროს, ევროპის უზენაესი მოსამართლეც. საეკლესიო თანამდებობებზე დასანიშნავად გაღებულ თანხებს ემატებოდა ინდულგენციებით (ლათ. შეწყალება) ვაჭრობა. პაპის კურია ხალხს არწმუნებდა, რომ მას შეეძლო უმძიმესი დანაშაულის პატიება, ადამიანს შეეძლო არა მარტო ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვა, არამედ ჯერ არ მომხდარი დანაშაულისაც (ინდულგენციებით ვაჭრობა ჯვაროსნული ლაშქრობებიდან იღებს სათავეს). ამას ემატებოდა ჯვაროსნული მეათედი, რომლის მხოლოდ ნაწილი იხარჯებოდა ლაშქრობებზე. პაპის ვასალური ქვეყნები იხდიდნენ წმინდა პეტრეს დენარს, რაც საკმაოდ დიდი გადასახადი იყო.

ინოკენტი III შეუბრალებელ ბრძოლას აწარმოებდა ერეტიკოსებთან. მან სათავე დაუდო ინკვიზიციის ორგანიზაციას. ინოკენტმა 1209 წელს ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა ალბიგოელების წინააღმდეგ სამხრეთ საფრანგეთში. იგი ცდილობდა მთელი აღმოსავლეთი ევროპა რომისთვის დაემორჩილებინა. 1215 წელს მან მოაწყო გერმანელი რაინდების ჯვაროსნული ლაშქრობა პრუსიელების წინააღმდეგ. პაპმა ამ პერიოდში დაარსებული მათხოვრული ორდენები ფრანცისკანელებისა და დომინიკანელების — პაპების გაძლიერების მძლავრ იარაღად გადააქცია.

ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენის პოლიტიკა სიცილიასა და გერმანიაში. იტალიის ყველაზე მსხვილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო სიცილიის სამეფო, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XI-XII საუკუნეებში იწყებს არსებობას. იგი აერთიანებდა ორ პოლიტიკურ ერთეულს: სიცილიასა და სამხრეთ იტალიას, ცენტრი პალერმოში (სიცილია) მდებარეობდა.

თავდაპირველად XI საუკუნეში სამხრეთი იტალია და სიცილია ნორმანებმა დაიპყრეს რობერ გვისკარის (ცბიერის) მეთაურობით. ნორმანების შემდგომმა დაპყრობებმა სიცილიის სამეფოში ფეოდალიზაციის პროცესი დააჩქარა, რამაც კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავება გამოიწვია. ეს განსაკუთრებით აღინიშნებოდა ფრიდრიხ I ბარბაროსას შვილიშვილის ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენის მეფობის წლებში (1194-1250), რომელიც განსაკუთრებით ძლიერი და გონიერი მონარქი აღმოჩნდა. მას ისტორიული წყაროები ახასიათებენ, როგორც ძალიან განათლებულ, დიდი ნებისყოფის, ჭკვიან შორსმჭვრეტელ და ცინიკოსს პიროვნებას. ფრიდირიხ II მეტად საინტერესო და კოლორიტული ფიგურა იყო. მისი დახასიათება შესანიშნავად აქვს მოცემული ძველ იტალიელ ქრონოგრაფს (ქრონისტი) ჯოვანი ვილანის. აი, რას წერდა იგი: „ფრიდრიხი იყო ადამიანი დაჯილდოებული დიდი ძალითა და იშვიათი ტალანტით. თავისი სიბრძნე მან დაიმსახურა არა იმდენად მეცნიერების შესწავლით, რამდენადაც ბუნებრივი ნიჭით. მას შეეძლო ლაპარაკი ლათინურად — ჩვენს მშობლიურ ენაზე, გერმანულად,

ფრანგულად, ბერძნულად და არაბულად. ის დიდსულოვანი და კეთილშობილი ბუნების იყო. მისი ეშინოდათ, როგორც ძლიერი და ჭკვიანი მებრძოლისა. ის აკეთებდა ყველაფერს თავისი გრძნობების საამებად და ცხოვრობდა ეპიკურული ცხოვრებით; დარწმუნებული იყო იმაში, რომ ვერავითარი სხვა ცხოვრება ვერ შეცვლიდა მიწიერს. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ იგი ეკლესიის მტერი გახდა". ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენს თავისი განსწავლულობით ხშირად აღორძინების ხანის პირველ ადამიანს უწოდებენ. ფრიდრიხმა დედისგან მემკვიდრეობით მიიღო ორივე სიცილიის მეფის გვირგვინი. მას მუდამ გარს ეხვივნენ პოეტები, ასტროლოგები, ფილოსოფოსები. იგი მისდევდა შავ მაგიას, წერდა ბალადებს, გეშავდა მიმინოებს, მკაცრად იცავდა რაინდულ წესებს და დიდ პოლიტიკას აწარმოებდა, შესანიშნავად იცოდა ანტიკური ფილოსოფია, ბერძენ და არაბ მწერლებს ორიგინალში კითხულობდა. ფრიდრიხ II არაბულ კულტურას ნაზიარები იყო და მისი გავლენით მასში ერთგვარი კოსმოპოლიტიზმი შეიმჩნეოდა. ის ოცნებობდა ისეთი იმპერიის შექმნაზე, სადაც გერმანიასთან ერთად შევიდოდა იტალია, საფრანგეთი, იერუსალიმი და ეგვიპტე. იმპერიას უნდა მოეცვა ტერიტორიები ბალტიის ზღვიდან მონღოლეთის სტეპებამდე. მის ასეთ სწრაფვას ბრუნეტო ლატინი, დანტეს მასწავლებელი, ასე ახასიათებდა: „მისი გული სულ სხვა საგნებისაკენ მიილტვის – მას სწადია სამყაროს ბატონ-პატრონი გახდეს".

ფრიდრიხ II-ს პოლიტიკური ინტერესების სიმძიმის ცენტრი მდებარეობდა არა გერმანიაში, არამედ იტალიაში. ამის შესაბამისად იგი სხვადასხვაგვარ პოლიტიკას ატარებდა გერმანიასა და იტალიაში. ფრიდრიხ II გერმანელ სასულიერო და საერო ფეოდალებთან დათმობებზე მიდიოდა, მათ ფულის მოჭრის უფლებაც კი მისცა. მეფემ უარი თქვა მთავრების საზიანოდ ციხე-ქალაქების აგებაზე, აუკრძალა ქალაქებს ერთმანეთთან კავშირის შეკვრა მთავრების წინააღმდეგ. რაც საბოლოოდ წარმოადგენდა მთავრობის ძალაუფლების გაძლიერებისა და სამეფო ძალაუფლების შესუსტების მიზეზს. ფრიდრიხი გერმანიას იშვიათად ნახულობდა. გერმანელ მთავრებთან დათმობებზე წასვლით კი თავისი მემკვიდრის ჰაინრიხის მეფედ არჩევას მიაღწია.

ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენის იტალიური პოლიტიკა ძირეულად განსხვავდებოდა გერმანულისაგან. მისი მცირეწლოვანების დროს გაბატონებულ ანარქიას ფრიდრიხმა სასტიკი ზომების გატარებით ბოლო მოუღო. 1231 წელს მის მიერ გამოცემულმა „სიცილიის სამეფოს კონსტიტუციამ" ბიუროკრატიული მონარქია დაამყარა. შეკვეცა როგორც საერო, ისე სასულიერო ფეოდალების უფლებები, შეზღუდულ იქნა ქალაქების თავისუფლებაც; მათ დაკარგეს თვითმმართველობის უფლებები. იმპერატორის ხელისუფლება შეუზღუდავი შეიქნა. ფრიდრიხ II ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას, მთელი რიგი სავაჭრო ხელშეკრულებები დადო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. მის ფინანსურ პოლიტიკაში ბიზანტიისა და არაბთა მიბაძვით მნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნელოვან როლს თამაშობდნენ მონოპოლიები. ფრიდრიხმა, რომელიც ფეოდალთა ლაშქარს არ ენდობოდა, XIII საუკუნის ევროპაში პირველმა შექმნა მუდმივი ჯარი, რომელსაც ძირითადად სიცილიისა და სამხრეთ იტალიის მაჰმადიანი ქვეშევრდომები ავსებდნენ. მან აგრეთვე შექმნა ძლიერი ფლოტი. ყოველივე ამის წყალობით, სიცილიის სამეფო მძლავრ სამხედრო სახელმწიფოდ გადაიქცა. ფრიდრიხ II-ს იტალიურმა პოლიტიკამ პაპისა და ჩრდილოეთ იტალიის ქალაქების დიდი შეშფოთება გამოიწვია. იმპერატორი ამ ქალაქებში ისეთივე რეჟიმის დამყარებას ცდილობდა, როგორსაც სიცილიაში ატარებდა. საბოლოოდ კი პაპების დამორჩილებისაკენ მიისწრაფოდა, რასაც მათი გააფთრება მოჰყვა. აღდგენილ იქნა ლომბარდიის ლიგა, რომელიც ფრიდრიხ I ბარბაროსზე გამარჯვების შემდეგ დაიშალა.

რომის პაპის გრიგოლ IX-ს (1227-1241) სახით ფრიდრიხს ღირსეული მოწინააღმდეგე შეხვდა. პაპი ნათლად ხედავდა მის გეგმებს და ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეშალა მისი განხორციელებისათვის. გრიგოლ IX იმპერატორს ბრალი დასდო იმაში, რომ არ გაემგზავრა ჯვაროსნულ ლაშქრობაში და განკვეთა ის. მაგრამ ფრიდრიხმა ყურადღების ღირსადაც კი არ ჩათვალა პაპის განკვეთა და ჯვაროსნულ ლაშქრობაში გაემგზავრა, რადგანაც თავის პირად, დინასტიურ საქმედ მიაჩნდა იერუსალიმის სამეფოს გათავისუფლება.

ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენის დიპლომატიური შესაძლებლობები, რომელიც ადამიანური სისუსტეების კარგად ცოდნაში, მოქნილობასა და მიზნის მისაღწევ საშუალებების განურჩევლობაში გამოიხატებოდა, კარგად მეექვსე ჯვაროსნულ ლაშქრობაში გამოვლინდა. იერუსალიმის დაბრუნება, რაც ჯვაროსნებმა მესამე ლაშქრობის შემდეგ ცეცხლითა და მახვილით ვერ შეძლეს, ფრიდრიხ II-მ დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით მოახერხა. 1229 წელს სულთანთან, ალ-ქამილთან (სალადინის ძმისწული) დადებული ათწლიანი ხელშეკრულებით იერუსალიმი, ბეთლემი, ნაზარეთი ფრიდრიხის ხელში უბრძოლველად გადავიდა. სამაგიეროდ ის ვალდებულებას ღებულობდა არ დახმარებოდა ქრისტიანებს ეგვიპტის სულთნებთან ბრძოლაში, რომელთა ხელშიც რჩებოდა პალესტინის გამაგრებული პუნქტები. რელიგიის სფეროში ფრიდრიხი დამცინავ სკეპტიციზმს, გულგრილობასა და შემწყნარებლობას იჩენდა, თუმცა პოლიტიკური მოსაზრებებით სდევნიდა ერეტიკოსებს. სწორედ ეს რელიგიური გულგრილობა გამოვლინდა 1229 წლის მარტში, როდესაც ფრიდრიხ II-მ ქრისტეს საფლავის ტაძარში იერუსალიმის მეფის გვირგვინი თვითონ დაიდგა. ეკლესიისგან განკვეთილი მეფის გვირგვინკურთხევას სამღვდელოება მაინც არ ისურვებდა.

ამავე დროს, პაპი ყველა საშულებებით ამხედრებდა პალესტინელ ფეოდალებს ფრიდრიხის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი ტამპლიერებს. ვენეციელები პაპის წაქეზებით თავს დაესხნენ ფრიდირხ II-ს სამფლობელოებს

სირიაში. იტალიაში პაპმა დაჭირავებული ჯარი დაძრა მისი სამფლობელო-ებების წინააღმდეგ, გერმანიაში კი დომინიკანელების მეშვეობით დაიწყო აგიტაცია სხვა მეფის ასარჩევად. მაგრამ ფრიდრიხი მოულოდნელად დაბრუნდა იტალიაში და პაპის გეგმები ჩაიშალა. ის იძულებული გახდა შეთანხმებებზე წასულიყო. 1230 წელს ანანის სასახლეში მოხდა ორივე მოწინააღმდეგის შეხვედრა-შეთანხმება. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ფრიდრიხის ყოველგვარ მცდელობას, დაემორჩილებინა ლომბარდიის ქალაქები, პაპის ჩარევა მოჰყვა. ისევ დაიწყო ბრძოლა, რომელიც ახალ პაპთან ინოკენტი IV-სთანაც გაგრძელდა. ფრიდრიხმა, თავის მხრივ, ევროპის მონარქებს დახმარებისთვის მიმართა მათი საერთო მტრის – პაპის წინააღმდეგ ბრძოლაში. „თუ პაპი თავიდან იშორებს რომის იმპერატორს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია მისი პირველივე დარტყმები, – წერდა ის, მაშინ მისთვის ძნელი არ იქნება დაამდაბლოს სხვა მეფეები და მთავრები. ამიტომაც ჩვენ გთხოვთ დახმარებას, რათა მსოფლიომ იცოდეს, რომ საერო ხელისუფალზე ყოველი თავდასხმის დროს ჩვენი საერთო პატივი და ღირსება ილახება“.

იტალიაში ატეხილი გაცხარებული ომის დროს, რომელმაც გერმანიაც მოიცვა, ფრიდირიხი მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი მემკვიდრეების წინააღმდეგ პაპმა ფრანგები მოიწვია, რომლებმაც სამხრეთ იტალია და სიცილია დაიპყრეს. ჰოჰენშტაუფენების დინასტია, რომელიც ამ ბრძოლაში განადგურდა, არსებითად დასასრული აღმოჩნდა რომის საღვთო იმპერიისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მან 1806 წლამდე იარსება, მაგრამ მისი პრეტენზიები და ლაშქრობებიც XIV საუკუნეში სამარცხვინოდ ჩაიშალა.

პაპმა გაიმარჯვა და ეს გამარჯვება მან სხვისი ხელით მოიპოვა იტალიური ქალაქების ძალითა და იტალიაში მოწვეული უცხოელებით. მაგრამ პაპის მისწრაფება მსოფლიო ბატონობაზე ისევე აუხდენელი დარჩა, როგორც იმპერატორებისა. იმ დროს, როდესაც პაპობას იმპერიაზე გამარჯვება უნდა ეზეიმა, თვითონ პაპს მოუხდა რომიდან წასვლა ფრანგი მეფის მფარველობის ქვეშ.

ანჟუელთა დინასტია სამხრეთ იტალიაში. ფრიდრიხ II-ის სიკვდილის შემდეგ, ანდერძის თანახმად, მისი ოფიციალური მემკვიდრე გახდა უფროსი ვაჟი, 22 წლის კონრად I. ამავე ანდერძში სიცილიის მეფედ დროებით დანიშნული იყო 18 წლის პრინცი მანფრედი – ფრიდრიხის უკანონო შვილი, ლამაზი, ენერგიული, პოეტი და მამაცი რაინდი, ჰოჰენშტაუფენების სალერნოს კარის კულტურული ტრადიციების ბრწყინვალე წარმომადგენელი. ივი მამას წააგავდა ხასიათითა და და მსოფლმხედველობით. ამიტომაც ფრიდრიხს განსაკუთრებული სინაზით უყვარდა. კონრადი იტალიაში თავისი სიმკაცრისა და შეუბრალებლობის გამო არ უყვარდათ. მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა პაპთანაც, რომელმაც ივი შეაჩვენა და სამუდამოდ განკვეთა ეკლესიისგან. 1254 წლის 21 მაისს 2 წლის კონრადინი მოულოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელად გარდაიცვალა. სამხრეთ იტალიის მმართველობა საბოლოოდ გადავიდა მანფრედის ხელში, რომელსაც იქ პატივს სცემდნენ. მანფრედს ამაში ხელი შეუწყო იმანაც, რომ გერმანიაში გარდაიცვალა კონრადის მემკვიდრე 26 წლის ვაჟი კონრადი. ამრიგად, 1258 წელს მანფრედმა მიიღო სიცილიის სამეფოს გვირგვინი და სამეფო ტახტი პალერმოში გადაიტანა. ის ყოველგვარი ექსცესების გარეშე მართავდა სახელმწიფოს და მამამისის პოლიტიკას განაგრძობდა. ამავე დროს, ხანგრძლივ ბრძოლას აწარმოებდა პაპის წინააღმდეგ. კლემენს IV-მ გადამწყვეტი იერიში მიიტანა მანფრედზე. მან სიცილიის ტახტი შესთავაზა ლუი VIII-ის მეხუთე შვილს შარლ ანჟუელს. ამ 40 წლის ავანტიურისტმა და პატივმოყვარე, უზარმაზარი პრეტენზიების მქონე, მაგრამ ღარიბმა ჰერცოგმა პაპის წინადადება მიიღო. იგი იმედს ამყარებდა ველფების მხარდაჭერაზე და ცდილობდა საფრანგეთს ჰეგემონობა დაემყარებინა ხმელთაშუა ზღვაზე. 1265 წლის გაზაფხულზე შარლ ანჟუელი ჩავიდა რომში და პაპისგან მიიღო სიცილიის გვირგვინი, როგორც რომის ეკლესიის ვასალმა.

ამრიგად, ფიქცია რომის მეფეთა ვასალური დამოკიდებულების, რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნეში პაპმა გრიგოლ VII ჰილდებრანდმა და რობერ გვისკარმა დაადგინეს, კვლავ პოლიტიკურ რეალობად იქცა.

1266 წლის 26 თებერვალს ქ. ბენევენტოს ჩრდილო-დასავლეთით მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა გველფებსა და გიბელინებს შორის. პირველს სათავეში ედგა შარლ ანჟუელი, მეორეს – მანფრედი. ამ ბრძოლაში მანფრედი დაილუპა. დიდი როლი შეასრულა ბრძოლის ბედის გადაწყვეტაში აპულიელების ღალატმა, რომლებიც ფრანგებმა მოისყიდეს. გიბელინები დამარცხდნენ. მანფრედის გვამი მესამე დღეს იპოვეს და მდინარესთან ახლოს დამარხეს. ყოველი მეომარი მის საფლავს ქვას აყრიდა. ასე დაუდგეს ძეგლი მანფრედს. ბენვენტოსთან გამარჯვებამ შარლ ანჟუელს სამხრეთ იტალიაზე ბატონობა მოუპოვა.

იტალიაში შარლ ანჟუელს თავდაპირველად კარგად შეხვდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალი გადასახადები დააწესა და მმართველობის სტრუქტურაც შეცვალა, დაიწყო უკმაყოფილება. აპულიელები მიხვდნენ, რომ სიცილია ხელში ჩაუვარდა ტირანს, სინანულით იგონებდნენ მანფრედს, რომელიც ასე უსინდისოდ გაყიდეს.

გერმანიაში ამ დროს ცოცხალი იყო ჰოჰენშტაუფენების უკანასკნელი წარმოამდგენელი 15 წლის კონრადინი. გიბელინები მისგან ელოდნენ ხსნას და მოსალაპარაკებლად გაგზავნეს გრაფი გუალვანო და ფრიდრიხ ლანჩიე. მიუხედავად დედის წინააღმდეგობისა, კონრადინი დათანხმდა და 1267 წლის შემოდგომაზე თავის ახალგაზრდა მეგობართან პრინც ფრიდრიხ ბადენელთან ერთად იტალიაში გაილაშქრა 10000 ცხენოსანით. მთელი აპულია, კალაბრია და სიცილია სიხარულით შეხვდა მას და იარაღით მხარში ამოუდგა.

შარლ ანჟუელმა ჯარებს მოუყარა თავი ერჰარდ ვალერის სარდლობით და თავის მოწინააღმდეგეს შეხვდა 1268 წლის 23 აგვისტოს ფუჩინოს ტბის ტალიაკოცოს ველზე (სკურკოლი). ფრანგებმა კვლავ გაიმარჯვეს. კონრადინი და ფრიდრიხი შეიპყრეს და 1269 წლის 29 ოქტომბერს ნეაპოლში ორივეს თავები მოჰკვეთეს. მათთან ერთად დაიღუპა ათასამდე მათი მომხრე. ამით დამთავრდა ჰოჰენშტაუფენების დინასტია იტალიაში. კიდევ უფრო ადრე დაკარგეს ჰოჰენშტაუფენებმა ტახტი გერმანიაში (1254). ამრიგად, ჰოჰენშტაუფენების ცდა იტალიის მდიდარი რესურსები ხელში ჩაეგდოთ, მარცხით დამთავრდა. იმპერიასა და პაპობას შორის ხანგრძლივმა ომმა იტალია პოლიტიკურად კიდევ უფრო დაქსაქსა. მთელი ქვეყანა გადაიქცა ორ დაპირისპირებულ ძლიერ ბანაკად. პაპისა და სიცილიის მეფის გარშემო მოხდა ძალების დიდი კონცენტრაცია. პაპის მომხრეებს გველფები ეწოდათ, იმპერატორის მომხრეებს კი გიბელინები. სიტყვა „გუელფი“ სიცილიის მეფეთა და გერმანიის იმპერატორთა – ჰოჰენშტაუფენების საგვარეულოს დაუძინებელი მტრების ბავარიისა და საქსონიის ჰერცოგების – ველფებისაგან წარმოდგება, ხოლო „ჰიბელინი“ – ჰოჰენშტაუფენთა ციხესიმაგრის ვაიბლინგენის სახელწოდებიდან.

გველფები იბრძოდნენ იტალიური ქალაქების დამოუკიდებლობისათვის. მათი სოციალური დასაყრდენი იყო ვაჭარ-ხელოსანთა ფენა და სასაქონლო ფულად ურთიერთობაში ჩაბმული თავადაზნაურობა.

გიბელინების სოციალურ დასაყრდენს შეადგენდა თავადაზნაურობა, რომლებიც არ იყო ჩაბმული სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში. ისინი ემხრობოდნენ იმპერატორს, რადგან მასში ხედავდნენ ფეოდალური წყობილების ბურჯს.

გველფებისა და გიბელინების შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები თითქმის თანაბრად იყვნენ განაწილებულნი ორივე ბანაკში: დიდგვაროვნები (სენიორები), ვაჭრები, ბანკირები (პოპოლანები), ხელოსნები, წვრილი სენიორია და გლეხები. ზოგჯერ ამა თუ იმ სოციალური ფენის პარტიული სიმპათიები განპირობებული იყო ქალაქთა შორის კონკურენციით. ასე, მაგალითად, ფლორენციაში, სადაც გველფებისა და გიბელინების პარტია ჯერ კიდევ 1215 წელს წარმოიშვა, გველფებს ემხრობოდა უმთავრესად ვაჭარ-ხელოსანთა ფენა, ხოლო მის მოქიშპე პიზასა და სიენაში, ივივე ფენა გიბელინებს უჭერდა მხარს.

თანაბარი სიძლიერის მქონე ქალაქ-სახელმწიფოები ერთმანეთთან კონფლიქტში სერიოზულ წარმატებებს ვერ აღწევდნენ, ამიტომ დაიწყეს უფრო ძლიერი მფარველობის მოძებნა მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. ზოგმა ასეთად პაპის ხელისუფლება მიიჩნია და მას დაექვემდებარა, ზოგმა კი იმპერატორის მომხრეობა ამჯობინა. თავდაპირველად ამას ლოკალური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ შემდგომში გლობალურ მასშტაბებს მიაღწია და

დაიწყო ხანგრძლივი უაზრო და სისხლისმღვრელი ომი, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, იტალიის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი გააღრმავა და თავისებური დალი დაასვა მას.

ტალიაკოცოსთან გამარჯვებით, შარლ ანჟუელმა სიცილიასთან ერთად ნეაპოლის სამეფოც მოიპოვა და იწოდა კარლოს I-ად (ფრანგულად შარლ). ანჟუელთა დინასტიის გაბატონებას შედეგად მოჰყვა მრავალრიცხოვანი ფრანგი რაინდების პრივილეგიებისა და ფეოდალური ექსპლატაციისა და სავადასახადო სისტემის გაზრდა. შარლმა სამხრეთ იტალიის საუკეთესო მიწები, რომლებიც ჰოჰენშტაუფენების მომხრეებს ჩამოართვა, ფრანგ და პროვანსელ ფეოდალებს დაურიგა. დაახლოებით შვიდასმა ფრანგმა ფეოდალმა მიიღო მიწა სამხრეთ იტალიაში. გარდა ამისა, ფრანგმა ფეოდალებმა მმართველობაში დაიკავეს მაღალი თანამდებობები. სამაგიეროდ მკვეთრად გაუარესდა გლეხების მდგომარეობა; გამოიცა კანონები, რომლებმაც უფრო მიამაგრეს გლეხები მიწას. შარლ ანჟუელის საშინაო და საგარეო პოლიტიკამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სიცილიის სამეფოს ბედ-იღბალზე.

წარუმატებელმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ (შარლ ანჟუელმა მონაწილეობა მიიღო ჯვაროსანთა მერვე ლაშქრობაში), ფრანგი რაინდების თავაშვებულობამ და ფეოდალური ექსპლუატაციის გაძლიერებამ, გამოიწვია ძლიერი სახალხო მოძრაობა, რომელმაც 1282 წელს სიცილიაში იფეთქა. აჯანყება დაიწყო 31 მარტს, პალერმოში მწუხრის ზარების რეკვით, ამიტომაც დაერქვა მას „სიცილიის მწუხრი". პალერმოს მაცხოვრებლები უკმაყოფილო იყვნენ იმითაც, რომ დედაქალაქი ნეაპოლში გადაიტანეს; აჯანყების საბაბად იქცა ის, რომ ფრანგმა ჯარისკაცმა დრუვემ უარი უთხრა ეკლესიაში შეშვებაზე ერთ-ერთი ცნობილი სიცილიელის ქალიშვილს იმ მიზეზით, თითქო მას თან იარაღი ჰქონდა და იქვე, მთელი ხალხის წინაშე დაუწყო ჩხრეკა. დრუვე იქვე მოკლეს. დაიწყო აჯანყება. პალერმოსა და მის გარეუბნებში ოთხი ათასამდე ფრანგი დახოცეს. აპრილის დასაწყისისათვის კი კუნძული გაწმენდილ იქნა ფრანგებისგან.

აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა მსხვილი ფეოდალი სელერნოდან, პროფესიით ექიმი ჯოვანი და პროჩიდა, რომელიც დიდი პატივით სარგებლობდა როგორც ფრიდრიხ II-ის, ისევე მანფრედის სამეფო კარზე. ტალიაკოცოსთან დამარცხების შემდეგ იგი იძულებული გახდა იტალიიდან გაქცეულიყო და თავი შეეფარებინა ესპანეთში არაგონის მეფის პედრო III-ის კარზე, რომელსაც ცოლად მანფრედის ასული კონსტანცა ჰყავდა. მეფემ პროჩიდა, რომელმაც დაღუპული კონრადინის ხელთათმანი გადასცა, დიდი პატივით მიიღო. შეადგინეს საბრძოლო გეგმა. ამავე დროს მოლაპარაკება დაიწყო კონსტანტინოპოლის იმპერატორთან. პროჩიდას მარჯვენა ხელი იყო რუჯერო დე ლორია, კალაბრიელი ნიჭიერი ზღვაოსანი, რომელმაც მოგვიანებით თავისი დროის საუკეთესო ადმირალის სახელი მოიპოვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შტაუფენების (ჰოჰენშტაუფენების) დინასტია



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალიელების (ფრანკონული) დინასტია



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი X

ინგლისი XI-XIII საუკუნეებში

ინგლისის ნორმანდიული დაპყრობა. „საშინელი სამსჯავროს წიგნი“. XIX საუკუნის ცნობილ ინგლისელ ისტორიკოსს ჯონ გრინის ნათქვამი აქვს, რომ XI-XIII საუკუნეების ინგლისის ისტორია უცხოელი მეფეების ისტორიაა. ეს მართალიცაა. თუ არაფერს ვიტყვით კნუდ დიდზე (დანიელებისა და ინგლისის მეფეზე, 1017-1035 წწ.), რომელიც ინგლისს მართვადა არა როგორც დამპყრობელი, არამედ როგორც ჭეშმარიტი ინგლისელი მეფე (ინგლისელმა ხალხმა ამიტომ უწოდა მას დიდი), აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ნორმანდიული და ანჟუელი დინასტიის წარმომადგენლებზე, რომლებიც არაინგლისური წარმოშობისა და სხვა ენაზე მოლაპარაკენი იყვნენ და XI საუკუნის 60-იანი წლებიდან მართავდნენ ინგლისს. რაოდენ პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს ეს, სწორედ უცხოელი მეფეების დაქვემდებარების წლებში ინგლისმა პირველად მიიღო ნამდვილი ინგლისის სახე, მოისპო პროვინციული განსხვავება და ქვეყანა გაერთიანდა.

გარდიკანუდის გარდაცვალებით (1043) ინგლისში მოისპო კნუდის დინასტია. ინგლისელებმა ნორმანდიიდან ჩამოიყვანეს და გაამეფეს უესექსელი ეთელრედ II-ის შვილი ედუარდ აღმსარებელი (1043-1066). მას დედა ფრანგი ჰყავდა, თვითონაც ფრანგულად ლაპარაკობდა, ინგლისური ვერ შეისწავლა. მან თან ჩამოიყვანა ნორმანდიელი დიდკაცები და ქვეყნის საუკეთესო მიწები უხვად დაურიგა, დიდ თანამდებობებზეც დანიშნა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ინგლისში გაჩნდა ორი პარტია — ინგლისელებისა და ნორმანდიელების. ინგლისელებს სათავეში ჩაუდგა უესექსის ელდორმენი გოდვინი. მან დიდი გავლენა მოიპოვა ედუარდზე, მიათხოვა მას თავისი ასული ივდითი. ბუნებრივია, ნორმანდიული პარტია ვერ შეურიგდა გოდვინის აღზევებას, 1051 წელს მათ გოდვინზე გაიმარჯვეს, აიძულეს ფლანდრიაში გაქცეულიყო, რომლის გრაფი მისი მოკავშირე იყო. ინგლისის მოსახლეობა ძველებურად გოდვინს უჭერდა მხარს და ამ უკანასკნელმა 1052 წელს კვლავ წარმატებას მიაღწია, აიძულა მეფე ნორმანდიელები სამშობლოში გაესტუმრებინა. მაგრამ გოდვინი 1053 წელს გარდაიცვალა, უესექსის ელდორმენი მისი შვილი ჰაროლდი გახდა, მან იმდენს მიაღწია, რომ თავის გავლენის ქვეშ მოაქცია ედუარდი. მეფე ედუარდ აღმსარებელი 1066 წლის 6 იანვარს უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა. ინგლისელმა ხალხმა მეფედ ცნო ჰაროლდი, მაგრამ მან ერთი წელიც ვერ იმეფა. მას ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა ნორმანდიის ჰერცოგის უილიამის (გიიომის) სახით, რომელიც ისტორიაში უილიამ დამპყრობელის სახელითაა ცნობილი.

უილიამი რიჩარდ II-ს შთამომავალი იყო. რიჩარდს ორი ვაჟი ჰყავდა: რიჩარდი და რობერი. ეს უკანაკნელი ჰერცოგი გახდა 1027 წელს, მაგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამ აღმოსავლეთის ლაშქრობაში (1035) დაიღუპა. მას არ ჰყავდა კანონიერი შვილი, უილიამი კი შეეძინა მეტყავის ქალისაგან – შარლოტასაგან. წარმოსადეგი გარეგნობისა და არაჩვეულებრივი ძალის მქონე უილიამი უზომოდ ფიცხი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო. იგი ვერ შეურიგდა ჰაროლდის გამეფებას ინგლისში ორი გარემოების გამო. ერთი ის იყო, რომ, როგორც თვითონ ამბობდა, ედუარდ აღმსარებელს, რომელიც მისი მამიდაშვილი იყო, პირობა მიუცია მისთვის, დაუფიცია სატის წინაშე, რომ ჩემს შემდეგ შენ იქნები ინგლისის მეფეო. მეორე ის იყო, რომ ერთხელაც ლა-მანშში მოცურავე ჰაროლდი ზღვას გამოურიყავს ნორმანდიის ნაპირზე, იგი უილიამს შეუპყრია და არ გაუშვია, სანამ არ შემოუფიცავს: ყოველნაირად დაგეხმარები ინგლისის მეფედ გახდომაშიო.

უილიამ დამპყრობელი

და აი, როცა ეს პირობა დაარღვია ჰაროლდმა და თვითონვე გახდა ინგლისის მეფე, განრისხებულმა უილიამმა შურისძიება გადაწყვიტა და ომისათვის იწყო მზადება. შეამზადა ლაშქარი, რომლის რაოდენობა არ აღემატებოდა 12 ათას კაცს; მიიღო რომის პაპ ალექსანდრე II-ეს მხარდაჭერაც: ყურად იღო რა ჰილდებრანდის, მომავალი პაპის გრიგოლ VII-ეს რჩევა, მან აკურთხა უილიამის ლაშქარი და მისცა წმინდა დროშა, რომელშიც, გადმოცემის თანახმად, იყო მოციქულ პეტრეს თმის ერთი ღერი. პაპი დარწმუნებული იყო, რომ ამ გზით ინგლისის ეკლესია მისი ვასალი გახდებოდა.

ლა-მანშის გადალახვა და ჯარის გადასხმა ინგლისში ადვილი არ იყო, მაგრამ უილიამს იმან გაუადვილა საქმე, რომ ამ დროს ჰაროლდს ჩრდილოეთში ძმა ტოსტიგი აუჯანყდა. ორი საფრთხის წინაშე მყოფმა ჰაროლდმა ტრაგიკული შეცდომა დაუშვა, მთავარ საფრთხედ ძმის ავანტიურა (არ არის გამორიცხული, რომ იგი პროვოცირებული იყო უილიამისგან) ჩათვალა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. მართალია, ძმა დაამარცხა, მაგრამ ამასობაში, 1066 წლის 28 სექტემბერს, უილიამმა ჯარი გადასხა სამხრეთ ინგლისში. ჰაროლდმა ისედაც შეთხელებული არმიის შესვენება ვერ მოასწრო, ამასთან, მას ინგლისელმა ლორდებმაც უღალატეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ჰასტინგსის მახლობლად 14 ოქტომბერს. მძიმედ შეიარაღებულმა რაინდმა ცხენოსნებმა, ასევე ქვეითებმა და მშვილდოსნებმა და, რა თქმა უნდა, უილიამის სამხედრო ნიჭმა გადამწყვეტი როლი შეასრულა, მათ სძლიეს ჰაროლდის ნაჯახებით შეიარაღებულ ქვეითებს – ჰაუსკერლებს. ჰაროლდი ბრძოლის ველზე დაიღუპა. ამის შემდეგ სულ მალე უილიამმა აიღო ქალაქები კენტერბერი, დუვრი; თვით ლონდონსაც დაეუფლა და იქ ყოფნის დროს, 1066 წლის 25 დეკემბერს, უესტმისტერის საბატოში იორკის არქიეპისკოპოსმა უილიამი ინგლისის მეფედ აკურთხა.

გრინის თქმით, „უილიამი ფლობდა ძლიერი მმართველის ინსტინქტს, ძლივს გახდა სრულწლოვანი და ნორმანდია მის ფეხქვეშ განერთხო". ამჯერად ნორმანდიის ბედი ინგლისმაც გაიზიარა, ინგლისი მან დაიპყრო და იმთავითვე იწყო ინგლისელების შევიწროება, ხელი მიჰყო მათი მიწების კონფისკაციას და მათ გადაცემას ნორმანდიელ დამპყრობელთათვის. მიწებს, უპირველესად, უილიამის ნათესავები, თანამებრძოლები და ნორმანდიიდან მოსული სასულიერო პირები იღებდნენ. ისინი იტაცებდნენ, ავრეთვე, მოძრავ ქონებასაც – ოქროსა და ვერცხლს. ძარცვა-რბევამ და სისასტიკემ, რომელსაც დამპყრობლები სჩადიოდნენ, როგორც თავისუფალი გლეხების, ისე ლორდების აღშფოთება გამოიწვია, მათ იწყეს აჯანყება (1069 წ. და 1071 წ.), რომელმაც მოიცვა მთელი ჩრდილოეთი და დასავლეთი ინგლისი. მაგრამ აჯანყებამ დიდხანს ვერ გასტანა, ულმობელი იყო უილიამი, იგი სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს, გადაბუგა და „უკაცრიელ ადგილად" აქცია მთელი ჩრდილოეთი ინგლისი, ამოწყვიტა არა მარტო უბრალო ადამიანები, არამედ თვით ადგილობრივი წარჩინებულებიც. ამიტომაც უწოდეს მას დამპყრობელი.

უილიამმა ეს დაპყრობანი მაშინ აწარმოა, როცა უკვე დასრულებული იყო ფეოდალიზაციის პროცესი ნორმანდიასა და საფრანგეთში. ამას, ბუნებრივია, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ინგლისის განვითარებაზეც. აქაც მალე დასრულდა თავისუფალ გლეხთა დაყმევების პროცესი, თანაც ეს ისე მოხდა, რომ ადგილობრივი ლორდების ადგილი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ან დაიღუპა, ან ინგლისიდან გადაიხვეწა, ნორმანდიელმა ფეოდალებმა დაიკავეს. მათ ხელში აღმოჩნდა საეკლესიო იერარქია და სამეფო მმართველობის აპარატი. მოსულები გაიხადა მეფემ თავისი ხელისუფლების დასაყრდენად, თუმცა ბოლომდე არც ნორმანებს ენდობოდა იგი, იცოდა რა, რომ გაძლიერების შემთხვევაში ისინიც სახიფათონი გახდებოდნენ. ამიტომაც მიწების გადაცემის დროს მეფემ ასეთ ხერხს მიმართა: მათ მიწები მისცა არა კომპაქტურად, არამედ ცალკ-ცალკე, 3-4 ადგილას (თავისთვის დაიტოვა მხოლოდ 1/7), თანაც აიძულებდა ვასალური ფიცი დაედოთ მეფის წინაშე. ამით მეფემ ბარონებსა და ეკლესიას ძალების სწრაფი კონცენტრაციის შესაძლებლობა მოუსპო, წაართვა დამოუკიდებელი

მოქმედების უფლება და სამხედრო-ფეოდალური სისტემა ცენტრალიზებული გახადა. მართალია, იგი ეყრდნობოდა შერიფებს – საგრაფოების სათავეში დაყენებულ მეფის მოხელეებს (მეტწილად ნორმანებს) და იმ ადმინისტრაციულ სისტემას, რომელიც წარმართავდა ადმინისტრაციას, სასამართლოს, გადასახადებისა და სამეფო შემოსავლების აკრეფას, მაგრამ მთავარი მაინც უილიამი იყო; სულ მუდამ მოღუშული და დაღვრემილი სახის მქონე ხელმწიფე დაუნდობელი იყო ურჩების მიმართ, ვერ ეგუებოდა ფეოდალთა შინაომებსა და ტყვეთა სყიდვას, ვასალურ სამსახურს მოითხოვდა არა მარტო ბარონებისაგან, არამედ მათი ვასალებისგანაც. ყველა რაინდს, ვისი ვასალიც არ უნდა ყოფილიყო ის, მეფის ჯარში უნდა ემსახურა. ვასალური ურთიერთობის ეს თავისებურება ინგლისს განასხვავებდა კონტინენტის სხვა ქვეყნებისაგან, სადაც მოქმედებდა პრინციპი: „ჩემი ვასალის ვასალი არ არის ჩემი ვასალი“.

უილიამს მორჩილებაში ჰყავდა ეკლესიაც. იგი ნიშნავდა ეპისკოპოსებს და აძლევდა მათ ინვესტიტურას, კვერთხისა და ბეჭდის გადაცემით. პაპმა გრიგოლ VII-ემ, რომელიც გააფთრებით ებრძოდა ინვესტიტურისათვის გერმანიის იმპერატორს, ვერ გაბედა ინგლისის მეფის გადამტერება, ვერ გაუწია წინააღმდეგობა მის საეკლესიო პოლიტიკას.

ბევრად უფრო რბილი იყო უილიამის პოლიტიკა ქალაქების მიმართ და ეს არც შეიძლება სხვაგვარად ყოფილიყო. საქმე ის არის, რომ XI საუკუნისათვის საქალაქო ცხოვრებამ ინგლისში მნიშვნელოვან დაწინაურებას მიაღწია. მართალია, ქალაქების უმრავლესობას ჯერ კიდევ ჰქონდა ნახევრად აგრარული ხასიათი, მოსახლეობის დიდი ნაწილი აქ თავს ირჩენდა მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით, ქალაქები ფლობდნენ ფართო სახნავებსა და საძოვრებს, მაგრამ იმავდროულად, ისიც თვალსაჩინო იყო, რომ ვითარდებოდა ხელოსნობა და ვაჭრობა, რაც ასე საჭირო იყო ქვეყნის სიძლიერისათვის. ეს განვითარება XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში იმდენად შორს წავიდა, რომ ცალკეულ ქალაქებში (ვინჩესტერში, ბოსტონში, სტემფორდში, იორკში და სხვაგან) ბაზრობებიც კი იმართებოდა, სადაც ჩამოდიოდნენ ვაჭრები არა მარტო ფლანდრიიდან, არამედ იტალიიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ცალკეულ ქალაქებში (ლონდონში, ლინკოლნში და სხვაგან) გამოჩნდნენ ხელოსანთა და ვაჭართა გილდიებიც. ქალაქებიდან განსაკუთრებულ როლს მაინც ლონდონი ასრულებდა. ივი იყო ერთგვარი სავაჭრო შუამავალი ინგლისსა და კონტინენტის ქვეყნებს შორის. ინგლისიდან გაჰქონდათ მატყლი, ტყვია, კალა, პირუტყვი და სხვა საქონელი. საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის განვითარებისათვის თვით მეფეც ზრუნავდა, თუმცა ქალაქებს არ აძლევდა საკომუნალო მოძრაობის საშუალებას, როგორც ეს საფრანგეთში იყო. მეფე მფარველობდა არა მარტო ინგლისელ ვაჭრებს, არამედ კონტინენტის ქვეყნე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიდან მოსულ ვაჭრებსაც, განსაკუთრებით ფლანდრიელებს (მისი ცოლი ფლანდრიის გრაფის ასული იყო). მათი უსაფრთხოების მიზნით უილიამმა ინგლისში ისეთი წესრიგი შემოიღო, რომ, როგორც მემატიანე მოგვითხრობს, იქ უშიშრად გავლა ოქროთი სავსე ტომარააკიდებულსაც შეეძლო. თავის მხრივ, არც მეფე იყო ქალაქებისა და ვაჭრების მხარდაჭერას მოკლებული.

მეფის მხარე ეჭირა, აგრეთვე, თავისუფალ გლეხებს, რომელთაც ლორდების მხრიდან დაყმევების საშიშროება ემუქრებოდათ. თავისუფალი გლეხები მეფეში ხედავდნენ თავიანთ მფარველს და მასთან ერთად გამოდიოდნენ ბარონებთან ბრძოლის დროს. ძლიერი სამეფო ხელისუფლება მათ ინტერესებსაც შეადგენდა.

მეფის ხელისუფლების განმტკიცებასა და ფინანსური საქმეების მოგვარებას ისახავდა მიზნად თვით საადგილმამულო აღწერაც, რომელიც უილიამმა 1086 წელს მოახდინა. ფეოდალური ევროპის სინამდვილეში ეს იყო პირველი აღწერა, რომელმაც 8 თვე გასტანა. მეფეს სურდა მოეპოვებინა მასალები თავისი ვასალების სამფლობელოების ოდენობასა და შემოსავალზე, რათა მოეთხოვა მათგან ფეოდალური – სამხედრო სამსახური და დაებეგრა ისინი გადასახადებით. მეფეს სჭირდებოდა ზუსტი ცნობები მოსახლეობის სხვა ფენების შესახებაც, რათა შესაბამისად დაეწესებიათ ფულადი გადასახადები, სპეციალურმა კომისიამ მოინახულა ყველა სოფელი, დასახლებული პუნქტი და ქალაქი და აღწერის სიებიდან შეადგინა დავთარი, რომელსაც ინგლისელმა ხალხმა „საშინელი სამსჯავროს წიგნი“ (Domesday book) უწოდა, ეს იმიტომ, რომ აღწერის მასალები და იქიდან გამომდინარე შედეგები (ძველთან ერთად ახალი გადასახადების შემოღება) მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს.

„საშინელი სამსჯავროს წიგნის“ მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება, მას აქვს მეორე მხარეც: იგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია იმდროინდელი ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ წიგნიდან ვგებულობთ, თუ რა მამულები ეკუთვნოდა მეფეს, რა მამულები – სასულიერო და საერო ფეოდალებს, რამდენი იყო ყოველ მამულში გამწევი ძალა და გუთანი, რამდენი იყვნენ მასში ვილანები, კოტერები, სერვები, თავისუფალი გლეხები და სხვ. ირკვევა, რომ ვილანების (ყმა-გლეხების) რაოდენობა მთელი მოსახლეობის 38%-ს შეადგენდა, კოტერებისა (ღარიბ-ღატაკებისა) – 32%-ს, სერვებისა (მონებისა ანუ შინაყმებისა) – 9%-ს, თავისუფალი გლეხებისა – 12%-ს. სულ ინგლისში 250 ათასამდე კომლი იყო 2 მილიონამდე მოსახლეობით. წიგნიდან ისიც ჩანს, რომ მაშინდელ ინგლისში 80-მდე ქალაქი იყო, სადაც მთელი მოსახლეობის 5% ცხოვრობდა.

ამგვარად, უილიამ დამპყრობელის მოღვაწეობას, მის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, არსებითად, სასიკეთო შედეგები ჰქონდა მაშინდელი ინგლისისათვის. თუნდაც ის, რომ ინგლისში შექმნილი სიტუაცია – სამე-

ფო დომენის სიდიდე, მსხვილი ფეოდალების მამულების არაკომპაქტურად არსებობა, ვასალური სისტემის თავისებურება, ქალაქების პოლიტიკური სისუსტე და ადგილობრივი მოსახლეობის მტრული დამოკიდებულება დამპყრობლებისადმი (იგი მხოლოდ XII ს. მეორე ნახევრიდან შესუსტდა), რომელიც აღვიძებდა ნორმანდიელ ზედაფენაში მეფის ირგვლივ შემჭიდროების სურვილს – უილიამმა შესანიშნავად გამოიყენა და ბევრად უფრო გააძლიერა სამეფო ხელისუფლება, ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა, ვიდრე ეს იყო დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, ან კიდევ, მან რომ შექმნა ყველა პირობა ინგლისის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის, ამის დასტურია.

უილიამის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. 1087 წელს უილიამს აუჯანყდა უფროსი შვილი რობერი, რომელიც ნორმანდიის ჰერცოგი იყო. მართალია, შვილის აჯანყება მან სასტიკად ჩაახშო, მაგრამ ქალაქ ნანსში ყოფნის დროს მის ცხენს ფეხი ნაღვერდალში ჩაუვარდა, წაიბორძიკა და მხედარი გადმოაგდო. მომაკვდავი უილიამი რუანში წაიყვანეს და იქ აღესრულა კიდეც.

ინგლისი უილიამ II წითურისა და ჰენრი I-ის მმართველობის ხანაში. უილიამ დამპყრობელს სამი ვაჟი ჰყავდა: რობერი, უილიამი და ჰენრი. წესისამებრ ტახტი უფროს ვაჟს რობერს უნდა მიეღო, მაგრამ დიდებულებმა იგი უარყვეს როგორც მეამბოხე. მეფე გახდა მომდევნო ვაჟი უილიამ II წითური (1087-1100), რომელიც საოცრად უარყოფითი პიროვნება იყო. მეფის ხელისუფლების გაძლიერებისა და სამეფო ხაზინის შევსებისათვის იგი ყველაფერს კადრულობდა, თვითნებურად ზრდიდა ფეოდალთა გამოსაღებს, დიდ ფულს სძალავდა მემკვიდრეს, რომელსაც მამა გარდაეცვლებოდა. ასევე იქცეოდა იგი, როცა ფეოდალი ქალიშვილს ათხოვებდა. მეფის გამომძალველობა ეკლესიაზეც ვრცელდებოდა. მთელი წლობით არ ნიშნავდა არავის ვაკანტურ საეპისკოპოსო და სააბტო თანამდებობებზე და თვითონ სარგებლობდა მათი შემოსავლით. ამიტომაც უილიამ II ყველას სძულდა. ერთხელაც, ნადირობისას, იგი ტყეში ისრით განგმირული იპოვეს. ისარი ზურგიდან იყო ნასროლი. ვერ გაიგეს თუ ვინ იყო მკვლელი.

მოსალოდნელი იყო, რომ რობერი, უილიამ დამპყრობელის შვილი, ამჯერად მაინც გამეფდებოდა. ახლა მას გამოუჩნდნენ მომხრეები, მაგრამ მისმა არყოფნამ ინგლისში (ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობდა), ხელფეხი გაუხსნა უმცროს ძმას. ისარგებლა რა შექმნილი მომენტით, ინგლისის მეფე გახდა ჰენრი I (1100-1135). უკმაყოფილო ბარონების გულის მოგების მიზნით ჰენრი I-მა გამეფებისთანავე გამოაქვეყნა „თავისუფლებათა ქარტია“ (Charta libertatum), რომელშიც პირობას იძლეოდა, რომ არ შეეცდებოდა ბარონებისა და სამღვდელოების უფლებების ბოროტად გამოყე-

ნებას, როგორც ეს ადრე ხდებოდა. იგი პაპის გულის მოგებასაც შეეცადა – უარი თქვა სასულიერო ინვესტიტურაზე; პრივილეგიები მიანიჭა არა მარტო ბარონებსა და სამღვდელოებას, არამედ ლონდონსაც უბოძა თვითმმართველობა, განამტკიცა ცენტრალური სახელმწიფო აპარატი და შექმნა მუდმივი სამეფო საბჭო – სამეფო კურია, რომელშიც შედიოდნენ სამეფო მოსამართლეები და ის პირები, რომლებიც წარმართავდნენ სამეფო კანცელარიას, ხაზინასა და გადასახადების აკრეფას. სამეფო კურიაში დიდ როლს ასრულებდა ხაზინადარი, რომელიც ინგლისში ცნობილია „ჭადრაკის პალატის“ სახელწოდებით. მას ებარა სამეფო შემოსავალი, შერიფების ფინანსური ანგარიშების შემოწმება და სასამართლო უწყების გაძღოლა.

ჰენრი I-ის მმართველობის ხანაში ინგლისში დიდ დაწინაურებას აღწევს ვაჭრობა და ხელოსნობა, ხდება ქალაქების აღორძინება. ძალიან ფართო პრივილეგიები მიიღო ლონდონმა ჰენრისაგან ბოძებული თვითმმართველობით. ლონდონმა, უპირველესად, მთელ ინგლისში უბაჟოდ ვაჭრობის უფლება მოიპოვა; ამასთან, ლონდონის მოქალაქეების გასამართლება მხოლოდ ლონდონში შეიძლებოდა, იგი თავისუფალი იყო სამხედრო ბეგარისაგან.

ლონდონმა და, რა თქმა უნდა, მთელმა ინგლისმა საგარეო ვაჭრობაშიც წარმატებები მოიპოვა. გაიზარდა საქონლის მიმოქცევა კონტინენტის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ფლანდრიასთან. გატანილ საქონელზე დაწესებული იყო საბაჟო გადასახადი, რომელიც ინგლისს დიდ შემოსავალს აძლევდა.

ჰენრი I, ისე როგორც ამას მამამისი აკეთებდა, ფრანგების სამსახურსაც იყენებდა, ხელს უწყობდა ფრანგების გადმოსახლებას ინგლისში, სადაც სწრაფად ხდებოდა მათი ასიმილაცია. ერთ-ერთი ასეთი გადმოსახლებული ფრანგი იყო ჟილბერ ბეკეტი, მამა კენტერბერის მომავალი არქიეპისკოპოსისა – თომას ბეკეტისა.

ბევრად უფრო მომგებიანი აღმოჩნდა მისი საქორწინო ნაბიჯი – ცოლად ითხოვა უესექსის დინასტიის წარმომადგენელი მატილდა, რითაც ჰენრიმ ბარონებისა და სამღვდელოების გული მოიგო. მატილდასთან მას ეყოლა უილიამი და მატილდა. ეს უკანასკნელი შემდეგში მიათხოვეს გერმანიის იმპერატორს ჰაინრიხ V-ეს, რომელიც 1125 წელს გარდაიცვალა. დაქვრივებული მატილდა მეორეჯერაც გაათხოვეს, ამჯერად იგი მისთხოვდა ანჟუს გრაფს – ჟოფრუა პლანტაგენეტს, რომელთაც 1133 წელს ეყოლა ვაჟი ანრი, მომავალში ინგლისის მეფე ჰენრი II პლანტაგენეტი.

ჰენრი I-ს ვაჟი – უილიამი ტრაგიკულად დაელუპა. ეს მოხდა ნორმანდიაში აჯანყების (1120 წ.) ჩაქრობის შემდეგ. უკან რომ ბრუნდებოდნენ, ბოლოს მიმავალ „თეთრ ხომალდში“ (Blansche Nef) მყოფმა უილიამმა გადაწყვიტა გამარჯვების ამბავი პირველს ეხარებინა ლონდონელებისათვის და იწყო მანევრირება, სხვა ხომალდებისათვის გასწრება, მაგრამ ღამე იყო და მისი ხომალდი წყალქვეშა კლდეს დაეჯახა და ეკიპაჟიანად ისე ჩაიძი-

რა, რომ არვის გაუგია განწირულთა ხმა. მხოლოდ დილით გაიგეს ხმა ლდისა და ჰენრი I-ის ერთადერთი ვაჟი-მემკვიდრის დაღუპვის ამბავი. დამწუხრებული მამა ერთხანს გაოგნებული დადიოდა, თუმცა მთლად სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა, ისე მოიქცა, როგორც ამას შემდეგში ქართველთა მეფე გიორგი III გააკეთებს: შეკრიბა ბარონები და სამღვდელოების წარმომადგენლები და დააფიცა ისინი, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მეფედ ცნობდნენ მის ქალიშვილ მატილდას.

ცხრამეტწლიანი სამოქალაქო ომი. ჰენრი I 1135 წელს გარდაიცვალა. ანდერძისამებრ ინგლისის ტახტზე უნდა ასულიყო მისი ქალიშვილი – მატილდა, მაგრამ მას მეტოქე გამოუჩნდა ჰენრი I-ის დისწულის სტივენ ბლუასელის სახით, რომელიც ბლუას (საფრანგეთშია) გრაფი იყო. ეს უკანასკნელი ჩამოვიდა ლონდონში და თავისი თავი მეფედ გამოაცხადა. ბარონების ერთი ნაწილი სტივენს მიემხრო, მეორე ნაწილი კი მატილდას მხარეზე გადავიდა, თუმცა არც ერთის მომხრეს იმის სურვილი არ გააჩნდა, რომ გულწრფელად დაეცვა თავისი „რჩეული“. ბარონებს მხოლოდ სამეფო ხელისუფლების შესუსტება და თავიანთი პრივილეგიების გაზრდა სურდათ. ასე დაიწყო ინგლისში ბიძაშვილ-მამიდაშვილისა და მათი მომხრეების ცხრამეტწლიანი ომი, რომელიც 1135-1153 წლებში მიმდინარეობდა. ბარონებმა თავი აიშვეს და მიიტაცეს მეფისა და ეკლესიის მამულები. ისინი მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების გაძლიერებაზე, მეზობლისათვის ციხე-კოშკის წართმევაზე, ძარცვაზე და რაც შეიძლება მეტი ნადავლის მოპოვებაზე ფიქრობდნენ, ხშირადაც ქირაობდნენ უცხოელებს, სცემდნენ კანონებს, სჭრიდნენ საკუთარ მონეტას, კონტრიბუციას ახდევინებდნენ ქალაქებს, ხოცავდნენ და ძარცვავდნენ გლეხობას, ყანები დაუმუშავებელი რჩებოდა და ხალხი შიმშილით იხოცებოდა. ერთი სიტყვით, ქვეყანაში მძვინვარებდა ანარქია და ქაოსი. მოსახლეობას მოთმინების ფიალა ევსებოდა, დრტვინავდა. ეკლესიის მესვეურები და ბარონები მიხვდნენ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა, გამოსავალი ნახეს შეთანხმებაში. მეტოქე ნათესავებმა 1153 წელს უილინგფორდში დადეს ხელშეკრულება, რომლის ძალით მეფედ ცხადდებოდა სტივენი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტი უნდა გადასულიყო მატილდას ვაჟის, ანჟუს ახალგაზრდა გრაფის ანრი ანჟუელის, ანუ პლანტაგენეტის ხელში. ანრის დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია, შეთანხმების დადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1154 წელს, სტივენი გარდაიცვალა და ტახტი დაიკავა ანრი პლანტაგენეტმა, რომელსაც ინგლისში ჰენრი II ეწოდა. ასე დაედო საფუძველი პლანტაგენეტების ახალ სამეფო დინასტიას, რომელიც მართავდა ინგლისს 1399 წლამდე.

ჰენრი II პლანტაგენეტის მმართველობა და რეფორმები. ჰენრი II-ს (1154-1189) გამორჩეული ადგილი უკავია ინგლისის მონარქებს შორის. თვით მისი თანამედროვე მემატიანეებიც ვერ მალავდნენ, რომ ეს იყო ძლი-

ერი პიროვნება, საოცრად ენერგიული და განათლებული მეფე, რომელიც ფლობდა ძლიერ მეხსიერებასა და ენერგიას, მას მოსვენებულს ვერ ნახავდა, სულ სამეფო საქმეებით იყო დაკავებული, იყო მჭევრმეტყველი და გონებამახვილი, უყვარდა პაექრობა სწავლულებთან.

ჰენრი II-ის გონიერება ჯერ კიდევ ინგლისის სამეფო ტახტზე ასვლამდე, პლანტაგენეტების სამფლობელოების ზრდაშიც გამოვლინდა. მან მამისგან მემკვიდრეობით მიიღო ანჟუს, მენისა და ტურენის საგრაფოები, დედისაგან წილად ხვდა ნორმანდიის საჰერცოგო. მისი სამფლობელოები საფრანგეთში ქორწინების გზითაც გაიზარდა. როცა ჰენრისათვის ცხადი შეიქმნა, რომ მეორე ჯვაროსნული ლაშქრობიდან დაბრუნებული ლუი VII ცოლს, აკვიტანიის ჰერცოგის ასულს ალიონორას ეყრებოდა (ღალატთან ერთად დედოფალმა მას ორი ქალიშვილი შესძინა, რასაც მეფე ვერ შეურიგდა), მასზე დაქორწინება გადაწყვიტა, აღასრულა კიდეც და ამ გზით აკვიტანიასა და პუატიეს დაეუფლა. მასვე დაემორჩილნენ ბრეტანისა და გასკონის ჰერცოგები. ამგვარად, ჰენრი II-მ თავისი ხელისუფლების ქვეშ თავი მოუყარა უზარმაზარ სამფლობელოს: ინგლისთან ერთად მასში შედიოდა საფრანგეთის 2/3. ზოგჯერ ამ სახელმწიფოს ანჟუს იმპერიასაც უწოდებენ. საკითხი ასე იდგა: ვინ გააერთიანებდა საფრანგეთს – პლანტაგენეტები, რომლებიც, როგორც ფრანგული მიწების მფლობელნი, საფრანგეთის მეფის ვასალები იყვნენ, თუ კაპეტინგები, რომელთა ძლიერება ვასალებზე ბევრად სუსტი იყო? უფრო ის იყო მოსალოდნელი, რომ ამ საქმისათვის პლანტაგენეტებს მოეკიდათ ხელი.

ჰენრი II-მ თავის უპირველეს ამოცანად ის გაიხადა, რომ აღედგინა ინგლისში სამოქალაქო ომის შედეგად შერყეული წესრიგი. დაეყრდნო რა დიდ ფინანსურ რესურსებს, რაინდთა, მოქალაქეთა და თავისუფალი გლეხობის მხარდაჭერას, გამეფებისთანავე მან იწყო ურჩი ფეოდალების მოთვინიერება, ბოლო მოუღო ფეოდალურ არეულობას, ბარონებს დაუნგრია შინაომების დროს უკანონოდ აშენებული 300-მდე ციხესიმაგრე, აუკრძალა დაქირავებული ჯარის ყოლა და მონეტების მოჭრა, დაიბრუნა მიტაცებული მიწები და გაზარდა სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი.

მთელი თავისი ყურადღება მან ადგილობრივ მმართველობაზე გადაიტანა, იმას შეეცადა, რომ შეესუსტებინა ფეოდალური დიდკაცების გავლენა, ცვლილებები შეეტანა შერიფების საქმიანობაში, რომლებიც საგრაფოებს განაგებდნენ. მართალია, ჰენრიმ შერიფებს თავდაპირველად დიდი უფლებები მიანიჭა, მაგრამ იმავდროულად, სასტიკი კონტროლიც დაუწესა. მოგვიანებით, 1170 წელს, იგი შერიფების რევიზიას შეუდგა, ხელი მიჰყო ე.წ. „შერიფების წმენდას“; დაითხოვა ყველა ის შერიფი, ვინც სახელმწიფო თანხების მითვისებითა და მოსახლეობის ძარცვა-რბევით გამდიდრებულიყო. მათ ადგილას დაინიშნა საშუალო და წვრილი ფეოდალების წარმომადგენ-

ლები – რაინდები. ამის შემდეგ, როგორც წესი, მსხვილი ფეოდალები შეიარაღებული რიფებად აღარ ინიშნებოდნენ.

ცვლილებები შეეხო ცენტრალურ ადმინისტრაციასაც, იგი სამად გაიყო. ერთი იყო მეფის საბჭო (Curia regis), რომელიც განაგებდა მთელ სამეფოს; იგი სცემდა კანონებს, ხელმძღვანელობდა დიპლომატიას, ომისა და ზავის საკითხებს. ამ საბჭოს XIII საუკუნიდან პარლამენტი ეწოდა. სამეფო კურიას სათავეში ედგა ლორდ-კანცლერი, მას ებარა სახელმწიფო ბეჭედი. კანცლერად ჩვეულებრივ კენტერბერის არქიეპისკოპოსი ინიშნებოდა. მეორე იყო უზენაესი სასამართლო, რომელიც იუსტიციარებისაგან შედგებოდა და იხილავდა სასამართლო დადგენილებებს. მესამე იყო ჭადრაკის პალატა, რომელიც წარმოადგენდა უზენაეს ფინანსურ ორგანოს, იგი კრებდა გადასახადებს, განაგებდა ფინანსთა ხარჯვას და ჯარის დაქირავების საკითხს. პალატას ჭადრაკისა იმიტომ ეწოდა, რომ მაგიდაზე, რომელზეც ხდებოდა საკითხების განხილვა, გადაფარებული იყო კვადრატებად (ჭადრაკულად) მოხატული სუფრა.

ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლო რეფორმას, თუმცა ვიდრე ამ რეფორმას გაატარებდა ჰენრი II, ინგლისში ყველა წოდებას თავისი სასამართლო გააჩნდა. მაგალითად, სენიორალურ კურიაში, ფეოდალურ სასამართლოს რომ წარმოადგენდა, ვასალების განსამართლება ხდებოდა. იყო, აგრეთვე, საეკლესიო, საქალაქო და საოლქო სასამართლოები, სადაც ბრალდებულის დანაშაულის განსაზღვრა ორდალიების წესის – წყლით გამოცდის, გახურებული რკინის, ადუღებული წყლის ან ორთაბრძოლის (დუელის) – დახმარებით ხდებოდა. აქ გამოტანილი განაჩენი საბოლოო იყო. ჰენრისეული რეფორმა კი წამოსწევდა სახელმწიფოებრივ ინტერესებს, აფართოებდა სამეფო სასამართლოს კომპეტენციას, სძენდა მას უზენაესი სასამართლოს ფუნქციებს, სადაც გასაჩივრება ყოველ თავისუფალ ადამიანს შეეძლო. აპელაციის წესი – აი, ის უმთავრესი სიახლე, რომელიც დაინერგა რეფორმით და რომელმაც მეფეს დიდი შემოსავალი მოუტანა. ერთადერთი ვილანები იყვნენ, ვისაც გასაჩივრების ეს წესი არ შეხებია. ისინი კვლავ ლორდის სასამართლოს დაქვემდებარებაში რჩებოდნენ.

სასამართლო პრაქტიკაში ასევე წინგადადგმული ნაბიჯი იყო მოგზაური მოსამართლეების – ლეგისტების (რომაული კანონის მცოდნეები) შემოღება, რომლებიც მეფის ბრძანებით ადგილებზე იგზავნებოდნენ. მათ დანერგეს გამოძიება და საქმის ჩაწერა. ისინი იყენებდნენ მოწმეებს, რომლებიც ფიცის ქვეშ აჩვენებდნენ ჭეშმარიტებას. ჩვენებისათვის საჭირო იყო 12 მოწმე ანუ თანამოფიცარი. ეს წესი ვრცელდებოდა როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეებზეც. ასე რომ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ინგლისში ჰენრი II-ის სახელს უკავშირდება და მეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლების განმტკიცებას უწყობდა ხელს. ბრალდებულზე მას უნდა გამოეტანა საბოლოო განაჩენი: „დამნაშავეა“ ან „უდანაშაულოა“.

ასევე წარმატებული იყო ჰენრისეული სამხედრო რეფორმა. თუ მანამდე მეფე იწვევდა ვასალებს, ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, თავიანთ ვასალებს მოუხმობდნენ და ასე იკრიბებოდა ფეოდალური ლაშქარი, რომლის სამსახურის ვადა 40 დღით განისაზღვრებოდა; იგი არ იყო სანდო და საიმედო, რადგან ვასალი ტოვებდა ბრძოლის ველს, როგორც კი ამოიწურებოდა ეს ვადა. ჰენრი კი ვერ შეურიგდა ამდაგვარ სამსახურს, უარი თქვა მასზე და ფეოდალებისაგან მოითხოვა ფარის ფული (scutigium), რომლის აკრეფა საკმაოდ დიდ თანხას იძლეოდა. ამ თანხით იგი ქირაობდა ჯარს, მეტწილად ფრანგ ჯარისკაცებს. გარდა ამისა, 1181 წლის „ასიზით“ მეფემ ინგლისის მთელ თავისუფალ მოსახლეობას, გარდა ებრალებისა და ყმებისა, საყოველთაო სამხედრო სამსახური დააკისრა. ამ გზით იკრიბებოდა სახალხო ლაშქარი. ყოველივე ამან ჰენრი II-ს არა მარტო ფრანგული მიწების შენარჩუნების შესაძლებლობა მისცა, არამედ იმისი ძალაც, რომ დაპყრობითი პოლიტიკა ეწარმოებინა ირლანდიის, შოტლანდიისა და უელსის მიმართ. ჯერ იყო და 1171 წელს ინგლისელი ფეოდალების სურვილის გათვალისწინებით ჰენრი II-მ ილაშქრა ირლანდიის წინააღმდეგ, სადაც ის-ის იყო ისახებოდა ფეოდალიზმი და გაბატონებული იყო კლანური წყობა და აიძულა კლანის ბელადები, ეცნოთ თავი ჰენრი II-ის ვასალებად. ცოტა მოგვიანებით ჰენრიმ დაიმორჩილა შოტლანდია და უელსიც, თუმცა შოტლანდიამ მალე დააღწია თავი ვასალურ დამოკიდებულებას და იწყო დაახლოება საფრანგეთთან.

ერთადერთი საეკლესიო რეფორმა იყო, სადაც ჰენრი II-მ წარუმატებლობა განიცადა. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მოსურნე ჰენრი ვერ ეგუებოდა ეკლესიის დამოუკიდებელ სასამართლოს, მისი დამორჩილება სურდა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ კენტერბერის არქიეპისკოპოსის თანხმობის გარეშე, ასეთი ნაბიჯის გადადგმა სარისკო იქნებოდა. ამ თანამდებობაზე საჭირო იყო ისეთი პიროვნება, რომელიც მას დაეხმარებოდა საეკლესიო რეფორმის გატარებაში. ყველა მონაცემით, ფიქრობდა ჰენრი II, ასეთ პიროვნებას მისი სიყრმის მეგობარი, ზემოალნიშნული ჟილბერ ბეკენტის შვილი, ტომას ბეკეტი წარმოადგენდა. ეს იყო იურისპრუდენციასა და ღვთისმეტყველებაში განსწავლული ადამიანი, რომელსაც განათლება მიღებული ჰქონდა ბოლონიისა და პარიზის უნივერსიტეტებში. ბეკეტს საოცარი გულადობაც მოსდგამდა, მეფესთან ერთად მას არაერთ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, ერთ-ერთ რაინდზე გამარჯვების აღსანიშნავად მას უნაგირიც კი წამოუღია, იგი სახლის კედელზე ეკიდა. ახალგაზრდობაში ძალიან მხიარული და ნადიმების მოყვარული ბეკეტი მეფესთან შეხუმრებულიც იყო, თუმცა ისიც კარგად გაეგებოდა, რომ მეფის ავტორიტეტს გაფრთხილება

სჭირდება, იგი მხარს უჭერდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის ცენტრალიზაციას. მას ერთხელ უთქვამს, რომ ეკლესია მეფეს უნდა ემორჩილებოდესო. ბუნებრივია, ასეთ პიროვნებას ჰენრი ბოლომდე ენდობოდა, აკი ჯერ კანცლერად დანიშნა, ხოლო 1162 წელს, როცა კენტერბერის არქიეპისკოპოსი ტიბო გარდაიცვალა, ამ თანამდებობაზეც იგი აარჩევინა. მაგრამ მეფეს გაწბილება ელოდა.

ტომას ბეკეტი საოცრად პატივმოყვარე აღმოჩნდა, ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდა, არქიეპისკოპოსად არჩევის დღიდან მან უარი თქვა მისთვის დამახასიათებელ ნადიმებში მონაწილეობაზე და ასკეტური ცხოვრება დაიწყო, ჩაიცვა ბერული უბრალო ტილოს მოსასხამი და ხმელი პურისა და წყლის ამარა დარჩა, თვითგვემამდეც მიდიოდა იგი.

ჰენრი II-მ, ჯერ კიდევ დარწმუნებულმა თავისი არჩევანის სისწორეში, 1164 წელს გამოსცა კლარენდონის დადგენილება, რომელიც 16 მუხლისაგან შედგებოდა და რომლის ძალით ეკლესია მეფის ყმა ხდებოდა. მე-8 მუხლი პირდაპირ მიუთითებდა, რომ საეკლესიო სასამართლო ემორჩილებოდა მეფის სასამართლოს, ინგლისის ეკლესია რომისაგან დამოუკიდებელი ხდებოდა. საეკლესიო სასამართლოს მორჩილებაზე მიუთითებს მე-3 მუხლიც, სადაც მითითებულია საეკლესიო პირის საქმე, თუ მას სისხლის სამართლის დანაშაულში ედებოდა ბრალი, უნდა გაერჩია სამეფო სასამართლოს, ხოლო, თუ საქმეს არჩევდა საეკლესიო სასამართლო, საჭირო იყო იუსტიციარის დასწრება. დამნაშავე უნდა დაესაჯათ საერო კანონებით, როგორც საერო პირი. მე-4 მუხლი კრძალავდა ინგლისელი სასულიერო პირის ინგლისიდან გასვლას მეფის ნებართვის გარეშე. მე-7 მუხლის ძალით ეკლესიას არ ჰქონდა უფლება შეეჩვენებინა მეფის კაცი მეფესთან შეთანხმების გარეშე. ეკლესიაზე კლარენდონის დადგენილება სამეფო გადასახადებსაც ავრცელებდა.

აი, ასეთი იყო ძირითადად კლარენდონის დადგენილების შინაარსი. ძალას ეს დადგენილება მაშინ შეიძენდა, თუ მას დაამტკიცებდა კენტერბერის არქიეპისკოპოსი. მაგრამ, ბეკეტმა არ ცნო ეს დადგენილება, რამაც ჰენრი II-ის აღშფოთება გამოიწვია. მან ბრალი დასდო ბეკეტს ფიცის გატეხასა და სამეფო თანხის მითვისებაში და მოითხოვა მისი გასამართლება სამეფო სასამართლოში. ბეკეტს სასამართლოს წინაშე გაბედულად ეჭირა თავი, მან უარი თქვა კანცლერის თანამდებობაზე და იქვე ისიც განაცხადა, რომ „ვით ოქრო ძვირია ტყვიაზე, ისე სასულიერო ხელისუფლება მაღლა დგას საეროზე“. მეფისა და მისი მოხელეების წინააღმდეგ დაწყებულმა ამ გაბედულმა ბრძოლამ ტომას ბეკეტს დიდი პოპულარობა მოუპოვა ხალხში, თუმცა სასამართლოს განაჩენი მაინც ძალზე მკაცრი აღმოჩნდა – იგი სახელმწიფოს მოღალატედ გამოაცხადეს. არქიეპისკოპოსი იძულებული გახდა გაქცეულიყო პარიზში რომის პაპ ალექსანდრე III-თან, რითაც მან დაარღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია კლარენდონის დადგენილების მე-4 მუხლი. იმის იმედი, რომ პაპი მხარს დაუჭერდა და დაეხმარებოდა მას, არარეალური აღმოჩნდა; ამ დროს პაპი თვითონ აწარმოებდა ბრძოლას იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსასთან და მოერიდა ინგლისელი მეფის მტრად გადაკიდებას. გაწბილებულ ბეკეტს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა ინგლისში დაბრუნება. დაბრუნებაზე მას თვით ჰენრის თანხმობაც ჰქონდა, მეფეს მისი შემორიგება სურდა; მოსალოდნელი იყო ბარონების გამოსვლა და, ამდენად, იგი ეკლესიის მხარდაჭერას საჭიროებდა. ინგლისს მიახლოებული ბეკეტი გრძნობდა, რომ მას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა, აკი მეგობრებისათვის უთქვამს: „ვუახლოვდები ინგლისს და მიახლოვდება სიკვდილი“. სამშობლოში დაბრუნებულმა ბეკეტმა კვლავ განაგრძო ოპოზიციური საქმიანობა, ეკლესიიდან განკვეთა ყველა ის ადამიანი, ვინც მხარს უჭერდა კლარენდონის დადგენილებას, რამაც ჰენრის განრისხება გამოიწვია. ერთხელაც, როცა მას ბეკეტის საქმიანობის შესახებ მოახსენეს, დაუფიქრებლად წამოიძახა: „ნუთუ ჩემს ქვეყანაში არ მოიპოვებოდა კაცი, რომელიც ამ აბეზარ ბერს თავიდან მომაშორებდა?“ ამ სიტყვებს ისმენდა მეფის ოთხი რაინდი, რომლებმაც პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს ნათქვამი და მაშინვე გაემართნენ არქიეპისკოპოსის ადგილსამყოფელისაკენ. მოსალოდნელი საფრთხე რომ დაინახეს, მსახურებმა არქიეპისკოპოსს ურჩიეს დაეკეტა ეკლესიის კარები, მაგრამ ბეკეტს მშვიდად უთქვამს: „ეკლესია ციხე როდია, იგი ღვთის სახლია“, თან უბრძანებია, რომ ეკლესიის კარები ფართოდ გაეღოთ. ეკლესიაში შესულმა რაინდებმა 1170 წლის 29 დეკემბერს გაუგონარი მკრეხელობა ჩაიდინეს: საკურთხეველთან მუხლმოყრილი ბეკეტი მოკლეს. ეს იყო დიდი პოლიტიკური შეცდომა, რომელმაც ბარონებისა და მოსახლეობის დაბალი ფენების მღელვარება გამოიწვია. თვით პაპიც ინგლისის მეფეს ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა. ჰენრი იძულებული გახდა მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1171 წლის იანვარში, მისულიყო ბეკეტის საფლავთან და საჯაროდ მოენანიებია, პატიება ეთხოვა, დაეფიცა, რომ ბეკეტის სიკვდილი სულაც არ იყო მისი მიზანი. მან ასევე უარი თქვა კლარენდონის დადგენილებაზე. ეკლესიამ ბეკეტი წმინდანად შერაცხა, ცალკეულმა ადამიანებმა იმის თქმაც იწყეს, რომ „მკვდარმა აჯობაო ცოცხალს“.

ბეკეტთან შეტაკებამ სამეფო ხელისუფლების ძლიერება და ავტორიტეტი შეარყია, გაუმრავლა მტრები. თავი აიშვეს ბარონებმაც, რომლებსაც საფრანგეთის მეფის ფილიპე ოგიუსტის მხარდაჭერა ჰქონდათ. ისინი ჰენრის სამგზის (1173, 1183 და 1189 წლებში) აუჯანყდნენ და გამარჯვებასაც მიაღწიეს, აიძულეს მეფე დიდ დათმობაზე წასულიყო. საინტერესოა ერთი გარემოება: აჯანყებებში ბარონებთან ერთად დედოფალი ალიონორა და უფლისწულებიც მონაწილეობდნენ. ბარონების მონაწილეობა აჯანყებაში ეს გასაგებია, მათ მეფის ხელისუფლების შეზღუდვა და თავიანთი პრივი-

ლეგიების გაზრდა სურდათ. მაგრამ იბადება კითხვა: რატომ მონაწილეობდნენ აჯანყებაში ჰენრის მეუღლე და შვილები? მათაც ხომ არ უნდოდათ მეფის ხელისუფლების შეზღუდვა? მომავალ მეფეებს ამგვარი სურვილი არ უნდა ჰქონოდათ. იქნებ როგორც მეუღლე და მამა არ იყო ღირსეული? ჩანს, ეს აზრი უფრო ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან. ქრონისტების ერთი ნაწილი, როგორც ვთქვით, ჰენრი II-ს ახასიათებს როგორც ნიჭიერ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც სხვა ბევრი კარგი თვისება ჰქონდა, მაგრამ ქრონისტების მეორე ნაწილს უთქმელი არც ის რჩება, რომ ის იყო ქალთა სქესის უზომოდ მოყვარული. მან არ დაინდო ბრეტანელი ქალბატონი, რომელიც ნათესავად ერგებოდა; მან არ დაინდო თავისი შვილის რიჩარდის საცოლე, ადელაიდა, და ფილიპე II ოგიუსტისა, რომლის აღზრდა თვითონ ჰენრიმ იკისრა. ამგვარად, მეუღლესა და შვილებს, მწარედ შეურაცხყოფილებს, შურისძიების საბაბი ჰქონდათ. ბოლო აჯანყების დროს (1189), როცა ჰენრიმ გაიგო, რომ მასში მონაწილეობდა თავისი ნაბოლარა — ჯონიც, რომელსაც ძალიან ანებივრებდა, მას გული გაუსკდა, გარდაიცვალა.

რიჩარდ I. ჰენრი II-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი რიჩარდ I (1189-1199), ლომგულად წოდებული. იგი იყო საოცრად რაინდული ბუნების ადამიანი, უშიშარი და პატრონი დიდი ფიზიკური ძალისა, რომელსაც უყვარდა ომი, ორთაბრძოლები და ნადირობა. იმავდროულად რიჩარდი ბევრს კითხულობდა, უყვარდა პოეზია და მუსიკა, წერდა პატარა-პატარა ლექსებსა და სიმღერებს. მსგავსად მამისა, თავშეუკავებელი იყო სიყვარულში, თუმცა მამის პოლიტიკური ნიჭი მას არ აღმოაჩნდა.

ბავშვობა და ყრმობა რიჩარდ ლომგულმა პუატიესა და აკვიტანიაში გაატარა. 32 წლისა იყო იგი, როცა გამეფდა და გამეფების შემდეგ ის ორჯერ ჩამოვიდა ინგლისში, სადაც რამდენიმე თვე დაყო. დანარჩენი წლები მან ფილიპ ოგიუსტთან ომში და მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში გაატარა. ამ პერიოდში ინგლისს ფაქტობრივად მეფის ერთგული მსახური ჰუბერტ ვორტერი განაგებდა; იგი იმას აკეთებდა, რაც რიჩარდს სურდა. ომებსა და ლაშქრობებში მონაწილეობა უზარმაზარ თანხას მოითხოვდა, ამ თანხას ისინი მეტწილად ინგლისში კრეფდნენ. მათ ინგლისს თავი იმითაც დაამახსოვრეს, რომ ჰენრის მიერ დანიშნული მოხელეები გადააყენეს, შემდეგი კი აიძულეს, გამოესყიდათ თავი. ჯვაროსნული ლაშქრობიდან უკან დაბრუნებისას, გერმანიის გზით მიმავალი რიჩარდი იმპერატორმა ჰაინრიხ VI-მ დაატუსაღა და მანამ არ გაათავისუფლა, ვიდრე არ მიართვეს 100 ათასი გირვანქა სტერლინგი. ეს თანხა ვორტერმა დედოფალ ალიონორასთან ერთად ინგლისში თვითნებურად აკრიფა. ამდაგვარი თვითნებობა გახდა მიზეზი იმ დიდი უკმაყოფილებისა და ამბოხებისა, რომელიც მოხდა ინგლისში 1196 წელს. ამბოხებულებს სათავეში ედგა უილიამ ფიც-ოსბერტი, „გრძელწვერად“ წოდებული, მაგრამ იგი მალე მოკლეს და აჯანყებაც ჩააქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს. 1199 წელს საფრანგეთში ერთ-ერთი კოშკის აღების დროს რიჩარდ ლომგული სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა.

ორჯერ ნაქორწინევ რიჩარდს მემკვიდრე არ დარჩენია. ტახტი უნდა მიეღო მის ძმისწულს, ჯეფრის შვილს, არტურს, რომელიც ბრეტანის ჰერცოგი იყო, მაგრამ მას მეფობა არ ეწერა, წინ ბიძამისი – ჯონი აღუდგა, რომელმაც არა მარტო ტახტი წაართვა, არამედ მოახრჩობინა კიდეც.

ჯონ უმიწაწყლო და „თავისუფლებათა დიდი ქარტია“. ჯონ უმიწაწყლო ინგლისს 1199-1216 წლებში მართავდა. იგი, როგორც ითქვა, ჰენრი პლანტაგენეტის ნაბოლარა იყო, მაშინ მოევლინა ქვეყანას, როცა მამამისს სამემკვიდრეო მიწები უფროსი ვაჟებისათვის უკვე განაწილებული ჰქონდა, ნაბოლარასათვის მას მიწები არ აღმოაჩნდა. ჯონს ამიტომაც შეარქვეს lack land – უმიწაწყლო.

თანამედროვეთა დახასიათებით, ჯონი უარყოფითი პიროვნება იყო. ამ ვერაგ, პატივმოყვარე, გამომძალველ და უუნარო მმართველს ერთადერთი ნიჭი – მტრების შეძენის უნარი გააჩნდა. იგი გულმოდგინედ ჭრიდა იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ იჯდა. მან ჯერ იყო და ყოველგვარი ულირსი ხერხებით იწყო საკუთარი ვასალების ქონებათა კონფისკაცია, მათგან უზომო გადასახადებისა და სუბსიდიების მიღება; ამასთან, უსირცხვილო ვაჭრობასაც ეწეოდა – ლენების მემკვიდრე ქალიშვილებსა და ქვრივებს, მათი სურვილის გაუთვალისწინებლად, ათხოვებდა იმ კაცებზე, რომლებიც მას მეტ თანხას მისცემდნენ. გადასახადების აკრეფისას ჯონი ხშირად ძალმომრეობას იყენებდა, არ ინდობდა თვით იმ ქალაქებს, რომლებიც ადრე სარგებლობდნენ პრივილეგიებით, მათ გადასახადებსა და ბაჟებს ახდევინებდა. ყველაფერი ეს სცემდა სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტს, ზრდიდა მისდამი უკმაყოფილებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, თვით რაინდებსა და შეძლებულ გლეხებს შორისაც, რომლებიც ადრე მეფის დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

ჯონის ქვეშევრდომთა უკმაყოფილებით გამოწვეული ეს სიტუაცია ოსტატურად გამოიყენება საფრანგეთის მეფე ფილიპ II ოგიუსტმა, რომელიც გონიერი და ჭკვიანი მმართველი იყო. როგორც კი დაინახა, რომ შეირყა ჯონის ავტორიტეტი, იგი მაშინვე დაადგა ფრანგული მიწების უკან დაბრუნების გზას. საბაბმაც არ დააყოვნა. პუატუს გრაფმა, რომელსაც ჯონმა საცოლე წაართვა, საჩივრით მიმართა ფილიპ ოგიუსტს, იგი ჯონის თავხედობაზე ჩიოდა და მეფისაგან დახმარებას ითხოვდა. საფრანგეთის მეფემ ჯონი, როგორც ფრანგული ტერიტორიების მფლობელი და ვასალი, მაშინვე გამოიძახა სამეფო სასამართლოში ახსნა-განმარტების მისაცემად, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, იგი არ გამოცხადდა, განაჩენმაც არ დააყოვნა, გამოაცხადა, რომ ჯონს, როგორც ვასალური ერთგულების დამრღვევს, ჩამორთმეოდა ფრანგული მიწები. ამას მოჰყვა ჯონისა და ფილიპ ოგიუსტის ომი,

რომელიც 1202-1204 წლები გრძელდებოდა. ომში ჯონი დამარცხდა და დაკარგა კიდეც თავისი სამფლობელოები საფრანგეთში: ნორმანდია, ანჟუ, მენი, ტურენი და პუატუს ნაწილი. მას მხოლოდ აკვიტანია და გიენი შერჩა.

ასევე მარცხიანი აღმოჩნდა ჯონის პოლიტიკა პაპ ინოკენტ III-თან. საქმე იმით დაიწყო, რომ 1205 წელს გარდაიცვალა კენტერბერის არქიეპისკოპოსი. საჭირო გახდა ახალი არქიეპისკოპოსის არჩევა. ჯონმა და კენტერბერელი ბერების ერთმა ნაწილმა თავიანთი კანდიდატურები წამოაყენეს. მაგრამ პაპმა არც ერთის კანდიდატურა არ დაამტკიცა, უპირატესობა მისცა ინგლისელ კარდინალ სტივენ ლენგტონს, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. მათ ერთდროულად მოუხდათ პარიზში სწავლა და საღვთისმეტყველო მოღვაწეობა. ლენგტონი პაპმა 1207 წლის 17 ივნისს კენტერბერის არქიეპისკოპოსად აკურთხა. მაგრამ არც ჯონი დარჩა ვალში, ლენგტონი არ ცნო კენტერბერის არქიეპისკოპოსად, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, მისი არჩევა მოხდა ინგლისის საეკლესიო წესების დარღვევით. ამასთან, მან იწყო პაპის მომხრე სასულიერო პირების დევნა. პასუხად ინოკენტი III-მ ჯერ ის გააკეთა, რომ 1208 წელს ინგლისზე გავრცელა ინტერდიქტი (ღვთისმსახურების დროებით აკრძალვას ნიშნავს), ხოლო 1209 წელს ურჩი მეფე ეკლესიიდან განკვეთა. მაგრამ როცა ყველაფერმა ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო – ჯონს ხელი ვერ ააღებინა ანტიპაპურ საქმიანობაზე, პაპმა მიმართა უკიდურეს ზომას და 1212 წელს გამოსცა ბულა ჯონისათვის ტახტის ჩამორთმევისა და ამ ტახტის ფილიპ ოგიუსტზე გადაცემის შესახებ. იმავე ბულით პაპი ინგლისელ ბარონებს მეფისადმი მიცემული ერთგულების ფიცისგანაც ათავისუფლებდა. ბარონების მოსალოდნელი აჯანყების შიშით ჯონი კაპიტულაციაზე წავიდა, არა მარტო ლენგტონს მისცა არქიეპისკოპოსის მოვალეობის აღსრულების უფლება, არამედ სასულიერო პირებსაც დაუბრუნა ადრე ჩამორთმეული ქონება, იგი უფრო შორს წავიდა, 1213 წელს პაპის ლეგატის წინაშე წარდგა და მუხლმოყრილმა პატიება ითხოვა, თავი პაპის ვასალად გამოაცხადა და აღუთქვა, რომ პაპს იგი ყოველწლიურად მისცემდა ათას გირვანქა სტერლინგს. ეს დიდი დამცირება და სამარცხვინო აქტი იყო, რომელმაც კიდევ უფრო გააღიზიანა და საბრძოლველად განაწყო ბარონთა ოპოზიცია.

ისედაც დაძაბული ეს სიტუაცია ჯონმა არაფრად ჩააგდო და იწყო მზადება საფრანგეთთან ახალი ომისათვის, მას დაკარგული მიწების დაბრუნება სურდა. ბარონების დახმარებას ჯონი, რა თქმა უნდა, ვერ მიიღებდა, ამიტომაც დაუკავშირდა იგი გერმანიის იმპერატორ ოტო IV-სა და ფლანდრიის გრაფს, მათთან ერთად მოაწყო ლაშქრობა საფრანგეთის მეფის წინააღმდეგ, მაგრამ 1214 წელს ბუვინთან ბრძოლაში მოკავშირეებმა მარცხი იწვნიეს; ოტო IV და ჯონი ბრძოლის ველიდან გაიქცნენ, ხოლო გრაფი ტყვედ ჩაუვარდა ფრანგებს. საფრანგეთის მეფის სასარგებლოდ ჯონს

დიდი კონტრიბუციის გადახდაც მოუწია. ფაქტობრივად ამ მარცხმა დასავლური დაუდო ფრანგული მიწების უკან დაბრუნების იმედს. ბარონებთან შეტაკება გარდუვალი გახდა.

ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გამოქცეულმა მეფემ ბარონებთან შეტაკება თვითონ დააჩქარა, აკი მან იმ ბარონების დასჯა გადაწყვიტა, რომლებმაც უარი განაცხადეს ლაშქრობაში მონაწილეობაზე. მეფეს მხარს უჭერდა პაპი, რომელიც ბარონებს განკვეთით ემუქრებოდა. მაგრამ ბარონები არ შეშინდნენ, მათ იწყეს გამოსვლა რობერ ფიც ვორტერის მეთაურობით. ბარონებს გვერდში ამოუდგა სტივენ ლენგტონი და სამღვდელოება, რაინდები და ქალაქები, მათ შორის იყო ლონდონიც, რომელმაც კარი გაუღო ამბოხებულებს. ერთი სიტყვით, ინგლისის საზოგადოებაში მოხდა ძალთა გადაჯგუფება, სახელდობრ, ტრადიციულად მეფის მხარდამჭერი ძალები გადავიდნენ ბარონების მხარეს, რომლებმაც მეფე აიძულეს წასულიყო დათმობაზე. 1215 წლის 15 ივნისს უინძორის მახლობლად, რენიმედის ველზე, მან ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც ცნობილია „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ (Magna Charta Libertatum) სახელწოდებით. ეს ფეოდალური დოკუმენტი, თავისებური კონსტიტუციაა, რომელიც დაწერილია ლათინურ ენაზე და 63 მუხლისაგან შედგება.

თავისუფლებათა დიდ ქარტიას უპირველესად მეფის თვითნებობის შეზღუდვა სურდა. შეზღუდული მონარქიის შემოღება – აი, რა იყო მისი მიზანი. ქარტიის პირველ მუხლში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მეფე ვერ ჩაერეოდა საეკლესიო საქმეებში, ეკლესიას არჩევნებში სრული თავისუფლება ენიჭებოდა, ხელშეუხებელი იყო საეკლესიო ქონება. ინგლისელ სასულიერო პირებს იმის უფლებაც ენიჭებოდათ, რომ მეფის დაუკითხავად ჩასულიყვნენ რომში. თავისუფლებათა ქარტია ბარონების ინტერესებსაც იცავდა. მეფეს არ შეეძლო მათი არც დასჯა, არც დატუსაღება, არც ქონების ჩამორთმევა, თუ არ იქნებოდა გათვალისწინებული მთელი ინგლისური კანონები. მეფეს თვითნებურად არც გადასახადების დაწესება შეეძლო და არც აკრეფა. მეფეს ეკრძალებოდა აკრეფა თავისი ვასალებისაგან იმაზე მეტი გადასახადებისა, ვიდრე დაწესებული იყო ადათით. მას არც „ფარის ფულის“ აკრეფა შეეძლო „სამეფოს საერთო საბჭოს“ (მასში ბარონები შედიოდნენ) დაუკითხავად. ამ საბჭოს ხელში იყო გადასახადების შემოღებისა და აკრეფის დამტკიცების უფლება. ქარტია იურისდიქციის სფეროშიც იჭრებოდა, ზღუდავდა ჰენრი II-ის მიერ შემოღებულ სამეფო სასამართლოს უფლებებს. ბარონებს ახლა ასამართლებდნენ არა სამეფო სასამართლოში, არამედ წოდებრივად მათივე თანასწორი პერების სასამართლოში. პერების დასტურის გარეშე მეფეს არც ბარონების კანონგარეშედ გამოცხადება შეეძლო.

ქარტია სხვა სოციალური ფენების ინტერესებსაც იცავდა. იგი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ბარონებს არ შეევიწროებინათ რაინდები, არ

მოეთხოვათ მათგან ზედმეტი გადასახადი და ადათით გაუთვალისწინებელი სამსახური, ხელშეუხებლად ცხადდებოდა რაინდებისა და ვაჭრების ქონება. ვაჭრებს ინგლისში (როგორც ინგლისელ, ისე უცხოელ ვაჭრებს) თავისუფალი მიმოსვლის უფლება ეძლეოდათ, ქარტია აწესებდა ერთიან საზომსა და წონას. ქარტიაში ქალაქების ინტერესებიც იყო დაცული, საუბარი იყო ქალაქების ადრინდელი პრივილეგიების შენარჩუნებაზე, ლონდონს თვითმმართველობა ენიჭებოდა.

ქარტიაში ერთი ასეთი საყურადღებო დეტალიცაა: მასში ლაპარაკია „ყოველი თავისუფალი ადამიანის“ ინტერესების დაცვაზე. ბურჟუაზიული ავტორები სწორედ აქედან ამოდიოდნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ ქარტია ყველა ადამიანის ხელშეუხებლობის გარანტიას იძლეოდა. მაგრამ ქარტიის 39-ე მუხლიდან ნათლად ჩანს, რომ ხელშეუხებლობის უფლებით მხოლოდ ფეოდალები სარგებლობდნენ. ეს უფლება ყველა თავისუფალ ადამიანზე გავრცელდა მხოლოდ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ. მართალია, ქარტიაში დასმულია თავისუფალი გლეხების საკითხიც, კერძოდ, ქარტია იმის პირობას იძლეოდა, რომ დასჯის შემთხვევაში მათ არ ჩამოართმევდნენ მიწებს, არ დაიჩაგრებოდნენ აუტანელი გადასახადებითა და ჯარიმებით, მაგრამ ყველაფერი ეს გაკვრით იყო მითითებული. რაც შეეხება ვილანებს – ყმა-გლეხებს, აშკარად ჩანს, რომ ქარტია მათ არავითარ უფლებას არ ანიჭებდა. მართალია, ქარტიის მე-20 მუხლში ის კი არის ნათქვამი, რომ დასჯის შემთხვევაში ვილანს არ ჩამოერთმეოდა შრომის იარაღები, მაგრამ არსებითად ეს ლორდთა ინტერესების დაცვას ნიშნავდა. ამდენად, თავისუფლებათა ქარტია კლასობრივი ხასიათის მატარებელი იყო.

ქარტიაში ყურადღებას იპყრობს საგარანტიო მუხლებიც, რომლებიც მეფისა და მისი ცოლ-შვილის სიცოცხლის გარანტიას იძლეოდნენ, კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ არ შეიძლებოდა მათი მოკვლა. ისინი ბარონებისაგან იმასაც მოითხოვდნენ, რომ მეფეს დახმარებოდნენ სამ შემთხვევაში: მეფის ტყვეობიდან გამოსყიდვის, მეფის უფროსი ვაჟის რაინდად კურთხევისა და მისი უფროსი ასულის გათხოვების დროს. ქარტიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 42-ე და 61-ე მუხლები, რომლის მიხედვით ბარონები ქმნიდნენ საბჭოს 25 კაცის შემადგენლობით. იგი თვალყურს ადევნებდა მეფის მიერ ქარტიის პირობების შესრულებას. დარღვევის შემთხვევაში მეფეს გამოსასწორებლად 40 დღე ეძლეოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბარონები ავჯანყდებოდნენ და აიძულებდნენ მას დათმობაზე წასულიყო. ერთი სიტყვით, ქარტია მეფის წინააღმდეგ ბარონების ავჯანყების უფლებას აკანონებდა.

ჯონი თავისი სიტყვის ერთგული არასოდეს ყოფილა. ბარონებისადმი მიცემული პირობა, რომ ქარტიას აღასრულებდა, მან მალე დაარღვია და იწყო მზადება ომისათვის. ბარონები ჯონმა მეამბოხეებად გამოაცხადა. პაპმა ინოკენტი III-მ ამ შემთხვევაში ჯონს დაუჭირა მხარი, მან სპეციალური

ბულით ბარონები ეკლესიიდან განკვეთა. პაპმა ღირსება ახადა სტივენ ლენგტონსაც (ღვთისმსახურება დროებით აუკრძალა), რომელსაც ადრე მხარს უჭერდა. ჯონმა აჯანყებული ბარონების წინააღმდეგ (აჯანყდნენ 1215 წლის 25 აგვისტოს) ომი დაიწყო, თუმცა ბარონები მარტონი არ ყოფილან, მათ დაეხმარა ფილიპ II-ის ვაჟი – ლუი, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ინგლისის ტახტზე. მაგრამ ამ ბრძოლაში ჯონი დამარცხდა და 1216 წელს დარდისაგან გარდაიცვალა.

ჰენრი III, სიმონ დე მონფორი და პარლამენტის წარმოშობა ინგლისში. ჯონის გარდაცვალების შემდეგ ინგლისის ტახტზე ავიდა მისი ძე ჰენრი III (1216-1272), რომელიც ამ დროისათვის 9 წლისა იყო. მცირეწლოვანების გამო მას დაენიშნა რეგენტთა საბჭო უილიამ პემბროკის მეთაურობით. რეგენტთა მმართველობა 1227 წლამდე გაგრძელდა. მხოლოდ ამ დროიდან იწყება ჰენრი III-ის ფაქტობრივი მმართველობა, თუმცა იგი მეტად უნიჭო და უსუსური იყო, მუდამ ამა თუ იმ ჯგუფისა და ცალკეული პირის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, დასაყრდენად მან თავისი ნათესავები, მეგობრები და რომის პაპი გაიხადა. ჰენრი III-ს ხშირად მოსდიოდა ბარონებთან უთანხმოება. ჯერ იყო და მან 6-ჯერ თქვა უარი და ამდენჯერვე მოუწია ქარტიის დამოწმება. იგი თავის მრჩევლებად მეტწილად ფრანგებს ნიშნავდა და ამით ლახავდა ბარონთა პატივმოყვარეობას. დიდი ფული ეწირებოდა მის ავანტურისტულ პოლიტკასაც. ყველაფერი ეს იყო იმ დიდი ოპოზიციის მიზეზი, რომელსაც სათავეში ედგა სიმონ დე მონფორი.

სიმონ დე მონფორი ჰენრი III-ის დის ქმარი და მისი ვაჟის – ედუარდის აღმზრდელი იყო. იგი მამით ფრანგი იყო (ალბიგოელთა წინააღმდეგ მოწყობილი „ჯვაროსნული ლაშქრობის“ ხელმძღვანელის სიმონ დე მონფორის შვილი), დედით ინგლისელი. სწორედ დედისაგან ერგო მას ლეისტერის გრაფის ტიტული. ერთხანს იგი გასკონის საგრაფოსაც ფლობდა, ეს საგრაფო მას ჰენრი III-მ უბოძა, მაგრამ მალევე წაართვა და ეს გახდა მეფისაგან მისი ჩამოშორებისა და ოპოზიციაში გადასვლის მიზეზი, იგი ბარონების პარტიას ჩაუდგა სათავეში. მათი დაპირისპირება მეფესთან განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც ჰენრი III ჩათრეული აღმოჩნდა იტალიურ სამხედრო ავანტიურაში. საქმე ის იყო, რომ პაპმა ინოკენტი IV-მ მეფეს მისი უმცროსი შვილის – ედმუნდისათვის შესთავაზა სიცილიის სამეფოს გვირგვინი, რასაც ჰენრი III დაეთანხმა კიდეც, მაგრამ ამან დიდი ფული მოითხოვა, თანაც მეფემ ბარონებსაც შესთავაზა ომში მონაწილეობა. უკმაყოფილო ბარონები მეფესთან შეიარაღებული გამოცხადდნენ და მისგან კატეგორიულად მოითხოვეს, რომ გაეტარებინა პოლიტიკური რეფორმა, თანამდებობებიდან გადაეყენებინა ყველა ფრანგი. ბარონები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ და 1258 წლის ივნისში ოქსფორდში მოიწვიეს ვასალების კრება, ე.წ. „ცოფიანი პარლამენტი“, რომელმაც მიიღო წინადადება-

ნი „ოქსფორდის პროვიზიების“ სახელწოდებით და რომელიც ქვეყანაში აწესებდა ბარონების ოლიგარქიას. მთელი ხელისუფლება გადაიოდა ბარონთა 15 საბჭოს ხელში, რომელსაც ექვემდებარებოდა მეფე, იგი ამტკიცებდა ყველა თანამდებობის პირს, იკრიბებოდა წელიწადში სამჯერ, აქ ბჭობდნენ სახელმწიფო საქმეებზე. მეფე იძულებული შეიქნა ხელი მოეწერა „პროვიზიებზე“, თუმცა 1264 წელს უარი თქვა მის შესრულებაზე. ამას უკმაყოფილო ბარონების გამოსვლა და სამოქალაქო ომი მოჰყვა. ოპოზიციის სათავეში მდგომი სიმონ დე მონფორი ემყარეობოდა არა მარტო ბარონებს, არამედ რაინდების, თავისუფალი გლეხებისა და ქალაქის მოსახლეობის ფართო წრესაც. მომფორს მხარს უჭერდა ლონდონელთა 15-ათასიანი ლაშ-ქარიც. ლუისთან ბრძოლაში, რომელიც მოხდა 1264 წლის 14 მაისს, სამეფო ჯარმა მარცხი იწვნია, სიმონ დე მომფორმა ტყვედ ჩაიგდო მეფეცა და მისი შვილი ედუარდიც. მონფორი ფაქტობრივად მთელი ინგლისის მმართველი შეიქმნა. ის ბოლომდე არ ენდობოდა ბარონებს და ქვეყანას მართავდა რაინდობასა და ერთგულ მოქალაქეებზე დაყრდნობით.

გაძლიერების სურვილმა მონფორის კიდევ ერთი ნაბიჯი გადაადგმევინა, 1265 წლის იანვარში მან მოიწვია კრება, რომელსაც ესწრებოდნენ არა მარტო უმაღლესი სასულიერო პირები და ბარონები, არამედ ყოველი საგრაფოდან და ქალაქიდან გამოგზავნილი ორ-ორი წარმომადგენელიც. მაშასადამე, ეს იყო წოდებათა წარმომადგნელობის კრება, რომელსაც დიდი პარლამენტი ეწოდა. აქედან დაედო საფუძველი ინგლისის პარლამენტს. პარლამენტმა უმაღლესი ხელისუფლება გადასცა ტრიუმვირატს — სიმონ დე მონფორს, ჩიჩესტერის ეპისკოპოსსა და გლოსტერის გრაფს, რომლებიც ნიშნავდნენ მეფის ცხრა მრჩეველს. მათ დაუკითხავად მეფეს არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მონფორი ამითაც არ დაკმაყოფილდა და სულ მალე (ეს კი ხდება 14 თებერვალს) მან გამოსცა კონსტიტუცია, რომელმაც ფაქტობრივად მის ერთპიროვნულ მმართველობას — დიქტატურას დაუდო საფუძველი. ბუნებრივია, ბარონები ვერ შეურიგდნენ სიმონ დე მონფორის — ამ „ნახევრად ფრანგის“ ასეთ აღზევებას, მათ გაუჩნდათ მეფის ძალაუფლების აღდგენის სურვილი და ხელი შეუწყვეს პრინც ედუარდის ტყვეობიდან გაქცევას, თან იწყეს მონფორის მიტოვება და პრინცის მხარეზე გადასვლა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ივზემთან 1265 წლის 4 აგვისტოს. ედუარდმა სძლია თავის მასწავლებელს, სიმონი ბრძოლის ველზე დაეცა.

პარლამენტს არსებობა მონფორის სიკვდილის შემდეგაც არ შეუწყვეტია. ტახტზე აღდგენისთანავე ჰენრი III კომპრომისზე წავიდა, ურთიერთობა განაახლა პრელატებთან, ბარონებთან, რაინდებთან და ქალაქების წარმომადგენლებთან, იმ ხალხთა, რომელთა შემადგენლობითაც დაკანონდა პარლამენტი. პარლამენტის კომპეტენცია კიდევ უფრო გაფართოვდა ედუარდ I-ის მეფობის ხანაში (1272-1307). ამ დროიდან ეყრება საფუძველი

წოდებრივ მონარქიას. ახლა მეფე თვითონ ზრუნავს პარლამენტის მოწვევაზე, 1295 წელს მან მოიწვია პარლამენტი, რომელსაც „სანიმუშო პარლამენტი“ ეწოდა. ამ დროიდან იგი მუდმივმოქმედ ორგანოდ იქცა, შეიძინა რიგი უფლებებისა. ასე, მაგალითად, 1297 წელს გამოცემული სტატუტის მიხედვით მეფეს არ შეეძლო რაიმე გადასახადის აკრეფა პარლამენტის სანქციის გარეშე. მას იმის უფლებაც მიეცა, რომ კონტროლი დაეწესებინა გადასახადის ხარჯვაზე. პარლამენტი თანადათან საკანონმდებლო ორგანოდ იქცა.

საპარლამენტო ცხოვრებაში XIV საუკუნე საეტაპო მნიშვნელობისაა. ამ დროიდან პარლამენტი ორ პალატად გაიყო: ერთი იყო ზედა, ანუ ლორდთა პალატა, სადაც იკრიბებოდნენ მეფის მიერ მოწვეული პრელატები და ბარონები, ისინი არჩევითობას არ ექვემდებარებოდნენ; მეორე იყო ქვედა, ანუ თემთა პალატა, სადაც არჩევითობის საფუძველზე წარმოდგენილი იყვნენ რაინდები და მოქალაქენი, მათ ღია კენჭისყრით ირჩევდნენ. ეს უკანასკნელნი პარლამენტში ერთად იყრიდნენ თავს და საჭირბოროტო საკითხებზე ერთადაც ბჭობდნენ. ეს იმ დროს, როცა საფრანგეთის გენერალური შტატების სხდომები ეწყობოდა ცალკე წოდებების მიხედვით. პარლამენტის ეს თავისებურება იმით უნდა აიხსნას, რომ ინგლისში წოდებანი ისე კარჩაკეტილი არ იყო, როგორც საფრანგეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის სამეფო სახლი XI-XIV საუკუნეებში
უილიამ I დამპყრობელი (1066-1087)



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XI

საფრანგეთი XI-XIII საუკუნეებსა და XIV საუკუნის დასაწყისში

ფეოდალური ურთიერთობის თავისებურებანი საფრანგეთში. X საუკუნიდან საფრანგეთში ფეოდალიზმი საბოლოოდ განმტკიცდა და ყველაზე სრულყოფილი ფორმა მიიღო. საფრანგეთი დასავლეთევროპული ფეოდალიზმის კლასიკურ მოდელს წარმოადგენდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსაზღვრება ქვეყნის მხოლოდ ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილს მიესადაგება, სადაც ყველაზე სრულად შეერწყა ერთმანეთს რომაული და ბარბაროსული საწყისები.

XI საუკუნისათვის საფრანგეთში დასრულდა ფეოდალური საზოგადოების ორი ძირითადი ფენის – სენიორებისა და მათზე დამოკიდებული გლეხობის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. ამავე პერიოდში ფეოდალების ფენა მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიდა. იგი მეტად გაძლიერდა, რიცხობრივად გაიზარდა და, თავის მხრივ, რამდენიმე ფენად დაიყო. იმ მსხვილი სენიორებისაგან, რომელთა წინაპრებიც კაროლინგური პერიოდიდან მოდიოდნენ, მრავალრიცხოვანი გვერდითი შტოები გამოიყო, რომლებმაც საშუალო და წვრილი ფეოდალების მნიშვნელოვანი ფენა შეადგინა. ეს ფენა იმ ვასალებისაგან შეიქმნა, რომლებიც მეფეს, საეკლესიო და საერო წარჩინებულებს ემსახურებოდნენ. წვრილი ფეოდალების რიგებს ავსებდნენ, ასევე, სასოფლო თემებიდან გამოყოფილი მდიდრები და პროფესიონალ მეომრებად ქცეული პირები.

უკვე XI საუკუნეში ფეოდალების ფენა გადაიქცა ჩაკეტილ, პრივილეგირებულ ჯგუფად, რომლის ხელში იყო მიწების დიდი ნაწილი, რამაც განაპირობა იმ პერიოდის სამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბება – „არ არსებობს მიწა სენიორის გარეშე“. სათემო ადგილები უკვე სამხრეთ რეგიონებშიც კი გამონაკლისი იყო (თავის დროზე აქ ისინი ჩრდილოეთში მდებარე ალოდებს მნიშვნელოვნად სჭარბობდნენ).

ფეოდალიზმის პროცესის დასრულების მნიშვნელოვან მაჩვენებლად იქცა ე.წ. ფეოდალური კიბის ჩამოყალიბება, რომელმაც საფრანგეთში კლასიკური სახე მიიღო: „ერთფარიანი“ რაინდების მრავალრიცხოვანი ფენის (რომელთაც არ ჰყავდათ ვასალები და საომრად მხოლოდ საკუთარი ფარით ცხადდებოდნენ), ზემოთ ვხვდებით მდიდარ ფეოდალებს, ხოლო მათზე მაღლა იდგნენ დიდი ტერიტორიის მმართველები: ნორმანდიის, ბრეტანის, ბურგუნდიის, აკვიტანიის ჰერცოგები და შამპანის გრაფი. პირამიდის მწვერვალში იდგა მეფე. ფრანგი ფეოდალების იერარქიულობას განსაზღვრავდა სამართლებრივი ნორმა: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის“. ეს წესი ცენტრალური ხელისუფლების ხელყოფისაგან იცავდა მსხვილი

მაგნატების ინტერესებს, ამასთან ერთად, შიდაფენობრივ კავშირებსაც უჭ-
რუნველყოფდა. ფეოდალური იერარქიის გარდა, არსებობდა ფეოდების იე-
რარქიაც, რომელსაც მსგავსი სტრუქტურა ჰქონდა. ფეოდალი მჭიდროდ
იყო დაკავშირებული თავის ფეოდთან, რადგან სწორედ მისი მეშვეობით
იძენდა იგი სოციალურ სტატუსს საზოგადოებაში; ფეოდიდან იღებდა სახე-
ლსა და სახსრებს მატერიალური კეთილდღეობისათვის. ფრანგი ფეოდალე-
ბი მოიხსენებოდნენ მათი კუთვნილი სენიორიის სახელით ან მათ სახელებს
წინ უძღოდა კუთვნილების აღმნიშვნელი წინდებული დე, დუ, დეს. ამ წინ-
დებულების გამოყენება აზნაურობის მაჩვენებელი იყო.

მიწებზე მონოპოლიის ხელში ჩაგდების შემდეგ ფეოდალებმა საფრან-
გეთში პოლიტიკური ძალაუფლებაც განიმტკიცეს. ეკონომიკურმა ჩაკეტი-
ლობამ ფეოდალები თანდათან პატარა მეფეებად აქცია. ციხესიმაგრეებში
ფეოდალთა ჩაკეტილი ცხოვრების წესის გამო მნიშვნელოვნად განმტკიცდა
ვასალური ურთიერთობები. მათი რთული და მრავალმხრივი ურთიერთობე-
ბის დეტალებს ფეოდალური სამართლის ნორმები არეგულირებდა. ამ წესე-
ბის დარღვევა რეპუტაციისა და ღირსების დაკარგვას იწვევდა, რის შედე-
გადაც დამნაშავე უნდა ჩამოშორებოდა ცხოვრების არსებულ წესს. ვასა-
ლური ვალდებულებები მათ აიძულებდა, საკმაოდ დიდი დრო გაეტარები-
ნათ თავიანთი სენიორის სასახლეში (პირადი და სასამართლო საქმეების
გასარჩევად) ან მის რაზმში. ვალდებულებები ასევე ითვალისწინებდა სენ-
იორისათვის მნიშვნელოვან „დახმარებებს“ (aides): სენიორის ტყვეობიდან
გამოსყიდვას, სენიორის უფროსი ვაჟის რაინდად კურთხევის ღღესასწაუ-
ლის მოწყობას ან უფროსი ქალიშვილის გამზითვებას. ამავე პერიოდში ჩა-
მოყალიბდა ფეოდალების კლასობრივი თვითშეგნება. რაინდის სხვა აუცი-
ლებელ თვისებებთან ერთად, როგორიც იყო სიმამაცე, ერთგულება, ღირსე-
ბა და ა.შ. მათ „კეთილშობილების“ (ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგე-
ბით) პრეტენზიაც უჩნდებათ. ამ „კეთილშობილებამ“ გააერთიანა ყველა რა-
ინდი, რომლებიც ერთმანეთის თანასწორი იყვნენ. რაინდობა იდეოლოგიუ-
რად აერთიანებდა ფეოდალურ კიბეზე მდგარ ფენებს და გარკვეულწილად
აბათილებდა მათ ქონებრივ უთანასწორობას, ამასთანავე, ხელს უწყობდა
ფეოდალთა, ანუ „კეთილშობილთა“ მკვეთრად გამიჯვნას „არაკეთილშობი-
ლთაგან“ (დანარჩენი მოსახლეობა).

ამრიგად, გაბატონებული ფენების ჩამოყალიბების პროცესი საფრანგე-
თში უფრო ადრე დასრულდა, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში
და ყველაზე სრულყოფილი სახე მიიღო.

რაც შეეხება ფეოდალზე დამოკიდებული გლეხობის ჩამოყალიბების
პროცესს, იგი უფრო ნელა წარიმართა, მაგრამ XI საუკუნეშივე დასრულ-
და. ამ საუკუნეში გლეხების ძირითად კატეგორიას წარმოადგენდნენ სერვე-
ბი, რომლებიც პირად და მიწით დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ სენიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებთან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გლეხობის დიდი ნაწილისათვის არ არსებობდა მიწაზე მიმაგრების აუცილებელი ვალდებულება.

აგრარული წყობილების შეცვლა XI-XII საუკუნეებში. შინაგანი კოლონიზაცია და გლეხობის მდგომარეობა. საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ამ პერიოდში შესამჩნევი პროგრესულობა ახასიათებს. მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის მეურნეობის დონე. სამუშაო იარაღების დახვეწამ, რკინის იარაღების გამოყენებამ, მიწის მრავალჯერადმა (ოთხჯერ) დამუშავებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შრომის ნაყოფიერება და დააჩქარა წარმოების ტემპები. ამასვე უწყობდა ხელს ქვეყნის ჩრდილოეთში გავრცელებული მიწის სამმინდვრიანი სისტემა. სამხრეთ რეგიონებში კლიმატური პირობების გამო დიდხანს შემორჩა ორმინდვრიანი სისტემა. აქ მარცვლოვან კულტურებთან ერთად აშენებდნენ ვენახს და თესავდნენ ტექნიკურ კულტურებს. XII საუკუნის II ნახევარში რეგულარული ხასიათი მიიღო ტყის მასივების ხარჯზე სახნავი მიწების გაფართოებამ, რის შედეგადაც მოუსავლიანობის ან სხვა კლიმატური მიზეზების გამო, შიმშილი იშვიათი გახდა. ფეოდალები და ეკლესიაც დაინტერესებულნი იყვნენ სახნავი მიწების გაფართოებით და ხშირად ამის ინიციატორებად გამოდიოდნენ. შინაგანი კოლონიზაციის შედეგად აღმოცენდა ახალი დასახლებები, ათვისებულ იქნა ახალი ტერიტორიები. შინაგანი კოლონიზაცია საფრანგეთში დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ადრე დამთავრდა. ახალმოსულ გლეხებს (ჰოსპიტებს) სერვებთან შედარებით მიწით სარგებლობის უფრო შეღავათიანი პირობები ჰქონდათ. მათ არ ეხებოდათ საბატონო ბეგარა, იხდიდნენ მხოლოდ ნატურალურ და მცირე ფულად თანხას – გადასახადს. ჰქონდათ პირადი თავისუფლებაც. ჰოსპიტები ფეოდალებთან მხოლოდ მიწით და სასამართლო დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ.

სახნავი მიწების გაფართოებამ და მოსავლის ზრდამ გლეხს საშუალება მისცა საკუთარ მეურნეობაში ზედმეტი პროდუქტებიც მოეყვანა. შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესება უფრო ნათლად გლეხის მეურნეობას დაეტყო, რადგან საკუთარ მიწაზე იგი უფრო გულმოდგინედ მუშაობდა, ვიდრე სენიორის მიწაზე. სწორედ ამ მიზეზით სენიორებმა გადაწყვიტეს, გადასახადი მოსავლის ნაწილით აეღოთ და არა თავიანთ მიწებზე სავალდებულო სამუშაოებით. XII-XIII საუკუნეებში იწყება სავალდებულო სამუშაოების თანდათანობით გაუქმება და გლეხებისათვის იმ მიწების მემკვიდრეობით გადაცემა, რომელიც ადრე დომენში შედიოდა. ამან გამოიწვია საბატონო გადასახადების პროდუქტული რენტით შეცვლა. სენიორის მიწაზე გლეხის მუშაობის თანდათანობით შემცირებისა და საბოლოოდ გაუქმების პროცესი ყველაზე თვალსაჩინო სწორედ საფრანგეთში იყო. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა საერო ფეოდალების მეურნეობაში. საეკლესიო მიწებზე ეს ცვლილებები უფრო ნელა მიმდინარეობდა და უფრო ნაკლებ მასშტაბური იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქები XI-XIII საუკუნეებში. X საუკუნეში საფრანგეთში აღმოცენდა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ძალა – ქალაქები. საწარმოო ძალების წინსვლამ, ხელოსნობის სოფლის მეურნეობიდან გამოყოფამ, ხელი შეუწყო ქალაქების, როგორც ეკონომიკური ცენტრების ჩამოყალიბებას, X საუკუნიდან საფრანგეთში ვითარდება ჯერ კიდევ რომაელების მიერ დაარსებული ძველი ქალაქური ტიპის დასახლებები. ქალაქები: ბორდო, ტულუზა, ლიონი, მარსელი, პუატიე, პარიზი, რუანი და სხვა V-IX საუკუნეებში დაცემის გზას დაადგნენ. ჩნდება ახალი, ქალაქური ტიპის დასახლებებიც. XIII საუკუნის დასაწყისისთვის საფრანგეთში უკვე არსებობენ მრავალი დიდი, საშუალო და პატარ-პატარა ქალაქები.

XI-XII საუკუნეებში სამხრეთ საფრანგეთის განვითარების თავისებურება ქალაქების ნაადრევ ჩამოყალიბებაში მდგომარეობდა. ამას ხელს უწყობდა მათი სავაჭრო ურთიერთობები ხმელთაშუა ზღვის რეგიონთან, ასევე ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობა.

აქტიურმა საგარეო ვაჭრობამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ხელოსნობის განვითარებაზე, განსაკუთრებით მაუდის წარმოებაზე, რომელიც საექსპორტოდ მზადდებოდა. „თავისუფალი ხელობის“ პირობებში ხარისხზე კონტროლს საქალაქო მმართველობის ორგანოები ახორციელებდნენ.

სამხრეთ საფრანგეთის ქალაქებმა ადრე მიაღწიეს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ამას ხელს უწყობდა არა მარტო მათი ეკონომიკური განვითარება, არამედ გვიანანტიკური მუნიციპალური მოწყობის ტრადიციებიც. სენიორისაგან თავისუფლებას სამხრეთის ქალაქები ფინანსური გარიგების გზით იღებდნენ და არა შეიარაღებული დაპირისპირებით. ამ გარემოებამ, სამხრეთის სენიორების ვაჭრობაში ჩართვასთან ერთად, შეარბილა დაპირისპირებები არისტოკრატიასა და ქალაქებს შორის და შესაძლებელი გახადა სამხრეთ საფრანგეთში მათი პოლიტიკური კავშირი. თითქმის მთელი XII საუკუნის განმავლობაში სამხრეთ საფრანგეთის ყველა ქალაქში ჩამოყალიბებული იყო მმართველობის კოლექტიური ფორმა – კონსულატი (კონსულების მმართველობა. კონსულები ქალაქში მცხოვრები არისტოკრატიიდან, სასულიერო ფენიდან და მდიდარი ხელოსნებიდან იყვნენ არჩეულნი). მმართველობა ეკუთვნოდა სრულუფლებიანი მოქალაქეებისაგან, ე.ი. მცხოვრებლებისაგან შემდგარ დიდ საბჭოს, რომლებსაც ქალაქში რაიმე საკუთრება გააჩნდათ და გადასახადებს იხდიდნენ. ეს პროცესი მეფის ხელისუფლების ჩაურევლად მიმდინარეობდა, რადგანაც მეფე ჩრდილოეთში, აქედან საკმაოდ შორს იმყოფებოდა.

სამხრეთის ქალაქები დამოუკიდებლები იყვნენ და მათი ორიენტაცია საგარეო ვაჭრობის განვითარებისაკენ იყო მიმართული. ამის გამო მათ დიდი როლი არ უთამაშიათ საფრანგეთის სამეფოს ცენტრალიზაციის საქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. პირიქით, ეს ეკონომიკური წინსვლა გარკვეულწილად მათ სეპარატისტულ ტენდენციებს განაპირობებდა.

საფრანგეთის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქების ისტორიული ბედი სხვაგვარად წარიმართა. მნიშვნელოვანი ქალაქების ეკონომიკური წინსვლა, როგორიც იყო: არასი, ბოვე, სანლი, ამიენი, ნუაიონი, ლანი და რეიმსი, მხოლოდ XII საუკუნეში გახდა შესამჩნევი და დაკავშირებული იყო მაუდისა და ბამბის წარმოების განვითარებასთან. პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების მოპოვების ძირითად საშუალებას ხშირი აჯანყებები წარმოადგენდა. ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე იყო, როცა ქალაქი სასულიერო სენიორს ეკუთვნოდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სასულიერო ფენა უარყოფითად აფასებდა ქალაქებისათვის კომუნების მინიჭების უფლებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ფეოდალების კუთვნილი ქალაქები იშვიათად ჯანყდებოდნენ, რადგან ჯვაროსნული ომების დროს სენიორებს ფული სჭირდებოდათ და სიამოვნებით ჰყიდნენ ქალაქებზე იმ უფლებებსა და პრივილეგიებს, რომელთა საფუძველზეც ყალიბდებოდა საქალაქო თვითმმართველობა. მდიდარი სამღვდელოება კი ასე ადვილად არ თმობდა უფლებებს და აქ დავა ან იარაღით, ან მეფის ჩარევით წყდებოდა. თავდაპირველად ქალაქი მეფეს სთხოვდა სენიორის მიერ ბოძებული უფლებების დამტკიცებას. იმ ქალაქებს, სადაც კომუნამ მეფის უშუალო ჩარევით შეძლო არსებობა, „მეფის ქალაქებს“ უწოდებდნენ. კომუნას, როგორც ყველა ფეოდალურ ორგანოს, რომელსაც სენიორალური უფლებები ჰქონდა, გააჩნდა საკუთარი ბეჭედი – ეს გახლდათ ლეგიტიმურობის, ადმინისტრაციული და იურიდიული ძალაუფლების სიმბოლო. ქალაქი, რომელიც კომუნის დაარსების უფლებას იღებდა, პირველ რიგში ბეჭედს ამზადებდა, ხოლო დამარცხების დროს მას სწორედ ამ ბეჭედს ართმევდნენ. ბეჭედი ქალაქის მერს ებარა და მხოლოდ მას ჰქონდა მისი გამოყენების უფლება. როცა კომუნების აჯანყების საშიშროება გაიზარდა, ეკლესიამ ხალხის ანათემითა და ინტერდიქტით (ღვთისმსახურების აკრძალვა) დაიწყო დაშინება.

ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქებში სისხლისმღვრელი აჯანყებების სერია, რომელიც XI-XII საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო და საკომუნო მოძრაობის სახელითაა ცნობილი, ქ. კამბერამ გახსნა. რიგი მცდელობების შემდეგ (967, 1024, 1077 წწ.) მან სასურველი ქარტია მიიღო. მის მაგალითს XII საუკუნეში სხვა ქალაქებმაც მიბაძეს, კერძოდ: სენ-კანტენმა, ბოვემ, ნუაიონმა, ლანმა, ამიენმა, სუასონმა, კორბიმ, რეიმსმა და სხვ. თუმცა მათი ბრძოლა სხვადასხვა შედეგით დასრულდა. ზოგიერთმა მათგანმა კომუნის დაარსების უფლება მიიღო, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით, ნაკლებ მნიშვნელოვანმა ქალაქებმა ძლივს მიიღეს ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ზოგიერთი პრივილეგია: მოქალაქეების პირადი თავისუფლება, პრივილეგიები ვაჭრობისა ან მმართველობის სფეროში (ლორისი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბომონი). ამგვარად, ქალაქები სენიორებთან მოლაპარაკებების შედეგად აღწევდნენ შეთანხმებას, რომლის პირობებიც დაფიქსირებული იყო თვითმმართველობის ქარტიებში. სენიორების მიერ ბოძებულ ქარტიებს მეფე ამტკიცებდა.

გათავისუფლება ძირითადად რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. სენიორებთან ბრძოლასთან ერთად მდგომარეობას ართულებდა შინაგანი დაპირისპირება ხელოსნებსა და პატრიციატს შორის. უთანხმოებები იყო ფენებს შიგნითაც. კომუნის დაარსებას ართულებდა ის გარემოება, რომ ქალაქი ზოგჯერ რამდენიმე სენიორის ეკუთვნოდა; ასე მოხდა ჭ. ბოვეში, სადაც ძალაუფლება ეპისკოპოსს, კაპიტულსა და შატელენს (მეფის ინტერესების გამომხატველი) შორის იყოფოდა.

ვერ ვიტყვით, რომ ურბანული ემანსიპაციის პირველ ეტაპზე, გამონაკლისის გარეშე, ყველა კომუნას რთული გზა უნდა გაევლო. არსებობდნენ ქალაქები, რომლებმაც თავისუფლება მშვიდობიანი გზით მოიპოვეს. მაგალითად, ფლამანდურმა ბევრმა ქალაქმა 1127 წლისათვის უმტკივნეულოდ მიაღწია პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მმართველი ფენა თავდაპირველად ყველგან ეწინააღმდეგებოდა კომუნების დაარსებას, მაგრამ უკვე XII საუკუნის შუა ხანებში აზრი შეიცვალა და, შეიძლება ითქვას, რომ უფრო დამთმობი გახდა მათ მიმართ.

საკომუნო მოძრაობამ სათავე დაუდო ქალაქებსა და მეფის ხელისუფლებას შორის პოლიტიკურ კავშირს. მეფის ინტერესებში შედიოდა განსაკუთრებით გაძლიერებული რომელიმე ფეოდალის ან სასულიერო პირის შეზღუდვა, ამას კი მხოლოდ კომუნების საშუალებით თუ მოახერხებდა. მეფესთან კავშირში ქალაქები მუდამ დაქვემდებარებული და არასრულუფლებიანი მოკავშირის როლში გამოდიოდნენ: ისინი იხდიდნენ გადასახადებს, ყიდულობდნენ პრივილეგიების ქარტიებს, სამეფოს აძლევდნენ სესხებს, რომლებსაც უკან ვერასოდეს იბრუნებდნენ. გარეშე მტრებისა და მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური ძლიერების დასასუსტებლად მეფე ქალაქებისაგან სამხედრო, ფულად და პოლიტიკურ დახმარებას იღებდა.

აღსანიშნავია, რომ თავიანთ დომენში მეფეები თავს არიდებდნენ ქალაქებისათვის თვითმმართველობის უფლების მინიჭებას. მათ მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელის ზედამხედველობით შეეძლოთ ეკონომიკური პრივილეგიებით სარგებლობა. ასე მოხდა პარიზში, ორლეანსა და ბურჟში. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ყველა მოძრაობა ჩანასახშივე იხშობოდა იმ უზენაესი ხელისუფლების მიერ, რომელიც არც ერთ დიდ ფეოდალს არ გააჩნდა.

კომუნებისადმი მეფის დამოკიდებულება ხშირად არათანმიმდევრული იყო, რასაც ფინანსური ან პოლიტიკური ინტერესები განაპირობებდა.

კომუნის დამყარების შემდეგ ქალაქები თანდათან ძლიერდებოდნენ ეკონომიკურად. ვითარდებოდა ხელოსნობა, საფუძველი ეყრებოდა ახალ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგებსა და სპეციალობებს. XII საუკუნის II ნახევარში პარიზის პრევოს ეტიენ ბუალოს ძალისხმევით, იწერება ასი სახელოსნოს წესდება („პარიზის ხელობების წიგნი"). უკვე XIV საუკუნის დასაწყისში პარიზში 350-მდე სახელოსნო აღირიცხებოდა.

სამეურნეო დარგები ჩრდილოეთ საფრანგეთში რეგიონების მიხედვით ვითარდებოდა. სამხრეთისაგან განსხვავებით, იგი აქ საშინაო ეკონომიკური კავშირების ფორმირების საფუძველს წარმოადგენდა. რკინის მადანი, მარილი და მაუდი ნორმანდიიდან შემოჰქონდათ; ტილო, მაუდი და ღვინო — შამპანიდან და ბურგუნდიიდან; პარიზიდან მოჰქონდათ სხვადასხვა ნაკეთობები — ეს ყველაფერი ამ პროვინციებს ერთმანეთზე ეკონომიკურად დამოკიდებულს ხდიდა და ერთგვარად აერთიანებდა.

XIII საუკუნის დასაწყისში საქალაქთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ნათელ დადასტურებად იქცა პარიზში არსებული ორგანიზაცია „მდინარის ვაჭრების ჰანზები", რომელიც რუანისა და პარიზის ვაჭრებს აერთიანებდა. მალე მათ შეუერთდნენ ვაჭრები ბურგუნდიიდან, გაჩნდა სავაჭრო ამხანაგობები, რომლებიც მდ. ლუარაზე ვაჭრობდნენ. ეს სავაჭრო გაერთიანებები ხელს უწყობდა წარმოების განვითარებას მდ. სენის ქალაქებში: უაზში, მარნში, სომში, და სხვ. ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქების ეკონომიკური განვითარების ამ თავისებურებამ მათ საშუალება მისცა, გადამწყვეტი როლი ჰქონოდათ ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეში.

XIII საუკუნით თარიღდება შამპანის განთქმული ბაზრობების განვითარებაც, რომლებიც მდ. სენასა და მდ. მარნის აუზში განლაგებულ ქალაქებში ეწყობოდა. 1284 წელს შამპანი მეფის დომენს შეუერთდა, ამან განაპირობა მისი ეკონომიკური კავშირის განმტკიცება პარიზთან. XIII საუკუნეში პარიზი ჩრდილოეთ საფრანგეთის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ცენტრსა და სამეფოს პოლიტიკურ დედაქალაქს წარმოადგენდა თავისი მრავალრიცხოვანი — 70000-კაციანი მოსახლეობით; რუანში 50000 კაცი ცხოვრობდა, თუმცა დანარჩენი ქალაქები საშუალო სიდიდისა იყო — 5-6000 მცხოვრებით.

ეკონომიკური აღმასვლის ფონზე ქალაქებში იწყება ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი. ქალაქის მცხოვრებლებს შორის გამოიყო მდიდარი ვაჭრებისა და ხელოსნების ფენა, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ქალაქის მართვის სადავეები. მათ ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული ვაჭრებისა და ხელოსნების ძირითადი ნაწილი. პარიზში „მდინარის ვაჭრების ჰანზებმა" ხელში ჩაიგდო ქალაქის მართვის სადავეები, მათი სავაჭრო სახლი კი დედაქალაქის ადმინისტრაციული ცენტრი — რატუშა (hotel de ville) გახდა. ჰანზის ბეჭდებზე გამოსახული იყო ხომალდი წარწერით „მიცურავს და არ იძირება".

ეტიენ ბუალოს სტატუტები ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ნებას რთავდა ამქარში თავისუფალ შესვლას მცირედი თანხის შეტანის შემდეგ. ყველა ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი არ ითხოვდა შედევრის შექმნას, ხშირად არ იყო შეზღუდული ნაწარმისა და შეგირდების რაოდენობა. თუმცა სტატუტების შექმნა განპირობებული იყო ხელოსნების მღელვარებებით, რომლებიც მდიდარ თანამოქალაქეებს ამქრის დადგენილებების შესრულებას სთხოვდნენ. ქალაქის გადასახადების გადამხდელების ფენა (ტალიე) ააშკარავებდა ამქრებს შორის უთანხმოებებს. უკვე ყალიბდება მდიდარი ამქრები – მაუდის, იუველირების და სხვ.

XIII საუკუნეში მთელ რიგ ქალაქებში ადგილი ჰქონდა ხელოსნების გამოსვლებს პატრიციატის წინააღმდეგ. ქალაქ ბოვეში „მცირე ხალხი" კლავდა მდიდარ მოქალაქეებს; ამით მათ სურდათ, მიეღოთ საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ეს მღელვარებები მეფის ხელისუფლებას საბაბს აძლევდა ჩარეულიყო ქალაქების თვითმმართველობის საქმეებში და უკვე XIII საუკუნის დასასრულიდან გაეტარებინა ახალი პოლიტიკა – საკომუნო უფლებების თანდათანობითი ლიკვიდაცია.

სასაქონლო ფულადი ურთიერთობების გავლენა XIII საუკუნის საფრანგეთის სოფელზე. XII და განსაკუთრებით XIII საუკუნეებში ფრანგული სოფელი ვითარდებოდა ეკონომიკურად ძლიერი ქალაქების გავლენის ქვეშ. ამან გამოიწვია პროდუქტიული რენტის ფულადით შეცვლა – ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ძირითადი შემომტანი გლეხი გახდა. ქალაქსა და სოფელს შორის ამ კავშირმა განაპირობა საფრანგეთის ეკონომიკის ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა.

ამ ცვლილებების შედეგი იყო XII საუკუნეში დაწყებული პროცესი – გლეხთა გათავისუფლება გამოსყიდვის შედეგად. ყოფილი სერვი ყიდულობდა 4 ძირითად მოვალეობას, რომლებიც აქ პირად დამოკიდებულებას ახასიათებდა: „მკვდარი ხელის" უფლება, საქორწინო გადასახადი (თვითნებური, ნებისმიერი) ტალიე და სულადობრივი გადასახადი. ამასთანავე, მიწა კვლავ ფეოდალის საკუთრებად რჩებოდა და გლეხი მიწით სარგებლობისათვის ფულად რენტას – ცენზს იხდიდა. ამ შემთხვევაში მიწის რენტა განსაზღვრული გახლდათ. გლეხს შეეძლო, თვითონ ემართა თავისი მიწის ნაკვეთი, დაეგირავებინა ან გაეყიდა იგი. მიწის გასხვისების შემთხვევაში სენიორი გადასახადს იღებდა. ასევე შენარჩუნებული იყო გლეხის ფეოდალის სასამართლოსადმი დაქვემდებარება; თუმცა უკვე როგორც პირადად თავისუფალ ხალხს (ვილანები), მათ უფლება ჰქონდათ მეფის სასამართლოსათვის მიემართათ და გაესაჩივრებინათ სენიორალური სასამართლოს განაჩენი. გამოსასყიდი თანხის სიდიდეს ხელშეკრულება განსაზღვრავდა, რომელსაც ქარტიის სახე ჰქონდა. ხანდახან ამ ქარტიაში ჩამოთვლილი პირობები იმდენად მძიმე იყო, რომ გლეხები უარს ამბობდნენ პირად თავისუფლებაზე. ასეთ დროს „გათავისუფლება" ძალდატანებით ხდებოდა.

გლეხის პირადი თავისუფლების საჭიროება განპირობებული იყო ფულადი და პროდუქტიული რენტის გავრცელებითა და გლეხების ჩაბმით ვა-

ჭრობაში. თუმცა ეს ამ პროცესის ერთადერთი მიზეზი არ იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხების ბრძოლასაც სოციალური სტატუსისა და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. XII-XIII საუკუნეებში საფრანგეთში მიმდინარეობდა გლეხების ბრძოლა სოფლის თემის ეკონომიკური, ადმინისტრაციული და იურიდიული უფლებების გაფართოებებისათვის. ეს პროცესი საკომუნო მოძრაობის პარალელურად მიმდინარეობდა. ამ მოძრაობის შედეგად ჩამოყალიბდა თემის წევრების პირადი თავისუფლებების სტატუსი, მმართველობის არჩევითობა, სენიორისათვის მისაცემი რენტის პირადი შეგროვება; შესაძლებელი გახდა პროკურატორის არჩევა (თემის ნდობით აღჭურვილი პირი საგარეო საქმეებში). პროკურატორი ასევე აგვარებდა თემის მცხოვრებლებს შორის არსებულ უმნიშვნელო კონფლიქტებსაც. სოფლის თემის უფლებები ქარტიის სახით იწერებოდა. ყველაფერი ეს იწვევდა გლეხობის გაერთიანებას ფეოდალების წინააღმდეგ, რომლებიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების გამო ცდილობდნენ ფულადი რენტის გაზრდას.

ფულადი რენტის ზრდა ართულებდა გლეხის პროდუქტის ბაზარზე გაყიდვას. გამოსასყიდი თანხის სიდიდე მას აიძულებდა მევახშეებისათვის მიემართა, რის შედეგადაც კაბალაში ხვდებოდა. განსაკუთრებით ძნელი იყო საეკლესიო ფეოდალებისაგან თავის გამოსყიდვა. გლეხობას დიდ ტვირთად აწვა საეკლესიო მეათედიც („დიდი" – მარცვლეულის მოსავლიდან და „მცირე" – საქონლიდან, მატყლიდან და შინაური ცხოველების პროდუქტებიდან). საბოლოოდ, უკვე XIII საუკუნეში განისაზღვრა სახელმწიფოს მიერ გლეხის მეურნეობის შემოსავლის ხელყოფა. ეს ყველაფერი სოფელში დაძაბულ სიტუაციას ქმნიდა, რაც იწვევდა გლეხთა აჯანყებებს.

1215 წელს ფლანდრიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში იფეთქა ამ საუკუნის ყველაზე უფრო დიდმა გლეხთა აჯანყებამ, რომელიც „მწყემსების აჯანყების" სახელითაა ცნობილი. ამ აჯანყებას გამოკვეთილი ანტიეკლესიური ხასიათი ჰქონდა. აჯანყებულები ეკლესია-მონასტრების ნგრევით პარიზისაკენ, იქიდან კი ტურისა და ორლეანისაკენ მიემართებოდნენ. აჯანყება გლეხების ღრმა უკმაყოფილების გამომხატველი იყო.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერების ეკონომიკური და სოციალური მიზეზები XI-XII საუკუნეების საფრანგეთში. საფრანგეთში ცენტრალიზაციის პროცესს, ისევე როგორც მთელ ევროპაში, წინ უძღოდა სამეფო ხელისუფლების შესუსტებისა და პოლიტიკური დაქსაქსულობის ხანგრძლივი პერიოდი.

XII საუკუნემდე მეფის ხელისუფლების სისუსტეს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. უპირველესი მიზეზი ის გახლდათ, რომ კაპეტინგების დომენს საკმაოდ მცირე ტერიტორია ეკავა კომპიენსა და ორლეანს შორის. დომენი არ იყო ერთიანი და მთლიანი, მას კვეთდა საეკლესიო და საერო ფეოდალების სამფლობელოები. ერთი დომენიდან მეორეში გადასვლა მეფისათვის პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშქრობას წარმოადგენდა. მეფის დომენი ყველა მხრიდან შემოსაზღვრული იყო საჰერცოგოებითა და შამპანის საგრაფოთი, რომელთა ტერიტორიებიც ბევრად უფრო დიდი და ძლევამოსილი იყო, ვიდრე სიუზერენის. დომენის გარეთ მეფის ავტორიტეტი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა, რაც განპირობებული იყო ფეოდალურ-ვასალური ურთიერთობებით, რომლებიც იმას ითვალისწინებდა, რომ ვასალი უპირველესად თავისი უშუალო სენიორის მსახური იყო. უფრო ძნელი ამოცანა იყო მეფის ხელისუფლების გაძლიერება სამეფოს დანარჩენ ტერიტორიაზე (ფლანდრიაში, ნორმანდიაში, აკვიტანიაში). ფეოდალები იცავდნენ თავიანთ დომენებში ავტონომიებს, ქმნიდნენ რა ამით ხელოვნურ ბარიერს თავიანთ ვასალებსა და მეფეს შორის. ასევე არ არსებობდა დამატებითი სოციალური რეზერვი თავისუფალი გლეხობის სახით, რომლის გამოყენებასაც შეძლებდა მონარქია (როგორც ეს მოხდა ინგლისში, შვედეთსა და კასტილიაში). სამხრეთისა და ჩრდილოეთის თავისებური ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება აღრმავებდა პოლიტიკურ დაქსაქსულობას. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, დაუძლურების ნაცვლად კაპეტინგების ხელისუფლება გაძლიერდა, რასაც ხელი შეუწყო რამდენიმე გარემოებამ. უპირველესი მიზეზი ის იყო, რომ დინასტიას ჰქონდა მყარი ტრადიცია, იგი ჰიუგ კაპეტიდან დაწყებული სამი საუკუნე გაგრძელდა. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი გახლდათ ის, რომ მეფე თავის მემკვიდრეს თანამმართველად აცხადებდა, რაც სპობდა უთანხმოების მიზეზს. ყველაფერს ამას ისიც ემატებოდა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას არ ჰქონდა ერთიანი კანონმდებლობა, რომელიც მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზე გავრცელდებოდა. მეფის განკარგულებები მხოლოდ მის საკუთარ დომენში სრულდებოდა. ყველა ადგილს საკუთარი, თანაც ურთიერთსაწინააღმდეგო იურიდიული კანონები ჰქონდა. ფილიპ I-ის (1053-1108) მეფობის პერიოდში თითქმის საერთოდ არ იცვლება არც მეფის პოლიტიკური კურსი და არც ვასალობის ინსტიტუტი. ბანალიტეტის მქონე სენიორებიც უკვე მყარად იკიდებდნენ ფეხს. თავის წინამორბედებთან შედარებით, ფილიპ I უფრო მკვეთრად გამოხატავს პრეტენზიას, რომ მეფის ძალაუფლება მის დომენს გასცდეს. მან მეფობის ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააძაგრა და გააძლიერა სამეფო დომენი, რომელიც წარმოადგენდა მის დასაყრდენს სამეფოს შემდგომი გაძლიერებისათვის. ამავე პერიოდს ემთხვევა ქალაქების ზრდა და ამასთან დაკავშირებული საკომუნალო მოძრაობა — ქალაქებსა და მათ სენიორებს შორის ბრძოლის დასაწყისი.

წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით, XII საუკუნეში დომინირებდა ახალი მისწრაფებები, რომლებიც უკვე ფართოდ გავრცელდა მთელ სამეფოში. ამ ეპოქის პრეროგატივა იყო ადგილობრივი ავტონომიების შეცვლა ერთიანი ხელისუფლებით. ამ მნიშვნელოვან მოვლენას ეკლესიამაც აუბა მხარი.

ლუი VI (1108-1137) და შემდგომში ლუი VII (1137-1180) პრაგმატული მოსაზრებით ეძებდნენ ყოველგვარ საშუალებას, რათა მიეღწიათ პოლიტიკური ერთიანობისათვის, მოესპოთ სამეფო ხელისუფლების დაქსაქსულობა. მათ სურდათ გაემრავლებინათ ბანალიტეტის მქონე სენიორები. რაც შეეხება ლუი VI-ს, იგი თავისი დომენის საქმეში აქტიურად ერეოდა. მეფე ეძებდა ნებისმიერ მიზეზს, რომ ჩარეულიყო თავისი რომელიმე მსხვილი ფეოდალის სენიორიის საქმეებში. სწორედ ამ პერიოდში დართეს ქალაქებს კომუნების დაარსების უფლებებიც.

ლუი VI-ის მეფობის დასაწყისში მეფის გავლენისა და მართვის სფერო ერთობ შეზღუდული იყო, მცდელობის შედეგი კი — მცირე: გამარჯვებები ძირითადად პარიზის გარეუბნებში ხდებოდა — მეფე იცავდა გზებს, ციხესიმაგრეებს და მის ამ მცდელობებში იკვეთებოდა სურვილი მკაცრი ცენტრალიზებული ხელისუფლების დამყარებისა. სამეფო ხელისუფლება, მართალია, ჯერ მორიდებით, მაგრამ მაინც მოითხოვდა განსხვავებულ უფლებებს. მეფის არსებული ხელისუფლება ჯერ საკმარისი არ იყო დიდი მიზნების განსახორციელებლად, თუმცა უკვე იგრძნობოდა მისწრაფება დიდებისაკენ.

ამის მიუხედავად სამეფო ცენტრალიზაციის პროცესი ნელ-ნელა ხორციელდებოდა საფრანგეთში და დაიწყო მის ჩრდილოეთ ნაწილში.

ცენტრალიზაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო ქალაქების აღმოცენება და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარება, რომელმაც დაარღვია ტერიტორიების არსებული ჩაკეტილობა. ამან შესაძლებელი გახადა ეკონომიკური ერთიანობის მიღწევა, რაც პოლიტიკური გაერთიანების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. ქალაქების განვითარებამ გამოიწვია ასევე ახალი სოციალური ფენის — მოქალაქეების ჩამოყალიბება, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით, რის შედეგადაც ბოლო მოეღებოდა ფეოდალურ ანარქიას და ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა ვაჭრობისათვის (ერთიანი წონა-ზომის ერთეულების შემოღება, უცხოელი ვაჭრებისაგან დაცვა, საბაჟო საზღვრების მოსპობა).

თანდათანობით მოხდა ქალაქებსა და სამეფო ხელისუფლებას შორის პოლიტიკური კავშირის დამყარება. ამ კავშირს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საფრანგეთის ცენტრალიზაციის პროცესში. ეს განპირობებული იყო სამეფო ხელისუფლების სისუსტით და მსხვილი ფეოდალების ფართო პოლიტიკური ძალაუფლებით. ცდა კომუნალურ ბურჟუაზიასა და მეფის ხელისუფლებას შორის ურთიერთობის დამყარებისა, როგორც მონარქიის მიერ გააზრებული შიდაპოლიტიკური ხაზი, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქალაქების გამათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად.

მეორე ფაქტორი, რომელიც ცენტრალიზაციას უწყობდა ხელს, ფეოდალების ფენაში არსებული ცვლილებები გახლდათ. გლეხობის სამეურნეო წარმატებებმა განაპირობა მათი წინააღმდეგობის გაძლიერება, სოციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატუსის გაუმჯობესება, რაც ართულებდა მათ დამორჩილებას. ფეოდალები იძულებულნი იყვნენ სამეფო ტახტის ირგვლივ გაერთიანებულიყვნენ. ამას ხელს უწყობდა მათი იმედებიც, რომ სამეფო არმიაში სამსახურისას მიიღებდნენ დამატებით შემოსავალს და დიდ თანამდებობებს სამეფო კარის მზარდ აპარატში. მეფის ძლიერი ხელისუფლება განსაკუთრებით სჭირდებოდათ საშუალო და წვრილ ფეოდალებს, რომლებსაც არ გააჩნდათ საკმარისი მატერიალური სახსარი. ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ ის მსხვილი ფეოდალები გამოდიოდნენ, რომლებიც უფრთხილდებოდნენ თავიანთ პოლიტიკურ და ფინანსურ დამოუკიდებლობას. სამეფო ხელისუფლება, როგორც წესრიგის აღმდგენი საზოგადოებაში, ფეოდალების ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფს უჭერდა მხარს, იყენებდა რა თავის სასარგებლოდ მათ შორის არსებულ დაპირისპირებებს.

სამეფო დომენის ტერიტორიული გაფართოება. ფილიპ II ოგიუსტი და პლანტაგენტები. XII საუკუნის დასაწყისში ადგილი ჰქონდა გარდატეხის ეტაპს სამეფო ხელისუფლების გაძლიერების პროცესში. XII საუკუნემდე საფრანგეთის მეფეები საკუთარი ხელისუფლების გაძლიერებას მხოლოდ სამეფო დომენის ფარგლებში ახერხებდნენ. ამ პროცესს წინ აღუდგნენ მსხვილი ფეოდალები – ჰერცოგები და გრაფები. ამიტომ ცენტრალიზაციამ ორი ეტაპი გაიარა – პროვინციებში მოხდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და დამყარება და შემდეგ ადგილი ჰქონდა საერთო-სახელმწიფოებრივ გაერთიანებას.

როგორც აღვნიშნეთ, XII საუკუნის I ნახევრიდან დაიწყო მეფის ხელისუფლების გაძლიერება. კაპეტინგების დინასტიიდან ლუი VI სქელმა (1108-1137) თავისი მრჩევლის, აბატი სიუჟეს დახმარებით პირველმა იშიშვლა მახვილი სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისა და ფეოდალური ანარქიის თავიდან ასაცილებლად. მათ საბოლოოდ ალაგმეს ისეთი ურჩი ფეოდალების თვითნებობა, როგორებიც იყვნენ მილონ დე მონლერი, ჰიუგ პიუიზე, ტომას დე მარლი, ბუშარ დე მონმორანსი, ჰიუგ დე კრესი და სხვანი. მათი ციხესიმაგრეები დაანგრიეს, ხოლო მეფის ურჩები სასტიკად დაისაჯნენ. ლუი VII (1137-1180) აგრძელებდა სამეფო დომენის გაფართოებას. მან თავის დომენს ქალაქები ბურჟი და სანსი შეუერთა. აბატი სიუჟეს დახმარებით მოწყობილმა ქორწინებამ ალიენორ აკვიტანიელთან კი საფრანგეთის მეფის დომენი ერთბაშად ორჯერ გაზარდა. აკვიტანიის შემოერთებით მეფის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა დიდი ტერიტორია პირინეებამდე. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სამხრეთით მდებარე ეს პროვინციები მეფის ძირითადი დომენისგან შორს მდებარეობდნენ. მათ შესანარჩუნებლად კი არსებული ხელისუფლება სუსტი იყო. აკვიტანიის შემოერთებამ ლუი VII-ს იმდენივე საზრუნავი გაუჩინა, რამდენიც სარგებლობა მოუტანა. სამწუხაროდ, მეფე მალევე გაეყარა მეუღლეს და საფრანგეთს დიდი ხნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოშორდა სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. თუმცა ქვეყნისათვის იმდენად დამღუპველი ის კი არ იყო, რომ მოწყდა ცენტრისაგან დაშორებული ოლქი, არამედ მთავარი საფრთხე ის იყო, რომ ეს მიწები გადავიდა ალიენორის მეორე ქმრის, ინგლისის ტახტის მემკვიდრის ჰენრი პლანტაგენეტის ხელში. ალიენორი განქორწინებიდან რვა კვირის შემდეგ ცოლად გაჰყვა ჰენრის – მენისა და ანჟუს გრაფსა და ნორმანდიის ჰერცოგს. 1154 წელს ჰენრი პლანტაგენეტი ინგლისის მეფე გახდა. მისი უზარმაზარი სამფლობელოები – ნორმანდია, ანჟუ, ლიმუზენი, სენტონჟი და გასკონი ინგლისს შეუერთდა.

ამრიგად, ჩამოყალიბდა უზარმაზარი სამეფო, რომელიც საფრანგეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს მოიცავდა. ამ მოვლენებმა ძლიერ დაძაბეს ორ სამეფოს შორის ურთიერთობა.

დომენის მნიშვნელოვანი გაფართოება ფილიპ II ოგიუსტის (1180-1223) დროს მოხდა. ოგიუსტი (იგივე ავგუსტუსი) მეფეს სიცოცხლეშივე შეარქვა ბერმა რიგორმა, რომელიც წერდა ნაშრომს ფილიპ II-ის მმართველობაზე. ოგიუსტის წოდებით რიგორმა მეფე ცეზარს შეადარა, აქებდა რა მას სამეფოს ტერიტორიის გაზრდისათვის.

ფილიპი მეფედ თოთხმეტი წლის ასაკში ეკურთხა. ახალგაზრდა მეფის ნათესავებსა და გარშემომყოფებს იმედი ჰქონდათ, რომ მასზე გავლენას მოიპოვებდნენ და თავიანთი ინტერესების შესაბამისად წარმართავდნენ ქვეყნის პოლიტიკას. ფილიპმა საკმაოდ სწრაფად წარმოაჩინა თავი, როგორც დახელოვნებულმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა. მისი პოლიტიკა „გათიშე და იბატონე“ -ს პრინციპს ემყარებოდა. მისი საგარეო პოლიტიკის ძირითად ხაზს წარმოადგენდა პლანტაგენეტებთან ბრძოლა. ბრძოლის დაწყების მიზეზად ფილიპ ოგიუსტმა ინგლისის მეფის ვასალური ურთიერთობების დარღვევა გამოიყენა და მასთან ბრძოლა წამოიწყო. ფილიპმა დიდ წარმატებებს მიაღწია ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლოსთან ბრძოლაში. 1202 წელს მან საფრანგეთში მდებარე ინგლისის ყველა სამფლობელოს კონფისკაცია მოახდინა. ფილიპ ოგიუსტმა 1202-1204 წლებში ნორმანდია დაიპყრო. ნორმანდიის დაპყრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისათვის, რადგანაც ეს გარემოება უზრუნველყოფდა პარიზის უშიშროებას, რომელიც ნორმანდიის საზღვართან მდებარეობდა. მალე ფილიპ ოგიუსტმა სხვა სამფლობელოებიც დაიპყრო საფრანგეთში – ანჟუ, მენი, ტურენი და პუატუს ნაწილი. პლანტაგენეტებს შერჩათ მხოლოდ პუატუს ნაწილი და აკვიტანიის საჰერცოგო. ინგლისს-საფრანგეთის ომმა ევროპის მასშტაბის კონფლიქტი გამოიწვია, რადგანაც ჯონ უმიწაწყლოს მხარე იმპერატორმა ოტო IV-მ, ფლანდრიის გრაფმა და სხვა ფეოდალებმა დაიკავეს. ამის მიუხედავად, ფრანგებმა ინგლისელები სასტიკად დაამარცხეს ლაროშ-ოჰ-უანთან (ფლანდრიაში) ბრძოლაში. ფილიპ II-ს დიდი დახმარება აღმოუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩინეს ქალაქებმა და გლეხობამ. შემთხვევით არაა, რომ სწორედ ამ პერიოდშია გაცემული ყველაზე ბევრი კომუნის დაარსების ქარტია.

ჯვაროსნული ლაშქრობა ალბიგოელების წინააღმდეგ და ლანგედოკის შემოერთება. სამეფო დომენი მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქვეყნის სამხრეთით მდებარე რეგიონების ხარჯზეც, რომლებიც XIII საუკუნის დასაწყისამდე, ჩრდილოეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ. სწორედ ასეთი სამთავრო გახლდათ ტულუზის საგრაფო ანუ ლანგედოკი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა და გაბმული ჰქონდა მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობები. იგი საკმაოდ ძლიერი და მდიდარი ოლქი იყო. ამ რეგიონში არ არსებობდა მკვეთრი წინააღმდეგობა ფეოდალებსა და ქალაქებს შორის და რაინდობაც ჩაბმული იყო საქალაქო ცხოვრებაში. პროვანსი ყოფილი არელატის სამეფოს ნაწილი იყო. ამ რეგიონში შემუშავდა სპეციფიკური რაინდულ-საქალაქო კულტურა, რომელიც საკმაოდ განსხვავდებოდა დანარჩენი საფრანგეთის კულტურისაგან, აქ მოხდა პროვანსული სატრფიალო პოეზიის განვითარება-გავრცელება, რომლებსაც თხზავდნენ და მღეროდნენ ტრუბადურები. ლირიკული პოეზიის გარდა აქვე განვითარდა ე.წ. სირვენტები – სატირული სიმღერები.

სამხრეთ საფრანგეთის ქალაქების ეკონომიკურმა გაძლიერებამ და მათმა პოლიტიკურმა თვითმყოფადობამ აღნიშნულ რეგიონში სოციალური ურთიერთობების გამწვავება გამოიწვია. ეს გამოიხატა იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც ოპოზიციაში ჩაუდგა ფეოდალურ-კათოლიკურ ეკლესიას. XII საუკუნეში აქ დაიწყო ვალდენცების პროპაგანდა, ხოლო ტულუზის საგრაფოში ძლიერ გავრცელდა კატარების მწვალებლობა. ვალდენცებსა და კატარებს აქ ალბიგოელები ეწოდებოდათ, რადგანაც მათი გავრცელების ცენტრი სამხრეთში მდებარე ქალაქი ალბი გახლდათ, საიდანაც მომდინარეობდა მათი სახელი. ეს ერესიული მიმდინარეობა მალე იქცა ხალხის მასობრივ მოძრაობად, რომელიც გადაიზარდა ანტიფეოდალურ და ანტიეკლესიურ აჯანყებაში.

კატარები სიკეთისა და ბოროტების დუალისტური თეორიის მიმდევრები იყვნენ და კათოლიკურ ეკლესიასა და ამქვეყნიურ ცხოვრებას ეშმაკის შექმნილად მოიაზრებდნენ. ასევე უარყოფდნენ ისინი ქრისტიანობის ბევრ დოგმასაც და სურდათ სულიერი გაწმენდა. ისინი ითხოვდნენ საეკლესიო იერარქიისა და საეკლესიო მეათედის მოსპობას, ეკლესიის მიწების ლიკვიდაციას.

ვალდენცებს სურდათ სახარებაში აღწერილი უბრალოებისა და სისადავის დაბრუნება და ადრექრისტიანული თემების დროინდელი თანასწორობა. მათი ნაწილი სიღარიბეს ქადაგებდა და ფუფუნებასა და სიმდიდრეზე უარის თქმისაკენ მოუწოდებდა ხალხს.

ალბიგოელების ძირითად მასას ქალაქელები და გლეხები შეადგენდნენ. თუმცა ამ მოძრაობას რაინდობა და არისტოკრატიაც შეუერთდა. ამით მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიის სიმდიდრის ხელში ჩაგდება სურდათ. რა თქმა უნდა, ამავე მიზნით იყო გამოწვეული ის მფარველობა, რომელსაც უწევდა ალბიგოელებს ტულუზის გრაფი რაიმუნდ VI. მატერიალურის გარდა, მას პოლიტიკური ინტერესიც ჰქონდა. გრაფს სურდა სამხრეთის პოლიტიკური ავტონომიის შენარჩუნება, რადგანაც აღნიშნულ პერიოდში ეკლესია პოლიტიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული კაპეტინგებთან. იყო საშიშროებაც, რომ ეს მოძრაობა ჩრდილოეთ საფრანგეთშიც გავრცელებულიყო. XIII საუკუნის დასაწყისისათვის მწვალებლობა იმდენად გავრცელდა სამხრეთში, რომ ამან შეაშფოთა პაპი ინოკენტი III. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის პაპმა გაგზავნა თავისი ლეგატი ფრანგი ბერი კასტელანო, მაგრამ ამ მისიამ უნაყოფოდ ჩაიარა. ალბიგოელებს ეხმარებოდათ გრაფი რაიმუნდი, რომელიც კასტელანომ ეკლესიიდან განკვეთა. კონფლიქტის გასამწვავებლად პაპის მომხრეებმა პროვოკაციულად მოკლეს კასტელანო 1208 წელს, რამაც პაპს ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის საბაბი მისცა. 1209 წელს პაპმა მოაწყო ალბიგოელების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელშიც ჩრდილოეთ საფრანგეთის ფეოდალები მონაწილეობდნენ. ჯვაროსნებს სათავეში ჩაუდგა ბარონი სიმონ დე მონფორი. მიუხედავად მნიშვნელოვანი წინააღმდეგობისა, ჯვაროსნებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს მიურესთან ბრძოლაში 1213 წელს. სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად აღებულ იქნა ქალაქები ბეზიე და კარკასონი. თუმცა რაიმუნდმა მაინც მოახერხა ტულუზის, ნიმის, ბოკერისა და აჟანის შენარჩუნება. ამის მიუხედავად, საფრანგეთის სამხრეთი განადგურებულ იქნა, რაიმუნდ VI-მ მოინანია ცოდვები და მორჩილება გამოაცხადა, მაგრამ მას ჩამოართვეს სამფლობელოები და გააძევეს. დაიწყო ალბიგოელთა საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ჯვაროსნებს თან ბერები ახლდნენ, რომლებიც ყოველი გამარჯვების შემდეგ მწვალებლებს კოცონზე სწვავდნენ. რაიმუნდის მიწების დიდი ნაწილი ერგო სიმონ დე მონფორს, მაგრამ მისი ძალაუფლება ჯერ მყარი არ იყო. 1218 წელს იფეთქა დიდმა აჯანყებამ, რომელშიც მოკლეს სიმონ დე მონფორი და ბრძოლაში ლუი VIII ჩაერთო. მან წარმატებით მოაწყო ორი ჯვაროსნული ლაშქრობა 1224 და 1226 წლებში, რის შედეგადაც მან საკუთარ დომენს შეუერთა ტულუზის საგრაფო და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე მიწების ნაწილი (1229). ალბიგოელების უკანასკნელი ციხესიმაგრე მონტსეგიური ათთვიანი ალყის შემდეგ აიღეს. მასში გამაგრებული უკანასკნელი ორასი ერეტიკოსი კი გაანადგურეს 1244 წელს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აკვიტანია კვლავ პლანტაგენეტების ხელში რჩებოდა.

სამეფო დომენის მართვა-გამგებლობა. ახლად შემოერთებულ ვრცელ ტერიტორიაზე საჭირო იყო ადგილობრივი მმართველობის აპარატის შექმნა და გამაგრება. ამასთანავე, დასაძლევი იყო ურჩ ფეოდალთა წინააღმდეგობაც.

ფილიპ II-მ გააუქმა დიდი სენეშალის თანამდებობა, რომლის ხელშიც გადიოდა მეფის კუთვნილი შემოსავლები. სენეშალი ჯარების სარდალიც იყო. სწორედ ეს გარემოება ანიჭებდა სენეშალს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამეფო კარზე. იგი ძირითადად მსხვილი ფეოდალების რიცხვიდან ინიშნებოდა. სენეშალის, ანუ ჯარების სარდლის ნაცვლად, მეფემ კონეტაბლის თანამდებობა შემოიღო.

მეფის კარზე მნიშვნელოვან თანამდებობას წარმოადგენდა კანცლერი ანუ კანცელარიუსი, რომლის პრეროგატივაც იყო სამეფო კანცელარიის ზედამხედველობა და ასრულებდა სასამართლო ფუნქციებსაც. ასევე აღსანიშნავია, კამერარიუსი (მეფის სასახლისა და მისი პირადი ხაზინის გამგე) და ბუტიკულარიუსი, რომელიც ფინანსებს განაგებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაუქმდა სენეშალის თანამდებობა.

თანამდებობის ყველა ეს პირი შედიოდა სამეფო საბჭოში. ეს საბჭო არ ჰგავდა ადრინდელ ფეოდალურ საბჭოს, არამედ ეს იყო მეფესთან მყოფი მუდმივი დაწესებულება, რომელიც მისთვის სასურველი პირებისაგან შედგებოდა. მეფის მორჩილი ფეოდალების გარდა ამ საბჭოში შედიოდნენ ასევე იურისტები, რომლებიც წვრილი და საშუალო რაინდების, სამღვდელოების წრიდან იყვნენ გამოსული. ისინი მეტად განათლებული ადამიანები იყვნენ და გავლილი ჰქონდათ პრაქტიკული სტაჟი სასამართლო თუ ფინანსურ საკითხებში.

ასეთი გახლდათ მმართველობის სისტემა ცენტრში. ცალკეულ ოლქებს, რომლებიც სამეფო დომენს შეადგენდნენ, სათავეში ჩაუდგნენ ე.წ. პრევოები. პრევო თავდაპირველად იყო სამეფო მამულების მმართველი განსაზღვრულ ოლქში. მეფის ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად მას დაეკისრა მთელი რიგი სხვა ფუნქციებიც. პრევოს პოლიციური და სასამართლო ძალაუფლება, რომელიც ადრე ვრცელდებოდა მამულის ფარგლებში, ამჟამად მთელ ოლქზეც გავრცელდა. ამასთანავე, პრევო იყო ოლქში ლაშქრის სამხედრო მეთაური. სამეფო დომენის გაფართოებასთან დაკავშირებით XII საუკუნიდან დაიწყეს ცალკეული ოლქების უფრო მსხვილ ერთეულებად გაერთიანება, რომლებსაც ბაიაჟები ეწოდებოდათ. ბაიაჟი შედგებოდა რამდენიმე საპრევოტოსაგან. ბაიაჟს სათავეში მეფის მოხელე ბაიი ედგა. ბაიი იყო ადგილობრივი სამეფო ხელისუფლების კურსის გამტარებელი, რომელსაც მთელი ბაიაჟის პრევოები ემორჩილებოდნენ.

ფილიპ II-ის პერიოდში სამეფო დომენს შეუერთდა დიდი სამფლობელოები. მათ სამართავად დაიწყეს განსაკუთრებული სამეფო მოხელეების დანიშვნა, რომლებსაც სენეშალები ეწოდებოდათ. სენეშალებს, როგორც წესი, მეფე ნიშნავდა ადგილობრივი ფეოდალების რიგებიდან, მათი თავის მხარეზე მიმხრობის მიზნით. ფილიპ II-ის მემკვიდრეების დროს სამეფო სამფლობელოები შედგებოდა 20 ბაიაჟისა და 5 სასენეშალოსაგან.

ლუი IX და მისი რეფორმები. ლუი VIII-ის ხანმოკლე მეფობის შემდეგ ტახტზე მისი მცირეწლოვანი ვაჟი ლუი IX (1126-1270) ავიდა. მცირეწლოვანი მეფის რეგენტად მისი დედა ბლანკა კასტილიელი დაინიშნა, რომლის წინააღმდეგაც მსხვილმა ფეოდალებმა, სამეფო ხელისუფლების დასუსტების მიზნით, მოაწყვეს კოალიცია და დახმარებისათვის ინგ-ლისის მეფე ჰენრი III-ს მიმართეს. ამის მიუხედავად, ბლანკა ადვილად გაუსწორდა ურჩ ფეოდალებს და ძალაუფლება განიმტკიცა კიდეც.

ლუი IX-ის მეფობას უკავშირდება შიდა მმართველობის ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი რეფორმების გატარება. სამეფო დომენის ტერიტორიაზე აიკრძალა სამოსამართლო ორთაბრძოლა (სიმართლის გარკვევა დაპირისპირებულ მხარეებს შორის ორთაბრძოლის საშუალებით, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა სენიორალურ სასამართლოებში). შესაძლებელი გახდა ფეოდალური სასამართლოს განაჩენის აპელაციით გასაჩივრება სამეფო სასამართლოში. ამის შედეგად პარიზის პარლამენტი იქცა ყველა სასამართლო საქმეების უზენაეს ინსტანციად. ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებს მხოლოდ სამეფო სასამართლო იხილავდა. ფეოდალურ შინაომებსა და ქვეყანაში წესრიგის დამყარებას უზრუნველყოფდა მეფის აკრძალვა – დომენის ფარგლებში არ შეიძლებოდა ომების წარმოება, ხოლო სხვა ტერიტორიებზე შემოიღო ე.წ. „მეფის ორმოცი დღე“, როდესაც ორმოცი დღის განმავლობაში ომში გამოწვეულ მხარეს შეეძლო მიემართა მეფისადმი, რამაც ფეოდალური შინაომების შესუსტება გამოიწვია.

სამეფო დომენში შემოიღეს ერთიანი სამონეტო სისტემა. ლუი IX-მ ასევე დაადგინა, რომ ყველა ოლქში ადგილობრივ მონეტებთან ერთად ბრუნვაში მეფის მონეტაც უნდა ყოფილიყო. იმ პერიოდში საკუთარი ფულის მოჭრის უფლება დააბლოებით ორმოც სენიორს ჰქონდა. თანდათანობით მეფის მონეტამ ბრუნვიდან გააძევა სხვა ფულადი ერთეულები. ეს განპირობებული იყო ვერცხლისა და ოქროს მაღალი შემცველობით. იგი ფართოდ გამოიყენებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის დროს. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ გაერთიანებას.

ლუი IX-ის მეფობისას სამეფო კურიას გამოეყო განსაკუთრებული სასამართლო პალატა, ანუ პარლამენტი. ამავე დროს ჩამოყალიბდა კანონის მცოდნეების ე.წ. ლეგისტების ფენა. ლეგისტები იყვნენ სპეციალისტები სასამართლო სფეროში, რომლებიც ქადაგებდნენ იდეებს მეფის შეუზღუდავი ძალაუფლების შესახებ.

ლუი IX-მ, რომელმაც სახელი „წმინდა“ მოიპოვა (პაპობამ შემდგომში მისი კანონიზაცია მოახდინა), ცდილობდა „უქრისტიანესი მეფის“ იდეალის ხორცშესხმას და მან თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიზნად მშვიდობა და სამართლიანობა გამოაცხადა. იგი იყო მეშვიდე და მერვე ჯვაროსნული ლაშქრობების ორგანიზატორი, მშვიდობიანი ურთიერთობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან. მან დადო ხელშეკრულება არაგონის მეფესთან, რამაც საფრანგეთს სამხრეთ რეგიონებში მშვიდობის განმტკიცების საშუალება მისცა, ხოლო 1259 წელს ზავი დადო ინგლისის მეფესთან, რომლის თანახმადაც ჰენრი III-ის მფლობელობაში რჩებოდა გიენი და იგი ერთგულების ფიცს აძლევდა საფრანგეთის მეფეს.

თუმცა მის მცდელობებზე, რომ „სამართლიანობა" დაემყარებინა მთელ სამეფოში, მეტყველებს მრავალრიცხოვანი მღელვარებები ქალაქებში და მისი მეფობის დროს მომხდარი „მწყემსების" აჯანყება. აღსანიშნავია, რომ მის მიერ გატარებულ რეფორმებს პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ცენტრალიზაციის პროცესის გასაღრმავებლად. შემდგომი წლების გადასახადების გადიდებამ, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ბოროტად გამოყენებამ და ომების სიმძიმემ ლუი IX-ის მეფობის ხანა საფრანგეთის ისტორიის „ოქროს პერიოდად" მონათლა.

ფილიპე IV ლამაზის პოლიტიკა. XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში საბოლოოდ დამკვიდრდა წოდებრივი მონარქია, ანუ ფეოდალური მონარქია წოდებების წარმომადგენლებით. სახელმწიფოში ამ ახალი ფორმის დამკვიდრებას ხელი შეუწყო ქვეყნის ცენტრალიზაციის პროცესმა და სამეფო ხელისუფლების შემდგომმა გაძლიერებამ. ის დაკავშირებული იყო სამეფო დომენის მნიშვნელოვან გაფართოებასთან. საფრანგეთის წარმატებები ინგლისთან ქვეყნის სამხრეთისათვის ბრძოლაში განმტკიცდა მეფის დომენისათვის ლანგედოკის (ყოფილი ტულუზის საგრაფო), აკვიტანიის ნაწილის (1308-1309) შემოერთებით; ასევე 1285 წელს ნავარაც შეუერთდა. ინგლისელებს მხოლოდ პატარა ტერიტორია დარჩათ ბისკაის სანაპიროსთან. მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენდა შამპანის საგრაფო და მდიდარი ქალაქი ლიონი (1307), რომელიც სამეფო დომენს ფილიპ IV-ის (1285-1314) ქორწინებამ მოუტანა ნავარის სამეფოსა და შამპანის საგრაფოს მემკვიდრეზე. უკვე XIV საუკუნის დასაწყისში სამეფო დომენს ქვეყნის ტერიტორიის 3/4 ეჭირა. ამან განამტკიცა მეფის პრეტენზიები, როგორც უმაღლესი სუვერენისა, რომელსაც სურდა ქვეყნის მთელი მოსახლეობა თავის ქვეშევრდომად ექცია.

ფილიპ IV-ის მმართველობის პერიოდში საფუძველი ეყრება სახელმწიფო-საგადასახადო სისტემას. ხაზინის შესავსებად მეფე ნამდვილ გამომძალველობასაც კი არ ერიდებოდა. იგი სესხულობდა ფულს ქალაქებისაგან, რომელსაც უკან არასოდეს აღარ აბრუნებდა. უფრო მეტიც, იგი ახალ თანხებს მოითხოვდა, რის შემდეგაც ეს ფულადი სესხები მუდმივ გადასახადებად იქცეოდნენ. ფილიპ IV-ისათვის, ისევე როგორც მისი წინაპრებისათვის, შემოსავლის ერთ-ერთ მუდმივ წყაროს ებრაელებისათვის შეწერილი გადასახადი წარმოადგენდა. თუმცა 1306 წლიდან მეფეს ისე დასჭირდა ფული, რომ მან გამოაცხადა ებრაელების ქონების საყოველთაო კონფისკა-

ცია, ებრაელები კი გააძევეს საფრანგეთიდან. თუმცა, როდესაც მეფეს კვლავ დასჭირდა ფული, მან ებრაელებს უკან დაბრუნების ნება მისცა, რის შემდეგადაც მათი ძარცვა კვლავ გააგრძელა.

ფილიპ IV სამეფო ხაზინას სხვა ხერხებითაც ავსებდა – იგი აყალბებდა მონეტებს, რომლის გაფუჭების 4 ხერხი არსებობდა. გაფუჭებული მონეტები მალე კარგავდნენ ფასს, მაგრამ მეფე მაინც ასწრებდა მნიშვნელოვანი სარგებლობის მიღებას. ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე ძალიან ვაჭართა ფენას აზარალებდა. მეფის ფინანსური პოლიტიკა ქალაქების მიმართ განპირობებული იყო ამ უკანასკნელის სურვილით – მოესპო ქალაქების პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რომლებიც უკვე სამეფო დომენის ფარგლებში შედიოდნენ. ფინანსური ჩარევებით მეფე ზღუდავდა საქალაქო თვითმმართველობას. გამუდმებული გადასახადების შედეგად ქალაქებს არ შეეძლოთ მეფის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულება და მეფე ართმევდა მათ დამოუკიდებლობას. ეს, რა თქმა უნდა, იწვევდა ქალაქების აჯანყებებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პარიზის 1306 წლის აჯანყება. ქალაქის ღარიბებმა დაანგრიეს მდიდარი ქალაქელებისა და მეფის მოხელეების სახლები. მეფე იძულებული იყო დამალულიყო ტამპლიერების ციხესიმაგრეში, თუმცა შემდეგ იგი სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს.

საგადასახადო სისტემის ფორმირება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჯარის რეფორმასთან. დრო მოითხოვდა ფეოდალური ჯარის შეცვლას დაქირავებული უცხოელებითა და ფრანგი რაინდებით. მეფე ხელს უწყობდა ფეოდალების სურვილს გამოესყიდათ ფულით სავალდებულო სამხედრო სამსახური, რის შედეგადაც მას სურდა ჯარის შექმნა, რომელიც უშუალოდ მეფის დაქვემდებარებაში იქნებოდა. ამას ხელი შეუწყო ფლანდრიასთან ომმაც.

ფლანდრიის სწრაფმა სამრეწველო განვითარებამ XII-XIII საუკუნეებში გამოიწვია ქალაქების სწრაფი ზრდა და მათ მნიშვნელოვან დამოუკიდებლობასაც მიაღწიეს. ფლანდრიის გრაფი საფრანგეთის მეფის ვასალი იყო, მაგრამ მისი ტერიტორია მხოლოდ ნომინალურად შედიოდა საფრანგეთის სამეფოში – მოსახლეობა არ იყო ფრანგული და არც ფრანგულ ენაზე ლაპარაკობდა. მაგრამ საფრანგეთი პრეტენზიას აცხადებდა ფლანდრიის მდიდარ ქალაქებზე – გენტზე, იპრსა და ბრიუგეზე, რომლებიც ცნობილნი იყვნენ მაუდის წარმოებითა და ვაჭრობით. ფილიპ IV-მ თავდაპირველად შეძლო ფლანდრიის შინაგანი წინააღმდეგობის გამოყენებით ფაქტობრივად დაემყარებინა თავისი ძალაუფლება, მაგრამ ამას მოჰყვა ფლანდრიის საამქროების მოძრაობა ფრანგთა ბატონობის წინააღმდეგ. ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლა საამქროებისათვის წარმოადგენდა პატრიციატის წინააღმდეგ ბრძოლას.

1302 წელს ბრიუგეში ამოწყვიტეს საფრანგეთის მეციხოვნე ჯარი და ადგილობრივი პატრიციატი. ამ აჯანყებამ „ბრიუგეს ცისკრის“ სახელი მიიღო. ამის შემდეგ მთელი ფლანდრია აჯანყდა. ფილიპე ლამაზმა მათ წინაა-

ღმდეგ მთელი თავისი არმია გამოიყვანა, მაგრამ ისინი სასტიკად დამარცხდნენ კურტრესთან. ამ ბრძოლაში ფეიქრებმა, რომლებიც ფლანდრიის არმიის მთავარ ბირთვს შეადგენდნენ, სასტიკად დაამარცხეს ფრანგები, ამოხოცეს რამდენიმე ათასი რაინდი, რომლებსაც მოოქროვილი დეზები დახსნეს და გამარჯვების აღსანიშნავად ქალაქის კარებზე დაჰკიდეს. ბრძოლამ ამ ეპიზოდის გამო „დეზების ბრძოლის" სახელწოდება მიიღო.

ფლანდრიის წარუმატებელმა ომმა მეფე აიძულა უფრო და უფრო ხშირად მოეთხოვა სამხედრო სამსახური ან მისი გამოსასყიდი თანხები. გამოსასყიდის მოთხოვნას თან ერწყმოდა ისიც, რომ შემოღებულიყო პირდაპირი გადასახადი მოსახლეობის ქონებასა და შემოსავალზე. ეს პრივილეგირებულ წრეებსაც ეხებოდათ, რამაც მათი უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა იგი სამხედრო აუცილებლობით გაამართლეს.' ამის გარდა, მმართველი ფენა დაინტერესებული იყო ფლანდრიის დამორჩილებით. შემდგომი სამხედრო მოქმედებებითა და დიპლომატიური მოლაპარაკებების შედეგად, ფილიპე ლამაზმა შეძლო ფლანდრიის რიგი ქალაქების შენარჩუნება და ფლანდრიას დიდი კონტრიბუცია დააკისრა.

სამეფო ხელისუფლების ბრძოლა პაპობასთან. საფრანგეთში სამეფო ხელისუფლების გაძლიერებამ გამოიწვია კონფლიქტი პაპობასთან. მეფემ მნიშვნელოვნად შეზღუდა ეკლესიის ქონებრივი და სასამართლო უფლებები. კონფლიქტის მიზეზად იქცა მონარქის საგადასახადო პოლიტიკა ეკლესიის მიწების მიმართ. ამ ნიადაგზე ფილიპე IV-ისა და პაპის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა, რომელიც საეკლესიო ქონების დაბეგვრას საკუთარ პრივილეგიად თვლიდა.

რომის პაპი ამ პერიოდში გახლდათ ბონიფაციუს VIII (1294-1303), რომელიც ძლიერ ამბიციური და ჯიუტი პიროვნება იყო. ძალაუფლებისადმი ლტოლვითა და ინტრიგების გაბმის ხელოვნებით იგი უფრო საერო მბრძანებელს მოგვაგონებდა, ვიდრე სასულიერო პირს. თავისი დაუშრეტელი ენერგიითა და პრეტენზიებით იგი ძლიერ ჩამოგავდა ინოკენტი III-ს.

ფილიპე IV-სა და ბონიფაციუს VIII-ს შორის განხეთქილება დაიწყო 1296 წელს მეფის მიერ სამღვდელოებაზე გაწერილ ახალ გადასახადთან დაკავშირებით. ამავე წელს პაპმა გამოსცა ბულა „Clericis laicos", რომელშიც მან აუკრძალა საერო ხელისუფალთ ეკლესიის დაბეგვრა, ხოლო სასულიერო ფენას აუკრძალა საერო ხელისუფალთათვის გადასახადების გადახდა პაპის ნებართვის გარეშე. მეფემ საპასუხოდ საფრანგეთიდან აკრძალა ოქრო-ვერცხლის გატანა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა პაპის შემოსავალს. ამის შემდეგ ბონიფაციუს VIII-მ გადაწყვეტა საფრანგეთთან ურთიერთობის განსახილველად მოეწვია საეკლესიო კრება 1302 წლის 1 ნოემბერს. პაპმა თავისი პოზიცია ურყევად გაამაგრა, როგორც ოდესღაც გრიგოლ VII-მ, სასულიერო წოდების საეროზე ზემდგომობის თეორიით. მან

გამოსცა მთელი რიგი ბულები, რომელშიც ბრალს სდებდა ფილიპე IV-ს ქვეყნის შევრდომთა ჩაგვრაში, ფულის გაფუჭებაში, საეკლესიო ქონების მითვისებაში და სხვ. ცნობილ ბულაში „Unam sanctam“ იგი წერს: „ღმერთმა დაგვაკისრა რა ჩვენ ვალდებულებანი სამოციქულო სამსახურისა, დაგვაყენა ჩვენ მეფეებზე და იმპერატორებზე მაღლა“. ამის საპასუხოდ მეფის მრჩევლებმა გამოსცეს მათ მიერ შედგენილი ყალბი დოკუმენტები – პაპის მოგონილი ბულები და მათზევე ყალბად შედგენილი მეფის პასუხები. მეფემ კარგად გამოიყენა სახელმწიფოში შექმნილი განწყობილება და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი თავის სასარგებლოდ მიმართა. მეფემ პაპის პოლიტიკა შეაფასა, როგორც საფრანგეთის საშინაო საქმეებში ჩარევა. ამის საპასუხოდ პაპმა ეკლესიიდან განკვეთა ფილიპე IV. განკვეთას შეეძლო დიდი გართულებები მოეტანა მონარქისათვის, განსაკუთრებით ასეთ პირობებში. მაგრამ მეფემ წინ გაუსწრო მოვლენებს და პირველად საფრანგეთის ისტორიაში 1302 წელს მოიწვია გენერალური შტატები, რომელშიც სამი წოდება იყო წარმოდგენილი – სამღვდელოება, თავადაზნაურობა და მესამე წოდება, ე.ი. ქალაქები (ორ-ორი დეპუტატი თითო ქალაქიდან). ასამბლეაზე, რომელზედაც პაპი ერეტიკოსად უნდა გამოეცხადებინათ, მეფეს ოპოზიციაში ჩაუდგნენ სამღვდელოების, თავადაზნაურობისა და ქალაქების ნაწილი (ძირითადად სამხრეთი რეგიონიდან). მიუხედავად ამისა, მეფემ შეძლო მომხრეების მხარდაჭერის მიღება და ქვეყანაში განტვირთა არსებული დაძაბული მდგომარეობა. პაპის ტახტიდან ჩამოსაგდებად მეფემ გააგზავნა იტალიაში თავისი ლეგატები – გიიომ ნოგარე და გიიომ პლეზიანი. იტალიაში მათ მოისყიდეს მომხრეები და მოაწყვეს შეთქმულება, რომელშიც პაპის ყველა გავლენიანი მოწინააღმდეგე მონაწილეობდა. პაპი ამ პერიოდში ქ. ანანიში იმყოფებოდა. ნოგარე და სხვა შეთქმულები შეცვივდნენ პაპთან სასახლეში, დააპატიმრეს და დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს (ნოგარემ მას სილა გააწნა). შეურაცხყოფილი მოხუცი პაპი მალე გარდაიცვალა. 1305 წელს ფილიპე IV-ის ძალისხმევით პაპად აირჩიეს ბორდოს არქიეპისკოპოსი კლიმენტი V-ის სახელით. ახალმა პაპმა რეზიდენცია საფრანგეთში, ქ. ავინიონში გადაიტანა. ე.წ. „ავინიონის ტყვეობა“ გაგრძელდა 70 წელიწადს (1308-1378). მართალია, ავინიონი არ შედიოდა სამეფო სამფლობელოთა შემადგენლობაში, მაგრამ ფაქტობრივად პაპის კურია მოექცა მთლიანად საფრანგეთის მეფეების გავლენის ქვეშ.

გამარჯვების განსამტკიცებლად ფილიპე IV-მ გადაწყვიტა ლეგისტების დახმარებით მოეწყო ტამპლიერების ორდენის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი. მეფეს ამ ორდენისაგან უზარმაზარი თანხები ემართა. სწორედ ამ ვალის თავიდან მოსაშორებლად მან გადაწყვიტა ორდენის მოსპობა. 1307 წელს ყველა ტამპლიერი დააპატიმრეს და მოახდინეს მათი ქონების კონფისკაცია. ისინი ერეტიკოსობაში დაადანაშაულეს. სასულიერო-რაინდული

ეს ორდენი XII საუკუნეში დაარსდა, ჯვაროსნების დასახმარებლად და პაპის პაპების განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. თუმცა XIII საუკუნიდან იგი გადაიქცა დიდი მიწებისა და ქონების მქონე მძლავრ ორგანიზაციად. ორდენმა თავისი მოქმედების ცენტრი ევროპაში გადაიტანა, სადაც ძირითადად მევახშეობით იყო დაკავებული, რამაც უზარმაზარი სიმდიდრე შესძინა. საფრანგეთის მეფეს აქ ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური მოტივებიც ამოძრავებდა. მას სურდა ძლიერი მოწინააღმდეგის მოსპობა, რომელიც რომის პაპის მოკავშირე იყო და ქვეყნის შიგნითაც მოქმედებდა. ორდენის მოსასპობად 1308 წელს მეფემ გენერალური შტატები მოიწვია. მათ წინაალმდეგ ინკვიზიციური საქმისწარმოებაც გამოიყენეს. ტამპლიერები წამების შედეგად გამოტყდნენ ყოველგვარ დანაშაულში. ორდენის წევრების ნაწილი დაწვეს, ნაწილი კი საპყრობილეებში ჩასვეს, ხოლო ზოგი ქვეყნიდან გააძევეს. 1312 წელს პაპმა ორდენი დაშლილად გამოაცხადა. ამის წყალობით მეფემ არა მარტო თავი დააღწია ტამპლიერების ვალს, არამედ მას ხელში ჩაუვარდა მთელი მათი ქონება. რაც შეეხება ორდენის მიწებს, იგი მეფემ პაპის მოთხოვნის შესაბამისად, დაუთმო ჰოპიტალიერების ორდენს. თუმცა მეფემ ისეთნაირად გადასცა ეს საჩუქარი, რომ ჰოსპიტალიერებმა აღარ იცოდნენ როგორ დაეღწიათ მისგან თავი.

ფრანგული საზოგადოების წოდებრივი სტრუქტურის თავისებურებანი. წოდებრივი სტრუქტურის თავისებურებებად საფრანგეთში გვევლინება წარმომადგენლობითი ორგანოები, რომლებიც სხვადასხვა ტერიტორიებზე ფუნქციონირებდნენ: ადგილობრივი ორგანოები, პროვინციალური და გენერალური შტატები. ადგილობრივი შტატებიდან ძალიან ბევრი უკვე XIII საუკუნიდანაა ცნობილი, ისეთები, როგორიც იყო ბარონების, რაინდებისა და კონსულების ასამბლეები აჟენისა და კერსის საგრაფოებში, ტულუზის, ტარაკსონისა და ბოკერის სასენეშალოები, ლანგედოკისა და ნორმანდიის პროვინციალური შტატები. ფილიპე IV-ის მეფობისას ყალიბდება გენერალური შტატებიც – წოდებრივი წარმომადგენლობის ორგანო. გენერალური შტატების წინამორბედს წარმოადგენდა მეფის ფეოდალური საბჭო, რომელიც იმ შემთხვევაში იკრიბებოდა, თუ მეფეს სჭირდებოდა თანხმობის მიღება რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე სამეფოს გავლენიანი პირებისაგან – მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალებისაგან. ის საქმეები, რომლებსაც მეფე უშუალოდ არ იხილავდა, განიხილებოდა მეფის საბჭოზე, სადაც მიწვეულ იქნენ მეფის ვასალები და სამეფო კარის პერსონალი. ეს იყო ტიპური ფეოდალური ინსტიტუტი, რეგულარული ადგილმდებარეობის, პერიოდულობისა და ფიქსირებული კომპეტენციის გარეშე. ეს იყო საბჭო, რომელიც მეფესთან ერთად განიხილავდა მის მიერ შემოთავაზებულ საკითხებს (დომენის, პოლიტიკურ თუ ფეოდალურ საქმეებს). მართალია, ჯერ კიდევ XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნეშიც მეფეები ზოგჯერ თა-

ვიანთ საბჭოში იწვევდნენ ამა თუ იმ ქალაქის წარმომადგენლებს, მაგრამ მხოლოდ 1302 წლიდან შეგვიძლია ვისაუბროთ წოდებრივი წარმომადგენლობის ორგანოზე – გენერალურ შტატებზე. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური აქტებით ამჯერადაც არ იყო განსაზღვრული შტატების შემადგენლობა და შეკრების ვადა. მეფე მათ მაშინ მიმართავდა, როცა ფული სჭირდებოდა. გენერალურ შტატებში წარმოდგენილი იყო უმაღლესი სამღვდელოება, თავადაზნაურობა და ქალაქების ზედაფენის წარმომადგენლები. საფრანგეთში დიდი ხნის განმავლობაში არჩევნების პრინციპი (განსაკუთრებით თავადაზნაურობაში) არ მოქმედებდა. მხოლოდ XV საუკუნის ბოლოსათვის გახდა იგი აუცილებელი სამივე წოდებისათვის. თითოეულ პალატას ჰქონდა ერთი ხმა. ისინი ცალკე წყვეტდნენ თავიანთ საქმეებს. ერთიანდებოდნენ მხოლოდ მეფისათვის პასუხის შესამუშავებლად, მაგრამ აქაც არ იყვნენ ვალდებულნი საერთო დადგენილება გამოეტანათ.

გენერალური შტატები ვერ იქცნენ რეგულარულ ორგანოდ. მეფე მას, მართალია, საჭიროების გამო იწვევდა, მაგრამ მოწვევის უფლება, ასევე ადგილისა და დროის დანიშვნა მის პრეროგატივად რჩებოდა. მეფე არ ემორჩილებოდა გენერალურ შტატებს. მათ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა გადაწყვეტილებების მიღება სუბსიდიების შესახებ. ისინი პოლიტიკურ საკითხებსაც განიხილავდნენ, მაგრამ არ ჰქონდათ უფლება მიეღოთ და დაემტკიცებინათ კანონები. აქედან გამომდინარე, ისინი მნიშვნელოვნად ვერ ზღუდავდნენ მეფის ძალაუფლებას, როგორც ეს ინგლისში მოხდა.

გენერალურ შტატებს ასუსტებდა წოდებების კარჩაკეტილობაც. თავადაზნაურობა იქცა კარჩაკეტილ წოდებად, რომელიც მთელი რიგი პრივილეგიებით სარგებლობდა. მათი ინტერესები, რომელთა შემოსავალსაც ფეოდალური რენტა წარმოადგენდა და რომელთათვისაც უცხო იყო ვაჭრობა-მრეწველობა, მკვეთრად იყვნენ დაშორებული ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესებისაგან. უმაღლეს სამღვდელოებაშიც აზნაურების ფენიდან ხვდებოდნენ. მეორე მიზეზი, რომელიც ასევე ასუსტებდა გენერალურ შტატებს, იყო საფრანგეთის ცალკეულ ოლქებს შორის სუსტი კავშირი. გენერალურ შტატებთან ერთად მეფე იწვევდა პროვინციულ შტატებს, რათა მიეღწია მათთან შეთანხმებისათვის საგადასახადო საკითხებში. ძირითადად, ჩრდილოეთ და სამხრეთ საფრანგეთის შტატები ცალ-ცალკე იკრიბებოდნენ. მეფეს ასევე შეეძლო სამივე წოდება ცალ-ცალკე მოეწვია. წოდებათა ურთიერთგათიშვითა და საფრანგეთის ტერიტორიული დაქსაქსულობით აიხსნება ის გარემოება, თუ რატომ ვერ იქცნენ გენერალური შტატები პოლიტიკურად მძლავრ საკანონმდებლო, მეფის ხელისუფლებისათვის კონტროლის გამწევ ორგანოდ. ამის მიუხედავად, წოდებებს შეეძლოთ გარკვეული, მართალია მცირე, მაგრამ გავლენა მოეხდინათ მეფის მოქმედებებზე. დეპუტატს ჰქონდა მანდატი, რომლის მიხედვითაც მას გარკვეული ინსტრუქციით უნ-

და ემოქმედა, რომელსაც იგი ამომრჩევლებს დაჰპირდა. წოდებებს შეეძლოთ თავი აერიდებინათ მეფის მიერ გაცემული გადაწყვეტილებების ასრულებისგან, გამოეხატათ თავიანთი უკმაყოფილება მისი პოლიტიკით. ასეთ წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქების დეპუტატების პოზიციას. ისინი, ძირითადად, მხარს უჭერდნენ მეფის პოლიტიკას სამეფოს გაერთიანებისათვის და აძლევდნენ სუბსიდიების ძირითად ნაწილს. საგადასახადო სისტემა წარმოადგენდა ძირითად უთანხმოებას წოდებებს შორის. ქალაქების დეპუტატები ცდილობდნენ, რომ პრივილეგირებულ წოდებებსაც გადაეხადათ გადასახადები და არა მხოლოდ თანხმობა განეცხადებინათ, როცა ამ გადასახადებს იღებდნენ ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლებისაგან.

ამრიგად, გენერალური შტატების შემადგენლობაში შედიოდნენ თავადაზნაურობის, სასულიერო ფენისა და ქალაქების უმდიდრესი ფენის წარმომადგენლები, მაშინ, როცა ძირითადი მოსახლეობა ამ უფლებას მოკლებული იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XII

ასწლიანი ომი.
ასწლიანი ომის მიზეზები და დასაწყისი.
პარიზის რევოლუცია და შაკერია



ასწლიანი ომი (1337-1415)

1 – ინგლისელთა სამფლობელოები ასწლიანი ომის წინ; 2 – ტერიტორია, რომელიც ინგლისელთა ხელში გადავიდა ბრეტინის ზავით; 3 – ჰერცოგ ბურგუნდიელის სამფლობელო; 4 – საფრანგეთის მეფის მიწები; 5 – ჟაკერიის აჯანყების რაიონი; 6 – მოქალაქეთა აჯანყებანი XIV ს-ის 80-იან წლებში; 7 – ინგლისელ არმიათა ბაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIV საუკუნის 30-იან წლებში საფრანგეთსა და ინგლისს შორის დაიწყო ე.წ. ასწლიანი ომი (1337-1453), რომელიც შესვენებებით 116 წელიწადს გაგრძელდა. ეს ომი ამ ორ სახელმწიფოს შორის მუდმივი კონფლიქტის გამოძახილი გახლდათ და იგი საფრანგეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ამის გამო დიდი ხნის განმავლობაში ინგლისელებს ოკუპირებული ჰქონდათ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი. ასწლიანმა ომმა საფრანგეთი უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო: შემცირდა მოსახლეობა, შეფერხდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება, რამაც ქვეყნის გაღატაკება და დაცემა გამოიწვია.

ასწლიანი ომის დაწყებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო მდიდარი ფლანდრიის საკითხი, რომელიც ამ ორი სამეფოს აგრესიის ობიექტად იქცა. დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ჭიშპობა ფლანდრიისათვის, ფილიპე IV-მ მიიერთა მდ. ლისის სამხრეთი ნაწილი, მაგრამ ეს საფრანგეთისათვის საკმარისი არ იყო — მას სურდა მთელი ფლანდრია თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ეს ინგლისს მატერიალურ ზიანს აყენებდა, რადგანაც მატყლს ფლანდრია ინგლისიდან იღებდა.

ომის მეორე მიზეზი ასევე ძველი უთანხმოებიდან მოდიოდა — ეს იყო აკვიტანიის საკითხი, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილის — გიენისა, რომლის დაუფლებაც ინგლისის მეფის ინტერესებში შედიოდა. გიენს ინგლისთან მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ჰქონდა და მის გარეშე ინგლისის მეფეების ტერიტორიულ და დინასტიურ პრეტენზიებს საფუძველი არ გააჩნდა. გიენიდან ინგლისში გადიოდა: ღვინო, მარილი, ფოლადი, საღებავი და სხვ. მსხვილი პორტების სიმდიდრე (ბორდო, ლაროშელი) სწორედ ამ ვაჭრობაზე იყო დამყარებული. გიენის არისტოკრატებსა და რაინდებს, რომელთაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა სურდათ, ერჩიათ ინგლისის მეფის ნომინალურ ძალაუფლებას დამორჩილებოდნენ და არა საფრანგეთის მეფის რეალურ ხელისუფლებას. საფრანგეთისათვის სამხრეთის პროვინციებისა და ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა, ამავდროულად იყო ქვეყნის გაერთიანების წინაპირობა. ამიტომაც აკვიტანიელი სენიორები მუდმივად ინგლისელების მხარეს იყვნენ, მაშინაც კი, როცა მთელი საფრანგეთი მეფის ხელმძღვანელობით ინგლისს ებრძოდა. ამის გამო, საფრანგეთის ბრძოლა გიენისათვის ინგლისის წინააღმდეგ, იმავდროულად, იყო ომი საფრანგეთის სამეფოს გაერთიანებისათვის.

მესამე მიზეზს წარმოადგენდა შოტლანდიის საკითხი. ინგლისის მეფეები ლამობდნენ შოტლანდიის დაპყრობას, რაშიც მათ ხელს უშლიდა საფრანგეთი. ინგლისის მეფეს ჯერ საფრანგეთი უნდა დაემარცხებინა, რომ შოტლანდიისათვის მოევლო.

ასწლიან ომს ოფიციალურ საფუძვლად დაედო ტახტის მემკვიდრეობის საკითხი, როდესაც ინგლისის მეფემ დინასტიური პრეტენზიების წამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენება დაიწყო საფრანგეთის სამეფო ტახტზე. 1328 წელს გარდაიცვალა ფილიპე IV-ის უკანასკნელი ვაჟი, რომელსაც მემკვიდრე არ ჰყავდა. ინგლისის მეფეს, ედუარდ III-ს, როგორც ფილიპე IV-ის შვილიშვილს (მისი დედა ფილიპე ლამაზის ქალიშვილი გახლდათ), მიეცა ხელსაყრელი საშუალება, გაეერთიანებინა ორი გვირგვინი და თავისი პრეტენზიები წამოეყენებინა საფრანგეთის სამეფო ტახტზე. საფრანგეთმა უარის მოტივად „სალიკური სამართალის“ მოიყვანა, რომლის მიხედვით ქალს მიწაზე მემკვიდრეობის უფლება არ ჰქონდა. გვირგვინი კაპეტინგების გვერდითმა შტომ, ვალუას საგვარეულომ დაიმკვიდრა – ტახტზე ფილიპე VI ვალუა (1328-1350) ავიდა. ამის შემდეგ ედუარდ III-მ გადაწყვიტა ომი დაეწყო საფრანგეთთან.

ინგლის-საფრანგეთის ეს კონფლიქტი ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი უდიდეს ომში გადაიზარდა. ამ ომში მოკავშირეებიც ჩაებნენ. რომის საღმრთო იმპერია, ფლანდრია, არაგონი და პორტუგალია ინგლისს უჭერდნენ მხარს, ხოლო კასტილია, შოტლანდია და პაპობა (პაპები ამ პერიოდში ე.წ. „ავინიონის ტყვეობაში“ იმყოფებოდნენ) – საფრანგეთს. ამ ომში, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მონაწილე ქვეყნების საშინაო ვითარებასთან, წყდებოდა რიგი სახელმწიფოების ტერიტორიების გადანაწილებისა და პოლიტიკური ერთეულების ბედიც: საფრანგეთისა და ინგლისის, ინგლისისა და შოტლანდიის, საფრანგეთისა და ფლანდრიის, კასტილიისა და არაგონის. ინგლისს ამ ომის საშუალებით სურდა მიეღწია უნივერსალური სამეფოს წარმოქმნისათვის, რომელშიც სხვადასხვა ხალხი გაერთიანდებოდა, ხოლო საფრანგეთისათვის წყდებოდა მისი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ბედი.

ომი 1337 წელს ჩრდილოეთში ინგლისელების წარმატებული ოპერაციებით დაიწყო. ომის პირველ ეტაპზე, 1337-1347 წლებში, ინგლისელების მთავარ მიზანს ფლანდრიაში და პა-დე-კალეში დასაყრდენი პუნქტების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ასევე მათ სურდათ, გზა გადაეკეტათ ფრანგებისათვის ამ რეგიონისაკენ. 1340 წელს ინგლისელებმა სასტიკად დაამარცხეს საფრანგეთის ფლოტი სლეისთან (ეკლიუზთან, ქ. ბრიუგესთან ახლოს). ამით მათ საფრანგეთის სანაპირო ზოლის დაცვა მოსპეს. ამის შემდეგ ისინი ნორმანდიაში გადმოსხდნენ და 1346 წელს კრესისთან (ჩრდ. პიკარდია) სასტიკად დაამარცხეს ფრანგები ხმელეთზე. კრესისთან ბრძოლაში გამარჯვებამ ინგლისელებს საშუალება მისცა 1347 წელს კალეც აეღოთ – უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პორტი, სადაც ინგლისი მატყლის ექსპორტს ახორციელებდა. კალე 12 თვის ალყის შემდეგ აიღეს. სწორედ ამ პორტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ინგლისი ძალას არ იშურებდა, რომ კალე მუდამ მისი გავლენის ქვეშ ყოფილიყო. ეს პორტი ფრანგებმა მხოლოდ ორასი წლის შემდეგ, 1558 წელს დაიბრუნეს.

მიაღწიეს რა ჩრდილოეთში თავიანთ მიზანს, ინგლისელებმა 50-წლების წლების დასაწყისში ქ. გიენიცა და შემდეგ გასკონიც აიღეს (თუმცა აქ ისეთ სერიოზულ წინააღმდეგობას, როგორც კალეში, არ წაწყდომიან). საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთი რეგიონები კვლავ ინგლისის მეფეს დაუბრუნდა. აქ ედუარდ III-მ მმართველად თავისი ვაჟი, ედუარდი დანიშნა, რომელსაც აბჯრის ფერის გამო „შავი პრინცი" შეარქვეს და განთქმული იყო მამაცობით. იგი ბორდოში იმყოფებოდა და თავის რაინდებთან ერთად თარეშობდა და ძარცვავდა საფრანგეთის ცენტრალურ რეგიონებს. ერთ-ერთი ასეთი თარეშიდან დაბრუნებისას, 1356 წელს მის ჯარს საფრანგეთის არმია წამოეწია. ფრანგები აშკარა რიცხობრივი უპირატესობით სარგებლობდნენ, მაგრამ პუატიესთან გამართული ბრძოლის დროს კვლავ დამარცხდნენ.

ფრანგების ამ დამარცხებამ ნაციონალური უბედურების ხასიათი მიიღო, თუმცა მათი წარუმატებლობის მიზეზი საომარი ორგანიზაციის ნაკლოვანებებსა და ტაქტიკურ თავისებურებებში უნდა ვეძიოთ.

ინგლისელების ჯარი უფრო მცირერიცხოვანი იყო. თან მათ დიდი ტვირთიც მოჰქონდათ ნაძარცვის სახით, მაგრამ ინგლისელები გამოირჩეოდნენ ორგანიზებულობით და შეთანხმებულად მოქმედებდნენ. მშვილდოსნები ხელს უწყობდნენ რაინდების შეტევაზე გადასვლას და ყველა ერთ ხელმძღვანელს ემორჩილებოდა, ისინი ზუსტად ასრულებდნენ მეთაურის ბრძანებებს. ჯარის დიდ ნაწილს შეადგენდა კარგად მომზადებული მშვილდოსნები, რომლებიც ძირითადად გლეხები იყვნენ. ბრძოლისას ინგლისელი რაინდები ჩამოქვეითდებოდნენ ხოლმე, რაც ხელს უწყობდა მშვილდოსნების მოქმედებებს.

საფრანგეთის არმია კი, პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ დიდი იყო, ნაკლებად ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა. იგი დიდ რაზმებად იყოფოდა, რომელსაც სათავეში მსხვილი ფეოდალები ედგნენ. ფაქტობრივად არ იყო ერთიანი ხელმძღვანელობა. მშვილდოსნები და ქალაქების რაზმები დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ და რაინდები არ თვლიდნენ საჭიროდ, რომ მათთან ერთად შეთანხმებულად ემოქმედათ. მეფეც ეფექტურად მხოლოდ ჯარის საკუთარ ნაწილს მართავდა. რაინდებისა და ქვეითების შეუთანხმებელი მოქმედებები მტერს მათი იოლად დამარცხების საშუალებას აძლევდა. ხელჩართულ ბრძოლაში ინგლისელები ადვილად აცალკევებდნენ ფრანგ რაინდებს ცალკეულ რაზმებად, აგდებდნენ ცხენებიდან, რაც მათ აბსოლუტურად უმწეოს ხდიდა მძიმე შეიარაღების გამო და ტყვედ იყვანდნენ, რათა შემდეგ გამოსასყიდი გამოერთმიათ. გამოსყიდვა ომის პირველივე დღიდან ორივე მხარის გამდიდრების წყაროდ იქცა.

პუატიესთან საფრანგეთის არმიის უუნარობა მთელი სიცხადით გამოჩნდა. ინგლისელები თავს დაესხნენ ფრანგების ნაწილებს და ისეთი პანიკა გამოიწვიეს, რომ ბევრმა ფეოდალმა ვასალებთან ერთად დატოვა ბრძოლის ველი. ფრანგებმა თავიდანვე სტრატეგიულად ცუდი პოზიცია დაიკავეს. რა-

ინდების ჩამოქვეითების მცდელობა და ქვეითებთან მათი ერთობლივი მოქმედება წარუმატებელი აღმოჩნდა. ფრანგებმა დიდი დანაკარგი განიცადეს, დაახლოებით 6000 კაცი, აქედან ნახევარი რაინდობა იყო. მეფე ჟან კეთილი ორი ათას კაცთან ერთად ტყვედ ჩავარდა. ინგლისელებმა გამოსასყიდად უზარმაზარი თანხა მოითხოვეს.

პუატიესთან დამარცხებამ მთელ საფრანგეთში დაძაბა ვითარება. საჭირო იყო საჩქაროდ დიდი თანხების მობილიზება მეფის დასახსნელად და ჯარის თითქმის თავიდან შექმნა. ამავე დროს, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა კატასტროფული იყო. ეს პირდაპირი ანარეკლი იყო ქვეყნის დაუმთავრებელი გაერთიანებისა და ცენტრალური ხელისუფლების უუნარობისა. ფინანსური საკითხი ამ პერიოდში მწვავედ იდგა და მის გადასაჭრელად სხვადასხვა რეფორმებს მიმართეს, მაგრამ ეს ყველაფერი წარუმატებელი აღმოჩნდა, დიდი განსხვავება არსებობდა შემოსავალსა და გასავალს შორის.

პარიზის აჯანყება და ჟაკერია. პუატიესთან დამარცხების შემდეგ მთელი საფრანგეთი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხაზინა ცარიელი იყო, ხოლო ტერიტორიის დიდი ნაწილი კი – ინგლისელების მიერ ოკუპირებული. მეფის ტყვეობიდან დასახსნელად უზარმაზარი თანხა იყო საჭირო – 3 მლნ ოქროს ეკიუ. დამცირებასა და დამარცხებას დაემატა პროტესტის გრძნობა მეფისა და არისტოკრატიის მიმართ, რომლებმაც ვერ შეძლეს ქვეყნის დაცვა. დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ზავის პირობებმაც, რომელიც ტყვედ ჩავარდნილმა მეფემ დადო, სადაც მან ცნო ინგლისელების ყველა დაპყრობა. დოფინმა (ტახტის მემკვიდრე საფრანგეთში) შარლმა 1356 წელს გენერალური შტატები მოიწვია. მას წოდებებისაგან თანხმობის მიღება სურდა. ქალაქების წარმომადგენლებმა, ომში მრავალი არისტოკრატის დაღუპვის გამო, გენერალურ შტატებში დიდი გავლენა მოიპოვეს. გამოხატეს რა საზოგადოებრივი აზრი, დოფინმა და გენერალურმა შტატებმა უარი განაცხადეს ინგლისის ხელშეკრულების დამტკიცებაზე (ცნობაზე). საერთო უკმაყოფილების პირობებში მესამე წოდებამ სცადა ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ამ ორგანოს პოლიტიკური როლის შეცვლა. მათ მოითხოვეს მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება და, რაც მთავარია, სამეფო საბჭოს ყველა წევრის გადადგომა. მეფის საბჭოს ნაცვლად ყველა საქმე განსაკუთრებულ კომისიას უნდა განეხილა, რომელიც შტატების 28 დეპუტატისაგან უნდა შემდგარიყო. მათ გარეშე დოფინს არ ჰქონდა უფლება გაეცა განკარგულებები ჯართან, სახელმწიფო მოხელეების დანიშვნა-გადაყენებასთან დაკავშირებით. რეფორმების კიდევ უფრო ვრცელი გეგმა შტატებმა შეიმუშავეს 1357 წელს „მარტის დიდ ორდონანსში“. ამ ორდონანსის მიხედვით დეპუტატების რიგებიდან ირჩეოდა მთელი სახელისუფლებო აპარატი, ხოლო თვით შტატები რეგულარულად უნდა შეკრებილიყვნენ ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად. ხელისუფლებისა და შტა-

ტების ამგვარი ორხელისუფლებიანობა წელიწად-ნახევარზე მეტხანს გაგრძელდა. ხელისუფლება მხოლოდ დოფინით იყო წარმოდგენილი (იგი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო თავისი საბჭოს ძირითადი ნაწილის გადადგომაზე), ხოლო შტატები თანდათანობით იქცნენ იმ ორგანოდ, რომელიც ძირითადად პარიზის შეძლებული ფენის ინტერესებს გამოხატავდა და სათავეში ეტიენ მარსელი ედგა. ამ პერიოდის განმავლობაში ნათლად წარმოჩნდა თვით შტატებში არსებული წოდებათაშორისი უთანხმოება. პირველად მათ ჩამოშორდნენ პრივილეგირებული ფენები – სამღვდელოება და თავადაზნაურობა, რადგანაც შტატების მიერ დამტკიცებული სუბსიდია, წლიური შემოსავლის 15% ძირითადად პრივილეგირებულ ფენებს უნდა გაეღოთ. მათ უარი განაცხადეს, მონაწილეობა მიეღოთ შტატების მუშაობაში და გადაეხადათ გადასახადი. ინგლისთან დაზავების შემდეგ, 1357 წლის აპრილში, ბევრმა ქალაქმა ასევე განაცხადა უარი გადაეხადა თავისი წილი სუბსიდია და შეწყვიტეს პარიზში საკუთარი დეპუტატების გაგზავნა. ეტიენ მარსელის მიერ ჩაფიქრებული ქალაქების კონფედერაციის შექმნის გეგმა ვერ განხორციელდა – პარიზი მარტო აღმოჩნდა.

დანარჩენი ქალქებისაგან პარიზის იზოლაცია შეიძლება აიხსნას მათ შორის არსებული სუსტი კავშირებით (ნიშანდობლივია, რომ ლანგედოკის შტატებმა მხარი დაუჭირეს არა პარიზს, არამედ დოფინს და მას სუბსიდიაც მისცეს). ცხადი გახდა შტატების უუნარობა ფინანსური რეფორმის განხორციელების საქმეში. საბოლოოდ, გენერალური შტატები იძულებული იყო იმ ხერხისათვის მიემართა, რასაც თავიდან ძლიერ აკრიტიკებდა – მონეტების გაყალბებისათვის.

თავდაპირველად ეტიენ მარსელს პარიზის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა უჭერდა მხარს. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მისი გამარჯვება დოფინზე 1358 წლის 22 თებერვალს. ეტიენ მარსელი შეიარაღებულ ხელოსნებთან ერთად შეიჭრა სასახლეში და დოფინის თვალწინ მოკლა მისი ორი უახლოესი მრჩეველი – შამპანისა და ნორმანდიის მარშლები. შეშინებულ დოფინს ეტიენ მარსელმა ლურჯ-წითელი ქუდი (პარიზის ფერები) დაახურა, დაჰპირდა რა ხელშეუხებლობასა და მფარველობას. დოფინი იძულებული გახდა, მიეღო ყველა წამოყენებული პრეტენზია და დაემტკიცებინა მარტის დიდი ორდონანსი. თუმცა იგი მალევე გაიქცა და დაიწყო პარიზის ალყისათვის მზადება. მან გამოიყენა ადგილობრივი შტატები, რომლებმაც ტახტის მემკვიდრეს სუბსიდიები მისცეს, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფდა, რომ პარიზის მმართველმა ფენამ ავტორიტეტი დაკარგა. როდესაც დოფინმა დაიწყო საომარი მოქმედებები პარიზის წინააღმდეგ, ქალაქის მმართველმა ფენამ აშკარად გამოავლინა სამშობლოს ღალატი – იგი დაუკავშირდა ნავარის მეფეს, შარლ ბოროტს (იგი დედის ხაზით საფრანგეთის ტახტზე პრეტენზიებს აცხადებდა). საფრანგეთის სამხრეთში მდება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ამ პატარა სამეფოს მმართველი, იყენებდა რა თავის ნათესაობას კაპეტინგებთან, ებრძოდა ვალუას შტოს და ინგლისელების მხარეს გადავიდა. პარიზის მმართველებმა მასთან კავშირი დაამყარეს, რითაც ხელი შეუწყვეს სეპარატისტულ ტენდენციებს, განსაკუთრებით დამღუპველს ამ ომის პირობებში. პარიზის მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა ეტიენ მარსელს, რადგანაც მათთვის კანონიერი მემკვიდრე მხოლოდ დოფინი შარლი იყო.

ჟაკერია და პარიზის აჯანყების დასასრული. ქვეყანაში არსებულ მძიმე მდგომარეობას დაერთო 1358 წლის მაისში გლეხთა აჯანყება, რომელიც ჟაკერიის სახელითაა ცნობილი.

ჟაკერია ყველაზე ძლიერი გლეხთა აჯანყებაა ფეოდალური საფრანგეთის ისტორიაში და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დასავლეთ ევროპაში. მან მკვეთრად ასახა (აჯანყებულების მიზნებსა და მოქმედებებში) XIV საუკუნის საფრანგეთის გლეხის მდგომარეობის თავისებურებები, რომლებიც XII საუკუნესთან შედარებით მკვეთრად გაუარესდა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ომის მთელი სიმძიმე გლეხებს აწვათ: მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო და სენიორალური გადასახადები. გლეხები ბედის ანაბრად იყვნენ დარჩენილები. მათ ძარცვავდნენ არა მარტო ინგლისელები, არამედ დაქირავებული რაზმებიც (ბრიგანდები — როგორც მათ უწოდებდნენ). 1348 წელს შავი ჭირის ეპიდემიამაც იფეთქა, რომელმაც მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი ამოწყვიტა, ძირითადად, უბრალო ხალხი. ამან გამოიწვია მუშახელის სიმცირე და მათი ხელფასის მომატება. მაგრამ სახელმწიფომ მიიღო ე.წ. მუშახელის კანონი, რომლითაც აკრძალული იყო მუშახელისათვის ხელფასის მომატება. ამან გამოიწვია ჟაკერიის აჯანყების ორი მიმართულება — ანტიფეოდალური და მთავრობის საწინააღმდეგო.

აჯანყების მიზეზების ასახსნელად ასევე უნდა გავითვალისწინოთ გლეხის თვითშეგნების შეცვლაც, რაც გამოწვეული იყო მისი სამეურნეო როლისა და სოციალური სტატუტის შეცვლით. ომმა გააძლიერა თემების სოციალური როლი, რომლებიც თავის თავზე იღებდნენ დაქირავებული რაზმებისა და ინგლისელებისაგან დაცვას.

აჯანყების უშუალო მიზეზად იქცა დოფინის მიერ მიღებული ზომები. პარიზის ბლოკადისათვის მზადებისას, მან მოსთხოვა გლეხებს გაემაგრებინათ ციხესიმაგრეები და პროდუქტებით მოემარაგებინათ. 28 მაისს ბოვეზიის ოლქში, სოფელ სენ-ლეში, გლეხებსა და რაინდებს შორის მოხდა შეტაკება, რის შედეგადაც რამდენიმე რაინდი დაიღუპა. აჯანყებამ ჩრდილოეთ საფრანგეთის დიდი ნაწილი მოიცვა: ბოვეზია, პიკარდია, ამიენი, ილდეფრანსი, შამპანი. პროტესტი გლეხთა ომში გადაიზარდა. გლეხებს შეუერთდნენ: სოფლის ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, სოფლის მღვდლები. ქრონისტების ცნობით, აჯანყებულთა საერთო რიცხვი 200000 აღწევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვეები მას უწოდებდნენ არააზნაურების ომს აზნაურების წინააღმდეგ, რადგანაც აჯანყების მონაწილეების მიზანი იყო „მოესპოთ ყველა აზნაური და თვით გამხდარიყვნენ ბატონები“.

აჯანყება თავიდან სტიქიური ხასიათისა იყო. ჟაკები (ასე უწოდებდნენ გლეხებს) სპობდნენ საგადასახადო და ფეოდალურ დოკუმენტებს, ანგრევდნენ ციხესიმაგრეებს, კლავდნენ ფეოდალებს. მათ არ ჰქონდათ არანაირი წერილობითი პროგრამა; არ იყო ორგანიზებულობა და არ არსებობდა გაერთიანება. ყოველ რაზმს თავისი ბელადი ჰყავდა, რომლებიც ერთმანეთს არ უკავშირდებოდნენ. ამ მოძრაობაში შედარებითი ორგანიზებულობა სოფლის თემებმა შეიტანეს. აჯანყების პერიოდში იყო მცდელობები ურთიერთდახმარებისა გლეხებსა და ქალაქის პლებეებს შორის. რიგ ქალაქებში ყველაზე ღარიბი ფენები თანაგრძნობას უცხადებდნენ ჟაკებს და კარიბჭესაც უღებდნენ, სთავაზობდნენ ერთად ბრძოლას მდიდარი ქალაქელების წინააღმდეგ. ეტიენ მარსელმა სცადა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა გლეხთა ეს აჯანყება, რათა პარიზისათვის ალყა მოეხსნა. ამის გამო მან ჟაკებს რამდენიმე რაზმიც გაუგზავნა. მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ მან უარი განაცხადა აჯანყებულებთან თანამშრომლობაზე.

აჯანყება ყველაზე უფრო ფართო და ორგანიზებული თვით ბოვეზიაში იყო. აქ გლეხების რაზმის მეთაური იყო გიიომ კალი, რომელმაც სამხედრო საქმე იცოდა და, რაც ყველაზე საინტერესოა, წერა-კითხვაც შეეძლო. მისი ჯარი ყველაზე უფრო ორგანიზებული იყო. მან დანიშნა ცალკეული რაზმების კაპიტნები. იგი ბრძანებებს სამეფო ბეჭდით ადასტურებდა, ხოლო გლეხების დროშაზე მეფის გერბი იყო გამოსახული – შროშანები, რაც გლეხების მონარქისტულ ილუზიებს გამოხატავდა. ისინი იბრძოდნენ ფეოდალებისა და სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ, მაგრამ სჯეროდათ „კეთილი მეფისა“.

აღსანიშნავია, რომ გიიომ კალმა იცოდა აჯანყებულების სუსტი მხარეები, ძირითადად ის, რომ გლეხების გაერთიანება ძნელი იყო. მათ არ ჰქონდათ იარაღი, საჭურველი, არ იყვნენ ომისათვის მომზადებული. გიიომ კალმა გადაწყვიტა, მოკავშირედ რევოლუციური პარიზი გაეხადა. ეს გარემოება ხელსაყრელი იყო პარიზისათვის. ქალაქში ალყის გამო შიმშილი მძვინვარებდა. ეს ხელს უწყობდა ხალხის დიდი მასების რევოლუციიდან ჩამოშორებას, მაგრამ ეტიენ მარსელს გამოუჩნდა დამხმარე ძალა ჟაკების სახით. გიიომ კალმა ბრძოლის შედეგად პარიზს სურსათის მისაღები გზა გაუთავისუფლა. ფეოდალები ჟაკების ამ გამარჯვების შემდეგ დაიბნენ, მაგრამ მალე მოიკრიფეს ძალა და დაიწყეს მზადება აჯანყების ჩასაქრობად. ჟაკების მოკავშირე, ძირითადად, მხოლოდ პარიზი დარჩა. ფრანგმა თავადაზნაურობამ დახმარებისათვის ნავარიის მეფეს, შარლ ბოროტს მიმართა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თავისი ჯარით (რომელსაც ინგლისელი დაქირავებული მეომრები შეადგენდნენ) წამოვიდა აჯანყების ჩასაქრობად.

8 ივნისს სოფელ მელოსთან გლეხობა და ფეოდალები შარლ ბოროტის ხელმძღვანელობით ერთმანეთს შეხვდნენ. რიცხობრივი უპირატესობა ჟაკების მხარეს იყო, მაგრამ ორი დღის განმავლობაში ვერც ერთმა მხარემ ვერ გაბედა ბრძოლის დაწყება. ქრონისტის ცნობით, გიიომ კალს თავისი რაზმისათვის მიუმართავს ბრძოლის წინ და ურჩევია პარიზისაკენ დაეხიათ, სადაც ერთ-ერთ შემოგარენში გამაგრდებოდნენ. ზურგს თვით ქალაქი გაუმაგრებდა. კალს ისიც დაუმატებია, რომ მათ წინააღმდეგ არისტოკრატიას უნდა ებრძოლა, რომელიც შეჩვეული იყო ბრძოლას, მაგრამ გლეხები გამარჯვებებისაგან ფრთაშესხმულნი იყვნენ და უკან დახევას არ აპირებდნენ.

გიიომმა ჯარი საბრძოლველად დაალაგა. 300-კაციან ორ რაზმს წინ ცარიელი ურმები დაუყენა, ფალანგებზე კი ცხენოსნები განალაგა. შარლ ბოროტი ანგლო-ნავარიული ჯარით იყო მოსული. ნავარიის მეფემ ცბიერებას მიმართა და გიიომ კალი სამშვიდობო მოლაპარაკებაზე მიიწვია. კალი ენდო შარლ ბოროტს, რასაც ხელი შუწყო ამ უკანასკნელის ეტიენ მარსელთან კავშირებმაც. ყოველგვარი პირობისა და მძევლების მოთხოვნის გარეშე, კალი მტრის ბანაკში გამოცხადდა. ივი შეიპყრეს, სასტიკად აწამეს და მოკლეს. ამის შემდეგ უმეთაუროდ დარჩენილ ჟაკებს შეუტიეს და გაანადგურეს. აჯანყება ბოვეზიაში ჩააქრეს, რიგ რეგიონებში კი გლეხების ცალკეული რაზმები 1358 წლამდეც მოქმედებდნენ. ფეოდალებმა სასტიკად დასაჯეს აჯანყებულები – ივლისის დამლევამდე მათ 20000 კაცი ამოწყვიტეს.

პარიზის რევოლუციონერები ჟაკებს არ დახმარებიან. ეტიენ მარსელმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ მათ არაფერი საერთო არ ჰქონდათ ჟაკებთან, რაც აიხსნება მისი კავშირით შარლ ბოროტთან.

ჟაკების მიზანი, მოესპოთ ფეოდალები, დაკავშირებული იყო გულუბრყვილო ოცნებასთან „კეთილი მეფის“ მფარველობის ქვეშ თავისუფალ ცხოვრებაზე ბატონობის გარეშე. აჯაყების დროს გამოჩნდა გლეხთა აჯანყებებისათვის დამახასიათებელი სუსტი ორგანიზაცია. თუმცა ამ აჯანყებამ გარკვეულ დონეზე შეაჩერა სენიორების მცდელობა ფეოდალური ექსპლუატაციის გასაძლიერებლად. ასევე საშუალება მისცა პირადად თავისუფალ გლეხს, განვითარებინა მეურნეობა სავაჭრო-სასაქონლო ურთიერთობების პირობებში.

ჟაკერიის დამარცხებამ პარიზის აჯანყების დასასრულიც გამოიწვია. ივნისის ბოლოს დოფინი დიდი ჯარით პარიზს მიუახლოვდა. ეტიენ მარსელი და ქალაქის მმართველობა აშკარა ღალატზე წავიდნენ: მათ გადაწყვიტეს ქალაქში ინგლისელების რაზმის შემოშვება, რომელსაც შარლ ბოროტი ხელმძღვანელობდა. პარიზის ბურჟუაზია, მართალია, მტრობდა დოფინს, მაგრამ ისინი არ იყვნენ ქვეყნის მოღალატეები და მათ არ სურდათ მეფედ შარლ ბოროტი. ამის გამო ეტიენ მარსელი ბევრმა თანამოაზრემ მიატოვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივნისის ბოლოს კი იგი დოფინის მომხრეებმა მოკლეს. მალევე დოფინი ქალაქში შევიდა და ავჯანყების ბელადებს გაუსწორდა. მან გააუქმა გენერალური შტატების მიერ მიღებული რეფორმები, თუმცა მონარქიამ მომხდარიდან გამოცდილება მიიღო. მან ასევე სცადა შტატების ზოგიერთი ადმინისტრაციული დადგენილება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ბრეტინის ზავი. შარლ V ვალუას რეფორმები. 1360 წელს ბრეტინში საფრანგეთმა ინგლისთან ცხრაწლიანი ზავი დადო. ზავის პირობები კომპრომისულ ხასიათს ატარებდა, თუმცა საკმაოდ მძიმე იყო საფრანგეთისათვის. ინგლისის მეფე უარს აცხადებდა საფრანგეთის ტახტზე, მაგრამ, სამაგიეროდ მან მიიღო საფრანგეთის სამხრეთი რეგიონები ლუარიდან პირენეებამდე. ამით თითქმის აღდგა ჰენრი პლანტაგენეტისდროინდელი საზღვრები. საფრანგეთმა იკისრა უზარმაზარი კონტრიბუციის გადახდა 3 მლნ ოქროს ოდენობით. ინგლისმა საფრანგეთის მეფეს ჟან კეთილს გათავისუფლება აღუთქვა, მაგრამ იგი ტყვეობაში გარდაიცვალა 1364 წელს.

ზავი დროებითი იყო: ომის გაგრძელება გარდაუვალი იყო და ამ მიზნებს ემსახურებოდნენ დოფინის რეფორმები, რომელიც მალე საფრანგეთის მეფე შარლ V (1364-1380) გახდა.

შარლის მეფობა რეალურად 1356 წლიდან იწყება. იგი არ შეუშინდა არსებულ უმძიმეს ვითარებას და კარგი მმართველი აღმოჩნდა. მართალია, ბრეტინის ზავი მძიმე იყო საფრანგეთისათვის, მაგრამ მან დადებითი როლიც შეასრულა – საფრანგეთს დასვენების საშუალება მისცა. შარლმა ნაყოფიერად გამოიყენა მშვიდობის პერიოდი და ჩაატარა ფინანსური და სამხედრო რეფორმები.

სამხედრო რეფორმა ითვალისწინებდა მეფის კონტროლის გაძლიერებას ჯარზე. გაძლიერდა მთავარსარდლის – კონეტაბლის ძალაუფლება. 1365 წელს გამოცემულმა ორდონანსმა დააკანონა ჯარის შეკრების ახალი სისტემა. დაქირავებული ჯარისკაცებისაგან იქმნებოდა რაზმები – კომპანიები, რომლებსაც კაპიტნები ხელმძღვანელობდნენ. ამ კომპანიების გაერთიანებას პოლკი ეწოდებოდა, რომელსაც სათავეში კოლონები ედგნენ. მუდმივი გახდა გენერლების, კოლონებისა და კაპიტნების თანამდებობები. ჯარისკაცებს ჯამაგირი მხოლოდ ომის დროს ეძლეოდათ. კაპიტანი თავად ქმნიდა კომპანიებს, წვრთნიდა და აცხოვრებდა ჯარისკაცებს. თუმცა ამ რეფორმას უარყოფითი მხარეც ჰქონდა – არ იყო რეგულარული ჯარი. ომის შემდეგ ჯარისკაცები მძარცველებად იქცეოდნენ. კაპიტნები ათასგვარ ხრიკებს მიმართავდნენ შემოსავლის მისაღებად – ქირაობდნენ ნაკლები რაოდენობის ჯარისკაცებს, რომ ფული თავად მიეთვისებინათ. უარყოფით მხარეს წარმოადგენდა უცხო ჯარისკაცების მიღებაც. შემოღებულ იქნა ქვეითი ჯარიც, რომელიც არმიის ძირითადი ბირთვი ხდება. მათ ასწავლეს მშვილდისა და არბალეტის მოხმარება. შარლ V-ის დროს ქვეით ჯარს დაბალი ფენიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსული ჯარისკაცები შეადგენდნენ, რომლებიც ყველაზე მეტად იყვნენ მეფის ერთგულნი. შარლ V დიდ თანამდებობებზე იმ პირებს ნიშნავდა, რომლებიც გამორჩეულნი იყვნენ სამხედრო ნიჭით და არა მაღალი ადგილით ფეოდალურ იერარქიაში. კონეტაბლად დაინიშნა ბრეტონელი უბრალო რაინდი დიუგეკლენი, ნიჭიერი და ფრთხილი მთავარსარდალი.

შარლ V-მ აკრძალა ტურნირების ჩატარება. ამ პერიოდშივე დაიწყეს დიდი გემების მშენებლობა, რომელსაც ადმირალი ჟან რენიერი ედგა სათავეში, მან საკმაოდ ძლიერი ფლოტი შექმნა. ფრანგებმა ინგლისელებზე უკეთესი ქვემეხების მშენებლობა დაიწყეს.

ამ რეფორმებისა და ტაქტიკის შეცვლის წყალობით, კერძოდ, წვრილი თავდასხმების ტაქტიკის შემოღებით, დაიწყო საფრანგეთის სამხედრო წარმატებები. 1364 წელს კოშრელთან ომის დროს, დიუგეკლენმა შარლ ბოროტი დაამარცხა. XIV საუკუნის 70-იან წლებში ინგლისელები ქვეყნის სამხრეთისაკენ განდევნეს. მათ მხოლოდ ბორდო, ბაიონი და ამათ შორის მდებარე სანაპირო ზოლი დარჩათ.

სამხედრო რეფორმებს ზურგს ფინანსური რეფორმებიც უმაგრებდა. 1363 წელს შეკრებილმა გენერალურმა შტატებმა მთავრობას ნება მისცა, დაეწესებინა საკომლო გადასახადი – ფუაჟი. 1369 წელს კი არაპირდაპირი გადასახადი სასმელებით ვაჭრობაზე – აიდი. შეიქმნა საბჭო, რომელიც გადასახადების ამკრეფს ეხმარებოდა. მნიშვნელოვანი იყო მარილის გადასახადი გაბელი. შეიცვალა საგადასახადო ორგანოს აპარატიც. გაჩნდა ახალი თანამდებობები, რომლებზედაც მეფე უშუალოდ ნიშნავდა კანდიდატურებს.

გადასახადების გარდუვალმა გადიდებამ, რომელიც ძირითადად სოფლისა და ქალაქის საშუალო ფენებს აწვა, გამოიწვია კლასობრივი და სოციალური ბრძოლის ახალი გამწვავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIII

ინგლისის განვითარება XIV საუკუნეში უოტ ტაილერის აჯანყება



ინგლისი XIII-XIV სს. უოტ ტაილერის აჯანყება

1 – შალის გატანის უმსხვილესი ცენტრები XIII-XIV საუკუნეებში; 2 – ბარონთა ომის პერიოდის უმსხვილესი ბრძოლები; 3 – 1381 წლის აჯანყების ჩრდილოეთი საზღვარი; 4 – აჯანყების დაწყების რაიონი; 5 – აჯანყებულთა ყველაზე აქტიური მოქმედების რაიონი; 6 – ქალაქები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში; 7 – გლეხთა ლაშქრობა ლონდონში.

ასწლიანი ომის I პერიოდის წარმატების მნიშვნელობა ინგლისისათვის. XIV საუკუნის დასაწყისს ინგლისი შოტლანდიაში წარმოებული დაპყრობითი ომებით შეხვდა. თავისი ჩრდილოელი მეზობლის დამორჩილებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ ედუარდ I-მა (1272-1309) წამოიწყო 1286 წელს. შოტლანდიის მეფის ალექსანდრე III-ის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში დამკვიდრებული ანარქიის საპირისპიროდ ბევრმა შოტლანდიელმა ფეოდალმა ედუარდ მეფის ძლიერ ხელისუფლებას დაუჭირა მხარი. თუმცა თავისუფლების დაკარგვას გლეხობა და ქალაქელები არ შერიგებიან და 1297 წლიდან მოსახლეობის საყოველთაო აჯანყებას სათავეში ჩაუდგა უილიამ უოლესი, ერში სახალხო გმირად აღიარებული. 1306 წლიდან ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში უბრალო ხალხის მხარდამხარ რაინდები, ეკლესია და ქალაქები ჩაებნენ. 1314 წელს შოტლანდიის ტახტის ერთ-ერთი მემკვიდრის შთამომავალმა რობერტ ბრიუსმა სასტიკად დაამარცხა ინგლისელთა ჯარი, რომელსაც მეფე ედუარდ II სარდლობდა და ქვეყანას პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოუპოვა. 1328 წელს ინგლისის ახლად არჩეული მეფე ედუარდ III (1327-1377 წ.) იძულებული გახდა ოფიციალურად ეცნო შოტლანდიის სახელმწიფოებრიობა.

ინგლის-შოტლანდიის ბრძოლა თავისი არსით ტიპური შუასაუკუნეობრივი ომი იყო, რომელიც მეფე-ბარონებისათვის ახალი მიწების მოპოვებას ისახავდა მიზნად. ამ ბრძოლებში ჩამოყალიბდა მძლავრი, საბრძოლველად განწყობილი წარჩინებულთა ფენა, რომელმაც მაშინაც კი შეინარჩუნა რაინდული განწყობა, როდესაც ინგლისში ფეოდალიზმი თანდათან დაცემისაკენ მიდიოდა.

ასწლიანი ომი უკვე ახალი ტიპის ომი იყო. იგი, პირველ რიგში, სავაჭრო ინტერესებს ემსახურებოდა და მხოლოდ გარეგნულად, თავისი ფორმით ჯერ კიდევ შუასაუკუნეობრივ ხასიათს ინარჩუნებდა.

შოტლანდიაში მარცხს ინგლისი ძალზე ადვილად შეეგუა და ყურადღება საფრანგეთზე გადაიტანა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი იმ ფაქტორმა ითამაშა, რომ შოტლანდია და ირლანდია ინგლისის ვაჭრობის განვითარებისათვის რეალურ რესურსებს არ ფლობდა და ნაკლებ მდიდარი იყო, ვიდრე საფრანგეთი. ამ უკანასკნელში კი ორი მხარე შედიოდა, რომელთაც ინგლისისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა — ფლანდრია, ინგლისური მატყლის მთავარი მყიდველი და მაუდის წარმოების ცენტრი და გასკონია — ინგლისის მეფეთა ფეოდალური სამფლობელო, ღვინისა და მარილის მთავარი მიმწოდებელი და რკინის იმპორტის ძირითადი ბაზა. ამგვარად, ასწლიანი ომი ინგლისის სავაჭრო ფენის ინტერესების დაკმაყოფილებას და მიწათმფლობელთა გეგმებს ემსახურებოდა მატყლისა და შალის ვაჭრობის ზრდის საქმეში. ასწლიანი ომის მიზანი ინგლისის, ფლანდრიისა და გასკონიის პოლიტიკური გაერთიანება იყო, რადგან სავაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ურთიერთობებით ისინი უკვე დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან. ძირითადი სამხედრო მოქმედებებიც სწორედ ფლანდრიასა და გასკონიაში წარმოებდა.

მიუხედავად ინგლისის საბოლოო გამარჯვებისა ასწლიანი ომის პირველ ეტაპზე, რომელიც ბრეტინის ზავით დასრულდა 1360 წელს, ედუარდმა ფლანდრიაში სასურველ მიზანს ვერ მიაღწია. მან მიიღო მხოლოდ საფრანგეთის ნაწილი ლუარის სამხრეთით და ქალაქი კალე, რომელიც კრესის ბრძოლის შემდეგ წელს აიღო. კალეს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც მატყლის ექსპორტის ცენტრს.

მართალია, ინგლისმა ვერ შეძლო ფლანდრიის შემოერთება, მაგრამ ამ ფაქტმა დადებითი როლი შეასრულა სამამულო შალის წარმოების განვითარებაში. სამეფო ხელისუფლებამ დაიწყო ფლამანდელი ხელოსნების ქვეყანაში მოწვევა. მაუდის ოსტატებს, რომლებიც განთქმული იყვნენ მთელ ევროპაში, უამბობდნენ, თუ რა ბედნიერები იქნებოდნენ ინგლისში რომ გადასულიყვნენ საცხოვრებლად და თავიანთი ხელოვნების საიდუმლო ჩაეტანათ – ეს მათი კეთილდღეობის საფუძველი გახდებოდა. ინგლისი გახდა ქვეყანა, რომელიც უკვე ძირითადად მაუდს აწარმოებდა. მეორე ადგილზე გადაინაცვლა მატყლის, როგორც ნედლეულის წარმოებამ და გასაყიდად საზღვარგარეთ გატანამ. უკვე XV საუკუნეში ქვეყანა ფარავდა საკუთარი ბაზრის მოთხოვნილებებს და მაუდის საზღვარგარეთ გატანას შეუდგა.

ვაჭრობის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ინგლისის სოფლებში სასაქონლო-ფულადი მეურნეობის ადრეულმა განვითარებამ. გლეხები შინამრეწველობისათვის აუცილებელ მატყლსა და ფულს ვაჭარ-შემსყიდველებისაგან ღებულობდნენ, რითაც თანდათან მათზე დამოკიდებულნი ხდებოდნენ. სამაგიეროდ, მაუდის მრეწველობა უფრო ვითარდებოდა და თუ XIV საუკუნემდე ინგლისიდან ძირითადად მატყლი გაჰქონდათ სავაჭროდ, ამიერიდან უმთავრეს საქონელს შეულებავი მაუდი წარმოადგენდა. ქვეყნის მეურნეობაში ძირითად ადგილს მეცხვარეობა და მაუდის წარმოება იკავებდა. ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მრეწველობა ქალაქის ბაზაზე ვითარდებოდა, ინგლისში მრეწველობის ცენტრად სოფელი იქცა. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ სოფელში საამქრო წყობილება არ ჩამოყალიბებულა, მუშა-ხელი იაფი იყო და წარმოება ეროვნულ ნიადაგზე ვითარდებოდა.

ინგლისელი ფეოდალი ვაჭრობას სათაკილო საქმედ არ მიიჩნევდა და ამ საქმიანობას ინტენსიურად მისდევდა. ყოველ თავისუფალ მიწის მესაკუთრეს, მიუხედავად მისი წარმოშობისა, უფლება ჰქონდა და ვალდებულიც იყო რაინდი გამხდარიყო, თუ მისი წლიური შემოსავალი 20 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ამის წყალობით, ინგლისის თავადაზნაურობა სხვა წოდებათაგან გამოსული ხალხით ივსებოდა. ამავე დროს, გაღატაკებული აზნაური მიწის სამფლობელოების დაკარგვით საკუთარ წოდებას ემშვიდობე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. რაინდები ხშირად ქორწინდებოდნენ ვაჭართა ქალებზე. რაინდთა უმცროსი ვაჟები სავაჭრო ასპარეზს ირჩევდნენ ხოლმე. ხოლო ვაჭრები და მაუდის მრეწველობით გამდიდრებული გლეხები, რომლებმაც გაღატაკებულ თავადაზნაურთა მიწები შეისყიდეს, მათ ადგილს იკავებდნენ ფეოდალურ კლასში.

აქედან გამომდინარე, მკვეთრი ზღვარისა და ურთიერთდაპირისპირების არარსებობა რაინდებსა და მოქალაქეებს შორის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა როგორც ვაჭრობა-მრეწველობის, ისე ქალაქების განვითარებისათვის. თუ „საშინელი სამსჯავროს წიგნის“ ეპოქაში ინგლისში 80-მდე ქალაქი იყო, ედუარდ I (1272-1309 წწ.) პარლამენტში 165 ქალაქის წარმომადგენელს იწვევდა. საფრანგეთის გენერალური შტატებისაგან განსხვავებით, სადაც სამივე წოდება ცალ-ცალკე იკრიბებოდა და ფეოდალთა და მოქალაქეთა შორის მძაფრი ბრძოლა წარმოებდა, ინგლისის პარლამენტში რაინდები და ბურჟუაზია ქვედა პალატაში ერთობლივ გადაწყვეტილებებს ღებულობდა. წოდებათა შორის მკვეთრი დაპირისპირების არარსებობით ინგლისის პარლამენტმა გაცილებით მეტი პოლიტიკური როლი და სიცოცხლისუნარიანობა მოიპოვა, ვიდრე საფრანგეთის გენერალურმა შტატებმა.

XIV საუკუნეში პარლამენტის გავლენა და კომპეტენცია თანდათან გაფართოვდა. მან ჯერ კიდევ XIII საუკუნის ბოლოს მოიპოვა ხელისუფლებაზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი – გადასახადებზე ნებართვის გაცემის უფლება. 1297 წელს ედუარდ I იძულებული გახდა გამოეცა სტატუტი „გადასახადის ნებადაურთველობის შესახებ“: „ამიერიდან არავითარი გადასახადი ან შესაწირავი არ იქნება შეწერილი ან გადახდევინებული ჩვენს სამეფოში ჩვენს ან ჩვენ მემკვიდრეთა მიერ ჩვენი სამეფოს არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსებისა და სხვა პრელატების, გრაფების, ბარონების, რაინდების, ქალაქელთა და სხვა თავისუფალ კაცთა ნება-სურვილისა და საერთო თანხმობის გარეშე“. ამრიგად, მეფემ პირობა დადო, რომ პარლამენტთან შეთანხმების გარეშე სამეფოში ახალ გადასახადს არ შემოიღებდა. მოგვიანებით პარლამენტმა განიმტკიცა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადების დამტკიცების უფლება, ხოლო XIV საუკუნის ბოლოს გადასახადებით მიღებული თანხების გაკონტროლებაც პარლამენტს დაეკისრა. გაძლიერებაში პარლამენტს ასწლიანი ომის გამო ქვეყანაში შექმნილი ვითარებაც დაეხმარა. მეფე, რომელსაც ომის წარმოებისათვის ფული სჭირდებოდა, ახალი გადასახადების შემოღების თხოვნით პარლამენტს ხშირად მიმართავდა. ამ უკანასკნელმა თანდათან საკანონმდებლო უფლებაც განიმტკიცა. კანონების ანუ სტატუტების გამოცემა მეფისა და პარლამენტის ზედა პალატის ერთობლივი დასტურით ხდებოდა. ზოგჯერ ისინი თემთა პალატასაც მიმართავდნენ ხოლმე თანხმობისათვის. უკვე XV საუკუნეში სტატუტის გამოცემისათვის ორივე პალატის თანხმობა აუცილებელი გახდა.

ინგლისში ვაჭრობა-მრეწველობაზე ძირითადი აქცენტის გადატანამ მეორე საქონლეობის ფართო გავრცელება გამოიწვია, რისთვისაც სულ უფრო მეტი საძოვარი მიწები ხდებოდა საჭირო. სწორედ ამიტომ ქვეყანაში იმატა ლორდების მიერ სათემო მიწების დატაცებამ და საძოვრებისათვის შემოღობვამ. შემოღობვები თავისუფალ გლეხთა გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევდა, რამაც ჯერ კიდევ 1235 წელს ჰენრი III იძულებული გახადა გამოეცა სპეციალური დადგენილება – მერტონის სტატუტი. ამ კანონის მიხედვით, ლორდებს სათემო მიწების შემოღობვის ნება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდათ, თუ თავისუფალ გლეხებს საკმარისი მიწა რჩებოდათ.

პარალელურად, ინგლისში სულ უფრო ფეხს იკიდებდა საბატონო ბეგარის ფულადი რენტით შეცვლა, რაც ქვეყანაში ვაჭრობა-მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების თანამდევი პროცესი გახდა. თუმცა ფულადი რენტის შემოღებას ყმა-გლეხების მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. მან მხოლოდ ხელი შეუწყო მათ ქონებრივ დანაწილებას, მცირერიცხოვანი შეძლებული ფენის გამოყოფასა და მრავალრიცხოვანი მცირემიწიანი გლეხობის კატეგორიის შექმნას, რომლებიც იძულებული ხდებოდნენ მოჯამაგირეობით ერჩინათ თავი. დაქირავებული შრომა ბევრად უფრო პროდუქტიული იყო ყმა-გლეხთა შრომასთან შედარებით. მოჯამაგირეები ლორდისაგან აღარ მოითხოვდნენ განსაკუთრებულ კონტროლს, ამასთან, უფრო დაინტერესებული იყვნენ სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებით. მებატონეები ქირაობდნენ მწყემსებსა და სხვა მოხელეებს, რამაც ჯერ კიდევ შემორჩენილი მონობა საბოლოოდ გააძევა.

ერთი სიტყვით, ფულადი რენტის დამკვიდრებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ყმა-გლეხის ლორდზე დამოკიდებულება თანდათან შემცირდა, სულ უფრო მრავალრიცხოვანი გახდა დაქირავებულ მუშათა კატეგორია და ლორდი იძულებული იყო საკუთარი მიწების დამუშავებისათვის ქირა გადაეხადა.

1066-1348 წლებში მოსახლეობის რაოდენობა ინგლისში მილიონ შვიდასორმოცდაათი ათასიდან სამნახევარ მილიონამდე გაიზარდა, რაც შუა საუკუნეებისათვის მართლაც შთამბეჭდავი მაჩვენებელი იყო. მოსახლეობის ასეთი ზრდა ცხოვრების უსაფრთხო პირობებზე მიუთითებს. თუმცა უკვე ასწლიანი ომის მიმდინარეობამ თავისი გავლენა იქონია როგორც მოსახლეობის რიცხოვნობაზე, ისე მათი ცხოვრების დონეზე. ომის სიმძიმემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების დაცემასთან ერთად, ინგლისის ეკონომიკური აღმავლობა შეაჩერა. თუ ადრე ქვეყანაში დასამუშავებელი მიწების ნაკლებობა იგრძნობოდა, ამჟამად აშკარა იყო დაქირავებული მუშახელის უკმარისობა.

სწორედ ასეთ ვითარებაში ინგლისს თავს დაატყდა საშინელი უბედურება. 1348 წელს, კრესისთან ბრძოლიდან ორი წლის შემდეგ, ქვეყნის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებში გავრცელება დაიწყო შავი ჭირის ეპიდე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიამ. იგი აღმოსავლეთიდან მოედო მთელ ევროპას და „შავი სიკვდილის“ სახელი მიიღო. უკვე 1349 წელს ბრიტანეთის დიდი ნაწილი, მათ შორის შოტლანდია და ირლანდია დაავადებული იყო. შავი ჭირი ძირითადად სასიკვდილო დაავადება იყო და მან მთელი მოსახლეობის ერთი მესამედი შეიწირა. ზოგიერთ მხარეში მთელი სოფლები ამოწყდა. ასეთივე მდგომარეობაში იყო მთელი ევროპა.

სოფლის მეურნეობა დაცემის გზაზე აღმოჩნდა. აღარავინ იყო, ვისაც მიწის დამუშავება შეეძლო. ერთ წელიწადში პურზე ფასმა ორჯერ მოიმატა, რამაც შრომის ანაზღაურების გაზრდა გამოიწვია. უკვე 1349 წელს მოსავლის აღებისათვის მუშის ფასი ძალზე გაიზარდა და ისინი თავიანთ პირობებსაც კი კარნახობდნენ ლორდებს. მუშახელის ნაკლებობის გამო მსხვილი მიწათმფლობელები იძულებული იყვნენ ყველაფერზე წასულიყვნენ, რამაც ხელფასების არარეალური ზრდა გამოიწვია.

სწორედ ამ პრობლემებით იყო გამოწვეული პარლამენტის მოწვევა 1350 წელს, რომელიც თითქმის მთლიანად მიწათმფლობელებისაგან შედგებოდა. პარლამენტი შეეცადა დაერეგულირებინა ხელფასების არარეალური ზრდის პროცესი და მიიღო სტატუტი „მუშათა კანონმდებლობის შესახებ“, რომლის მიხედვით:

„ყოველი ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც 60 წელს არ გადასცილებია და არ გააჩნია საარსებო საშუალება, ვალდებულია ქირით წავიდეს იმასთან, ვინც მას მოსთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაექვემდებარება ციხეში ჩასმას, ვიდრე პირობას არ დადებს, რომ მუშაობას დაიწყებ-ს“.

„თუ მუშა ან მსახური მიატოვებს სამსახურს ვადის ამოწურვამდე, მას ციხეში ჩასვამენ“.

„ხელფასი მსახურებს უნდა გადაუხადონ წინანდელი ნიხრით, არაფრით მეტი“.

„თუ ვინმე დაიწყებს ნებადართულზე მეტი ხელფასის აღებას, დაპატიმრებული იქნება“.

„მუშებს სამრეწველო საქონელი უნდა მიჰყიდონ მისაღებ ფასში“.

ამ კანონმდებლობამ ვერ გაამართლა და საჭირო გახდა მისი ხელახალი რედაქტირება და გამოცემა. 1357 და 1360 წლებში იგი კვლავ გამოიცა. ყოველი ახალი სტატუტი უფრო ამკაცრებდა სასჯელს, მაგრამ ლორდები საკუთარ გამოცემულ კანონებს თვითონვე არღვევდნენ, რადგან მათ საკუთარ მამულებსა და ყანებში მოსავალი ლპებოდა და ყველასთან მიდიოდნენ ნებისმიერ გარიგებაზე, ოღონდ მუშა ეპოვათ. „მუშათა კანონმდებლობის“ მარცხი „კეთილმა პარლამენტმა“ 1376 წელს აშკარად აღიარა და დაასკვნა: „თუ ბატონები მათ უწყრებიან ცუდი მუშაობისათვის ან სთავაზობენ სამსახურს სტატუტებით დადგენილი პირობებით, ისინი მოულოდნელად გარბიან, სტოვებენ სამსახურსაც და თავიანთ კუთხესაც, გადადიან საგრაფოდან საგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფოში, ქალაქიდან ქალაქში, უცხო ადგილებში, მათი პირველი ბატონებისათვის მიუწვდომელში. მრავალი კი ხდება ამბოხებებისა და არეულობის წამომწყები და უკეთურ ცხოვრებას ეწევა და ამ მუშების უმეტესობამ, დღე არ გავა, რომ რომელიმე უკანონობა ან ქურდობა არ ჩაიდინოს".

„შავმა სიკვდილმა" არა მარტო დაქირავებულ მუშებს მოუტანა უფრო მაღალი ანაზღაურება და თავისუფლება, არამედ ასეთივე უპირატესობები მიანიჭა გლეხებსაც. იმ გლეხებს, რომლებიც თავიანთი ბეგარისათვის ფიქსირებულ ფულად რენტას იხდიდნენ, ფასების მომატებით რენტა ორჯერ შეუმცირდათ. ისინი კი, ვინც, ლორდებთან ჯერ კიდევ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბატონებს აიძულებდნენ მათთვის ხელფასები გადაეხადათ და ისიც საუკეთესო პირობებით. ინგლისურ სოფელში ბრძოლა სწორედ ამ ცვლილებების გამო განვითარდა. რასაკვირველია, მებატონეები ცდილობდნენ, რომ ისინი, ვინც ფულად რენტას იხდიდნენ, იძულებული გაეხადათ შრომითი ბეგარით გასწორებოდნენ და ახალი კომუტაციების ყოველ მოთხოვნაზე უარით პასუხობდნენ. თუმცა მამულის რეალური ღირებულება იმით განისაზღვრებოდა, თუ რამდენი ყმა-გლეხი მუშაობდა მიწაზე და იმ შემთხვევაში, როცა ძალზე მიუღებელი პირობებით დაკავებას ცდილობდა, მიწათმფლობელი ხშირად მუშახელის გარეშე რჩებოდა. გაქცეულ ყმას, დაჭერის შემთხვევაში, მკაცრი სასჯელი ელოდა, თუმცა მათი დაჭერის შანსი ძალზე მცირე იყო. ნებისმიერი მემამულე საუკეთესო პირობებს სთავაზობდა გლეხს და კანონგარეშე მათ მიღებას არ ერიდებოდა. ხშირად გლეხები ქალაქში გარბოდნენ, სადაც თავისუფლებას ღებულობდნენ. სწორედ აქედან წარმოიშვა გამოთქმა: „ქალაქის ჰაერი თავისუფლებას ანიჭებს".

ძველმა სასოფლო თემმა, სადაც გლეხთა ოჯახები თაობების მანძილზე ცხოვრობდნენ, რღვევა დაიწყო. ჩამოყალიბდა მოქირავნე მუშებისა და გლეხების ახალი ფენა, რომლებიც ადგილიდან ადგილზე და მამულიდან მამულში გადადიოდნენ. „შავი სიკვდილის" შედეგების იძულებით აღკვეთას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა ბევრი ყმა-გლეხი კვლავ იძულებული იყო იმ პირობებში ეცხოვრა, რომელსაც მას თავს ახვევდნენ.

თავის მხრივ, მემამულეები ცდილობდნენ ექსპლუატაციის ახალი მეთოდები მოეძებნათ. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის იყო ძალზე ზომიერი რენტით მიწების გაცემისას არსებული კონკურენციის გამოყენება. თუ თავიდან რენტა გლეხის მიერ გაწეული შრომითი ბეგარის ფულად გამოხატულებას წარმოადგენდა, უკვე მოგვიანებით, მისი რაოდენობა მიწის საფასურისა და მისგან მოწეული მოსავლის შესაბამისად ინიშნებოდა. აქედან გამომდინარე, ხშირად წვრილი გლეხობა ვეღარ ახერხებდა მიწის ნაკვეთის რენტის გადახდას და იძულებული ხდებოდა დაქირავებული შრომით ერჩინა თავი.

მეორე მეთოდი, რომლითაც მემამულეები თავის გადარჩენას ცდილობდნენ, მიწის მფლობელობის ახალი ტიპის შემოღება იყო — მიწის გაქირა-

ვება საქონლითა და შრომის იარაღებით. ხელშეკრულება რამდენიმე წლით იდებოდა. მემამულე ვალდებული იყო დამქირავებლისათვის მიეწოდებინა ყველა საჭირო ინვენტარი, თუმცა ვადის ამოწურვის შემდეგ მოქირავნეს მიწა, საქონელი და იარაღები კარგ მდგომარეობაში უნდა დაებრუნებინა. თავდაპირველად ასეთი პირობებით გაქირავებული მიწის ნაკვეთები მცირე ზომის იყო, თუმცა მოგვიანებით იგი თანდათან იზრდებოდა და მოიჯარეები თვითონ იწყებენ დაქირავებული შრომის გამოყენებას.

ორივე ეს ახალი მეთოდი მნიშვნელოვანი საფეხური იყო კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბებისაკენ, როდესაც მიწა გახდა ადგილი, სადაც ფულის დაბანდებით კარგი შემოსავლის მიღება ხდებოდა. პირადი დამოუკიდებლობა, რომელიც მანორის ნატურალურ მეურნეობას ახასიათებდა, თანდათან წამგებიანი გახდა და მისი რღვევის პროცესი დაიწყო. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ XIV საუკუნის ინგლისში ადგილი ჰქონდა ქვეყნის მასშტაბით კლასობრივი ბრძოლის მაგალითს. გლეხები და დაქირავებული მუშები, რომლებმაც ცოტა ხნით იგრძნეს თავისუფლება და კეთილდღეობა, სენიორალური რეაქციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ლორდები იძულებული იყვნენ შეჰგუებოდნენ თავიანთი მიწებიდან შემცირებული მოგების მიღებას და ამჟამად ცდილობდნენ ყოველგვარი ხერხებით მიეღწიათ ძველი პოზიციების დაბრუნებისათვის. სწორედ ასეთმა სიტუაციამ წარმოშვა 1381 წლის დიდი გლეხთა აჯანყება, რომელიც ისტორიაში უოტ ტაილერის აჯანყების სახელითაა ცნობილი.

ვილანებს სამი საშუალება ჰქონდათ, რომ ლორდების სურვილს, დაებრუნებინათ ისინი უკან, ბატონყმურ ურთიერთობებში, წინ აღდგომოდნენ. პირველი საშუალება გაქცევა იყო. ეს ყველაზე ადვილი მეთოდი იყო, თუმცა მისი გამოყენება მხოლოდ მარტოკაცს შეეძლო. ოჯახიანი გლეხისათვის გაქცევა შეუძლებელი იყო. ამიტომ რჩებოდა ორი დანარჩენი საშუალება — ორგანიზაციის ჩამოყალიბება და შეიარაღებული აჯანყება.

ყველაზე მამაცი და მიზანსწრაფული ვილანები, რომლებიც გარბოდნენ და მთელ ქვეყანას ედებოდნენ, სათავეში უდგებოდნენ გლეხურ კავშირებს, რომელიც თანდათან იზრდებოდა და საერთო ინგლისურ სახეს ღებულობდა. 1377 წელს გამოცემული სტატუტი სწორედ ასეთი მოძრაობისადმი შიშის გამოხატულება იყო. ვილანები, ნათქვამია სტატუტში, „ემუქრებიან მამულების მოურავებს დასახიჩრებითა და მკვლელობით და, ამის გარდა, იკრიბებიან დიდ ჯგუფად და მოლაპარაკებებს აწარმოებენ, რომ ერთი დაეხმარება სხვას, ძალით წინაღუდგნენ თავიანთ მემამულეს; და კიდევ მრავალ სხვა ბოროტებას სჩადიან ისინი მრავალი საშუალებებით, რითაც დიდ ზიანს აყენებენ მემამულეებს და ცუდ მაგალითს აძლევენ დანარჩენებს“.

გლეხობის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ასწლიანი ომის მიმდინარეობა. 1369 წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის საბრძოლო მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმედებანი განახლდა. მაგრამ საფრანგეთის თავადაზნაურობამ და ქალაქის მოსახლეობის ზედაფენამ, რომლებიც ომის პირველ ეტაპზე განცდილი მარცხითა და გლეხობისა და ღატაკი პარიზელების რევოლუციური მოძრაობით იყვნენ დაშინებული, მეფის ხელისუფლების ირგვლივ შემოკრება დაიწყეს. ახალმა მეფემ შარლ V-მ მთელი რიგი ფინანსური და სამხედრო რეფორმები გაატარა. ინგლისელები საფრანგეთის ტერიტორიაზე ზედიზედ მარცხდებოდნენ. აკვიტანია ინგლისის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა და 1375 წელს, ინგლისს, დროებითი ზავის პირობებით მხოლოდ რამდენიმე სანაპირო ქალაქი შერჩა საფრანგეთში.

დამოკიდებულება რომის პაპებთან. ასწლიანი ომის მსვლელობისას განცდილმა მარცხმა ინგლისში რომის პაპებთან დამოკიდებულების გამწვავება გამოიწვია. 1305 წლიდან მოყოლებული, პაპების ტახტი რომიდან ავინიონში გადაიტანეს და ე.წ. „ავინიონის ტყვეობა" დაიწყო, როდესაც პაპებად მხოლოდ ფრანგები ირჩეოდნენ. რასაკვირველია, რომის პაპი საფრანგეთის სამეფო ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი იყო. ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, ინგლისში პაპის სასარგებლო გადასახადის — საეკლესიო მეათედის აკრეფა სულ უფრო დიდი წინააღმდეგობას იწვევდა. მით უმეტეს, სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან შედარებით, ინგლისს ყველაზე მძიმე გადასახადი ჰქონდა დაკისრებული. სამეფო ხელისუფლებამ დაიწყო პაპებზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება. 1353 წელს გამოცემულ იქნა სტატუტი, რომელიც კრძალავდა ინგლისის ქვეშევრდომთა საქმეების გადატანას პაპის სასამართლოში. ედუარდ III-მ უარი განაცხადა ჯერ კიდევ ჯონ უმიწაწყლოს დროს შემოღებული ათასი გირვანქა სტერლინგის პაპისათვის გადახდაზე. ასწლიანი ომის მსვლელობისას, ინგლისის ეკლესია, რომელიც აურაცხელ სიმდიდრეს ფლობდა, ყოველი საშუალებით არიდებდა თავს სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახადების გაღებას. მაშინ, როცა ქვეყნიდან პაპის სასარგებლოდ აკრეფილი უამრავი თანხა გადიოდა. ასეთი დამოკიდებულება სამეფო ხელისუფლებისა და პარლამენტის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

ინგლისის ეკლესია პაპისტებად და ანტიპაპისტებად დაიყო. შავი სამღვდელოება პაპის ხელისუფლების განმტკიცებისათვის იბრძოდა. ეპისკოპოსები, რომლებიც სახელმწიფო აპარატის მუშაობაში იყვნენ ჩაბმულნი და საერო და სასულიერო წოდებებს ითავსებდნენ, უფრო მტრულად იყვნენ პაპისადმი განწყობილნი. ისინი პაპის ლეგატებისათვის მდიდარი ბენეფიციუმების გადაცემისა და მეათედის საზღვარგარეთ გატანის წინააღმდეგნი იყვნენ, რაც სამეფო ხელისუფლების ინტერესებს ემთხვეოდა.

ამ ტენდენციას მიემხრნენ რაინდობა და ბურჟუაზია, რომლებიც არა მარტო პაპის ლეგატების ალაგმვას, არამედ მდიდარი ეკლესიის რეფორმის იდეით გამოდიოდნენ. სწორედ ამ მიმდინარეობის წარმომადგენელი იყო ოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ვიკლეფი. იგი საჯაროდ ილაშქრებდა პაპის ძალაუფლების წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ პაპს არ ჰქონდა უფლება ინგლისისათვის გადასახადის გადახდა მოეთხოვა. 1370 წელს ვიკლეფმა მონასტრების მდიდარი სამფლობელოების კონფისკაციის ქადაგება დაიწყო. მისი მოწოდებები საზოგადოების ყველა ფენაში პოპულარული გახდა. ქალაქის ღატაკი მოსახლეობა, რომელსაც სძულდა ეკლესია მის მიერ წარმოებული ყვლეფის გამო, ვიკლეფს გმირს უწოდებდა. მსხვილი ლორდებისათვის მისი მოწოდებები ეკლესიის მიწების კონფისკაციისათვის მომხიბლავი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ამ მიწებით თავიანთი ქონების გაზრდას იმედოვნებდნენ. ვიკლეფს უამრავი მხარდამჭერი გამოუჩნდა თვით სამრევლო მღვდლებს შორისაც, რომლებიც თვალნათლივ ხედავდნენ განსხვავებას თავიანთ სილატაკესა და სამონასტრო ორდენების აურაცხელ სიმდიდრეს შორის.

პაპმა ვიკლეფის გასამართლება მოითხოვა და ლონდონის საეკლესიო სასამართლომ მისი საქმის განხილვა დაიწყო. თუმცა მოქალაქეები სასამართლო დარბაზში შეცვივდნენ და ეპისკოპოსები აიძულეს ვიკლეფის გასამართლება შეეწყვიტათ. სამეფო ხელისუფლებამ იგი მფარველობის ქვეშ მიიღო.

ამის შემდეგ ვიკლეფის მოწოდებები უფრო გაბედული გახდა. მან ეკლესიის საფუძვლიანი რეფორმის მოთხოვნა დაიწყო და კათოლიკური ეკლესიის ძირითადი დოგმების კრიტიკით გამოდიოდა. იგი უარყოფდა მღვდლებს, ბევრ საეკლესიო წესებს, ინდულგენციებს, საიდუმლო აღსარებას, წმინდანთა თაყვანისცემას. ვიკლეფი ქადაგებდა, რომ საეკლესიო საიდუმლოებებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საღვთო წერილის შესწავლასა და მის გავრცელებას. იმისათვის, რომ ხალხი გასცნობოდა სარწმუნოების ერთადერთ წყაროს – სახარებას, ვიკლეფმა და მისმა მოსწავლეებმა ბიბლია ლათინურიდან ინგლისურად თარგმნეს და ინგლისის ყველა კუთხეში მოსახლეობას უკითხავდნენ. ვიკლეფი აცხადებდა, რომ უმჯობესია ადამიანმა პატიოსნად და საქმიანად იცხოვროს, ვიდრე მონასტერში ჩაიკეტოს.

ასეთი იდეების ქადაგებამ ვიკლეფს თავისი პირვანდელი მფარველები არისტოკრატიაში და სამეფო ხელისუფლებაში დააკარგვინა. მისი მოძღვრება გაკიცხეს, ხოლო ვიკლეფი ოქსფორდის უნივერსიტეტიდან გააძევეს. ასეთმა დამოკიდებულებამ უფრო მეტი შედეგი გამოიღო. ვიკლეფმა მთელ ინგლისში დაგზავნა თავისი მოწაფეები – ღარიბი მღვდლები, ანუ ლოლარდები. ისინი, ხამი შალის ანაფორებში გამოწყობილნი, სოფელ-სოფელ დადიოდნენ და მდიდარი, მჩაგვრელი ეკლესიის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. სახალხო მქადაგებლებმა დიდი მხარდაჭერა მოიპოვეს წვრილ მიწათმფლობელებსა და აღმოსავლეთ ინგლისის ხელოსნებში. თანდათანობით ლოლარდებმა ხალხის მჩაგვრელი ფეოდალებისა და მეფის მოხელეთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგაც დაიწყეს გამოსვლები. „როდესაც ადამი ხნავდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევა ართავდა, ვინ იყო მაშინ აზნაური?“ – მიმართავდნენ ისინი მსმენელებს. განსაკუთრებული დამაჯერებლობით გამოირჩეოდა ლოლარდი ჯონ ბოლი. იგი საეკლესიო მეათედის გაუქმებას, ეკლესიის სიმდიდრის ჩამორთმევასა და სხვა რევოლუციურ იდეებს ქადაგებდა. ეკლესიამ იგი გაასამართლა და კენტერბერის არქიეპისკოპოსის სატუსაღოში გამოკეტა.

ლოლარდების გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ 1382 წელს თემთა პალატამ მეფესა და ლორდთა პალატას ერეტიკოსების დაპატიმრების გამარტივების შესახებ ორდონანსის გაუქმება მოსთხოვა. თუმცა მოგვიანებით, უკვე 1401 წლიდან ლოლარდების სასტიკი დევნა დაიწყო. ეკლესია მათ კოცონზე დაწვას მოითხოვდა. თანდათან ლოლარდებმა თავიანთი გავლენა მოსახლეობაში დაკარგეს და იატაკქვეშა მოღვაწეობაზე გადავიდნენ. თუმცა, როდესაც XVI საუკუნეში ინგლისში პროტესტანტობის გავრცელება დაიწყო, მან ძალზე სწრაფად და ღრმად მოიკიდა ფეხი სწორედ იმ რაიონებში, სადაც ვიკლეფის მოძღვრებას ბევრი მიმდევარი ჰყავდა.

უოტ ტაილერის აჯანყება. ედუარდ III-ის მემკვიდრის რიჩარდ II-ს დროს (1377-1399) ასწლიანი ომი განახლდა, თუმცა ინგლისი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საფრანგეთის ხომალდები ინგლისის სანაპიროებს აოხრებდნენ, ხოლო საფრანგეთის ტერიტორიაზე ინგლისელთა ჯარები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. ომი ინგლისის ხელისუფლებას ძალზე ძვირი უჯდებოდა, რამაც პარლამენტი აიძულა არაპოპულარული ნაბიჯი გაედგა – 1377 წელს მიღებული საყოველთაო გადასახადით ყოველ ინგლისელს დაევალა 7 გროტის ანუ 4 პენსის გადახდა. 1379 წელს გადასახადი ხელახლა დააწესეს და აკრიფეს. 1380 წელს შემოღებული ახალი საყოველთაო გადასახადი გაასამკეცეს და ერთი შილინგი გახადეს.

სწორედ ეს უკანასკნელი საყოველთაო გადასახადი და მისი აკრეფის დროს მეფის მოხელეთა მიერ ჩადენილი უსამართლობები გახდა უკანასკნელი წვეთი, რომელმაც გლეხების მოთმინების ფიალა აავსო. ისინი ისედაც დაჩაგრულნი იყვნენ ფეოდალური რენტის ზრდით, სათემო მიწების დატაცებით, საბატონო ბეგარის აღდგენით და სხვა. არ არსებობდა არც ერთი ფენა ინგლისელი ვილანებისა, რომლებიც გაბოროტებული არ ყოფილიყვნენ ფეოდალთა და მთავრობის წინააღმდეგ. ყმაგლეხობის ზედაფენა, რომელიც ვაჭრობაში ჩაება და პურის, საქონლის, მატყლის ყიდვა-გაყიდვით გამდიდრდა, სიძულვილით იყო განწყობილი ბატონყმობის მიმართ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ისინი თანდათანობით მსხვილ მიწათმფლობელებად ყალიბდებოდნენ, პირადი თავისუფლება მაინც ვერ მოიპოვეს. საშუალო შეძლების გლეხები, რომლებიც ყმაგლეხობის ძირითად მასას წარმოადგენდნენ, ყველაზე მეტად დაზარალდნენ ფეოდალური რენტის ზრდითა და საბატონო ბეგარის აღდგენით. რაც შეეხება უღარიბეს გლეხობას, რომელიც უმთავრესად საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავებით ცხოვრობდა, ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად იჩაგრებოდა მუშათა კანონმდებლობისა და ლორდების მიერ სათემო მიწების დატაცების გამო.

1381 წლის მაისის ბოლოს ესექსის საგრაფოში გლეხები მძიმე გადასახადების წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათ გარეკეს გადასახადების ამკრეფები და მეფის მოხელეები, განსაკუთრებით საძულველი პირები დახოცეს. აჯანყებულებს ახალ-ახალი რაზმები უერთდებოდათ, რომლებიც მხოლოდ კეტებით, ცელებითა და ფიწლებით იყვნენ შეიარაღებული. თუმცა მალე გლეხების აგრესია ფეოდალების წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაში გადაიზარდა. გლეხები განსაკუთრებული სიშმაგით საეკლესიო ფეოდალებს — ეპისკოპოსებსა და აბატებს უსწორდებოდნენ. ისინი იკლებდნენ მონასტრებსა და მემამულეთა კარ-მიდამოებს, მიერეკებოდნენ პირუტყვს, მიჰქონდათ ქონება და წვავდნენ დოკუმენტებს, რომლებშიც გლეხების ვალდებულებები იყო ჩამოწერილი. ხშირად გლეხთა მოძრაობას ქალაქის ღატაკი მოსახლეობაც უჭერდა მხარს.

ყველაზე ორგანიზებული აჯანყება ლონდონის მეზობელ საგრაფოებში — ესექსსა და კენტში მიმდინარეობდა. კენტელმა გლეხებმა საპყრობილედან გაათავისუფლეს სახალხო მქადაგებელი ჯონ ბოლი, რომელიც ლოლარდებს შორის ყველაზე პოპულარული იყო და მეთაურადაც აირჩიეს. ჯონ ბოლმა კიდევ უფრო დიდი სიმძაფრე შეიტანა ფეოდალების წინააღმდეგ გლეხთა განწყობაში. იგი შეურიგებლობას ქადაგებდა ხალხის მჩაგვრელების წინააღმდეგ და ყველას სენიორებისა და მეფის მსაჯულების დახოცვისაკენ მოუწოდებდა. ბოლის ქადაგებით, ინგლისის საქმეები მხოლოდ მაშინ გამოსწორდება, როდესაც მთელი ქონება საერთო გახდება, როდესაც ვილანები და აზნაურები აღარ იქნებიან და ყველა თანასწორუფლებიანობას მოიპოვებს. ამბოხების საერთო მეთაური იყო მესახურავე ხელოსანი უოტ ტაილერი, რომლის სახელის მიხედვით 1381 წლის აჯანყებას უწოდებენ „უოტ ტაილერის აჯანყებას“.

უოტ ტაილერმა გლეხებს ლონდონის ასაღებად მოუწოდა. ესექსისა და კენტის გლეხობა ორ დიდ რაზმად მიადგა ლონდონს. ლონდონის მერმა ქალაქის ჭიშკრის ჩაკეტვა ბრძანა, თუმცა ქალაქის ღატაკმა მოსახლეობამ ხელი შეუშალა. გლეხთა მოძრაობამ გულშემატკივრები ლონდონის მამასახლისებს შორისაც მოიპოვა. ისინი მეფისა და მისი მრჩევლების პოლიტიკით უკმაყოფილონი იყვნენ, რადგან ასწლიანი ომის მიმდინარეობამ ბურჟუაზია დააზარალა და ინგლისის საგარეო ვაჭრობა სრულიად გააჩანაგა. ზოგიერთმა მამასახლისმა, რომლებიც მდიდარ ვაჭართა წარმომადგენლები იყვნენ, გლეხთა ამბოხების გამოყენება გადაწყვიტა ხელისუფლების დასაშინებლად და გლეხები ქალაქში შეუშვა. ამბოხებულებმა ხალხისათვის საძულველი პირების სახლები დაარბიეს და გადაწვეს, დაამტვრიეს სატუსაღოს კარები და პატიმრები გაათავისუფლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხებმა ალყა შემოარტყეს ციხესიმაგრე ტაუერს, რომელშიც მეფე რიჩარდ II იმყოფებოდა. მეფე დამორჩილდა მათ მოთხოვნას და ტაუერიდან გამოვიდა მოსალაპარაკებლად. ამით ისარგებლეს გლეხებმა, ციხესიმაგრეში შეცვივდნენ და იქ დიდკაცები დახოცეს. მათ შორის იყო კენტერბერის არქიეპისკოპოსიც.

მეფე რიჩარდ II ამბოხებულ გლეხებს მაილ-ენდში შეხვდა. მათ მეფეს თავიანთი მოთხოვნები წაუყენეს, რომელმაც მაილ-ენდის პროგრამის სახელწოდება მიიღო. გლეხები მოითხოვდნენ ბატონყმობის გაუქმებას, საბატონო ბეგარის მოსპობასა და დაბალი ფულადი რენტის (ერთ აკრ მიწაზე 4 პენსის) შემოღებას, ინგლისის ყველა ქალაქსა და დაბაში თავისუფალი ვაჭრობის დაშვებასა და ამნისტიას ამბოხებულთათვის. მეფე იძულებული გახდა ამბოხებულთა მოთხოვნები მიეღო და მათ დაკმაყოფილებაზე თანხმობა მიეცა. სამაგიეროდ, ავჯანყებულ გლეხთა ერთი ნაწილი ჩამოსცილდა თანამოძმეებს და სახლებში დაბრუნდა. ღატაკი გლეხობა მოლაპარაკების შედეგებით უკმაყოფილო დარჩა. მათ მიწა და მუშათა კანონმდებლობის გაუქმება სჭირდებოდათ, რაზედაც მეფის დაპირებებში საუბარი არ ყოფილა. ამიტომ უოტ ტაილერი და ჯონ ბოლი ღატაკ გლეხებთან ერთად კვლავ ლონდონში დარჩნენ და მეფესთან ხელახალი შეხვედრა მოითხოვეს. ამავდროულად, ქალაქის ღარიბ-ღატაკობამ თავისი საძულველი პირების დარბევა დაიწყო. თავდაპირველად ხალხის რისხვა უცხოელებს — ფლანდრიელებსა და იტალიელებს დაატყდათ თავს. ფლანდრიელები ასწლიანი ომის დროს ჩასული მდიდარი მრეწველები იყვნენ, რომლებიც ინგლისში დიდ საწარმოებს აწყობდნენ და მუშებსა და წვრილ ოსტატებს ამუშავებდნენ. იტალიელები ძირითადად მევახშეობით იყვნენ დაკავებულნი. ლონდონელებმა საძულველი უცხოელების დარბევის შემდეგ ინგლისელი ვაჭრების სახლ-კარის დაწიოკებაც დაიწყეს. ამ პროცესებმა ძალიან შეაშინა ლონდონელ მდიდართა ფენა და გაერთიანება დაიწყეს მეფის მოხელეებთან ქალაქის ღატაკებისა და ამბოხებული გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად. მეფე რიჩარდ II იძულებული გახდა ხელმეორედ შეხვედროდა გლეხებს სმიტფილდში. ამბოხებული გლეხობის დიდი ნაწილი, რომლებიც მეფესთან მივიდნენ მოსალაპარაკებლად, კენტის საგრაფოს მცხოვრებნი იყვნენ. კენტი კი დანარჩენი საგრაფოებისაგან ორი ნიშნით გამოირჩეოდა — აქ თითქმის არ იყვნენ ყმები და ყველაზე მცირემიწიანი ოლქი იყო. კენტელი გლეხების დიდ უმეტესობას მცირემიწიანი ღარიბი მოსახლეობა შეადგენდა.

სმიტფილდში წარმოდგენილი მოთხოვნები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მაილენდის პროგრამისაგან. გლეხები ყველა კანონის გაუქმებას მოითხოვდნენ, გარდა ედუარდ I-ის მიერ გამოცემული კანონისა, რომელიც პირადი და ქონებრივი უშიშროების გარანტიებს აწესებდა. ამასთან, აყენებდნენ საკითხს, რომ საეკლესიო მიწები მოსახლეობას დარიგებოდა, სენიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ყველა პრივილეგიები გაუქმებულიყო და წოდებები გათანაბრებულიყო. სმიტფილდის პროგრამა ბატონყმობის გაუქმებასაც ითხოვდა, რითაც იგი მაილენდის პროგრამას ემსგავსებოდა.

უოტ ტაილერი, რომელმაც მეფეს კენტელი გლეხების მოთხოვნები გადასცა, ამბოხებულებისა და სამეფო ამალის წინ მოკლა ლონდონის მერმა, რადგან მან თავისი მოქმედებებით მეფე შეურაცხყო. ეს გახდა ნიშანი. სამეფო ხელისუფლების მომხრე ძალებმა გლეხები ალყაში მოაქციეს, მათ თვალწინ უოტ ტაილერის სხეულს თავი მოკვეთეს და სარზე ჩამოაცვეს. მეფემ შეშინებული გლეხობა, რომლებიც უმეთაუროდ დარჩენის შემდეგ მას დანაშაულის შენდობას ევედრებოდა, დაამშვიდა და მიტევებას შეჰპირდა.

გლეხები იმ რწმენით დაიშალნენ, რომ ყველა მათი მოთხოვნა შესრულდებოდა. მათ გადაწყვიტეს აღარ ეხადათ საბატონო ბეგარა და თავისუფალ ხალხად თვლიდნენ თავს. მაგრამ მეფის სახელით საგრაფოებში დაიგზავნა ბრძანება და ყველა რაინდს ლონდონში თავმოყრა ებრძანა. რაინდთა რაზმები შინ დაბრუნებულ გლეხებს დაედევნენ და ცალკ-ცალკე ამოხოცეს ისინი. ყველა აჯანყებულ რაიონში მეფის მსაჯულები სასტიკად გაუსწორდნენ გლეხებს. მემატიანის თქმით, ყველა ქალაქსა და სოფელში სახრჩობელები იყო აღმართული. ლონდონში ბაზრის მოედანზე იდო კუნძი, რომელზეც ამბოხებაში მონაწილე მოქალაქეებს თავს სჭრიდნენ. საშინელი წამებით მოკლეს ამბოხების ბელადები, მათ შორის ჯონ ბოლი. მეფემ მთელ სამეფოში დაგზავნა ბრძანება, რომლის ძალითაც გლეხები უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ სენიორებს და შეესრულებინათ ყველა ის ვალდებულება, რომელთაც ამბოხებამდე ასრულებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ უოტ ტაილერის აჯანყება დამარცხდა, მას უკვალოდ არ ჩაუვლია. მემამულეები ძალიან შეშინებულები იყვნენ და ვეღარ ბედავდნენ საბატონო ბეგარის მოთხოვნასა და ვალდებულებების გაზრდას. 1382 წელს პარლამენტმა ახალი გადასახადი დააწესა, რომელიც ამჯერად მხოლოდ მიწათმფლობელებზე ვრცელდებოდა და ეს ნაბიჯი ქვეყნის სიღარიბით გაამართლა. სამეფო ხელისუფლება და პარლამენტი იძულებული გახდა უარი ეთქვა „მუშათა კანონმდებლობით“ დაწესებული ჯამაგირის შეზღუდვაზეც.

1381 წლის შემდეგ კიდევ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში აქა-იქ იფეთქებდა ხოლმე ვილანების აჯანყებები და გლეხთა კავშირები აგრძელებდნენ ბრძოლას უფრო მაღალი ხელფასებისათვის. XV საუკუნეში თითქმის ყველა გლეხი ფულად გადასახადზე იქნა გადაყვანილი და შრომითი ბეგარა გაუქმდა. უკვე XV საუკუნის ბოლოს ქვეყანაში ყმაგლეხობა თითქმის აღარ დარჩა, რადგან მათ საკუთარი თავისუფლების გამოსყიდვა მოახერხეს. ყმაგლეხები თავისუფალ ფერმერებად ან დაქირავებულ მუშებად გადაიქცნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XIV

ინგლისი და საფრანგეთი უოტ ტაილერის აჯანყების შემდეგ

რიჩარდ II-ს (1377-1399) მმართველობის ხანაში ინგლისში უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ძვრები ხდება. ვითარდება მრეწველობა და ვაჭრობა, იზრდება სასაქონლო-ფულადი მეურნეობის როლი. წვრილ და საშუალო ფეოდალთაგან ყალიბდება ახალი აზნაურობა, რომელიც თანდათან კარგავს სამხედრო ხასიათს და ცხოვრობს არა გლეხის ექსპლოატაციით, არამედ დაქირავებული შრომის გამოყენებითა და პროდუქტის გაყიდვით. ამის გამო ამ ფენის ინტერესები სულ უფრო უახლოვდება ვაჭართა ზედაფენის ინტერესებს. თუმცა ახალი აზნაურობა (ჯენტრი) ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ძლიერ პოლიტიკურ ძალას; ხოლო მემამულეთა ზედაფენა უწინდებურად ფეოდალური რენტით ცხოვრობს. ამ უკანასკნელთ ხელთ ეპყრათ უზარმაზარი ქონება და სახელმწიფოს მართვაში ხელმძღვანელ მდგომარეობასაც ინარჩუნებდნენ. ისინი გარს იკრებდნენ დაქირავებულ სამხედრო ამალას („ლივრეები“) და აშკარა ტერორს მიმართავდნენ სიმდიდრისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ასწლიან ომში, დაზავების პერიოდში, როცა ეს ძველი აზნაურობა (რომლისთვისაც ომი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო) ინგლისში იყრიდა თავს, ქვეყანას ფეოდალური ანარქია არყევდა.

ბუნებრივია, რიჩარდ II ვერ ურიგდებოდა ფეოდალურ ანარქიას, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას ასუსტებდა. მან 1386 წელს დააარსა ახალი ორგანო — საიდუმლო საბჭო, რომელიც მეფის მტრებსა და კანონის დამრღვევებს ასამართლებდა.

კიდევ უფრო ენერგიული იყო რიჩარდ II-ს 1389 წლის ნაბიჯი, რომელიც ფეოდალური თვითნებობის ალაგმვასა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას ითვალისწინებდა. თავდაპირველად მეფის ამ მცდელობას თემთა პალატამ მხარი დაუჭირა. რიჩარდს მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა ლონდონის ბურჟუაზიამაც, მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ ფეოდალური ანარქიის წინაშე მეფე უძლური აღმოჩნდა. გარდა ამისა, მან ვაჭრები უკანონოდ დაბეგრა, რითაც მათი უკმაყოფილება გამოიწვია. თავისი არათანმიმდევრული პოლიტიკით რიჩარდმა მოსახლეობის ქვედა ფენებს მოლოდინი გაუცრუა, მაშინ, როცა პლანტაგენეტთა გვერდითი შტოს წარმომადგენლები უკვე იბრძვიან ტახტისთვის. განსაკუთრებით ლანკასტერები აქტიურობდნენ. დაპირისპირება ჯონ გონტის (მეფის ბიძის) ვაჟთან, ჰერდფორდის ჰერცოგ ჰენრისთან მეფისთვის საბედისწეროც კი გამოდგა. მეფემ მოახერხა ძლიერი მოწინააღმდეგე 1398 წელს ქვეყნიდან გაეძევებინა, მაგრამ იგი შემდეგ წელს დაბრუნდა. ჰენრის მხარი აუბა რიჩარდის აბსოლუტისტური მისწრაფებებისადმი მტრულად განწყობილმა ჩრდილოეთის ბარონთა დიდმა ნაწილმა. მათ ისარგებლეს პირველივე საბაბით მეფის წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაალმდეგ გამოსასვლელად. 1399 წელს რიჩარდ II ირლანდიაში ავჯანყების ჩასახშობად გაეშურა. ჩაახშო კიდეც, მაგრამ უკან დაბრუნებული მეამბოხეთა (რომლებმაც მისი მმართველობით გამოწვეული სხვადასხვა ფენის უკმაყოფილებაც გამოიყენეს) ხელში აღმოჩნდა. მათ მეფე აიძულეს ტახტზე უარი ეთქვა სიცოცხლის შენარჩუნების პირობით. ავჯანყებულებმა, რომლებმაც ტახტზე ჰენრი ჰერდფორდი ანუ ჰენრი IV ლანკასტერი აიყვანეს, პირობა დაარღვიეს და პლანტაგენტთა პირდაპირი შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი რიჩარდ II 1400 წელს საპყრობილეში დაახრჩვეს.

წარუმატებელი იყო ინგლისის საგარეო პოლიტიკაც. ასწლიანი ომის მეორე პერიოდი მისთვის მეტად არასასურველად წარიმართა. საფრანგეთის კონეტაბლმა დიუგეკლენმა დამპყრობლებს ქვეყნის თითქმის მთელი სამხრეთ-დასავლეთი წაართვა. XIV საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებისათვის ინგლისელებმა საფრანგეთში შეინარჩუნეს მხოლოდ ზღვისპირა ვიწრო ზოლი ქალაქებით – ბორდო და ბაიონა, რამდენიმე სიმაგრე მდ. დორდონზე და კალე. ინგლისელები რომ ასწლიანი ომის მეორე პერიოდში მარცხს-მარცხზე განიცდიდნენ, გარკვეულწილად განაპირობა იმანაც, რომ მათ აღარ ჰყავდათ ძველებურად სახელოვანი სარდლები (ედუარდ III დაბერდა; სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული მისი უფროსი ვაჟი (შავი პრინცი) მამაზე ადრე გარდაიცვალა). წარმატებას ვერც რიჩარდ II-მ მიაღწია, მის მიერ კონტინენტზე გაგზავნილ ექსპედიციებს შედეგი არ მოჰყოლია. ომი ძვირი ჯდებოდა, საგადასახადო სისტემა კი ცუდად მუშაობდა. ომისათვის განკუთვნილი გადასახადები კერძო პირებს ხმარდებოდა, რაც იქცა კიდეც უოტ ტაილერის ავჯანყების ერთ-ერთ მიზეზად. ამიტომაც იყო, რომ რიჩარდ II საფრანგეთთან სამშვიდობო პოლიტიკისაკენ გადაიხარა. მან თავისი ეს პოზიცია ფრანგ პრინცესაზე დინასტიური ქორწინებითაც განამტკიცა და მეფობის მიწურულს, 1396 წელს საფრანგეთთან დადო კიდეც ზავი, რომელიც 28 წელი არ დარღვეულა.

აქტიური საგარეო პოლიტიკისათვის ვერც ძალით მოსულმა ჰენრი IV (1399-1413) მოიცალა, მას მრავალი პრობლემა შეექმნა ქვეყნის შიგნით, ვერ აღმოფხვრა ფეოდალური ანარქია.

რაც შეეხება შესაბამისი პერიოდის საფრანგეთს, ისიც ფეოდალური ანარქიის ასპარეზი გახდა. შარლ V-ს სიკვდილის შემდეგ ტახტი დაიკავა თორმეტი წლის შარლ VI-მ (1380-1422). მას რეგენტებად დაენიშნა ბიძები – ბურგონისა (ბურგუნდიის) და ანჟუს ჰერცოგები. გახდა თუ არა სრულწლოვანი, შარლ VI-მ თვითონ დაიწყო სამეფოს მართვა. მაგრამ გართობის მოყვარული მეფე ნიჭიერი მმართველი ვერ გამოდგა. ამასთან, მალე ფსიქიკურად დაავადდა და ძალაუფლება ხელში ჩაუვარდათ სამეფო გვარის პრინცებს, რომლებიც ერთმანეთში აწარმოებდნენ სასტიკ ბრძოლას. ამან სამეფოში ფეოდალური ანარქია გააძლიერა, რასაც საგარეო საფრთხის პირობებში შეიძლებოდა გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინა ქვეყნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც XIV საუკუნისათვის სამეფო დომენი მნიშვნელოვნად გაიზარდა, საფრანგეთის მეფეებმა შემოიღეს წესი, რომელიც ეროვნული მთლიანობისათვის საზიანო გამოდგა: სამეფო დომენში ახლად შემოერთებულ სამთავროებს უმცროს შვილებს გამოუყოფდნენ ხოლმე საუფლისწულოებად – ე. წ. აპანაჟებად (ეს მიწები განსხვისებას აღარ ექვემდებარებოდა). ძლიერი სამეფო ხელისუფლების დროს ასეთი აპანაჟების არსებობა დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა, მაგრამ შარლ VI-ს დროს გაიზარდა აპანაჟთა მფლობელების დამოუკიდებლობა და, შესაბამისად, მათი სეპარატისტული მისწრაფებანი. საფრანგეთში რამდენიმე აპანაჟი არსებობდა. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანი – ორლეანის საჰერცოგო, რომლის მფლობელი ლუი ორლეანელი მეფის ძმა იყო და დიდძალ მიწებს ფლობდა ცენტრალურ საფრანგეთში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბურგონის აპანაჟი. ეს საჰერცოგო საუფლისწულოდ ჯერ კიდევ ჟან კეთილმა გადასცა შვილს, ფილიპეს – შარლ V-ს უმცროს ძმას, რომელმაც თავისი მდგომარეობა ფლანდრიისა და არტუას მემკვიდრეზე ქორწინებითაც გაიმაგრა. ბურგონის ჰერცოგებმა თავიანთი სამფლობელოს გაძლიერება საღვთო რომის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ბურგუნდიის საგრაფოს შემოერთებითაც განაპირობეს. ისინი მიისწრაფვიან დამოუკიდებელი ხელისუფალნი გახდნენ, რადგან მათი მიწების ნაწილი საღვთო რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. საფრანგეთში არსებობდნენ სხვა, თუმცა ზემოდასახელებულებთან შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი აპანაჟებიც.

შარლ VI-ს მეფობისას აპანაჟების მმართველთა დამოუკიდებლობის განუხრელი ზრდა ორ ფეოდალურ დაჯგუფებას შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. ერთს სათავეში ედგნენ ორლეანის ჰერცოგები და მათი ნათესავი სამხრეთელი გრაფები – არმანიაკები. ვინაიდან ორლეანელისტთა შორის ყველაზე გავლენიანი წევრი ბერნარ არმანიაკი იყო, ამიტომ ამ დაჯგუფებამ „არმანიაკთა“ სახელწოდება მიიღო; მეორეს კი სათავეში ბურგონის ჰერცოგები ჩაუდგნენ. გაჩალებული სისხლისღვრა „ბურგინიონებსა და არმანიაკებს შორის ბრძოლის“ სახელითაა ცნობილი. სამეფო ხელისუფლების სისუსტით კი ორივე დაჯგუფება სარგებლობდა: ზრდიდნენ თავიანთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას კუთვნილ სამფლობელოებსა და აპანაჟებში.

ბურგინიონებიცა და არმანიაკებიც ხაზინის ძარცვითა და საგადასახადო თუ ადმინისტრაციული ძალმომრეობით გამოირჩეოდნენ. ამ პერიოდში ინგლისთან დიდი საომარი ოპერაციები შეწყვეტილი იყო და ნაკლებ ხარჯს მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, გადასახადები სულ უფრო იზრდებოდა, რამაც ქალაქსა და სოფელში საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია, რომლის ტალღამაც 1379-1384 წლებში განსაკუთრებული სიმწვავით გადაუარა ქვეყანას. გაზრდილი გადასახადების გამო აჯანყება სამხრეთის ქალაქებმა (მონპელიე, ალე, ნიმა, კლერმონი...) დაიწყეს. მთავრობა დათმო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაზე წავიდა და გადასახადები შეამცირა, მაგრამ, როდესაც მათი ხელახლა აწევა მოინდომა – 1382 წელს კვლავ დაიწყო გამოსვლები როგორც პარიზში, ასევე ქვეყნის ბევრ ქალაქში (ამიენი, სენ-კანტენი, ლანი, სუასონი, რეიმსი, ორლეანი). პარიზში ე. წ. „მეუროების აჯანყება" მოხდა. ქალაქელთა გამოსვლებს გლეხთა მღელვარება მოჰყვა, განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთით იმ რაიონებში, სადაც ჟაკერია მიმდინარეობდა. სამხრეთში კი (ლანგედოკი, ოვერნი, პუატუ, დოფინე) ნამდვილი გლეხთა ომი გაჩაღდა, რომელმაც იმაზე დიდი ტერიტორია მოიცვა, ვიდრე თავის დროზე ჟაკერიამ. აჯანყებული გლეხობა, რომელსაც ქალაქის ღარიბობაც შეუერთდა, „ტუშენების" (ტყეში შეფარებული) სახელით იყვნენ ცნობილნი. ახალი მძიმე გადასახადის შემოღების მიზეზით დაწყებული გამოსვლები ეკლესიის, დიდგვაროვნებისა და ვაჭართა წინააღმდეგ ომში გადაიზარდა. მართალია, 80-იანი წლების შუა ხანებისათვის მთავრობამ ძირითადად ყველა ამ აჯანყების ჩახშობა მაინც მოახერხა, მაგრამ მას მოუხდა დროებით გაეუქმებინა მოსახლეობისათვის საძულველი გადასახადი – ფუაჟი და XV საუკუნის დასაწყისამდე გადასახადის აწევას ვეღარც ბედავდა.

დაუსრულებელმა ფეოდალურმა ანარქიამ მალე კვლავ გამოიწვია უკმაყოფილო ქალაქელებისა და გლეხთა გამოსვლები. პარიზი არა მარტო როგორც საფრანგეთის დედაქალაქი, არამედ როგორც დასავლეთ ევროპის უმსხვილესი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი, არმანიაკებისა და ბურგინიონებისათვის მნიშვნელოვან სამიზნეს წარმოადგენდა. მისი ხელში ჩაგდება ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების ტოლფასი იყო. მაგრამ პარიზი შეეწინააღმდეგა ასეთ მისწრაფებას.

1413 წელს მოწვეულმა გენერალურმა შტატებმა მკვეთრად დაგმო შინაომი და ფეოდალური დაჯგუფების ხელში მყოფი სამეფო მმართველობის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. მან ფეოდალური ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა შეიმუშავა, თუმცა გენერალურ შტატებს ძალა არ შესწევდა თავისი პროგრამა ცხოვრებაში განეხორციელებინა. მაშინ საგადასახადო სიმძიმით აღშფოთებულმა პარიზელმა ხელოსნებმა, წვრილმა ვაჭრებმა და ღარიბობამ 1413 წლის 22 მაისს აჯანყება მოაწყო ყასაბი კაბოშის მეთაურობით, რომლის სახელის მიხედვითაც ამ მოძრაობას კაბოშინების აჯანყება ჰქვია. ბურგონის ჰერცოგმა ჟან უშიშარმა, პარიზელთა მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, თავდაპირველად კაბოშინებს მხარი დაუჭირა. მეამბოხეებმა ხელთ იგდეს ბასტილია და გამოსცეს კაბოშინური ორდონანსი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული, ფინანსური და სასამართლო რეფორმების გეგმა დაისახა. ივი პარიზის უნივერსიტეტის მონაწილეობით იქნა შემუშავებული. აჯანყებაში პოლიტიკური მოტივებიც ფიგურირებდა. ბურგინიონთა წაქეზებით კაბოშინებმა გაჟლიტეს არმანიაკთა ის ნაწილი (მათ ბრალდებოდათ შექმნილი გაუსაძლისი ვითარება), რომელმაც ქალაქიდან გასვლა ვერ მოასწრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყებულები ითხოვდნენ ქვეყანაში წესრიგის დამყარებას, გადასახადების შემცირებასა და მათი აკრეფის მოწესრიგებას. მთავრობა იძულებული გახდა გაეტარებინა რეფორმები არმიაში, სასამართლო და ფინანსურ უწყებებში. რიგი ღონისძიებების გატარებამ, რომლებშიც ძირითადად ხელოსანთა ამქრების ინტერესები იყო გათვალისწინებული, პატრიციატი უკმაყოფილო დატოვა. ხოლო, როდესაც აჯანყებაში ქალაქის უღარიბესი ფენები მასობრივად ჩაებნენ და ბურგონის ჰერცოგმა აჯანყებულებზე თავისი გავლენა დაკარგა, მან პარიზელები ბედის ანაბარა მიატოვა. მართალია, ქალაქი სამი თვე კაბოშინების ხელში იყო, მაგრამ აგვისტოს დამლევს ძალაუფლებას პატრიციატი დაეუფლა, რომელთა აგენტმა პარიზში არმანიაკები შეუშვა. ქალაქს დაეუფლნენ თუ არა, არმანიაკები დაუნდობლად გაუსწორდნენ აჯანყებულებს და კაბოშინური ორდონანსიც გააუქმეს.

ყველაფრის მომცველი ანარქია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ასუსტებდა და ინგლისელებს, რომლებიც გადამწყვეტი მოქმედებებისათვის ემზადებოდნენ, იოლი გამარჯვების იმედს აღუძრავდა. ლანკასტერთა დინასტიის წარმომადგენელმა ჰენრი V-მ (1413-1422), რომელმაც მამის სიცოცხლეშივე გამოავლინა სამხედრო ნიჭი, გადაწყვიტა ქვეყნის შიგნით დაგროვილი რელიგიური, სოციალური თუ პოლიტიკური სირთულეები საგარეო პრობლემაზე ყურადღების გადატანით განემუხტა. მას კარგად ესმოდა თავის დროზე ბარონებმა რატომ აითვალწუნეს რიჩარდ II – მან ხომ საფრანგეთთან ომს დაზავება ამჯობინა. ახლა კი ასწლიანი ომის განახლებისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰენრის თვით საფრანგეთში შექმნილი ვითარება უქადდა. პარიზის დატოვების შემდეგ შამპანის საგრაფოში დამკვიდრებულმა ბურგონის ჰერცოგმა მოლაპარაკებები ინგლისელებთან აწარმოა. ამ ეტაპზე ბურგინიონების დამოკიდებულება ნეიტრალიტეტით განისაზღვრა, რაც საფრანგეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების სრული უგულებელყოფა იყო და მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. ჰენრი V-მ არ დაახანა და 1415 წელს ასწლიანი ომი განაახლა. დაიწყო ომის მესამე ეტაპი.

1415 წელს ინგლისელთა არმია მეფის ხელმძღვანელობით ნორმანდიაში გადავიდა მდ. სენას შესართავთან და პიკარდიის გავლით კალეს მიმართულებით დაიძრა. შინაომებით გამოფიტულ საფრანგეთს შარლ V-ს რეფორმებით წინა პერიოდში შექმნილი სამხედრო ორგანიზების ყველა სტრუქტურა მოშლილი ჰქონდა. ამიტომაც აზენკურთან (კალეს სამხრეთით) ინგლისელთა არმიას კვლავ ცუდად ორგანიზებული ფრანგული ფეოდალურ-რაინდული ლაშქარი დაუპირისპირდა არმანიაკების სარდლობით. აზენკურის ბრძოლაში ფრანგები სასტიკად დამარცხდნენ. ინგლისელებმა უამრავი ტყვე იგდეს ხელთ, მათ შორის ჰერცოგი შარლ ორლეანელიც. ამ ბრძოლამ დასცა არმანიაკების ავტორიტეტი, ხოლო ინგლისელებს საშუალება მისცა შეტევა უფრო სწრაფად და ენერგიულად განევითარებინათ: მათ მალე ნორმანდია და მენი დაიკავეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ასწლიანი ომის მესამე და უკანასკნელი ეტაპი (1415-1453)

1 – ინგლისელების მიერ ოკუპირებული ტერიტორია 1415-1429 წლებში; 2 – ჰერცოგ ბურგუნდიელის სამფლობელო; 3 – საფრანგეთის მეფის მიწები; 4 – ფრანგული ჯარის გზა ჟანა დ'არკის მეთაურობით; 5 – ინგლისელების წინააღმდეგ პარიზის ბრძოლის რაიონები 1424-1433 წლებში; 6 – საფრანგეთის სამეფოს საზღვრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა 1416 წლიდან, როდესაც ბურგონის ჰერცოგი ჟან უშიშარი (1404-1419) ღიად ეხმარება ინგლისელებს. ეს უკვე სახელმწიფო ღალატი იყო. ფრანგებს ჯერ ჩრდილოეთში, ხოლო შემდეგ ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზეც ბურგინიონები ისეთივე მტრებად მოევლინენ, როგორც ინგლისელები. ჟან უშიშარისა და მისი მემკვიდრის, ფილიპე კეთილის დროს (1419-1476) მიმდინარეობს ბურგონის საჰერცოგოს დამოუკიდებელ მამულად გადაქცევის პროცესი: მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი სამფლობელო, შეიქმნა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. „დასავლეთის დიდი ჰერცოგის“ ტიტულის მფლობელი ფილიპე კეთილი სამეფო გვირგვინსაც უმიზნებდა. ბურგონის საჰერცოგო პოლიტიკურად ცუდად შეკრულ ოლქთა კავშირს წარმოადგენდა (საკუთრივ ბურგონს ნიდერლანდური მიწებისაგან სამეფო დომენის მიწები ჰყოფდა). მიუხედავად ამისა, საჰერცოგომ, რომელსაც ინგლისელების დახმარებით სურდა თავისი მიზნის მიღწევა გამთლიანება და თუ საფრანგეთის არა, დამოუკიდებელი სამეფო გვირგვინის მოპოვება მაინც), უდიდესი საფრთხე შეუქმნა საფრანგეთის გაერთიანებას. საქმე განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც დოფინთან საერთო ენის გამონახვის მცდელობისას (ჟან უშიშარს არ მოეწონა, რომ ჩრდილოეთ საფრანგეთში ინგლისელები სრულ ბატონ-პატრონობას იჩემებდნენ), დოფინის გარემოცვამ არმანიაკების წაქეზებით ჟან უშიშარი მოკლა, რის გამოც ფილიპე კეთილი უყოყმანოდ გახდა ინგლისელთა მომხრე. ბურგინიონების დახმარებით, რომელთა მოკავშირეა შარლ VI-ს მეუღლე იზაბელაც, ინგლისელებმა არა მარტო ჩრდილოეთი, არამედ პარიზიც ხელში ჩაიგდეს. საფრანგეთს კატასტროფული მდგომარეობა შეექმნა. ჰენრი V თავად ჩავიდა ქ. ტრუაში (ბურგინიონების რეზიდენცია), სადაც 1420 წელს მაისში საფრანგეთს თავს მოახვიეს სამარცხვინო ზავი – შარლ VI-ს სიცოცხლეშივე საფრანგეთის მმართველი ჰენრი V ხდებოდა, ხოლო შარლ VI-ს გარდაცვალების შემდეგ ინგლისის მეფე უკვე ტახტსაც ისაკუთრებდა. საბოლოოდ კი ტახტი შარლ VI-ს ქალიშვილისა (ეკატერინეს) და ჰენრი V-ს შვილზე – მომავალ ჰენრი VI-ზე გადავიდოდა. დოფინი შარლი ტახტზე უფლებას კარგავდა. ამგვარად, საფრანგეთმა დაკარგა დამოუკიდებლობა და გაერთიანებულ ინგლისურ-ფრანგულ სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად იქცა. პარიზში ამავე წელს მოწვეულმა გენერალურმა შტატებმა ეს დამღუპველი შეთანხმება დაამოწმა.

1422 წელს ჰენრი V მოულოდნელად სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. რამდენიმე თვეში მას მიჰყვა ფსიქიკურად დაავადებული შარლ VI. ინგლისელებმა და ბურგონის ჰერცოგმა ინგლის-საფრანგეთის მემკვიდრედ ჰენრი V-ს ვაჟი, 9 თვის ჰენრი VI დაასახელეს (ისიც ფსიქიკურად დაავადებული, რომლის დროსაც ინგლისმა ასწლიანი ომი წააგო, თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი 1471 წელს მოკლეს), რომლის მაგივრად სამეფოს მისი ბიძა, ჰერცოგი ჯონ ბედფორდი (განსვენებული ინგლისის მეფის ძმა) მართავდა. ტრუას ხელშეკრულებით, შარლ VI-ს ვაჟი, დოფინი შარლი საფრანგეთის სამეფო ტახტის დაკავების უფლებას მოკლებული იყო, მაგრამ იგი ჯერ კიდევ თავისუფალ სამხრეთ საფრანგეთში, ქ. პუატიეში მეფედ ეკურთხა.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ის ტერიტორია, რომელმაც სცნო შარლ VII (1422-1461) მეფედ, ფართობის თვალსაზრისით არ ჩამოუვარდებოდა ინგლისელთა მიერ ოკუპირებულ მიწებს, მთლიანობაში მაინც (ზოგი ოლქის გამოკლებით) ნაკლებ ნაყოფიერი და დასახლებული იყო. არც ერთიან კომპაქტურ სამფლობელოს წარმოადგენდა, რადგან მას გარს ერტყა და აქუცმაცებდა ინგლისელთა ან ბურგინიონების მიერ გაკონტროლებული მიწები. ფაქტობრივად საფრანგეთი ორად გაიყო – ჩრდილოეთად, ჰენრი VI-ს მეფობით და სამხრეთად, რომლის მეფედ შარლ VII ითვლებოდა (როგორც აღვნიშნეთ, შარლ VII პუატიეში ეკურთხა მეფედ, ტრადიციულად ფრანგი მეფეები კი კურთხევას ქ. რეიმსში იღებდნენ, ამიტომ ეს ფაქტი შარლ VII-ს ფრანგების თვალში ამცირებდა).

ასწლიანი ომის ამ ეტაპზე, როდესაც საფრანგეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა, ქვეყნის გათავისუფლებისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა რამდენიმე ფაქტორმა: 1. ეს იყო ინგლისელთა პოლიტიკა დაპყრობილ ტერიტორიაზე: ჰენრი V-მ იმთავითვე დაიწყო ფრანგული მიწების დარიგება ინგლისელებისათვის; ნორმანდიულ პორტებშიც მხოლოდ ინგლისელებს ასახლებდა; სამშობლოში ლტოლვილად ქცეული ფრანგისათვის მშობლიურ მხარეში დაბრუნების ერთადერთი გზა რჩებოდა – ბრძოლა გამარჯვებამდე. 2. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორი საყოველთაო-სახალხო მოძრაობა იყო მტრის წინააღმდეგ.

პარტიზანული ომი თანდათან იკრებდა ძალებს და მისი ეფექტურობა შემდეგმა გარემოებამაც განაპირობა: ინგლისელთა დაპყრობითი სტრატეგია დამყარებული იყო ფრონტისპირა ხაზზე სიმაგრეების შექმნით, რომელიც სულ უფრო სამხრეთით მიიწევდა, თუმცა პარტიზანთა აქტიური მოქმედების შედეგად გარნიზონის შენარჩუნება საჭირო გახდა იმ ციხესიმაგრეებშიც, რომლებიც ფრონტის ხაზიდან მოშორებული იყვნენ. ეს კი ინგლისელთაგან მათი სამხედრო კონტინგენტის გაშორიშორებას იწვევდა. ამ პირობებში პარტიზანები თავს ესხმოდნენ მტერს და ეს უკანასკნელნი ვერ ბედავდნენ ციხეების დატოვებას, თუ მცირერიცხოვანი იყვნენ.

განსაკუთრებული აღმავლობა პარტიზანულმა მოძრაობამ ჰენრი V-ს სიკვდილის შემდეგ შეიძინა, როცა ბედფორდმა საჭირო სუბსიდიები ინგლისიდან ვეღარ მიიღო და ამიტომ ოკუპირებული ტერიტორიების ძარცვას მიჰყო ხელი. ამას ფრანგმა ხალხმა თავგანწირული წინააღმდეგობა დაუპირისპირა. პარტიზანული რაზმები ერთგულ მხარდაჭერას პოულობდნენ ქა-

ლაქისა და სოფლის მოსახლეობაში, მიუხედავად იმ სასტიკი რეპრესიებისა, რაც სულ ემუქრებოდათ ამ უკანასკნელთ თუ პარტიზანების მხარდაჭერაში ამხელდნენ. ბევრი ოკუპირებული ქალაქი საიდუმლო კავშირს ამყარებდა შარლ VII-თან. პარიზსა და რუანში გამომჟღავნდა შეთქმულება, რომლის მონაწილენი შარლ VII-ს აღუთქვამდნენ დახმარებას საფრანგეთის არმიის მიერ ამ ქალაქების გარემოცვის შემთხვევაში. ფრანგ მეფესთან სამხედრო ოპერაციებს პარტიზანებიც გეგმავდნენ და ახორციელებდნენ. მაგრამ შარლ VII უნებისყოფო ადამიანი და უნიჭო მმართველი აღმოჩნდა. იგი ასევე უნიჭო და მხოლოდ პირად გამორჩენაზე მზრუნველ მედროვეთა გარემოცვაში იმყოფებოდა. ლანგედოკის, ტურენისა და სხვა სამხრეთელი მოსახლეობიდან მან იმდენ ფინანსებს მოუყარა თავი, რომ შეძლო დაექირავებინა კასტილიელთა, შოტლანდიელთა და მილანელთა რაზმები, რაც უუნარობის გამო ვერ გამოიყენა. ომისთვის ფულს მეფეს დროდადრო გენერალური შტატებიც აძლევდნენ, მაგრამ ეს თანხები დროსტარებას ხმარდებოდა. იმის გამო, რომ ჯარს ხელფასს დროულად ვერ უხდიდნენ, იქაც ქაოსი იყო.

ამასობაში ინგლისელებმა და ბურგინიონებმა მელონი და რამდენიმე სხვა ციხე აიღეს. მათ სტიუარტ დერნელის სარდლობით 1423 წელს შეძლეს ფრანგების მომხრე შოტლანდიელთა დამარცხება, ხოლო 1424 წელს ივრის მახლობლად კვლავ გაანადგურეს ფრანგებისა და შოტლანდიელთა გაერთიანებული ჯარი. 1428 წელს ინგლისელებმა შეტევები გაახშირეს. ბედფორდს უკვე აღარ შეეძლო დაპყრობილი ჩრდილოეთ რაიონებიდან იმდენი სახსრები ამოეღო, რომელიც თუნდაც პარტიზანებთან წარმატებულ ბრძოლას მაინც ეყოფოდა. ინგლისელთათვის გამოსავალი შემდგომი წარმატებული წინსვლა და ქვეყნის ახალი, ჯერ კიდევ გაუჩანაგებელი ოლქების დაპყრობაში ჩანდა, ამიტომაც ისინი დიდი ძალებით დაიძრნენ სამხრეთით, აიღეს რიგი ქალაქებისა და ორლეანს მიადგნენ, რომელიც სტრატეგიული თვალსაზრისით სამხრეთ საფრანგეთის გასაღებს წარმოადგენდა. მისი აღებით საფრანგეთის დამოუკიდებელობას ბოლო მოეღებოდა. ფრანგებს ღმერთის იმედიღა რჩებოდათ და ხსნაც სწორედ აქედან მოვიდა. ამ საშინელ დროს, როცა ყველაფერი იღუპებოდა, საფრანგეთში გავრცელდა ხმა: „საფრანგეთს დაღუპავს ქალი (იგულისხმებოდა დედოფალი იზაბელა და ტრუას ზავი) და იხსნის ლოთარინგიელი ქალწული“, რამაც გარკვეულწილად ნიადაგი შეამზადა შემდგომი მოვლენების განვითარებისთვის და რაღაც საკრალური შემოიტანა პოლიტიკის სფეროში. „ლოთარინგიელი ქალწული“, რომელსაც უნდა ეხსნა საფრანგეთი, ჟანა დ'არკი აღმოჩნდა.

ჟანა 1412 წელს სოფ. დომრემიში, გლეხის ოჯახში დაიბადა. იგი თვითონ შეესწრო თავისი სოფლის ორგზის დარბევა-გაპარტახებას, რის

შემდეგ მას დასჩემდა ხილვები, ჩაესმოდა ხმები, რომ ჟანას, ღმერთის რჩეულს, საფრანგეთი უნდა ეხსნა. ორლეანის გარემოცვისას ჟანა 17-18 წლისა იყო. ამ მოხდენილი გარეგნობის, საშუალო სიმაღლის გამხდარ ქალიშვილს მტკიცე ნებისყოფა და ამტანობა აღმოაჩნდა. იგი არ შეუშინდა დაბრკოლებებს და გეზი მეფის რეზიდენციისკენ აიღო. მეფესთან მისი შეხვედრა 1429 წლის მარტის დასაწყისში შინიონში შედგა. ამ ამბის შესახებ ჟან შარტიე, შარლ VII-ს ისტორიკოსი, წერს: „როდესაც ჟანა მეფის წინაშე წარსდგა, თაყვანი სცა, როგორც მეფეს შეეფერებოდა და რევერანსები ისე გააკეთა, თითქოს სასახლეში იყო გაზრდილი“.

მეფის კართან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ჟანას ვინაობა – იყო თუ არა ის ჯადოქარი. პუატიეში ერთი თვე გრძელდებოდა მისი დაკითხვა თეოლოგებისა და იურისტების მიერ. ჟანა სამედიცინო თვალსაზრისითაც შეამოწმეს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა; მაშინდელი რწმენის მიხედვით, ჯადოქარი არ შეიძლებოდა ქალწული ყოფილიყო, რადგანაც პირველივე შეხვედრაზე სატანას უნდა დამორჩილებოდა. ყველა მათგანი ბოლოს ერთსულოვან დასკვნამდე მივიდა, რომ ჟანა ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო, ნდობას იმსახურებდა და შეეძლო იარაღით დაეცვა საფრანგეთი. მას მისცეს 10-ათასიანი არმია. თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ჟანა კარლოს მარტელის ხმლითა და ვალუების შროშანებიანი თეთრი დროშით ხელში დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდა. ორლეანი საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და დიდი ქალაქი იყო. მის კედლებში 15 ათასი კაცი ცხოვრობდა. ალყაშემორტყმულ ქალაქს მოსახლეობა 7 თვე იცავდა ინგლისელების ძლიერი და კარგად გაწვრთნილი არმიის შემოტევისაგან, რომელსაც ინგლისელთა სარდლები გრაფი სოლსბერი და ჯონ ტალბოტი მეთაურობდნენ. გადამწყვეტი ბრძოლის წინა დღეს გრაფი სოლსბერი გაურკვეველ ვითარებაში მოკლულ იქნა, მისი არმია კი ქალაქის შემოგარენში გაიფანტა. 1429 წლის 29 აპრილს ჟანა ორლეანს მიუახლოვდა. ბრძოლის დაწყების წინ მან მოლაპარაკება სცადა ინგლისელებთან, მაგრამ მათგან მუქარისა და გინების მეტი ვერაფერი მიიღო. 8 მაისს ჟანამ ორლეანი 209-დღიანი ალყისაგან გაათავისუფლა, რისთვისაც მას „ორლეანელი ქალწული“ უწოდეს. 17 ივლისს კი ჟანას დახმარებით რეიმსში შარლ VII-ს კორონაცია შედგა. მეფემ ჟანას ერთადერთი თხოვნა შეუსრულა და მისი მშობლიური სოფელი – დომრემი გადასახადებისაგან გაათავისუფლა. დ'არკის ოჯახს კი აზნაურის ტიტული მიანიჭა.

იმავე წლის შემოდგომაზე ჟანამ დამოუკიდებლად სცადა პარიზის გათავისუფლება, მაგრამ წარუმატებლად. 1430 წლის გაზაფხულზე ორლეანელმა ქალწულმა თავისი ჯარით სცადა კომპიენის დამცველებს დახმარებოდა, მაგრამ მას უღალატეს და ბურგუნიონებმა ტყვედ ჩაიგდეს. ფილიპე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილმა ის ათი ათას ლივრად მიჰყიდა ინგლისელებს, რომლებმაც გაძოსასყიდი თანხა ისევ ფრანგი მოსახლეობისაგან შეკრიბეს. ინგლისელებმა მოაწყვეს საეკლესიო სასამართლო რუანში, რომელსაც ფრანგი ეპისკოპოსი პიერ კოშონი („ღორს" ნიშნავს) თავმჯდომარეობდა. სასამართლოს ჟანას ჯადოქრობა უნდა დაემტკიცებინა.

ინგლისელებისათვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ომში ჯადოქრის მონაწილეობა ინგლისის მარცხს ხსნიდა და საფრანგეთის მეფის კორონაციასაც საეჭვოს ხდიდა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში ინგლისელებს დიდი დახმარება გაუწია პიერ კოშონმა, რომელიც ქალაქ ბოვეს ეპისკოპოსი იყო და დიდ საეკლესიო ავტორიტეტს წარმოადგენდა. გარკვეული დროის მანძილზე პარიზის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა და მისი რექტორიც იყო. კოშონი პაპის რეფერენდარის საპატიო ტიტულს ფლობდა და ამავე დროს ინგლისის მცირეწლოვანი მეფის ჰენრი VI რეგენტის – ჰერცოგ ბედფორდის ნდობით აღჭურვილი პირიც იყო. ინგლისელები ძალიან აფასებდნენ მის დამსახურებას და ჟანა დ'არკის სასამართლოს წარმატებით დამთავრებისათვის რუანის არქიეპისკოპოსის მიტრას შეჰპირდნენ.

კოშონმა შეადგინა საინკვიზიციო ტრიბუნალი, რომელიც შედგებოდა 12 ცნობილი თეოლოგისაგან (მოციქულთა რიცხვის შესაბამისად), ექსპერტებად მოწვეული 16 დოქტორისა და 6 ბაკალავრისაგან. მთლიანობაში ჟანა დ'არკის სასამართლო პროცესში მონაწილეობას ღებულობდა 125 კაცი. პროცესი ხუთი თვის მანძილზე გაგრძელდა, რაც ინგლისელებს ათი ათასი ლივრი დაუჯდათ. სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე იყო რუანელი ინკვიზიტორი დომინიკანელი ჟან ლე მეტრი, რომლის სრულუფლებიანობა დაამტკიცა საფრანგეთის მთავარმა ინკვიზიტორმა ჟაკ გრავერანმა.

სასამართლო პროცესზე, როგორც ეს დაკითხვის ოქმებიდან ჩანს, ჟანა დ'არკმა გონებრივი გამჭრიახობა გამოამჟღავნა. ვახდენთ ზოგიერთი ოქმის ციტირებას: კითხვა: – როგორ გამოიყურებოდა მიხეილ მთავარანგელოზი, როცა გამოგეცხადა – ჩაცმული თუ შიშველი? პასუხი: – თქვენ როგორ გგონიათ, ჩვენს ღმერთს საშუალება არა აქვს, რომ ჩააცვას?! კითხვა: – ანგელოზებს, რომლებიც შენ გეცხადებიან, თმები თუ აქვთ? პასუხი: – ღვთის გულისათვის, იქნებ თქვენ მიპასუხოთ, რატომ უნდა შეეკრიჭათ? კითხვა: – რეიმსში მეფის კორონაციაზე რატომ მიჰქონდათ მხოლოდ შენი დროშა და არა სხვა სარდლების? პასუხი: – ამ დროშამ ბრძოლის სიძნელეები გადაიტანა, ამიტომ უფლება ჰქონდა, მისი დიდებაც გაეზიარებინა! კითხვა: თანახმა ხარ თუ არა, პაპს დაემორჩილო? პასუხი: მიმიყვანეთ მასთან და მე თვითონ ვეტყვი.

1431 წლის 30 მაისს რუანში (ნორმანდია) ძველი ბაზრის მოედანზე ჟანა კოცონზე დაწვეს. თავზე დაახურეს წვეტიანი ქუდი, რომელზეც წარ-

წერა იყო: „ერეტიკოსი, რეციდივისტი, ურწმუნო, კერპთაყვანისმცემელი“. ჟანას უკანასკნელი სიტყვები იყო „იესო... ქრისტე“. ფერფლი ინგლისელებმა მდინარე სენაში გადაყარეს. ამ საშინელ ფაქტთან დაკავშირებით ჟანას თანამედროვე ვენეციელი დიპლომატი მოროზინი წერდა: „ინგლისელებმა ჟანა დაწვეს მისი წარმატებების გამო, რადგანაც ფრანგებმა აჯობეს და კიდევ აჯობებდნენ დაუსრულებლად. ინგლისელები ამბობდნენ, რომ თუ ეს გოგონა დაიღუპებოდა, ბედი დოფინს ზურგს შეაქცევდა“.

დროთა ვითარებაში ჟანას სახელი უკვდავებით შეიმოსა. 1874 წელს პარიზში პირამიდის მოედანზე აღმართეს ფრანგი სკულპტორის ფრემიეს ჟანა დ'არკის ცხენზე ამხედრებული ქანდაკება. 8 მაისი კი ოფიციალურად იქცა საფრანგეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ დღედ, ჟანა დ'არკის დღედ, რომელსაც დღესაც აღნიშნავენ.

ჟანა დ'არკის ცხოვრება ლეგენდას ჰგავს. შემთხვევითი არ არის, რომ მისი სახე სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით ასახეს ვოლტერმა, შილერმა, ანატოლი ფრანსმა, მარკ ტვენმა, ბერნარდ შოუმ, ანა ზაგერსმა და სხვა ცნობილმა მწერლებმა. ფერწერამ, მუსიკამ, სკულპტურამ და კინემატოგრაფ-მა ასევე სხვადასხვაგვარად უკვდავყო მისი პიროვნების ამოუცნობი შტრიხები.

ჟანას პიროვნებისადმი ინტერესი დღემდე არ განელებულა და ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ საინტერესო მოსაზრებებიც გამოითქვა. მეცნიერებაში გაჩნდა პრინციპულად განსხვავებული აზრი ჟანა დ'არკის პიროვნებაზე, რაც განაპირობა ადრე უცნობმა საარქივო მასალების მოპოვებამ და დიდი ხნის წინ ცნობილი ფაქტების ახლებურად გააზრებამ და ანალიზმა.

ახალი კონცეფციის თანახმად (აღსანიშნავია, რომ მას იზიარებს ცნობილი ფრანგი მედიევისტი ჟორჟ დიუბი), ჟანა გლეხის გოგო არ ყოფილა. ის იყო წარჩინებული, მაგრამ გაღარიბებული ოჯახიდან, რომელმაც თანდათანობით დაკარგა გერბი და მოკრძალებულად ცხოვრობდა პატარა სოფელში, მაგრამ კავშირი არ გაუწყვეტია სამეფო კართან. ორლეანის გათავისუფლების შემდეგ შარლ VII-მ დ'არკის ოჯახს დაუბრუნა ადრინდელი გერბი. ორლეანელმა ქალწულმა კი 1429 წლის 2 ივნისს მიიღო საკუთარი გერბი: ლურჯ ფონზე ფარი, რომელზედაც ორი ოქროსფერი შროშანი იყო გამოსახული და ვერცხლის ვადიანი მახვილი, რომელიც ოქროს გვირგვინით იყო დამშვენებული. ამას გარდა, ჟანა შევიდა საფრანგეთის ექვსი ცნობილი ოჯახის ჩამონათვალში.

ამავე კონცეფციის თანახმად, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება გერბების ისტორიის XVI საუკუნის ხელნაწერის ასლი, რომლის ორიგინალი XV საუკუნის ბოლოსაა შესრულებული. ხელნაწერის 203-ე გვერდზე გამოსახულია საფრანგეთის ექვსი მთავარი ბარონის გერბი. პირველ ადგილზე მოთავსებულია ის გერბი, რომელიც შარლ VII-მ ორლეანელ ქალწულს მისცა. ხელმოწერა კი გვამცნობს: „საფრანგეთის ქალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წული“. ამ და კიდევ სხვა ფაქტებიდან გამომდინარე, კონცეფციის აქტორები გვარწმუნებენ, რომ ქალწული იყო დედოფალ იზაბელა ბავარიელისა და ლუი ორლეანელის უკანონო ასული, ე. ი. დოფინ შარლ VII-ს ღვიძლი და და ლუი ორლეანელის ვაჟის შარლის ნახევარდა, რომელიც 25 წლის მანძილზე ინგლისში ტყვედ იმყოფებოდა და ტახტის პრეტენდენტად ითვლებოდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ შექსპირი თავის ტრაგედიაში „ჰენრი VI“ ჟანას ათქმევინებს: „ტყუილად ფიქრობთ, რომ უბრალო მწყემსის შვილი ვარ, მე თვით მეფეთა მაღალ მოდგმას ვეკუთვნი სისხლით“.

ახალი კონცეფციის თანახმად ჟანა გაიზარდა ლოთარინგიაში. იმ სოფელში, რომელიც ადრე ლუი ორლეანელს ეკუთვნოდა – სოფელ დომრემიში დ'არკის ოჯახში, სადაც თხებს კი არ მწყემსავდა, არამედ რაინდულად იზრდებოდა. ცნობილია, რომ ჟანა იყო არა მარტო კარგი მხედარი და შესანიშნავად ხმარობდა იარაღს, აგრეთვე კარგად იცოდა სატურნირო ბრძოლის წესები. ცნობილია ისიც, რომ ჟანა ჭკუით გამოირჩეოდა და არც ერთი დაუფიქრებელი მოქმედება არ ჩაუდენია. ორლეანელ ქალწულს მას მანამდე ეძახდნენ, სანამ ორლეანს გაათავისუფლებდა. ეს ეპითეტი მას თავისი წარმოშობის გამო შეარქვეს, რომელიც როგორც ჩანს, მაშინ საიდუმლოს არ წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში 1429 წელს საეკლესიო კომისიამ, რომელიც მეფემ დომრემიში გაგზავნა, დაადასტურა ის ფაქტი, რომ სოფლის მცხოვრებთა გარკვეულმა ნაწილმა (30 კაცი) ჟანა იზაბელა ბავარიელისა და ლუი ორლეანის ასულად აღიარა.

ამგვარი მოსაზრების საფუძველს გარკვეულწილად წარმოადგენდა 1773 წელს ჰააგაში გამოცემული გრაფ ბულენვის წიგნიც „საფრანგეთის ისტორიის მოკლე ქრონოლოგიური გადმოცემა“, რომელშიც ჟანა დ'არკზე საუბრისას ნათქვამია, რომ ინკვიზიციამ რუანში სხვა ქალი დაწვა, თვითონ ჟანა კი, „რომელიც კარგი მეომარი იყო და მოხერხებულად ხმარობდა იარაღს“, ამ ფაქტის შემდეგ ლოთარინგიაში გამოჩნდა, გათხოვდა მეცეში, სადაც დღესაც ცხოვრობს მისი შთამომავლობაო.

აღსანიშნავია, რომ ყველა ვერსია, რომელიც საფრანგეთის მხსნელი – „მწყემსი გოგონას“ სახეს უარყოფს, არ უარყოფს ჟანას პირად გმირობასა და მის როლს ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში. რაც შეეხება შარლ VII-ს, რომლის გამეფებაში ჟანამ დიდი როლი ითამაშა და რომელსაც თავის დროზე ხელი არ გაუნძრევია ჟანას ტყვეობიდან დახსნისათვის, 1449 წელს რუანში ჩავიდა და საკუთარი ღირსების აღსადგენად (თითქოს ის ჯადოქრის დახმარებით ეკურთხა რეიმსში მეფედ) მოითხოვა ჟანა დ'არკის რეაბილიტაცია. მაგრამ პაპმა ნიკოლო V-მ არ ისურვა ამ გახმაურებული პროცესის ხელახალი განხილვა. საჭიროდ არ ჩათვალა ამ საქმეში პარიზის უნივერსიტეტის ჩართვაც, რომელიც მისი აპარატის საგამომძიებლო ნაწილს წარმოადგენდა.

1455 წელს ნორმანდიელმა კარდინალმა ესტუტვილემ ჩამოაყალიბა ახალი საინკვიზიციო ტრიბუნალი, რომელსაც ხელახლა უნდა გადაესინჯა ჟანა დ'არკის საქმე. მოკვლევა მიმდინარეობდა ლოთარინგიაში, ორლეანში, რუანსა და პარიზში. მოწმეებისაგან, რომლებიც ახალ სასამართლოზე იყვნენ მოწვეული, არავინ თხოულობდა ჟანას დადანაშაულებას ერესში. არავის უნდოდა უსიამოვნო წარსულის გახსენება, თანაც ჟანას გასამართლებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ბევრი მისი მონაწილე უკვე ცოცხალი აღარ იყო.

სასამართლომ ჟანა დ'არკი უდანაშაულოდ ცნო და მისი რეაბილიტაცია მოახდინა. 1920 წელს კი ეკლესიამ ჟანა წმინდანად აღიარა.

ასწლიანი ომის დასასრული. ასწლიანი ომის შემდეგ საფრანგეთს დაახლოებით სამი ათწლეული დასჭირდა, რათა XIV საუკუნის 30-იანი წლების განვითარების დონისათვის მიეღწია. ქვეყანა განადგურდა. დაინგრა და აოხრდა ქალაქები და სოფლები. ყანები წლების განმავლობაში დაუმუშავებელი დარჩა. ძველი ნასახლარები ტყეებითა და ბალახებით დაიფარა. საფრანგეთის მოსახლეობა თითქმის 1/3 შემცირდა. ვაჭრობა და ხელოსნობა დაეცა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ომმა საფრანგეთს დადებითი შედეგებიც მოუტანა. ფრანგ ხალხში ეროვნულმა თვითშეგნებამ გაიღვიძა, რამაც ხელი შეუწყო შემდეგში საფრანგეთის პოლიტიკურ გაერთიანებას.

სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის ტერიტორიები – გიენი და გასკონი, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ინგლისელებს ჰქონდათ დაპყრობილი, საფრანგეთს შეუერთდა. ჩრდილოეთი და სამხრეთი საფრანგეთი უფრო მეტად დაუკავშირდა ერთმანეთს, რამაც საფრანგეთის ცენტრალიზაციას საფუძველი ჩაუყარა.

სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით შარლ VII-მ (1422-1461) მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. შექმნა მუდმივი, დაქირავებული ჯარი, რომელიც ცხენოსნებისა და ქვეითი ნაწილებისაგან – ინფანტერიისგან შედგებოდა. შემოღებულ იქნა აგრეთვე მუდმივი გადასახადები. სპეციალური ორდონანსით, რომელიც სამხედრო რეფორმებს ატარებდა, დაამტკიცა მეფის მონოპოლიური უფლება ომის წარმოებისათვის და სენიორებს აუკრძალა ჯარისა და ციხესიმაგრეების ქონა. 1435 წლის შემდეგ გენერალური შტატების რეგულარული მოწვევა შეწყდა.

სამხედრო წარმატებებმა და მონარქიის ძალაუფლების განმტკიცებამ ჩაშალა მისი პოლიტიკური მტრების გეგმები – მეფის ცენტრალური ძალაუფლების დასუსტებისა. 1435 წელს ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპე კეთილი იძულებული გახდა კავშირი შეეკრა შარლ VII-სთან, რისთვისაც ჯილდოდ პიკარდია და სხვა ფრანგული ტერიტორიები მიიღო, ინგლისელებმა დაკარგეს პარიზი, რუანი, ნორმანდია, ბორდო. მათ ხელში დარჩა მხოლოდ კალე. ასე დამთავრდა ომი, რომლის მსვლელობის დროს ფრანგმა ხალხმა დამოუკიდებლობა და თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი შეინარჩუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის გამარჯვებამ ინგლისელების პრეტენზიები ფრანგულ ტერიტორიებსა და გვირგვინზე საბოლოოდ დაასამარა. ომის დამთავრებამ 1453 წელს ხელსაყრელი პირობები შექმნა ცენტრალიზაციის პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. ამასთანავე, საფრანგეთის მონარქიამ ექსტრემალურ სიტუაციაში და ნაწილობრივ მისი წყალობით, შეძლო გადაეჭრა საკუთარი ძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანები – შეექმნა მუდმივი არმია და დაეწესებინა მუდმივი გადასახადები.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერებამ ასახვა პოვა საეკლესიო პოლიტიკაში. 1438 წელს საფრანგეთის საეკლესიო ასამბლეაზე მიღებულ იქნა ე. წ. ბურჟეს პრაგმატული სანქცია, რომლითაც გალიკანურმა ეკლესიამ პაპისგან ერთგვარი დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ომისგან დანგრეული ეკონომიკის აღსადგენად 1451 წელს სამთავრობო დადგენილებებმა გლეხები 8 წლით გაათავისუფლა გადასახადებისაგან. ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთ მიწებზე გლეხების მოზიდვასა და შენარჩუნებას, ამიტომაც სიამოვნებით უბოძეს მათ თავისუფლება. შეღავათებს აძლევდნენ ფიქსირებულ რენტას. ამგვარმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო პირადი დამოკიდებულობის გაქრობას საფრანგეთში და ხელი შეუწყო გლეხების საშუალო ფენის მდგომარეობას.

ლუი XI. ომისაგან გაჩანაგებული ქვეყნის ეკონომიკამ და სოფლის მეურნეობამ განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა ლუი XI-ს (1461-1483) დროს, რომელიც ტახტზე შარლ VII-ის გარდაცვალების შემდეგ ავიდა.

ლუი XI 1423 წელს დაიბადა. ის იყო შარლ VII-ს და მარი ანჟუელის შვილი. ადრეული ასაკიდან (17 წლის) მონაწილეობას ღებულობდა მამის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებებში. 1444 წელს შარლ VII-ს სურვილის წინააღმდეგ ლუი XI-მ მეორედ დაქორწინდა სავოიის ჰერცოგის ასულზე შარლოტაზე, რამაც მათ შორის ურთიერთობა გაამწვავა. მამასთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ ლუი XI-მ დატოვა სასახლე და დაიფიცა, რომ იქ მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ დაბრუნდებოდა. შარლ VII ყოველნაირად ცდილობდა პატივმოყვარე შვილის უკან დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. 1456 წელს მან ჯარი გაგზავნა დოფინში, რათა ლუი ძალით ჩამოეყვანათ, მაგრამ ის ბიძამისთან – ფილიპე კეთილთან გაიქცა ბურგუნდიაში, რომელიც განთქმული იყო თავისი სიმდიდრით, ნადიმებითა და ტურნირებით.

თექვსმეტი წლის ლოდინის შემდეგ ლუი XI-მ 1461 წლის 22 ივლისს მამის გარდაცვალების ამბავი შეიტყო და დაუყოვნებლივ რეიმსში გაემგზავრა მეფედ კურთხევისათვის. პარიზში ლუი XI 14 ათასი მხედრის თანხლებით შევიდა და დაუყოვნებლივ შეუდგა ქვეყნის მართვას, მხოლოდ მამისგან განსხვავებით – ერთპიროვნულად. მასზე ამბობდნენ, რომ „ყველა მრჩეველი საკუთარი ცხენით დაჰყავდა“. ლუი ცდილობდა ყველაფერში პირადად გარკვეულიყო. უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილი მეფე ხალხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დადიოდა, რათა საკუთარი თვალით ენახა თუ რა მდგომარეობაში იყო ფებოდა ქვეყანა. ლუიმ შექმნა ჯაშუშობის ფართო სისტემა. ძუნწი მეფე ფულს მოქრთამვაზე არ იშურებდა, რადგან დარწმუნებული იყო იმაში, რომ ყველას მოსყიდვა შეიძლებოდა. ის არასოდეს იხევდა უკან უარის შემთხვევაში და მიზნის მისაღწევად ყველაფერზე მიდიოდა. მას შეეძლო გადმოებირებინა ნებისმიერი ადამიანი. თავისთვის საჭირო ადამიანებს კი უხვად აჯილდოებდა ფულითა და თანამდებობებით.

ლუი XI-ს ისტორიკოსს ფილიპე დე კომინს თავის ნაშრომში „დღე და ღამე“ თავისი მონარქის მთავარ შტრიხად ინტრიგების ხლართვისადმი მიდრეკილება მიაჩნია: „ლუი XI ცდილობდა წაექეზებინა მტერი, შეექმნა მისთვის ათასგვარი დაბრკოლება და მოულოდნელად თვითონ გამოსულიყო არბიტრის როლში მათ შორის. ასეთი გზით კი მიეღწია საჭირო მომენტში მათი შერიგებისათვის ანდა მშვიდობისათვის“. მას შეეძლო განსაკუთრებული ფარისევლობითა და შემპარავი ტონით ადამიანების მოხიბვლა. ბურგუნდიელი ქრონოლოგი მოლინე მას სირენას უწოდებდა. მილანოს ელჩი მალეტა კი, რომელიც აკვირდებოდა ლუი XI-ს დიპლომატიურ მანევრებს, ამბობდა: „მეფე ისე კარგად ერკვევა იტალიურ საკითხებში, თითქოს მთელი ცხოვრება იტალიაში აქვს გატარებული“. და მართალიც იყო. ჯერ კიდევ მომავალი დოფინი, რომელიც გაუთავებლად ხლართავდა ინტრიგებს მამის წინააღმდეგ და რომლის სიკვდილსაც ასე ელოდა, მრავალი წლის განმავლობაში ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ვენეციასთან, ფლორენციასთან და განსაკუთრებით მილანოს ჰერცოგთან ფრანჩესკო სფორცასთან, რომელსაც ლუი XI-ს თავის მასწავლებლად მიიჩნევდა და რომლის დახმარებითაც ნიჭიერმა მოწაფემ მაღალ დონეზე აიყვანა იტალიური დიპლომატიის მეთოდები და მანერები, პირველ რიგში, მათი მოქნილობა და მდგომარეობასთან შეგუების უნარი. ლუი XI იყო მოხერხებული მოსაუბრე. კომინი წერდა, რომ: „არც ერთი ადამიანი ისე არ უსმენდა ხალხს და არ ეკითხებოდა იმდენ რამეზე, როგორც ამას ლუი XI ახერხებდა“.

ლუი XI თავის ელჩებს დირექტივების მიცემის დროს სრულ თავისუფლებას აძლევდა – ემოქმედათ ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლიდნენ; მაგრამ სინამდვილეში ის მათ ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა და დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას პრაქტიკულად არ აძლევდა. ის წინააღმდეგი იყო დიდ კრებებზე მოლაპარაკებების წარმართვისა: „ბატონებო, თქვენ ხართ სულელები, თუ ფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი საკითხები დიდ კრებებზე უნდა გადავწყვიტოთ. იქ, სადაც ბევრი ხალხია, ყოველთვის საჭიროა ქედმაღლობა და ასეთი თავშეყრის დროს ხალხს შერცხვება გამხელა – უჭირთ თუ არა რამე“, – წერდა იგი თავის ელჩებს. ლუი XI-ს აზრით, მისი ელჩების დიპლომატიური ძლიერება მტრის მოტყუება უნდა ყოფილიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუი XI 38 წლის ავიდა საფრანგეთის სამეფო ტახტზე. მისი დიპლომატიური ტალანტის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა მმართველობის პირველსავე წლებში ბრძოლა მსხვილ ფეოდალთა კოალიციის წინააღმდეგ, ე. წ. საზოგადოებრივი კეთილდღეობის ლიგასთან(1465), რომელსაც მისი ბიძაშვილი ბურგუნდიის ჰერცოგი შარლ თამამი მეთაურობდა. იმისათვის, რომ მეფის ხელისუფლება განმტკიცებულიყო, პირველ რიგში, საჭირო იყო ბურგუნდიის ჰერცოგის გავლენის შესუსტება. ბურგუნდიის საჰერცოგო ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც მეტად ძლიერ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს წარმოადგენდა და დიდი გავლენით სარგებლობდა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. მისი სამფლობელოები თითქმის პარიზამდე იყო გადაჭიმული და საფრანგეთისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ამ დიდი სახელმწიფოს არსებობა, რომელიც სოლივით იყო ჩარჭობილი საფრანგეთსა და გერმანიას შორის. „მე იმდენად მიყვარს საფრანგეთი, – განაცხადა შარლ თამამმა, – რომ ვისურვებდი მას ერთის ნაცვლად ექვსი მეფე ჰყოლოდეს“, და მართლაც, ლიგის ნამდვილ მიზანს მეფის ხელისუფლების შესუსტება და ქვეყნის დაქუცმაცებულობის შენარჩუნება წარმოადგენდა.

იმისათვის, რომ საფრთხე აეცილებინა, ლუი XI-მ გენუა დაუთმო ფრანჩესკო სფორცას და ამით ცბიერი და ძლიერი მოკავშირე შეიძინა. ამ გამოცდილმა კონდოტიერმა ლუის მისცა რჩევა, რომლითაც ის ლიგასთან ბრძოლაში ხელმძღვანელობდა: „გათიშე შენი მტრები, – ურჩია მან, – დროებით დააკმაყოფილე ყველა მათგანის მოთხოვნა. შემდეგ კი სათითაოდ გაანადგურე ისე, რომ არ მისცე მათ გაერთიანების საშუალება“. ამ რჩევამ ლუი XI-ს წარმატება მოუტანა და, როგორც ფილიპე დე კომინი გესლიანად შენიშნავდა, „საზოგადოებრივი კეთილდღეობის ლიგა კერძო კეთილდღეობად გადაიქცა“.

შარლ თამამი (1467-1477) მამამისის – ფილიპე კეთილის მსგავსად, მთელი ცხოვრება ოცნებობდა „დიდი ლოთარინგიის“ სამეფოს შექმნაზე, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა როგორც საფრანგეთისაგან, ისე გერმანიისაგან და გადაჭიმული იქნებოდა ჩრდილოეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე. ის იყო ყველა ინტრიგის სულისჩამდგმელი, რომელიც მეფისა და საფრანგეთის ერთიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული. შარლ თამამი იყო უზარმაზარი, კარგად ჩამოსხმული პიროვნება, რომელსაც დიდი თავი ამაყად ჰქონდა აღმართული მსხვილ, მაგარ კისერზე. დიდი, ცოცხალი თვალები მოსაუბრეს პირდაპირ სახეში უყურებდა. წინ წამოწეული ნიკაპი და მკვეთრად მოხაზული პირი მის სიჯიუტეზე უფრო მეტყველებდა, ვიდრე ნებისყოფაზე. საფრანგეთში ის ყველაზე მოხერხებული და მამაცი რაინდის სახელით სარგებლობდა.

მასთან შედარებით ლუი XI ულიმღამოდ გამოიყურებოდა: დაბალი ტანის, შეუხედავი, თითქმის ქოსა, დიდი, მოგრეხილი ცხვირით, მკაცრი მო-

კუმული თხელი ბაგეებით, გამჭრიახი თვალები ჩამოწეული წარბებიდან ბოროტად იმზირებოდა. თავისი გარეგნობით მელას ჩამოჰგავდა.

1465 წელს კონფლანში ლუი XI მცირე ამალით თვითონ ეახლა შარლ თამამს მოლაპარაკებაზე. სასახლის კარი გაკვირვებული დარჩა მეფისა და მისი უბრალოდ ჩაცმული ამალის დანახვაზე. თვითონ მეფე გაცვეთილი სანადირო ტანსაცმლითა და ქეჩის ქუდით ამხედრებულიყო დაბალ, გამხდარ ცხენზე და პილიგრიმს უფრო წაგავდა, რომელსაც გზებზე ყველგან წააწყდებოდი. არავის აზრად არ მოსვლია, რომ მეფის ხაზინადარს დე ბონს ათიათასობით ლივრი ჰქონდა თან შარლ თამამის გარემოცვის მოსასყიდად. ამგვარად, დიპლომატიური ინტრიგებითა და მოსყიდვით დაუპირისპირდა ლუი XI შარლ თამამის მახვილსა და შუბს.

1472 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა მეფის ძმა, გიენის ჰერცოგი – შარლი, მისი სამფლობელოები ლუის ხელში გადავიდა (ამბობდნენ, რომ ლუი XI-მ ძმას მოწამლული მსხალი მისცა, რომელიც ნელი მოქმედების შხამით იყო სავსე). 1473 წლის მარტში ლუი XI-მ ქალაქ ლეკტურეს ალყა შემოარტყა და თავისი ძლიერი მოწინააღმდეგე გრაფი არმანიაკი მოკლა. თვითონ ქალაქი კი საშინლად გაანადგურა. არმანიაკთა გვარის უმცროსი წარმომადგენელი, ნემურის ჰერცოგი ბასტილიაში ჩასვა და 1477 წელს სიკვდილით დასაჯა.

არმანიაკებზე გამარჯვებამ ლუი XI-ს სამხრეთ საფრანგეთის შემოერთება მოუტანა. 1480 წელს ანჟუს უშვილო ჰერცოგის რენეს სიკვდილმა, ხოლო შემდეგ კი მისი ძმისშვილის, მენის ჰერცოგის შარლის გარდაცვალებამ მეფეს ანჟუელთა მემკვიდრეობა და ნეაპოლის სამეფოზე ბატონობის უფლება მიანიჭა. ლუი XI-ს ძლიერი მტრებიდან ცოცხალი მხოლოდ შარლ თამამი დარჩა. ცბიერმა მეფემ მოქრთამვის საშუალებით მას ინგლისი და შვეიცარია ჩამოაშორა, რაც მეფის ხაზინას საკმაოდ ძვირი დაუჯდა, მაგრამ ლუი XI ირონიულად აღნიშნავდა, რომ ომი საფრანგეთს უფრო ძვირი დაუჯ-დებოდა. 1477 წლის იანვარში ნანსისთან ბრძოლაში ლუიმ მოისყიდა შარლ თამამის ერთ-ერთი სარდალი კომპობასო, რომელმაც გაცხარებულ ბრძოლაში თავის ჰერცოგს უღალატა და შვეიცარიელების მხარეზე გადავიდა. ბრძოლაში მოკლულ იქნა შარლ თამამი, რომლის სიკვდილის შემდეგ ლუი XI-ს მტერი აღარ ჰყოლია.

ბურგუნდიის უზარმაზარი სამფლობელოები გადავიდა შარლ თამამის ასულის – მარიას ხელში. კანონიერად ბურგუნდიის საჰერცოგოს ხელში ჩაგდება ლუის მხოლოდ საქორწინო კავშირით შეეძლო, მაგრამ მისი ვაჟი მხოლოდ ექვსი წლის იყო, მარია კი ცხრამეტის. ის ცოლად გაჰყვა გერმანიის იმპერატორის ფრიდრიხ III-ის ვაჟს, მაქსიმილიანე ჰაბსბურგელს. ამიტომაც ლუი XI-ს ახალი გზების ძიება დასჭირდა. 1482 წელს ნადირობის დროს მარია ცხენიდან ჩამოვარდა და სამი კვირის შემდეგ გარდაიცვალა. მას დარჩა 4 წლის ვაჟი ფილიპე და სამი წლის ასული მარგარიტა. 1482

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის დეკემბერში პრასში დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მარგარიტა დანიშნულ იქნა ლუის ვაჟზე შარლზე და აღსაზრდელად გაგზავნილ იქნა პარიზში. მას მზითევში ფრანს-კონტე დ'არტუა გაატანეს.

ლუი XI-მ შემოიერთა პიკარდია, ნივერნე, პროვანსი, – მსხვილი საგაჭრო და საპორტო ქალაქით მარსელით, ბრეტანი. საფრანგეთის გაერთიანებისათვის თავისი უფროსი ქალიშვილი ანა ბურბონთა მემკვიდრეზე ბოჟეზე გაათხოვა, უმცროსი ჟანა კი 9 წლის ასაკში ძალით გააყოლა ორლეანის პრინცს. ლოთარინგიის, რუსილიონისა და სავოიის შემოერთება XIX საუკუნემდე გაგრძელდა, მაგრამ საფრანგეთის გაერთიანება XV საუკუნის დასასრულისათვის თითქმის დამთავრებული იყო. ლუი XI-მ არნახულ ძლიერებას მიაღწია. ის მთელი საფრანგეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა, რომელიც ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ლუი XI თვითონ ხელმძღვანელობდა სასამართლო პროცესს, ამიტომაც ბევრით სწავლობდა იტალიიდან ჩამოტანილ კანონთა კოდექსს და სურდა საფრანგეთისთვის ერთიანი კანონმდებლობა შეექმნა, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა. თავისი სიცოცხლის განმავლობაში ბევრი რამ მოასწრო ამ ენერგიულმა, მაგრამ სასტიკმა ადამიანმა, რომელმაც საყვარელი ძაღლის სიკვდილისთვის ეგერი ჩამოახრჩობინა. ფრანგ ფეოდალებს აღარ შეეძლოთ ინგლისის ან გერმანიის სამხედრო სამსახურში მდგარიყვნენ. ომის დაწყებაცა და დამთავრებაც მხოლოდ მეფის პრეროგატივა იყო. უცხოელ ელჩებსაც პირადად ღებულობდა და ფრანგ დესპანსაც თვითონ გზავნიდა სხვადასხვა ქვეყანაში.

ლუი XI იყო მეტად განათლებული პიროვნება. ის მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მედიცინას, კერძოდ, ქირურგიას. მისი უშუალო თაოსნობით პარიზის უნივერსიტეტში გაიხსნა სამედიცინო ფაკულტეტი, საფუძველი ჩაუყარა ტიპოგრაფიას სორბონაში, ხელს უწყობდა წიგნის ბეჭდვას.

ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებაში მეფის დასაყრდენს. ძირითადად, ქალაქები და უბრალო ხალხიდან გამოსულები წარმოადგენდნენ. მისი უახლოესი მეგობრები პირადი პარიკმახერი ოლივიე და ცნობილი მეუდაბნოე ბერი ტრისტანი იყვნენ. მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. გაჰყავდა გზები, დააწესა ერთიანი ზომა-წონის ერთეული, უზრუნველყო ვაჭრობის უსაფრთხოება. მან პირველმა მოაწყო მსოფლიო სავაჭრო გამოფენა ლონდონში, რათა ფრანგული ნაწარმისათვის გზა გაეხსნა. ლიონი აქცია მეაბრეშუმეობის ცენტრად, სადაც ასევე ჩაუყარა საფუძველი ტრადიციულ ბაზრობებს. იმპორტზე დააწესა მკაცრი საბაჟო სისტემა, რომლის მიზანს ოქროსა და ვერცხლის დიდი მარაგის დაგროვება წარმოადგენდა, რაც უნდა განხორციელებილიყო ქვეყნიდან ექსპორტის დიდი რაოდენობით გატანასა

და იმპორტის მცირე რაოდენობით შემოტანაზე. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მეფემ განმრტოებით თავის კოშკში – პლესი დე ტურში გაატარა.

ამ ჭკვიან და გამჭრიახ ადამიანს საოცრად ეშინოდა სიკვდილის. კოშკში მასთან ერთად ცხოვრობდა მისი პირადი ასტროლოგი გალეოტი, რომელსაც მისი აღსასრულის დღე უნდა დაედგინა. მისი პირადი ექიმი კოტიე უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა მეფის მკურნალობაზე. მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ლუი XI იწვევდა ცნობილ მეუდაბნოებსა და ბერებს, რომლებიც მას სიცოცხლეს გაუხანგრძლივებდნენ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ სასახლეში, მაგრამ ყოველგვარი დახმარების გაწევის გარეშე უკან უხვად დასაჩუქრებული ბრუნდებოდნენ. თურქეთის სულთანმა ბაიაზეთ II-მ ლუის თილისმა და სიცოცხლის გახანგრძლივების რამდენიმე რეცეპტი გამოუგზავნა.

ლუი XI-ს ძალიან უყვარდა ცხოველები და ფრინველები. თავისი ხელით აჭმევდა მათ. ძუნწი მეფე ფულს არ იშურებდა იშვიათი მხეცებისა და ფრინველების შეძენაზე. მისთვის აფრიკიდან ჩამოჰყავდათ არაბული, თურქული ცხენები, ლომები, სხვადასხვა ჯიშის ძაღლები. მეფე საათობით ერთობოდა ვირთხებზე სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლების ნადირობით. ასეთი პირქუში გართობის შემდეგ მეფე კვლავ უბრუნდებოდა სახელმწიფო საქმეებს, რომლებსაც ის ერთპიროვნულად განაგებდა. რაც უფრო სუსტდებოდა, მით უფრო ცდილობდა მხნედ და ახალგაზრდად გამოჩენილიყო. ლუი XI, რომელსაც არასოდეს უყვარდა ფუფუნება და ძვირფასი ტანსაცმელი, ახლა მდიდრული სამოსით დადიოდა, აწყობდა ბალ-მასკარადებს, ყიდულობდა ძვირფას ნივთებს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ლუი XI მბრძანებლად ყოფნას ცდილობდა, მაშინაც კი, როცა ლაპარაკიც აღარ შეეძლო. საფრანგეთის უდიდესი მეფე 1483 წლის 30 აგვისტოს გარდაიცვალა. სურვილისამებრ, დაასაფლავეს სენ-დენის სააბატოში, სარკოფაგზე კი დაადგეს მისი მონადირის ტანსაცმლიანი სკულპტურა.

ამრიგად, XV საუკუნის დასასრულისათვის საფრანგეთი წარმოადგენდა დასავლეთ ევროპის ცენტრალიზებულ და ყველაზე დიდ სახელმწიფოს განვითარებული სოფლის მეურნეობით, ვაჭრობით, ხელოსნობითა და სულიერი და მატერიალური კულტურით.

საფრანგეთის პოლიტიკურმა გაერთიანებამ გამოიწვია სახელმწიფოებრიობის ახალი ფორმა – აბსოლუტური მონარქია. ამისი ნათელი დადასტურება იყო XV საუკუნეში გენერალური შტატების ფაქტობრივი უმოქმედობა. უკანასკნელად გენერალური შტატები 1484 წელს იქნა მოწვეული, როცა მსხვილმა ფეოდალებმა შარლ VIII-ს (1483-1498) მცირეწლოვანებით ისარგებლეს და თავიანთი პოლიტიკური გავლენის გაძლიერება სცადეს, მაგრამ ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. 1491 წელს მეფის ანა ბრეტანელზე დაქორწინებამ ბრეტანიც საფრანგეთს შემოუერთა და ამით საფრანგეთის პოლიტიკური გაერთიანებაც დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნასთან ერთად ერის ფორმირებაც ხდებოდა. XIV-XV საუკუნეებში ჩრდილოეთ საფრანგეთში პარიზული დიალექტის საფუძველზე შეიქმნა ერთიანი ენა, რომელმაც საფუძველი დაუდო საყოველთაო ფრანგული ენის ფორმირებას. თუმცა ცალკეულ ოლქებში არსებობას განაგრძობდა ადგილობრივი დიალექტი (პროვანსული და კელტური ენა – სამხრეთსა და ბრეტანში).

XV საუკუნის მეორე ნახევარი ადრეული ფრანგული აღორძინების ხანაცაა. იმ დროის ცნობილმა ოსტატებმა ფუკემ, მარმიონმა, მეფე რენე ანჟუელმა და სხვებმა ფრანგული ნაციონალური ფერწერის ნამდვილი შედევრები შექმნეს.

XV საუკუნის ფრანგული სკულპტურის ნიმუშები თავისუფლად შეიძლება დავაყენოთ მაშინდელი იტალიური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების გვერდით. განვითარდა მუსიკა, რაზეც მეტყველებს მაშინდელი სანოტო ჩანაწერები და ა. შ.

XV საუკუნის ბოლოსთვის საფრანგეთში ვითარდება საუნივერსიტეტო ცხოვრება. ქვეყანაში არსებობდა 15 უნივერსიტეტი. პარიზის უნივერსიტეტთან ერთად განთქმული იყო ორლეანისა (იურიდიული ფაკულტეტი) და მონპელიეს (სამედიცინო ფაკულტეტი) უნივერსიტეტები. უნივერსიტეტების პროფესორთა შრომები მათემატიკაში, ასტრონომიაში, ფიზიკასა და მედიცინაში გამოირჩეოდა ცოდნის სიღრმეებითა და რაციონალური აზროვნებით.

ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები, 1470 წლიდან დაბეჭდილი წიგნები, სწავლა-განათლების დონეზე მიანიშნებს; სკოლები იქმნებოდა არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც, რაც გლეხებს დაწყებითი განათლების მიღების საშუალებას აძლევდა.

XIV-XV საუკუნეებში განსაკუთრებით გაიზარდა ფრანგების დაინტერესება საკუთარი ისტორიით, რაც ნაწილობრივ, ასწლიანმა ომმაც განაპირობა. XIV საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ნაწარმოებები ეკუთვნის ფრუასარს, ჟან დე ვენეტსა და კანცლერ პიერ დ'ორჟემონს; XV საუკუნის ბოლოს კი გაჩნდა ფილიპ დე კომინის ცნობილი მემუარები.

XIV-XV საუკუნეებში ვითარდება ფრანგული პოეზიაც. მის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის პრინც შარლ ორლეანელსა და მაწანწალა ვიიონს. ორმა სოციალურმა პოლუსმა – ფეოდალურმა და ხალხურმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ფრანგულ ლიტერატურაში.

ასწლიან ომს, ბუნებრივია, არ შეიძლება ზიანი არ მოეტანა ფრანგული არქიტექტურისათვის: მრავალი ტაძარი, ეკლესია, სასახლე დაზიანდა, ან სრულიად განადგურდა. რეკონსტრუქციის მცდელობამ მათ პირვანდელი სახე ვერ დაუბრუნა. იმავდროულად განვითარდა არქიტექტურის განსაკუთრებული სტილი სკულპტურასა და ვიტრაჟებში – გოთიკა. ქალაქგარეთა ციხე-კოშკები კი სიმაგრეებიდან თანდათანობით საზაფხულო რეზიდენციებად გადაიქცნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XV

ინგლისი XV საუკუნეში. ვარდების ომი და ტიუდორები

ინგლისის სოფლის ეკონომიკური განვითარება XV საუკუნეში. ინგლისელი გლეხების კატეგორიები და მათი მდგომარეობა. უოტ ტაილერის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ინგლისის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. თვალსაჩინო ხდება ეკონომიკური დაცემის ნიშნები: დამუშავებული მიწების შემცირება, საძოვრების ფართის ზრდა სახნავი მიწების ხარჯზე, სოფლის სასაქონლო პროდუქციის შემცირება, სახელდობრ, მატყლის მფლობელობის ზრდამ მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე რამდენადმე შეამცირა. ამის გამო ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე დაეცა, ხოლო დაქირავებული მუშის ხელფასი შედარებით მაღალი დარჩა.

XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნეში მომხდარი მოვლენები არ ნიშნავდა იმას, რომ ინგლისში ფეოდალიზმის საერთო კრიზისს ჰქონდა ადგილი. ეს მოვლენები მხოლოდ თვით ფეოდალურ, ძველსა და ახალ ურთიერთობებში ბრძოლას ასახავდნენ. XV საუკუნის ინგლისის სოფლებში მომხდარი უმნიშვნელოვანესი პროგრესული მოვლენა ვილანთა ძირითადი მასის პირადი დამოკიდებულებიდან გათავისუფლება იყო. გლეხობა ორ ძირითად კატეგორიად იყოფოდა. ყოფილი ვილანების მემკვიდრეებს კოპიჰოლდერებს, ანუ ასლით დროებით მფლობელებს უწოდებდნენ. რადგანაც საბუთი, რომლის შესაბამისად ისინი მიწას იკავებდნენ, მანორალური, მემამულური სასამართლოს აქტის ამონაწერი ასლი (კოპი — ინგლ. ასლს ნიშნავს) იყო. კოპიჰოლდერები პირადად თავისუფალნი იყვნენ. მიწისათვის, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ, მცირედ ფიქსირებულ გადასახადს იხდიდნენ და ზოგიერთ ვალდებულებებს ლორდის სასარგებლოდ ასრულებდნენ. კოპიჰოლდერების უფლებებს ნაკვეთზე სამეფო სასამართლო არ იცავდა. გლეხს არ შეეძლო ლორდისათვის ეჩივლა, თუ იგი მას მიწას წაართმევდა ან ვალდებულებებს გაუზრდიდა. კოპიჰოლდერები XV საუკუნის ინგლისის გლეხობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ. მიწის თავისუფალი მფლობელები — ფრიჰოლდერები (ფრეე — ინგლ. თავისუფალი) უფრო ხელსაყრელ პირობებში იყვნენ. ისინი, ფაქტობრივად მიწის მესაკუთრეები იყვნენ და მხოლოდ უმნიშ-ვნელო რენტას იხდიდნენ. ფრიჰოლდერებს სამეფო სასამართლო იცავდა და პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება გააჩნდათ. კოპიჰოლდერები ამ უფლებებს მოკლებულნი იყვნენ.

XV საუკუნის ინგლისის გლეხობაში სწრაფი განშრევების პროცესი მიმდინარეობს. გამდიდრებული გლეხები დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. ისინი გაღატაკებულ გლეხთა მიწებს ყიდულობდნენ და ლორდთა ნაკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს იჯარით იღებდნენ. მათ შორის ყველაზე მეტად წარჩინებულები თავადაზნაურთა რიგებს ავსებდნენ. თავისუფალი რიგებიდან გამოსულ გამდიდრებულ გლეხებს იომენებს უწოდებდნენ. პარალელურად იკვეთება უმიწაწყლო გლეხთა ჯგუფი, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მუშებად გადაიქცნენ.

ძველი და ახალი თავადაზნაურობა. XIV-XV საუკუნეებში მომხდარმა მოვლენებმა თავადაზნაურობის დიდი ნაწილის სახე მნიშვნელოვნად შეცვალა, რადგანაც ბრძოლა ძველსა და ახალს შორის თვით ფეოდალურ კლასს შიგნითაც მიმდინარეობდა. მსხვილი მიწათმფლობელები, ტიტულოვანი დიდკაცობის მეთაურობით, რომლებიც XIII-XIV საუკუნეებში ბეგარისა და გლეხთა დამოკიდებულების შენარჩუნებისათვის ჯიუტად იბრძოდნენ, იძულებულები გახდნენ შეეკვეცათ თავისი დომინალური მეურნეობა. ეს მსხვილი მიწათმფლობელები წარმოების ახალ პირობებს ვერ შეეგუნენ. ფეოდალთა იმ ნაწილს, რომელიც ყოფილი დიდებულების შთამომავალნი იყვნენ, „ძველი თავადაზნაურობა“ ეწოდათ. მათ შორის იყვნენ წვრილი და საშუალო ფეოდალები – რაინდები, რომლებსაც საბეგრო სისტემის კრიზისმა გაღატაკება მოუტანა. ისინი ფეოდალური მაგნატების კარზე და მათ ამალაში მსახურით ირჩენდნენ თავს. განწირული „ძველი თავადაზნაურობა“ ჯერ კიდევ ძლიერი იყო და თავის პოზიციებს არ თმობდა. ისინი სახელმწიფო გადასახადებიდან წილის მიღებას ცდილობდნენ, სამეფო კარზე გავლენისათვის იბრძოდნენ, რათა სახელმწიფო ხაზინა ეძარცვათ. მათი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო ასწლიან ომში საფრანგეთის ძარცვა და შარაგზებზე ყაჩაღობა.

XV საუკუნეში ინგლისის ფეოდალურ კლასს შიგნით იზრდება და მტკიცდება ფეოდალთა მეორე ჯგუფი, რომელსაც „ახალი თავადაზნაურობა“ ეწოდა. „ახალი თავადაზნაურობა“ ყალიბდებოდა, ნაწილობრივ წვრილი და საშუალო მიწათმფლობელებისაგან – რაინდებისაგან, რომლებიც აქტიურ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ და ნაწილობრივ გამდიდრებული გლეხებისა და მოქალაქეებისაგან, რომლებმაც ფული მიწის შეძენაში დააბანდეს და თავადაზნაურობა შეიძინეს. მათი კრებითი სახელი ჯენტრი იყო, მათ აგრეთვე სკვაირებს ან ესკვაირებს[1] უწოდებდნენ. „ახალი თავადაზნაურები“ ახალ პირობებს ადვილად შეეგუნენ. ისინი დაქირავებულ შრომას იყენებდნენ და მიწათმოქმედებიდან უფრო მომგებიან მეცხვარეობაზე გადავიდნენ, სათემო მიწების ხელში ჩაგდებას ცდილობენ, „ძველი თავადაზანაურების“ და გაღატაკებული გლეხების მიწებს ყიდულობენ და იჯარით უფრო მაღალ ფასებში გასცემდნენ. შემოსავლის გაზრდის მიზნით, ისინი ჭაობებს აშრობდნენ, წისქვილებს, მაუდისა და ლუდის ქარხნებს აშენებდნენ, „ახალი თავადაზნაუ-

[1] ესკვაირი – სკვაირი საჭურველმტვირთველს ნიშნავს. ასე უწოდებდნენ იმ პირებს, რომელთაც რაინდის წოდების მინიჭების უფლება მიიღეს, მაგრამ ჯერ რაინდები არ იყვნენ, ე. ი. რაინდობის კანდიდატები გახლდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები“ თავისი სამეურნეო საქმიანობით, შემდგომში, კაპიტალისტურ ურთიერთობათა წანამძღვრებს ქმნიდნენ.

ჯეკ კედის აჯანყება. 1450 წელს სამხრეთ ინგლისში, ეკონომიკურად განვითარებულ კენტში, სახალხო აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებას შეძლებული, გამოცდილი ჯარისკაცი ჯეკ კედი ჩაუდგა სათავეში. აჯანყებულთა ძირითად მასას გლეხები შეადგენდნენ. მათ რაინდები და მოქალაქეები შეუერთდა. აჯანყებულთა შორის რამდენიმე ბარონი და აბატიც იყო. აჯანყებულთა 20-ათასიანი არმია ჯეკ კედის მეთაურობით ლონდონისაკენ დაიძრა. ჯეკ კედმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიც იგი მოითხოვდა მძიმე გადასახადებისა და ჯარიმების შემსუბუქებას, სამეფო მოხელეების მიერ გამოძალვისა და საპარლამენტო არჩევნებზე ბარონების უკანონო ზეწოლის შეწყვეტას, მეფისათვის ფეოდალების მიერ მიტაცებული სამეფო მამულების დაბრუნებას, მეფის მრჩეველის სეფოკის მარკიზის თანამოაზრეთა გადაყენებასა და ძალაუფლების გადაცემას ჰერცოგ იორკისთვის, რომელსაც აჯანყების მესვეურები თაყვის ბელადად და მფარველად მიიჩნევდნენ. მანიფესტი, აგრეთვე საფრანგეთში წარუმატებელი ომის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა. მანიფესტი სოციალური ხასიათის ერთადერთ მუხლს შეიცავდა. ეს „მუშათა კანონმდებლობის“ გაუქმების მოთხოვნა იყო. რაც, აჯანყებაში, გლეხთა, ღარიბობის, მოჯამაგირეებისა და ქალაქის შეგირდების ფართო მონაწილეობას მოწმობს.

თავიდან აჯანყება წარმატებით ვითარდებოდა. მთავრობამ კედის მოთხოვნები არ მიიღო და მის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა, მაგრამ ჯარი სანდო არ აღმოჩნდა და ბრძოლაში ჩაბმამდე დაიშალა. ლონდონის მოსახლეობამ ჯეკ კედს ქალაქის კარები გაუღო. კედმა საძულველი მეფის მრჩევლები და მოხელეები, რომლებიც ლონდონში შეიპყრეს, გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა ქალაქის ღარიბობა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ აჯანყდა და გლეხებთან ერთად მდიდარი სახლებისა და მაღაზიების ძარცვა დაიწყეს. აჯანყებულების ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ლონდონის მერის მეთაურობით ტაუერის გარნიზონმა აიძულა აჯანყებულები ლონდონი დაეტოვებინათ. კედი ლონდონში ძალით დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. აჯანყებულებიც მერყეობდნენ. კენტერბერის არქიეპისკოპოსმა და სხვა პრელატებმა შუამავლობა იკისრეს. აჯანყებულებს, თუ ისინი დაიშლებოდნენ, მეფის სახელით სრულ ამნისტიას შეჰპირდნენ. კედმა დაიჯერა და თავისი ჯარი დაშალა. ამის შემდეგ, მთავრობამ ამნისტია გააუქმა. კედი დაპატიმრებისას გააფთრებით იბრძოდა და სასიკვდილოდ დაიჭრა. მას თავ-ფეხი მოკვეთეს და მისი თავი, ყველას დასანახად ხიდზე ჩამოჰკიდეს. ამ ამავს მთელ ინგლისში დიდი გამოძახილი ჰქონდა, მაგრამ დაქსაქსული აჯანყებები მთავრობამ ადვილად ჩაახშო.

ასწლიანი ომის დასასრული და შინაარეულობა ინგლისში. საშინელმა აოხრებამ, რომელიც თავს დაატყდა საფრანგეთს, ინგლისელ დამპყრობთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყება გამოიწვია. ერი და ბერი ახლა შარლ VII-ის ირგვლივ გაერთიანდა. ინგლისელებმა თანდათანობით დაკარგეს ადრე დაპყრობილი ტერიტორიები საფრანგეთში. ასწლიანი ომის დამთავრებისას (1453) მათ მხოლოდ კალე შემორჩათ.

ფეოდალთა მოურიდებელმა პარპაშმა, გადასახადების უზომო ზრდამ, ხაზინის გაძარცვამ და სამარცხვინო მარცხებმა საფრანგეთში სულ უფრო და უფრო მზარდი უკმაყოფილება გამოიწვია. რაინდები და მოქალაქენი დარწმუნდნენ, რომ მსხვილ ფეოდალთა ბატონობის დამხობა არც ჯეკ კედის აჯანყებას მსგავს სახალხო გამოსვლებს შეეძლო, მათ იწყეს ფიქრი დინასტიის გამოცვლაზე და მთელი იმედები იორკებს მიაპყრეს, მას დაუჭირეს მხარი. იორკის ჰერცოგი ამ დროს იყო რიჩარდი, რომელიც ლანკასტერთა პოლიტიკური რეჟიმის ოპოზიციის აღიარებულ ბელადად ითვლებოდა. ნათესაობის გარდა, იორკის ჰერცოგის საყრდენს წარმოადგენდნენ ფეოდალური ჯგუფები, რომლებიც სამეფო კარს იყვნენ ჩამოცილებული და ძალაუფლებაზე არავითარ გავლენას არ ახდენდნენ. იორკის მომხრეთა რიცხვი გაიზარდა. 1453 წელს, ასწლიანი ომის დასრულების შემდეგ, ფეოდალური არისტოკრატია, რომელსაც საომარ მოქმედებებში მონაწილეობისათვის აღარ უხდიდნენ ფულს და საფრანგეთში მიღებული მამულებიდან შემოსავალი დაკარგა, დააკლდათ ტყეების გამოსასყიდი და მარადიორობით მიღებული შემოსავალი, იორკების მხარეს ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება.

ორივე მხარემ, ლანკასტერებმა და იორკებმა, შეიარაღებული შეტაკებისათვის მზადება დაიწყო. პირველი შეტაკება 1455 წელს მოხდა, რამაც ოცდაათწლიან ომს დასაყრდენი დაუდო. ეს ომი წითელი და თეთრი ვარდების სახელით არის ცნობილი. ლანკასტერების გერბზე წითელი ვარდი იყო გამოსახული, ხოლო იორკების გერბზე თეთრი. ქვეყანა წითელი და თეთრი ვარდების მომხრეებად გაიყო. 1455 წელს სენდ-ალბასთან მომხდარ ბრძოლაში რიჩარდმა გაიმარჯვა. მეფე ჰენრი VI (შეშლილი) კისერში დაიჭრა და გონებრივი შეშლილობის ახალი შეტევა დაეწყო. პარლამენტმა პროტექტორად (რეგენტად) რიჩარდი გამოაცხადა. ლანკასტერების მხარეზე იდგნენ ჩრდილოეთის მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც დამოუკიდებლობას იყვნენ შეჩვეულნი და დიდი შეიარაღებული ძალები გააჩნდათ. იორკებს კი, მხარს უჭერდნენ ეკონომიკურად უფრო განვითარებული სამხრეთ-აღმოსავლეთის ფეოდალები, ჯენტრი და მოქალაქეები, რომლებიც ძლიერი სამეფო ხელისუფლების მომხრენი იყვნენ. თუმცა ბევრი ფეოდალისთვის ეს ომი ძარცვის, ყაჩაღობის და თავისი პოლიტიკუ-რი დამოუკიდებლობის განმტკიცების საბაბი გახდა. საქმის ვითარების მიხედვით, ისინი ერთი ბანაკიდან მეორეში ადვილად გადადიოდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთელი რიგი სისხლიანი შეტაკებების შემდეგ, იორკის ჰერცოგის რიჩარდის უფროსმა შვილმა ედუარდმა ლონდონი დაიკავა და იგი მეფედ გამოაცხადეს. ედუარდ IV-ს (1461-1483) მეფედ გამოცხადების შემდეგ, ვარდების ომი არ შეწყვეტილა. დროდადრო იგი იფეთქებდა. ედუარდ IV ლანკასტერთა მომხრე ბარონებს სასტიკად გაუსწორდა. ისინი ეშაფოტზე გაგზავნა და მათ მამულები ჩამოართვა. ედუარდი არც იორკთა მომხრე ბარონებს სწყალობდა და მათგან ჩამორთმეულ მიწებს საშუალო რაინდებს ურიგებდა და მათ თავის მხარეზე იზიდავდა.

ედუარდ IV არც პარლამენტს ენდობოდა. თუმცა, როგორც ლანკასტერთა, ისევე იორკელთა ფეოდალური არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი შინაომებში დაიღუპა, არისტოკრატიის გავლენა პარლამენტში ისევ დიდი იყო. ამიტომ, მეფე ფინანსური საკითხების გადაწყვეტას, პარლამენტის გვერდის ავლით ცდილობდა. იგი ამჯობინებდა მიემართა ეგრეთ წოდებული ნებაყოფლობითი შემოწირულებისა და იძულებითი სესხებისათვის. მალე ედუარდმა აიძულა პარლამენტი მისთვის ბაჟის აკრეფის მუდმივი უფლება მიენიჭებინათ. მეფე ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას ახალისებდა. იგი სავაჭრო გარიგებებში პირადად მონაწილეობდა. მისი გეგმებით საქონელი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში გაჰქონდათ. მაუდის წარმოების განვითარების მიზნით, მან ინგლისიდან საუკეთესო ხარისხის მატყლის გატანა აკრძალა და ინგლისური მაუდის გატანას იგი ჰანზისა და ვენეციელი ვაჭრების შუამავლობის გარეშე უზრუნველყოფდა. თავისი პოლიტიკით ედუარდმა მმართველობა და კანონმდებლობა ხელთ იგდო და ამით პარლამენტის მოწვევას ზედმეტს ხდიდა. ედუარდ IV-ის მეფობაში ინგლისის აბსოლუტიზმისათვის საფუძველი მომზადდა.

1483 წელს ედუარდ IV-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი შვილი 12 წლის ედუარდ V ადის. რეგენტად (პროტექტორად) მისი ბიძა, გლოსტერის ჰერცოგი რიჩარდი დაინიშნა. რიჩარდმა მცირეწლოვანი ედუარდი და მისი ძმა, რომელსაც იორკის ჰერცოგის ტიტული ჰქონდა, ტაუერში გამოამწყვდია და თავი მეფედ, რიჩარდ III-ედ გამოაცხადა. მისი ბრძანებით ორივე ძმა ციხეში მოკლეს. ბარონებმა ისარგებლეს სასახლის ამ გადატრიალებით და ტახტზე ახალი პრეტენდენტი, ლანკასტერთა სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენელი ჰენრი ტიუდორი წამოაყენეს. 1485 წლის 22 აგვისტოს ბოსფორთან რიჩარდისა და ჰენრის ჯარებს შორის მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც რიჩარდ III-ის სრული დამარცხებითა და მისი სიკვდილით დამთავრდა. ამ ბრძოლით ვარდების ომი დასრულდა. ჰენრი ტიუდორი ჰენრი VII-ს სახელით ინგლისის მეფედ გამოცხადდა. მალე მან ცოლად შეირთო ედუარდ IV-ის შვილი ელისაბედი, რომელიც იორკთა საგვარეულოს მემკვიდრე იყო, მან თავის გერბზე წითელი და თეთრი ვარდები მოათავსა. სიმბოლურად ჰენრი VII ორივე დინასტიის გამაერთია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნებლად გვევლინება. ტიუდორთა დინასტიის დასაწყისი ინგლისის ერის ჩამოყალიბების საწყისი გახდა. ახალი დინასტიის დამაარსებელი ჰენრი VII განაგრძობდა სამეფო ხელისუფლების გამტკიცებასა და ბარონების წინააღმ-დეგ ბრძოლის პოლიტიკას. ამ პოლიტიკის გატარება მას უადვილდებოდა, რადგანაც ვარდების ომში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფეოდალური არის-ტოკრატიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი დაიღუპა და ახალი თავადაზნაურობის სოციალური მნიშვნელობა არსებითად გაიზარდა. XV საუკუნის ბოლოს ინგლისში იქმნება წინამძღვრები სახელმწიფოს ახალი ფორმის — აბსოლუტიზმის შექმნისათვის.

XIII-XV საუკუნეებში გრძელდებოდა ინგლისელი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც მომავალი ინგლისელი ერის ფორმირების საფუძველი გახდა. სწორედ ამ პერიოდში ინგლისელთა ტერიტორიული და ენობრივი ერთობა განისაზღვრა. ერთიანი ნაციონალური ბაზრისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის პირობებში თანდათანობით იშლება ენობრივი სხვაობა, რომელსაც ადრე ჰქონდა ადგილი. ლონდონის შუა ინგლისური დიალექტის საფუძველზე, რომელიც ფრანგული და ლათინური ენების გავლენით იყო გამდიდრებული, საერთო ინგლისური ენა ყალიბდება. XIV საუკუნეში იგი საზოგადოების ყველა ფენებისათვის საერთო ხმარებული, სალაპარაკო და ლიტერატურული ენა ხდება. ამ ენას ხმარობდნენ ინგლისის პარლამენტში დებატებისა და სასამართლო სხდომების დროს. ამ ენაზე უიკლეფმა ბიბლია თარგმნა. ამ ინგლისურ ენაზე წერდნენ თავის პოემებს გლეხი პოეტი უილი ლეჰლენდი და ინგლისური ლიტერატურული ენის ერთ-ერთი დამაარსებელი ცნობილი „კენტერბერი მოთხრობების“ შემქმნელი, პოეტი ჯეფრი ჩოსერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XVI

გერმანია XIII-XV საუკუნეებში. აღმოსავლეთ ბალტიისპირეთის კოლონიზაცია

XII-XIII საუკუნეები გერმანიის ისტორიისათვის ესაა აღმოსავლეთ ბალტიისპირეთის მიწების ინტენსიური დაპყრობა-ათვისების პერიოდი. გერმანიის აღმოსავლეთით, ბალტიის ზღვის სანაპიროების გასწვრივ, მდინარეების: ელბის (ლაბა), ოდერისა (ოდრა) და ვისლის აუზებში ცხოვრობდნენ დასავლეთ სლავური მოდგმის ტომები: ობოდრიტები, ლუტიჩები. შპრევიანები და სხვები. ამათგან უფრო აღმოსავლეთით პრუსთა, ლიტველთა, ლივებისა და ესტების ტომები ბინადრობდნენ.

გერმანელი ფეოდალების მიერ აღმოსავლეთის მიწების დაპყრობას რამოდენიმე მიზეზი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, გერმანელი მთავრების მისწრაფებები, შეეძინათ ახალი ტერიტორიები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილე მრავალრიცხოვანი გერმანელი რაინდების სურვილი — ბალტიისპირეთში ეშოვათ ის, რაც ნაკლებად ჰქონდათ გერმანიაში — მიწა. ფეოდალ-რაინდთა ამ მისწრაფებებს ზურგს უმაგრებდა კათოლიკური ეკლესია, რომელსაც წარმართ სლავთა ქრისტიანობაზე მოქცევით, სამწყსოსა და საეკლესიო შემოსავლების გაზრდა სურდა.

ელბისპირა და ბალტიისპირა სლავები, განსახილველ პერიოდში, ის იყო იწყებდნენ ადრეფეოდალურ ურთიერთობებზე გადასვლა, რასაც თან სდევდა ამ პროცესისათვის დამახასიათებელი ტომობრივი დაპირისპირება. ამ გათიშულობით კარგად სარგებლობდნენ გერმანელი ფეოდალები და ნელ-ნელა, ეტაპობრივად ეწეოდნენ სლავთა მიწების ათვისებას.

სლავური მიწების დაპყრობას საფუძველი ჯერ კიდევ X საუკუნეში, ოტოების ხანაში ჩაეყარა, ხოლო ინტენსიური ხასიათი მან XII საუკუნეში მიიღო. ამ ეტაპზე, აღმოსავლური ლაშქრობების ინიციატორები იყვნენ არა იმპერატორები (ისინი იტალიური პოლიტიკით იყვნენ დაკავებულნი), არამედ ტერიტორიული მთავრები. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ელბისპირა სლავების უშუალო მეზობლები, საქსონიის დიდებულები. „წარმართი სლავების“ ქრისტიანობაზე მოქცევის საბაბით, დიდი ლაშქრობა მოეწყო 1147 წელს. საქსონიის ჰერცოგის, ჰაინრიხ ლომის მეთაურობით გერმანელთა მრავალრიცხოვანი ჯარები შეიჭრნენ ობოდრიტების მიწებზე. მიუხედავად რაინდთა სიმრავლისა, სლავთა ბელადმა, ნიკლოტმა, შეძლო მათი დროებით შეჩერება, დაბოლოს, უკუაგდო ისინი. ამავე პერიოდში, ნიკლოტის მეთაურობით ობოდრიტებმა დაამარცხეს გერმანელების მიერ წაქეზებული დანიელთა ლაშქარიც. ნიკლოტის გარდაცვალების შემდეგ, საქსონელმა ფეოდალებმა მაინც შეძლეს ობოდრიტების დამორჩილება. ჰაინრიხ ლომმა დაპყრობილ სლავთა მიწებზე გერმანული ყაიდის რამდენიმე

საგრაფო დაარსა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მეკლენბურგის საჰერცოგო, რომელიც შემდგომი კოლონიზაციის მნიშვნელოვანი პლაცდარმი გახდა. დაპყრობილ მიწებზე ჩამოსახლება იწყეს არა მარტო ფეოდალრაინდებმა, არამედ გერმანელმა გლეხებმაც და მოქალაქეებმაც კი. ეს უკანასკნელნი მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და ფაქტობრივად სრულიად თავისუფალნი იყვნენ.

XII საუკუნის 70-80-იან წლებისათვის გერმანელი ფეოდალების უღელქვეშ მოექცა შუა ელბისპირა სლავების, ლუტიჩების მიწებიც. აქ დაარსებულ იქნა მოზრდილი გერმანელი საფეოდალო, ბრანდერბურგის სამარკგრაფო. გერმანელთა მეთაური, ჰერცოგი ალბერტ დათვი, კარგად იყენებდა სლავთა ტომის ბელადებს შორის არსებულ განხეთქილებას და თანდათან აფართოებდა თავის სამფლობელოებს. აქაც, ისევე როგორც ობსიდრიტების მიწებზე, უამრავი გერმანელი კოლონისტი ჩამოსახლდა. აქტიურად მიმდინარეობდა სლავური მოსახლეობის აყრა-განდევნა, ფიზიკური განადგურება და ამის შედეგად, ამ მიწების სრული გაგერმანელება. გარდა საერო მოსახლეობისა, დაარსებულ მიწებზე ჩნდებოდა ახალი საეპისკოპოსოებიც. ახლად დაარსებული ეკლესია-მონასტრები წყალობის სახით ღებულობდნენ უზარმაზარ მიწებს მასზე დასახლებული გაქრისტიანებულ და დამორჩილებულ გლეხობასთან ერთად. ამ უკანასკნელთ ეკისრებოდათ უფრო მძიმე გადასახადები და ვალდებულებანი (როგორც საერო, ისე საეკლესიო), ვიდრე ეს გერმანულ მიწებზე იყო.

ამავე პერიოდისათვის ჩამოყალიბდა სლავური მიწების კოლონიზაციის თავისებური წესი. ხელისუფლებისაგან შესაბამისი უფლების მქონე პირი — მოიჯარე (გერმანულად შულცი), გადასახლების მსურველ გერმანელ გლეხობას ჩაასახლებდა ხოლმე დაუსახლებელ ან სლავური მოსახლეობისაგან დაცლილ მიწებზე. ჩამოსახლებულებს ეძლეოდათ მიწის საკმაოდ მოზრდილი ნაკვეთები (ჰუფა) და მნიშვნელოვანი თავისუფლებანი. სადაც იყო შერეული ტიპის დასახლებანი (როგორც სლავური, ისე გერმანული მოსახლეობით) აქ უპირატესი უფლებებით გერმანელები სარგებლობდნენ. ერთდროულად ხდებოდა სლავური მიწების არა მარტო ათვისება, არამედ სლავთა გაგერმანელებაც. სლავებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, რაიმე მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრები და ქრისტიანობაზე მოქცევასთან ერთად, გერმანულის ზეგავლენით, თანდათანობით კარგავდნენ თავიანთ ადათ-წესებს, ტრადიციებს, ენასა და საბოლოოდ, ეთნიკურ სახეს. სლავთა გაგერმანელებას უნებლიეთ ხელს უწყობდა თვით სლავთა ტომობრივი დიდკაცობაც. ეს უკანასკნელნი ყოფა-ცხოვრებაში ბაძავდნენ გერმანელ ფეოდალებს, სამოხელეო საქმეში იყენებდნენ გერმანელებს, ეპატიჟებოდნენ კოლონისტებს და წყალობით ავსებდნენ მათ, უნათესავდებოდნენ გერმანელ ფეოდალებს და ცდილობდნენ გერმანულად ელაპარაკათ. ყოველივე ეს ელბისპირა სლავების გაგერმანელების პროცესს მნიშვნელოვნად აჩქარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანული კოლონიზაცია არა მარტო ელბის აღმოსავლეთი მიმართულებით ხდებოდა, არამედ შუა დუნაისპირეთისკენაც. აქ ჯერ კიდევ კარლოს დიდის დროს დაარსდა ე. წ. აღმოსავლეთის მარკა (ავართა წინააღმდეგ ლაშქრობისას). X საუკუნის ბოლოდან იწყება ამ ტერიტორიების ხელახალი, გერმანული კოლონიზაცია. შუა დუნაისპირა სლავური მიწების ათვისებაში აქტიურობდნენ ბავარიისა და შვაბიის ჰერცოგები. X საუკუნეში დაარსებული „ავსტრიის მარკა“, XII საუკუნისათვის ავსტრიის საჰერცოგოდ გადაიქცა. ამ უკანასკნელმა მალე დაიმორჩილა მეზობელი პროვინციები – შტირია, კრაინა, კარინტია და სხვ. ამ ტერიტორიებმა შეადგინეს ის ბირთვი, რომელზედაც შემდგომში აღმოცენდა ავსტრიის სახელმწიფო. ელბისპირა და შუა დუნაის მიწების კოლონიზაციის პარალელურად, მიმდინარეობდა ბალტიის ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროების ათვისებაც. ჩვენთვის უკვე ცნობილმა საქსონიის ჰერცოგმა ჰაინრიხ ლიმმა 1143 წელს ბალტიის ზღვის სანაპიროზე დაარსა ქალაქი ლუბეკი, რომელიც ზღვისპირა აღმოსავლეთის ათვისების უმთავრესი პლაცდარმი გახდა. გერმანელი ვაჭრები აარსებდნენ ახალ-ახალ ფაქტორიებს და ნელა იკიდებდნენ ფეხს პრუსთა, ლიტველთა და ლივების ზღვისპირა მიწებზე. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ დვინის შესასვლელთან, ლივების მიწაზე დაარსებულ ქალაქ რიგას (დაარსდა 1201). ლივები და მათი მეზობლები ესტები ენერგიულად ებრძოდნენ გერმანელ მოახალშენეებს. კოლონიზატორთა ზურგს უკან რომის პაპები იდგნენ, რომლებიც საკუთარი ინტერესებით მოქმედებდნენ. ინოკენტი III-მ ნამდვილი ჯვაროსნული ომი გამოაცხადა წარმართი ლივების წინააღმდეგ. მისივე ხელშეწყობით აქ დაარსებულ იქნა ახალი ბერმონაზვნული-რაინდული ორდენი – მახვილოსანთა ორდენის სახელით (მათ მოსასხამზე ჯვრის ტიპის მახვილი ჰქონდათ გამოსახული), ვინაიდან ეს ორდენი ძირითადად ლივების ტერიტორიაზე მოქმედებდა, სხვანაირად მას ლივონიის ორდენსაც უწოდებდნენ. ახალი ორდენის წესდება პალესტინაში შექმნილი ტევტონთა ორდენის წესდების იდენტური იყო. არსებით როლს ლივებისა და მათი მიმდებარე მიწების ცხოვრებაში ასრულებდნენ რიგის ეპისკოპოსი და ორდენის მაგისტრი, რომლებმაც ფაქტობრივი ხელისუფლება ერთმანეთში გაინაწილეს. აქაური კოლონიზაციის განმასხვავებელი ნიშანი ის იყო, რომ ბალტიისპირეთში არ მომხდარა გერმანელი გლეხი-კოლონისტების მასიური ჩამოსახლება, როგორც ეს ელბისპირეთსა და დუნაისპირეთში მოხდა. ბალტიისპირეთში უფრო რაინდული რაზმების სიჭარბე იგრძნობოდა. ეს უკანასკნელნი ძარცვავდნენ და იმორჩილებდნენ ლივების ქვეყანას, გაქრისტიანების საბაბით უამრავ ვალდებულებებსა და გადასახადებს აკისრებდნენ. სწორედ იმის გამო, რომ აქ ადგილი არ ჰქონია გერმანელთა მასიურ ჩამოსახლება-კოლონიზაციას, ლივებმა შეინარჩუნეს თავიანთი ენა, ტრადიციები და საერთოდ ეთნიკური სახე.

გაცილებით ტრაგიკული იყო მდინარე ვისლის დასავლეთ სანაპიროებზე მცხოვრებ პრუსთა ტომების ბედი. პრუსები, სამხრეთ ბალტიისპირა ლიტვური მოდგმის ტომები იყვნენ. პოლონეთის მეფეებს ხანგრძლივი ომები ჰქონდათ პრუსებთან, მაგრამ მათი დამორჩილება ვერ შეძლეს. სწორედ ამ კონფლიქტის გამო პოლონეთის მეფეებმა თანხმობა მისცეს პალესტინაში მოქმედ ტევტონთა ორდენის ხელმძღვანელობას, ჩამოსახლებულიყვნენ ქვემო ვისლისა და მისი შესართავების მიდამოებში. ტევტონთა ორდენის ჩამოსახლება მოხდა 1226 წელს, რაც პოლონეთის სამეფოს მესვეურთა უდიდესი პოლიტიკური სიბეცე იყო. ორდენის ჩამოსახლებით პოლონეთმა შეიძინა არა მარტო პრუსების წინააღმდეგ მებრძოლი ძალა, არამედ საკუთარი საშიში მტერიც.

ტევტონთა ორდენის ცენტრი დასაწყისში იყო პოლონელთაგან ნაბოძები ქალაქი კულმი (ხოლმი), ხოლო მოგვიანებით პრუსებისათვის წართმეული და ახლად აშენებული მარიენბურგი. ასევე მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა პრუსთა მიწაზე აშენებული ქალაქი კენისბერგიც.

მალე, 1237 წელს, ტევტონთა და მახვილოსანთა ორდენი გაერთიანდა. გაერთიანებული ორდენის ტერიტორიები საკმაოდ ვრცელი და სტრუქტურულად მნიშვნელოვანი იყო. ლივთა ქვეყანაში საბოლოო გაბატონების შემდეგ, ორდენი ჩრდილოეთ რუსთა სამთავროებში შეჭრასაც შეეცადა. აქ არსებობდნენ ნოვგოროდისა და ფსკოვის სამთავროები (ფეოდალური რესპუბლიკები), რომლებსაც ერთმანეთში ხშირად უთანხმოებაც ჰქონდათ. გერმანელ რაინდთა მოძალებას რუსებმა ერთსულოვნება დაუპირისპირეს. 1242 წლის მარტში, ნოვგოროდის ახალგაზრდა მთავარმა ალექსანდრე იაროსლავის ძემ, გერმანელთა მოზრდილი გარნიზონი ჯერ ფსკოვთან გაანადგურა, ხოლო შემდეგ, იმავე წლის აპრილში, ჩუდის ტბის ყინულზე. „ყინულზე ბრძოლა“, ასეთი სახელით დარჩა ისტორიაში ეს მართლაც საშინელი მარცხი გერმანელი რაინდებისა. ამის შემდეგ მათ არც უცდიათ რუსთა მიწებზე შეჭრა.

სამაგიეროდ ორდენისა და გერმანელი კოლონისტების მთელი სიმძიმე თავს დაატყდა პრუსების ტომებს. აქ მასიურად იწყეს ჩამოსახლება კოლონისტებმა, რაინდობამ და გლეხობამ, ვაჭრებმა და მოქალაქეებმა. მკვიდრი მოსახლეობის აყრა, ფიზიკური განადგურება, გაგერმანელება, საშინელი სისასტიკით ხორციელდებოდა. ვინც ორდენის რაინდთა მახვილს გადაურჩებოდა, გერმანელთა სამსახურში უნდა ჩამდგარიყო, ასეთები ხშირად რაინდთა წოდებებშიც კი აჰყავდათ, რაც მათ გაგერმანელებას აჩქარებდა. პრუსიის დამორჩილების შემდეგ, ორდენმა აღმოსავლეთით კიდევ უფრო გააფართოვა თავისი სამფლობელოები. 1346 წელს ტევტონთა ორდენმა დანიელებისაგან იყიდა ესტების მიწა-წყალი, ხოლო პომორიე (იგივე პომერანია), ძალით დაიპყრო. ამან უდიდესი საფრთხე შეუქმნა პოლონეთისა და ლიტვის სახელმწიფოებს, რომლებიც ზღვას მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ.

ორდენსა და პოლონეთს შორის დაპირისპირება XIV საუკუნის ბოლოს შეურიგებელ ბრძოლაში გადაიზარდა. საფრთხე შეექმნა თვით პოლონეთისა და ლიტვის სახელმწიფოებრიობას. ამ საფრთხემ აიძულა ეს უკანასკნელნი, ძალები გაეერთიანებინათ. 1380 წელს დაიდო ლიტვა-პოლონეთის უნია (კავშირი). ამით გაერთიანდნენ ორდენის მოწინააღმდეგე ძალები. გადამწყვეტი შეჯახება მოხდა 1410 წლის 15 ივლისს, ტანენბერგის მახლობლად, გრიუნვალდის ველზე. ეს იყო შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი და სისხლისმღვრელი ბრძოლა. ამ შეჯახებაში ორდენმა სასტიკი მარცხი განიცადა. პაპისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ბრძოლის ველზე გერმანელმა რაინდებმა დაკარგეს თვრამეტი ათასი კაცი, უფრო დიდი იყო დაჭრილთა ოდენობა. ბრძოლის ველზე დაეცა თვით ორდენის დიდი მაგისტრიც (ულრიხ ფონ იუნგინგენი). ამ მარცხის შემდეგ ტევტონთა ორდენი დასუსტდა და 1466 წელს ტორუნის ზავის მიხედვით, პოლონეთის მეფისადმი თავისი ვასალური დამოკიდებულება აღიარა.

უმეფობის ხანა. XIII-XIV საუკუნეების გერმანიის ისტორია მეტად წინააღმდეგობრივი ხასიათისა იყო. შტაუფენების საიმპერატორო დინასტიის გადაგვარება, პოლიტიკურ ინტერესთა გადატანა იტალიისა და აღმოსავლეთით სლავური მიწების ათვისებისაკენ, გერმანიის შიგნით ქაოსურ მდგომარეობას ქმნიდა. პაპებისაგან დაწყევლილი შტაუფენები საბოლოოდ გადაშენდნენ. 1254 წლიდან გერმანიაში იწყება ე. წ. „უმეფობის ხანა", რომელიც ერთი გამოკვეთილი ნიშნით ხასიათდება, ტერიტორიული მთავრების ძალაუფლების ზრდით. თუმცა ზოგიერთი სამთავრო, პირიქით, დაიშალა უფრო წვრილ საფეოდალეობად (მაგ., შვაბია და ფრანკინია). ფეოდალური შინაომები, სამფლობელო ტერიტორიების ცვლა, ცენტრალური ხელისუფლების არარსებობა, საოცრად მძიმე სურათს ქმნიდა. ფეოდალური შინაომებისაგან თავის დასაცავად სხვა მიმართულება მიიღო ქალაქების ეკონომიკურმა ინტერესებმა. ჩნდება პირველი ნიშნები ქალაქთა გაერთიანებებისა (მაგ., რაინისპირა, დუნაისპირა და ბალტიისპირა ქალქების გაერთიანებები და სხვა). დამახასიათებელია, რომ ამ გაერთიანებების ინტერესები ქვეყნის შიგნით ფეოდალთა მოძალებისაგან თავდაცვაში გამოიხატებოდა, ხოლო სავაჭრო-სელოსნური და ფინანსური ინტერესები, უფრო ქვეყნის გარეთ იყო მიმართული.

პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ასეთი განსხვავება და შინაპოლიტიკური ქაოსი, აიძულებდა გერმანელ ფეოდალებსა და განსაკუთრებით კი ეკლესიას, ეზრუნათ ცენტრალური საიმპერატორო ხელისუფლების აღდგენისათვის.

საიმპერატორო ხელისუფლების აღდგენა, ჰაბსბურგები და ლუქსემბურგები. საიმპერატორო ხელისუფლება მომავალში როგორც საერო, ისე სასულიერო ფეოდალების აზრით, უნდა ყოფილიყო უფრო სიმბოლური, ვი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრე რეალური. იმპერატორს არ უნდა ჰქონოდა ისეთი ძლიერება, რომელიც შეძლებდა ტერიტორიული მთავრების უფლებათა შეზღუდვას. სწორედ ამ მოსაზრებით, საიმპერატორო ტახტზე არჩეულ იქნა საშუალო ფეოდალი ჰაბსბურგთა გვარიდან, რუდოლფ ჰაბსბურგი. ამ საგვარეულოს სამკვიდრო მიწები მცირე სამფლობელოების სახით გაბნეული იყო ელზასში, სამხრეთ გერმანიაში და სხვა. თავად რუდოლფი, როცა 1273 წელს იმპერატორად აირჩიეს, ორმოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული, უპრეტენზიო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი არჩევა მოხდა ქალაქ ფრანკფურტში (მაინზე) და ეს ადგილი დიდხანს რჩებოდა საიმპერიო პოლიტიკურ ცენტრად. რუდოლფ ჰაბსბურგს არც ჰქონია დიდი პოლიტიკური პრეტენზიები. მისი უმთავრესი მცდელობა, საგვარეულო-სამემკვიდრეო ტერიტორიების გაფართოება იყო. თუმცა გარეგნულად უწყინარი იმპერატორის შინაგანი ბუნება საკმაოდ ამბიციური, გააზრებული და ანგარიშიანი იყო. რუდოლფმა კარგად ისარგებლა იმ წინააღმდეგობებით, რომელიც არსებობდა გერმანელ მთავრებსა და ჩეხეთის მეფეს ჰშემისლ II-ს შორის. ჩეხეთის მეფე შეეცადა ესარგებლა გერმანიაში უმეფობით და საკუთარი თავი წარმოადგინა საიმპერატორო ტახტზე. გერმანელი მთავრები ჩეხეთის ძლიერ მეფეს საიმპერატორო ტახტზე არ დაუშვებდნენ და მის წინააღმდეგ ყველაფერს აკეთებდნენ. გერმანელი დიდკაცობის ამ განწყობით ისარგებლა რუდოლფ ჰაბსბურგმა, მოიპოვა მათი მხარდაჭერა და ჩეხეთის მეფე დაამარცხა. ამის წყალობით ჰაბსბურგებმა შეიძინეს ავსტრიის საჰერცოგო (მისი მიმდებარე ოლქებით კრაინა, კარინთია, შტირია) და სამემკვიდრეო სამფლობელობად აქციეს.

მართალია, ჰაბსბურგები განასახიერებდნენ ცენტრალურ, საიმპერიო ხელისუფლებას, მაგრამ მათი მნიშვნელობა საერთო-გერმანულ საკითხებში, უმნიშვნელო იყო. კვლავ გრძელდებოდა ფეოდალური ანარქია. მთავრები და საიმპერიო ფეოდალ-რაინდები კვლავ თვითნებობდნენ. გაუთავებელი წვრილ-წვრილი შინაომები, ქალაქებისა და ვაჭართა ძარცვა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყველაფერი ეს გლეხთა უკმაყოფილებასა და ხშირად ამბოხებასაც იწვევდა. ცნობილია XIII საუკუნის 80-იანი წლების გლეხთა ამბოხებანი რაინზე ფრიდრიხ ფეხსაცმლიანის მეთაურობით (იმპერატორ ფრიდრიხის სახელი სალხში ლეგენდებით შეიმოსა. ცნობილია, რომ ფრიდრიხ ბარბაროსა მესამე ჯვაროსნული ლაშქრობისას მცირე აზიაში დაიღუპა. გავრცელდა თქმულება, თითქოს ბარბაროსა კი არ დაიღუპა, არამედ მხოლოდ გაუჩინარდა და მალე კვლავ მოვა ხალხის საშველად). ასეთი „ფრიდრიხები" საკმაოდ ბევრნი გამოჩნდნენ. რუდოლფ ჰაბსბურგმა, მთავრების დახმარებით, შეძლო გლეხთა გამოსვლების ჩახშობა. ფრიდრიხ ფეხსაცმლიანი შეიპყრო და ცეცხლზე დაწვა. რუდოლფი განაგრძობდა სამემკვიდრეო მამულების გაფართოებას, რამაც გააღიზიანა ტერიტორიული

მთავრები. რუდოლფის გარდაცვალების შემდეგ, მთავრებმა მისი შვილი ალბერტ ავსტრიელი აირჩიეს (1298-1308), ამ უკანასკნელმა მამისეული პოლიტიკა გააგრძელა. საგვარეულო მიწების გაფართოებისათვის ბრძოლებში ის დაუპირისპირდა შვეიცარის კანტონთა (ოლქების) კავშირს და მათთან ბრძოლაში ის კიდევაც დაიღუპა (1308). ჰაბსბურგთა საგვარეულოს შესაძლო გაძლიერებით შეშფოთებულმა მთავრებმა, საიმპერატორო ტახტზე აიყვანეს არა ალბერტის მემკვიდრე, არამედ ლუქსემბურგთა საგვარეულოს წარმომადგენელი ჰაინრიხი (1308-1313). ლუქსემბურგთა სამემკვიდრეო მცირე საგრაფო მდებარეობდა ზემო მოზელსა და მაასს შორის. მთავრების აზრით, ჰაინრიხ ლუქსემბურგელი ისეთივე სუსტი და უპრეტენზიო უნდა ყოფილიყო, როგორც რუდოლფ ჰაბსბურგი გამეფებისას. მიუხედავად ამისა, ლუქსემბურგებმა საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნეს საიმპერატორო გვირგვინი (1437 წლამდე). ჰაინრიხ ლუქსემბურგელის ხანმოკლე მეფობა (1313 წლამდე) იმითაა აღსანიშნავი, რომ მან განაახლა მივიწყებული იტალიური პოლიტიკა. ისარგებლა რა პაპების ავინიონის ტყვეობით (1309 წლიდან), იგი შეეცადა თავისი გავლენის გაზრდას იტალიაში. ამ პოლიტიკას იგი შეეწირა კიდეც. ერთ-ერთი ლაშქრობისას ის სიენასთან ახლოს გარდაიცვალა. გერმანელმა მთავრებმა გარკვეული მოსაზრებით ამჯერად ტახტზე აიყვანეს ძლიერი ფეოდალი ლუდვიგ ბავარიელი ვიტელსბახების გვარიდან (1313-1347). ამ საგვარეულოს, გარდა ბავარიისა, ეკუთვნოდა აღმოსავლეთი ჰფალცი (ავსტრიის დასავლეთით), ვორმსის ოლქის ნაწილი და მიწები ჰოლანდიასა და ჰენეგაუში. ლუდვიგის გაიმპერატორება წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებით მოხდა. პაპების ავინიონის ტყვეობა საფრანგეთის მეფეებს საშუალებას აძლევდა კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ავტორიტეტი თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ. იტალიაში საფრანგეთის მეფეთა გავლენის საწინააღმდეგოდ, მთავართა მხარდაჭერით ლუდვიგ ბავარიელმა წამოიწყო ხანგრძლივი ომები. მისი მრავალგზისი ლაშქრობები იტალიაში, გერმანიისათვის რაიმე არსებითი შედეგების მომტანი არ აღმოჩნდა. პაპი განკვეთით დაემუქრა იმპერატორს და 1324 წელს ეს მუქარა სისრულეში მოიყვანა. ლუდვიგი იოანე XXII-მ შეაჩვენა. იმპერატორი შეეცადა რომის მოსახლეობის მხარდაჭერა მოეპოვებინა (ამ დროს რომის მოსახლეობა ავინიონელი პაპების წინააღმდეგ გამოსვლებს აწყობდა) და 1330 წელს რომისაკენ დაიძრა, თუმცა მას არც გერმანიიდან და არც იტალიის სხვა ქალაქებიდან მხარდაჭერა არ ჰქონდა. მან დატოვა იტალია და გერმანიაში დაბრუნდა. მალე დაიწყო ასწლიანი ომი და ლუდვიგ ბავარიელმა, საფრანგეთის მეფისა და პაპის საწინააღმდეგოდ, ედუარდ III-ს დაუჭირა მხარი. ამის საპასუხოდ პაპმა გერმანიის საიმპერატორო ტახტზე, გერმანელი არქიეპისკოპოსების დახმარებით, მხარი დაუჭირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაინრიხ ლუქსემბურგელის შვილიშვილს კარლს, რომელიც ლუდვიგის გარდაცვალების შემდეგ (1347), კიდეც აირჩიეს ჩეხეთის მეფედ.

ჰაინრიხ VII ლუქსემბურგელმა, ჯერ კიდევ 1310 წელს ხელთ იგდო პშემისლოვიჩთა ჩეხეთის მიწები. თავისი ვაჟი იანი (იგივე იოჰანი) დააქორწინა პშემისლოვიჩთა პრინცესაზე და ამით ლუქსემბურგთა ბატონობა ჩეხეთში ხანგრძლივი დროით უზრუნველყო. იან ლუქსემბურგელის ვაჟი, კარლ IV-ის სახელით, 1347 წლიდან გერმანიის იმპერატორად აირჩიეს.

კარლ IV-ს მეფობის დასაწყისი მეტად რთული ურთიერთობების პირობებში მოხდა. XIII-XIV საუკუნეებში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა გერმანიაში ძალთა მნიშვნელოვანი გადაჯგუფება გამოიწვია. ტერიტორიულ მთავართა შორის რამდენიმე (ბრანდერბურგი, ჰფალცი, საარქიეპი-სკოპოსები და სხვა.) იმდენად გაძლიერდა, რომ თითქმის სრულ დამოუკიდებლობას მიაღწა. უფრო მეტიც, ისინი ჩამოყალიბდნენ როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეულები. ეს მთავრები თავიანთ სუვერენულ უფლებებს ავრცელებდნენ არა მარტო კუთვნილ ტერიტორიებზე, არამედ ქალაქებზე და, საერთოდ, ვაჭრობის განვითარებაზეც. ამრიგად, ტერიტორიული მთავრების, როგორც პოლიტიკური ცენტრების გაძლიერებამ, საკუთარი ეკონომიკური დასაყრდენიც გაიჩინა. ამდენად, იმპერატორსაც უნდა ჰქონოდა ისეთი ეკონომიკური და პოლიტკური დასაყრდენი, საიდანაც იგი დაუპირისპირდებოდა ტერიტორიულ მთავრებს და თუ ვერ სძლევდა მათ, საკუთარი მაინც შეენარჩუნებინა. ასეთ ცენტრად კარლ IV-სთვის იქცა ჩეხეთი.

კარლ IV თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული და ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. ჭაბუკობის წლები მან პარიზში გაატარა, ფრანგული აღზრდა მიიღო და ფრანგულ კულტურასაც ნაზიარები იყო. გამეფებისას მან დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ჩეხეთისადმი. მის დროს ჩეხეთი, კულტურულად და ეკონომიკურად, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულ სამეფოდ იქცა. 1348 წელს მისი ინიციატივით დაარსდა პრაღის ცნობილი უნივერსიტეტი (თუმცა გერმანული ენა იყო გაბატონებული). გამშვენიერდა ქალაქი, აიგო კრემლი და სხვა სასახლეები, მდინარე ვლატავაზე ხიდი და სხვა. ამ აღმშენებლობის გვერდით, შეიმჩნეოდა ჩეხეთისათვის მავნე მოვლენაც: ვინაიდან კარლ IV-ის გამეფება ავინიონელი პაპებისა და ეკლესიის მხარდაჭერით მოხდა, ჩეხეთში გაიზარდა პაპის მომხრეთა და, საერთოდ, გერმანელი ეპისკოპოსების გავლენა. ამასთან, ეს გავლენა თანდათანობით ცხოვრების ყველა სფეროში იჭრებოდა. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ჩეხეთის სამეფოს გაძლიერებისათვის ზრუნვისა, ის მაინც მოქმედებდა როგორც გერმანიის მეფე და იმპერატორი. ასე რომ, მაქსიმილიან ჰაბსბურგის გამონათქვამი, კარლ IV იყო ჩეხეთის მამა და გერმანიის მამინაცვალი, მთლად მართებული არ უნდა იყოს.

კარლ IV საკუთარი სამფლობელოების გაფართოებისათვის ისევე ზრუნავდა, როგორც მისი წინამორბედები. მან თავის სამეფოს შემოუერთა სილეზია, ზემო ლუჟიცი, მისი მეზობელი ბრანდებურგის ნაწილი და სხვ. მიუხედავად დინასტიური სამფლობელოების გაფართოებისა და მოჩვენებითი ძლიერებისა, კარლს IV-ს დროს იმპერიაში შეიმჩნეოდა ორი უმთავრესი ტენდენცია: 1. ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულების უფლებათა გაზრდა და 2. იმ ტერიტორიული მთავრების პოლიტიკური დაჯგუფების გამოკვეთა, რომლებიც წყვეტდნენ იმპერატორის არჩევა-გადაყენების საკითხებს. ამ ტენდენციის დაგვირგვინება იყო 1356 წელს კარლოსის მიერ ხელმოწერილი და გამოქვეყნებული ე. წ. „ოქროს ბულა". ეს დოკუმენტი აკანონებდა მთავართა იმ კოლეგიას, რომელთა ხელშეუხებელი უფლება იყო იმპერატორის არჩევა (ამიტომ ეწოდათ მათ „ამომრჩეველი მთავრები" — კურფიურსტები). მთავართა ამ კოლეგიაში შედიოდნენ: ტრირისა და კიოლნის არქიეპისკოპოსები, ჩეხეთის მეფე, რაინის პფალცგრაფი, საქსონიის ჰერცოგი, ბრანდებურგის მარკგრაფი, დაბოლოს მაინცის არქიეპისკოპოსი (რიგითობა მკაცრად იყო დაცული). კურფიურტთა კოლეგიის მოწვევა და საკითხთა განხილვა ხდებოდა მაინცის არქიეპისკოპოსის რეზიდენციაში (ფრანკფურტში). იგი ამზადებდა კოლეგიაზე გასატან საკითხებს, წინასწარ ეცნობოდა თითოეული მთავრის აზრს განსახილველ საკითხზე და სხვ. მაინცის არქიეპისკოპოსს ეკუთვნოდა მეშვიდე, გადამწყვეტი ხმაც. კოლეგიაში ის, ერთგვარ „გენერალურ მდივანს" წარმოადგენდა.

სასულიერო მთავრის ასეთი დიდი როლი კურფიუსტთა კოლეგიაში შემთხვევითი არ იყო. მართალია, „ოქროს ბულაში" აშკარად არ ჩანდა პაპის როლი, მაგრამ სასულიერო პირთა ხვედრითი წილი, ამის ნათელი დადასტურება იყო. ამომრჩეველი მთავრები უდიდესი უფლებებით აღიჭურვნენ. მათ შეიძინეს სახელმწიფოებრიობის ისეთი ნიშნები, როგორიცაა: ფულის მოჭრის უფლება, დამოუკიდებელი სასამართლო და საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკა, ომისა და ზავის უფლება, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა და სხვ. საკურფიურსტოები გადაიქცნენ ერთგვარად ნახევრად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იმპერიის ტერიტორიაზე. შემდგომში, ზოგიერთი ასეთი უფლებები, სხვა არაამომრჩეველმა მთავრებმაც მიითვისეს. ამრიგად, გერმანიის შინაგანმა პოლიტიკურმა გათიშულობამ კონსტიტუციური გაფორმება მიიღო.

მიუხედავად აშკარა მარცხისა შიდაგერმანულ პოლიტიკაში, კარლ IV ცდილობდა აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებას. ის განსაკუთრებით აქტიურობდა იტალიურ საქმეებში. მან რამდენჯერმე ილაშქრა იტალიაში, რომში დაიდგა იმპერატორის გვირგვინიც (1355) და თავისი აქტიურობით ერთგვარად მოამზადა ნიადაგი პაპების ავინიონიდან რომში დასაბრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლად. თუმცა ეს უფრო მისი ანტიფრანგული განწყობით აიხსნება, ვიდრე ფაქტობრივი წარმატებებით იტალიაში.

კარლ IV-ს სიკვდილის შემდეგ, ჩეხეთის სამეფო გვირგვინი და იმპერატორობა მის ვაჟს ვაცლავს ერგო (1378-1400). საინტერესოა, რომ ის ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მეფედ აირჩიეს, ხოლო გვირგვინზე ეკურთხა აახენში. ვაცლავის პოლიტიკით უკმაყოფილო მთავრებმა (იგი აშკარა პროჩეხურ პოლიტიკას ატარებდა) 1400 წელს იგი გერმანიის იმპერატორობიდან გადააყენეს და მის ნაცვლად რუპრეხტ პფალცელი აირჩიეს (1400-1410). ვაცლავი ჩეხეთის მეფედ სიკვდილამდე რჩებოდა (1419). რუპრეხტ პფალცელის გარდაცვალების შემდეგ, გერმანიის საიმპერატორო გვირგვინი ვაცლავის ძმას, სიგიზმუნდს ერგო (1410-1437).

ვაცლავისა და სიგიზმუნდის დროს ჩეხეთში უდიდესი მოვლენები დატრიალდა. ეროვნულ-განმათავისუფლებლებელმა ჰუსიტურმა მოძრაობამ და ომებმა (1418-1434), ჩეხეთი ფაქტობრივად ჩამოაშორა იმპერიას. ამ ჩამოცილებით ჩეხეთმა იმპერიის პოლიტიკური ცენტრის როლი დაკარგა და, ამავე დროს, იმპერატორებს გამოეცალათ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური დასაყრდენიც. ამან კი ლუქსემბურგების თანდათანობით დასუსტება განაპირობა, რისი შედეგიც იყო მორიგი დინასტიური ცვლა. 1437 წელს იმპერატორად აირჩიეს არა ლუქსემბურგელთა მემკვიდრე, არამედ ჰაბსბურგთა წარმომადგენელი ალბერტ II ავსტრიელი (ის იყო სიგიზმუნდის სიძე), რომლის ხანმოკლე იმპერატორობას მოჰყვა მისი ძმის, ფრიდრიხ III-ს გამეფება (1440-1493). ფრიდრიხ III შეეცადა განეახლებინა ყბადაღებული იტალიური პოლიტიკა; ის მილანში ლომბარდიის მეფედ და რომში კი იმპერატორადაც ეკურთხა, მაგრამ მათი შენარჩუნება მაინც ვერ შეძლო, მეტიც, მან ზოგიერთი სამემკვიდრეო მიწაც კი დაკარგა. მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა მისი მეფობის მეორე ნახევარში. ფრიდრიხ III-ს ვაჟი, მაქსი (მაქსიმილიან I) დაქორწინდა ბურგუნდიის ჰერცოგის შარლ გულადის ქალიშვილზე, მარიაზე, რის შედეგადაც ჰაბსბურგებმა მიიღეს ბურგუნდიის აღმოსავლეთი ნაწილი (დასავლეთი ნაწილი ლუი XI-მ 1477 წელს შარლ გულადის განადგურების შემდეგ საფრანგეთს შეუერთდა), გარდა ამისა, მარია ბურგუნდიელს მემკვიდრეობით ერგო ნიდერლანდებიც (დედის მხრიდან). ასე რომ, XV საუკუნის ბოლოსთვის ჰაბსბურგთა სამფლობელოები მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

გერმანიის ეკონომიკური განვითარება, ქალაქთა კავშირები, ჰანზა. რამდენადაც რთული და წინააღმდეგობრივი იყო გერმანიის საშინაო-პოლიტიკური ვითარება, ამდენადვე ჭრელი იყო მისი ეკონომიკური სახეც. განსახილველი პერიოდის გერმანიაში გლეხთა აბსოლუტური უმრავლესობა დაყმევებული იყო. ერთიანი საიმპერიო პოლიტიკისა და სამართლის არარსებობის პირობებში, ტერიტორიული მთავრები და ფეოდალები თავიანი ქვეშევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდომებისა და, მაშასადამე, გლეხებისადმიც უმაღლეს იურისდიქციას ფლობდნენ. გლეხთა ვალდებულებებს მთლიანად ბატონი განსაზღვრავდა. ფეოდალ-მთავართა უფლებები ასევე ვრცელდებოდა ვაჭრობა-ხელოსნობასა და, საერთოდ ქალაქებზეც, რაც იწვევდა ამ უკანასკნელებში პროტესტსა და თავდაცვის სხვადასხვა ფორმებს მიმართავდნენ. ერთ-ერთი ასეთი ფორმა ქალაქთა კავშირების, გაერთიანებების შექმნა იყო.

XIV-XV საუკუნეების გერმანიის ქალაქების უმსხვილესი გაერთიანება იყო ჰანზა – ჩრდილოგერმანული ქალაქების კავშირი. თავდაპირველად ამ კავშირში გაერთიანდნენ ჩრდილოგერმანული ქალაქები: ბრემენი, როსტოკი, ლუბეკი, ჰამბურგი და სხვ. წამყვანი როლი ამ კავშირში ლუბეკს ეჭირა (ეს როლი მან ჰანზას არსებობის ბოლომდე შეინარჩუნა). თანდათანობით მასში გაერთიანდნენ ბალტიისზღვისპირა ქალაქებიც: რიგა, რეველი, დერპტი, აგრეთვე პრუსიის ქალაქები კენისბერგი, დანციგი და სხვ. ჰანზას თავისი წარმომადგენლობა (ერთგვარი ქარვასლები) ჰქონდა რუსულ ქალაქებში (ნოვგოროდი, ფსკოვი და სხვა.) და აგრეთვე ინგლისსა და სკანდინავიაში. მოგვიანებით ჰანზას შეუერთდნენ ზოგიერთი საზღვრისპირა ქალაქებიც რაინზე (კელნი), ოდერსა და ვეზერზე. ჰანზას გააჩნდა მკაცრი ორგანიზაციული დისციპლინა და წესდება, რომლის დაცვა სავალდებულო იყო.

რუსეთიდან და სკანდინავიიდან ჰანზელ ვაჭრებს ევროპაში შეჰქონდათ პურეული და ბეწვეული, მარილი და ტყავი, თაფლი და ქონი, ოქროსა და რკინის მადანი, ხე-ტყე, ფისი და სხვ. ევროპიდან გაჰქონდათ მაუდი, ლითონის ნაწარმი, სამხრეთ ევროპიდან – აღმოსავლური საქონელი და სანელებლები. ნიდერლანდებიდან (ბრუგე) რუსეთამდე (ნოვგოროდი) მუდმივმოქმედი სავაჭრო გზა არსებობდა. ჰანზელი ვაჭრები უფრო შორეულ მოგზაურობებსაც აწყობდნენ.

ჰანზის აღმოცენების ზუსტი თარიღი არაა ცნობილი. პირობითად, აღმოცენების თარიღად XIV საუკუნის შუა ხანები შეიძლება ჩაითვალოს. 1356 წელს, ფლანდრიის გრაფმა სცადა ჩარეულიყო ჩრდილოგერმანელ ქალაქთა საქმიანობაში, რითაც დაარღვია ამ ქალაქების ტრადიციული პრივილეგიები. ქალაქებმა გრაფის მოქმედებას დაუპირისპირეს ეკონომიკური სანქციები ფლანდრიის მიმართ, ფლანდრია ნამდვილ ბლოკადაში მოაქციეს. ამ დროიდან ჩნდება ტერმინი გერმანული ჰანზა.

ჰანზელები ცდილობდნენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებიდან და ქალაქებიდან უცხოელი ვაჭრები გაეძევებინათ, ხოლო სანავსადგურო ქალაქებში უცხო გემებს სამ თვეზე მეტხანს გაჩერება არ შეეძლოთ.

ჰანზა თანდათანობით ღებულობდა მკვეთრად გამოხატული გაერთიანების სახეს. XIV საუკუნის 60-იანი წლებიდან ეწყობა ჰანზას წევრების წარმომადგენელთა მუდმივი ყრილობები, სადაც წყდებოდა მნიშვნელოვანი საფინანსო-ეკონომიკური და ზოგჯერ პოლიტიკური საკითხებიც. ჰანზას

ეკონომიკურ-პოლიტიკური სიმტკიცე კარგად გამოჩნდა მის კონფლიქტში დანიასთან. 1367 წელს დანია შეეცადა ჰანზას ეკონომიკაში ჩარეულიყო, რასაც ჰანზამ ომით უპასუხა. ამ უკანასკნელს მიემხრნენ დანიის მოწინააღმდეგენიც (შვეცია, მეკლენბურგი და სხვ.). მოკავშირეთა ფლოტმა, რომლის ბირთვს ჰანზას ძალები წარმოადგენდნენ, მოახდინეს დანიის სანაპიროების ბლოკადა და მალე კოპენჰაგენიც აიღეს. სამი წლის შემდეგ დადებული ზავით (შტრალზუნდის ზავი) ჰანზამ თავისი პრივილეგიები მთლიანად შეინარჩუნა.

მიუხედავად ჰანზის ქალაქების ასეთი ერთსულოვნებისა საერთო პრობლემებისადმი, მათ შორის ხშირი იყო დაპირისპირებებიც. წინააღმდეგობები იყო ქალაქის სოციალურ ფენებს შორის. ჰანზის ქალაქებში ძალაუფლება მდიდარ ვაჭართა და პატრიციების ხელში იყო. ქალაქის დაბალ ფენებს ნაკლები უფლებები გააჩნდათ, რაც იწვევდა მათ უკმაყოფილებას და ხშირად გამოსვლებსაც. ჰანზას ქალაქებში არაერთი ასეთი გამოსვლაა დაფიქსირებული.

ჰანზას ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის დასუსტება შეინიშნება XV საუკუნის, მეორე ნახევრიდან. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიწვია ევროპის ქვეყნების ეკონომიკის ზრდამ. ნიდერლანდების, ინგლისის, სამხრეთ საფრანგეთის, იტალიის ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებამ დაჩრდილა ჰანზას ეკონომიკა. მოსკოვის სახელმწიფოს გაძლიერებამ ჰანზელები რუსეთის ქალაქებიდან გამოაძევა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. ჰანზას როლი განსაკუთრებით დაეცა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა ახალი სავაჭრო გზები აღმოსავლეთისაკენ, აღმოაჩინეს ამერიკა და სავაჭრო გზებმა სხვა მიმართულებით გადაინაცვლა.

გერმანული ქალაქების სხვა გაერთიანებებიდან აღსანიშნავია დიდი მდინარეების გასწვრივ მდებარე ქალაქების გაერთიანებები. მაგალითად, მდინარე რაინის გასწვრივ არსებული ქალაქები – მაინცი, სტრასბურგი, ვირმსი, შპეიერი და სხვები რაინის კავშირში იყვნენ გაერთიანებულები. რაინი მნიშვნელოვანი სავაჭრო არტერია იყო და აქაური ქალაქები ვაჭრობას ეწეოდნენ როგორც ერთმანეთში, ისე საშუამავლო საქმიანობას სამხრეთ და ჩრდილო ევროპას შორის.

მსგავსი გაერთიანება შექმნეს დუნაისპირა ქალაქებმაც, რომლებიც შვაბიის კავშირში გაერთიანდნენ. მალე მათ ფრანკონიის ზოგიერთი ქალაქიც შეუერთდა. XIV საუკუნის 80-იან წლებში (სავარაუდოდ, 1381 წელს) რაინისა და შვაბიის ქალაქები ერთ კავშირში – რაინის კავშირში გაერთიანდნენ. მასში ასამდე ქალაქი იყო გაერთიანებული.

გერმანიის ქალაქთა კავშირების შექმნა განპირობებული იყო არა მარტო საერთო-ეკონომიკური ინტერესებით. გაერთიანებისაკენ უბიძგებდათ მათ მთავართა და ფეოდალთა თვითნებობა და მუდმივი მტრობა. თავდასხმები ქალაქებზე, ვაჭართა ქარავნების ძარცვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ

საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სამხრეთ გერმანიის რაინდები. ტერიტორიული მთავრები ხშირად შუამავალ-მომრიგებლებად გამოდიოდნენ მოჭიშპეთა შორის და ამაში დიდ სარგებელსაც ნახულობდნენ.

მთავარი მაინც ის იყო, რომ არც ჰანზა და არც რაინის კავშირის ქალაქები, საერთო-გერმანული ინტერესებიდან არ გამოდიოდნენ. იმის გამო, რომ არ არსებობდა გერმანიის შიგნით ერთიანი პოლიტიკური და სამართლებრივი სივრცე, არ არსებობდა ერთიანი საშინაო ეკონომიკური ინტერესებიც. ამდენად, ქალაქთა კავშირების მთელი საქმიანობა, ფინანსურ-ეკონომიკური ინტერესები გერმანიის საშინაო ბაზრისაკენ კი არ იყო მიმართული, არამედ საგარეო ურთიერთობისაკენ. ქვეყნის შინაგანმა პოლიტიკურმა გათიშულობამ თავისი გამოძახილი ეკონომიკაშიც პოვა. სამთავროებისა და ტერიტორიების გერმანული პოლიტიკური და ეკონომიკური გათიშულობა არ იძლეოდა მტკიცე, ერთიანი გერმანიის შექმნის შესაძლებლობას. ასეთად დარჩა გერმანია მომდევნო საუკუნეებშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XVII

იტალია და პაპობა XIII-XV საუკუნეებში

XIII-XV საუკუნეებში იტალია რჩებოდა პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყნად, რომელიც მოიცავდა სახელმწიფოებრივი მმართველობის სხვადასხვა ფორმებს. სამხრეთი იტალია და კუნძული სიცილია შედიოდა ნორმანების მიერ შექმნილ სიცილიის სამეფოში (XV საუკუნეში მას ორივე სიცილიის სამეფო ეწოდებოდა), რომელიც ცენტრალიზებული მონარქიის გზით ვითარდებოდა.

შუა იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა რომის პაპების თეოკრატიულ სახელმწიფოს – პაპების ოლქს. ჩრდილოეთ და შუა იტალიაში, ძირითადად, ლომბარდიასა და ტოსკანაში, ჩამოყალიბდა რამდენიმე ათეული დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფო. XIII საუკუნეში ასეთი ქალაქების რიცხვი მათი დისტრეტოს ჩათვლით 70 იყო, მაგრამ XIV საუკუნეში და განსაკუთრებით XV საუკუნეში მათი რიცხვი მკვეთრად შემცირდა, რადგან ბევრი საქალაქო კომუნა თავისზე ძლიერ მეზობლებს დაემორჩილა. იცვლებოდა მათი სახელმწიფოებრივი წყობის ფორმებიც: რესპუბლიკები გადაიქცნენ სინიორიებად, ეს უკანასკნელნი კი – პრინციპატებად. აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არსებობდა დამოუკიდებელი ტერიტორიები ტრადიციული ფეოდალური მმართველობის სისტემით: პიემონტის სათავადო, სავოიის საჰერცოგო, მონფერატისა და სალუცოს მარკიზატები და სხვ.

შუა იტალია-ტოსკანა (უწინდელი ეტრურია) წარმოდგენილი იყო მთელი რიგი ქალაქ-რესპუბლიკებით, რომელთა შორის უმთავრესი იყო: ფლორენცია, პიზა და სიენა. ჩრდილოეთი იტალია, ეგრეთ წოდებული ლომბარდია, მდინარე პოს აუზი, პოლიტიკურად დაქსაქსული იყო. ჩრდილოეთ იტალიაში მდებარეობდა ორი ძლიერი საზღვაო იმპერია – ვენეცია და გენუა, მდიდარი სამრეწველო ქალაქ-რესპუბლიკა მილანო და მთელი რიგი ქალაქ-სახელმწიფოებისა: ვერონა, პადუა, პიაჩენცა, პარმა და სხვ.

სამხრეთი იტალია. როგორც უკვე აღვნიშნეთ (მე-9 თავი), 1268 წელს სამხრეთი იტალია გერმანელი იმპერატორების – ჰოჰენშტაუფენების ხელიდან საფრანგეთის მეფის ლუი IX-ს ვაჟის შარლ ანჟუელის (1246-1285) ხელში გადავიდა. მისი გამეფება აღინიშნა ადგილობრივი მსხვილი ფეოდალების განადგურებითა და გაძევებით. დაპყრობილი მიწები შარლ ანჟუელმა თავის მომხრეებს დაურიგა, გაანადგურა არაბი მოსახლეობა, გაზარდა გადასახადები და ბაჟები, მოსპო საქალაქო თვითმმართველობის ნიშნები. შარლ ანჟუელმა დაიწყო ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც მისაღები იყო მხოლოდ ფრანგებისათვის, რამაც დაბაბა და აჯანყებამდე მიიყვანა შარლ ანჟუელის პოლიტიკით უკმაყოფილო სიცილიელი დიდგვაროვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიცა და დაბალი ფენებიც. აჯანყება დაიწყო 1282 წლის 30 მარტს პალერმოში, მწუხრის ზარების რეკვით, ამიტომაც მას „სიცილიის მწუხრი“ (vespro siciliano) უწოდეს.

აჯანყებულებმა კავშირი დაამყარეს არაგონიის მეფესთან პედროსთან. აჯანყებას ხელმძღვანელობდა სიცილიელი მსხვილი ფეოდალი ჯოვანი და პროჩიდა, ფლოტს კი რუჯერო დე ლორია. აჯანყებულებმა გაიმარჯვეს და 1282 წლის 30 აგვისტოს პედრო არაგონელი სიცილიაში შევიდა. 1283 წელს შარლ ანჟუელმა სცადა რევანშის აღება, მაგრამ უშედეგოდ. 1302 წელს ანჟუელთა დინასტია სიცილიაში არაგონელთა დინასტიამ შეცვალა.

სიცილიის დაკარგვის შემდეგ ანჟუელთა სამფლობელო მხოლოდ აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილით განისაზღვრა, რომელსაც ამიერიდან ნეაპოლის (ნეაპოლიტანის) სამეფო ეწოდა. 1285 წელს პედრო არაგონელის სიკვდილის შემდეგ სიცილია ჩამოსცილდა არაგონიას, მაგრამ არც ნეაპოლის სამეფოს და არც არაგონიას არ უნდოდათ სიცილიის დაკარგვა, ამიტომაც ბრძოლას აგრძელებდნენ მისი ხელახლა დაუფლებისათვის, რასაც საბოლოოდ წერტილი დაუსვა 1302 წელს კალტაბელოტეს ზავმა, რომლის მიხედვითაც სიცილიის სამეფო ტახტზე დროებით რჩებოდა არაგონიის სამეფო დინასტია – მხოლოდ ნეაპოლის სამეფოს გავლენის ქვეშ.

XIV საუკუნის დასაწყისში ნეაპოლის სამეფო გაძლიერდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ტახტზე ავიდა რობერ ანჟუელი (1309-1343). იგი გამოირჩეოდა ვაჟკაცობით, გონებამახვილობითა და ზუსტი პოლიტიკური ალღოთი. ეს იყო პიროვნება, რომელიც ყველაფერს ცივი გონებით სჯიდა. იგი ყოველნაირად ცდილობდა ნეაპოლის სამეფოს გაძლიერებას. თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, მან საფრანგეთის მეფესთან სხვა პოლიტიკა ამჯობინა; XIII საუკუნის დამდეგამდე საფრანგეთი ნეაპოლს თვლიდა, როგორც ქვეშევრდომს და იყენებდა მას საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. რობერ ანჟუელი კი ცდილობდა საფრანგეთის ინტერესები თავისი ინტერესებისათვის შეეთავსებინა და ურთიერთობა ჰქონოდა, როგორც თანასწორს თანასწორთან. ასეთმა პოლიტიკამ რობერის პოზიციები გააძლიერა ევროპაში. ამავე დროს, აქტიურ საგარეო პოლიტიკას ეწეოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რათა იგი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. მას მხარს უჭერდა ავინიონში თავშეფარებული პაპი კლემენს V, რომელმაც საკმარისად ჩათვალა თავისი ფრანგული წარმოშობა და სიმპათიები, რომლებიც ჰქონდა საფრანგეთის მეფის მიმართ და რეზიდენციად ჯერ ლიონი, შემდეგ კი ავინიონი აირჩია – შედარებით წყნარი ქალაქი, სადაც მოსახლეობისაგან არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. რობერ ანჟუელის სამეფო კარმა მჭიდრო ნათესაური კავშირები დაამყარა სხვადასხვა სახელმწიფოებთან: თავის უფროს ძმას ფილიპ ტარანტელს ცოლად შერთო ნიკიფორე დუკას (კომნენოსის) ასული – ითამარი, თავისი მემკვიდრე შარლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალაბრიელი დააქორწინა ვალუების დინასტიის წარმომადგენელზე – მარიაზე. თვითონ ცოლად შეირთო ჯერ იოლანდა არაგონელი, შემდეგ კი სანჩე მაიორკა. ასეთი ქორწინებით რობერ ანჟუელმა ძალაუფლება განამტკიცა ევროპის სხვადასხვა რეგიონში. პაპის იოანე XXII-ს წყალობით მან ჯერ ვიკარის წოდებას მიაღწია, შემდეგ კი რომის სენატორობას.

რობერ ანჟუელი სერიოზულად შეუდგა ფინანსური პრობლემების მოგვარებასაც. აქტიური პოლიტიკის საწარმოებლად საჭირო იყო დიდი თანხები. სწორედ ამ მიზნით, მან ურთიერთობა დაამყარა ფლორენციის მმართველ წრეებთან. ამგვარად, ფლორენცია გახდა მისი ძირითადი დასაყრდენი ცენტრალურ და ჩრდილო იტალიაში. სამაგიეროდ, ფართოდ გაუღო თავისი სამეფოს კარები ფლორენციელ ვაჭრებს, ბანკირებს, მსხვილ მრეწველებს. თვით სამეფო კარზეც კი მრავალი ფლორენციელი დააწინაურა და აღაზევა. ამის ნათელი დადასტურება იყო თავისი დროის დიდი დიპლომატი აჩაიუოლო აჩაიუოლი. მისმა საგვარეულომ შემდგომში დიდ კარიერას მიაღწია ნეაპოლის სამეფო კარზე. განსაკუთრებით სწყალობდა რობერ ანჟუელი მწერლებსა და, საერთოდ, ხელოვნების წარმომადგენლებს. ცნობილია, რომ პეტრარკასთან პაექრობაში დამარცხებულმა მეფემ საკუთარი ხელით დაადგა პოეტს დაფნის გვირგვინი. ასევე მფარველობდა ჯოვანი ბოკაჩოს.

რობერ ანჟუელის გარდაცვალების შემდეგ ნეაპოლის სამეფოს მართავდა დედოფალი ჯოვანა (1343-1382). მისი მეფობის ხანა – ეს არის ყველაზე სისხლიანი პერიოდი XIV საუკუნის იტალიის ისტორიაში, რომელიც გამოირჩეოდა თავისი სისასტიკითა და ადამიანთა სიკვდილით დასჯისა და მოწამვლათა განუკითხაობითა და გარყვნილებით. რობერ ანჟუელის მიერ მოპოვებული წარმატებები თვალსა და ხელს შუა გაქრა და XIV საუკუნის ბოლოსათვის ნეაპოლის სამეფოში დაიწყო ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ დედოფალი ჯოვანა 1348 წელს იძულებული გახდა, რომ ანჟუელთა სამემკვიდრეო სამფლობელო – ავინიონი პაპისთვის მიეყიდა და ახალი სესხის მიღებისას სამეფო გვირგვინი დაეგირავებინა. ანჟუელთა დინასტიის მეფეები იძულებული გახდნენ დათმობებზე წასულიყვნენ ფეოდალების წინაშე, რამაც ფეოდალური ანარქია გააძლიერა. მრეწველობაში და განსაკუთრებით ვაჭრობასა და საბანკო საქმეში სულ უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდებოდა ფლორენციელ და გენუელ ვაჭართა როლი. ისინი აწარმოებდნენ მნიშვნელოვან სავაჭრო ოპერაციებს, იძენდნენ არა მარტო მიწის ნაკვეთებსა და ტიტულებს, არამედ მნიშვნელოვან თანამდებობებსაც სახელმწიფო სამსახურში. ყოველივე ეს ხელს უშლიდა ქვეყანაში ეკონომიკური კავშირების გაზრდას, რაც, თავის მხრივ, ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა ცენტრალიზაციისათვის. დასუსტებულ ნეაპოლის სამეფოზე პრეტენზიებს აცხადებდა არაგონიისა და სიცილიის მეფე ალფონსო I, რომელმაც 20 წლის ბრძოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, ანჟუელთა დინასტიის ძლიერი მოკავშირის – მილანოს ჰერცოგის ფილიპო მარია ვისკონტის მოსყიდვით. 1442 წელს შეძლო ნეაპოლის სამეფოს დამორჩილება.

ალფონსო I სამეფო კარი ნეაპოლში გადაიქცა რენესანსის კულტურის მსხვილ ცენტრად. ის მფარველობდა ჰუმანისტებს, მხატვრებს, პოეტებს. მისი მმართველობის დროს ნეაპოლის სამეფომ მიაღწია როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სიმტკიცეს. ხელახლა დაიწყო გაძლიერება ფეოდალურმა ურთიერთობებმაც, რამაც, თავის მხრივ, გლეხთა ექსპლუატაცია გააძლიერა.

პაპების ოლქი. ჯერ კიდევ XII საუკუნეში პაპობამ მნიშვნელოვნად გააფართოვა წმ. პეტრეს პატრიმონია – პაპის ოლქი. შემოიერთა ტოსკანას ნაწილი, ასევე სპოლეტო და ბენევენტო. პაპების ოლქი ძირითადად ფეოდალურ ხასიათს ატარებდა. საერო და სასულიერო ფეოდალების ბატონობას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ რომში განვითარებული არ იყო ვაჭრობა და მრეწველობა. ფეოდალურ გვარებს შორის უმსხვილესნი იყვნენ ორსინი და კოლონა (პეტრარკას მონაცემებით, მათ უცხოური წარმოშობა ჰქონდათ). 1143 წელს ვაჭარ-ხელოსანთა ფენამ, რომელიც პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენდა, რაინდობაზე დაყრდნობით, არნოლდო ბრეშიელის მეთაურობით რომი რესპუბლიკად გამოაცხადა (იხ. თავი 16). მაგრამ 1155 წელს პაპებმა ძალაუფლება აღადგინეს რომში და რესპუბლიკა ლიკვიდირებულად ცნეს.

XIII საუკუნეში პაპებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თავისი სამფლობელოები. ძალაუფლება გაავრცელეს ჩრდილოეთ იტალიაზე – რომანიაზე, მარკაზე, უმბრიაზე. მაგრამ ქვეყნის ცენტრალიზაციას არ ჩქარობდნენ. ფეოდალებს შორის გამართულ ნამდვილ ომებს რომის ქუჩებში ბოლო მოუღო რომის პაპმა ბონიფაციუს VIII-მ (1294-1303), მან შეძლო ფეოდალთა დროებით დამორჩილება და რომში ტირანია დაამყარა.

პაპი ბონიფაციუს VIII (საერო სახელი ბენედეტო გაეტანი) მდიდარი არისტოკრატული გვარიდან იყო გამოსული. გაიძვერა და პატივმოყვარე კარდინალს, გადმოცემის თანახმად, უწინასწარმეტყველეს: „ტახტზე ახვალ როგორც მელა, იმეფებ როგორც ლომი და მოკვდები როგორც ძაღლი“. ეს წინასწარმეტყველება ისტორიამ საოცარი სიზუსტით დაადასტურა. გულუბრყვილო პაპის ცელესტინე V-ს გაბრიყვების შემდეგ (შუაღამის ლოცვისას გაეტანიმ პაპს ზემოდან ჩამოსძახა: – პაპის ტახტზე უარი სთქვიო. პაპს ეს ზეციდან მონაწვდენი ხმა ეგონა, გაბრიყვდა და უარი თქვა მეორე დღესვე ტახტზე) პაპი გახდა ბენედეტო გაეტანი ბონიფაციუს VIII-ს სახელით („მწყალობელს“ ნიშნავს ლათინურად). ეს მოხდა 1294 წლის 12 დეკემბერს. ბონიფაციუსი, ისევე როგორც სხვა პაპები, დაწყებული გრიგოლ VII ჰილდებრანდიდან, თავგამოდებით იბრძოდა პაპების თეოკრატიისათვის. ცდილობდა სახელმწიფო საზღვრების გაფართოებას, აქტიურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეოდა საერო ხელისუფლების საქმეებში. მისი ვასალები იყვნენ: უნგრეთის, პოლონეთისა და არაგონიის მეფეები. მიისწრაფვოდა გერმანიის დამორჩილებისაკენ და, ამავე დროს, პრეტენზიებს აცხადებდა სიცილიის მფლობელობაზე. პაპის ხაზინის შესავსებად ბონიფაციუს VIII-მ 1300 წელი „საიუბილეოდ“ გამოაცხადა: ყველა, ვინც ამ წელს რომში 15 დღით მოხვდებოდა და ინდულგენციებს იყიდდა, ყოველგვარი ცოდვებისაგან თავისუფლდებოდა. პაპის ამ განცხადებამ რომში აუარებელი ხალხის მოზღვავება გამოიწვია, სადაც მათ პაპის კურია უკანასკნელ გროშებსაც ართმევდა. ამიერიდან ყოველი მეასე წელი საიუბილეოდ გამოცხადდა. პაპმა თავისი პრეტენზიები საერო ძალაუფლებაზე ჩამოაყალიბა ბულაში „Unam sanctam“, რომელშიც ნათქვამი იყო: „ღმერთმა ჩვენ სამოციქულო მსახურება დაგვაკისრა, რითაც მეფეებსა და იმპერატორებზე მაღლა დაგვაყენა“. ბულამ უდიდესი აღშფოთება და შეჯახებები გამოიწვია ევროპის ცენტრალიზებული სახელმწიფოების მხრივ, განსაკუთრებით საფრანგეთის მეფის, ასეთივე ჯიუტი და პატივმოყვარე პიროვნების მხრივ, როგორიც ფილიპე IV ლამაზი იყო. საერთო უკმაყოფილებას იწვევდა პაპის მიზანი – „ორი მახვილის პოლიტიკა“. ის ამბობდა: „ეკლესიის მფლობელობაში ორი მცველია – სასულიერო მახვილი და მატერიალური სიმდიდრის მახვილი. მაგრამ მეორე ეკლესიის ინტერესებში რჩება, ხოლო პირველს კი პირადად ფლობს. პირველი მახვილი ხელში უჭირავს მღვდელს, ხოლო მეორე კი მეფესა და ჯარისკაცს. გარდუვალია, რომ ერთი მახვილი მეორეზე მაღლა უნდა გეჭიროს, რათა საერო ძალაუფლება სასულიეროს დაემორჩილოს“.

ფილიპე IV-მ პაპის ბულა საჯაროდ დააწვევინა 1302 წლის თებერვალში, რამაც პაპის უკიდურესი გააფთრება გამოიწვია. 1303 წლის აპრილში მან ფილიპე IV ეკლესიიდან განკვეთა. უფრო მეტიც, მისი ვასალები მეფისადმი მიცემული ერთგულებისაგან გაათავისუფლა. მაგრამ პაპის ლეგატი ფილიპე IV მანამდე დააპატიმრა, ვიდრე ის პარიზში მივიდოდა.

ისარგებლა რა რომში შექმნილი არეულობით, მეფემ თავის მხრივ, იქ საკუთარი აგენტი – კანცლერი ნოგარე გააგზავნა, რომელიც 1303 წელს 7 სექტემბერს პაპის დაუძინებელ მტერთან, კოლონასთან ერთად ანანის სასახლეში შეიჭრა, სადაც პაპი იმყოფებოდა. ჯაკომო კოლონამ ბონიფაციუს VIII-ს სილა გააწნა და ტახტიდან ჩამოაგდო. პატივმოყვარე პაპმა ვერ აიტანა შეურაცხყოფა (ჭკუიდან შეიშალა) და 1303 წლის 11 ოქტომბერს 68 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბონიფაციუს VIII-ს სიკვდილის შემდეგ პაპი გახდა ბენედიქტე XI, რომელიც მალე გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ ფილიპე IV-მ მიაღწია იმას, რომ 1305 წლის ივნისში ლიონში პაპად არჩეულ იქნა ფრანგი პრელატი, ბორდოს არქიეპისკოპოსი კლემენს V-ს სახელით (1305-1314). ახალმა პაპმა არ მოისურვა რომში ყოფნა და თავისი რეზიდენცია ავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიონში გადაიტანა (ცნობილია, რომ ავინიონის საგრაფო ეკუთვნოდა ნეაპოლის დედოფალს ჯოვანას. იგი ნეაპოლიდან განდევნილ იქნა ქმრის მკვლელობაში მონაწილეობისათვის და ავინიონში იმყოფებოდა. პაპმა კლიმენს V-მ ჯოვანა დამნაშავედ არ ცნო და დაქორწინების ნება დართო. ამის პასუხად ჯოვანამ პაპს ავინიონი მიჰყიდა 80 000 ფლორინად. ეს მოხდა 1348 წელს, როცა ევროპაში შავი ჭირი მძვინვარებდა. მაგრამ პაპს ფული არ გადაუხდია. ავინიონი საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და, მაშასადამე, იქ მყოფი პაპებიც ამიერიდან საფრანგეთის მეფეების გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ. ასე დაიწყო ე. წ. „ავინიონის ტყვეობა“, რომელმაც 70 წელი გასტანა (1309-1378).

ავინიონს რომთან შედარებით ზოგიერთი უპირატესობა გააჩნდა. აქ არ იყვნენ გავლენიანი დიდგვაროვნული კლანები, რომლებსაც შეეძლოთ პაპის არჩევნებსა და პოლიტიკაზე გავლენა მოეხდინათ. ინვესტიტურისათვის ბრძოლიდან დაწყებული პაპები უსაფრთხოების მიზნით ხშირად ტოვებდნენ რომს, რაც ართულებდა მმართველობის მუდმივი აპარატის შექმნას. არც პაპის კურიის შესაძლებლობები იყო ყოველთვის საკმარისი, რათა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინათ. ავინიონში კი, პირველად პაპობის ისტორიაში, პაპებმა შეძლეს შეექმნათ მუდმივმოქმედი და ეფექტური ფინანსური უწყება. პაპები აშკარად ვაჭრობდნენ შემოსავლიანი საეკლესიო თანამდებობებით და პირადი საჭიროებებისათვის იყენებდნენ ფულს, რომელიც მორიგი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებისათვის იყო შეგროვილი. პირველად სწორედ ავინიონის პაპები გადავიდნენ ინდულგენციებით ფართომასშტაბიან ვაჭრობაზე.

ავინიონის პაპების აშკარა ფისკალურმა პოლიტიკამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც სასულიერო, ისე საერო ფენებში. არანაკლებ აღშფოთებას იწვევდა ნეპოტიზმი – პაპების მიერ თავისი ნათესავებისთვის ხელსაყრელი ადგილებისა და შემოსავლების დარიგება საეკლესიო მმართველობაში.

„ავინიონის ტყვეობამ“ კიდევ უფრო მეტად გააძლიერა პაპების ოლქის დაქუცმაცებულება. რომში ორი უმსხვილესი ფეოდალური გვარი – ორსინი და კოლონა გაბატონდა, ურბინოს თვითნებურად განაგებდნენ მონტეფელტროს გრაფები (XV ს. ისინი ჰერცოგებად იწოდებოდნენ); რიმინიში – მალატესტას გვარი ლიდერობდა; ზოგიერთ ქალაქში (რავენა, ფაენცა, ფორლი და სხვ.) ტირანული რეჟიმი ჩამოყალიბდა – სინიორიის მსგავსი. არნოლდო ბრეშიელის მცდელობიდან ერთი საუკუნის შემდეგ რომში ხელახლა დაიწყო ავჯანყება კომუნის დასამყარებლად, ამჯერად კოლა დი რიენცოს ხელმძღვანელობით.

ნიკოლა დი ლორენცო გაბრინის – კოლა დი რიენცოს მიერ დაწყებული მოძრაობა ანტიფეოდალური ხასიათის იყო. ის ჰუმანისტური იდეებით იყო გატაცებული და ანტიკური რომის დიდების აღდგენას მოითხოვდა. მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკურ მოთხოვნებს წარმოადგენდა ავინიონიდან პაპების რეზიდენციის რომში გადმოტანა და საიუბილეო წლების რიცხვის გაორმაგება (რომში დადგენილი იყო, რომ ყოველი მეასე წელი საიუბილეო ყოფილიყო, რასაც უზარმაზარი შემოსავალი მოჰქონდა).

1343 წელს პაპმა კლემენს VI-მ რომში გაგზავნა თავისი ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც თან ახლდა სპეციალური ლეგატი კოლა დი რიენცო. ამ დროიდან იწყება მისი პოლიტიკური კარიერა. პაპი დათანხმდა კოლას წინადადებას საიუბილეო თარიღი 1400 წლიდან 1350 წელზე გადმოეტანა. ავინიონში მან გაიცნო პეტრარკა. რომელიც მისი მეგობარი გახდა. კოლა დი რიენცომ პაპისგან მიიღო რომის ნოტარიუსის წოდება, რაც ერთ-ერთ დიდ თანამდებობას წარმოადგენდა. მას ქალაქის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა.

კოლა დი რიენცო ამ დროისათვის 33 წლის იყო. ეს იყო მაღალი, წარმოსადეგი მრისხანე სახის ადამიანი, ჰქონდა ძლიერი და გულში ჩამწვდომი ხმა, რომელიც მსმენელზე ძლიერ მოქმედებდა. დიდი ორატორული ტემპერამენტით ის ხალხზე ადვილად ახერხებდა ზეგავლენას. თავის გამოსვლებში რომაელი ტრიბუნისათვის დამახასიათებელ ეფექტებს იყენებდა: ხან ოხრავდა, ხან აღშფოთებული ყვიროდა, ხანაც ცრემლებს აფრქვევდა. წარმოშობით უბრალო ოჯახიდან იყო (ტრაქტირის მეპატრონისა და მრეცხავის შვილი იყო), მაგრამ კარგი განათლება მიიღო. საფუძვლიანად იცოდა ლათინური, რიტორიკა და ანტიკური რომის ისტორია. უყვარდა და კარგად იცოდა ციცერონის, სენეკას, ვერგილიუსისა და დანტეს შემოქმედება. პირველ დიდ ჰუმანისტთან – პეტრარკასთან ერთად, კოლა აღფრთოვანებული იყო რომის წარსული დიდებით, მწარე რეალობა კი სევდას იწვევდა მასში. მას უყვარდა ანტიკური წარწერების წაკითხვა და ახსნა, რასაც მანამდე არავინ აკეთებდა. იყო რომის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი. მან მიზნად დაისახა რომის დიდებისა და ძლევამოსილების აღდგენა, რაც წარჩინებულთა მოსპობასა და რესპუბლიკის დამყარებას ნიშნავდა.

1347 წლის 19 მაისს, შაბათს „წმინდა სამების“ დღეს რიენცომ მოიწვია სახალხო კრება – „პარლამენტო“ კაპიტოლიუმის ბორცვზე. წირვის დამთავრების შემდეგ შეიარაღებული გამოვიდა ეკლესიიდან. მას წინ მიუძღოდა ოთხი დროშა წარწერით: „Roma-caput mundi“ (რომი – მსოფლიოს მეთაური). ერთი იყო ჟოლოსფერი დროშა რომის ქალღმერთის გამოსახულებით; მეორე – თეთრი, წმ. პავლე მოციქულის გამოსახულებით; მესამე – თეთრი, წმ. პეტრეს გამოსახულებით და მეოთხე – ძველი დროშა წმ. გიორგის გამოსახულებით. კოლა დი რიენცოს გვერდზე მიჰყვებოდა რომის პაპის ეპისკოპოსი რაიმონდო, რომელიც თავის იქ ყოფნით ამ რევოლუციურ მოძრაობაში პაპის სანქციას იძლეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყებულებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს კაპიტოლიუმი, მთავრობის დაწესებულებები და ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. 1347 წლის 20 მაისს რომი რესპუბლიკად გამოცხადდა. კოლა დი რიენცო და ეპისკოპოსი რაიმონდო სახალხო ტრიბუნებად გამოცხადდნენ. რიენცომ ფაქტობრივად მთელი ძალაუფლება ხელში აიღო. მისი აზრით, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნოდა, ამით ის ფაქტობრივად პაპსაც უპირისპირდებოდა და იმპერატორსაც. რიენცომ მოითხოვა, რომ ყველა უცხოელს რომი დაეტოვებინა, ვინაიდან რომაული სამართლის მიხედვით, სენატი მხოლოდ რომაელებისაგან უნდა შედგებოდეს. მათ რიცხვში რიენცომ კოლონა და ორსინიც შეიყვანა. ხალხს კი მოუწოდა რომში არსებული ფეოდალების ციხე-კოშკები დაენგრიათ.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რომში რიენცო შეუდგა რეფორმების გატარებას. ტრიბუნატის პირველივე დღეებში მან გამოუშვა ახალი მონეტა, რომელიც რომის ფინანსურ დამოუკიდებლობას ამტკიცებდა. მასზე წარწერა იყო „მშობლიური ტრიბუნატი. რომი – მსოფლიოს მეთაური“, შეამცირა გადასახადები, გააუქმა საბაჟოები, რაც ხელს უშლიდა ვაჭრობის განვითარებას, ყველგან ერთიანი ზომა-წონის ერთეული შემოიღო. ჩამოყალიბდა ახალი სასამართლო. წესრიგის დასაცავად შეიქმნა მილიცია 1 300 ქვეითითა და 360 ცხენოსნით. რიენცომ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებში თავისი ელჩები გააგზავნა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება შესთავაზა. რიენცოს ელჩებს ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ. უნგრეთის მეფისაგან მან აღიარება და სამხედრო დახმარება (ჯარი) მიიღო. რიენცომ სახალხო კრებაზე შემოიღო ტრიბუნატის ახალი გერბი და ბეჭედი. იმავე გერბით ის 1347 წლის 20 მაისს ახალი ერის დასაწყისად თვლიდა. საკანონმდებლო აქტებს ის შემდეგნაირად ათარიღებდა: „გათავისუფლებული სახელმწიფო პირველ წელს“ ან „სახელმწიფოს გათავისუფლებიდან“. იმავე წლის 15 აგვისტოს კოლა დი რიენცომ, რომელიც ძველი რომაული წეს-ჩვეულებების აღდგენას ცდილობდა, მოაწყო ტრიბუნის მდიდრული კორონაცია. მას თავზე ერთმანეთის მიყოლებით დაადგეს მუხის, დაფნისა და ვერცხლის გვირგვინები ამ სიტყვებით: „იყავი სამართლიანი და გვაჩუქე მშვიდობა“. იმავე დღეს კოლამ გამოსცა ახალი ედიქტი, რომლითაც ყველა ფეოდალს, მეფესა და იმპერატორს იტალიაში ჯარის შეყვანასა და გველფებისა და გიბელინების სახელის ტარებას უკრძალავდა. პაპმა კლემენს VI-მ რიენცოში უფრო დიდი მტერი დაინახა, ვიდრე ბარონები იყვნენ და ფეოდალებთან ერთად დაიწყო მის წინააღმდეგ მოქმედება.

მაგრამ ავინიონში აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც მზურვალედ მიესალმა კოლა დი რიენცოს წარმატებას. ეს კაცი ფრანჩესკო პეტრარკა იყო, რომელმაც რომაელ ხალხს წერილით მიმართა: „მოგმართავთ თქვენ, რომაელებო, რომლებსაც პირველად შეგიძლია გიწოდოთ მოქალაქეები. ეს ადამიანი, დამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერეთ, თვით ღმერთის გამოგზავნილია. მიიღეთ ის, როგორც ღმერთის უიშვიათესი საჩუქარი და სიცოცხლე შესწირეთ მის გადასარჩენად". ეს წერილი კაპიტოლიუმზე იქნა წაკითხული მთელი ხალხის გასაგონად.

წარმატებებისაგან გათამამებულმა კოლა დი რიენცომ დაიწყო მზადება თავისი გრანდიოზული მიზნის განხორციელებისათვის: გაეერთიანებინა იტალია და აღედგინა ძველი რომის დიდება. მან მთელ იტალიაში გაგზავნა მალემსრბოლები და ითხოვდა თავისი წარმომადგენლები გამოეგზავნათ რომში 1347 წლის 1 აგვისტოსთვის, როცა რიენცოს რაინდად კურთხევა უნდა მომხდარიყო. მას მიაჩნდა, რომ წარჩინებული რაინდის წოდება კიდევ უფრო აამაღლებდა მას და ხელს შეუწყობდა იტალიის გაერთიანებაში.

რომში იტალიის 25 ქალაქმა გამოგზავნა თავისი ელჩები, მათ შორის იყო მდიდრული ელჩობა ფლორენციიდან, სიენადან, არეცოდან, ტოლიდან, პისტოიიდან და ასიზიიდან. 1 აგვისტოს ადრე დილით, ლატერანის ტაძარში უამრავი ხალხის წინაშე, რომელსაც პაპიც ესწრებოდა, შესრულდა რიენცოს რაინდად კურთხევის ცერემონიალი, რომლის დამთავრებისთანავე, კაპიტოლიუმის ნოტარიუსმა ხალხს აუწყა, რომ „მსოფლიოს... ტრიბუნი ადგენს: წმინდა ქალაქი რომი წარმოადგენს მთელი მსოფლიოს თავსა და ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველს... იტალიის ყველა მცხოვრები ამიერიდან რომის მოქალაქეებად იწოდებიან ამ წოდების ყველა უფლებითა და პრივილეგიებით... რომის იმპერატორის არჩევის უფლება, ახალი კანონების გამოცემის უფლება და მთელი რომის იმპერიის მართვა ეკუთვნის მხოლოდ რომს და მის მოსახლეობას მთელ წმინდა იტალიასთან ერთად. ჩვენ გვსურს დავუბრუნოთ სამშობლოს მისი ანტიკური ხანის დიდება".

ეს ედიქტი პირდაპირი გამოწვევა იყო როგორც პაპის, ისე გერმანიის იმპერატორის; რიენცო არ ცნობდა კარლ IV-ს.

კაპიტოლიუმის მოედანზე ტრიბუნმა ქალაქის წარმომადგენლებს გადასცა დროშები და ბეჭდები – რომისა და მთელი იტალიის სიმბოლოები. ფლორენციამ და ზოგიერთმა ქალაქმა უარი განაცხადა დროშის მიღებაზე, ზოგმა მიიღო, მაგრამ თან არ წაუღიათ, რომში დატოვეს. ურთიერთმოჭიდავე ქალაქებს სულაც არ უნდოდათ გაერთიანება და ისიც რომის მეთაურობით. გარდა ამისა, რიენცო თვითონ არ აღმოჩნდა თანმიმდევარი მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში. 1347 წლის სექტემბერში მან მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეები კოლონასა და ორსინის მეთაურობით (26 ბარონი) დაატუსაღა, მაგრამ სიკვდილით დასჯის ნაცვლად თავის მეგობრებად გამოაცხადა. ამით გათამამებულმა ბარონებმა კვლავ დაიწყეს ბრძოლა რესპუბლიკის წინააღმდეგ. პეტრარკამ თავისი მეგობრის საქციელს „განსაკუთრებული სიბეცე" უწოდა: „ტრიბუნს შეეძლო რესპუბლიკის ყველა მტრის განადგურება ერთი დარტყმით, მაგრამ ეს არ გააკეთა. იმის მაგივრად, რომ მომენტი გამოეყენებინა, მან ხელიდან გაუშვა ისინი", – წერდა ის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტრიბუნის მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. მტრებთან განუწყვეტელმა ბრძოლებმა სახელმწიფო ხაზინა გამოაცარიელა. ამიტომ იგი იძულებული გახდა გაეზარდა გადასახადები მარილზე, ღვინოზე, მიეცა ჯარისთვის ხელფასი. ამან მისი ავტორიტეტის დაცემა გამოიწვია. მის ხასიათში გამოკვეთილმა განდიდების მანიამ და სიმდიდრისაკენ სწრაფვამ ხალხს საბოლოოდ დაუკარგა მისი ნდობა.

შექმნილ შინაგან არეულობას ისიც დაემატა, რომ რომის პაპმა რიენცო მწვალებლად და უზურპატორად გამოაცხადა. მან რომის მოსახლეობა პურითა და ფულით მოისყიდა და რიენცოს წინააღმდეგ აამხედრა. 1347 წლის 15 დეკემბერს რიენცო იძულებული გახდა რომიდან გაქცეულიყო. ასე დამთავრდა რომის რესპუბლიკის ისტორია, რომელიც მხოლოდ შვიდ თვეს გაგრძელდა.

1350 წელს რიენცო პრაღაში გაემგზავრა იმპერატორ კარლ IV-სთან დახმარების სათხოვნელად, რაც მისი მხრიდან უპრინციპობას გამოხატავდა; ის დახმარებას სთხოვდა იმ იმპერატორს, რომელსაც არცთუ დიდი ხნის წინ უარყოფდა. იმპერატორმა მოუსმინა რიენცოს, თავის მტერს და ციხეში ჩააგდებინა, შემდეგ კი პაპს გადასცა, რომელმაც 1352 წელს ავინიონში ერთ-ერთ კოშკში ჯაჭვებით მიაბა კედელზე. რიენცოს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ. ახალმა პაპმა ინოკენტი VI-მ გადაწყვიტა რიენცო საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა. მან ტრიბუნს რომის სენატორის ტიტული უბოძა და დაჭირავებული ჯარებით 1354 წელს რომში გაგზავნა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ. რიენცო იძულებული გახდა მოსახლეობისათვის გადასახადები გაეზარდა დაჭირავებული ჯარის შესანახად და დაიწყო მოქალაქეთა ქონების მასობრივი კონფისკაცია. ამან მოსახლეობის უკმაყოფილება გაზარდა. 1354 წლის ოქტომბერში დაიწყო აჯანყება. რიენცომ რაინდის აღჭურვილობაზე საბანი წამოიფარა და გაქცევა სცადა, მაგრამ ის იცნეს. რიენცოს თანამებრძოლმა ჩეკო დელ ვიკენომ ხმალი გაიძრო და რიენცო იმ ადგილას მოკლა, სადაც ის სხვებს სჯიდა. ორი დღის განმავლობაში ცხედარი თავდაღმა დაჰკიდეს, მესამე დღეს კი ცეცხლში დაწვეს. ამას გვამცნობს მისი ბიოგრაფი და ირონიულად ამთავრებს: „არც ერთ კეთილ რომაელს არ სურდა მომკვდარიყო თავზე საბნით, როგორც რიენცო მოკვდა“.

XIV საუკუნის პოლიტიკურ პირობებში იტალიის გაერთიანების იდეა რომის მეთაურობით განუხორციელებელი დარჩა. ეკონომიკურად და სუსტად განვითარებულ, ჩამორჩენილ რომს არ შეეძლო იტალიის გაერთიანება. მდიდარ და ძლიერ ქალაქ-რესპუბლიკებს, როგორიც ფლორენცია, ვენეცია და გენუა იყვნენ, არ სურდათ დამოუკიდებლობის დაკარგვა და ქვეყნის გაერთიანება. კოლა დი რიენცო კი თავის თავზე შეყვარებული, ძალაუფლების მოყვარე ავანტურისტი აღმოჩნდა. მან შეძლო პაპისა და იმპერატორისთვის იტალიაზე გავლენა დაეკარგვინებინა, მაგრამ მძიმე სიტუაციაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავარდნილმა სწორედ იმ პაპსა და იმპერატორს მიმართა დახმარებისთვის, რომელთა მოსპობისთვისაც ხალხს მოუწოდებდა. ყოველივე ამან კი მისი დასასრული დააჩქარა.

რომში კი ფეოდალური ანარქია კვლავ გაძლიერდა. პაპის ოლქში წესრიგის დასამყარებლად გაიგზავნა კარდინალი ალბორნოზი. 1357 წელს მან მოიწვია კრება, რომელმაც მიიღო მის მიერ შეთავაზებული კონსტიტუცია. პაპის ოლქი იყოფოდა შვიდ პროვინციად, რომელთა სათავეში იქნებოდნენ პაპების მიერ დანიშნული რექტორები და სხვა ჩინოვნიკები. წარჩინებულები, სასულიერო ფენა და კომუნის წარმომადგენლები კანონების გამოცემისა და გადასახადების განაწილების უფლებას ღებულობდნენ.

XIV საუკუნის მეორე ნახევარში პაპების ოლქი სულ უფრო ხშირად და აშკარად იყენებდა კონდოტიერებსა და მათ რაზმებს, რომლებიც წარმატებით ახშობდნენ ქალაქების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. არეულობას ხელს უწყობდა სქიზმაც, როდესაც ტახტზე ერთდროულად ორი ან სამი პაპი იყო. მდგომარეობა გამოსწორდა მარტინ V-ს დროს (1417-1431). მან რომში კომუნა აღადგინა. კურიაში მნიშვნელოვანი თანხების გადარიცხვის სანაცვლოდ, პატრიციატს ქალაქის ზოგიერთი უფლება მისცა, შემოირიგა ფეოდალები.

XV საუკუნის დასასრული აღინიშნა რომის პაპის ალექსანდრე VI ბორჯას (1492-1508) პონტიფიკატით, რაც გამოიხატებოდა მისი ოჯახისათვის ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლით არა მარტო პაპების ოლქში, არამედ მთელ იტალიაში. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე VI და მისი უფროსი შვილი ჩეზარე ცდილობდნენ იტალიის გაერთიანებას რომის მეთაურობით. ჩეზარე ბორჯამ დაიპყრო რიმინი, ფაენცა, ურბინო; რომანიაში შექმნა საკუთარი სახელმწიფო – სინიორია, სადაც სასტიკი ზომებით ახორციელებდა ცენტრალიზაციის პოლიტიკას. მაგრამ იტალიური ომების დროს (XVI ს.) მან თავისი სამფლობელოები დაკარგა.

XV საუკუნეში ზოგადად პაპების საგარეო პოლიტიკა აღინიშნა მცდელობით – იტალიური სახელმწიფოები ერთმანეთისათვის წაეკიდათ, რათა შემდეგ მათ საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ და შემრიგებლის მისიისათვის მოგება მიეღოთ. კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი ხალხის თვალში სულ უფრო და უფრო ეცემოდა, რამაც ხელი შეუწყო მწვალებლობის გავრცელებას. ეკლესიის მდგომარეობის საბოლოო გამოსწორება მაინც ვერ მოხერხდა და პაპობამაც ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგა.

იტალიის აგრარული განვითარება. მიუხედავად ურბანიზაციის ინტენსიური პროცესისა, იტალიის სოფლის მოსახლეობა რიცხობრივად ჭარბობდა ქალაქის მოსახლეობას. XIV საუკუნეში და განსაკუთრებით XV საუკუნეში სოფლის მეურნეობა დომინირებდა ქვეყნის ეკონომიკაში. ჩრდილოეთ და შუა იტალიის აგრარული ლანდშაფტი განაპირობებდა სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებებს. ძირითადად განვითარებული იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორბლისა და ზეთისხილის კულტურა, მევენახეობა, მებაღეობა. დიდი ყურადღება ეთმობოდა მეცხვარეობის, მესაქონლეობისა და მეცხენეობის განვითარებას, რაც უზრუნველყოფდა მაუდისა და ტყავის წარმოებას ფეხსაცმლის დამზადებისთვის.

დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით იტალიაში ფეოდალიზმი უფრო სუსტად იყო განვითარებული, რაც, პირველ რიგში, განპირობებული იყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ადრეული (ჯერ კიდევ IX ს.) განვითარებით როგორც ქალაქად, ისევე სოფლად. ამიტომაც გლეხობის ფეოდალურ ექსპლუატაციას არ მიუღია ისეთი ფორმები, როგორიც სხვა ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი. გლეხობის მდგომარეობა იტალიაში უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე დანარჩენ ევროპაში. ძალიან ადრე დაიწყო გლეხობის გათავისუფლებაც, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იტალიის სპეციფიკურმა საქალაქო ხასიათმა. თავდაპირველად თავისუფლდებოდნენ ის გლეხები, რომლებიც ქალაქებში გარბოდნენ, ასე მაგალითად, ბოლონიამ 1257 წელს ხუთი ათასამდე სერვი გაათავისუფლა, რომლებიც 400 სენიორს ეკუთვნოდა. XIII საუკუნის 80-იან წლებში კომუნამ გაათავისუფლა დისტრეტის ბევრი კოლონა. მსგავსი აქტი, თუმცა უფრო ნაკლები მასშტაბით, განხორციელდა XIII საუკუნის ფლორენციაშიც. გლეხთა გათავისუფლების პროცესი მიმდინარეობდა გენუაში, ვენეციაში, მილანოში, და ა. შ. ამით ისინი მიზნად ისახავდნენ თავისუფალი მუშახელის შექმნას. ამავე დროს, გლეხთა გათავისუფლება ქალაქებს ფეოდალებთან ბრძოლაში დაეხმარებოდა.

გლეხობის გათავისუფლება, რომლებიც უკიდურესად დამამცირებელ მდგომარეობაში იყვნენ, იქცა საქალაქო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად და გამოიწვია თავისუფალი არენდატორების ფენის გაზრდა. ფულადი რენტა, რომელიც სამუდამოდ ფიქსირდებოდა, ფულის ღირებულების დაცემასთან ერთად მცირდებოდა. ფეოდალებს ძალა აღარ შესწევდათ, რომ გლეხები აეძულებინათ გაზრდილი რენტა გადაეხადათ. ამიტომ ვალებში ჩავარდნილი ბევრი ფეოდალი მიწებს ჰყიდდა ანდა ვალში უთმობდა ქალაქელ კრედიტორებს. ბევრი ვერაფერი შეიძინა უმიწოდ გათავისუფლებულმა გლეხობამაც, ქალაქებმა, რომლებმაც პირადი მიზნებისთვის გამოიყენეს გლეხები, თვითონ დაიწყეს მათი ექსპლუატაცია. მოქალაქეები, რომლებმაც ფეოდალების მიწები ჩაიგდეს ან შეიძინეს, თანდათან თვითონ გადაიქცნენ ახალ მიწათმფლობელებად. ასე მაგალითად, მიწის უმსხვილეს მფლობელებს წარმოადგენდნენ ფლორენციელი ბანკირები — მედიჩები. გლეხები კი წვრილ მოიჯარადრეებად გადაიქცნენ. ამრიგად, იტალიაში დაიწყო ახალი მიწათმფლობელების თავისებური ფეოდალიზაციის პროცესი.

მაგრამ ფეოდალური ურთიერთობების დაშლა იტალიაში ყველგან ერთნაირად არ მიმდინარეობდა და არც კოლონები და სერვები გამქრალან საბოლოოდ, მათი ნაწილი შენარჩუნდა იტალიის ისეთ ჩამორჩენილ რაიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებში, როგორიც იყო პიემონტი, ფრიული და სხვ. განსაკუთრებით კი სამხრეთ იტალიაში, სადაც ფეოდალური ურთიერთობები ჯერ კიდევ მყარი იყო. XIII-XIV საუკუნეებში ბატონყმობა უცვლელი ფორმებით იყო შენარჩუნებული ჩრდილო-დასავლეთ იტალიაში მონფერატოს სამარკიზოსა და სავოიის საჰერცოგოში. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ზრდამ აქ ფეოდალური ექსპლუატაციის გაზრდა გამოიწვია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიცილიის სამეფოში, რომელიც ეკონომიკური განვითარებით უფრო დაბლა იდგა, ვიდრე ჩრდილოეთი და შუა იტალია, ფეოდალიზაციის პროცესი თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მაშინ ადის, როცა იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში გლეხთა ნაწილობრივი გათავისუფლება უკვე იწყება. ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქარებამ კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავების გაძლიერება გამოიწვია, რასაც მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარებაც დაემატა. გლეხობა ნადგურდებოდა არა მარტო უმოწყალო ექსპლუატაციით, არამედ ფეოდალების ურთიერთთავდასხმებითა და ბრძოლებით. სოფლის მეურნეობა სულ უფრო და უფრო ეცემოდა. შეიარაღებული გლეხობა მთებში გარბოდა და იქიდან ესხმოდნენ თავს ფეოდალებსა და ქალაქებს.

XIV საუკუნე იტალიის აგრარულ განვითარებაში კრიზისული მოვლენებით აღინიშნა: რამდენიმე მოუსავლიანმა წელიწადმა და შავი ჭირის ძლიერმა ეპიდემიამ ქვეყნის დემოგრაფიული დაცემა გამოიწვია. საუკუნენახევარში (1300-1450) ქვეყნის მოსახლეობა 11 მილიონიდან – 8 მლნ ადამიანამდე შემცირდა. იტალიის ცალკეული რაიონების აგრარული განვითარება სხვადასხვაგვარად აისახა გლეხთა ანტიფეოდალურ მოძრაობაზე. ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით, მონფერატოში, სავოიასა და პიემონტში, სადაც შენარჩუნებულ იქნა გლეხთა პირადი დამოკიდებულების უფრო მეტად მძიმე ფორმები, 1303-1307 წლებში მოხდა სოფლისა და ქალაქის ღატაკი მასების ერთ-ერთ ყველაზე უფრო ორგანიზებული აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფრანცისკანელი ბერი დოლჩინო. ის იყო მღვდლის უკანონო შვილი. დოლჩინო თავისი დროისთვის საკმაოდ განათლებული პიროვნებაა, რომელიც თავის თავს თვითონ უწოდებდა ჯერალდო სეგარელის მოწაფესა და მიმდევარს. ამ უკანასკნელმა 1260 წელს ერეტიკული სექტა „მოციქულთა ძმები“ ჩამოაყალიბა (ინკვიზიციამ სეგარელი გაასამართლა და კოცონზე დაწვა). დოლჩინომ გააგრძელა სექტის საქმიანობა, რომელიც უარყოფდა კერძო საკუთრებას და ყველა წევრის ქონებას სექტას გადასცემდა. სექტის წევრები ერთმანეთს დებსა და ძმებს უწოდებდნენ. დოლჩინო ყოფილ მონაზონთან, მარგარიტასთან ერთად ქადაგებდა ქონებრივ და სულიერ თანასწორობას, ღმერთის ათასწლიანი მეფობის დადგომის ჟამის მოახლოებას, რაც, ამავე დროს, სოციალური სამართლიანობის გამეფებას მოასწავებდა, როდესაც ყველა დოვლათით სარგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა საერთო გახდებოდა. დოლჩინო აკრიტიკებდა ეკლესიას სიმდიდრისათვის. სიმდიდრე და საკუთრება კი, მისი აზრით, ყოველგვარი ბოროტების საფუძველს წარმოადგენდა. ამიტომაც სამართლიანობის გამეფება, დოლჩინოს აზრით, ეკლესიისა და მდიდართა დათრგუნვის მთელი სამღვდელოების, მათ შორის პაპის, განადგურების გზით უნდა მომხდარიყო.

დოლჩინოს ქადაგებამ დიდი მხარდაჭერა მოიპოვა ქალაქისა და სოფლის ღატაკ ფენებში. 1304 წლის დასაწყისში დოლჩინო ჩავიდა ქ. ვერჩალის მიდამოებში (ჩრდილო-დასავლეთი ლომბარდია) და სათავეში ჩაუდგა ადგილობრივ აჯანყებულებს. ეს აჯანყება 1307 წლამდე გაგრძელდა. აჯანყებულებმა დაიკავეს მდინარე სესიას მიმდებარე ველი, სადაც დოლჩინომ თავისუფალი გლეხების თემი დაარსა. დოლჩინოს შეიარაღებულმა ძალებმა ზედიზედ დაამარცხა ვერჩელისა და ნოვარის ეპისკოპოსთა ჯარები. მან დაიწყო ცებელოს მთაზე სიმაგრეების ავება. ასეთივე სიმაგრეები ააგო ექვს მახლობელ გორაკზე. ცებელოს გამაგრებული ბანაკი მან პრიმიტიული თანასწორობის საწყისებზე მოაწყო. პაპმა კლემენს V-მ 1305 წელს დოლჩინოს წინააღდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა. მთელი იტალიიდან, სამხრეთი საფრანგეთიდან და ზალცბურგიდანაც კი დოლჩინოსთან დამხმარე ძალები მიემართებოდნენ, რამაც მას რამდენიმე წარმატება მოუპოვა. მაშინ ფეოდალებმა ახლომდებარე სოფლებიდან მოსახლეობა აყარეს იმ მიზნით, რომ მათ აჯანყებულთათვის სურსათ-სანოვაგე აღარ მიეწოდებინათ. ჯვაროსნებს გადაწყვეტილი ჰქონდათ აჯანყებულთა შიმშილით ამოწყვეტა. დოლჩინოს ჯარებმა ორჯერ შეძლეს ჯვაროსანთა ჯარების მოგერიება სავოიის ჰერცოგის მეთაურობით. მაგრამ აჯანყებულთა შორის შიმშილი მძვინვარებდა. 1307 წლის მარტში დოლჩინო იძულებული გახდა თავისი ჯარები სურსათ-სანოვაგის საშოვნელად სოფელ სტაველოსთან გამოეყვანა, სადაც გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა. ბრძოლა მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა და აჯანყებულთა დიდი ნაწილი შეიწირა. დოლჩინო და მარგარიტაც საშინელი წამებით მოკლეს ისე, რომ უარი არ უთქვამთ საკუთარ იდეებზე.

დოლჩინოს აჯანყებამ, რომელიც XIV საუკუნის ევროპის გლეხთა აჯანყებებიდან ყველაზე გრანდიოზული იყო, შორეული გამოძახილი პოვა 1382-1387 წლებში სავოიის საჰერცოგოში მომხდარ გლეხთა აჯანყებაში, რომელიც „ტუკინების“ სახელწოდებითაა ცნობილი იმის გამო, რომ მისი ლოზუნგი იყო „ტუკინი“, რაც იტალიურად ნიშნავდა – „ყველა, როგორც ერთი“. აჯანყებულები მოითხოვდნენ ბატონყმობის მოსპობას, ფეოდალური ვალდებულებების გაუქმებას და ა. შ. სავოიის ჰერცოგი ამადეუს VII იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. ბატონყმური ურთიერთობები შერბილდა, მაგრამ სავოიის ჰერცოგმაც ამ დათმობებით მიზანს მიაღწია; აჯანყებულები გლეხების გულიც მოიგო და ამ გამოსვლით დაშინებული ფეოდალებიც მორჩილებაში მოიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქების სოციალურ-პოლიტიკური განვითარება XIII-XV საუკუნეებში. ჩრდილო და შუა იტალიის ქალაქ-კომუნების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებამ საშუალება მისცა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების – საბჭოებისა და მაგისტრატურების შემდგომ განვითარებას. მმართველობის სისტემის ევოლუციაზე გავლენა იქონია ქალაქის კედლებშორის გამწვავებულმა სოციალურმა ბრძოლამ. ამას ემატებოდა ცალკეულ ფეოდალურ კლასებს შორის არსებული დაპირისპირება, მსხვილ სავაჭრო გვარებს შორის მეტოქეობა და „მსუქანი“ ხალხისა და პლებსის მღელვარება. საქალაქო კანონმდებლობა – სტატუტები ჯერ კიდევ არ იყო დამუშავებული (სტატუტური სამართლის პირველი ჩანაწერები XIII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის), რომელიც დააკანონებდა ნობილიტეტის ძალაუფლებას ქალაქში. ეს იწვევდა ხელისუფლებისაგან ჩამოშორებას, მაგრამ ეკონომიკურად ძლიერი ვაჭართა ფენის საპასუხო რეაქციას. სულ მცირე მიზეზიც კი საკმარისი ხდებოდა, რათა ქალაქში შეიარაღებული შეტაკებები დაწყებულიყო: ფეოდალთა შეიარაღებული რაზმები მზად იყვნენ პირველივე ნიშანზე გასულიყვნენ სენიორის „ღირსების“ დასაცავად. თავის მხრივ, ამჭრებსაც ჰყავდა ლაშქარი გამოცდილი რაინდების მეთაურობით.

XIII საუკუნე იტალიაში იქცა სოციალური დაძაბულობის ეპოქად, რაც გამოიხატებოდა მტრულ პარტიებს შორის არსებული დაპირისპირებულობით, რომელიც ხშირად სისხლისმღვრელი შეტაკებებით მთავრდებოდა. ამ პარტიებმა ჯერ კიდევ ფრიდრიხ I ბარბაროსას იტალიური ლაშქრობების დროს მიიღეს გიბელინების – იმპერატორის მომხრეებისა და გველფების – პაპის მომხრეების სახელწოდება (იხ. თავი 16.). თავიდან გიბელინების ორიენტაციას მხარს უჭერდნენ ნობილები, გველფებს კი მხარს უჭერდნენ პოპოლანები. მაგრამ XIII საუკუნეში პარტიულმა დროშებმა სოციალური მემკვიდრეობა დაკარგეს და მათ არჩევანს უკვე არცთუ იშვიათად განსაზღვრავდა კონკრეტული პოლიტიკური სიტუაცია. XIV საუკუნეში მტრულად განწყობილი ქალაქები შიგნითაც გველფებად და გიბელინებად იყვნენ დაყოფილი. ასე მაგალითად, გველფური ფლორენცია, რომლის ბანკირები რომის კურიის მთავარი კრედიტორები იყვნენ, დაპირისპირებაში იყო გიბელინური ორიენტაციის პიზასთან, სიენასა და ლუკასთან. მაგრამ იგივე სიენა და ლუკა მათთვის პოლიტიკურად ხელსაყრელ სიტუაციაში გველფების მომხრეებად გამოდიოდნენ. ტრადიციულად შენარჩუნებულმა პარტიულმა წინააღმდეგობრიობამ ხელი შეუწყო იმპერიისა და პაპობას შორის ბრძოლის გაგრძელებას საუკუნეების განმავლობაში, განსაკუთრებით კი XIII საუკუნის I ნახევარში.

საშინაო პოლიტიკის არასტაბილურობამ და საგარეო საშიშროებამ ქალაქის მმართველობის ფორმები შეცვალა. კონსულთა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, რომელიც მოქალაქეთა რიცხვიდან ირჩეოდა, უკვე XIII

საუკუნის ბოლოდან ადგილი დაუთმო სასამართლო-პოლიციურ ძალაუფლებას, რომელსაც ერთი წლის ვადით მოწვეული უცხოელი ჩინოვნიკი – პოდესტა (ლათ. potestas – ძალაუფლება) წარმოადგენდა. კომუნასთან შეთანხმებით პოდესტა სოლიდურ ანაზღაურებას იღებდა. მას თან მოჰყავდა შეიარაღებული რაზმი, მოსამართლე და ნოტარიუსი. მის რეზიდენციას წარმოადგენდა სპეციალურად აშენებული სასახლე – პალაცო პოდესტა (მართლმსაჯულების ეს სასახლეები, რომლებიც ბევრ ქალაქში იყო აშენებული რომანული და თავისებური გოთური არქიტექტურით, XIII საუკუნის იტალიური არქიტექტურის გამომსახველად იქცა). საქალაქო სტატუტებში ზუსტად იყო განსაზღვრული პოდესტას ფუნქციები და ძირითადად სასამართლო-პოლიციური ხასიათს ატარებდა. პოდესტა ქალაქში დიდი გავლენით სარგებლობდა; ის თავმჯდომარეობდა ქალაქის საბჭოებს, მაგრამ საკანონმდებლო უფლება არ ჰქონდა და ვადის გასვლისას თავისი საქმიანობის ანგარიშს აბარებდა კომუნას.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში კომუნებში მმართველობის სისტემა მნიშვნელოვნად გართულდა. იქ, სადაც პოპოლანებმა ნობილებთან ბრძოლაში გამარჯვებას მიაღწიეს (ფლორენცია, ლუკა, სიენა, პიზა, ბოლონია, მილანო და მრავალი სხვა), დიდი საბჭოს ან კომუნის საბჭოს გვერდით აღმოცენდა ხალხის საბჭო, რომელშიც მხოლოდ პოპოლანებს ირჩევდნენ, პირველ რიგში კი, ამქართა მამასახლისებს. ქალაქის ლაშქარს ახლა სათავეში ედგა ხალხის კაპიტანი, რომელსაც უცხოელი რაინდებისაგან ერთი წლის ვადით ირჩევდნენ, მისი ფუნქცია ბევრ საკითხში პოდესტას უფლებამოსილებას ემთხვეოდა (ზოგიერთ კომუნებში ხალხის კაპიტანმა შეცვალა პოდესტა). ამგვარად, „დიდი კომუნის“ შიგნით ჩამოყალიბება დაიწყო „მცირე კომუნამ“, რომელიც პოპოლანთა ზედაფენების ინტერესებს გამოხატავდა.

მმართველობის ახალმა ფორმამ, მართალია, გარკვეული დროით პოლიტიკური ძალაუფლების ბალანსი უზრუნველყო, მაგრამ ქალაქის სოციალური მდგრადობის განმტკიცება ვერ შეძლო, რაშიც სერიოზულ წინააღდეგობას წარმოადგენდნენ განსაკუთრებით გავლენიანი არისტოკრატიული გვარები. ამან განაპირობა ხალხის კაპიტნის, როგორც პოპოლანთა ინტერესების გარანტის, გავლენის გაზრდა, რომელიც ამქართა ლაშქარს მეთაურობდა. თავის მხრივ, ყოველივე ამან ხელი შეუწყო XIII საუკუნის დასასრულს სინიორიის – მმართველობის ახალი ფორმის დაარსებას ჩრდილო და შუა იტალიის ბევრ ქალაქში. ასე მაგალითად, XIV საუკუნის პირველ ნახევარში, მილანოში, პადუაში, მანტუასა და ვერონაში ხალხის კაპიტნები „სენიორებად“ იწოდებოდნენ და მათი ძალაუფლება გარკვეული ვადით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ მემკვიდრეობითი გახდა. სინიორიას საბჭოები და მაგისტრატურები არ გაუუქმებია, მაგრამ მათი გავლენა ქალაქის ცხოვრებაზე შეამცირა და მალე თვითონ იქცა ერთპიროვნულ მმართველად. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნვე მიისაკუთრა პოდესტას დანიშვნის უფლება, რომელიც ახლა უკვე მხოლოდ მის წინაშე იყო პასუხისმგებელი. სინიორიამ გარკვეული ზღვარი დაუდო ნობილების უფლებამოსილებასაც (მაგალითად, ვერონაში მათ აეკრძალათ ციხესიმაგრეების მშენებლობა კონტადოში), დაბოლოს, ყველაზე მთავარი, სინიორია სარდლობდა ქალაქის ჯარს და დაიწყო აქტიური დაპყრობითი პოლიტიკის გატარება პატარა ქალაქების დასამორჩილებლად.

ასეთ პოლიტიკას ატარებდნენ სენიორები სკალიგერების გვარიდან, რომლებიც ვერონაში განმტკიცდნენ. XIV საუკუნეში მათ შეძლეს დაემორჩილებინათ ლომბარდიის ზოგიერთი ქალაქი. მაგრამ გიბელინურ ვერონას მეტოქეობას უწევდა ყოველთვის გველფური ორიენტაციის გამტარებელი მილანო, რომელიც ჩრდილოეთ იტალიაში ბატონობაზე აცხადებდა პრეტენზიებს. ომი მათ შორის პირველობისათვის დამთავრდა ვერონის დამარცხებით. 1387 წელს ის მილანოს საჰერცოგოს შეუერთდა. XV საუკუნეში კი ვერონა და მთელი რიგი სხვა ქალაქები ვენეციის რესპუბლიკას დაემორჩილა. მსგავსი პოლიტიკური ბედი გაიზიარა პადუამ, რომლის სენიორები კარარას გვარიდან იყვნენ. XIV საუკუნეში პადუაც მილანოს ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა. 1406 წლიდან კი ისიც ვენეციის გავლენას დაემორჩილა. ვერონასა და პადუაში სინიორალური მმართველობა თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა, რასაც შედეგად მოჰყვა პოპოლანების ძალაუფლების შესუსტება და ნობილისა და მსხვილი ვაჭრების პოზიციების განმტკიცება; კომუნალურმა მაგისტრატურამ არჩევითობა შეწყვიტა. მათ შემადგენლობას სენიორები ნიშნავდნენ. ამგვარად, პოპოლანურმა კომუნამ არსებობა შეწყვიტა.

განსხვავებული პოლიტიკური გზა განვლო ფერარამ – ჩრდილოეთ იტალიის მსხვილმა ქალაქმა, სადაც სინიორია სხვებზე ადრე, XIII საუკუნის შუა ხანებში აღმოცენდა. საუკუნის დასაწყისიდანვე ქალაქი გახვეული იყო გველფებსა და გიბელინებს შორის ატეხილ ბრძოლის ქარცეცხლში. გველფების პარტიას აქ მეთაურობდა მსხვილი ფეოდალების – მარკიზების დ'ესტეების გვარი, გიბელინების პარტიას კი ვაჭრები. 1240 წელს ლომბარდიის გველფურმა ქალაქებმა ვენეციის მხარდაჭერით გამარჯვება მოიპოვეს გიბელინურ ფერარზე, რის შედეგადაც ვენეციელმა ვაჭრებმა მნიშვნელოვნად შეავიწროეს ადგილობრივი ვაჭრები მნიშვნელოვანი ტრანზიტული სავაჭრო არხებისაგან. ფეოდალებმა კი, პირიქით, მყარი პოზიციები შეინარჩუნეს ოლქში. 1264 წელს მათ მხარი დაუჭირეს ქალაქის სინიორად დ'ესტეს გვარის წარმომადგენლის არჩევას. მან მიიღო განუსაზღვრელი უფლებები ფერარასა და მის დისტრეტოში. შეეძლო შეეცვალა ძველი და გამოეცა ახალი სტატუტები, დაენიშნა ჩინოვნიკები და ა. შ. დ'ესტეს გვარის სინიორიამ ფერარაში სამ საუკუნეზე მეტხანს იარსება. ისინი აწარმოებდნენ აქტიურ დაპყრობით პოლიტიკას, აშენებდნენ ციხესიმაგრეებს, ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ ჯარს, რაც საგადასახადო სისტემის გაძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერებასა და მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. 1385 წელს დაიწყო დიდი ანტისაგადასახადო აჯანყება, რომელიც სინიორიამ სასტიკად ჩაახშო. მაგრამ, ამასთან ერთად, დ'ესტეები მფარველობდნენ უნივერსიტეტს და მეცენატობდნენ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებას. XV საუკუნის ფერარა ჰუმანისტური კულტურის ერთ-ერთ ცენტრად იქცა. 1471 წელს ბორსო დ'ესტემ ჰერცოგის ტიტული მიიღო. ფერარა სინიორიიდან გადაიქცა მონარქისტული ტიპის სახელმწიფოდ – პრინციპატად.

XV საუკუნეში ჩრდილოეთ და შუა იტალიის ყველაზე ძლიერმა ქალაქ-სახელმწიფოებმა თავიანთი სამფლობელოები გაზარდეს მეზობელი ტერიტორიების დამორჩილებით. დაპყრობილ ქალაქებში ისინი თავიანთ ადმინისტრაციულ ხელისუფლებას ნერგავდნენ, რაც თავისთავად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ცენტრალიზებული სახელმწიფო ძალაუფლების მექანიზმის შექმნისაკენ როგორც მონარქიული (მილანოსა და ფერარას საჰერცოგოები), ისე რესპუბლიკური მმართველობის (ვენეციისა და ფლორენციის რესპუბლიკა).

ჩრდილოეთ იტალიის ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა მილანო, რომელიც XIII-XV საუკუნეებში მთელი ლომბარდიის ბირთვად იქცა. მილანო მდებარეობდა მნიშვნელოვან საერთაშორისო გზაჯვარედინზე, რომლებზეც იკვეთებოდა საფრანგეთიდან, გერმანიიდან და შვეიცარიიდან მომავალი სავაჭრო გზები, აგრეთვე იტალიური გზები ვენეციიდან, გენუიდან და ტოსკანადან. მილანო ადრევე გადაიქცა მსხვილ სავაჭრო და სამრეწველო ცენტრად. მილანელი ქრონისტის ბონვესინო დელა რიპას წიგნის – „ქალაქ მილანოს საოცრებანი"-ის (1288) მიხედვით, ქალაქში იყო 12 500 სახლი, 200 ეკლესია, 10 ჰოსპიტალი, 300 საცხობი, ათასი ტავერნა, 150 სასტუმრო, 40 წიგნის გადამწერი, 440 ყასაბი და 60 გალერა. ქალაქში განვითარებული იყო მაუდის, აბრეშუმის, ხავერდისა და ტილოს ქსოვილების წარმოება. მაგრამ განსაკუთრებით განთქმული მაინც იარაღის დამზადებით იყო. ქალაქი აღმოსავლური საქონლის ტრანზიტულ სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა, რომელიც ვენეციიდან შემოჰქონდათ და შემდეგ, ალპების გავლით ევროპის სხვა ქვეყნებში გადიოდა. XII-XIII საუკუნეებში მილანოში მნიშვნელოვნად იყო შენარჩუნებული ფეოდალური ურთიერთობებიც.

XIII საუკუნის მილანოს სოციალური სტრუქტურა რთული იყო. მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ფეოდალები, რომლებზეც დამოკიდებული იყო მრავარიცხოვანი მოსახლეობის მომარაგება პურითა და სხვა სურსათსანოვაგით. ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე ქალაქის სამხედრო ღონისძიებებში. მრავალრიცხოვანმა ურბანიზებულმა წვრილმა ნობილიტეტმა, რომელიც ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული, შექმნა თავისი კავშირი – მოტე. გავლენიანი მდგომარეობა ეკავა წმ. ამბროსის კრედენცას, რომელიც ამქართა ზედაფენებს აერთიანებდა. მაგრამ არც ერთი სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალური დაჯგუფება (ნობილები, ვალვასორები, ვაჭრები, ამქართა წევრ-ფენა) იმდენად ძლიერი არ იყო, რომ ძალაუფლება დიდი ხნით შეენარჩუნებინა. XIII საუკუნის 30-იან წლებში კრედენციაში უპირატესობა მოიპოვა გველფების ოჯახმა, ნობილმა და მაუდით მოვაჭრემ პაგანო დელა ტორემ, რომელმაც თანამოქალაქეთა აღიარებას კორტენუოვოსთან ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცით მიაღწია. 1240 წელს ის კრედენცას პოდესტად აირჩიეს.

1262 წელს პაპის დახმარებით მილანოს არქიეპისკოპოსად არჩეულ იქნა ძველი გიბელინური ოჯახის წარმომადგენელი ლომბარდიიდან ოტო ვისკონტი. მაგრამ დელა ტორემ ის ქალაქში არ შეუშვა. თანდათანობით ვისკონტი გახდა განდევნილი ნობილების მეთაური. მას შეუერთდნენ ვალვასორები და ვაჭართა ფენის წარმომადგენლებიც. ვისკონტიმ მოახერხა ზოგიერთი ლომბარდიული ქალაქის მიმხრობაც. 1277 წლის იანვარში დეზიოსთან მან გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა დელა ტორეზე. მილანოს სენიორი ნაპო დელა ტორე ტყვედ ჩავარდა და სიცოცხლე რკინის გალიაში დაამთავრა.

ოტო ვისკონტის მილანო აღტაცებული შეძახილებით შეხვდა. ქალაქი იმედოვნებდა, რომ ვისკონტი შეძლებდა მძაფრი პოლიტიკური ვნებების დაცხრომას. ოტო ჭკვიანი, ცბიერი და გამოცდილი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე ის ცდილობდა შეექმნა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ილუზია. მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ არქიეპისკოპოსი საბოლოოდ ფეოდალებს მიემხრო. დელა ტორეს მომხრეები ქალაქიდან განდევნეს. გატარდა რეფორმა, რომლის მიხედვით სახელმწიფოსა და ეკლესიაში უმაღლესი თანამდებობები შეეძლოთ დაეკავებინათ მხოლოდ წარჩინებულებს, რისთვისაც სპეციალურად შეადგინეს მილანოს მსხვილი ფეოდალების სია (დაახლოებით 200). ოტოს ძმისშვილმა მატეო ვისკონტიმ იმპერატორ ჰაინრიხ VII-მ 1311 წელს მიიღო მილანოს იმპერიის ვიკარის ტიტული და 50 ათასი ოქროს ფლორინი. 1317 წლის მაისში საერთო საბჭომ მატეო სიკვდილამდე აირჩია მილანოს სენიორად. ამიერიდან ვისკონტებმა ძალაუფლება ერთპიროვნულად შეინარჩუნეს XV საუკუნის შუა ხანებამდე. თავისი ენერგიული და მოქნილი პოლიტიკით ისინი ცდილობდნენ მეზობელი ტერიტორიების დაპყრობით შეექმნათ ერთიანი სახელმწიფო საერთო ფინანსური და სამხედრო სისტემითა და სახელმწიფო აპარატით.

ვისკონტები, ისევე როგორც სხვა ქალაქების სენიორები, ცდილობდნენ თავის სასახლის კარზე მოეწვიათ მეცნიერები, მხატვრები და პოეტები. 1353 წელს მილანოში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს ფრანჩესკო პეტრარკას, რომელსაც ჯოვანი ვისკონტი „იტალიის ყველაზე დიდ ადამიანს“ უწოდებდა.

ჯოვანი ვისკონტი (1349-1354) მილანოს არქიეპისკოპოსი, გამოცდილი და მოქნილი პოლიტიკოსი ბრძოლას ამჯობინებდა არა უხეში ძალით, არამედ დიპლომატიური კავშირებით, მოსყიდვით, ჯაშუშობითა და ა. შ. 1340 წელს მილანოს საერთო საბჭომ ვისკონტის სინიორიის მემკვიდრეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითობა დაუმტკიცა, რამაც მისი პოზიციები იურიდიულად გაამყარა. 1351 წელს მის მიერ გამოცემულმა ახალმა სტატუტებმა სინიორული რეჟიმი საბოლოოდ განამტკიცა. სხვადასხვა ინტრიგების წყალობით, ჯოვანიმ თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა ბოლონია და გენუა, რამაც მის წინააღმდეგ კოალიციის შექმნა გამოიწვია.

ჩრდილოეთი და შუა იტალიის გაერთიანების იდეა, რომელსაც ვისკონტები ატარებდნენ, XV საუკუნეში ჯან-გალეაცოს დროს (1354-1402) კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. იგი შეესაბამებოდა ახლად აღმოცენებული ბურჟუაზიული ელემენტების ინტერესებს, რომლებსაც ცენტრალიზებული, ძლიერი ხელისუფლება სჭირდებოდათ. ასეთი ხელისუფლება შეძლებდა ძველი წარჩინებული ფეოდალური გვარების უფლებებისა და პრივილეგიების შეზღუდვას, პატრიციატისა და ამქართა ორგანიზაციის დამატებითი შემოსავლებით უზრუნველყოფას და მფარველობას გაუწევდა ვაჭრობისა და მრეწველობის გაერთიანებას. ჯან-გალეაცოს ხანმოკლე მმართველობა სავსებით პასუხობდა ამ ამოცანებს.

ჯან-გალეაცოს პოლიტიკა ატარებდა მეტად მიზანსწრაფულ ხასიათს და აშკარად მიმართული იყო ერთიანი სახელმწიფოს შექმნისაკენ, რაც ჩრდილოეთ და შუა იტალიის გაერთიანების შედეგად უნდა მომხდარიყო. შორსმჭვრეტელი, ნებისყოფიანი და მოქნილი პოლიტიკით ჯან-გალეაცო სწორად აფასებდა რეალობას და კარგად ესმოდა, რომ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი იყო ადგილობრივი წეს-ჩვეულებების გათვალისწინება, გაბატონებული კლასების ინტერესებისა და კომუნების თავისებურებებისა-თვის ანგარიშის გაწევა. ამიტომაც მას გამუდმებით უწევდა ლავირება, დათმობებზე წასვლა და არცთუ იშვიათად შუა გზაზე გაჩერებაც.

ჯან-გალეაცომ ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება დაიწყო ერთიანი კანონმდებლობისა და ერთიანი ფინანსური სისტემის შექმნით. მან შეინარჩუნა ძველი კომუნალური ორგანოები, მაგრამ ჩამოართვა მათ რეალური ძალაუფლება. სხვა სინიორების მსგავსად, ისიც მაკიაველის პრინციპების გამტარებელი იყო. აკი ამბობდა: „გარდაქმნების დროს უნდა შეინარჩუნო ძველი დადგენილებების ჩრდილი, რათა ხალხს ეჭვი არ შეეპაროს წესრიგის შეცვლაში“. მილანოს საერთო საბჭოს შემადგენლობას ვისკონტი ნიშნავდა (ამ ორგანომ XVIII საუკუნემდე იარსება). ოდესღაც ძლევამოსილი პოდესტა სასამართლო ტრიბუნალის თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებდა. დამოუკიდებელი ქალაქ-კომუნიდან მილანო სახელმწიფოს დედაქალაქად გადაიქცა, რომლის ადმინისტრაცია მთლიანად სენიორს ემორჩილებოდა. ადმინისტრაციის მმართველს წარმოადგენდა გენერალური ვიკარი, რომელთანაც შეიქმნა საიდუმლო საბჭო 12 კაცის შემადგენლობით. ის განაგებდა სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებს, დიპლომატიურ ურთიერთობებს, ამასთანავე, წარმოადგენდა სასამართლო ტრიბუნალს განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით მნიშვნელოვან საქმეებში. სამართლიანობის საბჭო დაკავებული იყო სამოქალაქო საქმეებით. მის შემადგენლობაში შედიოდა სპეციალური ორგანო – ხაზინა. გარდა ამისა, შეიქმნა მიმოწერის კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა ფოსტის ორგანიზაცია და კორესპონდენციებზე კონტროლი.

დამორჩილებულ ქალაქებთან დამოკიდებულებაში ჯან-გალეაცო ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა, თითქმის ხელუხლებელს ტოვებდა ქალაქის სპეციფიკას. 1396 წელს მილანოში გამოიცა ახალი სტატუტები „ჰერცოგის სიგელი", რომელთა თანახმად საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებამ თავი მოიყარა სენიორის ხელში. ჯან-გალეაცომ გამოსცა კანონი, რომელიც კრძალავდა იარაღის ტარებას, აუკრძალა ეკლესიას მისი ნებართვის გარეშე ბენეფიციუმების მიღება და კონტროლზე აიყვანა საეკლესიო მიწათმფლობელობა, ზოგჯერ საეკლესიო ქონების კონფისკაციასაც მიმართავდა. თავისი მთავარი მიზნის – იტალიის გაერთიანების მისაღწევად ჯან-გალეაცომ შექმნა ლიგა, რომლის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილო და შუა იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების უმრავლესობა. იმისათვის, რომ სკალიგერების სამფლობელოები შემოეერთებინა, მან ვენეციასთან ნეიტრალიტეტს მიაღწია და ფრანჩესკო კარერასთან ერთად ანტონიო დელა სკალა ზედიზედ ორჯერ დაამარცხა (1386-1387), რის შედეგადაც მილანომ შემოიერთა ვერონა, პადუამ დაკარგა ვიჩენცა. სკალიგერების ძლიერება შეიზღუდა. ამის შემდეგ ისევ ვენეციის მხარდაჭერით გალეაცომ დაამარცხა ყოფილი მოკავშირე ფრანჩესკო კარერა, დაიპყრო ვიჩენცა, პადუა და ვერონა, რამაც მილანო მთელ ზემო იტალიაში გააბატონა. ვისკონტის სამფლობელოები ადრიატიკის ზღვამდე აღწევდა.

მილანოს გაძლიერებამ ვენეცია, მანტუა და ფერარა აიძულა საზღვრების გამაგრებაზე ეზრუნათ. ჯან-გალეაცო კი ამასობაში ტოსკანაში გაბატონებაზე ფიქრობდა. მისი ჯაშუშები და აგენტები დიდ თანხებს ხარჯავდნენ ქალაქების გადმობირებაზე. პიზა, ლუკა, სიენა, პერუჯა, სან-მინიატო მილანოს დაპყრობის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. საფრთხის წინ დადგა ფლორენციაც, რომელიც ვისკონტის წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. ეს იყო ფაქტობრივად რესპუბლიკის ბრძოლა ტირანიის წინააღმდეგ.

1390 წლის მაისში ფლორენციის კანცელარიამ, რომლის მდივანი იყო ცნობილი ჰუმანისტი კალუჩო სალუტატი, გამოსცა მანიფესტი ვისკონტის წინააღმდეგ: „ახლა საბოლოოდ აშკარა გახდა შხამიანი გველის მიზნები (გველი – ვისკონტის გერბი იყო), – ნათქვამი იყო მასში, – მთელი რიგი დანაშაულებების ჩადენის შემდეგ, ძალადობრივი დაპყრობებით, ტირანს იტალიის გვირგვინი უნდა, რათა გაამართლოს თავისი უზურპაცია. მაგრამ ჭეშმარიტი იტალია – ეს ჩვენ ვართ. ჩვენ დავიცავთ ჩვენს არსებობას და ხელს შევუშლით იმას, რომ იტალიელები მონობაში ჩავარდნენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მხრივ, ჯან-გალეაცოს სასახლის პოეტებმა და მისი კანცლერის იურისტებმა განაცხადეს, რომ ვისკონტის სურს დაიცვას იტალიის ღირსება და იხსნას უცხოელი დაქირავებული მკვლელებისაგან. თვითონ ვისკონტი კი დაუღალავად ხაზს უსვამდა იმას, რომ მშვიდობა და კეთილდღეობა, რომელიც მის სახელმწიფოში სუფევდა, მას შეეძლო სხვებისათვისაც მიეცა. პოეტები ჯან-გალეაცო ვისკონტიზე წერდნენ ლექსებს, როგორც მეფეზე, იმპერატორზე და მას „ახალ ცეზარს" უწოდებდნენ. სამხედრო მოქმედებები დაიწყო 1390 წლის გაზაფხულზე. თავიდან ფლორენციას ჰქონდა წარმატებები, მაგრამ 1391 წლის ზაფხულში მილანოს ჯარმა კონდოტიერის იაკოპო დელ ვერმეს მეთაურობით ალექსანდრიასთან დაამარცხა ფლორენციელთა ჯარი ფრანგი გრაფის არმანიაკის მეთაურობით. საბრძოლო წარმატებებმა ჯან-გალეაცოს საშუალება მისცა მოლაპარაკებები დაეწყო იმპერატორ ვენცესლავთან ჰერცოგის ტიტულის მიღებაზე. ამასთანავე, საჩუქრად უზარმაზარი თანხა 100 ათასი ოქროს ფლორინი გაუგზავნა.

1395 წლის 5 სექტემბერს მილანოში შედგა საზეიმო ცერემონიალი, რომელზეც ჯან-გალეაცოს ჰერცოგის ტიტული მიენიჭა. ამიერიდან ეს ტიტული ვისკონტების გვარში მემკვიდრეობით უნდა გადასულიყო. 1397 წელს გალეაცომ მიიღო ლომბარდიის ჰერცოგის ტიტული. ასე დასრულდა მონარქიული სახელმწიფოსა და სინიორიის ტრანსფორმაციის პროცესი, რომლის შედეგსაც პრინციპატი წარმოადგენდა. ვისკონტის სასახლის კარი კულტურის ცენტრიც გახდა. პავიაში დაარსდა უნივერსიტეტი, წარმატებით გრძელდებოდა მილანოს ტაძრის მშენებლობა. ამასთანავე, ომი ანტიმილანურ კოალიციასთან ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. 1399 წელს ვისკონტიმ დაიპყრო პიზა, სიენა, პერუჯა და ლუკა. ფლორენცია რკინის სალტეში იყო მოქცეული და თითქოს ველარაფერი უშველიდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ჯან-გალეაცო ახლოს იყო ვისკონტების სანუკვარ მიზანთან — შეექმნა ძლიერი და ერთიანი სახელმწიფო ჩრდილოეთ და შუა იტალიის გაერთიანებით. სასახლის კარზე აშკარად ლაპარაკობდნენ ჰერცოგისათვის იტალიის გვირგვინზე. მაგრამ ყველაფერი მოულოდნელად შეიცვალა. 1402 წლის 3 სექტემბერს ჯან-გალეაცო ჭირმა იმსხვერპლა თავის კოშკში მარინიანოში. ფლორენცია უმადლოდა „შავ სიკვდილს" (ჭირის ეპიდემია), რომელიც მაკიაველის სიტყვებით, „ყოველთვის უფრო მეგობრული იყო ფლორენციელებთან, ვიდრე სხვა მეგობრები და უფრო ძლიერი, ვიდრე ყველა ერთად, ვინც ცდილობდა ეხსნა მისი ღირსება".

ჯან-გალეაცო ვისკონტის პოლიტიკა, რომელიც აშკარად ატარებდა ადრეული აბსოლუტიზმის ნიშნებს, გააგრძელეს მისმა შვილებმა, განსაკუთრებით კი ფილიპო-მარია ვისკონტიმ (1412-1447). მის წინააღმდეგ პაპმა, ვენეციამ და ფლორენციამ შექმნეს კოალიცია, რომლის მეთაურად დანიშნეს იტალიაში ყველაზე სახელგანთქმული კონდოტიერი ფრანჩესკო სფორცა.

კონდოტიერები — დაქირავებული ჯარის მეთაურები დიდ უბედურებას წარმოადგენდა იტალიისათვის. ფულისა და ნადავლის გულისათვის ისინი ერთი ქალაქიდან განუწყვეტლივ მეორესთან გადადიოდნენ და ხშირად იტალიის ყველა სახელმწიფოს ბედს წყვეტდნენ. ზოგჯერ კი კონდოტიერების მსხვერპლი ხდებოდა მისივე დამქირავებელი ქალაქი. ასეთი ბედი ეწვია მილანოსაც.

ფრანჩესკო სფორცა (1401-1466) რომანიელი გლეხის მუციო ატენდოლოს ვაჟი იყო, რომელსაც არაჩვეულებრივი ძალის გამო სფორცას უწოდებდნენ. პაპთან და ნეაპოლის მეფესთან სამსახურში ისე გაითქვა სახელი, რომ იტალიაში ყველაზე ცნობილ კონეტაბლად იქცა და გრაფის ტიტულიც მიიღო. მისი ვაჟი ფრანჩესკო კონდოტიერად იმყოფებოდა პაპის, ფლორენციის, ვენეციისა და ბოლოს მილანის სამსახურში.

მილანოს წინააღმდეგ შექმნილი კოალიციის გენერალმა ფრანჩესკო სფორცამ სწორად შეაფასა მოვლენები და მილანის ჰერცოგთან ხელშეკრულება დადო; ცბიერი გრაფი ვისკონტის მემკვიდრეზე დაქორწინებას ფიქრობდა, რაც მას მილანის მმართველობას მოუტანდა. და მართლაც, სამხედრო წარმატებებმა მას სასურველი ქორწინება არგუნა წილად. მან ცოლად შეირთო ბიანკა მარია ვისკონტი. 1446 წელს ფილიპო მარია ვისკონტი გარდაიცვალა და მილანელებმა თავიანთ სიძეს — ფრანჩესკოს სთხოვეს ვენეციელებთან ომში ჯარის მთავარსარდლობა (გენერლობა). სფორცა დათანხმდა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ მოულოდნელად ვენეციის რესპუბლიკასთან მილანოს დაუკითხავად ზავი დადო და ჯარი მის წინააღმდეგ დაძრა. მან ქალაქს ალყა შემოარტყა და მილანი აიძულა ჰერცოგად ელიარებინათ, იმის მიუხედავად, რომ კანონიერი ხელისუფლება ორლეანის ჰერცოგს, შარლს ეკუთვნოდა. სფორცას მხარი დაუჭირა საფრანგეთის მეფემ ლუი XI-ს, რომელიც ორლეანის ჰერცოგს ვერ იტანდა. უფრო მეტიც, სფორცას გადასცა ყველა ის უფლება, რომელიც საფრანგეთს გენუაზე ჰქონდა. მასვე გადასცა სავონე, რომელიც ჯერ კიდევ მის განკარგულებაში იყო. ასეთი ფანადგომის შედეგად ფრანჩესკო სფორცა 1450 წელს არა მარტო მილანის ჰერცოგი გახდა, არამედ გენუის მმართველიც. ასე დაიწყო სფორცების დინასტია.

ფრანჩესკო სფორცას მმართველობის პერიოდში მილანმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ აყვავებას მიაღწია. სფორცა ხელს უწყობდა მრეწველობის განვითარებას, მანუფაქტურების გახსნას, ხავერდისა და აბრეშუმის წარმოების გაფართოებას. 1461 წლისათვის მილანში უკვე არსებობდა მეაბრეშუმეთა ამქარი, რომელიც ათასობით სახელოსნოს მოიცავდა. წარმოებაში დაკავებული იყო 15 ათასი კაცი. საჰერცოგოდან აიკრძალა ბამბისა და შალეულის გატანა ნედლეულის სახით. მიღებულ იქნა ზომები მოსახლეობის გაზრდისათვის; ვინც საჰერცოგოში დაბრუნდებოდა, გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა. სფორცა დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობის

განვითარებას. სპეციალური თანხები იყო გამოყოფილი საირიგაციო სამუშაოებისათვის, ცდილობდა სამიწათმოქმედო სისტემის გაუმჯობესებას. მილანი გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მხარედ. შემთხვევით არ გაჩნდა გამოთქმა: „მდიდარი, როგორც მილანელი". ცნობილი ფრანგი ქრონისტი ფილიპ დე კომინი წერდა: „ლომბარდია ყველაზე მდიდარი მხარეა მსოფლიოში".

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კულტურისა და მეცნიერების განვითარებას. სფორცა სასახლის კარზე იწვევდა მეცნიერებს, პოეტებსა და მხატვრებს (ლეონარდო და ვინჩი და სხვ.).

ფრანჩესკო სფორცას მიერ გატარებულმა წარმატებულმა საშინაო პოლიტიკამ ხელი შეუწყო არა მარტო მილანის ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ აღმავლობასაც. მასთან ურთიერთობას ცდილობდნენ არა მარტო იტალიის სახელმწიფოები, არამედ საფრანგეთი და ესპანეთიც. საფრანგეთის მეფე ლუი XI (თანამედროვენი დიპლომატიის მამას რომ უწოდებდნენ) ფრანჩესკო სფორცას დიპლომატიური ხელოვნების მენტორად და თავის მასწავლებლად თვლიდა.

ფრანჩესკო სფორცა იყო თავისი დროის საუკეთესო დიპლომატი, სრულყოფილად ფლობდა რთული ინტრიგების ხელოვნებასა და მანერებს, შეეძლო სიტუაციის სწრაფად შეფასება და ზუსტი მოქმედება. მის სახელთანაა დაკავშირებული პირველი მუდმივი დიპლომატიური მისიის დაარსება, რაც წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა დიპლომატიის განვითარების ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ ლეონარდო და ვინჩის ერთადერთი ქანდაკება ფრანჩესკო სფორცა იყო, რომელიც მილანის ცენტრში იდგა. 1499 წელს იტალიაში შემოჭრილმა ფრანგებმა შეძახილებით: „ფრანჩესკო სფორცა, ფრანგების მტერი!" – ნამსხვრევებად აქციეს ქანდაკება. სფორცების დინასტია მილანში 1525 წლამდე გაგრძელდა. მისი ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ ფრანჩესკოს ვაჟი გალეაცო მარია სფორცა (1466-1476), რომელიც რესპუბლიკის მომხრეებმა მოკლეს. ის შეცვალა ჯან გალეაცომ (1476-1494), რომელიც ხელისუფლებას ფაქტობრივად ჩამოაშორა ბიძამისმა ლუდოვიკომ, რომელსაც ზედმეტ სახელად მოროს (მავრს) ეძახდნენ. 1479-1508 წლებში მან ხელი შეუწყო იტალიაში 1494 წელს ფრანგების ჯარის შემოსვლას შარლ VIII-ს მეთაურობით. ამით ის იმედოვნებდა ნეაპოლსა და მილანში თავისი ძალაუფლების განმტკიცებას. 1499 წელს სახალხო აჯანყების შედეგად ის განდევნილ იქნა მილანიდან. (1500 წ. მოკლე ხნით აღდგინა ძალაუფლება). მისმა შვილებმაც დროებით დაიბრუნეს ძალაუფლება და მილანის ჰერცოგობა. 1525 წელს ფრანჩესკო II სფორცას სიკვდილით სფორცების დინასტია შეწყდა და მილანი შეუერთდა ესპანეთს (1535).

ფლორენციის რესპუბლიკას განსაკუთრებული ადგილი ეკავა სხვა იტალიურ სახელმწიფოებს შორის. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო იზოლირებული იყო ზღვაზე გასასვლელისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე მოწინავე იყო იმ დროისათვის მანუფაქტურული წარმოებითა და სავაჭრო მიმოქცევით.

ზღვაზე გასასვლელის უქონლობა ფლორენციას ხელს უშლიდა ეწარმოებინა დამოუკიდებელი ვაჭრობა და დამოკიდებულს ხდიდა მეზობელ ქალაქებზე: პიზაზე, რომელიც უკეტავდა ზღვაზე გასავლელსა და სიენაზე, რომელიც გზას უღობავდა რომისაკენ.

ფლორენცია იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შეძლო არისტოკრატიული წყობილებიდან რესპუბლიკურზე გადასვლა.

XIII საუკუნის ბოლოს ფლორენცია გველფებსა და გიბელინებს შორის ატეხილ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული. 1260 წელს არისტოკრატიამ კვლავ ხელთ იგდო ძალაუფლება. სამი წლის შემდეგ პაპმა ურბან IV-მ საფრანგეთის მეფის ძმა შარლ ანჟუელი მოიწვია. ფლორენციაში გამარჯვებას გველფები ზეიმობდნენ. 1268 წელს მათ თავის მოჰკვეთეს უკანასკნელ ჰოჰენშტაუფენს – კონრადინს. იტალიას გერმანელების ნაცვლად ფრანგები დაეპატრონენ (იხ. თავი 16.).

პოლიტიკურმა მოვლენებმა სოციალურზეც იქონია გავლენა. XIII საუკუნიდან ფლორენცია გადაიქცა განსაკუთრებულ სავაჭრო ქალაქად, სადაც გაქრა განსხვავება არისტოკრატებსა (grandi) და უბრალო ხალხს (popolani) შორის. სცენაზე გამოდის მსხვილი (popolo grasso) და წვრილი ბურჟუაზია (popolo minuto). პირველის ხელში თავმოყრილი იყო მსხვილი მრეწველობა და ვაჭრობა, მეორე დაკავებული იყო წვრილი მრეწველობითა და ვაჭრობით. აქედან XIV საუკუნეში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენები, ე. წ. „წვრილი ხალხი“ (popolo minuto), რომლებიც იმავე უფლებებს მოითხოვდნენ, რითაც სარგებლობდა „მსუქანი ხალხი“. ფლორენციის დემოკრატიის მემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა ხელახლა აღმდგარი მაგნატები, რომლებიც 1293 წლის კონსტიტუციისათვის (ამქრების საბჭომ რომ მიიღო) რევანშის აღებას ცდილობდნენ. გრანდებს სათავეში „ბარდის“ ბანკი ედგა სათავეში, რომელიც მსხვილ ფინანსურ ოპერაციებს მთელ მსოფლიოში აწარმოებდა.

1342 წელს მათ დემაგოგიის მეშვეობით ქალაქის დაბალი ფენები მიიმხრეს და ფლორენციაში დიქტატორული რეჟიმი აღადგინეს გოტიე დე ბრიენის მეთაურობით, რომელიც თავის თავს „ათენის ჰერცოგს“ უწოდებდა. ბრიენი, რასაკვირველია, არ აპირებდა თავისი დანაპირების შესრულებას, რომელიც მან აჯანყებულებს მისცა; „დაიწყო კარგად, – ნათქვამია ერთ-ერთ ძველ ფლორენციულ ხელნაწერში, – მაგრამ შემდგომში სასტიკი და ტირანი ადამიანი აღმოჩნდა. მან არ იცოდა არავითარი სხვა კანონი, გარდა საკუთარისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1343 წლის ივლისში ფლორენცია აჯანყდა. შეძახილებით: „გაუმარჯოს კომუნას, ხალხსა და თავისუფლებას“, მოქალაქეებმა ალყა შემოარტყეს ჰერცოგის სასახლეს და გოტიე დე ბრიენი ქალაქიდან გააძევეს.

მაგრამ ერთ უბედურებას მეორე დაემატა. 1348 წლის იანვარში ჭირის ეპიდემიამ მოიცვა მთელი იტალია და, რა თქმა უნდა, ფლორენციაც, რომლის მოსახლეობა ეპიდემიამდე 125 ათას კაცს აღწევდა, ჭირის შემდეგ კი მისი რიცხვი 30-40 ათას კაცამდე დაეცა.

XIV საუკუნეში და ადრეც ჭირის ეპიდემია ჩვეულებრივი მოვლენა იყო (დაფიქსირებულია ჭირის 32 ეპიდემია, მაგრამ 1348 წლის პანდემიამ, ე. წ. „შავმა სიკვდილმა“ ყველა წინანდელი დაჩრდილა. ავადმყოფობა გავრცელდა აღმოსავლეთიდან, ზოგიერთი წყაროს თანახმად, სირიიდან, ზოგიერთის – კაფადან (ახლანდელი ფეოდოსია-ყირიმში). უკანასკნელი ვერსიის თანახმად, ჭირის ეპიდემია დაიწყო თათრების ლაშქარში, რომლებმაც გენუელებს ალყა შემოარტყეს კაფაში. „საიმედოდ გამაგრებული ქალაქის აღების უაზრობაში რომ დარწმუნდნენ, თათრებმა კატაპულტის საშუალებით ქალაქის კედლებიდან გადაისროლეს ჭირისაგან დახოცილი გვამები. მიუხედავად მიღებული ზომებისა, რამდენიმე დაავადებული იტალიაში მიმავალ გემზე მოხვდა. ასე გავრცელდა ჭირი ევროპაში. სიკვდილის ზეიმის შემზარავი სურათი ფლორენციაში შესანიშნავად აღწერა ჯოვანი ბოკაჩომ თავის ბრწყინვალე შედევრში „დეკამერონი“.

მანუფაქტურები. ჩომპის აჯანყება. პოპოლანების ბრძოლა ნობილიტეტთან, რომლითაც XIII საუკუნე აღინიშნა იტალიის ქალაქების ისტორიაში, XIV საუკუნეში შეიცვალა; ერთი მხრივ, სინიორიების დაარსებითა და ძალათა შედარებითი წონასწორობით, მეორე მხრივ, იქ, სადაც ძალაუფლება გადავიდა პოპოლანების – ვაჭარ-ხელოსანთა ზედაფენის ხელში, მკვეთრი დაპირისპირება დაიწყო „მსუქან“ და „მჭლე“ ხალხს შორის, ე. ი. დაქირავებული მუშებისა და წვრილი ხელოსნებისა მანუფაქტურების მფლობელებთან, ამქართა ოსტატებსა და ვაჭრებთან.

პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულმა და მძიმე შრომითა და გაჭირვებით დაუძლურებულმა ხალხმა (სამუშაო დღე 12-14 საათს გრძელდებოდა), რომელიც მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენდა, დაიწყო ბრძოლა უკეთესი პირობებისათვის.

XIV საუკუნის 40-80-იან წლებში შუა იტალიის ქალაქებს (ფლორენცია, სიენა, პერუჯა და სხვ.) აჯანყებების ძლიერმა ტალღამ გადაუარა (სულ 20 იყო). ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მიზნებითა და მოთხოვნებით, ორგანიზების მიხედვითაც და შემადგენლობითაც. ღარიბი მუშების გამოსვლებს ზოგჯერ უერთდებოდა პოპოლანების საშუალო ფენაც. ასეთ გამოსვლებს ეკონომიკური მოთხოვნების გარდა, პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა: აჯანყებულები ითხოვდნენ ახალი ამქრების დაარსებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მათ პოლიტიკურ უფლებებსაც მიანიჭებდა და მოქალაქეობის უფლებასაც, რაც მაშინ განისაზღვრებოდა არა მარტო ქონებრივი ცენზით, არამედ ამქრებთან კუთვნილებითაც.

ამქრების სრულუფლებიანი წევრები საწარმოთა მფლობელები იყვნენ. ისინი ქმნიდნენ ცალკე კომპანიებს, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლუატაციას ეწეოდნენ და ფართო ვაჭრობას აწარმოებდნენ ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა სამრეწველო პროდუქციაზე მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება ამქრულ წარმოებას აღარ შეეძლო. ამიტომ აუცილებელი ხდებოდა წარმოების ახალ მეთოდებზე გადასვლა – კაპიტალისტური მანუფაქტურის (ლათ. manus – ხელი, facere – კეთება) შემოღება. იტალიის ცალკეულ ქალაქებში კაპიტალისტური წარმოების განვითარება უკვე XIV-XV საუკუნეებში იწყება, განსხვავებით ევროპის სხვა ქვეყნებისაგან, სადაც კაპიტალისტური წარმოება მხოლოდ XVI საუკუნეში განვითარდა.

პირველი მანუფაქტურები ფლორენციაში, სიენაში, ლუკასა და ბოლონიაში უკვე XIV საუკუნეში აღმოცენდა. ძირითადად საფეიქრო წარმოება განვითარდა, თუმცა მას ადგილობრივი ნედლეული აღარ ჰყოფნიდა და იძულებული იყო მატყლი ესპანეთიდან, პორტუგალიიდან, ჩრდილოეთ აფრიკიდან და ინგლისიდან შემოეტანა. XIV საუკუნეში ფლორენციაში უკვე არსებობდა მაუდის წარმოების 200 კომპანია, რომელიც წელიწადში 80 ათას ნაჭერ მაუდს აწარმოებდა, რომლის სიგრძე 150 მ იყო. მაუდის წარმოებაში დაკავებული იყო 30 ათასი კაცი, მათგან 10 ათასი ჩომპი იყო. ასე ეწოდებოდა უუფლებო, შავ მუშებს, რომლებიც მატყლის პირველადი დამუშავებით იყვნენ დაკავებული.

მანუფაქტურული წარმოების გაზრდამ და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ უმუშალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია კიდევ უფრო მეტად გაზარდა. გადიდდა სამუშაო დღე, ხელფასი მკვეთრად შემცირდა, გახშირდა დაჯარიმება, გაიზარდა უმუშევრობა და სხვ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მუშათა გამოსვლებს. პირველი გამოსვლა 1343 წელს მოხდა. 1345 წელს ფლორენციაში მოხდა მუშათა პირველი ორგანიზებული გაფიცვა. XIX საუკუნის 70-იან წლებში მუშათა მოძრაობა თავისი განვითარების ახალ ეტაპზე ავიდა, რის შედეგადაც იგი ჩომპის აჯანყებაში გადაიზარდა.

აჯანყებას წინ უძღოდა ქალაქში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაცია (სავაჭრო კავშირების შემცირება, მაუდის დამზადების დაცემა). აჯანყება გამოიწვია 1376 წელს ფლორენციაზე დადებულმა პაპის ინტერდიქტმა – სხვა ქალაქებთან ერთად პაპის წინააღმდეგ მოწყობილ ომში მონაწილეობისათვის. მთავრობამ გადასახადები გაზარდა და ახალი სესხები აიღო, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. გამწვავდა ბრძოლა გრანდებსა და პოპოლანებს შორის. 1378 წლის ივნისში ამქართა წარმომადგენლებმა სინიორიაში პეტიცია შეიტანეს მოთხოვნით – გრანდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ მიეღოთ კანონები. მაგრამ პეტიციის განხილვას შედეგი არ მოჰყოლია, რაც აჯანყების საბაბი გახდა. ლოზუნგით: „გაუმარჯოს ხალხს და ამქრებს“ ხალხი სინიორიის სასახლისაკენ დაიძრა, შემდეგ კი მდიდრების სახლების გადაწვა დაიწყეს. მათ ჩომპი და სხვა მოქალაქეებიც მიემხრნენ, რამაც პრიორთა საბჭო აიძულა მიეღო მთელი რიგი დადგენილებები, რომლითაც გრანდები, სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლებას კარგავდნენ. დაქირავებული მუშების მდგომარეობა არ შეცვლილა, რამაც ახალი აჯანყების დაწყებას ნიადაგი მოუმზადა.

ამჯერად აჯანყება კარგად იყო ორგანიზებული. ეწყობოდა დაქირავებული მუშებისა და ხელოსნების საიდუმლო შეკრებები, შეიმუშავეს პროგრამა (შედგენილი იყო ოთხი პეტიცია), დანიშნული იყო აჯანყების დაწყების თარიღი – 1378 წლის 20 ივლისი. პეტიციაში შეტანილი იყო „მჭლე ხალხისა“ და ჩომპის მოთხოვნებიც: მათი წარმომადგენლების მონაწილეობა მთავრობაში, ჩომპის ამქართა შექმნა, ხელფასის 50%-ის მომატება და სხვ.

აჯანყება დანიშნულ დღეს ზარების რეკვით დაიწყო. შეიარაღებული რაზმები სინიორიის სასახლესთან მივიდნენ, სადაც მათ უბრალო ხალხის მრავალათასიანი ბრბო შეუერთდა, რომლებმაც გრანდებისა და ამქრების სახლების გადაწვა დაიწყეს. 21 ივლისს აჯანყებულებმა ხელთ იგდეს პოდესტას სასახლე და აირჩიეს თავისი წარმომადგენლობა, რომლებმაც სინიორიას თავისი პეტიცია წარუდგინეს (სულ მალე რესპუბლიკის საბჭომ ეს პეტიცია დაამტკიცა). იმავე დღეს აჯანყებულებმა მოითხოვეს ხელისუფლების შეცვლა. ჩამოყალიბდა სინიორიის ახალი შემადგენლობა, სადაც სამი წარმომადგენელი შევიდა უფროსი და უმცროსი ამქრებიდან და ჩომპიდან. სინიორიის თავმჯდომარე გახდა მიქელე დი ლანდო, რომელიც შემდგომში მოღალატე აღმოჩნდა. იგი მოსყიდულ იქნა და ჩომპის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენეს. 28 ივლისს აირჩიეს საბჭოებისა და კომისიების ახალი შემადგენლობა. ქრონისტის სიტყვით, მასში მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელი შევიდა, „მდიდრებიცა და ღარიბებისაც“. შეიქმნა ჩომპის სამი ახალი ამქარი – ჩომპის, მღებავებისა და მკერავების, რომლებშიც სხვადასხვა პროფესიის ხელოსნები შევიდნენ. მაგრამ აჯანყებულთა ეკონომიკური მოთხოვნები არ შესრულებულა, რადგანაც მაუდის ხელოსნობის მფლობელებმა დაიწყეს სინიორიის გადაწყვეტილებების საბოტაჟი. მწიფდებოდა ახალი აჯანყება.

ჩომპის უკანასკნელი ეტაპი აგვისტოში დაიწყო. საიდუმლო შეკრებებზე ჩომპმა შექმნა თავისი მთავრობა „ღვთის ხალხის რვა წმინდანი“. 28 აგვისტოს აჯანყებულებმა ისევ შემოარტყეს ალყა სინიორიას და მთავრობას ხელახლა წარუდგინეს პეტიცია, რომელშიც „მსუქანი ხალხის“ ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას მოითხოვდნენ. პეტიცია სინიორიამ, მართალია, დაამტკიცა, მაგრამ მის შესრულებას არ ჩქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა. მაშინ ჩომპიმ მოითხოვა კანონიერად ეცნოთ მათი „რვა წმინდანის" მთავრობა. 31 აგვისტოს მთავრობის წარმომადგენლები სინიორიის სასახლეში გამოცხადნენ, მაგრამ მიქელე დი ლანდოს ბრძანებით დააპატიმრეს. ჩომპის წინააღმდეგ მოწყობილი „მსუქანი" პოპოლანების შეთქმულება განხორციელდა. სინიორიის ერთგულმა ლაშქარმა ალყა შემოარტყა სასახლის წინ მოედანს, სადაც ჩომპი შეიკრიბა და სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს, ჩომპის ამქარი დაშალეს. ასეთივე ბედი ეწია ორ დანარჩენ ამქარს – მღებავებსა და მკერავებს. ფლორენციაში „მსუქანი" პოპოლანების ძალაუფლება განმტკიცდა.

მედიჩები. ხელისუფლების ხშირი ცვლა ასევე დამახასიათებელია ფლორენციისთვის, სადაც სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა ოლიგარქიულ დაჯგუფებებს შორის ყოფილ გრანდებსა და მდიდარ ვაჭრებს შორის.

1378 წელს ჩომპის აჯანყების შემდეგ ფლორენციას მართავდა მდიდარი ოლიგარქია, რომელსაც სათავეში ედგა ალბიციების უმდიდრესი ოჯახი, ეს ოჯახი აგრესიულ პოლიტიკას ატარებდა. ეს აგრესია უპირველესად მიმართული იყო პიზას დამორჩილებისაკენ, რომელიც მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა გაძლიერებული ფლორენციისთვის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებაში. ოთხი წლის გააფთრებულმა ბრძოლებმა, მართალია, შესაძლებელი გახადა პიზას ნახევრად დაპყრობა (1406), ნახევრად მოსყიდვა, მაგრამ ფლორენცია მეტად მძიმე დღეში ჩააგდო; გაზრდილი გადასახადების გამო ხალხს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. ყოველივე ამან ალბიციების მმართველობის წინააღმდეგ უკმაყოფილება გაზარდა.

ამით შესანიშნავად ისარგებლა კოზიმო მედიჩიმ (1389-1464) – ფლორენციელმა მსხვილმა ბანკირმა. ამ დროისათვის მედიჩების საბანკო კაპიტალს უკვე დაპყრობილი ჰქონდა ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო, ამიტომ ისინი დაინტერესებული აღარ იყვნენ აგრესიული პოლიტიკის გატარებით. ეს გარემოება გაითვალისწინეს ალბიციებმა და მედიჩების ოჯახი განდევნეს ფლორენციიდან. თვითონ კოზიმო მედიჩი ჯერ დააპატიმრეს, ერთი თვის შემდეგ კი გაათავისუფლეს და განდევნეს ქალაქიდან. მაგრამ მალე ალბიციებმა მარცხი განიცადეს და მედიჩების მომხრეებმა 1434 წელს მიაღწიეს გადაწყვეტილებას კოზიმოს დაბრუნების შესახებ. 5 ნოემბერს კოზიმო, როგორც გამარჯვებული, საზეიმოდ შევიდა ფლორენციაში და მალე გახდა მისი ფაქტობრივი მეფე. ასე დაიწყო მედიჩების ბატონობა, რომელიც გაგრძელდა თითქმის სამი საუკუნე (1434-1735) თავიდან სინიორიის, მოგვიანებით კი ჰერცოგობის სახით. მხოლოდ 1532 წელს მიიღო ფლორენციის მმართველმა ალესანდრო მედიჩიმ ჰერცოგის ტიტული. ოლიგარქიის ბელადები – ალბიციები, პალა სტროცი, რიდოლფო პერუცი და სხვა, განდევნილ იქნენ, მათი მომხრეები კი სიკვდილით დასაჯეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლორენციის უგვირგვინო „მეფეთა“ დინასტიამ – მედიჩებმა ისტორიას ოთხი პაპი და საფრანგეთს ორი დედოფალი მისცა, რენესანსის კულტურასა და ხელოვნებას კი გულუხვი მეცნიატები. მედიჩების გვარი, ბევრი მკვლევრის აზრით, სათავეს იღებს ექიმისაგან, რაც იტალიურად Medico-ს ნიშნავს, მრავლობით რიცხვში კი Medici. აქედან წარმოდგება მათი გერბიც, ოქროსფერ ფონზე წაგრძელებული გვირგვინის გარშემო განლაგებული 6 თუ 7 წითელი ფერის აბი. მოგვიანებით მედიჩები ბანკირები და ვაჭრები გახდნენ.

კოზიმო მედიჩიმ, რომელიც ხალხის მოთხოვნით ფლორენციის უგვირგვინო მეფე გახდა, დემაგოგიურ პოლიტიკას მიმართა; მან მოსახლეობას შეუმცირა სულადობრივი გადასახადი, სამაგიეროდ გაზარდა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ძირითადად მდიდარი ფენისკენ იყო მიმართული. ამრიგად, გადასახადის ახალი სისტემის შემოღებით კოზიმომ ერთდროულად ორ მიზანს მიაღწია – მასებში პოპულარობა მოიპოვა და თავისი კონკურენტები ეკონომიკურად დაასუსტა.

კოზიმო მედიჩის, უმდიდრეს ვაჭარსა და ბანკირს, ბევრი მომხრე ჰყავდა, რომლებიც მასზე ფინანსურად იყვნენ დამოკიდებულები, რამაც საშუალება მისცა მას მაგისტრატების არჩევნებზე გავლენა მოეხდინა და თავისი კანდიდატები გაეყვანა ხელისუფლების ორგანოებში. მიუხედავად იმისა, რომ კოზიმო მედიჩს სინიორიის ოფიციალური სტატუსი არ ჰქონია, მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები მისი თანხმობის გარეშე არ წყდებოდა; რესპუბლიკის პოლიტიკა კოზიმოს სასახლეში იქმნებოდა და ვითარდებოდა.

კოზიმო მედიჩს, ამ მოქნილ პოლიტიკოსსა და გაუნათლებელ ვაჭარს, რომელიც არასოდეს ტოვებდა თავის საბანკირო კანტორას, უყვარდა იმ დროის განათლებული ადამიანები, მწერლები, მხატვრები, ფილოსოფოსები. მან ისინი გარს შემოიკრიბა. ამასთან, დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა მათ საქმიანობას. პირად ცხოვრებაში უკიდურესად მომჭირნე, საოცრად გულუხვი იყო ხელოვნების მეცნიატეობაში, ეკლესიების, ბიბლიოთეკებისა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების მშენებლობაში. კოზიმო მედიჩის ცხოვრებაში უბედნიერესი წუთები დგებოდა მაშინ, როცა მას პლატონის „დიალოგებს“ უკითხავდნენ და შემდეგ კომენტარებს უკეთებდნენ. მისი უშუალო ხელშეწყობით იქნა დაარსებული ფლორენციაში პლატონის აკადემია.

კოზიმოს კარგად ესმოდა, რომ ახალ საზოგადოებაში ხელოვნება, ლიტერატურა და მეცნიერება იყო უდიდესი ძალა, რომლისთვისაც ყველა ჭკვიან მმართველს ანგარიში უნდა გაეწია. ამრიგად, ფლორენცია მნიშვნელოვნადაა დავალებული კოზიმო მედიჩისაგან, რომლის წყალობით ფლორენცია ევროპული კულტურის მთავარ ცენტრად გადაიქცა.

ასეთივე მოქნილი და შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა კოზიმო საგარეო პოლიტიკაშიც. იგი მფარველობდა და მატერიალურად ეხმარებოდა პაპ ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლო V-ს, როცა ის ჯერ კიდევ კარდინალი, ტომაზო პარანტუჩელი იყო. მისი სახით კოზიმომ დიდი მეგობარი შეიძინა, როცა ნიკოლო პაპი შეიქნა.

მოგვიანებით კოზიმომ ყველაზე ადრე უწინასწარმეტყველა ფრანჩესკო სფორცას დიდი მომავალი და მასთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. ამის პასუხად, სფორცა მილანოს ჰერცოგად გახდომის შემდეგ მისი ერთგული და ძლიერი მოკავშირე გახდა. სწორედ ამ პერიოდში დამთავრდა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი მილანოსა და ფლორენციას შორის. ამიტომ არაფერია გასაკვირი, რომ კოზიმო მედიჩის სიკვდილის შემდეგ „სამშობლოს მამა“ უწოდეს. მაკიაველი კოზიმოს შესახებ წერდა, რომ „ეს იყო ყველაზე დიდებული მოქალაქე – უიარაღოდ, როგორიც კი უნახავს არა მარტო ფლორენციას, არამედ სხვა რესპუბლიკებსაც“. მისივე სიტყვებით, კოზიმო შეუდარებელი იყო პოლიტიკური საკითხების გაგებაში; მას შეეძლო ადრევე განეჭვრიტა მოსალოდნელი საფრთხე და ზომებიც მიეღო მისი თავიდან აცილებისათვის. მხოლოდ თავისი შეუდარებელი ტალანტის წყალობით შეძლო 30 წელი შეენარჩუნებინა ძალაუფლება „ბედის ისეთ ცვალებადობაში და ისეთ მაცდურსა და მერყევ მოქალაქეებში, როგორიც ფლორენციაში იყო“, – წერდა მაკიაველი. ასეთივე აზრის იყო მასზე მეორე დიდი ფლორენციელი დიპლომატი და ისტორიკოსი ფრანჩესკო გვიჩარდინიც.

კოზიმო მედიჩის სიკვდილის შემდეგ ფლორენციას მართავდნენ ჯერ პიერო, შემდეგ ჯულიანო და ლორენცო მედიჩები. ჯულიანო გახდა პაპი ლეო X-ს სახელით (1475-1521), რომელმაც დიდი როლი ითამაშა იტალიური ხელოვნების განვითარებაში. მის სარკოფაგს ამშვენებს მისივე თხოვნით შესრულებული მიქელანჯელოს კომპოზიცია „დღე და ღამე“. ლეო X-მ მიიწვია რომში ლეონარდო და ვინჩიც. მისი პორტრეტი რაფაელმა უკვდავყო.

რაც შეეხება ლორენცოს (1469-1492), რომელსაც მეტსახელად „ბრწყინვალე“ უწოდეს, XV საუკუნეში უკანასკნელი მედიჩი იყო, რომელიც ფლორენციის ისტორიაში ცნობილია თავისი დახვეწილი დიპლომატიითა და ხელოვნებისადმი საოცარი სიყვარულითა და მფარველობით. მისი მმართველობის დროს შეიქმნა ახალი სინიორიის შენობის ბრწყინვალე ფასადი. ლორენცო მედიჩი თვითონ წერდა პასტორალურ და მითოლოგიურ პოემებს („ამბრა“, „აპოლონი და პანი“, და სხვა), საკარნავალო სიმღერებს, მისტერიებს, ნოველებს მეგობრობდა მიქელანჯელოსთან. აღსანიშნავია, რომ გალილეო გალილეიმ თავის მიერ 1610 წელს აღმოჩენილ იუპიტერის 4 დიდ თანამგზავრს მის პატივსაცემად „მედიჩისეული ვარსკვლავები“ უწოდა. სტენდალის თქმით კი, ლორენცო ბრწყინვალეს გარდაცვალებით მსოფლიო ცივილიზაციამ უკან დაიხია მთელი ასი წლით. მიქელანჯელომ ლორენცოს სარკოფაგი თავისი უკვდავი სკულპტურით „დილა, საღამო“ უკვდავყო.

ლორენცო ბრწყინვალემ ფლორენციაში შეინარჩუნა რესპუბლიკური ფორმები და ფლორენციის ფაქტობრივი მმართველი იყო ისე, რომ არ ეკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვნოდა არც ერთ უმაღლეს მაგისტრატურას. ქალაქში მთელი ძალაუფლება აღმოჩნდა 25 ოჯახის ხელში, რომლებსაც მედიჩებთან ნათესაური და ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებდათ. 1480 წელს ლორენცომ შექმნა 70-ის საბჭო, რომელმაც განსაკუთრებული უფლებამოსილება მიიღო, ამან გამოიწვია ფლორენციის დემოკრატიის გადაზრდა ოლიგარქიულ-სინიორალურ რეჟიმში. ლორენცო თვითონ ხელმძღვანელობდა ფლორენციის საგარეო პოლიტიკას. პირადად იღებდა ელჩებს, აწარმოებდა ომებს, პირად მდივნებად ხშირად ნიშნავდა უბრალო წარმოშობის არაფლორენციელებს. მის ძირითად საყრდენს პირადი გვარდია წარმოადგენდა. სასტიკად უსწორდებოდა სახალხო გამოსვლებს (1472 წ. ვოლტარეში და ა. შ.). მან შეძლო გველფების პარტიის მნიშვნელობის შესუსტება. შეამცირა უმცროს ამქართა რიცხვი, პატრიციატს კი ყველაფრით ხელს უწყობდა. პიზას, ვოლტერისა და ტოსკანას სხვა ქალაქების დაპყრობის შედეგად ფლორენცია დიდ სახელმწიფოდ გადაიქცა, რომლის მმართველობა დიდ სახსრებს მოითხოვდა. ხაზინის შესავსებად, რომლითაც ლორენცო საკუთარი ბანკივით სარგებლობდა, მან გადასახადები გაზარდა. იღებდა დიდი რაოდენობით სესხებს. ამას ემატებოდა მისი სასახლის ფუფუნება, დაუსრულებელი ზეიმები, კარნავალები და ტურნირები, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ლორენცოს თანამედროვეები მასში ნამდვილ ტირანს ხედავდნენ, მაგრამ აქებდნენ როგორც ნათელ პიროვნებას, ბრწყინვალე პოეტს, მეცენატსა და ჭკვიან დიპლომატს, რომელსაც „ევროპის წონასწორობის ისარს“ უწოდებდნენ.

ლორენცო მედიჩის მოქნილმა და ბრძნულმა დიპლომატიამ აპენინის ნახევარკუნძულზე ფლორენციის უპირატესობა განაპირობა. რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკურმა მდგომარეობამ ისეთ სიძლიერეს მიაღწია, როგორც არასდროს. იმისდა მიუხედავად, რომ მას არც ძლიერი არმია გააჩნდა და არც ნიჭიერი მხედართმთავრები. ფლორენციის ძლიერების იარაღს წარმოადგენდა პოლიტიკური მანევრები, დიპლომატიური ინტრიგა და მოკავშირეთა გონივრული შერჩევა.

ლორენცოს საგარეო პოლიტიკა განპირობებული იყო ფლორენციისა და რომის მჭიდრო ურთიერთობებით. მის ოცნებას იტალიის გაერთიანება წარმოადგენდა. მაგრამ იტალიის ერთიანობა მისთვის მხოლოდ ფლორენციისა და მედიჩების ტრიუმფი უნდა ყოფილიყო. ფლორენციის რესპუბლიკა მაშინდელ ევროპაში სამართლიანად ითვლებოდა ყველაზე ბრწყინვალედ. ლორენცო მედიჩიმ თავისი მოქნილი დიპლომატიის წყალობით, მარტოდმარტომ არმიისა და ყოველგვარი თანამდებობის გარეშე შეძლო იტალიაში პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნება. შემთხვევით არ იყო, რომის პაპმა ლორენცოს გარდაცვალების ამბავი რომ გაიგო, წამოიძახა: „მშვიდობა დაილუპა!“. ნეაპოლის მეფემ კი ამასთან დაკავშირებით თქვა, „მან თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვის საკმაოდ დიდხანს იცხოვრა, მაგრამ იტალიის ხსნისათვის კი ძალიან ცოტა ხანს".

ლორენცოს გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა პიერო მედიჩიმ ვერ შეძლო მამის გონივრული პოლიტიკის გაგრძელება, რითაც უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობის ყველა ფენაში. თვით პატრიციატშიც. აღშფოთებას იწვევდა პიეროს საგარეო პოლიტიკაც; მან სამარცხვინო კაპიტულაცია მოახდინა საფრანგეთის მეფის შარლ VIII-ს წინაშე. ხალხის გამოსვლებისაგან შეშინებული პიერო ქალაქიდან გაიქცა. 70-ის საბჭოში ძალაუფლება ხალხის ხელში გადავიდა. ხალხის უკმაყოფილებას განსაკუთრებით აძლიერებდა დომინიკანელი ბერის სავონაროლას მხურვალე ქადაგებანი, რომელიც მედიჩების ტირანიის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ჯიროლამო სავონაროლა (1452-1498). ფლორენციელი რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც დაიბადა ფერარაში ცნობილი ექიმისა და მეცნიერის ოჯახში. მან შესანიშნავი ჰუმანისტური განათლება მიიღო, ემზადებოდა ექიმის კარიერისთვის, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, სახლიდან გაიქცა და ბოლონიაში დომინიკანელთა ორდენის წევრი გახდა. სავონაროლა გატაცებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიითა და პეტრარკას პოეზიით. მან უარი თქვა ბიბლიის სქოლასტიკურ კომენტარებზე და ცდილობდა მოეძებნა გზა უკომენტარო სიმართლისაკენ. ამიტომაც დაიწყო ქადაგება, რომელშიც ხალხს მოუწოდებდა უარი ეთქვათ სიმდიდრეზე, გართობაზე, ძვირფასეულობაზე. აკრიტიკებდა მედიჩებს და მოითხოვდა მათ ჩამოშორებას ძალაუფლებისაგან და რესპუბლიკის დამყარებას.

სავონაროლამ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ხალხში თავისი ქადაგებებით, რომლებიც გარკვეულ წინასწარმეტყველებასაც წარმოადგენდა. ის მხურვალედ მიესალმა იტალიაში საფრანგეთის მეფის შარლ VIII-ს ლაშქრობას, რომელმაც მედიჩების ტირანიას წერტილი დაუსვა. ფლორენციაში რესპუბლიკური მმართველობა დამყარდა, რომელშიც სავონაროლა უდიდეს როლს ასრულებდა. ფაქტობრივად, სავონაროლა, რომელსაც არავითარი ოფიციალური თანამდებობა არ ჰქონია, ოთხი წლის მანძილზე (1494-1498) მონასტრიდან მართავდა ქალაქის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. მისი პროგრამა მიმართული იყო იტალიის პოლიტიკური და რელიგიური განახლებისაკენ. გატარდა მთელი რიგი რეფორმებისა. მისი ძალისხმევით ტოსკანას დომინიკანურ მონასტრებში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმა, რაც სამონასტრო წესდების სიმკაცრის აღდგენასთან იყო დაკავშირებული. სავონაროლას იდეალი თეოკრატია იყო. ის აშკარად აკრიტიკებდა პაპების პოლიტიკასა და ცხოვრების წესს. მოითხოვდა კათოლიკური ეკლესიის ძირეულ რეფორმებს და მოციქულთა დროინდელი ქრისტიანული ეკლესიის აღდგენას. სავონაროლამ შემოიღო „აკრძალულ წიგნთა ინდექსი". მისი ბრძანებით კოცონებზე დაიწვა მრავალი ძვირფასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღირებული ნივთი, მათთან ერთად კი ბოკაჩოსა და სხვა ჰუმანისტების წიგნები და ხელოვნების ნიმუშები.

მაკიაველის ზუსტი განსაზღვრებით, სავონაროლა „უიარაღო მქადაგებელი იყო". იან ჰუსისა და ლუთერისაგან განსხვავებით, ის მოკლებული აღმოჩნდა მტკიცე და ხანგრძლივ სოციალურ მხარდაჭერას. მან დაკარგა ავტორიტეტი ხალხის თვალში. ამით ისარგებლა რომის პაპმა ალექსანდრე VI ბორჯამ და სავონაროლას ჯერ ქადაგება აუკრძალა, შემდეგ კი ეკლესიიდან განკვეთა. პასუხად სავონაროლამ ხალხს პაპის დამხობისაკენ მოუწოდა, მაგრამ ფლორენციის სინიორიას არ სურდა პაპთან დაპირისპირება, ამიტომაც სავონაროლას რელიგიურ-პოლიტიკური ბრალდებები წაუყენეს და დააპატიმრეს. 1498 წლის 23 მაისს ჯიროლამო სავონაროლა გაასამართლეს, როგორც ერეტიკოსი და ჯერ ჩამოხრჩვეს, შემდეგ კი დაწვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XVIII

იტალიური საზღვაო რესპუბლიკები: ვენეცია, გენუა, პიზა

ვენეციამ – ადრიატიკის მარგალიტმა უდიდესი როლი შეასრულა ევროპის ისტორიის განვითარებაში. XIII-XV საუკუნეების ვენეცია წარმოადგენდა მდიდარ და ძლიერ საზღვაო და სავაჭრო რესპუბლიკას, რომელიც თითქმის მთელ მსოფლიოში ვაჭრობდა. ნამდვილ აყვავებას ვენეციამ XIII საუკუნეში მიაღწია, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ თავისი ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი დოჟის წყალობით. 80 წლის თითქმის ბრმა მოხუცმა, ენრიკო დანდოლომ, რომელიც პოლიტიკაში ყველაფერს ნათლად ხედავდა, ცბიერი და მოქნილი დიპლომატიის წყალობით ვენეცია ნამდვილ კოლონისტად აქცია. კონსტანტინოპოლში მთელი კვარტალი მიიღო, ბიზანტიის ადრინდელ სამფლობელოებში კი მნიშვნელოვანი ნაწილი, სამხრეთ და აღმოსავლეთ საბერძნეთის სანაპიროზე კუნძული კრეტა. დანდოლომ ბიზანტიისგან „მეოთხედის მბრძანებლისა და რომის (ე. ი. ბიზანტიის) იმპერიის 1/4 სენიორის“ ტიტული მიიღო. ენრიკო დანდოლო გარდაიცვალა 1205 წელს დასაფლავებულ იქნა წმ. სოფიას ტაძარში, კონსტანტინოპოლში.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში ვენეციამ აგრესიული პოლიტიკის შედეგად დაიკავა ისტრია, დალმაცია, დუბროვნიკი, კორონი და მოდონი, რომლებსაც ვენეციის „ორ მთავარ თვალს“ უწოდებდნენ. ვენეციას ეკუთვნოდა აგრეთვე სირიის სანაპირო-ქალაქებით: აკრა, ტიროსი და მათ ახლომდებარე მიდამოების მესამედი.

XIV-XV საუკუნეებში ვენეციის რესპუბლიკის ტერიტორია კიდევ უფრო მეტად გაფართოვდა. ადრიატიკის ზღვის სანაპიროს გარდა იგი, ფლობდა: მორეის სანაპიროს ნაწილს (პელოპონესი), კუნძულ ევბეას, კვიპროსს და სხვ. XV საუკუნის ბოლოს ვენეციას ეკუთვნოდა ასევე პადუა, ბრეშია და რავენა. ყოველივე ამას ემატებოდა შავი ზღვის სანაპიროებზე აგებული სავაჭრო ფაქტორიები. მონოპოლიური ხასიათი მიიღო ვენეციელთა ვაჭრობამ აღმოსავლეთში, ეგვიპტე, სირია და ეგეოსის ზღვის კუნძულები ვენეციაზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ. 1284 წელს ვენეციამ საკუთარი ფულის ერთეული – ოქროს დუკატი გამოუშვა. საუკუნეების მანძილზე ვენეციური დუკატები საერთაშორისო მონეტების როლს ასრულებდა. „ვენეციელები ძუნწი, ჯიუტი და ვერაგები არიან. მათ მთელი მსოფლიოს დაპყრობა სურთ, რომ შეეძლოთ“, – ასე ახასიათებდა ენერგიულ ვენეციელებს XIII საუკუნის ერთი მღვდელი. ვენეცია ძლიერ საზღვაო იმპერიად იქცა. 1204 წელს ჯვაროსნების მიერ დარბეული კონსტანტინოპოლიდან ვენეციაში ჩამოიტანეს ოთხი უზარმაზარი ბრინჯაოს ცხენი და სან-მარკოს ტაძრის სახურავზე დადგეს. ეს ცხენები ჩვ. წ. აღ-ით III საუკუნეში საბერძნეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამზადეს, საიდანაც რომში მოხვდნენ ერთ-ერთ ტრიუმფალურ თაღზე (შენახულია ნერონის დროს I ს.), შემდეგ ეს ცხენები კონსტანტინე დიდის ბრძანებით კონსტანტინოპოლში დადგეს.

XIII-XV საუკუნეების ვენეცია უდიდეს ქალაქს წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობა 200 000 კაცს აღემატებოდა. იქ არა მარტო ვაჭრობას მისდევდნენ, არამედ მრეწველობასაც. მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა ვენეციაში დამზადებული ფუფუნების საგნები — აბრეშუმის ქსოვილები, მინის ნაწარმი, ქარვა, საომარი იარაღი, განსაკუთრებით კი გემთმშენებლობა.

ვენეციის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სოფლის მეურნეობა. ფეოდალები სოფლის მეურნეობასთან ერთად ვაჭრობასა და მევახშეობასაც ეწეოდნენ, ხოლო ვაჭრები და ხომალდის პატრონები მამულებსაც იძენდნენ. მათი ეკონომიკური ერთიანობა სოციალურ-პოლიტიკურ მისწრაფებათა ერთიანობასაც განსაზღვრავდა. ვენეციის ოლიგარქიის შემადგენლობაში ფეოდალები, ვაჭრები, ბანკირები და ხომალდების მეპატრონეები (აგრარული, მევახშეობისა და სავაჭრო ინტერესების სახელმწიფო იყო) შედიოდნენ. იტალიაში არ არსებობს ქალაქი, რომლის ისტორიაში ასეთი მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა გეოგრაფიას, როგორც ვენეციაში; დამუშავებისათვის გამოსადეგი მიწა ლაგუნაზე ძალიან ცოტა იყო. ამიტომ ამბობდნენ: „აქ უფრო ადვილია გახდე მეთევზე, ვიდრე მხვნელი, უფრო ადვილია შეიძინო გემი, ვიდრე ადგილ-მამული“. რა თქმა უნდა, ნობილების საკუთრებას წარმოადგენდნენ მიწები, მაგრამ მიწების უდიდესი ნაწილი ეკლესიას ეკუთვნოდა.

ვენეციური ექსპანსიის გაფართოებამ მსხვილ პატრიციებს საშუალება მისცა ადგილ-მამულები შეეძინათ პოს დელტაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში, ბალკანეთში, კრეტასა და კვიპროსში. მაგრამ სამშობლოში მათი სოციალური და პოლიტიკური სტატუსი ძველებურად რჩებოდა. ვენეციის ისტორიის თავისებურება წინასწარ განსაზღვრა ქედმაღლური და პრაქტიკული სავაჭრო-ფულადი ოლიგარქიის სინთეზმა. ვენეციაში არ არსებობდა ანტაგონიზმი არისტოკრატიასა და პოპოლანებს შორის. ისინი, ვისაც ფლორენციაში, „მაგნატებსა“ და „მსუქნებს“ ეძახდნენ, ვენეციაში ერთი და იმავე წოდებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარეობდა ვენეციის რესპუბლიკის შინაგანი სტაბილურობა, რომელმაც აქ უფრო დიდხანს იარსება, ვიდრე ნებისმიერმა სხვა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ მსოფლიო ისტორიაში — მთელი ათასწლეულის მანძილზე ვენეციამ არ იცოდა ღრმა, შინაგანი ძვრები, რომლებიც დამახასიათებელი იყო XII-XIII საუკუნეების სხვა იტალიური კომუნებისათვის. აქ, ისევე როგორც ყველგან, საზოგადოება დაყოფილი იყო ნობილებად და პოპოლანებად. მაგრამ ეკონომიკურმა პროგრესმა კი არ შეარყია, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიციების პოზიციები. „იტალიის ყველა ქალაქიდან, მხოლოდ ვენეციამ არ იცის სამოქალაქო განხეთქილებები“ – წერდა ცნობილი ფრანგი ქრონისტი ფილიპ დე კომინი.

1172 წელს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა დიდი საბჭო – Consiglio grande, რომელიც 480 მოქალაქისაგან შედგებოდა (დროთა განმავლობაში მათი რიცხვი იცვლებოდა), რომლებსაც ქალაქის ექვსივე ოლქიდან ირჩევდნენ ერთი წლის ვადით. დოჟის არჩევა დიდი საბჭოს პრეროგატივად იქცა, ხოლო რეალური აღმასრულებელი ხელისუფლება XIII საუკუნეში მცირე საბჭოს გადაეცა, რომელიც ორმოცი კაცისგან შედგებოდა. შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპი ვენეციის ისტორიაში 1315 წელი იყო, როდესაც შედგენილ იქნა „ოქროს წიგნი“ მასში შეტანილი იყო იმ მოქალაქეების სახელები, რომლებიც არჩევის უფლებით სარგებლობდნენ. აღმასრულებელი ძალაუფლება ფაქტობრივად გადავიდა ათის საბჭოს ხელში, რომელიც 1310 წელს შეიქმნა და ირჩეოდა დიდი საბჭოს მიერ ერთი თვის ვადით.

XIV საუკუნის დასაწყისში დიდი საბჭო დაიხურა. მისი წევრი შეიძლება გამხდარიყო და დოჟის არჩევნებში უფლება მიეღო მხოლოდ იმ ვენეციელს, რომლის წინაპრებიც მამის მხრიდან უკვე იყვნენ ამ საბჭოს წევრები. წარჩინებულთა ცალკეული წარმომადგენლები უცებ არ შერიგებიან ერთმმართველობის შეზღუდვას. მაგრამ პატრიციატმა შეძლო მათ წინააღმდეგ მოწყობილი ორივე შეთქმულების – 1310 წელს ბაიმონტე ტეპოლოსა და 1355 წელს 80 წლის დოჟის მარინო ფალერას მეთაურობით ჩახშობა. პირველი შეთქმულების გახსნის შემდეგ შექმნეს სახელმწიფო უშიშროების ორგანო – ათის საბჭო, დაუმორჩილებელ დოჟს კი 1355 წელს თავისივე სასახლის ეზოში თავი მოჰკვეთეს.

ათის საბჭოს ირჩევდნენ ერთი წლის ვადით. ამ ხნის განმავლობაში საბჭოს ყველა წევრი ფლობდა განუსაზღვრელ უფლებას ეჯაშუშა ნებისმიერ ვენეციელზე და საკუთარი შეხედულებებისამებრ მოქცეულიყო. უსამართლობის შემთხვევაში საბჭოს წევრი პასუხს აგებდა. ათის საბჭო, რომელიც დოჟების სასახლეში იყო მოთავსებული, იმდენად ფართოდ სარგებლობდა ანონიმური დასმენებით, რომ შენობის კედლებზე გააკეთეს სპეციალური ჭრილები, რომლებზეც ადამიანის სახის სკულპტურული ნიღაბი მიამაგრეს გაღებული პირით, სადაც დასმენებს უშვებდნენ. ამ ნიღბებს „ლომის ბაგეები“ ერქვა და ვენეციის სიმბოლოდ იქცა. ათის საბჭოს სიკვდილ-სიცოცხლის უფლება ჰქონდა ნებისმიერ ვენეციელზე დოჟიდან დაწყებული, რომელსაც განსაკუთრებით აკვირდებოდნენ. ბრალდებულთა დასჯა ხდებოდა საიდუმლოდ. ეჭვმიტანილებს ამწყვევდნენ ვენეციის საშინელ „ტყვიის საპყრობილეებში“, რომლებმაც სახელწოდება სახურავის გამო მიიღეს; ეს

სახურავი ზაფხულობით საშინლად ხურდებოდა და ტუსაღების აუტანელ ტანჯვას იწვევდა.

ვენეციის რესპუბლიკის სრულუფლებიანი მოქალაქე გახდა ორი ათასი პატრიციანული ოჯახი, რაც მთელი ქალაქის მოსახლეობის 8%-ს შეადგენდა. დოჟის ძალაუფლება ჯერ მცირე საბჭოს მიერ იქნა შეზღუდული, შემდეგ კი ათის საბჭოს მიერ. დროთა განმავლობაში დოჟის ძალაუფლებამ უფრო მდიდრული დეკორაციის სახე მიიღო, ვიდრე რეალური მმართველობის. მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ვენეციის დოჟი წარმოადგენდა მის სრულუფლებიან წარმომადგენელს მხოლოდ... ზღვასთან დამოკიდებულებაში. ვენეციელები ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ ზღვას, რომელზედაც მთელი მათი ცხოვრება იყო დამოკიდებული. ამიტომაც ყოველწლიურად ტარდებოდა ზღვასთან ნიშნობის წეს-ჩვეულება, რომელიც მათი ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა საშიშ სტიქიასთან; დოჟი ადიოდა მდიდრულად მორთულ ხომალდზე, რომელსაც „ბუცენტავრი“ ერქვა, გადიოდა გაშლილ ზღვაში, გემბანიდან ტალღებში აგდებდა ძვირფას ბეჭედს და ლათინურად წარმოთქვამდა საკრალურ ფრაზას: „ჩვენ ვქორწინდებით შენთან, ზღვაო, ნიშნად ჭეშმარიტი და მარადიული ძალაუფლებისა“.

XIV საუკუნეში განსაკუთრებით გაძლიერდა ვენეციის პოლიტიკური გავლენა როგორც იტალიაში, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში. აღმოსავლეთთან ვაჭრობის მონოპოლიისათვის ვენეციას ორი ძლიერი საზღვაო კონკურენტი ჰყავდა – პიზა და გენუა.

პიზა ტოსკანის არქიპელაგზე იყო გაბატონებული და მსხვილ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. მას მტკიცე პოზიციები ეკავა კორსიკასა და სარდინიაზე. სამხრეთ საფრანგეთის ქალაქებში კი პიზელებს ყველგან საკუთარი კვარტლები გააჩნდათ.

1284 წელს მელორიასთან ბრძოლაში პიზელების საზღვაო ძალები ვენეციელებმა გაანადგურეს. ამ მარცხის შემდეგ პიზაში ოთხი წლით ძალაუფლება გრაფმა უგოლინო დელა გერარდესკიმ ჩაიგდო, მაგრამ 1288 წელს მის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა და გრაფი თავის შვილებთან ერთად დაიღუპა „შიმშილის კოშკში“. XIV საუკუნეში პიზა ლუკასთან ერთად გველფური ფლორენციის წინააღმდეგ იბრძოდა. 1315 წელს პიზაში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო გიბელინმა და ნიჭიერმა კონდოტიერმა კასტრუჩო კასტრაკანი დელი ანტელმინელიმ, რომელმაც ვენეციასთან მშვიდობიანი ურთიერთობა ამყარა. გენუასთან კი სისხლისმღვრელი ბრძოლები ისევ გრძელდებოდა.

1298 წელს კურცოლესთან ომში (ვენეციის მახლობლად) გენუელებმა ვენეციის ფლოტი გაანადგურეს. გამარჯვებულებმა გენუაში ათასობით ტყვე-ვენეციელი წაიყვანეს, მათ შორის იყო ცნობილი ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური მარკო პოლო.

1372-1381 წლებში ვენეციამ წარმატებები მოიპოვა გენუასთან ომში. 1378 წლის მაისში კოჯისთან ბრძოლაში (ეს კუნძული ვენეციის ლაგუნის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს) ვენეციელებმა რევანში აიღეს და გენუის ფლოტი ისე გაანადგურეს, რომ მან პირველობა საბოლოოდ დაკარგა. ამის შემდეგ ვენეცია ზღვების ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა, რამაც თავის მხრივ, მისი მშვიდობიანობა და მატერიალური კეთილდღეობა განაპირობა.

ვენეცია არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ზღვაზე ბატონობით და აშკარად დაიწყო ბრძოლა ტერიტორიული დაპყრობებისათვის. 1380 წელს მან შეძლო აღმოსავლეთში კორფუს კუნძული ჩაეგდო ხელში (კერკირი). თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა იტალიურ ქალაქებზეც. 1388 წელს ვენეციამ ხელშეკრულება დადო მილანოსთან პადუის წინააღმდეგ, მისი დაცემის შემდეგ კი მომდევნო წელს მილანოსთან შეთანხმებით მიიღო ჩრდილოეთ იტალიის ქალაქი ტრევიზო. მაგრამ ვენეცია ამით არ დაკმაყოფილებულა. მას აწუხებდა მილანოს გაძლიერება, ამიტომ მკვეთრად შეცვალა პოლიტიკა და პადუას დაეხმარა ძალაუფლების დაბრუნებაში. ახალი ომის შედეგად კი არა მარტო პადუა, ფერარაც ვენეციის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

ვენეციამ საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებულ გავლენას მიაღწია დოჟის ჯოვანი სორანცოს (1312-1328) დროს. ამ პერიოდში დაიდო მთელი სერია სავაჭრო ხელშეკრულებებისა: საფრანგეთთან, ბრაბანტთან, ბრიუგესა და ინგლისთან, ტუნისთან, ტრაპიზონის იმპერიასთან, ილხანთა სამეფოსა და კილიკიასთან. ყოველივე ამან უზრუნველყო მისი პოზიციების განმტკიცება როგორც დასავლეთ ევროპასთან დამოკიდებულებაში, ისე აღმოსავლეთთან. ვაჭრობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული ვენეციური ფაქტორიების დაარსება სხვადასხვა რეგიონებში.

XV საუკუნის პირველ ნახევარში განსაკუთრებით გაიზარდა ვენეციის სამფლობელოები როგორც იტალიაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ფრთოსანი ლომებიანი სვეტები გაჩნდა ჩრდილოეთ იტალიურ ქალაქებში: ვიჩენცაში, ბელუნოში, ფელტრეში, როვიგოში, ვერონაში, უდინაში, ბრეშიაში, ბერგამოში, კრემში და სხვაგან. ვენეციური ლომები გაჩნდა ათენში, დალმაციის მთელ სანაპიროზე, ალბანეთში, არგოსში, პატრაში, მისტრუში, თესალონიკაში და საბერძნეთის სხვა ქალაქებსა და კუნძულებზე. ვენეციამ წარმატებებს მიაღწია თურქებთან და მათ სამფლობელოებში ვაჭრობის უფლება მიიღო.

XV საუკუნე ვენეციის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მწვერვალია. მოსახლეობამ მიაღწია 200 000. 1423 წელს დოჟის ტომაზო მოჩენიგოს შედგენილი ანდერძიდან ცნობილია, რომ რესპუბლიკის საქმიან ოპერაციებში ჩადებული იყო 10 მილიონი დუკატი, რომლებსაც ყოველწლიურად ოთხი მილიონი მოგება მოჰქონდათ. სახელმწიფოს ჰქონდა 3 345 ხომალდი და ჰყავდა 36 000 მეზღვაური. გემთსაშენებში მუშაობდა 6 000 კაცი, 16 000 მუშა დაკავებული იყო აბრეშუმის ქსოვილის, შალ-

ისა და ბამბეულის წარმოებაში. პატრიციატი შედგებოდა ათასი ადამიანი საგან, რომელთა ყოველწლიური შემოსავალი მერყეობდა 700-4 000 დუკატამდე. ყოველწლიურად ვენეცია ჭრიდა 1 200 000 ოქროს დუკატს, სხვადასხვა ვერცხლის მონეტას კი საერთო ჯამში – 800 000 დუკატს. სახელმწიფოს წლიური შემოსავალი შეადგენდა 1 614 000 დუკატს. ვენეციის რესპუბლიკა იმდენად გამდიდრდა, რომ შესაძლებლობა მიეცა თავის ღარიბებზე ეზრუნა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სახელმწიფო სახსრებით დაიწყეს მათთვის საცხოვრებელი სახლების აშენება.

ქვეყნის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიძლიერემ განაპირობა ის, რომ XIV-XV საუკუნეების ვენეცია ულამაზეს ქალაქად იქცა. დიდი არხის მშვიდად მოლივლივე წყალში ირეკლებოდა 200-მდე სასახლის მდიდრულად მორთული ფასადი. შენობები მორთული იყო კოლონადებითა და ლოჯიებით, რომლებსაც მარმარილოს აჟურული ხლართები ამშვენებდა.

ვენეციური სასახლეებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ე.წ. კა'დორო – „ოქროს სახლი", რომლის მარმარილოს ფასადი ოქროთი იყო მოვარაყებული. სასახლე ეკუთვნოდა კონტარინის წარჩინებულ გვარს. პატარა პალაცო კონტარინი (ხოხობი) მაღალი, ისრისებული ფანჯრებითა და აჟურული აივნებით ყურადღებას იქცევს იმით, რომ გადმოცემის თანახმად, აქ ცხოვრობდა დეზდემონა, სანამ ოტელო მოიტაცებდა. გოთიკური არქიტექტურიდან განსაკუთრებით გამოირჩევა XIV-XV საუკუნეებში აგებული დოჟების სასახლე, რომლის გარეგნულ ფასადში შერწყმულია აღმოსავლური და დასავლური მოტივები და გამოირჩევა თავისებური, საოცარი სილამაზით.

XV ს. პირველ ნახევარშია აგებული პალაცო ფოსკარი, სადაც ამჟამად ვენეციის უნივერსიტეტის შენობაა მოთავსებული. სან-მარკოს მოედანზე აღმართულია ვენეციელი კონდოტიერის ბარტოლომეო კოლეონის Cavallo-ს მდიდრული ბრინჯაოს ქანდაკება. ვენეციელები მას უბრალოდ (ცხენს) ეძახიან და მიაჩნიათ, რომ მსოფლიოში საუკეთესო მხედრის ქანდაკებაა. ის ანდრეა ვეროკიოს ქმნილებაა. ვენეციელებმა, როგორც პრაქტიკულმა ხალხმა, სწრაფად შეიცნეს წიგნის ბეჭდვის მნიშვნელობა. 1490 წელს ალდო მანუჩიმ (ალდ მანუციო) დაარსა ტიპოგრაფია, სადაც ბეჭდავდნენ არა მარტო რომაელი, არამედ ბერძენი ავტორების თხზულებებს.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებას იწყებს ჩრდილოეთ იტალიის მეორე დიდი საზღვაო სახელმწიფო – **გენუა**, რომელიც ვენეციასთან ერთად საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი გახდა. 1261 წელს მისი დახმარებით აღდგენილმა ბიზანტიის იმპერიამ გენუას სანაცვლოდ უპირატესობა მისცა ბოსფორსა და შავ ზღვაზე ვაჭრობაში. კაფასა და ტანას მოპოვებამ გენუის რესპუბლიკას საშუალება მისცა ხელში ჩაეგდო სამხრეთ რუსეთთან ვაჭრობა. XIV საუკუნის გენუამ პოზიციები განამტკიცა ეგეოსის ზღვაში – ხიოსსა და ლესბოსზე. ხმელთაშუა ზღვის დასავლე-

თით გენუელებმა მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა დაამყარეს ესპანეთთან, სამხრეთ საფრანგეთთან და ჩრდილოეთ აფრიკასთან. XIV საუკუნის შუა ხანებში გენუამ დაიპყრო ყირიმისა და სოლდაის (სუდაკის) მთელი სანაპირო და გამაგრდა კვიპროსზე. პიზასთან გადამწყვეტი გამარჯვების შემდეგ გენუა XIII საუკუნის ბოლოს 1381 წელს ჩაება სასტიკ ბრძოლაში ვენეციასთან, რომელთანაც სისტემატური კონფლიქტი ჰქონდა აღმოსავლეთში ჰეგემონობის გამო. ეს კონფლიქტი მთელი ასი წლის მანძილზე გრძელდებოდა აღმოსავლეთში, სირიასა და ანატოლიის სანაპიროებზე, ადრიატიკაზე. თუმცა კოჯის ომი, რომლის შედეგად მოხდა გავლენის სფეროების გაყოფა ვენეციასა და გენუას შორის, უკანასკნელი წარმატება აღმოჩნდა სან-ჯორჯოს რესპუბლიკისთვის.

კოჯის ომის შემდეგ (1378) შავი ზღვა გენუის განკარგულებაში აღმოჩნდა, სადაც მან სავაჭრო ფაქტორიები დაარსა. XIII-XV საუკუნეებში გენუა-ვენეციას ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ საქართველოს შავიზღვისპირეთთან: ბათუმთან, ფოთთან და სოხუმთან. საქართველოს შესახებ ზოგიერთი ცნობა შემონახულია მარკო პოლოს ჩანაწერებში (XIII ს.). XV საუკუნის საქართველოს შესახებ კი ცნობებს გვაწვდიან იტალიელი დიპლომატი მოგზაურები: მარინო სანუტო, ჯოსაფატ ბარბარო ამბროჯიო კონტარინი და სხვა.

საქართველოს შავიზღვისპირეთი, რომელიც აღმოსავლეთთან სავაჭრო გზების მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი იყო, გენუისა და ვენეციის დაინტერესების საგანი გახდა. მათ ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ ბათუმთან (ლო ვატი), ფოთთან (ფასო) და სევასტოპოლისთან (სოხუმი). გენუელებს აქ შემოჰქონდათ ევროპული ქსოვილები, ღვინო, მარილი და თევზი, გაჰქონდათ თაფლი, ბრინჯი, ცვილი, ტილო, და ხე-ტყე, გაჰყავდათ მონები. სევასტოპოლისში გენუას საკონსულოც ჰქონდა. გარდა აღნიშნული ქალაქებისა, საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა გენუელთა სხვა პატარა დასახლებები, რომლებიც სავაჭრო ურთიერთობებს აგვარებდნენ: ნიკიფორა (ახალი ათონის მახლობლად), ავოგაზია (განთიადის მახლობლად), ტამაზა (ტამიში) და სხვ. ეს ობიექტები იტალიურ სანავიგაციო რუკებზეც აღნიშნული იყო. 1251 ან 1252 წელს გენუამ სიცილიის გამოცდილება გამოიყენა და დაიწყო ფულის მოჭრა – ოქროს მონეტა – ჯენოვინი, შემდეგ ფლორენციაში გაჩნდა ყოვლისშემძლე ოქროს ფლორინი.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე საზღვაო სახელმწიფოს ეკონომიკაში ბევრი რამ საერთო ჰქონდა, მათი პოლიტიკური ბედი სხვადასხვანაირად წარიმართა. ეს, პირველ რიგში, აიხსნება გენუელი პატრიციატის სხვადასხვაგვარობით, რომელიც ნაკლებად კონსოლიდირებული იყო, ვიდრე ვენეციის. გენუელი ოლიგარქია ძირითადად ფეოდალური წარმოშობის იყო. ბევრი მისი წარმომადგენელი კაპიტალს ვაჭრობაშიც აბანდებდა, გემთმშენებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაც ფეოდალების საკუთრებაში რჩებოდა. ზოგიერთი ფეოდალური გვარი არ მონაწილეობდა კომერციაში. გარდა ამისა, ვენეციისაგან განსხვავებით, პოპოლანები აქ ფართოდ მონაწილეობდნენ სავაჭრო ორგანიზაციებში, ამავე დროს, პოლიტიკურ ბრძოლებში ამქრებთან ერთად გამოდიოდნენ. აქედან გამომდინარეობდა გენუის უკიდურესად არამყარი პოლიტიკური ცხოვრება. რამდენჯერმე იყო მცდელობა შეექმნათ სინიორია, მაგრამ პატრიციატმა და წარჩინებულთა ფენამ მხარი არ დაუჭირა ამ მოთხოვნას. გენუელი დიქტატორები პატრიციატისა და პოპოლანების წინააღმდეგ ბრძოლაში, დასახმარებლად სხვა სახელმწიფოებს მიმართავდნენ, ამიტომაც XIV-XV საუკუნეებში გენუა არაერთხელ ყოფილა მათი ძალაუფლების ქვეშ.

1339 წელს გენუელმა პოპოლანებმა დოჟის თანამდებობაზე წამოაყენეს პატივმოყვარე სიმონე ბოკანეგრა. ამით შეშინებულმა პატრიციატმა ქალაქი რამდენიმე ხნით სამართავად გადასცა მილანს. 1390 წლიდან 1396 წლამდე გენუამ გამოიცვალა 11 მთავრობა, რომლის შედეგად რესპუბლიკა გადავიდა ჯერ საფრანგეთის (1402 წ.), შემდეგ კი მილანის ხელში. 1458-1461 წლებში გენუაში კვლავ ფრანგები გაბატონდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში გენუაში დაუმთავრებელი არეულობა და გადატრიალებები სუფევდა წარჩინებულთა ძველ და ახალ თაობებს შორის — დორია, სპინოლა, ფიესკი, ადორნო, ფრეგოზო და სხვ. პოპოლანთა ძალაუფლების ხელში ჩაგდების არაერთგზის მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

XV საუკუნეში გაუარესდა რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობა. 1408 წელს გენუის სახელმწიფო ვალმა სამი ათასამდე ლირას მიაღწია. გაიზარდა პირდაპირი და ძირითადი გადასახადები, მთავრობა ახალ სესხებს ღებულობდა. მრავალრიცხოვანი კრედიტორები, რომლებიც ვალს ველარ იბრუნებდნენ უკან, გაერთიანდნენ კომპანიაში — სან ჯორჯოს სახლში — Casa di San Giorgio, რომელმაც ხელში აიღო სესხებით მმართველობა. თანდათანობით, რათა გარანტია მიეცათ პროცენტების გადახდისათვის, სან ჯორჯოს სახლი უფრო და უფრო ერეოდა ეკონომიკურ ცხოვრებაში, აკონტროლებდა მთელ ტერიტორიას და გადაიქცა ნამდვილ სახელმწიფოდ რესპუბლიკის შიგნით. კონსტანტინოპოლის დაცემამ უზარმაზარი დარტყმა მიაყენა გენუას, რის შედეგადაც მან დაკარგა თავისი პოზიციები აღმოსავლეთში და აქედან გამომდინარე, შემოსავალიც. მხოლოდ ოლიგარქიამ, რომელმაც ხელთ იგდო ბატონობა სან ჯორჯოს სახლში, თავი მოუყარა უზარმაზარ სიმდიდრეს; მისი წარმომადგენლები კი გადაიქცნენ უდიდეს ევროპელ ბანკირებად.

ვენეციის დიპლომატია. ვენეციისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო კარგად ორგანიზებული დიპლომატიური სამსახური, რომელშიც მას მეტოქე არ ჰყავდა. საერთაშორისო ვაჭრობაში ჰეგემონობის მისაღწევად ვენეციას ბევრ სახელმწიფოში გააჩნდა წარმომადგენლობა, ძირითადად მათთან, ვისთანაც დაკავშირებული იყო ვაჭრობითა და პოლიტიკური ურთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობებით. პოლიტიკაში ვენეცია ყოველთვის დახვეწილ სვლებს აკეთებდა, ჰყავდა დაქირავებული ჯარები და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ევროპის საქმეებში. მოქნილი და გონივრული დიპლომატიით ვენეციის 80 წლის დოჟმა ენრიკო დანდოლომ შეძლო დაეპყრო თითქმის მთელი ბიზანტიის იმპერია. ვენეცია მთელ ევროპაში ანგარიშგასაწევი ძალა გახდა.

ვენეციელებმა შეითვისეს ბიზანტიური დიპლომატიის მეთოდები და იგი ხელოვნების დონემდე აიყვანეს. ვირტუოზულობამდე იქნა დახვეწილი ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენის ყველა ხერხი: მოქრთამვა, მზაკვრულობა, ღალატი, ჯაშუშობა, ორპირობა, ხოლო ვაჭართა ოლიგარქიამ, რომელმაც ხელთ იგდო მთელი ვენეციის ხელისუფლება, დიპლომატიაში მისთვის დამახასიათებელი მეთოდები შეიტანა: ინტრიგები, ეჭვიანობა, საიდუმლოებები, უნდობლობა, ამავე დროს, ორგანიზებულობა და მიზანდასახულობა.

პრაქტიკული აზროვნებითა და ფაქტებზე დაკვირვების უნარით ვენეციური დიპლომატია სხვებს აღემატებოდა. ვენეციელებმა XIII საუკუნიდან დაიწყეს მთელი რიგი დადგენილებების გამოცემა, რომლებშიც დეტალებამდე რეგულირდებოდა ელჩების საქმიანობა. მათ ასევე პირველებმა დაიწყეს თავისი ელჩებისათვის საინფორმაციო ბიულეტენების მიწოდება სამშობლოში და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა მუდმივი საელჩოების დაარსებისთვის.

ვენეციელებმა პირველებმა შექმნეს დიპლომატიური სამსახურის დასრულებული სისტემა და ასევე პირველებმა დაიწყეს სახელმწიფო არქივების დაარსება სისტემატიზებული სახით. უცხოეთის ქვეყნებში არსებულ ვენეციის ოფიციალურ წარმომადგენლობასთან ყოველთვის იყო საიდუმლო აგენტებისა და ჯაშუშების მრავალრიცხოვანი შტატი. ბიზანტიის მსგავსად, ვენეციაც საკმაოდ წარმატებით იყენებდა ვაჭრების, ქალების, მონაზვნებისა და ექიმების დახმარებას, რომლებსაც ასევე საიდუმლო მიზნებისათვის იყენებდნენ. თავისებურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ აგენტურას წარმოადგენდა იტალიური ბანკები, რომლებიც ევროპის ქვეყნებში ძალიან ბევრი იყო.

ვენეციის დიპლომატიაში ასევე ფართოდ გამოიყენებოდა დეპეშების დაშიფვრა და საფოსტო მომსახურება, რაც უდიდეს გავლენას ახდენდა ევროპის დიპლომატიაზე. ვენეციური დიპლომატიისათვის დამახასიათებელი თავისებურებები – დიპლომატიური დოკუმენტების შედგენის, მისიათა ანგარიშების, პოლიტიკურ მოღვაწეთა დახასიათების შესახებ დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და, საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ვენეციის დიპლომატიური სამსახური იმდენად სამაგალითოდ იყო დაყენებული, მისი გამოცდილება სხვა ქვეყნებსაც გადაჰქონდათ.

ელჩებს ძირითადად ირჩევდნენ წარჩინებულთა წრიდან. ელჩი უნდა ყოფილიყო ასაკოვანი და გამოცდილი დიპლომატი. კვირაში ერთხელ ელჩები სამშობლოში დაშიფრულ დეპეშებს გზავნიდნენ. ყველა ქვეყნიდან მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებული ასეთი გზავნილი მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ვითარების სურათს იძლეოდა. ტყუილად არ ამბობდნენ, რომ ევროპის არც ერთი ქვეყანა არ იყო ისე კარგად ინფორმირებული, როგორც ვენეციის სინიორია. მათი დახმარებით იყო ასე შორსმჭვრეტელი ვენეციის დიპლომატია. ამასთანავე, ელჩების მოხსენებები უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენს.

თანამედროვე გაგებით პირველი მუდმივი საელჩო აკრედიტებული იყო 1450 წელს კოზიმო მედიჩის კარზე ფლორენციაში მილანოს ჰერცოგის ფრანჩესკო სფორცას მიერ. ვენეციამ მუდმივი საელჩოები გახსნა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ალმოსავლეთშიც. ვენეციის დიპლომატიური მეთოდების დიდი ნაწილი დღესაც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე დიპლომატიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIX

ესპანეთი და პორტუგალია XI-XV საუკუნეებში

პირინეის ნახევარკუნძულზე წარმოქმნილი ქრისტიანული სახელმწიფოები ალმოცენდნენ რეკონკისტას ანუ მავრებისაგან (გაარაბებული ჩრდილო აფრიკელი ბერძნები) მიწა-წყლის უკან დაბრუნებისათვის ბრძოლების პროცესში, იმის კვალდაკვალ, თუ რომელი პროვინციები თავისუფლდებოდნენ მუსლიმთა ბატონობისაგან.

რეკონკისტამ ანუ ანტიმუსლიმურმა ბრძოლამ გადამწყვეტი წარმატებები XI-XIII საუკუნეებში მოიპოვა. კორდოვას სახალიფოში წამოწყებულმა შიდა დაპირისპირებამ არაბების მიერ დაპყრობილი ტერიტორიები ადვილად ხელში ჩასაგდები გახადა ქრისტიანი მთავრებისათვის. 1085 წელს კასტილიამ დაიპყრო ტოლედო, ცენტრალური ესპანეთის უმსხვილესი ქალაქი, ვესტგოთთა ყოფილი დედაქალაქი. XII საუკუნის დასაწყისში არაგონელებმა დაიკავეს სარაგოსა; 1147 წელს ჯვაროსანთა დახმარებით აღებულ იქნა ლისაბონი. XII საუკუნის დამლევისათვის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი ქრისტიანთა ხელში გადავიდა. თუმცა სამხრეთისაკენ მათი სვლა შედარებით ნელა მიმდინარეობდა. პირველ რიგში, ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის ერთიანობა ძნელად მყარდებოდა. კასტილიისა და ლეონის გაერთიანება მხოლოდ 1230 წელს დასრულდა. არაგონი და კატალონია, მიუხედავად უნიის გაფორმებისა, მაინც ვერ ახერხებდნენ ერთიანი ხელისუფლების ჩამოყალიბებას. 1139 წელს, პორტუგალიის გრაფმა კასტილიისაგან გამოყოფა და სამეფოს დაარსება გამოაცხადა, თუმცა 1385 წლამდე მათ შორის ბრძოლები პერიოდულად იმართებოდა. რეკონკისტაში საერთოდ აღარ მონაწილეობდა ნავარა, რომელსაც XII საუკუნიდან საერთო საზღვარი მავრებთან აღარ ჰქონდა, თუმცა ამან მაინც ვერ გადაარჩინა ნახევარკუნძულზე მიმდინარე ბრძოლებში ჩაბმისაგან. ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ბრძოლებში ჩრდილოელი მბრძანებლები ხშირად ანდალუზიელ მუსლიმებს იწვევდნენ მოკავშირეებად, რაც, რასაკვირველია, ასევე აფერხებდა რეკონკისტას.

მეორე მიზეზი, რომელიც კასტილიისა და არაგონის სამხრეთით გაფართოებას უშლიდა ხელს, ჩრდილო აფრიკიდან შემოჭრილი ბერბერთა რაზმები იყვნენ. ეს ნახევრად ველური ხალხი ისლამის ფანატიკური მიმდევრები იყვნენ და კორდოველი მუსლიმებიც კი მათ მოწვევას თავს არიდებდნენ. თუმცა ბერბერები გადამწყვეტ დროს ესხმოდნენ თავს ესპანეთს და მძიმე დარტყმას აყენებდნენ ქრისტიანულ სახელმწიფოებს. 1086 და 1195 წლებში მათ მიერ კასტილიელების განადგურებამ რამდენიმე ათწლეულით შეაფერხა რეკონკისტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა XIII საუკუნიდან გათავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი გარდატეხა მოხდა. 1212 წელს ესპანეთის სამეფოების გაერთიანებულმა ძალებმა, რომელთაც ევროპის სხვა ქვეყნებიდან მოსული ჯვაროსნებიც შეუერთდათ, ლას ნავას დე ტოლოსასთან საშინლად დაამარცხეს მავრები, რომელთაც წელში გამართვა ვეღარ შეძლეს.

უკვე 1236 წელს კორდოვას სახალიფოს ცენტრი – კორდოვა ქრისტიანების ხელში გადავიდა. XIII საუკუნის ბოლოს არაბებს მხოლოდ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ტერიტორია შერჩათ ესპანეთის სამხრეთ ნაწილში. ეს იყო გრენადის საამირო ყველაზე მაღალგანვითარებული მიწათმოქმედებითა და ვაჭრობით. ეს უმდიდრესი ოლქი არაბებმა XV საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნეს. რეკონკისტა 1492 წელს დასრულდა.

ესპანეთში ახალი მოძრაობა დაიწყო, რომელიც დაბრუნებული ტერიტორიების შემომტკიცებაში, ომით დაცარიელებული ადგილების ათვისება-აღორძინებასა და საზღვრების გამუდმებულ დაცვაში გამოიხატებოდა. ამ დროისათვის მრეწველობის ყველა სფერო აღმავლობას განიცდის. დაპყრობილ მიწებზე მავრების მიერ შექმნილი საირიგაციო სისტემები ქრისტიანებმა შეინარჩუნეს და მიწათმოქმედება უფრო განავითარეს. მევენახეობამ, ზეთისხილის გაშენებამ, აბრეშუმის მოყვანამ მიწათმოქმედებისა და სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი განვითარება გამოიწვია. ცენტრალური ესპანეთის ვაკის დაპყრობამ დიდად შეუწყო ხელი მესაქონლეობის განვითარებას, რაც დასავლეთ ევროპაში მაუდის წარმოების გავრცელებასთან ერთად ძალზე მომგებიანი აღმოჩნდა ესპანელებისათვისაც.

XIII საუკუნიდან ესპანური მატყლი გაჰქონდათ ფლანდრიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში. მეცხვარეობით არა მარტო გლეხები, არამედ ქალაქები, ეკლესია და მსხვილი ფეოდალებიც იყვნენ დაკავებულნი. ნახევარკუნძულის სხვადასხვა რაიონში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თავისებურმა განვითარებამ შიდავაჭრობის ზრდას დიდად შეუწყო ხელი. ჩრდილო და ცენტრალური რაიონები (ასტურია, გალისია, კატალონია, არაგონი) აწარმოებდნენ საქონელს, ტყავს, თევზრეწვას, მარილს, სასოფლო-სამეურნეო იარაღს, ხოლო სამხრეთი რაიონები – მარცვლეულს, ზეითუნის ზეთს, ღვინოს და სხვა. საგარეო ბაზარზე ესპანეთიდან მატყლისა და შალის გარდა ტყავეული და ღვინოც გაჰქონდათ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ კატალონიელი ვაჭრები. კასტილიიდან საქონელი ძირითადად უცხოელ ვაჭრებს გაჰქონდათ.

ისევე როგორც მთელ დასავლეთ ევროპაში, ესპანეთსა და პორტუგალიაშიც XI-XIII საუკუნეები ქალაქების ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებად გადაქცევით გამოირჩეოდა. თუმცა რეკონკისტამ ამ პროცესსაც თავისებური დაღი დაასვა. მრავალმა ქალაქმა განსაკუთრებულ აღმავლობას მუსლიმურ პერიოდში მიაღწია. ქრისტიანული სახელმწიფოს ფარგლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნების შემდგომ ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობები აღმოსავლურ სამყაროსთან მოიშალა, რამაც ვაჭარ-ხელოსნები აიძულა კვლავ მუსლიმურ ტერიტორიებზე – ნახევარკუნძულის სამხრეთით გადასახლებულიყვნენ. ამის მიუხედავად, ქალაქები: ტოლედო, სარაგოსა, ვალენსია და სევილია ქრისტიანთათვის მნიშვნელოვან სავაჭრო და ხელოსნურ ცენტრებად რჩებოდა. მათი პროდუქცია – რკინის ნაკეთობანი, იარაღი, ტყავეული და ქსოვილები ევროპის ბაზარზე დიდი მოწონებით სარგებლობდა.

რეკონკისტას პერიოდში წარმოქმნილი ქალაქები ბევრად უფრო ნაკლებ როლს ასრულებდნენ ამ თვალსაზრისით. როგორც წესი, ისინი ადმინისტრაციული ცენტრებისა და ციხესიმაგრეების ბაზაზე ყალიბდებოდნენ. მათი მეპატრონე მეფეები და გრაფები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მუდმივად დასახლების მსურველი მოსახლეობის დიდი რაოდენობით მოზიდვას, რითაც გარნიზონის ჩამოყალიბების საშუალებაც ეძლეოდათ. ახალმოსახლეს მრავალი შეღავათი ენიჭებოდა და თუ თავდაპირველად ახალი ქალაქის მცხოვრებლები აგრარულ სფეროში იყვნენ დაკავებულნი, უკვე X-XI საუკუნეებში ხელოსანთა ფენა ჩამოყალიბდა.

ქალაქების მოსახლეობა, ისევე როგორც გლეხობა და წვრილი რაინდობა დიდ როლს ასრულებდა რეკონკისტაში და მუდამ მზად იყვნენ მტრის თავდასხმების მოსაგერიებლად. თუმცა ყველაზე დიდი გამორჩენა ამ პერიოდში მსხვილმა მემამულეებმა ნახეს, რომლებიც ახლად დაპყრობილ მიწებზე უზარმაზარ სამფლობელოებს ითვისებდნენ. დიდი მიწები მიიღეს ეკლესიამ და სასულიერო-რაინდულმა ორდენებმაც. ძველი ორდენების, ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების გარდა, ესპანეთში ახალი სასულიერო-რაინდული ორდენებიც შეიქმნა – სანტიაგო (წმ. იაკობი), ალკანტარა და კალატრავა. ეს ორდენები და ეკლესია ესპანეთში გაცილებით უფრო დიდ როლს თამაშობდა, ვიდრე ევროპის დანარჩენ ქვეყნებში. ეკლესია შეეცადა გაეღვივებინა რელიგიური ფანატიზმი, რადგან XII საუკუნემდე ესპანელი ხალხი მშვიდობიანად ცხოვრობდა მაჰმადიანთა გვერდით დაპყრობილ ოლქებში. ეკლესიამ შეძლო რელიგიური მომენტის წინ წამოწევა არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში და მისი იდეოლოგიურ იარაღად გამოყენება.

რეკონკისტას პროცესში XIII საუკუნის ესპანეთში სამი მთავარი სამეფო წარმოიშვა: არაგონი, კასტილია და პორტუგალია.

არაგონის სამეფო მოიცავდა საკუთრივ არაგონს, კატალონიასა და ვალენსიას. ეს ნაწილები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობით. არაგონი ესპანეთის ყველაზე ჩამორჩენილი ოლქი იყო, კატალონია კი ყველაზე მდიდარი, თუმცა სამეფოს გაერთიანება სწორედ არაგონმა წამოიწყო. აქ ფეოდალები მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობით გამოირჩეოდნენ და დიდი გავლენა ჰქონდათ სამეფოს პოლიტიკურ წყობაზე. ფეოდალები ირჩევდნენ მეფეს და შეეძლოთ მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტახტიდან გადაყენება, უფლება ჰქონდათ მისთვის ომი გამოეცხადებინათ. ისინი თავისუფალნი იყვნენ ყოველგვარი გადასახადებისაგან. არაგონში ფეოდალების სრული ბატონობა სუფევდა. ამ უძლიერეს ფენას – რიკოს ომბრე ეწოდებოდა, საშუალო და წვრილ ფეოდალებს კი – იდალგო. ისინი, ისევე როგორც ქალაქები, უმაღლეს ფეოდალებს ემორჩილებოდნენ და არ სარგებლობდნენ პოლიტიკური გავლენით.

არაგონის სამეფოს დანარჩენი შემადგენელი ნაწილები – კატალონია და ვალენსია ზღვისპირა მხარეები იყო და გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ იტალიასა და სამხრეთ საფრანგეთთან. ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა კატალონიის ქალაქი ბარსელონა, რომელიც, ისევე როგორც სხვა ქალაქები, მრეწველობის ცენტრიც იყო. ქალაქებში განვითარებული იყო მეტალურგია და ტყავის მრეწველობა, გემთმშენებლობა. კატალონიის ქალაქებში გაბატონებული საზღვაო სამართალი ხმელთაშუა ზღვის თითქმის ყველა ნავსადგურში იქნა მიღებული. სწორედ კატალონიის წყალობით არაგონი მძლავრ საზღვაო სახელმწიფოდ იქცა. XIII საუკუნეში მან შემოიერთა ბალეარის კუნძულები, საფრანგეთს წაართვა სიცილია, 1324 წელს შეიერთა სარდინია და 1442 წელს – ნეაპოლის სამეფო. ამრიგად, XV საუკუნის მეორე ნახევარში არაგონის სამეფო უმსხვილეს საზღვაო სახელმწიფოდ გადაიქცა.

მეორე სახელმწიფო, რომელსაც ესპანეთის ცენტრალურ ნაწილში მთელი ნახევარკუნძულის სამი მეხუთედი ეკავა, იყო კასტილია. სწორედ მან შეასრულა მთავარი როლი რეკონკისტაში. კასტილიაში დიდი გავლენა ჰქონდა ეკლესიასა და სასულიერო-რაინდულ ორდენებს, რომლებიც რეკონკისტას პერიოდში უმსხვილეს მიწათმფლობელებად იქცნენ. ძლიერი იყო რიკოს ომბრეს – მსხვილი ფეოდალების ფენაც, თუმცა ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო რაინდი – იდალგოები, რომელნიც გადამწყვეტ მონაწილეობას ღებულობდნენ რეკონკისტაში და ბრძოლისუნარიანობითა და შრომისადმი ზიზღით გამოირჩეოდნენ.

და მაინც, კასტილიის ყველაზე დიდი ძალა ქალაქი იყო. სწორედ მისი სიმრავლის გამო ეწოდა ამ მხარეს კასტილია – ქალაქების ანუ ციხესიმაგრეების ქვეყანა. კასტილიის ქალაქები თავისებური სტრუქტურის იყო და ციხესიმაგრეებს წარმოადგენდნენ, რომელნიც სამხრეთისაკენ შემდგომი მოძრაობისათვის დასაყრდენი პუნქტების დანიშნულებას ასრულებდნენ. მოქალაქეები ქვეით და ცხენოსან სამხედრო რაზმებში ერთიანდებოდნენ და რაინდთა კავალერია ედგათ სათავეში. ქალაქების დამოუკიდებლობას კიდევ უფრო ამტკიცებდა საკუთარი უფლებებისა და პრივილეგიების უფლება, რომელსაც მოქალაქეები თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ. ქალაქები სამხედრო კავშირს – ჰერმანდადებს კრავდნენ როგორც გარეშე მტრის წინააღმდეგ, ისე საკუთარი ინტერესების დასაცავად. ასევე უკავშირდებოდნენ ქალაქელები გლეხურ თემებსაც.

კატალონიის ქალაქებისაგან განსხვავებით, კასტილიის ქალაქები თავრესად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ცენტრებს წარმოადგენდნენ, აქ საკმაოდ გვიან დაიწყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება. არაბებისათვის წართმეულ ქალაქებში ვაჭრები და ხელოსნები ძირითადად არაბი და ებრაელი მოსახლეობა იყო, რომლებიც მშვიდობიან პირობებში ცხოვრობდნენ.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა კასტილიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ქალაქები. საფრანგეთიდან სანტიაგო დე-კომპოსტელას მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე ათასობით მომლოცველი დადიოდა მთელი ევროპიდან. ამ ხალხმრავლობამ და ძირითადი ქალაქების ერთმანეთთან სიახლოვემ სამეფოს ამ ნაწილში უამრავი ფრანგი ხელოსნის გადასახლება გამოიწვია.

სოფლის მეურნეობას კასტილიაში თავისებური ხასიათი ჰქონდა. მისი ქვიანი და უწყლო ტერიტორიები მიწათმოქმედებისათვის ნაკლებად გამოდგებოდა, თუმცა მეცხვარეობისათვის ზედგამოჭრილი იყო. ამიტომ მსხვილი მიწათმფლობელები, განსაკუთრებით სასულიერო-რაინდული ორდენები ძირითადად მეცხვარეობას მისდევდნენ. XIII საუკუნის ბოლოს კასტილიელ მეცხვარეთა კავშირს საკუთარი ხაზინა, ადმინისტრაცია და სასამართლო ჰქონდა. რაც შეეხება ნახევარკუნძულის მესამე სამეფოს – პორტუგალიას, იგი XII საუკუნის II ნახევარში გათავისუფლდა კასტილიის სიუზერენობისაგან. სამეფოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მას პაპის ტახტის ვასალობის აღიარება დიდად დაეხმარა. ამან განსაზღვრა ეკლესიის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პორტუგალიაში მიწების დიდი ნაწილი სასულიერო-რაინდულ ორდენებს ეკუთვნოდათ.

პორტუგალიის მცირერიცხოვან ქალაქებს შორის, რომლებიც ზღვის ნაპირზე იყვნენ განლაგებულნი, უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა ლისაბონმა, რომელიც ევროპის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პუნქტად იქცა. იგი ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიკის ოკეანისაკენ მიმავალ საზღვაო გზაზე მდებარეობს და ვაჭრობას აწარმოებდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან, ნიდერლანდებთან, ინგლისსა და საფრანგეთთან.

პორტუგალიაში განვითარებული გემთმშენებლობის გამოისობით, ევროპაში ერთ-ერთი დიდი ფლოტი შეიქმნა, რომლის წყალობითაც XV საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ აფრიკაში დაპყრობილ იქნა სუეტა, პორტუგალიელთა საწყისი პუნქტი აფრიკის ირგვლივ ცურვის დასაწყებად.

პირენეის ნახევარკუნძულზე აღმოცენებულ სამეფოთა პოლიტიკურ წყობაში ბევრი საერთო თვისებები მოჩანს. რეკონკისტამ ამ თვალსაზრისითაც დიდი ზეგავლენა იქონია ქვეყნების პოლიტიკურ ორგანიზაციაზე. საგარეო საფრთხემ, მოგვიანებით კი ფეოდალთა გაერთიანების აუცილებლობამ შემდგომი დაპყრობების მიზნით, შეანელა წოდებრივი დაყოფა.

XI საუკუნიდან კასტილიაში მონარქიამ მემკვიდრეობითი ხასიათი შეიძინა. აჯანყებული ფეოდალების წინააღმდეგ საბრძოლველად მეფეებს მრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალი ფინანსური საშუალება ჰქონდათ. ისინი ვასალური მუსლიმური ტერიტორიებიდან საჭირო თანხებს იღებდნენ, ხოლო სამხედრო ძალას ქალაქებიდან და მრავალრიცხოვანი იდალგოების საშუალებით კრებდნენ. მიუხედავად ამისა, სამეფო ხელისუფლება გარკვეულწილად შეზღუდული იყო, ერთი მხრივ, მსხვილი ფეოდალების, ეკლესიისა და ორდენების პრივილეგიების, ხოლო, მეორე მხრივ, სასოფლო და ქალაქური თემების უფლებების მეშვეობით.

XIII საუკუნის შუა ხანებში ცენტრალური ხელისუფლება შეეცადა ქალაქების საქმიანობაში მეფის ჩარევის უფლება დაეკანონებინა, თუმცა ძალზე ორგანიზებულ და მრავალრიცხოვან წინააღმდეგობას წააწყდა სახალხო ავჯანყებებისა და ქალაქების კავშირების სახით, რომლებიც საკუთარ ავტონომიას იცავდნენ. ამ წინააღმდეგობის გამო სახელმწიფოში კანონების გატარება მხოლოდ XIV საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო.

ჯერ კიდევ XI საუკუნიდან კასტილიელ მეფეებს ჩვეულებად ჰქონდათ ასამბლეების მოწვევა უმაღლესი საერო და სასულიერო ფეოდალების მონაწილეობით. ამ შეკრებებზე განიხილებოდა სამეფოს კანონშემოქმედებითი, სასამართლო, გადასახადების აკრეფისა და მიმდინარე პოლიტიკური საკითხები.

1118 წელს ასამბლეაზე პირველად მოიწვიეს ქალაქის წარმომადგენლები. ამ დროიდან მოყოლებული ნახევარკუნძულზე ყველა სახელმწიფოში საფუძველი ჩაეყარა წოდებრივი წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობას.

სამივე სახელმწიფოში სამეფო ხელისუფლების გვერდით არსებობდა ძლიერ შეზღუდული წოდებათა წარმომადგენლობითი ორგანო – კორტესები, რომელიც საფრანგეთის გენერალური შტატების მსგავსი იყო, მაგრამ უფრო დიდ როლს ასრულებდა. კორტესები თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და ქალაქების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. თითოეულ სამეფოში წოდებების წარმომადგენელთა რაოდენობა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. არაგონში კორტესები 4 პალატისაგან შედგებოდა, რადგან მსხვილი ფეოდალები წვრილი რაინდებისა და აზნაურებისაგან განცალკევებით პალატაში იყვნენ წარმოდგენილი. კასტილიაში თავადაზნაურობა ერთ პალატაში ერთიანდებოდა, თუმცა მესამე პალატაში ქალაქების წარმომადგენლებთან ერთად თავისუფალ გლეხთა თემების წარმომადგენლებიც იყვნენ გაერთიანებული. სწორედ მესამე პალატა სარგებლობდა კასტილიაში ყველაზე დიდი გავლენით ქალაქების ძლიერებისა და ორგანიზებულობის გამო. ასევე სამპალატიანი კორტესები ჩამოყალიბდა XIII საუკუნეში პორტუგალიასა და ნავარაში. აღსანიშნავია, რომ კორტესების სხდომები შეიარაღებული რაზმების თანხლებით მიმდინარეობდა.

ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი პოლიტიკური თვალსაზრისით თავისებურ ფედერაციას წარმოადგენდა. იგი არაგონის სამეფოს, ვალენსიისა და კატალონიის სამეფოსაგან შედგებოდა, რომელსაც სამხრეთ საფრანგეთშიც ეკუთვნოდა მიწები. მართალია, ეს კონგლომერატი ერთ მო-

ნარქს – არაგონის მეფეს ემორჩილებოდა, თუმცა სხვადასხვა პროვინცია შესაბამისი კანონებით იმართებოდა, რაც კორტესების შემადგენლობითაც თვალნათლივ დასტურდება. აქვე აღსანიშნავია, რომ არაგონის მსხვილმა მიწათმფლობელებმა და კატალონიის სანაპირო ქალაქების მდიდარმა პატრიციატმა შეძლეს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ კორტესების ოპოზიციურ იარაღად გამოყენება.

არაგონის, კასტილიისა და პორტუგალიის სამეფოების სოციალურ განვითარებაზე, ისევე როგორც სხვა სფეროებში, დიდი გავლენა იქონია რეკონკისტამ და კოლონიზაციამ.

ყველა სამეფოში გამომუშავდა ახალი მიწების დასახლების ერთნაირი პროცედურა. მათ უმაღლეს მესაკუთრედ მეფე ითვლებოდა, რეალურ მფლობელებად კი – ახალმოსახლეები. ნაჩუქრობის ქარტიებში მეფე სასოფლო და საქალაქო თემებს, აგრეთვე მსხვილ მფლობელებს გადასცემდა უფლებას მიწაზე და საგადასახადო შეღავათებს უწყალობებდა. მიწის ნაწილი სამეფო დომენად ცხადდებოდა. ხშირად მეფეები არღვევდნენ ნაჩუქარ პრივილეგიებს და თავისუფალ სოფლებსა და ქალაქებსაც კი საერო და სასულიერო ფეოდალებს აძლევდნენ საჩუქრად.

თავისუფალ სოფელში მიწა სახნავ ნაკვეთებად და თემის – კონსეხოს სარგებლობის მიწად იყო დაყოფილი. თემური მოწყობა დამოკიდებულ სოფლებსაც ახასიათებდა.

ძველ კატალონიასა და არაგონში, სადაც მემამულეთა ძალაუფლება ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული უფრო მყარი იყო, ვიდრე ნახევარკუნძულის დასავლეთით, დამოკიდებული მოსახლეობის მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა. მებატონეს გლეხის მოკვლისა და დასახიჩრების უფლება ჰქონდა. გლეხებს, ჩვეულებრივი ბატონყმური ვალდებულებების გარდა, უნდა ეხადათ ე. წ. „ცუდი ადათები“. სენიორი უშვილოდ გარდაცვლილი ყმის მთელ ქონებას ეუფლებოდა. სხვა შემთხვევაში, გლეხის მემკვიდრეობის დიდი ნაწილი მაინც მემამულეს რჩებოდა. გლეხებს ახდევინებდნენ განსაკუთრებულ ჯარიმებს, მაგალითად, სენიორის სამფლობელოში მომხდარი ხანძრის შემთხვევაში. „ცუდ ადათებს“ ეკუთვნის „პირველი ღამის“ უფლება, იძულებით ძიძად წამოყვანა და სხვა.

რაც შეეხება კასტილიას, მის ძველ ტერიტორიაზე გლეხობა დაყმევებული და დაჩაგრული იყო, ამიტომ მათი ამბოხებები, განსაკუთრებით XI საუკუნეში, ძალზე გახშირდა. სხვა ვითარება იყო რეკონკისტით გათავისუფლებულ მიწებზე. კასტილიის ახლად დაბრუნებულ ტერიტორიებზე, მათი დასახლებისა და დაცვის მიზნით იწვევდნენ ახალმოსახლეებს, რომელთაც პირადი თავისუფლება და სხვა პრივილეგიები ეძლეოდათ. ამ მოსახლეებმა შეადგინეს თავისუფალი გლეხების მრავალრიცხოვანი ფენა. ისინი თემებად – ბეჰეტრიებად ცხოვრობდნენ და ყმა-გლეხების მდგომარეობაზეც თა-

ვისებურ ზეგავლენას ახდენდნენ. ხშირად თავისუფალ გლეხთა თემებსა ქალაქებს უერთდებოდათ გაქცეული ყმა-გლეხები, რომლებიც ამგვარად იძენდნენ თავისუფლებას.

ნახევარკუნძულის მესამე სახელმწიფოში – პორტუგალიაში, მავრებისაგან გათავისუფლებული მიწების კოლონიზაციაში ასევე დიდ როლს ასრულებდა თავისუფალი გლეხობა. ამიტომ, კასტილიის მსგავსად, პორტუგალიაშიც მრავალი თავისუფალ გლეხთა თემი არსებობდა, განსაკუთრებით სამეფოს სამხრეთ ნაწილში.

სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებას ესპანეთში როგორც ყმაგლეხობის უფრო შეზღუდვა, ისე თავისუფალი გლეხობის უფლებრივი შეკვეცა მოჰყვა. მეცხოველეობის მსხვილი მასშტაბებით განვითარებამ გლეხობის მიწიდან გაძევება და საძოვრებად შემოღობვა გამოიწვია. ამ პროცესებმა გაამწვავა ურთიერთობები ფეოდალებსა და გლეხებს შორის. XIV საუკუნის ბოლოს ესპანეთში კიდევ უფრო დაძაბული შიდაპოლიტიკური ვითარება იყო, ვიდრე იმ დროის ინგლისსა და საფრანგეთში. ფეოდალური დაჯგუფებები იბრძოდნენ ძალაუფლებისა და გავლენისათვის სამეფო კარზე. დიდკაცები სოფლებსა და ქალაქებზე ყაჩაღურ თავდასხმებს აწარმოებდნენ. ესპანეთში, განსაკუთრებით კატალონიაში გლეხთა აჯანყებები ძალზე ხშირი მოვლენა გახდა.

1462 წელს მრავალრიცხოვანი აჯანყება მოხდა კატალონიის ჩრდილოეთ ნაწილში. ამბოხებულ ყმა-გლეხებს თავისუფალი გლეხებიც შეუერთდნენ და ორგანიზებულად შეუტიეს ფეოდალებს. ისინი დაყოფილი იყვნენ სამხედრო ნაწილებად და ქალაქების, ციხე-კოშკებისა და მონასტრების გარემოცვას აწარმოებდნენ. არაგონის მეფემ ხუან II კატალონიელი დიდკაცებისა და ქალაქების საწინააღმდეგოდ გამოიყენა აჯანყება და თავისი ძალაუფლება განამტკიცა კატალონიაზე.

ამ აჯანყების ზეგავლენით ასეთივე ამბოხებები მოხდა ბალეარის კუნძულებსა და კასტილიაში.

უკვე 1484 წელს კატალონიაში ახალი სიმძლავრით იფეთქა ამბოხებამ გლეხის პედრო ხუან სალას მეთაურობით. მთავრობის ჯარებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს აჯანყებულებს და 1486 წელს კატალონიაში გლეხებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს – გაუქმდა ბატონყმობა და „ცუდი ადათები“.

არაგონისა და კასტილიის სამეფოებს შორის საზღვრები განუწყვეტლივ იცვლებოდა. 1479 წელს ესპანეთის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ნაბიჯი გადაიდგა. კასტილიის ინფანტა იზაბელა და არაგონის უფლისწული ფერდინანდი შეუღლდნენ და ესპანეთის ორი უძლიერესი სამეფო გაერთიანდა. ესპანეთი ევროპაში ერთ-ერთ ძლევამოსილ ქვეყანად იქცა, რომელიც მოიცავდა პირენეის ნახევარკუნძულის უდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს ნაწილს, ბალეარის კუნძულებს, სარდინიას, სიცილიას, ნეაპოლის სამეფოს, კანარის კუნძულებსა და სამხრეთ იტალიას.

სამეფო ხელისუფლებას ძლიერი მოკავშირე ჰყავდა ეკლესიის, ქალაქებისა და წვრილი რაინდების სახით, რომელთა ძალებზე დაყრდნობითაც დაიწყო მსხვილ ფეოდალთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის ალაგმვა. ფეოდალებს ჩამოერთვათ ფულის მოჭრის, კერძო ომების წარმოების, ციხესიმაგრეების ფლობის უფლება, ჩამოერთვათ მიწები. უამრავი ციხესიმაგრე, ფეოდალთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის დასაყრდენი დაანგრიეს. მეფე დაეუფლა სასულიერო-რაინდული ორდენების მიწებსაც.

1480 წელს კასტილიის ქალაქებმა საერთო კავშირიც კი შეკრეს და ფეოდალებთან ბრძოლაში მეფეს გვერდით ამოუდგნენ. ისინი იბრძოდნენ ფეოდალური კერძო ომების წინააღმდეგ. გზებზე მოგზაურების დასაცავად, ესპანეთში მშვიდობიანი ცხოვრების დასამყარებლად. ასევე დააარსეს მილიცია, რომელიც ყოველთვის მზად იყო ბრძოლისათვის. სამეფო ხელისუფლებამ, რომელიც ქალაქების ძალებს ფეოდალთა ასალაგმავად იყენებდა, თვით ქალაქების დამოუკიდებლობაც თანდათან შეკვეცა.

ამ შემთხვევაში მეფის ძირითადი დასაყრდენი ეკლესია და განსაკუთრებით ინკვიზიცია გახდა, რომელიც ესპანეთში 1480 წელს შემოიღეს. კათოლიკური ეკლესიის როლი ესპანეთში მთელი რეკონკისტას განმავლობაში განსაკუთრებული იყო, რადგან ბრძოლა ისლამსა და ქრისტიანობას შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით სრულდებოდა. ეკლესია რელიგიური ომის პროპაგანდით არ შემოფარგლულა და უშუალოდაც მონაწილეობდა ბრძოლებში. ბევრ ეპისკოპოსს ჰყავდა შეიარაღებული რაზმები, რომელთაც პირადად მიუძღოდა მუსლიმთა წინააღმდეგ საბრძოლველად. სასულიერო-რაინდულმა ორდენებმაც დიდი წვლილი შეიტანეს არაბების განდევნის საქმეში. ეკლესია სახელმწიფო გამგებლობაშიც უშუალოდ იყო ჩართული. ესპანეთის ეკლესიის პრიმასი – ტოლედოს არქიეპისკოპოსები სამეფო საბჭოების გავლენიანი წევრები და კასტილიისა და არაგონის სამეფოთა კანცლერები იყვნენ.

ინკვიზიცია ებრძოდა მეფისა და ეკლესიის საწინააღმდეგო ყოველ სოციალურ და პოლიტიკურ ოპოზიციას, მას „მწვალებლობად“ აცხადებდა და წამებითა და კოცონით ებრძოდა. ინკვიზიციის პირველი მეთაურის ტორკვემადას სახელი ფანატიკური სისასტიკისა და მძვინვარების სინონიმად იქცა იმ ქმედებების გამო, როგორც იგი უსწორდებოდა „მწვალებლებს“. განსაკუთრებული როლი ეკლესიამ შეასრულა ახლად დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მუსლიმების მოქცევის საკითხში. 1481 წელს ესპანეთმა ლაშქრობა წამოიწყო არაბთა უკანასკნელი სამფლობელოს გრანადის საამიროს წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ 1492 წელს დასრულდა. მთელი პირენეის ნახევარკუნძული, პორტუგალიის გარდა, ესპანეთის მეფის ხელში გაერთიანდა. მავრებსა და ებრაელებს აიძულებდნენ ქრისტიანობის მიღებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის დატოვებას მოითხოვდნენ. მოსახლეობის მასობრივმა ემიგრაციამ მთელი რიგი სავაჭრო კავშირების დარღვევა გამოიწვია ჩრდილოეთ აფრიკასა და აღმოსავლეთთან და ესპანეთის ეკონომიკას ზარალი მიაყენა. 1492 წელს ყველა არაბი და ებრაელი, ვინც ქრისტიანობის მიღებაზე უარი განაცხადა, ესპანეთიდან გააძევეს, ხოლო მათი ქონება კონფისკაციაქმნილად გამოაცხადეს. გაქრისტიანებული მავრები, ანუ მორისკები და გაქრისტიანებული ებრაელები – მარანები ინკვიზიციის გამუდმებული კონტროლის ქვეშ აღმოჩნდნენ. საკმარისი იყო დაბეზღება, რომ მათ მწვალებლობის ბრალის დადებით კოცონზე სიკვდილი ან სამუდამო პატიმრობა ელოდათ.

ფერდინანდისა და იზაბელას ხანაში ესპანეთში აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბება იწყება. მსხვილმა ფეოდალებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგეს და სანაცვლოდ მეფის კარზე საპატიო მდგომარეობა მიიღეს. კორტესებმა წინანდებური მნიშვნელობა დაკარგეს და მათი მოწვევა სულ უფრო იშვიათად ხდებოდა. მართვა-გამგებლობა ცენტრში სამეფო საბჭოების, ხოლო პროვინციებში მეფის მოხელეების – კორეხიდორების ხელში გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის პოლიტიკური წყობილება ევროპის დანარჩენ მონარქიულ სახელმწიფოთა მსგავსი იყო, იგი მნიშვნელოვან თავისებურებას ატარებდა, რომელიც მთელი მისი ისტორიული განვითარებით აიხსნება. ესპანეთის აბსოლუტური მონარქია მმართველობის აზიურ ფორმებს შეიცავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XX

სკანდინავიის ქვეყნები XI-XV საუკუნეებში

ფეოდალური ურთიერთობის განვითარების თავისებურებანი სკანდინავიის ქვეყნებში. ვიკინგების ლაშქრობების შეწყვეტამ გვაროვნულ-ტომობრივი დიდკაცობის სიმდიდრის მთავარი წყარო ამოწურა და მისი საზოგადოებრივი გავლენა შეასუსტა; ჩნდება ახალი სოციალური ელემენტები, მსახურეული დიდკაცები, რომელთა ხელშიც გადადიოდა მიწა. ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფეოდალთა კლასს ძველი დიდებულების ნაწილი და სამღვდელოება ავსებდა. მასში შედიოდნენ, აგრეთვე, „ძლიერი ხალხი" და „მძლავრი ბონდები", რომლებიც დიდძალ მიწებს ფლობდნენ.

ბონდები — ეს ის ხალხია, რომელიც თავისუფალ მოსახლეობას გამოეყვნენ. ისინი, ჩვეულებრივ, არა მარტო მიწათმოქმედებას ეწეოდნენ, არამედ მისდევდნენ მესაქონლეობას, იყვნენ მეთევზეები, მონადირეები და უმეტესად გამოცალკავებულ ხუტორებში (ფრანგულ ვილას მოგვაგონებს) ცხოვრობდნენ. ასეთი პირები დამოკიდებულებაში იშვიათად ექცეოდნენ. ფეოდალთა ზეწოლას ასევე მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ სკანდინავიელი გლეხები, მათზე პირადი დამოკიდებულება და ბეგარა დიდად არ გავრცელებულა. ასეთი რამ ნორვეგიამ საერთოდ არ იცოდა. ფეოდალთა უფლებები აქ თავიანთ ფიოფებზე (ლენებზე) შეზღუდული იყო, ხოლო ფეოდალური იერარქია, ვასალური ურთიერთობანი, გაცილებით ნაკლებად იყო განვითარებული, ვიდრე დანარჩენ დასავლეთ ევროპაში. ფეოდალური დამოკიდებულება ნატურალური რენტის გადასახადში გამოიხატებოდა.

დროთა ვითარებაში (XII-XIII სს.) ბონდების უმრავლესობა მიწის მესაკუთრეებიდან, მიწის დროებით მფლობელად გადაიქცნენ. მათ გარკვეული შეთანხმებების შესაბამისად ეჭირათ ფეოდალის მიწა, სარგებლობდნენ და ამუშავებდნენ ამ მიწას, ვიდრე ბონდს, როგორც დროებით მესაკუთრეს, იურიდიული უფლებები არ აეყრებოდა, თუმცა მას მიწის ფლობის მყარი გარანტია არ გააჩნდა. შეთანხმებების ვადა, როგორც დროებითი მფლობელისა, სულ რამდენიმე წელი გრძელდება. ბონდი მიწაზე მიმაგრებული არ იყო და არც მესაკუთრისადმი პირად დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ამავე დროს, სკანდინავიაში არსებობდა გლეხობის დიდი ფენა, რომელსაც მიწაზე საკუთრების უფლება ჰქონდა და გადასახადებს მხოლოდ სახელმწიფოს უხდიდა.

ფეოდალურ ურთიერთობათა ფორმირებაში დიდ როლს, რა თქმა უნდა, სამეფო ხელისუფლებაც ასრულებდა, იგი იტაცებდა საძოვრებსა და ტყეებს, ავალდებულებდა გლეხებს ერჩინათ მეფეები და მისი თანხმლები პირები ქვეყანაში მოგზაურობის დროს. ეს ვალდებულება შემდეგში რეგულარულ გადასახადად გადაიქცა. გადასახადების აკრეფის უფლებას მეფე ოლქებსა და რაიონებში სპეციალურად დანიშნულ დიდებულებს უბოძებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათვე აძლევდა მიწებს, რომელიც ევროპის სხვა ქვეყნების ლენებს ჩამოჰგავდა. მართალია. ეს მიწები იურიდიულად მემკვიდრეობით არ ითვლებოდა, მაგრამ, ფაქტობრივად, მემკვიდრეობითი იყო.

მეფეები აგებდნენ ციხესიმაგრეებს. ციხესიმაგრეებს მეფის მოხელე — ფეოდალები იცავდნენ, ოლქებში ისინი წესრიგს ამყარებდნენ და გადასახადს კრეფდნენ.

მეფე ხელმძღვანელობდა ჯარის შეკრების საქმესაც. მეფის მოწოდებაზე ბონდები ვალდებულნი იყვნენ წასულიყვნენ ლაშქარში და საკუთარი სახსრებით აეგოთ და აღეჭურვათ სამხედრო გემები. ერთი სიტყვით, სამხედრო საქმეში ისინი დიდ როლს ასრულებდნენ. ამიტომაც სამეფო ხელისუფლება იძულებული იყო მათთვის ანგარიში გაეწია.

სამხედრო სამსახური გლეხებზეც ვრცელდებოდა. რა თქმა უნდა, ეს სამსახური მძიმე ტვირთად აწვა გლეხებს. ომები, ლაშქარში მონაწილეობა და შინაბრძოლები მათ მეურნეობას აჩანაგებდა. ამით იყო გამოწვეული, რომ ხშირად ისინი უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურზე და თავიანთ საკუთრებასთან ერთად მსხვილი მიწათმფლობელის მფარველობაში შედიოდნენ.

სამოქალაქო ომები ნორვეგიაში. XII-XIII საუკუნეებში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად მწვავდება სოციალური წინააღმდეგობანი და იწყება ბრძოლები. XI საუკუნიდან სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც ძლიერი სამეფო ხელისუფლება ვერ ჩამოყალიბდა, მეფის გვირგვინზე პრეტენდენტებს შორის განუწყვეტელი ბრძოლები მიმდინარეობდა. ამით სარგებლობდა ეკლესია და დიდკაცობა, რომლებიც თავიანთ სამფლობელოებს ზრდიდნენ და დიდ გავლენასაც მოიპოვებდნენ. დიდი იყო ეკლესიის გავლენა მეფის არჩევის დროს. მანვე მოიპოვა მოსახლეობიდან საეკლესიო მეათედის აკრეფის უფლება. ეკლესია და დიდკაცობა გლეხების დამორჩილებასაც ცდილობდნენ. ბუნებრივია, ეს იყო სამოქალაქო ომების მიზეზიც. ომების პირველი ეტაპი სამეფო ხელისუფლებაზე პრეტენდენტთა ბრძოლის ხასიათს ატარებდა, მაგრამ მასში მალე ჩაება, ერთი მხრივ, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით დაინტერესებული მსახურეულთა დიდკაცობა და ფეოდალები, მეორე მხრივ, გლეხობა, რომელიც ვერ ურიგდებოდა ექსპლოატაციას. 1177 წელს აჯანყებულ გლეხებს — ბირკებეინერებს (ფეხსაცმელების უქონლობის დროს, ფეხებზე არყის ხის ქერქს იხვევდნენ) — სათავეში სვერირი ჩაუდგა. ნორვეგიელ დიდკაცობას, რომელთაც სათავეში მაგნუსი ედგათ, დანიელები დაეხმარნენ, მაგრამ ბირკებეინერებმა ისინი დაამარცხეს და 1184 წელს სვერირი მეფედ აირჩიეს.

მეფე სვერირი (1184-1202) ატარებდა მკვეთრად გამოხატულ პოლიტიკას, რომელიც ბირკებეინერების ინტერესებს შეესაბამებოდა. იგი შეეცადა სამღვდელოების სამეფო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას, მაგრამ ამან მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. როცა სვერირმა ეკლესიას ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა პრივილეგიები ჩამოართვა და ნორვეგიიდან გააძევა ის ეპისკოპოსები, რომლებიც სამეფო ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდნენ, აღშფოთებულმა პაპმა ინოკენტი III-მ ნორვეგიას ინტერდიქტი დაადო და სვერირი ეკლესიიდან მოკვეთა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. გლეხთა აჯანყებები არ ცხრებოდა, რადგანაც სამოქალაქო ომისდროინდელი გადასახადები, რომლებიც ბონდებს მძიმე ტვირთად აწვებოდა, კიდევ უფრო გაიზარდა. მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც დიდებულებმა სამეფო ტახტის გარშემო იწყეს შემოკრება. სახალხო მოძრაობაც ჩახშობილ იქნა, როდესაც სამღვდელოება სვერირის მემკვიდრეებს შეურიგდა.

სამეფო ხელისუფლებამ თავის ძლიერებას ნორვეგიაში მეფე მაგნუს VI კანონმდებლის (1269-1280) დროს მიაღწია (მაგნუს VI კანონების გამაუმჯობესებელი და შემსწორებელი უწოდეს). 1274 წელს მან საერთონორვეგიული სამართლის კრებული გამოსცა და ოლქების სამართალი გააუქმა. ადგილობრივი მმართველობის სათავეში თავისი ხალხი ჩააყენა, მეფის გვირგვინის მემკვიდრეობით უფროს ვაჟზე გადასვლა დააწესა. მეფის მხარდაჭერის მიუხედავად, სამღვდელოებამ და საერო დიდკაცობამ ბონდების დამოუკიდებლობის აღმოფხვრა ვერ შეძლეს.

ნორვეგიაში ვერ შეიქმნა ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სენიორია, ფეოდალური იერარქიისა და ვასალიტეტის სისტემა, იმუნიტეტი და ფეოდალური სასამართლო. სახნავი ფართობების სიმცირის გამო ვერ მოიკიდა ფეხი ბეგარამ.

ფეოდალიზმის განვითარება შვედეთში, ფინეთსა და დანიაში. შვედეთში, მსგავსად ნორვეგიისა, დიდი იყო იმ გლეხების რიცხვი, რომელთაც მიწები საკუთრებაში არ გააჩნდათ და მხოლოდ მიწების დროებით მფლობელებს წარმოადგენდნენ. მაგრამ თავისუფალ გლეხთა რიცხვიც არცთუ ისე ცოტა იყო. განსაკუთრებით ფეოდალიზაციის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა მის ჩრდილოეთ ნაწილში, შედარებით სწრაფი იყო ეს პროცესი ქვეყნის სამხრეთში, რომელიც დანიასა და გერმანიასთან იყო დაკავშირებული. ფეოდალიზაციის ნელი პროცესი ქრისტიანობის გავრცელებაზეც ახდენდა გავლენას. გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ძველი რელიგია გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა მას. მართალია, ქრისტიანობა ჯერ კიდევ X საუკუნეში მიიღო მეფე ოლაფმა, მაგრამ ამ რელიგიამ შვედეთში საბოლოოდ XIII საუკუნეში გაიმარჯვა.

შვედეთი ოლქებად იყოფოდა, სადაც თითოეულ ოლქს, ფაქტობრივად თავისი მეფე ჰყავდა, მაგრამ მათ შორის გამორჩეული ადგილი მაინც ქ. უფსალაში სახალხო კრებაზე არჩეულ მთავართუფროსს ენიჭებოდა. მეფეების ასეთი სიმრავლე სამეფო ხელისუფლების სისუსტეზე მიუთითებდა და აძლიერებდა ბრძოლას სამეფო ხელისუფლებისათვის. ამ ბრძოლების დროს, თითქმის არც ერთი მეფე თავისი სიკვდილით არ გარდაცვლილა. დროთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებაში შესამჩნევი ხდება მეფის ხელისუფლების განმტკიცების ტენდენცია, რომლის დროსაც მსახურეულთა ფენაც ყალიბდებოდა. სამეფოს მმართველის დალაშქვრის მეთაურის – იარალის მდგომარეობა გამყარდა. XIII საუკუნის დასაწყისისათვის კი სახელმწიფოს მმართველობა უძლიერესი იარლის, ბირგერის ხელში გადავიდა. მან ფინეთში ჯვაროსნული ლაშქრობების დროს (1149-1250) ამ ქვეყნის დასავლეთი ოლქები დაიპყრო და მალე ეკლესიის დახმარებით თავისი შვილი ვალდემარი იქ მეფედ გამოაცხადა. ვალდემარის გამეფებით (1157-1182) შვედეთში ფოლკუნგების დინასტია დაარსდა. ეს დინასტია 1363 წლამდე მეფობდა. ამ დინასტიის წარმომადგენლებმა, საჩუქრებით, პრივილეგიების მინიჭებით და ახალი გადასახადების შემოღებით დიდკაცობის მხარდაჭერა მოიპოვეს და მეფის ხელისუფლება განამტკიცეს. შვედეთის ფეოდალები – ფრელსები გაბატონებულ კლასად, საბოლოოდ, XIII საუკუნის მეორე ნახევარში გადაიქცნენ. ისინი გადასახადებიდან იყვნენ გათავისუფლებული და მხოლოდ სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ.

რაც შეეხება დანიას, აქ XI და XII საუკუნის პირველ ნახევარში დაძაბული შინაომები მიმდინარეობდა. 1157 წელს მეფე გახდა ვალდემარ I, რომელიც მეფედ დიდებულთა ყრილობამ აირჩია და არა სახალხო კრებამ, როგორც ეს ადრე იყო. ვალდემარმა მეტოქეები ჩამოიშორა და ეკლესიის დახმარებით თავისი ძალაუფლება განამტკიცა, სამღვდელოებამ, რომელმაც მეფისაგან საიმუნიტეტო პრივილეგიები მიიღო, დანიაში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფეოდალურ ურთიერთობათა გაბატონებას, რაც თავისთავად, სკანდინავიის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, დასავლეთ ევროპის განვითარებული ფეოდალური ქვეყნების გავლენით ვითარდებოდა.

XII საუკუნის II ნახევარში დანიაში წვრილი და საშუალო მიწათმფლობელებისაგან შემდგარი რაინდული ჯარი იქმნება. სამხედრო სამსახურისათვის ისინი ყოველგვარი გადასახადებისაგან გათავისუფლებული იყვნენ. მსახურეულთა პრივილეგირებული წოდება მეფის მთავარ დასაყრდენად გადაიქცა, ხოლო ბონდები კლასად, რომლებიც თავისი შრომით ამ პრივილეგირებულ ფენას უნდა მომსახურებოდა.

ფოლკუნგების დინასტიის პირველი წარმომადგენლები პომორიესა და ბალტიისპირეთის სლავების წინააღმდეგ ხშირად მიმართავდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებს და მათ ძალით აქრისტიანებდნენ. სლავების წინააღმდეგ ასევე იქცეოდნენ გერმანელი ფეოდალებიც. ამის ნიადაგზე გერმანელ ფეოდალებსა და ფოლკუნგების დინასტიას შორის მეტოქეობა იწყება.

სლავებისა და გერმანელი მეფეების ფრიდრიხ ბარბაროსასა და ოტო IV-ს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში განსაკუთრებულ წარმატებას ვალდემარის მეკვიდრემ კანუტ VI-მ (1182-1202) მიაღწია. მან პომორიეს

დიდი ნაწილი დაიპყრო და „დანიელებისა და სლავების მეფის“ ტიტული მიიღო (ამ ტიტულს დანიის მეფეები ეხლაც ატარებენ).

კანუტის მემკვიდრე ვალდემარ II (1202-1241) ესტების წინააღმდეგაც იბრძოდა. მან ნარვა და რეველი დაიმორჩილა, თუმცა ეს სამფლობელოები XIV საუკუნეში ტევტონთა ორდენმა 19 ათას ვერცხლის მარკად შეიძინა.

ბალტიის ზღვაზე ბატონობისათვის ბრძოლაში ვალდემარი გერმანელი ფეოდალების, რომლებიც აგრეთვე ყაჩაღურ პოლიტიკას ატარებდნენ, წინააღმდეგობას წააწყდა.

ვალდემარმა ადათობრივი სამართლის კოდიფიკაცია მოახდინა და ინგლისის „საშინელი სამსჯავრო წიგნის“ მსგავსად საშინაო აღწერა ჩაატარა.

ქალაქები და ბიურგერობა სკანდინავიაში. ნატურალური მეურნეობის სიმტკიცემ და ეკონომიკის ნელმა განვითარებამ ქალაქების შედარებითი სისუსტე განაპირობა. ვიკინგთა ლაშქრობებს დროს სავაჭრო ცენტრების მნიშვნელობა დაქვეითდა, დაეცა. მარილის გამოხდას, მეტალურგიას, ქსოვას, ძირითადად, გლეხები ეწეოდნენ. ქალაქის ხელოსნები მცირერიცხოვანი იყვნენ. საშინაო ვაჭრობა სუსტად იყო განვითარებული. ფული სოფლად იშვიათობას წარმოადგენდა; გაცვლა-გამოცვლა ნატურით ხდებოდა. გაცვლის საშუალებები იყო: პირუტყვი, შინნაქსოვი მაუდი და სხვა საქონელი.

XII-XIII საუკუნეებში ხელოსნობა და ვაჭრობა ერთგვარად გამოცოცხლდა. განსაკუთრებით, საგარეო ვაჭრობა გაფართოვდა. გაჰქონდათ თევზი, ბეწვეული, ტყავი. ქალაქი ბერგენი ნორვეგიაში, ქ. ვისბიუ კუნძულ გოტლანდზე და სკონის ყოველწლიური ბაზრობები ჩრდილოეთ ევროპის ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

შვედეთისა და დანიის მთელმა რიგმა ქალაქებმა მიიღეს სამეფო ქარტიები, რომლებიც მათ გერმანული (მაგდენბურგის) საქალაქო უფლებების მსგავსად, ნაწილობრივ თვითმმართველობის უფლებას ანიჭებდა. ამ დროს დაწინაურდა სტოკჰოლმი, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაზე ქალაქები გავლენას ვერ ახდენდნენ.

XIII საუკუნის ბოლოდან და XIV საუკუნეში სკანდინავიის ვაჭრობაში სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს ჰანზის, უმთავრესად ლიუბეკისა და როსტოკის ვაჭრები იკავებენ, მათ ხელშია მთელი ვაჭრობა. შვედეთისა და ნორვეგიის მეფეები გერმანელ ვაჭრებსა და მევახშეებს, ვისგანაც დიდ სესხებს იღებდნენ, ფართო პრივილეგიებსაც ანიჭებდნენ; შვედეთის მსხვილი ქალაქების მუნიციპალური საბჭოების წევრთა ნახევარი გერმანელებისაგან შედგებოდა. ასევე იყო ბერგენსა და დანიის სხვა პორტებში.

სკანდინავიის ეკონომიკურ ცხოვრებაში გერმანელი ვაჭრებისა და ხელოსნების შეჭრა, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა მეურნეობის ზოგიერთი დარგების, მაგალითად, მეცხოველეობის, სამთო საქმისა და მეთევზეობის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განვითარებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამუხრუჭებდა ბიურგერობის განვითარებას (განსაკუთრებით ნორვეგიაში).

პოლიტიკური ბრძოლა XIII-XIV საუკუნეებში. სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის პოლიტიკა სკანდინავიის ქვეყნებში მთლიანობაში წარუმატებელი იყო. ფეოდალთა დამოუკიდებლობის ზრდამ, განუწყვეტელმა შინაბრძოლებმა და კონფლიქტებმა მეზობელ სახელმწიფოებთან სამეფო ხელისუფლებას ვერ მოუტანა სიკეთე.

ბრძოლები დანიაში დაძაბულად მიმდინარეობდა. 1282 წელს მეფე ერიკ კიპლინგმა ხელი მოაწერა ქარტიას, რომლის თანახმად ყოველ წელს მაგნატებისაგან შემდგარი საერო საბჭო – დანეხოფი უნდა მოეწვია და ფეოდალების უფლებები და პრივილეგიები დაეცვა. შემდგომში ერიკი შეეცადა ამ ქარტიის დარღვევას, მაგრამ 1285 წელს ნადირობისას შეთქმულებმა იგი მოკლეს. შინაბრძოლები კიდევ უფრო გამძაფრდა. 1320 წელს სამეფო ხელისუფლებამ სახელმწიფო მმართველობაზე საერთოდ დაკარგა კონტროლი. მეფეს ზავის დადების, ომის გამოცხადების, გადასახადების აკრეფისა და თვითნებურად დასჯის უფლება არ ჰქონდა. ფეოდალებმა გლეხების გასამართლების უფლება მიიღეს, მათ შეეძლოთ მეფეს საზღვარგარეთ ლაშქრობისას არ გაჰყოლოდნენ. დანიის საერთაშორისო მნიშვნელობა დაეცა.

ასევე იყო შვედეთში, სადაც XIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის სამეფო ხელისუფლების სისუსტისა და შინაომების პირობებში თავისი მნიშვნელობა დაკარგა საოლქო კრებებმა, რომლებსაც თავისუფალი მოსახლეობა იწვევდა. ფეოდალებისა და სამღვდელოების მნიშვნელობა გაიზარდა. 1284 წლიდან საერო ფეოდალებისა და ეპისკოპოსებისაგან შემდგარი საბჭოს – რიკსროლის მოწვევა დაიწყო. ამან ფეოდალური დიდკაცობა გააძლიერა. საერო და სასულიერო დიდებულები გადასახადებს არ იხდიდნენ, თავიანთი სასამართლო გააჩნდათ და მეომარი რაზმები ჰყავდათ. 1319 წელს მეამბოხე ფეოდალებმა შვედეთიდან მეფე განდევნეს და ტახტზე ნორვეგიის მცირეწლოვანი მეფე მაგნუს ერიკსონი აიყვანეს. ფაქტობრივად, ამით შვედეთ-ნორვეგიისა პერსონალური უნია შეიქმნა. მაგნუსი, მიუხედავად იმისა, რომ შვედეთის, ნორვეგიისა და სკონიის მეფეების ტიტულს ატარებდა, უძლური მეფე იყო. თუმცა მის დროს შეიქმნა სრულიად შვედეთის კანონების კრებული, რომელმაც შეცვალა ადათობრივი სამართალი.

შვედეთ-ნორვეგიის პირადმა უნიამ 1319 წლიდან 1363 წლამდე იარსება, იქამდე, ვიდრე ეს შვედეთის ფეოდალებისათვის იყო ხელსაყრელი. მეფე მაგნუსის მიერ სამეფო ხელისუფლების განმტკიცების ცდამ წარმოშვა მსხვილი მაგნატების ოპოზიცია, რომელმაც იგი ტახტიდან ჩამოაგდო და გერმანელი ჰერცოგი ალბრეხტ მეკლენბურგელი გაამეფა. გერმანელების გავლენა შვედეთზე კიდევ უფრო გაიზარდა.

XIV საუკუნეში სკანდინავიის ქვეყნებში რეალური ძალაუფლება მსხვილ ფეოდალთა ხელში იყო. ბევრ მათგანს სამფლობელოები, არა მარტო თავიანთ, არამედ სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა. მათი ფისკალური პრივილეგიები ფართოვდებოდა, ხოლო დამოკიდებულ გლეხთა რიცხვი იზრდებოდა.

XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან გლეხთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. გლეხი იტანჯებოდა მიწათმფლობელთა ექსპლოატაციით, სახელმწიფო ვალდებულებებითა და გადასახადებით, ომებითა და შინაბრძოლებით. სოფლის მეურნეობაში მოდუნება შეინიშნებოდა, ხალხი აქა-იქ სახნავ მიწებსაც ტოვებდა. „შავმა ჭირმა“ სამეურნეო დაცემა კიდევ უფრო გააღრმავა. „შავი ჭირის“ შედეგები ნორვეგიისთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. მუშახელის ნაკლებობამ მიწათმოქმედების მკვეთრი შემცირება და მესაქონლეების ხვედრითი წილის ზრდა გამოიწვია.

ვალდემარ IV. წარჩინებულებზე გამარჯვება. 1332-1340 წლებში დანიაში უმეფობის ხანა იყო, ამ დროს თითქმის მთელი დანია შვედეთის, ჰანზის ქალაქების, შლეზვიგის ჰერცოგებისა და გოლშტაინის გრაფების მიერ იყო დაპყრობილი. უმეფობა ვალდემარ IV ატერდაგის (1340-1375) ტახტზე ასვლით დამთავრდა. ეკლესიისა და რაინდობის დახმარებით მან სამეფო ხელისუფლება განამტკიცა. თავდაპირველად ვალდემარმა ჩრდილოეთ იუტლანდია დაიბრუნა, შემდეგ, კი, მთელ დანიაზე განავრცო თავისი ძალაუფლება და დანია ბალტიის ზღვაზე მნიშვნელოვან ძალად გადაიქცა. ვალდემარმა ქვეყნის შიგნითაც გარდაქმნები ჩაატარა. გარდაქმნა ჯარი, ფეოდალური ლაშქრის გარდა იგი ქალაქებიდან მოითხოვდა გემებსა და ხალხს. გლეხებისაგან მშვილდოსანთა რაზმები შექმნა და აშენებდა ციხესიმაგრეებს. მაგრამ წარჩინებულთა ნაწილი სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით უკმაყოფილო იყო. ვალდემარმა შეძლო მათი დამარცხება და მათთვის ჩამორთმეული მიწებით სამეფო დომენი გაზარდა. 1361 წელს ვალდემარმა ჩრდილოეთ გერმანიის ჰანზის ბატონობასა და პრივილეგიებზე მიიტანა იერიში. კუნძულ გონტლანდზე მან ქალაქი ვისბიუ აიღო და დიდი ნადავლი იგდო ხელში. ეს ქალაქი ბალტიის ზღვაზე უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი იყო. დანიის წინააღმდეგ ჰანზის 60 ქალაქი გაერთიანდა, მათ მხარი დაუჭირა აჯანყებულმა დანიის დიდკაცობამაც. ბრძოლა 1367 წლიდან 1370 წლამდე გაგრძელდა. მოკავშირეებმა დანია სასტიკად დაამარცხეს და 1370 წელს შტრალზუნდში ზავის დადება აიძულეს. მეფემ ჰანზის ყველა პრივილეგიები ცნო და მათ მთელი რიგი გამაგრებული პუნქტები გადასცა. გერმანელი ვაჭრების პრივილეგიები ნორვეგიამაც ცნო.

კალმარის უნია, შვედეთისა და ნორვეგიის დამორჩილება დანიის მიერ. შვედეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ვალდემარის პოლიტიკა მისმა ქალიშვილმა მარგარიტამ განაგრძო. იგი ნორვეგიის მეფის ჰაკონ VI-ს ცოლი იყო. მარგარიტამ დანიის ტახტზე აიყვანა თავისი შვილი ოლაფი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც მამის, ჰაკონის გარდაცვალების შემდეგ ნორვეგიის მეფე გახდა. დანიისა და ნორვეგიის მცირეწლოვანი მეფე ოლაფის რეგენტი მარგარიტა იყო. 1387 წელს ოლაფის გარდაცვალების შემდეგ იგი დანიისა და ნორვეგიის მეფე გახდა. მარგარიტამ ისარგებლა მიმდინარე შიდაბრძოლებით და შვედეთის ფეოდალთა ერთი ნაწილის დახმარებით შვედეთის მმართველიც გახდა. ამ სახელმწიფოების პოლიტიკური კავშირი, რომელიც დინასტიური უნიის ფორმით შეიქმნა, ეთნიკური ერთობის, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მსგავსების საფუძველზე გახდა შესაძლებელი. 1397 წელს სამი სამეფოს წარმომადგენელთა კრებაზე დანიის, შვედეთისა და ნორვეგიის მეფედ მარგარიტას დისშვილი ერიკი (პომერიელი) აირჩიეს. მაგრამ ამ ვეებერთელა სახელმწიფოს სიკვდილამდე (1412) მარგარიტა მართავდა. კალმარის კრებამ, მეფის არჩევასთან ერთად, საუკუნის უნიის აქტიც შეიმუშავა. სამივე სახელმწიფოს ერთი მეფე უნდა ყოლოდა, მაგრამ ყოველი ქვეყანა თავის კანონებს ინარჩუნებდა. საუკუნო უნიას, ფაქტობრივად, პირადი უნიის ხასიათი ჰქონდა. სამ სახელმწიფოს შორის არსებული წინააღდეგობა დაძლეული არ იყო. ისინი ვერ გათანაბრდნენ. უნია ეკონომიკურად ყველაზე უფრო ხელსაყრელი დაწინაურებული დანიისათვის აღმოჩნდა. ყველაზე არახელსაყრელი პირობები ნორვეგიას შეექმნა. მარგარიტა შვედეთსა და ნორვეგიაში თავის ერთგულ დანიელ და გერმანელ მომხრეებს უხვად ურიგებდა მიწებს. ერთდროულად სამეფო დომენს აფართოებდა. გადასახადებისაგან გათავისუფლებული მსხვილ მიწათმფლობელთა რაოდენობა იზრდებოდა. კალმარის უნია მსხვილი ფეოდალების გაძლიერებას უწყობდა ხელს მაგრამ, პირველ ხანებში, მან სამეფო ხელისუფლება გააძლიერა.

1410 წელს მარგარიტამ შლეზვიგის ფლობისათვის დაიწყო ომი გოლშტაინის გრაფების წინააღმდეგ, რომლებიც ერთდროულად შლეზვიგის ჰერცოგებიც იყვნენ. მარგარიტას სიკვდილის შემდეგ (1450) ერიკმა ეს ომი განაგრძო. მან დანიასთან ჰანზის ვაჭრობა აკრძალა, ზუნდის სრუტეზე ბალტიის ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვაში გამავალ გემებს მაღალი ბაჟები დაუწესა. ეს ბაჟი სახელმწიფო შემოსავლის დიდ ნაწილს წარმოადგენდა. დანიისათვის ეს ომი დამარცხებით დამთავრდა. დანიამ შლეზვიგის დაპყრობაზე უარი თქვა და ჰანზას ყველა პრივილეგია დაუბრუნა.

დანიის მეფეების პოლიტიკამ ნორვეგიასა და განსაკუთრებით, შვედეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შვედეთში, დანიის მსგავსად, გაძლიერდა გლეხების ფეოდალზე დამოკიდებულება, გაიზარდა ბეგარა, მსხვილი მამულების რიცხვი და გადიდდა გადასახადები, რაც ამ ქვეყნებში სხვადასხვა ფენის უკმაყოფილებას იწვევდა. ყველაზე ძლიერი ოპოზიცია შვედეთში იყო. სტოკჰოლმის ვაჭრები და განსაკუთრებით დალეკარდიის მემაღაროელები (დალეკარდიაში ევროპის ყველაზე მდიდარი ვერცხლისა და რკინის საბადოები მოიპოვებოდა) უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

აჯანყება დაიწყო. აჯანყებულები გადასახადების შემცირებასა და დან-იელთა და გერმანელთა ბატონობის ალაგმვას მოითხოვდნენ. აჯანყებას სათავეში ედგა მაღაროს მფლობელი ენგელბრეკად ენგელბრეკტსონი, რომელიც დაბალი რაინდული წრიდან იყო გამოსული. ამ მოძრაობას ზოგიერთი ფეოდალიც შეუერთდა. მოწვეულ იქნა წოდებრივ-წარმომადგენლობითი კრება, რომელშიც საერო და სამღვდელოების დიდკაცობის გარდა, ბიურგერებისა და ბონდების წარმომადგენლებიც შევიდნენ. კრებამ ერიკის შვედეთის ტახტიდან გადაყენება მოითხოვა. ასე შეიქმნა შვედეთის წოდებრივი წარმომადგენლობა – რიკსდაგი, რომელიც საბოლოოდ XV საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბდა. 1436 წელს „სახელმწიფოს ბელადად“ არჩეული ენგელბრეკტი ვერაგულად მოკლეს და გლეხთა აჯანყება ჩაახშეს. ამ ამბებმა შვედეთსა და დანიაში გერმანელების ბატონობა მნიშვნელოვნად შეარყია. კალმარის უნია, ფაქტობრივად, დაიშალა. მისი აღდგენის ცდა იყო, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ, კალმარის უნიის დაშლა 1523 წელს გაფორმდა შვედეთის უნიიდან გამოსვლით. დანია-ნორვეგიის უნია 1814 წლამდე არსებობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XXI

უნგრეთი და რუმინეთი XI-XV საუკუნეებში

უნგრეთის სამეფო XV საუკუნემდე. უნგრელები განეკუთვნებიან ე. წ. უნგრო-ფინური მოდგმის ხალხს და მათი თავდაპირველი საცხოვრისი, მეცნიერთა ვარაუდით, უნდა ყოფილიყო მდ. ვოლგის სათავეების, ბელაიასა და კამის აუზში. ხალხთა დიდი გადასახლებების გვიანდელ პერიოდში უნგრელთა ტომები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩნდნენ და თურქული მოდგმის ტომების დიდი გავლენა განიცადეს. მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ თურქულენოვან ხალხებისაგან ეწოდათ მათ უნგრელები („ონოგურ“), საკუთარ თავს ისინი მადიარებს უწოდებდნენ. X საუკუნისათვის უნგრელთა ტომებმა კარპატების ვიწროები გადალახეს, მორავთა ტომების ნაწილი გაანადგურეს, ნაწილი დაიმორჩილეს და მათ ტერიტორიას დაეპატრონენ. სწორედ აქედან დაიწყო უნგრელთა განუწყვეტელი თარეში დასავლეთ ევროპაში. უნგრელთა ცხენოსანი რაზმები გამანადგურებელ თავდასხმებს აწყობდნენ გერმანიაზე, საფრანგეთზე, იტალიასა და სამხრეთის მეზობლებზე. ისინი მთელ ევროპას შიშის ზარს სცემდნენ. მხოლოდ გერმანიის მეფემ, ოტო I-მა დაუდო ზღვარი მათ თარეშს, როცა 955 წელს მდინარე ლეხის (ვენასთან) ნაპირებზე სასტიკად გაანადგურა უნგრელები.

მომთაბარე უნგრელები თანდათანობით მკვიდრ, სამიწათმოქმედო ცხოვრებაზე გადავიდნენ. დაიწყო გვაროვნულ-თემური ურთიერთობების თანდათანობითი რღვევა. ამ პროცესს თან ახლდა გვაროვნული არისტოკრატიის წარმოშობა, რომლებიც არა მარტო მსხვილი მიწათმფლობელები გახდნენ, არამედ მნიშვნელოვანი იურიდიული უფლებებიც მიიღეს. კლასებისა და სახელმწიფოების წარმოშობის პროცესში, X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნგრელ არისტოკრატიაში დაწინაურდა არპადების საგვარეულო, რომლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, იშტვან (სტეფან) I-მა (997-1038) მეფის ტიტულიც მიიღო (1000). იშტვან I თანდათანობით აძლიერებდა თავის ხელისუფლებას და ამ საქმეში ის ეყრდნობოდა როგორც მიწათმფლობელ არისტოკრატიას, ისე მზარდ მსახურეულ დიდკაცობას. მეფე და მასთან დაახლოებული დიდკაცობა ძალდატანებით იტაცებდა სათემო მიწებს. მთელი ტერიტორია დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ოლქებად, კომიტატებად, რომელთა სათავეში იდგა სამეფო მოხელე იშპანი. კომიტატის იშპანად, როგორც წესი, გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ.

უნგრელებში თემური წყობილების რღვევა და მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნის პროცესი, იშტვან არპადის მეფობისას სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ამ პროცესს კიდევ უფრო აჩქარებდა უნგრელთა მოქცევა ქრისტიანობაზე. იშტვან არპადი სიამოვნებით იღებდა გერმანელ ეპისკოპოსებსა და მრჩევლებს. შემთხვევით როდი იყო იშტვანისათვის კათოლიკური ეკ-

ლესიისაგან „წმინდანის“ სახელის მინიჭება. გარდა ამისა, იგი გერმანელ რაინდებს მიწებს ურიგებდა და ცდილობდა მათი სახით საიმედო მოკავშირე შეექმნა. ფეოდალიზაციის შეუქცევადი პროცესი იშტვან I-ის მემკვიდრეების დროს კიდევ უფრო აქტიური გახდა. ამის პარალელურად, XII საუკუნის დამდეგიდან იწყება უნგრელთა მიერ მეზობელი ტერიტორიების დაპყრობა. არპადებმა დაიმორჩილეს ტრანსილვანიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხორვატია და დალმაცია, რის გამოც წარმოიშვა სერიოზული კონფლიქტი ვენეციასთან. ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას სტიმულს აძლევდა მდინარე დუნაიზე გამავალი სავაჭრო გზა. ამ გზით ხორციელდებოდა სავაჭრო ურთიერთობები აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის.

მსხვილი მიწათმფლობელობის ჩამოყალიბებასთან ერთად, იზრდებოდა მათი პრივილეგიებიც, განსაკუთრებით საეკლესიო მიწების მფლობელთა. იშპანთა ფენამ საკომიტატო მიწები სამემკვიდრეოდ გაიხადა. ყოველივე ამან ცენტრალური ხელისუფლების თანდათანობით შესუსტება გამოიწვია. უნგრელი ფეოდალების მზარდი მოთხოვნების შედეგი იყო მეფე ანდრაშ II-ის მიერ 1222 წელს გამოცემული „ოქროს ბულა“. ამ საკანონმდებლო კრებულით უნგრელ თავადაზნაურობას უდიდეს უფლებებს ანიჭებდა. მეფის მიერ ადრე ნაწყალობევი მიწები სამემკვიდრეო საკუთრებად ეძლეოდათ. უნდა მოწვეულიყო ყოველწლიური სეიმი (საბჭო, კრება), რომელშიაც წარმოდგენილი იქნებოდნენ მხოლოდ მსხვილი ფეოდალები. კომიტატებში სამეფო მოხელეები აღარ უნდა დანიშნულიყო. აქ ყველა საკითხს ადგილობრივი, თავადაზნაურული, ე. წ. „დიდკაცთა გაერთიანება“ გადაწყვეტდა. ამასთან ერთად, „ოქროს ბულას“ მიხედვით თავადაზნაურობას უფლება ეძლეოდა მეფის წინაშე ვასალური სამსახური მხოლოდ ქვეყნის შიგნით გაეწიათ. ქვეყნის გარეთ გაყვანის საჭიროებისას აუცილებელი იყო სეიმის თანხმობა. ბოლოს კი, თუ მეფე არ შეასრულებდა „ოქროს ბულას“ პირობებს, დიდებულებს უფლება ეძლეოდათ იარაღით გამოსულიყვნენ მის წინააღმდეგ.

„ოქროს ბულა“ მნიშვნელოვნად ზღუდავდა და ასუსტებდა სამეფო ხელისუფლებას, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები კერძო ფეოდალურ ინტერესებს ეწირებოდა. ყოველივე ამან იმდენად დაასუსტა უნგრეთის სამეფო, რომ მონღოლებმა XIII საუკუნის 40-იან წლებში ადვილად დაამარცხეს იგი და ქვეყანა არნახულად გაანადგურეს, მართალია, მონღოლთა თარეში უნგრეთის ტერიტორიაზე დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ უაღრესად გამანადგურებელი შედეგები ჰქონდა. ამას ზედ დაერთო გაუთავებელი ფეოდალური შინაომები, რომლებმაც საბოლოოდ დაასუსტა არპადების სამეფო დინასტია და XIV საუკუნის დამდეგს იგი ანჟუელთა დინასტიით შეიცვალა.

უნგრეთის ტახტისათვის თითქმის ათწლიანი ომი დამთავრდა 1310 წელს, ანჟუელთა დინასტიის წარმომადგენლის კარლოს რობერტის გამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვებით. ანჟუელთა დინასტიის გაბატონებით დაიწყო გერმანული კოლონიზაციის ახალი ეტაპი. ახალი მეფე უნგრეთში იწვევდა გერმანელ რაინდებს, განსაკუთრებით კი მემაღაროელებს საქსონიიდან და ბავარიიდან. მათი დახმარებით დაიწყო ოქროსა და ვერცხლის მნიშვნელოვანი საბადოების დამუშავება, რამაც საგრძნობლად შეავსო სამეფო ხაზინა. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას წინ აღუდგნენ წარჩინებული ფეოდალები, რომლებიც არ თმობდნენ „ოქროს ბულით“ ნაბოძებ პრივილეგიებს. მეფე ლაიოშ I (1342-1382) მათ წინააღმდეგ მარჯვედ იყენებდა მზარდი ქალაქებისა და საშუალო და წვრილი აზნაურობის მხარდაჭერას. სამეფო ხელისუფლება იშვიათად იწვევდა სეიმებს. ამის ნაცვლად მნიშვნელოვნად გაიზარდა სამეფო საბჭოს როლი, რომელშიაც უმთავრესად საეკლესიო პირები შედიოდნენ. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების დასტური იყო 1351 წლის „განსაკუთრებული დეკრეტი“, რომელიც აიძულებდა თავადაზნაურობას ეცნოთ მეფის უზენაესი ძალაუფლება, სამაგიეროდ ისინი მეფის ხელისუფლებისაგან იღებდნენ მხარდაჭერის გარანტიებს გლეხთა ამბოხებების წინააღმდეგ ბრძოლასა და მათ დაყმევებაში. ლაიოშ I ხელს უწყობდა აგრეთვე საქალაქო ცხოვრების განვითარებას. მის დროს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრებად იქცნენ ქალაქები კაშაუ, კრანშტადტი, პეშტი, ბუდა და სხვა.

1382 წელს გარდაიცვალა ლაიოშ I, ამით ანჟუელთა დინასტიის ბატონობა დასრულდა. ტახტი ხელში ჩაიგდო სიგიზმუნდ ლუქსემბურგელმა, რომელიც მალე გერმანიის იმპერატორიც გახდა. სწორედ ამ დროიდან იწყება თურქ-ოსმალთა მოძალება უნგრეთზე. ახალმა მეფემ მოწოდებით მიმართა ევროპელ რაინდებს, ერთობლივი ძალით გამოსულიყვნენ თურქთა წინააღმდეგ. მართლაც, დასავლეთევროპელი რაინდები და უნგრელთა ჯარები 1396 წელს, ბულგარეთში, ნიკოპოლთან ახლოს, შეებნენ თურქებს. ოსმალებმა, სულთან ბაიაზიდ I-ის მეთაურობით, სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგენი, თუმცა მაშინ უშუალოდ უნგრეთში არ შეჭრილან.

სიგიზმუნდის გარდაცვალების შემდეგ (1437) უნგრეთში კვლავ დაიწყო ტახტისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში საბოლოოდ გაიმარჯვა თურქებთან ბრძოლებში სახელმოხვეჭილმა სარდალმა იანოშ ჰუნიადმა, რომელმაც თავისი ვაჟი, მათიაშ კორვინი, გაამეფა (1458-1490). მისი გამეფებით იწყება უნგრეთის ხელახალი გაძლიერება. მათიაშ კორვინის დასაყრდენი, ისევე როგორც ადრე ლაიოშ I-სა, იყვნენ საშუალო და წვრილი თავადაზნაურობა და ქალაქები. სეიმებზე უკვე მოქალაქეთა წარმომადგენლებსაც იწვევდნენ. საშინაო პრობლემების მოგვარების შემდეგ მათიაშ კორვინი აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადავიდა. ჩეხებს სამხრეთის მიწები წაართვა, ჰაბსურგებს კი ავსტრია. უნგრელთა ეს გაძლიერება უკანასკნელი აღმოჩნდა. მათიაშ კორვინის გარდაცვალების შემდეგ კვლავ ატყდა ტახტისათვის სასტიკი შინაომები.

ვლახეთი და მოლდავეთი XV საუკუნემდე. თანამედროვე რუმინეთის ტერიტორია, რომელზედაც ორი უძველესი სამთავრო ვლახეთი და ტრანსილვანია აღმოცენდა, ახ.წ.აღ-ით I საუკუნეებიდან დასახლებული იყო თრაკიული მოდგმის ტომებით გეტებითა და დაკებით. I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისში ეს ტერიტორია რომაელებმა დაიპყრეს (ტრაიანეს იმპერატორობის პერიოდში) და აქ შექმნეს რომაული პროვინცია — დაკია. ამავე პერიოდში იწყება ადგილობრივი ტომების რომანიზაცია და ამის პარალელურად რომაელთა ჩასახლებაც. ლათინური ენა, რომაული ადათ-წესები და რელიგია მტკიცედ იკიდებდა ფეხს დაკებში. III საუკუნის მეორე ნახევრიდან (274) რომაელები თანდათან ტოვებენ დაკიას და ეს ტერიტორიები ხანგრძლივი დროით ძველ გერმანული და სლავური ტომების თარეშისა და ჩასახლების ადგილი ხდება. ამ ტომებთან ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად IX-X საუკუნეებისათვის ჩამოყალიბდა ფაქტობრივად ახალი ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც ბერძნულ-რომაულ მატიანეებში „ვლახებად", ხოლო ძველ სლავურ ნაწერებში „ვოლოხებად" იწოდებიან. მიუხედავად ძველი გერმანელი და სლავური ელემენტების საგრძნობი გავლენისა, ვლახებმა მნიშვნელოვნად შეინარჩუნეს რომანიზაციის ნიშნებიც. X საუკუნიდან აშკარად გამოიკვეთა ორი მონათესავე ეთნიკური ჯგუფის, ვლახებისა და მათგან უფრო აღმოსავლეთით მცხოვრები მოლდავების პოლიტიკური გაერთიანებების, სამთავროების წარმოშობის პროცესი.

ვლახ-მოლდავთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. ამის პარალელურად XIII-XV საუკუნეებიდან ვითარდება ხელოსნობა, განსაკუთრებით ლითონდამამუშავებელი საქმე (კარპატისპირეთში). ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ვლახეთ-ტრანსილვანია მდებარეობდა ბიზანტიისა და ცენტრალური ევროპისაკენ მომავალ მნიშვნელოვან სავაჭრო გზების გადაკვეთაზე.

XIII საუკუნეში იწყება მნიშვნელოვანი დაწინაურება ისეთი ეკონომიკური ცენტრებისა, როგორებიც იყო კომპულუნგი, კურტია, სირეტი, სუჩავა და სხვ.

სოფლად ჯერ კიდევ მტკიცედ იყო შემორჩენილი თემი, რომელშიც ზოგჯერ რამდენიმე სოფელი ერთიანდებოდა. მათ გარდა საკომლო სახნავსათესი ნაკვეთისა, გააჩნდათ საერთო სარგებლობის სავარგულებიც: ტყე, საძოვარი და სხვ. სათემო კრებაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ უხუცესნი და ე. წ. „კნეზები", ბელადები, რომელთაც სამხედრო საქმის ორგანიზება ევალებოდათ.

XIII-XIV საუკუნეებში ყალიბდება ადრეული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები — სამთავროები და საფეოდალოები. ამ პოლიტიკური გაერთიანებების ჩამოყალიბება უაღრესად რთულ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში ხდებოდა: ვლახთა სამთავროებს ბრძოლა უხდებოდათ ჩრდილოეთიდან უნგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელთა, ხოლო აღმოსავლეთიდან თათარ-მონღოლთა მოძალებასთან. XIV საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთმა მთავარმა, ბასარაბმა, შეძლო თავისი ძალაუფლების ქვეშ გაეერთიანებინა ვლახეთისა და კარპატისპირეთის მნიშვნელოვანი მიწები. მისი სახელმწიფოს ცენტრი ქ. კურტია გახდა. ბასარაბმა შეძლო არა მარტო თათართა მოგერიება, არამედ 1330 წელს დაამარცხა უნგრეთის მეფის, კარლოს რობერტის (ანჟუელთა დინასტიიდან) ჯარები და სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია.

XIV საუკუნის შუა ხანებშივე, ვლახთა მეზობლად, აღმოსავლეთ კარპატისპირეთში წარმოიშვა მოლდავეთის სამთავროც (მეცნიერთა ვარაუდით, სახელი მდინარე მოლდოვადან წარმოიშვა). ვლახეთისა და მოლდავეთის სამთავროების დამოუკიდებელ განვითარებას აფერხებდა უნგრეთის მეფეთა ინტენსიური თავდასხმები, რომელსაც XIV საუკუნის ბოლოდან თურქ-ოსმალთა საფრთხეც დაემატა.

თურქ-ოსმალებმა, რომლებმაც XIV საუკუნის ბოლო პერიოდისათვის საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს ბალკანეთში, საფრთხე შეუქმნეს ვლახეთ-ტრანსილვანიასაც. ეს აიძულებდა მთავარ მირჩო, მოხუცად წოდებულს (1386-1418), დროებით მაინც მოეწესრიგებინა ურთიერთობები მოლდოვეთის მთავარ პეტრე მუშატთან. მირჩო მოხუცის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ანტიოსმალურ კოალიციაში ჩააბა პოლონეთის მეფე ვლადისლავ იაგელონჩიკი. ამასთან ერთად, იგი ამაგრებდა სამხრეთის საზღვრებს და პარალელურად ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ მომძლავრებას. 1394 წელს მირჩო მოხუცის მეთაურობით, ვლასებმა და მოლდავებმა, დაამარცხეს თურქები როვინთან, თუმცა მოგვიანებით, 1415 წელს, მან მაინც იკისრა ხარკი ოსმალებისადმი. 1418 წლიდან, მირჩო მოხუცის გარდაცვალებისთანავე, დიდებულთა დაჯგუფებებს შორის დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ამ შინაომებში გაიმარჯვა ვლად ცეპეშმა (1456-1462), რომელსაც უნგრეთის მეფე იანოშ ჰუნაიდიც ეხმარებოდა. ცეპეში სასტიკად გაუსწორდა მოწინააღმდეგეებს, რის გამოც მას „ძელზეგამსმელი" უწოდეს. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ მეჰმედ II-ს ვლახეთში შემოჭრისთანავე, ბოიართა ერთი ნაწილი სულთნის მხარეზე გადავიდა, ვლადი დაამხეს და მთავრად მისი ძმა და მეტოქე, თურქთა მორჩილი, რადუ ლამაზად წოდებული დასვეს (1462-1476). ეს უკანასკნელი იძულებული იყო პირადად მიერთმია სულთნისათვის ყოველწლიური ხარკი. შინააშლილობამ და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტემ, ვლახეთ-ტრანსილვანია ხანგრძლივი დროით თურქთა ვასალად აქცია. ამიერიდან სულთანი ამტკიცებდა ვლახეთის მთავარს, რომელსაც არა მარტო ყოველწლიური ხარკი უნდა ეხადა, არამედ ევალებოდა თურქთა დასახმარებლად ჯარის გამოყვანაც.

ვლახეთში გაბატონების შემდეგ თურქეთმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა მოლდოვის სამთვაროსაც. ამ პერიოდის მოლდოვის მთავრები ლაცკუ (1365-1374) და პეტრე I მუშატი (1374-1392) ცდილობდნენ ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლების გაძლიერებას, და, ამავე დროს, უნგრეთსა და პოლონეთში ეძებდნენ თურქთა წინააღმდეგ მხარდაჭერას. მათი მეცადინეობითა და მემკვიდრის, ალექსანდრე კეთილის (1400-1432) გონივრული პოლიტიკით, მოლდოვის სამთავრომ დროებით თავიდან აიცილა თურქთა საფრთხე. ალექსანდრე კეთილის გარდაცვალების შემდეგ მოლდოვაში შინააშლილობა დაიწყო. ამასობაში თურქებმა კონსტანტინოპოლიც აიღეს და ბალკანეთშიც პოზიციები საბოლოოდ განიმტკიცეს. მეჰმედ II-მ განაახლა ექსპანსია და მოლდოვას მთავარი პეტრე III არონი 1455 წელს იძულებული გახდა ოსმალთა წინაშე ხარკი ეკისრა.

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში, მოლდოვაში კვლავ რთული პოლიტიკური ვითარება იყო. პეტრე არონი მოწინააღმდეგე დაჯგუფების მეთაურმა სტეფან III დიდმა დაამხო და თვითონ მიიტაცა მთავრის ტახტი (1457-1504). ამის შემდეგ იწყება ხანგრძლივი შინაომები სტეფან III-ს, პეტრე არონისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. ეს აიძულებდა სტეფან III-ს დახმარება ხან უნგრეთის მეფესთან, ხან კი პოლონეთის მეფესთან ეძებნა. ამ მიზნით ის მოსკოვის დიდ მთავარს ივანე III-ს დაუმოყვრდა (ქალიშვილი მიათხოვა ივანე III-ს ვაჟს). ამ მოქნილი პოლიტიკის წყალობით სტეფან დიდი ახერხებდა დროებით მაინც შეენარჩუნებინა მოლდოვას დამოუკიდებლობა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეები იძულებულნი იყვნენ თურქეთის სულთნის ვასალებად ეცნოთ თავი.

მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა ვლასურ-მოლდავური სულიერი კულტურის ფორმირება. როგორც აღვნიშნეთ, ვლახეთ-ტრანსილვანიამ გაცილებით მეტი რომანიზაცია განიცადეს, ვიდრე აღმოსავლეთით მოლდოვამ. ამავე დროს, ვლახურ (რუმინულ) კულტურის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა სლავურმა და ბიზანტიურმა ელემენტებმა. ქრისტიანული სარწმუნოება აქ ბიზანტიიდან და შემდეგ სლავური ოლქებიდან ვრცელდებოდა. ადრეულ ეპოქაში ვლახეთის დიდი ნაწილი ბულგართა საეპისკოპოსოში (სამიტროპოლიტოში) შედიოდა, ხოლო მოლდოვის, გალიჩის საეპისკოპოში. აქედან გავრცელდა სლავური დამწერლობაც. ეს კი ხელს უწყობდა სლავური საღვთისმეტყველო თუ საერო ხასიათის ლიტერატურის გავლენას ვლახეთ-მოლდოვაში. ითარგმნებოდა ოთხთავნი (სახარება), წმინდა მამათა ნაწერები და ცხოვრებანი. XIII-XV საუკუნეებში ვლახეთ-მოლდოვაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბიზანტიიდან (ბერძნულიდან) თარგმნილი საეკლესიო საგალობლების კრებული და ე. წ. „წესდებანი", რომელიც წარმოადგენდა საეკლესიო და საერო სამართლის დებულებათა თავისებურ ნაზავს. ეს „წესდებანი" ფართოდ გამოიყენებოდა ვლახურ ფეოდალურ საზოგადოებაში. საკუთრივ ვლახურ-მოლდოვური ორიგინალური სასულიერო თუ საერო მწერლობას საფუძველი უფრო გვიან, XVI-XVII საუკუნიდან ეყრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XXII

ეკლესია XI-XV საუკუნეებში

ბერმონაზვნური მოძრაობა X საუკუნესა და XI საუკუნის I ნახევარში. რომის ეკლესიის ავტორიტეტი X საუკუნესა და XI საუკუნის დამდეგს ძლიერ დაეცა, რის მიზეზსაც წარმოადგენდა, ერთი მხრივ, იტალიისა და გერმანიის ხელისუფალთა ჩარევა ეკლესიის საშინაო საქმეებში, მეორეს მხრივ, თვით პაპების პიროვნულ ღირსებათა უკმარისობა წმ. პეტრეს ტახტის მფლობელობისათვის.

XI საუკუნის I ნახევარში პაპის ტახტზე განსაკუთრებული გავლენა მოიპოვეს გერმანიის იმპერატორებმა. ისინი პაპებს თავიანთი შეხედულებებისამებრ ადგენდნენ. თავიდან პაპის ტახტზე რომის არისტოკრატიის პრო-გერმანული მიმართულების პირები აჰყავდათ: ბენედიქტე VIII (ტუსკულანის გრაფის ძე, ბენედიქტე IX იმავე საგვარეულოდან, 12 წლისა გახდა პაპი), შემდეგ კი გერმანელები, თვით იმპერატორთან დაახლოებული წრიდან.

პაპების ხელისუფლების დამცირება, მისი ავტორიტეტის დაცემა აკნინებდა რომის ეკლესიის როლს საზოგადოებაში. სამღვდელოებაში დაიწყო მოძრაობა მდგომარეობის გამოსასწორებლად, რეფორმებისათვის. განსაკუთრებით აქტიურობდა კლუნის მონაზვნობა, რომელიც, როგორც ადრე ვთქვით, 910 წლიდან იღებს სათავეს. ეკლესიის ინტერესების ფანატი, კერძოდ, ერთგული კლუნიელები იმისათვის იბრძოდნენ, რომ უზრუნველეყოთ ეკლესიის ბატონობა მთელს საზოგადოებაზე, ეს იყო თეოკრატიული იდეალი. კონკრეტულად ისინი მოითხოვდნენ ცელიბატის (უცოლობა) გავრცელებას თეთრ სამღვდელოებაზე, ხუცესებზე. კლუნიელები ცოლიან მღვდლებს „მწვალებლებს" უწოდებდნენ. ისინი ილაშქრებდნენ საერო მმართველების მიერ ეპისკოპოსთა დანიშვნის წინააღმდეგ. მეფეებსა და მთავრებს არ უნდა ჰქონოდათ საეკლესიო ქონების განმგებლობისა და საეკლესიო თანამდებობათა ბოძების უფლება (ინვესტიტურა). ამ უფლებასთან იყო დაკავშირებული სასულიერო თანამდებობებით ვაჭრობა (სიმონია). მათი აზრით, სასულიერო პირთა დანიშვნა-გადაყენება მხოლოდ სასულიერო იერარქიის მაღალი პირების საქმე იყო.

კლუნიელები უდიდეს ყურადღებას სასულიერო ხელისუფლებასა (Sacerdotium) და საერო ხელისუფლებას (imperium, regnum) შორის ურთიერთობის საკითხს უთმობდნენ. ისინი აღიარებდნენ საერო ხელისუფლებას, რადგანაც საჭიროებდნენ მფარველობას, მაგრამ, ამავდროულად, თვლიდნენ, რომ პაპებსა და ეპისკოპოსებს ისეთივე ღირსებები და პატივი გააჩნიათ, რაც მეფეებს.

განზეთქილება მსოფლიო ეკლესიაში. რომში, ჯერ კარლოს დიდისთვის, ხოლო შემდგომ გერმანელი იმპერატორებისთვის გვირგვინკურთხევა, ბიზანტიაში უკმაყოფილებას იწვევდა, რადგანაც ბიზანტიის იმპერატორები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთ თავს თვითონ უწოდებდნენ რომის იმპერატორებს და მიაჩნდათ, რომ ისინი იყვნენ რომის იმპერიის ერთადერთი მემკვიდრეები. ამ უკმაყოფილებასთან ერთად უფრო და უფრო დაიძაბა ურთიერთობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და რომის პაპებს შორის. პაპები აპროტესტებდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტიტულში მსოფლიო პატრიარქის წოდების დამატებას. პაპები დიდ მხარდაჭერას ღებულობდნენ დასავლეთ ევროპის მმართველებისაგან, რომლებიც პაპების საშუალებით ცდილობდნენ თავიანთი გავლენის არეალის გაფართოებას. IX საუკუნეში რომის ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან დიდი დაპირისპირება დაიწყო პაპების ნიკოლოზ I-სა (858-867) და მისი მემკვიდრის ადრიანე II-ის (867-872) კონფლიქტით პატრიარქ ფოტიოსთან. რომის პაპისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის ინტერესები შეეჯახნენ ასევე ბულგარეთის გაქრისტიანების გამო. ასევე, რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიების წესჩვეულებანი დაშორდნენ ერთმანეთს. ხმიადები, შაბათის მარხვა, პასექზე ალილუიას გალობა მიუღებელი იყო აღმოსავლეთის ეკლესიისათვის. მართალია, ამ დაპირისპირებაში დიდი ადგილი პოლიტიკური გავლენისათვის ბრძოლას ეკავა, მაგრამ უმთავრესი მაინც პაპიზმისა და სულიწმინდის მოფენის თაობაზე შეხედულებათა განსხვავება იყო.

ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მონომახის დროს, 1054 წელს, კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ პაპის ლეგატები, რომელთაც უნდა გაერკვიათ ამ ორ ეკლესიას შორის მიმდინარე პოლემიკისა და დავის საკითხები. მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა მიეღწია შეთანხმებისათვის. ლეგატებმა პატრიარქისაგან განცხადების მიღებას პაპის მორჩილების თაობაზე ვერ მიაღწიეს. 1054 წლის 16 ივლისს პაპის ლეგატებმა წმინდა სოფიის ტაძრის ტრაპეზზე დადეს სიგელი, რომლის მიხედვითაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი მიხეილ კერულარიოსი და ყველა მისი თანამოაზრე ეკლესიისაგან განკვეთილად იყო გამოცხადებული. 20 ივლისს, კონსტანტინოპოლში პატრიარქ მიხეილ კერულიაროსის თავმჯდომარეობით შემდგარმა კრებამ პაპის ლეგატთა ანათემის საპასუხოდ, საქვეყნოდ განკვეთა რომის პაპი. კრების გადაწყვეტილება პატრიარქის ეპისტოლეს მეშვეობით აღმოსავლეთის ყველა იერარქს შეატყობინეს. ამით დასრულდა ორი ეკლესიის გაყოფის აქტი. ეს განხეთქილება საბედისწერო აღმოჩნდა ქრისტიანული სამყაროსათვის, აღმოცენდა ორი ეკლესია — მართლმადიდებლური (აღმოსავლეთში) და რომაულ-კათოლიკური (დასავლეთში). კათოლიკურ ეკლესიაში ჩნდება აღმოსავლეთის ეკლესიისაგან განმასხვავებელი სწავლება. ეს ეხებოდა განსაკუთრებით სულიწმინდის წარმომავლობის საკითხს. მართლმადიდებლების მიერ აღიარებული სარწმუნოების სიმბოლოსაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც სულიწმინდა მხოლოდ მამისაგან გამოდის, ლათინებმა ჩაამატეს „და ძისაგან“, რითაც შეიცვალა სარწმუნოების სიმბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს დოგმატური აზრი. „და ძისაგან“ ლათინურად გამოითქმის „Filioque“ (ფილიოკვე). ეს ტერმინი მამისა და ძისგან სულიწმინდის გამომავლობის აღსანიშნავად იხმარება.

სულიწმინდის შესახებ ლათინთა სამყაროში შემუშავებული დოგმა ეწინააღმდეგებოდა ნიკეის I საეკლესიო კრების დადგენილებას, რომელმაც გამოსცა საკუთარი ოროსი – დოგმატური ტიპის ეპისტოლე.

ლათინთა მიერ მიღებული სწავლება მამისა და ძისაგან სულიწმინდის გამომავლობის შესახებ დასავლეთში აღმოცენდა. თეოლოგიები მის ფესვებს პოულობენ ნეტარი ეგუსტინეს (V ს.) თხზულებებში. ტერმინი „ფილიოკვე“ სარწმუნოების სიმბოლოში პირველად ესპანეთში VI საუკუნეში შეიტანეს, ხოლო VII საუკუნეში ფრანკებშიც გავრცელდა. ფრანგთა იმპერატორ კარლოს დიდსაც VIII საუკუნის ბოლოს ჰქონდა მცდელობა სარწმუნოების სიმბოლოში დამატების შეტანისა, მაგრამ პაპმა ლეო III-ემ (795-816) გაუწია წინააღმდეგობა. იმპერატორთა გავლენით რომის პაპმა ბენედიქტე IX-მ 1014 წელს შეიტანა დამატება სიმბოლოში. იმავე წელს ჰაინრიხ II-ის გვირგვინკურთხევაზე სიმბოლო „ფილიოკვეს“ დანამატით იგალობეს.

XI საუკუნეში დასავლეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სწავლება გარდასახვის შესახებ, ანუ ქრისტეს ხორცისა და სისხლის მონაწილეობის შესახებ ზიარების საიდუმლოს შესრულების დროს (ევქარისტიის საიდუმლო). თუ აღმოსავლეთის ეკლესია აღიარებს, რომ ქრისტეს ხორცი და სისხლი ზიარებისას მხოლოდ სულიერად არსებობს პურსა და ღვინოში, დასავლეთის ეკლესიაში პური და ღვინო გარდაისახება ქრისტეს ხორცად და სისხლად. ამ სწავლების საფუძველზე XIII საუკუნეში დამკვიდრდა განსხვავებული სახით ზიარება სამღვდელო და საერო პირებისათვის. კათოლიკები საერო პირებს მხოლოდ პურით აზიარებდნენ, ხოლო სამღვდელოება ეზიარება პურითა და ღვინით. ლათინური წესით ევქარისტია ხმიადზე (უფუვარზე) სრულდება.

კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიაში ასევე გაჩნდა განსხვავებული სწავლება საიქიო ცხოვრების შესახებ. კათოლიკური ეკლესია სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობასთან ერთად განსაწმენდელასაც (სალხინებელი) აღიარებს. იგი საიქიოში დროებითი ტანჯვის ადგილია, სადაც ადამიანები ღმერთს მიწიერი ცხოვრების ცოდვათა გამო საზღაურს მიაგებენ. ის, რაც განსაწმენდელში ხდება, იმდენად არა ცოდვებისაგან განწმენდას, რამდენადაც უფრო ღმერთისთვის ცოდვის თანამდებთა გადახდას წარმოადგენს. რომაელი-კათოლიკები „განსაწმენდელის“ შესახებ თავიანთი სწავლების დასამტკიცებლად იმოწმებენ იმას, რომ იუდა მაკაბელმა და მისმა თანამებრძოლებმა ბრძოლაში დაღუპული თანამებრძოლებისათვის ილოცეს და მათი ცოდვებისათვის გამოსასყიდი მსხვერპლი შეწირეს. მართლმადიდებლურ საეკლესიო სწავლებაში განსაწმენდელის (სალხინებელი) ცნება არ არსებობს, იგი მხოლოდ სამოთხესა და ჯოჯოხეთს აღიარებს. მართლ-

მადიდებლურ ეკლესიაში ჯოჯოხეთში მყოფთათვის ლოცვებს აღავლენენ და გამოსასყიდი მსვერპლის გაღებას შესაძლებლად მიიჩნევს იქ მყოფთა მდგომარეობის შემსუბუქების იმედით. მართლმადიდებელ ეკლესიაში სამოთხისა და ჯოჯოხეთის გარდა არსებობს გაგება საზვერეების შესახებ, მაგრამ კათოლიკური ეკლესიისაგან განსხვავებით, დოგმატური მნიშვნელობა არა აქვს. საზვერეების გავლისას ქრისტიანის სული ღმერთს რაიმე საზღაურს კი არ მიაგებს, არამედ თავისი შინაგანი თვითგამორკვევისა და მიწიერი ცხოვრების შედეგს იმკის.

მართლმადიდებელ და კათოლიკე ღვთისმეტყველთა შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სწავლებებს განსაწმენდელისა და მისგან გამომდინარე ინდულგენციათა შესახებ, ინდულგენციებისა – როგორც დამატებითი საზღაურის ერთ-ერთი ფორმისა, რომლის დახმარებითაც კათოლიკეს შეუძლია განსაწმენდელში თავი დააღწიოს სიკვდილის შემდეგდროინდელ ტანჯვას. სიტყვა „ინდულგენცია“ შემწყნარებლობას, შეწყალებასა და შებრალებას ნიშნავს, კათოლიკური ეკლესიის თანახმად, ინდულგენცია ღმრთის წინაშე ცოდვის გამო დროებითი სასჯელის მიტევებას ეწოდება, რომელიც უკვე აღსარების დროს იყო მიტევებული. გამოთქმა „ღმრთის წინაშე“ ნიშნავს, რომ ინდულგენცია ღმერთის მიერ განმზადებული სასჯელისაგან, ანუ განსაწმენდელის ტანჯვისაგან ათავისუფლებს. კათოლიციზმის მიხედვით, დამსახურებათა საგანძურიდან კეთილ საქმეთა აურაცხელი რაოდენობა ჩაითვლება როგორც საზღაური, ხოლო დამსახურებათა საგანძურის გასაღებები უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების, უწინარეს ყოვლისა, პაპის ხელშია. ინდულგენციის მიღების პირობებსა და მოქმედებას პაპი ან მის მიერ რწმუნებული ეპისკოპოსები ადგენდნენ.

ინდულგენციები, როგორც დადებულ ეპიტიმიათა შემამოკლებელი საშუალება, არსებობდა ჯერ კიდევ XI საუკუნემდე. რომელსაც ეპისკოპოსები თავიანთი შეხედულების მიხედვით და მონანულთა გულმოდგინებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით ადგენდნენ. ასეთი შემოკლება სინანულის, რომელესაც თან ახლდა კეთილი საქმე ან მომლოცველობა, არა სინანულის ნაწილობრივ შეცვლას ან გამოსყიდვას, არამედ ცოდვილის სინანულისა და რელიგიურობის გარეგნულ მაჩვენებელს წარმოადგენდა, რომლითაც შეღავათის მიღების შესაძლებლობას ღებულობდა.

XIV საუკუნიდან ინდულგენცია უკვე გახდა ცოდვათა მიტევების საშუალება. ინდულგენციის უმაღლესი სახე (plenissima avemissio) – სრული ინდულგენცია, დანაშაულისა და სასჯელისაგან ათავისუფლებს (indulgentia a poena et a culpa). რასაკვირველია, ინდულგენციის მიღებამდე ან მიღების შემდეგ აუცილებელია ცოდვათა აღსარება. ინდულგენციის მეშვეობით პაპისა და, საერთოდ, ეკლესიის უფლებები გაფართოვდა განსაწმენდე-

ლზე, რამაც გამოიწვია პაპის ინდულგენციების გაცემა განსაწმენდელში მყოფ სულებზეც.

პაპი გრიგოლ VII და გრიგორიანული რეფორმა. XI საუკუნეში აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ რომის ეკლესიაში გაჩნდა მრავალი ახალი დებულება, რომელიც მას თანდათან უფრო აშორებდა მართლმადიდებელი ეკლესიიდან. კათოლიკური ეკლესია და მისი მეთაური ამავდროულად უპირისპირდება ახლად აღმოცენებულ ეროვნული სახელმწიფოების მეთაურებს, რომლებიც ცდილობდნენ ეკლესიის დაქვემდებარებას თავიანთი ხელისუფლებისათვის. კათოლიკურ ეკლესიაში კლუნიური იდეებით გაერთიანებული ბერ-მონაზვნები იწყებენ ბრძოლას ეკლესიის სრული გათავისუფლებისათვის საერო ხელისუფლების გავლენისაგან, რის მაგალითსაც წარმოადგენდა ბრძოლა ინტვესტიტურისათვის. თავიდანვე კლუნიური მოძრაობის აქტიური წევრი იყო პაპი გრიგოლ VII (1073-1085), რომელმაც კათოლიკური ეკლესიის გარდაქმნისათვის აქტიური მოქმედება დაიწყო.

გრიგოლ VII, რომის პაპი, ერისკაცობაში ჰილდებრანდი, დაიბადა სოანაში (ტოსკანა, იტალია) დაახლოებით 1020 წელს. ძალიან ახალგაზრდა შედგა ბერად რომის ავენტინის წმ. მარიამის მონასტერში და გახდა კლუნიური მოძრაობის მიმდევარი. იგი მიზნად ისახავდა კლუნიური რეფორმების გატარებასა და თეოკრატიის დამყარებას. მან ჩამოაყალიბა ეკლესიასთან პაპობის გაიგივების იდეა და განსაზღვრა მისი, როგორც პეტრეს მოციქულის წარმომადგენლის როლი, რომელსაც „ღმერთმა შეკვრისა და გახსნის უფლება უკლებლივ ყველაზე მოსცა, როგორც ცათა შინა, ასევე ქვეყანასა ზედა".

პაპის ხელისუფლების, მეფეებისა და მთავრების ძალაუფლებისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, 1059 წელს ლატერანის საეკლესიო კრებამ ჯერ კიდევ ბერის, ჰილდებრანდის წინადადებით, მიიღო დადგენილება, რომელიც გაფორმდა პაპის დეკრეტით. ამიერიდან პაპს ირჩევდნენ მხოლოდ კარდინალები, ე.ი. რომის უმაღლესი სამღვდელოება. რომაელი ხალხი და რომის სამღვდელოება ინარჩუნებდნენ პაპის არჩევნების მხოლოდ ფორმალურად დამტკიცების უფლებას. მხოლოდ პაპის არჩევის შემდეგ კარდინალები ატყობინებდნენ ამის შესახებ იმპერატორსა და რომაელ ხალხს. იმპერატორს მხოლოდ მაშინ შეეძლო მონაწილეობა პაპის არჩევაში, თუ ის ატარებდა „პატრიციუსის" წოდებას, ამ წოდების მინიჭების უფლებამოსილება მხოლოდ პაპს ჰქონდა.

მოგვიანებით პაპ გრიგოლ X-ის დროს 1272 წელს ჩამოყალიბდა კარდინალების კონკლავი – „ჩაკეტილი დარბაზი". 1621 წელს დადგენილ იქნა კარდინალების მოქმედების წესი. პაპის გარდაცვალებიდან 10 დღის შემდეგ ისინი იკრიბებიან წმინდა პეტრეს ტაძარში, მოისმენენ მესას და დებენ ფიცს სიქსტეს კაპელაში, რომ დაიცავენ საარჩევნო კანონსა და

წესდებას, ამის შემდეგ მიდიან ლატერანის სასახლეში, სადაც ყრუ დაბშულ ოთახში ხდებოდა არჩევნები. არჩევის შემდეგ ახალი პაპი ღებულობდა სახელს და კარდინალები მას ფეხსა და ხელზე ემთხვეოდნენ.

გრიგოლ VII-ს რეფორმის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია ე.წ. პაპის დიქტატში.

პაპის დიქტატის მიხედვით, პაპის ხელისუფლება უნივერსალურია, ის არის როგორც სასულიერო, ასევე საერო უმაღლესი ხელისუფალი. მხოლოდ პაპს შეუძლია ეპისკოპოსთა გადაყენება; მეფეები პაპს ფეხზე უნდა ემთხვიონ; პაპის გასამართლების უფლება არავის აქვს; რომის ეკლესია არასოდეს შემცდარა; და როგორც წმინდა წერილი მოწმობს, არც შეიძლება შეცდეს; კანონიერად დადგენილი რომის მღვდელმთავარი, წმ. პეტრეს დამსახურებით, უეჭველად წმინდანი ხდება. პაპისადმი დაუმორჩილებლობა ქრისტიანობისაგან განდგომას ან კერპთაყვანიმცემლობას უთანაბრდება.

გრიგოლ VII აღიარებდა როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფლების ღმერთისაგან წარმოშობას და მათ გაერთიანებას აუცილებლად მიიჩნევდა. მისი აზრით, როგორც ეკლესია აღემატებოდა სახელმწიფოს, ასევე სასულიერო ხელისუფლება საეროზე მაღლა უნდა მდგარიყო.

გრიგოლ VII ენერგიულად მოღვაწეობდა კათოლიკური ეკლესიის გალენის გასაფართოებლად. 1074 წელს პაპმა „ქრისტეს საფლავის გათავისუფლების“ მიზნით ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა.

სამონასტრო ორდენები. კლუნიურმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლეთის სამონასტრო ცხოვრების აღორძინებაში, თუმცა ზნეობრივი დაცემა როგორც საერო, ასევე სასულიერო საზოგადოებაში გრძელდებოდა XI საუკუნესა და მის შემდგომ პერიოდშიც; სამონასტრო წესრიგი თვითონ კლუნიურ მონასტრებშიც შეირყა. ამდენად, ისევ იდგა დღის წესრიგში ბერმონაზვნული ცხოვრების მაგალითზე, საზოგადოების სულიერი აღორძინების, ჭეშმარიტი ქრისტიანის იდეალის ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად. ამ კეთილშობილური მიზნით ადამიანები წყვეტდნენ კავშირს საერო ცხოვრებასთან, იკრებდნენ თავიანთ ირგვლივ თანამოაზრეებს და აარსებდნენ სამონასტრო საზოგადოებებს, რომელსაც დასავლეთში ორდენებს უწყობდნენ. თითოეულ ამ ორდენებში იყო განსხვავებული ცხოვრების პირობები, ჩვეულებანი და აღთქმანი, რასაც იღებდნენ ბერები ორდენში გაწევრიანებისას.

XI საუკუნის ბოლოს, ასკეტ ბერთა ჯგუფმა საფრანგეთის ბურგუნდიაში, განმარტოებულ ადგილზე, სიტოში, დააარსა მონასტერი. ამ ადგილის მიხედვით ამ ორდენს ცისტერტიანული ორდენი ეწოდა. ორდენის დაფუძნებას სათავეში ედგა შამპანელი წარჩინებული რობერტი. წმ. რობერტის მიზანს წარმოადგენდა ბენედიქტიანური წესდების მკაცრი დაცვა. ორდენის ბერთა მთავარი დამახასიათებელი იყო სისადავე და სიღარიბე. ორდენის

მონასტრები იქმნებოდა ქალაქებიდან და დასახლებული ადგილებიდან შორს. ეკლესიებში არ იყო არავითარი ქანდაკება და კედლებიც მკაცრი და თეთრი ფერისა იყო. პაპმა პასხალიუს II-მ (1099-1118) დაამტკიცა ორდენის წესდება. ორდენის წესდება საკმაოდ მკაცრი იყო, ამიტომ თავდაპირველად წევრთა რაოდენობა ბევრი არ იყო.

ორდენის წევრთა და მათი თანამოაზრეთა რიცხვი გაიზარდა მას შემდეგ, რაც სიტოს მონასტრის ერთ-ერთმა ბერმა ბერნარმა, კლერვოში დააარსა ცისტერციანული მონასტერი (1113), რომლის წინამძღვარიც გახდა თვითონ. ბერნარდ კლერვოელმა თავისი ცხოვრების წესითა და მჭევრმეტყველების უნარით, თანამედროვეთა ისეთი პატივისცემა მოიხვეჭა, რომ სიცოცხლეშივე წმინდანად აღიარებდნენ. მისი გავლენა დიდი იყო არა მარტო უბრალო ხალხზე, არამედ პაპებზე, მთავრებსა და თვით მეფეებზეც კი. მისი გარდაცვალების შემდეგ ცისტერციანულ ორდენს ხშირად ბერნარდინული ორდენის სახელითაც მოიხსენიებდნენ. ცისტერციანული ორდენის წევრები მონასტერში თეთრებში იყვნენ შემოსილნი, ხოლო საზოგადოებაში შავ სამოსელში გამოდიოდნენ.

კლუნიური გაერთიანებისაგან განსხვავებით, რომლის წინამძღვარიც კლუნის აბატი იყო, ცისტერციანული ორდენის მეთაური იყო გენერალური კაპიტული, რომელსაც ცისტერციანული ორდენის მონასტერთა აბატები ყოველწლიურ კრებაზე ირჩევდნენ.

ბერნარ კლერვოელის ქადაგებითა და მცდელობით ყალიბდებოდა სასულიერო-სარაინდო ორდენები, რომლებიც ხშირად ძალასაც იყენებდნენ წარმართების გასაქრისტიანებლად. ამის მაგალითი იყო მათი მოღვაწეობა ბალტიისპირეთსა და არაბულ ესპანეთში. ბერნარ კლევოელი გახდა ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობის სულისჩამდგმელი, მისი ქადაგების წყალობით ამ ლაშქრობაში ჩაერთვნენ ევროპელი მონარქები.

მიუხედავად იმისა, რომ ცისტერციანელების იდეალს წარმოადგენდა განდეგილობა და სიღარიბე, ისინი მაინც ვერ მოსწყდნენ გარე სამყაროს. ბერები დიდ დროს ანდომებდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ზრუნავდნენ ტექნიკის განვითარებაზე და აქტიურად ებმებოდნენ ვაჭრობაშიც. მალე ცისტერციანელებში, ფიზიკური შრომით იყვნენ დაკავებული არა ბერები, არამედ კონვერსები (მოქცეულები), სოფლის ღატაკი გლეხები. კონვერსები ბერებისაგან განსხვავებით, წვერებს უშვებდნენ, ამდენად, მათ „წვერებიან ძმებს“ უწოდებდნენ. მორჩილების აღთქმით, კონვერსებს უნდა ემუშავათ ისე, როგორც ამას მოითხოვდა მონასტრის წინამძღვარი, რისთვისაც ისინი გასამრჯელოდ ღებულობდნენ მწირ საკვებს.

XIII საუკუნიდან, როდესაც ევროპაში გაიზარდა ქალაქების როლი, განდეგილობამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა. ეპისკოპოსები, რომელთა რეზიდენციასაც ქალაქები წარმოადგენდნენ, ცდილობდნენ გაეძლიერებინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთი მრევლი, რათა შეინარჩუნებინათ ეკლესიის მონოპოლია მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაზე. რის გამოც ისინი ცდილობენ მონასტრები ისევ თავიანთ ხელისუფლებას დაუმორჩილონ. ქალაქის ეკლესიის მღვდლები და, საერთოდ, თეთრი სამღვდელოება პოზიციების განმტკიცების მიზნით იწყებს აქტიურ ქმედებას, გაჩნდა საჭიროება მათთვის საერთო წესდების, ანუ კანონის ჩამოყალიბების. ამ კანონით მათ შეეძლოთ ეცხოვრათ ხალხში განსაკუთრებულ თემებად კანონიკად და ყოფილიყვნენ მოძღვრები. მთავარი მიზანი იყო თეთრი სამღვდელოების ზნეობის ამაღლება. ასეთი მიზნისთვის შეიქმნა პრემონსტრატების ორდენი. მისი დამფუძნებელი იყო ნორბერტი, რომელმაც თავის ადგილსამყოფლად აირჩია ქ. რეიმსის მახლობელი ტყე, რომელზედაც მას, გადმოცემის თანახმად, გამოცხადებისას (Praemostratum) მიუთითა ღმერთმა.

ნორბერტმა თავისი ორდენის წესდებად აირჩია არა ბენედიქტიანური, არამედ წესდება, რომელსაც ისინი მიაწერდნენ ნეტარ ავგუსტიანეს, ამდენად, მათ ავგუსტიანელებს უწოდებდნენ.

ავგუსტიანელთა წესდება XII-XIII საუკუნეებში ვრცელდება თითქმის ყველა ორდენში. ავგუსტიანელები თავიანთ ამოცანად ისახავდნენ არა მარტო თეთრი სამღვდელოების გარდაქმნას – კანონიკური ცხოვრების დანერგვითა და განვითარებით, არამედ მათ მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში იმ იდეების გატარება, რის გავრცელებაშიც დაინტერესებული იყო დასავლეთის ეკლესიის იერარქია.

მწვალებლობა XII საუკუნისის II ნახევარსა და XIII საუკუნეში. ინკვიზიციის დაარსება. XI საუკუნეში რომის კათოლიკური ეკლესია, რომელიც ცდილობს თავისი პრიორიტეტის დამკვიდრებას საერო ცხოვრებაში, საერო ხელისუფლებასთან – მეფეებსა და მთავრებთან ბრძოლაში თვითონვე კარგავს უბრალო ხალხის თვალში იმ ზნეობრივ ღირსებას, რაც მას გააჩნდა ადრე საუკუნეებში. IX-X საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული სარწმუნოება ხალხში, ძირითადად, უფრო ზედაპირულად ვრცელდებოდა, მათ წარმოდგენაში ღმერთი იყო მათი მხსნელი ბოროტებისაგან და მარადიული ნეტარების გზა. უწიგნურ მასაში ნაკლებად მოიპოვებოდნენ ადამიანები, რომლებიც იცნობდნენ ბიბლიას. მით უფრო ისინიც, ვინც ამ პერიოდში ღვთისმეტყველების მიმართ იჩენდნენ ინტერესს, კმაყოფილდებოდნენ წმინდა წერილების შესწავლით, ძველ ღვთისმეტყველთა განმარტებებით. მათთვის ბიბლია მხოლოდ ლათინურ ენაზე არსებობდა და მისი გაცნობა შეეძლოთ მხოლოდ მოძღვრის საშუალებით. XII საუკუნის II ნახევარში დაიწყეს ბიბლიის თარგმნა ხალხურ ენებზე, რაც ადამიანთა უფრო ფართო მასას აძლევდა საშუალებას დამოუკიდებლად დაეწყო მისი გააზრება.

ბიბლიის დამოუკიდებელი შესწავლისადმი სწრაფვამ, გამოიწვია ბიბლიური ცხოვრების განსხვავებული ინტერპრეტაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მომხდარმა ცვლილებებმა, როდესაც დაიწყეს ზრდა ქალაქებმა, გაჩნდნენ ხელოსნები და ვაჭრები, უფრო გააღრმავა დაპირისპირება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის. საქალაქო ცხოვრების აღმავლობასთან ერთად ადამიანისათვის მნიშვნელოვანი ხდება როგორც ზოგად რელიგიური, ასევე ინდივიდუალური ღირებულებანი. ამ დროს ევროპაში დაიწყო გავრცელება სხვადასხვა სახის ახალმა რელიგიურმა მოძღვრებებმა, რომელთაც კათოლიკური ეკლესია მწვალებლობას (ერესებს) უწოდებს. ეს იყო თავისებური პროტესტი ეკლესიის მიმართ. სქიზმამ, განხეთქილებამ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის, კლერიკალური დისციპლინის დაცემამ შეარყია ქრისტიანობა.

XII-XIII საუკუნეებში გავრცელებული მწვალებლობების ნაწილი ძველი დროიდან იყო გადმოცემული. მწვალებლობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ორი სექტა – ვალდენსებისა და კათარების.

ვალდენსების მწვალებლობას საფუძველი ჩაუყარა მდიდარმა ლიონელმა ვაჭარმა პიერ ვალდომ. მან მთელი თავისი ქონება დაურიგა ღარიბებს და დაიწყო ქადაგება ხალხში. ის მოუწოდებდა ქრისტესა და მისი მოციქულების ცხოვრების აღდგენას. მისი მიმდევრები, რომელთაც „ლიონელ ღატაკებს“ უწოდებდნენ შავი ან რუხი ფერის უხეში შალის ტანსაცმელში გამოწყობილნი, წყვილ-წყვილად დადიოდნენ ხალხში და ქადაგებდნენ სიღარიბესა და მოციქულთა მსგავსად ხალხში სიარულს.

პიერ ვალდო იყო ღრმად მორწმუნე ადამიანი, ის სწავლობდა ბიბლიას, რომელიც მისთვის თარგმნა ორმა სამღვდელო პირმა. ამ თარგმანიდან ის გაეცნო მოციქულთა პერიოდის ეკლესიას, რომელიც, მისი აზრით, სრულიად განსხვავდებოდა მისი თანამედროვე ეკლესიისაგან. მისი შეხედულებით, გაუმაძღარმა რომის ეკლესიამ დაკარგა მადლი და მის მიერ ჩატარებულ საიდუმლოებებს ძალა არა აქვს. ამდენად, ვალდენსების აზრით, ქრისტიანული საიდუმლოებებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ჩატარების უფლება აქვთ არა იმათ, ვისაც ეკლესიისგან აქვს მიღებული კურთხევა, არამედ იმ საერო პირებს, რომლებიც ქრისტეს მცნებათა თანახმად ცხოვრობენ სიღარიბეში და არა აქვთ არავითარი ქონება. ლიონის არქიეპისკოპოსმა ვალდენსებს აუკრძალა ქადაგება, პაპმა 1184 წელს ისინი შეაჩვენა. ვალდო გააძევს ლიონიდან, ის დიდხანს ქადაგებდა იტალიასა და გერმანიაში, დაბოლოს დასახლდა ბოჰემიაში, სადაც გარდაიცვალა 1197 წელს. თავდაპირველად ვალდენსებს არ სურდათ ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც თვითონ ეკლესიამ განკვეთა ისინი, მაშინ ჩაუდგნენ რომის ეკლესიას ოპოზიციაში. მათი პროტესტი მიმართული იყო განსაკუთრებით რომის იერარქიის წინააღმდეგ. ისინი საბოლოოდ მივიდნენ იერარქიის, ხოლო შემდეგ იერარქთა მიერ ღვთისმსახურების შესრულების უარ-

ყოფამდე. ისინი არ ცნობდნენ პაპებს, იერარქთა უფლებებს, შეესრულებინათ საეკლესიო საიდუმლოებანი – აღსარება, ზიარება და მიეტევებინა ცოდვები.

კათოლიკური ეკლესიის კრიტიკაში უფრო შორს მიდიოდნენ კათარები, კათარი ბერძნული სიტყვაა და სპეტაკს, სუფთას ნიშნავს. ისინი ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს. მათ ასევე უწოდებდნენ ალბიგოელებს, ვინაიდან მათი ეპისკოპოსი ცხოვრობდა სამხრეთ საფრანგეთში, ქ. ალბიში.

კათარებმა მოაწყვეს საკუთარი ეკლესია, რომელსაც ისინი მოციქულთა ეკლესიის შთამომავლად თვლიდნენ. მათ ჰყავდათ საკუთარი მღვდლები, რომელნიც საერთო ყრილობაზე ირჩევდნენ ეპისკოპოსებს.

კათარების მოძღვრება საკმაოდ ახლოს იყო აღმოსავლეთ ევროპაში, ბულგარეთში, გავრცელებულ პავლიკიანელობასა და ბოგომილობასთან, ამდენად, მათ ბულგარებსა და პავლიკიანელებს უწოდებდნენ. კათარების, ისევე როგორც ბოგომილების მოძღვრება, ეყრდნობოდა მანიქეველურ დუალიზმს. ერთი ნაწილი კათარებისა აღიარებდა აბსოლუტურ დუალიზმს – ორი დამოუკიდებელი საწყისის – კეთილისა და ბოროტის შესახებ.

კათარები, ბოგომილების მსგავსად, უარყოფდნენ ჯვრისა და ხატების თაყვანისცემას, ასევე საეკლესიო საიდუმლოებებს. ისინი უარყოფდნენ წყლით ნათლობას. მათი აზრით, უნდა მომხდარიყო სულიერი ნათლობა – „ნუგეში“ (consolamentum – ხელის დადებით სახარებაზე). ნათლობა ანუ „ნუგეშისცემა“, მათი აზრით, შეეძლოთ მხოლოდ სრულყოფილებს, რომლებიც უარს ამბობდნენ ოჯახის შექმნასა და ხორცის საკვებზე. ისინი უარყოფდნენ მართლმადიდებელ ზიარებას და ფიქრობდნენ, რომ როდესაც ადამიანის საკვების მიღების დროს წარმოთქვამს „მამაო ჩვენოს“, ის ამით ასრულებს ზიარების რიტუალს. ისინი უარყოფდნენ პაპს და მას ანტიქრისტეს უწოდებდნენ.

მწვალებლობის გავრცელება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მისი მასობრივი ხასიათი, კათოლიკურ ეკლესიასა და პაპის ხელისუფლებას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა. მწვალებლური მოძრაობა ხშირად სოციალურ ხასიათსაც ღებულობდა. ამდენად, ევროპის მონარქები პაპებს თანადგომას უცხადებდნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. 1183 წელს პაპმა ლუციუს III-მ და იმპერატორმა ფრიდრიხ I-მა შემოიღეს ეპისკოპოსთა მიერ მწვალებელთა ძებნა და მათ შესახებ საქმეების გარჩევა საეპისკოპოსო სასამართლოში. საერო ხელისუფლება მოვალედ ცხადდებოდა აღსრულებაში მოეყვანა მათ მიერ გამოტანილი განაჩენი.

1215 წელს ლატერანის IV კრებაზე, რომელიც მოიწვია პაპმა ინოკენტი III-მ, დაწესდა განსაკუთრებული პროცესი მწვალებელთა დევნისათვის. ასე ჩაეყარა საფუძველი ინკვიზიციას (ლათ. inquisitio – გამოძიება, ძებნა) – კათოლიკურ ეკლესიაში განსაკუთრებული საეკლესიო სასამართლო მწვალებელთა მიმართ, რომელიც არსებობდა XIII-XIX საუკუნეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1231-1235 წლებში პაპმა გრიგოლ IX-მ ზოგიერთი დადგენილებით მწვალებელთა დევნის ფუნქციები გადასცა სპეციალურ რწმუნებულებს – ინკვიზიტორებს. თავდაპირველად ინკვიზიცია მოხეტიალე სასამართლო დაწესებულებას წარმოადგენდა, მაგრამ მოგვიანებით სხვადასხვა ქვეყნებში დაარსდა საინკვიზიციო ტრიბუნალები, რომელთაც მწვალებელთა შესახებ საქმეთა გამოძიება, განაჩენის გამოტანა და აღსრულება დაეკისრათ. საინკვიზიციო ტრიბუნალის წევრები იყენებდნენ ადგილობრივ საერო და საეკლესიო ხელისუფლებას. ინკვიზიტორთა სამოქმედო სფერო, მათი სამართალწარმოე-ბის ორგანიზაცია და სამართალწარმოების ფორმები რომიდან მიღებული მითითებებით განისაზღვრებოდა. ადგილობრივ კანონმდებლობას ინკვიზიცია არ აქცევდა ყურადღებას.

ინკვიზიტორები მიმართავდნენ მოსახლეობას, რომ მოენანებინათ და დაესახელებინათ მწვალებლები. ვინც მათი მიმართვის შესაბამისად მოიქცეოდა „შეღავათიანი დღეების“ განმავლობაში, მხოლოდ საეკლესიო სასჯელი დაედებოდა. სამართალწარმოება საიდუმლო იყო. ბრალდებულს უნდა დაესახელებინა დანაშაულის მონაწილენი. ბრალდებულებმა მოწმეების სახელები არ იცოდნენ. გამოსატეხად და ცნობის მოსაპოვებლად ტრიბუნალს შეეძლო წამებისათვის მიემართა. ადამიანების „გამოსატეხად“ ინკვიზიცია სასტიკ ზომებს იყენებდა: შიმშილს, ბორკილს, სხეულის დასაჭიმ დაზგას, წყალსა და ცეცხლს, ე. წ. „ესპანურ წუღას“, ძელზე გასმას. სასჯელი ემუქრებოდა იმასაც, ვინც დამალავდა მწვალებლებს.

სასჯელი მწვალებლების მიმართ სხვადასხვაგვარი იყო. გამამართლებელი განაჩენი იშვიათად გამოჰქონდათ. დანაშაულის არქონის შემთხვევაში ჩვეულებრივი საეკლესიო მონანიება მოეთხოვებოდა. სასჯელის სახეები იყო ეკლესიიდან განკვეთა, მოწყალების გაღების მოთხოვნა, მკაცრი მარხვა, სამარცხვინო ბოძი, სხეულებრივი სასჯელი. სასჯელის უფრო გავრცელებულ ფორმას მწვალებლის ეკლესიასთან შერიგება წარმოადგენდა, რასაც ქონების კონფისკაცია და საპყრობილეში ჩასმა ახლდა თან. უდრეკი მწვალებლები კოცონზე დაწვით (აუტოდაფე) ისჯებოდნენ, ხოლო თუ რომელიმე მათგანი უკანასკნელ მომენტში გამოთქვამდა სინანულს, ჯერ ჩამოახრჩობდნენ და შემდეგ წვავდნენ.

მწვალებლებისათვის ინკვიზიციის მიერ კონფისკაციით ჩამორთმეული ქონება და ადგილმამულები სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ნაწილდებოდა და მათთვის დიდი შემოსავალი მოჰქონდა.

განსაკუთრებით მძვინვარებდა ინკვიზიცია ესპანეთში, სადაც ის XVI საუკუნიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეფო ხელისუფლებასთან. მთავარი ინკვიზიტორის ტორკვემადას 18-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში 10 ათასზე მეტი ადამიანი დაწვეს კოცონზე.

მათხოვრული ორდენები. XIII საუკუნის დამდეგს საქალაქო ცხოვრების განვითარებასთან ერთად, დაპირისპირება მძაფრდება სოციალურ ფენებში, რაც კიდევ უფრო აღრმავებს წინააღმდეგობას საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის. ორივე მხარე ცდილობს დაიმკვიდროს თავი, როგორც ერთპიროვნულმა ხელისუფალმა. სასულიერო ხელისუფლებას პაპობის სახით უფრო და უფრო ეზრდება პრეტენზია ხელისუფლების მიმართ. ნათელი გახდა დაპირისპირება ეკლესიასა და ახალ საზოგადოებას შორის. კათოლიკური ეკლესია ხედავდა, როგორი ვნებით ეძლეოდნენ „ახალი ადამიანები“ ამქვეყნიურ კეთილდღეობას და ნაკლებად ზრუნავდნენ სულის მარადიული ცხონებისათვის. ამიტომაც კლერიკალური წრეების მაღალი ეშელონები მათ ხელში არსებული ძალაუფლების მეშვეობით ღონეს არ იშურებდნენ, რათა მორჩილებაში ჰყოლოდათ ხალხი, რის გამოც დაიწყო ახალი ეტაპი ასკეტიზმის აღორძინებისა. ასკეტური აზროვნების ნიმუშს წარმოადგენს XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი ტრაქტატი „სამყაროს სიძულვილისა და ადამიანის არარაობის შესახებ“. მისი ავტორია პაპი ინოკენტი III. ინოკენტი III, გრაფი ლოტარიო დი სიენი განეკუთვნებიან უძველეს წარჩინებულთა გვარს. იგი სწავლობდა ბოლონიისა და პარიზის უნივერსიტეტებში ფილოლოგიურ, თეოლოგიურ და იურიდიულ მეცნიერებებს. იგი თავისი ეპოქის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო. ინოკენტი III-ის ტრაქტატი „სამყაროს სიძულვილისა ანუ ადამიანის არარაობის შესახებ“, ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაში ყველაზე სასტიკი ნაწარმოებია. აქამდე არსად არ გამჟღავნებულა ადამიანისადმი სიძულვილი ასეთი მრისხანებითა და შემზარავი ფორმებით. ამ ტრაქტატის შესწავლა ნათელყოფს XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ დაპირისპირებათა სურათს, რაც მჟღავნდება კლერიკალთა რეალურ ყოფასა და მათ ქადაგებებში არსებულ წინააღმდეგობაში, თვით ინოკენტი III-ის რეალურ მოღვაწეობასა და მის ტრაქტატში გადმოცემულ იდეებს შორის. ერთი მხრივ, ინოკენტი III არის პაპი, რომელიც ალსავსეა ამქვეყნიური კეთილდღეობით, პაპი, რომელიც არის შესანიშნავი ადმინისტრატორი და მოქნილი პოლიტიკოსი, რომელიც ევროპის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის სუვერენი იყო. სკანდინავიის, პორტუგალიის, არაგონის, ინგლისის მეფეები, სერბეთისა და ბულგარეთის მმართველები თავს ცნობენ მის ვასალად და უხდიან გადასახადს. ევროპის სხვა ქვეყნებიც იხდიან მის სასარგებლოდ წმ. პეტრეს გროშებს. მისი თანამედროვე ინგლისელი ქრონისტი მეტიუ პერისი (მათე პარიზელი) აღნიშნავს, რომ იგი თავად იყო წარმოუდგენლად პატივმოყვარე და ამპარტავანი, ვერცხლისმოყვარე და მზად იყო გადაედგა ნებისმიერი ნაბიჯი ფულის გამო. ამ თვისებების მქონე ინოკენტი III, არის პაპი, რომელიც ქმნის ტრაქტატს ამქვეყნიური ამაოების შესახებ, პაპი, რომლის კურთხევითაც ჩამოყალიბდა ფრანცისკანელებისა და დომიკანელების ორდენები.

XIII საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბდა ფრანცისკანელთა ორდენი. სახელწოდება მას მიეცა მისი დამფუძნებლის ფრანცისკ ასიზელის (1181-1226) მიხედვით. ფრანცისკ ასიზელი, ნამდვილი სახელი ჯოვანი ბერნადონე, დაიბადა ვაჭრის ოჯახში. 26 წლის ასაკში უარი თქვა სიმდიდრესა და ფუფუნებაზე და დაიწყო სიღარიბის ქადაგება. ფრანცისკანელებმა ააღორძინეს ქრისტეს ცხოვრების იდეალი – ერთდროულად როგორც მჭვრეტელობითი ლოცვით, ასევე აქტიური ცხოვრებით, რომელშიც უპირველეს ადგილს საღვთო ქადაგება იკავებს. ბერები ტოვებენ მონასტრის კედლებს, რათა ღვთის სიტყვა უქადაგონ ხალხს. ასევე სასულიერო მოღვაწეთა შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ცოდნას, განათლებასა და მეცნიერების შესწავლასაც კი. მათი ავტორები ყველა ღონეს ხმარობენ კათოლიკური დოგმატიზმის დაცვასთან ერთად განემტკიცებინათ ეკლესიის ავტორიტეტი.

1206 წელს ფრანცისკმა დაარსა მინორიტების ძმობა (უმცროსი ძმობა), რომელიც შემდეგ გადაკეთდა ფრანცისკანელთა ორდენად. ფრანცისკის მთელი ცხოვრება ქრისტეს ცხოვრების სრული მიბაძვით წარიმართა, მას სიკვდილის წინ სხეულზე გამოესახა ის ჭრილობები, რომელიც მიიღო მაცხოვარმა ჯვარცმის დროს.

1223 წელს პაპმა ჰონორიუს III-მ დაამტკიცა ფრანციკანელთა ორდენის წესდება. ფრანცისკი და მისი მეგობრები უარყოფდნენ საკუთრებას. თუმცა არ იყვნენ გამოკეტილნი სენაკებში, სანდლებსა და ყავისფერ შალის ტუნიკებში გახვეულები დადიოდნენ ხალხში, ქადაგებდნენ სოფლებსა და ქალაქის მოედნებზე.

თვითონ ფრანცისკ ასიზელმა ქადაგებით შემოიარა იტალია, ესპანეთი, სამხრეთი საფრანგეთი, ეგვიპტე, პალესტინა. ის აღმოსავლეთში მუსლიმებშიც ცდილობდა ქრისტიანობის გავრცელებას. 1228 წლიდან ფრანცისკ ასიზელი კანონიზებულია.

ფრანცისკანულმა ორდენმა ააღორძინა ძველი ეკლესიის იდეალი: ლოცვისა და აქტიური ქადაგების შეთავსება და მოყვასისათვის დახმარების აღმოჩენა. მათი აზრით, „ღვთის ქება ამპარტავნობაა, ხოლო სულ სხვა საქმეა – ღვთის მიერ შექმნილთა, რომლებიც ღვთაების განსახიერებას წარმოადგენენ“. ფრანცისკანელები იდგნენ ახალი აზროვნების ერთ-ერთი შედეგის – ეროვნულ ენაზე დაწერილი ლიტერატურის სათავეებთან. ამის მაგალითია იტალიურ ენაზე ასიზელის მიერ დაწერილი „მზის საგალობელი“ და ფრანცისკანელი ბერის რაიმონდ ლულის კატალონიური ლექსები.

XIII საუკუნის დამდეგს, თითქმის ფრანცისკანული ორდენის თანადროულად, დაარსდა დომინიკელთა ორდენი. მისი დამაარსებელი იყო ესპანელი დომენიკ გუსმანი. იგი ადრეული ასაკიდან გახდა ბერი. მას თავის დროისთვის დიდი განათლება ჰქონდა მიღებული, სწავლობდა ორ უნივერსიტეტში. ეს ორდენი შეიქმნა იმდროინდელ ევროპაში გავრცელებული

მწვალებლობის წინააღმდეგ. მათ მიზანს წარმოადგენდა ეკლესიის მტრებისა და ჭეშმარიტი რწმენისაგან განდგომილთა წინააღმდეგ ბრძოლა. დომენიკელთა ემბლემა იყო ძაღლი, რომელიც პირით ანთებულ ჩირაღდანს ატარებდა. აქედან წარმოიშვა სიტყვების თამაში (ლათ. Domini canus – ღვთის ძაღლები). ეს ემბლემა ნიშნავდა, რომ დომინიკელები იცავდნენ ეკლესიას მწვალებლებისაგან და ატარებდნენ ჭეშმარიტების სხივს. დომინიკელებს მიანდო პაპმა მწვალებლობის წინააღმდეგ ბრძოლა.

დომინიკელთა ოფიციალური სახელწოდება იყო „ძმანი მქადაგებელნი". მაგრამ იმისათვის, რომ ექადაგათ ჭეშმარიტი მოძღვრება, საჭირო იყო განათლებული მოძღვრების მომზადება, რაზედაც განსაკუთრებით ზრუნავდნენ დომინიკელები. თუ ფრანცისკანელები, ძირითადად ხალხში ტრიალებდნენ, დომინიკელები მნიშვნელოვან დროს საწერ მაგიდასა და ბიბლიოთეკებში ატარებდნენ. ამდენად, შემთხვევითი არ იყო, რომ ამ ორდენის ცენტრები პარიზსა და ბოლონიაში – შუა საუკუნის უდიდეს საუნივერსიტეტო ქალაქებში მდებარეობდა. დომინიკელთა ორდენიდან გამოვიდნენ შუა საუკუნეების ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ ალბერტ დიდი, თომა აკვინელი, ბონავენტურა.

პაპების „ავინიონის ტყვეობა". რომის ეკლესია ინოკენტი III-ის დროს ძლიერი საერო ხელისუფლება გახდა. პაპები ცდილობენ თავიანთი უფლებების განმტკიცებას ევროპის სახელმწიფოზე, ასევე მათ მიერ წარმოებული ჯვაროსნული ლაშქრობანი აღმოსავლეთში, რომელიც მუსლიმების, ხოლო შემდეგ მწვალებლებისა და წარმართების წინააღმდეგ იყო მიმართული, მიზნად ისახავდა არა მხოლოდ წმინდა მიწისა და მაცხოვრის საფლავის გათავისუფლებას მუსლიმებისაგან, არამედ პაპისათვის აღმოსავლეთის მიწების დამორჩილებასაც. ჯვაროსნული ლაშქრობანი, რომელსაც თვით ევროპის კონტინენტზე პაპი თავის სამწყსოს წინააღმდეგ, ე. წ. ერეტიკოსების განადგურებლად აწარმოებდა, საერო ხელისუფლებაზე გავლენის მოპოვებასა და რომის ეკლესიის გამდიდრებას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე მისი სიწმინდისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.

რომის პაპი, პირადი ინტერესების დაცვისა და გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით, ერეოდა ევროპის სახელმწიფოთა როგორც საშინაო საქმეებში, ასევე ცდილობდა თვითონ ყოფილიყო მათ შორის ურთიერთობათა მომგვარებელი. პაპი სამეფო დინასტიებს შორის არსებულ დაპირისპირებებს, ასევე ეროვნულ სახელმწიფოთა შორის დავებს იყენებდა რომის კურიის სასარგებლოდ.

1300 წელს პაპმა ბონიფაციუს VIII-მ შემოიღო საუკუნის დამდეგის აღმნიშვნელი ღღესასწაული, ყოველი მლოცველი, რომელიც ჩავიდოდა რომში 15 დღით, ყოველდღიურად ლოცულობდა წმ. პეტრესა და პავლეს ტაძრებში, მათ არა მხოლოდ მიეტევებოდათ თავიანთი ცოდვები, არამედ უთანაბრდებოდა ჯვაროსნებსა და პილიგრიმებს, რომლებიც განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალობით სარგებლობდნენ კათოლიკურ ეკლესიაში. ჩადენილი დანაშაულებისა და ცოდვებისაგან გათავისუფლების და ჯვაროსანთა შესაბამისი პატივის მიღება იმდენად დიდი იყო ევროპაში, რომ ძალიან მცირე დროში 2 მილიონამდე ადამიანი შეიკრიბა რომში დღესასწაულზე.

პაპს თავიდან გადაწყვეტილი ჰქონდა ეს დღესასწაული ყოველი საუკუნის დასაწყისში მოეწყო, შემდეგ ეს დრო შემცირდა 50 წლით, მოგვიანებით 25 წლით. საბოლოოდ პაპები იუბილეს აწყობდნენ მაშინ, როცა მათ ფული შემოაკლდებოდათ. პაპმა ბონიფაციუს IX-მ თავისი პონტიფიკატის დროს (1389-1404) ორჯერ მოაწყო იუბილე 1390 და 1400 წლებში.

1296 წელს პაპმა ბონიფაციუს VIII-მ გამოსცა ბულა (Clericis Laicos), რომლითაც მეფეებს ეკრძალებოდათ გადასახადების აღება ეკლესიიდან პაპისაგან შეუთანხმებლად. ეს, პირველ რიგში, საფრანგეთს შეეხებოდა, რომელიც ეკლესიისაგან რეგულარულ გადასახადს მოითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის შემოსავალი პრინციპულად თავისუფალი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი დაბეგვრისაგან.

ამის საპასუხოდ საფრანგეთის მეფემ ფილიპე IV ლამაზმა აკრძალა იტალიაში ოქროსა და ვერცხლის გატანა. რის შედეგადაც პაპი კარგავდა თავის შემოსავალს საფრანგეთიდან, რამაც ის აიძულა წასულიყო დათმობაზე – სასულიერო წოდებას არ ეკრძალებოდა სახელმწიფოსათვის თავიანთი სურვილით გაეკეთებინათ შესაწირი. მიუხედავად ამისა, პაპსა და ფილიპე IV-ს შორის 1301 წლიდან ურთიერთობა უფრო დაიძაბა. 1301 წელს პაპის წერილში ფილიპე IV-სადმი იყო შემდეგი სიტყვები: „გეშინოდეს ღმერთის და შეასრულე მისი მცნებები. გვსურს იცოდე, რომ სასულიერო და დროებით საქმეებში შენ გვემორჩილები ჩვენ... სხვაგვარად მოაზროვნეებს ჩვენ ვთვლით მწვალებლად“. ფილიპემ დაწვა პაპის წერილები და უდიერი სიტყვებით მოიხსენია პაპი თავის საპასუხო წერილში. 1302 წელს მან მოიწვია ყველა წოდებათა დეპუტატების კრება – გენერალური შტატები, სადაც მათ გამოაცხადეს, რომ მეფე გვირგვინს ღებულობს უშუალოდ ღმერთისგან და არა პაპისგან. ამას დაეთანხმა საფრანგეთის სამღვდელოებაც.

ბონიფაციუს VIII-მ 1302 წელს მოიწვია საეკლესიო კრება რომში და გამოაქვეყნა ბულა – „Unam Sanctam“ – („ერთადერთი წმინდა“), სადაც განავითარა გრიგოლ VII-ს თეოკრატიული იდეები. ბულაში ნათქვამი იყო: ქრისტემ ეკლესიას გადასცა ორი მახვილი – საერო და სასულიერო ხელისუფლების სიმბოლო. ორივე ხელისუფლება დამტკიცებულია ეკლესიის მიერ. სასულიერო ხელისუფლება ეკუთვნის პაპებს, საერო – მეფეებს. სასულიერო ხელისუფლება უფრო მაღლა დგას, ვიდრე საერო, ისევე როგორც სული მაღლა დგას სხეულზე. რამდენადაც სხეული ემორჩილება სულს, ასევე საერო ხელისუფლება უნდა ემორჩილებოდეს სასულიეროს.

ფილიპე IV-მ გაგზავნა პაპთან რამდენიმე პირი ცნობილი იურისტის გიიომ ნოგარეს მეთაურობით, რომელმაც ადრე ბრალი დასდო პაპს საფრა-

ნგეთის საშინაო საქმეების ჩარევაში და მოითხოვა მისი გასამართლება. გიიომ ნოგარე დაუკავშირდა ბონიფაციუსის მოკავშირე – ორსინების გვართან დაპირისპირებულ კოლონას საგვარეულოს. 1303 წლის 6 სექტემბერს პაპის აგარაკზე ანანიში გიიომ ნოგარე და მისი მოკავშირე ჯაკობო კოლონა შეიჭრნენ მის სასახლეში და შეურაცხყოფა მიაყენეს პაპს. პაპის მომხრე ანანიელებმა ისინი გარეკეს, მაგრამ ბონიფაციუსმა ვერ აიტანა შეურაცხყოფა და გარდაიცვალა.

პაპად აირჩიეს ბენედიქტ XI, რომელიც მალე გარდაიცვალა, როგორც ამბობენ, იგი მოწამლეს ჯაკობო კოლონამ და გიიომ ნოგარემ. ორი წლის განმავლობაში პაპი ვერ აირჩიეს. პაპის არჩევისას კარდინალები გაიყვნენ: საფრანგეთის ინტერესის დამცველ კარდინალებს სურდათ პაპად ფრანგი ეროვნების პირის არჩევა, ბონიფაციუსის მხარდამჭერნი კი ცდილობდნენ იტალიელი აეყვანათ ტახტზე. საბოლოოდ საფრანგეთის ინტერესებმა გაიმარჯვა და 1305 წელს პაპად აირჩიეს ბორდოს არქიეპისკოპოსი ბერტრანი – კლიმენტი V-ს (1305-1314) სახელით.

ფილიპე ლამაზმა, რომელსაც, რასაკვირველია, დიდი გავლენა ჰქონდა არჩევნებზე, თავიდანვე აიღო პაპისაგან პირობა, რომ ის გააუქმებდა ბონიფაციუსის ყველა განკარგულებას, რომელიც მიმართული იყო მის წინააღმდეგ და გააუქმებდა ტამპლიერთა ორდენს. კლიმენტი V-მ იცოდა თუ რა გართულება მოჰყვებოდა მის ფრანგულ პოლიტიკას რომში, გადაწყვიტა სამუდამოდ დარჩენილიყო საფრანგეთში. გამოიძახა იქ კარდინალები და 1309 წლიდან დამკვიდრდა სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ ავინიონში. ეს ქალაქი 70 წლის მანძილზე წარმოადგენდა რეზიდენციას. ეს პერიოდი ისტორიაში ცნობილია „პაპების ავინიონის ტყვეობის“ სახელით.

პაპებმა ავინიონში, სადაც 1377 წლამდე იმყოფებოდნენ, დაკარგეს ის ავტორიტეტი, რომელიც მათ ჰქონდათ XIII საუკუნეში და მთლიანად საფრანგეთის მეფის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. მართალია, ავინიონში მყოფი პაპები ვერ ახორციელებდნენ უწინდებურად დამოუკიდებელ თეოკრატიულ პოლიტიკას, მაგრამ მათ უფრო მეტი თავისუფლება მიეცათ, განემტკიცებინათ თავიანთი ძალაუფლება ეკლესიაზე და გაეზარდათ კურიის შემოსავალი. ავინიონში პაპებმა შექმნეს სპეციალური, მუდმივმოქმედი საფინანსო უწყება. პაპები იყენებდნენ ყველა შესაძლებლობას ეკლესიისა და ცალკეული პრელატებისაგან სხვადასხვა სახის შეწირულობებისა და გადასახადების მისაღებად. იზრდება გადასახადთა რაოდენობა, რომელსაც იხდიდა სამღვდელოება კურიის სასარგებლოდ, ფართოდ ვრცელდება სიმონია, საეკლესიო თანამდებობებით ვაჭრობა. ფართო მასშტაბს იღებს ინდულგენციებით ვაჭრობა.

ავინიონის სასახლეში დიდი თანხები იხარჯებოდა გართობასა და ფუფუნებაზე, რაც იწვევდა აღშფოთებას ჩვეულებრივ ხალხსა და სამღვდელოებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპების პროფრანგული პოლიტიკა უკმაყოფილებას იწვევდა სხვა ქვეყნების ეკლესიებში, სადაც იწყება ეროვნული ეკლესიების შექმნისათვის მოძრაობა. XIV საუკუნის დასაწყისში პირველად ჩნდება ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის თეორია.

გერმანიის იმპერატორმა ლუდვიგ ბავარელმა 1338 წელს, ჰერცოგებთან ერთად მიიღო აქტი, რომელიც აღიარებდა საერო ხელისუფლების დამოუკიდებლობას სასულიეროსაგან. ერთ-ერთ სხდომაზე მან განაცხადა, რომ პაპის პრეტენზია გერმანიის იმპერატორის გვირგვინკურთხევაზე უკანონოა. მათ გადაწყვიტეს იმპერატორი აერჩიათ პაპის დამტკიცების გარეშე. ეს დამოწმებულ იქნა 1356 წელს ოქროს ბულაში, რომელიც გამოსცა იმპერატორმა კარლ IV-მ.

ინგლისი, რომელიც ჯონ უმიწაწყლოს დროიდან იყო პაპის ტახტისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში, „პაპების ავინიონის ტყვეობის" დროს მეტ-ნაკლებად გათავისუფლდა მათი გავლენისაგან. ედუარდ III-მ (1327-1377) შეუწყვიტა მათ გადასახადების გადახდა და ასევე გააუქმა აპელაცია რომში. თვით იტალიაშიც დაეცა პაპის ხელისუფლების მნიშვნელობა. საეკლესიო ოლქში მხოლოდ ნომინალურად აღიარებდნენ პაპის უფლებებს, ფაქტობრივად არც მას და არც მის ლეგატებს არავითარი გავლენა არ ჰქონდათ ამ ოლქის მმართველობაში.

პაპის ხელისუფლებისა და მისი თეოკრატიული იდეების კრიტიკა უკვე ჩნდება ისეთი ცნობილ მოაზროვნეთა ტრაქტატებში, როგორიცაა: უილიამ ოკამი, მარსილ პადუელი და დანტე.

რომის პაპის წინააღმდეგ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ინგლისელი ღვთისმეტყველის ჯონ ვიკლეფის შეხედულებანი. ვიკლეფი, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი, ვერ ეგუებოდა კათოლიკური ეკლესიის მიერ ინგლისის ძარცვას. ის ამტკიცებდა, რომ ეკლესიის მიერ სიმდიდრის დაგროვება, არაქრისტიანულია. ყველანი ღვთის შვილები ვართ და ღმერთის წინაშე ყველა თანასწორი უნდა ვიყოთო. მეფეს ხელისუფლება უბოძა ღმერთმა და არა რომის პაპმა.

ჯონ ვიკლეფის იდეებმა გავლენა იქონია მთელ ევროპაზე, მისი აქტიური მიმდევარი იყო პრაღის უნივერსიტეტის მაგისტრი იან ჰუსი, რომელიც გამოდიოდა რომის კურიის წინააღმდეგ და იბრძოდა კათოლიკური ეკლესიის რეფორმისათვის.

დიდი სქიზმა. 1367 წელს პაპი ურბან V რომში დაბრუნდა, მაგრამ 3 წლის შემდეგ ისევ ავინიონში გადავიდა. ამან უკმაყოფილება გამოიწვია. ხალხი იმუქრებოდა, რომ ახალ პაპს აირჩევდა. ავინიონშიც პაპების დარჩენა სახიფათო იყო. ასწლიანი ომით საფრანგეთი დასუსტებული იყო და ვერ უზრუნველყოფდა ავინიონის რეზიდენციის უსაფრთხოებას. 1377 წელს პაპი გრიგოლ IX რომში დაბრუნდა და ამით ბოლო მოეღო პაპების ავინიონის ტყვეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1378 წელს გრიგოლ IX გარდაიცვალა. კარდინალების ნაწილი რომში გადავიდა, ნაწილი ავინიონში დარჩა. მათ ცალ-ცალკე აირჩიეს პაპები. ავინიონში ფრანგი კლიმენტი VIII, რომში იტალიელი ურბან VI. სახელმწიფოებიც ორ ნაწილად გაიყო. იტალიელები, გერმანელები და ინგლისელები ურბან VI-ს უჭერდნენ მხარს (ურბანისტები), ხოლო საფრანგეთი, კასტილია, შოტლანდია და სხვა, კლიმენტის მომხრეები (კლიმენტისტები) იყვნენ. ახლად არჩეულმა პაპებმა ერთმანეთი შეაჩვენეს და დაიწყო დიდი საეკლესიო გათიშვა (სქიზმა – ბერძნ.). პაპების ავტორიტეტი კიდევ უფრო დაეცა სქიზმის დროს. იმისათვის, რომ ბოლო მოეღოთ სქიზმისათვის და აღედგინათ კათოლიკური ეკლესიის ერთიანობა, გადაწყვიტეს ევროპის ყველა ქვეყნის პრელატების, უნივერსიტეტის პროფესორების, თეოლოგებისა და მონარქთა წარმომადგენლების მონაწილეობით მოეწვიათ საეკლესიო კრება. ასეთი კრება შედგა 1409 წელს პიზაში. პიზის საეკლესიო კრებამ გადააყენა ორივე პაპი: რომის გრიგოლ XII და ავინიონის – ბენედიქტე III და პაპად აირჩია ალექსანდრე V. მაგრამ პირველი ორი კრების დადგენილების არ დამორჩილდა და ასე აღმოჩნდა 3 პაპი. ალექსანდრე V გარდაიცვალა 1410 წელს, ამბობენ, რომ ის მოწამლა კარდინალმა ბალთაზარ კოსამ, რომელიც შემდეგში გახდა პაპი – იოანე XXII-ს სახელით.

ასე რომ, ისევ სამი პაპი იყო სახეზე რომში – გრიგოლ XII, რომელსაც აღიარებდნენ ჩრდილოეთ და შუა იტალიაში (1406 წლიდან), ბენედიქტ XIII საფრანგეთსა და ესპანეთში, ბოლონიაში და იოანე XXIII, რომელსაც პაპად აღიარებდნენ ჩრდ. იტალიაში, შვეიცარიასა და გერმანიაში.

1414 წლის ნოემბერში, შვეიცარიაში, კონსტანცაში შეიკრიბა საეკლესიო კრება. მან, პირველ რიგში, გამოიძახა იან ჰუსი. რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ დაუმტკიცებდა კრებას სიმართლეს. თანაც იმპერატორმა სიგიზმუნდმა მას მისცა შეუვალობის სიგელი. ამით დაიმედებული იან ჰუსი კრებაზე გამოცხადდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ივი შეიპყრეს და მოსთხოვეს თავისი იდეების უარყოფა. ჰუსმა განაცხადა, რომ უარყოფდა, თუ დაუმტკიცებდნენ მათ მცდარობას საღვთო წერილის დამოწმებით. კრებამ არ მოისურვა ეს და განუცხადა ჰუსს, რომ საეკლესიო კრება ყველაზე მაღლა დგას.

1415 წლის 6 ივნისს ჰუსი, როგორც მწვალებელი, კოცონზე დაწვეს და მისი ფერფლი რაინში ჩაყარეს. ამან დიდი აღშფოთება გამოწვია ჩეხეთში და დაიწყო ჰუსიტური მოძრაობა. კონსტანტის კრებამ გადააყენა სამივე პაპი და აირჩია მარტინ V (1414-1431).

კრებამ მოისურვა რეფორმების გატარება: აკრძალა სიმონია, რამდენიმე თანამდებობის ერთ ხელში გაერთიანება, მაგრამ ვერ წავიდა რადიკალურ რეფორმებზე. პაპი წინ აღუდგა იმას, რომ საეკლესიო კრება პაპზე მაღლა უნდა იდგეს. პაპმა კრება 1418 წელს დაითხოვა.

მარტინ V-მ და ფრიდრიხ III ჰაბსბურგმა ჰუსიტების წინააღმდეგ მოაწყვეს ხუთი ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც მათთვის მარცხით დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტინ V-მ დანიშნა საეკლესიო კრება 1431 წელს და იმავე წელსვე გარდაიცვალა. კრება გაიხსნა 1431 წელს ბაზელში. ახალმა პაპმა ევგენი IV-მ იქ თავის წარმომადგენლად გააგზავნა კარდინალი ჯულიანო ცეზარინი.

ბაზელის კრებასაც იგივე მიზნები ჰქონდა – ჰუსიტებთან ბრძოლა და კათოლიკური ეკლესიის რეფორმა, თუმცა ამ კრებაზე დადგა ქრისტიანული ეკლესიის გაერთიანების საკითხიც.

კრების შემადგენლობა თავისებური იყო. ჭარბობდნენ ღვთისმეტყველების დოქტორები, ბერ-მონაზვნები და დაბალი სამღვდელოება. კრების დასაწყისშივე წარმოიშვა უთანხმოება, ერთი მხრივ, პაპსა და კარდინალებს, მეორე მხრივ, უმრავლესობას შორის. პაპმა კრების დაშლაც კი მოინდომა, მაგრამ ბაზელის კრება მას ტახტიდან გადაყენებით დაემუქრა და იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

ბაზელის კრებამ ჰუსიტების მიმართ შეცვალა პოლიტიკა. მიზნად დაისახა მათში განხეთქილების შეტანა და მოლაპარაკება დაიწყო მემარჯვენეებთან (მებარძიმეებთან) და 1433 წლის 30 ნოემბერს მათთან დადო შეთანხმება, რომელსაც კომპაქტატები ეწოდა. თაბორიტებმა არ ცნეს ისინი. დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც მებარძიმეების გამარჯვებით დამთავრდა.

ბაზელის კრებამ აკრძალა მთელი თემებისა და საზელმწიფოების განკვეთა. დაწესდა კრებების სისტემატური მოწვევა. ამან და ეკლესიის გაერთიანების საკითხმა კიდევ უფრო გაამწვავა უთანხმოება კრებაზე. ამ დროს ბიზანტია სულს ღაფავდა. იმპერატორმა იოანე VIII პალეოლოგმა ერთდროულად დაიწყო მოლაპარაკება პაპთან და კრებასთან.

ბაზელის კრებაზე მიღებულ იქნა რამდენიმე დადგენილება, რომელიც მოითხოვდა პაპის ხელისუფლების შეზღუდვას. პაპი არ ეთანხმებოდა კრების დადგენილებას. დაიწყო პოლემიკა, ბაზელის კრების უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ კრება პაპზე მაღლა დგას და პაპი უნდა დაემორჩილოს მის გადაწყვეტილებებს, ხოლო, პაპის აზრით, კრება დამოკიდებულია პაპზე და მისი დადგენილებანი მხოლოდ მას შემდეგ უნდა შედიოდეს ძალაში, როდესაც მას დაამტკიცებს პაპი. კრების მოთხოვნებით უკმაყოფილო პაპმა ევგენი IV-მ, 1437 წლის ბოლოს კრება დახურულად გამოაცხადა. პაპის მომხრეებმა დატოვეს კრება და 1438 წელს მოიწვიეს კრება ფერარაში, რომელიც შემდეგში ფლორენციაში გადაიტანეს. მიუხედავად ამისა, ბაზელის კრება მაინც აგრძელებდა მუშაობას.

ფერარა-ფლორენციის კრების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიის გაერთიანება ე. წ. უნია (ლათ, სიტყ. უნოს – ნიშნავს ერთს, ბერძნ. უნი – ერთი, უნიო – ერთიანობას). კრებას ესწრებოდნენ ბიზანტიის იმპერატორი იოანე VIII და აღმოსავლეთის ეკლესიის უმაღლესი სამღვდელოება. თანხმობა არ არსებობდა არც კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებსა და ბერძნულ ეკლესიის მესვეურებში. თვით მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა შორის ორი

მხარე არსებობდა – უმრავლესობა, მიტროპოლიტ ბესარიონ ნიკეელის ერთგულ ურობით, რომელიც მომხრე იყო გაერთიანების იმ პირობით, რასაც რომის ეკლესია სთავაზობდა და უმცირესობა, მიტროპოლიტ მარკოზ ეფესელის წინამძღოლობით. განსაკუთრებული დავის საკითხი იყო ფილიოკვე, რის ამოღებასაც სარწმუნოების სიმბოლოდან ითხოვდნენ მარკოზ ეფესელის მომხრეები.

1439 წლის ივლისში პაპმა, ბიზანტიის იმპერატორმა და დელეგატებმა ხელი მოაწერეს უნიას, მარკოზ ეფესელმა უარი განაცხადა ხელის მოწერაზე, როგორც ჩანს, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებიც არ შეერთებიან უნიას.

უნიატური ეკლესია, ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია ინარჩუნებდა ავტონომიას, თუმცა აღიარებდა პაპის უფლებებს. უნიატური ეკლესია აღიარებდა კათოლიკურ სიმბოლოს, მაგრამ პრაქტიკითა და ტრადიციით მართლმადიდებლობას – წირვა-ლოცვასა და საეკლესიო იერარქიას აგებდნენ „ბერძნული ტიპიკონის“ შესაბამისად, მიუხედავად ამ აქტისა, აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია მალევე ჩამოშორდა უნიას.

პარალელურად მოქმედმა ბაზელის კრებამ, 1439 წელს აირჩია თავისი პაპი – სავოის ჰერცოგი ამადეოს VIII – ფელიქს V-ის სახელით. ამგვარად, სქიზმა განახლდა (2 პაპი და 2 საეკლესიო კრება).

არსებულ სქიზმას თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ ევროპელი მონარქები. 1438 წელს საფრანგეთში გამოქვეყნდა პრაგმატული სანქცია, ხოლო 1448 წელს გერმანიაში – ვენის კონკორდატი, რომელიც განსაზღვრავდა საფრანგეთისა და გერმანიის ეკლესიების დამოკიდებულებას პაპთან. განსაკუთრებული სტატუსი მიიღო ჩეხეთის ეკლესიამაც, რომელმაც, რომის ეკლესიისაგან განსხვავებით, უფლება მიიღო ყველა ეზიარებინა პურითა და ღვინით.

1447 წელს გარდაიცვალა პაპი ევგენი IV. ახლად არჩეულმა პაპმა ნიკოლოზ V-მ მოახერხა დაეშალა ბაზელის საეკლესიო კრება და ერთიანობის აღდგენა, ყველა რეფორმა გაუქმდა.

ამგვარად, პაპი კვლავ დარჩა შეუზღუდავ მბრძანებლად ეკლესიაში, მაგრამ XV საუკუნის II ნახევრიდან პაპის ხელისუფლების გავლენა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე თანდათან სუსტდება. პაპები ამ დროიდან ვიწრო პოლიტიკას ატარებენ, ისინი საერო ხელისუფლების განხორციელებას მხოლოდ პაპის ოლქზე ახერხებდნენ, ცდილობდნენ სამფლობელოს გაფართოებას და თავიანთ ახლობლების დაწინაურებას. გრიგოლ VII-ს მსოფლიო თეოკრატიული იდეების გატარება მათ უკვე აღარ შეეძლოთ. მათ სურდათ თავიანთ საეკლესიო ოლქი გადაექციათ ნამდვილ სახელმწიფოდ და მოეწყოთ სხვა სახელმწიფოთა მსგავსად. თავიანთი ცხოვრების წესითა და მსოფლმხედველობით პაპები ემსგავსებიან საერო მთავრებს, რომლებიც ნომინალურად ატარებდნენ ქრისტეს მოადგილის ტიტულს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XXIII

დასავლეთ ევროპის ქვეყნების შუასაუკუნეობრივი კულტურა

შუა საუკუნეების კულტურის გენეზისი. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის კულტურა ერთი ათასწლეულის მანძილზე ყალიბდებოდა და მას საფუძვლად დაედო გვიანანტიკური ხანის რომის კულტურული ტრადიციები, რომელსაც შეერწყა ახალი ელემენტები – „ბარბაროსების“ (გერმანელი ხალხების) კულტურის სახით. ასე მივიღეთ რომანულ-გერმანული ხალხების კულტურული ერთობა, რომლის საწყისებს გამაერთიანებელი და სასიცოცხლო იმპულსი მისცა ქრისტიანულმა რელიგიამ, რომელიც აღმოსავლეთიდან შემოვიდა ევროპაში.

ქრისტიანობა და ქრისტიანული ეკლესია წარმოადგენდა ერთიან სხეულს, რომლის წევრებიც საერთო იდეებითა და მისწრაფებებით იყვნენ გაერთიანებული. მან კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის დაქუცმაცებულ საზოგადოების გაერთიანებისა და განათლების გავრცელების საქმეში. რადგანაც საეკლესიო იერარქია ადრეულ შუა საუკუნეებში, თავისი განათლებით ბევრად მაღლა იდგა სხვა ფეოდალურ ელემენტებზე, მას გააჩნდა უდიდესი გავლენა საზოგადოებაზე და მისი მსოფლმხედველობაც გახდა გაბატონებული მთელ ევროპაში.

ჯერ კიდევ გვიანანტიკურ საზოგადოებაში წარმოჩინდა მრავალი ქრისტიანი თეოლოგი, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს შუა საუკუნეების იდეოლოგიასა და კულტურას. მათი ავტორიტეტი დღესაც შეურყეველია, რადგან მსოფლმხედველობაში რელიგიური რწმენის ადგილის მარადიული ასპექტები წარმოაჩინეს. განსაკუთრებულ ადგილს ქრისტიანული თეოლოგიის ჩამოყალიბებაში მიაკუთვნებენ „კაპადოკიელ მამებს“: ბასილი დიდს, გრიგოლ ნაზიანზელს, გრიგოლ ნოსელსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს იოანე ოქროპირს (398-404). მათ ჩამოაყალიბეს ქრისტიანული მოძღვრება, როგორც ერთიანი სისტემა.

კაპადოკიელთა უმცროსი თანამედროვე იყო ნეტარი ავგუსტინე, რომელიც დასავლური ქრისტიანობის სპეციფიკის ჩამომყალიბებლად არის მიჩნეული.

ნეტარმა ავგუსტინემ (ავრელიუს ავგუსტინე) მიიღო ელინისტური განათლება და გარკვეული პერიოდი მოღვაწეობდა როგორც საერო პირი და ბრწყინვალე ლიტერატორი. იგი დაიბადა ნუმიდიის (ახლ. ალჟირი) ქალაქ თაგასტაში, კართაგენში მიიღო იურიდიული განათლება და იქვე დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა, შემდეგში გადავიდა რომსა და მილანოში, სადაც გაეცნო ციცერონისა და სხვა რომაელი ავტორების შრომებს. მილანოში ავგუსტინე გაეცნო წმ. ამბროსის, რომელმაც ის დაარწმუნა ქრისტიანობის უპირატესობაში. ავგუსტინე 387 წელს მოინათლა, ხოლო 396

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ის კართაგენის ახლო მდებარე ქალაქ ჰიპონიის ეპისკოპოსი (396-430) გახდა. აქვე ჩამოაყალიბა მან თავისი მოძღვრება ქრისტიანული დოგმისა და ქრისტიანული იდეალების შესახებ, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს შუა საუკუნეების კათოლიციზმისა და ისტორიის ქრისტიანული ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში. ავგუსტინე მრავალი ნაშრომის ავტორია, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „სამება", „აღსარება" და „ღვთის ქალაქი". ამ ნაშრომებში იგი შეეცადა დაემტკიცებინა ქრისტიანობის უპირატესობა წარმართობასთან. ავგუსტინე თავის ნაშრომებში ეხება ქრისტიანული დოგმატიკის კონსერვატიულ საკითხებს, დამოკიდებულებას ძველსა და ახალ აღთქმას შორის, აკრიტიკებს როგორც წარმართულ რელიგიებს, ასევე სხვადასხვა მწვალებლობას, რომელიც ჩნდება იმ პერიოდის ეკლესიაში.

ნაშრომში „ღვთის ქალაქი" ავგუსტინე სამყაროს ყოფს ღვთისა და მიწის ქალაქად. ეს გაყოფა, მისი აზრით მოხდა ადამის ცოდვაში ჩავარდნის შემდეგ. ორივე ქალაქი არსებობს მიწაზე, მაგრამ მათ განსხვავებული მიზნები გააჩნიათ. ღვთის (ზეციური) ქალაქის საფუძველი ღვთის სიყვარულია, ის ღვთის სამეფოს ხატია და ამკვიდრებს მშვიდობას, ხოლო მიწიერი ქალაქის საფუძველი საკუთარი თავისადმი სიყვარულია. ღვთის ქალაქი ესწრაფვის თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს მიწიერი, ე. ი. სახელმწიფო. ამ აზრით, ავგუსტინე ეკლესიისადმი სახელმწიფოს მორჩილების იდეას აყენებს. ავგუსტინეს მოძღვრება შუასაუკუნეობრივი აზროვნების განვითარებაში მიმართულების მიმცემი აღმოჩნდა. მისი მოძღვრებიდან განვითარდა ორთოდოქსალური მისტიკა, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია XIII საუკუნის მოღვაწის თომა აკვინელის შემოქმედებაში.

შუა საუკუნეების განათლების სისტემა, პოეზია და ლიტერატურა დიდად არის დავალებული „უკანასკნელ რომაელად და პირველ ქრისტიანად" წოდებული ანიუს მანელიუს სუვერენიუს ტორკვატუს ბოეციუსის (დაახლ. 480-525) შემოქმედებით. ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის თარგმნით მან შუა საუკუნეების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა ანტიკური კულტურა. ბოეციუსმა ლათინურად თარგმნა პლატონისა და არისტოტელეს შრომები.

ოსტგოთების მეფის თეოდორიხის პირველი მინისტრის ბოეციუსის ტრაქტატები მათემატიკასა და მუსიკაში, ნაშრომები ლოგიკასა და თეოლოგიაში წარმოადგენენ შუა საუკუნეების ფილოსოფიისა და განათლების სისტემის ფუნდამენტს. მისმა ნაშრომმა, „ფილოსოფიის ნუგეში", რომელიც ავტორმა სიკვდილმისჯილთა საკანში დაწერა, უდიდესი კვალი დააჩნია დასავლეთ ევროპის სულიერ ცხოვრებას. ამ ნაშრომში მთელი სისრულით აისახა ანტიკურობიდან შუა საუკუნეებში გარდამავალი ეპოქის ადამიანის აზროვნების თავისებურებანი. ბოეციუსის მტკიცებით, ადამიანი სწორ გზას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფიის მეშვეობით ირჩევს, მხოლოდ ფილოსოფიას შეუძლია ადამიანის წარმართვა ჭეშმარიტი ბედნიერებისაკენ, რომელიც იმქვეყნიურ სამყაროში არსებობს. ბოეციუსის მოძღვრებამ ცოდნისა და რწმენის დაკავშირების შესახებ ბიძგი მისცა სქოლასტიკის წარმოშობასა და განვითარებას.

ბოეციუსის მეგობარმა, ასევე ოსტგოთების სამეფოს კარის მინისტრმა კასიოდორიუსმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ანტიკური მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ქრისტიანული თეოლოგიის განვითარების საქმეში. ოსტგოთების სამეფოს დამხობის შემდეგ კასიოდორიუსი განმარტოვდა კალაბრიაში, სადაც დაარსა მონასტერი, რომელიც წარმოადგენდა იმდროინდელი კულტურის ცენტრს, მონასტერთან დაარსდა სკოლა და წიგნების გადასაწერი საბელოსნო (სკრიპტორიუმი). კასიოდორიუსის ნაშრომს მიეკუთვნება „გოთების ისტორია“, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ იორდანეს (VI ს. შუა ხანები) მიერ გადამუშავებული სახით მოაღწია.

კასიოდორიუსის მიერ დაარსებული მონასტერი გახდა ნიმუში მოგვიანებით ბენედიქტიანელთა მიერ დაარსებული მონასტრებისათვის, რომლებიც ხდებიან დასავლეთში კულტურული ტრადიციების დამცველნი.

VII საუკუნის დამდეგიდან აფრიკის მონასტრებიდან ბერები, მავრებისაგან შევიწროებულნი, იწყებენ გადასახლებას იბერიის ნახევარკუნძულზე, ვესტგოთების სამეფოში, სადაც იტალიისა და გალიისაგან განსხვავებით, ანტიკური ლიტერატურისადმი ჯერ კიდევ არსებობდა ინტერესი. VII საუკუნეში ვესტგოთების ესპანეთში სევილიის ეპისკოპოსმა ისიდორემ (დაახლ. 570-636) შექმნა შუა საუკუნეების პირველი ენციკლოპედიური ნაშრომი – „ეტიმოლოგია“.

ადრე შუა საუკუნეებში ისტორიის ასპარეზზე ევროპაში გამოდიან ბარბაროსი ხალხები, რომლებიც თანდათანობით ეზიარებიან ანტიკურობას. ამავე პერიოდში იწყება მათი თვითშემეცნების პროცესი. იწყებენ საკუთარი ისტორიის შექმნას. VI-VIII საუკუნეებში დაიწერა იმ ხალხების ისტორია, რომელთაც თავიანთი ინდივიდუალობით განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ერთიანი ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. გოთები, ფრანკები, ანგლები, ვანდალები და სხვ., დგანან შუა საუკუნეების ევროპული კულტურის სათავეებთან, მათ ანტიკური კულტურისა და ქრისტიანულ რელიგიის შეთვისებით ჩაუყარეს საფუძველი ევროპულ ცივილიზაციას.

ადრე შუა საუკუნეების საისტორიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშებია: გოთების ისტორიკოსის იორდანეს (VI ს) „გეთიკა“, გრიგოლი ტურელის (V I ს. II ნახ.) „ფრანკთა ისტორია“, ისიდორე სევილიელის (VII ს. I მესამედი) „გოთების, ვანდალების და სვევთა მეფეების ისტორია“, ბედა პატივდებულის (VII ს. ბოლო და VIII ს. დამდ) „ანგლების საეკლესიო ისტორია“, პავლე დიაკონის (VIII ს.) „ლანგობარდების ისტორია“.

ამგვარად, ადრე შუა საუკუნეების კულტურა, რომელიც გვიანანტიკური, ქრისტიანული და ბარბაროსული ტრადიციების სინთეზის რთულ პროცესს წარმოადგენდა, დასავლეთ ევროპის სულიერებას წარმოაჩენს, სადაც განმსაზღვრელი ადგილი ეკავა ქრისტიანულ რელიგიასა და ეკლესიას.

„კაროლინგური აღორძინება“. კარლოს დიდის იმპერიისა და კაროლინგების დინასტიის სამეფოების (გერმანიასა და საფრანგეთში) კულტურულ აღმავლობას 1839 წელს ფრანგმა ისტორიკოსმა ჟ. ამპერმა „კაროლინგების აღორძინება“ უწოდა. მიუხედავად ისტორიკოსთა მძაფრი კრიტიკისა, დღემდე ასე უწოდებენ ამ ეპოქის კულტურულ აღმავლობას. „კაროლინგური აღორძინება“ გამოისახა სკოლების დაფუძნებით, სამეფო კარზე მეცნიერთა შემოკრებით, ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების განვითარებით.

კაროლინგების ხანაში კულტურული აღმავლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ეკლესია. სასულიერო ხელისუფლების იდეოლოგიით და კარლოს დიდის ავტორიტეტითა და ზრუნვით VIII საუკუნის II ნახევრიდან იწყება დასავლეთ ევროპის კულტურული აღმავლობა, კარლოსის კულტურულმა მოღვაწეობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ანტიკურობის დაცემის შემდგომ ევროპის საერთო განვითარებასა და აღორძინებაში. კარლოს დიდი ცდილობდა სხვადასხვა ხალხისაგან შემდგარი სახელმწიფოს კონსოლიდაციას ქრისტიანული რელიგიის საფუძველზე, რისთვისაც მის დროს განხორციელდა გარკვეული რეფორმები საეკლესიო საღვთისმეტყველო სფეროში. კარლოს დიდის დროს დაიწყო ბიბლიის სხვადასხვა ხელნაწერთა შედარება და ერთიანი კანონიკური ტექსტის დადგენა კაროლინგების სახელმწიფოსათვის. ასევე გატარდა რეფორმა ლიტურგიაში, რომის ეკლესიის შესაბამისად.

კარლოს დიდმა სასულიერო წოდების მოსამზადებლად და საეროო პირთა შვილებისათვის განათლების მისაღებად, დააარსა სკოლები. დაახლოებით 787 წელს გამოიცა „კაპიტალური სწავლების შესახებ“, რომელიც ავალდებულებდა ყველა ეპარქიასა და მონასტრებს დაეარსებინათ სკოლები, მონასტრები, რომელთა დიდი ნაწილი, დაარსებული იყო ირლანდიელი, ანგლოსაქსი და ფრანკი მისიონერების მიერ წარმოადგენდნენ განათლების კერას.

კარლოს დიდის ეპოქაში განათლების ცენტრს წარმოადგენდა სამეფო კარის აკადემია აახენში. კარლოსი თვითონაც ბევრს ზრუნავდა საკუთარ განათლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ წერას ვერ დაეუფლა, ის კარგად ფლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს. სამეფო კარის აკადემიაში კარლოსმა შეკრიბა მეცნიერები ევროპის სხვადასხვა რეგიონიდან. აქ მოღვაწეობდნენ იმ დროის ცნობილი სწავლულები: ანგლოსაქსი ალკუინი (დაახლ. 730-804), ლანგობარდი პავლე დიაკონი (დახლ. 720-799), ვესტგოთი თეოდულფი (დაახლ. 760-821) და კარლოსის ცხოვრების აღმწერელი ეინჰარდი (დაახლ. 770-840). მათ კარლოსთან დაახლოებულ პირებთან ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად შექმნეს სამეფო კარის სწავლულთა საზოგადოება – აკადემია. ჯგუფის ხელმძღვანელმა ალკუინმა დააარსა სამეფოო კარის სკოლა კარლოსისა და მისი ვასალების, წარჩინებულთა შვილებისათვის. სკოლაში სწავლება ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა.

კარლოსი პირადად ღებულობდა მონაწილეობას სამეფო კარის აკადემიის მუშაობაში. აკადემიის წევრები ხშირად ანტიკური ლიტერატურისა და ბიბლიის შესაბამისად იღებდნენ ფსევდონიმებს: კარლოსი – დავითს, ალკუინი – ფლაკუსს (ჰორაციუსი), ანგილბერტი – ჰომეროსს და კიოლნის არქიეპისკოპოსი ჰილდებოლდი – მოსეს ძმის აარონის სახელს.

ლიტერატურული საუბრები მიმდინარეობდა ლათინურ ენაზე. ლათინურის შესასწავლად კითხულობდნენ და იწერდნენ ვირგილიუსსა და ნეტარ ავგუსტინეს და ცდილობდნენ დაეზეპირებინათ ხატოვანი გამოთქმები, რომელთაც შემდეგში იყენებდნენ წერილებსა და თავიანთ გამოსვლებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მეტყველების ხელოვნებას ენიჭებოდა, სიტყვებში ეძებდნენ საიდუმლოო მნიშვნელობებს, საუბრობდნენ ალეგორიებით. მასწავლებელი მოსწავლეებს ასწავლიდა სიტყვების თამაშს. ამის მაგალითიც არის ალკუინის სახელმძღვანელო, რომელიც დაწერილია დიალოგის ფორმით, კარლოსის ვაჟისათვის. პიპინი: – რა არის ასო? ალკუინი: – ისტორიის დარაჯი. პიპინი: – რა არის სიტყვა? ალკუინი: – სულის გამცემი. პიპინი: – ვის ჰგავს ადამიანი? ალკუინი: – სფეროს. პიპინი: – როგორ არის ადამიანი მოწყობილი? ალკუინი: – როგორც ლამპარი ქარში... პიპინი: – რა არის თავი? ალკუინი: – სხეულის მწვერვალი. პიპინი:. – რა არის სხეული? ალკუინი: – სულის სამყოფელი პიპინი: – რა არის ზამთარი? ალკუინი: – ზაფხულის განდევნა. პიპინი: – რა არის გაზაფხული? ალკუინი: – დედამიწის ფერმწერი. პიპინი: – რა არის სიცოცხლე? ალკუინი: – ბედნიერთათვის სიხარული, უბედურთათვის მწუხარება, სიკვდილის მოლოდინი როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვის. პიპინი: – რა არის ადამიანი? ალკუინი: – სიკვდილის მონა, სტუმარი თავის სახლში, გამვლელი მგზავრი.

მიუხედავად იმისა, რომ სასახლის აკადემიის წევრებს იმავდროულად სასულიერო ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ, კარლოსის ეპოქის სწავლულები უდიდეს თაყვანს სცემდნენ ანტიკურ კულტურას. ეინჰარდის ნაშრომი „კარლოს დიდის ცხოვრება“, დაწერილია სვეტონიუსის მიბაძვით. კარლოსის თანამედროვე პოეტი წერდა: „დროება განახლდა, აღდგა ძველი ცხოვრება, აღორძინდება, რითაც ბრწყინავდა რომი“.

ანტიკური საისტორიო მწერლობის ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენდა კარლოსის კარზე მოღვაწე ისტორიკოსთა შრომები. ამ ისტორიკოსთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს პავლე დიაკონს, რომელიც ბრწყინვალე მცოდნე იყო ბერძნული და ლათინური ენების. მის კალამს ეკუთვნის „ლანგობარდების ისტორია“ ექვს წიგნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლოსმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ხელნაწერთა გადაწერებას. ხელნაწერები იქმნებოდა გარკვეული და ლამაზი ნაწერებით, რომელსაც კაროლინგურ მინუსკულს უწოდებენ. კაროლინგურმა მინუსკულმა დაუდო საფუძველი ლათინური ასოების თანამედროვე გამოსახვას.

სკრიპტორიუმები, ანუ საგადამწერო სახელოსნოები არსებობდა დიდ მონასტრებთან, რომელთაგანაც განსაკუთრებით ცნობილია ტურის და ფულდის მონასტრებში არსებული სკრიპტორიუმები. სკრიპტორიუმებში იწერდნენ საეკლესიო ნაწარმოებებს და აგრეთვე ანტიკურ ავტორთა შრომებს (მაგ., ცეზარის, ტაციტუსის, სვეტონიუსის, ვირგილიუსის და სხვ.).

გადამწერები ხელნაწერებს ბიბლიურ თემაზე შექმნილი მინიატურებით ამკობდნენ. მინიატურები იყო ფერადი, ისევე როგორც აბზაცის თავში მოთავსებული ასოები, რომლებიც ხშირად გამოისახებოდა თევზის ან ცხოველებისა და ფრინველების სახით.

კარლოს დიდის ხანაში ფრანკთა სახელმწიფოში სასახლეებისა და ეკლესია-მონასტრების მშენებლობას ფართო გასაქანი ჰქონდა. ხუროთმოძღვრები უმთავრესად ბიზანტიურ და ძველი რომის არქიტექტურას ბაძავდნენ. კაროლინგური ხანის უმნიშვნელოვანეს ხუროთმოძღვრულ ძეგლს წარმოადგენს აახენის კაპელა, რომელსაც ისტორიკოსები ბიზანტიურ წმ. ვიტალის ტაძარს ამსგავსებენ, ასევე ამსგავსებენ აახენის სასახლეს თეოდორიხის სასახლეს რავენაში. ამ შენობათა აგებისას კარლოსის ბრძანებით იტალიიდან ჩამოტანილ იქნა ძველი ანტიკური ტაძრების მარმარილოს კოლონები.

კარლოს დიდის სახე ფართოდ აისახა თანამედროვე თქმულებებსა და ლეგენდებში. კარლოსის გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ სენ-გალენის მონასტრის ბერმა შეკრიბა ეს თქმულებები, სადაც კარლოსი არის ბრძენი და სამართლიანი მმართველი. ლეგენდები მას „რკინის" კარლოსად მოიხსენიებენ. კარლოსის სახელიდან წარმოიშვა სლავ ხალხში მეფის აღმნიშვნელი სიტყვა – კაროლი, „Король".

სკოლა. „შვიდი თავისუფალი ხელოვნება". შუა საუკუნეების იდეოლოგიაში აბსოლუტურად გაბატონებული იყო რელიგია. განათლებას შუა საუკუნეებში ძირითადად სასულიერო ხელისუფლება ხელმძღვანელობდა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ეკლესიაში მოღვაწეობდნენ ის ადამიანები, რომლებიც ფლობდნენ იმ პერიოდის ეკლესიისა და მეცნიერების ენას – ლათინურს. შუა საუკუნეებში ლათინური შეერ-

სკოლა შუა საუკუნეებში

წყა ბარბაროსების ენების ნორმებს, მას „შუა საუკუნეების ლათინურს" უწოდებენ.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში განათლების კერას წარმოადგენდა ეკლესია-მონასტერი. მონასტრებში იქმნებოდა თეოლოგიური შრომები, თუმცა არ ივიწყებდნენ ანტიკურ ტრადიციებსაც. მონასტრებში იკითხებოდა ლათინური ავტორები, ხდებოდა მათი გადაწერა. სამონასტრო წესდების თანახმად, ბერს უნდა ემუშავა ფიზიკურად და გონებრივად. ეს უკანასკნელი გამოიხატებოდა წიგნების გადაწერაში. ამდენად, დიდ მონასტრებში არსებობდა სკრიპტორიუმები, წიგნის გადასაწერი სახელოსნოები, მათში კალიგრაფიაში გაწაფული ბერები იწერდნენ საღვთო წერილის წიგნებს, რომაელი მწერლების თხზულებებს. შუა საუკუნეებში წიგნი ძალიან ძვირად ფასობდა. ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა ევროპაში სულ რამდენიმე ათეულ წიგნს ითვლიდა. ქაღალდი ევროპაში შემოვიდა აზიიდან, XIII საუკუნეში, ჯვაროსნული ომების შემდეგ. მანამდე იხმარებოდა ჭილი (ბერძ. პაპირუსი) და ეტრატი – დამუშავებული ტყავი. ანტიკურ სამყაროში მის დამუშავებაში დახელოვნებული იყო მცირე აზიის ქალაქი პერგამონი. ამიტომ უწოდებენ მას პერგამენტს. რადგანაც პერგამენტი ძალიან ძვირი იყო, ზოგჯერ ძველ ხელნაწერებს შლიდნენ და ახალს წერდნენ. ამჟამად მათი აღდგენა შესაძლებელი ხდება. აღდგენილ ხელნაწერს პალიმფსესტი ეწოდება.

ეკლესიის ხელში იყო სასკოლო განათლებაც. სკოლა მიზნად ისახავდა სასულიერო კადრების მომზადებას. სკოლას ინახავდა ეპისკოპოსის ან მონასტრის გაცემული ბენეფიციუმი. სკოლაში ძირითადად ვაჟები სწავლობდნენ. ქალებს მდიდარი ოჯახები განათლებას სახლებში აძლევდნენ. ღარიბთა ნაწილი დედათა მონასტერში იღებდა განათლებას. თავდაპირველად მასწავლებლები მხოლოდ სასულიერო პირები იყვნენ, შემდეგში – საეროც, მაგრამ მათ მაინც უყურებდნენ, როგორც სასულიერო წოდების წარმომადგენლებს. ისინი ექვემდებარებოდნენ ცელიბატის წესს, საეკლესიო სასამართლოს, ატარებდნენ სასულიერო ტანსაცმელს.

სკოლა არ იყო ძალიან მიმზიდველი. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ბატონობდა წკეპლის დისციპლინა, მეორე იმიტომაც, რომ ლათინური ენა, რომელზეც სწავლება მიმდინარეობდა, უცხო იყო. სკოლებში კლასები არ არსებობდა. მოსწავლეები იყოფოდნენ უფროს და უმცროს შეგირდებად. უმცროსები იზეპირებდნენ ლოცვებს: „მამაო ჩვენოს", ღვთისმშობლისადი მიმართულ ლოცვებს და ა. შ. სწავლობდნენ ასოებს, იწყებდნენ წერას, შემდეგ კითხვასა და ანგარიშს. თუ ამას დაემატებოდა რამდენიმე საეკლესიო წიგნის შესწავლა, შესაძლებელი იყო დაბალი საეკლესიო თანამდებობის მიღება. ნაწილი ხდებოდა უფროსი შეგირდი. ისინი გადიოდნენ ე. წ. არტისტულ სისტემას, რომელიც შედგებოდა „შვიდი თავისუფალი ხელოვნებისაგან". ეს სისტემა V საუკუნეში შეიმუშავა რომაელმა პედაგოგმა მარკიანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპელამ., VI საუკუნეში კასიოდორმა ეს შვიდი საგანი გაყო ორ ნაწილად – ტრივიუმად და კვადრიუმად. ტრივიუმში (ცოდნის სამი გზა – სწავლების პირველი საფეხური) შედიოდა შემდეგი საგნები: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა; კვადრიუმში („ცოდნის ოთხი გზა" – სწავლების მეორე საფეხური) – არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა.

გრამატიკა მთავარი საგანი იყო. მის შესწავლაზე იხარჯებოდა ყველაზე დიდი დრო. ისწავლებოდა ლათინური ენის გრამატიკა ელიუს დონატუსის (IV ს.) მოკლე გრამატიკის, ე. წ. დონატის მიხედვით. ამაში შედიოდა კლასიკოსების თხზულებების წაკითხვა. მათი დამოუკიდებელი შესწავლა არ იყო მიზანი, მიზანი იყო მხოლოდ გრამატიკული წესების განმტკიცება. გრამატიკის შესწავლას აძნელებდა ქარაგმები, რომელთა შემოღება გამოიწვია საწერი მასალის სიძვირემ. შედგენილი იყო ასობით ქარაგმა, რომელთა დაზეპირება აუცილებელი იყო.

რიტორიკა ასწავლიდა მჭევრმეტყველებას. რიტორიკა მაშინ ესმოდათ, როგორც ლათინურ ენაზე სწორი მეტყველება და წერა. აქვე შედიოდა იურიდიული დოკუმენტების შედგენის წესის ცოდნა. დიალექტიკა – საუბარი, კამათის ხელოვნება. ის ასწავლიდა მოცემული წანამძღვრებიდან სწორი დასკვნების გაკეთებას. ეს იყო არისტოტელეს ფორმალური ლოგიკა. არითმეტიკა – თვლა, ანგარიში, ოთხი მოქმედება, პითაგორას გამრავლების ტაბულაზე შორს ვერ მიდიოდნენ. არითმეტიკის შესწავლას ძალიან აძნელებდა იმ დროს გაბატონებული ციფრული სისტემა. ნული მხოლოდ არაბებისაგან გახდა ცნობილი ევროპისათვის. არითმეტიკას ჰქონდა პრაქტიკული დანიშნულება – პასხალიუსის (სააღდგომო) კალენდრის შედგენა და სხვა საეკლესიო დღესასწაულების გაანგარიშება. ასტრონომია შეისწავლიდა ციურ ხილულ სხეულებს და მასაც პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა საეკლესიო დღესასწაულების დადგენისათვის. საეკლესიო დღესასწაული ხშირად მზისა და მთვარის მიმოქცევასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, აღდგომა აღინიშნებოდა ბუნიობის დღიდან პირველი სავსე მთვარის შემდეგ პირველ კვირას.

გეომეტრია იძლეოდა ელემენტარული ფიგურების ცოდნას, სწავლობდნენ მიწის აზომვასა და მის გადატანას ქაღალდზე მასშტაბების მეშვეობით. ამაში შედიოდა კარტოგრაფიისა და გეოდეზიის ელემენტები. გეომეტრიის ცოდნა აუცილებელი იყო ტაძრებისა და სხვა ხუროთმოძღვრული ნაგებობათა შესაქმნელად. მუსიკა – კათოლიკური ღვთისმსახურება წარმოუდგენელი იყო მუსიკის გარეშე. მუსიკის გაკვეთილებზე მოსწავლეებს უნდა გამოემუშავებინათ საეკლესიო გალობის უნარი. არსებობდა მოუხეშავი სანოტო სისტემა. ყველა ბგერას გამოხატავდა ასო.

უნივერსიტეტები. XII საუკუნის ბოლოდან ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა სამართლისა და მედიცინის სფეროსათვის სპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალური განათლების მქონე პირთა მომზადება. დიდ ქალაქებში ტაძრებთან არსებული სკოლები თანდათან გადაკეთდა ზოგად და მოგვიანებით, უმაღლეს სკოლად – უნივერსიტეტად.

უმაღლესი სკოლა აღმოსავლეთში ბიზანტიასა და არაბეთში უფრო ადრე აღმოცენდა. უნივერსიტეტები დასავლეთ ევროპაში ჩნდება იქ, სადაც განთქმული მეცნიერები მოღვაწეობდნენ. თავდაპირველად უნივერსიტეტს „Studium generale" ეწოდებოდა, რაც ნიშნავდა „საყოველთაო სკოლას". ასე ეწოდებოდა იმიტომ, რომ მისი კარი ღია იყო ევროპის ყველა ქვეყნის ახალგაზრდისათვის.

სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული სტუდენტები უნივერსიტეტში ქმნიდნენ თანამემამულეთა კორპორაციას – გაერთიანებას, რომელსაც ლათინურად უნივერსიტასი (Universitas) ეწოდებოდა. მას შემდეგ, რაც ამ კორპორაციაში თვით ლექტორებმაც მიიღეს მონაწილეობა, უმაღლესმა სკოლამ დაკარგა თავისი ძველი სახელწოდება და დაერქვა უნივერსიტეტი. მას ჰქონდა თვითმმართველობა. მისი წევრები თავისუფლდებოდნენ სამხედრო და საგუშაგო ვალდებულებებისაგან. უნივერსიტეტის წევრად ითვლებოდა ყველა, ვინც თავიანთი საქმიანობით დაკავშირებული იყო მასთან: პროფესორები, სტუდენტები, წიგნის გამყიდველები, ბინის გამქირავებლები და ა.შ. უნივერსიტეტს ჰქონდა თავისი სასამართლო. უნივერსიტეტის ლექტორები (მაგისტრები და პროფესორები) ერთიანდებოდნენ სპეციალურ ორგანიზაციებში, რომლებსაც ფაკულტეტები (ლათ. Facultas – უნარი, ე.ი. ნიჭი ამა თუ იმ საგნის სწავლებისა) ეწოდებოდათ. ყოველი ფაკულტეტი ირჩევდა დეკანს 1 წლით, ყველა ერთად – რექტორს ნახევარი წლით (სიტყვა რექტორი რეგო – ვმართავ). უნივერსიტეტში იყო 3-4 ფაკულტეტი: არტისტული (ფილოსოფიის), თეოლოგიის (საბუნებისმეტყველო), ლეგისტური (იურიდიული) და სამედიცინო. არტისტული ფაკულტეტი არსებითად ეს იყო მოსამზადებელი განყოფილება, სადაც 13-14 წლის ბავშვები სწავლობდნენ – „შვიდ თავისუფალ ხელოვნებას". იგი სავალდებულო იყო ყველა სტუდენტისათვის. შემდეგში სწავლას აგრძელებდნენ იმ ფაკულტეტებზე, რომლის ნიჭიც აღმოაჩნდებოდათ. ყოველ უნივერსიტეტში რომელიმე ფაკულტეტი უფრო მეტად იყო განვითარებული. ამიტომაც სტუდენტები ხშირად მოგზაურობდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად. ასეთ სტუდენტებს ვაგანტებს – „მოხეტიალეებს" უწოდებდნენ. გადასვლა ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში ადვილი იყო, რადგანაც უნივერსიტეტში სწავლება ყველგან ერთ ენაზე, ლათინურზე მიმდინარეობდა. ამიტომაც უბანს, სადაც უნივერსიტეტი მდებარეობდა, ლათინური უბანი ეწოდებოდა.

უნივერსიტეტი არ იყო ეროვნული ორგანიზაცია. ეს იყო ინტერნაციონალური, სადაც უცხოელი სტუდენტები არცთუ კარგად გრძნობდნენ თავს. ამიტომაც წარმოიშობოდა სათვისტომოები. პარიზის უნივერსიტეტში იყო

ოთხი ნაცია: გალური, პიკარდიული, ნორმანური და ინგლისური. ყოველი ნაცია ირჩევდა მზრუნველს – პროკურატორს. ეს ძალიან საპატიო თანამდებობა იყო. ივი ადგენდა მატრიკულებს – სტუდენტების სიას. სტუდენტს ევალებოდა ლექციებზე დასწრება. გაცდენის შემთხვევაში დაწესებული იყო ფულადი ჯარიმა.



ლექცია შუა საუკუნეების უნივერსიტეტში

შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს ლექციური სისტემა, რასაც საფუძვლად დაედო წიგნების სიძვირე. ლექციებს წიგნებიდან კითხულობდნენ, აქედანაა გამოთქმა ლექცია. ხშირად ივი კარნახის სახეს იღებდა.

უნივერსიტეტებში ხშირად იმართებოდა დისპუტები. ეს იყო შეჯიბრი ცოდნაში. დისპუტისათვის გამოყოფილი იყო ამფითეატრის მსგავსი ოთახი, სადაც სცენა ბარიერით იყო შუაზე გაყოფილი. ზოგჯერ დისპუტები ისეთ სიმძაფრეს აღწევდა, რომ მონაწილეები ერთმანეთს დაერეოდნენ და ჩხუბში გადადიოდა.

სწავლების პირველი საფეხურის დამთავრების შემდეგ სტუდენტი იღებდა ბაკალავრის წოდებას და აბარებდა სამაგისტრო გამოცდებს. ბოლოს მაგისტრები სწავლას დოქტორის ხარისხით ამთავრებდნენ.

სტუდენტებს შორის არსებობდა დიდი სხვაობა მატერიალური შესაძლებლობის მხრივ. უმცირესობა შეძლებული იყო. ღარიბი სტუდენტები მოწყალებით ცხოვრობდნენ. მოწყალების თხოვნა სტუდენტების მიერ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და არ ითვლებოდა სამარცხვინოდ. ქალაქის საბჭო ან ფილანტროპები ასეთი სტუდენტებისათვის აწყობდნენ საერთო საცხოვრებლებს – კოლეგიუმებს, სადაც სტუდენტებს უფასოდ ეძლეოდათ ბინა და მცირე საკვები. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი და სტუდენტები მაინც მათხოვრობდნენ, ძირითადად ჯგუფ-ჯგუფად, რაც აწუხებდა ქალაქის მდიდარ მოსახლეობას. ამიტომ ბურჟუებმა შემოიღეს გადასახადი, რომელსაც უგზავნიდნენ ქალაქის საბჭოს. ვინც გადაიხდიდა სტუდენტის სასარგებლო გადასახადს, მისი სახლის წინ მოწყალების თხოვნა არ შეიძლებოდა.

ზოგჯერ კოლეგიუმში სახლდებოდნენ პროფესორებიც. ხშირად იქვე იწყებდნენ ლექციების კითხვას. კოლეგიუმი იქცეოდა უნივერსიტეტად. ასეთი იყო პარიზის სორბონი, დაარსებული 1274 წელს პარიზის ღვთისმეტყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველების ფაკულტეტის ღარიბი სტუდენტებისათვის ლუი IX-ის კარის მოძღვრის რობერ დე სორბონის მიერ. უნივერსიტეტის რექტორი ნიშნავდა კოლეგიების ზედამხედველს.

დასავლეთ ევროპის პირველი უმაღლესი სკოლა წარმოიშვა სალერნოში (სამხრ. იტალია) XI საუკუნის I ნახევარში. იგი ცნობილი იყო სამედიცინო ფაკულტეტით. ჩრდილოეთ იტალიაში ცნობილი იურისტის ირნერიუსის ლექციების საფუძველზე XI საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა ბოლონიის უნივერსიტეტი. პარიზში უკვე 1200 წელს არსებობდა უნივერსიტეტი, რომელიც იყო „ფილოსოფოსთა მექა“ და „ახალი ათენი“. პირველი გერმანული უნივერსიტეტი იყო პრაღის უნივერსიტეტი (1348), შემდეგში წარმოიშვა ვენის, ჰაიდელბერგისა და კიოლნის უნივერსიტეტები. XIII საუკუნის დამდეგს დაარსდა ინგლისის უძველესი უნივერსიტეტები ოქსფორდსა და კემბრიჯში.

ადრეულ პერიოდში უნივერსიტეტების დაარსების თარიღის დადგენა ძნელია, რადგანაც ხელისუფლება ოფიციალურად არ აცხადებდა მათ დაარსებას. მხოლოდ XIV საუკუნიდან ხერხდება მათი დაარსების თარიღის დადგენა. XV საუკუნის დამლევისათვის ევროპაში დაახლოებით 60 უნივერსიტეტი არსებობდა, აქედან 25% გერმანიაზე მოდიოდა.

სკოლებისა და უნივერსიტეტების ქსელის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა მოთხოვნილება წიგნებზე – XII საუკუნიდან იხსნება საქალაქო სახელოსნოები, სადაც ხდებოდა წიგნების გადაწერა და აქ უკვე მუშაობდნენ არა ბერები, არამედ ხელოსნები. XIV საუკუნიდან წიგნის წარმოებაში ფართოდ გამოიყენება ქაღალდი. წიგნების გავრცელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბეჭდის გამოგონებას. პირველი წიგნი დაბეჭდა გერმანელმა გამომგონებელმა იოჰან გუტენბერგმა (1400-1468) 1445 წელს. ამ გამოგონებამ განათლებისა და მეცნიერული ცოდნის გავრცელებას უდიდესი ბიძგი მისცა.

შუა საუკუნეების მსოფლმხედველობა. სქოლასტიკა. შუა საუკუნეებში თეოლოგია ანუ რელიგიური ფილოსოფია იდეოლოგიის უმაღლესი ფორმა იყო. ქრისტიანული იდეოლოგიით გაჟღენთილი იყო მეცნიერება. ყველაზე გავლენიან მსოფლმხედველობას წარმოადგენდა სქოლასტიკა – „სასკოლო ფილოსოფია“. სქოლასტიკოსები მიზნად ისახავდნენ ქრისტიანული მსოფლმხედველობის ლოგიკურ დასაბუთებას. სქოლასტიკა აგებული იყო არისტოტელეს ფორმალურ ლოგიკაზე.

ქრისტიანული მოძღვრება განავითარეს წმინდა მამებმა, რომელთა შორის უდიდეს ავტორიტეტს კათოლიკური ეკლესიისათვის წარმოადგენდა ნეტარი ავგუსტინე. მაგრამ ზოგჯერ წმინდა მამათა ნაშრომებში ერთი და იგივე დებულება სხვადასხვანაირად იყო გაშუქებული, რაც იწვევდა მათ კრიტიკას. სქოლასტიკოსების მიზანი სწორედ ამ წინააღმდეგობების დაძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევა და სხვადასხვა მოსაზრებათა შეთანხმება იყო. მათი მიზანი იყო არა ახალი ცოდნის მოპოვება, არამედ ავტორიტეტის მიერ გამოთქმული აზრის კომენტირება, ლოგიკური გააზრება. ამდენად, სქოლასტიკისათვის დამახასიათებელი ნიშანია ძველი ავტორიტეტის თაყვანისცემა. უმთავრესი ავტორიტეტი იყო საღვთო წერილი, აგრეთვე არისტოტელეს შრომები. შემდეგში მოდიოდა სხვადასხვა მეცნიერება. მედიცინაში – ჰიპოკრატე, გეოგრაფიასა და კოსმოგრაფიაში – პტოლემაიოსი და ა. შ.

ლოგიკური აზროვნების გამოსამუშავებლად სქოლასტიკოსები სტუდენტებს განყენებულ კითხვებს უსვამდნენ. მათ დასვეს ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელთაც მოგვიანებითაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა ფილოსოფიაში. ერთ-ერთი საკითხი იყო უნივერსალიების (Universalia) – ზოგადი ცნების შესახებ. საკითხი ასე იდგა: აქვს თუ არა უნივერსალიას (ზოგად ცნებას) რეალური არსებობა მატერიალური სამყაროს საგნებისაგან განცალკავებით. ამასთან დაკავშირებით სქოლასტიკოსები ძირითადად გაიყვნენ ორ მიმდინარეობად: რეალისტებად და ნომინალისტებად. პირველნი ამბობდნენ, რომ უნივერსალიები არსებობდნენ მატერიალური საგნებისაგან განცალკევებით. ამ ნაწილს რეალისტებს უწოდებდნენ, თუმცა იყვნენ უკიდურესი იდეალისტები. ისინი იმყოფებოდნენ პლატონის იდეების გავლენის ქვეშ, რომლის მიხედვით არსებობს ორი სამყარო – იდეებისა და მატერიალური. სანამ გაჩნდებოდეს საგანი, მანამდე არსებობს მისი იდეა, რომ ჭეშმარიტია მხოლოდ იდეა. ცნობილი რეალისტები იყვნენ IX საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი იოანე სკოტ ერიუგენა, XI საუკუნის ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე და საეკლესიო მოღვაწე ანსელმ კენტერბერიელი და ფრანგი ფილოსოფოსი გიიომ შამპო.

„სქოლასტიკის მამად" მონათლული ერიუგენა ირლანდიიდან იყო. იგი დაახლოებით 845 წელს საფრანგეთში გადავიდა, სადაც შარლ მელოტის კარზე მოღვაწეობდა. მისი უმთავრესი ნაშრომია: „ბუნების დაყოფისათვის".

ანსელმ კენტერბერიელი ჰილდებრანდის (პაპ გრიგოლ VII-ის) მიმდევარი იყო. მისი მთავარი ნაშრომებია: „დიალოგი გრამატიკაზე", „პროსლოგიონი, ანუ რწმენა, რომელიც გაგებას ეძებს", „მონოლოგიონი", „არჩევანის თავისუფლებაზე", „რატომ გახდა ღმერთი ადამიანი", „ჭეშმარიტებისათვის" და სხვ. მან წამოაყენა ცნობილი დებულება – „ირწმუნე, რათა შეიცნო".

ამავე დროს, პარიზში წარმოიშვა საწინააღმდეგო მიმართულება – ნომინალიზმი, რომლის ფუძემდებელია როსცელინი (1050-1125). იგი ამტკიცებდა, რომ უნივერსალიები დამოუკიდებლად არ არსებობდნენ, მხოლოდ სახელს წარმოადგენენ (nomen – სახელი), აქედან – ნომინალისტები.

ნომინალისტებსა და რეალისტებს შორის ცხარე კამათი იმართებოდა. ზოგჯერ მოწინააღმდეგენი მიმართავდნენ უპატიოსნო საშუალებებს. მოუძებნიდნენ რა ერთმანეთს ერეტიკულ აზრებს, ერთიმეორეს კოცონზე აგზავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიდნენ. ასეთი აზრი გამოუძებნეს მოსწავლეებმა გიიომ შამპოს, რომელიც იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის შეხედულებებზე.

როსცელინისა და გიიომ შამპოს მოწაფე იყო პიერ აბელარი (1079-1142) ცნობილი თხზულების „ჰო და არას" (sic et non) ავტორი. იგი ავითარებს თეორიას, რომლის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს მისი დებულების დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი. იგი უარს აცხადებს ავტორიტეტების უსიტყვო თაყვანისცემაზე. იგი ამბობს, რომ შეიძლება ირწმუნო მხოლოდ ის ჭეშმარიტება, რომელიც მისაწვდომია გონებისათვის. იმისათვის, რომ ირწმუნო, ჯერ უნდა შეეჭვდე, შემდეგ მოდის ძიება, კვლევა და რწმენა, მან შეაბრუნა ანსელმ კენტერბერიელის დებულება შემდეგნაირად „შეიცან რათა ირწმუნო".

აბელიარმა წამოაყენა ნომინალისტებისა და რეალისტებისაგან განსხვავებული თეორია უნივერსალიების შესახებ, რომელსაც კონცეპტუალიზმი ეწოდება. ამ თეორიის თანახმად უნივერსალიები საგნებისაგან დამოუკიდებლად არ არსებობენ. უნივერსალიები – რეალური საგნის შესაბამისი იდეები – ადამიანის გონებიდან (concepcio) მომდინარეობს. აქედან წარმოდგება კონცეპტუალიზმი.

აბელიარმა ორჯერ დაამარცხა კამათში მისი მასწავლებელი გიიომ შამპო და სახელი გაითქვა, როგორც ბრწყინვალე ორატორმა. მოგვიანებით მას შეტაკება მოუხდა შუა საუკუნეების სხვა მოძღვრების – მისტიკის – წარმომადგენლებთან.

მისტიკა, როგორც მსოფლმხედველობა, სქოლასტიკის პარალელურად ვითარდებოდა. მის ფუძემდებლად მიიჩნევენ ბერნარ კლერვოელს (1091-1153), რომელიც იყო ფრანგი ღვთისმეტყველი და კლერმონის ტაძრის აბატი, მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის მქადაგებელი. თუ სქოლასტიკოსები ღვთაებრივი ჭეშმარიტების ჩაწვდომას ცდილობდნენ გონებით, ბერნარ კლერვოელს ეს შესაძლებლად მიაჩნდა სულის გასპეტაკებით – მხოლოდ რწმენით.

ბერნარ კლერვოელმა გაილაშქრა პიერ აბელიარის წინააღმდეგ, თუმცა მათ შორის დაპირისპირების მიზეზი იმდენად ფილოსოფიური პოზიციების განსხვავებულობა არ ყოფილა, რამდენადაც პიერ აბელარის მიერ ეკლესიის ავტორიტეტის უარყოფა, რაც აისახა მის ნაშრომში „ჰო და არა". პიერ აბელიარის შეხედულებანი დაგმო საეკლესიო კრებებმა 1121 და 1140 წლებში.

1140 წელს სანსში ბერნარ კლერვოელის თაოსნობით მოწვეულ საეკლესიო კრებას, რომელმაც განკვეთა აბელიარის შეხედულებანი, ესწრებოდა საფრანგეთის მეფე ლუი VII. აბელიარი ცდილობდა ეს გადაწყვეტილება რომის პაპთან გაესაჩივრებინა, მაგრამ ბერნარმა დაასწრო მას და პაპმა ბრძანა მისი ნაშრომების დაწვა. აბელიარი რომში მიმავალი ერთ-ერთ მონასტერში გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბელიარის მოწაფეები იყვნენ არნოლდ ბრეშიელი, ოტო ფრაიზინგერი, იოანე სოლსბერისიელი. ეს უკანასკნელი ტომას ბეკეტის მეგობარი იყო.

სქოლასტიკის აყვავების ხანაა XIII საუკუნე. ამ დროს ვითარდება უნივერსიტეტები, იზრდება ინტერესი ანტიკური მემკვიდრეობისადმი, ამიტომაც ხშირად ამ ეპოქას თანამედროვე მკვლევარნი პროტორენესანსს უწოდებენ. ითარგმნება ლათინურ ენაზე ჯერ არაბულიდან, შემდეგ ორიგინალიდან ბერძენ-რომაელ ფილოსოფოსთა ნაშრომები, უპირველეს ყოვლისა, არისტოტელეს თხზულებანი, ასევე ევკლიდეს, პტოლემაიოსის, ჰიპოკრატესა და სხვათა ტრაქტატები. უკვე XIV საუკუნეში კონსტანტინოპოლიდან ჩამოაქვთ ბერძნული ტექსტები და უშუალოდ ბერძნულიდან თარგმნიან.

პირველი დიდი სქოლასტი, რომელმაც არისტოტელე შეისწავლა და კომენტარები მიუძღვნა, იყო გერმანელი ალბერტ დიდი (1191-1280). ეს იყო დომინიკელი ბერი, რომელიც ლექციებს კითხულობდა კიოლნსა და პარიზში. მისი არაერთი თხზულება – 21 ფოლიანტი – XVII საუკუნეში გამოიცა. მას ლათინურად „მაგნუსი“ უწოდეს.

ანტიკური მწერლების გავლენით ალბერტ მაგნუსი გამოთქვამდა მრავალ საინტერესო მოსაზრებას. მაგალითად, იმას, რომ დედამიწა მრგვალია. ეს თეორია გაიზიარა ფრანგმა სქოლასტმა პიერ დალიმ წიგნში – „სამყაროს გამოსახულება“. ეს წიგნი ქრისტეფორე კოლუმბის სამაგიდო წიგნი იყო.

ალბერტ დიდის მოწაფე იყო იტალიელი თომა აკვინელი (1225-1274), რომელიც შეეცადა არისტოტელიზმისა და კათოლიკური თეოლოგიის შერწყმას. მას ეკუთვნის მრავალი თხზულება, რომელთა შორის აღსანიშნავია „Summa theologiae“ – თეოლოგიის ჯამი. ესაა ენციკლოპედიური ნაშრომი, სადაც ეყრდნობა რა არისტოტელეს, თომა აკვინელი ადამიანის მისწრაფებათა შორის უმაღლესად თვლის სიბრძნისაკენ სწრაფვას. ეს, მისი აზრით, არის უმაღლესი ჭეშმარიტებისაკენ, ღმერთისაკენ სწრაფვა. რწმენა პირველადია, თუმცა მარტო რწმენა არ კმარა, გონებასაც უნდა მოვუხმოთ მის დასასაბუთებლად. ასეთია თომა აკვინელის ფილოსოფია, ე. წ. თომიზმი, რომელიც XIV საუკუნის დამდეგიდან კათოლიკური ეკლესიის ოფიციალურ დოქტრინად ცხადდება. მეტიც, დოქტრინა კათოლიკურ ეკლესიისათვის იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ პაპმა იოანე XXIII-მ თომა აკვინელი სიკვდილის შემდეგ, 1323 წელს წმინდანად შერაცხა.

თომა აკვინელს არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ არ ჰკლებია მოწინააღმდეგეები. მთავარ დებულებას, რომ გონებასა და რწმენას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს, რაც ჭეშმარიტია ღვთისმეტყველების თვალსაზრისით, ჭეშმარიტი იქნება ფილოსოფიისა და მეცნიერების თვალსაზრისით და, ამდენად, ადამიანის ყველა დასკვნა რწმენის წინააღმდეგ სოფისტურია, დაუპირისპირდნენ ავეროისტები – არაბი მოაზროვნის ავეროსის მიმდევრები, რომლებიც მოღვაწეობდნენ პარიზის უნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერსიტეტის არტისტულ ფაკულტეტზე. ისინი მოითხოვდნენ ფილოსოფიის გათავისუფლებას თეოლოგიისა და დოგმის ზეგავლენისაგან.

XIII საუკუნეში ფილოსოფიაში მისტიკური ხაზი გააგრძელა თომა აკვინელის თანამედროვემ ბონავენტურამ, რომელიც გამოვიდა თომისტური რაციონალიზმის წინააღმდეგ, ავგუსტინურ-პლატონური ტრადიციებიდან გამომდინარე.

ნეოპლატონისტური იდეების განვითარებაში XIV საუკუნის ევროპაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს გერმანელმა მისტიკოსებმა, რომელთა მეთაურადაც მაისტერ ეკჰარტი (1260-1327) ითვლება, რომელიც, როგორც დომინიკანელი მოძღვარი, ჯერ სტრასბურგში, შემდეგში კი კიოლნში მოღვაწეობდა. ცნობილი მკვლევარი იოზეფ ბერჰარტი წიგნში – „ფილოსოფიური მისტიკა შუა საუკუნეებში“, წერს, რომ ეკჰარტის მოძღვრება არის „უცხადესი პანთეიზმი“ და ამაოა ცდა საეკლესიო მოძღვრებასთან მისი შეთანხმებისა. მაისტერ ეკჰარტს თავისი ქადაგებების თავისუფლების გამო სიცოცხლეშივე შეექმნა პრობლემა უმაღლეს სასულიერო იერარქებთან. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემული პაპის იოანე XXII-ის ბულაში შერისხულია მისი რამდენიმე დებულება.

მაისტერ ეკჰარტის მოწაფეებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ იოჰან ტაულერი, ჰაინხი ზოიზე და ნიდერლანდელი მოაზროვნე იოჰანეს რუისბრეკი.

ფილოსოფიისა და თეოლოგიის შერიგებას, რომელსაც თომა აკვინელი ქადაგებდა, მოგვიანებით მრავალი მოწინააღმდეგე გაუჩნდა დასავლეთ ევროპაში. ეს დაპირისპირება აისახა საეკლესიო წრის შიგნითაც. დომინიკელები აღმოჩნდნენ თომიზმის დამცველნი, ხოლო მათ დაუპირისპირდნენ ფრანცისკანელები. ფრანცისკანული ორდენის წევრები იყვნენ ინგლისელი ფილოსოფოსები იოანე დუნს სკოტი (1265-1308) და უილიამ ოკამი (1285-1349), რომლებიც არიან ინგლისური ნომინალიზმის წარმომადგენლები, დუნს სკოტი პრინციპულად დაუპირისპირდა თომიზმს და წინა პლანზე წამოსწია ნების თავისუფლება, რასაკვირველია, ის ეყრდნობოდა ნეტარი ავგუსტინეს ვოლუნტარისტულ პრინციპს, რაც იმ დროისათვის სქოლასტიკური აზროვნების ჩარჩოებიდან გათავისუფლების მოთხოვნას წარმოადგენდა. უილიამ ოკამი დუნს სკოტის მოწაფე იყო, რომელიც დაუპირისპირდა თომიზმს და იყო მომხრე ცოდნისა და რწმენის ერთმანეთისაგან გამიჯვნის, მას თეოლოგია და ფილოსოფია განსხვავებულ სფეროებად მიაჩნდა. იგი ასევე დაუპირისპირდა სკოტიზმს. ოკამის ნომინალიზმა ხელი შეუწყო სქოლასტიკის რღვევას. მას უწოდებდნენ „უკანასკნელ სქოლასტიკოსს ლოგიკოსთა შორის და უკანასკნელ ლოგიკოსს სქოლასტიკოსთა შორის“. მის გვიანდელ ნომინალიზმს ოკამიზმს უწოდებენ. ნომინალიზმის პრინციპზე აგებული მისი მსოფლმხედველობა ემყარება მეთოდოლოგიურ პრინციპს, რომელიც, მისი აზრით, წარსულისა და თანამედროვე თეორიათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკის იარაღიცაა. ოკამმა თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა ინგლისისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში.

სქოლასტიკის კრიტიკა. XIII საუკუნიდან იწყება ახალი აღმოჩენები, დაამზადეს სათვალე, მექანიკური საათი, გამოიგონეს გრადუსთა ბადე (მერიდიანები და პარალელები), უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მაგნიტური ისრის გამოგონებას, რაც არაბებისაგან ისწავლეს, შედეგები კი განავითარეს იტალიელებმა. დიდი აღმოჩენა იყო დენთი. იგი შეიტანეს აზიიდან. ზოგი მის შემომტანად ასახელებს მარკო პოლოს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარკო პოლოს წიგნს გეოგრაფიის განვითარებისათვის. მაგრამ ეს აღმოჩენები ოფიციალური ფილოსოფიის გარეთ რჩება, ავტორიტეტებში არ პოვებენ დასაბუთებას. აშკარა იყო წინააღმდეგობა. სქოლასტიკოსების წრიდან გამოდიან სქოლასტიკის პირველი კრიტიკოსები. ასეთი კრიტიკის ცენტრი XIII საუკუნეში იყო ოქსფორდის უნივერსიტეტი, სადაც მოღვაწეობდა ცნობილი მეცნიერი როჯერ ბეკონი (1214-1294). მან სწავლა ოქსფორდში დაიწყო, იქვე გაეცნო არისტოტელეს თხზულებებს. ცოდნის გასაღრმავებლად რ. ბეკონი გაემგზავრა პარიზში, სადაც ისმენდა ალბერტ მაგნუსისა და თომა აკვინელის ლექციებს. შემდეგ დაბრუნდა ოქსფორდში და თვითონვე იწყო ლექციების კითხვა. მოგვიანებით ის ბერად აღიკვეცა და შეუდა ფრანცისკანულ ორდენში.

თანამედროვენი როჯერ ბეკონს მისი აზროვნების თავისებურებებისა და მომხიბვლელობის გამო „საოცარ დოქტორს" უწოდებდნენ. მისი მიზანი იყო მეცნიერული ცოდნის დაკავშირება პრაქტიკასთან. მეცნიერების მიზანს კი, მისი აზრით, წარმოადგენდა ბუნების საიდუმლოებათა გაგება. იგი ცდილობდა ფილოსოფიის, როგორც ყოვლისმომცველი ცოდნის ადამიანის სამსახურში ჩაყენებას. 1267 წელს გამოდის მისი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „დიდი თხზულება" (Opus mailus), რომელშიც ილაშქრებს სქოლასტიკის ძირითადი ნაკლის – ძველი ავტორიტეტების ბრმა თაყვანისცემის წინააღმდეგ. ბეკონი აღნიშნავს, რომ ავტორიტეტს არა აქვს ფასი, თუ მის დებულებას არ დაამტკიცებს ცოდნის სამი წყარო: ავტორიტეტი, გონება და ცდა (დაკვირვება). მას აუცილებლად მიაჩნია ბუნების შესწავლა დაკვირვების საშუალებით და ამ დაკვირვებით მათემატიკის კანონებისადმი დაქვემდებარება. იგი განიხილავს გრამატიკას, რომელშიც შედის ტექსტების კრიტიკა. ლაპარაკობს ტექსტის სწორი გაგების მნიშვნელობაზე, ეხება გეოგრაფიას, ქრონოლოგიას, მუსიკას, ასტროლოგიის საკითხებს, ოპტიკასა და თვალის ანატომიას. ბეკონმა განჭვრიტა მიკროსკოპის, ტელესკოპის, თვითმფრინავის აღმოჩენა. იგი იყო პირველი მეცნიერი, რომელიც იცნობდა მაგნიტური ისრის თვისებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეკონი ასევე მოღვაწეობდა ასტროლოგიაში. ის ასტროლოგიისა და მაგიას მეცნიერებად თვლიდა, რაც, რასაკვირველია, მისი თანამედროვე ეპოქის აზროვნებას შეესაბამებოდა, მაგრამ ისიც არის საინტერესო, რომ მან ამ საქმიანობაში რამდენიმე სასარგებლო ასტრონომიული და ქიმიური დაკვირვება მოახდინა. მან თავის ლაბორატორიაში შექმნა მაშინდელი კომპასი – წყალზე დასმული ისარი, რისთვისაც იგი ფრანცისკანელებმა ჯადოქრად გამოაცხადეს და ჩასვევს ციხეში, სადაც 14 წელი დაყო. გამოსვლის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

ნიკოლოზ კუზანელი. უდიდესი მოაზროვნე, რომელმაც აღორძინების ფილოსოფიის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა, იყო ნიკოლოზ კუზანელი (1401-1464), რომელიც ეკუთვნოდა უმაღლეს საეკლესიო ფენას კათოლიკურ ეკლესიაში. იგი ცდილობდა ახალი ეპოქის მოთხოვნები შეეთანხმებინა ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან. თეოლოგიისა და მეცნიერების დაკავშირებით მან ცოდნისა და რწმენის თანხმობის პოზიციას ახალი ძალა შესძინა. ნიკოლოზ კუზანელისათვის სიბრძნე არის ღმერთის წვდომისაკენ სწრაფვა. ღმერთი ვლინდება ყოველ არსებულში. კუზანელის ფილოსოფია იდგა ეპოქათა მიჯნაზე. მან, ერთი მხრივ, შუა საუკუნეების ფილოსოფია შეაჯამა და იმავდროულად კონკრეტული, რეალური ადამიანის ღირებულებებისა და აქტივობის დაფუძნებით ადამიანის შესახებ, ახალ მსოფლმხედველობას ჩაუყარა საფუძველი.

ცრუ მეცნიერებანი. შუა საუკუნეებში ვრცელდება ცრუ მეცნიერებანიც. განსაკუთრებულ ინტერესს ასტროლოგიისა და ალქიმიისადმი იჩენდნენ, რაც ანტიკურობიდან მოდიოდა. ასტროლოგიის – ვარსკვლავთმრიცხველობის (მკითხაობის) სჯეროდა ბევრ მეცნიერსა და თვით სახელმწიფოს მეთაურსაც კი. ხშირად მეფეები და სარდლები რაიმე გადაწყვეტილების მიღების წინ ასტროლოგებს ეკითხებოდნენ რჩევას. ალქიმიკოსების წარმოდგენით შესაძლებელი იყო „ფილოსოფიური ქვის“ მიღება. ამ ქვით კი ნებისმიერი ლითონის ოქროდ გადაქცევა, ასევე „სიცოცხლის გამახანგრძლივებელი“ ელექსირის მიღება. როჯერ ბეკონიც, როგორც ითქვა, ალქიმიკოსი იყო.

დიდი გასაქანი მიეცა მაგიას – ბუნების გასულიერებას, სწამდათ კუდიანობა. მაგალითად, ჟან პერსონს დაწერილი აქვს წიგნი დემონების შესახებ.

იმდროინდელი ცრუმორწმუნეობის ერთ-ერთი ნიმუში არის ცისტერციანელი ბერის ცეზარიუს ჰაისტელბახელის (XIII ს.) ნაშრომები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „საუბრები სასწაულებზე“.

ცრუმეცნიერებათა (განსაკუთრებით ასტროლოგიისა და ალქიმიის) გავრცელებამ შუა საუკუნეებში გარკვეული დადებითი როლი მაინც შეასრულა მეცნიერების განვითარებაში. ცდებმა და დაკვირვებებმა, რომელსაც მიმართავდნენ მაშინ, ხელი შეუწყო ცოდნის დაგროვებას ასტრონომიასა და ქიმიაში. აღმოაჩინეს ახალი მნათობები, ქიმიური ელემენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა. საგმირო, სარაინდო და საქალაქო ლიტერატურა. ქრისტიანული ეკლესია „შუა საუკუნეებში“ ადამიანის ამქვეყნიურ ზრუნვას ამაოებად მიიჩნევდა, მისთვის ქრისტიანის მოვალეობა – შებრძოლებოდა თავის ცოდვილ ბუნებას – შეუთავსებელი იყო მის საერო ყოველდღიურ ყოფით ინტერესებთან. ამდენად, ადრეული შუა საუკუნეების წერილობით ძეგლებში ნაკლებადაა ასახული ადამიანთა ამქვეყნიური ვნებანი, თუ მზედველობაში არ მივიღებთ საისტორიო მწერლობას, რომელშიც ასევე საზოგადოების განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად ღმერთია გამოცხადებული. ეს მწერლობა დაფუძნებულია ნეტარ ავგუსტინეს თეოლოგიურ კონცეფციაზე, რომლის თანახმადაც მთელი ისტორიული პროცესი განიხილება, როგორც ღვთიური გეგმის განხორციელება, ხოლო ცალკეული მოვლენა, როგორც ღვთის ნების გამოვლინება ან, პირიქით, დარღვევა.

საერო მწერლობის განვითარებას შუა საუკუნეების დასავლეთში ნაკლები საშუალება ჰქონდა. ლიტერატურაში გაბატონებული იყო რელიგიურ-საეკლესიო მიმართულებანი და მათში მთავარი ადგილი ეკავა ჰაგიოგრაფიას, წმინდანთა ცხოვრების აღწერას და მათ შესახებ ლეგენდებს. მაგრამ ეს ნაწარმოებები მიუწვდომელი იყო ფართო მასებისათვის, რადგანაც ისინი ძირითადად იქმნებოდნენ ლათინურ ენაზე.

დასავლეთ ევროპის ხალხთა ისტორიის ადრეულ ეტაპზე ჩნდება ხალხურ ენაზე ბალადები და თქმულებები, რომლებიც მოუთხრობდნენ გმირულ წარსულზე და შთაგონებდნენ მათ ბრძოლის ველზე. საგმირო ეპოსის პირველი ჩანაწერები დასავლეთში ჩნდება VII-IX საუკუნეებში – კელტების, ანგლო-საქსების, გერმანელების, ძველ სკანდინავიელთა საბრძოლო თავგადასავლების სახით. ამ პოემებში აშკარად ჩანს გერმანული მითოლოგიის გავლენა და, ამდენად, ის მიუღებელი იყო სამღვდელოებისათვის. საგმირო ეპოსი უფრო კარგად შემოინახა სკანდინავიის ნახევარკუნძულზე, სადაც წარმართული რელიგია ყველაზე დიდხანს შემორჩა.

დასავლეთ ევროპის საგმირო ეპოსში ხშირად აისახება რეალური ისტორიული მოვლენა, თუმცა დიდი ადგილი უჭირავს ფანტასტიკას, რომელიც ძალიან ჰგავს ფოლკლორსა და ზღაპრებს.

მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან ძეგლებს წარმოადგენენ დასავლეთევროპული საგმირო პოეზიის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა: ანგლოსაქსური ეპოსი „თქმულება ბოევულფზე“, ფრანგული „სიმღერა როლანდზე“, ესპანური „სიმღერა ჩემს სიდზე“, გერმანული „სიმღერა ნიბელუნგებზე“.

XI-XII საუკუნეებში ძირითადად მოხდა დასავლეთევროპული საგმირო ეპოსის ჩაწერა, აქამდე იგი ძირითადად ზეპირსიტყვიერებაში არსებობდა. მათი გმირები იყვნენ თავიანთი სამშობლოსა და ხალხის დამცველნი.

„სიმღერა ბოევულფზე“ ჩაწერილია დაახლოებით 1000 წელს და მოგვითხრობს გაუტების ხალხის ახალგაზრდა მეომარზე, რომელმაც მრავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საგმირო საქმე ჩაიდინა, მრავალჯერ დაამარცხა ურჩხული და დაიღუპა დრაკონთან ბრძოლაში. ეს ფანტასტიკური თავგადასავალი გადმოცემულია რეალურ ისტორიულ ფონზე, რომელიც ასახავს ჩრდილოეთ ევროპის ხალხებში ფეოდალიზაციის პროცესს.

ისლანდიური საგები შუა საუკუნეების ეპოსებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. ესენი წარმოადგენენ მხატვრული სიტყვის საუკეთესო ნიმუშს და ნათლად გადმოსცემენ საერთო-გერმანულ მითოლოგიურ ფონს ჩრდილოეთ ევროპის ხალხების ისტორიაში. ისლანდიური საგა „უფროსი ედა" შეიცავს თორმეტ ადრეისლანდიურ სიმღერას.

XIII საუკუნის სკალდს, ასე უწოდებენ სკანდინავიელები ძველი დროის საგმირო მთხრობელს, სნორი სტურლუსონს ეკუთვნის საგმირო ეპოსი „უმცროსი ედა".

რეალური ისტორიული მოვლენა დაედო საფუძვლად ფრანგულ ეპოსს „სიმღერა როლანდზე" და ესპანურ ბალადას „სიმღერა ჩემს სიდზე". „სიმღერა როლანდზე" გადმოგვცემს ფრანკთა იმპერატორის მავრების წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდს. 778 წელს კარლოს დიდს ესპანეთის ლაშქრობიდან დაბრუნებისას ბასკებმა, პირენეის მთების რონსევალის ხეობაში, ზურგის მცველი რაზმი (არიერგარდი) გაუწყვიტეს. ამ ბრძოლაში დაიღუპა მეფესთან დაახლოებული წარჩინებული როლანი. „სიმღერა ჩემს სიდზე" კი ესპანელი ხალხის არაბთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის რეკონკისტის ერთ-ერთ ეპიზოდს ასახავს.

XII საუკუნეში შეიქმნა გერმანული ეპოსი „ნიბულენგების სიმღერა", რომელიც მოგვითხრობს ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის შესახებ. ჩვენ მათში ვხედავთ გმირებს, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიულ პროტოტიპებს – ეტცელი (ატილა), დიტრიხ ბერნელი (თეოდორიხი), ბურგუნდიის მეფე გუთრუმი და სხვა.

XI საუკუნის ბოლოდან პროვანსი, სამხრეთ საფრანგეთი ხდება სარაინდო პოეზიის გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა. საერო ლიტერატურის განვითარებას ამ ტერიტორიაზე ხელი შეუწყო მისმა მდებარეობამ. პოეტი-რაინდები – ე. წ. ტრუბადურები თხზავენ ლირიკულ ლექსებს, რომელში აისახა რაინდული მორალი და ადათ-ჩვეულებანი. მათ სატრფიალო ლექსებზე ხშირად სიმღერებს თხზავდნენ და სრულდებოდა მუსიკის თანხლებით, რაინდების სასახლეებში. ერთ-ერთი ასეთი ტრუბადური იყო აკვიტანიის ჰერცოგი გიიომ IX.

ყველაზე ადრინდელად არის მიჩნეული პროვანსელი ტრუბადურების მარკაბრიუნისა და სერკამონის მიერ დაწერილი სიმღერები – სერვენტები. სერვენტი იყო სტროფული სიმღერა მიძღვნილი პოლიტიკური მოწინააღდეგისადმი საზოგადოებრივ თემაზე. სარაინდო პოეზიის სახე იყო პასტუ-

რელები – ლირიკული პიესა, რომელიც მისტიროდა შეყვარებულთან გან-
შორებას. შემდეგში აღმოცენდა კანცონები – სასიყვარულო სიმღერები.

ტრუბადურების პოეზია თანდათან ვრცელდება მთელ დასავლეთში. გერმანიაში რაინდ-პოეტებს მინეზინგერებს უწოდებდნენ. ლირიკის გვერდით შუა საუკუნეების გერმანიაში განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს სარაინდო რომანი. გერმანულ სარაინდო ეპოსში ხშირად სიუჟეტები აღებულია ანტიკური, ძველი გერმანული თუ კელტური ისტორიიდან. ისინი ცდილობენ ამ სიუჟეტების შეგუებას მათ თანამედროვე ეპოქასთან. გერმანული სარაინდო ეპოსის საუკეთესო ნიმუშები შექმნეს ვოლფრამ ფონ ეშენბახმა, ჰარტმან ფონ აუემ და ვალტერ ფონ ფოგელვაიდემ.

სარაინდო ლიტერატურა არა მხოლოდ ასახავდა რაინდთა თვითმყოფადობასა და მის იდეალებს, არამედ თვითონ ამკვიდრებდა ამაღლებულ გრძნობებს, სიყვარულისა და ქალის კულტს, ქმნიდა რაინდულ მორალსა და ჩვევებს, რომელმაც უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა შუა საუკუნეების საზოგადოება. ამავე ეპოქაში იწერებოდა ახალი სტილის ნაშრომები „ამბავნი“ „De Gesta“, რომელთა ავტორები გადმოსცემდნენ რეალურ პიროვნებათა საგმირო თავგადასავალს, მათ თავდადებას სამშობლოსა და ხშირად სარწმუნოებისათვის. სარაინდო რომანები იწერებოდა ეროვნულ ენებზე და ხელს უწყობდა ეროვნული ცნობიერების განვითარებას.

შუა საუკუნეების სარაინდო (კურტუაზელი) რომანის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო კელტური ეპოსი მეფე არტურისა და მრგვალი მაგიდის რაინდების შესახებ. აქედან წარმოიშვა სასიყვარულო ისტორია ტრისტან და იზოლდასი. სარაინდო რომანის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივი იყო წმინდა გრაალის ძებნა – თასი, რომელშიც გადმოცემის თანახმად, დაგროვილი იყო მაცხოვრის სისხლი. გრაალი გახდა სიმბოლო სულიერებისა. ამ თემაზე შეიქმნა XII საუკუნის ცნობილი ფრანგი პოეტის კრეტიენ დე ტრუას ნაწარმოები – „პარციფალი“.

XIII საუკუნის ბოლოდან რაინდობა კარგავს მნიშვნელობას. ისინი თავიანთ იარაღს უკვე არ იყენებენ კეთილშობილური მიზნებისათვის. მათი სულისკვეთება კნინდება, ილახება ღირსების გრძნობა. თანდათან დაეცა კურტუაზული რომანიც. ეს რომანები უფრო და უფრო კარგავენ რეალურ ცხოვრებასთან კავშირს. სარაინდო რომანის აღდგენის მცდელობას წარმოადგენს XV საუკუნეში ინგლისელი წარჩინებულის, ტომას მელორის რომანი „არტურის სიკვდილი“.

გარდა საგმირო და სარაინდო ეპოსისა, დასავლეთში არსებობდა ქალაქური პოეზიაც. XII-XIII საუკუნეებში, როდესაც დასავლეთ ევროპაში ქალაქი ხდება კულტურის ცენტრი, რასაკვირველია, აქ კულტურის კერას უნივერსიტეტები და მათი პროფესურა წარმოადგენდა, რომელიც ამკვიდრებდა იმ ეპოქისათვის მაღალი საზოგადოების შესაფერის ტრადიციებს, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მის გვერდით არსებობდა ქალაქის დაბალი ფენების კულტურა. ქალაქის მოსახლეობა არ წააგავდა არც რაინდებს. ესენი იყვნენ თავისუფალი ადამიანები, როგორც მაშინ ამბობდნენ: „ქალაქის ჰაერი თავისუფლებას ბადებს“. საქალაქო ცხოვრების ტემპი თანდათან აშორებდა ეკლესიას და ხდებოდნენ უფრო ინდივიდუალური, რასაკვირველია, უფრო თავისუფალი. მათ წიაღში აღმოცენდა ახალი ქალაქური ლიტერატურა, რომელიც იქმნებოდა ძირითადად სახალხო, ეროვნულ ენებზე.

ქალაქური ლიტერატურის პოპულარული ჟანრი იყო ნოველები, იგავები, სატირული სიმღერები, რომელსაც ფრანგები ფაბლიოს, ხოლო გერმანელები შვანკებს უწოდებდნენ.

საქალაქო ლიტერატურა ატარებს სატირულ-კრიტიკულ ხასიათს და იგი მიმართული იყო საერო და საეკლესიო იერარქიის მაღალი ეშელონების წინააღმდეგ, თუმცა იგი არ ატარებს მკვეთრად გამოხატულ ანტიფეოდალურ ხასიათს; ის უფრო ამათრახებდა თავისი ეპოქის მავნე ჩვევებსა და წესებს.

ამ ლიტერატურის რიცხვს მიეკუთვნება გერმანული შვანკი „ხუცესი ამისი“, რომლის ავტორი არის შტრიკერი, იგი მოღვაწეობდა XIII საუკუნის II ნახევარში. მის ლექსებში, რომელიც მან უფრო ადრე გამოაქვეყნა, გადმოცემულია რაინდულ-არისტოკრატული იდეების დაკნინება. „ხუცესი ამისი“-ში იუმორისტულად არის აღწერილი ცბიერი ხუცესის თავგადასავალი, რომელიც თავისი ჭკუამახვილობითა და მოხერხებულობით ძლევს დაბრკოლებებს.

საზოგადოებრივი ყოფის კრიტიკას წარმოადგენს ასევე იგავები ცხოველების შესახებ, რომელიც ძველთაგანვე იყო ცნობილი სხვადასხვა ხალხის ლიტერატურაში. ასეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი იყო „რომანი მელაზე“, რომელიც შეიქმნა საფრანგეთში, მაგრამ გავრცელდა შემდეგში დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ამ რომანში ასახულია მელასა და მგლის ბრძოლები, სადაც მელა თავისი ჭკუითა და მოხერხებულობით მუდამ გამარჯვებული რჩებოდა. გერმანიაში ძალიან პოპულარული იყო XV საუკუნის ბოლოს ამ სიუჟეტზე შექმნილი იგავი „რაინეკე მელა“. „რაინეკე მელა“, რომელიც პაპის მიერ აკრძალულ წიგნთა სიაში მოხვდა, შემდეგში შთაგონების წყარო გახდა სხვა ცნობილი გერმანელი ავტორებისათვის.

შუა საუკუნეების საქალაქო ლიტერატურის ფრიად მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს „რომანი ვარდზე“, რომლის ავტორები არიან გიიომ დე ლორისი და ჟან დე მენი. ამ ნაწარმოებში უკვე ჩანს სწრაფვა თავისუფლებისადმი, ავტორი ადიდებს ბუნებას და ადამიანთა თანასწორობას.

ქალაქური კულტურისა და ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მოხეტიალე სტუდენტებმა — ვაგანტებმა. მათში ძლიერი იყო უკმაყოფილება თანამედროვე საზოგადოებისა და საეკლესიო პირთა მიმართ. ისინი თავიანთ ლექსებში, რომლებიც ძირითადად ლათინურ ენაზე იქმნებოდნენ, აკრიტიკებდნენ იმდროინდელ რეჟიმს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XIII საუკუნიდან ჩაისახა საქალაქო თეატრალური ხელოვნება. ქალაქებში სახალხო ზეიმებს მართავდნენ მოხეტიალე მუსიკოსები და მსახიობები – ჟონგლიორები, რომლებსაც ხშირად თან დაჰყავდათ გაწვრთნილი ცხოველები. ისინი ამავდროულად იყვნენ აკრობატები, მოცეკვავეები და მომღერლები. ამ წარმოდგენებში ქალაქის ცენტრში ხშირად იმართებოდა სასაცილო სცენები – ფარსები, რომლებშიც დასცინოდნენ დაკნინებულ რაინდებსა და მდიდართა სიხარბეს.

გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება ნაშრომები გეოგრაფიაში. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო ლათინურ ენაზე XIII საუკუნის I ნახევარში ბერის პლანო კარპინის ნაწარმოები, რომელშიც აღწერილია მისი მოგზაურობა მონღოლეთში. უდიდესი ინტერესი გამოიწვია XIII საუკუნის II ნახევარში შექმნილმა მარკო პოლოს მოგზაურობის აღწერამ. ეს იყო მისი მოგზაურობა სახმელეთო გზით ჩინეთში, სადაც მან 17 წელი გაატარა და უკან მობრუნდა ვენეციაში ინდოეთის ოკეანის, ირანის, ტრაპიზონისა და კონსტანტინოპოლის გავლით.

შუა საუკუნეების ხელოვნება. ხელოვნება, ისევე როგორც განათლება, შუა საუკუნეებში რელიგიური იდეებით იყო შთაგონებული. არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება ძირითადად ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცებას ემსახურებოდა.

როგორც უკვე ვიცით, შუა საუკუნეების ევროპაში შენდებოდა სენიორთა სასახლეები, ციხესიმაგრეები, მიმდინარეობდა ქალაქთმშენებლობა, მაგრამ შუა საუკუნეების არქიტექტურაში, მაინც უმნიშვნელოვანესი ადგილი სასულიერო ნაგებობებს უჭირავს.

ქრისტიანული არქიტექტურა, ხელოვნების სხვა სახეებთან ერთად, კატაკომბებიდან დაიწყო. ქრისტიანულ არქიტექტურაში თანდათან ჩნდება განსხვავება. იგი ძირითადად იყოფა აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანულ არქიტექტურად. აღმოსავლური, ბიზანტიური არქიტექტურა სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ადრე შუა საუკუნეებში. XI საუკუნიდან აღმავლობას იწყებს კათოლიკური არქიტექტურა. ადრეული არსებული მცირე ზომის ბაზილიკების ადგილს იკავებს დიდი ტაძრები. ხუროთმოძღვრები დასახლებებისა და ქალაქების ზრდასთან ერთად აფართოებენ ტაძრებს, რათა იქ მეტი მორწმუნე დატეულიყო.

IX-XIII საუკუნეების ევროპაში ერთმანეთი შეცვალა ორმა ძირითადმა არქიტექტურულმა სტილმა: რომანულმა და გოთურმა. XIII საუკუნემდე ევროპაში ძირითადად ტაძრები და ეკლესიები რომაულ სტილზე შენდებოდა. რომანული სტილი წარმოიშვა ჯერ კიდევ X საუკუნეში ოტოების გერმანიაში. რომანული ტაძრების კედლები იყო მასიური, თაღები გრანდიოზულ სვეტებს ეჭირა. ეს ტაძრები მოგვაგონებდა რომანულ მშენებლობებს და ამიტომ უწოდებდნენ მათ რომანულ სტილს. მძიმე, სქელი კედლები ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრო მომრგვალებული სარკმლებითა და მათზე დაშენებული კოშკებით, ღვთის ციხესიმაგრის შთაბეჭდილებას ქმნის. ეს ეკლესიები წარმოადგენდნენ შუა საუკუნეებში ყველაზე მაღალ შენობებს და ნერგავდნენ მორწმუნეებში კათოლიკური ეკლესიის ძლიერების რწმენას.

ყოველი ეკლესია მორწმუნეს ღმერთისკენ მიანიშნებდა. ამიტომ ჰქონდა ქრისტიანულ ეკლესიებს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

– შესასვლელი იყო დასავლეთის მხრიდან – იქიდან იწყება გრძელი ცენტრალური ნავი. ეს იყო ჯვრის ტანის სიმბოლო, რომელზედაც ევნო მაცხოვარი.

– შუა ნავის მარჯვნივ და მარცხნივ იყო გვერდითი ნავები, ჯვრის მკლავები. შუა და გვერდითი ნავები სამების ნიშანია.

– შუა ნავის გადაკვეთა საკურთხევლის წინ განივი ნავით ქმნის ჯვრის ფორმას.

– შუა ნავის მომრგვალებული დასასრული ქმნის აფსიდს. აფსიდი არის ჯვრის ზედა ბოლო, სადაც მაცხოვრის თავი იყო მისვენებული. ამდენად ამ წმინდა ადგილზე არის საკურთხეველი.

– საკურთხეველი არის ყოველთვის აღმოსავლეთით. აღმოსავლეთიდან ამოდის მზე, აღმოსავლეთით არის საფლავი, საიდანაც აღდგა მაცხოვარი. ადრე დილით მზის სხივი პირველი ეცემოდა საკურთხევლის სარკმლიდან მოძღვარს, რომელიც ღვთის სახელით აკურთხებდა მორწმუნეებს.

რომანული ტაძრების მშენებლობა ხანგრძლივი იყო: შპაიერის ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1030 წელს და დასრულდა 1110 წელს, მისი კოშკის სიმაღლეა 73 მ.



ვორმსის ტაძარი

გოთური სტილი (ძველი გერმანული ბარბაროსი ტომების გოთების სახელწოდებიდან მოდის) წარმოიშვა ჩრდილო საფრანგეთში XII საუკუნის შუა ხანებში და აქედან გავრცელდა მთელ ევროპაში. გოთური სტილის ტაძრები უზარმაზარი იყო, მათი წაწვეტებული გუმბათები ზეცისკენ მიემართება, რათა აქეთ მიაპყრონ მლოცველის გულისყური. პირქუში, ჩაბნელებული, რომანული ტაძრებისაგან განსხვავებით, გოთური ტაძარი იყო ჰაეროვანი განხიოსნებული ვებერთელა ფანჯრებით.

ქალაქმშენებლობის ზრდასთან ერთად, როდესაც დაიწყეს მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა, იზრდება საეკლესიო ნაგებობათა სიმაღლეც. გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თური ტაძრები, განსხვავებით რომანულისაგან, აწვება არა სქელ კედლებს, არამედ საყრდენ სვეტებს. მომრგვალო თაღების ნაცვლად აგებდნენ მახვილკუთხა თაღებს, რომელსაც ქმნიდა ისრების გადაკვეთა.

გოთური ტაძრის შიგნით, ასევე მის ფასადსა და კოშკებზე განლაგებული იყო წმინდანთა და გამოჩენილ ადამიანთა ქანდაკებები.

გოთური ტაძრები ამშვენებს ევროპის დიდ ქალაქებს: პარიზს, სტრასბურგს, კიოლნს, რეიმსს, პრაღას და ა. შ.

როგორც რომანული ტაძრების, ასევე გოთურის მშენებლობა ხანგრძლივ დროსა და დიდ შრომას მოითხოვდა სტრასბურგის ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1200 წელს. ერთი კოშკი, რომლის სიმაღლეც 142 მ აღწევს, დასრულებულია 1439 წელს, ხოლო მეორე კოშკის აშენება ვერ მოახერხეს სტრასბურგის მოქალაქეებმა.

XIII საუკუნეში გოთური სტილი ჯერ კიდევ შედარებით უბრალოა და მარტივი. XIV საუკუნეში ის უფრო რთული და პომპეზური ხდება.

სახვითი ხელოვნება. კათოლიკური ეკლესიის კედლები მოხატული იყო ფრესკებით, რომელიც ასახავდა ქრისტესა და წმინდანთა ცხოვრებებს. ფრესკა სრულდებოდა კირიან წყალში გახსნილი საღებავით სველ ბათქაშზე.

კათოლიკურ ეკლესიაში ფრესკებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქანდაკება. მრგვალი ქანდაკება და ბარელიეფი (ბრტყელ ზედაპირზე ამობურცული ქანდაკება) განუყოფელი იყო არქიტექტურისაგან. ისინი გამოსახავდნენ ღმერთს, წმინდანებს, ასევე ტაძრის მშენებლებსა (ქტიტორებს) და მეფეებს.

ეკლესია ფერწერის, ქანდაკების, სახვითი ხელოვნების სხვა სახეების საშუალებით ცდილობდა რელიგიური ცოდნა მიეცა მორწმუნეთათვის, რომელთა დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

რელიგიურ თემებზე შექმნილი ნაწარმოებები ასახავდნენ ამქვეყნიური ყოფის ამაოებას და მოუწოდებდნენ მორწმუნეებს სულიერი სიმტკიცისაკენ.

თუ ანტიკური ხელოვნება ადამიანის სხეულის სილამაზეს განადიდებდა, შუა საუკუნეები – ადამიანის კეთილშობილებას, მის სულიერებას.

გოთურ ტაძრებში, რადგანაც უზარმაზარი ფანჯრები ჰქონდა, ცოტა იყო ადგილი ფრესკებისათვის. ამ ტაძრებში ფანჯრებს ამშვენებდა ვიტრაჟები. ეს იყო ერთმანეთთან ტყვიის რკალებით მიმაგრებული ფერადი მინის ნაჭრებით შესრულებული სურათები. ვიტრაჟებიდან შემოსული ფერადი შუქი იდუმალ ატმოსფეროს ქმნიდა ტაძრებში. ვიტრაჟებზე ისევე, როგორც ფრესკაზე ძირითადად რელიგიური სცენები გამოისახებოდა.

შუა საუკუნეების ხელოვნებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს წიგნის მინიატურას. ფერადი ნახატები გვაძლევს წარმოდგენას შუა საუკუნეების ადამიანის ყოფის მრავალფეროვანების შესახებ. რადგანაც იმ პერიოდში მხატვრებმა არ იცოდნენ პერსპექტივა, შორსმდებარე საგნებს ისეთსავე ზომისას ხატავდნენ, როგორც ახლომდებარეს, ამდენად, გამოსახულებები მინიატურაზე ბრტყელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XXIV

ადრინდელი აღორძინება და ჰუმანიზმი იტალიაში (XIV-XV სს.)

XIII-XIV საუკუნეებში იტალიაში საფუძველი ჩაეყარა ადრეკაპიტალისტურ ურთიერთობებს, რაც გამოწვეული იყო საშინაო მრეწველობის განვითარებითა და სავაჭრო კაპიტალის ზრდით. ეს კი, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო ხმელთაშუა ზღვაზე ვაჭრობის ჰეგემონობასთან. იტალია წარმოადგენდა სავაჭრო შუამავალს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რამაც მას კოლოსალური მოგება მოუტანა, რაც ქმნიდა თავისუფალ კაპიტალს, რომელიც გამოყენებული იყო ადგილობრივი მანუფაქტურების წარმოებისა და მევახშეობისათვის.

ტრანზიტული ვაჭრობის სპეციფიკური ხასიათი, რომელსაც იტალია აწარმოებდა, ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას; მაგრამ, მიუხედავად ამისა, იტალიამ მაინც ვერ შეძლო ერთიანი საშინაო ბაზრის შექმნა, რადგან ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულად დაქუცმაცებული ყველა ქალაქი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აწარმოებდა კომერციას, რომელიც დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მის საშინაო ინტერესებთან.

იტალიის ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობა, რომელიც დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობებით, თანდათანობით დაცემის გზას დაადგა და საბოლოოდ XVI საუკუნის დასაწყისისთვის დასრულდა.

XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის განვითარების შინაგანი პროცესებისა და საერთო-ევროპული კონიუნქტურის შეცვლის შედეგად იტალიაში დაიწყო ხანგრძლივი კრიზისის პერიოდი, რომელმაც მოიცვა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ცხოვრება. ეს კრიზისი მომზადებული იყო იმ თავისებური ისტორიული განვითარების პროცესით, რითაც განსხვავდებოდა იმდროინდელი იტალია სხვა ევროპული სახელმწიფოებისაგან. ეკონომიკურ-პოლიტიკური ცენტრების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობა აძლიერებდა იტალიის დაქუცმაცებას, რაც მისი კრიზისის მთავარი მიზეზი იყო.

ასეთი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად იტალიაში მაინც ვითარდება კულტურა, რომელიც საერთო-იტალიურ ხასიათს ატარებდა და რომელმაც აპოგეას მიაღწია XV საუკუნისათვის. ამ დროს ხელოვნების არნახული აყვავება დაიწყო, რომელიც შემდგომში ველარასოდეს ავიდა ასეთ სიმაღლემდე. ეს იყო უდიდესი პროგრესული გადატრიალება, რაც ოდესმე გადაუტანია კაცობრიობას და რომელიც რენესანსის აღორძინების სახელითაა ცნობილი და ქრონოლოგიურად მოიცავს XIV საუკუნის 40-იანი წლებიდან XVII საუკუნის პირველ ათწლეულამდე პერიოდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიაში რენესანსის განვითარებას ხელი შეუწყო ჩრდილო და ცენტრალურ იტალიაში ურბანიზაციის მაღალმა დონემ. ქალაქის ინტენსიურმა ცხოვრებამ ძლიერი იმპულსები მისცა საერო კულტურის განვითარებას, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა შუა საუკუნეების საეკლესიო-სქოლასტიკური ტრადიციებისაგან, რომლის მთავარ საყრდენს სამონასტრო სკოლები და უნივერსიტეტები წარმოადგენდა. XIV-XV საუკუნეების იტალიისათვის დამახასიათებელი იყო განათლების მაღალი დონე არა მარტო ქალაქის მოსახლეობის ზედაფენებში, არამედ პოპოლანებშიც, რაც აიხსნება დაწყებითი სკოლების ფართოდ გავრცელებით, რომლებსაც ქალაქის კომუნა აფინანსებდა. ასევე მაღალი დონით გამოირჩეოდა პროფესიული სწავლება სავაჭრო და სახელოსნო დუქნებში.

ახალი კულტურის ჩამოყალიბება მომზადებული იყო საზოგადოებრივი ცნობიერებებით, განსაკუთრებით კი ახალი ფენის – ბურჟუაზიის წარმოშობით. საეკლესიო მორალის – ასკეტიზმის საპირისპიროდ ვაჭრების ფსიქოლოგიაში და ხელოსანთა ზედაფენებში გამოიკვეთა რაციონალიზმის ნიშნები, ანგარიშიანობა, საქმიან წამოწყებებში გაბედულება, საკუთარი შესაძლებლობების გააზრება. ყალიბდებოდა ახალი მორალი, რომელიც ამართლებდა „პატიოსანი გზით გამდიდრებას", ამქვეყნიური ცხოვრების სიამტკბილობებს, რომლის გვირგვინს წარმოადგენდა ოჯახის პრესტიჟი, მოქალაქეების პატივისცემა, შთამომავლობის ხსოვნაში დიდება და ა. შ.

ტერმინი „რენესანსი" პირველად იტალიური მხატვრობის ისტორიკოსმა ჯორჯო ვაზარიმ იხმარა, როგორც Rinascimento – ხელახლად შობა, აღორძინება. ეს მეტაფორა შემდგომში ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟიულ მიშლემ სიტყვად აქცია, გერმანული კულტურის ისტორიკოსმა იაკობ ბურკჰარტმა კი დაამკვიდრა თავის ეპოქალურ შრომაში „რენესანსის კულტურა იტალიაში".

თავისი არსით აღორძინება წარმოადგენდა ფეოდალიზმიდან კაპიტალისტურზე გარდამავალი ეპოქის კულტურას, რომლის შემქმნელები იყვნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები, მსხვილ ვაჭართა წარმომადგენლები, ფეოდალები, ქალაქის პატრიციატი, იტალიელი მმართველები, XV საუკუნის ბოლოდან სხვა ევროპული სახელმწიფოები, დაბოლოს, პაპობა. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ რენესანსის იდეურ მხარეს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ განათლების მაღალ დონეს, ხელოვნებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების მხატვრულ ღირებულებას, არქიტექტურის ახალ ფორმებს, მოდასაც კი.

რენესანსის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლათინურმა ენამ, რომელიც საშინაო და საგარეო პოლიტიკის ოფიციალურ ენას წარმოდგენდა XIV-XV საუკუნეებში. რომში, რომელიც კათოლიკური სამყაროს ცენტრი იყო, მთავარი ენა ლათინური იყო, შესაბამისად განათლებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და ზედაფენების სალაპარაკო ენასაც წარმოადგენდა. იტალიური ენა კი გლეხობის ენად ითვლებოდა.

აღორძინების კულტურისა და მსოფლმხედველობის განვითარებას იტალიაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გარდა, ხელი შეუწყო იმანაც, რომ იტალია წარმოადგენდა ძველი რომის იმპერიის ცენტრს, სადაც დამარხული იყო ანტიკური კულტურის ტრადიციები. თავისი პოლიტიკური წყობითაც (პატარ-პატარა ქალაქ-სახელმწიფოები), იტალია ანტიკურ სამყაროს მოგვაგონებდა. იტალიური ენა კი ყველაზე ახლო იდგა კლასიკურ ლათინურთან. გეოგრაფიულადაც იტალია ყველაზე ახლო მდებარეობდა ბიზანტიის იმპერიასთან, სადაც შენარჩუნებულ იქნა ანტიკური ტრადიციები. ბიზანტია XIV საუკუნეში ღრმა სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, რამაც ხელი შეუწყო ბერძენი სწავლულების ემიგრაციას იტალიაში. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ (1453) ეს ემიგრაცია კიდევ უფრო გაიზარდა (ოსმალები მათ არ სდევნიდნენ, მაგრამ თვით ბერძენ ინტელიგენციას აღარ სურდა იქ ცხოვრება), დაბოლოს, XIV-XV საუკუნეების იტალიაში წარმოიშვა მმართველობის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა – ტირანია (რომის პაპიც ტირანად იქცა). ტირანები საჭიროებდნენ განათლებულ ხალხს, ამიტომაც ყველანაირად ეხმარებოდნენ და მფარველობდნენ მათ.

აღორძინებამ განვლო თავისი განვითარების სამი დიდი ეტაპი: ტრეჩენტო, კვატროჩენტო და ჩინკვეჩენტო, რაც შინაარსობრივად შეესაბამებოდა ადრეულ აღორძინებას, მაღალ აღორძინებასა და გვიანდელ აღორძინებას.

XIII საუკუნის მეორე ნახევარი – დუჩენტო, რენესანსის გარიჟრაჟია. იტალიის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს პერიოდი აისახა ანტიფეოდალური ქალაქების კონსტიტუციისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გაჩენითა და კაპიტალის დაგროვებით. ქალაქებისა და ქალაქური კულტურის განვითარება მთელ ევროპაში მიმდინარეობდა, მაგრამ რენესანსი მხოლოდ იტალიის ქალაქებში ჩაისახა, სადაც ყველაზე ადრე წარმოიშვა ადრეკაპიტალისტური ურთიერთობები და ახალი იდეოლოგია – ჰუმანიზმი. დუჩენტო ლიტერატურასა და ხელოვნებაში დანტეს ნაწარმოებებითა და ჯოტოს ფერწერით აისახა.

აღორძინების პირველი ეტაპი – XIV საუკუნე – ტრეჩენტო პოლიტიკური ცხოვრების სფეროში წარმოადგენდა პოპოლანების დემოკრატიისა და რესპუბლიკური ცხოვრების პერიოდს, სოციალურ-ეკონომიკური კუთხით – მანუფაქტურების გაჩენის, ადრეკაპიტალისტური ექსპლუატაციისა და კლასობრივი წინააღმდეგობების ეპოქას.

კვატროჩენტო, XV საუკუნე – აღორძინების მეორე ეტაპი იტალიის პოლიტიკურ ევოლუციაში უკვე XIV საუკუნიდან იწყება და წარმოდგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ოლიგარქიის წარმოშობითა და ტირანიით დამთავრებულით. კულტურის სფეროში კვატროჩენტო მხატვრობის განვითარებით გამოიხატა.

აღორძინების მესამე ეტაპი, ჩინკვეჩენტო – XVI საუკუნე ხელოვნების არნახული განვითარებით აისახა, პოლიტიკურ ცხოვრებაში კი სრული დაცემითა და კრიზისით.

აღორძინებამ თავისი განვითარების სამივე პერიოდში თავი იჩინა რელიგიის სფეროშიც. ამ ეპოქის პირველი ჰუმანისტების, წამყვანი მოაზროვნეების ფილოსოფიაში წარმართული რელიგიის მოტივები ქრისტიანობასთანაა დაკავშირებული. მთავარ მიზანს კი ახალი ეპოქის ადამიანის შექმნა – რეფორმაცია წარმოადგენდა (reformatrice di tutto l'Homo).

იტალიური ჰუმანიზმი და მისი სოციალური ფესვები. რენესანსული კულტურის იდეურ საფუძველს ჰუმანიზმი წარმოადგენდა. XIV-XV საუკუნეების იტალიაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფონზე განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ადამიანმა – პიროვნებამ, რომლის იდეალი უკვე ვეღარ თავსდებოდა ფეოდალურ-წოდებრივი ურთიერთობის, საეკლესიო-ასკეტური მორალისა და შუა საუკუნეების ტრადიციების ჩარჩოებში. ამან გამოიწვია ღირებულებების თავისებური გადაფასება, შეხედულებების შეცვლა აწყმოსა და წარსულზე და, რაც მთავარია, აქტიური მოქმედება არსებული ურთიერთობების შესაცვლელად.

ჰუმანისტებმა დაიწყეს ბრძოლა ადამიანის მოღვაწეობასა და აზროვნებაზე დაწესებული საეკლესიო კონტროლის წინააღმდეგ, რაც კონკრეტულად გამოიხატა შუა საუკუნეების მორალის ისეთი საფუძვლების კრიტიკით, როგორიცაა ავტორიტეტები, ტრადიციები და დოგმები. ჰუმანისტებმა ფეოდალურ, სქოლასტიკურ მეცნიერებას, ღვთისმეტყველებას (studia divina) დაუპირისპირეს ახალი მეცნიერება, რომლის ცენტრში ადამიანი იდგა და არა ღმერთი (studia humana). აქედან წარმოიშვა ცნება ჰუმანიზმი (ლათ. ადამიანურს ნიშნავს), რომლითაც აღინიშნება რენესანსის პერიოდის მიმდინარეობა ლიტერატურასა და მეცნიერების დარგში და რომელიც არ უნდა ავურიოთ ჰუმანიზმის თანამედროვე და უფრო ფართო გაგებაში. ჰუმანიზმის ცენტრებად ითვლებოდა ისეთი ქალაქები, როგორიცაა: ფლორენცია, მილანო, ვენეცია, ნეაპოლი და სხვ. მაგრამ მათგან წამყვანი ადგილი ფლორენციას ეჭირა. ფლორენციის უგვირგვინო მეფეები – მედიჩები პოპულარობის მოპოვებისათვის ხალხის მასებში უამრავ თანხებს ხარჯავდნენ ქალაქში ეკლესიებისა და შენობების აგებისათვის, უნიკალური ხელნაწერების შეძენისათვის, სასახლეში დიდი ბიბლიოთეკის დაარსებისათვის, ყველა გამოჩენილი ადამიანის ფლორენციაში თავმოყრისათვის და სხვ. გარდა ამისა, ჰუმანისტების დიდი ნაწილი და მათ შორის ფლორენციის „სამი გვირგვინიც" – დანტე, პეტრარკა, ბოკაჩოც ფლორენციელები იყვნენ. მოქმედებდნენ კერძო სკოლები და სხვადასხვა წრეები, რომელთა მთავარი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზანი იყო ყოველმხრივ სრულყოფილი, თავისუფალი პიროვნებების აღზრდა. ჰუმანისტებს იწვევდნენ უნივერსიტეტებში, სადაც ისინი სიამოვნებით კითხულობდნენ რიტორიკის, პოეზიისა და ფილოსოფიის კურსებს. თანდათანობით ჩამოყალიბდა ჰუმანისტური ინტელიგენციის ფენა, რომელსაც ნიჭიერი და ყოველმხრივ განათლებული პიროვნებები წარმოადგენდნენ.

იტალიური ჰუმანიზმი წარმოადგენს გადატრიალებას, რომელიც გამოწვეული იყო ადამიანური სულისა და კულტურის სიღრმეების გაგებითა და ანტიკური კლასიკოსების ბრწყინვალე ნაწარმოებების შესწავლით. ჰუმანიზმმა კათოლიკური ეკლესია მნიშვნელოვნად შეარყია და აიძულა დათმობებზე წასულიყო, რათა გავლენა არ დაეკარგა მასებზე. ამიტომ იყო, რომ ეკლესიამ განათლების ზოგიერთი ელემენტი შეითვისა და, უფრო მეტიც, ხელოვნების მფარველადაც მოგვევლინა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის გარემოება, რომ რომის პაპები – ნიკოლო V (ერისკაცობაში ტომაზო პარანტუჩელი) და პიუს II (ერისკაცობაში ენეო სილვიო პიკოლომინი) ჰუმანისტები იყვნენ.

იტალიელი ჰუმანისტების მაღალი, საკაცობრიო იდეალების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იტალიური ჰუმანიზმის შერწყმამ ელინისტურ კულტურასთან. ადამიანის სულიერი და ხორციელი ჰარმონიული ერთიანობიდან გამომდინარე, იტალიელ ჰუმანისტებს აუცილებლობად მიაჩნდათ ადამიანის პიროვნული თავისუფლების განვითარება, ბრძოლა მიწიერი, ამქვეყნიური ბედნიერებისათვის. ამავე დროს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანის შემოქმედების სიძლიერესა და შრომას მშვენიერების შესაქმნელად. მაღალი ეთიკა, ასკეტიზმის უარყოფა, მიწიერი ტკბობის წინ წამოწევა, შემოქმედებითი აქტივობა, თავისუფალი აზროვნებისადმი მოწოდება – ასეთი იყო ჰუმანისტების ძირითადი პრინციპები.

ფეოდალური კულტურისა და სქოლასტიკისაგან განსხვავებით, რენესანსისათვის დამახასიათებელი იყო ხუთი ძირითადი ნიშანი: 1. ანტიკურობის აღორძინება; 2. რაციონალიზმი და კულტურის საერო ხასიათი; 3. ინდივიდუალიზმი – პიროვნების კულტი და ბურჟუაზიული არისტოკრატიზმი; 4. რეალიზმი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 5. ეროვნული გრძნობის – პატრიოტიზმის ჩასახვა; მექვსე ნიშნად ცნობილ ქართველ მედიევისტს გივი ჟორდანიას ქრისტიანული რელიგიის თავისებური, ახლებური გააზრება მიაჩნია.

პირველი ნიშანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტიკურობის აღორძინებაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ახალი კულტურა ანტიკურობის ასლი იყო. რენესანსი მხოლოდ ფორმით იყო ანტიკური, შინაარსით კი სხვა კულტურას წარმოადგენდა. მაინც რაში გამოიხატებოდა აღორძინება?

ცნობილია, რომ ლათინურმა ენამ შუა საუკუნეებში საშინელი დაცემა განიცადა; კლასიკური ლათინური ბარბაროსულით შეიცვალა. ჰუმანისტებმა

კი შექმნეს ახალი ლათინური, რომელიც ახლოს იდგა კლასიკურთან. პეტრარკამ აღმოაჩინა ციცერონის ენა და ის საფუძვლად დაუდო ახალ ლათინურს. ამასთანავე, ჰუმანისტები აგროვებდნენ და სწავლობდნენ ანტიკურ ავტორთა მანუსკრიპტებს, ეძებდნენ უცნობ და დავიწყებულ ავტორთა თხზულებებს და კომენტარებით გამოსცემდნენ მათ. ასეთი საქმიანობით განსაკუთრებით ჯოვანი ბოკაჩო გამოირჩეოდა. ჰუმანისტები მიმართავდნენ აგრეთვე მიწაში ჩამარხული ანტიკური ხელოვნების ძეგლების, შენობათა ნაწილების, იარაღებისა და ა. შ. ამოთხრასა და აღწერას, რითაც საფუძველს უყრიდნენ არქეოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებას. ჰუმანისტები ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობასაც. მანამდე ჰომეროსს ევროპაში მხოლოდ არაბული თარგმანით იცნობდნენ. ლათინური კულტურის აღორძინებას ბერძნული კულტურის აღორძინებაც მოჰყვა.

ჰუმანისტებისათვის ბერძნული ენის დაუფლება უბრალო გატაცება არ ყოფილა; საკუთარი მორალურ-ფილოსოფიური იდეების ჩამოყალიბებისათვის მათ ფაქტები და მაგალითები სჭირდებოდათ, ხოლო ლათინურ ლიტერატურას კი არ შეეძლო ამ მხრივ მათი დაკმაყოფილება. ამიტომაც მიისწრაფოდნენ ბერძენი ავტორებისადმი, რომელთა თხზულებებსაც ძირითადად არაბული და ებრაული თარგმანებიდან იცნობდნენ.

შუა საუკუნეების იტალიაში ძალიან ცოტამ თუ იცოდა ბერძნული ენა. ორმა კალაბრიელმა ბერმა ვარლაამმა და ლეონტი პილატემ კონსტანტინოპოლში ყოფნისას იგი ზედაპირულად შეისწავლეს. მათგან პირველი ასწავლიდა პეტრარკას, რომელიც შეეცადა ჰომეროსის ორიგინალიდან თარგმნას, მაგრამ ჰომეროსი მისთვის „ყრუ-მუნჯი" დარჩა. რაც შეეხება ლეონტი პილატეს, მან ბერძნული ასწავლა ბოკაჩოს, რომელმაც ჰომეროსი ორიგინალიდან თარგმნა. პილატე სამი წელი განაგებდა ფლორენციის უნივერსიტეტში ბერძნული ენის კათედრას, რომელიც ბოკაჩომ 1360 წელს დაარსა და რომელმაც 1396 წლამდე იარსება.

იტალიური ელინიზმის განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ყოფილმა კონსტანტინოპოლელმა ენათმეცნიერმა მანუელ ხრიზოლორამ, რომელმაც შეძლო საფუძვლიანი ცოდნა მიეცა თავისი მოწაფეებისათვის, მათ რიგებში ისეთი ცნობილი ფლორენციელი ჰუმანისტები იყვნენ, როგორიცაა: რობერტო დეი როსი, პალა სტროცი, პოჯო ბრაჩოლინი, ჯიანოცო მანეტი, კარლო მარსუპინი, ლეონარდო ბრუნი და სხვ.

ელინიზმის პოპულარობამ იტალიაში გამოწვია ის, რომ ადამიანი, რომელმაც ბერძნული არ იცოდა, ფლორენციაში ნახევრად განათლებულად ითვლებოდა. მაშინდელ იტალიაში ყველაზე განათლებულმა ბერძენმა გიორგი ჰემისტ პლეტონმა, პლატონის თავგამოდებულმა თაყვანისმცემელმა, შეძლო ბერძნული ფილოსოფიის სიყვარული გადაედო ფლორენციის უგვირგვინო მეფის კოზიმო მედიჩისათვის და, ამგვარად, სათავე დაუდო პლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონის აკადემიის დაარსებას, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ფლორენციაში ნეოპლატონიზმის განვითარებას, რომლის ფუძემდებელი გახდა აკადემიის რექტორი მარჩილიო ფიჩინი. მან ლათინურ ენაზე თარგმნა პლატონისა და სხვა ბერძენ ფილოსოფოსთა შრომები, რომლებშიც ადამიანის როლი იყო განსაზღვრული სამყაროში და უმთავრესი აქცენტი გადატანილი იყო სამყაროსა და ღმერთის გონებით შემეცნებაზე. ნეოპლატონიზმის განვითარებაში სხვა ცნობილ ჰუმანისტებთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის ჯოვანი პიკო დელა მირანდოლასა და ქრისტოფორო ლანდინოს. აღსანიშნავია, რომ კოზიმო და ლორენცო მედიჩები, რომლებიც აკადემიას მფარველობდნენ, მის სხდომებში მონაწილეობასაც ღებულობდნენ.

ჰუმანისტების მიერ დაწყებული მოძრაობის შედეგად შეგროვდა და შესწორდა რომაელ და ბერძენ ავტორთა წიგნები, აღმოჩენილ იქნა ბევრი დავიწყებული ავტორი, რამაც ხელი შეუწყო ლიტერატურულ-ფილოსოფიურ პროგრესს. თანდათანობით ჩამოყალიბდა ჰუმანისტების ახალი თაობა. ამან კი, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ ორი სხვადასხვა ენის შეხება, არამედ ორი ცივილიზაციის გაცნობაც. ჰუმანისტებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ არა მხოლოდ ბერძნული აზროვნების უდიდეს ორიგინალობას, არამედ მნიშვნელოვნად განესხვავებინათ იგი ლათინური აზროვნებისაგან.

მართალია, ჰუმანისტები ანტიკურ ავტორებს ხშირად ბაძავდნენ და ნიმუშადაც იყენებდნენ, რენესანსის მხატვრები კი ზეშთაგონებას ძველი ნაწარმოებებიდან ღებულობდნენ, მაგრამ ეს არ ყოფილა არც უბრალო მიმბაძველობა, როგორც ეს ზოგიერთ ისტორიკოსს ესმოდა (მაგალითად, ფოიგტს), არც ანტიკური კულტურის მთლიანად გამოყენება და მისი გადმოტანა თანადროულობაში; ანტიკურობით გატაცების ქვეშ იმალებოდა საკუთარი შეხედულებების დამტკიცება ძველი რომაელი და ბერძენი ავტორიტეტებით, ჰუმანისტებმა შეძლეს საკუთარი უზარმაზარი წვლილის შეტანა და თავის ეპოქას გაუსწრეს.

ახალი კულტურისა და ახალი მსოფლმხედველობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაციონალიზმის (ლათ. Ratio – გონება) განვითარებას. XIV-XV საუკუნეების იტალიაში სავაჭრო, სამრეწველო და საფინანსო ორგანიზაცია, ფეოდალურისაგან განსხვავებით, მთლიანად აგებულ იქნა ანგარიშიანობის პრინციპზე, რამაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მეცნიერებაში მათემატიკას მიანიჭა. შეიცვალა დამოკიდებულება დროის გამოთვლის მიმართ. XIV საუკუნის იტალიის ყველა ქალაქის რატუშაზე გაჩნდა საათები, რომლებიც მოსახლეობას ხმამაღალი რეკვით მოაგონებდნენ ადამიანს, რომ „დრო ფულია“. ცნობილმა ჰუმანისტმა ლეონ ბატისტა ალბერტიმ ამასთან დაკავშირებით მარადიული აქსიომა ჩამოაყალიბა: „ვინც ბატონობს დროსა და ფულზე, ის ყველაფრის ბატონია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალმა დამოკიდებულებამ დროის მიმართ არქიტექტურაშიც იჩინა თავი და შენობათა აგების ვადებშიც. რენესანსის ეპოქის შენობები განსაზღვრულ ვადებსა და განსაზღვრული გეგმით შენდებოდა, განსხვავებით ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრებისგან, როცა ამა თუ იმ ნაგებობის მშენებლობა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. წინასწარი დაპროექტების და გამოანგარიშების შესანიშნავი მაგალითია ფლორენციაში უზარმაზარი ტაძრისთვის გუმბათის დაშენება, რომელიც ცნობილმა არქიტექტორმა ბრუნელესკიმ გააკეთა.

რაციონალიზმი გაბატონდა მხატვრობაშიც. რენესანსამდელ მხატვრებს წარმოდგენა არ ჰქონდათ პერსპექტივაზე, რომელიც ასევე გამოანგარიშების პრინციპზე იყო აგებული. ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იერარქია მხატვრობაშიც ზუსტად იყო გადატანილი; მეფე და წმინდანი ზომებით აღემატებოდა უბრალო მოკვდავთ და ა. შ.

რენესანსის მესამე ნიშანი იყო რეალიზმი ლიტერატურასა და ხელოვნებში. შუა საუკუნეების ხელოვნება სიმბოლიზმით იყო გამსჭვალული. არავითარი რეალური პორტრეტული გამოსახულება არ არსებობდა. გაბატონებული იყო პირობითობის პრინციპი; ადამიანის ან საგნის პროპორციები იერარქიულ პრინციპებზე იყო დამოკიდებული; რიგითი წმინდანები სურათებზე გამოისახებოდა უფრო მცირე ზომებში, ვიდრე ქრისტე და ა. შ.

რენესანსის მხატვრობაში გაჩნდა პერსპექტივა, რომელიც თავიდან ხაზობრივი იყო. მხატვრები წმინდანების გარდა ხატავდნენ ადამიანებს. შეიქმნა პორტრეტული ჟანრი, რამაც პირობითობის პრინციპი მოსპო; ადამიანის სიდიდემ ბუნებრივი ზომები მიიღო. დაიწყეს ისტორიული პიროვნებების ხატვა. რენესანსის პირველ მხატვრად ჯოტო ითვლება.

XV-XVI საუკუნეებში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ანატომიის შესწავლისადმი, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა მხატვრობასა და სკულპტურაზე. მაზაჩო, ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო გენიალური რეალობით გამოსახავენ ადამიანის შიშველ სხეულს, რასაც ანატომიის შესწავლის წყალობით მიაღწიეს.

რეალიზმმა გაიმარჯვა ლიტერატურასა და ისტორიაშიც. ბოკაჩოს „დეკამერონი“ წარმოადგენს იტალიის რეალური ცხოვრების აღწერას, რომლის გმირები ისტორიული პირები არიან. მხატვრობასა და ლიტერატურაში დიდი ადგილი დაიკავა ბუნების სიმშვენიერის გამოსახვამ. გაჩნდნენ პეიზაჟისტები. ამის შესანიშნავი მაგალითია პეტრარკას „წერილები“. პოეტი საგანგებოდ ადიოდა მთის მწვერვალზე, რათა იქიდან დამტკბარიყო თვალწინ გადაშლილი ბუნების მშვენიერებით. ეს სრულიად უჩვეულოა ფეოდალური მსოფლმხედველობის ადამიანისათვის.

რეალიზმთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ინდივიდუალიზმი — ჰუმანისტების სწრაფვა ყოველგვარი წოდებრიობის წინააღმდეგ. ჰუმანისტებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყაროს ცენტრში დააყენეს ადამიანი თავისი პიროვნული ღირსებებით და არა წოდებრივი იერარქიით. ფლორენციელი ჰუმანისტი პოჯო ბრაჩოლინი თავის თხზულებაში „De nobilitato“ („კეთილშობილებაზე“) ცდილობს, დაასაბუთოს, რომ კეთილშობილებას წარმოშობა კი არ აძლევს ადამიანს, არამედ ნიჭი და პირადი ღირსებები. აღსანიშნავია, რომ იგივე აზრი მოკლედ და ნათლად ჩამოაყალიბა გრიგოლ ორბელიანმა თავის პოემაში „სადღეგრძელო“: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას, ნიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს და არა გვარიშვილობა“.

მაგრამ ჰუმანისტები დემოკრატები არ ყოფილან. ხალხს ისინი ბრბოს (Vulgarus) უწოდებდნენ და იმიტომაც წერდნენ ლათინურად, რომ არ სურდათ მათი აზრები ხალხისთვის მისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო. ცნობილი ჰუმანისტები კალუჩო სალუტატი, ლეონარდო ბრუნი პალმიერი და ფრანჩესკო გვიჩარდინი პირდაპირ აღიარებდნენ, რომ ხალხს არა აქვს უნარი პოლიტიკურ მოვლენათა სწორი შეფასებისა, რომ მასა პოლიტიკის დარგში „ისევე შორს არის ჭეშმარიტებისაგან, როგორც ესპანეთი ამერიკისგან“. ჰუმანისტებმა შექმნეს პიროვნების კულტი, რომელიც დაკავშირებული იყო ინდივიდუალიზმის პრინციპთან. ხელოვნებაში ეს ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნაში გამოიხატა. ადამიანის შინაგანი სულიერი ცხოვრება მისი სახის ნაკვთებსა და გამომეტყველებაში გამოისახებოდა. ამის თვალსაჩინო მაგალითს ლეონარდოს მონა ლიზა (ჯოკონდა) წარმოადგენს.

პირველად რენესანსის ეპოქაში იწყება ეროვნული გრძნობის ჩასახვა (ერის ცნებაც ბურჟუაზიული იდეოლოგიის განვითარების შედეგად შეიქმნა. ფეოდალურ იდეოლოგიას ეს სრულიად არ აინტერესებდა; ერზე მაღლა წოდებას აყენებდა), რაც გამომდინარეობდა ვაჭართა კლასის ინტერესებიდან. ბურჟუაზიას სჭირდებოდა ერთიანი სახელმწიფო საერთო ფულისა და ზომა-წონის ერთეულით, სადაც არ ექნებოდათ ქალაქიდან ქალაქში შესვლაზე ბაჟი გადასახდელი. დაცული იქნებოდა გზებზე ვაჭრობის უსაფრთხოება და ა. შ. ჰუმანისტების უდიდესი დამსახურება გამოიხატება საერთო, ეროვნული ლიტერატურული ენის შექმნაში. ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით დანტეს, პეტრარკასა და ბოკაჩოს. ხოლო მათმა ფლორენციულმა წარმოშობამ განაპირობა ის, რომ იტალიური ლიტერატული ენის საფუძვლად ტოსკანური დიალექტი იქცა.

დანტე ალიგიერი (1265-1321) უდიდესი იტალიელი მოაზროვნე და პოეტი სქოლასტიკის უკანასკნელი და რენესანსის პირველი პოეტი იყო. ამიტომ მისი ცხოვრებაცა და შემოქმედებაც წინააღმდეგობებით სავსეა. წარმოშობით იგი დიდგვაროვანი გველფის (მაგნატის) ოჯახს ეკუთვნოდა. დანტე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII საუკუნის ბოლოს, როცა ფლორენცია გველფებსა და გიბელინებს შორის ატეხილ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული (ფლორენცია იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდან ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შეძლო არისტოკრატული წყობილებიდან რესპუბლიკურზე გადასვლა). 1268 წელს გამარჯვებულმა გველფებმა თავი მოჰკვეთეს უკანასკნელ ჰოჰენშტაუფენს – კონრადინს. იტალიას გერმანელების ნაცვლად ფრანგები დაეპატრონენ. პოლიტიკურმა მოვლენებმა სოციალურზეც იქონია გავლენა. ხალხის ორგანიზებული მასა – პოპოლო არისტოკრატიას დაუპირისპირდა. სწორედ ამ დროს გამოდის დანტე საზოგადოებრივ ასპარეზზე და პოლიტიკურ საქმიანობას იწყებს. სულ მალე ის არჩეულ იქნა „ხალხის განსაკუთრებულ საბჭოში – consiglio speciale del popolo, სადაც იგი ხუთ სხვა მოქალაქესთან ერთად, ფლორენციის „ექვსეულს" წარმოადგენდა, იყო Capitano del popolo-ს მრჩეველიც. იმ დროის ფლორენციის კომუნის ოქმებში ხშირად ფიგურირებდა დანტეს სახელი. იგი იძლეოდა საქმიან რჩევებსა და მითითებებს. „რჩევები უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე შემსრულებელი", – ასე ჟღერდა მაშინ კომუნის პრინციპი. დანტე ნდობით აღჭურვილი, მტკიცე ბუნების მოუსყიდველი პიროვნება იყო. 1299 წლიდან დანტე ფლორენციის ელჩად ითვლებოდა; მას ხშირად აკისრებდნენ დიპლომატიურ მისიებს. 1300 წელს დანტე კომუნის მიერ ელჩად იქნა გაგზავნილი სან-ჯემინიანოში. ამ მისიას დანტემ ბრწყინვალედ გაართვა თავი, რისთვისაც უმაღლესი ნდობის სიგელი და პრიორად არჩევის უფლება მოიპოვა.

1302 წელს შავი გველფების გამარჯვების შემდეგ, დანტე, როგორც თეთრი გველფების მომხრე, სამშობლოდან გაძევებულ იქნა. 27 იანვარს გამოქვეყნებული დეკრეტით ფლორენციის უდიდეს შვილს ბრალად ედებოდა „მატყუარობა, მექრთამეობა, უკანონო გზით ქონების მითვისება". ამ დეკრეტის ძალით პოეტს სამუდამოდ აღეკვეთა სამშობლოში დაბრუნება. პაპმა ბონიფაციუს VIII-მ და შარლ დე ვალუამ შური იძიეს, რაკი დანტე და მისი თანამოაზრენი ფლორენციის რესპუბლიკას იცავდნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ როგორც პაპს, ისე საფრანგეთის ინტერვენციას. თავის მხრივ, დანტემაც იძია შური და ბონიფაციუს VIII-ს სიცოცხლეშივე გაუმზადა ადგილი ჯოჯოხეთის მერვე წრის მესამე ჯურღმულში, სადაც სიმონისტები იმყოფებიან და ხვრელებში პირქვე გაჩხერილები კვნესიან.

1316 წელს დანტესა და მის ამხანაგებს შეეხო ფლორენციის სინიორიის მიერ გამოქვეყნებული ამნისტია. მაგრამ ამ წყალობის ედიქტით ისინი ყაჩაღებსა და მძარცველებს უნდა გათანაბრებოდნენ და მრავალი დამცირების შემდეგ გათავისუფლდებოდნენ. დანტეს ერთ-ერთი ბიოგრაფი ჯოვანი ბოკაჩო წერს: „დანტეს დანარჩენმა ამხანაგებმა ამგვარი დამამცირებელი წყალობა მიიღეს, ხოლო დანტე იმდენად ამაყი და სულგრძელი იყო, რომ ემიგრაციაში შიმშილი და გაჭირვება არჩია".

ექსილში (ემიგრაციაში) ყოფნის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა დანტეს პოლიტიკური შეხედულებები. შინაგანი უთანხმოებებით გამოფიტული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს გადასარჩენად დანტე პოლიტიკურ გაერთიანებას მიიჩნევდა. მაგრამ ეს გაერთიანება დანტეს წარმოდგენილი ჰქონდა ერთიანი მონარქიის სახით. გადასახლებაში ყოფნისას დანტემ შეითვისა „ერთიანი რომის იმპერიის“ გიბელინიური იდეა და მთელი იმედები გერმანიის იმპერატორზე ჰაინრიხ VII ლუქსემბურგზე დაამყარა. მაგრამ ჰაინრიხ VII-მ სრული მარცხი განიცადა გველფებთან ბრძოლაში და 1313 წელს ციებით გარდაიცვალა. დანტეს იმედები გაუცრუვდა. მისმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა სრული ასახვა პოვეს ტრაქტატში „მონარქის შესახებ“ – „De monarchia“, სადაც დანტე იტალიის გაერთიანების იდეის – Ina Italia-ს ფუძემდებლად გვევლინება.

ექსილში (exsil) ყოფნისას დანტეს პოლიტიკური მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. მისთვის იტალიელი დიდებულების კარი ყველგან ღია იყო. პირველი თავშესაფარი მან ვერონის მმართველებთან – სკალიგერებთან პოვა. შემდეგ ლუნიჯიანაში მალასპინასთან გადავიდა. ყველა მათგანი ცდილობდა დანტე ამა თუ იმ დიპლომატიურ საქმიანობაში ჩაერთო. დანტე ასრულებდა დიპლომატ-მდივნის მოვალეობას ახალგაზრდა მმართველებთან სკალიერისა და კანგრანდესთან, რომლებიც ცნობილი მეცენატები იყვნენ. დანტემ მათთან სრული თავისუფლება პოვა თავისი საქმიანობისათვის.

დანტემ, როგორც ჩანს, პადუაშიც იმოგზაურა, სადაც ჯოტოს შეხვდა, რომლის წყალობითაც ჩვენამდე მისმა პორტრეტმა მოაღწია. უკანასკნელი თავშესაფარი დიდმა ფლორენციელმა, რომელსაც ცნობილი ქრონისტი ჯოვანი ვილანი „Sommo poeta“ („უმაღლეს პოეტს“) უწოდებდა, რავენაში პოვა, სადაც 1321 წლის 13 სექტემბერს 56 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დანტეს შემოქმედებაში უდიდესი როლი შეასრულა მისმა სიყვარულმა ბეატრიჩე პორტინარის მიმართ, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. დანტემ მას ლექსების მთელი ციკლი „Vita nuova“ („ახალი ცხოვრება“) უძღვნა, რომელიც პლატონური სიყვარულის საგალობელს წარმოადგენს.

ბეატრიჩეს (იტალიურად „ნეტარს“ ნიშნავს) გარდაცვალების შემდეგ დანტემ იტალიურ ენაზე დაწერა სქოლასტიკური ხასიათის თხზულება „Convivo“ („ნადიმი“). ამ პერიოდში მან ცოლად შეირთო იტალიელი გრანდის ასული – ჯემა დონატი.

დანტე ავტორია იტალიურ ენაზე დაწერილი პირველი ლინგვისტური ნაწარმოების „მჭვერმეტყველების შესახებ“, სადაც იგი ერთიანი ენის აუცილებლობას ასაბუთებს, რომლის საფუძვლად ტოსკანური დიალექტი მიაჩნია.

იტალიურ ენაზეა დაწერილი დანტეს შემოქმედების მწვერვალი „ღვთაებრივი კომედია“ („Divina Comedia“), რომელიც ემიგრაციაში ყოფნისას დაწერა და მას მხოლოდ „კომედია“ უწოდა. „ღვთაებრივი“ კი ბოკაჩომ და ჰუმანისტებმა უწოდეს. ეს შედევრი დაწერილია 1310 წელს, მაგრამ მკითხველს შთაბეჭდილება ექმნება, რომ პოეტმა იგი გაცილებით ადრე დაწერა; დანტე თავის პოემაში წინასწარმეტყველის როლში გვევლინება.

„ღვთაებრივი კომედია“ სიუჟეტურად არის ხილვა, როდესაც დანტე იმქვეყნიური სამყარო ინახულა. ნაწარმოები იყოფა სამ ნაწილად: inferno (ჯოჯოხეთი), purgatorio (სალხინებელი) და paradizo (სამოთხე). ამასთანავე, ყველა მათგანი იყოფა თანაბარი რაოდენობის სიმღერებად (33). ყოველი სიმღერა შედგება 3-სტრიქონიანი ლექსებისაგან, ტერცინებისაგან. პოემის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ჯოჯოხეთი“, გამოსახულია 9 წრე; „სალხინებელში“ – 9 საფეხური, „სამოთხეში“ კი 9 ზეცა. ყველგან მეორდება ციფრები – 3 და 9, რაც შემთხვევითი არ არის. დანტეს მთელი პოემა სიმბოლიკითაა გაჟღენთილი და ალეგორიული ხასიათისაა.

„ღვთაებრივი კომედია“ წარმოადგენს საეკლესიო მსოფლმხედველობის სინთეზს, მაგრამ, ამავე დროს, საეკლესიო მორალის თეორიების პროტესტიცაა. დანტე ქრისტიანული სამყაროს გვერდით, როგორც ტოლფასს, ანტიკურ სამყაროს უყენებს, მასთან ხშირად გვხვდება ანალოგები ქრისტიანობასა და ანტიკურობას შორის. ქვესკნელში დანტეს მეგზური ვერგილიუსია, რომელმაც თავის ერთ-ერთ ეკლოგში ქრისტეს დაბადება იწინასწარმეტყველა. ჯოჯოხეთის პირველ წრეში მოთავსებულია დანტეს სათაყვანო პოეტები და ფილოსოფოსები: ჰომეროსი, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ავიცენა, ავეროსი, ცეზარი და სხვა, რომელთა დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ქრისტიანები არ იყვნენ. ისინი ტანჯვას არ განიცდიან; მათი სასჯელი მხოლოდ მოწყენილობაა. ჯოჯოხეთის მცველია მითიური მინოსი. ქრისტიანული სალხინებლის მცველად კი დანტეს წარმართი და თვითმკვლელი – კატონ უტიკელი ჰყავს გამოყვანილი.

დანტეს მსოფლმხედველობის გაგებას ართულებს ეპოქის გარდამავალი ხასიათი, რაც მის წინააღმდეგობრივობას განაპირობებს. როგორც ახალი დროის პირველი პოეტი, დანტე მკაფიოდ ასახავდა ბურჟუაზიის ინტერესებს, მაგრამ როგორც სქოლასტიკის უკანასკნელი პოეტი, – კაპიტალისტური ურთიერთობების უარყოფით მხარეებსაც. ჯოჯოხეთის სხვადასხვა წრეში დანტე ძუნწებს, ვაჭრუკანებსა და მევახშეებს ათავსებს. თავის პოემაში დანტე ზიზღით იხსენიებს გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელს დოლჩინოს, რომელსაც მაჰმადთან ერთად ჯოჯოხეთის მერვე წრის მეცხრე ორმოში დაუთმო ადგილი.

პაპებთან დანტეს დამოკიდებულება უაღრესად ნეგატიურია, არც ერთი პაპი არ ჰყავს მას მოთავსებული „სამოთხეში“, ხოლო მის თანამედროვე პაპს ბონიფაციუს VIII-ს, როგორც ვთქვით, სიცოცხლეშივე მიუჩინა ადგილი ჯოჯოხეთში. მისი მსოფლმხედველობა მთელი სისრულით ჯოჯოხეთის მეცხრე წრეში გამოვლინდა, როცა ლუციფერის ხახაში ქრისტეს მოღალატე იუდა ისკარიოტელი და რომის იმპერიის ფუძემდებლის იულიუს ცეზარის მკვლელები ბრუტუსი და კასიუსი მოათავსა. სამოთხეში დანტეს მეგზურობა ბეატრიჩემ გაუწია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუა საუკუნეებისათვის სრულიად ახალმა მიმართულებამ ანტიკურობისადმი თაყვანისცემამ და მოთხოვნილებამ ახალი მორალური ღირებულებებისადმი საფუძველი ჩაუყარა იტალიურ აღორძინებას.

ჰუმანიზმის პირველი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ფრანჩესკო პეტრარკა და ჯოვანი ბოკაჩო.

ფრანჩესკო პეტრარკა (1304-1374) ფლორენციელი ნოტარიუსის შვილი იყო. 1302 წელს მამამისი, როგორც თეთრი გველფების მომხრე, დანტესთან ერთად ფლორენციიდან გააძევეს. ამის გამო პეტრარკამ ბავშვობა ავინიონში (სამხ. საფრანგეთი) გაატარა, სადაც 1309 წლიდან პაპების რეზიდენცია მდებარეობდა. 1326 წელს პეტრარკამ სასულიერო წოდება მიიღო და მუშაობა დაიწყო კარდინალ ჯოვანი კოლონასთან. მიუხედავად იმისა, რომ პეტრარკა მატერიალურად ნაწილობრივ დამოკიდებული იყო კათოლიკურ ეკლესიაზე, როგორც სასულიერო პირი, მთელი მისი შემოქმედება საერო მოტივებითაა გაჟღენთილი.

ჰუმანისტური იდეები პეტრარკამ განავითარა ლათინურ ენაზე დაწერილ პროზაულ ნაწარმოებებში – დიალოგში „ჩემი საიდუმლო", ტრაქტატებსა და მრავალრიცხოვან წერილებში.

პეტრარკა იქცა ახალი კულტურის მაცნედ, რომლის ცენტრალურ ადგილს humanitas – ადამიანური ბუნების სულიერი კულტურის გაგება წარმოადგენდა. ეს იქცა ახალი კულტურის შექმნის საფუძვლად, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა ჰუმანიტარული მეცნიერებების – Studia humanitas წარმოშობას. როგორც ამტკიცებენ, აქედან წარმოიშვა XIX საუკუნეში ტერმინი „ჰუმანიზმი".

თავისი ლირიკული ლექსებით, კანცონებით, რომელიც volgareze – ხალხურ ენაზეა დაწერილი და რომლიდანაც შემდგომში ეროვნული ენა ჩამოყალიბდა, პეტრარკა ქება-დიდებას ასხამს თავის საბრფოს – ლაურას, რომელიც დანტეს პლატონური სიყვარულისგან განსხვავებით, ხორციელ სიყვარულს წარმოადგენს. პეტრარკას მსოფლმხედველობაში მთელი სისრულითაა გააზრებული ადამიანის უფლება – დატკბეს ამქვეყნიური, მიწიერი კეთილდღეობით, ქალისადმი სიყვარულით. პეტრარკას შემოქმედებაში ინდივიდუალიზმი წამყვანია. მისი სწრაფვა დიდებისაკენ წარმოადგენს ხანგრძლივი შინაგანი ბრძოლის შედეგს, რაც განსაკუთრებით ნათლადაა გამოხატული დიალოგში „ჩემი საიდუმლო". მასში ერთმანეთს ეხება ორი პოზიცია: ქრისტიანული-ასკეტური და საერო, მიწიერი, ორი კულტურა – შუა საუკუნეების სქოლასტიკა და რენესანსი. პეტრარკა აკრიტიკებდა სქოლასტიკის სტრუქტურას, ადამიანის პრობლემებისადმი უყურადღებობას, თეოლოგიისადმი ბრმა მორჩილებას, კიცხავდა მის მეთოდს, რომელიც ფორმალურ ლოგიკაზე იყო აგებული, პეტრარკა ადიდებდა ფილოლოგიას – სიტყვის მეცნიერებას, რომელშიც საგნების არსი იყო გამოხატული; უმაღ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეს შეფასებას აძლევდა რიტორიკასა და პოეზიას, როგორც ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანის დარიგებებს.

პიროვნების ემანსიპაციამ შუა საუკუნეების საზოგადოების წოდებრივ-იერარქიული ორგანიზაციისაგან დღის წესრიგში დასვა საკითხი — პიროვნების უკვდავების შესახებ; პეტრარკას მთელ შემოქმედებაში ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული. მისი ყოველი ნაბიჯი, ყველა მისი თხზულება გაჟღენთილია საუკუნო სახელის მოხვეჭისადმი მისწრაფებით. ამ მისწრაფების ნათელი დადასტურებაა მისი მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად იყვნენ განკუთვნილი განსაზღვრული ადრესატისადმი, ფაქტობრივად კი მათ ჰქონდათ ფართო გავრცელება ჰუმანისტებსა და მათ მდიდარ მეცენატებს შორის.

პეტრარკას ერთ-ერთი გამორჩეული თხზულებაა ისტორიული პოემა „აფრიკა“, სადაც აღწერილია სციპიონ აფრიკელის გმირობა მეორე პუნიკურ ომში. 1341 წელს ამ პოემისთვის პეტრარკას სენატმა დაფნის გვირგვინი დაადგა, თუმცა იგი ვერგილიუსის „ენეიდას“ მიბაძვითაა დაწერილი.

ყველაზე მნიშვნელოვანი მის შემოქმედებაში არის ზრუნვა ერთიანი იტალიური ენის შექმნისათვის, რომელსაც საფუძვლად ფლორენციული დიალექტი დაედო. იტალიურ ენაზე მას დაწერილი აქვს „სიმღერების წიგნი“ (Canzoniere), კანცონები და სონეტები, რომლებშიც ინდივიდუალიზმის უფაქიზესი, სულიერი სიღრმეებია ასახული. სონეტებში, რომლებიც ეძღვნება ლაურას, ხორციელი სიყვარულია გამოსახული. ზოგ კანცონაში მოისმის გმინვა სამშობლოს უბედურების გამო.

თავის თხზულებაში „სახელოვან მამაკაცებზე“, რომელიც ლათინურადაა დაწერილი, პეტრარკა გვაძლევს 21 ცნობილი რომაელის ბიოგრაფიას: რომულისიდან ცეზარამდე, აგრეთვე პიროსის, ალექსანდრე მაკედონელისა და ჰანიბალის ბიოგრაფიებსა და მათში თავისებურად გადმოსცემს რომის ისტორიას.

საფიქრებელია, რომ ეს ინტერესი განაპირობა იმან, რომ ამ ბიოგრაფიებს პეტრარკა საკუთარი თავის სანუგეშებლად წერდა; ცნობილია მისი მხურვალე მისწრაფება, წინ აღუდგეს უცხოელთა ბატონობას თავის ნაკუწებად ქცეულ სამშობლოში, სამოქალაქო ომებს და დაუპირისპიროს მას ანტიკური რომი თავისი ძლევამოსილებითა და ბრწყინვალებით რომულუსიდან ცეზარამდე. პეტრარკას ამ ნაწარმოებში უკვე შეიმჩნევა კრიტიკის ელემენტები, რაც სიახლეა შუა საუკუნეების ისტორიისათვის. პეტრარკას პოლიტიკური იდეოლოგია და მოქალაქეობრიობა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა კოლა დი რიენცოს აჯანყების დროს (1347). პოეტმა მას მხურვალედ დაუჭირა მხარი, მიესალმა რომაელი ტრიბუნის გამარჯვებას და ხოტბა შეასხა კანცონაში „კეთილშობილი სული“. იტალიის დაქუცმაცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულობითა და იქ გამეფებული ანარქიის გამო წუხილითაა გაჟღენთილი მისი კანცონა „ჩემი იტალია“.

უაღრესად საინტერესოა პეტრარკას პოლიტიკური მიმოწერა და აზრები. ასე მაგალითად, მან ნეაპოლის ახალი მმართველის ლუდოვიკო ტარანტელისათვის შეადგინა წერილი – ტრაქტატი, რომელიც სახელმწიფოს მართვას ეხება, რამაც მას დიდი პოპულარობა მოუტანა ისევე, როგორც ახალმა წერილმა იმპერატორ კარლ IV-სადმი მოწოდებით – ეხსნა იტალია. თხზულებაში „წერილები უმისამართოდ“ პეტრარკა მძაფრად აკრიტიკებდა ავინიონის პოლიტიკასა და ეკლესია-მონასტრების გარყვნილებას, პოლიტიკურ ქაოსს იტალიაში, მაგრამ, მიუხედავად ანტიპაპური „ინვექტივების“, რომლებიც კლემენს VI და მისი შემცვლელის ინოკენტი VI-ს წინააღმდეგ იყო მიმართული, პეტრარკა 1343 წელს პაპის ელჩად იმყოფებოდა ნეაპოლში, სადაც პირველად ვიზიტის დროს, 1341 წელს, ნეაპოლის მეფემ რობერ ანჟუელმა დისპუტში გამარჯვებულ პოეტს საკუთარი ხელით დაადგა დაფნის გვირგვინი, ღრმა პატივისცემის ნიშნად თავისი მოსასხამი აჩუქა, რომის სენატთან კი წერილი გაატანა.

ასევე საყურადღებოა პეტრარკას დიპლომატიური მოღვაწეობა, რომელიც მეტწილად მილანოს მმართველის, არქიეპისკოპოსს ჯოვანი ვისკონტის დავალებით ხდებოდა. პეტრარკა ცდილობდა მთელი თავისი ნიჭი, უნარი და სახელი გამოეყენებინა მშვიდობის დამყარებისა და იტალიის გაერთიანებისათვის. მას პირადი შეხვედრები ჰქონდა გერმანიის იმპერატორ კარლ IV-თან. იგი ელჩად იმყოფებოდა პარიზში 1356-1360 წლებში დიპლომატიური მისია შეასრულა ვენეციის დოჟთან, სცადა ვენეციისა და გენუას შერიგება. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე პეტრარკამ კვლავ იმოგზაურა ვენეციაში პადუასთან ზავის დასადებად და წარმატებითაც დაამთავრა ეს მისია.

პეტრარაკამ პადუის მმართველისათვის შეადგინა წერილი-ტრაქტატი „სახელმწიფოს საუკეთესო მართვის შესახებ“. სხვა ჰუმანისტების მსგავსად, ის გატაცებული იყო ანტიკური მწერლებისა და ფილოსოფოსების შესწავლით. იყო კლასიკური ლათინურის კარგი მცოდნე, უდიდესი თაყვანისმცემელი ბერძნული ფილოსოფიური პანთეონისა, რომელსაც იგი ლათინური თარგმანებით გაეცნო. პეტრარკა გატაცებით აგროვებდა და ყიდულობდა ძველ მანუსკრიპტებს, ეძებდა უცნობ ან დავიწყებულ ავტორებს, განსაკუთრებით ციცერონს, რომელიც პეტრარკას კერპს წარმოადგენდა.

პეტრარკას დაწყებულმა საქმემ მალე პოვა გამოძახილი და მას გამოუჩნდნენ მიმდევრები. პირველ რიგში, ისინი მისი მეგობრები, მოსწავლეები და გადამწერები იყვნენ. მათ შორის უპირველესი ჯოვანი ბოკაჩო და კალუჩო სალუტატი იყვნენ, რომელთა მოღვაწეობითაც მთავრდება ჰუმანიზმის ადრეული ეტაპი იტალიაში.

ჯოვანი ბოკაჩო (1313-1375), ფლორენციელი ბანკირის შვილი, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაკავშირებული იყო ნეაპოლსა და ფლორენციასთან. მამამისს გადაწყვეტილი ჰქონდა შვილისთვის იურიდიული განათლება მიეცა. ამ მიზნით ჯოვანი ნეაპოლში წაიყვანა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ შვილს არც ვაჭრობა და არც იურისპუდენცია არ აინტერესებდა. მამამისის მდგომარეობამ და ფულმა ბოკაჩოს გზა გაუხსნა მაღალი საზოგადოებისაკენ. ლიტერატურული ინტერესების მეოხებით იგი დაუახლოვდა ნეაპოლის მეფის რობერ ანჟუელის სასახლის წრეებს. რობერი საკმაოდ განათლებული, ხელოვნებითა და პოეზიით გატაცებული პიროვნება იყო. რამდენიმე უმნიშვნელო ნაწარმოების ავტორი სიამოვნებით იკრებდა თავის გარშემო ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტებსა და მეცნიერებს. მეგობრობდა პეტრარკასთან. მასთან იმყოფებოდა ჯოტტო, რომელიც ამ დროს სასახლის კარს ხატავდა და რომელიც ბოკაჩოს მოხსენიებული ჰყავს „დეკამერონის“ მეექვსე დღის მეხუთე ნოველაში.

ნეაპოლში ყოფნისას ბოკაჩომ კარგად გაიცნო რომაელი კლასიკოსები, რომლებიც მისთვის გასაგებნი და ახლობელნი იყვნენ თავიანთი ცხოვრების დევიზით: „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არაა“. რობერის კარზე ბოკაჩომ გაიცნო მეფის უკანონო ასული – მარია დ' აკვინო, რომელიც მის ძლიერ გატაცებად იქცა. მარიას მან პოეტური სახელი ფიამეტა – ნაპერწკალი უწოდა. ბოკაჩოს შემოქმედებაში მან ისეთივე ადგილი დაიჭირა, როგორც ბეატრიჩემ დანტესა და ლაურამ – პეტრარკას შემოქმედებაში. მარია-ფიამეტას ბოკაჩომ მიუძღვნა მთელი რიგი პოემები და რომანები: „ფილოკოპო“, „ფილოსტრატო“, „თეზეიდა“, „ფიამეტა, ანუ მადონა ფიამეტას ელეგია“, რომელიც პირველ ფსიქოლოგიურ რომანს წარმოადგენდა და სხვ.

მოგვიანებით ბოკაჩომ ჯვარი დაუსვა თავის ადრინდელ გატაცებებს და განსაკუთრებული ინტერესით დაეწაფა კლასიკურ თხზულებებს. 1340 წელს მამის თხოვნით ბოკაჩო ფლორენციაში დაბრუნდა. აქ მან სრულიად სხვა საზოგადოება – ვაჭართა რესპუბლიკა, ფულის ბატონობა ნახა. ეს გარემო სრულიად განსხვავდებოდა ნეაპოლის სასახლის წრეებისაგან. ჯოვანი ბოკაჩო მალე გახდა ფლორენციის რესპუბლიკის ერთ-ერთი ცნობილი დიპლომატი. გველფების პარტია, რომლის პოლიტიკურ მრწამსაც ბოკაჩო იზიარებდა, მას სხვადასხვა საპასუხისმგებლო დიპლომატიურ მისიებს აკისრებდა. 1350 წელს ბოკაჩო ელჩად იყო გაგზავნილი რავენაში, შემდეგ კი პაპის კარზე ავინიონში.

ფლორენციის პერიოდს უკავშირდება ბოკაჩოს მეცნიერული მოღვაწეობა, რაც, პირველ რიგში, გამოიხატებოდა იმით, რომ იგი გულმოდგინედ აგროვებდა კლასიკოსების თხზულებებს და, საერთოდ, ძველ ხელნაწერებს, მანუსკრიპტებს, რომელთაც ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც ისტორიულ-ლიტერატურულ ძეგლებს და არაერთი მათგანი გადაარჩინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღუპვას. ბოკაჩო იყო პირველი, ვინც დაიწყო ძველ ხელნაწერთა ურთიერთშედარება და შესწორება. მისი დიდი სურვილი იყო გაეღვიძებინა ხალხში ძველი ენებისადმი ინტერესი. ბოკაჩოს თაოსნობით, ფლორენციაში დაარსებულ იქნა ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრა.

ბოკაჩოს მეცნიერული მოღვაწეობიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დანტეს „კომედიის" კომენტარებს, რითაც მან საფუძველი ჩაუყარა დანტელოგიას. ბოკაჩო იყო პირველი, ვინც შეაფასა დანტესეული რეფორმის მნიშვნელობა და აღიარა დანტეს დიდი დამსახურება ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ბოკაჩო ფლორენციის სინიორიამ მიიწვია კათედრაზე, რომელიც დაარსებულ იქნა „კომედიის" ახსნა-განმარტებისავის. ბოკაჩომ მხოლოდ მე-17 ქების მე-17 ლექსამდე გააკეთა კომენტარები. ამ დიდი საქმის დასრულება მოახლოებული სიკვდილის გამო ვეღარ შეძლო. ბოკაჩოს ეკუთვნის ისტორიული თვალსაზრისით საყურადღებო ნაშრომი „Vita Dante", რომელიც იტალიურ ენაზეა დაწერილი. 1351 წელს ბოკაჩომ თავისი დიდი მეგობრის პეტრარკას პატივსაცემად დაწერა „ფრანჩესკო პეტრარკას ცხოვრებასა და ადათ-წესებზე". ავტობიოგრაფიული მასალითაა სავსე მისი ტრაქტატი „წარმართული ღმერთების გენეალოგია".

ბოკაჩოს მეცნიერული მოღვაწეობიდან აღსანიშნავია მისი დაინტერესება ისტორიული გეოგრაფიით და უდავოდ დიდი გეოგრაფიული დიაპაზონი, რაც შესანიშნავად იგრძნობა მის ნაშრომებში: „კანარის კუნძულებზე" და „მთების, ზღვების, მდინარეების ტბების სახელწოდებებზე" და სხვ. ნაშრომში „სახელოვან კაცთა ფათერაკების შესახებ", ბოკაჩოს აღწერილი აქვს ტამპლიერთა ორდენის განადგურება საფრანგეთის მეფის ფილიპე IV ლამაზის მიერ და მათი დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს მოწამებრივი სიკვდილი.

ბოკაჩოს ისტორიულ ნაშრომები საყურადღებოა იმდენად, რომ მათში იგრძნობა ანტიკურ ავტორთა და ისტორიული მასალის შესანიშნავი ცოდნა, რომელსაც ბოკაჩო კარგად შესწავლის შემდეგ თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს და მოჰყავს მხოლოდ ჭკუის დამრიგებლური ისტორიები, რომლებმაც ევროპაში ბოკაჩოს სახელი განადიდეს, როგორც დიდი მორალისტისა და ისტორიკოსისა.

მაგრამ ბოკაჩოს უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომელმაც მას განსაკუთრებული დიდება მოუტანა, „დეკამერონია". სიტყვა „დეკამერონი" ბერძნულია და „ათდღიურს" ნიშნავს. დაწერილი უნდა იყოს 1350-1353 წლებში. ყოველ შემთხვევაში, 1348 წელზე ადრე ბოკაჩო მას ვერ დაწერდა, რადგან „შავი სიკვდილი", რომელმაც იტალიისა და ევროპის მოსახლეობის 2/3 შეიწირა და რომლის სიუჟეტი საფუძვლად დაედო ნაწარმოებს, 1348 წლის მარტიდან ივნისამდე მძვინვარებდა ფლორენციაში.

„დეკამერონი“ იწყება სიკვდილის ზეიმის საშინელი და, ამავე დროს, დიდებული სურათის აღწერით ფლორენციაში, 1348 წელს. იტალიის შავი ჭირისაგან თავზარდაცემულ და პანიკით მოცულ საზოგადოებას ბოკაჩომ დაუპირისპირა პატარა ჯგუფი შვიდი ახალგაზრდა ქალისა და სამი ვაჟის სახით, რომლებმაც თავი ქალაქგარეთ, ფიეზოლის ბორცვებზე მდებარე სასახლეში შეაფარეს და რომლებიც 10 დღის განმავლობაში ერთმანეთს უყვებოდნენ სხვადასხვა ამბებს. შუა საუკუნეებში გაბატონებულ აქსიომას – „დრო ფული ღირს“, ბოკაჩომ თავისებური ხარკი გადაუხადა და ახალგაზრდების მიერ მოთხრობილ ამბებს მისცა მოკლე და ლაკონიური ფორმა – ნოველა.

„დეკამერონს“ შემდგომში მრავალი მიმბაძველი გაუჩნდა, რომელთა შორის აღსანიშნავია ფრანკო საკეტის (გარდაიცვალა დაახლ. 1400) ნოველები: XIV საუკუნის უცნობი ავტორის „ასი ახალი ნოველა“, მარგარიტა ნავარელის „ჰეპტამერონი“ და ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობები“.

ბოკაჩო ჰუმანისტებიდან პირველი იყო, რომელიც სრულყოფილად დაეუფლა ბერძნულ ენას და ორიგინალში წაიკითხა იგი. მან ლათინურად თარგმნა „ილიადა“ და „ოდისეა“ და ევროპაში პირველი ელინისტი გახდა.

ჰუმანისტებისა და მათ შორის ბოკაჩოსათვისაც ბერძნული ენის დაუფლება უბრალო გატაცება არ ყოფილა; იმისათვის, რომ ჩამოეყალიბებინათ თავისი მორალურ-ფილოსოფიური იდეები, მათ სჭირდებოდა მაგალითები და ფაქტები, ხოლო ლათინურ ლიტერატურას კი მათი დაკმაყოფილება ამ გზით არ შეეძლო. ბოკაჩოს ძველი ავტორების იღბლიან აღმომჩენს უწოდებენ და მართლაც, ბერძნული ლიტერატურის დაუშრეტელი წყაროს გვერდით ბოკაჩომ ჰუმანისტებს აღმოუჩინა მთელი რიგი ლათინური ავტორები: მერციალეს ეპიგრამები, ვარონის ტრაქტატი, ციცერონის სამი სიტყვა, სენეკას, ოვიდიუსისა და აპულეუსის ზოგიერთი ნაწარმოები. 1360 წლიდან ბოკაჩოს სახლი ფლორენციაში იქცა ცენტრად იტალიელი ჰუმანისტებისათვის. მწერლის სახლიდან ვრცელდებოდა მთელს იტალიასა და ევროპაში შესანიშნავი ლიტერატურული „აღმოჩენები“, ანტიკური ავტორების ასეულობით ხელნაწერი. მათ გავრცელებას ხელს უწყობდა პეტრარკა პადუის წრესთან ერთად.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ბოკაჩომ თავის მშობლიურ სოფელში, ჩერტალდოში გაატარა, სადაც 1375 წელს 21 დეკემბერს გარდაიცვალა. მის საფლავზე მისივე თხოვნით ამოკვეთილია: „Studium fuit alma poesis“ – (ის ემსახურებოდა მადლიან პოეზიას).

ბოკაჩოსა და პეტრარკას მეგობართა წრეს ეკუთვნოდა თავისი დროისთვის გამოჩენილი ფლორენციელი დიპლომატი და მწერალი კალუჩო სალუტატი. სალუტატი თავისუფლებისა და რესპუბლიკის მხურვალე მომხრე იყო, რომელმაც იურიდიული განათლება ბოლონიაში მიიღო. 1375 წელს იგი აირჩიეს ფლორენციის რესპუბლიკის მდივნად, რომელსაც დიდი ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულებით ემსახურებოდა სიკვდილამდე. სალუტატის დიდი დამსახურებაა ის, რომ მან საკანცელარიო სტილი გაათავისუფლა სქოლასტიკური ფორმისაგან და იგი –კლასიკური, ციცერონისეული გახადა. სალუტატი იყო პირველი ჰუმანისტი, რომელიც დიპლომატიურ, საქმიან წერილებს კლასიკური ლათინურით წერდა ისე, როგორც წერენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. თავის დროზე იგი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. გადმოცემის თანახმად, მილანოს ტირანი გალეაცო მარია ვისკონტი ამბობდა: „სალუტატის ერთი წერილის უფრო მეშინია, ვიდრე ათასი ფლორენციელი მხედრის“.

პეტრარკასა და ბოკაჩოს მსგავსად, სალუტატი გატაცებით აგროვებდა ძველ მანუსკრიპტებს, ლათინურ ტრაქტატებს. კლასიკური ლათინური ენის კარგი ცოდნის გამო მას საპატიო სახელი „ციცერონის მაიმუნი“ უწოდეს. კალუჩო სალუტატის შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლათინურად დაწერილი ტრაქტატები: „მშვიდობისა და სარწმუნოების შესახებ“, „ჰერაკლეზე მითების ალეგორიული აზრის შესახებ“, „ტირანის შესახებ“ და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას სალუტატი ეთიკის საკითხებს უთმობდა. მისი კონცეფციის მთავარი თეზისი მდგომარეობდა იმაში, რომ მიწიერი ცხოვრება ადამიანთა ხვედრია და მათი ამოცანაა ის მოაწყონ სიკეთისა და სამართლიანობის ბუნებრივი კანონებით. აქედან მომდინარეობდა ზნეობრივი ნორმა – არა ასკეტიზმი, არამედ შემოქმედებით აქტივობა ხალხის კეთილდღეობის სახელით.

ჰუმანისტური ეთიკა. XIV-XV საუკუნეებში ჰუმანიზმი ფართო კულტურულ მოძრაობად გადაიქცა. ფლორენციის უნივერსიტეტისა და პლატონის აკადემიის ირგვლივ თავი მოიყარეს ჰუმანისტებმა.

ჰუმანისტებს იწვევდნენ უნივერსიტეტებში რიტორიკაში, პოეტიკასა და ფილოსოფიაში ლექციების წასაკითხად. მათ სიამოვნებით სთავაზობდნენ კანცლერების, მდივნებისა და დიპლომატების თანამდებობებს. ყალიბდებოდა განსაკუთრებული სოციალური ფენა – ჰუმანისტური ინტელიგენცია. მიმდინარეობდა ჰუმანიზმის იდეური დიფერენციაცია. XV საუკუნის I ნახევრის წამყვანი მიმართულება გახდა სამოქალაქო ჰუმანიზმი, რომლის იდეები განავითარეს ფლორენციელმა ჰუმანისტებმა – ლეონარდო ბრუნიმ, მატეო პალმირიმ და მათმა უმცროსმა თანამედროვემ ალამანო რინუჩინიმ.

ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელი იყო ინტერესი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისადმი, რომელიც განიხილებოდა ეთიკასთან, ისტორიასა და პედაგოგიკასთან კავშირში.

რესპუბლიკანიზმის პრინციპები, თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა, საზოგადოებისადმი სამსახური და პატრიოტიზმი იყო დამახასიათებელი სამოქალაქო ჰუმანიზმისათვის, რომელიც აღმოცენდა ფლორენციის სინამდვილიდან – პოპოლანური დემოკრატიის პირობებში, რაც XV საუკუნის II ნახევარში მედიჩების ტირანიამ შეცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო ჰუმანიზმის ფუძემდებლად ითვლება ლეონარდო ბრუნი (1370 ან 1374-1444), სალუტატის მოწაფე, რომელიც მასწავლებლის მსგავსად მრავალი წლის მანძილზე ფლორენციის რესპუბლიკის კანცლერი იყო. მეტსახელად მას არეტინო უწოდეს, რადგან არეცოში დაიბადა. თავიდან ბრუნი იურისპუდენციას სწავლობდა, მაგრამ შემდეგ თავი დაანება და ბერძნული ენის შესწავლა დაიწყო. იგი გახდა თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ელინისტი. ტიტუს ლივიუსის წაბაძვით მან დაწერა „ფლორენციის ისტორია“ დაარსებიდან 1401 წლამდე. ბრუნი პირველი ჰუმანისტი იყო, ვინც გაწმინდა ისტორია სასწაულებისაგან, რასაც ხშირად იყენებდნენ მემატიანეები და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ისტორიოგრაფიას მეცნიერული ხასიათი მისცა. ამ თვალსაზრისით, ბრუნი მაკიაველის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს.

აღსანიშნავია აგრეთვე ლეონ ბატისტა ალბერტის (1404-1472) მიერ განვითარებული გზა. ალბერტი თავისი მრავალმხრივობით გამოირჩეოდა: იგი იყო მეცნიერ-ენციკლოპედისტი, პოეტი, არქიტექტორი, მუსიკოსი. მისი ჰუმანისტური კონცეფცია ემყარებოდა ძველი ბერძენი ფილოსოფოსების — პლატონისა და არისტოტელეს, აგრეთვე ციცერონისა და სენეკას შეხედულებებს. მისი ძირითადი თეზისი იყო: „ჰარმონია, როგორც უტყუარი კანონი“. კატეგორიულად მოითხოვდა ჰარმონიულ შესაბამისობას ადამიანსა და ბუნებას, ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ან თვით ინდივიდის, პიროვნების შინაგან ჰარმონიულობას. ალბერტისათვის უპირველესი ფიქრის საგანს ოჯახი წარმოადგენდა, თვლიდა, რომ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია უარის თქმა საზოგადოებრივ საქმეზე. ოჯახზე და მის განვითარებაზე აქცენტის გადატანის გარდა, ბატისტა გამოირჩეოდა საზოგადოებაში აქტიური ცხოვრების მქონე ადამიანის იდეალიზაციით. ალბერტის კალამს ეკუთვნის „ათი წიგნი ხუროთმოძღვრების შესახებ“, ტრაქტატი ანატომიაზე და ა. შ.

ბერძნული ფილოსოფიური აზროვნების თაყვანისმცემელი იყო ცნობილი ჰუმანისტი და ისტორიკოსი ლორენცო ვალა (1407-1457), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჰუმანიზმის ეპიკურულ მიმართულებას. იცავდა რა ეპიკურეს ფილოსოფიასა და ეთიკას, გამოდიოდა შუასაუკუნეობრივი ლოგიკისა და დიალექტის წინააღმდეგ. ვალა აკრიტიკებდა ასკეტურ მორალს, განსაკუთრებით კი მის უკიდურეს გამოვლინებას, ხორცის გვემას. თავის დიალოგში — „ტკბობის, როგორც ჭეშმარიტი სიკეთის შესახებ“, რომელიც 1431 წელს გამოქვეყნდა, ვალა ამტკიცებდა, რომ ადამიანს უფლება აქვს მიიღოს ყველა ამქვეყნიური სიამოვნება, ამიტომ აქვს მას გრძნობათა ორგანოები: სმენა, მხედველობა, ყნოსვა. ვალამ შეიმუშავა ეთიკური კონცეფცია და ე. წ. „განცხრომის კულტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლორენცო ვალა რომში დაიბადა, მაგრამ დიდხანს ცხოვრობდა ნეაპოლში, რომლის მეფე პაპთან კონფლიქტურ სიტუაციაში იმყოფებოდა. მეფის კარზე მყოფმა ვალამ სახელი გაითქვა თავისი კრიტიკული გამოკვლევებით „კონსტანტინეს ნაბოძვარზე", რომლითაც პაპობა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე თავის პოლიტიკურ პრეტენზიებს ასაბუთებდა. ლოგიკური კვლევის საშუალებით ვალამ წარმატებით დაამტკიცა ამ დოკუმენტის სიყალბე. სხვა თხზულებებშიც ვალა გაბედულად ესხმოდა თავს პაპობას; თავის ნაშრომში „ვულგატის შეცდომების შესახებ", მან დაამტკიცა, რომ ბიბლიის ლათინურ ენაზე თარგმნისას დაშვებული იყო უამრავი შეცდომა, ხოლო ფილოსოფიურ ტრაქტატებში, მაგალითად, ნაშრომში „ჭეშმარიტი ბედნიერების შესახებ", იგი ილაშქრებს ეკლესიის ასკეტიზმის წინააღმდეგ, ამართლებს ხორციელ მოთხოვნილებებსა და ამქვეყნიურ ცხოვრებით დატკბობას.

ჰუმანისტთა ერთგვარი უპრინციპობის დამახასიათებელი იყო ვალას საქციელი. ნეაპოლის რომთან შერიგების შემდეგ ვალამ თავისი სამსახური შესთავაზა პაპს, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ თუ მან შეძლო თავისი მწერლობით პაპობისათვის ზიანის მიყენება, ახლა სურვილისამებრ შეძლებს მოუტანოს მათ დიდი სარგებლობა. ვალა მართლაც მიიწვიეს რომში, სადაც მან სასულიერო წოდება მიიღო და იქვე გარდაიცვალა.

ეს ეპიზოდი იმასაც მოწმობს, რომ რომის ეკლესია, რომელიც დაცემის გზას დაადგა, ჰუმანისტებში საშიშ მეტოქეებს არ ხედავდა. ამიტომაც იყო, რომ ამ პერიოდში ჰუმანისტები არათუ გარს ეხვივნენ პაპს, არამედ პაპის ტახტზეც კი ადიოდნენ. ამის ნათელი მაგალითია ჰუმანისტი ტომაზო პარანტუჩელი, რომელიც პაპი გახდა ნიკოლო V-ს სახელით (1447-1455) და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ვატიკანის ცნობილ ბიბლიოთეკას. ასეთივე ჰუმანისტი იყო ენეო სილვიო პიკოლომინი – პაპი პიუს II-ს სახელით, რომელმაც სახელი მოიხვეჭა ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის შრომებით.

ამ პაპებისა და მათი მემკვიდრეების ხანაში რომში თავი მოიყარა ჰუმანისტების მთელმა ჯგუფმა, რომლებიც პაპის დავალებით არა მარტო თარგმნიდნენ ბერძნულიდან და ლათინურიდან, არამედ ორიგინალურ ნაწარმოებებსაც წერდნენ. რომაელი ჰუმანისტებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პომპონიო ლეტი და ფლავიო ბიონდო.

რომში არსებული აზრის თავისუფლების გამოხატულება იყო ის გარემოება, რომ პომპონიო ლეტს შეეძლო დაუსჯელად ეკამათა სულის უკვდავების საეკლესიო დოგმის წინააღმდეგ. მის მიერვე იქნა დაარსებული რომაელ ჰუმანისტთა წრე-აკადემია. პაპმა პავლე II-მ (1464-1471) ლეტი საპყრობილეში ჩასვა, აკადემია კი დაშალა.

რაც შეეხება ფლავიო ბიონდოს – ლეტის მასწავლებელს, მისი დიდი დამსახურება, როგორც ისტორიკოსის, იმაში გამოიხატება, რომ მან პირვე-

ლმა თავის შრომებში „ილუსტრირებული იტალია“ „რომის ისტორია 410 წლიდან 1410 წლამდე“ და სხვ. საფუძველი ჩაუყარა დაყოფას ძველ და შუა საუკუნეების ისტორიებად, მაგრამ იმის გამო, რომ ის წერდა ცუდი ლათინურით და ეს მაშინ, როცა ლათინური ენა ცოდნაზე გაცილებით უფრო მეტად ფასობდა – ამიტომ იგი არ სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

იტალიურ ჰუმანიზმის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჯოვანი პიკო დელა მირანდოლას (1463-1494), რომელიც თავისი პოზიციებით ახლოს იდგა მარსილიო ფიჩინოს მოძღვრებასთან ადამიანის ღირსებების ნეოპლატონურ გააზრებასთან.

პიკო დაიბადა გრაფის – მირანდოლას ოჯახში. შესანიშნავი განათლება მიიღო ბოლონიის, ფერარას, პადუისა და სორბონას უნივერსიტეტებში, ფლობდა მრავალ ენას (კლასიკურს, არაბულს, ქალდეურს, ახალ ებრაულს) ღრმად ერუდირებული იყო ანტიკურ და შუა საუკუნეების ფილოსოფიაში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ საჯარო დისპუტისათვის გამოიტანა თავისი ნაშრომი „900 თეზისი ფილოსოფიაში, კაბალასა და თეოლოგიაში“, რომელიც ეკლესიამ გაასამართლა, როგორც ერეტიკული ნაწარმოები, დისპუტი კი აკრძალა. პიკო გამოიძახეს რომში, რათა ინკვიზიციის სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო, მაგრამ პარიზში გაიქცა. გზაში ის შეიპყრეს და დააპატიმრეს. აშკარა დაღუპვისაგან პიკო იხსნა ლორენცო მედიჩის ჩარევამ, რომელმაც ახალგაზრდა ფილოსოფოსის ტალანტი სწორად შეაფასა. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლო წლები პიკომ ფლორენციაში, პლატონის აკადემიაში გაატარა, მეგობრების წრეში, რომლებთანაც დაპატიმრებამდე მეგობრობდა.

პიკოს ეკუთვნის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური თხზულებები: „სიტყვა ადამიანის ღირსებებზე“, „ერთზე და ჭეშმარიტზე“, „მსჯელობა ღვთაებრივი ასტროლოგიის წინააღმდეგ“ და სხვ. მასვე ეკუთვნის მრავალრიცხოვანი წერილები.

პიკო დელა მირანდოლამ განიცადა პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონიზმისა და ავეროიზმის გავლენა. პიკო ვარაუდობდა, რომ თითოეული ფილოსოფიური სკოლა და რელიგია ერთიანი ჭეშმარიტების კერძო გამოვლენაა. ამიტომ შეიძლება მათი გაერთიანება „უნივერსალურ ქრისტიანობად“. მთავარი პიკოს ანთროპოლოგიაში არის მნიშვნელოვანი იდეა სამყაროში ადამიანის ადგილისა და მისი ნებისყოფის თავისუფლების შესახებ. ამ იდეამ დიდი გავლენა მოახდინა ნატურფილოსოფიის შემდგომ განვითარებაზე. ჰუმანისტურმა ტენდენციამ პიროვნების კულტისა და ადამიანის გაღმერთებისაკენ პიკოს ფილოსოფიაში უმაღლეს წერტილს მიაღწია. ამ კონცეფციამ გავლენა იქონია მაღალი აღორძინების სახვით ხელოვნებაზე, ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოსა და რაფაელის შემოქმედებაზე.

ფლორენციულმა ნეოპლატონიზმმა დიდი წვლილი შეიტანა ფილოსოფიის თავისუფალ აზროვნებაში. მაგრამ ჭეშმარიტების მისაღწევად კი მარსელიო ფიჩინი და პიკო მირანდოლა გასაღებს ეძებდნენ პითაგორას ციფრების თეორიაში, კაბალისტიკაში და არა ცდებში. XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე მეცნიერული კვლევა კიდევ უფრო გააღრმავა ლეონარდო და ვინჩიმ, რომელმაც ახალი მეთოდი შემოიტანა.

XIV-XV საუკუნეების ევროპაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, რომლებიც მთელი ორასი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ევროპელები არაბულ სამყაროს დაუახლოვა, რის შედეგადაც მათ ბევრი რამე შეიძინეს და გადმოიღეს მათგან. ეს, პირველ რიგში, გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის ცოდნასთან იყო დაკავშირებული, რამაც საშუალება მისცა ევროპელებს ზღვაოსნობის უკეთ ათვისებაში.

ევროპაში მანამდე არსებული, ეგრეთ წოდებული პორტოლანი – კომპასის რუკა, რომელიც თანამედროვე საზღვაო რუკების საწყისს წარმოადგენდა, თანდათან ზუსტდებოდა და ზღვაოსნობისათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ხდებოდა. ასევე უმჯობესდებოდა ზღვაოსნობისათვის მეორე აუცილებელი ხელსაწყო – კომპასი. გაჩნდა ლოცმანის პროფესია. ღუზების სრულყოფამ, საჭისა და იალქნების აღჭურვამ უფრო სრულყოფილი ტექნიკით ხელი შეუწყო ზღვაოსნობის კიდევ უფრო მეტად განვითარებას. თვით გემთმშენებლობაშიც მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. მანამდე არსებული ტლანქი და მოუქნელი ხომალდები მრავალანძიანი იალქნიანი მსუბუქი, „კარაველებით“ შეიცვალა, რომლებიც უფრო მეტი წყალწყვის იყო და უფრო მოქნილი აღმოჩნდა შორეული მოგზაურობისათვის. სანავიგაციო მოწყობილობების სრულყოფამ და კარაველას გამოჩენამ შემდგომში ტექნიკური საფუძველი შეუქმნა XV საუკუნეში დაწყებულ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს.

უზარმაზარი მიღწევები იყო სამხედრო საქმეში, რაც ძირითადად ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებასა და მის ფართო გამოყენებასთან იყო დაკავშირებული.

განსაკუთრებული მიღწევები აღინიშნებოდა ასტრონომიის, მექანიკის, მედიცინისა და მათემატიკის განვითარებაში. მათემატიკაში დამოუკიდებელ მეცნიერებებად ჩამოყალიბდა ალგებრა, ტრიგონომეტრია, ანალიტიკური გეომეტრია. მათემატიკის განვითარება პირდაპირ კავშირში იყო კომერციულ საქმიანობასთან (ორმაგი ბუღალტერია, კრედიტის ახალი ფორმები, ვექსილი და ა. შ. ძალიან ახლო დგას დღევანდელ სისტემასთან).

ცნობილმა მათემატიკოსმა ლუკა პაჩოლიმ (1445-1514) განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ალგებრის განვითარებაში, გეომეტრიასა და საბუღალტრო აღრიცხვის თეორიაში. მისი ცნობილი ნაშრომი „ღვთაებრივ პროპორციებზე“ პრაქტიკულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა მხატვრებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არქიტექტორებისათვის. მეცნიერების მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა პლანეტების სისტემის შედგენა გერმანელი ასტრონომისა და მათემატიკოსის ი. რეგიომონტანოს მიერ. გარკვეული წარმატებები იყო მიღწეული გეოლოგიასა და ქიმიაში, რომელიც ჯერ კიდევ ტრადიციულ ალქიმიაზე იყო დამოკიდებული. ლაბორატორიებში ტარდებოდა რთული ცდები, რომლებიც ახალი ქიმიური შენაერთების აღმოჩენას განაპირობებდა. ხელახლა აღმოაჩინეს საპნის რეცეპტი (დაკარგული იყო VI ს.). XV საუკუნეში ლაბორატორიებში შეეძლოთ სხვადასხვა მჟავების, ამიაკის, სკიპიდრის, მარილის, ეთერული ზეთების, მხატვრობისათვის საღებავების (მათ შორის ზეთის) დამზადება და სხვ. გაჩნდა პირველი ოპტიკური და სანავიგაციო მოწყობილობების მექანიზმები, რატუშების საათების გვერდზე გაჩნდა პირველი ჯიბის საათები, რომლებიც მათ მფლობელებს შეახსენებდნენ, რომ „დრო ფული ღირს“.

მედიცინის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ანატომიამ, რასაც ხელი შეუწყო ანდრეა ვეზალიას ილუსტრირებულმა ნაშრომმა „ადამიანის სხეულის აგებულების შესახებ“. შესწავლილ იქნა უილიამ ჰარვეისა და მიგელ სერვეტის მიერ სისხლის მიმოქცევის სისტემა. მკურნალობის ახალ ეტაპს ქიმიური მედიკამენტების საშუალებით საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ალქიმიკოსმა პარაცელსიუსმა.

ბუნებისმეტყველების განვითარებაში წარმატებები მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ნატურფილოსოფიასთან, რომელიც ყოველგვარ დოგმატიზმს უარყოფდა და ცოდნის საფუძვლად ცდებს მიიჩნევდა. მათემატიკურ მეცნიერებებსა და მექანიკაში მიღწეულმა წარმატებებმა გავლენა მოახდინა ფილოსოფიის რაციონალური თეორიის ჩამოყალიბებაზე. ფილოსოფიისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულებამ ნათელი გამოხატულება პოვა ფრენსის ბეკონისა და რენე დეკარტის შემოქმედებაში.

ჰუმანისტური ეთიკის ჩამოყალიბებასთან ერთად, რომელიც ბრუნის, ვალას, ალბერტისა და პიკოს სახელთან იყო დაკავშირებული, განვითარდა პედაგოგიკა და ისტორიული აზროვნება. პედაგოგიკაში ჩამოყალიბდა აღზრდა-განათლების ახალი თეორია და სწავლების ახალი მეთოდიკა. პედაგოგიკა მიზნად ისახავდა თავისუფალი, მაღალი ზნეობრივი მორალის მქონე პიროვნების აღზრდას, რომელიც თავის შემოქმედებით ძალებს გამოიყენებდა საკუთარი თავისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის. სწავლების მეთოდიკა ემყარებოდა მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემასა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ბრუნიმ, ალბერტიმ, პალმიერიმ, გამოჩენილმა პედაგოგმა-პრაქტიკოსებმა გვარინო და ვერონამ და ვიტორინო და ფელტრემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ისტორიოგრაფიაშიც. ჰუმანისტები ისტორიას განიხილავდნენ როგორც სპონტანური განვითარების პროცესს, რომლის აქტიურ ძალას ადამიანი წარმოადგენდა. ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე კრიტიკული მიდგომა ისტორიული წყაროებისადმი. ჰუმანისტები ანტიკურ ტრადიციებზე დაყრდნობით, ისტორიაში „ცხოვრების მასწავლებლებს" ხედავდნენ, ქექავდნენ მასში არგუმენტებს, რათა დაესაბუთებინათ პოლიტიკურ პრაქტიკაში თავიანთი სოციალურ-ეთიკური კონცეფციები.

ფლორენციის ისტორიაში ბრუნის, პოჯოს და სხვა ჰუმანისტთა ისტორიული თხზულებები პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა: მათ პოლიტიკურ იდეალს პოპოლანური ფლორენციის რესპუბლიკა წარმოადგენდა. ვენეციელი ჰუმანისტები საბელიკო და ჯუსტინიანი საზოგადოებრივ იდეალს ვენეციის პატრიციანულ რესპუბლიკასთან აიგივებდნენ. აპოლოგეტური ხასიათის იყო მილანოს ჰუმანისტური ისტორიოგრაფია; მისი წარმომადგენლები ასაბუთებდნენ იდეას — მილანოს ძველი დიდების, რომელიც მემკვიდრეობით მოდიოდა მისი მმართველების — ვისკონტებისაგან. ყველა ჰუმანისტი ანტიკურ ისტორიაში ეძებდა „კარგად მოწყობილი" საზოგადოების მაგალითებსა და სახელმწიფოს, რათა მისი პროვოცირება მოეხდინა თანამედროვეობაში. ამასთანავე, რენესანსის ისტორიოგრაფიაში შეიმჩნევა მითების უარყოფა, რომლებსაც შუა საუკუნეების მემატიანეები თხზავდნენ. მაგალითად, სალუტატი და ბრუნი ფლორენციის დაარსების ცნობებს ეძებდნენ ლინგვისტიკაში, არქეოლოგიაში, იმოწმებდნენ რომაელ ისტორიკოსებს და ამტკიცებდნენ, რომ ფლორენცია დაარსდა არა ცეზარის ეპოქაში, არამედ უფრო ადრეულ საუკუნეებში — რომის რესპუბლიკის ხანაში. ამაზე აგებდნენ თავის იდეებს ფლორენციაზე, როგორც რესპუბლიკური თავისუფლების უშუალო შემცველზე. აქედან კი აკეთებდნენ პრაქტიკულ პოლიტიკურ დასკვნას — სწორედ ფლორენცია უნდა გახდეს თავისუფლების მატარებელი და ყველა ქალაქ-სახელმწიფოს ლიდერი მილანოს აგრესიასთან ბრძოლაში. ისტორია იქცა პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელოვან იარაღად, რომელიც რაციონალურ ფაქტებზე იყო დაყრდნობილი.

XV საუკუნის დასასრულისთვის მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა ფილოლოგიის განვითარებაში. ჰუმანისტების ძალისხმევით, რომლებიც ეძებდნენ ძველი ავტორების მანუსკრიპტებს, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა თარგმნილი და კომენტირებული ანტიკური მწერლებისა და ფილოსოფოსების ნაწარმოებები.

ჰუმანისტური ფილოლოგიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო ლიტერატურის ისტორიის კრიტიკული მეთოდით შესწავლა, რომელიც ვალასა და განსაკუთრებით ანჯელო პოლიციანოს, XV საუკუნის უკანასკნელი ათწლეულების დიდი პოეტისა და ფილოლოგის მიერ იყო შემუშავებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰუმანისტები დიდ ყურადღებას აქცევდნენ რიტორიკას, რომელშიც ხედავდნენ ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური იდეების გამოხატვის საიმედო საშუალებასა და ზნეობრივად მაღალი მორალის საზოგადოების აღმზრდელს.

XIV-XV საუკუნეების იტალიის აღორძინების ხელოვნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჯოტო დი ბონდონეს (დაახლ. 1266-1337) ნოვატორულ შემოქმედებას. ჯოტო ფლორენციის მახლობლად დაიბადა. მოღვაწეობა მოუხდა ჯერ რომში, შემდეგ კი პადუაში. ნეაპოლში, ძირითადად კი, ფლორენციაში ჯოტოს ტრადიციულ რელიგიურ ფრესკებში სრულიად ახალი ადამიანური გრძნობები და განცდები იყო ჩაქსოვილი. ჯოტოს ხელოვნების რეალისტურმა ტენდენციამ შესაძლებლობა მისცა ისეთი მკაფიო დრამატული სცენები შეექმნა, როგორიცაა, მაგალითად, მისი „იუდას ამბორი“ და სხვ. ქრისტეს, მარიამისა და სხვა წმინდანების გამოსახულებაში ავტორმა უბრალო ადამიანებისათვის გასაგები გრძნობები ჩააქსოვა, რითაც ისინი რელიგიური ასკეტიზმისაგან გაათავისუფლა.

სკულპტურაში მაღალ დონეს მიაღწია რელიეფის ხელოვნებამ, რომლისთვისაც ასევე დამახასიათებელი იყო რელიგიური სიუჟეტების საერო ინტერპრეტაცია. უდიდესი სკულპტორები, რომელთა შემოქმედებაშიც ჩამოყალიბდა რენესანსის სტილი, იყვნენ გიბერტი, დონატელო, ვეროკიო. სკულპტურაში სწრაფად განვითარდა პორტრეტის ხელოვნება, გაჩნდა ქანდაკებები, კონდოტიერების ძეგლები.

იტალიური აღორძინების ფერწერის ფუძემდებელი იყო მაზაჩო (1401-1428), მისი ფრესკები კომპოზიციური უბრალოებით გამოირჩეოდნენ. ამ პერიოდში ყალიბდება სხვადასხვა სკოლები და მიმართულებები. ფლორენციელი ოსტატი ფილიპო ლიპი გატაცებული იყო ჟანრობრივი თხრობით. ეს მიმართულება თავისებურად განავითარა დომენიკო გირლანდაიომ, რომლის ნახატებში ქალაქური ყოფის დეტალები აისახა. სანდრო ბოტიჩელი (1445-1510) თავის შედევრებს ანტიკური მითოლოგიის საფუძველზე ხატავდა („გაზაფხული“, „ვენერას დაბადება“ და სხვ.).

სანდრო ბოტიჩელი. „გაზაფხული“

უმბრიის სკოლის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: პიერო დელა ფრანჩესკა (1416 ან 1420-1492), პერუჯინო და პინტურიკო. ჩრდილო იტალიური ფერწერიდან აღსანიშნავია ანდრეა მანტენის შემოქმედება. XV საუკუნის ვენეციურმა სკოლამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვცა გამოჩენილი მხატვრები – ანტონელო და მესინა, ვიტორე კარპაჩო, ჯოვანი ბელინი.

აღორძინება დაიწყო იტალიის არქიტექტურაშიც. ერთფეროვანი გოთური სტილი შეცვალა ახალმა სტილმა ინკრუსტაციებისა და სხვადასხვა ფერის მარმარილოს გამოყენებით. აღორძინების ხანის ახალი არქიტექტურა თავისი გრანდიოზული შენობებით, მაღალი თაღებითა და კოლონადებით ზუსტ მათემატიკურ გაანგარიშებას მოითხოვდა. სამშენებლო ტექნიკის განვითარებამ და მათემატიკურმა გამოანგარიშებამ შესაძლებელი გახადა გრანდიოზული შენობების შედარებით მოკლე ვადებში აშენება.

ახალი არქიტექტურული სტილის ავტორები იყვნენ ფილიპო ბრუნელესკი (1377-1446) და ლეონ ბატისტა ალბერტი (1404-1472). ბრუნელესკიმ პირველად არქიტექტურის ისტორიაში მათემატიკური გაანგარიშებების საშუალებით დიდი გუმბათოვანი შენობის პრობლემა გადაწყვიტა. მის მიერ აგებულ შენობებს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი.

დაბოლოს, უზარმაზარი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისის კულტურული აღმავლობისათვის წიგნის ბეჭდის გამოგონებას გერმანელი იოჰან გუტენბერგის მიერ (1400-1468), რამაც რადიკალური გარდატეხა მოახდინა. პირველი წიგნი მან 1445 წელს დაბეჭდა, ხოლო 1450 წელს კი სტამბა დააარსა. 1470 წლისათვის სტამბები არსებობდა გერმანიაში, ჰოლანდიასა და იტალიაში. იტალიელმა ჰუმანისტებმა სწრაფად აითვისეს ბეჭდვის საქმე. ვენეციელმა ჰუმანისტმა ალდო მანუციმ 1494 წელს სტამბა დააარსა, რომელშიც სპეციალურად ანტიკური ავტორების, შემდეგ კი ჰუმანისტების ნაწარმოებები იბეჭდებოდა.

ბეჭდვითმა საქმემ გარკვეული გავლენა მოახდინა მეცნიერების ცალკეული დარგების შემდგომ განვითარებაზეც.

იტალიურმა აღორძინებამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა ევროპის სხვა ქვეყნების განვითარებაზე. XV საუკუნის ბოლოსათვის მთავრდება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკური გაერთიანების პროცესი. წარმოიქმნა ეროვნული ბაზრები, რამაც მნიშვნელოვნად განავითარა ვაჭრობა და კაპიტალისტური ურთიერთობების პროცესი. ქალაქური კულტურის ამაღლებამ საფუძველი მოუმზადა ჰუმანისტური იდეების გავრცელებას, რაც, პირველ რიგში, ნიდერლანდებისა და სამხრეთ გერმანიის მდიდარ ქალაქებში გახდა თვალსაჩინო. ინგლისში უკვე XIV საუკუნის ბოლოს ცნობილი პოეტი ჯეფრი ჩოსერი წერს ჰუმანისტურ ნაწარმოებს „კენტერბერიულ მოთხრობებს“, რომელიც ბოკაჩოს გავლენითაა დაწერილი. საფრანგეთში, ასევე ბოკაჩოს გავლენით, მარგარიტა ნავარელი წერს „ჰეპტამერონს“. იტალიური რენესანსის გავრცელებას ევროპაში განსაკუთრებით ხელი შეუწყო XV საუკუნის ბოლოს საფრანგეთის მეფის შარლ VIII-ს შეჭრამ იტალიაში, რის შედეგადაც დაიწყო ე. წ. „იტალიური ომები“.

იტალიაში დაწყებული ჰუმანისტური მოძრაობა ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრონოლოგიური ცხრილი

ძვ. წ.აღ-ით 58-52	იულიუს ცეზარის ომები გალიაში, ბრიტანეთსა და გერმანიაში.
ახ. წ.აღ-ით	რომაელთა დამარცხება ტევტობურგის ტყეში.
დაახლ. 98	ტაციტუსის „გერმანია“.
166-180	მარკომანების ომი. რიგი ბარბაროსული ტომების თავდასხმები რომის იმპერიაზე.
269	ნაისუსის ბრძოლა, გოთების დამარცხება იმპერიის ჯარების მიერ.
284-305	იმპერატორი დიოკლეტიანე.
III-V სს.	ბაგაუდების მოძრაობა — აჯანყებები გალიასა და ჩრდ. ესპანეთში.
IV-VI სს.	ბარბაროს ტომთა მასობრივი მიგრაცია — ხალხთა დიდი გადასახლება.
IV ს.	ჰუნების შემოსევები შავიზღვისპირეთში.
324-337	იმპერატორი კონსტანტინე I დიდი.
313	მილანის ედიქტი.
325	პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება ნიკეაში.
330	იმპერიის დედაქალაქის რომიდან კონსტანტინოპოლში გადატანა.
375	ჰუნების მიერ ოსტგოთების ტომთა კავშირის განადგურება და ვესტგოთების დუნაის გაღმა გადახიზნვა.
378	ადრიანოპოლის ბრძოლა, ვესტგოთების გამარჯვება იმპერიის ჯარებზე, იმპერატორ ვალენტის სიკვდილი.
381	მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება კონსტანტინოპოლში.
378-395	იმპერატორი თეოდოსიუსი.
395	რომის იმპერიის გაყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად.
406-407	ვანდალების, სვებებისა და ალანების შემოსევა გალიასა და ესპანეთში. ბრიტანეთიდან რომაული ლეგიონების გამოყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

408	სტილიხონის სიკვდილით დასჯა. ალარიხის მიერ რომის პირველი გარემოცვა.
410	რომის აღება ვესტგოთების ბელადის, ალარიხის მიერ.
418-507	ვესტგოთების სამეფო სამხრეთ საფრანგეთში.
429-534	ვანდალების სამეფო ჩრდილო აფრიკაში.
431	მესამე საეკლესიო კრება ეფესოში.
დაახლ. 443	ბურგუნდების დასახლება სავოიაში.
V ს-ის შუა – VII ს. დასაწ.	ანგლოსაქსური სახელმწიფოების შექმნა.
V ს-ის შუა – 711	ვესტგოთთა სახელმწიფო ესპანეთში.
451	კატალაუნის ბრძოლა.
451	მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება ქალკედონზე.
455	რომის აღება და აოხრება ვანდალთა მიერ.
457-534	ბურგუნდების სამეფო (დედაქალაქით ლიონში).
476	დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა.
476-493	ოდოაკრის მმართველობა იტალიაში.
481-511	ფრანკთა მეფე ხლოდვიგი.
486	ბრძოლა სუასონთან. ჩრდილო გალიის რომაელთა განადგურება სალიელი ფრანკების მიერ. ფრანკთა სამეფოს შექმნა.
486-751	მეროვინგთა დინასტია ფრანკთა სამეფოში.
493-555	ოსტგოთთა სახელმწიფო იტალიაში.
496	ხლოდვიგის მიერ კათოლიკობის მიღება.
VI ს-ის დასაწ.	„სალიკური სამართალი“.
507	პუატიეს ბრძოლა, ფრანკთა მიერ ვესტგოთების დამარცხება. აკვიტანიის დაპყრობა.
527-565	იუსტინიანე I, ბიზანტიის იმპერატორი.
533-534	ბიზანტიის მიერ ვანდალთა სამეფოს დაპყრობა.
534	ფრანკების მიერ ბურგუნდების სამეფოს დაპყრობა.
535-555	ბიზანტიელთა ომი ოსტგოთებთან. ოსტგოთების სახელმწიფოს დაცემა.
536	ოსტგოთების მიერ პროვანსის დათმობა ფრანკთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

541-552	ტოტილას მმართველობა ოსტგოთთა სახელმწიფოში.
560-იანი წწ.	ავართა ხაკანატის შექმნა შუა დუნაიზე.
561-584	ფრანკთა მეფე ხილპერიკი.
568	ლანგობარდთა მიერ ჩრდილო იტალიის დაპყრობა.
590-604	რომის პაპი გრიგოლ I დიდი.
687	ბრძოლა ტერტრისთან. ავსტრაზიის მაიორდომის, პიპინ ჰერისტალელის მიერ ფრანკთა სამეფოს გაერთიანება.
711-714	არაბთა მიერ ესპანეთის დაპყრობა.
715-741	ფრანკთა სახელმწიფოს მაიორდომი – კარლოს მარტელი.
718-1492	რეკონკისტის პერიოდი ესპანეთში.
718	ასტურიის სამეფოს შექმნა პირინეის ნახევარკუნძულზე.
732	პუატიეს ბრძოლა, ფრანკთა გამარჯვება არაბებზე.
741-768	პიპინ მოკლე, მაიორდომი, ფრანკთა მეფე (751 წლიდან).
751-843	კაროლინგების დინასტია ფრანკთა სახელმწიფოში.
755-756	პიპინ მოკლეს ლაშქრობანი იტალიაში. პაპების საერო სახელმწიფოს დაარსება რომში.
768-814	კარლოს დიდი, ფრანკთა მონარქი.
772-804	კარლოს დიდის ბრძოლა საქსებთან.
774	კარლოს დიდის მიერ ლანგობარდთა სახელმწიფოს დაპყრობა.
778	კარლოს დიდის ლაშქრობა ესპანეთში.
788-803	ფრანკების ბრძოლა ავარებთან.
800	კარლოს დიდის კურთხევა იმპერატორად.
814-840	ლუდოვიკო ღვთისნიერი.
829	ანგლოსაქსური სამეფოების გაერთიანება.
841-842	„სტელინგას“ აჯანყება საქსონიაში.
843	ვერდენის ხელშეკრულებით. კაროლინგების იმპერიის დანაწილება.
IX ს. დასაწ.	ნორმანთა თავდასხმები ევროპის სახელმწიფოებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

847	„მერსენის კაპიტულარი“ – შარლემანის მელოტის მიერ გამოცემული.
870	ნორვეგიელთა მიერ ისლანდიის დასახლების დასაწყისი.
871-899 (900)	ალფრედ დიდი, ინგლისის მეფე.
879	ალფრედის ხელშეკრულება გუტრუმთან.
IX ს. ბოლო	უნგრელების გამოჩენა პანონიაში.
911	ნორმანდიის საჰერცოგოს წარმოშობა.
911	კაროლინგთა დინასტიის მოსპობა გერმანიაში.
X-XI სს.	კლუნიური მოძრაობა საეკლესიო რეფორმისათვის.
919-1024	საქსონიის დინასტია გერმანიაში.
919-936	ჰაინრიხ I ფრინველმჭერი.
936-973	ოტო I.
955	ბრძოლა მდ. ლეხთან. ოტო I გამარჯვება უნგრელებზე.
962	ოტო I კურთხევა რომის საღვთო იმპერატორად. რომის საღვთო იმპერიის შექმნა .
980-იანი წწ.	ნორეველიელებისა და ისლანდიელების მიერ გრენლანდიისა და ჩრდილო ამერიკის კუნძულთა აღმოჩენა.
987	კაროლინგთა დინასტიის მოსპობა საფრანგეთში.
987-1328	კაპეტინგთა დინასტია საფრანგეთში.
987-996	ჰიუგ კაპეტი.
997-1038	უნგრეთის მეფე იშტვან I, უნგრეთის გაქრისტინება.
დაახლ. 1000	უნგრეთის სამეფოს შექმნა არპადთა დინასტიით სათავეში.
1016-1035	კნუდ დიდი, ინგლისის, დანიისა და ნორვეგიის მეფე.
1024-1125	ფრანკონული (სალიკური) დინასტია გერმანიაში.
1029	მორავიისა და ჩეხეთის შეერთება.
1030-1091	ნორმანების მიერ სამხრეთ იტალიისა და სიცილიის დაპყრობა.
1032 (1033)	ბურგუნდიის (არელატი) სამეფოს შესვლა საღვთო რომის იმპერიის შემადგენლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1037 ..... კასტილიის სამეფოს შექმნა პირინეის ნახევარკუნძულზე.
1039-1056 ..... იმპერატორი ჰაინრიხ III შავი.
1042-1066 ..... ინგლისის მეფე ედუარდ აღმსარებელი.
1054 ..... საეკლესიო სქიზმა კათოლიკურ. და მართლმადიდებლურ ეკლესიებად.
1056-1106 ..... ჰაინრიხ IV, გერმანელი იმპერატორი.
1059 ..... ლატერანის კრება.
1066 ..... ბრძოლა ჰასტინგთან. ინგლისის დაპყრობა ნორმანდიელთა მიერ.
1066-1087 ..... უილიამ I დამპყრობელი, ინგლისის მეფე.
1073-1075 ..... იმპერატორ ჰაინრიხ IV-ს წინააღმდეგ აჯანყება საქსონიაში.
1073-1085 ..... პაპი გრიგოლ VII.
1076 ..... ტრიბურის სეიმი.
1077 ..... ჰაინრიხ IV „მონანიება“ პაპის წინაშე კანოსაში.
1079-1142 ..... ფილოსოფოსი და თეოლოგი პიერ აბელარი.
1081-1118 ..... ალექსი I კომნენოსი, ბიზანტიის იმპერატორი.
1085 ..... ესპანელთა მიერ ტოლედოს წართმევა არაბებისთვის.
1086 ..... „საშინელი სამსჯავროს წიგნი“.
1095 ..... კლერმონის საეკლესიო კრება.
1096-1270 ..... ჯვაროსნული ლაშქრობები.
1096-1099 ..... პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა.
1100-1135 ..... ჰენრი I, ინგლისის მეფე.
1108-1135 ..... ლუი VI სქელი, საფრანგეთის მეფე.
1122 ..... ვორმსის კონკორდატი.
1130-1282 ..... სიცილიის სამეფო.
1135-1154 ..... ფეოდალური შინაომი სტივენსა და მატილდას შორის.
1137 ..... კატალონიისა და არაგონის გაერთიანება.
1137-1180 ..... ლუი VII, საფრანგეთის მეფე.
1138-1254 ..... შტაუფენთა დინასტია საიმპერატორო კარზე.
1139 ..... პორტუგალიის სამეფო დაარსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1143-1155 ..... ანტიპაპისტური აჯანყება რომში არნოლდ ბრეშიელის მეთაურობით რესპუბლიკის დაარსება.

1144 ..... ედესის დაცემა.

1147-1149 ..... მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1152-1190 ..... ფრიდრიხ I ბარბაროსა, გერმანიის იმპერატორი.

1154-1399 ..... პლანტაგენეტთა (ანჟუს) დინასტია ინგლისში.

1154-1189 ..... ჰენრი II პლანტაგენეტი.

1157-1182 ..... ვალდემირ I დანიელი.

1158 ..... რონკალის სეიმი. ჩრდილო იტალიური ქალაქების დამორჩილება გერმანიის იმპერატორისადმი.

1162 ..... მილანის აღება ფრიდრიხ I ბარბაროსას მიერ.

1164 ..... „კლარენდონის კონსტიტუციები“.

1167 ..... ლომბარდიის ლიგის დაარსება.

1169-1171 ..... ინგლისის მიერ ირლანდიის დაპყრობის დასაწყისი.

1170 ..... ტომას ბეკეტის მკვლელობა.

1174-1184 ..... ბირკებეინერების აჯანყება ნორვეგიაში.

1176 ..... ბრძოლა ლენიანოსთან. ფრიდრიხ I-ის ჯარების მარცხი იტალიაში.

1180-1223 ..... ფილიპე II ავგუსტუსი, საფრანგეთის მეფე.

1182-1226 ..... წმინდა ფრანცისკ ასიზელი.

1183 ..... კონსტანცის ზავი, ჩრდილო იტალიურ ქალაქთა თვითმმართველობის უფლებების აღდგენა.

1187 ..... იერუსალიმის აღება სალადინის მიერ.

1189-1192 ..... მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1189-1199 ..... რიჩარდ I ლომგული.

1190-1197 ..... იმპერატორ ჰაინრიხ VI.

1192-1489 ..... კვიპროსის სამეფო.

1194-1266 ..... შტაუფენების დინასტია სიცილიის სამეფოში.

1198-1216 ..... პაპი ინოკენტი III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1199-1216 ..... ჯონ უმიწაწყლოს მეფობა ინგლისში.
1201-1241 ..... ვალდემირ II დანიელი.
1202-1204 ..... მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა. ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღება.
1202-1204 ..... ფილიპე II ავგუსტის მიერ ნორმანდიის წართმევა ჯონ უმიწაწყლოსთვის.
1204-1261 ..... ლათინთა იმპერია.
1204-1261 ..... ნიკეის იმპერია.
1209 ..... ფრანცისკანური ორდენის დაარსება.
1209-1229 ..... ალბიგოელების ომები.
1212 ..... ლას ნავას დე ტოლოსას ბრძოლა. კასტილიის, არაგონის, პორტუგალიისა და ნავარას გაერთიანებულ ძალთა გამარჯვება არაბებზე.
1212-1250 ..... ფრიდრიხ II შტაუფენი, სიცილიის მეფე და გერმანიის იმპერატორი (1220 წლიდან).
1214 ..... ფრანგების გამარჯვება ინგლისელებზე ლაროშ-ომუანთან და ბუვინთან.
1215 ..... „თავისუფლებათა დიდი ქარტია“.
1216-1272 ..... ჰენრი III, ინგლისის მეფე.
1216 ..... დომინიკანური ორდენის დაარსება.
1217-1221 ..... მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა.
1222 ..... უნგრეთის მეფე ანდრია II-ის „ოქროს ბულა“.
1225/26-1274 ..... თეოლოგი თომა აკვინელი.
1226-1270 ..... ლუი IX, საფრანგეთის მეფე.
1228-1229 ..... მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობა (ფრიდრიხ II შტაუფენის ხელმძღვანელობით).
1229 ..... ლანგედოკის შეერთება საფრანგეთის მეფის დომენთან.
1230 ..... ლეონისა და კასტილიის გაერთიანება.
1231 ..... სიცილიის სამეფოს კონსტიტუცია („მელფის კონსტიტუციები“).
1231 ..... ტევტონური ორდენი პრუსიაში.
1237 ..... ტევტონთა და მახვილოსანთა ორდენების გაერთიანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1242 ..... „ბრძოლა ყინულზე“. ალექსანდრე ნეველის გამარჯვება ტევტონელ რაინდებზე.

1248-1254 ..... მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1254-1274 ..... უმეფობის ხანა იმპერიაში.

1258 ..... „ოქსფორდის პროვიზიები“. ბარონთა ოლიგარქიის დამყარება ინგლისში.

1261 ..... ბიზანტიის იმპერიის აღდგენა გენუელთა დახმარებით.

1263-1267 ..... სამოქალაქო ომი ინგლისში.

1264 ..... სიმონ დე მონფორის გამარჯვება მეფის ჯარებზე ლუისთან.

1265 ..... პარლამენტის შექმნა ინგლისში.

1265-1321 ..... პოეტი დანტე ალიგიერი.

1265 ..... მონფორის დამარცხება ივზემთან ბრძოლაში და დაღუპვა.

1266 ..... ბრძოლა ბენევენტთან. სამხრეთ იტალიის დაპყრობა შარლ ანჟუელის მიერ.

1268-1442 ..... ანჟუს დინასტია სამხრეთ იტალიაში.

1270 ..... მერვე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1272-1307 ..... ედუარდ I, ინგლისის მეფე.

1273-1291 ..... იმპერატორი რუდოლფ I ჰაბსბურგი.

1276-1278 ..... პშემისლ II-ს მიერ ჩეხეთ-ავსტრიის განადგურება. რუდოლფ ჰაბსბურგის მიერ ავსტრიის, შტირიის, კარინტიისა და კრაინას დაპყრობა.

1277-1447 ..... ვისკონტის ტირანია მილანში.

1282 ..... „სიცილიური მწუხრი“, აჯანყება ფრანგების წინააღმდეგ პალერმოში.

1282 ..... სახალხო კრების დაარსება დანიაში.

1282-1442 ..... ნეაპოლიტანიის სამეფო სამხრეთ იტალიაში.

1285-1314 ..... ფილიპე IV ლამაზი, საფრანგეთის მეფე.

1291 ..... შვეიცარიული კავშირის შექმნა.

1291 ..... აკრის დაცემა. ჯვაროსანთა. უკანასკნელი სამფლობელოების დაცემა აღმოსავლეთში.

1293 ..... „სამართლიანობის წესდებები“ ფლორენციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1294-1303 ..... პაპი ბონიფაციუს VIII.
1298 ..... კურცოლოს ბრძოლა, გენუელთა ფლოტის გამარჯვება ვენეციელებზე.
1302 ..... გენერალური შტატების დაარსება საფრანგეთში.
1302 ..... ბრძოლა კურტრესთან („დეზების ბრძოლა"), ფლანდრიის ქალაქების გამარჯვება ფრანგ რაინდებზე.
1302 ..... სიცილიის შეერთება არაგონის სამეფოსთან.
1304-1307 ..... დოლჩინოს ამბოხება ლომბარდიაში.
1304-1374 ..... პოეტი ფრანჩესკო პეტრარკა.
1307-1312 ..... ტამპლიერთა ორდენის მოსპობა.
1309-1377 ..... პაპების „ავინიონის ტყვეობა".
1310-1382 ..... ანჟუელთა დინასტია უნგრეთში.
1310-1437 ..... ლუქსემბურგთა დინასტია ჩეხეთში.
1313-1375 ..... მწერალი ჯოვანი ბოკაჩო.
1315 ..... შვეიცარიელთა გამარჯვება ჰაბსბურგებთან მორტგარტენთან.
1319-1363 ..... მაგნუს ერიკსონი, მეფე შვედეთისა, ნორვეგიისა და ფინეთისა.
1324 ..... სარდინიის შეერთება არაგონთან.
1327-1377 ..... ედუარდ III, ინგლისის მეფე.
1328 ..... ინგლისის მიერ შოტლანდიის თავისუფლების აღიარება.
1328-1589 ..... ვალუას დინასტია საფრანგეთში.
1328 ..... ამბოხებულ ფლანდრიელ მოქალაქეთა დამარცხება კასელთან.
1331-1406 ..... ფლორენციელი ჰუმანისტი კოლუჩიო სალუტატი.
1337-1453 ..... ასწლიანი ომი ინგლისსა და საფრანგეთს შორის.
1340 ..... ინგლისის ფლოტის გამარჯვება სლეისთან (ეკლიუზთან).
1343 ..... დოფინეს შეერთება საფრანგეთთან.
1345 ..... ჩუტო ბრანდინის მოძრაობა ფლორენციაში.
1346 ..... კრესის ბრძოლა, ინგლისელთა გამარჯვება ფრანგებზე.
1347 ..... ინგლისელთა მიერ კალეს აღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1347 ..... ავჯანყება რომში კოლა დი რიენცოს მეთაურობით, რომში რესპუბლიკის გამოცხადება.

1347-1378 ..... კარლ IV, გერმანიის იმპერატორი და ჩეხეთის მეფე (1346 წლიდან).

1348-1350 ..... „შავი სიკვდილი“ ევროპაში.

1348-1352 ..... გენუა-ბიზანტიის ომი.

1349-1361 ..... ედუარდ III „მუშათა კანონმდებლობა“.

1356 ..... პუატიეს ბრძოლა. ინგლისელთა. მიერ ფრანგების დამარცხება.

1356 ..... კარლ IV-ის „ოქროს ბულა“.

1356-1358 ..... პარიზის ავჯანყება ეტიენ მარსელის მეთაურობით.

1358 ..... ჟაკერია საფრანგეთში.

1360 ..... ზავი ინგლისსა და საფრანგეთს შორის ბრეტინიში.

1364-1380 ..... საფრანგეთის მეფე შარლ V.

1367-1370 ..... ჰანზას ომი დანიასთან.

1370 ..... შტოალზუნდის ზავი, ჰანზას გამარჯვება დანიაზე.

1370 (1374)-1444 ..... ფლორენციელი ჰუმანისტი ლეონარდო ბრუნი.

1377-1446 ..... ფლორენციელი არქიტექტორი ფილიპო ბრუნელესკი.

1377-1399 ..... რიჩარდ II, ინგლისის მეფე.

1378 ..... ჩომპის ავჯანყება ფლორენციაში.

1378-1417 ..... „დიდი სქიზმა“ კათოლიკურ ეკლესიაში.

1380 ..... ვენეციის ფლოტის გამარჯვება გენუაზე კიოჯისთან.

1381 ..... უოტ ტაილერის ავჯანყება.

1382-1384 ..... „ტუშენების“ ავჯანყება საფრანგეთში.

1382 ..... უროების ავჯანყება პარიზში.

1382-1387 ..... ტუკინების ავჯანყება ჩრდილო იტალიაში.

1389 ..... კოსოვოს ბრძოლა.

1397 ..... კალმარის უნია დანიის, შვედეთისა და ნორვეგიის.

1399-1461 ..... ლანკასტერთა დინასტია ინგლისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1404-1472 ..... იტალიელი ჰუმანისტი ლეონ ბატისტა ალბერტი.

1406 ..... ფლორენციის მიერ პიზის დაპყრობა.

1407-1457 ..... იტალილი ჰუმანისტი ლორენცო ვალა.

1410 ..... ტევტონური ორდენის განადგურება გრიუნვალდთან.

1413 ..... კაბოშინების აჯანყება პარიზში.

1413-1422 ..... ჰენრი V, ინგლისის მეფე. ომის განახლება საფრანგეთთან.

1414-1418 ..... კონსტანცის საეკლესიო კრება.

1415 ..... იან ჰუსის კოცონზე დაწვა.

1415 ..... აზენკურის ბრძოლა, ინგლისელთა გამარჯვება ფრანგებზე.

1419-1434 ..... ჰუსიტური ომები.

1422-1461 ..... შარლ VII, საფრანგეთის მეფე.

1428-1429 ..... ორლეანის გარემოცვა ინგლისელთაგან. ჟანა დ'არკი.

1431-1449 ..... ბაზელის საეკლესიო კრება.

1431 ..... ჟანა დ'არკის სიკვდილით დასჯა.

1433 ..... პრაღის კომპაქტატები.

1434 ..... თაბორიტების დამარცხება ლიპანთან.

1434 ..... მედიჩთა ტირანიის დამყარება ფლორენციაში.

1434-1436 ..... ენგელბრექტ ენგელბრექტონის აჯანყება შვედეთში.

1435 ..... რიკსდაგის პირველად მოწვევა შვედეთში.

1437-1438 ..... გლეხთა აჯანყება ტრანსილვანიასა და ჩრდილო უნგრეთში.

1438 ..... ბურჟის „პრაგმატული სანქცია".

1438-1445 ..... ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება.

1439 ..... კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების ფლორენციული უნია.

1440-1493 ..... ფრიდრიხ III, გერმანიის იმპერატორი.

1442 ..... არაგონის მიერ ნეაპოლიტანიის სამეფოს დაპყრობა.

1445 ..... იოჰან გუტენბერგის მიერ წიგნის ბეჭდვის გამოგონება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1445-1510	მხატვარი სანდრო ბოტიჩელი.
1450	ჯეკ კედის აჯანყება ინგლისში.
1453	კონსტანტინოპოლის აღება, ბიზანტიის იმპერიის დაცემა.
1455-1485	ალისფერი და თეთრი ვარდების ომი.
1458-1490	მატიაშ ხუნიადი (მათე კორვინი), უნგრეთის მეფე.
1461-1483	ლუი XI, საფრანგეთის მეფე.
1461-1485	იორკების დინასტია ინგლისში.
1468	წოდებათა წარმომადგენლობის შექმნა დანიაში.
1469-1492	ლორენცო (მშვენიერი) მედიჩი.
1477	შარლ თამამის მარცხი და დალუპვა ნანსის ბრძოლაში. ბურგუნდიის მიწების განაწილება საფრანგეთსა და ჰაბსბურგებს შორის.
1479	არაგონისა და კასტილიის გაერთიანება ფერდინანდისა და იზაბელას ძალაუფლების ქვეშ.
1485	ბოსვორტის ბრძოლა. ჰენრი VII. ტიუდორის გამარჯვება რიჩარდ III-ზე.
1486	„ცუდი ადათების“ გაუქმება კატალონიაში.
1491	ბრეტანის შემოერთება საფრანგეთთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

1. ავგუსტინე ნეტარი, ღვთიური სახელმწიფოს შესახებ, ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბ., 1999.
2. ჯ. ბოკაჩო, დეკამერონი, 2 წიგნად, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბ., 1970.
3. დანტე ალიგიერი, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა და კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 1941.
4. ეინჰარდი, კარლოს დიდის ცხოვრება, თარგმანი გ. კუტალიასი. – შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IV, თბ., 2002.
5. „კონსტანტინეს ნაბოძვარი", თარგმანი გ. კუტალიასი. – შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, V, თბ., 2003.
6. ფ. რაბლე, გარგანტუა და პანტაგრუელი, თარგმანი ე. ბაგრატიონისა, თბ., 1973.
7. სიმღერა როლანდზე, თარგმანი რ. გვეტაძის, ხ. ვარდოშვილისა და ა. აბაშელისა, თბ., 1948.
8. უფროსი ედა, სიმღერა ნიბელუნგებზე, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბ., 1948.
9. ფრანცისკ ასიზელი, მზის საგალობელი, იტალიურიდან თარგმნა ბ. ჯავახიამ, ჟურნ. „კრიტერიუმი", თბ., 2000.
10. ცხოვრება მეფეთა მეფის თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
11. ჯ. ჩოსერი, კენტერბერიული მოთხრობები, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბ., 1977.
12. თავისუფლების დიდი ქარტია, შუა საუკუნეების სამართალი, ტ. II, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1962.
13. სალიკური სამართალი, ადრეული ფეოდალური სამართლის ძეგლები, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1950.
14. Восстание 1381 года в Англии: Из анонимной хроники, принадлежащей аббатству св. Марии в Йорке// Хрестоматия по истории средних веков, т. 2, с. 324-336.
15. Гай Юлий Цезарь. Записи о галльской войне// Древние германцы, Сб. док., Вводная статья и ред. А. Д. Удальцова, М., 1937, с. 10-33.
16. Из Сен-Жерменского полиптика// Хрестоматия по истории средних веков. В 2-х т. Под. ред С. Д. Сказкина, М., 1961-1963, т. 1, с. 446-452.
17. Капитулярий о поместьях // Хрестоматия по истории средних веков. В 2-х т. Под ред С. Д. Сказкина. М., 1961-1963, т. 1, с. 437-446.
18. Публий Корнелий Тацит. Германия // Древние германцы. Сб. док., с. 55-126.

19. Памятники истории Англии. XI-XIII вв. Пер. и введ. Д. М. Петрушевскокого. М., 1936.
20. Первое городское право Страсбурга // Хрестоматия по истории средних веков. В 2-х т. Под ред. С. Д. Сказкина. М., 1961-1963, т. 2, с. 459-472.
21. Регистры ремесел и торговли города Парижа. Пер. Л. И. Киселевой, под ред. и с предисл. А. Д. Люблинской // Средние века. Вып. 10, М., 1957, с. 306-364; Вып. 11.М., 1958, с. 171-224.
22. Социальная история средневековья. Под ред. Е. А. Косминского и А. Д. Удальцова. М., Л., 1927, т. 1-2.
23. Средневековье в его памятниках. Под ред. Д. Н. Егорова. М., 1913.
24. Стасюлевич М. История средних веков в ее писателях и исследованиях новейших ученых. СПб., Разн. Изд.,т. 1-3.
25. Уставы Франциска Ассизского, Франциск Ассизский. Сочинения. Ред., пер., коммент. В. Л. Задворского. М., 1995.
26. Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы. Под ред. В. М. Корецкого. М., 1961.
27. Хрестоматия по зарубежной литературе: Литература средних веков. Сост. Б. И. Пуришев, Р. О. Шор. М., 1953.
28. Хрестоматия по зарубежной литературе. В 2-х т. Сост. Б. И. Пуришев. М., 1959, 1962, т. 1. Эпоха Возрождения.
29. Хрестоматия по истории средних веков. В 2-х т. Под ред. С. Д. Сказкина. М., 1961-1963.
30. Хрестоматия истории средних веков. Под ред. Н. П. Грацианского, С. Д. Сказкина. 3-е изд, т. 1, М., 1953; т. 2, М., 1950.
31. Абеляр П. История моих бедствий. М., 1959.
32. Анна Комнина. Алексиада. М., 1965.
33. Баллады о Робин Гуде. Разные издания.
34. Бедье Ж. Роман о Тристане и Изольде. М., 1955.
35. Валла Л. Рассуждение о подложности так называемой Дарственной грамоты Константина // Итальянские гуманисты о церкви и религии М., 1903.
36. Валла Л. Об истинном и ложном благе. О свободе воли. М., 1989.
37. Документы по истории университетов Европы XI-XV вв. Воронеж, 1973.
38. Европейская новелла Возрождения. М., 1974.
39. Зарубежная литература средних веков: немецкая, испанская, итальянская, английская литературы. Сост. Б- И. Пуришев. М., 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. Зарубежная литература средних веков: латинская, кельтская, скандинавская, провансальская, французская литературы. Сост. Б. И. Пуришев. М., 1974.
41. Исландские саги. Ирландский эпос. М., 1973 (Б-ка всемир. лит.)
42. Ленглеяд У. Видение Уильяма о Петре Пахаре. М., Л., 1941.
43. Младшая Эдда. Л., 1970 (Лит. памятники).
44. Песни трубадуров. М., 1979.
45. Песнь о Нибелунгах. М., 1972.
46. Песнь о Сиде: Староиспанский героический эпос. М., Л., 1959 (Лит. памятники).
47. Петрарка Ф. Избранная лирика. Разные издания.
48. Поэзия трубадуров. Поэзия миннезингеров. Поэзия вагантов. М., 1974 (Б-ка всемир. лит.).
49. Поэмы французского Возрождения: Антология. Л., 1938.
50. Путешествия Христофора Колумба. Дневники, письма, документы. М., 1961.
51. Ронсар П. Лирика. М., 1963.
52. Саккетти Ф. Новеллы. М., Л.. 1962 (Лит. памятники).
53. Средневековый роман и повесть. М., 1974 (Б-ка всемир. лит.).
54. Эйнгард. Жизнь Карла Великого // Прометей. Историко-биограф. альманах серии "Жизнь замечательных людей". М., 1977, т. 11.

ლიტერატურა

1. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი, პარიზი, 1929.
2. შ. ბადრიძე, ჯვაროსნები და საქართველო, თბ., 1973.
3. გ. თევზაძე, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1996.
4. ა. იასტრებიცკაია, XI-XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპა. ეპოქა, ყოფა, ჩაცმულობა, თბ., 1981.
5. ა. ლევანდოვსკი, ჟანა დ'არკი, თბ., 1973.
6. შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი, თბ., 1972.
7. გრ. ნათაძე, Capitulare de villis, უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, 1936.
8. ნ. ნათაძე, თომა აქვინელის ფილოსოფია, თბ., 1973.
9. მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995.
10. მ. სტეფნაძე, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზებისათვის, ქართული დიპლომატია. წელიწდეული, ტ. VII, თბ., 2000.
11. ლ. ხუბაშვილი, ბოკაჩოს შემოქმედების ისტორიული ასპექტი, თბ., 1996.
12. გ. ტივაძე, შუა საუკუნეების ისტორია, ტ. 1-2, თბ., 1967, 1970.

ეროვნული ბიბლიოთეკა
13. შუა საუკუნეების ისტორია, ტ. 1, ა. უდალცოვის, ე. კოსმინსკისა და ო. ვაინშტეინის რედაქციით, თბ., 1946.
14. Барг М. А. Категории и методы исторической науки. М., 1974.
15. Баткин Л. М. Данте и его время. Поэт и политика. М., 1965.
16. Введение в специальные исторические дисциплины М., 1990.
17. Всемирная история. М., 1957, т.3.
18. Гельмут Кёнигсберг. Средневековая Европа, 400-1500 годы. М., 2001.
19. Гутнова Е. В., Историография истории средних веков. 2-е изд. М., 1985.
20. История Европы с древнейших времен до наших дней. В 8 тт., .М., 1992, т. 2, Средневековая Европа.
21. История крестьянства в Европе. Эпоха феодализма. В 3-х тт., т. 1, 2. М., 1985, 1986.
22. История средних веков: 1т. Под общей ред. С. Д. Сказкина. М., 1977.
23. История средних веков: 1т. Учебник для вузов по спец. «История» под ред. З. В. Удальцовой и С. П. Карпова, т. 1. М., 1990.
24. История средних веков: Учебник. Под ред. С. П. Карпова, т.1. М., 1977.
25. Косминский Е. А. Историография средних веков. V - середина XIX в., М., 1963.
26. Культура и искусство средневекового города. М., 1984.
27. Культура эпохи Возрождения и Реформации. М., 1981.
28. Культура Западной Европы в эпоху Возрождения. М., 1996.
29. Люблинская А. Д. Источниковедение истории средних веков Л., 1955.
30. Самарский В. В. Историческая география Западной Европы в средние века. М., 1976.
31. Баткин Л. М. Итальянское Возрождение в поисках индивидуальности, М., 1989
32. Баткин Л. М. Итальянское Возрождение. Проблемы и люди. М., 1995
33. Баткин Л. М. О социальных предпосылках итальянского Возрождения // Проблемы итальянской истории. М., 1975
34. Белов Г. Городской строй и городская жизнь средневековой Германии. М., 1912
35. Берман Г. Д. Западная традиция права: эпоха формирования. М., 1994
36. Бессмертный Ю. Л. Феодальная деревня и рынок в Западной Европе XII-XIII. вв., М., 1969.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. Бессмертный Ю. Л. Жизнь и смерть в средние века. Очерки демографической истории Франции. М., 1991.
38. Бицилли П. М. Элементы средневековой культуры. СПб., 1995.
39. Бицилли П. М. Салимбене (Очерки итальянской жизни XIII в.). Одесса, 1916.
40. Бицилли П. М. Место Ренессанса в истории культуры. СПб., 1996.
41. Близнюк С. В. Мир торговли и политики в королевстве крестоносцев на Кипре. 1192-1373. М., 1994.
42. Блок М. Характерные черты французской аграрной истории. М., 1957.
43. Брагина Л. М. Идеи гражданского гуманизма в речах флорентийских магистратов XV в. // Средние века. М., 1984. Вып. 47.
44. Брагина Л. М. Итальянский гуманизм. Этические учения XIV-XV веков. М., 1977.
45. Брагина Л. М. Социально-этические взгляды итальянских гуманистов (Вторая половина XV века). М., 1983.
46. Буданова В. П. Готы в эпоху Великого переселения народов. М., 1990.
47. Буркхардт Я. Культура Италии в эпоху Возрождения. М., 1995.
48. Быховский Б. Э. Сигер Брабантский. М., 1979.
49. Варьяш О. И., Черных А. П. Португалия: дороги истории. М., 1990.
50. Виноградов П. I. Средневековое поместье в Англии. СПб., 1911.
51. Гарэн Э. Проблемы итальянского Возрождения. М., 1986.
52. Горфункель А, Х. Философия эпохи Возрождения. М., 1980.
53. Грацианский Н. II. Бургундская деревня в X-X11 столетиях. М., Л., 1935.
54. Грацианский Н. Г. Из социально-экономической истории западноевропейского средневековья. М., 1960.
55. Грин О. История английского народа, в 3-х томах. М., 1891.
56. Гуревич А. Я История и сага. М., 1972.
57. Гуревич А. Я. Норвежское общество в раннее средневековье. М., 1977.
58. Гуревич А. Я. Походы викингов. М.. 1966.
59. Гуревич А. Я. Категории средневековой культуры. 2-е изд. М., 1984.
60. Гуревич А. Я. Культура и общество средневековой Европы глазами современников. М., 1989.
61. Гуревич А. Я. Средневековый мир: культура безмолвствующего большинства. М., 1990.
62. Гусарова Т. П. Город и деревня Италии на рубеже позднего средневековья. М.. 1983.

63. Гутнова Е. В. Классовая борьба и общественное сознание крестьянства в средневековой Западной Европе (X1-XУ вв.). М., 1984.
64. Гутнова Е. В. Возникновение английского парламента (Из истории английского общества и государства XIII в.). М., 1960.
65. Данэм Б. Герои и еретики. Политическая история западной мысли. М., 1967.
66. Даркевич В. П. Народная культура средневековья. М., 1988.
67. Джеймс П., Мартин Дж. Все возможные миры. История географических идей. М., 1988.
68. Дживелегов А. К. Средневековые города в Западной Европе. СПб., 1902.
69. Дитмар А. В. От Птолемея до Колумба. М., 1989.
70. Добиаш-Рождественская О. А. Культура западноевропейского средневековья. М., 1987.
71. Добиаш-Рождественская О. А. Западные паломничества в средние века. Пг., 1924.
72. Заборов М. А. Крестоносцы па Востоке. М., 1980.
73. Заборов М. А. Папство и крестовые походы. М., 1960.
74. История эпохи каролингов. М., 1999.
75. Карнов С. П. Итальянские морские республики и Южное Причерноморье в ХШ-ХУ вв.: проблемы торговли. М., 1990.
76. Карпов С. П. Путями средневековых мореходов: черноморская навигация Венецианской республики в XIII-XV вв. М., 1994.
77. Карсавин Л. П. Монашество в средние века. М., 1992.
78. Карсавин Л. Г. Очерки религиозной жизни в Италии XII-ХШ вв. СПб., 1912.
79. Колесницкий Н. Ф. «Священная Римская империя»: притязания и действительность. М., 1977.
80. Колесницкий Н. Ф. Исследование по истории феодального государства в Германии (IX - первая половина XIIв.). М., 1959.
81. Корсунский А. Р. История Испании IX-ХШ вв. М., 1976.
82. Корсунский А. Р. Готская Испания. М., 1969.
83. Корсунский А. Р. Образование раннефеодального государства в Западной Европе. М., 1963.
84. Котельникова Л. А. Феодализм и город в Италии в VIII-XV веках. М., 1987.
85. Лебедев Г. С. Эпоха викингов в Северной Европе. Л., 1985.
86. Леви-Провансаль Э. Арабская культура в Испании. М., 1967.
87. Левицкий Я. А. Город и феодализм в Англии. М., 1987.
88. Ле Гофф Ж.Цивилизация средневекового Запада. М., 1992.

89. Левандовский А. П. Карл Великий. Через Империю к Европе. М., 1995.
90. Лосев А. Ф. Эстетика Возрождения. М. 1978.
91. Майоров Г. Г. Формирование средневековой философии. Латинская патристика. М., 1979.
92. Мельникова Е. А. Меч и лира. Англосаксонское общество в истории и эпосе. М., 1987.
93. Немилов А. Н. Немецкие гуманисты XV века. Л., 1979.
94. Неусыхин А. И. Судьбы свободного крестьянства в Германии в VIII-XII вв. М., 1964.
95. Неусыхин А. И. Проблемы европейского феодализма. Избр. тр.. М., 1974.
96. Неусыхин А. И. Возникновение независимого крестьянства как класса раннефеодального общества в Западной Европе VI-VIII вв. М., 1956.
97. Петров М. Т. Итальянская интеллигенция в эпоху Ренессанса. Л., 1982.
98. Петрушевский Д. М. Восстание Уота Тайлера. 2 е изд. М., 1914.
99. Петрушевский Д. М. Очерки из истории английского государства и общества в средние века. 4-е изд. М., 1937.
100. Пискорский В. К. Кастильские кортесы в переходную эпоху от средних веков к новому времени (1188-1520). Киев. 1997.
101. Райцес В. И. Жанна д'Арк: факты, легенды, гипотезы. Л., 1982.
102. Репина Л. П. Сословие горожан и феодальное государство в Англии XIV века. М., 1979.
103. Ревякина Н. В. Проблемы человека в итальянском гуманизме второй половины XIV - первой половины XV в. М., 1977.
104. Рутенбург В. И. Италия и Европа накануне нового времени. Л., 1974.
105. Рутенбург В. И. Титаны Возрождения. Л., 1976.
106. Рутенбург В. И. Итальянский город от раннего средневековья до Возрождения. Л., 1987.
107. Рутенбург В. И. Народные движения в Италии в XIV - начале XV вв. М., Л., 1958.
108. Савин А. Н. Английская секуляризация. М., 1906.
109. Сапрыкин Ю. М. От Чосера до Шекспира: этические и политические идеи в Англии. М., 1985.
110. Сапрыкин Ю. М. Английское завоевание Ирландии (XП-XVII вв.). М., 1982.
111. Сапрыкин Ю. М. Социально-политические взгляды английского крестьянства в XIV-XVII вв. М., 1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

112. Сванидзе А. А. Деревенские ремесла в средневековой Европе. М., 1985.
113. Сванидзе А, А. Ремесла и ремесленники средневековой Швеции (XIV-XV вв.). М., 1967.
114. Сидорова Н. А. Очерки по истории ранней городской культуры во Франции. М., 1953.
115. Силюнас В. История испанского театра XШ-XVI вв. М., 1995.
116. Сказкин С. Д. Очерки по истории западноевропейского крестьянства в средние века. М., 1968. См. также в кн.: Сказкин С. Д. Избранные труды по истории. М., 1973.
117. Смирин М. М. К истории раннего капитализма в германских землях (XV-XVI вв.). М., 1969.
118. Стоклицкая-Терешкович В. В. Основные проблемы истории средневекового города X-XV веков. М., 1960.
119. Удальцова З. В. Италия и Византия в VI веке. М., 1959.
120. Уколова В. И. Античное наследие и культура раннего средневековья (конец V - середина VII вв.). М., 1989.
121. Уколова В. И. «Последний римлянин» Боэций. М., 1987.
122. Уотт У. М., Какиа П. Мусульманская Испания. М., 1976.
123. Хачатурян Н. А. Возникновение Генеральных Штатов во Франции. М., 1976.
124. Хачатурян Н. А. Сословная монархия во Франции XII-XV вв. М., 1989.
125. Хёйзинга И. Осень средневековья. М., 1988.
126. Хоментовская А. И. Лоренцо Валла - великий итальянский гуманист, М., Л., 1964.
127. Шарль Пти-Дютай. Феодальная монархия во Франции и в Англии X-XШ вв. М., 1938.
128. Шервуд Е. А. От англосаксов к англичанам (К проблеме формирования английского народа). М., 1988.
129. Штокмар В. Б. История Англии в средние века. Л., 1973.
130. Штокмар В. В. Очерки по истории Англии. Л., 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა (გ. კუტალია) ---------- 3
შესავალი ---------- 5

თავი I

ისტორიის პერიოდიზაცია. ტერმინი „შუა საუკუნეების“ გაჩენა და „ფეოდალიზმის“ არსი (გ. კუტალია) ---------- 6

თავი II

V-XV საუკუნეების ისტორიის ამსახველი წყაროები (გ. კუტალია) ---------- 17
ადრეული შუა საუკუნეები

თავი III

დასავლეთ ევროპა ანტიკურობისა და შუა საუკუნეების მიჯნაზე ---------- 27
§1. კრიზისი რომის იმპერიაში (III-V სს.) (აკ. გეთიაშვილი) ---------- 27
§2. გვაროვნული წყობილების რღვევა ძველ გერმანელებში (ბ. ჯავახია) ---------- 31
§3. ხალხთა დიდი გადასახლებანი. ბარბაროსული სამეფოები რომის იმპერიის ტერიტორიაზე (ა. გეთიაშვილი) ---------- 37

თავი IV

ფეოდალიზმის განვითარება ფრანკთა სახელმწიფოში ---------- 55
§1. მეროვინგების ფრანკთა სამეფო (ბ. ჯავახია) ---------- 55
§2. კაროლინგების ფრანკთა მონარქია (გ. კუტალია) ---------- 65
§3. ფეოდალური ურთიერთობის საფუძვლების ჩამოყალიბება ფრანკთა სახელმწიფოში (გ. კუტალია) ---------- 79

თავი V

დასავლეთი ევროპა ადრეული შუა საუკუნეების ბოლოს (IX-XI სს.) ---------- 87
§1. ევროპის პოლიტიკური და საზოგადოებრივი სახე IX-XI საუკუნეებში (ა. გეთიაშვილი) ---------- 87
§2. საფრანგეთი IX-XI საუკუნეებში. საფრანგეთის სამეფოს ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი (თ. წითლანაძე) ---------- 94
§3. გერმანია-იტალია IX-XI საუკუნეებში (მ. სტეფნაძე, ი. ხუბაშვილი) ---------- 100
§4. ჩრდილოეთ ევროპა IX-XI საუკუნეებში (კ. მეშველიანი) ---------- 121
§5. ინგლისი IX-XI საუკუნეებში (მ. სტეფნაძე) ---------- 125
§6. ესპანეთი VIII-XI საუკუნეებში (მ. სტეფნაძე) ---------- 135

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VI
ეკლესია ადრეულ შუა საუკუნეებში (ბ. ჯავახია) ---------- 142
ევროპა განვითარებული ფეოდალიზმის
პერიოდში (XI-XV სს.) ---------- 161

თავი VII
შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობა და
ზრდა (კ. მეშველიანი) ---------- 162

თავი VIII
ჯვაროსანთა ლაშქრობანი (გ. კუტალია, ზ. კვეტენაძე) ---------- 176

თავი IX
გერმანია, იტალია და პაპობა XII-XIII საუკუნეებში
(ი. ხუბაშვილი) ---------- 206

თავი X
ინგლისი XI-XIII საუკუნეებში (გ. კუტალია) ---------- 236

თავი XI
საფრანგეთი XI-XIII საუკუნეებსა და XIV საუკუნის დასაწყისში
(თ. წითლანაძე) ---------- 258

თავი XII
ასწლიანი ომი. ასწლიანი ომის მიზეზები და დასაწყისი.
პარიზის რევოლუცია და ჟაკერია (თ. წითლანაძე) ---------- 282

თავი XIII
ინგლისის განვითარება XIV საუკუნეში. უოტ ტაილერის
აჯანყება (მ. სტეფნაძე) ---------- 293

თავი XIV
ინგლისი და საფრანგეთი უოტ ტაილერის აჯანყების
შემდეგ (თ. ქარჩავა, ი. ხუბაშვილი) ---------- 307

თავი XV
ინგლისი XV საუკუნეში. ვარდების ომი და ტიუდორები
(კ. მეშველიანი) ---------- 328

თავი XVI
გერმანია XIII-XV საუკუნეებში. აღმოსავლეთ ბალტიისპირეთის
კოლონიზაცია (ა. გეთიაშვილი) ---------- 334

თავი XVII
იტალია და პაპობა XIII-XV საუკუნეებში (ი. ხუბაშვილი) ---------- 347

თავი XVIII
იტალიური საზღვაო რესპუბლიკები: ვენეცია, გენუა, პიზა ---------- 381

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIX
ესპანეთი და პორტუგალია XI-XV საუკუნეებში
(მ. სტეფნაძე) ---------- 391
თავი XX
სკანდინავიის ქვეყნები XI-XV საუკუნეებში
(კ. მეშველიანი) ---------- 401
თავი XXI
უნგრეთი და რუმინეთი XI-XV საუკუნეებში
(ა. გეთიაშვილი) ---------- 410
თავი XXII
ეკლესია XI-XV საუკუნეებში
(ბ. ჯავახია) ---------- 416
თავი XXIII
დასავლეთ ევროპის ქვეყნების შუასაუკუნეობრივი კულტურა
(ბ. ჯავახია) ---------- 436
თავი XXIV
ადრინდელი აღორძინება და ჰუმანიზმი იტალიაში
(XIV-XV სს.) (ლ. ხუბაშვილი) ---------- 460
ქრონოლოგიური ტაბულა (თ. ქარჩავა) ---------- 487
ძირითადი წყაროები და ლიტერატურა (გ. კუტალია) ---------- 499

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ელიზბარაშვილი

ტექრედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი

კორექტორები: ნ. ილურიძე
ც. მოლოდინი

კომპიუტერული უზრუნველყოფა მ. ურუშაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.09.04

საბეჭდი ქაღალდი 60X84

პირ. ნაბეჭდი თაბახი 32

სააღრ.-საგამომც. თაბახი 30,33

შეკვეთა 31 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნივერსიტეტის სარედაქციო-სადუბლიკაციო
კომპიუტერული სამსახური, 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.